

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჟურნალისტიკის კათედრა

ნიკო ნიკოლაძე
თხზულებანი

პროფ. დ. მ. ბამეზარდაშვილის რედაქციით

თბილისის უნივერსიტეტის
გამომცემლობა
1962

ს ა რ ე ლ ა ქ ი ო კ ო ლ ე გ ი ა

ვ. ბანბაძე, ი. გოცვაძე, დ. გამეზარდაშვილი (მთავარი რედაქტორი), ლ. გორგილაძე, ვ. ჯამბახიძე, მ. ჯანდუკელი, პრ. კეკელიძე, თ. მაჭავარიანი, შ. რაღიანი, ვ. შალური, ს. ხუციშვილი, ჯ. ჰუმბურძიძე.



ნიკოლ ნეხოლუდოვი
(1868 წ.)

ნიკო ნიკოლაძის თხზულებათა გამოცემა და მისი მიწოდება ფართო მკითხველისათვის დიდი ხანია ვალად ადევს ქართული ჟურნალისტიკისა და ლიტერატურის ისტორიკოსებს.

დიდი მასშტაბის ჰუბლიცისტიკისა და პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწის ნ. ნიკოლაძის მდიდარი მემკვიდრეობის გამოცემლობა არა მარტო საგრძნობი ხარვეზია, არამედ გარკვეულ დღეს ასუამს ჩვენი საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მეცნიერულად შესწავლისა და გაშუქების საქმეს. ამ გარემოებას ნ. ნიკოლაძის თანამედროვენიც გრძნობდნენ და ცდილობდნენ გადაეწყვიტათ ეს უაღრესად კეთილშობილური ამოცანა. ზოგ მათგანს თვით ავტორმაც დიდი დახმარება აღმოუჩინა სათანადო რჩევისა და კონკრეტული მითითებების მიცემით. მაგრამ ეს საქმე მაშინ ადგილიდან არ დაძრულა. ამ საკითხის რეალურად მოგვარებას საფუძველი ჩაეყარა მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

აწ განსვენებული პროფ. ს. ხუნდაძე, რომელმაც უდიდესი ღვაწლი დასდო ჩვენი კლასიკოსების გამოცემისა და მეცნიერული შესწავლის საქმეს საერთოდ, 1931 წელს შეუდგა ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერების ექვსტომეულის გამოცემას. მაგრამ უდროო სიკვდილმა საშუალება არ მისცა მას კარგად დაწეებული საქმე ბოლომდე მიეყვანა. მისი რედაქციით გამოვიდა მხოლოდ ორი ტომი.

მას შემდეგ გავიდა ოცდახუთი წელი და ნ. ნიკოლაძის თხზულებათა გამოცემას მანინც არავინ შედგომია. ამ გარემოებას, ცხადია, თავისი ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა. ნ. ნიკოლაძე წერდა ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. ამასთან, უაღრესად ნაყოფიერად მოღვაწეობდა არა მარტო ქართულ და საქართველოში გამოძავალ პრესაში საერთოდ, არამედ რუსეთისა და საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებშიც. გარდა ამისა, მისი ნაწერების უმეტესობა ხელმოუწერლად, ან სხვადასხვა ფსევდონიმით ქვეყნდებოდა. ამიტომ, ნ. ნიკოლაძის ნაწერების სრული ბიბლიოკრაფიის შედგენა დიდ დროსა და მძიმე შრომას მოითხოვდა.

1965 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრამ (გამგე პროფ. დ. გამეზარდაშვილი) შიილო გადაწყვეტილება შედგომოდა ნიკო ნიკოლაძის თხზულებათა გა-

მოსაცემად მომზადებას, რაც მოწონებულ იქნა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ.

სუთი წლის განმავლობაში იღნუსებოდა, ვლინდებოდა და გროვდებოდა ნ. ნიკოლაძის ნაწერები, რომელთა ოდენობა მეტად დიდი აღმოჩნდა. გამართლდა პროფ. ს. სუნდაძის სიტყვები: „ვეელა... მისი ნაწერი რომ შეგროვდეს ერთად და გამოიცეს, იგი ოც ტომშიც ვერ მოთავსდება“. მაგრამ იმ მოცულობის ოც ტომში, რომლებსაც ჩვენ ვამზადებთ, ვფიქრობთ, მოთავსდება ვეელა ნაწერი.

1959 წლიდან ნ. ნიკოლაძის თხზულებათა გამოცემის ხელმძღვანელობა გადაეცა ჟურნალისტის კათედრას (გამკე პროფ. დ. გამეზარდაშვილი). შეიქმნა, აგრეთვე, სარედაქციო კოლეგია ავტორიტეტული სპეციალისტებისაგან.

არის უოველი საფუძველი იმისათვის, რომ მკითხველმა უახლოეს წლებში მიიღოს ნიკო ნიკოლაძის თხზულებათა სრული კრებული. ამის საწინდარია ის, რომ მთელი მასალა შეგროვილია და მიმდინარეობს მისი შესწავლა და სათანადო მეცნიერული აპარატურით აღჭურვა.

მასლის დალაგების პრინციპების შესახებ ვერ კიდევ პროფ. ს. სუნდაძე შენიშნავდა: „რედაქტორის მიერ უარყოფილია პრინციპი ტომების თემატიკურად დალაგებისა. ამ შემთხვევაში იგი ფიქრობდა, რომ ჰუბლიცისტური ნაწერების გამოცემა უფრო მიზანშეწონილი და სასარგებლოა ქრონოლოგიური წესით...“

ქრონოლოგიური წესით მკითხველი უფრო ღრმად ეცნობა, როგორც ეპოქის (ან ეპოქების) შინაარსს, ისე თვით მწერლის თანდათანობით გახვითარებას. გარდა ამისა, ჰუბლიცისტ — მწერლის დამახასიათებელი სწორედ ის არის, რომ მლიერ ხშირად იგი ერთ და იმავე წერილში მრავალ სხვადასხვა თემას ეხება და ამიტომ ტექნიკურადაც ხშირად შეუძლებელი ხდება მათი თემატურად დალაგება“.

ეს შეხედულება სრულიად გამართლებულად მიგვაჩნია ჩვენც.

რაც შეეხება მასლის რედაქტირების ხასიათს, ავტორისეულ ტექსტში გასწორებულ იქნება მხოლოდ და მხოლოდ ის ლაფსუსები, რომლებიც ჟურნალ-გაზეთების, თუ ცალკე გამოცემათა რედაქციების მიზეზითაა გამოწვეული. რიგ შემთხვევებში, როცა ამის საფუძველს მოღწეული ხელნაწერები მოგვცემენ, აღვადგენთ ცენტურის მიერ ამოღებულ, ან შეცვლილ ადგილებსაც.

უოველ ტომს დართული ექნება ბიბლიოგრაფიული ხასიათის შენიშვნები, კომენტარები და სახელთა საძიებელი. ეს უკანასკნელი ისეთი პრინციპითაა შედგენილი, რომ გარკვეულ კომენტარსაც გულისხმობს, რაც მკითხველს მეტ დახმარებას გაუწევს.

ნიკო ნიკოლაძე

თავის სახელოვან შვილთა შორის ქართველი ხალხი ყოველთვის სიამაყის გრძნობით ასახელებს ნიკო ნიკოლაძეს. მშობელი ერის ასეთი სიყვარული და სიმბათია მან თავის სიცოცხლეშივე დაიმსახურა. ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან და გიორგი წერეთელთან ერთად, იგი გამოჩენილ სამოციანელთა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი და პროგრესულად მოაზროვნე იყო.

განსხვავებით თავის დიდ თანამედროვეთაგან, ნიკო ნიკოლაძე არ ყოფილა პოეტი, ბელეტრისტი, — მხატვრული სიტყვის ოსტატი, მათ გვერდით სამუდამოდ დგომის უფლება მან მანვილი პუბლიცისტურ-კრიტიკული კალმითა და ფართო მასშტაბის საზოგადოებრივი მოღვაწეობით დაიმსახურა. ადვილად წარმოსადგენია, თუ რაოდენ ძლიერი უნდა ყოფილიყო იგი თავისი მოწოდების სფეროში, როცა გასული საუკუნის მეორე ნახევრის ბუმბერაზი ქართველი მწერლები და მშობლიური ხალხის ფიქრთა მპყრობელნი — ილია და აკაკი მას უღალატებდნენ უფრო სიძულად თანამებრძოლად და მოაზროვნედ თვლიდნენ.

ნ. ნიკოლაძე, პირველ ყოვლისა, დიდი ეროვნული მოღვაწე და ქართულ კულტურის საუკეთესო წარმომადგენელია. ამასთან, როგორც პუბლიცისტი და კრიტიკოსი ნ. ნიკოლაძე გასცდა ეროვნულ საზღვრებს. რუსული და ევროპული აზროვნების ასპარეზზე იგი გავიდა როგორც გამოჩენილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ნიჭიერი მოწაფე და თანამებრძოლი, ფართო ერუდიციის მქონე, მოაზროვნე და მებრძოლი ტემპერამენტით აღჭურვალი ქართველი პუბლიცისტი.

მიუხედავად იმისა, რომ საბრძოლო ასპარეზად მთელი კულტურული მსოფლიოს აზრთა კიდილას სარბიელი აიჩრია და მოღვაწეობის სფეროდ ვიწროდ არ შემოუფარგლავს, ნ. ნიკოლაძემ მაინც წარმატებით დაადგინა თავი ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელ პუბლიცისტურ შაბლონს, ტრაფარეტსა და მეცნიერულ სიღრმეს მოკლებულ დილუტანტურ ქადაგებას.

ფართო განათლებისა და რუსული და ევროპული ენების საუცხოო ცოდნის წყალობით ნ. ნიკოლაძე რუსეთისა და ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრების კურსში იყო. ამასთან, ის იყო არა მხოლოდ მეთვალყურე ამ ცხოვრებისა, არამედ უშუალო მონაწილეც, რომელსაც თავისი საკუთარი შეხედულება ჰქონდა მასზე. და თუ რამდენად საინტერესო და ანგარიშგასაწევი მოაზროვნე იყო იგი მღელვარე აზრის ამ დიდ სარბიელზე, ეს ადვილად იგრძნობა ამ ურთიერთობი-

დანაც, რომელიც არსებობდა მასა და ისეთ სახელმძღვანელო ადამიანებს შორის, როგორც იყვნენ ნ. ჩერნომეცკი, გერცენი, ოგარიოვი, სალტიკოვ-შჩედრინი, მიხაილოვსკი, ლეი ბლანი, პოლ ლაფარგი და სხვები.

ნ. ნიკოლაძე სტუდენტის მერხზევე ეზიარა რევოლუციურ მოძრაობას, ეპოქის მოწინავე იდეებს და უშუალოდ გაეცნო ბევრ გამოჩენილ მოღვაწესაც. საკმარისია თუნდაც ზერელედ გადაავლოთ თვალი ამ საოცარი ენერჯისა და პათოსის მქონე ადამიანის ცხოვრებას, რომ თქვენს წინაშე მაშინვე წარმოადგეს მეტად სიმპათიური სახე დიდი მოღვაწისა და მოაზროვნისა, რომელმაც სიცოცხლის ხანგრძლივი გზა განუწყვეტელ შრომაში, მკაცრ ბრძოლებსა და დაძაბულ აზროვნებაში გაატარა. შეუძლებელია არ შენიშნოთ ისიც, რომ მას მეტად ადრე მოუხდა გამოცდილ და სახელმძღვანელო მოაზროვნეთა გვერდით დინჯი და დაფიქრებული მოღვაწეობის დაწყება. ამასთან, კვაბუკური ენერჯია და ახალგაზრდული შემოქმედებითი პათოსი სიკვდილამდე არ გაქრობია.

ნიკო იაკობის ძე ნიკოლაძე დაიბადა 1843 წლის 27 სექტემბერს ქ. ქუთაისში. ნიკოს ბაბუა — მამუკა სოფელ სკანდეს (თერჯოლის რაიონი) მკვიდრი იყო. ეს სოფელი, ძირითადად, ნიკოლაძეებით იყო დასახლებული. ამიტონაც ნ. ნიკოლაძემ თავის ერთ-ერთ საყვარელ ფსევდონიმად შემდეგში სკანდელი ი აირჩია.

მამუკა ნიკოლაძე, ჯერ კიდევ სრულადად ახალგაზრდა, თავის მებატონეს — აბაშიძეს გაქცევია და თავი ქართლისათვის შეუფარებია. ქართლში დაქორწინებულა ის ონიანშვილის ქალზე და საკმაო ხანის დაუყვია მეუღლის ოჯახში.

მებრეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, როცა თავად აბაშიძეების საქმეც უღდად დატრიალდა, მამუკა ნიკოლაძე კვლავ თავის მშობლიურ კუთხეს დაბრუნებია და ქუთაისში დასახლებულა. აქ მას ხელი მიუყვია წერილმანი ვაჭრობისათვის და გამჭირაბი მოქმედების წყალობით ღარიბი გლეხი მალე საკმაოდ შეძლებული მოქალაქე გამხდარა. მამუკას შვილებიც წამოშეელებიან და მისი დაწყებული სავაჭრო საქმიანობა კიდევ უფრო გაუფართოებიათ. ამ მხრივ ყველაზე მეტი ნიჭი ნიკოს მამას — იაკობს გამოუჩენია. „ოცდაათიანი წლების ნახევარში, — გადმოგვცემს ნ. ნიკოლაძე, — მამუკა და მამუკას შვილები ვაჭრობისთვის მარტო თბილისს კი არა, რუსეთშიაც დაიარებოდნენ. მამუკას უფროსი შვილი, გრიგოლი, და მამა-ჩემი იმ ხანებში საქსონიაშიც ყოფილან ლეიპციგის იარმუკაში, სანამ კიდევ შეიძლებოდა საზღვარგარეთიდან რუსეთში საქონლის შემოტანაო“ (ნ. ნიკოლაძე — „წარსულიდან“). შემდეგში იაკობი ნიჭი ნოვგოროდის ბაზრობასა და რუსეთის სხვა ქალაქების ხშირი სტუმარი იყო. შესაძლებლობის შემთხვევაში, უცხოელ კომერსანტებთან ურთიერთობასაც არ გაუბრდა.

1839 წელს იაკობმა ცოლად შეირთო დიდი-ჩხიბიშვილი აზნაურის თიან ლორთქიფანიძის ასული ლიზა (ელისაბედი), რომელსაც მშობლიურ სოფელში საკუთარი მამულიც ჰქონდა.

იაკობსა და ელისაბედს 1843 წელს შეეძინათ რიგით მეორე შვილი, უფროსი ვაჟი, რომელსაც ნიკო დაარქვეს. იაკობს, მართალია, სასკოლო განათლება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ სწავლა-განათლების დიდი პატივისმცემელი იყო და დაინტერესებულაც ყოფილა შვილებისათვის კარგი განათლება მიეცა. დედა-ელისაბედი კი ქართული წერა-კითხვის მცოდნე და ქართული მწერლობის მოყვარული მანუილოსანი იყო. „დედაჩემი, — იგონებს ნ. ნიკოლაძე, — მშენიერა

მწიგნობარი იყო: ამ ენაზე მთელი „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა. ბევრ სხვა ანბანზე და ხელნაწერ ქართულ წიგნებს მუდამ დღე ნასადილევს უკითხავდა მამაჩემს. ჩვენ ბავშვობიდანვე გვიყვარდა მისი ყურისგდებაო“ (ნ. ნიკოლაძე — „წარსულიდან“).

პატარა ნიკო მშობლებმა ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარეს. მოსამზადებელ კლასში ის იმდენად პატარა იყო, რომ ხელში აყვანილი დაჰყავდათ სასწავლებელში. სწავლა რუსულ ენაზე წარმოებდა, რის გამო, ისევე როგორც სხვებს, ნიკოსაც ბევრი არაფერი ესმოდა. მამამ პატარა ნიკოს მალე რუსული ენის კერძო მასწავლებელი დაუქირავა და ნიკიერმა ბავშვმა, როგორც იტყვიან, სწრაფად გაიტეხა ენა. მაგრამ ენის ცოდნაც ბევრს არაფერს მატებდა მოსწავლეებს, რადგან შესასწავლ მასალას, როგორც წესი, მასწავლებლები არ უხსნიდნენ. „სწავლა ჩვენს გიმნაზიაში, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — მარტო იმაში მდგომარეობდა, რომ ზეპირად უნდა გვესწავლა რუსულ სახელმძღვანელოებში მასწავლებლისაგან დანიშნული ადგილები, რომლის აზრი თითქმის არავის ჩვენგანს არ ესმოდა. ზოგიერთები მთელ წაგნს იზეპირებდნენ სრულიად გაუგებრად, თუთიყუშვით“ („წარსულიდან“).

სამაგიეროდ დედა პატარა ნიკოს და მთელ ოჯახს სისტემატურად უკითხავდა და აცნობდა იმ ქართულ წიგნებს, რომლებსაც თბილისიდან უგზავნიდნენ იაკობს მისი ნაცნობი მწერლები. „გიორგი ერისთავის კომედიებიდან და არჩილ მეფის ლექსებიდან ბევრმა ჩვენგანმა, — წერს ნ. ნიკოლაძე, — ზეპირათ დიდძალი ადგილები ვიციოდი. ეს კითხვა უკეთესი გასართობი იყო ჩვენს სახლში. როცა ყირიმის ომის დაწყების შემდეგ, ქართული წიგნების ბეჭდვა დიდხნობით მოიხსოვ, ჩვენთვის ეს დიდანაკლავად შეიქნა. დედაჩემი ძველ წიგნებს უბრუნდებოდა და განმეორებდა გვიკითხავდა. თავიდან ბოლომდე წაგვიკითხა მან, სხვათა შორის, ბროსეს გამონაკეში „ქართლის ცხოვრება“, რომლის სრული ქართულ-ფრანგული გამოცემა, მამაჩემს ძვირფას ყდებში ჰქონდა შექმნილი თვითონ მარტოს ბროსესგან, როცა ეს მეცნიერი ქუთაისის ჩამოსულა ორმოციან წლებში“ („წარსულიდან“).

იაკობს უყვარდა მწერლები და მეცნიერები, მათთან შეხვედრა და მეგობრობა. მას ახლო ნაცნობობა ჰქონებოდა ქართველ დრამატურგებთან — ზურაბ ანტონოვიანს და მეიფარიანთან. ზურაბ ანტონოვის სიკვდილი რომ შეუტყვია, როგორც ახლო ნათესავი ისე უგლოვია იაკობს. ის სიკვდილამდე იგონებდა თურმე მარი ბროსესთან შეხვედრას და მასთან ქართულ საუბარს, თანაც შვილს აქეზებდა — „ისწავლე, შვილო, ხომ ხედავ სწავლას რა არ შეძლებიაო“.

მესამე კლასის მოსწავლე იყო ნიკო, როცა ყირიმის ომის საქართველოს სკენა მის წინაც უშუალოდ გადაიშალა. მან საკუთარი თვალით ნახა თურქების გაქცევა სამეგრელოდან და მათ მიტოვებულ ზარბაზნებს სიხარულით ახტებოდა. ომის გამო, დროებით, სწავლაც შეწყდა გიმნაზიაში, მაგრამ კვლავ მალე განახლდა.

მეხუთე კლასიდან გიმნაზიაში მოსწავლეები იყოფოდნენ იმის მიხედვით, თუ ვინ აპირებდა უმაღლეს სასწავლებელში წასვლას და ვინ — პრაქტიკული საქმიანობის დაწყებას.

ი. ნიკოლაძეს გადაუწყვეტია შვილიც უშუალოდ ჩაება თავის საიჯარადრო საქმიანობაში, რის გამო გიმნაზიის მეხუთე კლასიდან შესაფერა განხრა მიუძღოდა. ეს გარემოება კი ნიკიერ ბავშვს წინასწარვე ურთულდება უმაღლეს სასწავლებელში წასვლის უფლების მიღებას. „მამაჩემი, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — საიჯარადრო მშენებლობის საქმეში თავის თანაშემწედ მამზადებდა. იგი აზნისისთვის ყაზარმებს აგებდა, მოსაზღვრე საღარაჯოებს, სასწავლებლებს, და

—მისთვის ერთგული, განსწავლილი ხელკებითი იყო საჭირო. ქუთაისის გინაზია, სადაც მან ამ აზრით მოიხატა, იმ დროს უვაროვის ტიპისა იყო. იქ, მშობლიურ ქართულისა და აგრეთვე რუსულას გარდა, გვასწავლიდნენ: ოსმალურს, ფრანგულს, საბუნებისმეტყველო საგნებს და მათემატიკას. მეხუთე კლასიდან უმაღლეს სასწავლებელში წამსვლელი ლათინურის გაკეთალებს ჰკიდებდა ხელს, სხვები კი— ამ საათებს კანონმეტყველებას ანდომებდნენ. მაშინვე მაიძულა ეს უკანასკნელი დარგი ამერიჩიაო“ (ნ. ნიკოლაძე — „მოგონებანი სამოციან წლებზე“).

როგორც თვითონ იგონებს, ნ. ნიკოლაძეს არც მასწავლებლები შეხვედრია ისეთი, რომ მისი და მისი ამხანაგების სიყვარული დაემსახურებიათ. თვით ქართული ენის მასწავლებელ გ. დიდებულისა, რომელიც ეურნალი „ისკრიდან“ ზოგიერთი ქართველი პოეტის ლექსებს უკითხავდათ ხოლმე მოსწავლეებს, ვერ დაუმსახურებია აღსაზრდელთა სიყვარული.

იაკობს, რომელიც შვილს პრაქტიკული საქმიანობისათვის ამზადებდა, მეხუთე კლასის მოსწავლე ნიკო ზაფხულზე ფოთში ჩაუყვანია იქაური საქმეებისა და მამულების გასაცნობად. ეს იყო ნიკო ნიკოლაძის პირველი სტუმრობა ფოთში, რომელთანაც შემდეგ დაკავშირებული იყო მთელი თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით. მაგრამ მისი პირველი ჩასვლა ფოთში სასურველად ვერ დამთავრდა. კაობებთან მდიდარმა ფოთმა პატარა ნიკოს მალარია შეუარა. ერთი წელი ლოგინად ჩაავდო და სწავლას ჩამოაყალა. შემდეგში ნ. ნიკოლაძემ, თითქოს შური იძიო, დიდი აზარ დასდო ფოთს კაობებისაგან განთავისუფლებისა და კეთილმოწყობის საქმეში. შეიძლება ითქვას, რომ მალარიით დაავადების გამო ერთი წლით გიმნაზიიდან მოწყვეტაც არ გამხდარა ნიკოსათვის სავალალო. მზრუნველი მამის წყალობით, ამ დროს ის გაეცნო რუსულ მწერლობას, მეტად საინტერესო რუსულ ეურნალ-გაზეთებს, რომლებმაც საბოლოოდ გადაწყვიტეს ნიკიერი ახალგაზრდის მომავალი საქმიანობის ბედი. ამასთან დაკავშირებით უკვე მხცოვან-მოღვაწე, თავის მოგონებებში, შემდეგსა წერს: „ფოთმა შემძლენა მალარია, რომელმაც წელზე მეტი ლოგინად ჩამავდო. ჩემდა სახუგეშოდ, მამა მავწდიდა და მიწერდა წიგნებს და ეურნალებს, რომელთაც უსაქმურობის გამო გულმოდგინეთ ვკითხულობდი. განსაკუთრებით მაინტერესებდა ბაქმანის „ილიუსტრაცია“. ამ (1859) წელს ეს ეურნალი დიდ ადგილს უთმობდა საფრანგეთის იმპერატორის მოკვლის განზრახვას, ორსინის გასამართლებას და სიკვდილით დასჯას. გიმნაზიის სამი უფროსი კლასის (მაშინ გიმნაზიაში შვიდი კლასი იყო და არა რვა) მოწავთა ბიბლიოთეკიდან... მიგზავნიდნენ ეურნალების «Русский Вестник»-ის და „Современник“-ის ახალ-ახალ წიგნებს, რომელთაც მე გატაცებით ვკითხულობდი პირველა ფურცლიდან უკანასკნელამდე. ერთი წლის ავადმყოფობის დროს სრულიად ჩამოვრჩი გიმნაზიის კურსს, მაგრამ სამაგიეროდ გადავიკითხე მრავალი რამ, სასარგებლოც და უსარგებლოც. ასე მეგონა, რომ არა მარტო ლიტერატურაში, პოლიტიკაშიაც ჩემთვის საიდუმლო აღარაფერი იყო. აქან შემაყვარა კითხვა და მეცადინეობა“ („მოგონებანი სამოციან წლებზე“).

არც გიმნაზიელ ამხანაგებს ჩამორჩენია ნიკო. ერთი წლის განმავლობაში მან ორი კლასი დაასრულა და გიმნაზიის დამთავრების ატესტატიც თავის თანაკლასელებთან ერთად მიიღო. ამასთან, გიმნაზია მან დაამთავრა კარგი წარმატებით, თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, ის ეურნალ-გაზეთების კითხვით უფრო იყო დაინტერესებული, ვინემ გაკვეთილების მომზადებით. გარდა ამისა, გიმნაზიის უკანასკნელ კლასში სწავლისას ნ. ნიკოლაძე სამწერლო ასპარეზზეც გამოდრწ. მისმა შინაარსიანმა წერილებმა „ქუთაისის მეკორეს“ ფსევდონიმით (იხ. ეურნალ-

„ცისკარი“, 1860 წ., №№ 9, 10) უკვე მიიქცია ეურნალ „ცისკარის“ მეთხუთსა-
ყურადღება.

ამვე წელს მას რუსული ეურნალიდან უთარგმნია და „ცისკარში“ უსა-
ბეჭდად გაუგზავნია მოთხრობა—„ჩამორჩობილი“, რომლის შესახებ, „ცისკარს“
1860 წლის მეთერთმეტე ნომერში, რედაქცია შემდეგ განცხადებას აკეთებს:
„უფ. ნიკოლაძეს. — თქვენგანთ გამოგზავნილი მოთხრობა „ჩამორჩობილი“ თუ-
ცა კარგია, მაგრამ რადგან ჩვენი ქვეყნის საზოგადოების ჩვეულებას არ მოე-
დგება, ამისთვის ვერ ვებეჭადეთ“. მაგრამ შემდეგ ნომერში რედაქცია იტყობინება,
რომ „ჩამორჩობილი“ ცენზურიდან ჯერ-ჯერობით არ დაბრუნებულა, ამიტომ
მომავალი წლის თებერვლის ნომერში დაიბეჭდებაო. სინამდვილეში კი დაიბეჭდა
არა თებერვლის, არამედ აპრილის ნომერში.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ნიკოს, ცხადია, უმალეს სასწავლებელში
შესვლა ჰქონდა გადაწყვიტოლი, თუმცა მამა, როგორც აღვნიშნეთ, სხვა აზრისა
იყო. მაგრამ ამ დროს საქმეში ჩაერია ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე,
რომელიც ნიკოს ეინაობით დაინტერესდა „ცისკარში“ გამოქვეყნებული წერილე-
ბის წაკითხვის შემდეგ, და საკითხი დადებითად გადაწყდა.

1861 წლის მარტში, თავის ორ ამხანაგთან ერთად, ნ. ნიკოლაძე პეტერბურ-
გისაკენ გაემგზავრა. მათ დაძლიეს მძიმე მგზავრობა ჯერ ზღვით (ფოთი-ქერჩი),
ხოლო შემდეგ ხმელეთით (ქერჩი-ხარკოვი-კურსკი-მოსკოვი-პეტერბურგი) და თვე-
ნახევრის შემდეგ უკვე დედაქალაქში იყვნენ. ახლადჩასულება მალე გაეცნენ
პეტერბურგში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს და ჩქარა თავიანთი შთაბეჭდი-
ლებაც შეიქმნეს პეტერბურგზე და იქ მოსწავლე ქართველებზე.

როდესაც ნ. ნიკოლაძე და მისი ამხანაგები პეტერბურგისაკენ მიდიოდნენ,
ი. კავკავაძე პეტერბურგიდან სამშობლოში მოემგზავრებოდა. ამიტომ მათ პეტერ-
ბურგში ვერ გაიცივნეს ილია, მაგრამ მის შესახებ ბევრა რამ შეიტყვეს სხვები-
საგან. შეიტყვეს ისიც, რომ ილიას საქართველოში წამოსვლის შემდეგ ქართველ
სტუდენტთა შორის მეტი გავლენა ნიკო ლოლობერიძეს მოეპოვებია. თუმცა ის
ილიასაგან ბევრით განსხვავდებოდა, — სხვა შეხედულებისა და სხვა ბუნების
კაცი იყო.

ნ. ნიკოლაძეს მეტად საინტერესო დროს მოუხდა პეტერბურგში გამგზავრება
და პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესვლა. მან საკუთარი თვა-
ლით ნახა, თუ როგორ ზეიმობდა რუსეთის გლეხობა თავის განთავისუფლებას
ბატონყმური უღლისაგან, როგორი სიხარულით ზღვებოდნენ ისინი პირველ თა-
ვისუფალ გაზაფხულს. და როგორც იგი ამბობს, სასურველი გაზაფხული არა-
მარტო რუსეთს ჰქონდა მამინ, არამედ ევროპასაც: „გარიბალდი თავისი მამა-
ცი „ათასეულით“ ის იყო დაიპყრო ორივე სიცილია, — მთელი ქვეყანა ტაშით
აჯილდოვებდა გმირს. საფრანგეთში ნაპოლეონ მესამე ლიბერალურ დამოშობაზე
წავიდა. სოფერიანოში განადგურებული ავსტრია პარლამენტარიზმს ამყარებდა.
ამერიკა ზანგთა მონობას სპობდა... გაზაფხული იდგა როგორც ბუნებაში, ისე
ცხოვრებაში...“ („მოგონებანი სამოციან წლებზე“).

ნ. ნიკოლაძემ პეტერბურგელ ქართველ სტუდენტებში დიდი გამოცოცხლება
შეიტანა. მართალია, ნ. ლოლობერიძეზე და სხვა მაღალი კურსის სტუდენტებზე
მას აღარ შეეძლო სერიოზული გავლენა მოეხდინა და მათი მიმართულება შეეც-
ვალა, მაგრამ იგი ახერხებს თავისი პატარა წრის შექმნას. ამ წრეში შედიოდნენ.

2. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, დ. აბღუშელიშვილი. მათთან მეგობრობდა და მათ სჯა-ბაასს ანგარიშს უწყევდა აკ. წერეთელიც.

„მალე ჩვენ პატარა სახლობაში, — წერს ნ. ნიკოლაძე, — ახალი, უფრო პატარა წრე შედგა თავის-თავად: მეჯღებოლით ხოლმე კუთხეში (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, დ. აბღუშელიშვილი, კ. ლორთქიფანიძე — დ. გ.)... და ვიწყებდით სქას, მოაზრებას, „ხმა მალა ფიქრს“. გავარჩევდით, რაც მანამდე გვსმენოდა, ან წაგვეკითხა, ვსჯილით თათოვეულ აზრს, რომელიც კი თავში გაგვეკრავდა, ვაშენებდით ოცნებებს... ან და ვისხედით ჩუმათ, ჩაფიქრებულნი... მერე მოვშორდებოდით ერთმანეთს, კითხვას ვიწყებდით, და ისევ ერთად ვსჯილით ახალ ამოკითხულ აზრებს... ასე ეფიქრობდით ერთად, და ასე ვსჯილით ერთმანეთის გამოკითხვით ყველაფერს, რასაც კი დაეინახავდით, ვგრძნობდით ან შეეხებდებოდით.

მაშინდელი ჩვენი დაახლოება ხანგრძლივი შეიქნა. ერთად გავატარეთ მთელი ის დრო, რომელიც ჩვენ პეტერბურგში დაერჩით, და შემდეგაც ხშირად შეგვხვებდნენ ერთად შრომა, ან ერთად ყოფნა... ჩვენ ოთხს ბეერია ხალხობრივი ყმაწვილი და გვიან ხლოვდა შემდეგში, და გვიან ანაღად გადიდდა, გაძლიერდა ის ერთი ნამსეცა წრე... გარშემოწებთ, იმ დროს არც ერთს ჩვენგანს აზრალაც არ ჰქონია თავისი კერძო თავმოყვარეობა, ან სარგებლობა. მაშინდელი ჩვენი შუსაიფის ან მსჯელობის საგანია, მაშინდელი ჩვენი შრომის მიზანი ის იყო, თუ რა ამოკვლეობა გვაწევს კისერზე ხალხისადმი, ან რასახით უფრო სჯობია მომზადება ამ მოვალეობის ასასრულებლად... რამდენს იცინებდნენ უფროსი სტუდენტები, ამ ჩვენი სქინათვის ყური რომ მოეკრათ, ან რა ბრძნულად დაგვიწყებდნენ დამტკიცებას, რომ ჭერ ლექციები უნდა შეისწავლოს სტუდენტმა, დიპლომი მიიღოს, კარგი შემოსავლიანი და გაკუნიანი ადგილი იშოვოსო სამსახურით და მერე, თუ უნდა, ხალხის ბედზე იფიქროს, ან იზრუნოს... მაგრამ ჩვენ როდილა ვუმხელდით იმათ არც ჩვენს სქას, არც ჩვენს აზრებს. ისინი თავიანთ გზაზე იდგნენ, ჩვენ ჩვენსას და ვადექითო“ („სტუდენტობის პირველი დრო“).

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძემ მალე აღადგინა ქართველ სტუდენტობაში იგივე განწყობილება და მიმართულება, რაც ი. ჭავჭავაძის პეტერბურგიდან წამოსვლის შემდეგ ერთგვარად შეიცვალა. ნ. ლოლობერიძისა და მის თანამგრძნობთან განსხვავებით, ნ. ნიკოლაძე და ბეერი სხვა ქართველი სტუდენტისაზოგადო საქმით უფრო მეტად იყო გატაცებული, ახლო ურთიერთობაში იყვნენ რევოლუციურად განწყობილ რუს და პოლონელ სტუდენტობასთან და ღრმად ეუფლებოდნენ ჩერნიშევსკის, დობროლაუბოვისა და მათ თანამგრძნობა იდეებს.

ნ. ნიკოლაძე და გ. წერეთელი თავიანთ ნაწერებში მეტად თბილად იგონებენ პოლონელ სტუდენტებს, განსაკუთრებით კი ვლადისლავ ხოროშევსკის. პოლონელ და ქართველ სტუდენტთა ახლო მეგობრობას, ცხადია, ობიექტური საფუძველი ჰქონდა. მათ საერთო მიზანს წარმოადგენდა ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის გაჩაღება. ამიტომ, ისინი მალე ნახულობდნენ საერთოს და ხშირალაც საუბრობდნენ მათთვის საინტერესო თემებზე.

1861 წელი ქართველ სტუდენტთა ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი იყო. ბეერმა მათგანმა ამ წელს მიიღო რევოლუციური ნათლობა, — მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა ცნობილ არეულობაში და პეტრეპავლოესკისა და კრონშტადტის ციხეებში პატიმრობა იგემა.

დაპატიმრებულ სტუდენტთა შორის თერთმეტი ქართველი იყო. მათ შორის: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, დ. აბღუშელიშვილი, ი. ისარლი-შვილი და სხვ.

ნ. ნიკოლაძე სულ რამდენიმე დღის მისული იყო უნივერსიტეტში, როცა უნივერსიტეტის კედლებზე გაიკრა გერცენის ლონდონის სტამბაში დაბეჭდილი პროკლამაცია—«К молодому поколению», რომლის ავტორები იყვნენ ნ. ე. შელგუნიოვი და მ. ი. მიხაილოვი. პროკლამაციას «ამშვენებდა წერილი ასოებით დაბეჭდილი ეპიგრაფი, კ. ფ. რილევების მთელი ნაწარმოები: «Я-ль буду в роковое время позорить гражданина сан...», «ეს იყო პირველი მერცხალი დაწყებული არეულობისა»¹ — დასძენს ნ. ნიკოლაძე.

ნ. ნიკოლაძის თქმით, «არავინ შესულა იმის გარჩევაში, თუ რამდენად მისაღები, თუ მიუღებელი იყო მოწოდების აზრები. ამ მხრით ეტუობოდა, რომ ყველანი ეთანხმებოდნენ მის შინაარსს. ჩვენს წრეში არავინ ყოფილა ისეთი, რომ მეფისა და მთავრობის დამცველად გამოსულიყო»².

თვით ნ. ნიკოლაძეზე ამ პროკლამაციას მეტი შთაბეჭდილება მოუხდენია, ვინემ გერცენის წერილებს, რადგან მასში ამოუკითხავს მოწოდება ძველი რეჟიმის დასამხობად და არა გამოსასწორებლად.

ნ. ნიკოლაძე, სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად, თავიდანვე აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა არეულობაში და ციხის კედლებშიც მხნე განწყობილებით შევიდა. ციხეში გატარებულ დღეებს მისთვის ფუჟად არ ჩაუვლია. აქ ზვი დაუახლოვდა და უფრო ახლო გაეცნო სხვადასხვა შეხედულებების მქონე, მაგრამ ოპიზიტურად განწყობილ ახალგაზრდებს.

რევოლუციურად განწყობილმა ახალგაზრდებმა, ცხადია, მეტი სასარგებლო ცოდნის მიღება შეძლეს აქ, ვინემ მათ ეს შეეძლოთ უნივერსიტეტში ლექციების მოსმენით. შეიძლება ითქვას, რომ ნ. ნიკოლაძეს პირველი დიდი გამოცდილება მისცა სწორედ სტუდენტთა არეულობამ, პროკლამაციების კითხვამ და პეტრეპავლოვსკისა და კრონშტადტის ციხეებში მოსმენილმა „ლექციებმა“.

ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ნაწერებით გატაცებულ სტუდენტობაზე მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია ცნობას დობროლიუბოვის სიკვდილის შესახებ. «მთელ სტუდენტობას თავზარი დასცა ნოემბრის შუა რიცხვებში მოსულმა ცნობამ დობროლიუბოვის სიკვდილის შესახებ», — იგონებს ნ. ნიკოლაძე. სტუდენტთა შორის დავაეკი ყოფილა — ვინ იდგა უფრო მაღლა: ჩერნიშევსკი თუ დობროლიუბოვი?

ნ. ნიკოლაძე საკმაოდ მდიდარი შთაბეჭდილებებით გამოვიდა კრონშტადტის ციხიდან. მაგრამ მას ან მშობლების წერილობითი პირობა უნდა წარედგინა, რომ მათი შეილი შემდეგში მონაწილეობას აღარ მიიღებდა მსგავს ამბებში, ანდა სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო. ამ უკანასკნელი არჩევანის შესახებ ნ. ნიკოლაძე ამბობს: «სამშობლოში გადასახლება... ჩემთვის მაშინ უფრო საშინელი იყო, ვიდრე კატორღაში გაგზავნა...» («მოგონებანა სამოციან წლებზე»).

¹ ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, 1931, ტ. I, გვ. 97—98.

² იქვე, გვ. 99.

ნაღ პეტერბურგში მოსულა „კოლოკოლის“ ის ნომერიც, რომელშიც და პატრიარქულ სტუდენტთა სია და წერილი — „გოლიათი ილიძემბს“ იყო დაბეჭდილი. სტუდენტობის სიხარულს საზღვარი არ ჰქონია. ხუმრობა ხომ არ იყო მათი სახით ბუმბერაზი რუსეთი ილიძემბდა სტუდენტთა მღელვარება ახალი ხანის დასაწყისად იყო შეფასებული. ამასთან, იმავე ხანებში გამოსულა ახალც პროკლამაციები, «Великоросс»-ის სამი ნომერი.

„ყოველივე ამან, და ამით გამოწვეულმა მღელვარებამ და კამათმა, — იგონებს ნ. ნიკოლაძე, — მაძულა შეძებნა რაიმე საშუალება, რომ პეტერბურგში დავრჩენილიყავ და თავიდან ამეცილებინა სამშობლოში გამგზავრება. ან კი როგორ წავსულიყავ, როცა უჩემოდ შესაძლოა რევოლუტია მომხდარიყო. გადავწყვიტე რისკი გამეწია, ამოვწერილაყავი წიგნებიდან, როგორც სამშობლოშიც გაბრუნებული, და ნამდვილად კი გადავსულიყავი ქალაქის ისეთ რაიონში, სადაც პოლიტია არც ისე იწესებდა თავს... ამისათვის საკმარისი იყო გადავსულაყავი აყავ წერეთელთან, იმ დროს უკვე ცნობილ პოეტთან. გავიხადე ჩემი პიჯაკი, ჩავიცვი ჩოხა... იმ უბნებში, სადაც სტუდენტობა მრავლად იყო, სრულებითაც არ დადიოდი. სახლში გართული ვიყავი «Современник»-ის ძველი ნომრების შესწავლით, და ახალ ნომრებს ხომ გატაცებით ვეწაფებოდიო“.

სამაგიეროდ, კოსტიუმის ჩოხით შეცვლამ ნ. ნიკოლაძეს ბედნიერი შემთხვევა არგუნა. ამ ჩოხის წყალობით მან გაიცნო ნ. ჩერნიშევსკი და მათ შორის სამუდამო ნაცნობობას ჩაუყარა საფუძველი. „შობის დღესასწაულის წინ, — იგონებს ნ. ნიკოლაძე. — ჩემთან მოვიდა ორი ახალგაზრდა და მომხიბვლელი მანდილოსანი; ერთმა მათგანმა, უფროსმა, მითხრა, რომ ის არის ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი ს მუდღე და მთხოვა მეთხოვებინა მისთვის სამსაკარადოთ ჩემი ჩერქეზული კოსტიუმი. ამ ქალის შესახებ მე ბევრი რამ მსმენოდა ამხანაგებისაგან, რომელნიც გაუცნენ მას ჩვენი პატრიარქობის დროს და ხშირი სტუმრებიც იყვნენ მის ოჯახში.

თავისთავად იგულისხმება, რომ მე მაშინვე შეეასრულე მისი თხოვნა... როდესაც მიდიოდა, ბრძანების კალოთი დამავალა — ხელზე მივსულიყავი მასთან კოსტიუმისათვის და ჩაიხე „შე თქვენ გაგაცნობთ ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი ს“. მე არ მჭეროდა ჩემი ბედნიერება, სიხარულისაგან კინაღამ გონება დავკარგე.

როგორც იყო, წუთებისა და საათების თვლით, ველირსე შემდეგ საღამოს.. სტუმრები უკვე სასაღილო დარბაზში უსხდნენ ჩაის, დისახლისი ასხავდა ჩაის, მხოლოდ თვით ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი კი ოთახში არ იყო. ოღვა სოკრატოვნამ მითხრა, რომ ის მალე მოვა. მაგიდის გარშემო ის ს დ ნ ე თ ო რ მ ე ტ რ ა მ დ ე ს ტ უ შ ა რ ი, მათ შორის მხოლოდ ორი ქალი იყო... სტუმრების უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა ს შ ე ა დ გ ე ნ დ ე ნ ქ ა რ თ ვ ე ლ ი სტუდენტები უმაღლესი კურსებოდან.. ბაასის დედაზარი, რომელიც ჩემს მეხსიერებაში დარჩა, იმაში მდგომარეობდა, რომ ერთი სტუდენტთაგანი, ი ვ ა ნ ე ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, შემდეგში კახეთის გამოჩენილი მევენახე, აღფრთოვანებული იყო სენატში შ ი ხ ა ი ლ ო ვ ი ს უ შ ი შ ა რ ი საქციელის ამბით, რომელმაც აქ გამოაანჟიარავა მთელი თავისი შეხედულებანი და თავის დასაცავი სიტყვის ნაცვლად საბრალმდებლო სიტყვა წარმოსთქვა მთავრობის წინააღმდეგ. ჩერნიშევსკის მუდღემ შეაწყვეტინა მას მისი აღფრთოვანება შენიშვნით, რომ ნიკოლოზ გარბილის ძე (მისი ქმარი) ძალიან სწუხს მისათოვლის ასეთი საქციელის გამო. მისთვის სარულიადაც არ იყო საჭირო გამოტეხილიყო, არამედ ყოველივე ღონისძიება უნდა ეხმარა, რაც კი შესაძლებელი იყო, თავის ვადასარჩენად. ჩვენ არც იმდენად მრავალრიცხოვანი ვართ, რომ თვითვე გავყოთ თავი სახრჩობელას თოქშიო. ანდრონიკაშვილი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ საწინააღმდეგო არა უთქვამს რა, მით უმეტეს,

რომ დარბაზში შემოვიდა ჩერნიშევსკი, რომელმაც დაამოწმა მისი მეუღლის სიტყვები ორი-სამი ნაჩქარევით წარმოთქმული წინადადებით იმის შესახებ, რომ სისულელეა გულახდილობა ხელისუფალთა წინაშე, რომელთაც, სულერთია სიტყვებით ვერაფერს ჩააგონებ. ამ დროს მისმა მეუღლემ გააცნო ჩემი თავი ჩერნიშევსკის და დაუხმატა, რომ მე ერთერთი ციხეში ნამყოფთაგანი ვარ. მან მლიმპაუ სახით მომცა რამდენიმე კითხვა ჩემი შთაბეჭდილების შესახებ..

როდესაც ვეთხოვებოდით, ჩერნიშევსკის მეუღლემ მ-თხრა, ყველა დიასახლისისათვის ჩვეულებრივი ფრაზა: ხშირად შემოიარეთო. მე კი, მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა, არ შემძლო მორიდებული არ ვყოფილიყავი... მალე ქ-ნ ოლგას დას ისეე დასქარდა ჩოხა-ახალუხი და იმათ გამოიარეს ჩემთან ერთად... და წაიყვანეს თავისას. თანდათან შეეჩვიე იმათ და აღარ ემორცხებოდი. სხვა ქართველ სტუდენტთა მსგავსად, რომელიც ყოველ დღე იყენებდა მათ სახლში (ხაზი ჩემია — დ. გ.), მეც მოვიწინაურდი¹.

ნ. ნიკოლაძე ამის შემდეგ მართლაც ხშირი სტუმარი იყო ნ. ჩერნიშევსკის ოჯახისა პეტერბურგში (ზაფხულობით — პავლოვსკში). იგი სისტემატურად ხვდებოდა ნ. ჩერნიშევსკის და მასთან დაახლოებულ სხვა გამოჩენილ მოღვაწეებს.

უნივერსიტეტის დახურვის შემდეგ, ნ. ნიკოლაძე თავის ცოდნასა და გამოცდილებას ამდიდრებდა ჩერნიშევსკის ოჯახში და ნ. ა. სერნო-სოლოვიევიჩის წიგნის მალაზიასა და სამკითხველოში, სადაც იკრიბებოდნენ იმ დროის გამოჩენილი პირები და საუბარი ქონდათ ახალი პოლიტიკური და ლიტერატურული მოვლენების შესახებ.

1862 წლის ზაფხულში, პავლოვსკში მყოფი ნ. ნიკოლაძე საცხოვრებლად გადადის ნ. ჩერნიშევსკის ოჯახში და ოლგა სოკრატის ასულის ძმასთან ერთად ცხოვრობს, ამით მას საშუალება მიეცა კიდევ მეტად დაახლოებოდა ნ. ჩერნიშევსკის და ჩაწვდომოდა მის ღრმა აზრებს. ამ მიმართულებით მას დიდად ეხმარებოდა ოლგა სოკრატის ასულიც, რომელიც მას აცნობდა თავისი ქმრის შეხედულებებს მისთვის საინტერესო საკითხებზე. „[მე] ვუზიარებდი ოლგა სოკრატის ასულს ჩემს ნაფიქრს საღლეისო ლიტერატურულ და პოლიტიკურ საჭირობოტო საკითხების შესახებ, ის კი გადმომცემდა მისი ქმრის აზრებს ამავე საკითხებზე“, — იგონებს ნ. ნიკოლაძე („მოგონებანი სამოციან წლებზე“).

თვითონ ნ. ჩერნიშევსკი, როგორც ჩანს, ფრთხილად უშუალოდ და პირდაპირ ექადაგა თავისი შეხედულებები მის მრავალრიცხოვან პატივისმცემელთა შორის: „მის საუბარს, — წერს ნ. ნიკოლაძე, — მეტ წილად ირონიული ხასიათი ქონდა. იგი ყოველთვის ხუმრობით ან ალეგორიებით ლაპარაკობდა, ან ისეთ პასუხს იძლეოდა, რომ მათი გაგება ასეც შეუძლებოდა და ისეც. და ზოგჯერ სრულებითაც ვერას მიხვდებოდიო...“ თუმცა, ჩანს, ზოგჯერ მასაც უძნელდებოდა თავი შეეკავებია პირდაპირი მსჯელობისაგან, რის გამო საჭირო ხდებოდა ოლგა სოკრატის ასულის მოხერხებული ჩარევა საუბარში.

ნ. ჩერნიშევსკი — უაღრესად ნიჭიერი და კონსპირატორი პოლიტიკური მოღვაწე, სავანგებო ყურადღებით ეკიდებოდა რუსეთის იმპერიაში შემავალ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენელ სტუდენტობას, განსაკუთრებით პოლონელ და ქავკასიელ სტუდენტებს. ეს გარემოება კი შემთხვევითი ხასიათისა არ იყო. შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი კარგად ითვალისწინებდა, რომ მათი სახით სამშობლოს უბრუნდებოდნენ ახალგაზრდა, მომზადებული ინტელიგენტები, რომელთაც დიდი როლის შესრულება შეეძლოთ რევოლუციური იდეების ქადაგების

¹ ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, 1931, ტ. I, გვ. 121—122.

საქმეში. ამასთან, ჩერნოშევსკი სწორად ვარაუდობდა იმასაც, რომ პოლონელი და კავკასიელი სტუდენტები, რომლებიც ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლებით იყვნენ გატაცებულნი, მისი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების ერთ-გულნი იყვნენ.

ნ. გ. ჩერნიშევსკის დაპატიმრებამ 1862 წლის ზაფხულში და ოლგა სოკრატს ასულის სარატოვში გამგზავრებამ, ბუნებრივია, თავზარი დასცა მათ პატივისმცემლებს და მათ შორის ქართველ სტუდენტებსაც. მეტად მძიმედ განუცდია ეს ამბავი, კერძოდ, ნ. ნიკოლაძეს, რომელსაც შესაძლებლობა და ოცნაჲ ჰქონდა უკვე ნიუ-იორკში გამოსულიყო პეტერბურგის პრესის ფურცლებზე, მაგრამ მაინც სამშობლოში გამოემგზავრა. გამომგზავრებამდე რამდენიმე კვირით ადრე კი მან „ისკარში“ გამოაქვეყნა (1862 წ. №№ 11, 12, 28, 29) თავის მოთხრობა — „პეტერბურგის მხარეზე“, რომელიც სტუდენტთა ცხოვრებას ეხება.

საქართველოში ნ. ნიკოლაძე იმ დროს დაბრუნდა, როცა „ცისკარის“ ფურცლებზე მკაცრა იდეურ-ლიტერატურული ბრძოლა წარმოებდა ძველ და ახალ თაობათა წარმომადგენლებს შორის. ნ. ნიკოლაძე ამ ბრძოლის კურსში, ცხადია, პეტერბურგშივე იყო. ამჟერად მას გადაუწყვეტია უშუალო მონაწილეობა მიეღო პოლემიკაში და „ცისკარში“ გამოსაქვეყნებლად წარუდგენია სტატია პასუხად თომას მაკჯარიანის წერილისა — „პასუხი მეორე თერგალაულელის პასუხისა“ („ცისკარი“, 1862 წ., № 8).

როგორც ჩანს, სტატიაში მეტად გაბედული აზრები იყო გამოთქმული, რის გამო იგი ცენზორს არ გაუშვია. ამასთან დაკავშირებით, „ცისკარის“ რედაქტორს ი. კერესელიძეს ნ. ნიკოლაძისათვის მიუწერია:

ნიკოლოზ იაკობისა ძე!

დიდადა მსურდა და მსურს დაბეჭდვა „ცისკარში“ თქვენის შენიშვნისა, შესახებ მაკჯარიანისა, მაგრამ ცენზორმა ზოგიერთი ადგილები არ გაუშვა. ამითივე უნდა დარწმუნდეთ, რომ თუ არა მსურებოდა დაბეჭდვა, არც ცენზურაში წარვადგენდი. რა ექნა, კარგათ იცი თავისუფალნი არა ვართ და როგორც უნდათ ისე გვათამაშებენ. თუ თანახმა შეიქმნები, როგორც კომიტეტს უნებებია ისე დაბეჭდვისა, უკანვე გამომიგზავნეთ, და მაშინვე დავაბეჭდვინებ.

თქვენი პატივისმცემელი ივ. კერესელიძე.

ნ. ნიკოლაძის ეს სტატია აღარ დაბეჭდილა, რაც იმას მოწმობს, რომ ავტორი არ შერიგებია ცენზორის მაკრატელს.

ნ. ნიკოლაძე უკმაყოფილო იყო. თვით ი. კერესელიძისაც. კ. ლორთქიფანიძისადმი გაგზავნილ წერილებში იგი მკაცრად იხსენიებს მას და ატყობინებს ადრესატს, რომ ეფთვიმე წერეთლის სტატია, რომელშიც ი. ჰავკავაძე მეტად შეუფერებლად იყო წარმოდგენილი, სინამდვილეში თვით რედაქტორის — ი. კერესელიძის კალმის ნაყოფი იყო. ატყობინებდა იმასაც, რომ მოლაყბის ფსევდონიმით უკანასკნელად ი. კერესელიძე წერდა. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „საქართველოს მოამბემ“ დანიშნა, ამბობენ, 15 მანეთი ფურცლებზეო. ძალიან ცოტა ხელისმომწერნი იშოვა ჭერ და აწი კი არ ვიცი რა იქნება. მოეხმარეთ. ჩემთან მოწერილ წიგნს კერესელიძიდან გიგზავნი. მოლაყბის ფურცლებზე მინდოდა დამეწერა რამე, მაგრამ შენ მანდ არ ხარ?... ვახსოვდენს რომ მოლაყბე თვითონ კერესელიძე არისო“.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ერთ წელსაც კი არ გაუელია, რომ ნ. ნიკოლაძე კვლავ პეტერბურგში გაემგზავრა. იქ იგი დაუკავშირდა გაზეთ „Народное богатство“-ს და მისი ახლო თანამშრომელი გახდა. ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ ავტობიოგრაფიულ წერილში ის წერს: «Мало по малу, будучи попеременно и сотрудником, и корректором, и наборщиком, и экспедитором газеты, я, сам не знаю как, очутился ее фактическим редактором, вероятно за недосугом и безденежьем ее издателя. Под конец я был и передовиком, и критиком, и фельетонистом газеты, приводившим издателя в восторг. конечно, не столько содержанием своих статей, сколько их дешевой и бесплатностью. В этой газете впервые появился мой псевдоним «Скандали»: но большая часть моих статей тут как и прежде впоследствии не носила моей никакой подписи. Выдались тогда мои статьи по поводу рескрипта 19 февраля 1864 года (о наделении польских крестьян землею), о земской реформе, о книге Прудона «Война и мир», о сочинении Эибеля — «История французской революции» и т. п. Но гораздо раньше большая публика — на эти статьи обратила внимание цензура».

1864 წლის ეურნალ „სოცრემენიკის“ მეორე ნომერში ნ. ნიკოლაძე გამოაქვეყნა პუბლიცისტური სტილით დაწერილი მოთხრობა — „პროვინციული სურათები“. ამის შემდეგ ნ. ნიკოლაძე სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება საზღვარგარეთ, სადაც მჭიდრო ურთიერთობას ამყარებს რუს რევოლუციონერ ემიგრანტებთან. მას ჩვენ ვხედავთ პარიზში, ლონდონში, ჟენევასა და ციურიხში. ამასთან, ყველგან და ყოველთვის მოწინავე წრეებში ტრიალებს, მთელი გატაცებით ცდილობს რაიმე სარგებლობა მოუტანოს საერთო საქმეს და გაავრცელოს საუკარელი მასწავლებლის — ნ. გ. ჩერნიშევსკის მიერ შთაგონებული იდეები.

ნ. ნიკოლაძე პარიზში ბევრს მუშაობდა ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის მთავარი საკითხების შესწავლაზე. ამასთან, კავშირს არ წყვეტდა პეტერბურგში მოსწავლე ქართველ სტუდენტებთან და თანამშრომლობდა გაზეთ — «С.-Петербургскія Вѣдомости»-ში.

ნიჭიერი ახალგაზრდა პირველად ისე ძალიან გაუტაცნია უტოპისტ-სოციალისტთა ნაშრომებს, რომ თავისი რუსი მასწავლებლებიც კი დაუეცივნია დროებით და მთელ დროს მათ შესწავლას ანდომებდა. საგანგებოდ შეუღვევინა აგრეთვე «Заметки по политической экономии», რომელშიც შეტანილი ჰქონებოდა ცნობილ უტოპისტთა დახასიათებები¹.

„გასაკვირველი საქმეა, — წერს ნ. ნიკოლაძე კ. ლორთქიფანიძეს პარიზიდან 1864 წლის 19 ოქტომბერს, — რომ მე ჩერ არ გამომიცდია (სრულიად ჩემს სიცოცხლეში) შიმშილის უბედურება. სამსონთან (აბაშიძე — დ. გ.) და აკაკისთან (წერეთელი — დ. გ.) რომ ვიდექი 62-ის დასაწყისში, ზახარეევსკიაში, მაშინ ორ დღეს არაფერი მიჭამია, და ღმერთმანი ისე არაფერი მიგრძენია როგორც გამძღარს... მაგრამ, არ დაგავიწყდეს, მაშინ ჩერნიშევსკის და დობროლოუბოვის წიგნები მქონდა და იმათ კითხვაში მავიწყდებოდა შიმშილი. და ესლა ჩერნიშევსკი და დობროლოუბოვი რა არიო ფურცელ და სენ-სიმონი მქონდა!“...

¹ იხ. ნ. ნიკოლაძის კ. ლორთქიფანიძისადმი გაგზავნილი წერილები 1864 წლის 16 და 19 ოქტომბრის თარიღით.

მაგრამ ნ. ნიკოლაძე გზადაგზა თვითონვე რწმუნდებოდა, რომ უტოპისტ-სოციალისტთა მოძღვრება ვერ აკმაყოფილებდა მის მაძიებელ სულს, მის თეორიულსა და პრაქტიკულ ინტერესებს. ამიტომ ის ფრთხილობს და ამჯობინებს რუსულ ენაზე გამოსაქვეყნებლად თარგმნოს მათი ნაწერები, ვინემ თვითონ იყის-როს საკუთარი აზრის გამოთქმა ამ შრომების შესახებ. „იცი რატომ მინდა ლუი ბლანის გადათარგმნა?, — წერს იგი კ. ლორთქიფანიძეს, — ამიტომ რომ მეშანია სტატიის დაწერა: ყოველ დღეს აქ ახალ-ახალი გზით მუშაობს ჩემი აზრი და ძალიან ხშირათ ის, რაც გუშინ დამტკიცებული და დაურღვეველი მეგონა, დღეს ირღვევა ერთი სულის შებერვით. მართალი ვითხრა ეხლა მე არც ერთი მწერალი არ მომწონს. ფურთე ხომ თითქმის სრულიად ჩამოვარდა ჩემს აზრში, ავრფთვე როგორც სენ-სიმონი, და თითქმის ლუი ბლანიც. ჩერნიშევსკის თეორია ТРЮХИМ...“

მე უფრო დიდი რამე მეგონა ფრანკუზული სოციალიზმი... და დიდი რამე კი არის, მაგრამ ჭერ კიდევ ძალიან ბევრი რამეა დარჩენილი შესამუშავებლათ... მე საშინლათ მინდა, რომ ჭერ ვისწავლო და მერე ეწერო და იმიტომ ვიფიქრე ლუი ბლანის გადათარგმნა... ეხლა მე ვმუშაობ ეკონომიზზე ათ საათს დღეში“...

ბევრისმეტყველია ეს სიტყვები!

ნ. ნიკოლაძისათვის ეს პერიოდი მსოფლმხედველობრივი დუღილის, ძიებისა და ჩამოყალიბების ხანაა, როცა რწმენა და უნდობლობა, იმედი და თვითგაწილება ერთმანეთს უთმობენ ადგილს. ეს სიტყვები სხვა მხრივაც საყურადღებოა: ისინი მოწმობენ, რომ ნ. ნიკოლაძე, ჭერ კიდევ ამ დროს, შორსაა ბრმა გავლენისაგან, ავტორიტეტებისადმი მონური მორჩილებისაგან. იმას თავიდანვე დამოუკიდებელი მოაზროვნის გზა აურჩევია და ამ პრინციპისათვის არც შემდეგ უღალატნია.

დაძაბული მეცადინეობის პარალელურად ნ. ნიკოლაძე ახერხებს აქტიურად ითანამშრომლოს პეტერბურგის პრესაშიც. მართალია ჭერჭერობით გადაწყვეტით ვერაფერს ვიტყვით ამ დროს დაწერილ სტატიებზე, მათ შესახებ მხოლოდ პირადი მიმოწერებიდან ვტყობილობთ და არც ის ვიცით, თუ რომელი მათგანი გამოქვეყნდა და რომელი არა, მაგრამ უდავოა, რომ მათი საბოლოოდ დაზუსტება დიდად შეუწყობდა ხელს ავტორის მსოფლმხედველობრივი ევოლუციის სწორად გათვალისწინებას.

კ. ლორთქიფანიძისადმი 1864 წლის 16 ოქტომბერს გამოგზავნილ ნ. ნიკოლაძის წერილში ვკითხულობთ: „...მე ვწერ რაღაც უხეირო კორესპონდენციებს. საში პირველი წიგნი გაუგზავნე უფალ Коршу-ს („სან-პეტერბურგსკიე ვედომოსტის“ რედაქტორს — დ. გ.) ერთბაშად 22 სექტემბერს... თხოვნით რომ თუ მათი დაბეჭდვა არ შეიძლებათო, პასუხი მომწერეთო... მე ჭერ არაფერი პასუხი არ მომსვლია, ეს ნიშნავს რომ სტატიის დაბეჭდვა შეიძლება...“

...ერთ წიგნს ეხლავე გიგზავნი და შენ წაიკითხე (შგონი არა უშავს რა) და მერმე კორმს გადაეცი თუ ვითხრას, რომ მივიღე დასაბეჭდათ პირველი წიგნებიო“.

როგორც ჩანს ამ წერილის მიღებამდე, კ. ლორთქიფანიძეს ნ. ნიკოლაძისათვის შეუტყობინებია, რომ მისი სტატია უკვე გამოუქვეყნებიათ. ამიტომაც, რომ სამი დღის შემდეგ (19 ოქტომბერს) ნ. ნიკოლაძე კვლავ ბარათს უგზავნის კ. ლორთქიფანიძეს და სთხოვს: „შემომითვალე, ან შენ წიგნში ამოხაე და გამომიგზავნე ჩემი სტატია, მინდა შევიტყო რა ნაირათ არი დაბეჭდილი, რა გამოუშვიათ, რა კვუა მოსვლიათ ჭერ აღკრძალვა და მერმე გაშვება“.

რომელი სტატიაა ეს, რომელიც ჯერ აუკრძალეთ და შემდეგ გაუშვათ, ამას შემდგომი კვლევა-ძიება გვიჩვენებს, მაგრამ ცხადია, რომ 1864 წლის ოქტომბერში ნ. ნიკოლაძის ერთ-ერთი სტატია უკვე გამოქვეყნებულია.

1865 წლის 14 იანვარს ნ. ნიკოლაძე კ. ლორთქიფანიძეს კვლავ თხოვნით მიმართავს: „მე იმედი მაქვს, რომ... მომწერ სხვათაშორის „Катковская революция-ს აშბავს (იგულისხმება სტატია—*Катковская революция во Франции*“, რომლის ბედიც ვასარკვევია— დ. გ.) და იმასაც დაამატებ თან იყავი „სპბ უწყებანის“ რედაქციაში თუ არა? თუ ჯერ არ ყოფილხარ... და აწი ამირებ წასვლას, დაინიშნე რომ გუშინ მეორე სტატია გაუგზავნე, რომელსაც სახელად ჰქვია „П. Ж. Прудон“. ეს უკანასკნელი სტატია მართლაც გამოქვეყნდა „ს.-პეტერბურგსკიე ვედომოსტში“ (1865 წ. 21 იანვარს), რომლის სრული ტექსტი, ქართულად, პირველად წინამდებარე ტომში ქვეყნდება.

უახლოესი შეგობრის — კ. ლორთქიფანიძისადმი მიწერილი ნ. ნიკოლაძის ეს წერილები საყურადღებოა იმითაც, რომ გვაგარძნობინებენ უცხოეთში მყოფი ახალგაზრდის ზრუნეას ქართულ მწერლობასა და მის მომავალზე. კერძოდ, მეტად მომხიბლავია ის ყურადღება და ინტერესი, რომელსაც ის იჩენს იმ კეთილშობილური იდეისადმი, რომლის მიზანი იყო ქართველ მწერალთა პოეტური ნიმუშების ცალკე კრებულად გამოცემა, რაც კ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით უნდა განხორციელებულიყო.

ნ. ნიკოლაძე კ. ლორთქიფანიძეს ურჩევს ამ კრებულის გამოსაცემად როგორმე ისესხოს ფული მის სახელზე და შესაფერ თამასუქსაც პირდება. თავაზობს თავისი სტატიების გონორარის ნახევარსაც. ხოლო შემდეგ დიდ სიხარულს გამოთქვამს იმის გამო, რომ შეუტყვია კარგად მიდიოდა კრებულის გამოცემის საქმე: „მე ძალიან მეამა რომ კვაკვაძის ლექსები გაუშვია ჩუბინოვსო“ (იგულისხმება პროფ. დ. ჩუბინაშვილი — დ. გ.), დასძენს პატრიოტიკაბუკი თავის წერილში.

პარიზში მყოფ. ნ. ნიკოლაძეს ახლო ურთიერთობა დაუმყარებია გერცენთან და ოგარიოვთან. 1864 წელს იგი მოუნახულებია თვით გერცენს, რომელიც, როგორც ჩანს, უკვე იცნობდა მას გამოქვეყნებული სტატიებითა და სხვების მონათხრობით. ადრევე შექმნილ კარგ შთაბეჭდილებას შეეძლო მხოლოდ აეძულებია გერცენი საგანგებოდ ემებნა ნ. ნიკოლაძე პარიზში და „ეკოლოკოლში“ თანამშრომლობა შეეთავაზებინა. მათ შორის პირველად მართლაც კარგი ურთიერთგაგება დამყარდა. ნ. ნიკოლაძე გადმოგვცემს: «За ту зиму и весной 1865 года Герцен навещал меня во время каждого своего проезда через Париж».

ნ. ნიკოლაძესთან მოლაპარაკება უწარმოებია ოგარიოვსაც, რომელსაც დაწერილობით განუხილავს მასთან, თუ რა საკითხებზე აინტერესებდათ „ეკოლოკოლის“ რედაქტორებს მიეღოთ მისგან მასალა. ამ მოლაპარაკების შემდეგ „ეკოლოკოლის“ ფურცლებზე (1865 წლის 15 ივნისისა და 1 ივლისის ნომრებში) გამოქვეყნდა ნ. ნიკოლაძის სტატია — „გლახთა განთავისუფლება საქართველოში“ («Освобождение крестьян в Грузии»), ფსევდონიმით—*Рио-Нелин*. სტატიის პირველი ნაწილის გამოქვეყნების დღესვე გერცენმა ოგარიოვს წერილით აცნობა: «Грузинская статья очень хороша».

საერთო მნიშვნელობის ბევრ საინტერესო საკითხთან ერთად, ნ. ნიკოლაძე: თავის სტატიამი ეხება ქართველი ხალხის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების უაღრესად აქტუალურ მოვლენებს¹.

ნ. ნიკოლაძის სტატია „გლებთა განთავისუფლება საქართველოში“ გამოხატავდა არა მარტო ავტორის, არამედ პროგრესულად მოაზროვნე ყველა მოღვაწის შეხედულებებს. ამ სტატიის მთავარი ღირსება ისაა, რომ მასში ავტორის შეხედულებები გამოთქმულია აშკარად და პირდაპირ. დაკვირვებული მკითხველი სრულიად ბუნებრივად მიიჩნევს, რომ გერცენმა მისი წაკითხვისთანავე გაუზიარა თავისი შთაბეჭდილება ოგარიოვს: „Грузинская статья очень хороша“. არც ისაა გასაკვირი, რომ რეაქციონერმა ჟურნალისტმა მ. კატკოვმა იგი თავისი „შოვინისტური მიზნებისათვის გამოიყენა“, ხოლო უშუალოდ განაწყენებულმა დიმ. ყიფიანმაც მკაცრად ითაკილა².

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „კოლოკოლს“ საქართველოშიც ლეგულობდნენ და მასში მოთავსებული წერილები არ ჩეხოდნენ „ხმაღ დაღადებისად უღაბნოსა შინა“. ნ. ნიკოლაძის სტატიას არა ნაკლები რეზონანსი ჰქონდა საქართველოში, ვინემ ქართულ ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიებს. ამას მოწმობს თუნდ დ. ყიფიანის გაცხარება. მაგრამ დ. ყიფიანი, ცხადია, მარტო არ იყო. იგი მაღალი წოდების ინტერესების გამომხატველია, თანაც ლიბერალურ პოზიციებზე მდგომი. სხვებმა კიდევ უფრო უკმაყოფილონი იყვნენ ნ. ნიკოლაძის სტატიით. სამაგიეროდ, თავისი გაბედული მსჯელობით ნ. ნიკოლაძე ეხმარებოდა ქართველ თანამოაზრეებს, რომლებსაც უშუალო ბრძოლის წარმოება უხდებოდათ ბატონყმური სისტემის დამცველ ბოზობლებთან.

ნ. ნიკოლაძე ფიზიკურად აღევნებდა თვალს იმ იდეურ-ლიტერატურულ ბრძოლასაც, რომელიც მაშინ ჩვენში მიმდინარეობდა „თერგდალეულებსა“ და კონსერვატორულ-ლიბერალურ ბანაკს შორის. მას გადაუწყვეტია თავისი ავტორიტეტული სიტყვა ეთქვა ამ მიმართულებითაც; 1865 წლის ივნისში, ნ. ნიკოლაძეს ჟურნალ „სოვრემენნიკში“ დასაბეჭდად გაუგზავნია სტატია ქართული ლიტერატურის შესახებ. თუ რატომ მიაშურა მან „სოვრემენნიკს“ ვასაგებია: „ცისკარს“ გარდა საქართველოში სხვა პერიოდული ორგანო არ გამოდიოდა, ხოლო რუსეთში — მისთვის ყველაზე მახლობელი იყო „სოვრემენნიკი“, სადაც მან, 1864 წელს, მოათავსა თავისი ნაწარმოები — „პროვინციული სურათები“ (ქალთა აღზრდის საკითხზე).

სტატიას ქართული ლიტერატურის შესახებ ჩვენამდე არ მოუღწევია, მის შესახებ ჩვენ ვიკვებთ მხოლოდ კ. ლორთქიფანიძის ნ. ნეკრასოვისადმი მიწერილი წერილიდან, რომელშიც ვკითხულობთ: «Г. Николай Николадзе, проживающий в Париже.. поручил мне передать редакции журнала «Современник» прилагаемую статью о грузинской литературе, с просьбой написать ему об ее судьбе прямо в Париж...»

При этом я должен сообщить редакции, что автор желает напечатать статью без подписи, если только это будет возможно».

აღნიშნული სტატია არ გამოქვეყნებულა. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ცენზურამ არ გაუშვა. მაგრამ ჩვენთვის მაინც საყურადღებოა ის გარემოება, რომ

¹ ამის შესახებ დაწერილებით გვაქვს ლაპარაკი წიგნში — „ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან“, ტ. II.

² «Московские ведомости», 1865, № 194 (მოწინავე სტატია).

³ «Кавказ», 1865, № 83.

ნ. ნიკოლაძე ქართულ სინამდვილეს და ქართულ ლიტერატურას არასოდეს არ მოსწყევტია. როგორც უკვე გამოიჩინა¹, აღნიშნული სტატია წარმოადგენდა რეცენზიას კ. ლორთქიფანიძის მიერ პეტერბურგში გამოცემულ ქართველ პოეტთა ლექსების კრებულზე („ჩინგურა“).

სტატიას—„გლებთა განთავისუფლება საქართველოში“ მოჰყვა მეორე სტატია: «Наши будущие адвокаты перед Московскими ведомостями», რომელიც დაიბეჭდა „კოლოკოლში“ 1865 წლის 1 აგვისტოს. აღნიშნულ სტატიაში ნ. ნიკოლაძე თავს დაესხა მ. კატკოვის გაზეთს („Московские ведомости“), რომელმაც თავის ფურცლებზე გაილაშქრა ამ ვეჭილების წინააღმდეგ, რომლებიც სასამართლო პროცესის დროს არ ერიდებოდნენ პოლიტიკური ხასიათის მსჯელობას.

„კოლოკოლის“ 1865 წლის 15 სექტემბრის ნომერში ნ. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა სტატია—„Июньские дни в Тифлисе“. სტატიის ავტორი „კოლოკოლის“ მკითხველს აცნობდა ამქართა აჯანყებისა და მისი სისხლში ჩახშობის ისტორიას. ამასთან, აკეთებდა ჩეროვან დასკვნებს მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკისა და ადგილობრივი მმართველების არაადამიანური მოქმედების შესახებ.

ნ. ნიკოლაძე, კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, ამტკიცებდა მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის და მის ლაქიათა გაიძევრობასა და თავხედობას. ის არ ინდობს არც გრ. ორბელიანს, რომელმაც თავისი თანამდებობრივი მოვალეობის აღსრულებით ძალაუვნებურად მხარი დაუშვევნა იენისის ტრაგედიის ავტორებს.

1865 წლის იენისის ამბები სრულიად სხვაგვარი კომენტარით წარუდგინა მკითხველს რეაქციონერმა კატკოვმა—„Московские ведомости“-ს ფურცლებზე. კატკოვი ამ აჯანყების ინიციატორებს „ეძება“ კავკასიაში მოღვაწე პოლონელებსა და მათთან ახლოურთიერთობაში მყოფ ქართველ ახალგაზრდობაში, რომელსაც, მისი თქმით, მიზნად ჰქონდა ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევა.

„კოლოკოლი“, რომელსაც უკვე თავი გამოჩენილი ჰქონდა პოლონელ პატრიოტთა დაცვით, ცხადია, უარყოფითად შეხედა „Московские ведомости“-ს „თეორეტიკოსებს“ და თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა იენისის ამბების პირთუნელი აღწერა-შეფასების შემცველი წერილები. მათ შორის უფრო საყურადღებოა: „Из Тифлиса“ (1865 წ., № 204) და „Из Грузии“ (1865 წ., № 208), რომლებიც ნ. ნიკოლაძე უნდა ეყუთნოდნენ. მათში ლაპარაკია დაბალი ხალხის უშვერ ცხოვრების შესახებ თბილისში, მეფის მოხელეთა პარპაშზე, სასამართლოთა უწყესობაზე და გამოამტკიცებულა სიყალბე იმ სურათისა, რომელსაც ხატავდა მეფის მთავრობა და რეაქციონერი ურნალისტი კატკოვი ამ ამბებთან დაკავშირებით. კატკოვის წერილის წინააღმდეგ მიმართული ქართველ მოღვაწეთა სტატიები დაიბეჭდნენ რუსეთის გაზეთებშიც («С.-Петербургския ведомости», «Голос»).

როგორც ვნახეთ, ნ. ნიკოლაძის თანამშრომლობას „კოლოკოლში“ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის, სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობის აქტუალური საკითხების დასმისა და გარკვევისათვის. მაგრამ მისი კეთილგანწყობილი ურთიერთობა „კოლოკოლის“ რედაქტორებთან დიდხანს არ გაგრძელებულა. 1865 წლის სექტემბრიდან ნ. ნიკოლაძემ შეწყვიტა „კოლოკოლში“ თანამშრომლობა.

ხანმოკლე ნაცნობობის მიუხედავად, ნ. ნიკოლაძეს მეტად ახლობელ თანამ-

¹ იხ. მ. საჭაია, ნ. ნიკოლაძის უცნობი სტატიები, „ლიტერატურული გაზეთი“, 1961 წ., № 8.

შრომად თვლიდნენ „კოლოკოლის“ გამოშვებულნი. ამას მოწმობს თუნდაც 1865 წლის 12 აგვისტოს გერცენის მიერ ოგარიოვისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: «Огарев, помни, что к следующему № у меня ничего нет. Я вывез все женевские [номера], теперь заставь себя и Ник [оладзэ]: Долю вещей о процессе [Н. А.] Сер. [но] — Сол [овьевича] можно печатать, и «Смесь» я составляю, но существенной нет».

საყურადღებოა, რომ მეტად კეთილგანწყობილი პირადი ურთიერთობის დროს ნ. ნიკოლაძეს და ა. გერცენს შორის თავი იჩინა სერიოზულმა აზრთა სხვადასხვაობამ. ამას მოწმობს გერცენის არქივში აღმოჩენილი ნ. ნიკოლაძის წერილები. როგორც ამ წერილებიდან ჩანს, უთანხმოების საბაბი გამხდარა ა. გერცენის სტატიი — «Письмо к императору Александру II», რომელიც „კოლოკოლში“ გამოქვეყნდა 1865 წლის 25 მაისს.

ნ. ნიკოლაძე გერცენსა და ოგარიოვს აკრიტიკებს იმ მერყეობისათვის, რომელიც, როგორც ცნობილია, მათ მოღვაწეობაში არცთუ შეუნიშნავი ყოფილა. მართალია, გერცენისა და ოგარიოვის მერყეობას ლიბერალიზმსა და დემოკრატიზმს შორის ნ. ნიკოლაძე მკაცრად წარმოადგენს, უფრო სწორად, ძირითადად ამ მერყეობაზე ჩერდება, მაგრამ ეს არცთუ გასაკვირია. დღეს ჩვენ ისტორიული თვალსაზრისით ვაფასებთ გერცენისა და ოგარიოვის დამსახურებას და შორსა ვართ იმისაგან, რომ წინ წამოვწიოთ ლიბერალიზმი მათ მოღვაწეობაში, მაგრამ ნ. ნიკოლაძე მათი თანამედროვე იყო და შეუძლებელია უადგილოდ და გადაჭარბებულად მივიჩნიოთ მისი კრიტიკული შეხედულებები, რომლებიც მან მათდამი გაგზავნილ წერილებში გამოთქვა. ამ წერილებიდან აშკარად იგრძნობა, რომ ნ. ნიკოლაძეს კარგად ესმოდა ძალაც და ღირსებაც გამოჩენილი რევოლუციონერ-დემოკრატებისა, მაგრამ, უფრო მეტად კიდევ აძირომ, ვერ ითმენს მათ არასწორ ნაბიჯს და უჩრჩევს მათ სიტყვიერებას და საქმით დაეხმარონ რევოლუციონერ ახალგაზრდობას, რომელიც საჭიროებს გამოცდილ ხელმძღვანელებს. რევოლუციონერი ახალგაზრდობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოითხოვდა გერცენი გამხდარიყო ჩერნიშევსკად, მაგრამ ეს თითქმის შეუძლებელი იყო.

ამ შეხედულების შუქზე გასაგები ხდება ჩერნიშევსკის ერთგული მოწაფის — ნ. ნიკოლაძის გულისტკივილიც „კოლოკოლისა“ და მისი რედაქტორების ლიბერალიზმსა და დემოკრატიზმს შორის მერყეობის გამო. ნიკოლაძის წერილებში აშკარად შეიძინევა გერცენისადმი ჩერნიშევსკის დამოკიდებულების ანარეკლი. ამ ბრალდებაში იგი მოჩანს, როგორც „ახალგაზრდა ემიგრაციის“ ბელთ დანიტერესებული და მისი მხარდამჭერი (თუმცა მის სუსტ მხარეებსაც არ ჩქმალავს), ამასთან გაბედული მეტროლი ყველა მათ წინააღმდეგ, რომელთა მოღვაწეობაში ხედავს ვადახრას ჩერნიშევსკის თვალსაზრისიდან. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ მას არცთუ სწორად ესმოდა თავისი მასწავლებლის პოლიტიკური მოძღვრება.

გერცენთან და ოგარიოვთან უთანხმოების ჩამოვარდნის შემდეგ, 1868 წლიდან, ნ. ნიკოლაძე, ლ. ი. მეჩნიკოვთან ერთად, იწყებს ეურნალ „სოვრემენოსის“ გამოცემას. აღნიშნულ ეურნალში ნ. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა ცნობილი წერილები: «Русская эмиграция», «Два поколения», «Жизнь Европы», «Народное дело», «Роль революционеров».

გარდა ამისა, მ. კ. ელპიდინთან ერთად, ენევაში მან საფუძველი ჩაუყარა ნ. გ. ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემას.

1866 წელს გამოცემული წიგნი — „მთავრობა და ახალი თაობა“ წარმოადგენს ნ. ნიკოლაძის პოლიტიკურ შეხედულებათა დაჯამებას იმ პერიოდში.

აღნიშნული შრომა მეკლევართა მიერ სხვადასხვაგვარადაა შეფასებული. რაც მთავარია, მათი ყურადღება მიქცეულია უმთავრესად წიგნის შედარებით სუსტ მხარეებზე.

ნ. ნიკოლაძე, როგორც ავტორი, ღრმადაა დარწმუნებული, რომ ახალგაზრდა თაობის წინაშე მდგომ ამოცანებს და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ახალ მოვლენებს აშუქებს და აფასებს ნ. გ. ჩერნიშევსკის თვალთახედვით. როგორც წიგნის სათაურიდან ჩანს, ნ. ნიკოლაძეს მიზნად აქვს პოლიტიკური შეფასება მისცეს, ერთი მხრივ — მთავრობის, მეორე მხრივ — „ახალგაზრდა ემიგრაციის“ საქმიანობას.

ცხოვრების სინამდვილემ, მისი შეხედულებით, გამოააშკარავე ლიბერალიზმისა და ფსევდო-დემოკრატიული პოლიტიკის ნამდვილი არსი; მთავრობამ უკვე საბურველი ჩამოიცილა და აშკარად დაადგა ძველი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების დაცვის გზას. ამიტომ, „ის, რასაც ცხრა წლის წინათ შორსმჭვრეტელი პუბლიცისტები ამჩნევდნენ, ახლა თვალში ეცემა ყველას“. ცხადია, „შორსმჭვრეტელ პუბლიცისტთა“ შორის იგი, პირველყოვლისა, გულისხმობს ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვს, რომელთაც არა ერთხელ იმოწმებს თავის წიგნში.

ნ. ნიკოლაძის თქმით, მთავრობამ ღიდი ხნით ადრე დაიწყო ბრძოლა იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც მოითხოვენ „საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნამდვილი რეფორმის მოხდენას“. ახლა კი, „პუბლიცისტ-კონსერვატორების“ დახმარებით ცდილობს იმას, რომ „ადიგავოს პირისაგან მიწისა თაობა, რომელსაც საშუალება ჰქონდა წაეეთხა დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის ნაწერები“.

ნ. ნიკოლაძე ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას: რა გზას უნდა დაადგეს ასეთ ვითარებაში ახალგაზრდობა? ამ მიზნით იგი მიმართავს ისტორიულ გაკვეთილებს და ანალიზს უკეთებს მათ. ყირიმის ომის შემდეგ, ამბობს ის, მეფის მთავრობას არ შეეძლო არ ეფიქრა ძველი სახელმწიფოებრივი მანქანის „გადაკეთებაზე“ და დაიწყო გლეხთა განთავისუფლება „ზემოდან“. მართალია, „ღიდი მოლოდინი“ შესცვალა „საბრალობელმა სინამდვილემ“, მაგრამ ის ცვლილებაც, რაც მოხდა გლეხის უფლებრივ მდგომარეობაში, შედეგი იყო, პირველყოვლისა, თვით გლეხთა აჯანყებისა და არა ცალკეულ პიროვნებათა დამსახურებისა.

ნ. ნიკოლაძე საჭიროდ თვლის პარალელი გაავლოს, ერთი მხრივ, გლეხთა ცნობილ აჯანყებებსა და მეორე მხრივ, — დეკაბრისტთა გამოსვლას შორის.

რაზინისა და პუგაჩოვის აჯანყებებმა, ნ. ნიკოლაძის თქმით, იმიტომ მიიღეს სერიოზული ხასიათი, რომ ისინი მიმართულნი იყვნენ ბატონყმობის წინააღმდეგ, „რომ იგინი სავსებით ხალხური იყო“; რაზინი და პუგაჩოვი იმიტომ გახდნენ ხალხის დაუვიწყარ გმირებად, რომ მათი და ხალხის ინტერესები განუყოფელი იყო.

რაც შეეხება 1825 წლის 14 დეკემბრის აჯანყებას, ნ. ნიკოლაძის თქმით, „თითქოს არაფერი აკლდა... მას მხარს უჭერდა ყველა ის, ვინც კი რისამე უნარის მქონე იყო რუსის განათლებულ საზოგადოებაში; მისი პროგრამა დაფუძნებული იყო ფრიალ ჰუმანიურ, თავისუფალ საწყისებზე...“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ადვილად იქნა გაფანტული და მისი ხსოვნა, უმთავრესად, განათლებული საზოგადოების მესხიერებაში დარჩა. „ამის მიზეზი ისაა, რომ ხალხს ხსენებული შეთქმულების საქმე საკუთარ საქმედ არ მიუჩნევია. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში, ხალხი შემცდარი იყო, მაგრამ ეს შეცდომა მისი ბრალა როდი იყო. 14 დეკემბრის შეთქმულება იღუპილად ეწყობოდა, როგორც ეწყობა საერთოდ

ყოველი შეთქმულება, მაგრამ ის, რაც კარგია საქმის ფორმალური მხარისათვის, ყოველთვის ასევე სასარგებლო როდიღაა მისი არსის მიმართო“. დეკაბრისტთა მთავარ შეცდომად ნ. ნიკოლაძე სწორედ იმას თვლის, რომ ისინი მოწყვეტილნი იყვნენ ხალხის ფართო მასებს. არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ნ. ნიკოლაძის ასეთი გაგება დეკაბრისტთა აჯანყებისა არ ეწინააღმდეგება ვ. ი. ლენინის ცნობილ შეფასებას: „ეიწროა ამ რევოლუციონერთა წრე, საშინლად შორს არიან ისინი ხალხისაგან“¹.

გამომდინარე აქედან, ნ. ნიკოლაძე იმ აზრს აეთარებს, რომ ახალგაზრდა რევოლუციონერმა თაობამ, თუ რომ მას სურს სერიოზული ცვლილებები მოახდინოს ცხოვრებაში, უნდა იმოქმედოს ხალხის ფართო მასებზე დაყრდნობით და მასთან კავშირში, ხალხთან მჭიდრო კავშირისა და ხალხის მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია სერიოზული წარმატება. ამიტომ, ის არ იზიარებს ბრძოლის ტერორისტულ მეთოდს, რომელიც, მისი თქმით, მთავრობას შეუძლია თავის სასარგებლოდ უფრო გამოიყენოს და მისთვის არასასურველ ადამიანებს ანგარიში გაუსწოროს. ნ. ნიკოლაძე, ამის გამო, თანაგრძნობით არ ხედება კარაკოვოვის გასროლას და ახალ თაობას აფრთხილებს აღარ გადადგას ასეთი ნაბიჯი.

მაგრამ, ნ. ნიკოლაძე, ცხადია, შორსაა მთავრობასთან შერაგების პოლიტიკისაგან. იგი მკითხველს დაწერილებით მიუთითებს იმ გაიძვერობასა და ფარისევლობაზე, რომელსაც ალექსანდრე მეორე და მისი მთავრობა მიმართავდა 60-იან წლებში ხალხის მოტყუების მიზნით. კერძოდ, იგი დამაჯერებლად აჩვენებს საგლებო რეფორმის შემამულურ ხასიათს და ააშკარავებს ლიბერალ-რეფორმატორთა ანტიხალხურ საქმიანობას.

საზოგადოებრივი ცხოვრების როგორი ფორმისათვის იბრძვის ახალი თაობა? ამ კითხვაზე ნ. ნიკოლაძე ასეთ პასუხს იძლევა: „საზოგადოებრივი ცხოვრების ის წყობა, რომლის განხორციელებასაც ფიქრობს ახალი თაობა, დაფუძნებულია... ყოველგვარი პრივილეგიების მოსპობაზე და იმაზე, რომ მიწა ს ა მ ფ ლ ო ბ ე ლ ო დ გა დ ა ე ე ს მ შ რ ო მ ე ლ ხ ა ლ ხ ს და გადაეცეს ისე, რომ ამნაირ მოწყობილ სახალხო შრომას მინიჭებული ჰქონდეს კანონმდებლობის სამართლიანი მფარველობა“.

ასეთი წყობილების დროს, ნ. ნიკოლაძის აზრით, თავადაზნაურობის ინტერესებმა ადგილი უნდა დაუთმოს ხალხის ინტერესებს, ანუ, უფრო სწორად, „შედუღოს მათო“. ვფიქრობ, აქ იჩენს თავს პირველად ნ. ნიკოლაძის პოლიტიკურ შეხედულებათა სუსტი მხარე. თავადაზნაურობისა და მშრომელი ხალხის ინტერესთა „შედუღების თეორია“ რევოლუციური გზის გამრუდებაზე მეტყველებს. უპირისპირებს რა ერთმანეთს მთავრობისა და ახალი თაობის ინტერესებსა და მიზანდასახულობას, ნ. ნიკოლაძე თავის ამ შეხედულებას ასე აყალიბებს: „მთავრობას თავადაზნაურთა ინსტიტუტების შენარჩუნება სურდა, ახალთაობას კი ხალხის კეთილდღეობის გულისათვის მისი მოსპობა უნდოდა. მთავრობას უნდოდა გლეხები უმიწაწყლოდ დაეტოვებინა, ახალთაობას კი სურდა მიწა მიეცა მათთვის, სურდა ეკონომიურ ურთიერთობათა მართებულად მოწყობით მათთვის შრომა შეემსუბუქებინა; მთავრობას სურდა ხალხის და თავადაზნაურობის გათიშულობა დაეტოვებინა; ახალთაობას კი უნდოდა—შედუღებინა მათი სარგებლიანობა და ამით თავადაზნაურობა სახალხო საქმით დაეინტერესებინათ“.

ცხადია, ნ. ნიკოლაძე ცდება, როცა „ეკონომიურ ურთიერთობათა მართებულ მოწყობაზე“ ფიქრობს მანამ, სანამ შესატყვისი პოლიტიკური ცვლილებები

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 18, გვ. 18—19.

არ იყო მომხდარი სახელმწიფოებრივ სისტემაში. მაგრამ იგი ცდება იმაშიც, რომ ადგილს ტოვებს „მკლისა და ცხვირის“ მორიგებისათვის, იგი უარყოფს იმ შეხედულებას, რომ ახალთაობა თითქოს „ნაჯანსა და ღიქტატურაზე“ ოცნებობდეს.

ამგვარად, ნ. ნიკოლაძეს შესაძლებლად მიაჩნია „სისხლის ღვრისა და შეტაკებათა გარეშე“ დავის მოგვარება, თუ რომ თავდაზნაურობისა და გლეხობის ინტერესები შედუღდებოდა, მაგრამ სწორედ აქ უშვებს იგი შეცდომას: თავდაზნაურობისა და გლეხობის ინტერესთა შედუღება გამორიცხული იყო.

ნ. ნიკოლაძე უფრო რადიკალურ პოზიციებზე დგას ეროვნული თავისუფლებისათვის მიმართული ბრძოლის საკითხში. მისი თქმით, „ახალი თაობა... ამბობს: რუსეთს არაერთარი უფლება არა აქვს იბატონოს იმ ქვეყანაზე, რომელსაც სურს თვითონვე იყოს თავისი ბატონ-პატრონი და თვითონვე გაუძღვეს საკუთარ საქმეებს“.

უნება რა ხელოვნებასა და მეცნიერებასთან ახალთაობის დამოკიდებულებას, ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ 1865 წლიდან რუსულ მწერლობაში დაიწყო გარდატეხა. კერძოდ, „დადგა ეპოქა, როდესაც ლიტერატურა მთლიანად მიძღვნილი იყო საზოგადოებრივი საკითხებისა და საერთო კეთილდღეობისადმი“. ამ პერიოდის მოწინავე ლიტერატურათა აზრით, „დასახული მიზნის მიღწევის უმთავრესი საშუალება იყო — საზოგადოების ზნეობრივ განვითარება“. ამასთან, მისი თქმით, პოლიტიკურ საკითხებს, განსაკუთრებით მმართველობის ფორმათა საკითხს ეს ლიტერატორები გვერდს უვლიდნენ, ვინაიდან ხედავდნენ, რომ „საზოგადოება მიმზადებული არ იყო საზოგადოებრივი მეცნიერების უმარტოვის ცნებების გაგებისათვისაც კი“.

მაგრამ ნ. ნიკოლაძე არც იმას უარყოფს, რომ ამ პერიოდის ლიტერატორები გატაცებულნი იყვნენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწყობის საკითხით და მიზნის მისაღწევი გზის გამონახვით. ამიტომაც, ისინი უარყოფითად შეხედნენ საგლეხო რეფორმის კუდმოკვეცილობას და „სერიოზული ბრძოლისათვის ემზადებოდნენ“. კერძოდ, ჩერნიშევსკი და მისი მეგობრები, 1856—1862 წლებში ეწეოდნენ აშკარა ლიტერატურულ პროპაგანდას „სხვა საფუძველზე დამყარებული გარდაქმნისათვის“. ამის გამო, მთავრობამ გადაწყვიტა მოესპო ისინი: მ. ლ. მიხაილოვი ციმბირში გაგზავნეს და უკვე გარდაიცვალა, ჩერნიშევსკიც კატორღაში მოათავსეს შეთთხნილი ბრალდებების წყალობით, ხოლო დობროლიუბოვმა „თავს უშველა“ სიკვდილით.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, მიუხედავად ასეთი რეაქციისა, ახალი თაობის წარმომადგენლებმა მაინც არ უნდა მიმართონ ტერორს, რადგან მეფეთა შეცვლით მდგომარეობა არ შეიცვლება. ამ შემთხვევაში იგი უთუოდ რეალური ვითარებიდან გამოდის, მაგრამ სწორად მაინც ვერ ითვალისწინებს იმდროინდელი საზოგადოებრივი წყობილების საფუძველებს. მისი თქმით, — „ახალთაობას ახლანდელი საზოგადოებრივი წყობილების ძირეულ ბოროტებად მიაჩნია ბნელეთის ორი ძალა: უცილობა და სილატაკო“. და თუ მოისპობა სილატაკე, მაშინ ადვილად შეიცვლება საზოგადოებრივი წყობილებაცო. ცხადია, ნ. ნიკოლაძე, ამ შემთხვევაში, ერთმანეთში ურევს მიზეზსა და შედეგს. ამიტომ არსებული სინამდვილის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდის შემუშავებაშიც გარკვეულ შეცდომას უშვებს.

მიუხედავად ამისა, იმდროინდელი ცხოვრების უმსგავსობის მკაცრი კრიტიკისა და პროგრესულ-დემოკრატიული იდეების ქადაგების გამო, უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნ. ნიკოლაძის წიგნს „მთავრობა და ახალი თაობა“. ამას-

თან, მასში შედარებით სრულადაა წარმოდგენილი ქართველ მესამოციანელთა-სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც გვიადი-ვილებს მათ შესწავლას.

ნ. ნიკოლაძის აღნიშნული წიგნი აშკარად ამქადაგებს იმასაც, თუ როგორ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა რევოლუციური ახალგაზრდობა ჩერნიშევსკის და-პატიმრებისა და დობროლიუბოვის გარდაცვალების შემდეგ; იგარძნობა მკაცრი საკურობა ილეური ზელმძღვანელისა, რომელიც ახალი ვითარების შესატყვისად წაიყვანდა მათ უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში. ეს ხომ ის პერიოდაა, როცა მათი გერცენთან მოლაპარაკებაც უშედეგოდ დამთავრდა? ნ. ნიკოლაძეს სურს ნაწილობრივ მიანიც შეავსოს ეს ხარეზი და უჩვენოს ახალგაზრდობას მოქმედების გზა. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ვერც მან გასწმინდა ეს გზა.

ნ. ნიკოლაძეს არც შემდეგ შეუწყვეტია ამ იმპარტულეზით მუშაობა. ყურნალ „სოვრემენოსტის“ ფურტლებზე იგი ეხება რაც მტკივნეულ საკითხებს, რომლებიც „ახალგაზრდა ემიგრაციას“ ალღელებდა. ამ მხრივ საყურადღებოა წერილები: «Русская эмиграция», «Два поколения», «Народное дело» და სხვა.

ნ. ნიკოლაძე შემდეგშიც ბეჭითად იცავს იმ შეხედულებას, რომ რევოლუციონერ-ემიგრანტთა დანიშნულება იმ დროისათვის ისაა, რომ „გააცნოს საზოგადოებას საღა შეხედულებანი საზოგადოებრივ ურთიერთობასა და ხალხის ცხოვრებაზე“. მან გააკრიტიკა მ. ბაკუნინისა და ი. უტანის მიერ გამოცემული ყურნალის „Народное дело“-ს პირველი ნომერი.

ნ. ნიკოლაძე, საერთოდ, ვერ ურიგდებოდა მ. ბაკუნინის ავტორიტეტის ზრდას „ახალგაზრდა ემიგრაციის“ წარმომადგენელთა შორის, რადგან ვერ ურიგდებოდა მოქმედების ბუნტარისტულ-ტერორისტულ მეთოდებს. ნ. ნიკოლაძე უარყოფს ყურნალში გატარებულ ანარქისტულ თეორიას „სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრიობის“ ერთხანად მოსპობის შესახებაც და მას უპირისპირებს ნ. ჩერნიშევსკის შეხედულებას, რომელიც მას გამოტყმული აქვს სტატიაში—„Экономическая деятельность и законодательство“.

ნ. ნიკოლაძე არ იზიარებს არც მეცნიერებისადმი დამოკიდებულების „ნაროდნოე დელოს“ გზას და აღნიშნავს: „ნაროდნოე დელოს“ ცოდნა მეცნიერების დარგში, ისევე როგორც ფილოსოფიის დარგში, ცოტა არ იყოს, არეულია“. მაგრამ იგი თვითონაც ვერ იყო გარკვეული პოზიტივიზმის მცდარობაში მაშინ და ერთგვარი სიმპათიით იყო განწყობილი მისადმი.

მაგრამ, მხოლოდ პუბლიცისტური მოღვაწეობით არ შემოფარგლულა ნ. ნიკოლაძე შევიცარიამი ყოფნისას. კერძოდ, იგია ერთ-ერთი ინიციატორი ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი გამოცემისა და რომანის „რა ვაკეთოთ?“ დაბეჭდვისა. მასთან, ამ მუშაობაში მას ჩაუბამს სხვა ქართველი მოღვაწეებიც, რომლებიც ამას აწვდიდნენ საჭირო მასალას.

1866 წლის მარტში ნ. ნიკოლაძე პეტერბურგში მყოფ კ. ლორთქიფანიძეს საზღვარგარეთიდან წერს: „ესღა შენთან ერთი თხოვნა მაქვს: როგორც უნდა იყოს, გაიცანი ვინმე პიპინის ნაცნობი და მიშოვნე სრული (ძალიან სრული) სია „რა კვანთის“ ავტორის თხზულებების. ამ სიის გარდა, მაშოვე გამოშვებული ალაგები (ე. ი. ცენზურის მიერ ამოღებული ადგილები—დ. გ.). ეს ძალიან, ძალიან საშინლად საჭირო და სასარგებლოა. მე ვიცი, რომ ადვილად გაითხრა—„მიშოვნე“, შოვნა კი ძნელია, მაგრამ... თუ ნაცნობი ვერ გაიცანი, აიღე თავი და წადი პირდაპირ, — უთხარი, ასე და ასე, ერთ ჩ-კის თაყვანისმცემელს სურს შეაგროვოს მისი სრული თხზულებებითკო და იმედი მაქვს, არ დამიკავებ თქვენი სიისა და

გამოშვებული ალაგების თქვენი თვალების წინ გარდაწერას-თქო... ამნაირი პირდაპირი თხოვნა მიზანს მიაღწევს. — შინჯე მაინც.

შე კარგად ვიცი, ძმავო კირილე, რომ შენთვის ეს ძნელია, — შენს ხასიათს სძულს ამნაირი მოქმედება მაგრამ ეს ისე საქირთა, რომ შენი წყენის არ მეშინია, ეს იცოდე კარგად, — უბრალო საქმე რომ იყოს, არ გთხოვდო, — და რადგანაც ვთხოვ—ძალიან საქირთა. ამის გარდა არ დაგავიწყდეს, რომ ეს საქმე მოუთმენელია, ესე იგი საქაროდ უნდა ასრულო. თუ მაინც და მაინც არ გინდა ამ თხოვნის ასრულება, ხამაშურბიტეს (ნ. ნიკოლაძის სტუდენტობის მეგობარი— დ. გ.) მაინც გადაეცი, — და თხოვე რომ მალე გამომიგზავნოს, რაც კი იშოვოს¹.

ჩვენ არ ვიცი, რა პასუხი გასცა კ. ლორთქიფანიძემ ნ. ნიკოლაძეს, მაგრამ ჩანს, რომ გარკვეული რჩევა მიუცია მისთვის. ნ. ნიკოლაძე საპასუხო წერილში კ. ლორთქიფანიძეს წერს: „Что касается твоего совета насчет Э-на, который печатался в наших журналах, говорить об этом совершенно бесполезно. Я знаю, как об этом деле думают у вас и как об этом же деле думают здесь, и Европе. Но не только протесты Суворина, но и просьба и неудовольствие самого Ч-го, как мне кажется, не остановят Э-на. Опасения ваших, неумелость здешних, по мнению Э-на, совершенно не основательны... дети же Ч-го не останутся без выгоды — об этом и разговора быть не может.“²

აღნიშნული წერილებიდან კარგად ჩანს, თუ როგორი ვატაცებით შედგომიან ელპიდინი და ნ. ნიკოლაძე ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემისათვის შზადებას. აშკარაა ისიც, რომ რუსეთში ამ საქმეს სიფრთხილით ეკიდებოდნენ; ალბათ, იმის შიშით, რომ ამ ამბავს ზიანი არ მიუყენებინა ნ. ჩერნიშევსკის განთავისუფლების საქმისათვის. მაგრამ ნ. ნიკოლაძის წერილიდან ისიც ჩანს, რომ კ. ლორთქიფანიძეს დახმარებაც აღუთქვამს. თუ არა ასე, სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იყო ნ. ნიკოლაძეს წერილის დასასრულს ჩამოეწერა სია ჩერნიშევსკის იმ სტატიებისა, რომელთა გაგზავნას ითხოვდა ის.

როგორც ირკვევა, ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემისათვის შზადების საქმეში ნ. ნიკოლაძეს დახმარებას უწევდა პარიზში მყოფი გ. ნაკაშიძეც. ეს ჩანს გ. ნაკაშიძის კ. ლორთქიფანიძისადმი გამოგზავნილი წერილებიდან, რომლებიც დაწერილია 1866 წელს. ერთ-ერთ წერილში იგი კ. ლორთქიფანიძეს თხოვს: «... Попрошу выслать портрет Н. Чернышевского и через несколько времени возвращу. Постарайся выслать и Добролюбова, если можешь».

კ. ლორთქიფანიძის არქივში დაცული მასალებიდან ისიც ირკვევა, თუ როგორ აგროვებდა იგი ჩერნიშევსკის სტატიებს ნ. ნიკოლაძის დაეალებით.

როგორც ცნობილია, 1868 წელს გამოცემული ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი ტომისადმი წამძღვარებული წერილი და აღნიშნული ტომის რედაქცია ნ. ნიკოლაძეს ეკუთვნის. ნ. ნიკოლაძემ წინასიტყვაობაში მოკლედ მოხაზა ჩერნიშევსკის მოღვაწეობის გზა და მიუთითა მისი ნაწერების მნიშვნელობაზე. «ჩერნიშევსკი, — წერს ის, — სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა სავსებით ჩამოყალიბებული აზრებითა და მოქმედების გამზადებული სისტემითა». ამასთან იგი შენიშნავს, რომ თავისი აზრებისა და სისტემის შემუშავებაში ჩერნიშევსკი დიდ

¹ დედანი დაცულია ქუთაისის სახ. მუზეუმში, კ. ლორთქიფანიძის არქივში.

² წერილი მოყვანილი აქვს ე. დ. ჩარკვიანს თავის სტატიაში — «Участие грузинских деятелей в издании собрания сочинений Н. Г. Чернышевского 1868 г.». См. «Труды Тбилисского Гос. Пед. Института им. Пушкина», т. XI, 1952.

ანგარიშს უწევდა ლესინგს, „რომლის პირადი ხასიათი და მოღვაწეობა... ფრიად მოსწონდა და რომლებსაც იგი ძალიან ძვირად აფასებდაო“. ამ შემთხვევაში, ნ. ნიკოლაძეს მსედველობაში აქვს ის, რომ „ლესინგის მსგავსად, ჩერნიშევსკიმ ლიტერატურაში ფენის შედგმისთანავე მიზნად დისახა — შეეცალა საზოგადოების შეხედულებანი და ცნებანი“. საერთოდ კი ნ. ნიკოლაძეს ჩერნიშევსკი მიაჩნდა ბელინსკის შეხედულებათა გამგრძელებლად და გამღრმავებლად.

ვინაიდან ჩერნიშევსკის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის დროს საზოგადოებისათვის უფრო მისაწვდომი იყო ლიტერატურა და ხელოვნება: „ჩერნიშევსკი, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — იძულებული იყო საზოგადოებაში გაბატონებული ცნებების გადაშლავება დაეწყო წმინდა სალიტერატურო, ესთეტიკურ ცნებათა შეცვლით და მხოლოდ ვაკერით აღენიშნა, თუ რაოდენ ბევრი რამ აკლდათ ჩვენებურ მეცნიერებს, რომ მეცნიერების ნამდვილი მამოძრავებელი გამზადარიყვნენ...

მაგრამ, ემზადებოდა რა მომავალი, უფრო სერიოზული მოღვაწეობისათვის, მას მხედველობიდან როდი ეპარებოდა სინამდვილე. ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში იგი ცდილობდა ასე თუ ისე დაეკმაყოფილებინა ის მოთხოვნილებანი, რომელთაც იგი რუსეთის ეურნალისტიკას მიზნად უსახავდა... სალიტერატურო და სამეცნიერო კრიტიკა მისთვის იყო საშუალება საზოგადოებაში საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი ინტერესის გასაღვიძებლად“.

როგორც ვხედავთ, ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი გამოცემის რედაქტორმა — ნ. ნიკოლაძემ მკითხველს მიაწოდა საკმაოდ საინტერესო და სწორი შეფასება ცარიზმის მიერ კატორღაში გამომწყვდეული დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატის მოღვაწეობის შესახებ. ამით მან გარკვეული მიმართულება მისცა მისი მემკვიდრეობის შესწავლის საქმესაც.

ნ. ნიკოლაძის თქმით, როგორც ბელინსკის შემდეგ იგრძნობოდა ერთგვარი დაბნეულობა და მოწინავე საზოგადოებამ თითქოს დაკარგა გამოსავლის მონახვის იმედი, ასევეა ახლაც, — ჩერნიშევსკის ცოცხლად დამარხვის შემდეგ. ამიტომ, „ჩერნიშევსკის მიერ ორმოცდაათიანი წლების დამდეგის ნამუშავეს, — წერს ნ. ნიკოლაძე, — აქვამად ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ნამუშავეის ისტორიული სიდიადის შესახებ რომ არა ვთქვათ რა, სამოქალაქო განვითარების ის გაკვეთილები, ჩერნიშევსკის პატარა სტატიებში რომ არის ჩამალული, ხელს შეუწყობს მრავალს — თავი დააღწიოს თანამედროვე სიღუპეში და მხოლოდ და მხოლოდ პირადი ინტერესების ბატონობას, ხელს შეუწყობს ზოგიერთებს იმეშაონ საზოგადოებრივი გათვითცნობიერებისა და თვითმოქმედების გასაღვიძებლად“.

ამ სიტყვებიდან აშკარაა, რომ მ. ელბილინისა და ნ. ნიკოლაძის თავდადებული შრომა, ნ. გ. ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემისათვის, საყვარელი მასწავლებლისადმი მხოლოდ დიდი პატივისცემით როდი აიხსნება. მათ სურდათ, რომ ავტორის მაგივრობა გაეწია მის ნაწერებს და მოქმედების მიზნისა და გზების გარკვევაში დახმარებოდა რევოლუციონერ ახალგაზრდობას.

გერცენმა, ცხადია, იგრძნო, რომ ნ. ნიკოლაძე ბელინსკი-ჩერნიშევსკის მიმართულების დამცველად არ თვლიდა „კოლოკოლის“ რედაქტორებს და მათი მისამართით ყრუ კრიტიკასაც აწარმოებდა. ამიტომ იყო, რომ 1866 წლის 15 მაისს, გერცენი ოგარისკის სწერდა: «Запрятавши грузинские котги, Никол(а)дас в предисловии к Черныш(евскому) зацепил нас и совершенно с той точки зрения, с которой Писарев в «Базарове» (видно, я не ошибся). Тебе бог попрыскал очи такой водой, что ты розы видишь, шипов не можешь ви-

დებ. Заметь, что... они о нас не упоминают и бьют намеками, от которых отпереться легко, а нападать на которые трудно».¹

ნ. ნიკოლაისათვის არ არსებობდა ნ. გ. ჩერნიშევსკიზე უფრო დიდი ავტორიტეტი. საქმით თუ სიტყვით, იგი მუდამ იმას ცდილობდა, რომ ნაწილობრივ მიიწეოდა ვალი საყვარელი მასწავლებლის წინაშე, დაეცვა და ელიარები-ნა მისი მიმართულება. შემთხვევითი როლი იყო, რომ ი. გ. როზანოვი, სწორედ ამ პერიოდში, მესამე განყოფილებას ცნობას აძლევს: ნ. ნიკოლაძე «...превосходит Чернышевского выше всего и говорит, что он весь проникнут идеями Чернышевского, что никогда, никакая страна не производила такого человека, такого таланта, как Чернышевский».²

შვეიცარიაში ყოფნისას ნ. ნიკოლაძემ დაასრულა ციურხის უნივერსიტეტი და დაიკვა სადოქტორო დისერტაცია. მისი დისერტაციის თემა იყო „განიარალება და მისი ეკონომიურ-სოციალური შედეგები“. ფრანგულ ენაზე დაწერილი ეს ნაშრომი ცალკე წიგნად გამოვიდა ენევეაში 1868 წელს („Du désarmement et de ses conséquences économiques et sociales“).

„განიარალება და მისი ეკონომიურ-სოციალური შედეგები“ უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომი იყო იმ დროისათვის. მასში იურისტისა და ეკონომისტის თვალთაა დანახული ის წინააღმდეგობა, რომელიც ყოველთვის არსებობს ბურჟუაზიულ სამყაროში, ერთი მხრივ, განიარალების მისწრაფებასა და, მეორე მხრივ, ამ უაღრესად კეთილშობილური იდეის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობას შორის.

ნ. ნიკოლაძე მთელი ლოგიკურობითა და ეკონომიური მონაცემებით ნათელიყოფს, თუ რატომ იბრძვიან ბურჟუაზიული ქვეყნების მესვეურები განიარალების წინააღმდეგ. ამის მიზეზს ის ხედავს თვით წარმოების ბურჟუაზიულ წესში, იმ წინააღმდეგობაში, რომელიც არსებობს საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობას შორის. ამიტომ, განიარალების საკითხს ის ბუნებრივად უკავშირებს სოციალურ ურთიერთობათა რადიკალურ რეორგანიზაციას. „შეუძლებელია, — წერს ნ. ნიკოლაძე, — სერიოზულათ ვახლოთ ხელი სამხედრო ორგანიზაციას, თორემ მაშინათვე შეეარყევთ და გადმოვაპირქვავეთ საძირკველს, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი საზოგადოებრივი შენობა. საზოგადოების კეთილდღეობისათვის სახიფათოა ისე შეუუდგეთ განიარალების საქმეს, თუ წინდაწინვე ნიადავი არ მოვამზადეთ სოციალურ ურთიერთობათა რადიკალური და სრული რეორგანიზაციისათვის. მაშასადამე, ყველამ, ვისაც არაფრის გულისათვის უნდა ხელი ახლოს ჩვენი სოციალური ორგანიზაციის საფუძველს და ვინც თავის თავს მოშაღებულად არა კვრძნობს ასეთი საქმისათვის, სჯობია თავი დაანებოს განიარალების საკითხს“.

ცხადია, ნ. ნიკოლაძე ასეთ დასკვნას აკეთებს არა იმისათვის, რომ ჩაყლას განიარალების აზრი საზოგადოებაში, არამედ ამ აზრის კეშმარტივი გამარჯვებისათვის საჭირო ფაქტორების გამოსამზებლებლად. „საჭიროდ ვთვლით, — დასძენს თვითონ ნ. ნიკოლაძე, — მკითხველს მოვახსენოთ, რომ საგანი ამ დისერტაციისა, რომელიც მას გავაცანით, სრულებითაც არ არის, რომ დაემტკიცოთ უსარგებლობა, ან შეუძლებლობა საერთო განიარალებისა. ასეთი აზრისაგან ძალიან შორს ვახლავართ. ეს ისეთი რეფორმა ვახლავთ, რომლის გადაუდებლობა საყო-

¹ А. И. Герцен, Сочинения, т. XX, стр. 275.

² Б. П. Козьминя, Революционное подполье в эпоху «Белого террора». 1929, стр. 74.

ველთაოდ აღიარებულია და ამ სტრიქონების ავტორიც საერთოდ ამ გადაუღებლობის მომხრეა. წინამდებარე ნაშრომის დანიშნულება მხოლოდ ის არის, რომ ცხადყოფს ერთის შეხედვით უჩინარი კავშირი, რომელიც განიარაღების საკითხს აკავშირებს თანამედროვე საზოგადოებებს რადიკალურ რეორგანიზაციასთან. ავტორს სურდა გამოეყოფა რეალობის საკითხები, ერთსა და იმავე დროს, ამ ორი საკითხის გადაწყვეტისა და დაენახებინა, რომ ერთის გადაწყვეტა შეუძლებელია ისე, რომ არ წამოიკრას უძველესი დაბრკოლებანი, რომლებიც გამოძინარებულენ ამ საკითხის მეორე ნაწილისაგან, ჩვენს საზოგადოებას მძიმე ტვირთად რომ დასწოლია დღეს კისერზეო“.

თავის დისერტაციაში წარმოდგენილა შეხედულებები ნ. ნიკოლაძეს გატარებული ჰქონდა ჯერ კიდევ „სოფრემენოსტში“ გამოქვეყნებული სტატიების სერიოზული — „ევროპის ცხოვრება“.

6. ნიკოლაძის საზღვარგარეთ (1864—1868 წწ.) მოღვაწეობის დახასიათებისას გვინდა მოვიგონოთ ერთი უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონე მომენტის შესახებაც. როგორც პროფ. ს. ხუნდაძე მოგვითხრობს, ნ. ნიკოლაძეს მისთვის უთქვამს, რომ „მან მიიღო წინადადება კარლ მარქსისაგან, რომ მიეღო თავის თავზე ინტერნაციონალის წარმომადგენლის მოვალეობა ა. — კავკასიაში“¹. მაგრამ მას ამ წინადადების მიღება, სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ მოუხერხებია.

როგორც ჩანს, კ. მარქსს რგი უნდა გაცნობოდა 1865 წელს ლონდონში, პოლ ლუთარგის საშუალებით; ამ უკანასკნელს იგი საფრანგეთიდან იცნობდა. მოულოდნელად არ უნდა მიეჩინოთ, ცხადია, არც ის, რომ ასეთი წინადადებით მიმართა მას კ. მარქსმა. ასეთი მოვალეობის აღსასრულებლად შესაფერი პირი ა. — კავკასიიდან მარქსს სხვა არც შეეძლო ეპოვა იმ დროს ევროპაში, მეორე მხრივ, გასაგებია ისიც, თუ რატომ ვერ მიიღო ნიკოლაძემ ასეთი საპატიო დავალება. მას, პირველყოფისა, ეშინოდა იმ დროს სამშობლოში დაბრუნების, მეორეც, ძალიან გატაცებული იყო ევროპის ცხოვრებისა და იქაური აზროვნების შესწავლით. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ მას ასეთი წინადადება მიუღია მარქსისაგან, რომელიც, ცხადია, გარკვეული საბაბის გარეშე არავის ანდობდა პირველი ინტერნაციონალის წარმომადგენლობას.

* * *

საზღვარგარეთ ყოფნის დროს ნ. ნიკოლაძე არ ყოფილა მოწყვეტილი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობას და, შეძლებისდაგვარად, ეხმარებოდა კიდევაც მას. მაგრამ ასეთი მონაწილეობა თავისი მშობლიური ქვეყნის აღორძინების საქმეში მას, ცხადია, არ აქმაყოფილებდა. დიდი ენერჯისა და მზუნებარე პათოსის მქონე ახალგაზრდას მიზნად ჰქონდა მის სიტყვასა და საქმეს ტონის მიძემის როლი შეესრულებია თავისი ერის წინსვლისათვის ბრძოლაში. ამის გამოა, რომ ის სავანგებო სიფრთხილეს იჩენს არაფერი გაუგებრობა მოუხდეს ქართველ მკითხველთან.

აგზავნიდა რა სტატიას — „ქვეითად და რკინის გზით“ გავით „დროებაში“ გაქრისაქვეყნებლად, 1869 წლის 3 აგვისტოს ნ. ნიკოლაძე ფრანკფურტიდან ს. მესხს წერდა: „როცა შენ ამ წერილს წაიკითხავ, შენ შეატყობ, რომ მე საშინლათ აღურდაურიე მასში სხვადასხვანაირი „ელემენტები“... აწერილობაც არის, ხუმრობაც, დაცინებაც და დარიგებაც. ეს მე ამიტომ ვქენი, რომ არ ვიცი რომელი მხრით მივალდე მკითხველს. მე მისი გემო კარგათ არ ვიცი.. დაბეჭდე და ყუ-

¹ იხ. ეურნალი „დროშა“, 1934 წ. № 14—15.

რი უღვე საზოგადოების აზრს, შეიტყვე მიიქცია თუ არა ამ წერილმა ვინმეს ყუ-
რადლება, რომელმა მხარემ უფრო იმოქმედა, რა უფრო აღვიძებს მკითხველს...
მისწერე ვინმეს ქუთაისშიც, შეგატყობინონ ამ კითხვების პასუხი, და მერმე
რამდენიც გინდა იმდენ წერილს ჩამოგიტან, ან გამოგიგზავნი. მასალა ნუ გეშინია
ბევრი მაქვს, და სურვილიც. ერთი რამეს მეტი არ მაკლია, ესაა — მკითხველე-
ბის გემოს ცოდნა“.

ამის შემდეგ ნ. ნიკოლაძე მალე დაბრუნდა სამშობლოში. 1870 წლის 5 იან-
ვარს იგი უკვე ქუთაისშია. მის წინაშე უკვე მკაცრი არჩევანია: პრაქტიკული ცხოვ-
რების პროზაულობა და მატერიალურად უზრუნველყოფა, თუ მეტრძოლი პუბ-
ლიცისტის მოუსვენარი და მძიმე ცხოვრება? და, რაც მთავარია, ამ არჩევანს
იგი კი არ უყენებდა თავის თავს, არამედ — ცხოვრება. თეთონ მას დიდა ხანია
გადწყვეტილი ჰქონდა მომავალი მოქმედების გეგმა. „მას აქეთ, რაც მე პეტერ-
ბურგიდან წამოვედი, — წერს ნ. ნიკოლაძე კ. ლორთქიფანიძეს 1870 წლის
3 ივნისს, — ჩემი მდგომარეობა ძლიერ გამოიცვალა: მამაჩემმა მანცა და მანც
მოონდობა, რომ მე სამუდამოთ ქუთაისში დავჩენილიყავი. ეს კიდე არაფერია.
მაგრამ მავარი ის არის, რომ მისი აზრით, ადვოკატის ხელობისთანა ხელობა
ღმერთს ქვეყანაზე არ გაუჩენია... რალა ბევრი გითხრა, მე მაგ საქმისათვის არ
ვრაცხებ ჩემ თავს გამოსადეგათ და ამის გამო ჩვენში კარგი განწყობილება და-
იკარგა... რა უნდა მექნა მე? ან უნდა დაეთანხმებოდო და თავი სამუდამოდ და-
მემარხხა... უნდა მოვხრილიყოვე წელში და თეთრი შავთ გამომეხატა სახალხოთ
და შავი თეთრათ, ანდა ქუთაისისათვის სულ თავი უნდა დამეხებებო. მე ეს
უქანასენელი ვარჩიო“.

1870 წლის გაზაფხულზე ნ. ნიკოლაძე უკვე თბილისშია და ს. მესხისთან
ერთად, თავდადებული იღწვის გაზეთ „დროების“ წარმატებისათვის. მას დი-
დად აფიქრებდა ამ გაზეთის ბედი და დიდ იმედებსაც ამყარებდა მასზე. მისი
შეხედულებით, მხოლოდ ამ გაზეთის საშუალებით შეეძლოთ ახალი თაობის
წარმომადგენლებს თავიანთი აზრების მკითხველამდე მიტანა და იმ საზოგადო-
ებრივ-ლიტერატურული მოძრაობის ბოლომდე მიყვანა, რომელსაც საფუ-
ძველი ჩაეყარა 60-იან წლებში ი. ჰავჭავაძის ხელმძღვანელობით.

სამშობლოში მომავალი ნ. ნიკოლაძე ჯერ კიდევ პეტერბურგში იყო, როცა
1869 წლის 5 დეკემბერს მესხს სწერდა: „მე მგონია მალე წამოვალ შინ. — შე-
იძლება, რომ აქ მე ორი კვირის მეტი არ დავჩრე.“ „დროებზე“ შენ ხელახლავ
გეტყვი, რომ ჭალიან ცუდათ ქენი, რომ მტკიცეთ არ აიღე ხელში მაგ გაზეთი.
ერთი წელიწადი რაა? ბარელამ სულ აგელო ან... მაგრამ რაც მოხდა, მოხდა.

„დროებისათვის“ ვიშოვნე მე ერთი მშვენიერი დაუბეჭდავი სტატია ანტო-
ნოვიჩის „О науке и ея общественном значении“. შენ ამ წერილზე მანდ ყვი-
რილს ნუ დაიწყებ, და იმედი, რომ ხშირად მოგვეცემს ძალიან ხეირიან და პოპუ-
ლარულ სტატიებს. ისტორიული სტატიებისთვის მასალა ჯერ არ შემოიკრებია,
მაგრამ თან კი ბლომათ ჩამოგიტან წიგნებს და მასალებს. კირილე (ლორთქიფა-
ნიძე — დ. გ.) რამეს დასწერს, აქ სხვაზე მე იმედი არა მაქვს, ისევე მანდ მოა-
ხერხე თანამშრომლების შოვნა. კრიტიკული ნაწილი ხომ ჩემი საქმეა, — მაგში
რამდენიც გინდა იმდენი დამასაქმე — უღელს პატიოსნათ გავსწეე. საქმე ფე-
ლეტონშია, иргивный, остроумный, заманчивый и дельный, სადაა ამნაირი ფელე-
ტონი? ვეცადოთ, რომ ეს რუბრიკა კარგათ ავაგოთ, დანარჩენი ადვილი საქმეა.

აქ უნდა ვიშოვნო მე ვინმე იმისთანა, რომელიც მუდამ კვირაში თითო კო-
რესპონდენციას გამოგიგზავნის აქაურ რუსულ „შინავან“ საქმეებზე“...

ამ ამონაწერიდანაც აშკარაა, თუ რა გრძნობათა და რა აზრით მოეშურებოდა ნ. ნიკოლაძე სამშობლოში და როგორ დიდ მნიშვნელობას აძლევდა ვაზეთ „ღრობებს“ გაუმჭობესების საქმეს. მას, როგორც ჩანს, საგანგებო მოლაპარაკება უწარმოებია გამოჩენილ რუს კრიტიკოსთან, — ანტონოვიჩთან და თანხმობაც მიუღია ეთანამშრომლა „ღრობებაში“.

სამწუხაროდ, მეტად მალე უჩენია თავი უთანხმოებას ნ. ნიკოლაძესა და ს. მესხს შორის. და, მართალია, არცერთ მათგანს ამ ვაზეთში თანამშრომლობისათვის თავი არ მიუხედავია, მაგრამ, ნაცვლად საერთო ხელმძღვანელობისა, დაუწყიათ ნომრების მორიგეობით მომზადება. ასე უშეებდნენ ისინი ვაზეთს რამდენიმე თვის განმავლობაში, მაგრამ ბოლომდე ასე ვაგერძელება, ცხადია, შეუძლებელი იყო. ამიტომ, ნ. ნიკოლაძეს მეფისნაცვლისათვის ნებართვა უთხოვნია გამოეცა რუსული ვაზეთი — «Однѣя». ეს თხოვნა მას, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნებას, არ დაუკმაყოფილეს. სხვა გამოსავალი უნდა ეპოვა მას და იპოვა კიდევაც. მან დაითანხმა გ. წერეთელი გამოეთხოვა უფლება ჟურნალ „კრებულის“ გამოსაცემად, რომლის ფაქტიური რედაქტორი თვითონ იქნებოდა.

მართლაც, ჟურნალი „კრებული“ 1871 წლის ზაფხულამდე ნ. ნიკოლაძის რედაქტორობით გამოდიოდა, თუმცა ოფიციალურად მასზე ხელს აწერდა გ. წერეთელი. ამიტომაც, რომ საპროგრამო სტატია — „კრებულის“ დანიშნულებაზე“ ნ. ნიკოლაძის მიერაა დაწერილი.

ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ ავტობიოგრაფიულ წერილში, ნ. ნიკოლაძე ამ ისტორიასთან დაკავშირებით წერს: «Вернувшись на родину... я поселился весной 1870 г. в Тифлисе, и принялся сотрудничать в «Дროэба».. Расходясь резко в мыслях с покойным С. С. Месхи, большей части очередных вопросов дня, я условился с ним, после первых неудачных попыток совместного сотрудничества, что один номер газеты будет сплошь составлять он, а следующий — я. Летом в 1870 году газета все время так и выходила; один номер целиком писался или составлялся мною или в моем духе, а другой — редактором. Дело так идти долго не могло. В конце года я основал журнал «Кребули», который и вел единолично до лета 1871 года, когда смерть моего отца заставила меня покинуть Тифлис. С тех пор, за массой деловых затруднений, я мог принимать в печати участие лишь со стороны, в качестве уже только сотрудника, а не заправителя издания».

„კრებულში“ თანამშრომლობის პერიოდშიც ნ. ნიკოლაძე მეტად ნაყოფიერად მოღვაწიობდა „ღრობებში“. მართა 1871 წელს ამ ვაზეთში მას გამოქვეყნებულ იქნეს ოცდაათზე მეტი სტატია.

1872 წლის ვაზაფხულზე ნ. ნიკოლაძე პარიზში გაემგზავრა, საიდანაც იმავე წლის შემოდგომაზე დაბრუნდა. თავისი ეს მგზავრობა და შთაბეჭდილებები მას გადმოცემული აქვს დღიურებში, — სათაურით „სხვათა შორის“, რომელიც ჟურნალ „კრებულში“ გამოქვეყნა (1873 წ. № IV).

ამ უაღრესად საინტერესო დღიურებიდან კარგად მოჩანს ნ. ნიკოლაძის როგორც მოღვაწისა და მოაზროვნის პროფალი 70-იანი წლებისათვის. იგი კვლავ დიდი რუსი სამოციანელების ერთგული და თაყვანისმცემელია, რომელსაც მეტად მუქ ფერებში ეხატება რუსული მწერლობისა და ჟურნალისტიკის ბედო ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და ბევრი მათი თანამებრძოლის ჩამოშორების შემდეგ. ამის გამო იგი მძიმე სულიერ დღევას განიცდის, რაც კიდევ უფრო.

გაღრმავება პეტერბურგის ამჭერად დათვლიერების შემდეგ: „ღმერთო. — წერს იგი, — რა სუსტი და წვრილმანია დღეს რუსული მწერლობა. რა უძლურების და რა უმნაშენელობის ბეჭედი ასეთია იმას და რა განსხვავებაა მას და უწინდელ, ჩემ დროინდელ მწერლობას შუა! რა დრო იყო მაშინ, რომ იყოღე. მკითხველო, რანაირი მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ, ახალგაზრდები იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ეურნალის („სოვერემენიკის“ — დ. გ.) ახალი წიგნი გამოვიდოდა! რა აღტაცებით და აჩქარებით, რა სიხარბით და დაულაღველობით დაეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას, რანაირათ გეიფეთქდა ჩვენ მაშინ გული, გვიღელავდა გრძნობა და გვეწოდა ტვინი და გონება! რამდენი გრძელი ბოლომოუღებელი, ჩრდილოეთის ზამთრის დამე გავგეთენება ჩვენ მის კითხვაში, მის აზრების რჩევაში, მის სიტყვების სკაში, მათზე დავაში, და რამდენი შემდეგი დამებები მოუსვენრათ უწვალუბიერათ იმ გრძნობის მღელვარებას, იმ აზრას მუშაობას, რომელიც ამ ეურნალს ჩვენში მოუხდენია!... რამდენი იყო, იმ დროს ჩვენისთანა ახალგაზრდა, ჩვენსავით აზრისა და გონების ცხოვრებაში მიცემული, ჩვენივე გრძნობის თანამოზიარენი, ჩვენი მომავალი ბედისა და უბედობის თანამომქენი სად არიან დღეს ისინი? ან სად არიან ის გმირები, ვისი სიტყვა ჩვენ გონებას გვიხსნიდა, ვისი მავალითი კაცად გვხდიდა, ვისი შრომა და ტანჯვა გვაკეთილშობილებდა და გვამაღლებდა?

«Одних уже нет, а те далекие».

ზოგი მოკედა, ზოგი დაიკარგა, ზოგი კი...

დღევანდელი მწერლობა კი... იმ ადგილას, სადაც მაშინ საზოგადოების გამწვრთნელი და აღმზრდელი ხმა ისმოდა, სადაც კაცი ავის შეზიზღებას და კეთილის სიყვარულს ეჩვეოდა... დღეს ჩვენ ვხედავთ დაფქვილი ძვლების ნაკეღათ გამოყენების სწავლას... პაწაწინა კაცები დღეს, პაწაწინა საგნებზე, პაწაწინა მოაზრებას გამოთქმენ, და მათ პაწაწინა წრე, პაწაწინა წუთის განმავლობაში, გართულ და უყურადღებო თვალს ადევნებს... იმათ ეღამ და ბრმა თვალს წინ შეუშინეღათ გარბის თანამედროვე ცხოვრების უპირატესი მოვლენები, უძვირფასესი შემთხვევები, და იმათ აღარავინ ნიშნავს, ხელს არაკაცი კედებს რომ მომავლის სასარგებლოთ მათგან გამოსაღვეი დასკენა გამოიყვანონ“.

ნ. ნიკოლაძეს, როგორც ჩანს, იმედი ჰქონდა, რომ პარიზი უფრო კარგ შთაბეჭდილებას მოახდენდა მასზე და ერთგვარად დააყურებდა მეტროპოლი პუბლიცისტის გრძნობათა ღლეკას, მეტ იმედებს და პერსპექტივებს აღძრავდა მასში, მაგრამ ამოღ. მოლოდინი არ გამართლდა. „ჩემ ტვინს, — ამბობს ის, — შორიდანვე პარიეი სხვადასხვა ფერათ შემკულ სურათებათ ეზმანებოდა. ხან თვალს წინ დამაღვეებოდა ეს ქალაქი მშვენიერ და კეკლეუ ქალის სახით, გემოიანათ მორთული... ხან, უფრო ხშირათ, ვხედავი პარიეს ახალგაზრდა, ვაშხდარი, დაქანტული, მაგრამ მაინც ძლიერი და დაულაღვი ვაჟკაცის სახით. მისი ლურჯი ბლუზა ოფლით გაშავებული და გაწუწული იყო; მის ლოყებს და სხეულს ათასი კრილობის ნიშანი და სისხლი აჩნდა...“

...ოცნებით და წარმოდგენებით დალაღულ ჩემ თვალს და გონებას ის ეგონა, რომ პარიეი კარებზე დაგვეხდებოდა. ცალ ხელში კაცის გული ევირებოდა, გაქრილა და გამოკლეული, მისი თვისებებით და კეთილი და ცუდი მხარეების გამოხატვით, და მეორე ხელში — ის მშვენიერი მომავლის დროშა, რომლის სახელით დანთხელა აქ ამოღენა სისხლი და მოპოებულა მთელი კაცობრიობისათვის ამოღენა პოლიტიკური და საზოგადოებრივი სიმართლენები... მიუახლოვეღათ სტანციის სასახლეს, გავიხედეთ მის ფანჯრიდამ, და დავინახეთ უშველებელა ასოებით ამოჭ-

რილი სიტყვები: „საფრანგეთის რესპუბლიკა, — თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“. მაგრამ ჩემი პარატი კი არსად იყო თავის კაცის გულით და მომავლის დრომით. მის მაგიერ მე ორი გამოჭვდილი კაცი მომადგა და ორივემ რესპუბლიკის სახელით, მომთხოვეს: ერთმა — პასპორტი და მეორემ — თუთუნი და სიგარები“...

...ყველაფერა აქ ნათქვამი. ჩვენ ვგრძნობთ რა აზრისა იყო ნ. ნიკოლაძე კომუნარტა წმინდა სისხლის დაღვრაზე და როგორ შეფასებდა აძლედა შემდგომი პერიოდის პოლიტიკურ ვითარებას საფრანგეთში. მისი აზრი ხალხს სისხლის აბუჩად ავლებას ევრასოდეს ურიგდებოდა...

ნ. ნიკოლაძის ეს მოგზაურობა მარტო საფრანგეთით არ შემოფარგლულა. ჯერ იყო და მისში ციურისში ჩავიდა, სადაც მოულოდნელად ძმა (ლადიკო) გარდაეცვალა და დასაფლავა, შემდეგ პარიზში გაემგზავრა, საიდანაც, 22 ივნისს, ლონდონში ჩავიდა და საქმით ხანს დაჰყო იქ. ლონდონში მისი ჩასვლის მიზანი იყო „ტყიბულის საქმეების“ მოგვარება. ამასთან დაკავშირებით, 1872 წლის 7 ივლისს ნ. ნიკოლაძე კ. ლორთქიფანიძეს წერდა: „მე გაუჩივდი ორ ბანკირს, რომ რა წამს კონცესია მექნება ხელში, ორ მილიონ ნახევარი მანეთი უნდა მოჰკრიფონ ერთი თვის განმავლობაში. — ეს მზათ არის; მეორე, უფრო ძნელი საქმე ჩემთვის ის იყო, რომ 120 ან 100 ათასი მანეთი მეშოვა ეხლავე. ერთი იმ ბანკირთაგანი მირაგდება ამავიცი და, ზვალ, ან ზეგ, პირობას ვწერთ, რომელშიაც მოსხვენებული იქნება, რომ ეს ფული უნდა მომეცეს მე წინდაწინ, იმწამსვე, როგორც ამ ბანკირების გაგზავნილი ინეინერი დეპუტას მოიწერს, რომ ტყიბულს მართლა ნახშირის მადანი და რკინის გზის გაშენება მართლა შეიძლება. კარგად იცი, რომ ეს ნამდვილი და უძვეველია. მაშასადამე, შეიძლება თ ი თ ქ მ ი ს სრული დარწმუნებით ვთქვა, რომ საქმე გავათავებთ, ისე როგორც მინდოდა. მაგრამ უფრო მტკიცეთ ვიტყვი ამას მაშინ, როცა პირობაზე ორივე მხარეს ხელი მოწერილი გვექნება... მანამდე კი, ვინ იცის, რა მოხდება!“.

მართლაცდა „ტყიბულის საქმეები“ ასე იოლად როდი მოგვარებულა, როგორც ამას მკითხველი ამ საკითხისადმი მიძღვნილი თვით ნ. ნიკოლაძის სტატიებიდანაც დაინახავს.

1872 წლის შემოდგომაზე ნ. ნიკოლაძე კვლავ აქართველოშია, მაგრამ დიდხანს არ დაუყვია აქ. 1873 წლის იანვარში იგი ხელახლა მიემგზავრება საზღვაოგარეო. რათა დაამთავროს „ტყიბულის საქმეების“ მოგვარება. ამასთან, კავშირს არ წყვეტს „დროებისთან“, აქვეყნებს მასში სტატიებს, ბევრს ზრუნავს „კრებულის“ მასალების მომზადებაზეც. 1873 წლის 19 თებერვალს, სტამბოლიდან, ნ. ნიკოლაძე ს. მესხს სწერს: „გიგზავნი ხელდახელ კორესპონდენციებს. თუ ძმა ხარ ეს რუბრიკა — „სხვათა შორის“ არ წაშალო, რადგანაც ამნაირი ზედწარწერით მინდა გგზავრის შთაბეჭდილებები გწერო. სხვა გადარჩება ეს სტატია ცენზურას. თუ არა, არ ვიცი, მაგრამ იმას კი გთხოვ. რომ თუ მაინც და მაინც ბევრი რამ წაშალოს ან თლათ ნუ დაბეჭ, ან და შენ თვითონ აავსე წაშლილი ადგილები ისე, რომ აზრის ერთობა არ დიკარგოს... ამას საზოგადოთ ამ სტატიაზე კი არა, ყველა ჩემ სტატიებზე გწერო...“

„დროების“ კოლექცია მოგპარე. ვიცი გეწყინება, მაგრამ რა ვქნა, შენ თითონ მითხარი შეიძლებაო.

„კრებულისთვის“ კრიტიკა ნამეტნათ გრძელი გამოდის, და ამის გამო სანამ არ გავათავებ პირველ ნაწილს (1857—1862) ვერ გამოგზავნი. ეს სტატია მოუვა კირილეს (ლორთქიფანიძეს — დ. გ.) უსათუოდ 28 თებერვალს (ძველი სტი-

ლით), თუ აღრე არა. ეს იმის გამო მომხდა, რომ ზღვაში „ციხურები“ ვერ ჩა-
ვივლდ ხელში, რადგანაც ბაგაეში მოქცეულიყვნენ. ესლა კი იმედია, საქმე აღარ
დაგვიანდება...

კირილეს ასოების დაწერა და გამოგზავნა არ დაავიწყო, თუ ძმა ხარ, აგრეთ-
ვე როგორც „კრებულის“ სათაურის. თუ „დროებისთვისაც“ გინდა, დამიხატეთ
და იმასაც მოვაკრებინებ“.

პარიზში ნ. ნიკოლაძეს მართლაც ბევრი უზრუნია ქართული შრიფტის გა-
შარტივებასა და ქართული სტამბის მოწყობაზე. მას მეტად ხელსაყრელად და სა-
კუროდ მიუჩნევია პეტროგრაფიული ბექდვის დანერგვაც თავის სამშობლოში.
ამიტომაც რომ, თავის ორ ამხანაგთან (დ. მიქელაძესთან და პ. იზმაილოვთან) ერ-
თად, 1873 წლის პირველ აპრილს დაუწვია პეტროგრაფიულად ნაბეჭდი ქართული
„გაზეთის“ „დროშას“ გამოცემა. ეს გაზეთი სულ ათი ნომერი გამოვიდა, გამო-
დიოდა 1 (13) აპრილიდან 11 (23) აპრილამდე და იყო ოთხგვერდიანი (21 X 27);

გაზეთ „დროშის“ პირველ ნომერში ნ. ნიკოლაძე რედაქციის სახელით აც-
ხადებდა: „დროშა“, ქართული სოციალური გაზეთი, გამოიცემა პარიზში 10 დღის
განმელობაში, ყოველდღე, საღამოობით. ამ გაზეთზე არც ხელის მოწერა მიი-
ღება, არც ცალ-ცალკე ფურცლების გამოწერა. ის მარტო რედაქციისათვის იბეჭ-
დება. 10 დღის შემდეგ, ესე იგი 11 (23) აპრილს 1873, „დროშის“ ბეჭდვა მოის-
პობაო“.

ასეც მოხდა. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ დღეს-დღეობით ამ გაზეთის
შხოლოდ სამი ნომერია მიკვლეული და დანარჩენი ნომრების შინაარსი უცნობაა
ჩვენთვის.

პროფ. ს. ხუნდაძისადმი გაგზავნილ ნ. ნიკოლაძის ბარათში, რომელსაც
„დროშის“ ისტორიის მოთხრობა აქვს მიზნად, ვკითხულობთ:

პატივეთმულო ამხ. სიმონ

თქვენ მეკითხებით თუ რა გარემოებებში ებეჭდავდით ჩვენ, პარიზში 1873 წ.
გაზაფხულზე, ქართულ გაზეთ „დროშას“, რომლის პირველი სამი ფურცელი სრუ-
ლიად უცაბედად აღმოვაჩინე წარსულ დეკემბერში „ბრიტიშ მუზეუმი“-ის საწ-
ყობში. სიამოვნებით გაცნობებთ, რომ იმ გაზაფხულზე მოვხვდით პარიზს დათა
მიქელაძე, ქართულ მწერლობაში უფრო ცნობილი „მეველეს“ სახელით, პაკლე
იზმაილოვი, — შემდეგ მყოფი თბილისის ქალაქის თავად, და მე. ამ დროს მე
უმუშაობდი ქართული შრიფტის გამარტივებაზე და ქართული სტამბის მოწყობაზე.
ამ ძიების დროს გავეცანი ახალ აღმოჩენას, რომელიც ერთობ აადვილებდა ლი-
ტოგრაფების მოწყობას და ხმარებას, რაც კავკასიის ხალხების არეულ და მოუწყ-
ყობელ ანაბანებს საშუალებას მისცემდა მოეწყოთ გაადვილებული პროპაგანდა
ახალი ევროპული აზრებისა ადგილობრივ ენებზე. ამ მიზნით განვიზრახეთ და
კიდევ ავასრულეთ, ათი სამაგალითო ფურცელი დაგეგმეჭდა „დროშასი“. გაზეთს
ებეჭდავდით ას-ას ცალს და მუქთად უგზავნიდით ქართველებს და კავკასიელებს,
ვინც გვეგულებოდა ციურჩს, ყენევაში, ვენაში და სხვ. გაგება არ მაქვს ვის
ჩარჩენია და შეუწირავს „ბრიტიშ მუზეუმისათვის“ ის სამი პირველი ცალი
„დროშისა“, რომლის ასლი თქვენ ხელში ვაქვთ.

ვრჩები სრული პატივისცემით

ნ. ნიკოლაძე¹

ამ ბარათით თითქმის კარგად ირკვევა გაზეთ „დროშის“ ისტორია. მაგრამ
ამისათვის, რომ უფრო სრულად გავერკვეთ გაზეთის მიზანსა და დანიშნულებაში

¹ წერილი გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტში“, 1927 წ. № 1835.

(რაც საშრიფტო მეურნეობას გაუმჯობესების ამოცანებს ცილდება), მოვიტანთ ამონაწერებს ამ გაზეთის „წინასიტყვაობიდან“, რომელიც ნ. ნიკოლაძეს ეკუთვნის.

„...დღეს, — ვკითხულობთ აქ, — მთელი ევროპა გაღვიძებულია. ყოველგან ისმის გაუმჯობესების სიტყვა, გაახლების სურვილი სჩანს, ცხოვრების წინ წამყვანი ძალა მოქმედებს და ახალი წესის დაარსება იწყება... ახალი თაობა სამყვირბრების მისაღებათ ირაზმება,—მზადდება ახალი წესი და ვინ იტის როგორი პოლიტიკურა მოვლენები. და ამისთანა დროს ყრუთ და ბრმათ დარჩენა შეცდომაკი არაა მარტო, მძიმე დანაშაულობაა შემდეგი თაობის და ხალხის წინ.

ჩვენ ამნაირი შეცდომის და დანაშაულობის თავიდან აცილება გესურდა, გესურდა ჩვენი ახალგაზრდობისათვის მაგალითით გვეჩვენებია, თუ როგორ შეიძლება ეხლანდელი ცხოვრების დაკვირვება და გაცნობა, ისე რომ კაცს ცხოვრებაში სამოქმედოთ ხელმძღვანელი აზრი და გამოცდილება ჰქონდეს. „დროშას“ მუტი მიზანი არა აქვს.

და თუ „დროშამ“ ჩვენ ახალგაზრდობაში შეერთებული დაკვირვების და დამზადების სურვილი აღძრა, თუ მისი მაგალითი უკვალო და უნაყოფო არ გამოდგა, „დროშის“ მიზანი სრულებით მიღწეული იქნებაო“.

როგორც ვხედავთ, „დროშის“ მიზანი იყო გარკვეული მიმართულება მიეცა ევროპაში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობის სოციალურ-პოლიტიკური მრწამსისათვის; იგი გამოიზნული იყო იმისათვის, რომ მასში გატარებული აზრები მსჯელობის საგნად გაეხადა იმ ახალგაზრდებს, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ 1873 წლის მარტში ციურიხში დაარსებულ საზოგადოება „უღელში“. ამას აღასტურებს ეკატ. მელიქიშვილის მიერ ს. მესხთან 1873 წლის 27 აპრილს მიწერილი ბარათიც, რომელშიც ვკითხულობთ: „თვითონ (ნ. ნიკოლაძე — დ. გ.) აქ არ არის, მაგრამ „უღელის“ პირველი პრატაკოლების შედგენაში და ამ საზოგადოების კანონების დაარსებაში იმისი გავლენის სულაა. „უღელის“ წევრად ითვლება მიქელაძე... ძალიან ამბებში არიან ეს სამნა პირნი პარტეში... ე. ი. ნიკოლაძე, იზმაილოვი და მიქელაძე“.

„დროშას“ აწერია, რომ ის არის „ქართული სოციალური გაზეთი“, მაგრამ ცნება „სოციალური“ რედაქციას და კერძოდ ნ. ნიკოლაძეს ფართო მნიშვნელობით ესმოდათ. ამას აღასტურებს თვით „დროშის“ პირველ ნომერში მოთავსებული ნ. ნიკოლაძის მიერ შედგენილი „წერილი ამბები“, რომელშიც ვკითხულობთ: „ამ მოკლე ხანში გამოვიდა გამოცხადება ახალი რუსული ეურნალის გამოცემაზე სამზღვარს გარეთ, სახელათ „წინ“ (Вперед). ეს ეურნალი რუსულმა წრემ უნდა გამოსცეს, რომელსაც სოციალური მიმართულება აქვსო, და პოლიტიკური კითხვების უწინ სოციალური საგნების გამოკვლევა უნდაო. ჩ ვ ე ნ კ ა რ გ ა თ ა რ გ ვ ე ს მ ი ს ი მ კ ა ც ე ბ ი ს ა ზ რ ი, რ ო მ ე ლ ნ ი ც ა მ ო რ კ ი თ ხ ე ვ ე ს ა ც ა ლ - ც ა ლ კ ა ვ ე ბ ე ნ, თ ი თ ქ ო ე რ თ ი უ მ ე ო რ ო თ შე ი ძ ლ ე ბ ო დ ე ს. მაგრამ ვნახოთ, რაში მდგომარეობს ამ ყმაწვილების „სოციალიზმი“.

ჩვენ მიერ აქ გახაზული ფრაზა საინტერესოა არა მარტო „დროშის“ შინაარსის გასათვალისწინებლად, არამედ ნ. ნიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების გასაგებადაც საერთოდ.

„დროშის“ მოღწეული ნომრების მიხედვით, ნ. ნიკოლაძის მასში გამოუქვეყნებია უაღრესად საინტერესო წერილები: „ეკლესია და სახელმწიფო“, „აღდგომა“, „საფრანგეთის გარეგანი პოლიტიკა“, „პარტიული დისციპლინა“, „თანამედროვე სურათები“ და სხვ.

წერილში „პარტიული დისციპლინა“, ნ. ნიკოლაძე, საფრანგეთის რესპუბლიკური პარტიის მაგალითზე, ახალგაზრდობას აჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიულ დისციპლინას, ერთობლივ მოქმედებას და უმრავლესობის აზრის პატივისცემას. ამასთან, გარკვევით მითითებს იმაზეც, რომ ეს არ გულისხმობს საკუთარი აზრის უარყოფას და მისდამი უპატივცემლობას. „...ეს იმას კი არ ნიშნავს, — ამბობს ნიკოლაძე, — რომ თითოეულ წევრს თავისი აზრი დამალული უნდა ჰქონდეს და სხვისი ქვეით უნდა ხელმძღვანელობდეს. არა. ყველას ნება აქვს გაზეთებში, წიგნებში და სახალხო კრებებში თავისი აზრი აერცელოს, თავისი შეხედულება გამოთქვას, სხვის მოაზრებას წინ აუდგეს და თ ე ო რ ი უ ლ ა დ რ ა ც უ ნ და ის იქადაგოს. მისი საქმეა მკითხველი საზოგადოების და ხალხის თავისკენ გადაყვანა, თავის აზრზე დაყენება. მაგრამ როცა საზოგადო მოქმედება საჭიროდ ზდება, ყველამ თავისი საკუთარი კერძო შეხედულება და უთანხმოება უნდა დაივიწყოს საერთო, უმრავლესობის აზრის ასრულებაში მოსაყვანათო“.

ამ სიტყვებით ნ. ნიკოლაძე თავის ხასიათსა და მოქმედებასაც ამომწურავად გვაცნობს, იგი აქ წამოყენებული პრინციპის დამკვიდრებელი და გამტარებელი იყო. ამიტომ, ამ შეხედულებების შექმნა უნდა იქნას შესწავლილი მისი ბევრი მხარდაჭერისა, თუ უთანხმოების მიზეზები თავის კოლეგებთან.

1873 წლის მაისში ნ. ნიკოლაძე კვლავ თბილისში დაბრუნდა. დაბრუნებისას იგი ბეჭითად გაუჩხრეკია პოლიციას და „მის ბარჯში უპოვიათ ლითოგრაფიული დაზგა და ორი ფუთი წიგნები, უმთავრესად, სოციალისტური შინაარსისა, რომელთაგან უმეტესობა აკრძალული იყო. უპოვიათ, აგრეთვე, სამი ოქმი ციურჩის ქართული საზოგადოების „უღელის“ კრებებისა. ამიტომ, 1873 წლის აგვისტოში, მას ხელახლა აეკრძალა მისთვის მიჩენილი საცხოვრებელი ადგილიდან გასვლა“¹.

გაჩხრეკის შედეგად პოლიციამ მას ბევრი რამ ჩამოართვა, მათ შორის „ლითოგრაფიული დაზგაც“, რომლითაც ის პარიზში გაზეთ „დროშას“ ბეჭდავდა. როგორც ჩანს, ამ დროს ჩამოართვეს მას „დროშის“ კომპლექტიც, რომელიც დღემდე არაა მიკვლეული.

თბილისში ნ. ნიკოლაძე თანამშრომლობას აგრძელებს გაზეთ „დროებაში“, „ტიფლისკი ვესტნიკში“ და ჟურნალ „კრებულში“. მისი სხარტად დაწერილი სტატიები დიდ მოწონებას იმსახურებდნენ და განსაკუთრებული გაკლენა ჰქონდათ ახალგაზრდობაზე.

ცნობილი ქართველი ჟურნალისტი ი. მანსვეტაშვილი, იგონებს რა ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობას 70-იან წლებში, ამბობს: „...მეტადრე დიდი გაკლენა ჰქონდა ჩვენზე ნიკო ნიკოლაძეს. მისი სიცოცხლით სავსე წერილები, მისი მწვავე მთარახები მოწინააღმდეგის მიმართ, მისი მახვილი, ბასრი კალამი დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა ჩვენ გულში. ყველა ჩვენგანი ცდილობდა მოჰყოლოდა იმ წრეში, რომელსაც ხელმძღვანელობდა დ. გურამიშვილი, ნ. ნიკოლაძის ცოლის ძმა, იმ იმედით, რომ იქ თვით ნიკოლაძესაც ვნახავდით, პირდაპირ ვნახავდით და მის ცოცხალ სიტყვას მის საკუთარ პირიდან ვაევიგონებდითო“.

ნ. ნიკოლაძე 70-იან წლებში, მართლაც, ერთ-ერთ ყველაზე მთავარ როლს ასრულებდა ქართული საზოგადოებრივი აზრის წარმართვის საქმეში. მისი მახვი-

¹ Г о л и ц и н, «История социально-революционного движения в России», 1887 г.

ლი კალამი თითქმის ყველა საინტერესო საკითხს ეხებოდა და შესაფერ კაშუქებას აძლევდა. ამ „დაუღეგარი ვეფხის“ ცხოვრება ნამდვილად ბრძოლა იყო. სხვა არაფერ გვეგულება იმ დროს, რომელსაც ნ. ნიკოლაძისოდენი პოლემიკა. გადაეხადოს და ამ ბრძოლებს მხოლოდ მისი სილიადე გამოეშარავებინოს. მას ვერც დროებითი მარცხი აშინებდა და ვერც გამარჯვება ახვევდა თავბრუს; იმოდენად ღიმი, კეთილშობილი და პატრიოტული იყო მისი მიზნები, რომ ნაადრევად შიანდა მწუხარებაც და სიხარულიც.

ამჯერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს ნ. ნიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკური კრედოს გარკვევა, მაგრამ მისი ცხოვრების დახასიათებისას ძნელია გვერდი აუაროთ იმ ურთიერთობას, რომელიც მასსა და მის თანამედროვე მოღვაწეთა შორის არსებობდა.

თავის საერთო პროგრამიდან გამომდინარე, ნ. ნიკოლაძე მეტად ღიდ შნიშვნელობას აძლევდა საზოგადოებრივ-სამოღვაწეთ ასპარეზზე ნიჭიერი და საქმიანი ახალგაზრდობის გამოჩენას. ამ უკანასკნელთა შრომაზე, მისი შეხედულებით, ბევრად იყო დამოკიდებული ქართველი ხალხის მომავალი ცხოვრება. ამ ცხოვრების ხასიათი. ამიტომ ის საჭიროდ თვლიდა ობიექტური კრიტიკის საგნად გამხდარიყო ყველა მოღვაწის აზრი და ნამოღვაწარი, ყველას მიზლოდა საქმის და არა ერთხელ შექმნილი ავტორიტეტის მიხედვით. ამ მხრივ იგი დაუზოგველი და პირდაპირი იყო და თუ თვითონაც ცდებოდა, ცდებოდა გულწრფელად და არა პირადული თავმოყვარეობიდან გამომდინარე; სხვისი აზრის კეშმარტი პატივისცემელი ბრმად არაფერს იღებდა და არავის აყებოდა. ამის ნიმუშია თუნდაც მისი პოზიცია იმ აზრთა სხვადასხვაობის დროს, რაც ქართველ ინტელიგენციას შიიქნა, იმპერატორ ალექსანდრე მეორისადმი მისართმევე ადრესთან დაკავშირებით. ამ დროს იგი თითქმის სრულიად მარტო დარჩა. არც ძველი და არც ახალი თაობის წარმომადგენელთა წინადადებები არ მიიჩნია მან გამართლებულად და თავისი საკუთარი შეხედულება გამოთქვა.

ეს დავა არ ყოფილა მცირე შნიშვნელობის. იგი, როგორც ცნობილია, გახდა საბაბი თაობათა იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის განახლებისა 70-იან წლებში. ამიტომ უკეთესი იქნება მოვესმინოთ თვითონ ნ. ნიკოლაძეს: „Осень... 1871 года, — წერს იგი, — значительное оживление в местную жизнь внесено было посещением Кавказа императором Александром вторым. Тут впервые возник разлад между мною и значительной частью местной интеллигенции. На совещании о содержании адреса, который должен был быть подан царю, я доказывал, что нужно домогаться только земства. Местные тузы стояли за кадетский корпус, а интеллигенция высказалась за университет. Видя, что в ней мало кто имел понятие о земстве и его необходимости, я составил статью, помещенные в грузинской «Сельской газете» и изданные затем два раза отдельной брошюрой. В «Кребули» я, впрочем, дал место и статье Г. Церетели об университете, подчиняясь, как всегда, решению большинства, высказавшегося против моего предложения, никем не признанного не только тогда, но и много лет спустя, несмотря на всевозможные мои доказательства, что это неизбежно первый шаг, первая ступень развития страны, что без него, до него, никакого прочного улучшения народного быта достигнуть невозможно, так как нельзя народу расти без дорог, школ, врачей, кредита, организации, а все это дается только земством, к тому же дисциплинирующим его, приучающим его исподволь к само-

управлению, самостоятельности. Все было все: я был в такой степени одинок, в отношении этого дела, что на общих собраниях грузинского дворянства за асмство, кроме меня, решительно никто не высказался»...

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ნიკოლაძე შემდეგაც მტკიცედ იცავდა აქ გამოთქმულ შეხედულებას, განცალკევებით ყოფნას მაშინ მან ამჯობინა მხარი დაეჭირა ახალთაობის იმ წარმომადგენლებსათვის, რომლებიც უნივერსიტეტის გახსნას ითხოვდნენ, რათა მათი წინადადების მიღება მაინც უზრუნველყო, თუმცა ბ. ლობერიძის დალატმა კვლავ ძველი თაობის სასარგებლოდ გადაწყვიტა საქმე.

ჩვენ უკვე ვიცით. თუ როგორი დიდი პრინციპულობითა და გაბედულობით ეპაექრებოდა სრულიად ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძე ისეთ ცნობილ მოაზროვნეებს, როგორნიც იყვნენ გერცენი, ოგარიოვი, ბაკუნინი და სხვები; ვიცით ისიც, თუ როგორი ნაყოფიერი მოღვაწეობის გზა განვლო მან სამშობლოში დაბრუნებამდე. ყოველივე ეს გასაგებსა ხლას იმას, თუ რა გამოძახილი და მნიშვნელობა ჰქონდა ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტური და კრიტიკული წერილების სასტემბატურ გამოჩენას უშუალოდ ქართული პრესის ფურცლებზე.

პირველი, რასაც ნ. ნიკოლაძემ იმთავითვე მიაქცია ყურადღება, ეს იყო ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობა და მისი გარდაქმნისათვის მიმართულ ღონისძიებათა რაობის გარკვევა. კერძოდ, განსაკუთრებული ინტერესით სწავლობდა ის ქართველ მოღვაწეთა საქმიანობას და მათ იღვეურ მრწამსს. მაგრამ, როგორც ჩანს, მეტად არასახარბიელო შთაბეჭდილება დაუტოვებია მასზე ძველ მეგობრებთან შეხვედრას და მათ საქმიანობაზე დაკვირვებას. სტატიაში — „ძველი მეგობრები ახალ კანში“¹ ნ. ნიკოლაძე უკარად ლაპარაკობს ამ შთაბეჭდილებების შესახებ. მისი ძველი მეგობრები, — როგორც თვითონ ამბობს, — „ღიღაკობას და სიამოვნებას შეჩვევიან და შუგ ნიჭი და ახალგაზრდობა ჩაუღუპათ“; თვით საზოგადოებაც თითქოს შეუცვლელია, ნაცვლად საერთო საქმისათვის თავდადებული ადამიანებისა, დღეს ის — პირადი ცხოვრებით გატაცებულთ უღიმის.

ნ. ნიკოლაძე, რომელიც „დროებისა“ და „კრებულის“ არაოფიციალური რედაქტორი გახდა, ზევრს სხვა საინტერესო შეხედულებას აცნობს მკითხველს ამ პერიოდში. მაგრამ, ამჯერად, ჩვენ გვაინტერესებს, თუ რა შეხედულებისა იყო ის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ქართული საზოგადოებრივ აზრში მომხდარი განხეთქილების შესახებ.

როგორც ვიცით, ნ. ნიკოლაძე, თავის აღრეულ წერილებში, არცთუ იშვიათად იზიარებდა ხოლმე იმ შეხედულებას, რომლის მიხედვით მიუღებელი საზოგადოებრივი წყობილების შეცვლა, პირველყოვლისა, ხალხის ზნეობრივი და გონებრივი განვითარების წყალობით უნდა მოხდეს; თუმცა მას აროდეს არ გამოუტიხხავს ბრძოლის საპირობა. 70-იანი წლების ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში ნ. ნიკოლაძე კიდევ უფრო აზუსტებს თავის სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებებს და ხშირ შემთხვევაში თავს აღწევს აღრე დაშვებულ ბუნდოვნებებს. კერძოდ, ის უკვე გარკვევით მიუთითებს, რომ — „ხალხის ზნისა და ჩვეულების შეცვლაში ან გაუმჯობესებაში უმთავრესი გავლენა ამ ხალხის მდგომარეობას და წყობილებას აქვს, ... საზოგადოების ზნეობითი აღზრდა საზოგა-

¹ „დროება“, 1870, № 23.

დოების წყობილების და მდგომარეობის გაუმჯობესებას მოსდევს, უამისოდ კი სრულიად შეუძლებელია...¹.

საგულისხმოა ისიც, რომ ნ. ნიკოლაძეს ვერ აკმაყოფილებს ვერც ძველი და ვერც მისდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმები. მას სჯერა რომ ჭერჯერობით ვერცერთმა ხალხმა ვერ შეძლო თავისი ცხოვრების იმგვარად მოწყობა, რომელიც შეესატყვისებოდეს მის მისწრაფებასა და იდეალს. მართალია, იმდროისათვის ის უფრო მისაღებ ფორმად თვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკას, მაგრამ შორსაა იმისგან, რომ მასში დაინახოს საზოგადოებრივი ცხოვრების უმაღლესი ფორმა. „კაცობრიობას,—წერს ის,—არც ერთი გაწყობილება, არც ერთი ჩვეულება არ ჰქონია და არც ეხლა აქვს ისეთი, რომ სამუდამოდ კეთილი და შეუცვლელა გამოსადეგი ყოფილიყო... ყოველიფერი ნიადაგ უნდა იცვლებოდეს, ახლდებოდეს და უმჯობესდებოდესო“².

ნ. ნიკოლაძის თქმით, იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება გაცილებათ მაღალ დონეზე იდგა, ვინემ ძველი, „მაგრამ როგორც კი... მომავლისაკენ თვალს მუვაქცევთ, ოჰ, რა ბნელი და ნაკლულოვანი გვეჩვენება ჩვენ მაშინ ეხლანდელი მდგომარეობა, რამდენს უხეირობას დაენახავთ ჩვენ შიგ... და რამდენი ცუდილება გამოგვიჩნდება მაშინ აუცილებელ საკიროთ“.

ნ. ნიკოლაძეს ფანტიკურად სწამს, რომ კაცობრიობა ოდესღაც მაინც მიადრწევს სასურველ მომავალს, როცა უკვე ადგილი აღარ ექნება ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრასა და დამცირებას.

ნ. ნიკოლაძე თავის სტატილაში — „კრებულის“ დანიშნულებაზე“, კონკრეტულად მსჯელობს ქართული პრესის და ქართველ მოღვაწეთა მოვალეობაზე. ის დასცინის მალთუსის „თეორიას“, რომელიც მთელ უბედურებას ადამიანთა გამრავლებაში ხედავს და მიუთითებს, რომ სიმშობილათ ხშირად უფრო მეტად იქ იხობებიან, სადაც სიმდიდრე შედარებით ქარბადააო. ყოველივე ეს, მისი თქმით, შედეგია „უთავებოლო ან უხეირო გაწყობილების“.

ქართველ მოღვაწეებს და ქართულ პრესას ნ. ნიკოლაძე მიზნად უსახავს გააცნონ საზოგადოებას „ბუნების მეცნიერება“ და „საზოგადოების მეცნიერება“ (общественная наука). „საზოგადო ცხოვრებაში, — ამბობს ის, — არაფერი ხდება უეცრათ და უმიზნოთ, ისე რომ საზოგადო ცხოვრების ნიადაგ და შეუცვლელ კანონებს არ ემონებოდეს. და როგორც ბუნებაში ერთ მოვლენას ათასნაირ სხვა მოვლენათან კავშირი და დამოკიდებულება აქვს, ისე საზოგადო ცხოვრების მოვლენები ერთმანეთში ჩართული და ერთი მეორეზე დამოკიდებულნი არიანო“.

საზოგადოებრივი მეცნიერებათა მიღწევების გაცნობა, ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, გაუადვილებს ჩვენს ხალხს გაითვალისწინოს ყოველივე ეს და გამოძებნოს საზოგადოებრივი წყობილების სასარგებლო ფორმა. იგივე მეცნიერება დაეხმარება მას გამოიყენოს ადგილობრივი პირობებიც, ურომლისოდაც შეუძლებელია ამა თუ იმ ფორმის შესაფერად მოხმარება. „ყოველი ხეირიანი ეურნალის დანიშნულება, — შენიშნავს ბოლოს ნ. ნიკოლაძე, — იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადო მდგომარეობა გამოხატოს და საზოგადო მიზანს მიუახლოვოს თავის საზოგადოება“.

¹ „დროება“, 1870, № 20, 21.

² „დროება“, 1871, № 1.

ამ მიდგომით იხილავს და აფასებს იგი ქართველ მოღვაწეთა ძველი და ახალი თაობის საქმიანობასაც, რაზეც ის დაწერილებით ჩერდება სტატიებში: „ჩვენი ახალგაზრდობა“¹ და „ახალი ახალგაზრდობა“².

სტატიაში — „ჩვენი ახალგაზრდობა“ ნ. ნიკოლაძე იმ შეხედულებას გამოთქვამს, რომ ახალ თაობას სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა მოუხდა იმ დროს, როცა „საზოგადო აზრში დაკარგულიყო ნათელი გარკვევა კეთილსა და ბოროტს შუა“; როცა „საზოგადოებაში თანდათან უფრო და უფრო გამრავლდნენ ისეთი პირები, რომელთაც შეძლების და ქონების მეტი ღმერთი არ ჰყოლიათ არც ამ ქვეყანაზე, არც ზეის...“

ასეთი ვითარება, მისი შეხედულებით, ორმა საყურადღებო მოვლენამ შეარყია და შეცვალა კერძოდ, გლახთა განთავისუფლებამ და ქართველი ახალგაზრდობის ლტოლვამ რუსეთის უმაღლესს სასწავლებლებში, სადაც ისინი ხედებოდნენ ისეთ ადამიანთა შორის, რომლებიც სრულიადაც არ ფიქრობდნენ, რომ „ეხლანდელი წესები და ჩვეულებები შეურყეველი უნდა დარჩნენო“. მაგრამ დიდი ნაწილი ამ ახალგაზრდობისა მაინც დიპლომის და შემდეგ თანამდებობისათვის ცდილობდა. საზოგადო საქმისათვის კი მხოლოდ მცირე ნაწილი ფიქრობდა, ამიტომ, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ბევრი მათგანი მხოლოდ სიტყვიერ ღაუბიერებასა და ძველ თაობას, საქმით კი — თვითონაც პირადი უზრუნველყოფისათვის ცდილობდა.

ახალი თაობის მთავარ ნაკლად ნ. ნიკოლაძე აღებ-მიცემობის, ეაქრობა-მრეწველობის განვითარებისადმი უყურადღებობას თვლის. ახალი თაობის ისტორიულ მოვალეობად მას მიაჩნდა ქვეყნის სამეურნეო და სამრეწველო აღმავლობის სათავეში ჩადგომა, ბრძოლა — შესაფერ სპეციალისტთა მომზადებისათვის. ის უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ჩვენში არაის ესმის ეაქრობის ნამდვილი დანიშნულება და მნიშვნელობა. ეაქრობას, მისი თქმით, ბევრი სპეკულაციასა და მყიდველის მოტყუებას ეძახის, რაც ღარი შეცდომაა. ის მოითხოვს, რომ ეაქრობას სათავეში ჩაუდგნენ პატიოსანი ადამიანები, რომლებსაც მუდამ ეხსომებათ თავიანთი ქვეყნისა და ხალხის ინტერესები. ასეთი ეაქრობა კი თავის ქვეყნიდან გაიტანენ მას, რასაც ჩვენში ვასავალი არა აქვს და შემოიტანენ მას, რასაც ჩვენი ხალხი საჭიროებს. ერთი სიტყვით, ის მოითხოვს ფართო აღებ-მიცემობის განვითარებას და ამ საქმის სათავეში პატიოსან ადამიანთა ჩადგომას. ნ. ნიკოლაძე, ცხადია, სწორად ვერ ითვალისწინებს, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში „პატიოსან ეაქრობასა“ და „პატიოსან ეაქრობებზე“ ფიქრი მხოლოდ ილუზიაა. მაგრამ მისი ასეთი პრიციპული მოთხოვნა ეაქრობა-მრეწველობის განვითარებასა და სამეურნეო-ტექნიკურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ გამოხატავდა იმდროინდელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ მოთხოვნებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სტატიაში — „ჩვენი ახალგაზრდობა“ ნ. ნიკოლაძემ ვერ მოგვცა ძველი და ახალი თაობის ისტორიული როლისა და დამსახურების ამომწურავი და დამაჯერებელი შეფასება. ამიტომ, რომ ამ საკითხს, უფრო ღრმად და საფუძვლიანი გარკვევის მაზნით, ის კვლავ დაუბრუნდა სტატიაში — „ახალი ახალგაზრდობა“.

¹ ჟურნალი „ქრებული“, 1871, №2.

² იქვე, 1873, № 1

აღნიშნულ სტატიაში ნ. ნიკოლაძე იმ შეხედულებას ავითარებს, რომ ძველი თაობა უკვე დამარცხებულია და მან უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობა; საზოგადოების ძველ წინამძღოლთ ახალი ცხოვრების სინამდვილემ ღირსება და ავტორიტეტი დაუკარგათ. „ამ სასიამოვნო უბედურებას, — ამბობს ის, — ვერც ამითმა კადარა თმამ უშველა, ვერც ძველმა დაღებამ. ყველაფერი შემუსრა... ახალმა დროებამ და მისმა დაუზოგველმა „მოთხოვნილებამ“.

ნ. ნიკოლაძე ძველ თაობას, ამჟერადაც საზოგადო მიზნის უქონლობასა და საერთო ინტერესების უგულვებელყოფას უსაყვედურებს. კონსერვატიზმით: თვალახვეული ძველი თაობა, შენიშნავს ნ. ნიკოლაძე, მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა ყირიმის ომის შემდეგ, როცა „ხალხმა და საზოგადოებამ იგრძნო და დაინახა, რომ საზოგადოებრივი წესი და წყობალება ადამიდან შეუტყველი და ხელუხლებელი კი არ ყოფილა, ის თურმე კაცის ხელით შექმნილა და კაცის ხელით შეცვლილა“. განსაკუთრებული შეშფოთება კი ამ თაობის წარმომადგენლებმა, მაშინ იგრძნეს როცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები მათ ჭიბეებსაც შეეხო.

ძველი თაობის „ჩაქოლებისა და დამხობის მიზეზი“, — ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, — უფრო ცხოვრების და გარემოების ძალა იყო, ვინემ ახალი თაობის მოქმედება და ბრძოლა“. თვით ახალ თაობას ბევრი რამ აკლდა იმისათვის, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობის როლი ეთამაშა ჩამორჩენილი საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლისა და მისი ახლებურად წარმართვის საქმეში. და ეს იმიტომ, რომ „ამ თაობას, ამ ახალ რაზმს შეადგენდა თითქმის მარტო ერთი კაცი — ილია ჭავჭავაძე, რომელიც წინამძღოლიც იყო და რაზმიც; ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ურაზმიც წინამძღოლიც იყო იმ ახალი თაობისა, რომელსაც ჩვენს ცხოვრებაში ფეხი უნდა შემოედგა“. ამასთან, ამ თაობას „გაცნობილი არ ჰქონდა პრაქტიკული ცხოვრება“, არ იცოდა „რანაირ მოქმედებას და დისციპლინას თხოვლობს ბრძოლის საქმეობა, ის ერიდებოდა ძველ თაობას, ან, მართალი ვთქვათ, ეშინოდა მისი. მარტო ერთი მხრით შეეძლო ამ თაობას ძველის დასაჯვრა და დათრგუნვა, იმ მხურვალე სიყვარულით, რომელიც ახალგაზრდა გულში უნდა ღვიოდეს საზოგადო ბედნიერების და საქმისადმი. ამ გრძნობამ, ამ სიყვარულმა აამაღლა ეს თაობა საზოგადოების თვალში და შეაესო მისი ნაკულუევანება ცხოვრების ცოდნაში“.

ნ. ნიკოლაძე უდავოდ მართალია იმაში, რომ ახალი თაობის „ნიკიერ და გონიერ წარმომადგენელს — ილია ჭავჭავაძეს — დამხმარე და თანამოაზრე ბევრი არაიქნე ყავდა“, რომ იგი პირველად „წინამძღოლიც იყო და რაზმიც“, მაგრამ, როგორც ვიცით, მას მალე ამოუღდა მხარში ის რაზმი, რომლის წინამძღოლიც იყო სინამდვილეში; ამ რაზმში კი ნიკიერი და ღირსეული თანამებრძოლები აღმოუჩნდნენ. მართალია, ისინი ბევრნი არ ყოფილან, მაგრამ მათი ერთობლივი და გაბედული მოქმედება ამ ხარვეზს აესებდა. ამ რაზმის ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენელი — ა. წერეთელი ამასთან დაკავშირებით შენიშნავდა: „როცა მე და ჩემი ამხანაგები სამოქმედო ასპარეზზე გამოვედით მესამოცე წლებში, ისე ცოტანი ვიყავით, რომ იძულებული შევიქენით ერთად გველო, ბავშვებივით ერთმანეთს ვებლაუქებოდით და ეს იმიტომ, რომ ისედაც მცირე გუნდა კიდევ უფრო არ დაქუცმაცებულიყო“¹.

მაგრამ სიმცირე მოწინავე იდეებით შთაგონებული მოღვაწეებისა იგრძნობოდა არა მარტო საქართველოს სინამდვილეში, არამედ რუსეთშიც.

¹ ურნალი „ქლდე“, 1913, № 6.

რაც შეეხება ი. ჰავეკაძისა და მას თანამოაზრეთა ბრძოლას ძველი თაობის წინააღმდეგ სამოციან წლებში, შეუძლებელია მას ვუწოდოთ გაუბედავი, ისევე, როგორც ახალი თაობის წარმომადგენლებს შეუძლებელია დაეწამოთ შიში მოწინააღმდეგეთა მიმართ. ამ შემთხვევაში, ნ. ნიკოლაძე სწორად ვერ გამოხატავს ისტორიულ ფაქტებს. ეს ჩანს თვით მისი სხვა სტატიიდან, რომელშიც ვკითხულობთ: „1863 წ. ილია ჰავეკაძემ დაიწყო „საქართველოს მოამბის“ გამოცემა. ეს არ ახსოვს ეს წელიწადი, როცა ერთი მხრივ ჩვენი ცხოვრება თავის უწინდელ კალაპორტს ცვლიდა და ახალში შესვლას აპირებდა... ესაა როცა მეორეს მხრივ ატყდა სასტიკი ბრძოლა ახალგაზრდობისა, ესე იგი ახალი ცხოვრების, და ძველი კაცობის, — ესე იგი ძველს წესს და სჯულს შუა?.. რაც კი რამე იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნეთ ეკავა ი. ჰავეკაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეაფარა „ციხიარში“ და ამნაირათ იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბესა“ და „ციხიარს“ შუა, ჩანდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდუღდა ძველს და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში...“

დღეს ჩვენ ყველანი ვხედავთ, თუ რას ნიშნავდა „საქართველოს მოამბის“ საქმე, მაგრამ არც 1863 წ. იყო ეს დაფარული ვისმისთვის. ყველა გრძნობდა, ყველამ იცოდა, რომ „საქართველოს მოამბეს“ უნდა ჩაედგა ჩვენი ახალგაზრდობისათვის ახალი დროების სული, ეჩვენებინა ახალი სასიყვარულო მიზანი: მამულის, საზოგადოების სიყვითლე და ღირსება¹.

სტატიაში — „ახალი ახალგაზრდობა“, ნ. ნიკოლაძე გადაქარბებულ სიმკაცრეს იჩენს ახალი თაობის მიმართ პრაქტიკული ცხოვრებისათვის მისი მზადყოფნის შეფასების საქმეშიც. ი. ჰავეკაძე და მისი თანამებრძოლები არც ამ მხრივ ყოფილან ჩამორჩენილნი თავიანთ ეპოქას. მაგრამ ნ. ნიკოლაძე იეიწყებს იმ საგრძნობ განსხვავებას, რაც უდავოდ არსებობდა საქართველოს სოციალურ ცხოვრებაში, ერთი მხრივ, სამოციან და, მეორე მხრივ, სამოცდაათიან წლებში.

ი. ჰავეკაძე და მისი თანამებრძოლები „მარტო კეთილი გულისა და პატიოსანი სურვილის“ წყალობით ვერ გაიმარჯვებდნენ ძველ თაობასთან ბრძოლაში და მხოლოდ ამის გამო ვერ დაიმასხურებდნენ თავიანთი ხალხის საერთო სიყვარულს. გადამწყვეტი ფაქტორი ამ შემთხვევაში ისაა, რომ მათი „კეთილი გული და პატიოსანი სურვილი“ განმტკიცებული იყო ცხოვრების სინამდვილის ცოდნით და ცხოვრების მოთხოვნილებათა სიმალღეზე დგომით.

ერთგვარი ცალმხრივობა, რომელიც უდავოდ იგრძნობა ნ. ნიკოლაძის ზოგიერთ სტატიაში ახალი თაობის მიმართ („ჩვენი ახალგაზრდობა“, „ახალი ახალგაზრდობა“), პირველყოფისა, იმით აიხსნება, რომ ნ. ნიკოლაძე წინ სწევს ეპრობა-აღდგომის ეპოქის საქმისადმი სათავეში ჩადგომის საკითხს, რომლისთვისაც, მისი აზრით, უფრო მომზადებულია ის ახალგაზრდობა, რომელიც 70-იან წლებში გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე.

ნ. ნიკოლაძე თავის თავს, ცხადია, 1861 წელს გამოსული თაობის წარმომადგენლად თვლის და ამდენად მისი კრიტიკა თვითკრიტიკაცაა, მაგრამ სწორედ ამაშია მთელი საიდუმლოება. თავისი თაობის ნიჭიერ და საიმედო წარმომადგენლებს ის მოუწოდებს ხელი გაუწოდონ „ახალ ახალგაზრდობას“ და მათთან ერთად აღასრულონ მათზე დაკისრებული მისია. ამიტომაც, რომ, როცა იგი აკრიტიკებს

¹ ჟურნალი „კრებული“, 1872, № X—XI—XII.

ქვეყანას თაობას, თვით ი. ქვეყანაძეს მოწოდებით იხსენიებს. ნ. ნიკოლაძე ვარაუდობს, რომ სამოციანელთა რაზმის სუსტი და უყარათო წევრები უნდა წევვალის ახალი ცხოვრების ძეშუთი გამოზრდილმა თაობამ. საკუთარ თავს ის მათ წინამძღოლად და გზის მაჩვენებლად თვლის.

ასეთი თვალსაზრისი მარტო ნ. ნიკოლაძეს როდი აქვს ამ დროისათვის. ასე ფიქრობენ ს. მესხი და გ. წერეთელიც.

1872 წელს გაზეთ „დროებაში“ ს. მესხმა გამოაქვეყნა სპეციალური სტატია — „ახალი მიმართულება ჩვენი ახალ-თაობისა“, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალი თაობის გარკვეული ნაწილი ახალი გზის გამონახვისათვის იბრძვის და ეს გზა კედეაც გამონახეს.

1861 წელს გამოსულ თაობას, ს. მესხის აზრით, იმგვარი განათლება ჰქონდა მიღებული, რომ მისი წარმომადგენლები ან ჩინოვნიკები უნდა გამხდარიყვნენ, ან სულ ტყუილბრალოდ ევლოთ. და ეს იმიტომ, რომ — ამბობს ს. მესხი — ერთს ხეირიან მეოჯახეს, მეურნეობას მცოდნესა, ერთს რაიმე საგნის მწარმოებელს ვერ ნახავთ ჩვენ შორის. იშვიათად ნახავთ ისეთს ახალგაზრდა ნასწავლს, რომელსაც თავის სწავლა რომელსამე კერძო საქმის დაწყებაში გამოეყენებინოსო¹.

მაგრამ ახალი თაობა, ს. მესხის თქმით, დარწმუნდა თავის ცალმხრივობაში, რის გამო „შეუდგა ახალი გზის მონახვას და, ამ ახალი თაობის საქებრად უნდა ესთქვათ, რომ ეს ახალი გზა იმათ მალე მონახეს, ეს გზა — დასავლეთ ევროპის გზა არის“².

ამგვარად, ს. მესხის შეხედულებით, ახალმა თაობამ, უფრო სწორად, მისმა მოწინავე ნაწილმა მონახა „ახალი გზა“. ამ ახალ გზას, როგორც ვხედავთ, ის უწოდებს დასავლეთ ევროპის ცხოვრებისა და მეცნიერების გაცნობას და მის მიღწევათა ჩვენში გადმოტანას.

70-იანი წლების ევროპას ს. მესხი ამავე პერიოდის რუსეთზე მალა აყენებს. იქ უფრო მეტ სასარგებლოს ხედავს თავისი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის. თავისუფლებისათვის მებრძოლი ფრანგი ხალხი და კომუნარტა სამშობლო — საფრანგეთი მის პოლიტიკურ ხედვას ყველაზე მეტად აკმაყოფილებს. ეს აზრი მას არ შეუცვლია ევროპაში მოგზაურობის შემდეგაც³.

ნ. ნიკოლაძე, ცხადია, ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ასეთი შეხედულებები იქადაგა 70-იან წლებში. მაგრამ სანამ კონკრეტულად შეეხებოდნენ იმ მიზეზს, რამაც მას ევროპულ განათლებაზე კურსის აღება გადააწყვეტინა, საქმე არა დაეუბრუნდნენ თაობათა შესახებ მისი კონტეფციის განხილვას.

ნ. ნიკოლაძე თვლის, რომ 70-იანი წლებისათვის ძველი თაობა ყოველმხრივ გაკოტრებული და უმწეოა, მას აღარ ძალუძს აღარც ბრძოლა და აღარც მოქმედება. ძველი თაობა, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — „რა საუნჯეს დაგვანახებს, რომელ გმირს წარმოგვედგენს, როგორ ლიტერატურულ მოძრაობას, რომ ჩვენი გაკაცება და გაახლებობა სურვილი წალაგმოს? არაფერს, არცერთს, ის ხელცარიელია, გაკოტრებულია... იმას თვითონ აღარ სწამს თავისი საკუთარი ღმერთები. იმას საკუთარ თვალში მოკვდომია თავისი რწმუნება და იმედი. ვინ იხსენებს დღეს ანტონ კათალიკოსს და მის მსგავს კერაბებს? ვინ გაბედავს მისი სახელით თანამედროვე მეცნიერების შეურაცხყოფას?“.

¹ ნაწერები სერგი მესხისა, 1903, ტ. I, გვ. 107.

² იქვე, გვ. 104.

³ იხ. მისი სტატია — „ხამი მოგზაურის შენიშვნები და ფიქრები“ (1874 წ.).

მაგრამ, ნ. ნიკოლაძის თქმით, „ახალმა მეცნიერებამ ჩვენსი მართო ცალი ფეხი შემოღდა, ის შემოვიდა... მართო თავისი ტექნიკური მხრით. შემოვიდა რკინის გზით, ტელეგრაფით, ცეცხლის გემით და სხვა“. ეს გარემოება, მართალია, ბევრ ცრუ რწმუნას სპობს და ღრმად სცელის ადამიანების აზრსა და მოქმედებას; მაგრამ მაინც არაა საკმაო. „არის ისეთი მხარე თანამედროვე მეცნიერებისა, — ამბობს ის, — რომელსაც ჯერ ჩვენში ფეხი არ შემოუღდას. თანამედროვე მეცნიერების მთელი ნახევარი, ის ნახევარი, რომელიც საზოგადოების ცხოვრებას შეისწავლის და მისი გაუმჯობესების გზებს იკვლევს, ჯერ არ მოჩვენებია ჩვენ საზოგადოებას... ეს სწავლა ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი წესაც კაცის ხელით შექმნილია, რომ ის ათასჯერ შეცვლილია და ნელ-ნელა გაუმჯობესებულა, რომ კაცობრიობას ბედით როდით დაჟულობს ამ ქვეყანაზე ტანჯვა და უსარგებლო გაქირება, რომ სიღარიბე კაცის უმეცრების შედეგია, რომ კაცობრიობა ერთ დროს ისეთი აიარაღ მოაწყობს თავის ცხოვრებას. რომ არაეინ სხვას ტვირთათ არ აწვეს, სხვისი შრომით არ რჩებოდეს, სხვას სიცოცხლეს არ უჭირებდეს და ძალისა და გვარათ ტვირთს უადვილებდეს“.

ერთი მხრივ, ქვეყნის სამეურნეო და ტექნიკური მდგომარეობის, ვაქრობა-აღებშიცემობის განვითარება და გაუმჯობესება, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი მეცნიერებათა მიღწევების საფუძვლიანი ათვისება, ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, არის ის ძალა, რომლის საშუალებით ახალი თაობა ნამდვილ სარგებლობას მოუტანს თავის სამშობლოს. „როგორც რკინის გზა ანტონ კათალიკოსის ფალოსფიას ბოლოს უღებს და უმოწყალოთ სრებს, — ამბობს ის, — ისე საზოგადოებრივი მეცნიერების ნაყოფის შეტანით ბოლო უნდა მოუღოს ჩვენმა თაობამ მამაპაპურ უხეირო ჩვეულებებს და გაწყობილებას“.

ნ. ნიკოლაძე სამართლიანად მიუთითებს, რომ ახალმა თაობამ ღრმად უნდა შეიგნოს და შესაფერი დასკვნები უნდა გააკეთოს იმის გამო, რომ გლენტა განთავისუფლებამ „ახალი ეკონომიური მდგომარეობა შექმნა“ და ეს უკანასკნელი კი მოითხოვს „ნამდვილი და პრაქტიკული ცოდნით დაიარაღებულ ახალგაზრდობას“.

ჰყავს რა მხედველობაში სამოღვაწეო ასპარეზზე 1861 წელს გამოსული თაობა, ნ. ნიკოლაძე შენიშნავს: „მაშინ დელი ჩვენი ახალგაზრდები, უმეტეს ნაწილათ, ისეთ საქმეს ჰკიდებდნენ ხელს, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა. მაშინ დელი ჩვენი ახალგაზრდობა ნამეტნათ მოშორებულ იყო როგორც მეტრზე, ისე სამშობლოზე... დღეს სულ სხვა მდგომარეობაა... დღეს უფრო ნათლად იჩენს თავს მოწინააღმდეგენი, და გულზელ დაკრეფა, გულგრილი მაცქერალობა სასირცხოს საქმეთ შეიქმნა. დღეს ჩანს საქმე, ჩანს ასპარეზი, ჩანს გამარჯვების იმედი... ვინ ატყვის, რომ ამ ცვლილებას ჩვენი ახლანდელი ახალგაზრდობაში ისულ სხვაანირი შრომის და მოქმედების აღძვრა არ უნდა შეეძლოს?“

მართალია, ესლაც სუფევს ჩვენს ახალგაზრდობაში სხედასხეანაირი აყალ-მაყალი თუ არა, უთანხმოება მაინც... მაგრამ დღეს მუ უმეტეს ნაწილში უძრო თეორეტული, ვინემ პიროვნული უთანხმოება შემინიშნავსო“.

ნ. ნიკოლაძე ახალგაზრდობისაგან მოითხოვს უფრო მეტად განამტკიცონ შეერთებული შრომა საერთო მიზნის მისაღწევად. ამ მხრავ ის სამაგალითოდ მიიჩნევს ციურისში მყოფი ქართველი ახალგაზრდების მაგალითს. „დღეს ჩვენ ის ნაკლულთანება გვჭირს, — წერს ის, — რომ თითოეულს ჩვენგანს უნდა, რომ ყველა დანარჩენი მისივე კალაპორზე ჩამოსხმული იყოს, მისივე ხასიათი

ქონდა. მასავეთ ფიქრობდეს, ყველაფერზე და ყველაფერში მის მსგავსათ მოქმედებდესა“. უარყოფს რა ასეთ დამოკიდებულებას, ნ. ნიკოლაძე იმ აზრით, რომ თუ მთავარ საკითხში სადავო არაფერია, „წერილმან გარემოებებში და საგნებში განსხვავება სავენებელი და დასაწუნი როდია“. მაგრამ იგი მაინც მკაცრად მოითხოვს მტკიცე დისციპლინასა და ურთიერთდამხარებას საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„ცხოვრება, განსაკუთრებით ჩვენში, ნამდვილი ბრძოლაა“, ამიტომ ერთი მიზნისთვის მებრძოლი ახალგაზრდები უნდა შეეჩვიონ შეერთებულ შრომას, სხვა შემთხვევაში შეუძლებელია საზოგადოების თანაგრძნობის მოპოვება, — ამბობს ნ. ნიკოლაძე. ის აფრთხილებს თავის თანამოაზრეებს, რომ „ყოველ საზოგადოებაში, რაგინდ ჩამოვარდნილი და ბნელი იყოს ის პოლიტიკური მხრით, აშკარად ან მალულად დღეს პარტიული ცხოვრება. ეს ჩვენშიაც ასეა, ჩვენშიაც ძლიერ განსხვავებით და მტკიცეთ ხმატება პარტიების მოქმედება, პარტიული ცხოვრება... რაც უფრო ზეირიანად და დაუფანტველად ხმარობს თავის ძალას გამარჯვებული პარტია, მით უფრო ხანგრძლივია მისი გავლენა“.

ნ. ნიკოლაძის ჩვენს მიერ განხილულ სტატიას („ახალი ახალგაზრდობა“) მიზნად აქვს წარმოადგინოს თაობათა ურთიერთობისა და მათი საზოგადოებრივი დამსახურების ისტორია. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. უფრო მეტიც, ეს არ წარმოადგენს ავტორის მთავარ მიზანს. ნ. ნიკოლაძე, პირველყოფისა, იმითაა დაინტერესებული, რომ პროგრამული ხასიათის მითითებები მისცეს „ახალ ახალგაზრდობას“, რომელიც, მისი გაგებით, გამოეყო სამოციანელებს და თავის რიგებს აქვებს სამოცდაათიან წლებში გამოჩენილი ახალგაზრდა მოღვაწეებით. მართალია, ნ. ნიკოლაძე თავის თავს და თავის მეგობრებს აშკარად არ უპირისპირებს სამოცანელებს, მაგრამ მაინც გასაგებს ხდის, რომ მას აღარ აკმაყოფილებს სამოცანელთა სამოქმედო პროგრამა და „ახალ ახალგაზრდობასთან“ ერთად ახალი გზით მოქმედებას ამირებს მომავალში.

ნ. ნიკოლაძე სტატიის დასასრულს თვითონ სვამს კითხვას, თუ რატომ დასჭირდა ასეთი „ქადაგება“ დაეწერა და დასძენს: „ჩერ ეს უნდა ვთქვათ, რომ ეს მძიმე „ქადაგება“ საყოველთაოთ დაწერილი არ არის. ის იმათთვისაა დაწერილი, ვისაც სინება და გავონება აქვს. ამას გარდა, ამ ნაწერში მოყვანილი შენიშვნები, უმეტეს ნაწილათ მაინც ჩვენნი ახალგაზრდობისაგან გამოთქმული არ არის და კითხვებია. მე იმათთვის ყური მომიკრავს აქაიქ. შემითანასწორებია, შემეიერთებია და ხელახლა ვერთიანათ იმათთვის წარმოდგენია, ვისგანაც გავონილი მქონდა ზოგიერთი კერძობითი შენაშენა. ამას გარდა, ცხოვრების დაკვირვებამ დამარწმუნა მე, რომ ჩვენი ახალი ახალგაზრდობა ბევრით აღარ ჩამოგავს უწინდელ თაობას, ბევრი მხრით წინ წასულა იმაზე და იმ სურათს დამსგავსებია, იმ დედალს დაახლოებია, რომელიც ჩვენ გვენატრებოდა. და რადგანაც ამ ნაირათ გაუყეთესებული ახალგაზრდობის ძალის დაკარგვა ათასწერ უფრო გულმომაკვიდნებელი იქნებოდა, ვინემ უწინდელი ყმაწვილების გამოუდგომლობა, ჩვენ საქიროთ დავინახეთ ორიოდ რჩევის და შენიშვნის მიცემა, ორიდღე გაფრთხილების და სურვილის გამოთქმა. ეს ჩვენი მოვალეობაც იყო და თან ჩვენი საქმისთვის გამოსადეგი საქციელი“.

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძე იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ რასაც და რაზეც ის ლაპარაკობს, უკვე სხვების მიერაც შენიშნულია. უფრო სწორად,

„ახალი ახალგაზრდობა“ თავის თავს უკვე გარკვეულად უპირისპირებს 60-იანი წლების ახალ თაობას, რაც მას გამართლებულად მიაჩნია და საჭიროდ თელის რჩევას და დარიგებას მიაწოდოს მას.

მაგრამ კითხვა ისმის: ნ. ნიკოლაძე უბრალო მრჩეველია მხოლოდ, თუ წინამძღოლის და გზის მაჩვენებლის პრეტენზიაც აქვს? ამის გასარკვევად საჭიროა შოვიგონოთ მისი ის სიტყვები, რომლითაც სტატაის ასრულებს. „რა თვლიათ უნდა უყურებდეს კაცი ჩვენს უწინდელ ახალგაზრდობას, — ამბობს ის, — რაკი იმას გვერდით ეხლანდელს ახალთაობას დაუყენებს, ერთი უმთავრესი შენიშვნა მაშინვე აზრში მოუვა. უწინდელი თაობა არა თუ მარტო დაუშვადლებელი და დაუიარაღებელი იყო, იმას საკმაო სიმტკიცე არ ჰქონდა ხასიათში, ის სიმტკიცე, რომელსაც კაცს მისი სიტყვის და მოქმედების თანხმობა აძლევს. სიტყვით უწინდელი ახალგაზრდობა ერთს ამბობდა, და საქმით მეორეს შერებოდა. მის ზნეობით ცხოვრებაში რაღაც საზარელი განხეთქილება მოჩანდა, რომელიც თითქმის სრულიად აბათილებდა იმ ჩინებულ აზრებს, რომლის მქადაგებლად ეს ყმაწვილები გამოდიოდნენ. ისინი საქციელით თითქო შეერიგებას ეძებდნენ ძველ თაობასთან და ძლიერ ბევრ თავაზიანობას იჩენდნენ ძველი ცხოვრების შესახებ...“

ეხლანდელი თაობა უფრო მტკიცე და უფრო ძნელი დასაქმყოფილებია. ის შერიგებას როდი ეძებს: ის დარწმუნებულია, რომ შერიგება შეუძლებელი საქმეა, სანამ ერთი თაობა მეორეს სრულიად არ დაემორჩილება და იარაღს არ დაყრის... ახალი თაობა, თავისი რწმუნებით, თავისი მსურველ სურვილით და აღტაცებით გეაახლოებს ჩვენ იმ მიზანს, რომელიც გულშობაყვინებელ სიშორეში გეჩვენებოდა, როცა ჩვენ ცხოვრებაში ფეხი შეეადგიოთ. და როცა ამ ახალი თაობის მომავალ მოქმედებაში მთელი ჩვენი იმედი და რწმუნება, როცა მისი მომავალი ჩვენთვის ჩვენი საკუთარი მომავალია, განა დაგვეძრახება იმ აზრების და შენიშვნების გამოთქმა, რომელიც, ჩვენი აზრით, ამ თაობას გამოსადეგება და შრომას და მოქმედებას გაუადვილებს?

მაშ მთავროვით მკვდრები და მომაკვდავები... და ვეცადოთ ხეირიანი მოქმედებით, გონიერი ძალის შეერთებით, ეკვანთური საქმის წაყვანით დავიმსახუროთ და დაეიკათ ის ალაგი, რომელიც ხალხის ცხოვრებაში ცოდნას და პატიოსნებას უნდა ეკუთვნოდეს. ამ ასპარეზზე ახალგაზრდობას საშიში და ძლიერი მოწინააღმდეგე არაივნ ხვდება, მინდორი ცალიერია, მაგრამ ზედ ბევრი ურგო ბალახ-ბულახი და ტალახი იპოება. როცა აქასაც გავწმენდთ... მაშინ ნამდვილათ ასრულდება ჩვენი ჩინებული პოეტის აღმბატი სიტყვები:

— „თუ კი აწყო არ გეწყალობს, მომავალი ჩვენია“.

ამგვარად, ნ. ნიკოლაძე 70-იანი წლებისათვის დამარცხებულად და ისტორიის საკუთრებად თელის ძველ თაობას, რომელსაც უკვე „მკვდარს“ უწოდებს; მოძველებულად მიაჩნია მას აგრეთვე 60-იან წლებში გამოსული ახალი თაობის მიმართულება და მის წარმომადგენლებს „მომაკვდავებს“ ადარებს, რომელთაგან, ცხადია, ბევრს აღარაფერს მოელის. მაგრამ ეს უკანასკნელი ღებულება გარკვეულ კორექტივებს საჭიროებს. პირველყოფლისა, ამ თაობისაგან ფაქტიურად უკვე გამოყოფილად თელის ის გ. წერეთელს, კ. ლორთქიფანიძეს, ს. მესხს, აკ. წერეთელს და საკუთარ თავს. ამასთან, როცა ამ თაობის მისამართით მკაცრ კრიტიკის აწარმოებს, ნ. ნიკოლაძე ყოველთვის ცალკე გამოყოფს ი. ჭავჭავაძეს და დიდი პატივისცემითა და მოწიწებით ლაპარაკობს მის დიდ დამსახურებაზე.

ნ. ნიკოლაძე ერთგვარ უხერხულობასაც კი გრძნობს, როცა სამოციანელთა ნაკლოვანებებზე ლაპარაკობს, რადგან იცის, რომ ამ რაზმის მეთაური ილიაა. ამიტომ სურათი ისე სურს დახატოს, რომ ის ან ურამო გენერლად, ან უღადად შეიარაღებული რაზმის ნიჭიერ წინამძღოლად წარმოადგინოს. ისიც აშკარაა, რომ ნ. ნიკოლაძე, ამ პერიოდში, სიტყვით თუ საქმით, იმას ცდილობდა, რომ ცხოველი ლიტერატურული ცხოვრებისაგან დროებით მოწყვეტილი ი. ჰუკუაძე სათავეში ჩადგომოდა „ახალ ახალგაზრდობას“ და ახალი და უფრო ძლიერი რაზმით განეგრძო ბრძოლა მშობლიური ხალხისა და კულტურის საყეთილდგოდ. თავისი ის სტატიაც („ახალი ახალგაზრდობა“), რომელშიც ის სამოციანელებს მეტად მეტ ფერებში ხატავს, ნ. ნიკოლაძემ ილიას სიტყვებით დაამთავრა.

უღადაოა, რომ იმ წერილებში, რომლებშიც დაპირისპირებულია 60-იან წლებში საპოლიტიკო ასპარეზზე გამოსული ახალი თაობა და ე. წ. ახალი ახალგაზრდობა, ნ. ნიკოლაძე მეტად მკაცრად გვიხატავს სამოციანელთა ნაკლოვანებებს. და ეს მაშინ, როცა მეტად გულუხვია „ახალი ახალგაზრდობის“ დადებითი ნიშნების დახასიათებისას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნ. ნიკოლაძეს კარგად ესმის ის როლი და ის დამსახურება, რაც სამოციანელებს მიუძღოდნო ქართული ლიტერატურისა და საერთოდ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების წინაშე. ის თავგამოდებით იცავდა სამოციანელებს, როცა საქმე მათ და ძველი თაობის დევასა და ურთიერთობას ეხებოდა. ამის თქმის საფუძველს იძლევა მისი ყოველი სტატია; ამაზე მეტყველებს ანტ. ფურცელაძესთან მისი პოლემიკაც 70-იან წლებში.

როგორც ვიცი, ანტ. ფურცელაძემ მეტად უპრინციპო პოზიცია დაიჭირა 60-იან წლებში, როცა ცხარე ბრძოლა წარმოებდა „ცისკარს“ და „საქართველოს მოძაქეს“ შორის. თავისი მოქმედების უმართებულობა ანტ. ფურცელაძემ შემდეგ თვითონაც შეიგნო. ფსევდონიმს (ზურაბ მოენიძე) ამოფარებული ანტ. ფურცელაძე 1867 წელს, გაზეთ „დროებაში“, წერდა: „აჯერ რაც ხანია მე „ცისკარს“ ეკითხულობ და ის თავშედებული არ მინახავს, მინამ კონკურენტი არ გაჩენია... ჯერ არ ახსოვს ის წელიწადი, როდესაც გამოვიცა განცხადება, რომ უნდა ახალი ეურნალა „საქართველოს მოამბე“ გამოვიდესო. შეუდგა შენს „ცისკარს“ თავში ცემა და ვინ გინდა თავის თანაშემრომელთა და რედაქტორად არ გამოაცხადა... თუმცა რაღაც დღეთს მადლით, „ცისკარი“ ერთს ორ თვეს ცოტა არ იყო წელში გაიმართა, მაგრამ ამ „ცისკარს“ გამბედაობამ დიდ ხანს არ გასტანა... იმან თავისებურათ გაიქნია ხელი... და მიეცა ტკბილს ბურანს კნეინა ბარბარე ჯორჯაძის დრამებისა და კომედიების და რჩეულოვის ორიგინალურის და თარგმანი რომინების ხმაზედ. მოისპო „საქართველოს მოამბე“ და მიმყავდა თავისებურათ „ცისკარიცო“¹.

ცხადია, ეს სიტყვები კიდევ უფრო აშკარას ხდიან ანტ. ფურცელაძის უპრინციპობასა და არათანმიმდევრობას. მაგრამ საქმე ისაა, რომ მან ვერც შემდეგ მოახერხა „დროებისა“ და „ქრებულის“ მიმართ მაინც ყოფილიყო ობიექტური, რის გამო მან დაიმსახურა ნ. ნიკოლაძის მკაცრი კრიტიკა.

ნ. ნიკოლაძემ, ამ პოლემიკის დროს, ანტ. ფურცელაძეს მოაგონა თავისი ძველი ცოდვებიც. იმ დროს, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — როცა „საქართველოს მოამბე“ „მწვევე სიტყვებით დაღვიდა და ჰკლავდა ძველი საზოგადოების უმეტესობას და სულგრილობას საზოგადო საქმისათვის“, „ეს ზედშავი ვითომ-მწერალი

¹ „დროება“, 1863, № 35.

ადგა და მიადგა კარზე უფ. კერეელიძეს, რომელსაც არც ცოდნა, არც ნიჭი, არც აზრი, არც ხერხი ჰქონდა ახალგაზრდობასთან ბრძოლაში გამოსასვლელათ. ეს ორი ერთივე ღირებულების მწერალი შეატყუა ერთმა და იმავე გრძობამ — „საქართველოს მოამბის“ სიძულვილმა...“ ანტ. ფურცელაძეს „უნდოდა ახალგაზრდობის გულში ეკვი და გულგრილობა ჩაეწვეთნა იმ მიმართულებისთვის, რომელიც გამოითქმებოდა „მოამბეში“ და რომელშიც იყო მომავლის ძალა და იმედი... და ვხლა ეს ბაიყუში თხოულობს, რომ ჩვენმა მწერლობამ პატაიე სტეს იმას, რომ ამ მწერლობამ შეირიგოს ის, ვინც შეუგინა და შეურაცხყო ამ მწერლობის ძუძუს მწაოებელი დედა, და რომელმაც აკვანი ტალახით და მტვრით აუესო“.

გარდა ამისა, 70-იან წლებში ნ. ნიკოლაძემ კრიტიკული წერილი¹ უძღვნა ი. ჰაქვაძის შემოქმედებითი გზის დახასიათებას, რომელშიც მან დამაყრებლად წარმოადგინა სახელოვანი მწერლის დიდი დამსახურება. ამავე პერიოდში გააჩნია მან გრ. ორბელიანის მხატვრული შემოქმედებაც და მოგვცა დეწლმოსილი პოეტის მდიდარი მემკვიდრეობის პირველი სრული და დამაყრებელი ანალოზი.²

საერთოდ, მისმა კრიტიკული წერილების სერიაში — „ჩვენი მწერლობა“ და სტატიამ — „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“³ დიდი როლი შეასრულეს ქართული ლიტერატურული კრიტიკის განვითარებისა და ჩვენს მწერლობაში მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების დამკვიდრების საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ ესთეტიკის სფეროში ნ. ნიკოლაძე მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე დარჩა თავისი რუსი მასწავლებლის ერთგულ მოწაფედ. ამასთან მას მიაჩნდა, რომ სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებებშიც ის აგრძელებდა და ავითარებდა ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ნააზრევს.

ამგვარად, 70-იან წლებში, როცა ცხარე ბრძოლა და პოლემიკა იყო გამართული კონსერვატორულ-ლიბერალური ბანაკისა და პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენელთა შორის, პარალელურად კამათი წარმოებდა თვით „ახალი თაობის“ შიგნითაც. მაგრამ ეს კამათი სულ სხვა ხასიათისა იყო. მას საერთო არაფერი ჰქონდა კონსერვატორულ-რეაქციული „თეორიების“ დამკველთა წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლასთან, რომლის დროსაც „ახალი თაობა“ მონოლითური იყო.

1873 წლის ნოემბერში ნ. ნიკოლაძე კვლავ საფრანგეთში გაემგზავრა გამგზავრების მიზეზი ამჟერად უფრო თავისებური ხასიათის იყო. მან მეტად შეურაცხყოფელად მიიღო ის მითქმა-მოთქმა, რომელსაც მის გარშემოზოგიერთი მისი „კრიტიკოსი“ კმნიდა. მისთვის სამძიმო ის იყო, რომ ისინი, უმთავრესად, „კულისებიდან“ იბრძოდნენ და ღია პოლემიკას თავს არიდებდნენ.

თავის უკმაყოფილება და საქართველოდან გამგზავრების მიზეზი ნ. ნიკოლაძეს გადმოცემული აქვს სტატიაში — „მშვიდობით, მშვიდობით!“, რომელიც წასვლის წინ გამოაქვეყნა „ღრობაში“. თავისი „კრიტიკოსების“ შესახებ ნ. ნიკოლაძე შენიშნავს, რომ „ამ პირებს, თავიანთ კერძო სარგებლობაში და პიროვანი მიზნის ძიებაში ჩაფლულებს, როდეს სწამთ სხვებში არც გულწრფელობა, არც პატიოსნება, არც საზოგადო მსახურება და ჩვენი „ღრობების“ წინააღმდეგ

¹ „კრებული“, 1873, № 5-6.

² „კრებული“, 1873, № 3.

³ „კრებული“, 1872, № 3.

ისინი, აზრის დარღვევის ან მიმართულების ბრძოლის მაგიერ, პიროვან შეწყალებას ქადაგებენ, ბინძურ მიზნებს გვაწერენ, თავიანთ სურვილს და მოქმედებას ჩვენ თავზე გვახვევენ... უსირცხვილოდ, შეუპოვრათ, აშკარათ, მთელი საზოგადოების წინ, კაცი, რომელმაც ღვიძლი მშა გაძარცვა, ჩვენ მძარცველს გვეძახის, ვინც ბანქოში შუღერობით ფული მოიგო — ჩვენ გაიძევრას გვიწოდებს, ვინც მზითვისთვის ძუძუს მწოვარი და უნახავი ქალი შეირთო — ჩვენ პირადი სარგებლობის ძიებას გეწამებს, ვინც უფროსის ხელის ლოკვით ადგილი დაიმსახურა, ჩვენ უფროსების მორიდებას გვაწერს, ვინც თავისი მასწავლებელი გასცა — ჩვენზე ამბობს — სანდო კაცები არ არიანო, და ვინც ქურდობაში დაქერილი იყო — ჩვენ ქურდის სახელს გვარქმევს...

როცა ეს სტატია გამოქვეყნდა ი. ქაუქავაძე პეტერბურგში იყო. მიუღია თუ არა „ღრობის“ ეს ნომერი, მას საკიროდ ჩაუთვლია ნ. ნიკოლაძისათვის საგანგებო ბარათი გამოეგზავნა (6 ლექსმბერს), რომელშიც ის მას „საიმედო კაცს“ უწოდებს და თხოვს დაივიწყოს გრძნობათა ლეღვა და კვლავინდებურად განაგრძოს მოღვაწეობა თავის სამშობლოში. „მე იმდენად შენ პატივსა გცემ, — წერს ილია ნიკოს, — რომ იმის დაჭერება არ მინდა, რასაც შენ ეგრე გაცხარებით გვაჭერებ... მერე იცი რა კბილი ჩაეარდება იმ რაზმს, რომელშიაც შენ ფალანგათ გვეგულბობდი ყველას, ვინც კი შენი თანაზიარი იყო..., ნუ აღასრულებ მას, რასაც გვიქვამდი. დარჩი მაგ უბედურ ქვეყანაში“...

ნ. ნიკოლაძის განზრახვა სამძიმოთ მიიღო ყველა პატრიოტმა და ყველა გულწრფელმა თანამემამულემ. მათ შეგნებული სქონდათ, თუ რა დანაკლისი იქნებოდა ამ საამაყო ფულანის თუნდაც დროებით წასვლა სამშობლოდან. გაზეთი „ღრობა“ იძულებული გახდა მათ დასამშვიდებლად განცხადებაც გაეკეთებია: „უფ. სკანდელი მხოლოდ... მცირე ხნის ვადით მიდის საზღვარგარეთ. ის სრულებით არ სტოვებს სალიტერატურო ასპარეზს ამ ცოტა ხნის განმკვლავებით“.

ნ. ნიკოლაძე თავის ამ გამგზავრებას გარკვეულ მიზნებსაც უკავშირებდა. მას უნდოდა ევროპაში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობაზე მეტი გავლენა მოეხდინა და უფრო მეტად განმტკიცებია მათში ის მიმართულება, რომელსაც იგი თვითონ ადგა. საგულისხმოა, რომ „ახალ ახალგაზრდობას“ ნ. ნიკოლაძე სწორედ ამ ახალგაზრდობას უწოდებდა. სამაგიეროდ, ის არცთუ მაღალი შეხედულებისა იყო ამ დროს პეტერბურგში მოსწავლე ქართველ სტუდენტებზე, რომლებიც ხალხოსნური მოძრაობის ერთგულნი იყვნენ.

სტატიაში — „მშვიდობით, მშვიდობით“ ნ. ნიკოლაძე თავისი მოწინააღმდეგეების მისამართით აშკარად ამბობს, რომ მათი საქმიანობისა და მოქმედების შესახებ ის დაწერილებით განმარტებას მისცემს სწორედ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ამჟამად ევროპაში არიან და მალე დაუბრუნდებიან სამშობლოს. „და ნიადაგ სასიქადულოდ, — წერს ის, — ჩემ გულში იმ გრძნობას შევინახავ, რომ, სხვა თუ არაფერი, — ერთი მარჯვე წიკბურტი მაინც ვეკარი თქვენს ბრძნულათ ჩამოგრძელებულს ცხვირს, ერთი ბასრი და მჭრელი საღვთის მაინც ვჩხვლიტე თქვენს ბრძნულათ გაბერილს თავმოყვარეობას, „ტყვილათ ხომ მაინც არ ჩაივლის ამ გაბერილი ბრძნების შემუსვრა“.

1874 წელს ნ. ნიკოლაძემ მხოლოდ თერთმეტი სტატია გამოაქვეყნა. აქედან ორი „ღრობაში“ და ცხრა — „ტიფლისკი ვესტნიკში“. „ღრობაში“ გამოქვეყნებული სტატიები („გაკერა-გამოკერა“, „ფურცელაძის დავის დაგვირგვინება“) აღრე დაწყებული პოლემიკის ერთგვარ ფინალს წარმოადგენდა მხოლოდ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ 1874 წელი ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობაში შეტად საყურადღებო წელია. იგი ამ დროს, როგორც უკვე ვთქვით, იმის ცდაში იყო, რომ ერთმანეთთან დაეახლოებია იმ დროის გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები და მათ გარშემო დაერაზმა „ახალი ახალგაზრდობა“, რომელიც, მისი შეხედულებით, ბევრათ უკეთესი იყო, ვინემ 60-იანი წლების ის თაობა, რომელიც ილია ჯავახიშვილსა და მის თანამებრძოლებს უთანაგრძობდა. მაგრამ სწორედ ამ წელს ნ. ნიკოლაძემ თითქმის საბოლოოდ დაქარგა ასეთი გაერთიანებისა და ერთი მტკიცე პროგრამით მოქმედი ჯგუფის შედგენის იმედი. ამ ვითარებას შუქს ფენს ნ. ნიკოლაძის მიერ 1874 წლის 21 ივლისს, პარიზიდან, დათა მიქელაძისადმი გამოგზავნილი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „...დავიწყებ იქილამ, რაზედაც შენ ეხლა ფიქრობ: რა მიზეზია რომ მე ვერე ვაუუხდი „დროების“ შესახებ, და ამდენი ხანია ერთი სტრიქონიც არაფერა დაწერე ამ გაზეთისთვის. შენ ეს ამბავი ერთობ გააკვირვებს, მაგრამ მაინც გეტყვი: მე ვადაუწყვიტე, მას შემდეგ, რაც აქ და შენევაში მესხი (ორივე ძმები), გ. წერეთელი, ჭაფარიძე და სხვ. ვნახე, რომ თმ დღის შემდგომ რა მ დ ე ნ ი მ ე წ ლ ი ს განმავლობაში ერთ სტრიქონსაც აღარ დავბეჭდავ არც „დროებაში“, არც „კრებულში“, არც სხვა ჩვენებურ გამოცემებში. ამის მიზეზი ძნელათ მოიწერება... მაგრამ ხელგაკრულათ კი გეტყვი, რომ მე მარტო იმიტომ კი არ ვწერდი, რომ ჩემი ნაწერი დაბეჭდილად მენახა. მე მეგონა, რომ ჩვენი წერა-ბეჭდვა ერთ ხეირიან წრეს დააარსებდა, რომელსაც ხეირიანი მიზანი, მოქმედება და გავლენა ექნებოდა საზოგადოებაზე. მაგრამ როცა ამგვარი წრის მაგიერ მე ხელში შემარჩა ისეთი კაცების გროვა, რომელნიც ერთმანეთს მტრობენ, ერთმანეთზე გულდანდობილნი არ არიან, ერთმანეთის მღგობარეობა ან გავლენა ეხარბებათ, ერთმანეთს ცილს წამებენ და სახელს უტეხენ, მე, რასაკვირველია, ვისურუე ამგვარი გროვიდან თავის დახსნა და განზე გადავსა...“

ეს ყველაფერა შენ ამოცანათ გეჩვენება. აგისნი უფრო მეტის მითითებით. მოვედი თუ არა შენევაში, ვნახე რომ იქ ერთი უშველებელი განხეთქილება და ვაი-ვაგლანია ჩვენ ყმაწვილებში... მოვიწოდოვ გავეგო, თუ საქმე რაში მღგობარეობდა, გამოვეითხე ყველას — მითხარეს... ასეო, ისეო, ესა და ეს თქვეს ჩემზეო, ეს განზრანხა აქეთო და სხვ. ვკითხე ქალებს — ზოგმა მითხრა — „ღმერთმანი არა ვიციოთ რაო“, ზოგმა — „ყველანი ბაიყუშები არიანო“, ზოგმა რა და ზოგმა რა. მაგრამ რაკი მე საქმეში გავერიე და ნამდვილი მიზეზის გავება მოვიწოდოვ, ყველამ ერთმანეთის კბენას და ცილისწამებას თავი დაანება და მე ერთსულად და ერთგულად მომდგა... შეიქნა ერთი ალიაქოთი: ჭაფარიძე ცალკე იმას ცდილობდა „დროება“ ნუ იქნება ნიკოლაძის ხელშიო, ივანე მესხი ცალკე და სერგ. მესხი, თავის მხრიოთ, „გონიერათ“ არიგებდა ორივეს, რომ ჩვენ ჭერ იმოდენათ მდიდარნი არ ვართ, რომ ნიკოლაძეს ცუდათ მოგვეყროთო. ამაზე გ. წერეთელმაც ხმა ამოიღო — ცუდი კაცო ხარ, თავმოყვარეო, ასეო, ისეო და შეიქმნა ერთი შფოთი უნახავი და წარმოუდგენელი. აღმოჩნდა, მაგალითად, რომ მე დესპოტი და დიქტატორი ვარ, თურმე ბევრი ხეირიანი მშრომელია ჩვენში, მაგრამ ჩემი დიქტატორობა იმათ გვაშორებს; ამას ვარდა მე რუსული მიმართულება

მაქვს, რუსული ლიტერატურის აღზრდილი ვარ, ევროპის არა მესმის რა, და ამის გამო წარმოვადგენ უკან ჩამორჩენილს და თითქმის რეაქციონურს მიმართულუბას — ფედერაცია არა მწაშს და ანარხია არაფრათ მიმაჩნია, და სხვ. და სხვ.— გამოჩნდა კიდევ, რომ ყველა უთანხმოების მიზეზი, ყველა განხეთქილების წყარო და ყველა აყალმაყალის მომხდენი, რომელიც ჩვენს ახალგაზრდობაში დაბადებულა, მე ვყოფილვარ, და მარტო მე.

...მეტე რაღა დღე მქონდა, „ატსტაკვა“ უნდა შემეტანა და კიდევაც შევიტანე. ბრძანდებოდეთ, ჩემი პატრონებო მეტე, უთხარი მე ამ ყმაწვილებს; იმდენი წელიწადი არაფერი გეტყინოთრა, რამდენ დღეს და თვეს მე თქვენს წრეში არ შევერიო და თქვენს შრომაში არ გამოვეკეცხომეთქი... ამით გათავდა ყოველნაირი ქეშპი და აყალმაყალი, და დამყარდა მშვიდობიანობა წიაღსა შინა სახლუარს-გარეთელი ქართველობისა. იმედი მაქვს, რომ ამის შემდეგ „დროება“ და სხვა გამოცემები უფრო პატიოსანნი და გულდასანდობნი იქნებიან ამ ყმაწვილებისათვის, და, რასაკვირველია, დიქტატორის ჩამოგდების (ნეტაეი როდის ჩამოგდებულა ასე ადვილად დიქტატორი) შემდეგ „დროებას“ უხვად დაესევიან და დაეხმარებოან ის მრავალნი უხილავნი ძალნი, რომელსაც ჩემი დიქტატორობა აშორებდა“.

ამონაწერი დიდი გამოგვივიდა, მაგრამ ვის შეუძლია დღეს უფრო მოკლედ და უფრო ნათლად გაარკვიოს ის უაღრესად საინტერესო და ბინდით მოცული საკითხები, რომლებიც აქაა გაშუქებული? ამასთან, ეს საყურადღებო დოკუმენტი დღემდე ხომ ზელმუხუბლად ძეგს კ. ლორთქიფანიძის არქივში?

ამ ბარათში, თვით ნ. ნიკოლაძის მიერ, დაწერილებით და გასაგებადაა მოთხრობილი ე. წ. მეორე დასის არსებობას თუ არ არსებობის ისტორია, რომელიც ბოლოს უღებს ბევრ გაუგებრობას, რომელმაც ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში იჩინა თავი ამ საკითხთან დაკავშირებით.

ახლა სრულიად გარკვეულია ამის კონკრეტული მიზეზიც, თუ რატომ აღარ აღიარა „დროებას“ ნ. ნიკოლაძემ თავის სტატიები 1874 წლის თებერვლიდან მოკიდებული 1876 წლის მარტამდე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთადერთ წერალს — „სხვათაშორის“, რომელიც „დროებაში“ დაიბეჭდა 1875 წლის ორ თებერვალს და რომლის გამოქვეყნებას თავისი გარკვეული მიზეზი ჰქონდა. სამაგიეროდ იგი, ამ პერიოდში, ევროპიდან, ნაყოფიერად თანამშრომლობდა „ტიფლისკი ვესტნიკში“ (გამოაქვეყნა ორმოცდაათზე მეტი სტატია).

ამასთან ერთად, ნ. ნიკოლაძეს, 1874 წლის ბოლოს, თუ 1875 წლის დამდეგს, მიუღია მეტად გაბედული გადაწყვეტილება — ფრანგულ ენაზე დაეწერა და საფრანგეთშივე გამოეცა იმდროინდელი ფრანგული პრესის მიმოხილვა. და, აი, 1875 წლის აპრილში, პარიზში გამოდის მისი უაღრესად საინტერესო ბროშურა — „დეკადანსის პრესა“ („La presse de la decadance“), რომელშიც მკაცრი, მაგრამ სამართლიანი შეფასება აქვს მოცემული მესამე იმპერიის პრესას. ნ. ნიკოლაძის დასკვნით, „საფრანგეთის ინტერესი, როგორც თვით ფრანგული პრესის ინტერესი, მოითხოვს პრესის დღევანდელი ვითარების რადიკალურ რეფორმას“.

ნ. ნიკოლაძის ამ ნაშრომმა მეტად დიდი ინტერესი გამოიწვია ფრანგ მოღვაწეთა შორის. ამას მოწმობს ის ბარათებიც, რომლებიც მის ავტორს მიუღია ისეთი პირებისაგან, როგორიც იყვნენ: ლუი ბლანი, ივ გიო, ყირარდენი და სხვ.

ლუი ბლანი, როგორც ჩანს, მკაცრად მიიჩნევდა იმ განაჩენს, რომელიც ბროშურის ავტორს იმდროინდელი ფრანგული პრესის მიმართ ჰქონდა გამოტანილი, მაგრამ ის მაინც იძულებული იყო ეთქვა, რომ ეს წიგნი „ერთი იმ შრომათაგანია, რომელიც ყველა ფრანგმა ყურანლისტმა უნდა წაიკითხოს და კარგად ჩაუკვირდესო“.

კიდევ უფრო საყურადღებოა ეურნალ „რადიკალს“ მთავარი რედაქტორის, ცნობილი ეურნალისტის ივ გიოს წერილი ნ. ნიკოლაძისადმი: „ძვირფასო ბატონო და თანამომხვე! ძალიან მადლობელი ვარ თქვენი უაღრესად საინტერესო ბროშურის — „დეკადანსის პრესის“ გამოგზავნისათვის.

არას გზით არ შეიძლება წარმოიდგინოთ, რომ იგი არის დაწერილი „უცხოელი ეურნალისტის“ მიერ. ძალიან ცოტა ფრანგი ეურნალისტი შესძლებდა ამის დაწერას ასეთი ენით, ასეთი სიძლიერით და სისწორით.

თქვენი საყვედურების უმეტესობა ფრანგული პრესის მიმართ მართებულია, მაგრამ დამეთანხმეთ, რომ ამას ვი ჩვენ ბრალი არ გვიძევს. თქვენ გინდათ, რომ პრესა იყოს იარაღი ცოდნის გავრცელებისა. თქვენ მართალი ხართ, მაგრამ დაუფიქრდით საფრანგეთში ხელისუფლებრივსა და ადმინისტრაციულ დაბრკოლებებს, რომლებიც წინ გვედგება. ყოველი დეპუტატი გაივლის, უპირველეს ყოვლისა, შინაგან საქმეთა მინისტრის ხელში, რომელიც მას აფერხებს, თუკი მოესურვება. ჰაეისის სააგენტო მთავრობის მონოპოლიით არის აღჭურვილი“.

სწორედ ამის თქმა უნდოდა და თქვა კიდევაც ნ. ნიკოლაძემ, მაგრამ, პირველ ყოვლისა, თვით პრესის მიმოხილვის საფუძველზე. ივ გიო კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ წიგნის მნიშვნელობასა და დროულობას, მისი ავტორის დაკვირვების უნარსა და ფართო განათლებას.

ნ. ნიკოლაძე საზღვარგარეთ ყოფნისას კვლავ ბევრს ზრუნავდა „ტყიბულის საქმეების“ მოსაფარებლად, აგრძელებდა მოლაპარაკებას იქაურ ფინანსისტებთან. ამასთან დაკავშირებით, ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებულ დათა მიქელაძისადმი გამოგზავნილ წერილში, ნ. ნიკოლაძე წერს: „როგორც იქნა მოუყარე თავი დაბნეულ და დაშინებულ კაპიტალისტებს, ვადა შეეცდებიან, საქმე ხელახლავ მოემართე, ინეინრების რაპორტების ზოგიერთი დასკვნის უმართებულობა დაეამტკიცე, მოემართე უმისზეზოთ დაბნეული საქმე, და ეხლა, როცა მარტო სამი თვე დამჩნა დაბოლოებამდი, საქმე მიხდება რისთვის? იმიტომ რომ არ ვიცი შაბუროვი რას შერება, აილო „კუპჩა“ თუ არა, რაზეა საქმე გაჩერებული“...

...1875 წლის შემოდგომაზე ნ. ნიკოლაძე სამშობლოში ბრუნდება და თანამშრომლობას აგრძელებს „ტიფლისკი ვესტნიკში“, რომელიც მისი წყალობით მალე ყოველდღიურ ორგანოდ იქცა და მრავალი ხელისმომწერი შეიძინა. ამ გაზეთის ფურცლებიდან ის ეწეოდა, აგრეთვე, პოლიტიკას ი. ქავკაეაძესთან, რომელიც „დროების“ ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო მაშინ.

როგორც ჩანს, ძველმა მეგობრებმა იგრძნეს, რომ სწორად არ მოექცნენ ნ. ნიკოლაძეს, როცა იგი აიძულეს ჩამოცილებოდა ქართულ პრესას და მასთან კვლავ გამოუნახავთ საერთო ენა. 1876 წლის ათ მარტს ნ. ნიკოლაძე კვლავ გამოჩნდა „დროების“ ფურცლებზე თავისი საინტერესო სტატიით — „სალაში“, რომელიც თავისი ფორმით თუ შინაარსით, მისი ავტორის ნიქსა და სიმტკიცეზე მეტყველებს.

ნ. ნიკოლაძემ თავის ძველ მკითხველს მიმართა მეტად მღელვარე და გულწრფელი სიტყვებით, დაუფარავად და პირდაპირ, შეუცვლელი აზრითა და შეუცვლელი მიმართულებით. მიუთითა იმაზეც, რომ განაწყენებულმა მისმა მეგობრებმა მას კვლავ თანამშრომლობისათვის მიმართეს და ისიც დათანხმდა.

„ბევრი რამეა ქვეყანაზე ძნელი და მოუთმენელი, — მიმართეს ნ. ნიკოლაძე ქართველ მკითხველს, — მაგრამ ყველაზე უძნელესი, ჩემო მკითხველო, დამიჭერე, ის არის, როცა კაცს სათქმელი აქვს, და თქმა კი არ შეუძლია. როცა ის ხედავს, რომ მისი საყვარელი პირი შემდგარი ან უნდუგეშოა, როცა იმას ჰგონია, რომ თავისი სიტყვით იმას ცოტათი მაინც შეუძლია ან შეცდომის გაწორება, ან იმედო-

სა და ნუგეშის მოგვრა, და როცა ამასთანავე ის იძულებულია გაჩუმდეს, გულ-
ხელი დაიკრიფოს და სხვების მოქმედებას შორიდან ხმა ამოუღებლათ უყუროს...
ამაზე უფრო მწარე, შემაწუხებელი და აუტანელი უბედურება, ღმერთმანი, ჭოჯო-
ხეთშიაც არ გამოუგონია მზაკვარე მაწვალებელს. აი, სწორეთ ეს უბედურება
მადგა შე თავზე ამ ორი წლის განმავლობაში.

მას აქეთ, რაც შე ჩემს თავს ვიცნობ, შე ერთი წადილას მეტი არა მქონია.
ერთი ღმერთის გარდა სხვებისთვის თავყანი არ მიცია... შე შენ მიყვარდი, შენ
მწამდი, შენ გემსახურებოდი, ავით თუ კარგათ, როგორც შემეძლო, როგორც
კეთა მიკრიდა. შე შენ მიყვარდი როგორც ჩემი ქვეყნის კაცი, ჩემი თანამემამუ-
ლე და ძმა, როგორც ისეთი პირი, რომლის ბედი და უბედობა, რომლის ავი და
კარგი, ჩემი პირადი ბედი და უბედობა, ჩემი საკუთარი ავი და კარგი მეგონა. მე:
დამივილა მთელი ევროპა, და ბევრ ჩანებულ ქვეყანაში, ბევრ აღმტაც საზოგა-
დობაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყოველგან და ყოველთვის, სა-
დაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონია: შენთვის დამზადება, შენთვის სამსა-
ხური, შენი სარგებლობა...

...როცა შე ყმაწვილი და ახალგაზრდა ვაყავ, ყოველთვის მწამდა, რომ მოვა
დრო, როცა შენ ბლომათ გეყოლება ერთგული მსახურები... შე ვხედავდი, რომ
იმ უამათ ერთობ მიტრედი იყო ამგვარი მსახურების რიცხვი, მაგრამ ვიმედობ-
დი, რომ წლით-წლით ისინი გამრავლდებიან ა ხ ლ ე ბ ის შეძენით, მაშინ შე მი-
მანდა, რომ ამ მსახურების შეერთებას... მათ შეერთებულ ღვაწლს ბევრი რამ
შეეძლებოდა შენი სამსახურისათვის. მაგრამ... ამგვარი ახალი მსახურების მოსე-
ლას შე ვერ მოეცნარა... შე ყოველდღე ისეთი პირები მხედებოდა, რომლებიც
ან ვერ ებმებოდნენ ჩვენ უღელში, ან ებმებოდნენ შიგ დაუნდობლათ, განდაგან,
თითქო ჩვენ მტრები ვყოფილიყავით...

როცა შე მტრათ ავიკიდე მთელი ძველი თაობა, განა ახალი ომი და ბრძოლა
უნდა გამება ამ ახალ თაობასთანაც?...

შე ვიფიქრე, რომ, შე ეს არ უნდა მექნა, რადგანაც ერთი კერძო კაცის პი-
როვნება, ჩემი აზრით, გზას უნდა უთმობდეს საზოგადო სარგებლობას...

ეხლა, შე მითხრეს, რომ დროება შეიცვალაო, რომ ძველი რაც იყო იყოო.
ისევე მძურათ ვიშრომითო... და შე დაუბრუნდი ჩემს საყვარელ „დროებას“... შე
იგივე ვარ, რაც ვიყავ უწინ, და იგივე ყოველთვის შეუცვლელათ ვიქნება, ჩემო.
მკითხველო“.

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძემ საჭაროდ ჩამოაყალიბა იგივე შეხედულება,
რაც აღრე დ. მიქელაძისადმი გაგზავნილ წერილში გამოთქვა.

ნ. ნიკოლაძემ კვლავ იცისრა „დროების“ თანამშრომლობა.

1877 წლიდან ნ. ნიკოლაძე პავსის სააგენტოსა და „ტიფლისკი ვესტნიკის“
კორესპონდენტია რუსეთ-თურქეთის ომში და თავისი საინტერესო ცნობებით ია-
ჯრობს პრესისა და მკითხველის ყურადღებას. მაგრამ მალე მას უთანხმოება მოუხ-
და „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორთან, რის შემდეგ ის დათანხმდა გაზეთ „გო-
ლოსის“ მიწვევას სამხედრო კორესპონდენტად. მაგრამ მისი კორესპონდენციების
ფარული აზრი მალე შეიცნო რეაქციონერმა ჟურნალისტმა კატკოვმა და თავს
დაესხა „მოსკოვსკი ვედომოსტის“ ფურცლებზე, თუმცა ნ. ნიკოლაძეს აღებული
გეზი მაინც არ შეუცვლია. ამატომაც, კატკოვი ხელსაყრელ მომენტში ყოველ-
თვის თავს ესხმოდა ნ. ნიკოლაძეს, მაგრამ არც ეს უკანასკნელი რჩებოდა ვალში.

ნ. ნიკოლაძე მართალია დაუბრუნდა „დროებას“, მაგრამ ის უთანხმოება,
რომელიც გამოჩენილ სამოციანელთა შორის მკაცრად გამოაშკარავდა 1874 წელს,
მაინც არ დამცხარა. პირიქით, „დროებაში“ ნ. ნიკოლაძის დაბრუნებამ ნია-

დაგი მოამზადა ამ გაზეთიდან ი. ჰავეკავაძის წასასვლელად. ილიამ, როგორც ცნობილია, მალე საკუთარი ორგანო — გაზეთი „ივერია“ დააარსა, რომლის პირველი ნომერი „დროებამ“ სწორედ ნ. ნიკოლაძის კრიტიკული წერილით შეაჯავსა („დროება“, 1877 წ. № 26).

„დროებამი“ დარჩენა, როგორც ჩანს, არც თვით ნ. ნიკოლაძეს აწყობდა და მანაც მიაღწია მიეღო უფლება საკუთარი გაზეთის — „ობზორ“-ის გამოსაცემად, რომელიც 1878 წლის 1 იანვარს გამოვიდა. ი. ჰავეკავაძისა და ნ. ნიკოლაძის ჩამოცილების შემდეგ „დროება“ მეტად გაუფერულდა, დაკარგა ძველებური სიტყვულე და, პატარა ფორმატის მიუხედავად, თავის გვერდებს მეტწილად ქრონიკებათა და განცხადებებით ავსებდა. რაც შეეხება „ობზორს“ იგი არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელი რუსეთის იმპერიაში იქცევა ყურადღებას თავისი პროგრესული მიმართულებითა და მეტროლი ხასიათით. და ეს მაშინ, როცა გაზეთის მთელი სიმძიმე მხოლოდ რედაქტორის მხრებზე იყო დაწოლილი. სხვას რომ თავი დაეანებოთ, მასში გამოქვეყნებული ნ. ნიკოლაძის წერილები სამტრედიე ვერ მოთავსდებოდა.

„ობზორის“ დიდ რეზონანსზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მასში თანამშრომლობდნენ არა მარტო ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები, არამედ რუსეთის გამოჩენილი მწერლები და პუბლიცისტებიც, როგორც, მაგალითად, გლებ უსპენსკი, ა. ი. პალმა, ი. ი. სედეცენოვი და სხვ.

„ობზორის“ გარშემო მეტროლი პუბლიცისტებისა და მოწინავე მწერლების დარაზმვა, ცხადია, შეუძმინვეელი არ ჩნებოდა მესამე განყოფილებას, რომელიც საგანგებოდ აფრთხილებდა ცენზურას მკაცრად ედევნებია თვალი ნ. ნიკოლაძისა და მისი გაზეთისათვის. ამიტომაც, რომ „ობზორის“ ისტორია განუყოფლად დაკავშირებული ნ. ნიკოლაძისა და ცენზურის ურთიერთ ბრძოლასთან.

ქერ კიდევ ერთი წელიც არ იყო გასული „ობზორის“ დაარსებიდან, როცა მთავრობამ გაზეთი ოპოზიციურ ორგანოდ მიიჩნია და მისი რედაქტორი პასუხისგებაში მისცა. „ობზორისა“ და მისი რედაქტორის პროცესი ძალიან ფართოდ გახმაურდა. რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენცია განსაკუთრებით აღაფრთოვანა ნ. ნიკოლაძის გაბედულმა სიტყვამ ამ პროცესზე. მართლაც, ნ. ნიკოლაძე პროცესზე ფაქტიურად წარსდგა არა როგორც ბრალდებული, არამედ როგორც ბრალმდებელი, რომელმაც პირდაპირ და აშკარად გაილაშქრა რუსეთის ცენზურის დრაკონული კანონების წინააღმდეგ. ეს სიტყვა გაცუა თავის ვიწრო დანიშნულებას და ფართო მნიშვნელობის რევოლუციურ-მეტროლი ხასიათი მიიღო. ნ. ნიკოლაძემ ყველას გასაგონად განაცხადა, რომ „რაც უფრო გაძლიერდება პრესის თავისუფლების დედა, მით უფრო გაიზრდება იატაკქვეშეთური საქმიანობა“.

ნ. ნიკოლაძემ მოახერხა ისიც, რომ ცალკე ბროშურად გამოცემულიყო ამ პროცესის სრული ანგარიში («Первый процесс «Обзора». Полный отчет заседаний Тифлисского окружного суда и Тифлисской судебной палаты. Изд. Центр. книжной торговли, Тифлис, 1879 г.»), რომელიც ფართოდ გავრცელდა პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეთა წრეებში.

ამ პროცესთან და ამ ბროშურის გამოცემასთან დაკავშირებით ბევრი წერილი მიიღო თვითონ ნ. ნიკოლაძემაც. ერთ-ერთ ასეთ წერილში მოსკოვის გაზეთის — „ნაროდნი ლისტოკის“ რედაქტორი პ. მ. დმიტრიევი ნ. ნიკოლაძეს წერს: «Искренно благодарю Вас за присылку мне брошюры «Первый процесс Обзора», которую я прочел с величайшим удовольствием. Как редактор, как юрист и как человек, не могу от души не порадоваться и не поздравить Вас с

исходом прогресса, исходом которым Вы обязаны не только просвещенному взгляду почтенных судей, но и своей речи, в которой Вы не только осветили дело с юридической стороны, но и ясно, осязательно, выставили тупоумие цензора... Желая поднести моему цензору Вашу брошюру с надписью: «Его превосходительству Якову Ивановичу Прибиль в назидание от редактора «Народного листка».¹

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ „ობზორის“ რედაქტორს ბრძოლა უხდებოდა არა მხოლოდ ცენზურისა და რეაქციული შეხედულებების მქადაგებელთა წინააღმდეგ, არამედ ზოგჯერ იძულებული იყო პოლემიკა ეწარმოებია ადგილობრივ რუსულ და ქართულ პრესასთანაც.

ამ ისტორიასთან დაკავშირებით თვით ნ. ნიკოლაძე წერს: «При благосклонном содействии «Тифлисского Вестника», «Обзор» был объявлен руссофильским органом. За все время существования «Обзора» как нетрудно удостовериться из сличения статей полемизировавших изданий, ни единая мысль «Обзора» не была оставлена без злостного, заведомо недобросовестного извращения, и все на один и тот же лад: С целью доказать, что я продался правительству, хочу обрусения края и потому мои мысли и советы зловредны...

...Между тем, тот самый «публицист» (кн. Бебутов), который служил посредником между этим главою (гр. Лорис-Меликов — Д. Г.) русского правительства и либеральной газеты «Голос», исподтишка пускал в публику сплетни о моей мнимой близости к графу, о том, будто на местную администрацию я нападаю в «Обзоре» по его, графа, почину, и т. п. И мои соотечественники, с дуру без проверки, распространили эти тенденциозные клеветы, по поводу статей моих»...

ამ ვითარების ანარეკლი, მართლაც, ცხადად შეიმჩნევა „ობზორის“ ფურცლებზე. გაზეთის რედაქტორი ამგვარი მიზეზების გამო იძულებული იყო ახსნა-განმარტებები შეეცა ხოლმე თავისივე სტატიებისათვის და უარეყო მათი მკდარი შეფასებანი.

უფრო მეტიც. ნ. ნიკოლაძემ, ყოველგვარი გაუგებრობის გაფანტვის მიზნით, ქართულ ენაზე დაწერა ნაშრომი — „მამულის სიყვარული და მსახურება“, რომელიც 1880 წელს გამოქვეყნდა. მასში სრულადაა ჩამოყალიბებული ავტორის ზეხედულებები პატრიოტი მოღვაწისა და პატრიოტული მოღვაწეობის შესახებ. მასში პასუხი აქვს გაცემული ყველა იმ კითხვას, რომელსაც იმდროინდელი ცხოვრება და აზროვნება აყენებდა. იგი მისი ავტორის კვშმარატი აღსარებაა, რომლის წინააღმდეგ ხმის ამოღება მაშინ არაღის გაუბედავს. ეს ნაშრომი ხელახლად გამოიცა 1914 წელსაც.

ნ. ნიკოლაძეს ქედი არ მოუხრია არც ცენზურის და არც კრიტიკოსების წინაშე. მძიმე ვითარებაში, მაგრამ ბეჭითად მიპყვებოდა ერთხელ აღებულ გზას, სანამ გაზეთი „ობზორი“ არ დახურეს და მისი ურჩი რედაქტორი კი — სტავროპოლში არ გადასახლეს. ეს მოხდა 1880 წლის ივლისში, როცა გრაფ ლორის-მელიქოვის გავლენა ზენიტში იყო.

საყურადღებოა, რომ 1898 წელს, ეენევაში, რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირის მიერ გამოცემულ ბროშურაში («Материалы для характеристики положения русской печати»), „ობზორი“ შეფასებულია როგორც ყველაზე უფრო სიბნ-

¹ «Письма русских литературно-общественных деятелей к Н. Я. Николадзе», под ред. проф. В. Шадури, 1949 г.

ტერესო და საყურადღებო გაზეთი ყველა რუსულ პროვინციულ გაზეთთა შორის. ეს შეფასება მით უფრო სასიამოვნოა, რომ იგი, როგორც ირკვევა, პლებანოვს ეკუთვნის.

სტავროპოლში გადასახლებით ნ. ნიკოლაძის ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლდა. ურწმუნონიც დარწმუნდნენ, რომ იგი არაეის წინაშე არაფერს დათმობდა, როცა საქმე საზოგადოებრივ ინტერესებს ეხებოდა. სასიამოვნო ფაქტია ისიც, რომ იგი ამ დროს თავის წვერად აირჩია რუსეთის „ხელმოკლე ლიტერატურა და მეცნიერება დამხმარე საზოგადოებამ“, ხოლო მოწინავე რუს მოღვაწეებს ურთიერთობა არ შეუწყვეტიათ მასთან. არც თვით ნ. ნიკოლაძის შეუწყვეტია პუბლიცისტური საქმიანობა. სტავროპოლიდან იგი ახერხებს გაზეთ „გოლდონში“ გამოაქვეყნოს სტატიები, რომლებშიც მხილებულია ამ მხარის სახალხო სკოლების რეაქციონერი დირექტორი და ქანდარმთა და კახაეთა ბატალიონების მიერ იქაური ერთ-ერთი სოფლის აკლების ამბები.

1881 წელს ნ. ნიკოლაძემ უფლება მიიღო დაეტოვებოდა სტავროპოლი და გადასულიყო პეტერბურგში, სადაც მან დაყო 1886 წლამდე. ამ პერიოდში მას სამშობლოში დაბრუნების უფლება არ ჰქონდა, მაგრამ მანაც გამოახა კონტრაღონისძიება: მუშაობა დაიწყო რკინიგზის სამმართველოში. ამგვარი სამსახურებრივი მოვალეობა კი საშუალებას აძლევდა ზოგჯერ სამშობლოც მოენახულებოდა. ამ ახალ და თითქოს შეუფერებელ უწყებაში მუშაობისასაც ნ. ნიკოლაძემ დიდი ნიჭი გამოიჩინა და დრო ტყეილად არ დაუყარგავს. ნათის გადაზიდვასთან დაკავშირებით, ნათის მრეწველობაში შექმნილი სიძნელეების თაიდან აცილების მიზნით მან შეიმუშავა მთელი პროგრამა, რომელიც გამოაქვეყნა გაზეთ „ნოვოე ვრემიაში“ (1883 წ., № 2669), რომელიც, მისივე მოხსენების საფუძველზე, მალე მიღებულ იქნა ნათის მრეწველთა საერთო კრების მიერ ბაქოში და განხორციელებულ იქნა კიდევაც. ნ. ნიკოლაძის დამსახურებაზე ამ მიმართულებით საგანგებოდაა ლაპარაკი რუსეთის ტექნიკური საზოგადოების „შრომებში“ და ნათის მრეწველთა პირველი ყრილობის მასალებში.

ამავე პერიოდში იგი თანამშრომლობს ჟურნალებში—„უსტოი“ და „ოტჩესტვენნიე ზაპისკი“, განსაკუთრებით უკანასკნელში. «К этому же времени.—წერს ნ. ნიკოლაძე, — относится мое сотрудничество в «Отечественных записках». По получении первой же моей статьи (разбора романа гр. Валуева—«Лорин») М. Е. Салтыков и Н. К. Михайловский предложили мне постоянное сотрудничество в журнале, которым я не мог воспользоваться за неимением досуга. После высылки Михайловского, мне поручен был весь критический отдел журнала. Кроме подписанных статей (Лорин, Борцы поневоле, Луи Блан и Гамбета) я поместил тут не мало анонимных, в отделе «Новые книги». Но предостережение, данное журналу гр. Д. Толстым, с прямым указанием на мою статью о Гамбетте, и вскоре вслед за тем полное запрещение издания, прервало эту работу».

როგორც ვხედავთ, ოფიციალურა ხელისუფლების მიერ შეეწირებულო და დასჯილი ნ. ნიკოლაძე თავისი ნიჭისა და პროგრესულად მოაზროვნე რუს მეგობრების წყალობით ლიტერატურული მოღვაწეობის ფართო ასპარეზს პოულობს პეტერბურგშიც. ესადა, მცირე მნიშვნელობის ფაქტად არ შეიძლება ჩაითვალოს სალტიკოვ-შჩედრინის მიერ ნ. ნიკოლაძის მიწვევა კრიტიკის განყოფილების გამგედ ჟურნალ — „ოტჩესტვენნიე ზაპისკიში“. შჩედრინი, ამ დროს, ყველაზე უფრო პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწე და მწერალი იყო მათთაგან, ვინც ერთგულად იცავდა და ეპოქის შესატყვისად ავითარებდა სახელოვან რუს

რევოლუციონერ დემოკრატთა მატერიალისტურ ესთეტიკას. როგორც ჩანს, საიმედო და დამსახურებულ მოღვაწედ თვლიდა იგი ამ მიმართულებით ნ. ნიკოლაძესაც და, ეფიქრობთ, არც ცდებოდა. ნ. ნიკოლაძე, ამ მხრივ, მართლაცაა შეხერხინის თვალსაზრის ეთანხმებოდა.

„ოტჩენსტვენნიე ზაპისკიში“ ნ. ნიკოლაძემ უაღრესად საინტერესო სტატიები გამოაქვეყნა. ყველა მათგანი დაწერილია საკითხის ღრმა ცოდნითა და მაღალი გემოვნებით. რათ ღირს თუნდაც ის, რომ მან პირველმა მისცა სწორი და საფუძვლიანი შეფასება ნიკიტური მწერლის ვსევოლოდ გარშინის მოთხრობებს; პირველმა მან გამოამზეურა ვალუევის „ლორინის“ მხატვრული უსუსურობა და მცდარი იდეური მრწამსი. მართალია მისი წერილები სავალალო აღმოჩნდა ჟურნალის არსებობისათვის, მაგრამ ზომ კემშარიტებაა, რომ „სკობს სიოცხლე-სა ნაძრახსა, სიკედილი სახელოვანი“...

პეტერბურგში ყოფნისას (1882 წ.) ნ. ნიკოლაძემ ძალაუწებურად იკისრა მოლაპარაკება რეაქციულ „სვიაშჩენაია დრუჟინასა“ და „ნაროდნაია ვოლას“ ხელმძღვანელებს შორის ტერორის შეწყვეტის შესახებ. ეს უკანასკნელი მოვლენა მძიმე ფიქრად ექცა მეფის მთავრობას ალექსანდრე მეორის მოკვლის შემდეგ. ამ მოლაპარაკების ნ. ნიკოლაძისათვის მიზლობისას მთავრობა იმითი ხელმძღვანელობდა, რომ იგი იყო, ერთი მხრივ, წინააღმდეგი ტერორისტული აქტების, მეორე მხრივ, — ცარიზმის შეურიგებელი მეზობლი, რის გამო „ნაროდნაია ვოლია“ მის შუამავლობაზე უარს არ იტყოდა. თვითონ ნ. ნიკოლაძეს კი აინტერესებდა მხოლოდ ერთი — ნ. გ. ჩერნიშევსკის განთავისუფლება, რისი გარანტიაც მან „გასამრჩელოდ“ მოსთხოვა მთავრობას, თანაც, მოტყუებული რომ არ დარჩენილიყო, „ნაროდნაია ვოლიას“ ხელმძღვანელებსაც თავიანთ ერთ-ერთ მოთხოვნად შეატანია ჩერნიშევსკის განთავისუფლება.

დასდო რა რისკზე თავისი ავტორიტეტი ამ მოლაპარაკების წარმოებით, ნ. ნიკოლაძის ცდამ მიზანს მიაღწია და ნ. გ. ჩერნიშევსკი ციმბირიდან ასტრახანში გადმოიყვანეს. მთელი ეს ისტორია ვრცელადა აქვს მას მოთხრობილი წერილში — «Освобождение Н. Г. Чернышевского» (ჟურნალი «Былое», 1906, № 9) და წიგნში — «Переговоры священной дружины с партнею «народной воли» в 1882 г.» , 1917 г.

სრულიად ვასაგებია ის აღტაცებაც, რომელიც ნ. ნიკოლაძეში ნ. ჩერნიშევსკის განთავისუფლებამ გამოიწვია. „მოცხლად დამარბული“ საყვარელი მასწავლებლას კვლავ დაბრუნებამ აუწერელი სიხარული და სიამოვნება მიაჩქა მას. საგანგებოდ დაწერილ სტატიაში („Освобождение Чернышевского“) ნ. ნიკოლაძე მკითხველს მიმართავს: «Я бесконечно счастлив, что беседу с Вами я могу начать с отрадного в нашей безотрадней жизни события — освобождения Н. Г. Чернышевского. Меня так и подмывает вдаться по этому поводу в пессимистический мой музе дифирамбический тон...»

Судьба Чернышевского кошмаром давила совесть всех, кто знал его «дело»... И я уверен, что чувством глубокой и неподдельной радости преисполнились при этом известии сердца всех без исключения друзей русского развития и русской литературы, к какой бы школе и к какому бы направлению они не принадлежали"... (აღნიშნული სტატია დაკავებულ იქნა ცენზურის მიერ).

1884 წლის 27 ოქტომბერს თვით ნ. ჩერნიშევსკიმ ბარათი გაუგზავნა ნ. ნიკოლაძეს, რომელშიც წერს: «Предполагая, что Вы еще не совсем забыли меня и, вероятно, сохранили доброе расположение ко мне, я обращаюсь к Вам с

просьбою помочь мне в деле, столь же невинном с точки зрения посторонних людей, сколько дорогим для меня». თხოვს დაეხმაროს მის ვაჟს და მოაწყოს სამსახურში.

ცხადია, ნ. ჩერნიშევსკიმ იცოდა თავისი მოწაფის ერთგულებაზე, იცოდა უდავოდ ისიც, რომ მას არ დაეიწყებია იგი და თავისი დიდი წვლილიც ჰქონდა შეტანილი მის გათავისუფლებაში. თორემ ასეთი ბარათით, ცხადია, არ მიმართავდა ოცი წლის წინათ გაცნობილ სტუდენტს. და თუ მეტს ვერაფერს წერს, ესეც გასაგებია: მან კარგად იცის, რომ მის მიერ დაწერილი ყოველი სტრიქონი მკაცრ და საიდუმლო ცენზურაში ტარდებოდა.

თავის მხრივ ნ. ნიკოლაძემ მეტად კდემამოსილად და წრფელი გრძნობის გამოხატველი ბარათით უპასუხა სახელოვან მისწავლებელს: „*Могу Вас уверить,—*უცოთხულობთ მის ბარათში, — *что я считал бы безграничным для себя счастьем хоть чем-нибудь быть Вам приятным или полезным, взамен всего того, чем я Вам обязан относительно своего умственного и нравственного развития. Всякое Ваше поручение и обращение ко мне я считаю и всегда буду считать за счастливый случай хоть отчасти, хоть на волосочек, облегчить тяжесть моего к Вам долга.*“

Позвольте мне, в заключение просить Вас передать нижайший мой поклон и искреннее почтение Ольге Сократовне...

С глубочайшим уважением и пожеланиями Вам всех благ земных—в других вы не нуждаетесь, — остаюсь от души Вам преданным».

ამ სიტყვებს კომენტარი არ სჭირდება. მასში ავტორის საღი და გრძნობიარე გული ფეთქავს, რომელიც ანგარიშს არ უწევს სიფრთხილის აუცილებლობას...

და როცა ყოფილ დიდ კატორღელს ამ სიტყვებს წერს, ნ. ნიკოლაძეს განა რაიმე ანგარიშიანობა ამოქმედებს? ცხადია, არა. ამიტომ გულწრფელად ვწუხვართ, რომ ზოგიერთი უმადური და საქმის სიღრმეში ჩაუხედავი მკვლევარი ნ. ნიკოლაძის მიერ ჩერნიშევსკის ავტორიტეტის თავგამოდებულ დაცვაში საერთოდ მის სასარგებლოდ გამოიზნულ ნაბიჯს ხედავს და წმინდა გრძნობას ჰუქუყიანი თვალით უტკერის.

1887 წლიდან ნ. ნიკოლაძე თბილისშია და ენერგიულად ეწევა პუბლიცისტურ-ჟურნალისტურ მოღვაწეობას. ამასთან მას უხდება ყოველდღიური ზრუნვა თავის ოჯახზე.

როგორც ამბობენ, სიტყვამ მოიტანა და ვერცყით: ნ. ნიკოლაძე პირველად 1873 წლის მაისში დაქორწინებულა, ცოლად შეურთავს ბოგუმილა (ბოტია) პელიიდორას ასული ზემიანსკაია (1854—1931), ჭვარისწერა ქ. ვენაში მომხდარა. ბ. ზემიანსკაია თბილისელი იყო. მისი ოჯახი პოლონეთიდან იყო გადმოსახლებული 1831 წელს, რევოლუციური საქმიანობისათვის. ბ. ზემიანსკაია თავისი სიღამაზით ყველა მნახველს ხიბლავდა თურმე. ძალზე გატაცებული ყოფილა მით ნ. ნიკოლაძეც, რომელსაც დაუპყრია კიდევაც მისი გული. ბოგუმილასთან ნიკოს პირველი შვილი (ქალი) შეძენია 1875 წელს, რომელიც მალე გარდაიცვალა; მეორე შვილი — ნინო (თელიკო) — 1877 წელს, რომელიც ცოლად გაპყვა ფრანგ გენერალ კოკეს.

ნიკოსა და ბოგუმილას შვიდი წელი უცხოვრიათ ერთად, შემდეგ კი განქორწინებულან, თუმცა მათ შორის ურთიერთპატივისცემა მაინც ბოლომდე დარჩენილა. ბოგუმილა თავისი შვილით პარიზში ცხოვრობდა გარდაცვალებამდე.

მეორედ ნიკომ 1883 წელს იქორწინა, ცოლად შეირთო ოლგა ალექსანდრეს ასული გურამიშვილი (1855—1940), მეტად განათლებული და საზოგადო მოღვაწე ქალი. იგი იყო ილია ჭავჭავაძის მეუღლის — ოლგას ნათლული და სახელიც ნათლიისა ჰქონდა. ოლგასთან ნიკოს შვიძინა: რუსუდანი (1884 წ.) — ამჟამად პროფესორი, ქიმიკოსი; გიორგი (1888—1931) — უდროოდ დაღუპული გამორჩენილი მათემატიკოსი და საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებელი; თამარი (1892—1939) — ფიზიოლოგი, დოქტორი, ნიქიერი სპორტსმენი, ჩვენი დიდი მეცნიერის— აკად. ნ. მუსხელიშვილის მეუღლე.

ნიკო თავისი ოჯახის დიდი მოყვარული და უპარესად წინდახედული მზრუნველი ყოფილა. ყველა შვილი სანიმუშოდ აღზარდა და საზოგადოებისათვის სასარგებლო გზაზე დააყენა. მათაც იმედი გაუმართლეს.

ამ ოჯახურ ისტორიასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ნ. ნიკოლაძის მიერ კ. ლორთქიფანიძისადმი მიწერილი ბარათი გიორგის დაბადებასთან დაკავშირებით. „შეიტყობდი, ვაჟი დამებადა, — წერს ნიკო კირილეს, — ამდენი ხანია თუმც ბევრა ვეცადე, ქალების მეტი ვერა ვაკეთე რა და ეხლა ძლივს მოვახერხე ვაჟის გაჩენა. აი, ეს ვაჟი მინდა მოგანათელინო, როგორც ჩემს უძვირფასეს და უძველეს მეგობარს და ამხანაგს, როგორც საყვარელს და მშვენიერ კაცს, რომლის ხასიათი იქნება დაენათლოს ჩემ შვილს (ნამეტანი ჭინიანობის გარდა, რასაკვირველია). თუ ჩემი ძმობა გწამდეს და თუ ცოტაოდნათ გსურდეს ჩემი სიამოვნება, ეს თხოვნა შემისრულე; დე ახირებულათ გეჩვენოს, დე სისულელე იყოს, რა ვენადლეება, ამ შენ რა დაგაკლდება? ამ თხოვნას ჩემი ცოლიც გითვლის და ჩვენ ორივენი ისე დაეაფასებთ მის შესრულებას, ისე დაგიმადლებთ, რომ წარმოდგენაც არ შეგიძლია“.

ამ ბარათითაც შეიძლება გავითვალისწინოთ, თუ როგორი რბილი და ტკბილი იყო ოჯახურ ცხოვრებაში ვეფხვივით მოუსვენარი და ენამწარე პუბლიცისტი; როგორი სიღრმით შეეძლო მას მეგობრისადმი სიყვარული. მართლაც, კირილე და ნიკო ხომ სიკვდილის მეტს არაფერს შეეძლო დაეშორებია. მათ ბოლომდე სანიმუშოდ ატარეს მეგობრობით შთაგონებული ურთიერთ სიყვარული და პატივისცემა.

რამდენადაც მომხიბლავი და ტკბილი იყო ნ. ნიკოლაძის ოჯახური ცხოვრება 80-იანი წლებიდან, იმდენად უფრო მკაცრი და მღელვარე იყო მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

თბილისში დაბრუნებული ნ. ნიკოლაძე, როგორც აღვნიშნეთ, კვლავ პუბლიცისტურ საქმიანობაში ჩაება. ამჯერად ის „ნოვოე ობოზრენიეს“ ფურცლებიდან ესაუბრებოდა თავის მკითხველს, რომელიც მას მრავლად ჰყავდა საქართველოსა თუ საქართველოს გარეთ.

„ნოვოე ობოზრენიეში“ თანამშრომლობის შესახებ თვით ნ. ნიკოლაძე ამბობს: «Новое обозрение» я вел ровно четыре года: с середины 1887 по 1 июля 1891 года. В последнее время оно совсем мне опротивело, потому что соотрудники газеты, воспитанные в духе «малой прессы», преследовали совершенно другие цели, чем я... Что мне оставалось делать? Новых сотрудников набрать было не из кого..».

ოთხი წლის მანძილზე ნ. ნიკოლაძე „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორიც იყო და წამყვანი პუბლიცისტიც. საკმარისია ითქვას, რომ ამ პერიოდში მან გამოაქვეყნა ას სამოცზე მეტი სტატია, გააშუქა უამრავი და ერთმანეთისაგან განსხვავებული საკითხები, გადაიხადა მრავალი პოლემიკა, მათ შორის პოლემიკა თავის

ძველ მეგობართან — ნ. ვ. შელგუნოვთან, რამაც ფართო გამომხატურება პოეზიის სფეროში.

უაღრესად საყურადღებო და მნიშვნელოვანია მისი კრიტიკული წერილები ლევ ტოლსტოის, სალტიკოვ-შჩედრინის და სხვათა შესახებ; საერთო ინტერესი დაიმსახურა მისმა წერილების სერიამ—„საუქმეოდ“ („На праздниках“) და ბევრმა სხვამ. ბოლოს კი, როგორც თვითონ ამბობს, მუშაობა გართულდა, საიმიერო თანამშრომელთა რაცხვი მცირე იყო; დ. კეხელმა და ი. ბახტაძემ, თავიანთი დაუფიქრებელი მოქმედებით, გული აუცრუეს გაზეთის ხელმძღვანელობაზე. გადაუწყვეტია გაზეთი სხვისთვის გადაეცა, მაგრამ უნდოდა უხვიროს არავის ჩაეარდნოდა ხელში. ამის თაობაზე მას მიუმართავს ი. კავკაძის, ვ. მიქელაძისა და დ. სარაჯიშვილისათვის, მაგრამ მათ არ მიუღიათ წინადადება. ბოლოს თუმანიშვილებისათვის გადაუცია, ვინაიდან, როგორც თვითონ ამბობს, — «Тогда братья Тумановы еще были верны традиции их батюшки, и считались грузинскими деятелями».

ნ. ნიკოლაძეს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია „ნოვოე ობოზრენიეში“ თანამშრომლობა და აქვეყნებდა წერილების სერიას რუბრიკით — „Со стороны“. მისი უკანასკნელი სტატია—„Как прекратить племенные распри“ დაიბეჭდა 1897 წლის გაზაფხულზე. ამის შემდეგ ის დრო და დრო ბეჭდავდა სტატიებს, თვითმმართველობის, კერძოდ ფოთის თვითმმართველობის შესახებ, გაზეთ „კავკაზში“, როცა მას ვ. ლ. ველოჯო რედაქტორობდა.

„ნოვოე ობოზრენიეში“ თანამშრომლობის დროს, 1894—97 წლებში, ნ. ნიკოლაძე თანამშრომლობდა, აგრეთვე, ქართულ ეურნალ „მოამბეში“. იგი ამ ეურნალში განაგებდა შინაური და პოლიტიკური მიმოხილვების განყოფილებას. „მოამბეში“ მოთავსებული სტატიების შესახებ თვით ნ. ნიკოლაძე ამბობს: «Это было не голые хроники, и даже не свод новостей, а образцы и доктринальные статьи, по разным очередным вопросам. В каждый такой очерк я вкладывал массу труда и материалов».

მართლაც, „მოამბეში“ გამოქვეყნებული ოცდაოთხი სტატია, რომლებიც უმთავრესად საშინაო და საგარეო მდგომარეობის მიმოხილვას ისახავენ მიზნად, დაწერილი არიან მისი ავტორისათვის შესაფერი ერუდიციითა და წინდახედულებით. ამ მხრივ ისინი სანიმუშონი არიან ამ ეანრის წერილთა შორის გასული საუკუნის ქართულ პრესაში.

„მოამბეში“ მოღვაწეობით დაშთავრდა ნ. ნიკოლაძის თანამშრომლობა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პრესაში. ამის შემდეგ იგი დიდი ხნის მანძილზე „ტყვედ“ ჰყავდა ფოთის ქალაქის თავობას.

1894 წელს ნ. ნიკოლაძე, კენჭისყრით, ერთხმად აირჩიეს ფოთის ქალაქის თავად. ისიც განსაკუთრებული ენერჯიითა და მონდომებით შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას. მისმა წინდახედულმა ზრუნვამ ფოთის ქალაქისა და ნავსადგურის მშენებლობის საქმეში დიდი შედეგები გამოიღო; ფოთის თვითმმართველობა მისაბაძი გახდა მთელ საქართველოში.

რამდენადაც ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობა ფოთში ხალხისა და ჩვენი ქვეყნის ბატრიოტთა მოწონებას იმსახურებდა, იმდენად იგი უფრო საევეო და მიუღებელი ხდებოდა მეფის მთავრობისათვის, რომელმაც, ყალბი ბრალდებების საფუძველზე, იგი თანამდებობიდან გადააყენა 1912 წელს.

ხალხისა და ქალაქის თვითმართებლობის მხარდაჭერის წყალობით, ნ. ნიკოლაძემ შეძლო შეთითხნილი ბრალდებების გაქარწყლება და საქმის ნამდვილი მდგომარეობის გარკვევა, მაგრამ ქალაქის თავობას იგი შემდეგში მაინც აღარ დაბრუნებია. 1915 წლამდე მას შენარჩუნებული ჰქონდა ხელფასი, ხოლო 1915 წელს, იმავე ქალაქის თვითმართებლობის გადაწყვეტილებით, დაენიშნა მუდმივი პერსონალური პენსია. მაღლიერმა ქალაქმა და მისმა მოსახლეობამ ამით თავისი სიყვარული და პატივისცემა დაუდასტურა ამაგდარ მოღვაწეს.

კრიტიკულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის ზენიტში ასული ნ. ნიკოლაძის წასვლა ფოთში ქალაქის თავად სხვადასხვაგვარად იყო გაგებული და შეფასებული. მართლაც, შეუძლებელი იყო ამ გარემოებას ერთგვარი გაკვირვება არ გამოეწვია საზოგადოებაში. მაგრამ თუ კარგად ჩავწვდებით ნ. ნიკოლაძის ნაწერების ნამდვილ აზრს და სწორად გავითვალისწინებთ იმ ატმოსფეროსაც, რომელშიც იგი 90-იან წლებში მოექცა, გაკვირვებას საფუძველი მოესპობა.

თავის ერთ ბროშურაში („ჩემ პოლიტიკაზე“) ნ. ნიკოლაძე შენიშნავს, რომ „მიუწვდომელ ოცნების, ბრმა მიმბაძველობის მაგიერ მიზნად ყოველთვის მქონია ჩემი ქვეყნის მორიგი საქიროების შესწავლა, დაჩაყოფილებათ“. ამ მხრივ იგი მართლაც გამოიჩინებდა თავისი თანამედროვეთაგან. იგი უდავოდ უფრო პრაქტიკული თეალითა და უახლოესი ამოცანების გარკვევის ინტერესებიდან გამომდინარე იხილავდა და აფასებდა საზოგადოებრივ მოვლენებს. იგი აღრევე დარწმუნდა ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარების აუცილებლობაში და ამ დიდ მოვლენას მან გვერდი არ აუარა არა მარტო როგორც მოაზროვნემ, არამედ — არც როგორც პრაქტიკოსმა მოღვაწემაც. მისი დიდი სურვილი იყო ქართველი საზოგადოებრიობა, მისი მოწინავე და განაოლებული წარმომადგენლები უშუალოდ ჩადგომოდნენ სათავეში ყველა იმ წამოწყებას, რომლებსაც აუცილებელს ხდიდა თვით ცხოვრების კანონზომიერი განვითარება. ეს მიზანი განაპირობებდა მის დიდ სიმპათიას „ახალი ახალგაზრდობისადმი“, რომელიც, მისი რწმენით, წინა თაობაზე მეტად იყო მომზადებული პრაქტიკული მოღვაწეობისათვის. იგივე მიზანი ამოძრავებდა მას თავგამოდებითა და ხანგრძლივად რომ ებრძოლა თვითმართებლობის შემოღებისა და ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების რაციონალური გამოყენებისათვის. ის დიდი ზრუნვა და ამაგიც, რაც მან გასწია ტყიბულის ქვანახშირის, თუ კიათურის მარგანეცის საბადოთა დამუშავება-ექსპლოატაციისათვის, დაკავშირებული იყო მის სოციალურ პროგრამასთან. უკანასკნელად კი, ფოთის ქალაქის თავად ყოფნისას მას მიზნად ჰქონდა კონკრეტულად ეჩვენება, თუ რის მიღწევა შეიძლებოდა სწორი და პატრიოტული პრაქტიკული მოღვაწეობით. მის ვადასვლას პრაქტიკოს-მოღვაწეთა რიგებში მისავე თეორიული წინამძღვრები განაპირობებდნენ.

არც ის შეიძლება დავივიწყოთ, რომ პრაქტიკული მოღვაწეობის წლებში ნ. ნიკოლაძე არ ჩამოცილებია ინტელექტუალურ სამყაროს და კავშირი არ გაუწყვეტია მეზობლ კალმოსანთა არმიასთან.

90-იან წლებში, როცა რუსეთში გამოცოცხლება დაიწყო ანტირეალისტურმა მიმართულებებმა, ნ. ნიკოლაძემ ნ. ჩერნიშევსკის შეილთან — მ. ჩერნიშევსკისთან ერთად — დიდი შრომა გასწია, რათა 1895 წელს მკითხველს ხელახლა მიეღო ნ. ჩერნიშევსკის ესთეტიკურ-ლიტერატურული ნაშრომების თხზომეული¹, რომლებშიც კვლავ დიდი როლი შეასრულეს მატერიალისტური ესთეტიკის დაცვის საქმეში. ნ. ნიკოლაძეს სათანადო დახმარება აღმოუჩენია მ. ჩერნიშევსკისა-

¹ «История русской критики», т. II, стр. 35.

თვის 1907 წელსაც, როცა ნ. ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემის საქმე მძიმე ვითარებაში აღმოჩენილა.

ამასთან ერთად, იგი, ცხადია, უფრო იშვიათად მაგრამ მაინც ახერხებდა გამოეკვეყნებია ცალკეული სტატიები, თუ ბროშურები. ამ უკანასკნელთაგან უფრო საყურადღებო არის: „იაპონია. ძველი და ახალი შენიშვნები“, 1905 წ., «Полукопеечный сбор: Мечта и жизнь», 1908 г., «Кавказское марганцевое самоуправление», 1910 г.

მაგრამ ცხადია, რომ მის სამწერლო მოღვაწეობაში ფოთში გატარებული წლები საკმაოდ ღარიბად გამოიყურებიან. ნ. ნიკოლაძე, ცხადია, გრძნობდა ამ გარემოებას, მაგრამ სხვა გზას ვერ ხედავდა, — ორი ბატონის სამსახურს არ კისრულობდა. პასუხს სცემდა რა თავის მოწინააღმდეგეებს, ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძე 1913 წელს წერდა: „მწერლობაზე ხელი აიღო, რაკი ფულიანი ადვილი იშოვნაო“. კარგად არ გაუცვინია მწერლის მოვალეობა იმას, ვინც ამას მაყვედრის? დიახაც, ისეთი მოწაწებით ვეპყრობი მწერლის დანიშნულებას, რომ ყოველთვის, როცა ან რკინის გზის, ან მრეწველობის, ან ქალაქის სამსახურს ვკისრულობდი, უადრეს მოვალეობად ვთვლიდი მწერლობაზე ხელი ამეღო. ორ.ღმერთს, ერთსა და იმავე დროს, კაცი ვერ ემსახურება... მწერლობის და მკითხველი საზოგადოების წინ ჩემი დუმილი იმას მოასწავებს, თუ რა შორიდგმა მაქვს მომავლის, რა წმინდათა-წმინდათ ვთელი მწერლობას. ვერავინ მოძებნის სტამბაში ვერც ერთ სტრიქონს, ჩემგან დაწერილს, რკინიგზის, ან როტშილდის, ან ფოთის საქმეების დამცველს ან მაღიღებელს, სანამ ამ საქმეებს ვემსახურებოდი...

...მოგახსენებთ ახლა რა მიზეზით მომიხდა სხვა რაიმის სამსახური, როცა მარტო მწერლობისთვის ვიყავი შექმნილი, დამზადებული, გატაცებული...

მთქმელს გამგონი უნდა. როცა ჭეროვანი ურთიერთობა არ მყარდება ამ ორ მხარეს შუა, წვალებას ვაძლავ სჯობს. ნამეტანი ვიმეცადინე მწერლურ ასპარეზისათვის მზადებაში. ამ მიზეზით მიჰირდა და ახლაც მიჰირს საერთო „ხოროსთვის“ ბანის მიცემა. როცა ქართულ მწერლობაში გავები, მის თარს მარტო ერთი სიმი ება, შიგ მარტო ერთი, დიახ სწორი, მაგრამ ერთობ ცალმხრივი, დედა-აზრი სუფევდა. ჩვენს განვითარებაში ის (კეისრის კეისარსა!) 1830 წლის მოძრაობას შემოეტანა და გრიგოლ ორბელიანს დაემყარებია: დედა-ენის დაცვა. 1860 წ. მოძრაობამ ამ საქმეს ახალი მსახურები მიაშველა: სტამბა, სკოლა, სახელმძღვანელო. ჩემმა დამზადებამ დედა-ენა, მიზნად კი არა, მარტო ერთ იარაღთანადაა მიაჩენა ერის კეთილდღეობისა. მესმოდა, არა მარტო ენით იკვებება ხალხი. ქართული ენა სისრულით ხელთ ეპყრა ჩვენს ერს, როცა მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში თითოეულად შემოეცალა ყოველივე ის, რაც ეროვნებას შეადგენს. მას არც მარტო ენა აღადგენს ამ ეროვნებას-მეტე, ვფაქრობდი. სპიროდ ვთვლიდი შემეძრა ის ცხოველყოფი ძალები, რომლის მოქმედება და ურთიერთობა ერს ზრდის, ამიღლებს, აძლიერებს. შეეეხე ეკონომიკას, კრედიტს, მრეწველობას, მიწისმფლობელობას და თვითმართველობას. ძველი მოღვაწეების ნაშრომთა შესწავლამ ნება მომცა მკვდრეთით აღმედგინა ბოზობებისაგან დამარცხებული და დამარხული საქმეები და მოქმედი პირები, მაგალითად, ყველასაგან ერთიანად დაიწყებული საადგილ-მამულო ბანკები. ბ. გიორგი ყაზბეგს ჰკითხეთ... რამდენჯერ დაგვიკირდა დუშეთის ასეღა 1871—1873 წ.წ. რამდენიმე

¹ «Письма русских литературно-общественных деятелей к Н. Я. Николадзе», под ред. проф. В. Шадури, стр. 48—49, 113.

ყმაწვილს, რამდენი მეცადინეობა დაგვეკირდა, რომ ილია ჭავჭავაძისათვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგვეღებინებინა, ბანკის დაარსება იერიშით აგველო, ბანკი განახლების ბანკად გვექცია და შიგ კავკაზაზე ძალდატანებით ქართული საქმის სათავეში ჩაგვეყენებია. თბილისის ქალაქის თავად სომხებს დიშ. ყიფიანი ავარჩევინეთ. ქუთაისს, გრ. ლევაშოვთან აუწერელი ბრძოლას შემდეგ, თვითმართველობა შემოვადებინეთ. ქართველობის ასპარეზი ხუთიოდე წელიწადში უტყობათ გაეფარათვეთ. რასაკვირველია, ახალი საქმეების აღძვრას მოჰყვა შეტაკება სხვადასხვა აზრებს, ინტერესებს, თავმოყვარეობათა შორის. ეს „ალია-ქოთი“ სულ მე დამბრალდა. ვინც დედა-ენის მერტ არას იცნობდა, დამემღძურა, ძალას უსარგებლო საქმეებზე გვაფლანგვინებდეს... ხაზინის, ბანკის, თვითმართველობის საქმეები ქართულ ერთობას არღვევენო...

დავლუნე თავი, მოვშორდი ქართულ მწერლობას... რაკი უმეტესი ნაწილი იმ საქმეებისა, რომელზედაც ჩვენი ქვეყნის ბედი ჰქილია, რუსის მთავრობის ხელშია, მონი რუსულად ახსნას დაუწყვებ ჩვენს გასაქირს, იქნებ ამით ვისმე ვარგო მეთქი. ბევრი კითხვა ამიძრავს ამნაირათ. ვერაინ ვერაფერს გამოძებნის ამ ნაშრომებში ჩვენი ქვეყნისთვის ურგებს, ან სახიფათოს. მაინც, როცა ხაზნების, მიწის მფლობელობის მოწესრიგებას ვიკვლევდი მთავრობისთვის, ქართულმა მწერლობამ მიიყინა (1878—1880): ორად ჰყოფს ქართველობასაო. სრულიად დავანებე თავი იმ კითხვებს, რომელნიც წოდებათა ურთიერთობას შეეხებოდნენ. სრულიად დავივიწროვე მოქმედების ფარგალი, ევხებოდი მარტო იმ საქმეებს, რომელნიც არავის წინააღმდეგობას არ უნდა იწვევდნენ: გზებს, არხებს, პორტებს, ვაჭრობას, მრეწველობას, ჯანმრთელობას, თვითმართველობას. ჩვენში ესეც არავის ეპიტანვა...

დავფიქრდეთ ახლა. იმ დროს რომ ჩემსას გაეკრა და ეს საყარამო კითხვები საბოლოოდ გადაგვეწყვიტა, მოუხდებოდა თუ დააუძლურებდა ეს ქართველობას? რა „ერთობა“ ყოფილა ჩვენში, 1905-მა გვიჩვენა. ჩემ რჩევას რომ აპყოლოდნენ 1871—1880-ში, სულ სხვა გაელენა ექნებოდა „განმათავისუფლებელ მოძრაობას“ ქართველობის პოლიტიკურ ბედზე. ერთაზროვან, ერთ ბანაკად მდგომ ერს რა არ გაუვიდოდა? ჩვენ კი ამ ფსიხოლოგიურ ხანაში ერთმანეთს შევესიეთ და შევაკვდით, ერთმანეთი გავაბათილეთ... მტერ-მეზობელი ყველა იმას ლოცულობდა: „წამიკიდებელი წაიკიდე, ორივეს თავი წაწყვიტეო“, მტრის გულისა გავხდით, მითომ რომ თავის დროზე ურთიერთობა ვერ მოვაწესრიგეთ.

რაგინდ მებრძოლი ტემპერამენტი მქონოდას, რა გინდ მართალი ყოფილიყო უნდა მოვრიდებოდი ახალთაობასთან ბრძოლას"... (ნ. ნიკოლაძე. „ჩემ პოლიტიკაზე“, 1913 წ.)

როგორი შეფასება და განმარტებაც არ უნდა მივეცეთ ჩვენ ამ ვრცელ ამონაწერში წარმოდგენილ შეხედულებებს სულ ერთია, იგი თვალნათლივ გვიდგენს მის ავტორს გარდახდილი ბრძოლებისა და საკუთარი ნაშრომდარის შეფასების შუქზე.

იმასთან ერთად, რაც აშკარა და ნათლადაა მასში გადმოცემული თვით ნ. ნიკოლაძის მიერ, მკითხველი უდაოდ იგრძნობს ამასაც, რომ 90-იანი წლებიდან ქვეშაირტ სამოციანელს უყვე უძნელდება რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ღრმა ანალიზი, მოვლენათა განსკვრება პერსპექტივაში. და ეს არც საკვირველია: მოაზროვნე, რომელსაც სწორად არ ჰქონდა გათვალისწინებული პრაქტიკარიატის როლი მომავალ საზოგადოების ცხოვრებაში, ვერ ფლობდა მარქსისტულ მოძღვრებას კლასთა ბრძოლაზე, ცხადია, ადვილად ვეღარ გაერკვეოდა ამ რთულ ეპოქაში. მაგრამ ქვეშაირტი პატრიოტი და ფხიზელი.

მოაზროვნე რეაქციონერთა ბანაკში როდი გადადის და ბრძოლას როდი უცხადებს ახალი აზრების მქადაგებელ ახალ თაობას. პირიქით, მათ უთმობს სარბიელს. და დაკვირვებით აღევნებს თვალს ახალ ისტორიულ მოვლენებს. ფრთხილობს ისეთი არაფერი წამოცდეს ვეტერან პუბლიცისტს, რასაც შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მისი თანამემამულენი. სწორი ორიენტაციის შექმნას ხელს უშლიდა ის გარემოებაც, რომ მარქსიზმის სახელით გამოდიოდნენ არა მხოლოდ კუშმარატი მარქსისტები, არამედ სხვებიც და ანაგვიანებდნენ რევოლუციური თეორიის მოსაპოვარს. ასეთ პერიოდში ნ. ნიკოლაძემ, სრულიად შეგნებულად, დაძაბულ თეორიულ მოღვაწეობას, ნაკლებ სარისკო პრაქტიკული საქმიანობა არჩია.

გადის წლები და ნ. ნიკოლაძემ მიიჩნია, რომ პოლიტიკურმა მოვლენებმა უფრო გარკვეული სახე მიიღო. პირველი მსოფლიო ომის წლებში მან შესაძლებლად დაინახა კვლავ დაბრუნებოდა პოლიტიკური აზროვნების სატბიელს, კვლავ ეთქვა თავისი სიტყვა ახალი მოვლენებისა და თავისი ქვეყნის მომავლის თაობაზე. ის კვლავ დიდი პათოსით ეკამათება თავის მოწინააღმდეგეებს, ავლენს მათი საქმიანობის სუსტ, მცდარ მხარეებს და იცავს უმართებულო შეფასება-გაგები-საგან თავისი მოღვაწეობის თეორიულ თუ პრაქტიკულ შედეგებს.

ამ პერიოდისათვის ნ. ნიკოლაძე, ეროვნულ საკითხში, კვლავ ფართო თეო-მმართველობის პირობებში რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის მომხრეა. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საინამ სპარსეთი და თურქეთი გარს აკრავს, საქართველო-სათვის უკეთესი გზა არ არსებობს. მას ამ მხრივ აზრი არ შეუცვლია თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის გზაზე. მისთვის, ამ მიმართულებით, მთავარი მხოლოდ ის იყო, რომ მიღწეული ყოფილიყო რაც შეიძლება უფრო სრულფასოვანი და სრულყოფილი თვითმმართველობა. სოციალურ-ეკონომიურ სფეროში ნ. ნიკოლაძე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულებისაკენ იხრება; ესთეტიკაში — კვლავ მატერიალისტურ პოზიციებზე ღვას და იბრძვის ყოველგვარ ანტირეალისტურ მოძღვრებათა წინააღმდეგ.

საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში ნ. ნიკოლაძეს არასოდეს არ უარყვია რევოლუციის საჭიროება და მისი დადებითი შედეგები. მაგრამ იგი წინააღმდეგ იყო ნაადრევი რევოლუციის, რომელმაც შეიძლება სისხლის ღვრა გამოიწვიოს, მიზანს კი ვერ მიაღწიოს. რევოლუციის დღის წესრიგში დაეცნებას იგი უკავშირებდა ევოლუციას გარკვეულ დონეს. მისი თქმით, როგორადაც არ უნდა ვეცადოთ კვერცხიდან მხოლოდ სამი კვირის შემდეგ შეიძლება გამოიჩე-კოს წიწილი.

რევოლუცია, ცხადია, გულისხმობს ევოლუციას; იმ ძალების განვითარებას, რომელმაც რევოლუცია უნდა მოახდინონ, გულისხმობს შესაფერი სიტუაციის შექმნასაც, მაგრამ ნ. ნიკოლაძე ევოლუციაში გულისხმობდა მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას. იგი, როგორც აღვნიშნეთ, ვერ მივიდა კლასთა ბრძოლისა და საზოგადოების განვითარების მარქსისტულ-ლენინურ გაგებად, ამიტომაც მისთვის ნაკლებ მოსალოდნელი იყო სოციალისტურ რე-ვოლუციის შესაძლებლობა ჩვენს სინამდვილეში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის ნ. ნიკოლაძე პეტერბურგში შეხვდა. ამ დროს იგი თანამშრომლობდა გზნეთ „რუსსკაია ვოლიაში“. რომელშიც ხუთმეტ-ზე მეტი სტატია გამოაქვეყნა. ამ სტატიათა დიდი უმრავლესობა იმ დროის მეტად აქტუალურ საკითხებს ეხებოდა. იგი სიხარულით ეგებებოდა მონარქიული რევიმის წინააღმდეგ ამხედრებული მებრძოლი ძალების საქმიანობას და მხარს უჭერდა რესპუბლიკას, თუმცა ამ რესპუბლიკის სასიათი ვერ კიდევ დაუზუსტებელი ჰქონდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პეტერბურგში გამგზავრებამდე, 1913—1916 წლებში, ნ. ნიკოლაძე ჩაბმული იყო დამაბულ პუბლიცისტურ მოღვაწეობაში. ის კვლავ თავისი კალმის ერთგული იყო ამ პერიოდში და თავისი მებრძოლა პათოსით გამთბარ სტატიებს აქვეყნებდა ქართულ ჟურნალებსა („კლდე“, „განთიადი“) და გაზეთებში („იმერეთი“, „ახალი ქართლი“, „სამშობლო“, „საქართველო“). მისი სტატიები: „ომი და ხალხი“, წერილების სერია — „საამდროისო“, „შემშლილი და ერობა საქართველოში“ და სხვ. აშკარად მეტყველებდნენ, რომ ნაციონალიზმის პუბლიცისტი ამჟერადაც არ გაურბოდა აქტუალურ პოლიტიკურ თემებზე მსჯელობას. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ნ. ნიკოლაძემ კვლავ სამშობლოს მოაშურა და გაზეთ „საქართველოს“ ჟურნალებიდან დაიწყო საქართველოს მომავალი ცხოვრების პოლიტიკური და ეკონომიური მხარეების გარკვევა. ამ მხრივ საყურადღებოა სტატიები: „როგორი რესპუბლიკა?“, „ეროვნული ყრილობა“, „საქართველოს ფინანსები“, „საქართველოს მრეწველობა“, „საქართველოს ორიენტაცია“, „რუსეთის დარღვევა და საქართველოს ბედი“.

არ ეუთვნოდა რა არცერთ პოლიტიკურ პარტიას ფაქტიურად. ნ. ნიკოლაძე მტერი სიმპათიებით ბოლშევიკური პარტიის საქმიანობას ეპყრობოდა და ყველზე მეტად სჩეროდა მისი გამარჯვებისას. რაც შეეხება მენშევიკთა მოქმედებას იგი მას მტრად იქვითა და ირონიული განწყობილებით უცქეროდა. და როცა მათ ჩვენი ქვეყნის სათავეში ჩადგომა მოახერხეს, ნ. ნიკოლაძეს ამ დროს მხოლოდ ის აწყნარებდა, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა მიიღო. 1920 წლის აგვისტოში ნ. ნიკოლაძე საზღვარგარეთ გაემგზავრა, როგორც კიათურის მარგანეცის საექსპორტო საზოგადოების დელეგაციის მეთაური. იქ შეიკრა მან საქართველოში საბჭოთა ზელისუფლების დამყარების შესახებ და, გაერკვა რა ამ დიდი ისტორიული მოვლენის მნიშვნელობაში, მამინვე ითხოვა სამშობლოში დაბრუნება. 1924 წლის მარტში ნ. ნიკოლაძე სამშობლოში დაბრუნდა და სოციალისტური სამშობლოს მშენებელთა რეგებში ჩადგა.

ნ. ნიკოლაძე ამ დროს 80 წლის იყო და, ცხადია, მას ჩვეული ენერგიით აღარ შეეძლო პრაქტიკული, თუ პუბლიცისტურ-კრიტიკული მოღვაწეობა, მაგრამ ყოველ საქმეს მაინც ჩვეული მონდომებთა და სიბეჯითით ეკიდებოდა.

1924—25 წლებში ნ. ნიკოლაძემ ჟურნალებში — „კავკასიონი“ (1924 წ. № 3—4) და „ახალი კავკასიონი“ (1925 წ. № 1—2) გამოაქვეყნა უაღრესად საინტერესო მოგონებები („მოგონებანი სამოციან წლებზე“), რომელთაც შემდეგ რუსულადაც დაიბეჭდა (ჟურნ. „Каторга и ссылка“, 1927 წ. № 33, 34).

ნ. ნიკოლაძე იყო გამომცემლობა „ქართული წიგნის“ გამგეობის თავმჯდომარე და ამ ამხანაგობის დამაარსებელი. არჩეული იყო, აგრეთვე, საქართველოს ტექნიკური საზოგადოების გამგეობის საპატიო წევრად. მას ახლო და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ქართველ საბჭოთა მწერლებთან. საგულისხმოა, რომ მისი მონაწილეობით ჩატარდა ქართველ საბჭოთა მწერალთა პირველი ყრილობა.

როგორც დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტთან, ნ. ნიკოლაძესთან აქმიანა კონსულტაციები ჰქონდათ საქართველოს საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებს, რომლებიც დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ მის პროექტებსა და გეგმებს სახალხო მუერნეობის სხვადასხვა საკითხებზე.

1928 წლის 25 მარტს ნ. ნიკოლაძე ავად გახდა მარცხენა ფილტვის ანთებით. მიუხედავად ექიმების დიდა ზრუნვისა ავადმყოფობა მაინც სააუბედო აღმოჩნდა. იმავე წლის 1 აპრილს, დილის ორნახევარ საათზე, ნ. ნიკოლაძე გარდაიცვალა თბილისში, თავის ბინაზე (ამჟამად გ. ტაბიძის ქ. № 21).

გაზეთმა „კომუნისტმა“ პირველი აპრილის ნომერშივე აუწყა საზოგადოებას ნ. ნიკოლაძის გარდაცვალება და გამოაქვეყნა მისი ბიოგრაფიული ცნობები.

2 აპრილს მოწვეულ იქნა საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმის საგანგებო სხდომა, რომელმაც აირჩია დამკრძალავი კომიტეტი. კომიტეტის გადაწყვეტილებით, 3 აპრილს ნ. ნიკოლაძის ცხედარი გადასვენებულ იქნა ხელოვანთა სასახლეში (დღევანდელ მწერალთა კავშირის სასახლეში), სადაც სიტყვა წარმოსთქვა მწერალმა დავით კლდიაშვილმა.

გაზეთმა „კომუნისტმა“ 3 აპრილის ნომერში მოათავსა საქართველოს ცაკის თავმჯდომარის, ძველი რევოლუციონერისა და პუბლიცისტის ფილოპე მახარაძის სტატია, რომელშიც მიმოხილული და შეფასებული იყო ნ. ნიკოლაძის ღვაწლი და დამსახურება თავისი ერის წინაშე. წერილში ნათქვამია: „გარდაიცვალა ნ. ნიკოლაძე. მეტად საინტერესო, მდიდარი და მრავალმხრივი იყო ამ ადამიანის ცხოვრება. ნახევარ საუკუნეზე მეტი, თითქმის 65 წელიწადი იგი მოღვაწეობდა საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ასპარეზზე. მიუხედავად ასეთი ხანგრძლივი მოღვაწეობისა — უკანასკნელ წუთამდე მან შეინარჩუნა ახალგაზრდული სიხალისე და ღრმა ინტერესი საზოგადოებრივ ცხოვრებისადმი... თავისი წერის მანერით, თავისი ორიგინალობით მან დასაწყისშივე მიიქცა მაშინდელი მკითხველი საზოგადოების ყურადღება. მან შემოიტანა ჩვენს პუბლიცისტიკაში სრულიად ახალი ნაკადი. მაშინდელი მოწინავე რევოლუციონერად განწყობილი ახალგაზრდობა გაუცხიკებით ეძებდა ნ. ნიკოლაძის ნაწერებს. მართალია, ნ. ნიკოლაძე უშუალოდ არ ჩაბმულა მაშინდელ რევოლუციურ მოძრაობაში, მაგრამ იგი სავსებით თანაუგრძნობდა ამ მოძრაობას... იგი იბრძოდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და არსებითად ემხრობოდა რადიკალურ-ბურჟუაზიულ მიმართულებას...

მაგრამ მართო ლიტერატურით არ იფარგლებოდა ნ. ნიკოლაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მას ეკუთვნის შეთავაზება და ხელმძღვანელობა დიდი მასშტაბის საქმეების: როგორც თბილისის წყალსადენი, ფოთის ნავსადგური, ამიერკავკასიის რკინიგზა, პროექტი გროზნო-ფოთის ნავთსადენის შესახებ და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი პროექტები... ყველას აოცებდა მისი დაკვირვება და ღრმა ცოდნა იმ საკითხებისა, რომლის შესრულებასაც იგი ისახავდა მიზნად.

...საბჭოთა მთავრობა დიდად აფასებდა ნ. ნიკოლაძეს, მის ნიქს, მის ცოდნას და გამოცდილებას.

სამწუხაროდ, ნ. ნიკოლაძე, მიუხედავად მისი დიდი სურვილისა, ავადმყოფობისა და მოხუცობის გამო, მოკლებული იყო საშუალებას მხურვალე მონაწილეობა მიეღო საბჭოთა აღმშენებლობაში როგორც მას შეეფერებოდა. მე ვიცი პირადად, რომ საბჭოთა აღმშენებლობას იგი დიდად აფასებდა და ცდილობდა მის წარმატებას. მისი დაკარგვა საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელოვანი დანაკლისია“.

გაზეთმა „კომუნისტმა“ (№ 79) გამოაქვეყნა, აგრეთვე პ. მ. საყვარელიძის სტატია, რომელშიც ნათქვამია: „ეს ღრმად მოხუცებული ადამიანი აშკარად ხედავდა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ცხოვრებას მოევლინა ახალი ხალხი, ახალი ძალა, რომელიც მაგარი და იმედიანი ნაბიჯით მიდის წინ.“

ის ხედავდა, რომ ამ ახალი ხალხის ხელში საქართველოს აყვავება და დაწინაურება გაცილებით უფრო ჩქარა მიდის წინ, ვიდრე უწინ“.

ასე შეაფასა გაზეთმა „კომუნისტმა“ და რევოლუციის გამორჩენილმა მოღვაწეებმა ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი და მისი დამოკიდებულება საბჭოთა ქვეყანასთან, სოციალისტურ სისტემასთან, და ეს შეფასება უდავოდ სწორად გამოხატავს დიდი მოაზროვნისა და ღვაწლმოსილი პუბლიცისტის ცხოვრებასა და მოღვაწეობას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში.

დაკრძალვის დღეს, ქართველ მწერალთა და ინტელიგენციის სახელით, მწერალთა სასახლის აივნიდან, მეტად მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ვახტანგ კოტეშივილმა, რომელმაც მისთვის ჩვეული ორატორული ოსტატობითა და დიდო სიყვარულით მოაგონა საზოგადოებას სახელოვანი მოაზროვნის მდიდარი და შესანიშნავი ცხოვრება და მოღვაწეობა.

...1928 წლის 5 აპრილს მადლიერმა ქართველმა ხალხმა მთაწმინდის მიწას მიიბარა კიდევ ერთი თავისი რჩეული შვილთაგანი, მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი მოგვიანი, თავისი ერის საუკეთესო მომავალში ღრმად დარწმუნებული დიდი პატრიოტი—ნიკო ნიკოლაძე.

პროფ. დ. ბამეზარდაშვილი

ნიკო ნიკოლაძე
თხზულებანი

ტომი პირველი

1860 — 1869

ტომი დასაბუჱად მოამზადეს, შენიშვნები, კომენტარები
და სახელთა საძიებელი დაურთეს დოც. ს. ხუციშვილმა
და დოც. ვ. ჯამბახიძემ

27/10 (19/10) 1944

Dear [Name]

I have just received your letter of the 20th and am glad to hear from you. I am well at present and hope these few lines will find you the same. I am sure you are all well and happy.

I have not much news to write at present. I am still in the hospital and am not allowed to go out much. I am sure you will understand.

I will write again when I hear from you.

Yours

[Signature]

I have just received your letter of the 20th and am glad to hear from you.

სახვარაელნო მკითხველნო!

გთხოვთ მიცნობდეთ. მე გახლავართ ერთი მეტუკეთაგანი - „ქუთაისის მექორე“. ამდენ ხანს მეძინა, მაგრამ თავადის ა. ვ. ჯამბაკურიან-ორბელიანოვის ხმამ გამაღვიძა'.

ახალ ნამძინარეგზე ბულვარზედ გავედი, ვსთქვი სიო მარგებდა. შევედი კარებში და სიარული დავიწყე. წინ რომ გავიხედე, ორი ქალის მეტი არავინ არ მოდიოდა, იმ ქალთ ერთი კავალერი მოჰყვებოდა, ამ ორ ქალსა და კაცს მთელი ბულვარის გზა დაეჰკირათ.

თქვენ იცით, რომ ნამძინარევი კაცის ფიქრი ცოტათი დაბნეულია, რაღასაც ვფიქრობდი, მგონია სიზმარს ვიხსენებდი. ამ დროს კაცი დამეტაკა, მე მოვბრუნდი და მეორე გზით დავიწყე სიარული. რამდენი ქალიც შემომეყარა, ყველას რაღაც რგოლებიანი კაბები ეცვათ. მე ანწლის რგოლები მეგონა. სახლში რომ მივედი, ვიკითხე რა არის ის რგოლები მეთქი? მითხრეს — ხაბარდა არისო.

ამ დროს ჩვენი საყვარელის მოლაყბის წიგნი მოგვივიდა ხაბარდის შესახებ. მეც დავჯექი და პატარა წიგნი დავსწერე ხაბარდაზე.

იმ წიგნს რომ ვსწერდი, მეძინებოდა. ეხლაც მეძინე... მშვიდო...

2. ხაბარდა და ლოტბო ქუთაისში

ქუთაისის ზორიანაოლა

3 ივნისს ამა წლისას, ქუთაისში მივიღეთ ივნისის წიგნი „ცისკრისა“ და მაშინვე წავიკითხეთ უფ. მოლაყბის სტატია „ხაბარდა“. ამ წაკითხვას ანდამატის ქვის ძალა ჰქონდა ყველაზედ. საკმაო იყო, რომ ერთს წაეკითხა. რაღაცა ბედზედ პირველმა წამკითხველმა იმავე საღამოს გამოაცხადა შეკრებულებაში „ხაბარდას“ საგანი. ვისაც კი მოუღის „ცისკარი“, იმავე ღამეს წაიკითხეს, მაგრამ ვისაც არ გამოუწერია წრეულს „ცისკარი“, არც ის დარჩა პირდაღებულნი. არ იყო იმისთანა „ცისკრის“ გამომწერი, რომ ორს ან სამს არ ეთხოვა მისთვის „ცისკარი“: „ხაბარდა რომ წერია, ის მათხოვეო“. მრავალმა იცნო თავისი თავი მეთუთუნეს და ხუროს ცოლებში.

აქ, ქუთაისში. ხაბარდა დიდ მოღაშია. შესანიშნავია, რომ ეს ქალაქი ასრულებს პარიჟის ბძანებებს მოღების ნაწილზედ (ყველამ იცის, რომ პარიჟიდგან გამოღის ახალი მოღები). მაგრამ როდესაც ის ბძანება გამოიცვლება, მაშინ კი არ დაყობა პარიჟს ნებზედ. ასე რომ, ქუთაისში შეიძლება, რომ კაცმა ნახოს ყოველი ხნის ტანისამოსი, ძველი და ახალი. ნათქვამია, რომ ვინც კანონს დასდებს, მან დასჯაც უნდა დასდვას იმაზედ, ვინც იმ კანონს არ დასრულებსო. ეს იმაზე ვთქვი, რომ პარიჟი რადგან მოღების კანონებს სდებს, დასჯაც უნდა დასდვას მის აუსრულებლობისათვის. პარიჟში რომ ხაბარდა შემოიღეს, აქ მაშინვე უცფათ გაიკეთეს ხაბარდა და ეხლა, როდესაც პარიჟში ძალიან ცოტას აცვია ხაბარდა, აქ უფრო და უფრო განიერებს იკეთებენ. სჯობდა, რომ ეს მოღსულ არ შემოეღოთ, მაგრამ ეხლა პარიჟმა შეიტყო ზარალი ამა მოღისა და როდესაც იქ გარდაგდეს, ყველა ქუთაისელებმა აქეს ეს გარდაგდება ხაბარდისა. ისინი ამბობდნენ მაშინ, რომ დიდი ხანია დრო იყო ამ მოღის გარდაგდებისაო. აქ უშველებელი რიცხვი იყიდება, დღითი დღე უფრო და უფრო გასავალი აქეთ იმ მავთულებს. ყოველ ფორტის დღეს აქ მოღის რამდენიმე ასი არშინი ხაბარდა გასაყიდავათ. მოღის გარდა ცოტა შემატება კი არ იქნება ხაბარდის გარდაგდება!



ნიკო ნიკოლაძე
(1864 წ.)

რა არის ეს ფოლადების მავთულები. ჯერ თავათ ხაბარდას ფასი აქვს, მერე ხაზარდაზედ ჩასაცვამი კაბა განიერი უნდა იყოს, — ეს ორი. ამასთანავე, აქაური ხაბარდა მე მგონია პრივილედიროფანის ფაბრიკაში არ არის გაკეთებული ამიტომაა რომ მალე ტყდება და ამისათვის გამოცვლა უნდა, მალმალე უნდა იყიდოს, ისე უხაბარდოთ არ გაიაროს. გატეხილის ხაბარდის თავები რქებისავით ექნება გამოშვერილი, არც ასე გაივლის, უასლოთ არ შეიძლება სიარული, ამასაც ფასი აქვს, ესეც სამი ზარალი ხაბარდისა. უფ. ჩვენი მოლაყბე უფრო კარგათ მოსთვლის ხაბარდის ზარალს.

ამ ხაბარდას რომ გარდააგდებენ, მე სწორედ იმისთანა თავლის სამთელს დაეანთებ ხატის წინ, რომ ხის სიმსხო იყოს, როგორც ამბობს გოროდნიჩი გოგოლის კომედიაში — „რევიზორი“. ბევრნი ამბობენ, რომ სამადლობელ პარაკლისს გარდაეახდევინებთო, ამიტომ რომ ქუთაისში პატარა და ვიწრო სახლებია და ხაბარდას გამო სახლში აღარ უშობენ კაცებს. ამ მოდის გარდაგდება კი არ იამებთ ვაჭრებთ, ამიტომ რომ ზოგიერთ იმათგანს მაკარიის იარმუკიდგან² დაუბარებიათ ათას-ათასობით ხაბარდა. თავის ზარალი ვის იამება!

ქუთაისი ერთი პატარა ნაწილია ტფილისისა. ამის მსგავსად ქუთაისში არის პატარა ნაწილი ტფილისის „პალე როიალისა“. ამ ნაწილს შეადგენენ მრავალნი იქ და აქ დაფანტულნი მალაზინები ევროპიელ ვაჭრებთა. ეს მალაზინები დლითი-დღე სავსენი არიან ქალებითა, და რადგან აქ მალაზინებს აკეთებენ ვიწრო-ვიწროს, სულ გაჭედდინი არიან მათი კაბებითა. ძალიან სასარგებლო იქნება, რომ აქ ორი ან სამი მალაზინები ერთად შეაერთონ, არა საქონელის დასატევისათვის, — მყიდველებისათვის. ქ. ტფილისის „პალე როიალში“ რომ საქმეებია, აქაც ბევრი არიან იმისთანები. აქ ძალიან ბევრნი არიან მეთუთუნეს ცოლის მსგავსნი, არც ზუროს ცოლის მსგავსებშია აქ დასაკლისი.

ძალიან გამაგრებულათ ბუდობს აქ ერთი ძველი მოდა: ლოტტო. აქაურ ქალებს არ შეუძლიან ერთი ღამე გაატარონ ისე, რომ ლოტტო არ ითამაშონ. ეს საშინლათ თავის შესაწყენი თამაშობა შეაქცევთ მათ, ორს, სამს და ხან და ხან ოთხის საათის განმავლობაში. გასაკვირველია, რომ მათ არ შეაწყენს თავს. თუ ვისმეს გნებავთ ამ თამაშობით თავის შეწყენა იგრძნოთ, მეოთხედი საათი ითამაშეთ და მგონია თქვენ დღეში თვალის დასანახავათაც შეგზარდეთ. ეს თამაშობა ქალებისათვის და პრეფერანსი კაცებისათვის არიან აქ უპირველესნი თამაშობანი, მაგრამ აქ ლაპარაკი ჩამოვარდა ლოტტოზედ. მართალია რომ ლოტტო ისე საშინლად ჯიბეს არ ათხელებს

როგორც მორა-ანტიკი, რომელსაც მოდა აღარ სწყალობს და მის მაგიერათ წყალობს ფრანკუზულს მორას, მაგრამ ჭიბის მაგიერათ თვალებს ავნებს. საძაგლათ ავნებს ეს თამაში მათ, ვინც ძალიან მხიარულნი არიან. თუკი ვინმემ დაილაპარაკა ან გაიცინა, მაშინვე ისმის „აა! შენი ჭირიმე, განიმეორეთ უკანასკნელი ნომერი, ბძანეთ, ბძანეთ“. ეს ორი ან სამი საათი ასე უსაუბროთ გატარებული ძალიან ასიამოვნებთ ქალებს. ეს ნომერი რომ ამბო გავაკეთო, ან ტერნო, ან მოვიგო, ძალიან ავნებენ ქალებს. არ შეიძლება რომ თამაშობაში ადგილი არ გამოიკვალონ, ვითომ ადგილიდგან არის მოგება და წაგება. ყოველ მხარედგან ისმის: „აურიეთ“, „აურიეთ“: ამას მოუმატეთ; „ტრიცატ პიატ“, „სოროკ ვოსემ“ და აი ლოტო!

ცისკარი

ქართული

საღიგებრატურო ჟურნალი.
გამოცემის ივ. ვერესელაძის მიერ.

რომი შესამე.

სეკცემბერი.

წელიწადი მეოთხე.

დვილისი.

ვერესელაძის ტიპოგრაფიაში.

1860.

3. ქუთაისის პორიკანაობა

(აზრი ქუთაისის საზოგადოებისა ქართულ ენაზე და „ცისკარზე“)

მიფოლოლია მოგვითხრობს ჩვენ, რომ აპოლონმა ჩამოგზავნა ერთი მუზა ქვეყანაზედ ოლიმპის მთიდან, კაცების განათლებისათვის. ის მუზა ჩამოვიდა—რა ღმერთების მთიდან, ყვიროდა: „ბატონებო! იყიდეთ ჭკუა, იყიდეთ ჭკუა, საჭირო არის თქვენთვის ჭკუაო, იყიდეთ, ბატონებო, ღვთის გულისათვის, იყიდეთ“. მაგრამ ისე უსარგებლოთ ეჩვენა კაცებს ჭკუა, რომ მუზადგან არავენ არ იყიდა. შერცხვენილი მუზა, თავდახრით ავიდა ისევე ოლიმპზედ.

ჩვენი „ცისკარის“ რედაქტორის ხმაც ასე ანუ მსგავსად ამისა იხმის³. მე არ გახლავარ ტფილისის და არ ვიცი, მანდ რა აზრი აქვთ მადაურ საზოგადოებას ქართულ ენაზედ, მაგრამ თუმც ნებას მომცემთ და ქუთაისელები არ გამიწყრებით, ერთს შემთხვევას მოგახსენებ, რომლისაგან შეიძლება სხვათა თემის ხალხთა შეიტყონ თუ რა აზრი აქვთ ქუთაისში ქართულ ენაზედ.

ერთი კვირეა მას აქვთ (მგონია მეტიც არის), მე გახლდი აქაურ შეკრებულებაში, ქალებმა ლოტოს თამაშობა დაიწყეს, კაცებმა—პრეფერანსისა. ვინც არც ლოტოს თამაშობდა და არც პრეფერანსისა, გოსტინაში გავიდენ და მუსაიფი დაიწყეს. მასპინძელმა „ცისკარის“ წიგნები მოიტანა და იმ წიგნებს შინჯვა დაუწყეს. იქ ზოგიერთნი იყვნენ, რომელთაც „ცისკარი“ არ ენახათ და არც იცოდნენ თუ „ცისკარი“ ჟურნალს ქვია.

ერთმა სტუმარმა წაიკითხა თ. ალ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანის „ქართული უბნობა ანუ წერა“ და უფ. დიმიტრი ბაქრაძისაგან მოწერილი მისდამი წიგნი⁴. ამ წაკითხვის შემდგომ ორი კაცი შევიდა მეორე ოთახში და რამდენიმე წამის შემდგომ იქიდან მოისმა ხმა მალლა ლაპარაკისა. მე შევედი რა სანახავად, ვნახე, რომ ის კაცებუ ქართულ ენაზედ ლაპარაკობდენ.

აი იმათი ლაპარაკი სიტყვიდან სიტყვამდი:

კ. ნ. თავადი ალექსანდრე ვახტანგის-ძე ჯამბაყურიან-ორბელიანი ყურს მანც უგდებს ჩვენ ენას, ყოველის ძალითა ცდილობს, რომ არ დაიკარგოს.

ი. ნ. მე თქვენ გარწმუნებთ, რომ დროს კარგამს უბრალოთ. აბა რა სასარგებლოა ქართული ენა?

კ. ნ. თქვენი სიტყვებიდგან გამოდის, რომ დიდი არაფერი არ იქნება, ჩვენი სამშობლო ენა რომ დაეკარგოთ.

ი. ნ. რა საჭიროა ქართული ენა?

კ. ნ. მე თქვენ გთხოვ, რომ აილოთ იანვრის წიგნი „ცისკარისა“ ამა წლისა, და წაიკითხოთ ბაქარ ქართლელისგან მიწერილი წიგნი თეიმურაზ ვაკელთან. თქვენ არ წაგვიკითხამთ ის წიგნი?

ი. ნ. არ წამიკითხამს.

კ. ნ. „ცისკარს“ არ იწერთ?

ი. ნ. დიახ. ვიწერ.

კ. ნ. რათ იწერთ „ცისკარს“, თუ არ კითხულობთ?

ი. ნ. „ცისკარი“ რომ არ გამოვიწერო, იტყვიან: სიძუნწით მოსდისო. ან რა დიდი ფულია. შეიდი მანეთი, თუ გინდა გლახაკისათვის მიჩუქებია.

კ. ნ. მამ მოვიტანოთ და წავიკითხოთ ბაქარის წიგნი. ამის შემდგომ მოიტანეს იანვრის წიგნი და წაიკითხეს შესავალი.

კ. ნ. აი რისათვის არ უნდა დაეკარგოთ ჩვენ ენა!

ი. ნ. თქვენ რომ ქართული ენა არ გესწავლათ და რუსული კი კარგათ იცოდეთ, რა დაგაკლდებოდათ?

კ. ნ. უსთქვათ, რომ რუსული კარგათ ვისწავლე და ქართული დავივიწყე; მომცეს ჩინი, დამაყენეს სეკრეტრად ან სოვეტნიკათ, მე მაშინ არ მექნება მოსვენება, სინიდისი შემაწუხებს, ყველას თითოთ საჩვენებლათ ვეყოლები. აი, როგორც, მაგალითათ ვთქვათ ჩვენი ჭ...

ი. ნ. დავტოვოთ ჭ. და მისი ენის დაკარგვა. ეხლა ეს მიბძანეთ, შენი ჭირამე, რას გვიკეთებს ჩვენ „ცისკარი“, აი ეს წიგნები? ამისთანა უსარგებლო და მცირე ყურნალი არც ყოფილა, არც არის და არც იქნება მთელს ქვეყანაზედ.

კ. ნ. წარმოიდგინე შენი თავი უფ. რედაქტორის ადგილზედ. რას გაარიგებ თქვენ, და როგორ ყურნალს გამოცემ ქართულ ენაზედ, იმისთანა ენაზედ, რომელზედ არც ერთი ყურნალი და გაზეთი არ გამოდის, რას გაარიგებ თქვენ რამდენიმე ხელის მომწერთა. თქვენც იცით, რომ „ცისკარს“ ჰყავს, როგორც ვნახეთ, წრევანდელი დაბეჭდილი სია, ას ოთხმოცი ხელის მომწერნი. ქალაღი უნდა, ტიპოგრაფიაც უნდა, მბეჭდავები, და რაც ყველაზედ ძნელია,

მწერლებიც უნდა. ესლა, მაღლობა ღმერთსა, რომ „ცისკრის“ საქმე უკეთ მიდის, აბა აიღეთ ხელში შარშანწინდელი „ცისკრის“ წიგნები: თქვენ ნახამთ, რომ უმეტესი ნაწილი სტატიებისა დაწერილია კერესელიძისაგან, იქნება ერთი ან ორი სტატია შეგვხედეს სხვისი.

რედაქტორი ადვილათ ადასრულებს თავის დანიშენას მაშინ, როდესაც აქვს შეძლება, ჰყავს ხელის მომწერი და თანაშემწენი. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ უფ. კერესელიძე თავის საკუთარ ფულს ხარჯამს, ოღონდ კი „ცისკარს“ მოეხმაროს.

ბოლოს კ. ნ. გულის საკედავად ამოიოხრა და სთქვა: მგლის თავზედ დარიგებას კითხულობდენ, აცა ცხვარი წაეიდაო. მსჩანს, რომ უნდა გამოვიტიროთ წინათვე ჩვენი ენის დაკარგვაო.

4. პეტიარბურგის მხარეზე

(ნარაკვეპები სტუდენტური ცხოვრებისა)

I

ბეზდომნის ქუჩაზე, 3-ის მხარეზე, შჩებეტუშკინას სახლის ფანჯარაზე დიდი ხანია გამოკიდებული იყო რალაც ნაჯღაბნი ქალაღი, რომელიც ახლოდან გასინჯვისას იუწყებოდა, რომ აქ ქირავდება ოთახი. მეორე ფანჯარაში შესადგამებზე ჩამოკონწილებული იყო ქალის ქუდი, არშიაშემოვლებული თავსაბურავი და სხვა მორთულობანი, რომელთა იქითაც დაკვირვებული თვალისათვის ძნელი არ იყო შეემჩნია მათი გამკეთებელი ცმუტია ქალი. ეს მიმზიდველი მდგომარეობა იყო იმის მიზეზი, რომ ოთახის დამქირავებლები, განსაკუთრებით მედიცინის სტუდენტთაგან, ცოტა არ იყო. მაგრამ მათი უმეტესობა, ოთახს რომ დაათვალიერებდა და დარწმუნდებოდა, რომ მკერავი ქალი ბევრს არაფერს წარმოადგენდა, უსიტყვოდ სტოვებდა იქაურობას. ზოგიერთები, ზრდილობისათვის, იტყოდნენ, რომ შემდეგ შემოივლიდნენ ამხანაგთან ერთად. დასასრულს, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ბეს დაუტოვებლად დაეინებით სთხოვდნენ დიასახლისს, ხუთშაბათამდე ან კვირამდე ოთახი არ გაექირავებინა და არწმუნებდნენ მას, რომ დანიშნულ დღეს გადმოვიდოდნენ და, რასაკვირველია, შემდეგ სულაც აღარ გამოჩნდებოდნენ ხოლმე.

ეს იყო დილით, აგვისტოს პირველ რიცხვებში. ბეზდომნის ქუჩის მახლობლად, ბალის მიმართულებით, მიდიოდა მედიცინის სტუდენტი სევევევი. იგი ახალი დაბრუნებული იყო არდადეგებიდან, რასაც ადასტურებდა მისი ამოვსებული და მზით დამწვარი სახე, გრძელი თმა და ქუდი, რომელსაც კოკარდის კვალი ემჩნეოდა. მას საკმაოდ ულაზათოდ ეცვა: დიღები, როგორც სჩანდა, მხოლოდ მოსართავად ჰქონდა; ფორმის პალტო, შეიძლება ითქვას, ცალ მხარეზე ეკიდა; ყოველ შემთხვევაში ერთი სამხრე ბეჭებზე ჰქონდა გადაგდებული; ფეხებზე გაფშეკილი ჩექმები ეცვა. მიუხედავად ყვე-

ლა ამისა, მაინც ცხადი იყო, რომ იგი არ ეკუთვნოდა იმ ღარიბ სტუდენტთა ჯგუფს, რომელნიც ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრობენ სხვადასხვა „საგოშპიტალოების“ სხვენებზე. მისი არდადეგებიდან ახლად დაბრუნებულობის უეჭველი ნიშნები მას უფრო ანსხვავებდნენ ამ ბატონთაგან და, წარმოიდგინეთ, საკმაოდ სასიამოვნო ილუზიასაც ქმნიდნენ მის შეძლებაზე. იგი ბინას ეძებდა. არ ვიცი რად, მაგრამ მას პარკის ახლოს სურდა დაბინავება... ერთი სიტყვით, გარეგნობითაც კი ჩანდა, რომ იგი თავგადასავლების დიდი მოყვარული იყო, მითუმეტეს ახლა, პროვინციაში მოწყენით გატარებული სამი თვის შემდეგ; და დაუჭერებელია, რომ მას თვალი არ გაეყოლებინა იმ მომხიბლველი ქერა ბანოვანისათვის, რომელიც ეს-ეს არის პარკიდან გამოვიდა. თუმცა იგი ღარიბულად იყო ჩაცმული და მუყაოს კოლოფით ხელში სადღაც მიეჩქარებოდა; მაგრამ... დახეთ: ვაჟი უკვე მის გვერდით აღმოჩნდა.

ქალმა უნებურად ააჩქარა ნაბიჯი, მას ვაჟისაკენ არც გამოუხედია და თითქოს თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. მაგრამ, როგორ მწარედ სცდებოდა ის, თუ ფიქრობდა, რომ ჩვენს გმირს გადაურჩებოდა!

ჩვენ არ ვიცით, რა საუბარი წამოიწყო ვაჟმა, მაგრამ იგი რომ ერთი წუთითაც არ გაჩუმებულა, ეს აშკარა იყო. ბოლოს ქალმა მას მუდარით მიმართა: ძალიან გთხოვთ, დამეხსნათ!

— კიდე ერთი სიტყვაც! გეტყობათ ძლიერ დაილაღეთ. ნება მომეცით მე წამოვიღო ეგ კოლოფი.

— რატომ არა გრცხვენიათ! მომცილდით, თუ შეიძლება!

— კიდე ერთი წუთიც! აჰ, რა კარგ დროს გამახსენდა! თქვენს ქულებსა კერავთ?

ქალმა უნდობლობით შეხედა მას და უპასუხა: დიახ, ვკერავ!

— რა მიხარია! დამ დამავალა საზამთრო ქულის გაგზავნა მისთვის. დარწმუნებული ვარ თქვენზე უკეთესად ვერავინ შეკერავს.

ქალმა კვლავ შეხედა მას და დამშვიდდა, რადგან ვაჟის გამომეტყველებაში სახიფათო ვერა დაინახა რა.

— თქვენმა დამ გითხრათ რა ფერის ქუდი უნდა და როგორი ბაფთებით უნდა იყოს მორთული?

— იმან ბევრი რამ მითხრა, მაგრამ მე ყველაფერი დამავიწყდა. მე დავენდობი თქვენს გემოვნებასა და ოსტატობას.

— შავგრემანია?

— არა, ქერაა! თანაც, რა ბედნიერი შემთხვევაა; იგი თქვენ ჩამოგავთ ძლიერ. თუმცა თქვენებრ ღამაში არაა.

— გამიგონეთ! არა გრცხვენიათ, რომ დამცინით?

— მაპატიეთ! ამ სიტყვებში რა დაცინვაა? თქვენ ისეთი კარგა ხართ, რომ თითქმის შემიყვარდით.

— აჰ, თავი დამანებეთ, თუ შეიძლება!

— იმის დასადასტურებლად, რომ არ დაგცინით, მე მზადა ვარ ახლაც დავქორწინდე თქვენზე, თუმცა, სამწუხაროდ ეს შეუძლებელია!

— გამიგონეთ: თქვენ თუ მხოლოდ იმისათვის მოხვედით, რომ შეურაცხყოთ ღარიბი ქალიშვილი, მაშინ კმარა... არ მჭირდება თქვენი შეკვეთა. თავი დამანებეთ, თუ შეიძლება.

— დამნაშავე ვარ, ათასჯერ დამნაშავე ვარ, თუ უნებურად გაწყენინეთ. შეკვეთა კი, გთხოვთ მიიღოთ: ამით მეტად დამავალებთ.

— განა ცოტაა მალაზიები? როგორიც გინდათ ისეთი ქული ამოირჩიეთ და თანაც უკანასკნელი ფასონისა.

— შეიძლება მომატყუონ, ან შეიძლება მოსახდენი ვერ ამოვარჩიო, ან მისი გემოვნებისა. მე დიდად დაგიმადლებთ, თუ შეკვეთის მიღებაზე უარს არ მეტყვით.

— თქვენ არა ხუმრობთ?

— ხუმრობა არც მიფიქრია! თქვენ დღეს ხომ იმუშავებთ?

— დიახ! მე სულ ვმუშაობ.

— როდისა ხართ თავისუფალი?

— თითქმის არასდროს!

— მეცოდებით! თქვენ დასვენება გჭირდებათ. საღამოზე გავისეირნოთ კუნძულებზე.

— აჰ, თავი დამანებეთ, თუ შეიძლება! მე უკვე ჩემს სახლთანა ვარ.

— მით უკეთესი! შემოვალ და შეკვეთას მოგცემთ.

— მე აქ არ ვცხოვრობ.

— მაშ მისამართი მითხარით.

— მე დედასთან ვცხოვრობ, აბა როგორ მოხვალთ?

— თქვენ მე მითხარით რომელიმე დედაბრის სახელი, ვისთვისაც მუშაობთ. მე ვეტყვი დედა-თქვენს, რომ მან გამომგზავნა თქვენთან.


— აჰ, რა მოუშორებელი ხართ! ეგრე იყოს, გეტყვით მისამართს: ყრუ შესახვევში, ალექსანდროვის სახლი, იკითხეთ თეთრეულის მკერავი, დედას კი უთხარით, რომ თქვენ ჩვენზე მოგითითათ ჩინოვნიკ ბულავეკინის ცოლმა. მშვიდობით!

— მე მწყინს თქვენი დატოვება! სახლამდე მიგაცილებთ! — ამბობდა იგი და ქალის ხელს არ ათავისუფლებდა.

— აჰ, არა, არ შეიძლება! მშვიდობით!

23-ГО

МАЯ.



ЮЛЬ В. САТИРИЧЕСКИЙ ЖУРНАЛЪ СЪ КАРНИКАТУРАМИ. № 11.

ვაჟმა მიმავალ ქალს რამდენსამე წუთს თვალი გააყოლა, უნდოდა დაენახა სახლი, რომელშიც იგი შევიდოდა. მაგრამ ქალმა კუთხეში შეუხვია და თვალთაგან ერთბაშად დაიკარგა. — ეშმაკი, — გაიფიქრა ვაჟმა, — მაგრამ, მისამართის დამახსოვრება კი მაინც საჭიროა.

სევევევის სასარგებლოთ უნდა ითქვას, რომ დამ მართლაც დაავალა მას ქულის ყიდვა და ამასთან დაკავშირებით იმდენი ინსტრუქცია მისცა, რომ მათი დამახსოვრება შეუძლებელი იყო. ამ დავალების აღრე თუ გვიან ასასრულებლად რომელიმე ნაცნობი ქალის, ან პირველი შემხვედრი მკერავისათვის უნდა მიემართა. და, რომ სულსწრაფი არ ყოფილიყო, ამ მშვენიერი საბაბით ადვილად შესძლებდა ქერა ქალის გაცნობას. ამ გარემოების შეგნება საკმაოდ აღონებდა მას.

I I

მაგრამ, მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ ქერა ქალი მისთვის სამუდამოდ დაკარგული იყო, მასზე ფიქრსაც დაანება თავი. სულ მალე იგი ისევ იმ ქუჩაზე აღმოჩნდა, რომელზედაც მაშინ იმ ქერა თმიან ქალიშვილს შეხვდა. მას სახეზე ეხლაც მოუტირებელი და მხიარული გამომეტყველება ემჩნეოდა, უდარდელად მიაბიჯებდა, თუმცა ბინის გამჭირავებელთა განცხადებას ყურადღებით კითხულობდა. განცხადების უმეტესობა იმას იუწყებოდა, რომ ამაღამ სახლში კუთხე ან ბინა ქირავდებაო. მაგრამ, აგერ, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, ქვედა სართულში ქირავდება ოთახიც. რომლის დაქირავებასაც, როგორცა ჩანს, ორი ძალი აპირებს, რომლებიც განცხადებიან ფანჯარასთან შეხვდნენ ერთმანეთს. თუ ეს ასე არ არის, მაშ რატომ იცქირებიან ისინი ასე მეგობრულად ფანჯარაში? ალბათ ეს ოთახი მათაც არ მოეწონათ, რადგან ფანჯარას მეტად უზრდელი რევერანსი გაუკეთეს და ისე გაშორდნენ. ყველაფერმა ამან სევევევი აიძულა კვლავ პარკისაკენ წასულიყო, რომლის მახლობლადაც, როგორც ითქვა, მას სურდა ბინის დაქირავება.

ახალი ცოტუნება! მისკენ ვილაც მკვირცხლი ქალი მოდიოდა, როპელსაც გარიბალდური ქუდი გვერდზე მოექცია და, მართალია ოდნავ გაცრეცილი, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ ლამაზი, უსაზღვროდ მხიარული სახე ჰქონდა. ეს ფიგურა ჩქარი ნაბიჯით მიისწრაფოდა წინ და მთელი სხეულით, განსაკუთრებით კრინოლინით, სწრაფად აკუნაგდა თავის ღერძის გარშემო, რაც მას ნამდვილად ბოლოქანქალას ამსგავსებდა, თუმცა რასაკვირველია, უფრო დიდი ზომისა. სევევევის რომ დაუგვერდი-გვერდდა, კინალამ ფილაქნიდან არ გადა-

აგლო იგი. სევევევემა მოურიდებლად წაავლო ხელი ხელზე და თავისკენ მიიზიდა იგი. ქალი ტანსაცმლის საშინელი შრიალით შემობზრიალდა, მაგრამ თავი ვერ გაინთავისუფლა.

— აჰ! რა კარგი რამ ხარ! მე არ გიწყურები, კინალამ რომ წამაქციე, გავსწოთ ერთად.

— აბა, რა გინდა? რას დაწანწალებთ? ვიბორგის მხარეზე ალბათ ყველა ძალი გიცნობთ და ახლა პეტერბურგის მხარეზე გადმობხვედით ლამაზებზე სანადიროდ! გიცნობთ, თქვენ, ვიბორგელებს... ეს უკვე წირვაგამოსული ხალხია! ყელამდე ოქროში რომ ჩამსვა, არ გამოგყვები სახლში.

— არც ვპატიობ. მე ჯერ ბინაც არა მაქვს. სად ცხოვრობ?

— სად ვცხოვრობ? ხა, ხა, ხა! განიერ ქუჩაზე, ქვის სახლში. მეხუთე სართულზე. ნომერი ჰკითხე მეეზოვეს, ხა, ხა, ხა!

— რომელ მეხუთე სართულზე? მე ასეთ სახლს არ ვიცნობ... ყველა თითქმის ორსართულიანია, ან და სამზე მეტიანი არაა...

— ოჰ, შე საძაგელო! ეშმაკმა იცის უკვე რა იფიქრა! ნუ სწუხარ, მარტო ვცხოვრობ, და თუ ვინმე თქვენგანი მობრძანდება, გვერდებს დაეუზელ.

— რა გიყო? მე ბინა არა მაქვს, შენ სახლში არავის იღებ. იცი რა? — და მან რაღაც მაცდუნებელი წინადადება მისცა.

— აი საყვარელო, აი ძვირფასო, ამისათვის მიყვარხარ! წავიდეთ! ეი, მეეტლევ!

— მისმინე, ცოტა მორიდებულად დაიჭირე თავი.

— მთელ პ-ის მხარეს შკანდალს აუცილებლად მოვაწყობ. ხა, ხა, ხა!

— შენგან ეს მოსალოდნელია! სიმართლე გითხრა, მე შენთან ერთად წამოსვლა მაშინებს.

— აბა, აბა, სულიკო, წავიდეთ! მე მხოლოდ შენთან ავყვირდი ასე გულიანად!

— მითხარი თუ შეიძლება, ბინაში რატომ არ გინდა? ვიშოვიდი... რაზედ ხარ ჩვენს სტუდენტებზე გაჯავრებული?

— შენ როგორ გგონია, რაზე? იმაზე რომ მიყვარს ისინი! იცნობდი პუსტულემუკოზევს?

— ვიცნობდი. რა იყო?

— ჩემს სიცოცხლეში ისე არავინ მიყვარებია! შენც, სულიკო, გგონია მიყვარხარ. შენ საყვარელი ხარ! აგერ მეეტლე! დაუძახე ჩქარა, წავიდეთ!

ამგვარი საუბრით გართულმა სევევევემა ვერ შეამჩნია თუ როგორ შეუხვიეს იმ კუთხის სახლთან, რომელსაც ის ქერა მოეფარა.

მეეტლე მოვიდა. ბოლოქანქალა უცბად ჩახტა მასში და ჩამოქნილი ფეხები გამოაჩინა.

— შენ რა კარგი... — დაიწყო სევევევმა და სიტყვა შეწყვიტა, მეეტლეს სწრაფად გამგზავრება უბრძანა და გაჩუმდა. ბოლოქანქალა იცინოდა და ეკითხებოდა, თუ რა მოსწონდა სევევევს მისი.

— თავი დამანებე! გამიჭირე საქმე ხითხითით, არაფერი გაქვს კარგი, საძაგელი ხარ!

— რაო? მე საძაგელი ვარ? აი, ვიბორგელო... და ბოლოქანქალამ მოიწყინა.

— მეეტლე, შეაჩერე! აი შენ ამ გზობისა რაც ნიხრით გეკუთვნის, აი კიდევ ექვსი შაური: წაიყვანე ეს ქალი სადაც სურს.

სევევევი ხმის ამოუღებლად გაბრუნდა უკან. სახტად დარჩენილმა ბოლოქანქალამ არ იცოდა რა ეფიქრა.

— რა დაემართა ნეტავი? ხომ არ გაგიჟდა? არა, ჩემს სიცოცხლეში არაფრისგულისათვის აღარ გადავეკიდები ამ ვიბორგის მხრელებს... დამთხვეულებს. აბა მოვიდნენ ჩემთან, კისრის ტეხით გავისტუმრებ.

— საით მიბრძანებთ, ქალბატონო, წასვლას?

— რაო? საით წავიდე? აქ მომეცი ექვსი შაური! მე ფეხითაც წავალ. ახლოს ეცხოვრობ.

— მაწყენინებთ, ქალბატონო! ბატონმა ისურვა ებრძანებინა წამეყვანეთ სადაც ინებებდით.

— მე არსად არ მნებავს! — შეჰყვირა ქალმა და ელვის სიაწრაფით გადმოხტა ეტლიდან.

— აბა, მაშ კარგად ბრძანდებოდეთ! — თქვა მეეტლემ და ცხენებს მათრახი გადაუჭირა.

— გააჩერე, გააჩერე! აჰ, ყაჩაღი! წამოვალ, წამოვალ, კრესტოვსკიზე უნდა წავიდე! აჰ, ყაჩაღი!

მაგრამ ყაჩაღი მეეტლე უკვე შორს იყო. მიუულოცოთ მას მოგება, დავტოვოთ ჩვენი განაწყენებული ბოლოქანქალაც. ნუ სწუხართ: მონახავს გასართობს. სჯობია ის ვიკითხოთ, თუ რა დაემართა სევევევს.

I I I

მისი მოურიდებელი საქციელის გაგება ძნელი არაა. მეეტლემ ეტლი მოართვა არა თუ შეჩებეტუშკინას სახლთან, არამედ პირდაპირ ქალის ქუდიანი და ქალთა მოსართავებიანი ფანჯრის პირდაპირ. ამრიგად, ქალთა ორი წყვილი თვალი გახდა უნებურ მოწმედ მათი ეტლით გამგზავრებისა. ერთი წყვილი ეკუთვნოდა ჩვენს ნაც-

ნობ ქერა ქალს და ძლიერი გულისწყრომის გამომხატველნი იყვნენ, რაც ყველაზედ ნათლად მშვენიერ გაბუტულ ტუჩებში იხატებოდა. მალე გაიგებთ იმასაც, თუ ვის ეკუთვნოდა თვალების მეორე წყვილი. სევევევმა ყველაფერი ეს შეამჩნია, მშვენიერი გაბუტული ტუჩებიც კი; მაგრამ, ვაი რომ გვიან იყო. მაგრამ იგი არ დაიბნა და ის ნაბლაჭნი ქალადიცი კი შენიშნა, რომელმაც მას იმედის სხივი ჩაუყენა...

ბოლოქანქალა რომ მიატოვა, იგი შჩებეტუშკინას სახლისაკენ გაუშურა და, აი, უკვე სამზარეულოში შევიდა, რომლის ერთი კუთხე თეჯირებით იყო გადატიხრული. გულმა უკარანახა, რომ ამ თეჯირებს იქითაა დამალული ის თავი, მშვენიერად გაბუტული ტუჩებით და მანვე დაუდასტურა, რომ ყალბი ხმა, რომელიც ხმამალა გაისმოდა: აჰ, ჩემო მეგობარო, რად მიგეჩქარება და სხვანი, ეკუთვნის მეორეს.

— აქ ქირავდება ოთახი?

მომღერალმა სიმღერა შესწყვიტა და წამოიყვირა: დიახ! ამის შემდეგ თეჯირს იქიდან გამოსტა ფერდაკარგული, გახუნებული და, საერთოდ, არც ისე მიმზიდველი ბოლოქანქალას შორეული მსგავსება, უმჯობესია ითქვას. — ბზრიალა, რომლის პატარა სახეზეც ჩალურჯებული თვალები ანათებდნენ.

— აქ მობრძანდით! — ჩაიტიკტიკა მან და თან ოთახის კარი შეაღო.

— თქვენ დიასახლისი ხართ? — იკითხა სევევევმა. იგი ოთახში შესვლას არც აპირებდა, მან თეჯირს იქით შეიხედა, მაგრამ იქაც ვერაფერი დაინახა.

— დიასახლისი არაა სახლში, მალე მოვა. მე აქ დიასახლისზე მეტი ვარ, თუ გნებავთ იცოდეთ, — ისვროდა სიტყვებს იგი ჩქარჩქარა და თვითკმაყოფილებით იღიმებოდა.

— ეს როგორ? საინტერესოა! — თქვა სევევევმა, რომელიც თეჯირს მიუახლოვდა და იმის იქით ნაცნობი კაბის ბოლოს მოჰკრა თვალი.

— დიასახლისი რას წარმოადგენს? ამაში თქვენ თვით დარწმუნდებით. იგი ორმოცდა ცამეტი წლისაა და არაფრის გაკეთება არ იცის, — მზარეულადაც არ ვარგა. ჰკუა გამოეცალა მთლად: ყველა ბიჭ-ბუქს შეუძლია მისი გაცურება. მე რომ არა, თითზე გადასახვევი ძაფიც არ შერჩებოდა. აი, გაიამბობთ: მდგმურები გვყვანდა...

— უკაცრავად! თქვენ ჰქერავთ ქულებს?

— დიახ, ვკერავ.

— კეთილი ინებეთ და მომეცით ნება ყველაზე უკანასკნელი ფასონი ვნახო, თუ გაქვთ.

— აგერ ის, ფანჯარაზე რომაა — ყველაზე უკეთესია. მოითმინეთ, ახლავე გამოგიტანთ, — თქვა მან და თეჯირს უკან გავიდა.

— ნუ სწუხდებით, შესადგამებზე ჩამოკიდებული ვნახოთ, — უპასუხა სევევევმა და ისიც იჩითკენ გაემართა.

— თქვენ რა გინდათ? — ჰკითხა ბზრიალამ გესლიანი ღიმილით და გასავეალში გაჩერდა.

— იცით რა, მინდა ზამთრისათვის დას ქუდი გაუზგზავნო.

— ა!.. მე ახლა საზამთრო ფასონი არა მაქვს. შემიკვეთეთ და ისეთს შევკერავ, რომ ვერც ერთ მაღაზიაში უკეთესს ვერ იშოვნით.

— არა, მე უკვე შევპირდი ერთს ჩემს ნაცნობს, რომ შეკვეთას მის მკერავს მივცემ. მან მისამართიც კი მითხრა, მაგრამ დამავიწყდა. ერთი სიტყვით, ამ დღეებში შევხვდები...

— ყრუ შესახვევში ხომ არაა? — ჰკითხა ბზრიალამ სერიოზულად.

— დიახ, დიახ! ყრუ შესახვევში, ალექსანდროვის სახლში.

თეჯირს იჩით სუბუქი სიცილი აუარდა, ბზრიალამ კი შეუკავებელი ხარხარი მორთო და ფერდებზე ხელები მიიჭირა.

— რა არის სასაცილო? — იკითხა სევევევმა და მოურიდებლად შევიდა თეჯირების გადაღობილში. — ა! — წამოიძახა მან მოჩვენებითი გაკვირვებით, როცა ქერა ქალს შეხედა. — არა გრცხვენიათ ტყუილისა? ეს განა ყრუ შესახვევია?

— მე მართლაც აქ არ ვცხოვრობ. — უპასუხა მან. სიცილი უცბად შეწყვიტა და კვლავ გამობერა ტუჩები.

— მაშ მუშაობთ აქ? მე სხვა არა მჭირდება რა. აქვე შემეძლო შეკვეთა მომეცა.

— ხა, ხა, ხა! — ხარხარებდა ბზრიალა. — მერე, რომელი სახლი დაგისახელათ! იჩნებ ყოფილხართ იქ. მე არ ვიცი ის სახლი.

— არც მე ვიცი, — თქვა სევევევმა.

— მაშ თქვენს რომელიმე ამხანაგს აუცილებლად ეცოდინება და ალბათ ყოფილა კიდეც იქ. აბა ჰკითხეთ განგებ.

— გასაგებია! აი როგორ გამასულელეთ გულლიაობისათვის. გამადლობთ! პირველი შეხედვით კი თქვენ არ გეცხართ...

— დიახ! — შეაწყვეტინა მას ქერა ქალმა. — მე უმაღლესი სიკვდილი მირჩენია, ვიდრე იმას ვგავდე, რომელთანაც თქვენ ახლა ეტლით სეირნობდით.

— ო, მე კი მსურდა, რომ თქვენ მას მეტად ჰგავდეთ. თუმცა გულით გისურვებთ არასოდეს მომკვდარიყოთ. თქვენ მას სახით კი არ ჰგევხართ... თქვენ ბევრად უკეთესი ხართ მასზე და, იციო-რით? იმით, რომ ტყუილი არ გეხერხებათ.

— მაშ ყველა საზიზღარზე უარესად მთვლით? — ალღევებით და განსაკუთრებული წყენით წარმოსთქვა ქერა ქალმა.

— მაპატიეთ, იგი გუვერნანტკადაა ძლიერ წესიერ ოჯახში. ის იქ...

— კმარა, კმარა! — კვლავ გააწყვეტინა მას ქერა ქალმა. — რატომ არა გრცხვენიათ! მე ხომ კარგად ვიცნობ მას. თუ გინდათ იმასაც კი გეტყვიოთ თუ სად ცხოვრობს.

— მე ვიცი სადაც ცხოვრობს ჩემი ნაცნობი ქალი, თქვენი ნაცნობი ქალი კი, რომელზეც ასე ლაპარაკობთ, არც მინდა ვიცოდე სად ცხოვრობს. არა! თქვენ ალბათ, შემთხვევითმა მსგავსებამ შეგაცდინათ, ან იგი კარგად ვერ გაარჩიეთ.

— რას ლაპარაკობთ? მე მას ნახევარ ვერსზეც კი ვიცნობ. დედაჩემი იმას სხვა არას ეძახის, თუ არა სალდათს.

— გეყოფათ დავა! — შემართებული ხმით წამოიტიტინა ბზრიალამ, სიცილისაგან ძლივს დამშვიდებულმა. — შენ, რა, ლელეჩკა, შენსაზე დგებარ? რა არის საკვირველი თუ გუვერნანტკა იმასა ჰგავს? ის, მგონი, ადრე ამ ქუჩაზე დადიოდა.

— რომ გუვერნანტკა სალდათსა ჰგავდეს, ვერასოდეს ვერ დავიჩერებ. რა სახლში გააჩერებენ მას?

ჩვენმა გმირმა თითქმის დაკარგა შერიგების იმედი, მაგრამ არც უკან დახევას აპირებდა. მან გულგრილი გამომეტყველება მიიღო და გადაწყვიტა ქერა ქალთან დავისათვის თავი დაენებებია.

— მაშ თქვენ აქ დიასახლისზე უფრო მეტი ხართ? — ჰკითხა მან ბზრიალას.

— ყოველ შემთხვევაში, სულ ერთია. რა ისე და რა მე.

— მაშ შეიძლება ბე მოგართვათ?

— ხა, ხა, ხა! თქვენ ჭერ ოთახი არ გინახავთ.

— მართლაც რომ! ნახვამდის. — თქვა მან და ოღნავ წელში მოხრით გამოემშვიდობა ქერა ქალს.

მან უსიტყვოთ დაუქნია თავი.

— აი, ოთახი, — ატიტინდა ბზრიალა, — ნახეთ. აქ სამნი ცხოვრობდნენ: არც ერთს კაპიკი არ ჰქონდა. ყველას ვალი დარჩა. ერთი კი ისეთი უსინდისო გამოდგა, რომ წასვლისას ქუდიც კი წაიღო ნისიად. ესაო, ამბობდა, ჩემს დას საჩუქრად სახელწოდების დღესო. ჩემი ბებრუცუნა კი უკანასკნელ კანს იძრობდა და ისე ჰკვებავდა..

დიახ, მე რომ არა, ალბათ ახლაც გაუნაწილებდა თავის ნამცეცებს მათ. უპ, რა საზიზღრები იყვნენ!

ამასობაში სევევევმა ოთახი დაათვალიერა: მართლაც ფართო იყო იგი, მითუმეტეს, რომ ახლა, გარდა ცარიელი საწოლისა, რომელიც, ასე ვსთქვათ, ბალინჯოების სამყაროს წარმოადგენდა, სამი სკამისა და პატარა მაგიდისა, არავითარი ავეჯი არ იდგა.

— კამოლი არის?

— აქვს დიასახლისს! მაგრამ ვირთაგვებმა დახრეს.

— ბინის ქირა რა არის?

— ცხრა მანეთი.

— მიიღეთ ბე. ერთი საათის შემდეგ, ალბათ, გადმოვსახლდები თქვენთან.

— მობრძანდით!

როცა გადიოდა სევევევი, ვილაც ხანშიშესულ ქალს შეხვდა ეზოში, რომელმაც მეტად უნდობლად გააყოლა თვალი მას. როცა ქუჩაში გამოვიდა, ორი იუნკერი დაინახა, რომელნიც ქალის ქუდებიან ფანჯარასთან იდგნენ. ერთი მათგანი რატომღაც აღტაცებული იყო... სევევევმა მეეტლეს დაუძახა, იუნკრები კი ხმლებისა და დეზების ელარუნით სახლში შევიდნენ.

I V

სულ მალე სევევევი ვიბორგის მხარეზე იყო, თავისი ამხანაგის ნასედკინის ბინაზე, სადაც პროვინციიდან დაბრუნების შემდეგ დაბინავდა.

ქერა, გამხდარი და ფერმკრთალი, ყოველთვის ლურჯსათვალეებიანი, რაღაც უცნაურად ურყევი ფიზიონომიით, მუდამ წიგნებს ჩაკირკიტებული ნასედკინი სევევევის მკვეთრ კონტრასტს წარმოადგენდა.

— შენ, ჩემო საყვარელო, მგონია ამ სავარძელს შეზრდიხარ — უთხრა შესვლისთანავე მან და თან მეეტლე შეიყვანა.

— მე კი გაცელებული ვარ, როგორ შეგიძლია მთელი დღე იწოწილო სიციხეში და მტვერში. /

სევევევმა იატაკზე გადმოაგდო დასაკეცი ლეიბი და ბალიში და მეეტლეს უბრძანა როგორმე მოხერხებულად ჩაელაგებინა ისინი ეტლში.

— შენ მაგ წიგნებზე ლპები! მეცოდები. წამოდი ჩემთან ახალ ბინაზე, ცოტათი მაინც გამზეურდები, მერე რა ცუგრუმელას გაჩვენებ!

— ახლა სამი საათია. მე სასადილოდ წავალ. მერე უნდა ეს წიგნი დავამთავრო, ხვალ უნდა ჩავაბარო იგი, სალამოს კი, საათის ცხრაზე, სეირნობის მაგიერ შენთან შემოვივლი.

— არა, ჩემო კარგო. სალამოს შენ, ალბათ, ხელს შემეშლი... დანებე თავი წიგნს, წავიღეთ ჩემთან!

— არ შემეძლია.

— თფუ! ეშმაკმა წაგიღოს! მართლაც, ძლიერ მეცოდები! გამოგონე, მე ვიცი შენი ფილოსოფია: ისწავლე, თავს ნუ დაიზოგავ კიდრე ახალგაზრდა ხარ და ძალა შეგწევს. როცა გზას გაიკაფავ, მაშინ შესაძლებელი იქნება ფრთა გაშალო. სიამოვნების წინააღმდეგი რომ არა ხარ, ვიცი! მაგრამ, დამიჯერე, ჩემო საყვარელო! გზის გაკაფვის შემდეგ შენ ფრთებს კი გაშლი, მაგრამ გვიან იქნება: თავზე სიბრძნის სიქაჩლე, პირში ხელოვნური კბილები... გადაღლა... მიხრწნილობა... მწარედ ინანებ შეუბრალებლად წიგნებზე დაკლულ ახალგაზრდობაზედ.

— პირველად არ მესმის შენგან ეგ აბღა-უბღა, — უპასუხა მან და განაგრძო წიგნის კითხვა ისე, რომ მისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

მეეტლე დაბრუნდა, აიღო ჩემოდანი და იკითხა: — მეტი არაფერი?

— აღარაფერი.

სევევევემა პალტოზე ხალათი წამოიხსა, შემდეგ შინელი მოიგდო და წასასვლელად მოემზადა.

— მშვიდობით, ჩემო საყვარელო! შემოიარე, როცა გამზეურება მოგიხდეს.

— დამიწერე მისამართი, როდისმე შემოვივლი.

— იცი რა, — ლაპარაკობდა სევევევეი და თან მისამართს უწერდა, — მე როდისმე შემოვივლი, ლამაზმანებთან ერთად.

— მე კი დიასახლისს ვეტყვი, რომ არ შემოგიშვას.

— აბა, ნუ გეშინია! მე შენთვის მინდოდა მესიამოვნებინა. მშვიდობით!

V

ოთხ საათს მიტანებული იქნებოდა, როცა სევევევეი თავისი მცირე ქონებით შჩებეტუშკინის სახლს მიუახლოვდა. ქერა ქალი იმავე ადგილზე იჯდა, მაგრამ ფანჯარაში არ იცქირებოდა. ბზრიალამ კი, დაინახა თუ არა იგი, სიცილი დაიწყო, თან გამამხნეველად იქნევდა თავს.

— ხომ ნამდვილად ჩქარა მოვბრუნდი? — მზიარულად თქვა სევევევა საშარეულოში შესვლისას. მეეტლე უკან ბარგით მისდევდა.

მას არავინ უპასუხა, ამასთან გაკვირვებით შეამჩნია, რომ თეჯირები გადაკეტილი იყო. კუთხიდან გამოვიდა ის ხანში შესული ქალი, ეზოში რომ შეხვდა წელან, ჩადგა ოთახის კარში და შესასვლელი გადაუღობა. ქალს სახე დანაოქებული ჰქონდა, თუმცა თმაში ჭალარა არ ემჩნეოდა. იდგა, მაჯები ცერემონიულად სარტყელში ჩაეყო და გაყინული, უნდობლობით და რაღაც ველური შიშით აღსავსე თვალებით ირიბად იყურებოდა.

— თქვენ, ალბათ, დიასახლისი ხართ.

— დიას! — თქვა მან ხმადაბლა და უფრო მეტად გააირიბა გამოხედვა.

— თქვენი მონა-მორჩილი: თქვენი მდგმური სტუდენტი სევევევი. გთხოვთ გიყვარდეთ და მწყალობდეთ.

— მე მყავს მდგმურები, — თქვა მან ისე, რომ არც პოზა შეუცვლია და არც გამომეტყველება.

— როგორ? განა ბე არ მიგიღიათ?

— მივიღე. მე ნაცნობები შემოვიყვანე.

— მაპატიეთ! როგორ შეიძლება ბე აიღოთ და სხვა მდგმურები შემოიყვანოთ? ეს რასა ჰგავს?

მეეტლემ ტვირთი დასდო და განაცხადა, რომ მეტი მოცდა აღარ შეუძლია.

— მე ხომ ცხენი მყავს გარედ, ბატონო. იქნებ რა მოხდეს...

— ხედავთ, მე უნდა ტყუილ-უბრალოდ გადაუხადო ფული მეეტლეს. არა, ჩვენ ასე ვერ დავცილდებით ერთმანეთს. მისმინეთ, — ლაპარაკობდა იგი და თან თეჯირებს ურტყამდა ხელს. — ხომ მიიღეთ ბე?

კაბის სწრაფ შრიალს თეჯირის გაღება მოჰყვა და სცენაზე გამოხტა მეტად აღელვებული ბზრიალა. მას თვალები უელავდა.

— რას სჩადიხართ? — დააცხრა იგი ხანშიშესულ ქალს. — როგორ არა გრცხვენიათ. ორმოცდაცამეტი წლისა გახდით და ბავშვზე უარესი ხართ. კარგა ვერ გაუწვრთნიხართ იმ მუქთახორებს. წარმოიდგინეთ, — შეჰყვირა მან და მიტრიალდა სევევევისაკენ, — იუნკრები მოეწონა! ისინიო, ამბობს, ჭამა-სმით ჭირაობენო. მე კი ვუთხარი: ღირიავსკი და დიბოვი და პირიანევი ხომ ჭამა-სმით ჭირაობდნენ, მაგრამ რა ნახეთ მათგან? ფარატიანა ქალალღზე დაწერილ ხელწერილს რაში გამოიყენებთ?

დიასახლისი ოდნავ დაიღმიკა.

— მე ხომ... რა...

— არა, თქვენ გირჩევენიათ თქვათ: გწყინთ, რომ თქვენზე მეტი ვიცი. მე დიასახლისი ვარო და ვისაც მინდა იმას შემოუშვებო! მაშ. აბა, იცოდეთ: შემოუშვით მხოლოდ იუნკრები, — 'იმავე წუთიდან მე აქ აღარ ვიქნები! ვნახოთ როგორ აქმევთ მათ! — გამანადგურებელი თვალთ შეხედა დიასახლისის და თეჯირის ბრახუნით მიიმალა.

დიასახლისი სრულიად უაზრო გამომეტყველებით მოსცილდა კარებს.

— გამიგონეთ, დიასახლისო! სამხედროები ხომ, განსაკუთრებით იუნკრები, პოუსვენარი ხალხია, მე ხომ არაფრით განსაკუთრებულით არ შეგაწუხებთ... სამოვარს შემოიტანთ, ღუქანში გამეგზავნებით...

დიასახლისმა ისეთი თვალებით შეხედა, რომ ეტყობოდა რაღაც გადაწყვეტილება მიეღო.

— ეჰ, ასე იყოს, იცხოვრეთ! — თქვა მან და რაღაც უგულოდ შეაღო ოთახის კარი.

— ასე არ ჯობდა? — თქვა მხიარულად სევევევმა და მეეტლეს გაუხსროდა.

— დამიმატეთ, თქვენო კეთილშობილებავ: პატივისცემაა ხომ, ნახევარი საათია ვდგევარ, ვიცდი...

— აჰა, ესეც შენ, წადი, ძვირფასო.

მეეტლემ მადლობა გადაუხადა და წავიდა.

— იცი მხოლოდ რა, — დაიწყო დიასახლისმა, როდესაც იგი ოთახში შევიდა და გულმოდგინეთ მიხურა კარი.

— რა არის?

— ქალები არ მოიყვანოთ, — თქვა მან და ირიბი და უნდობელი მზერა შეაჩერა მასზე.

— ხა, ხა, ხა! ეს როგორ შეიძლება? ამის შემდეგ ვილა იცხოვრებს თქვენთან?

— როგორც გენებოთ! მე ნებას არ მოგცემთ, — დაუმატა მან სხაპა-სხუპით და გადამწყვეტი ექსტით.

— აბა, კარგი! ჩვენ ამას მოვაგვარებთ... ისინი თვითონ ივლიან...

— მე არ შემოუშვებ!

— უკაცრავად. ბოლოსდაბოლოს ჩემთან შეიძლება ნაცნობები მოვიდნენ.

— ნაცნობები — სხვა საქმეა, მხოლოდ... იმისთანები... არ იყოს.

— უცნაურია! თქვენთვის განა სულ ერთი არ არის, ვინ ივლას ჩემთან, ოღონდ სკანდალი არ იყოს.

— აბა, გეტყვით, რატომაც... რა გქვიათ?

— ევსევი ევსევიჩი.

— იმათ რომ იაზრონ თქვენთან, ევსევი ევსევიჩ, მე უნდა გემსახუროთ: მზარეული მე არა მყავს. აი, თუნდაც სამოვრის მორთმევა. მე კი ეს არ შემიძლია. მამაკაცისათვის მზადა ვარ ყველაფერი გაეკეთო, თუნდაც... ყველაფერი, რაც მოგესურვებათ! ქალებს კი ვერ ვიტან! თუნდაც, აი ის, ევსევი ევსევიჩ, — დაწეული ხმით დაიწყო მან, თითქმის ჩურჩულით, — ის ამ ზაფხულსაა ჩემთან... ფეხმძიმედ იყო, მე ვემსახურებოდი! იმ დროიდან, მე თითონაც არ ვიცე, როგორ შემძულდა. რა არ მოეუთმინე? ის კი უცხოებთან მარცხვენს. აი, როგორია ეგ ქალი, ევსევი ევსევიჩ!

— ყველა ასეა! მაგრამ, არ შეიძლება ყავის მოხარშვა და ორცხობილის ყიდვა?

— შეიძლება, ევსევი ევსევიჩ.

სეევეევემა მისცა მას ერთი გირვანქა ყავა და უთხრა ისე მოეხმარა, როგორც უნდოდა, მისცა ფული ორცხობილასა და ნამცხვრისათვის. სულ მალე დიასახლისი წავიდა. სეევეევემა განიზრახა ახლად გაცნობილი ქალები მოეწვია ახალმოსახლეობაზე, ამისათვის კი საჭირო იყო ოთახი ცოტათი მაინც წესრიგში მოეყვანა. ამ საქმეს უნდა შედგომოდა, რომ უცბად თეჯირებს იქიდან სიცილი მოესმა. ბზრილა მას უხმობდა.

— ხომ გეუბნებოდით, რომ მე დიასახლისზე მეტი ვარ აქ? ჩემი გავიტანე!

— თქვენი დიდი მადლობელი ვარ, — უბასუხა მას სეევეევემა და ქერა ქალს შეხედა, რომელიც სრულიად დამშვიდებული სახით მუშაობდა—მაგრამ, ნეტავ რას იზამს იუნკრებთან? ისინი ხომ ფიცით ხალხია. შეიძლება საჩივლეღადაც წავიდნენ.

— როგორც ნებაგს ისე ქნას!

— მე, რასაკვირველია, იმათი გულისათვის აქედან არ გავალ. და საერთოდ მომწონს მე აქ, — თქვა მან და ქერა ქალს პირდაპირ შეხედა. — თქვენ, ქალიშვილებო, უარს ხომ არ მეტყვით ახალ ბინაზე რომ მესტუმროთ?

— რითი გვიმასპინძლებით? — შეეკითხა ბზრილა.— მოსვლად უნდა ღირდეს!

— რასაკვირველია, შამპანური არ იქნება. ყავა, ორცხობილა, ნამცხვარი და კეთილი გული.

— კარგია, გველოდეთ!

— თქვენ ხმას არ იღებთ? არ გინდათ მასიამოვნოთ. — ჰკითხა მან ქერა ქალს.

— გმადლობთ, მე უნდა ვიმუშავო.

— თქვენი სამუშაოთი შეგიძლიათ მობრძანდეთ!

— დეე იმუშაოს, — თქვა უცერემონიო ღიმილით ბზრიალამ. — ჩვენ ორმა ვიღღესასწაულოთ. როგორ უნდა მიმადლოდეთ მე? მე რომ არ ვყოფილიყავი, უკანვე გაბრუნდებოდით იმავე ეტლით.

— ო! უღრმესად მადლობელი ვარ! თქვენი ხელი! რა გქვიათ?

— მეძახიან გაშას, გაპოჩკას. ნათლობის სახელია აგაფია. მამის სახელი — ანდრონი. თქვენ კი ის დამიძახეთ, — რაც მოგეწონებათ.

— მაშ მე გალოჩკას დაგიძახებთ, — უბასუხა მან და არც უფიქრია რამე ეწყენინებინა მისთვის.

ბზრიალა სწორედ ამ სახელს ვერ იტანდა რატომღაც. ქერა თმიანმა გაიცინა.

— ახ, თქვე უმადურებო! იცოდეთ, არ გამაჯავროთ, თორემ ისე გააჯავრებთ, რომ... — თქვა მან მოჩვენებითი მხიარული სახით.

— ვიხუმრე, თქვენ კი, მგონი, გეწყინათ.

იგი მართლაც ნაწყენი იყო, ორმაგადაც კი იმ საძულველი სახელისათვის და, უფრო მეტად კი იმისათვის, რომ სეევეეემა ქერა ქალს საბაბი მისცა ბზრიალასათვის დაეცინა.

ამიტომაც ამის გამო უბრალოდ გალკა დავუძახოთ.

— თქვენ რა გქვიათ? — შეეკითხა სეევეეევი ქერა ქალს.

— რად გინდათ იცოდეთ?

— გალოჩკა, მითხარით, რას ეძახიან მას?

— ხა, ხა, ხა! ხავრონია მიტრევენას, — თქვა გალკამ, რომელმაც ვერ დაფარა მისი უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენების სურვილი.

— მგონი თქვენ ლელიჩკა დაუძახეთ.

— მაშ თქვენც ლელიჩკა უწოდეთ.

— ნებას მრთავთ?

— რატომ არა, ოღონდ სისულელეებს ნუ ილაპარაკებთ, დაძახებით კი — როგორც გენებოთ.

— კარგი! მაშ ორივეს გელოდებით! ნახვამდის!

სეევეეევი რომ გადიოდა, ფიქრობდა, რომ ქალები ან წაიჩხუბებოდნენ, ან გაჩუმდებოდნენ და ერთმანეთს არ შეხედავდნენ.

მათ მართლაც ერთი სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისათვის. ლელიას სრულიად მშვიდი სახე ჰქონდა, ოდნავ იღიმებოდა კიდევ. გალკა კი ტუჩებს იკვნეტდა.

VI

სევევევი შევიდა თავის ოთახში იმ მიზნით, რომ დაელაგებინა იქაურობა. შეხედეთ ერთი ამ ნაწილში მის განკარგულებებს. ჭერ ერთი დაკეცილი ლეიბი და ბალიში საწოლზე დაალაგა; მეორე — მაგიდა საწოლთან მიდგა, ხოლო მესამე — დაიწყო ხელები უკან და მოჰყვა ოთახში სიარულს, კართან. ნახმარი თეთრეულით საესე ღია ჩემოდანი დატოვა.

ღიასახლისმა მთელი გროვა ორცხობილა და ნამცხვარი მოიტანა. ძალე დაპატიყებული სტუმრებიც მოვიდნენ. სევევევისათვის მოულოდნელად გალკა თეჯირებს იქიდან გამოხტა, მხიარულად დახტოდა, ლელიასათვის, რომელსაც წინააღმდეგობა აზრადაც არ მოსვლია, ხელი ჩაეფლო და ეწეოდა, რაც სევევევს სასიამოვნოდ რჩებოდა.

— გილოცავთ ახალმოსახლობას, — წამოიძახა გალკამ და მოერიდებლად გაუწოდა ხელი ვაჟს.

— მოგილოცავთ, — თქვა ლელიამაც ხელის გაუწოდებლად.

— მობრძანდით, საყვარელო სტუმრებო! გთხოვთ დაბრძანდეთ.

— სად დავსხდეთ! ხა, ხა, ხა! ხედავ, ლელია, ამას ნამდვილად უნდა პირდაპირ საწოლზე დავგსხას. ხედავ, მაგიდა რომ საწოლთან მიუდგამს. დიდად გმადლობთ! — თქვა ეს და საქმიანადაც შეუდგა წესრიგის დამყარებას ოთახში.

— ლელიჩკა, თქვენ ჭერ არასდროს არ ყოფილხართ სტუდენტთა ბინაზე?

— არა, მაგრამ ვიცი როგორ ცხოვრობენ სტუდენტები.

— საიდან იცით?

— დედასთან დადის ერთი ღიასახლისი ვიბორგის მხრიდან. ის ბევრს გვიამბობდა.

სევევევს ტანში ყრუანტელმა დაუარა. რა იქნება, — ფიქრობდა იგი, — თუ ის ერთ-ერთი იმ ღიასახლისთაგანია, რომლებთანაც მე წარსულ წლებში ვცხოვრობდი? ისინი არა თუ მართო გვარებსა და მამის სახელებს იხსენებენ, არამედ ბევრი რამის წამატებაც უყვართ...

— რას ვიამბობდათ ხოლმე...

— ბევრ რამეს: ცუდს უფრო, ვიდრე კარგს. აი, ამასწინად გვიამბო, თუ ერთმა სტუდენტმა, რომლის გვარიც დამავიწყდა, კურ-

სის დამთავრებისთანავე როგორ შეირთო ერთი ღარიბი ქალიშვილი.

— ეს. თქვენი აზრით, კარგია თუ ცუდი?

ის, რალაც, შეცბუნდა.

— ცუდია იმიტომ, რომ მას იგი არ უყვარს!

— როგორ? მაშ რალათ შეირთო ცოლად?

— ისე... — და თითონაც არ იცოდა ლელიამ, როგორ დაეფარა თავისი შეკრთობა.

გალკას მეოხებით ოთახმა რამდენადმე წესიერი შესახედაობა მიიღო: ლეიბი და ბალიში, როგორც რიგია, ისე ელაგა საწოლზე ხალათგადაფარებული. ტანსაცმელი დაჰკიდა, მაგიდა და სკამები კედელთან სიმეტრიულად დაალაგა. თავისი განკარგულებებით კმაყოფილმა გალკამ ოთახი შეათვალიერა და გადინახარა.

— ხალხო, რამდენი ქონებაა! ხა, ხა, ხა!

Две шинели, без фланели

И подкладка сертука,

Одеяло без постели

И замок без сундука.

სევევეს ეს სიმღერა, რომელიც არ გაეგონა, მოეწონა და ვითარების შესაბამისად საკმაოდ სასაცილოდაც ეჩვენა. ლელიაც იცინოდა. ეფექტის გაძლიერების მიზნით გალკამ ლექსები გაიმეორა და თეატრულად მიიხედა გამოფენილი ტანსაცმელისა და საწოლისაკენ. ყველა იცინოდა. დიასახლისმა შემოიტანა ადუღებული ყავადანი და, რაკი დაინახა, რომ ყველა იცინოდა, უზრდელობად ჩათვალა მონაწილეობის მიუღებლობა საერთო მხიარულებაში და დანაოჭებულ ბაგეებზე უაზრო ღიმილს ძლივს იოკებდა.

სევევევმა სთხოვა მას ყავა დაესხა.

— რატომ თქვენთვის არ დაისხით? — შეეკითხა იგი დიასახლისს.

— მე არ მიყვარს ჭამა, როცა ვინმე მიცქერის, — უპასუხა დიასახლისმა, თუმცა არავის მოსვლია აზრად მისთვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცია.

— როგორც გენებოთ, — სთქვა მან და ხელი ჩაიქნია.

გალკამ გვარიანი მადა გამოიჩინა ორცხობილას მიმართ. ლელია ცოტათი იპუწკებოდა. სევევევი პაპიროსს ეწეოდა და ჰაერში თანატოლ რგოლებს უშვებდა. დიასახლისი სკამზე ჩამომჯდარიყო, ცერემონიულად დაეკრიბა ხელები გულზე და სადღაც იცქირებოდა.

ქათ სთბოვეს კვლავ დაესხა ყავა და უნდოდა კიდევ ამას შესდგო-
მოდა, რომ უცბად გალკამ ფანჯარაში გაიხედა და დიასახლისს
გულცივად მიმართა:

— აგერ, თქვენი მდგმურებიც მოვიდნენ. მიბრძანდით მათ მი-
სალებად.

V I I

მართლაც და იუნკრებს, რომელთაც სევევევის მსგავსად ბე მიე-
ცათ, გადმოსვლა დაეჩქარებინათ. გასაკვირველიც იყო მათი აჩქა-
რება. მითუმეტეს, რომ მათ საკმაოდ დატვირთული მეფორანე
შოსდევდა.

— ახ, ღმერთო ჩემო, რაღა ვქნა? — ამბობდა მთლად დაბნეუ-
ლი დიასახლისი. — დავიმალები!

— რა მშვენიერია! ვინღა მისცემს იმათ ახსნა-განმარტებას? —
წამოილაპარაკა სკამზე მჯდომმა გალკამ უზრუნველად. — ჩვენ არა-
ფერი გვესაქმება. ჩვენ აქ სტუმრები ვართ.

— დიასახლისო, უთხარით, რომ მე მათზე ადრე მოგეცით ბე და
ამიტომაც მე შემომიშვით. რასაკვირველია, თან ბოდიში მოიხადეთ
და ბეც დაუბრუნეთ.

— არა, მე ეს არ შემიძლია! დავიმალები!

— აბა, მაშ რა! — დაიყვირა მოზეიმე გალკამ. — რას იზამთ!
მომეცით აქ აღებული ბე: მე მოვიშორებ მათ! ჩემგან სხვას ვერა-
ფერს წაიღებენ. თორემ, უსინდისოები, წელან დადგნენ ფანჯარას-
თან და იცქირებოდნენ...

რასაკვირველია, მისთვის უსიამოვნო ის კი არ იყო, რომ იუნკ-
რები უსინდისოდ გაჩერდნენ ფანჯარასთან, არამედ ის, რომ მათი
ყურადღების საგანი იყო ლელია.

ყველა თავისებურად მოემზადა დაუბატიყებელი სტუმრების
მისალებად. დიასახლისი საჩქაროდ გაიქცა თეჯირებს უკან. სევევეე-
მა პაპიროსს მოუკიდა და უზრუნველად სტვენას მოჰყვა. გალკამ
თავის სკამზე არაჩვეულებრივად სწორად დაჯდა და გულცივი გა-
მომეტყველება მიიღო. ლელიას სკანდალისა მოერიდა, შეშფოთდა
და ადგა. თითქოს სახლში წასასვლელად ემზადებო. მის დამშვიდე-
ბას სცდილობდნენ და ეუბნებოდნენ, რომ საშიში არა იყო რა. იგი
ფანჯარას მიუახლოვდა და შეშფოთებულმა დაიწყო ცქერა.

თეჯირების იქიდან ჯერ კიდევ ისმოდა ალბათ საწოლის ქვეშ შე-
მძვრალი დიასახლისის ფხაკური, რომ კარმა გაიკრიალა და სამზა-
რეულოში აქდარუნდა ხმლები და დეზები. ამის შემდეგ კარებში
კამოჩნდა ორი იუნკერი პალტოებსა და ჩაჩქნებში. ერთი ახალ-

გაზრდა იყო და ეტყობოდა—მეტად მხიარული ბუნებისა; მეორე კი—
მკაცრი და კუშტი. ვაჟაკური გამომეტყველების მიუხედავად ისი-
ნი უნებურად შედგნენ კარებში და ერთმანეთს უხმოდ გადახედეს.

— ჩვენ ეს ოთახი დავიქირავეთ და ბეც მივეცი, მაშასადამე,
უფლება გვაქვს ამის პატრონები ვიყოთ, — მიმართა სევეციუს
მკაცრმა იუნკერმა, რომელიც ნელი ნაბიჯით ჩაჩქანმოუხდელად შე-
მოვიდა ოთახში.

— მეც აგრეთვე დავიქირავე ეს ოთახი და თქვენზე ადრე გა-
დავიხადე ბე, ამიტომაც ახლა უკვე სრულუფლებიან პატრონად
ვთვლი ჩემს თავს.

— ეს რაღა ეშმაკია! სადაა დიასახლისი?

— მე ვარ დიასახლისი, — თქვა გალკამ სრულიად გულცივი
გამომეტყველებითა და ისე, რომ შეხედვაც კი არ აღირსა. — თქვენ
კი ფიქრობდით, რომ ჩემზე უარესი აქ არაყინაა? მაშ იცოდეთ:
აი თქვენი ფული! თუ გნებავთ, შეგიძლიათ იჩივლოთ. ჩემგან ვერა-
ფერს წაიღებთ. უბნის ზედამხედველსაც ვიცნობ და ნაწილის ბოქა-
ულსაც (მან დაიკვეხა).

სახტად დარჩენილმა იუნკერმა ტუჩები აიპრუწა და უღვაში გა-
დიგრიხა.

— უჟაცრავად! ჩვენ ბეს არ წავიღებთ და ვიჩივლებთ კი, მაკ-
რამ არა უბნის ზედამხედველთან და ნაწილის ბოქაულთან, არამედ
ობერპოლიცმეისტერთან. და თქვენ გაიძულებენ ბინა დაგვიქირაოთ
და გადმოსვლის ხარჯებიც აგვინაზღაუროთ. ამას გარდა თქვენ და-
გიმტკიცებენ, რომ ყოველ ვიგინდარას არა აქვს უფლება დასცინოს
კეთილშობილ ხალხს.

— ხა, ხა, ხა! ყოველი ვიგინდარა!—წამოიყვირა გალკამ, რადგან
გულში მოხვდა; იგი წამოხტა სკამიდან თვალების ბრიალით. —
თქვენ თავს გაღიხართ, ბატონო! რას დგებართ ჩაჩქანში? აქ კაბა-
კი არაა... თანაც დიასახლისის უხეშად მიმართავთ! გნებავთ დაიბ-
რუნეთ ბე, — ინებეთ, არა გნებავთ, — წაბრძანდით საჩივლელად
სადაც გინდათ. მე ვერას წამართმევენ. კაბას ამიწერავენ თუ? დეე!

— მართლაც, ბატონებო, პარადზე ხომ არა ხართ, — თქვა სეე-
ვეციუსმა. — რატომ არ იხდით ჩაჩქნებს? სხვის ბინაში ეს უზრდე-
ლობაა.

— ბინა წაგვართვით და კიდევ შენიშვნებს იძლევით! ეს უმა-
ღურობაა ბატონო სტუდენტო!

— ბატონებო! მე თქვენთვის ბინა არ წამირთმევია. თქვენ უნ-
და გახსოვდეთ ჩვენი შეხვედრა: დიასახლისის რომ შეეუთანხმდა,
გამოვედი ქუჩაში და მეეტლეს დავუძახე, თქვენ კი ამ დროს ჭერ-

კიდევ ფანჯარასთან იდევით, ალბათ ქუდების ცქერით სტკებობდით.

— დიახ, მე დაგინახეთ, — თქვა მხიარულმა იუნკერმა, რომელიც ლელიას მისჩერებოდა და აქამდე არავითარ მონაწილეობა არ იღებდა საუბარში.

— ხომ დარწმუნდით, რომ თქვენზე ადრე დავიქირავე ბინა, ახლა ხედავთ, რომ თქვენზე ადრე გადმოვედი და, — ამის შემდეგ კიდევ ლაპარაკობთ, რომ ბინა მე წაგართვით!

— რასაკვირველია, — დაიწყო ისევ პირქუშმა, — დიასახლისმა უნდა აგოს ყველაფერზე პასუხი. ის მოვალეა და აიძულებენ კიდევ დღესვე გვიშოვოს ბინა და აგვინაზღაუროს ხარჯები. წარმოდგინეთ: ყოფილ ბინაში ჩვენ მთლად გავასწორეთ ანგარიში, ისე, რომ ჩვენ ღამის გასათევი აღარსად გვაქვს. მაგის გულისათვის ახლა სასტუმროში უნდა დავიხარჯოთ?

— განა ცოტაგან შეიძლება ღამის გათევა... ბავშვი ხომ არა ხართ, — მე ვფიქრობ, იცით, — წამოილაქლაქა გალკამ და ისევ დაჯდა მიუყარებელი გამომეტყველებით, თან კაბის ნაოჭებს გულმოდგინეთ ისწორებდა.

— მე თქვენთან ლაპარაკი არ მინდა და არც მინდა გიცნობდეთ! მე შაინც ფეხს არ მოვიცვლი, ვიდრე ბებერი დიასახლისი არ გამოჩნდება!

— მაშ ხომ არ ინებებდით მოგეცადათ ეზოში ან ქუჩაში, — წამოიყვირა გალკამ ისე, რომ შეხედვაც არ აღირსა.

— გაჩუმდით, — მრისხანედ დაიძახა კუშტმა, მიუახლოვდა გალკას და საკმაოდ სახიფათო განზრახვა გამოამჟღავნა.

— ნუ ცხარობთ, — უპასუხა მან ადგილიდან ფეხმოუცვლელად, რაკი დაინახა, რომ სევევეს შეეძლო ყოველ წუთს დაეცვა იგი.

— ბატონებო, გთხოვთ დამტოვოთ. თქვენ შეგიძლიათ თქვენი უფლებები პოლიციის მეშვეობით სძებნოთ, სადაც შეგიძლიათ უჩივლოთ ყველას, ვინც ამ საქმეშია ჩარეული. თუ გნებავთ დარჩით ჩემთან სტუმრად, გაიხადეთ და უცერემონიოდ დაბრძანდით ყავის დასალევად.

— გმადლობთ! მე არ შემიძლია წავიდე მოხუცის უნახავად, დიასახლისად რომ გამოაცხადა თავი.

— გამიგონე, ჩემო მეგობარო, — დაიწყო მხიარულმა იუნკერმა, — მეგონი სრულიად ტყუილად ვკარგავთ დროს. აქ ეტყობა, ყველა პატრონია. იქნებ თქვენც დიასახლისობდეთ, — უთხრა მან ლელიას მიახლოებულმა, რომელსაც ამის გამო ძლიერ შერცხვა. — ძლიერ კი მოგიხდებოდათ.

ლელია სდუმდა, აღმოდებული სახე ფანჯრის შუშისათვის მიე-
კრა. სევევევი გაფითრდა და გაიმეორა, რომ იუნკრები ოთახიდან
გასულიყვნენ.

— თქვენ ტყუილად შეგშინებიათ, — განაგრძობდა მხიარულ-
იუნკერი ლელიას მისამართით. — ჩვენ რაიმე უსიამოვნების მოყე-
ნება კი არ გვინდა თქვენთვის, არამედ გესურს გავიგოთ რომელი
კანფეტები გიყვართ უფრო?

— თავი დამანებეთ. — უბასუხა ლელიამ თითქმის ტირილით.

— გამიგონეთ, — დაიწყო აღელვებულმა სევევევმა და მათ შო-
რის ჩადგა. — თქვენ განა იმისათვის ატარებთ სამხედრო ფორმას,
რომ უმწეო ქალებს აშინებდეთ?

— ბოდიშს ვიხდით! თქვენი მფარველობის ქვეშ მყოფ ქალს
როგორ შეიძლება უმწეო ეწოდოს, — თქვა იუნკერმა და თან უკან-
დაიხია.

— დიახ, მე შემეძლო დამემტკიცებია თქვენთვის, რომ შემიძ-
ლია დავიცვა ჩემი თავიცა და ეს ქალიშვილიც...

— ერთი სიტყვით, მომწყინდა ეს დავიდარაბა. ჩქარა გავეცა-
ლოთ აქაურობას. დაგვიბრუნეთ ბე.

— როგორ იქნება? რას ამბობ? — ამბობდა მკაცრი იუნკერი. —
ჩვენ ახლავე წავალთ ობერპოლიცმეისტერთან; ბარგსაც კი აქ დავ-
ტოვებთ მეეტლესთან ერთად. ამ ქალიშვილს აიძულებენ გადაიხა-
დოს ხარჯები.

— მოეშვი, ეს ხომ საშინლად მოსაწყენია. წავიდეთ!

— არა, მე ამ ამბავს ასე არ დავტოვებ, — თქვა მკაცრმა იუნკერ-
მა წასვლისას.

— წარმატებას გისურვებთ! მიაძახა გალკამ, ხოლო სევევევმა
მარშის სტვენა წამოიწყო. ამგვარად მეომრები განშორდნენ იქაუ-
რობას.

გალკა თეჯირებს იქით შევარდა და გულიანად გადაიხარხარა...
დაბრუნებულმა ოთახში ძლივს ამოთქვა, რომ დიასახლისი ნამდვი-
ლად საწოლის ქვეშ შემძვრალა და ახლაც კიდევ ეშინია გამოსვლი-
სა, ამბობს, რომ იქნება კიდევ დაბრუნდნენო. მისი შიში არ იყო
უსაფუძვლო. სულ მალე მხიარული იუნკერი მარტო შემოვიდა სამ-
ზარეულოში და გალკას, რომელიც ყველაზე წინ გახტა, ბე მოს-
თხოვა. გალკამ ღირსეულად გაუწოდა ფული. იუნკერი წავიდა, თან-
სევევევს ყოველგვარი სიამოვნება უსურვა. ბოლოს დიასახლისმა ც-
ინება თავშესაფარიდან გამოძრომა.

— სულ მგონია, რომ ისევ მოვლენ, — ამბობდა იგი და ველურ-მხიარული გამომეტყველებით თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

— ახლა ხომ ხედავთ, — მიუბრუნდა მას გამარჯვებული ვალკა, — რომ უჩემოდ ვერას გახდებოდით? შეიძლება პოლიციაშიც კი წაეყვანეთ. თქვენ კი სულ უმადური ხართ!

ღიასახლისმა აკანკალებული ხელით დაიწყო გაცეცხლებული ყავის დასხმა.

(მეფლის მეორე მხარე)

Он молод был... Сгубила рано

Его всецельная нужда...

Лицо его следы носило

Ночей безсонных и труда.

А. Плещеев («Совр.» 1861, № 4).

V I I I

ამა წლის თებერვალში, ერთი ახალგაზრდა კაცი, გაქეპილი სტუდენტური ვიცმუნდირით, თავის ბნელ საკანში მაგარ საწოლზე იწვა. სხვა რამ არც შეიძლებოდა დარკმეოდა იმ ოთახს, რომლის ჭერიც ჩამონგრევაზე იყო, — კედლები დახეთქილიყო და იატაკიც ჩაწოლით იმუქრებოდა. ფანჯრიდან თებერვლის ცივი ქარი უბერავდა.

ახალგაზრდა, მოღუშული სახით, ერთი მხრიდან მეორეზე ბრუნავდა და ღუმელის რაფაზე დადგმულ სასანთლეს შესცქეროდა. მაგრამ, მიუხედავად მისი მრისხანე გამომეტყველებისა და, იმის მიუხედავადაც, რომ ბნელდებოდა, სასანთლეში სანთელი მაინც არ ჩანდა. წიგნის თაროზე ორი თუ სამი წიგნი, რამდენიმე რვეული და საწერი ქაღალდის ფურცელი იდო; იატაკზე კალოშების მაგვარი რაღაც ეყარა, რომელიც ფოსტლების მაგივრობას ეწეოდა, დიდი ხნის წინად ვალმოხდილი ჩექმები კუთხეში ელაგა. სტუდენტური ქუდი, ისიც გაცვეთილი, ღუმელის საპაეროზე ეკიდა.

წამოწოლილმა ახალგაზრდამ იცვალა მხარი. გაიარა ერთმა საათმა, მეორემ. მეზობელ ოთახიდან რაღაც თამაშთან დაკავშირებული სიტყვები მოისმოდა. ამ ხმაურით მოთმინებიდან გამოსული ახალგაზრდა ერთბაშად წამოდგა, ხმამაღლა შეიკურთხა, ერთი-ორჯერ გაიარა-გამოიარა ოთახში და ისევ საწოლზე დაენარცხა. დაიწყო ძველებური ტრიალი მხარიდან მხარზე.

— ვინმე მაინც შემოაღებდეს კარს, — გაიფიქრა ახალგაზრდამ, — თორემ, — სულიერი კაცი არ არის. ეკ-ეკ-ეკ! — და იმგვარად ამოიოხრა, რომ ვერ გაიგებდი, რით იყო გამოწვეული იგი — სასოწარკვეთილებით თუ სევდით.

მთელი ღამე ასე მოუსვენრად გაატარა მან. როდესაც მტრედისფრად ინათა, იგი წამოდგა, ჩექმები ჩაიცვა და დღიური საშოვრისათვის ქუჩაში გაიქრა. მან მოუსვენრად გაიარა რამდენიმე ქუჩა და სტამბისაყენ შეუხვია. ის ოცნებობდა ისეთი საკორექტურო სამუშაო ეშოვნა, რომელშიც სასტამბო თაბახზე ათშაურს გადაუხდინენ. სტამბაში მას მუდამ სახემხიარული მეტრანაჰაყი შეეგება.

— გამარჯობათ სიმონ პეტროვიჩ! როგორა ხართ? რას შეუწუხებიხართ?

— ჩემი თქვენდამი საღამი, კარლ ფედოროვიჩ! სულ ჩვენ საქმეზე დავდივარ. ღმერთს გეფიცებით, ისე მიჭირს, რომ ახლა ნაბეჭდი თაბახის კორექტურას ათშაურადაც გავაკეთებდი. ხომ მოგეხსენებათ რა ძნელი სამუშაოა და როგორი ასოთამწყობები გყავთ. ვ-ის სტამბაში ექვსშაურზე დავთანხმდებოდი და მოგებულის დავრჩებოდი, აჰ კი...

— როგორ მოვიქცეთ, სიმონ პეტროვიჩ? თქვენ სულ ჩვენს ასოთამწყობებს ესხმით თავს, მაგრამ გაგეგოთ მაინც როგორ აწყობენ სხვაგან, არა მხოლოდ სახაზინო, არამედ კერძო სტამბებშიაც კი? როგორ მოვიქცეთ? ღმერთმანი, ემელიანოვი იღებს კორექტურას თაბახს ორაბაზად. მაგრამ მე ამ სამუშაოს მაინც თქვენ მოგანდობთ. თქვენთვის ვეცდები...

— კარლ ფედოროვიჩ, ემელიანოვს მუდმივი საქმე აქვს და მას რაში სჭირდება თქვენი სამუშაოს აღება, თანაც ამ ფასად? მაგრამ, ასე იყოს, მეც თანახმა ვარ ვიმუშაო თქვენთან ამ ფასში.

— მაშ ხელი დაჰკარ.

— როდის დაიწყება სამუშაო?

— ხელი დაჰკარ, ორ-ორი აბაზი თაბახში, დეე ახლა გამებუტოს ემელიანოვი, რა ექნა. მუშაობის დაწყებაზე კი ახლავე მოგახსენებთ. ცოტა დაისვენეთ!

გახარებული სიმონ პეტროვიჩი სკამზე ჩამოჯდა, თვითაც არ უჭერებდა თავის ბედნიერებას, გულის ფანცქალით მოელოდა მეტრანაჰაყის გამოჩენას. სიმონ პეტროვიჩს თითქოს ეშინოდა, რომ ვინმე არ შესცილებოდა სამუშაოში. კარლ ფედოროვიჩი შემოვიდა.

— სამუშაო დაიწყება არა უადრეს ორკვირა ნახევრისა. მანამდე მოიცადეთ, შემდეგ კი ჩვენი საქმე კარგად წავა, ხუმრობაა — ორმოცდაათი თაბახი!

ამ სიტყვებმა სიმონ პეტროვიჩს ცივი წყალი გადაასხა, მაგრამ მაინც ლოდინი გადაწყვიტა. მეტრანაჰაძმა სიმონ პეტროვიჩს მისამართი გამოართვა და გამოემშვიდობა.

— სარფაც ეს არის! — სიამოვნებით ჩაიბურტყუნა თავის ჯაბის ერთგულმა გერმანელმა.

I X

— „ძლივს! ძლივს!“ — ფიქრობდა სიმონ პეტროვიჩი, „ძლივს მეც გამოიღმა ფორტუნამ, ღმერთმა ქნას, რომ ეს ღიმილი მალე არ გამქრალიყოს“ და ახლა სხვა სტამბისაკენ გაეშურა ისეთი სამუშაოს შოვნის იმედით, რის ჰონორარიც ამ ორკვირა ნახევარს თავს გაიტანდა.

მთელი დღე სტამბიდან სტამბაში დაძრწოდა. ყველა მეტრანაჰაძი სიმონ პეტროვიჩის ნაცნობი აღმოჩნდა და ყველა, როგორც შეთქმულნი, ერთი და იმავე სიტყვით ისტუმრებდა: „სამუშაო არ არის და ალბათ არც იქნება ახლო მომავალში, რადგან ექვსი თვის სამუშაოს ჩვენ წინასწარ ვანაწილებთ!“

სალამოს სიმონ პეტროვიჩის ოთახში მოულოდნელ სცენაჰ ჰქონდა ადგილი. წითური ვანკა შეეტლე სიმონ პეტროვიჩს უმტკიცებდა, რომ მისთვის ათი შაური უნდა გადაეხადა, რადგან ორგზობაზე ატარა და მთელი საათიც აყურყურებდა. სიმონ პეტროვიჩი ამოღო უმტკიცებდა მას, რომ არც მარხილში და არც ეტლში აგერ უკვამ ნახევარი წელიწადია არ მჯდარა, მაგრამ ვანკა მაინც არ ეშვებოდა.

— როგორ არა, ბატონო. თქვენმა მოწყალებამ რომ სმოლნისთან დამიჭირავა, იქიდან წავედით ქარევისლაში, იქიდან კი დიდ პროშპექტზე. ამას ხომ სჭირდება ერთ საათზე მეტი. თუ შეიძლება ფული, ბატონო!

— შენ, გეთაყვა, კკუაზე შერყეულხარ. გეუბნები, რომ არ მიმგზავრია. სმოლნის მონასტერი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს (სიმონ პეტროვიჩი არ სტყუოდა) და ქარევისლასაკენაც სამი კვირა არ გამივლია. შენ, ალბათ, ვილაცამ გავაცურა და მე კი მომდგომიხარ. აბა, კარგად შემომხედე. ვგევარ იმას, ვინც შენ ატარე?

ამასთან სიმონ პეტროვიჩმა სახე ვანკას ცხვირთან მიუტანა.

— აბა, თქვი, ვგევარ იმას, ვინც ატარე? — ჰკითხა კვლავ სიმონ პეტროვიჩმა და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიწია.

— თქვენს მოწყალებას მაშინ სახე შეხვეული ჰქონდა, ღმერთმანი, შეხვეული და, აბა, ჩემო ბატონო, როგორ შეჰქძლო აქვების მოწყალების სახე გამერჩია? მიბოძეთ, ბატონო, ფული, ეტლის

პატრონი გამლანძღავს და ჯამაგირიდანაც გამომიქვითავს, ღმერთმა--
ნი, გამომიქვითავს!

— გეუბნები, რომ მე არ მიმგზავრია და არაფერს არ მოკცემ,
პით უმეტეს, რომ ფული არა მაქვს.

— ეგრე, ბატონო, მხოლოდ ჯიბგირები იქცევიან. შავალ საჩრვ-
ლელად. ჩემი დაჩაგვრა არ შეგრჩებათ, უბრალო ადამიანი ვარ.
უბრალო ადამიანის წყენა არ შეგრჩებათ.

— თუ გინდა პოლიციაში წადი, ჩემო ძმაო, ღმერთმა უშვე-
ლავა, გეუბნები, რომ მე არ გიტარებხარ, ეტყობა შენი ცგზავრი
ამ სახლის ერთ კართან ჩამოხტა და მეორეში გაგეპარა, შენ კი მე
მოდდგომიხარ და ჯიბგირადა მთელი.

მიუხედავად ასეთი შეგონებისა, ვანკა მაინც წავიდა საპოლიციო
უბნის უფროსთან. საქმე, ეტყობოდა, გაქიანურდა, რადგან ამ სა-
ღამოს სიმონ პეტროვიჩი პოლიციას არ შეუწყუხებია.

საღამომ გუშინდებურად გაიარა, ოღონდ მეზობელ ოციაში ორი
ადამიანის ხმის ნაცვლად ოთხი სხვადასხვა ყალიბის ხმა ისმოდა.

— «На пер», «угол от столяких-то», «бита», «ваша берет».

სიმონ პეტროვიჩმა ფურთხებასა და გინებას უმატა.

სტამბიდან სამუშაოს მიღებაზე იმედგაცრუებულმა სიმონ პეტ-
როვიჩმა გადაწყვიტა მეორე დღე სახლში გაეტარებინა. სამ საათს
რამ იძინა, შემდეგ ადგა და მოხუც დიასახლისს ცხელა ჩაიდან
შემოატანინა. ვიდრე ჩაი ფერს გამოსცემდა, იგი წიგნის საკითხავად
წამოწვა.

შემოვიდა დიასახლისი.

— ხომ არ მიბრძანებთ გამტკიცული პურის მოტანას? — ჰკი-
თხა მან.

— რითი მოვიტანოთ, მართა ტიმოფეევან? ფული არა მაქვს და
არც მექნება სამ კვირას. მაშინ ვიშოვი სამუშაოს და ხარკით დღე
და ღამ ვიმუშავებ. მაშინ, ალბათ, სანთელიც იქნება, გამტკიცული
პურიცა და ჩექმებიც. როგორ ვისწრაფი, რომ ამ სამმა კვირამ ჩქარა
გაიაროს! მერე კი ღონეს მოვიკრებ და საქმეც გაიმართება!

— მე მაქვს შავი პური, სიმონ პეტროვიჩ, თუ გნებავთ მოგარ-
თმევთ.

— ძალიან კარგი! აჰ, რა გულკეთილი ხართ, მართა ტიმოფეევ-
ნა, მართლაც!

— შაქარი გეყოფათ?

— როგორ არ მეყოფა, მგონია ხუთ დღეს მეყოს, თხუთმეტ
ნაპერზე მეტია. მეყოფა, ჩემო კეთილო მართა ტიმოფეევან, მეყოფა!

— ჩაიც?

— ჩაიც მეყოფა ორ კვირას, ერთი სიტყვით, ღეთის მოწყალე-
ბით როგორმე გავიტან ამ სამ კვირას თავს.

ჩაი დაილია და მაგიდაც ალაგდა.

სიმონ პეტროვიჩმა წიგნი აიღო და საწოლზე წამოწვა. კითხუ-
ლობდა, მაგრამ მისი ფიქრები სტამბაში იყო. იგი წარმოიდგენდა თუ
როგორ მოაწოდებდნენ კორექტურას და როგორ წაიკითხავდა მას,
ეჩვენებოდა, რომ იმ სტამბის კორექტურას, სადაც მას ე-ა-ე არია
სამუშაოს შეკპირდნენ, მუდამ ის გააკეთებდა, ელანდებოდა, რომ
აი, სწრაფად კითხულობს კორექტურას და ფურცელს ფურცელზე
ალაგებს.

— ეშმაკმა დალახვროს, მგონი კი იაფად ავიღე კორექტურის
კეთება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ არაჩაობას მაინც ეს სჯო-
ბია... რამდენი იქნება? ორმოცდაათი ორმოცზე — ოცი მანეთი.
აქედან ჩაი-შაქრისათვის სამი მანეთი, საფუნთუშეში — მანეთი,
ღიასახლისს — ხუთი მანეთი, მრეცხავს — ოთხი აბაზი, ფეხსაცმე-
ლის დასაკერებელი — ხუთი შაური, ჩექმებში — სამი მანეთი, სულ
ცამეტი მანეთი და ერთი შაური... ახლა პურში და ძეხვში ხუთი მა-
ნეთი მაინც... მაშასადამე, თვრამეტი მანეთი და ერთი შაური. რჩე-
ბა ერთი მანეთი და ცხრამეტი შაური. ესეც ამხანაგების დასაპატი-
ებლად და სასწრაფო ხარჯებისათვის. მერე შეიძლება კიდევ ოცა
თაბახი კორექტურა ვიშოვო და ვიქნები მაძღრისად.

ამ ფიქრებს თავისთავად სხვა ფიქრები მოჰყვა.

— „კი, მაგრამ, რითი უნდა ვიცხოვრო ამ ორკვირა ნახევარს?
ამისათვის სამი მანეთი მაინც არის საჭირო! ვაი თუ მეეტლემ მართ-
ლაც იჩივლოს! ვაი თუ მეტრანაპაემა მომატყუოს და სამუშაო სხვა
მისცეს?!“...

მაგრამ ეს საშინელი და სამწუხარო ფიქრები უცბად გაიფანტა,
როცა სიმონ პეტროვიჩის ოთახში მისი უნივერსიტეტელი ამხანაგი
შემოვიდა.

— გამარჯობა, სიმონ, როგორ ცხოვრობ, რასა იქმ?

— როგორცა ზედავ, — ნაღვლიანად უპასუხა სიმონ პეტრო-
ვიჩმა.

— ეპ, ძმაო, რას დაღონებულხარ, იმხიარულე, თორემ სევდა
დაგადნობს და მისი დაძლევა გაგიჭირდება. შენ ეს მითხარი — კო-
რექტურა იშოვე?

საპასუხოდ სიმონ პეტროვიჩმა წინა ღლის თავგადასავალი
უამბო.

— აპ, შე უღმერთო, შენა, — აყვირდა სიმონ პეტროვიჩის აპ-

ხანაგი, — ამის შემდეგ კიდევ ბედავ ცხვირის ჩამოშვებას? მითხარი, შენი ჰირიმე, ღორი არა ხარ ამის შემდეგ? ქუჩაში სულ ხტუნვით უნდა დადიოდე! ორმოცდაათი თაბახი კორექტურა გიშოვია! ორმოცდაათი თაბახი! ორმოცდაათი თაბახი!! სიმონ პეტროვიჩი, ღმერთს ნუ სცოდავ!

— ნუ ცხარობ, ძმაო, ნუ ცხარობ. ჯერ ეს მითხარი, რით გავიტანო თავი ორ კვირას?

— მაშ იმედი რილას მაქნისია? მე ასეთი იმედით ერთ თვეს ულუქმაპუროთ ვიცხოვრებდი, შე უღმერთოვ! ორმოცდაათი თაბახი! აი, დედასა!

და სიმონ პეტროვიჩის ამხანაგმა, ბუნებით მხიარულმა, ღრმად ამოიოხრა.

— იცი რა, — დაიწყო მან მცირე ღუმლის შემდეგ, — მეც ვმოულობ სამუშაოს, მაგრამ არა კორექტურას, არამედ უბრალო გადასაწერს. ოც თაბახს. იცი მერე რა ფასად? აბა, გამოიცან?

— სამ შაურად?

— მეტი.

— აბაზად?

— მეტი.

— ხუთშაურად? მგონია სტყუი!

— ასეა. ოცი თაბახი, თითო ხუთშაურად. აი რაა!

— სიზმარში ხომ არ მოგეჩვენა?

— არა, ძმაო, ხუმრობ! რას ჰქვია მომჩვენებია! სამი დღე დაულაღვად მუშაობა და შემდეგ ხუთი მანეთი! გავიყოთ, მანქანახევის არს ან ორ მანეთს გასესხებ.

— მე კი ვიფიქრე ნამდვილი სამუშაო იშოვნა მეთქი! გეყოფა, ძმაო, ტყუილი და ჩემი ცდუნებაც. არა, ძმაო, ახლა აღარაფრისათვის აღარ დაგიჯერებ, ჩემი მოტყუება იოლი საქმე არაა.

— ღმერთს გეფიცები, არ ვტყუი; ოცი თაბახის გადაწერა და ვერცხლის მანეთიანი წინდაწინ. პატიოსნებას გეფიცები არ ვსტყუი.

— რას იზამ, უნდა დაგიჯერო! მაგრამ, თუ სცრუობ, იცოდე მერე აღარაფერს აღარ დაგიჯერებ.

— გამოგონე, სიმონ, დღეს არსად გახვალ?

— შენ რა გინდა?

— შენ მითხარი: სათათბიროში ლექციებზე დადიხარ?

— არა, სად მცალია ლექციებისათვის. ლექციები კი არა გაცირილი ან დიკის პურის ფულიც არა მაქვს.

— გეთხოვა მუქითი ბილეთი.

— მე არც ერთ დეპუტატს არ ვიცნობ, უამისოდ კი ბილეთებს

არ იძლევიან. ზედმეტი კი არა, ერთი მანეთიც რომ მქონდეს, ფეხსაცმელს მივცემდი შესაკეთებლად, — იმასაც უ...ს ლექციებზე დასასწრებ ბილეთში გადავიხდიდი.

— ხომ გეუბნებოდით — გაიცანი ვინმე სტუდენტთა უმაღლესი წრიდან, შენ კი სულ შენსას გაიძახოდი — „არ მინდა, არ მინდაო“. აი, ახლა კი, შენი წყალობით ორივენი ზღვის ნაპირზე ვსხედვართ და ამინდს ველოდებით. აბა, რას ვაკეთებთ ახლა? იმის ნაცვლად, რომ ლექციებზე გვევლო, ტყუილად დავყიალებთ.

— მეტი საქმე რა გვაქვს! რატომ მკითხე — წავალ სადმე თუ არა?

— ფეხსაცმელები მინდოდა მეთხოვნა შენთვის. ჩემები გაცვდა. სამუშაოზე წასვლა კი საჭიროა. ჩემებით შეუძლებელია.

— ჩემებიც საკმარად გაცვეთილია, მაგრამ ჩაიცვი თუ ვარვა.

სიმონ პეტროვიჩის ამხანაგმა ჩექმები ჩაიცვა და წაერღა.

X

სიმონ პეტროვიჩი კითხვას შეუდგა. ნახევარ საათსაც არ გაეცლო, რომ საკანში უბნის ზედამხედველის თანაშემწე შემოვიდა პოლიციელისა და გუშინდელი მეეტლის თანხლებით. საკანის წყეული ქერი უბნის ზედამხედველის თანაშემწეს ხელს უშლიდა სიმონ პეტროვიჩის წინაშე მთელი ძალით შეიარაღებული წარმოდგარიყო, ე. ი. თანამდებობის შესაფერი წარმოსადგეობის მიღებაში ხელს უშლიდა. მატვეი ფერაპონტიჩს (უბნის ზედამხედველის თანაშემწის სახელი და მამისახელია) თავის დახრა მოუხდა და ამით ის თავისსავე წარმოდგენაში თითქოს დადაბლდა კიდევ.

— აი, ეს მეეტლე გიჩივით, მოწყალეო ხელმწიფევე, — მიმართა მან სიმონ პეტროვიჩს და პასუხისათვის არ დაუცდია, მეეტლე უბრძანა შემთხვევის შესახებ თავიდან დაეწყო.

— გუშინ, სადილის შემდეგ, თქვენო კეთილშობილებავ, — დაიწყო მეეტლემ, — ვიდექი ოხტის გადასაყვანზე, გავიხედე. მოდის ახალგაზრდა ბატონი, მივედი მათთან და ვუთხარი: წამობრძანდით მეტქი, ბატონო, ჩემს ეტლში. ბატონი ჩამიჯდა და მიბრძანა ქარვასლისაკენ წასვლა. მათი მოწყალეობა მივიყვანე ქარვასლასთან, ეგერი ერთ დუქანში შებრძანდნენ, შემდეგ მეორეში, ხოლო შემდეგ კიდევ მესამეში. დანამდვილებით არ შემიძლია გითხრათ, იყიდეს თუ არა მათ რაიმე, მხოლოდ ეტლში ჩაბრძანდნენ და მიბრძანეს დიდ პროშპებტზე წავსულიყავი. მათი მოწყალეობა მე წავიყვანე ვასილოსტროვის დიდ პროშპებტზე, მაგათ კი მოისურვეს გზაში ებრძანებინათ, რომ პეტერბურგის მხარის დიდ პროშპებტზე წავსულიყავი. მოვედით სწორედ ამ სახლთან, ბატონი ჩამოხტა და მიბრძანა დამეცა-

და, „ახლავე გამოვალო“, სხვა რამის თქმა აღარ უნებებია. მეც ვიცდიდი ერთ საათზე მეტს, მერე შემოვედი მათს მოწყალებასთან და ფული ვთხოვე. მათი მოწყალება ჩიუტად იმეორებდა: „მეო შენა ეტლში არა ვმჯდარვარო!“ სხვა რამის თქმა აღარ უნებებია, მე, თქვენო კეთილშობილებავ, უბრალო კაცი ვარ, ჩემს წყენინებას ბევრი არა უნდა რა. ჩემი რომ იყოს ცხენი და არა მისი მეპატრონესი, მათს მოწყალებას ფულს არა ვთხოვდი. ღმერთმანი, ასეა. ახლა პატრონი მე მომთხოვს. აო, ამასწინეთაც. თქვენო კეთილშობილებავ, მანეთნახევარი გამომიქვითა — ღმერთმა იცის, არაფერში დამნაშავე არ ვარ, მეპატრონე კი არაფერს დაგიდევს: „ჯიბგირებს რატომ ატარებო“!

— რას იტყვით თქვენ ამაზე? — ჰკითხა თითქმის მრისხანეთ უბნის ზედამხედველის თანაშემწემ სიმონ პეტროვიჩს.

— პატიოსან სიტყვას გაძღვეთ, რომ აგერ უკვე ექვსი თვეა ფეხი არ შემიდგამს არც მარხილში და არც ეტლში. ამ სახლს, როგორც ხედავთ, ორი გასასვლელი აქვს, რომელიღაც ჯიბგირი, რომელიც ამ მეეტლემ მოიყვანა, ეტლიდან გადმოვიდა ალბათ და მიიშალა. მეეტლეს კი, ვინ იცის მე ვინ ვგონივარ. მე მეტი სათქმელი არა მაქვს რა.

— როგორა, — მიუბრუნდა მატყეი ფერაპონტოვიჩი მეეტლეს, — როგორ გგონია, ეს სტუდენტი ატარე შენ?

— ესა, თქვენო კეთილშობილებავ, უსათუოდ ეს, ღმერთმანი ეს.

— როგორ მოვიქცეთ ბატონო სტუდენტო?

— მე, ღმერთმანი, არ მცალია თქვენთან სალაპარაკოდ, გარწმუნებთ, რომ მე არ მიმგზავრია, მაგრამ რომ ამ აყალ-მაყალს ბოლო მოვუღო, მივცემ ამ მეეტლეს ათშაურს, ეხლა არა მაქვს ფული, მაგრამ შემდეგ შემოიაროს და გადავუხდი.

— შემიწყალე ბატონო, არ შემიძლია დაცდა. ახლა მომეცით, თქვენო კეთილშობილებავ, ახლავე მომეცით, — იხვეწებოდა მეეტლე.

სიმონ პეტროვიჩი დიასახლისთან წავიდა ათი შაურის სასეუხებლად. დიასახლისს, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთი შაურიც არ აღმოაჩნდა. ბოლოს სიმონ პეტროვიჩმა გაიძრო ერთად-ერთი ეილეთი და მისცა მეეტლეს.

— ცოტა იქნება, თქვენო კეთილშობილებავ, დამიმატეთ კიდევ რამე. — საყვედურით წამოილაპარაკა მეეტლემ.

— გამიგონე, — უთხრა მას გაცხარებულმა სიმონ პეტროვიჩმა, — შენ თითონ იცი, რომ შენი ეტლით არ მივლია, მაგრამ, დაე

შენმა სულმა ზღოს. მეტს ვერაფერს ვერ მოგცემ და არც შემიძლია მოგცე, და, თუ გინდა, ერთი თვის შემდეგ დამიბრუნე ჩემი ჟილეტა და მიიღებ ათ შაურს. ახლა კი წადი.

სტუმრები ფიცხლავ წავიდნენ.

— ეჰ, ჰე, ჰე! — ამოიგმინა ნაღვლიანად სიმონ პეტროვიჩმა. იგი თავივემ ხელებ ამოდებული საღამომდე გაუნძრევლად იწვა, ჰერს შესცქეროდა და ერთხელაც არ შეუცვლია მხარი, როგორც ამას ზშირად აკეთებდა ხოლმე.

რა ფიქრები მოსდიოდა თავში და მოსდიოდა კი რამე — არ ვიცო. საღამოთი სიმონ პეტროვიჩმა ჩაი დალია და ისევ დაწვა პირქვე. ასე იწვა შუალამემდე. შუალამისას ადგა, ერთი ჰიქა წყალი დალია, ჩექმები გაიძრო და დასაძინებლად დაწვა. ესიზმრა, ვითომ კორექტურის ფურცლებში იყო ჩაფლული.

X I

სწორედ დილის ათ საათზე ადგა სიმონ პეტროვიჩი. ერთი საათის შემდეგ მასთან შემოვიდა ამხანაგი ქალაღდის მანეთიანით, რომელიც სამუშაოში წინასწარ აედო.

— ფულით, მეგობარო, ფულით! — დაიყვირა მან კარის შემოდებისას, — შენ კი გუშინ ფიქრობდი, რომ ვტყუოდი! აი, მეგობარო, ფული!

— დიდება ღმერთს, — უპასუხა მას სიმონ პეტროვიჩმა.

— გავინაწილოთ, ოღონდ ნახევარს ვერ მოგცემ, ხუთი-ექვსი შაური კი ინებე!

— ესეც კარგია. მამ სამ დღეს მხიარულებაში გავატარებთ.

— იცი რა, — ამბობდა სიმონ პეტროვიჩის ამხანაგი, — როგორმე რომ გვაშოვნინა კიდევ ამისთანა სამუშაო ოციოდე თაბახი! შე, დიახაც, აბაზადაც დაეთანხმდებოდი.

— სად ვიშოვოთ? მე კიდევ არა მჯერა, რომ შენ შეგეძლო გადასაწერი გეშოვნა თაბახი ხუთშაურად.

— არა გჯერა და ნუ დაიჯერებ. მე კი კვლავ ვეცდები ასეთი სამუშაო ვიშოვო. ეჰ, რომელიმე ლიტერატორს რომ გავცნობოდი, განსაკუთრებით რომანისტს! აი, ეს იქნებოდა ცხოვრება!

— რა ქეიფს გავწევდით! — დაუმატა სიმონ პეტროვიჩმა.

— აბა, ძმაო, მე და შენ კი ვიცით ქეიფი, რა თქმა უნდა! სად ვიქეიფოთ და რით, რა თანხით გვიბრძანებ ქეიფს? ბევრი-ბევრი თვეში იშოვო თხუთმეტი, სულ ბევრი — ოცი მანეთი, მათგან ოთხი ან ხუთი მანეთი დაგრიებ და ისიც ფეხსაცმელ-ტანსაცმელში წავა. იყიდი რაღაც ერთ ბოთლ ლუდს, მიუჭლები მაგიდას მარტო და და-

იწყებ სმას. რას ჰგავს ეს? ეს, შენებურად, ქეიფია? ქვეყანაზე კი ბევრია ისეთი ბედნიერი, რომელიც სრულიად უშრომლად ყოველთვიურად იღებს ორმოც, ორმოცდაათ მანეთს და ტანსაცმლისთვის კიდევ, ამის ზევით, სხვაა! კიდევ იტყვიან ამის შემდეგ, რომ ჩვენ არ ვმეცადინებთ! სად არის მეცადინეობის დრო? როდისლა? აი, რომ მქონდეს მულმივი შემოსავალი თვეში ოცი მანეთი, გაჩვენებდი როგორ უნდა და როგორ შეიძლება მეცადინეობა.

— მაშინ, ძმაო, იქნება არც კი გყოფნოდა.

— არა, სტყუი!

— ვიცი, მაშინ იტყოდ: სამი თუმანი რომ მქონდეს, აი მაშინ ვიცხოვრებდი და ვისწავლიდი, როგორც საჭიროაო.

— შენ, სიმონ, არ მიცნობ. ღმერთმა გიშველოს, ჩვენ კი, სჯობია გავგზავნოთ ვინმე მანეთიანის დასახურდავებლად. მოცდის დრო არა მაქვს, ახლავე მინდა მუშაობას შევუდგე.

მანეთიანის დასახურდავებლად დიასახლისი გაგზავნეს.

მეგობრები ჩუმად ისხდნენ დიასახლისის დაბრუნებამდე, შემდეგ ფული გაინაწილეს.

— სალამოზე შემოიარე ჩემთან, სიმონ, ნახავ როგორ ვმუშაობ.

— კარგი, შემოგივლი.

ისინი დასცილდნენ ერთმანეთს.

ცხადი იყო, რომ სიმონ პეტროვიჩი ისე აღარ იყო ჩაფიქრებული, როგორც წინა ღამეს. ძნელი არ იყო ასეთი ცვლილების მიზეზის გაგება. ხუთმა შაურმა სამი დღით გაუქარვა სიმონ პეტროვიჩს ნალველი.

X I I

სიმონ პეტროვიჩის ამხანაგი, ბუინევიჩი, ცხოვრობდა ისე, როგორც ცხოვრობენ მისი მსგავსი სტუდენტები: დაბალჭერიან საკანში, ადამისყამინდელ საწოლში, რომელზეც ბალიშის ადგილი ბოხჩად გამოკრულ ჭუჭყიან თეთრეულსა და ძველ შალვარს უჭირავს, ხოლო საბნის ადგილი ძველ, აგრეთვე ადამისყამინდელ პალტოს. მაგიდა სავსე იყო გადასაწერი ფურცლებით. წიგნების თარო, კამოდი, სარკე, კალოშები, ჩექმები — სტუდენტების თითოეული საკნის აუცილებელი მოწყობილობა — თავის ადგილზე იყო.

ორმა დღემ ჩქარა გაიარა, მესამე ილეოდა. სამუშაო დასასრულს უახლოვდებოდა.

სიმონ პეტროვიჩმა, დაპირების მიუხედავად, ამხანაგი არ მოინახულა და კარგიც ქნა; თავისი მისვლით ბუინევიჩს გააცდენდა საჩქარო სამუშაოსაგან. სამი დღე საკნიდან გამოუსვლელად და

რომელიდაც წიგნის კითხვაში გაატარა. მხოლოდ მეოთხე დღეს, ორშაბათს ჩაიცვა და წავიდა უ...ს ლექციის მოსასმენად.

— როგორ გავატარო ეს ორი კვირა? — ფიქრობდა სიმონ პეტროვიჩი გზაზე, — შიმშილით, მგონია არ მოვკვდე და არც ვიშიმშილებ, მაგრამ, მაინც საჭიროა სამუშაო, რაიმეს გაკეთება. რაც არ უნდა იყოს, ვინმეს ვთხოვ საკითხავ წიგნებს, მაგრამ ვის?... კრუპინსკის ვთხოვო თუ არა?... ასე იყოს, ვთხოვ... ვაი თუ, წყეულმა, ვერ მიცნოს, ან უარი მითხრას? რაც იქნება იყოს!...

ამ აზრებით შეუხვია სიმონ პეტროვიჩმა პეტრე-პავლეს სასწავლებლისაკენ. ფიქრობდა, რომ ის იქ შეხვდებოდა თავის ყოფილ ამხანაგს — კრუპინსკის, რომელსაც ერთი წლის წინათ დიდი მემკვიდრეობა მიეღო და მას აქეთ სიმონ პეტროვიჩს აღარც ნახულობდა. მიუხედავად ამისა, გაჭირვებამ აიძულა სიმონ პეტროვიჩი თხოვნით მიემართა ამხანაგისათვის, რომელმაც იგი დაივიწყა. კრუპინსკი წინა მერხზე იჯდა და ღირსეული თავდაქერით ესაუბრებოდა ოცდახუთიოდე წლის სტუდენტს. თანამოსაუბრეები ისეთი გარეგნობისანი იყვნენ, რომ უბრალო სტუდენტობა მათთან საუბარს ვერც გაბედავდა. პირველ ხანებში სიმონ პეტროვიჩი ერთი წუთით შეკრთა, რადგან მიახლოვება ვერ გადაეწყვიტა. შემდეგ კი გადაწყვიტა მისვლა და გამოლაპარაკება. მან ერთგვარი ზიზლით შეხედა კრუპინსკის, მაგრამ მაინც მიუახლოვდა და მის ზურგს უკან ჩამოჯდა. იგი ანგარიშში არ შემცდარა. კრუპინსკიმ რამდენჯერმე მოიხედა უკან, სიმონ პეტროვიჩს თავით ფეხებამდე ახედ-დახედა და, ან ვერაფრით ვერ მოიგონა იგი, ან სტუდენტთა ბრბოსთან საუბრის გამართვით სახელის გატეხისა შეეშინდა.

ლექციის დამთავრების შემდეგ სიმონ პეტროვიჩი კრუპინსკისთან მივიდა.

— მგონია ვერ მიცანით, არა? — ჰკითხა მან.

— რაღაც არ მახსოვხართ, — უბასუხა ცივად კრუპინსკიმ, — აჰ, დიახ! — დაუმატა მან ცოტა შერბილებული ხმით, — თუ არ ვცდები, თქვენ შეგხვდით ნიკოლოზის რკინიგზაზე. ასე არაა?.

— არა, — ჩაილაპარაკა შეცბუნებულმა სიმონ პეტროვიჩმა და კარებში გავიდა. კრუპინსკიმ ორაზროვნად გაუღიმა თავის ნაცნობს.

ამრიგად, საკითხავი წიგნის შოვნის. ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ბუნიევიჩი თავის ამხანაგებზე ბედნიერი აღმოჩნდა, მან ამხანაგს მოზრდილი წიგნი უშოვა, რომლის წაკითხვაც სამ დღეზე აღრე შეუძლებელი იყო. ამის შემდეგ ორმა კვირამ მშვიდობიანად გაიარა.

სიმონ პეტროვიჩი ყოველ დილას, ჩაის დალევისას, იტყობდა ხოლმე: „ამდენი და ამდენი დღე დარჩაო“. ყოველდღიურად იზრდებოდა წუხილი. „ვაი თუ მეტრანაჰემა მომატყუოსო“, — ძალაუნებურად გაუელვებდა თავში დანიშნული ვადის მოახლოებისას.

— დღესაა დანიშნული დღე, — თქვა ბოლოს სიმონ პეტროვიჩმა, — დღეს გავიგებ, იქნება სამუშაო თუ არა?

ადვილი წარმოსადგენია რა მღელვარებით გაატარა სიმონ პეტროვიჩმა მარხულობის უკანასკნელი დღე, სამუშაოს დაწყების ეს წინა დღე. მაგრამ დღე დაილია და სამუშაო ჯერ არ ჩანდა. საჭირო გახდა სანთელი. სიმონ პეტროვიჩი სანთლისათვის გამოვიდა, მაგრამ, გამოალო თუ არა ოდნავ კარი, მაშინვე ზარის ხმა გაისმა. სიმონ პეტროვიჩი მეტად შეკრთა, გულმა ხშირი ცემა დაუწყო. მღელვარებამ რომ გადაუარა, გამოალო კარი და სტამბიდან გამოგზავნილ ბიქს შეეფეთა, რომელსაც კორექტურის თაბახები ეჭირა.

— აქ ცხოვრობს სიმონ პეტროვიჩი ოგლობინსკი? — დაიწროპინა ბიქმა, რომელიც ოთახში შესვლას ვერ ბედავდა.

— შემობრძანდით — მიმართა მას სიმონ პეტროვიჩმა, — თქვენ N-ის სტამბიდან ხართ?

— დიახ!

სიმონ პეტროვიჩმა თვალები მოიფშვნიტა, ეგონა ყველაფერს ამას სიზმარში ხომ არ ვხედავო (რადგან ამისთანა რამ ათჯერ მაინც დაესიზმრა). რაკი დარწმუნდა, რომ საკორექტურო თაბახები მოტანილია არა სიზმარში, არამედ ცხადში, გამოართვა ბიქს ისინი და უთხრა მეორე დღეს მისულიყო მათ წასაღებად.

ბიჭი წავიდა.

სიმონ პეტროვიჩი ხუთჯერ-ექვსჯერ შეხტა ოთახში. აანთო სანთელი, მიიხედ-მოიხედა და მიუჯდა მაგიდას. მთელი ოთახი, მისი ყველა ნაკლით, ათასჯერ უკეთესი ეჩვენა, ვიდრე მანამდე იყო. წამოდგა და მაგიდასთან კედელზე მიაწერა: „1862 წლის 24 თებერვალი“. მეხსომება ჩემი ბედნიერების პირველი დღე, — მხიარულად ჩაილაპარაკა მან, კვლავ მაგიდას მიუჯდა და შეუდგა მუშაობას.

პირველი თაბახი გვერდზე დევს, სცენაზე გამოვიდა მეორე, მეორეს რომ ხელი მოჰკიდა, სიმონ პეტროვიჩმა დაამთქნარა, რასაც მუშაობისათვის ხელი არ შეუშლია. მეორე თაბახის კორექტურის შუაზე რომ მივიდა, სიმონ პეტროვიჩმა გაიძრო ჩექმები და ტანსაცმელი და დაწვა. დილით კვლავ გაჩაღდა მუშაობა.

ორი კვირის შემდეგ ოგლობინსკის ახლებში ვხედავთ: ახალი ჩექმები აცვია, ახალი ხალათი, იაფფასიანი ქუდი; მის ოთახში ერთი

სანთლის მაგიერ სამი ანთია; ძველი ჩექმები ფოსტლებად ქცეულა, ვალმოხდილი კალოშები გამქრალან; წიგნების თაროზე რამდენიმე ფურცელი საწერი ქაღალდი, ახლახან მოტანილი საკორექტურო თაბახები და რაღაც ახალი წიგნი გამოჩნდა. ოგლობინსკი არა წევს და არც დაფიქრებულია, არამედ კორექტურას ამთავრებს. სამუშაო დულს მის ხელში.

X I V

როგორც კი ოგლობინსკიმ სამუშაოში ფული აიღო, მაშინვე, სტუდენტური ჩვეულების მიხედვით, ოთხი ამხანაგი შეკრიბა ლუდის დასალევად. მარტის საკმაოდ თბილი და ნათელი კვირა საღამომ მხიარულ ფიქრებს აღძრავდა სულში. ამისთანა საღამოს შეგროვდნენ ამხანაგები სიმონ პეტროვიჩთან ლუდის დასალევად. მათგან მხოლოდ ერთს ვიცნობთ — ბუინევიჩს. ახალგაზრდა სათვალეებიანი კაცი, მეტად წესიერად და, შეიძლება ითქვას, შნოიანად ჩაცმული და ორი უხეიროდ ჩაცმული სტუდენტი, საკმაოდ ერთგვარი პიროვნებანი, რომელნიც არაფრით განსხვავდებიან ათასი ამგვარი სტუდენტისაგან — აი ვინ შეადგენდა ოგლობინსკისა და ბუინევიჩის კომპანიას.

— მოვუსხდეთ, ბატონებო მაგიდას, — მიმართა ოგლობინსკიმ ამხანაგებს, — აბა, ვის რა და რამდენი? უცერემონიოდ.

— ორი ბოთლი შავი ლუდი, — თქვა ერთმა ჩვენთვის უცნობმა სტუდენტმა, რომელსაც კრიევესკის ეძახდნენ.

— მე ორი ბოთლი უბრალო ლუდი, სამშაურიანი, უფრო ძვირფასი არ მიყვარს, — თქვა ბუინევიჩმა.

— მე ერთი ბოთლი ტკბილი სასმელი, ეს მეყოფა, — დაუმატა სათვალეებიანმა ახალგაზრდამ.

— მე სამი ბოთლი ლუდი, აგრეთვე უბრალო, — წამოაყენა მოთხოვნილება მეორე, ჩვენთვის უცნობმა სტუდენტმა ვოლოგინმა.

— მაშ მეც სამი ბოთლი უბრალო ლუდი. სულ რამდენია? ორი ბოთლი შავი ლუდი, რვა უბრალო და ერთიც ტკბილი სასმელი. ახლავე მოიტანენ.

— მოიცა! — შესძახა მას ბუინევიჩმა, — გაჩერდი! ბატონებო! — მიმართა მან დანარჩენ სტუდენტებს. — მე გუშინ სამი მანეთი ავიღე სამუშაოში, აქედან ერთ მანეთს ვდებ საუზმისათვის. სიმონ, გაგზავნე ვინმე საუზმე მოიტანოს. უსაუზმოთ ლუდი მართლაც არ შეგვერგება.

— მართალია, ყოჩაღ, შესანიშნავია! — წამოიძახეს ერთხმად სტუდენტებმა.

ამრიგად გაიმართა ქეიფი, რომელიც „სტუდენტური ქეიფის“ სახელით არის ცნობილი.

— შენ, მართლაც, როგორი ა-რის-ტო-კრა-ტი ხარ. სირცხვილია, ღმერთმანი, შენთან ერთად ერთ ჰერქვეშ და ერთ მაგიდასთან ჯდომა. — მიმართა კრიჟევსკიმ სათვალეებიან ახალგაზრდას.

— სრული სიმართლეა — დაუმატა ვოლოგინმა.

— რა მაქვს არისტოკრატიული? — ღიმილით იკითხა სათვალეებიანმა ახალგაზრდამ.

— თუნდაც ის, რომ ლუდს არ მიირთმევ, უწინ კი როგორ ყლაპავდი! ამას გარდა, საკმარისია შემოგხედოს კაცმა, მაშინვე დარწმუნდება, რომ შენ სტუდენტთა შორის წმინდა არისტოკრატი ხარ. აბა, დაიხედე, როგორა ხარ ჩაცმული?! განა არისტოკრატულად არაა? როგორ დაიარები, თანაც? თითქოს გეშინია ფეხებქვეშ მიწა არ ჩაგენგრეს! სათვალეებსაც პრანჭიაობისთვის ატარებ.

— გეყოფა ჩემი ჩხვლეტა — უბასუხა სიცილით სათვალეებიანმა ახალგაზრდამ, — რატომ არ უნდა ვისარგებლო ზოგიერთი კომფორტით, როცა შესაძლებლობა არის იმით სარგებლობისა? ლუდს კი იმიტომ არ ვეწყობი, რომ არ მიყვარს. მართლაც, ხომ არ შეიძლება რაღაც წარმოდგენების გამო, უკაცრაული პასუხია, ნარეცხი სვა. ეს ტკბილი სასმელი შეიძლება დალიო, ლუდი კი, განსაკუთრებით აქაური, ნამდვილი მუდრეგობაა... ფი!

— ხედავთ, ახლავე გვაგინებს, — თქვა ნაწყენმა ვოლოგინმა.

— მე არც მიფიქრია გინება, ან თქვენი შეურაცხყოფა, — უბასუხა სათვალეებიანმა ახალგაზრდამ, — მე იმიტომ გითხარით, რომ პირველმა თქვენ გამლანძღეთ.

— განა რაცა ხარ, ის სახელი რომ გიწოდო, შეურაცხყოფაა? — შეეკითხა კრიჟევსკი.

— მე არ მესმის რაზე ლაპარაკობ. შენ ხომ სულ ნართაულად გიყვარს ლაპარაკი.

— გეკითხები: ნუთუ არისტოკრატი რომ გიწოდე, ამით გაწყენინე? შენ თვით ხომ იცი, რომ სხვა რამეს შენ ვერ დაგარქმევთ? შენ წმინდა არისტოკრატი ხარ მიდრეკილებით. ვიმეორებ, წმინდა არისტოკრატი ხარ. თუ გწყინს ასეთი სახელი, უნდა ეცადო გადაეჩვიო შენ სულელურ ჩვევებსა და წარმოდგენებს.

— თქვენ სრული უფლება გაქვთ დამიძახოთ რაც გინდათ, მაგრამ მე მინდა ავაცილოთ შესაძლებელი უსიამოვნება. არისტოკრატს რომ მიწოდებთ, ამით თქვენ არა მხოლოდ მაწყენინებთ, არამედ ზიანსაც მაყენებთ.

— საკვირველ არიან საქმენი შენნი, უფალო! — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა კრიჟევსკიმ.

— როდესაც ჩემი ამხანაგები ვაიგებენ, — განაგრძობდა სათვალეებიანი ახალგაზრდა, — რომ თქვენ არისტოკრატს მეძახით, შეგინებული ამხანაგის ყოლას არ მოისურვებენ და ყველა ჩამომეტლება; ზოგიერთი ხმასაც აღარ გამცემს, როცა ვაიგებენ რომ მე ნაცნობობა მაქვს...

კრიჟევსკი გაშეშდა. იგი წამოდგა და, მთვრალივით, სათვალეებიანი ახალგაზრდას თვალეები დაუბრიალა, მუშტები მოამზადა და კანკალმა აიტანა. ამ დროს მოიტანეს ლუდი, ტკბილი სასმელი და საუზმე.

— ბატონებო, — თქვა კრიჟევსკიმ აღელვებით, — ამ სიტყვების შემდეგ ამ ვაუბატონის გვერდით ყოფნა მე არ მსურს.

ამ სიტყვებით იგი მაგიდას მოშორდა, გამოალო კარი, მიუტრიალდა და ათრთოლებული ხმით მიმართა სათვალეებიანი ახალგაზრდას.

— თქვენ კი, მოწყალე ბატონო, ჩვენი ნაცნობობისა თუ გრცხვენიათ, მაშინ ჩვენი არსებობაც უნდა დაივიწყოთ და არც უნდა გვეკარებოდეთ. წაბრძანებულყავით თქვენს არისტოკრატებთან და გეალერსათ მათი ძაღლებისათვის, სამაგიეროდ კარგად გამოგაძღობდნენ. მშვიდობით, ბატონებო!

იგი გავიდა.

ოგლობინსკიმ არ იცოდა რა ექნა, რითი დაეწყო ლაპარაკი; მისავე მსგავსად შეეცუნდა ბუინევიჩი. ვოლოგინი ლუდის ჭიქაში მოცურავე ბუშტებს დასჩერებოდა. მძიმე მდგომარეობიდან ყველა სათვალეებიანმა ახალგაზრდამ გამოიყვანა.

— ახირებული! — ჩაილაპარაკა კბილებში მან. — რაზედ ვამლანძღა? მე არც ვიცი მართლაც რაზე. მაგრამ, მეტად უცნაურია, ახირებული, მაგისი დონკიხოტობა მხოლოდ სიცილის მომგვრელია.

— ერთი შენც, „დონკიხოტობაო“. ამაში რა დონკიხოტობაა? — მიუგო ვოლოგინმა, — ხასიათი აქვს ასეთი, რომ ვერ იტანს ორპირსა და მის მსგავს ადამიანებს. თქვენ რას უწოდებთ დონკიხოტობას?

— არაფერს. — თქვა სათვალეებიანმა ახალგაზრდამ და რამდენიმე ყლუბი ტკბილი სასმელი გადაყლაპა.

— ამაზე კამათი განა ღირს? — თქვა ბუინევიჩმა — კრიჟევსკი ფიცხი ადამიანია, მან ვერ მოითმინა თქვენი ნათქვამი და გამოგლანძღათ. ეს, მართლაც არაფერია, — დაუმატა მან ნახევრად დაცინვით.

— მე არც ვაძლევ რაიმე მნიშვნელობას კრიევესკის სიტყვებს, — წარმოსთქვა თვითკმაყოფილებით სათვალეებიანმა ახალგაზრდამ.

— გაიგეთ, ბატონებო, ახალი ამბავი, — დაიწყო ვოლოგინმა. წუთიერი უხერხული სიჩუმის შემდეგ, — რა სკანდალი მოახდინა სამი დღის წინ ამხანაგებთან ერთად კრიევესკიმ ნევის პროსპექტზე?

— რა სკანდალი? არა, არ გაგვიგონია, — უპასუხეს ერთხმად დანარჩენებმა.

— ნევის პროსპექტზე მან ერთი სტუდენტი გამოლანძღა. როგორ მოგწონთ?

— იცი ვინ გამოლანძღა?

— ვიცი. ოლობინსკი, შენც იცნობ. სტუდენტი ვ-სკი.

— რატომ?

— აი, ახლავე გაამბობთ, რაშია საქმე: შარშან შემოდგომაზე ვ-სკის კრიევესკისათვის ტყუილი ცნობები მიუწოდებია და, ამის გარდა, მ-ს საქმეშიც ხომ გამტყუნდა. ამ საქმეზე ვ-სკი ყველგან ზიზღით ლაპარაკობდა, ამბობდა, რომ ეს საქმე სიმდაბლეა, რომ ყველა მისი მონაწილე გაიძვერა და ა. შ., იმისათვის, რომ ამ საქმეში თავისი მონაწილეობა კარგად დაეფარა კრიევესკი ვ-სკის სიტყვებს ნაღდად ერწმუნებოდა. ამ დღეებში შეიტყო, რომ ვ-სკი მონაწილეობდა მ-ს საქმეში და ჩვეულებრივ გაფიცხდა. ჭირად, ერთი საათის შემდეგ ზვდება ვ-სკის ნევის პროსპექტზე. ვ-სკი თავს უკრავს და ხელს უწვდის ჩამოსართმევად, „გამარჯობაო, — უთქვამს მას, — საყვარელო კრიევესკი, როგორაა თქვენი ჯანმრთელობა, ჩემთან რატომ არ მოდიხარო“ და ამისთანები. კრიევესკიმ ვ-ს პირდაპირ თვალეებში შეხედა. ის კი, თითქოს არაფერი იყო, არც შემკრთალა. „აჰ, ეს თქვენა ხართ?“ — უთქვამს მისთვის კრიევესკის, „და თქვენ არა გრცხვენიათ პირდაპირ მიყუროთ თვალეებში?“ და კრიევესკიმ მას თავისებურად შეუტია. ირგვლივ ხალხი შეიკრიბა, ის კი სულ თავისას გაიძახოდა. მე თმები ყალყზე დამიდგა. დმერთმანი. კრიევესკი კი, თითქოს სიტყვა მოამზადაო, გაიზიპირა და საჯაროდ კითხულობსო, ისე ელაპარაკებოდა. აი, წყეულა მჭევრმეტყველებს!

— მერე, რა უყვეს მას? — იკითხა სათვალეებიანმა ახალგაზრდამ.

— არაფერი. უნდოდათ საპოლიციო ნაწილში წაეყვანათ, მაგრამ ბევრი გამოექომაგა. ვ-სკი კი იმ წამში ეტლით წავიდა. იმის შემდეგ ის აღარ მინახავს.

— ყოჩაღ კრიევესკი, ყოჩაღ, ღმერთმანი, ყოჩაღ! — გაიმეორეს რამდენჯერმე ოგლობინსკიმა და ბუინევიჩმა.

— ეს ცარიელი დონკიხოტობაა, — წამოილაპარაკა სათვალეებიანმა ახალგაზრდამ, — როგორ შეიძლება ასე გამოლანძლო ახალგაზრდა კაცი და თანაც ნევის პროსპექტზე? ასე მხოლოდ უზრდელნი იქცევიან.

— მოითმინეთ, — მიმართა ბუინევიჩმა მას. — თქვენ გსურთ, რომ არისტოკრატი არავინ გიწოდოთ, თქვენ კი როგორ ახსენებთ გლენებს? თქვენ მათზე ყოველთვის ისე ლაპარაკობთ, როგორც არისტოკრატი, ან, უფრო უკეთესი, მისი ლაქია. ალბათ თქვენ გინდათ ჩვენც ისევე დაეტოვოთ აქაურობა, როგორც კრიევესკიმ.

სათვალეებიანი ახალგაზრდა შეკრთა, დალია ერთი ჭიქა ტკბილი სასმელი, კიდევ რამდენსამე ხანს წაისაუბრა და წავიდა.

— მადლობა ღმერთს! — თქვა ვოლოგინმა და მხიარულად შემოტრიალდა სკამზე. — ყალბი არისტოკრატის წასვლის შემდეგ თავა უფრო მხიარულად და თავისუფლად ვგრძნობ. იგი რატომღაც არ მიყვარს.

— მართლაც მას აქვს რაღაც თვისება, რის გამოც იგი ჰკარგავს ადამიანურ მიმზიდველობას, — წამოიძახა ბუინევიჩმა. ჩემის აზრით, მისი ეს თვისება იმაში მდგომარეობს, რომ მას ყოველთვის და ყველგან სურს არისტოკრატად გამოაჩინოს თავი. მე მას დიდი ხანია ვიცნობ; ჯერ კიდევ გიმნაზიაში ისე ეჭირა თავი, როგორც აქ: მიუკარებელია და ამხანაგებთან ამაყი. უფროსკლასელების მამებელი იყო, ხოლო გარეშე პირებს, განსაკუთრებით მასწავლებლებს, ელაქუცებოდა. მოწაფეებს იგი არ უყვარდათ. მისი ცხოვრების მთავარი საზრუნავი იყო ჩაცმა. მთელ კვირას შეეძლო უძველი ყოფილიყო, ოღონდ კვირა დღეს ახალი შალვარი ჩაეცვა ან ახალი ქუდი დაეხურა. მისი სიამაყე განსაკუთრებით აუტანელი შეიქნა. როცა მეექვსეში გადავიდა და კიდევ უფრო მეშვიდე კლასში გადასვლის შემდეგ. ვერც ერთი გიმნაზიელი ვერ მიეკარებოდა მას. მახსოვს მაშინ (ე. ი. მაშინ, როცა ჩვენი ახალგაზრდა მეშვიდე კლასში იყო), ჩვენ ქალაქში ჩამოვიდა თავადაზნაურობის წინამძღოლი. დურმინი (ეს იყო სათვალეებიანი ახალგაზრდის გვარი) თავ-გზა-აბნეული იყო, მთელ თვეს აქეთ-იქით ეხეტქებოდა, რომ როგორმე წინამძღოლის ვაჟს გასცნობოდა. ბოლოს სურვილი აუსრულდა: გაეცნო ჭეშმარიტ არისტოკრატს, ხშირად ჰპატიჟობდა მას (ალბათ იმისათვის, რომ მას დურმინთან არ მოსწყენოდა და არ დაენებებინა თავი), ხელგაყრილი სეირნობდა მასთან ბაღში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ისეთ მკაცრ, მედიდურ გამომეტყველებას მიიღებდა, ისე უნდოდა ეთქვა

ხოლმე ჩვენთვის: „შემომხედეთ, როგორი ვარ, გუბერნიის წინამძღოლის შვილთან ხელგაყრილი ვსეირნობო“, ჩვენ, შვეხვდებოდიოთ თუ არა მას ასეთ მდგომარეობაში, გავიცინებდით ხოლმე, დავცინოდით და ვამბობდით: „წავა პეტერბურგში და მაშინ ყველა ეს სისულელე გამოუფრინდება თავიდან, იქ გაიგებს, როგორ უნდა ცხოვრება და როგორ უნდა მოიქცეს.“ ისე გამოვიდა, რომ აქ უარესად ცხოვრობს, ვიდრე ექ. თვეში სამ თუმანს იღებს და ისე ცხოვრობს, თითქოს ათ თუმანს იღებდეს. მიკვირს, რითი ახერხებს. გაკვეთილებს ეგ არ აძლევს, გადასაწერს ეგ არ იღებს, თარგმნა მაგას არ შეუძლია, იმიტომ, რომ რუსული ენის გარდა არც ერთი ენა არ იცის, კორექტურას ეგ არ აკეთებს. მართალია, ბევრის ფული მართებს, მაგრამ მომავალი კეთილდღეობის ანგარიშში პეტერბურგში ცხოვრება არ შეიძლება; ვთქვათ მკერავი ენდობა, კუზმისტერს ხომ ნაღდი უნდა უხადოს, მკერავისა ოცი თუმანი მართებს.

— ოცი თუმანი? — შეეკითხა გაოცებული ოგლობინსკი.

— დიახ; ოცი თუმანი. რას გადმოკარკლე თვალები, თუ არ გჯერა?

— შეუძლებელია. ღმერთო შემიწყალე, ოც თუმნად ერთ წელიწადს იცხოვრებს კაცი. და ვინ ანდობს ჩვენ ძმას — სტუდენტს ოც თუმანს?

— მაგაშია საქმე, რომ „ჩვენს ძმას“ ოც კაპიტაც არ ენდობიან, იმათ ძმას კი, არისტოკრატს — ას თუმანსაც ანდობენ. ამას გარდა, რამდენიმე ათეული მანეთი მართებს ფეხსაცმლის მკერავისა, მეხელთათმანისი, კოსმეტიკური მაღაზიისა. ამოცანა შემდეგში მდგომარეობს: — რა წყაროებით აპირებს ამ ვალების დაფარვას? არავითარი შემოსავალი, გარდა ყოველთვიურად სახარჯო სამი თუმნისა, არ გააჩნია; მაგრამ, მიუხედავად ამისა, არხეინად და მხიარულად ცხოვრობს.

— დიდი სიამოვნებაა ღამეები არ გეძინოს ვალების გამო.

— ნუ სწუხარ, ძმაო, შენზე გემრიელად სძინავს, მოვალეებისათვის მუდამ ერთი პასუხი აქვს: „ხვალ“, „ერთი თვის შემდეგ“ და ამის მსგავსი. ხომ შეგიმჩნევიათ, რომ ყოველდღე ახალი ტანსაცმელი აცვია?

— ნუთუ?

— სადა გაქვთ თვალები? ეპ, თქვე დეთის გლახებო!

— ეშმაკმა წაიღოს თავის ტანსაცმლიანად, რაში მესაქმება, დაღუპული კაცია, რა უნდა ელაპარაკო, — თქვა ოგლობინსკიმ, — მართლაც ცოდვია, არაფრისათვის დაიღუპოს კაცი.

— მეც ვიტყვი „ეშმაკმა წაიღოსო“!, — თქვა ბუინევიჩმა და თავისი ლუდი უცბად გადაჰკრა. — მითხარით, რა ვუყოთ კრიჟევსკის ორ ბოთლ ლუდს, დავლიოთ თუ არა? ხმის უმრავლესობით გადავწყვიტოთ; მე ვამბობ „დავლიოთ“.

— დავლიოთ! — თქვა ვოლოგინმაც.

— დავლიოთ, — დაუმატა ოგლობინსკიმ.

— ნებას არ მოგცემთ დალიოთ, — თქვა შემოსწრებულმა კრიჟევსკიმ.

— აჰ! აქ როგორ მოხვდი? — შეეკითხა მას ვოლოგინი.

— დავინახე, რომ ჩემს ბინასთან გაიარა ღურმინმა, ამიტომ მოვინდომე ჩემი ბოთლების ჭანმრთელობა შემეტყუო; გამოგიტყუდებით, ძლიერ მაწუხებდა, მაგრამ დიდება ღმერთს — ჭანმრთელნი არიან. აბა, ბატონებო, პირდაღებულუბმა მიცქირეთ, როგორ შევსვამ.

— გიყურებთ, შენ ოღონდ მარდად დალიე, — უპასუხა მას ბუინევიჩმა.

კრიჟევსკიმ თვალის დახამხამებაში გამოცალა ორივე ბოთლი.

— ეჰ, მაგარია. ფული რომ იყოს, ღმერთმანი, ექვს ბოთლს ვიყიდდი მხოლოდ ჩემთვის.

— აი მე მალე ვიშოვნი ვაკვეთილებს და მაშინ ვიქეიფოთ მაძღრისად, — თქვა ვოლოგინმა.

— მეც ვიშოვი კორექტურას, — დაუმატა ოგლობინსკიმ.

— მე უკვე ვიშოვე გადასაწერი ათ თაბახამდე, — თქვა ბუინევიჩმა, — მასთან ერთად იმედიცაა დიდი სამუშაოსი. აი რაშია საქმე, აქ არის ვილაც, არ ვიცი მოხელე, არ ვიცი სპეკულიატორი, იგი წერს უზარმაზარ პროექტს, ას ფურცლად. ამ პროექტის წინასიტყვაობა უკვე მზადაა და გადმოცემული მაქვს გადასაწერად. პროექტიც, დასრულების შემდეგ, გადმომეცემა გადასაწერად. ეს პროექტი განსახილველად უნდა წარედგინოს ფინანსთა მინისტრს.

— ბედნიერი ხარ, ბუინევიჩ, — თქვა კრიჟევსკიმ. — ამისთანა სამუშაო შესაშურებელია. აი, მე სულ ვფიქრობ ვაკვეთილების შოვნას, მაგრამ რატომღაც ვერ შევუდექი; არ ვიცი, შეიძლება მიზეზი ჩემი სიზარმაცისა არის დარწმუნებულობა ჩემს შეუძლებლობაში, ან მხოლოდ მართო სიზარმაცე; ამას გარდა, ვერას ვშოულობ კიდევ რომ მინდოდეს. შემომხედავენ თუ არა, ყველა გამირბის: ტანსაცმელი, ამბობენ, წესიერი არა მაქვს, არ ვითიხნები, დღეში ოცდაათჯერ არ ვიბან. ერთხელ ასეთი რამ შემემთხვა: ვაზეთებში იყო დაბეჭდილი, რომ ფრანგული ენის მასწავლებელია საჭიროო. მე გამოვცხადდი. როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, შევი-

ცარმა თავიდან ფეხებამდე მტრულად ამხედ-დამხედა თუმცა ბრძანა-
კი ჩემს შესახებ მოეხსენებინათ. შევდივარ დარბაზში. არ დაივიწყოთ — ძლიერ კარგად ვიყავი ჩაცმული.

— ახლანდელთან შედარებით? — შეეკითხა ბუინევიჩი.

— არა, სრულიად ახალი სერთუკი, შალვარი და ჟილეტი მეცვა-

— ძველმანის ბაზრიდან?

— რას ამბობ! მაღაზიიდან; განა არ გახსოვთ, როგორ ვიცვამ-
დი, როცა თარგმანში ასორმოცდაათ მანეთს ვიღებდი.

— რა უნდა ითქვას, კარგა ჩაიცვამდი: სერთუკი, შალვარი და
ჟილეტი ჩვიდმეტ მანეთად ღირს.

— მაშ, შევდივარ დარბაზში. მთხოვენ სასტუმროში. იქ იჯდა-
ერთი ისეთი სქელი ბებერი ქალი, რომ ღმერთმა დაგიფაროთ. მე თა-
ვი დავუკარი, მოვახსენე გამოცხადების მიზეზი, გამოვხატე იმედი
მისი ბრწყინვალეების კეთილმობიერი ყურადღებისა მის შვილთან.
ჩემს მომავალ მეცადინეობისადმი. ძლივს დავემთავრე ჩემი სიტყვა,
რომ მან ლორნეტი აიღო და ყურადღებით დამათვალიერა; მოვე-
წონე. სულ მალე შევთანხმდით ფასში და მე დავიწყე გაკვეთილ-
ების მიცემა. გაიარა ორმა თუ სამმა კვირამ. ჩემი აღსაზრდელის
სახლში ყველა მაქებდა, დედამისმა თითო გაკვეთილში ორი შაუ-
რი მომიმატა, ერთი სიტყვით — ჩემს ქებას ბოლო არ უჩანდა.
მხოლოდ. ერთხელ გამოვცხადდი გაკვეთილზე გაუწმენდავი ფეხ-
საცმელებით. თქვენ ვერ წარმოიდგენთ რეები მითხრა გრაფინიამ.
„ჩემი სახლიო, — ამბობდა, — არც სამიკიტნოა და არც საჯინი-
ბოო. შეხედეთო, — მითხრა, — ჩემი ლაქიები თქვენზე უკეთესად
გამოიყურებიან, ამ სახით აღარ გაბედოთ ჩემს სახლში ამიერიდან.
მოსვლაო“.

— ქალბატონო, ეს ხელს არ შეუშლის გაკვეთილებს, გაკვეთი-
ლები თავისთვისაა, ჩექმები კი თავისთვის — ვუპასუხე მე.

— როგორ! თქვენ წინააღმდეგობა დამიპირეთ? — ისეთი ხმით
აყვირდა, ამასთან ისე დააბაკუნა ფეხები, რომ მე, ღმერთმანი, უნე-
ბურად შევმინდი. არ გაბედოთ ამ სტუდენტის ჩემთვის დანახვე-
ბაო! ასე დავრჩი ცარიელზე.

— ხა, ხა, ხა — გაისმა სამივე სტუდენტის ხარხარი.

— მეც შემემთხვა ერთი მეტად კურიოზული ამბავი, — დაიწყო
ოგლობინსკიმ. — ერთი დიდკაცის შვილისათვის უნდა მეძლია გა-
კვეთილები ლიტეინის ქუჩაზე (მაშინ მე პეტერბურგის მხარეზე
ვცხოვრობდი, ნიკოლსკიზე). ამ დიდკაცის შვილს ჰყავდა ძლიერ
კარგი და და გუვერნანტკა, რომელიც ისე კარგი არ იყო, როგორც
და, მაგრამ ძლიერ, ძლიერ მიმზიდველი. იმ ბიჭის დედა ყოჩალი ქა-

ლი იყო, მაგრამ უსაშინელესი ფარისეველი, ვიარე ერთ თვეს, მეორეს, მესამეს, მოახლოვდა ზამთარი. ჩემი დიდკაცის შვილი ნელ-ნელა მიიწევედა წინ. მაგრამ, რადგან საუნივერსიტეტო გამოცდებისათვის იგი ძძიმედ ემზადებოდა, მას დროის გასატარებლად თავში მოუვიდა გუვერნანტკასთან ინტრიგის დაწყება. დაი ხელს უმართავდა, შეხვედრებს უწყობდა გუვერნანტკასთან თავის საწოლ ოთახში და სხვა ამისთანები. ყველაფერს ამას იგი ანგარებით აკეთებდა, თავისი მიზნებიც ჰქონდა: ეტყობოდა მე მოვწონდი და ძძისაგან სამაგიერო დახმარებას მოითხოვდა. მე ამგვარ უაზრობას არ გამოვუღდექი იმიტომ, რომ ჩემი მხრით უსინდისობა აქნებოდა ცოლადაც შემერთო და სახელიც გამეტეხა მისთვის. იმან იფიქრა, რომ მე ანკესს არ ვეგები იმიტომ, რომ გუვერნანტკა მომწონს და გადაწყვიტა სახლიდან გამოვექევიბინე. მან ერთხელ შეყვარებულები თავის საწოლ ოთახში შეჰყარა და დედა დააყენა თავზე. გუვერნანტკა, მართალია გააგდეს, მაგრამ მას მეც მიმაყოლეს, იმისათვის, რომ, როგორც დედა ამბობდა, მე ვითომდაც მისი ვაჟი ვიყილი გავრყვენი. ჩემთვის, რაც ფული მერგებოდა, ისიც არ მოუციათ, ისე გამომისტუმრეს. მე ერთი სხვაგვარი ისტორიაც შემემთხვა, მაგრამ არა ისეთი, როგორიც გიამბებთ. გიმნაზიის მესამე კლასისათვის გამზადდები ყმაწვილს, რომელსაც გათხოვილი და ჰყავდა, ასე, თვრამეტი წლისა. გაკვეთილებში ხელფასი მცირე მქონდა, მაგრამ ღმერთმა ქნას ისეთი გაკვეთილები კიდევ მაშოვნინა. ჩემი მოწაფის დის ქმარი მოსკოვში იყო, თითონ კი აქ ცხოვრობდა ძმათან, მარტოდ-მარტო. მალე დავეუახლოვდი მას. მე მომეწონა მისი თვალები, ცხვირი და წელი, მას — ჩემი თმები და ფიზიონომია. საქმეც გაიჩარხა. გავგზავნიდით ხოლმე სადმე მიშას, და მივეცემოდით ასეთ პლატონურ სიყვარულს: ხელის მოჭერას, კოცნას, ხვევნას. ბოლოს პლატონური სიყვარული სხვა, უფრო გონიერ სიყვარულში გადავიდა. აი, მაშინ ვიყავი ბედნიერი: გაკვეთილებისგან პური არსობისა მქონდა, სულიერი საზრდოც იყო. აი მაშინ ვმეცადინეობდი კარგად, ახლა კი

**Работай, работай, работай
От боя до боя часов,**

როცა სამუშაო გვაქვს, თუ არა და

**Сня, не спя — валяйся на печи,
Каждый день не дожидаячи,
Трать за даром снау дюжюю..**

ეჰ, ბატონებო, როდის მოელება ბოლო ჩვენს ტანჯვას, და მოედება კი ბოლო როდისმე? ეჰ, ჰე, ჰე!!

ოგლობინსკი სხვა ბინაზე გადავიდა. ახალი ცოტათი განსხვავებულია ძველისაგან. სახლი იმავე დიდ პროსპექტზე იდგა, ძველთან თითქმის ახლოს, ფანჯარაც ერთი ჰქონდა ოთახს და ისეთივე დაბალი იყო, საწოლიც ისე მაგარი და ძველი, ისეთივე. წიგნის თარო, ისეთივე ელამი სარკე, ისეთივე ლუმელი, როგორც ძველ ბინაში. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ შანდალში სანთელი იდგა და კედელზე სხვადასხვა მაღალ პირთა სურათები ეკიდა.

სიმაართლე გითხრათ, არ ვიცი რად გადავიდა ოგლობინსკი ახალ ბინაზე. გადავიდა კი თითქმის საიდუმლოდ, ისე, რომ არც ერთმა მისმა ამხანაგმა არ იცოდა ამის შესახებ.

ახალ ბინაზე ოგლობინსკის მოართვეს ჩაი სამოვრით, სამოვარი შემოუტანა ღარიბად ჩაცმულმა, ნამტირალევე თვალებიანმა არცთუ ცუდმა მოსამსახურე ქალმა. „—ამისათვის ხელის მოცაცუნებაც კი შეიძლება“, გაიფიქრა ოგლობინსკიმ, — „მართლაც, მშვენიერი დედაკაცია“.

ჩაის დალევის შემდეგ ოგლობინსკი კითხვას შეუდგა.

უცბად ისეთი ტერციალა სილის გარტყმა გაისმა, რომ ოგლობინსკი შეკრთა. გონს მოსვლა ვერ მოასწრო, შემდეგ მეორეც გაისმა, ორიოდღე წუთის შემდეგ მესამეც. „რას უნდა ნიშნავდეს?“ გაიფიქრა ოგლობინსკიმ და ყური მიუგდო. ჭერ გულამომჭდარი ტირილის ხმა გაისმა, შემდეგ სიტყვებიც „ა! ა! ა! საზიზღარო! ვერანა, ეშმაკო, კიევის კუდიანო! შენ გაბედე ჩემი ბრძანების შეუსრულებლობა? ხომ გითხარი: რძის ქილა შედგი მაღლა კარადაში, ა? ხომ გითხარი? ა? რას გაჩუმებულხარ, შე საზიზღარო? მიპასუხე, შენ გეუბნები? ა-ა-ა! არ გინდა მიპასუხო? აი ამისათვის!“ შემდეგ ოგლობინსკიმ გაიგონა საბრალო მსხვერპლის გმინვა და მაწვალელების მხიარული შეძახილები.

ოგლობინსკიმ გადაწყვიტა გაეხედა, მაგრამ ვერა დაინახა რა, რადგან დერეფნის ყველა კარი დაკეტილი იყო. მუქარა, რომელიც სწრაფად სრულდებოდა, დიდხანს არ გაგრძელდა.

ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა.

როცა მეორე დღეს ქალმა ოგლობინსკის სამოვარი შემოუტანა, მან ჰკითხა გუშინდელი ისტორიის მიზეზი. ქალი დაიბნა, გაწითლდა და ბოლოს მცირე სიჩუმის შემდეგ უპასუხა:

— ქალბატონი იყო რომ მცემდა. მე (და აქ თვალებზე ცრემლები მოადგა) შეცდომით რძის ქოთანში იმ კარადაში შევდგი, დიდი მაგიდის ქვეშ რომაა. იმან კი უფრო ადრე მითხრა მაღალ კა-

რადაში შემედგა, ამისათვის გამართა ჩხუბი. — ცრემლისგან, რომელიც მას ახრჩობდა, ხმა შეუწყდა.

— ნუთუ ასეთი ბოროტია? — ჰკითხა თანაგრძნობით ოგლობინსკიმ.

— მერე როგორი! — უპასუხა მოსამსახურემ.

— მე კი ისე კეთილად, მორიდებულად, ღვთისმოშიშრად მეჩვენა.

— ღმერთს კი ყოველდღე ლოცულობს და საყდარშიც ყოველ უქმე დღეს დადის.

— ეშმაკმა იცოდეს მაგის თავ-ტანი, უფრო თითონაა კიეველი კუდიანი, ვიდრე შენ. კუდიანები ხომ მოხუცები არიან და არა ისეთი ახალგაზრდები და ლამაზები, როგორიც შენ ხარ.

ახალგაზრდა ქალმა გაიღიმა და გავიდა.

სალამოთი გუშინდელი სცენა განმეორდა: მთელს ბინაში, ისეთივე ყვირილი და სილის გალაწუნება ისმოდა, როგორც წინადღეს. იგივე განმეორდა მეორე დღეს, მესამე დღეს და ასე შემდეგ, ერთი სიტყვით, მეორდებოდა ყოველ დღე. ასეთმა უხვმა განმეორებამ ოგლობინსკის თავი მოაბეზრა.

— თეკლე, — უთხრა მან ერთხელ მოსამსახურეს, — რატომ სხვა ალაგს არ მოძებნი? აქ ხომ არ გაგეძლება ასე, ალბათ, კლუქში ჩაგაგდებენ.

— როგორ შეიძლება მოვშორდე, — უპასუხა მოსამსახურემ, — როცა ფული წინდაწინ მაქვს აღებული.

— დიდი ხნის ფული გაქვს გამორთმეული?

— გამორთმეული მაქვს ერთი წლისა, ექვსი ზვეა ვმსახურობ, კიდევ ექვსი თვე დამრჩენია.

— ბევრი მიიღე ფული?

— ოცდაათი მანეთი.

— და ამ ფულისათვის უნდა აიტანო ერთი წლის წამება? შენ გირჩევნია სადმე იშოვო, ისესხო და ამ ეშმაკის კერძისაგან გათავისუფლდე.

— სად ვიშოვო? მორჩილების მეტი, სჩანს, არა დამრჩენია რა. თუ გააჯავრებ, ან მის საწინააღმდეგოს იტყვი, უფრო უარესი ხდება, ცეცხლის საჩხრეკით ან სხვა რამით ისე მომცხებებს რომ... მორჩილებით კი შეიძლება გული მოვუღბო. ფულის სესხება არსად შემიძლია, იმიტომ, რომ არც ნათესავეები მყავს და არც ნაცნობები.

— ნუთუ ნათესავეები არა. გყავს?

— რა ნათესავეები. ყველა დამეხოცა.

— არც ნაცნობები?

— არც ნაცნობები მყავს. ხომ ვთქვი ახლა, რომ არც ნაცნობები მყავს. რალა დამრჩენია, უნდა ვიმუშაო ექვს თვესაც, შემდეგ კი ექვსას მანეთადაც არ გაეჩერდები ამასთან.

ამისთანა საუბრითა და მხურვალე თანაგრძნობით ოგლობინსკიმ თეკლეს გული მოუღბო, და მანაც თავისი ცხოვრების ისტორია უამბო.

— მე, ბატონო, ყმა გლეხებიდან ვიყავი. მაგრამ მამას მოესწრო გამოსყიდვა. ის სოფელში მდიდარი გლეხი იყო, ამიტომ მისი მდგომარეობის შესაფერად ბატონმა ათასხუთასი მანეთი გამოართვა. ამის შემდეგ შეიღი თუ რვა წელიწადი გავიდა. გამოსყიდვის შემდეგ მამა მალე მოკვდა (დედა უფრო ადრე მოკვდა). მე და ძმა დავრჩით. იმან, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, მთელი ჩვენი ქონება გაყიდა, რაც მამისაგან დავერჩია და გადმოვიდა აქ, პიტერში, სავაჭროდ; მე კი ერთ კეთილ ქალბატონთან მიმბარა მოსამსახურედ. იმ ქალბატონთან ორი წელიწადი ვიყავი. მას ჰყავდა ერთი ლაქია, ჩემი ძმის ნაცნობი, იმას უნდოდა ცოლად შევეერთე და არ შემირთო... იმ ხანებში ამ ლაქიასგან ბიჭი მეყოლა. ჩვენი ქალბატონი ღვთის მოშიში ქალი იყო, ასეთ რამეებს ვერ იტანდა და მე ძმასთან გამგზავნა... ორიოდე თვის შემდეგ ძმა ავად გამიხდა და სული ღმერთს მიიბარა... მოვიდა პოლიცია, მისი ყველა ავეჯი, დუქანი და სარდაფი აღწერა... ყველაფერი ვალში გაყიდეს და მე დავრჩი მარტო. დავრჩი ასე მარტო, უარარაოდ. იმ ხანებში ბავშვი მომიკვდა, დასამარხი ფული არა მქონდა. ამ ქალბატონმა, ეხლა რომ ბინა მაქვს დაჭერილი, შემომთავაზა ოცდაათი მანეთი იმ პირობით, რომ ერთ წელიწადს მასთან მემუშავნა.

— ის ლაქია სადაა, შენი შერთვა რომ უნდოდა? — ჰკითხა ოგლობინსკიმ.

— სოფელში წავიდა, — ძლივს ამოილაპარაკა მოსამსახურემ.

— რითი იცვამ, რა ფულით?

თეკლემ თავი ჩაღუნა; ოგლობინსკი ყველაფერს მიხვდა.

ახალ სახლის პატრონთან და შინაურ ბედნიერებაში თეკლესთან თვის ბოლომდე იცხოვრა მან.

გაძლიერებულმა მუშაობამ უშედეგოდ არ ჩაიარა.

XVI

ოგლობინსკის სამუშაო დამთავრდა. კიდევ სხვა გამოჩნდა, ოცდაათი თუ ოცდათხუთმეტი თაბახი. ყველა ვალი გადახდილია, ჭიბეში ერთი ზედმეტი ვერცხლის მანეთი დევს. ამ მანეთიდან ხუთი შაურით ოგლობინსკი იმედოვნებს თეატრში წავიდეს, დანარჩენი

ფული დაიტოვოს მომავალი სასწრაფო ხარჯებისათვის. გაჩნდა წიგნები, საფუნთუშედან და საწვერიმალღო დუქნიდან ჩაი-შაქარი ერთი თვის სამყოფი მომარაგებულია. სხვა რაღაა საჭირო? ოგლობინსკი ბედნიერია, მისთვის მეტი ბედნიერება აღარ არსებობს, მაგრამ სამუშაომ მოტესა იგი, ბუნებამ თავისი გაიტანა და ავად გახდა. როგორც იქნა იგი საავადმყოფომდე მილასლასდა.

— არა, დებულებით არ შეიძლება. მაშ, ჩვენ აქ არაფერ შუაში არა ვართ, უფროსს არ უბრძანებია. ჩვენ უფროსის წინააღმდეგ ვერ გავბედავთ, — ელაპარაკებოდა ოგლობინსკის საავადმყოფოს მამასახლისი.

— სხვისთვის ხომ არ მიმაქვს, არამედ ჩემთვის, უპაპიროსოდ გაძლება არ შემიძლია, უამისოდ უფრო ცუდათა ვარ, ვიდრე პაპიროსით; შენ, ძამია, დამიტოვე ეს პაპიროსები, ჩუმად მოვწევი, ვერავინ გაიგებს.

— არა, შეუძლებელია, თქვენო კეთილშობილებავ. უფროსი რომ არა — ჩემთვის სულ ერთია, გაიგებენ და მე მომხვდება და არა თქვენ; თქვენ არაფერს გეტყვიან, მე კი დარაჯის თანამდებობიდან გადამაყენებენ. წაბრძანდით, ექიმსა ჰკითხეთ.

მორიგე ექიმი მაშინ მისაღებ დარბაზში მიდიოდა.

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ. — მიმართა მამასახლისმა ექიმს — ბატონმა სტუდენტმა თან მოიტანა პაპიროსები და თამბაქო და მთხოვს, რომ შევეტანიო. თქვენ რაღას მიბრძანებთ?

— ნება მომეცით, თუ შეიძლება, თან შევიტანო რამდენიმე პაპიროსი. ისე მივეჩვიე, რომ უამისოდ ვერ გავძლებ. ამასთან, ჩემი ავადმყოფობა ისეთი არაა, რომელიც მიკრძალავდეს თამბაქოს მოწევას.

— იცით რა, ჩვენ ასეთი წესი გვაქვს, რომ საავადმყოფოში არ შეიძლება თამბაქოს კვამლი იდგეს. მე სიამოვნებით დაგთანხმდებოდით თქვენს თხოვნაზე, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ წესის წინააღმდეგ ვერ მოვიქცევი. ვფიქრობ შეგიძლიათ ერთი ორი კვირა არ მოსწიოთ.

— დამერწმუნეთ, რომ უპაპიროსოდ ვერ გავძლებ, თორემ არაფრისთვის არ შეგაწუხებდით.

— არა, მე არ შემიძლია მოწევის ნება დაგართოთ.

ამ სიტყვებით ექიმი მისაღები ოთახიდან გავიდა.

— მომეცით აქ თამბაქო და პაპიროსები, — უთხრა ოგლობინსკის დარაჯმა — როცა მორჩებით — დაიბრუნებთ. თქვენი გვარი?

— ოგლობინსკი.

დარაჯმა პაპიროსები და თამბაქო ქალაღღში გაახვია, ზედ დააწერა „აგლობენსკისა“ და მაგიღის უჯრაში შეინახა.

— წამოღით, — მიმართა მან ოგლობინსკის.

XVII

აი, ოგლობინსკი საავადმყოფოშია.

რა გრძნობები აღეღებდა მას, როცა საავადმყოფოს ზღურბლს გადააბიჯა — არ ვიცი. მაგრამ მე დანამღვეღებით შემიღღია ვთქვა, რომ არა ის გრძნობა, რაც აქვს ხოღმე ავადმყოფთა ღიდ უმრავლესობას — სიკვდიღის შიში. არა, სიკვდიღისა მას არ ეშინოღა, უფრო დაპირებულღი სამუშაოს დაკარგვა აშინებღა.

მგონღი არა. — ფიქრობღა იგღი, — ვთქვათ ერთ თვეს ვიწოღები, მეტს ხომ არ დაგრჩები. მეტრანპაუღი მიცნობს, იცის რა კარგად და იაფად ვმუშაობღი. სხვა ჩემს აღგიღზე თაბახს სამ აბაზაღაც არ დათანხმდებოღა. ვთქვათ ახალი სამუშაო მისცეს ემელიანოღს ან სხვა ვინმეს, სამაგიეროდ მომავალი სამუშაოები ხელიდან ვერ წამიღვა. ღიდებღა შენ, ღმერთო, ახლა აღარ მეშინია შიმშიღით სიკვდიღისა, ახლა კღ იმეღი მაქვს რამღენიმე მანეთღი დავაგროვო, შეიღღლება ათეული მანეთებიც, შავღი ღღისათვის. აქ რა უნღა ვაკეთო? შეეკითხა იგღი თავს, — წიგნები არაა, განა ვინმე შემოიღთანს...

ათღ ნაბიჯიღც არ გადაეღვა, რომ ბუინევიჩღი შეხვღა, რომელსაც საავადმყოფოს ხაღათღ ეცვა.

— ე! მეგობარო, გამარჯობა! — დაიყვირა გახარებულმა ბუინევიჩმა. მან წარმოიღღინა, რომ ოგლობინსკი მის სანახავად მოვიღღა.

— მეც ავად გავხღდი, მრავაღცოღდიღი, — უპასუხა მას ოგლობინსკიმ, — შენს ახლოს თავისუფალი საწოღი ხომ არ არის?

— არის, არის, წამოღღი.

ერთღ საათის შემღღეგ ისინღი უშინაარსოთ საუბრობღენ. საღღიღი მოიღღანეს.

— სიმონ, ნუ გარისხღები თუ საზიზღარ საღღიღს გაქმევენ.

— ე, ძმაო, მაინც უკეთესია, ვიდრე სახლში.

— აჰ, არა, ზოგჯერ ძღიერ ცუღად გვაქმევენ.

— პირვეღად არა ვარ საავადმყოფოში, შენზე უკეთესად ვიცი, როგორ აქმევენ აქ. ისიც მართალია, რომ ზოგჯერ დამპალ ხორცს მოიღღანენ და აყროღებულ წყაღს, მაგრამ ეს აქ იშვიათია.

— ვნახოთ.

წვნიანი შეუკახმავე აღმოჩნღა, მეორე კერძღი ქათმის ფეხებისაგან შეღღებოღა.

- აქ ყოველდღიურად მხოლოდ ფეხები მოაქვთ.
- ვიცი, რომ ხშირად მოაქვთ, მაგრამ არა ყოველთვის.
- გარწმუნებ, რომ მას აქეთ, რაც აქა ვარ, ყოველდღე მხოლოდ ფეხები მოაქვთ.

— იცით რა, ბატონებო, — თქვა ჩვენს ნაცნობებთან მოსულმა ახალგაზრდა წვერიანმა კაცმა, აგრეთვე ავადმყოფმა, — დავხატოთ კარიკატურა და „ისკრაში“ გავგზავნოთ.

— მე ხატვა არ ვიცი, — უპასუხა მას ბუნივევიჩმა.

— მაშ მე დავხატავ, მე უკვე მოვიფიქრე: თივის მოედანზე დგას მზარეული და ქათმის გამყიდველს ჰკითხავს: „ქათმებს რატომ არა აქვს ფეხები?“ გამყიდველი უპასუხებს. რომ ფეხები, ო-ს საავადმყოფოში ბითუმად ყიდულობენ.

— რა უშავს, დახატეთ, კარგი იქნება.

— მე კიდევ ორი სხვა კარიკატურის დახატვა მინდა: ერთი გუშინდელ სცენაზე საქონლის ხორციდან დაკავშირებით, მეორე თერმომეტრზე.

— ძლიერ კარგია, დახატეთ.

— რაშია საქმე? — ჰკითხა ბუნივევიჩს ოგლობინსკიმ წვერიანი ახალგაზრდა კაცის წასვლის შემდეგ.

— აი რაში, შემოდის გუშინ აქაური მთავარი ექიმი; გაუარა ერთ დაბალი წოდების ავადმყოფს და ჰკითხა, რას აქმევენ სადღლად. წვნიანი ხორცი — უპასუხებს ავადმყოფი. — „როგორ, შენ. რუსი ადამიანი და დიდმარხვაში ხორცსა სკამ?!“ — დადევირა გერმანელმა ექიმმა და თანაც სამსართულიანი სიტყვებიც დაამატა. „აუკრძალეთ ამას ხორცი“. საბრალო ავადმყოფი, რომელიც ძლივს დაუძვრა სახადს, შერჩა ქერის ფაფას. მეორე ისტორია კი ასეთია: ვენერიული განყოფილების ავადმყოფი, რომელსაც აბაზანები და დეკოსტი ჰქონდა დანიშნული, იმავე ექიმს შესჩივლებს სიცვივეზე პალატაში. „ჩამოკიდეთ თერმომეტრი“ ბრძანა ექიმმა. ამით დამთავრდა საქმე. თერმომეტრის ჩამოკიდებით ერთი ბეწვითაც არ მომატებია სითბოს.

— ადრე, ჩემს დროსაც ხდებოდა სხვადასხვა ისტორიები, ისინი ახლანდელზე უფრო თავშესაქცევარი იყო; ერთი სიტყვით, ესენიც კარგებია.

— გამიგონე, — უთხრა ბუნივევიჩმა ოგლობინსკის, — როდისმე ყოფილხარ შეყვარებული?

— არა, ძმაო. შენ უკვე მოასწარი შეტობვა?

— არც ჰო, არც არა... პირდაპირ გეტყვი — შეყვარებული ვარ.

— ცუდია!

— რა არის აქ ცუდი? განა შენ ფიქრობ, რომ ვეარშიყები და სხვა არაფერი? არა, მე ვაპირებ ცოლად შევიერთო ჩემი ადელი.

— ცუდია, ძმაო, ცუდი, ძლიერ ცუდია! მეტად შეგიტოპავს.

— მე, ძმაო, იმდენად შეგტოპე, რომ მზად ვარ ლექსები ვწერო, თუ კი შევიძლებ.

— არაფერია მაგაზე ადვილი: იშოვე პუშკინის, ლერმონტოვის თხზულებები, განსაკუთრებით კი პოლონსკის «Свежее предание» და გამოაცხოებ ლექსებს.

— იტყუე და ნუ გაცრუპენტელავდები. შენ, ძმაო, სიყვარული არა გწამს, მე კი მწამს.

— ასეთ შემთხვევაში არ უნდა ვიმსჯელოთ ასეთ მატერიებზე: ჩვენ ურთიერთს ვერ გავუგებთ.

XVII

ერთხელ, სადილის შემდეგ, ოგლობინსკიმ და ბუინევიჩმა შემდეგი საუბარი გააბეს.

— როგორ ფიქრობ, — ჰკითხა ბუინევიჩმა, — შემიძლია ჟურნალ №-ის კორექტურა ვიშოვო? რ..., ამ ჟურნალის კორექტორი, სამშობლოში მიემგზავრება. თუ ვიშოვე ეს სამუშაო, მაშინვე ცოლს შევიერთავ.

— არა მგონია. ეს, ძმაო ისეთი სამუშაოა, რომ ყველა ცდილობს მის შოვნას. აი, თუნდაც მე: მე არ მივხედავ, რომ ცოლის შერთვას აპირებ და პირველი მე გამოგაცლი იმ სამუშაოს. განა ჩვენნაირები ცოტანი არიან? ამ სამუშაოზე ასორმოცდაათ მშვიერ მგელსა აქვს კბილები დაკრეჭილი.

— მე კი შეიძლებოდა გავბედნიერებულიყავი! რა ახლოა ახლა ჩემგან ბედნიერება. ის დამოკიდებულია იმაზე, მივასწრებ თუ არა სხვებს კონტორის მოსამსახურესთან?

— ეჰ, შენ! და თავი კი მცოდნე კაცად მიგაჩნია. ვთქვათ უკვე იშოვე №-ის კორექტურა. ცოლს შეირთავ, მაგრამ, ვთქვათ, უცბად შეწყდეს №-ის გამოცემა (ეს ხომ სულ ადვილია). რითი ფიქრობ ცხოვრებას? სიყვარულით? გარწმუნებ, რომ ქორწილის მეორე დღესვე, როცა პურისთვის ექვსი კაპიციტ არ გეყოფა, შენს ადელზე გული გაგიტყდება, დაინახავ, რომ იგი სრულყოფილობის საკვირველებს სულაც არაა და არაფრით განსხვავდება რომელიმე საშასა, მაშასა ან გრუშასაგან.

— შენ ჯერ მითხარი, საიდან მოიპოვე ყველაფერი ეს? სული წმინდა ხომ არ გადმოსულა შენზე და არ გაუმტლავნებია, რა როგორ ხდება? აბა, მითხარი, ყოფილხარ შეყვარებული?

— ღმერთმა დამიცვას, რომ შეყვარებული ვიყო! უმალ „მზე შეცვლის თავის გზას“, ვიდრე მე შევიყვარო ვინმე. შენ, ძმაო ჩემო, ჩემს რჩევას მიჰყევ: ამოიგდე თავიდან ეს უაზრობა.

— აბა როგორ, მასწავლე!

— მიჰყვები ჩემს რჩევას?

— თუკი ასასრულებლად შესაძლებელი იქნება.

— სიტყვა მომეცი, რომ გამიგონებ. ადვილი ასასრულებელია.

— ასეთ შემთხვევაში, სიტყვას გაძლე.

— გადადი ახალ ბინაზე, მხოლოდ არა პეტერბურგის მხარეზე, არამედ ვიბორგისა, ან ვასილის კუნძულზე.

— შენ ხომ მითხარ, რომ შენი რჩევა ადვილად შესასრულებელია, ეს კი ჩემთვის იგივეა, როგორც რჩევა წყალში გადავარდნაზე. ან უფრო უარესი.

— მაშ მე არა მაქვს რა შეყვარებულ სულელთან სათქმელი. შენ ნამდვილი სულელი ხარ:

— შენ შენსას იმეორებ: სულელი და სულელი. რას მიბრძანებ, რა გიწოდო, როცა შენ თითონაც შეტოპავ?

— ამას, ჩემო ძვირფასო, ვერ მოესწრები, ასეთ შემთხვევაში, ნება გაქვთ ის მიწოდოთ, რაც გნებავეთ, თუ კი გავსულელდები.

— მაგასაც მოვესწრებით.

— ელოდეთ რამდენიც გინდოდეთ, მაგრამ იცოდეთ, ამას ვერ მოესწრებით.

X I X

ორი კვირის შემდეგ ოგლობინსკი გამოეწერა საავადმყოფოდან. იგი დაეხეტებოდა სტამბებში, დაეხეტებოდა სხვადასხვა ჟურნალებისა და გაზეთების რედაქციებში, მაგრამ კორექტურას ვერსად შოულობდა. ერთხელ გაღიმებულმა ბედნიერებამ მას უმტყუნა.

ოგლობინსკი წევს თავის საკანში საწოლზე, ჰერს მისშტერებია და ხელები თავქვეშ ამოუდვია.

ფიქრობდნენ — დარდისაგან სმას დაიწყებდნენ, მაგრამ მოტყუებდნენ. სად არის იმდენი არაყი, რომ ოგლობინსკის მსგავსმა ყველა უბედურმა დარდის გასაქარებლად მის სმას მიჰყოს ხელი?

ბუინევიჩიც მალე გამოეწერა საავადმყოფოდან. სიღარიბემ ჩაკლა სიყვარული.

5. პროვინციული სურათები*

(მ. ბ. ხ... ს)

Не весела ты, родная картина!

ნ ე კ რ ა ს ო ვ ი

I

ჩვენ სახელმწიფოში არის ქალაქი ფიტი, 30 ათასი მცხოვრებით, ძველი ძეგლებით, ციხე-სიმაგრით, ახალი სახელმწიფო დაწესებულებებით, მოედნით, თეატრით და კეთილგანვითარებული პროვინციული ქალაქის სხვა ამგვარი მოწყობილობით. საქალაქო საქმეები ნელნელა მიმდინარეობს, მცხოვრებლები იბადებიან, ცხოვრობენ და იხოცებიან... ერთი სიტყვით, ფიტი არაფრით არ განირჩევა რუსეთის დანარჩენი საგუბერნიო ქალაქებისაგან.

ფიტში დიდი ხანია არსებობს ქალთა სასწავლო დაწესებულება, რომელიც „კეთილშობილ ქალთა პანსიონის“ სახელს ატარებს. ეს პანსიონი სრულიად არაფრით არ განსხვავდებოდა და არც ახლა განსხვავდება ასობით მისი მსგავსი პანსიონებისაგან, რომელნიც ყველა საგუბერნიო ქალაქებში არსებობენ: ფიტის პანსიონში ისეთივე იერარქია იყო გაბატონებული, კეთილშობილ ქალთა უბიწოებასა და კეთილზნობაზე ისეთივე პურიტანული ზედამხედველობა, ისეთივე გულმოდგინება ამ ქალებში მორჩილებისა და უფროსებისადმი მოკრძალების განვითარებისათვის, როგორც სხვებში.

* ავტორი საჭიროდ თელის შენიშნოს, რომ წინამდებარე „სურათებში“ ლაპარაკია დიდი ხნის წინანდელ ამბებზე, თუმცა მკითხველები ამას ავტორის განმარტების გარეშეც შენიშნავენ, რადგან, როგორც ჩვენი გაზეთების თითოეულმა ნკითხველმა იცის, ჩვენი კეთილმოქმედი პროგრესი დიდი ხანია მძლავრად შეეხა. პროვინციული ცხოვრების იმ მხარეებს, რომლებიც ამ „სურათებშია“ მოხსენებული.

ოდესღაც ფიტის პანსიონში შევიდა ახალგაზრდა ქალიშვილი ლეკიმოვა, ცხადია, კეთილშობილი წარმოშობისა. მამა მისს, შეძლებულ და თანამოქალაქეებში (უფრო სწორად თანააზნაურებში) პატივცემულ ადამიანს, ადგილობრივ იერარქიაში დიდი გავლენა ჰქონდა; გარდა ამისა, ქალიშვილ ლეკიმოვას ნათლია, თავადი ხრამსკი. ერთი გველენიანი და ფიტის უმდიდრესი ბობოლათაგანი, მის ბედ-იღბალში დიდ მონაწილეობას იღებდა. ყველა ამას პანსიონის გამგე ქალში უნდა ჩაენერგა პატივისცემა, განსაკუთრებული ერთგულება და მზრუნველობა ლეკიმოვას მიმართ, მაგრამ ამისმა მამამ, როგორც ჰქვიანმა და კეთილსინდისიერმა ადამიანმა არ მოისურვა, რომ გამგე ქალი უანგაროდ შეწუხებულიყო და ამიტომ ქალიშვილის პანსიონში მიბარებისთანავე მას ძღვნად გაუჯზავნა საკმაოდ ძვირფასი ნივთები. ამის შემდეგ შეიძლება წარმოიღვინოთ, თუ რა პატივისცემით მოეპყრობოდნენ პანსიონში ლეკიმოვას.

ლეკიმოვა საკმაოდ კეთილი ქალიშვილი იყო; მეთორმეტე წელიწადში იდგა; მამის სახლში თავისუფლად იზრდებოდა, სულელური შეზღუდვის, თუმცა აღზრდის გონიერი სისტემის გარეშე. უყვარდა ნებაზე მხიარულება, თამაში, ენის ქარტალი. როცა იგი პანსიონში მიაბარეს და როცა პანსიონის პურიტანულ უმწიკვლოებაში მოექცა, თითქოს მდულარე გადაასხესო: მას შეზიზღდა გამგე ქალის აღერსი; ზედამხედველი ქალების მლიქვნელობაც, ამხანაგების პირფერობაც... მას ცრემლები ახრჩობდა.

პანსიონერი ქალების სწავლება, განსაკუთრებით პირველ კლასში, რთული არ იყო — ის მოითხოვდა ერთ, ან ნახევარსაათიან ზუთხვას. შემდეგ რჩებოდა ქალთა სასწავლო დაწესებულებებში დაკანონებული საოჯახო საქმეებში მეცადინეობა, ესე იგი, უბრალოდ, რაღაც ფანტასტიური სახელოებისა და საყელოების ამოქარგვა და წინდების ქსოვა. დანარჩენ დროს პანსიონერი ქალები ცეკვასა და ლაქლაქში ატარებდნენ.

ცეკვავდნენ ორიგინალურად: რამდენიმე პანსიონერი ქალი გვერდზე გადგებოდნენ და იწყებდნენ სიმღერას: „ტრა-ა-ტა-ტა, ტრა-ა-ტა-ტა, ტი-ტა-ტა“, ან „ტრი-ტრა-ა-ტა, ტრი-ტრა-ა-ტა, ტრიმტრა“ და სხვა, დანარჩენები კი დაწყვილდებოდნენ და თავბრუს დახვევამდე პროწილობდნენ. როცა მუსიკოსები სიმღერით დაიღლებოდნენ, მათ ადგილს მეორენი დაიჭერდნენ, შემდეგ მესამენი და ა. შ. შემდეგ იწყებოდა დაწყვილებულად სიარული: თითოეულ პანსიონერ ქალს ჰყავდა, რაღაც დაახლოებული ქალის მსგავსად, მეგობარი. რომელმაც თავისი ამხანაგის ყველა საიდუმლო

იცოდა. წყვილები რომელიმე კუთხეში გამარტოვდებოდნენ და დაიწყებდნენ ცხარე საუბარს მ ა ს ზ ე... .

ჩვენი ქალიშვილები ვაჟიშვილებისაგან სრულიად განცალკევებულად იზრდებიან. იზრდებიან, როგორც დედოფალები, რომლებმაც არაფერი იციან თავისი დანიშნულების შესახებ და გარემოსილნი არიან ყოველგვარი მზრუნველობით, რაც იქითაა მიმართული. რომ დაუმალონ მათ ისეთი რამ, რაც არ უნდა იცოდნენ; იმის მაგიერ, რომ ბავშვს საშუალება მისცენ ნორმალურად განვითარებისა, მას მხოლოდ რეზიკურად ანვითარებენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება ჩქარა შეიძლოს აღასრულოს თავისი დანიშნულება — ცოლობა.

იგი ხედავს, რომ ბიჭს სრულიად სხვაგვარად ეპყრობიან, მას კი თხოვენ მხოლოდ სიჩუმეს, მორიდებულობას, კეთილად ზრდილობას, ქალიშვილობას და მეტს არაფერს. ჩვენი ქალები ქალიშვილებს, თუნდაც თხუთმეტწლიანებს, სრულიად ბავშვებად თვლიან, რომელთა თანდასწრებით შეიძლება ყველაფრის ლაპარაკი, ყველაფრისა, რასაც ბიჭთან სათქმელად არ სთვლიან. ის ხომ ვიცი, როგორ და რაზე საუბრობენ ერთმანეთში ჩვენი ქალები, განსაკუთრებით მაშინ, როცა მარტონი რჩებიან, ან და ბავშვთან, ე. ი. ახალგაზრდა ქალიშვილის თანდასწრებით.. აქ ძალაუფლებურად ისწავლი კოცნას, როცა ყველგან გესმის, რომ შენი ერთადერთი დანიშნულება კოცნაა, კოცნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში... ნეტავ რა არის ეს კოცნა, რა სიამოვნებაა კოცნაში? კითხულობენ ქალიშვილები მუდამ ასეთი საუბრის მოსმენას: „აჰ რა საყვარელია იგი, აჰ, როცა ის მკოცნის!“ ან „აჰ რა ვნებიანია ის, როგორ ვუყვარვარ,.. როცა გულში მიკრავს. მგონია, რომ ჩემზე ბედნიერი ქვეყანაზე არავინ არის... სიტკბოებაში ვცურავ...“ და ა. შ. ახალგაზრდა ქალიშვილს, რომელიც მუდამ გონებრივ უსაქმობაშია, აღეძვრის საკითხები: „რა არის კოცნა? რას ნიშნავს გულში ჩაკვრა? რატომ შეადგენს კოცნა და ხვევნა ქალისთვის ბედნიერებას? რა არის თავდავიწყება?“ ასეთ კითხვებს იგი პასუხს ვერ აძლევს. ქალებსა ჰკითხოს — არ უნდა, და, თუ ჰკითხავს კიდევ, პასუხად მიიღებს: „გაიზრდები—გაიგებ“, მას კი სურს გაიგოს ახლავე, ამავე წუთს. ამიტომ იგი გადაწყვეტს თითონ სცადოს, რას ნიშნავს კოცნა და სხვ. იგი დაუწყებს თავის უმცროს ძმას მხურვალე კოცნას (უფროსისა ეშინია — იგი ხშირად სცემს ხოლმე), მაგრამ ეს სულაც არ არის სასიამოვნო... საჭიროა უფრო დიდს აკოცოს. ვის?... ქალები ამბობენ, რომ ის კარგია, ძლიერ, ძლიერ, კარგია... ბოლოს ეს კარგიც გამოჩნდება. თითონ ისიც არაა კოცნის წინააღმდეგი — და იწყება კოცნა. მას ვერ გა-

მოურკვევია, რა ყრია ამ კოცნაში, მაგრამ ალბათ არის რაღაც კარგი მასში, რადგან ქალები ლაპარაკობენ... იგი ცდილობს სულ უფრო და უფრო ხშირად ჰკოცნოს და ბოლოს აღმოაჩენს, რომ კოცნა ნამდვილად სასიამოვნო რამ არის. და, ყველაფერი ეს 11, 12, 13 წლის ასაკში!..

სრული გონებრივი უსაქმობა ქალიშვილებში ოცნებისაკენ მისწრაფებას აძლიერებს. ფიზიკური მუშაობაც კი, მაგალითად: კერვა, რუფიის გაკეთება, ქსოვა, მურაბის ხარშვა და ა. შ., ქალიშვილებსა და ქალებს ოცნებებს ჰკვრის. ჩემს მიერ აღწერილ კოცნის გაცნობის პერიოდამდე ქალიშვილების ოცნებას გაურკვეველი ხასიათი აქვს, ის დედოფალებსა და კანფეტებს არ სცილდება; პირველი კოცნის მოლოდინში ოცნება ერთ მიმართულებას, ერთ მიზანს იღებს, — მოირთოს იმისთვის, რომ მოიწონონ, მოიწონონ იმისათვის, რომ აკოცონ და ა. შ... სანაძლეოს დავდებ, რომ ჩვენი ასი ქალიშვილიდან ოთხმოცდაცხრამეტს არავითარი სხვა ოცნება არ გააჩნია.

ხელისშემწყობად ჩნდებიან ალექსანდრე დიუმას, პოლ-დე-კოკის და ჩვენებური სხვადასხვა მთხვეელების ვნებიანი რომანები. რომანები სასტიკადაა აკრძალული ქალთა სასწავლო დაწესებულებების გამგე ქალთა ცენზურით, სამაგიეროდ დიდია პანსიონერი ქალების გულჩახვეულობა, რომელთაც არ შეუძლიათ ერთი დღეც კი ურომანოდ გასძლონ. რომანებს მალავენ ბალიშის ქვეშ და ბალიშში, თავის კაბებში, მაგიდების ქვეშ, ხატების ქვეშ და ა. შ... ერთი სიტყვით ყველგან, სადაც კი პატარა შესაძლებლობა არის წიგნი დამალონ. უფროსები, განსაკუთრებით კლასის ზედამხედველი ქალები, რომანებს თითქმის ათასობით ართმევენ; მაინც ძველების სანაცვლოდ ზღაპრული გველეშაპის თავების მსგავსად, ორჯელ უფრო მეტი რჩება ახალი. აღარა ითქმის რა იმაზე, თუ როგორ იკითხება ეს რომანები: რამდენიმე სიტყვით ამის მოყოლა თითქმის შეუძლებელია, უნდა ნახოთ ახალგაზრდა, ვნებიანი მეოცნებე, როცა იგი ლოგინში წევს და კითხულობს რომანს, და მხოლოდ მაშინ შეიქმნება წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ იკითხება ეს ბულვარული ლიტერატურის ბულვარული ნაბიჭვარი.

ჩვენს ქალიშვილებს საერთოდ არ უყვართ ეგრეთწოდებულ მოსაწყენი რომანები, ესე იგი ის რომანები, რომელთა წაკითხვისას ფანტაზია ვერ გაინავარდებს. საუბრებით ან ვნებიანი ხასიათის მსჯელობით აუჭრელებელი ადგილები წაუკითხავად რჩება და მოხიბლული მკითხველი ქალის თვალი სწრაფად გადაიფრენს საუბრებისა და რომანის მათ მსგავსს ადგილებისაკენ. ეს ძლიერ

კარგადაა ცნობილი რომანების ჩვენებური და უცხოელი ფაბრიკანტებისათვის...

ოცნებათა გავლენა ერთბაშად იჩენს სოლმე თავს, მაგრამ არც პატივცემულ აღმზრდელებს, არც ექიმებს, არც ნაცნობებს არ სურთ გაარკვიონ ქალწულში მომხდარ ცვლილებათა მიზეზები. ამიტომ ჩვენებური პანსიონერებიდან ქალიშვილები უმთავრესად გამოდიან სრულიად დაავადებულნი. უსიცოცხლონი, სახის აპათიური გამომეტყველებით. ჩაცვნილი თვალებით. ფეოქრთაღნი... ჰგონია, მკითხველი პევერ ამისთანა სუბიექტს შეხვედრია და ამიტომ ვამთავრებ სურათს.

II

ჩემი გმირი ქალი, ელჩკა ლეკიშოვა, არც თუ ისე ცუდად სწავლობდა. სწავლობდა ისე, როგორც — მის მეგობართა დიდი უმეტესობა. გაკვეთილები დაუდევრად მზადდებოდა, წიგნებს იგი ცოტას კითხულობდა (რასაკვირველია, გარდა რომანებისა). ერთი სიტყვით, მისი ცხოვრება ისევე მიმდინარეობდა. როგორც პანსიონერი ქალის ჩვეულებრივი ცხოვრება.

გაკვეთილების გამოსვლისთანავე (შაბათობით 12 საათზე თავდებ) პანსიონერი ქალები ერთად ჩაეშვებოდნენ დაბლა სართულში, დერეფანში, რომელიც სასადილოსაკენ მიდიოდა. დერეფნის ბოლოს იყო მისაღები. სადაც ქალიშვილების წასაყვანად გამოგზავნილი ლაქიები და მოსამსახურე ქალები ირეოდნენ. რადგან მისაღებში შესვლა ერთად ორს ან სამს შეეძლო, ამიტომ ქალიშვილები რიგრიგობით შედიოდნენ მასში და ერთს წუთს უკან ბრუნდებოდნენ ყვირილით: „Natalie! ou est venue vous Chercher!“ — „მოგაკითხეს“... „სოფიო, შენ წასაყვანად შენი ძმა მოვიდა“ და ა. შ. გამცილებლების დათვლიერება ქალიშვილებისათვის მცირე სიამოვნება არ გახლდათ: ზოგჯერ გამცილებლებში გამოერეოდნენ კარგი სულიკოები, მეოცნებე პანსიონერი ქალების თავყვანისმცემლები. რომელთაც თავის მხრით, უყვარდათ პანსიონში მისვლა თავისი დების წამოსაყვანად.

პანსიონერი ქალების საქმიანობა სახლში იყო პურის, ნამცხვარის, მურაბის, სხვადასხვა საჭმელისა და ა. შ. ძვირფას საწოვანთა აუარებელი რაოდენობის განადგურება. ამას გარდა, ისინი გრძნობენ, რომ თავისისავე ოჯახში ძვირფასი სტუმრები არიან და ამიტომ ცდილობენ წაიღონ სახლიდან რის წაღებაც შეიძლება. სახლში ისინი ამოანთხევენ ყველა შეურაცხყოფას, რაც მათ პანსიონში გა-

СОВРЕМЕННИКЪ

1864

№ VII АВГУСТЪ

САВКТПЕТЕРБУРГЪ

ВЪ ТИПОГРАФІИ КАРЛА ШУЛЬФА

въ Петербургѣ, близъ Исаакинаго проспекта, дома № 10. 1864. 10-57.

დაუტანიათ განვლილი კვირის განმავლობაში და წინდაწინ მომავალი კვირისასაც. მათგან მოსვენება არ აქვთ არც ძმებს და არც დებს — არაფერ არაფრად მიაჩნიათ... ეს თავისებური ახირებულებაა, ტიტ ტიტჩი ბრუსკოვის ახირებულებასავით.

სამაგიეროდ, მთელი კვირის განმავლობაში, კვირა დღის საღამოს 6 საათიდან შაბათის 12 საათამდე პანსიონერი ქალები ეწაჭებიან და ოცნებობენ.

ელეჩკამ პანსიონში ძლიერ მცირე ცოდნა შეიძინა: არც მეცნიერებაში, არც ეგრეთწოდებულ ხელოვნებაში (ე. ი. კერვასა და ქსოვაში), არაფერ ამის მსგავსში ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს. სამაგიეროდ მან განსაკუთრებით დიდი მიდრეკილება გამოიჩინა ოცნებობაში, და კიდევ არც თუ ცოტა გულგრილობა — კ ა ვ ა ლ რ ე ბ თ ა ნ მოპყრობაში.

ერთხელ ელეჩკამ პანსიონში „რუსკი ვესტნიკის“ რალაც წიგნაკი მიიტანა, რომელშიც დაბეჭდილი იყო მოთხრობა „ორი დედოკო“ (სათაური კარგად აღარ მახსოვს). დერეფანში მას ხვდება მისი ამხანაგი ნინა, რომელიც პანსიონში დარჩა, რადგან მშობლები ფიტში არ ჰყავდა. უპირველეს ყოვლისა — კოცნა, შემდეგ მურაბისა და სხვა სასუსნაის გადაცემა, — ყველაფერი ეს, როგორც რიგია, ერთი თვალის დახამხამებაში მოხდა.

— წარმოიდგინე, ნინოჩკა, — წარმოსთქვა ელეჩკამ ქლოშინით დაღლილობისაგან, — ისეთი კარგი წიგნი მომიტანა იმან, რომ მშვენიერებაა!

— რაზეა ლაპარაკი? სიყვარულზე?

— რასაკვირველია! წარმოიდგინე, ახალგაზრდა, კოხტა ოფიცერს შეუყვარდება გუბერნატორის ქალი, — მეტის წაკითხვა ვერ მოვასწარი; წამო ჩქარა, ჩქარა, სულიყო.

— ის ნახე?

— ჰო, ჰო, ჰო და ბევრიც ვილაპარაკე; ისე ბევრი, რომ არც კი ვიცი, როგორ ვიამბო... წამოდი ჩქარა, ჯერ ვიამბობ და მერე კვიკითხოთ.

— ის დამპირდა, — ამბობდა ელეჩკა, დერეფანში რომ მიდიოდა ნინასთან ერთად, — წიგნების მოტანას. ახლა მე მექნება ყველა საუკეთესო რომანები და მოთხრობეში.

აქ ელეჩკამ და ნინამ კიბის კარი შეაღღეს და ზემო სართულში ავიდნენ.

საღამოს, მეცადინეობის დამთავრების შემდეგ, ელეჩკამ ნინას ბპერდი გაჰკრა და ორივენი დასაძინებელ ოთახში გავიდნენ.

— მე თან მოვიტანე ძლიერ ბევრი თაფლის სანთელი, — თქვა ელჩიამ; — მორიგეს ვუთხრათ, რომ სახვალთაო გაკვეთილები უნდა დავამზადოთ და ყველაზე მეტ ხანს დავრჩეთ საკითხავად... კარგი?

-- მშვენიერია, სულიკო, ძლიერ კარგი! რა, მოთხრობა დიდია? ძლიერ დიდია?

— არა, ძლიერ დიდი არაა, სამაგიეროდ დიალოგებია აუარებელი. მთელი მოთხრობა გადაფურცლე, არსად არ არის მთლად გავსებული გვერდი, სულ მოკლე-მოკლე ფრაზებია; ალბათ კარგი მოთხრობა იქნება...

შეიძლება იმის წარმოდგენა, თუ რა გატაცებით იქნა მოთხრობა წაკითხული.

მეორე დღეს, ჩაის შემდეგვე, ელჩია იჯდა ოთახის კუთხეში წინასთან ერთად და უამბობდა იმასზე. არ ითქმის, რომ ელჩიას ფანტაზიას რამე არ დაემატებინოს თავისით იმის საუბრისა და დაპირებებისათვის. მაგრამ ეს დამატებანი სრულიად უბიწო იყო: რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა ელჩია მასზე, მით უფრო უცხოველდებოდა წარმოსახვა, მით უფრო ბევრს უმატებდა თავისით იმას, რის მოსმენასაც მისგან ისურვებდა. ეს დამატება თავისებური ხლესტაკოვობაა, იგი მსმენელთა ნდობის, სპირტიანი სასმელების ძალის მიხედვით, ან სრულიად მისი მსგავსი ოცნებისაგან სისხლის ადუღებასავით ძლიერდებოდა. ამ შენიშვნით მე არ მინდა ჩვენი ქალიშვილები ხლესტაკოვს გავუთანებო, ღმერთმა დამიცვას ამისაგან,—მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ იმისთანა საუბრისას რომელსაც ფანტაზიის მოქმედებისა და სისხლის ადუღების თვისება აქვს, ხალხი იოლად ექცევა მიაშიტ ხლესტაკოვობაში. თავისი მიაშიტობის გამო მათ სჯერათ, რასაც ამბობენ, ენებს იქავებენ იმისათვის, რომ როგორმე უფრო მეტად აიღელვონ სისხლი... ვინმემ რომ უთხრას მათ, რომ ტყუილს ამბობენ, — არ ეწყინებათ, არა, მაგრამ ტყვილს იგრძნობენ, რომ გული გაუტეხეს ოცნებიანობაში, რომ შეუბრალებლად დაუნგრეს მთელი სამყარო, რომელიც მათ ფანტაზიაში არსებობდა და რომელშიც ისინი სრულუფლებიანი მეფეები იყვნენ...

III

ბოლოს ელჩიამ დაამთავრა სწავლა. იგი იყო საზეიმო აქტის გირი ქალი: მას ყველაზე უკეთესი საჩუქარი მისცეს ქების ფურცელთან ერთად. ცრემლით ავსებული თვალებით დაემშვიდობა იგი თავის გამგე ქალსა და ამხანაგებს, ჩაჯდა მამის ეტლში და სახლისაკენ გაქროლდა. თუ რას განიცდიდა იგი

პანსიონის ჭურღმულებიდან თავისუფალ ჰაერზე გამოსვლის შემდეგ ამას მიხვდება ყველა, ვინც მის მდგომარეობაში ყოფილა ოდესმე. „ბოლოს და ბოლოს, ფიქრობდა იგი, მე ქალიშვილად ვიქეც, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით; მე ახლა შემიძლია. გამგე ქალის შიშის გარეშე, საყვედურისა და შავი ბაფთის წინაშე თრთოლვის გარეშე ვიმხიარულო ვისთანაც მინდა და როგორც მინდა. ახლა მე თავის თავის სრული ბატონი ვარ, შემიძლია ჩემი სულილით ჩავიცვა კაბა, შემიძლია ქანცის გაწყვეტამდე ვიცეკო“...

მალე ეს ფიქრები სხვებმა შეცვალა: „ახლა დამიწყებენ აქეთიქით ტარებას კეთილშობილთა კრებაში, მთელი ახალგაზრდობა გამეცნობა... პეტენკას როგორ გაუხარდება, როცა გაიგებს ჩემს პირველ ჯილდოს: როგორ იამაყებს, რომ ასეთი მეცადინი ქალიშვილი უყვარს... ბალებზეც ხომ კარგი ადიუტანტები, ოფიცრები იქნებიან? მერე რა, რომ იქნებიან? მე ჩემი პეტენკა ყველაზე მეტად მომწონს... ის ახლა ისეთი ლამაზია, გიმნაზია უკვე დაასრულა. ღღეს თუ არა, ხვალ ისიც ოფიცერი იქნება“... და სხვ.

ამ ოცნებას ბოლო არ ექნებოდა, კარგაა რომ ელეჩკას სახლის ეზოში არ შესულიყო. მასთან ერთად მჯდომმა დედა მისმა ტკბილად გაუღიმა და უთხრა, რომ ეტლიდან გადმოსულიყო.

ელეჩკას ცხოვრება სახლში თავის რიგით წარმართა. დაიწყო სტუმრობა, ბალები, საღამოები. პიკნიკები და სხვა ამგვარი გართობანი, ელეჩკას ირგვლივ ათობით ფუსფუსობდნენ ყოველგვარ შეკრებულებათა გმირები, მაღალი საზოგადოების ბრწყინვალე ვაჟკაცები... საბრალო პეტენკა დიდი ხანია ამოვარდა ელეჩკას, ანუ *madame Hélène*-ს გონებიდან. მისი ადგილი დაიკირა ერთერთმა „შავთვალათა მომნადირებელმა“, რომელიც დაჟინებით ეარშიყებოდა ელენე სამსონის ასულს მის მზითვევზე თვალისმკერელი. სულ მალე ელეჩკა ბალებისა და შეკრებულებათა გმირ ქალად იქცა, მან ყველა ახალგაზრდა ქალი დაჩრდილა, იმდენად სილამაზით არა, რამდენადაც მამის ქონებით.

ელენე სამსონის ასული დღითი დღე სულ უფრო და უფრო კარგავდა ვარდისფერ სხივს: მისმა ღაწვებმა მალე მიიღო ის სპილოსძელისფერი სიმკრთალე, რასაც ჩვენი რომანისტები არისტოკრატიული რასის ნიშნად თვლიან. იმასაც თუ გავიხსენებთ, რა იყო ზემოთ ნათქვამი ოცნებიანობაზე, ადვილად მივხვდებით საიდან წარმოსდგებოდა ეს სიმკრთალე. კავალრები, რასაკვირველია, ყურადღებას არ აქცევდნენ ამ თანდათანობით ცვლილებას, მათზე ნაკლებ ყურადღებას ამას აქცევდნენ მშობლები. ელენე სამსონის ასული კი განაგრძობდა თავის ტკბილ ოცნებათა ბურანში

ეუწვას. იგი წარმოიდგენდა ხოლმე, რომ მას გაჰყვა ცოლად, რომ მას იგი ქვეყანაზე ყველაზე ძლიერ უყვარს, ეალერსება, ეღუღუნება და ა. შ. ოცნებას იგი ღრუბლებში აჰყავდა, იგი სადმე ხალხისაგან შორს იშენებდა ციხე-დარბაზს, რომ უზრუნველად დამტკბარიყო მისი სიყვარულით. იგი ფიქრობდა იმაზე თუ როგორ ეყვარებოდა ის, მიუაღერსებდა, ეტრფილებოდა და სხვ. მისი მღუღარე სისხლი ღელავდა, გული მეტად ღონიერად უძგერდა, ნერვების მოქმედება იძაბებოდა... ამ დროს კამოდიდან გადმოიტაცებდა რომელიმე რომანს და ხარბად დაიწყებდა კითხვას... რომანში, მაგალითად, შეხედებოდა ისეთი სცენა, სადაც გმირი ვაჟი ქალს ევედრება შეყვარებას, თანხმობის მიღებას და თუ ეს ქალი ვაჟს ხელს ჰკრავდა, მაშინ ელენე სამსონის ასული ნამდვილად ბრაზდებოდა.—„აჰ, რა ცივი ქალია! მაშ მას არასოდეს ჰყვარები... განა შეყვარებულ ქალს შეუძლია ასე შეუბრალებლად მოუკლას ადამიანს გული?“ შემდეგ მოსდევდა ფანტაზია: „რა მოხდებოდა ქალს რომ ვაჟისათვის ხელი არ ეკრა?“ ამ თემაზე ელენე სამსონის ასული საათობით ოცნებობდა; წარმოიდგენდა, თუ რას მოიმოქმედებდა თითონ, რომანში ჰონაწილე თითოეული ქალის ადგილზე რომ ყოფილიყო? ერთი სიტყვით, მთელი მისი სიცოცხლე ოცნებაში მიმდინარეობდა, ცხადია, გარდა იმ წუთებისა, როცა ეძინა, ან და როცა ნაცნობები ეწვეოდნენ. თუმცა, უნდა დავსძინოთ, რომ მისი ძილი იყო გაგრძელება იმავე ოცნებებისა, ისე, რომ ელენე სამსონის ასულს ჰამლეტის მსგავსად შეეძლო ეთქვა: „ჩემი ძილი, თუმცა მძინავს, ძილი კი არა, გაგრძელებაა მუდმივ დაუსრულებელი ფიქრისა“.

საქმროები დღეობით კი არა, საათობით მრავლდებოდნენ, რომელნიც ელენე სამსონის ასულის მშობლებს სთხოვდნენ გაებედნიერებინათ ისინი და მიეთხოვებინათ მათთვის სილამაზის ღმერთი, მაგრამ მშობლები ამის შესახებ ქალიშვილს არც ელაპარაკებოდნენ. მშობლებს არ სურდათ თავისი ელჩიკა რომელიმე ღატაკი ოფიცრისათვის გაეტანებინათ, ისინი შეძლებულ სასიძოს ეძებდნენ. ელჩიკა მოუთმენლად ელოდა გათხოვებას: გათხოვილი ქალის ცხოვრების მშვენიერება ისე ვარდისფრად ეხატებოდა, რომ მზად იყო ცოლად გაეოლოდა არასასურველ კაცსაც კი... ნამდვილ ცხოვრებად მას მიაჩნდა მხოლოდ კარგი ჩაცმა-დახურვა, სტუმრად სიარული და სიყვარული, ის სიყვარული, რომელიც თავისებურად ესმოდა მას.

ელენე სამსონის ასულს ვერაფრით ვერ გაეგო, თუ ამდენ ყმაწვილ კაცებში რატომ არავის სურდა მისი ცოლად შერთვა. პროვინ-

ციელ საქმროებს ერთი ჩვეულება აქვთ, ჯერ მშობლების სურვილი შეიტყონ. შემდეგ კი წინადადება გაუკეთონ (ფორმის გამო) საცო-
ლეს. ამიტომაც ელენე სამსონის ასულმა არ იცოდა, რომ მის ხელს
ათიოდე საქმრო მაინც თხოულობდა. ბოლოს, ერთმა გაბედულმა,
როცა ელენე სამსონის ასულის მშობლებისაგან უარი მიიღო, გა-
დაწყვიტა მისთვის მიემართა და განუცხადა, რომ მთელი მისი ბედ-
ნიერება ელენეზეა დამოკიდებული.

მისი მგზნებარე სიტყვებით, გულზე ხელის ძლიერი ცემით,
მუქარით — „ჩემს უბედურ თავს მხედრულად გაუუსწორდებო“.
ე. ი. რევოლვერითო, გატაცებული ელენე სამსონის ასული სინა-
რულით მივარდა მშობლებს, რომ ასეთი სასიამოვნო ამბით გაესა-
რებინა. ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ფათერაკთა მაძიებე-
ლი ახალგაზრდა ყელამდე ჩაფლულია მის სიყვარულში და, რომ
მასზე გათხოვება ორივეს სრულ ბედნიერებას და უეჭველ კეთილ-
დღეობას მოუტანს. მისდა სამწუხაროდ ვერც მამა ნახა და ვერც
დედა: ორივე ვიზიტით წასულიყო...

რალა უნდა ექნა, უნდა ეცადა. ელენე სამსონის ასული დაბრუნ-
და თავის ოთახში და ჩაიკეტა. არც ერთი შავი ფიქრი არ გაუტარე-
ბია მას თავში, მან იოცნება იმაზე, რომ ქორწილი უეჭველად
მოხდებოდა, ოცნებობდა იმაზე თუ რას გააკეთებდა ქორწილის შემ-
დეგ: როგორ ეყვარებოდა ქმარი, იოცნება იმაზე, თუ როგორ ეყვა-
რებოდა იგი ქმარს, როგორ სულ მასთან იქნებოდა თითონ, „ვერ
მოსცილდებოდა ვერც ერთი წამით!“ და ა. შ. ყველა ამაში მას ეჭვიც
არ შეჰპარვია და თვალებსაც კი ამოსთხრიდა იმას, ვინც გაბედაუ-
და და ეტყოდა, რომ ქორწილი არ შესდგებოდა, რომ ყველაფერი
ეს მხოლოდ ოცნებაა.

დიდხანს იოცნება თუ არა ელენე სამსონის ასულმა, ამას ჩვენ-
თვის მნიშვნელობა არა აქვს; ერთი სიტყვით, შემოძლია ვთქვა, რომ
მან კარგად იოცნება თავის ოთახში და იოცნება იმდენი, რომ დაი-
ღალა და ძილად დავარდა... როცა თავისი ოთახიდან გამოვიდა,
დაახლოებით 4 საათი იყო. იგი დედის ოთახისაკენ გაემართა.

ახლა უნდა ითქვას, რომ ელენე სამსონის ასულს ოცნებობის გარ-
და სხვა მანკიც ჰქონდა — მორიდებული იყო. როცა კარის სახე-
ლურს ხელი მოჰკიდა, შერცხვა და არ იცოდა, რა მოემოქმედა: შესუ-
ლიყო დედასთან და ეთქვა მისთვის, რომ თავად ბელოვზოროვს
უყვარს იგი და გულსა და ხელსა სთხოვს და რომ მასაც უყვარს
თავადი ბელოვზოროვი, თუ ამაზე გაჩუმებულიყო. ყველაფერი ეს
სათქმელად ძლიერ გრძელა — ნამდვილად კი ამ ფიქრებმა ერთ
წამში გაიელვა ელენე სამსონის ასულის თავში. შემდეგ კი მას

მოპყვა გადაწყვეტილება — ყველაფერში გამოტეხილიყო. მხოლოდ აქ, დედიკოს ოთახის წინ, ელენე სამსონის ასულის თავში გაჩნდა პირველი ექვი ამ საინტერესო საქმის საბედნიერო დასასრულზე.

კარი გაიღო და ელენე სამსონის ასული დამნაშავესავით შევიდა დედასთან: ფერმკრთალი, ჩაცვნილი თვალებით და ოდნავ წელში მოხრილი; სახე იმდენად გაფერმკრთალებული ჰქონდა, რომ კანას ქვეშ სისხლის ძარღვები უჩანდა.

დედა დივანზე იჯდა და კითხულობდა ერთი ნაცნობი მოხუცი-საგან ის-ის იყო მიღებულ წერილს. სისარულის ნათელი გადასდიოდა დედას სახეზე. ელენე სამსონის ასულსაც გაესარდა: „ღიდება ღმერთს, გაიფიქრა მან, რომ თითონ გაუგია და მე არ მომიხდა ლაპარაკი ასეთ საჩოთირო საქმეზე... მაგრამ, ვისგან უნდა გაეგო? საინტერესოა...“ ელენე სამსონის ასული უფრო ბევრს იფიქრებდა, მისი აზრი დედის ხმას რომ არ შეეწყვიტა.

— მოდი ჩემთან, ჩემო საყვარელო, დამიჩქეპ დივანზე ახლოს!... მალე, მალე წამართმევენ ჩემს საყვარელ ჩიტუნას!

— მე თქვენ არ დაგტოვებთ დედიკო, არასოდეს!.. არასოდეს!... იმასაც ისე უყვარხართ თქვენ!...

— შენ საიდან გაიგე? — შეეკითხა გაოცებული დედა.

— აქ იყო, ყველაფერი მიაშმო, მითხრა როგორ ვუყვარვარ, თქვენც როგორ უყვარხართ, რომ თუ მას არ გავყევი, ტყვიას დაიცემს და ა. შ.

დედა გაკვირვებული უსმენდა...

I V

ალბათ ასეთია რუსი მთხრობელის ბედი, რომ არ შეუძლია გვერდი აუაროს გმირ ქალსა და ვაჟს! მოსაწყენი, საზიზღარი ბედია, მაგრამ რას იზამ, ბევრად უარესიც ხდება, მაგრამ უძლებს ხალხი.

გმირი ვაჟი, გმირი ქალი!... რა ცოტა ასობია ამ სიტყვებში, თანაც, მეორე მხრით, რამდენი აზრია მათში? რომელ რომანისტს არ უმტვრევია თავი ამ სიტყვებზე? „ახალი გმირი ქალისა და ვაჟის მოძებნა“ ისეთივე მამაცობაა, როგორიც ოდესღაც კოლუმბმა გამოიჩინა. რამდენი კალამი გაცვეთილა, რამდენი ქალაქი გაფუჭებულა ამ ერთი შეხედვით ფუჭი საკითხის გადასაწყვეტად!... სად ვიპოვო გმირი? მიწიდან ხომ ვერ ამოვთხრი, ანდა ჰაერისგან ხომ ვერ შევთხზავ!

ჩემი გმირი ვაჟი, ფედია ისავეი ფიტის გიმნაზიაში სწავლობდა სახელმწიფო ხარჯზე მყოფ პანსიონერებს შორის. თუ როგორ მოჩ-

და ეს ამბავი — მდიდრის, თითქმის მილიონერის შვილის მიღება აღსაზრდელად სახელმწიფო ხარჯზე — ძნელი გამოსაცნობია; ამბობდნენ, რომ მისმა მამამ მისწერა ბარათი ღირექტორს და სთხოვა რაიმე ელონა მისი შვილის პანსიონში მიღებაზე, რომ ღირექტორმა ურჩია ისაევე თავისი უფროსისათვის გამოერთმია სიღარიბის მოწმობა და შემდეგ ახალგაზრდა ისაევი სახელმწიფო ხარჯზე მყოფ პანსიონერებში ჩარიცხა. ყველაფერი ეს ზღაპარივით სწრაფად ითქმის, მაგრამ ასევე ჩქარა არ კეთდება...

ისაევის პანსიონში ცხოვრება საკმაოდ ასატანი იყო. ყოველდღე არ სცემდნენ (როგორც სხვა გიმნაზიელებს), ძლიერ ბევრი რამ ეპატიებოდა, გაკვეთილებს მეტად ბეჭითად სწავლობდა, მაშასადამე, ყველაფერი მეტად კარგად მიმდინარეობდა. უფროსები მის საქციელს სხვა მოსწავლეებს ნიმუშად უჩვენებდნენ, მისი კეთილი საქციელისა და კარგი სწავლის შესახებ მის მშობლებს მუდამ აცნობებდნენ; მისი სახელი გიმნაზიაში დღეობით კი არა, საათობით იზრდებოდა ისე, რომ მას ძლიერ კარგი პირობები ჰქონდა. ასე მიდიოდა დრო გიმნაზიის მესამე კლასამდე. მესამედან მეოთხე კლასში გადასვლისას ისაევმა ჯილდოდ მიიღო ფურმანის წიგნი: „გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინი, მოთხრობა ბავშვთათვის“. დასურათებული წიგნი, ამას გარდა ლამაზ ყდაში ჩასმული, პატარა იყო და ჰქონდა საყმაწვილო წიგნის მორთულობანი. ყველა ამან მიიზიდა ისაევი და წიგნი თავიდან ბოლომდე წაიკითხა. არა სახელმძღვანელო პირველი წიგნის წაკითხვის შემდეგ იგი ისე გაერთო ამგვარი კითხვით, რომ სხვადასხვა წიგნებს ვერ აცილებდნენ. ამ დროს ის 14 წლისა იყო, თუ ცოტა მეტისა არა. ამხანაგს, რომელსაც აგრეთვე ჯილდოდ წიგნი ჰქონდა მიღებული, გამოართვა, აგრეთვე ფურმანის: „ალექსანდრე ვასილის ძე სუვოროვი“ და ეს წიგნი ორ დღეში წაიკითხა. კითხვა მალე მის მოთხოვნილებად იქცა და მან გვერდზე მიაგდო გაკვეთილების აღრიხდელი გაზეპირება. ცხადია, ასეთ კითხვას არ შეეძლო მის გიმნაზიურ სწავლაზე გავლენა არ მოეხდინა: გაკვეთილები მეორე რიგის საქმედ იქცა და ჩვენი ისაევი აღსაზრდელთა პირველი თანრიგიდან მკვირცხლად გადახტა მეორეში, შემდეგ კი მესამეში... მაგრამ ეს განყოფილებები არსებობდა მხოლოდ მასწავლებელთა გონებაში, მოსწავლეთა ყოველდღიური მოსწრების ყურანალებში კი ისაევი მაინც იღებდა ხუთიანებს; მის საბედნიეროდ განსაკუთრებით იშვიათად ეკითხებოდნენ, რადგან მასწავლებლებს მისი სჯეროდათ.

წიგნის კითხვა ისაევისათვის გადაიქცა დასვენებადაც და მეცადინეობადაც. დღეცა და ღამეც, სასწავლო და უქმე დღეებშიც იგი

სულ კითხულობდა, ცხადია კარგსაცა და ცუდსაც — განურჩევლად. ჭერ მან წაიკითხა ყველა წერილი ჩისტიაკოვის „ეურნალდლია დეტეი“-ში, შემდეგ ხელი მიჰყო გასული წლების „ეივოპისნი სბორნიკს“, „ილუსტრაციას“, ბოლოს მიადგა „რუსკი ვესტნიკს“.

ასე გაიარა მთელმა წელიწადმა. გამოცდებიც მოახლოვდა. ისაევმა ჩაიხედა თავის თავში. აი, გამოცდებიც დადგა და მე კი გიმნაზიის საგნებიდან ანაბანაც არ ვიციო!.. ასე შეიძლება ამავე კლასში დამტოვონო. დარჩენისა კი ცეცხლზე უარესად ეშინოდა. მან სახელი გაითქვა როგორც ბეჯითმა მოსწავლემ, მასში ყველა ხედავდა დიდ შესაძლებლობებს, ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მისი შურდათ და ახლა უცბად ტალახში ამოითხვაროს, დამტკიცდეს, რომ იგი არა არის რა, თუ არა ერთი უკანასკნელთაგანი ზარმაც გიმნაზიელთაგან! მასში თავმოყვარეობამ გაიღვიძა, უნდოდა დასწეოდა თავის ყველა ამხანაგს, მიეღო ჭილდო, ქების ფურცელი.

გიმნაზიაში გაკვეთილებს წიგნებში უნიშნავდნენ, მაგრამ რომ მოსწავლეებს ყველაფერი არ დაეხეპირებინათ, მასწავლებლები ამოშლიდნენ და წაშლიდნენ ხოლმე რაც საჭირო არ იყო: ასეთ წიგნებს, სადაც საჭირო გამოუყენებლისაგან იყო გამოყოფილი, „აღნიშნულებს“ უწოდებდნენ. ჩემს გმირს კი წიგნები აღნიშნული კი არა, გაჭრილიც არ ჰქონდა, მაშ იმისთვის, რომ ესწავლა და გამოცდებისათვის მომზადებულყო, წიგნის გვერდები უნდა აღენიშნა. მაგრამ, უბედურება ის იყო, რომ ფრიადოსანი მოსწავლეები, ე. ი. ისინი, ვინც ბეჯითად იხეპირებდნენ გაკვეთილებს, ერთმანეთში არ იყვნენ კარგად განწყობილნი, რადგან მათში ჯიბრი, კონკურენცია იყო ჩამოვარდნილი. როგორმე ამხანაგი რომ გზიდან აეცდინათ, გზა გადაეღობათ მისთვის წარჩინებისა და ჭილდოებისაკენ, მას ხელს უშლიდნენ გაკვეთილების აღნიშვნაში, წიგნს არ ათხოვებდნენ და ყოველგვარ ფანდებს ხმარობდნენ მოქიშპის დასამდაბლებლად. ამას სჩადიოდნენ ფრიადოსანი მოსწავლეები, დანარჩენები კი, ე. ი. უდიდესი უმრავლესობა, რომელნიც ასე არ იყვნენ გარყვნილნი, ფეხის ასე გამოდებას არ მიმართავდნენ. სამაგიეროდ, მათ არ ჰქონდათ „აღნიშნული“ წიგნები, იმის გამო, რომ გაკვეთილებს ყოველთვის არ სწავლობდნენ. ისაევეს ან უნდა მოეპარა წიგნი რომელიმე წარჩინებული მოსწავლისათვის, ან ყველა წიგნი თავიდან ბოლომდე გაეხეპირებინა, ან ყველაფერი გვერდზე მიეყარა. იგი წიგნს მოიპარავდა პატარა შესაძლებლობაც კი რომ ჰქონიყო, მაგრამ მის საუბედუროდ ყველა წარჩინებული გიმნაზიელი გულმოდ-

გინედ მალავდა თავის წიგნებს. მაშ გამოცდებისათვის გულხელდაკრეფილი უნდა ეცადა, ან ყველაფერი დაეზეპირებინა.

ისაევმა უკანასკნელი ირჩია.

ბოლოს დადგა გამოცდების დრო. სამკვდრო-სასიცოცხლო საქმე იყო: მოსწავლეები ისე იდგნენ არეოპაგის წინაშე, თითქოს სიკვდილ მისჯილი არიანო, ფერდაკარგულნი, საშინელი ცივი ყრუანტიელი უვლიდათ, რაც კანს უბუძვავდა. არეოპაგი მთელი თავისი შემადგენლობით მაგიდას შემოსხდომოდა: თავმჯდომარის ადგილი დირექტორმა დაუთმო გუბერნიის მთავარ სასულიერო პირს, სასულიერო პირის მარჯვენა მხარეს გუბერნიის მთავარი უფროსი დაბრძანებულიყო, განათლებულ „განსაკუთრებულ მინდობილობათა ჩინოვნიკებით“, საპატიო სტუმრები სასულიერო პირის მარცხნივ ჩამწკრივებულნი იყვნენ; მასწავლებლები და სხვა მსწავლუნი, დირექტორისა და ინსპექტორის მეთაურობით, მოშორებით იხდნენ, აღსაზრდელებთან ახლოს; ეს უკანასკნელები ისე წყნარად იყვნენ, რომ ბუზის გაფრენას გაიგებდა კაცი. ერთი სიტყვით, საზეიმო წუთი იდგა.

მოწაფეებს ანბანის რიგზე იძახებდნენ. უბედურ გიმნაზიელს, რომლის გვარი იწყებოდა ასოებით ა ბ ა, ისეთი ქარ-ცეცხლი გადაეტანა, რომ ოფლი წურწურით გასდიოდა. ცხადია ის ჩაიჭრა. მას მიპყვებოდნენ დანარჩენები; ყველას, გარდა მცირე გამონაკლისისა, მისი ხვედრი ელოდა. ეს გამონაკლისები იყვნენ „წარჩინებულნი“ მოსწავლეები. მაგრამ იმათაც ვერ გაუძლეს მას და ხუთიანის მაგიერ, სამი და ოთხი ბალი მიიღეს. ამ მდგომარეობამ მოსწავლეებში შეღონება გამოიწვია. ბოლოს გამოიძახეს ისაევი. მოსწავლეთა დაძაბულობა თანდათან ნელდებოდა, ისე, რომ ისაევის გამოძახებისას მოსწავლეები, განსაკუთრებით „წარჩინებულები“, ერთმანეთსაც კი უცინოდნენ: ყველა დარწმუნებული იყო, რომ ისაევი პირველ სიტყვაზევე ჩაიჭრებოდა.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისაევმა გაუძლო: მიუხედავად იმისა, რომ მას ძნელი საკითხები ხვდა წილად, და იმისიც, რომ გამომცდელები ცდილობდნენ ერთმანეთისათვის გაესწროთ ნასწავლობაში, — ისაევი ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა. მისი გამოცდა სამშეოთხედ საათს გრძელდებოდა; ასეთი ხანგრძლივი წვალება გიმნაზიის გამოცდების ისტორიაში უჩვეულო იყო...

სასულიერო პირი, გუბერნიის მთავარი უფროსი და გიმნაზიის საპატიო მზრუნველი ისე მაღლობლები იყვნენ ისაევისა, რომ ინებეს იგი თავისთან მიეყვანათ, თავზე ხელი გადაესვათ და ზომანზე მეტად შეექოთ. სამღვთო სჯულის მასწავლებელი სიამოვნებისაგან

ხელებს იფშვნეტდა, დირექტორი თითქმის ხტოდა თავის სკამზე: ორივეს უხაროდა, რომ გიმნაზიელების უმეტესობისაგან შელახული გიმნაზიის სახელი ისაევმა გადაარჩინა.

რასაკვირველია, ყველაზე მეტად უხაროდა ისაევს: ასეთი ბრწყინვალე წარმატებით მისი თავმოყვარეობა დაკმაყოფილდა და თავისი ღირსების შეგნებით დაბრუნდა ადგილზე.

ასეთივე წარმატება გამოიჩინა მან სხვა დანარჩენ გამოცდებზეც, ისე, რომ გამოცდების დასასრულს გიმნაზიელები იძულებულები იყვნენ ეღიარებინათ, რომ ისინი ისაევისაგან ისე შორს იყვნენ, როგორც ცის ვარსკვლავებისაგან.

მაგრამ ისაევის ზეიმი ამით არ დამთავრდა: საზეიმო გამოშვების აქტზე მას საჩუქარი მისცეს: მდიდრულ ყდაში ჩასმული „რობინზონ კრუზოს“ ორი წიგნი, ქების ფურცელი და, ყველა ამას გარდა, მისი სახელი ოქროს დაფაზე აღბეჭდეს.

V

ისაევი, ჩია რომ არა ვთქვათ, სუსტი აგებულების კაცი იყო: მასში არ ღვიოდა იმ ცეცხლის ნაპერწკალიც კი, რომელიც ბევრს ახალგაზრდას ათბობს, მატებს მას დამოუკიდებლობასა და ენერჯიას. თუმცა ზოგჯერ მასში გამოიკიაფებდა ენერჯიის სუსტი ნიშნები, მაგრამ თვითონ თითქოს ეშინოდა კიდევ ამისი... რისგან წარმოსდგებოდა ხასიათის ეს სისუსტე — მე არ ვიცი, მაგრამ მას რომ თავისი ამხანაგების უმეტესობის ენერჯია და დამოუკიდებლობა ჰქონოდა, მაშინ საზოგადოების ერთ-ერთი საუკეთესო წევრი იქნებოდა. გარეშე წიგნებს იგი დიდი, განსაკუთრებული სიამოვნებით ეწაფებოდა, მაგრამ უფროსებს ან მშობლებს რომ ებრძანებინათ: შეეწყვიტა კითხვა, მე ვერ შეგპირდებით, რომ არ აესრულებინა ბრძანება. ყოველწლიურად გამოცდებისათვის მძიმე მზადებისას კი ხელ უფროდაუფრო კარგავდა უნარს, მეხსიერება დალატობდა. მასში განვითარებულმა მეოცნებობამ უკანასკნელი ძალები ჩაუტლა — აღარც წყალი იყო და აღარც ღვინო, აღარც ბეჭითი გიმნაზიელი, აღარც შემძლე ლტოლვილი: ისიც იყო და ესეც...

როცა მეხუთე კლასში გადავიდა, მასში დაიწყო სულიერი ბრძოლა ძველ შეხედულებებთან, რომელნიც ბავშვობიდან ჰქონდა შეთვისებული. ეს ბრძოლა როგორც მისთვის გამოურკვევლად დაიწყო; არავის არ უბიძგებია ასეთი ბრძოლისაკენ, არავის არ შთაუწერგავს რაიმე აზრი ძველ შეხედულებათა მერყეობაზე, არავინ არ შეჰკითხვია ამ ცნებებზე, თუ საიდან გაჩნდა აზრის ეს დაჰიმული მოქმედება, საიდან მიიღო ბიძგი და წყარო ასეთმა გაძლიერებულმა.

მუშაობამ?... დიდხანს გრძელდებოდა მისი წამება, დიდხანს გრძელდებოდა ეს მუშაობა, რომელმაც ისაევს გამოაცალა არაქათი, მაგრამ საბოლოოდ იგი გამარჯვებული გამოვიდა. ასეთი მუშაობით ერთ წელიწადს ის გამოიფიტა, სახემ რაღაც არაჩვეულებრივი სიმკრთალე შეიძინა, რაც სულაც არ ჰგავდა ოცნებით გამოწვეულ ფერმკრთალობას, იგი-დღეობით კი არა, საათობით იზრდებოდა, მას ცოტა ენერგია და დამოუკიდებლობა მოემატა — მაგრამ ასეთ ბრძოლაში მან ბევრი საუკეთესო ძალა დაკარგა, რაც აღზრდის სხვაგვარი სისტემით შეიძლებოდა თავიდან აცილებულიყო... ბოლოს კრიზისმა გაიარა, მან გამოცოცხლება დაიწყო, ძალები უბრუნდებოდა, — მაგრამ ამ დროს ერთი ჩვეულებრივი შემთხვევა მოხდა, რამაც დაღუპა ჩვენი გმირი. ეს გარემოება ჩვენ უკვე ვიცით, მას აქვს მშვენიერი ელენე სამსონის ასული ლეკიმოვას ფორმა...

ისაევს ელენე სამსონის ასული შეუყვარდა.

ეს შემდეგნაირად მოხდა...

ისაევი ელენე სამსონის ასულს ძლიერ ხშირად ნახულობდა; ერთი კვირა დღეც არ გაივლიდა, რომ იგი არ ენახა ან მისი მშობლების სახლში, სადაც ისაევი ხშირად დაიარებოდა, ანდა თავის მშობლების სახლში, სადაც ელენე სამსონის ასულის მშობლები არაიმეფიათად დადიოდნენ. ჩვიდმეტ წლამდე ისაევი ელენე სამსონის ასულზე ძლიერ ცოტას ფიქრობდა, მაგრამ როცა რომანების კითხვამ მისი აზრის მოძრაობა უფრო გრძნობებისაკენ მიატრიალა, ვიდრე სხვა რაიმესაკენ, როცა იმაზე დაიწყო ფიქრი, რომ ვინმე უნდა ჰყვარებოდა, ელენე სამსონის ასული სულ უფრო და უფრო იჭერდა ადგილს მის წარმოსახვაში. სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ, მასში მეტად განვითარდა პოეტური მხარე, წარმოსახვა სჯაბნიდა ისაევის სხვა რაიმე ფიქრს, ამას დაემატა მაიკოვის, ტურგენევის და სხვა მათი მსგავსი მწერლების პოეტურ ქმნილებათა გავლენა. ადვილი წარმოსადგენია როგორ აუჩქროლდა მას ახალგაზრდა, სიცოცხლეს მოწყურებული გული. მთელი მისი ფიქრი მან დაიპყრო, იგი გადაიქცა მის იდეალად, ანგელოსად და მეგობრად... თუმცა სინამდვილეში ელენეც ცოტას საუბრობდა მასთან, რადგან იმ დროს პეტენკათი იყო გატაცებული.

სწორედ იმ დღეს, როცა უბედური განწირული საქმრო ელენე სამსონის ასულს თავის სიყვარულს უმტკიცებდა, ელენეს დედამ ერთერთი თავისი ნაცნობისაგან წერილი მიიღო. ამ წერილს ზოგერთი ინტერესი აქვს ჩემი მკითხველებისათვის და ამიტომ მთლიანად მომაქვს:

„საყვარელო და დაუფასებელო ანა ვასილის' ასულო! ვერ ვი-
ფიქრებდი, რომ შენთან ასეთი წერილის მოწერა მომიხდებოდა,
მაგრამ რა ვქნა, ალბათ ასეთია ბედი: მომდგომია ჩემი ფედია—და
ჩამჩიჩინებს — გინდა თუ არა მისწერეო. ჩემო სულო, იმას უყვარს.
შენი ელეჩკა, ისე უყვარს ელეჩკა, ისე უყვარს, რომ უღმისოდ გაძ-
ლება არ შეუძლია. ყოველ დღე, ყოველ საათს ერთსადიამევეს მეუბ-
ნება: „თქვენ წამართვით ბრწყინვალე მომავალი; არ გინდოდათ გა-
გეშვით უნივერსიტეტში, მაშ მომიყვანეთ ის, ვიზეც ჩემი ბედნიერე-
ბა არის დამოკიდებულიო“. ჩემო სულო, აღასრულე ჩემი თხოვნა, გა-
დაეცი სამსონ პეტრეს ძეს ფედინკას წინადადება. იქნება სამსონმა.
უარი არ გვითხრას. ფედინკა ელოდება შენს პასუხს. — შენი მოსი-
ყვარულე სალომე ისაევისა“.

იმავე დღეს ქმართან მოლაპარაკების შემდეგ ანა ვასილის ასულ-
მა ჩამოიარა ნაცნობები და ნათესავები და მოიპატიჟა თავისთან.
ისაევის შუამავლობის საზეიმოდ გამოსაცხადებლად.

თავისთავად ცხადია, რომ ისაევს ღიძხანს არ უცდია თავისი
ბედის გადაწყვეტის პასუხისათვის (ყოველ შემთხვევაში იმას ეგო-
ნა, რომ საქმე ეხებოდა მის ბედსა და ბედნიერებას).

— როდის იყო აქ, რა დროს? — ეკითხებოდა გაოცებული დედა
(ამ საუბრის დასაწყისი იხილე მესამე თავის ბოლოს).

— ორ საათზე მეტი არ იქნება... რად გიკვიროთ ასე ძლიერ?
დედიკო სდუმდა. იგი აზრებს იკრეფდა.

— დედასთან ერთად იყო? — ჰკითხა მან ბოლოს.

— დედიკო, იმას ხომ დედა არა ჰყავს, ის ხომ მარტოხელია.

— ვინა?

— ისა...

— ვინ არის ისა? — იკითხა დედამ და თანაც მიხვდა თავისა და
თავის ქალიშვილს შორის გაუგებრობას.

— ბელოვზოროვი...

— ვინა!?... რომელი ბელოვზოროვი? რამდენჯერ გვითქვამს ჩვენ
იმისთვის, რომ სახლში სამადლოთ ვუშვებთ? ახლა რაღა ვქნათ, რო-
ცა ყველა ვიგინდარას შენი ქმრობა სწადიან!...

ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რას გრძნობდა ელენე სამსო-
ნის ასული: დაინგრა მისი ოცნებები, დაინგრა სამყარო, რამდენიმე
წუთის წინ მისი ყინიანი ფანტაზიის მიერ წარმოსახული... აღარაა
იმედი ცოლად გაჰყვეს ამდენად ნაწამებ აღამიანს... ამ ერთ წუთში
მის შეგნებაში ბელოვზოროვი მთელი ერთი საყენით გაიზარდა:
იგი მას ეჩვენებოდა ღარიბად, რომელსაც შეჰყვარებია მდიდარი
ქალი, შეჰყვარებია წმინდა, პლატონური სიყვარულით, საცოლეს

ამაყი მშობლების მიერ გაწვილებულად. უცბად ელენე სამსონის ასულის თავში მთელი რომანი წარმოიმართა, ნაზი, მტრედისფერი კვანძით, ხმამაღალი მითქმა-მოთქმებით, რომელნიც აფერხებდნენ ორი, ურთიერთის მხურვალე მოსიყვარულე. გულების დაასლოებაჲ და ბოლოს, მშვიდობიანი დასასრულით. დაბრკოლებანი სულ უფრო და უფრო რთულდებოდა, მაგრამ ყოვლის მძლე სიყვარულმა გადალახა ეს დაბრკოლებანი და, აი, ისინი, უანგარო და უბედური, „ღარიბი ახალგაზრდა ვაჟი“ და აღმოდებელი, ვნებიანად შეყვარებული მდიდარი ქალიშვილი ერთდებიან... აღტაცება, სიყვარული აგიზგიზდა...

— დედიკო!... ელენე სამსონის ასულმა რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ შეკრთა; თუმცა ხუთიოდე წუთის შემდეგ მან კვლავ წარმოსთქვა:

— დედიკო! ძლიერ ვუყვარვარ!... მეც...

— ილაპარაკე ახლა, ვითომც ბევრი გესმის სიყვარულისა; როგორ, შენ უმანკო ბავშვი ხარ... აი, თუ უყვარხარ, ვის უყვარხარ! აი ვისი სიყვარული შეიძლება იყოს პატიოსანი — ისავეისა... იგი არ ხარბდება შენს სიმდიდრეს, იმას ყველა მდიდარი სიამოვნებით გაატანს თავის შეილს ცოლად; ამ გაიძვერა ბელოვზოროვიჩა გუშინ სიდოროვებისაგან უარი მიიღო, დღეს ჩვენთან მოვიდა — ჩემგან პეტროვებთან წავა... ის ცოლს კი არა, ფულს ეძებს, ისავეისა კი — ღმერთო შენითა, თავისიც ვერ დაუთვლია, არამც თუ სხვაგან ეძებოს... ასე, რომ ჩემო ელეჩკა... გაწყენინა იმ საზიზღარმა ბელოვზოროვიჩმა... გიყვარდეს ელეჩკა, ფედინკა, მას შენ ძლიერ უყვარხარ, ეცადე გული მოუგო, ნუ გაჯიუტდები... ერთი სიტყვით, ისე ჭკვიანი მყევხარ, რომ დარიგება არ გჭირდება... ნასწავლს სწავლა მხოლოდ აფუჭებს... აბა მაკოცე...

ელენე სამსონის ასული გაოგნებული იყო: საწყალი ბელოვზოროვი, სიყვარულის გიგანტი, ექვემდებარებოდა ასეთ საზიზღარ საქციელში — საცოლეს მზითვის ძებნაში. სადღაა ამის შემდეგ სამართალი, სადაა სიმართლე?...

პირველი, რაც მოიმატებოდა ელენე სამსონის ასულმა, იყო ის, რომ დაემხო ლოგინზე და წასკდა ცხარე ტრემლი, იგი მზად იყო მთელი თავისი ბედნიერება შეეწირა მისთვის, ვინც ბელოვზოროვის პატიოსნებაში დაარწმუნებდა, მას ენანებოდა მოეცილებინა ის ოცნება, რომელიც მას ბელოვზოროვის ჭეშმარიტი სიყვარულისა და პატიოსნების გმირად წარმოუდგენდა. მაგრამ ბელოვზოროვის გვერდით დგებოდა ისავეისა სურათი და, მართალი უნდა ითქვას, ბელოვზოროვი ბევრს აგებდა ასეთი შედარებით. ყოველ წუთს ისავეი

იგებდა ელენე სამსონის ასულის აზრში — წრფელი მისი სიყვარული ცხადი იყო: იგი სიმდიდრეს არ გამოეკიდებოდა, იმიტომ, რომ თავადაც ფული სახვეტი ჰქონდა. — ამასთან, ელენე სამსონის ასულს გაახსენდა, რომ ისავეი დიდი ხანია რალაცას ეუბნებოდა, ძლიერი ბრძნულს, სიყვარულსა და ტანჯვაზე, სწორედ ისეთებს, როგორებიც მას რომანებში შეხვედრია ხშირად. მაშასადამე, მას ვუყვარვარო, ფიქრობდა ელენე სამსონის ასული, თორემ ამისთანა სიტყვებს როგორ მეტყოდა? ბელოვზოროვი, ბოლოს და ბოლოს, საბოლოოდ დაეცა, მის შესახებ აღარც კი ფიქრობდნენ — და თუ ფიქრობდნენ, კარგს არაფერს.

თუმცა, მალე ელენე სამსონის ასულს მოსწყინდა ფიქრი და ამიტომაც უკანასკნელ აზრზე შეჩერდა: „ბელოვზოროვს ბევრისთვის უთქვამს ცოლად შერთვაზე, ისავეს კი არა, მაშასადამე, ისავეს ვუყვარვარ, სილამაზით ისავეი უკეთესია ბელოვზოროვზე, გარდა ამისა, ქორწილი იქნება სულ მალე... რაც მოხდება, მოხდეს. ალბათ მხოლოდ კარგი რამ მოხდება... მიყვები ისავეს...“

ეს იყო ელენე სამსონის ასულის უკანასკნელი აზრი. ამით ის მივიდა დედასთან და კისერზე ჩამოეკიდა... ამას მოჰყვა ქალიშვილსა და დედას შორის სიყვარულის გამომჟღავნება.

— მე... მიყვარს ის! ფედინკა... ისეთი კეთილია...

— გიყვარდეს, გიყვარდეს, ჩემო ბავშვო!... ღმერთმა გაკურთხოთ! ჩემო საყვარელო, უფროსებს გაუგონე, ჩვენ შენზე გამოცდილები ვართ, შენთვის ცუდს არ მოვინდომებთ, გეტყვით მხოლოდ სიმართლეს... ასეა, ჩემო ბავშვო, ჩემო დაუფასებელო საუნჯეე...

ამ დროს სამსონ პეტრეს ძე ლეკიმოვის ფეხის ხმაც გაისმა. ანა ვასილის ასული იმწამსვე გაეშურა მისკენ ქალიშვილის ქორწილის საკითხებზე რჩევისათვის, ელენე სამსონის ასულს კი უბრძანა დაესვენა.

სამსონ პეტრეს ძე თავის ცოლზე ნაკლებს არ ზრუნავდა; ისავეი მდიდარი კაცი იყო, კარგ გზაზე დამდგარი — იგი განსაკუთრებულ დავალებათა ჩინოვნიკის თანამდებობას უმიზნებდა, — მდიდარი იყო, ნასწავლი — მეტი რაღა იყო საჭირო? რომელი პარტია იქნებოდა უკეთესი? მამამ ქალიშვილს მიუხზო თავისთან, გადაჰკოცნა როგორც რიგი იყო, დალოცა და წავიდა სამზადისის შესახებ განკარგულებების გასაცემად.

მკითხველს არ დაეტანჯავ ქორწილის სამზადისის, მოლაპარაკებისა და სხვა მისთანა ზეიმების აღწერით — ეს ყველაფერი საქმეს არ შეეხება. ვიტყვით მხოლოდ, რომ როგორც ისავეი, ისე ისავეის

ჰომავალი მეუღლე, ელენე სამსონის ასული, თავისი ბედნიერებით სრულიად კმაყოფილნი იყვნენ — და ზეიმების დასასრულს მოუთმენლად ელოდებოდნენ. დიდი სამზადისის დროს ისინი ურთიერთის ყურებით ვერ გაძლნენ და ზოგჯერაც ერთმანეთს კოცნიდნენ. ელენე სამსონის ასულს უყვარდა ისაევის ქერა ხუჭუჭი თმის მიაღერებმა, მისი ღია ფერის უღვაშების გრეხა და ქილვაშებზე ხელის დასმა. თავის მხრივ ისაევი ელენე სამსონის ასულს კუპრივით შავ თმაზე ხელს უსვამდა, ეთამაშებოდა მის საყურეებს და ჰკოცნიდა ხელებზე. ერთი სიტყვით ყველაფერი რიგზე იყო.

ბოლოს მდიდრული ქორწილი გადაიხადეს: ფიტის მთელმა დიდ-კაცობამ თავის ვალად ჩათვალა დასწრებოდა ისეთ საგვარეულოთა წევრების შეუღლებას, როგორებიც იყვნენ ლეკიმოვები და ისაევები, ამიტომაც, ფიტში არ იყო ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვანი ადამიანი, ქორწილს რომ არ დასწრებოდა. ლეკიმოვის უზარმაზარი სახლი ძლივს იტევდა სტუმრებს. ქეიფი სამ დღეს გრძელდებოდა. საქორწილო ქეიფიდან ერთი კვირის შემდეგ ახალგაზრდებმა ვიზიტით ჩამოიარეს ყველა ბრწყინვალე პიროვნება და ნათესავები და შემდეგ დაიწყეს ახალი ოჯახური ცხოვრება.— დადგა „თაფლის თვე“.

V I

ისაევი გიმნაზიაში უფრო გარეშე წიგნების კითხვით იყო გატაცებული, ვიდრე გაკვეთილების უაზროდ ზეპირობით, და წიგნებმა ისაევზე საკმაოდ კარგი გავლენა იქონიეს: გუბერნიის შეხუთულ ატმოსფეროში იგი სულით არ ჩამოჰქნა, მას სურდა სიცოცხლე და ფიქრი და იგი მეტად სერიოზულ საგნებზე ფიქრობდა. ამ თავისუფალ დროს, ე. ი. გიმნაზიის კურსის შესრულების შემდეგ, მან ძლიერ ბევრი საქმიანი სტატია და წიგნი გადაიკითხა, რამაც მას გონება აღმოძრავა, მაგრამ ამ მოძრაობამ არ მოკლა იგი, როგორც ოცნებები კლავენ ხოლმე ადამიანს, პირიქით, მუშაობა მას საშუალებას აძლევდა შესჩვეოდა გუბერნიის ცხოვრების უსინარულო პირქუშ მდგომარეობას. დღითიდღე ის უფრო და უფრო აკვირდებოდა პროვინციულ საძაგლობას, ირკვევდა თავისთვის — რა იყო კარგი და რა ცუდი ირგვლივმყოფებში, ცდილობდა ყველაფერ უკეთურისაგან გათავისუფლებულიყო; ერთი სიტყვით, იგი თავის საკუთარ პიროვნებაზე მუშაობდა. გარდა ამისა მასში ენთო მეორე სურვილიც — სურვილი თუნდაც მცირე სარგებლობის მოტანისა დაზარალებული და შევიწროებული ადამიანებისათვის. ეს სურვილები ყოველ დღიურად იზრდებოდა, რადგან მას გააჩნდა ქონება, რაც

ნებას აძლევდა ერთი ლუკმა არსობის პურიისათვის ძალა არ დაეტანებია თავისათვის. მაგრამ ეს სურვილი ხშირად ჩერდებოდა ხოლმე ენერგიისა და დამოუკიდებლობის უკმარისობით.

ისავეს შეგნებული ჰქონდა, რომ იგი ადამიანთა პირველ ათეულში არ იდგა, რომ დიდი ნიჭის პატრონი არ იყო, და რომ არ ჰქონდა არც ნატამალი ენერგიისა და დამოუკიდებლობისა. ეს შეგნება სპობდა მის თავმოყვარეობას. მას სურდა უპირველესი ადამიანი ყოფილიყო, მოუღრეკელი ნებისყოფით, არაჩვეულებრივი გონებით და გენიოსის სხვა ამგვარი ღირსებებით. საქმეს იგი სიფიცხით ჰკიდებდა ხელს; დასაწყისში მართლაც ცხოვლად კეთდებოდა ეს საქმე, მაგრამ წააწყდებოდა თუ არა სულ უმნიშვნელ დაბრკოლებას, მასში იბადებოდა შეგნება, რომ იგი სუსტი ადამიანია და რომ ასეთი სამუშაო მის ძალ-ღონეს აღემატება. ამ შეგნებისაგან, რასაკვირველია, საქმე არა თუ იგებდა, არამედ პირიქით, სრულიად ჩერდებოდა და გვერდზე გადაიდებოდა. საქმეს რომ მიაგდებდა, ისავეი დაიწყებდა საკუთარი თავის წამებას, თავის თვის მხილებას სულმოკლეობაში, სიმხდალეში და ა. შ., იმედი ჰქონდა, რომ ეს თვითმხილება გამოსწორებაში დაეხმარებოდა, მაგრამ რადგან გამოსწორება მეტად ზანტად მიიწევდა წინ, მაშინ მან საკუთარი თავისადმი რწმენის ნარჩენებიც კინაღამ დაკარგა.

ფიტში დარჩენილმა ცოლის შერთვა გადაწყვიტა. ფანტაზია მას წარმტაც სურათს უხატავდა: მის გვერდით იქნება ის, რომელსაც შეეძლება ერთი სიტყვით ან ერთი შეხედვით შთაბეროს მას ენერჯიაც, დამოუკიდებლობაც და ვაჟკაცობაც; თითონ იშრომებს, ცოლი კი მხარში ამოუდგება მას, წარმართავს შრომისაკენ, დააწყნარებს, შრომის ახალ ძალებს ჩაუნერგავს, ბოლოს შრომაშიც დაეხმარება... რა ბრწყინვალე პერსპექტივაა! სურათი ღირსია ჩვენი დიდი მხატვრების ყალმისა...

სიყვარული იზრდებოდა, ისავეი მხოლოდ ელენე სამსონის ასულზე ფიქრობდა და, თავისთავად ცხადია, საქმეებს ხელი შეუშვა, არაა გასაკვირველი თუ ეჩვენებოდა, რომ მისი შთაგონების გარეშე არ შეეძლო შრომა, ერთი სიტყვით, უიმისოდ ცხოვრება. რაც უფრო მეტს ფიქრობდა ისავეი თავის სიყვარულზე, მით უფრო იზრდებოდა და ძლიერდებოდა იგი. ბოლოს, როცა იგრძნო, რომ ელენე სამსონის ასულის სიყვარულმა დაიპყრო მთელი მისი გონება, რომ ამ სიყვარულისაგან მთელი მისი საქმიანობა შეწყდა, გადაწყვიტა განდობოდა. არა ერთხელ და ორჯერ უთქვამს მისთვის თავის სიყვარულზე, ელენე სამსონის ასულთან სიყვარულის ახსნისას არაერთი უწმაწური რომანიული ფრაზა მოსწყვეტია მის ენას,

მაგრამ ამ ფრაზებს ის მოქმედება არ ჰქონდათ, როგორც მას სურდა. ელენე სამსონის ასული ბელოვზოროვზე და მის მსგავს გმირთა შესახებ ოცნებობდა და მორიდებული ახალგაზრდა კაცის ძიებანი მისთვის გაუგებარანი რჩებოდნენ... მწარე იყო ამის შეგნება ისაევისათვის, გულის სიღრმეში მას არ სურდა დარწმუნებულიყო. რომ „არ უყვარს მას“, მაგრამ ამის შეგნება მაინც გაუჩნდებოდა: ხოლმე ელენე სამსონის ასულთან ყოველი შეხვედრის შემდეგ. რამდენი წამებით აღსაგებ ღმერთს გაატარა მან ამ შეგნებასთან: ზრძოლაში და რამდენი ცრემლი დაღვარა — მხოლოდ მან იცოდა. მაგრამ ბოლოს ბედმა მაინც გაუღიმა: ერთ უძილო ღამეს მას მოეჩვენა, რომ ელენე სამსონის ასული ჭერ კიდე უმანკო ბავშვია. რომელსაც არ გააჩნია რაღაცთარი შეგნება სიყვარულისა და წამებისა და, რომ შეიძლება, ამიტომ მას ვერ გაუგია ამისი; ამ ფიქრს მოჰყვა პეოლე: რადგან ელენეა ჭერ ბავშვია, ამიტომ მას ჭერ არ უსწავლია სიყვარულის გამოთქმა; ცხადია, მის ასაკში სასაცილოა არ უყვარდეს, მაგრამ, ერთია სიყვარული, ხოლო მეორე ამ სიყვარულის გამოთქმა. ისაევი ამ აზრს შეურიგდა. უცბად ყველაფერი შეიცვალა. სიცოცხლესაც ელენე მიეცა და ისიც დიდკაცური ცხოვრებისაგან ჭერ კიდე შეურყვნელ, უბიწო, წმინდა ანგელოზად წარმოუდგა. ისაევს დიდხანს არ უფიქრია: გადაწყვიტა რომ მისი მოწოდებაა გამოჰკლიჯოს დიდკაცურ გარყვნილებას ეს უმანკობა, აუხსნას მას სათნობა, განავითაროს იგი და მისგან შექმნას თანაშემწე. ბრწყინვალე მომავალია, განა არა?

იგი ოცნებობდა იმაზე, თუ როგორ დაჯდებოდა თავის მყუდრო კაბინეტში და იშრომებდა საერთო სასარგებლო საქმისათვის, ის კი მისი ცოლი და მეგობარი, როგორ შთააგონებდა სასარგებლო შრომას...

მე ვთქვი, რომ ისაევი ელენე სამსონის ასულის მაღალი წრის გარყვნილების ბრწყინებებიდან გათავისუფლების აზრზე შეჩერდა.— ითქვა და შესრულდა: ისაევმა თავისი დედის პირით სთხოვა ქალი ლეკიმოვებს, მიიღო მშობლების თანხმობა, დარწმუნდა ელენე სამსონის ასულის სიყვარულში და საქმეც გაკეთდა. ამის შემდეგ ქორწილი გადაიხადეს.

მე არ შეუდგები ახალგაზრდების თაფლის თვის აღწერას: ყველა მოთხრობის მწერლისათვის ეს ისეთი გაცვეთილი თემაა, რომ მართალი ითქვას, მისი გახსენებაც კი გულისამრევი და მოსაწყენია. თაფლის თვე თაფლის თვეა, რაღა საჭიროა აქ უაზრო რამეებზე ლაპარაკი?

მთავარი ისაა, რომ თაფლის თვის განმავლობაში ახალგაზრდები, თუნდაც ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათისანი იყვნენ, მშვიდობიანად და ერთმანეთში შეთანხმებულად ცხოვრობენ. რატომ ხდება ასე? რასაკვირველია, იმიტომ, რომ ოჯახური ცხოვრების პირველ თაფლის თვეს ატარებენ.

ჩვენს ახალგაზრდებს თაფლის თვე ძლიერ მალე გაუთავდათ: ხვევნა-კოცნაში, სიყვარულის გამოთქმაში, მდიდარი ვარაუდებისა და გეგმების შედგენაში. დადგა ოჯახური ცხოვრების მეორე თვე, მაგრამ იმანაც მალე გაიარა, შემდეგ მესამე, რომელიც აგრეთვე მალე დამთავრდა და ეს ცხოვრება დაუსრულებლად ასე გაგრძელდებოდა, რომ ერთ გარემოებას, ხასიათების სხვადასხვაობას არ ეჩინა თავი. მაგრამ, ამაზე შემდეგ; ჯერ იმაზე უნდა ვთქვათ, თუ როგორ გაიარა მეორე თვემ...

რუსეთში ჯერ მწერალი არ დაბადებულა, რომ ერთხელ მაინც არ აღეწერა სამხრეთის ღამის მშვენიერება: მათი პოეტური ალლო მოხიბლული იყო ულამაზესი ვარსკვლავიანი ციოთ, მისი ლურჯი ფერით, არე-მარის მყუდროებითა და სხვა ამგვარი სიფაქიზით, რაც ჩვენთვის, უბრალო მომაკვდავებისათვის, ხელმიუწვდომელია. მე სამხრეთში დავიბადე, იქ გავატარე მთელი ჩემი ბავშვობა და ყრმობა, მაგრამ უნდა გამოვტყდე, არაფერი მშვენიერი არ შემიმჩნევია სამხრეთის ბუნებაში. შემდეგ ჩრდილოეთის გუბერნიებში გავატარე სამი თუ ოთხი წელი; თითქოს ამას უნდა ემოქმედნა ჩემზე, რომ სამხრეთის ბუნების ბრწყინვალეობა დამეფასებინა, — მაგრამ არა, მე ისევე გულგრილი ვარ მისდამი, როგორც „ახალგაზრდობის ჩემის დღეებში“... დეე ჩვენმა მწერლებმა სწერონ ჩვენი სამხრეთის ღამის ჩემთვის გაუგებარ მშვენიერებაზე, ჩემი კალამი ვერ აღიმართება მადრიგალის შესაქმნელად იქ, სადაც მწუხარე ელეგია უნდა იმღერებოდეს...

ამიტომაც არ მინდა აღეწერო იმ სცენის გარეგანი გარემოება, რომელსაც ქვევით მოგიხსნობთ. თუ ჩემ მკითხველებში აღმოჩნდებიან მსურველები ამ გარემოების გაცნობისა, მაშინ დეე მათ ცნობებისათვის მიმართონ თავის საკუთარ ფანტაზიას, რაც, მადლობა ღმერთს, ასეთ ადამიანებს არ აკლიათ. სხვა რა, თორემ ფანტაზია იმათ საკმაოდ მოეპოვებათ!

მაისის ერთ საღამოს ორი ახალგაზრდა ქალი დაბურულ ბაღში იჯდა და ჩაის სმითა და გულახდილი საუბრით ტკბებოდა. ერთ-ერთი ამ ქალთაგანი იყო ჩვენი ნაცნობი ელენე სამსონის ასული, ხოლო

მეორე მისი მეგობარი პანსიონიდან, ქალიშვილი სტეპანიდა სიმონის ასული ზაკუდინოვა. ისინი ცხარედ საუბრობდნენ, რასაკვირველია, გულმოჯადოებაზე და მგრძნობელობაზე.

— არა, ჩემო საყვარელო Stephanie, მე სრულიად უკმაყოფილო ვარ ჩემი ხედრით: წარმოიდგინე, საყვარელო, ისეთი მოუქნელია, ისეთი მოსაწყენი, ისეთი არა თავაზიანი, რომ მართალი გითხრა, საზიზღარია... აჰ, რა ძუნწია ალერსში.

— მერე რა, განაგრძობდა ელენე სამსონის ასული, რომ არაფერზე უარს არ მეუბნება, რომ შემძლია იმდენი დავხარჯო, რამდენიც მინდა? მე მინდა სიყვარული მხურვალე, ნამდვილი, ვნებიანი!... განა ისეთ ადამიანებს, როგორიც ჩემი ფედინკაა, შეუძლიათ ვნებიანი სიყვარული? მას ვნებით შეყვარებული ქალი კი არა, კეთილი გამდელი სჭირდება... აჰ, უბედური ქალი ვარ, უბედური...

— ჰო, ma chère, — ამბობდა Stephanie, — მას სიყვარული არ შეუძლია, ის, უბრალოდ ლეიბია და არა მამაკაცი... აი ვის შეუძლია ვნებიანი სიყვარული — III—r ფომიჩევს! ...ახ, რა საყვარელია, რა საინტერესოა!... რა ჩაფიქრებულია, კუშტი, ნალვლიანი... ლამაზი!... სიყვარული — დიდი საქმეა!... ყველა ადამიანმა კი არ იცის ამის საიდუმლო!...

— მართალს ლაპარაკობ, მართალს... იმაზე ცუდი არა არის რა, ისეთ ადამიანს რომ გადაეყრები, რომელსაც არ შეუძლია ნამდვილი, ვნებიანი სიყვარული!

— აჰ, ფომიჩევი პირდაპირ მომჯადოებელია! წარმოიდგინე chère Hélène: შემხვდა ამ ორი კვირის წინ, ისეთი ნალვლიანი, ჩაფიქრებული; ვკითხე, „რა დაგემართათ ფომიჩევ? საკუთარ თავს აღარა გეცხარათ“. „პირობებია ისეთიო, მითხრა, რომ არ შეიძლება მზიარული ვიყოო“, როგორი პასუხია? მერე მე სიტყვა გადავუვადე სიყვარულზე: — „გულის გარემოება ხომ არაა მეთქი?“ — „სხვა რა გარემოებას შეეძლო მოვეკალიო?“ აი ნამდვილი კაცი... ისე უყვარს ვილაღ, ისე უყვარს, რომ პირდაპირ საშინელებაა... ზოგჯერ მშურს კიდევ იმ ქალისა, რომელმაც მოახერხა მამაკაცისთვის ასეთი გრძნობის შთანერგვა!...

— გეკითხა თუ ვინ უყვარს?

— რა აზრი აქვს? ვკითხე, მაგრამ არ მიპასუხა: ასე თქვა, მხოლოდ ჩემი საფლავი გაიგებს იმ ქალის სახელსო ვინც მიყვარსო... არ ვიცი, განა სხვა კაცსაც შეუძლია ისე ღრმად განიცადოს როგორც ფომიჩევს? მგონია, არა. სად იქნება ამდენი ძალა და სიყვარული?

— ჩემო კარგო, მგონია შენ სრულიადაც გულგრილად არა ხარ ფომიჩევისადმი? — თქვა ელენე სამსონის ასულმა სიტყვა „გულ-

ვრილზე“ მახვილის დასმით და თითქოს ცნობისმოყვარეობით შეხე-
და თავის მეგობარს.

— განა შეიძლება გულგრილი იყო ასეთი ძვირფასი ადამიანის
შიმართ? — მეტად გულმართლად უპასუხა სტეპანიდამ.

— მომილოცავს!...

— რა არის მოსალოცი! ჯერ ხომ არ აუხსნია სიყვარული! —
თქვა ნაღვლიანად სტეპანიდა სიმონის ასულმა.

— ჯერ არ გაუნდვია, მალე გაგანდობს...

— რას ამბობ!...

— პითხარი, მითხარი, ხომ ვერ დამიმაღავ, ვიცი... არ გრცხვენია,
რომ მიმაღავ, შენს მეგობარს, ასეთ რამეებს, როგორც სიყვარუ-
ლია? გაგონილა, რომ მეგობარი მეგობარს გულის საიდუმლოს
უფარავდეს? მითხარი, საყვარელო, არა გრცხვენია?

— არა, ჩემო საყვარელო, შენთან საიდუმლოდ არაფერი მქონია,
არასოდეს ჩემი საიდუმლო არ დამიფარია, მაგრამ იმას ჯერ არა
უთქვამს რა თავის სიყვარულზე... გარწმუნებ, გეფიცები, არ უთ-
ქვამს. რასაკვირველია, რამდენჯერმე გადაკვრით მითხრა, რომ ვუყ-
ვარვარ, მაგრამ განა ეს გადაკვრით თქმა შეიძლება სიყვარულის
განდობად ჩაითვალოს? რასაკვირველია, არა... ერთი სიტყვით, ეს
გადაკრული სიტყვები მეტად გამჭირვალე იყო, ერთხელ იმან...
და აქ საყვარელმა Stéphanie-მ დაიწყო საკმაოდ ორაზროვანი ღირ-
სების მქონე ხლესტაკოვობის იმპროვიზაცია...

ამგვარად მიმდინარეობდა საუბარი თითქმის მთელ საღამოს. იგი
ისავეისა და ბელოვზოროვის გამოჩენამ შეწყვიტა.

თავისი მდგომარეობით კმაყოფილი, ნათელი გამომეტყველებით
შემოვიდა ისაევი, თავის საყვარელ ცოლს ეამბორა და Stéphanie-ს
შეესალმა. შემდეგ დაიწყო ჩვეულებრივი საუბარი აქეთურზე, იჭი-
თურზე, ამინდზე, ქალაქის გასართობებზე. და სხვ. და სხვ. ბელო-
ვზოროვი ელვისებრ მზერას სტყორცნიდა ხან ელენე სამსონის
ასულს, ხან მის მეგობარს. ეს მზერა შეუუმჩნეველი არ დარჩენია არც
ერთსა და არც მეორეს და ორივეს სრული კმაყოფილება მიანიჭა.
ბელოვზოროვი, მართალია არ გამოირჩეოდა შორსმჭვრეტელობით
და დაკვირვებულობით, მას მაინც არ გამოჰპარვია სასიამოვნო შთა-
ბეჭდილება, რომელიც თანამოსაუბრე ქალებზე მოახდინა. ისაევი
თავისი ბოჩოლურ-მტრედული სინაზით არ ეშვებოდა ელენე სამ-
სონის ასულს.

მაგრამ იგი ფიქრობდა არა იმდენად მასზე და ბელოვზოროვზე,
რამდენადაც საინტერესო ახალგაზრდა კაცზე — ფომიჩეზე. დროა
რამდენიმე სიტყვა მაინცა უთქვა ამ საინტერესო პიროვნებაზე, რო-

მელსაც ბედის წყალობით მცირე მნიშვნელოვანი მონაწილეობა არ ექნება ჩვენს მოთხრობაში. ფომიჩევი საკმაოდ ახალგაზრდა კაცი იყო, არც თუ მთლად ლამაზი, არც მდიდარი და ყველა ამასთან ერთად — საოცარი თავმომწონე, იგი განსაკუთრებით გულმოკადროებით იყო გატაცებული, სხვა აზრებმა დიდხანია ადგილი დაუთმეს ამ ვნებას. წარმატების მიღწევისათვის იგი არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა. საჭიროების მიხედვით ხან თავზნელადებულ ბატონკაცს გამოხატავდა, ხან პირქუშ ბაირონს, ხან ფიქრითმოსილ მეოცნებეს, ხან ვნებიან მუსიკოსს, ხან ერთს, ხან მეორეს, ზოგჯერ კი ყველას ერთად. ამ ხერხებმა მას ყველა ქალთან წარმატება მოუპოვა; მე უკვე ვთქვი, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ორ მეგობარ ქალზე მისმა ერთმა უხამსმა ფრაზამ: მეგობრები კინაღამ ერთმანეთს არ წაეკინკლავენ; ასეთივე შთაბეჭდილება მოახდინეს მისმა სიტყვებმა ფიტის სხვა ქალებზე, ისე, რომ ფიტში იგი იყო

„ქმართა რისხვა, ქალთა საყვარელი“

და ახალგაზრდა ცოლების ჩიჩისბეი... ფომიჩევს სადღაც რაღაც გაეგონა და შემდეგ უყვარდა მასზე მსჯელობა დამახინჯებულად, მარჯვნივ და მარცხნივ. ეს კიდევ უფრო ამაღლებდა მას ფიტელი ქალების თვალში.

რამდენს არ ფიქრობდა ელენე სამსონის ასული, მაგრამ მაინც ვერ გაეგო, ვინ უყვარდა ამ საინტერესო ვაჟბატონს. რასაკვირველია, მას პირველ რიგში თავისი საკუთარი „მე“ ედგა, მაგრამ ფიქრში სხვა ფიტელ ლამაზმანებსაც ჩამოთვლიდა ხოლმე და ფანტაზია უარს ეუბნებოდა მისი მტანჯველი საკითხის გარკვევაში. რაღა უნდა ეთქვა, საჭირო იყო ძიებებისაგან ხელის აღება და საკითხის გარკვევის გადადება უფრო მარჯვე დროისათვის... ელენე სამსონის ასულის თავმოყვარეობა შეუურაცხყოფილი იყო და მან გადაწყვიტა მთელი თავისი ჯავრი ბელოვზოროვზე ამოეყარა. ამ მიზნით მან უღმერთოდ დაიწყო მის წინაშე კოპწიობა და ყოველი ცალკეული საქციელის შემდეგ, რაც ბელოვზოროვს აღიზიანებდა, ცხარედ ეხვეოდა და ჰკოცნიდა თავის ქმარს; საბრალო ბელოვზოროვი მეტად შევიწროებული იყო, მას უნდოდა დასცხრომოდა ამ მომხიბვლელ მტრედს და თავის მკლავებში დაეხრჩო. ამას კიდევ მოიმოქმედებდა, მაგრამ ქალის გვერდით მისი ქმარი იჯდა... ბელოვზოროვი დაღნა. მან ელენე სამსონის ასულს მთელი გროვა კომპლიმენტი მიიყარა, ვნებიანი ფრაზები ესროლა, იფიცებოდა, რომ აღმერთებს „ერთ მშვენიერ სილამაზის ღმერთს“, მაგრამ არ იცის

თანაუგრძნობს თუ არა იგი მის სიყვარულს... ელენე სამსონის ასულმა ძლიერ კარგად იცოდა, ვინ იყო ეს „სილამაზის ღმერთი“ და ამიტომ ადრინდელზე უარესად არ ასვენებდა ქმარს, რომ უფრო გაეხელებინა ბელოვზოროვის სიყვარული.

ყველაფერი ეს ნახევარ საათს გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში სტეპანიდა სიმონის ასული შინ გაიპარა. ჩაის ჭურჭელი ალაგდა და თანამოსაუბრეებმა გადაწყვიტეს, რომ ცუდი არ იქნებოდა ოთახებში გადასულიყვნენ, — შეასრულეს ეს გადაწყვეტილება.

ელენე სამსონის ასულის ტაქტიკა *crescendo*-თ გრძელდებოდა, ისე რომ ბელოვზოროვმა გადაწყვიტა სახლში წასულიყო; მაგრამ, მისდა საბედნიეროდ ისაევი რილასთვისაც მეორე ოთახში გავიდა. ბელოვზოროვი მაშინვე მიუახლოვდა ელენე სამსონის ასულს.

— თქვენ ჯოჯოხეთის ერთ-ერთი მტარვალი ხართ, თქვენ დემონი ხართ! — უთხრა მან, თანაც ოსტატურად ჩაიჭირა ელენე სამსონის ასულის ხელი და რამდენჯერმე აკოცა.

— მე ვკვდები თქვენდამი სიყვარულით, თქვენ კი შეუბრალებლად მაწამებთ, ამბობდა იგი ამღვრეული ხმით: — მე მზადა ვარ ჩემი ცხოვრების ნახევარი გავწირო, ოღონდ კი თქვენს გვერდით არ ვხედავდე ამ საზიზღარ, უღირს ბედნიერს, თქვენ კი... არ შემიძლია, ღონე არ მყოფნის... — და იხელთა თუ არა მოხერხებული დრო, წელზე ხელი მოჰხვია და მაგრად-მაგრად აკოცა ტუჩებში, თვალებზე, ლოყებზე... ქალი ხელიდან დაუხსლტა, რადგან ბელოვზოროვის მოქმედება მის პროგრამას სცილდებოდა, მაგრამ ბელოვზოროვის ღონიერი ხელები მას არ ათავისუფლებდა.

რა უნდა ექნა, ხომ არ დაიყვირებდა და მთელ სახლს ფეხზე არ დააყენებდა!... ელენე სამსონის ასული არ ეწინააღმდეგებოდა — იგი ევედრებოდა ხელი გაეშვა სიყვარულის სათრით და სხვ. და სხვ. მაგრამ ვაჟი არ უსმენდა ქალს: იგი ჩურჩულით ელაპარაკებოდა თავის სიყვარულზე და წამებაზე, იმაზე რომ ქალმა არ შეასრულა თავისი სიტყვა, ე. ი. შეჰპირდა რომ მას გაჰყვებოდა. ცოლად და ისაევეზე კი გათხოვდა.

ელენე სამსონის ასული არწმუნებდა, რომ იგი ისაევეზე თითქმის ძალით გაათხოვეს, რომ არც უფიქრია ქმარი ჰყვარებოდა და სხვ.

— მე გიყვარვართ? — ეკითხებოდა ბელოვზოროვი ხელიდან გაუშვებლად.

— გამიშვით, ღვთის გულისათვის... მიყვარხართ... — წარმოსთქვა მან ოდნავ გასაგონად.

მისი სახე კოცნის სეტყვამ დაჰფარა.

ბელოვზოროვმა მანამდე ჰკოცნა, ვიდრე მისგან სიყვარულის სრული თანხმობა არ მიიღო და შეხვედრა არ დაუნიშნა.

საქმე ამრიგად მოაგვარეს: შაბათს დილაობით ისაევის დედა ჩვეულებრივად ეკლესიაში დადის, ისაევი კი სამსახურში, მაშასადამე, ბელოვზოროვს შეუძლია მოვიდეს ვიზიტით, ელენე სამსონის ასული მართალია შეუძლოთ იქნება, მაგრამ მაინც მიიღებს მას. მხოლოდ მაშინ გაათავისუფლა ბელოვზოროვმა იგი თავისი ხელების რკალიდან.

როცა ისაევი შემობრუნდა, ცოლმა სთხოვა მისი ბიბლიოთეკიდან რაღაც ახალი რომანის გამოღება, იგი ხელმეორედ გავიდა.

ელენე სამსონის ასული მიუახლოვდა ბელოვზოროვს, მოხვია კისერზე ხელები და დიდხანს, დიდხანს ჰკოცნა იგი. მხოლოდ მაშინ მოეშვა, როცა ქმრის ფეხის ხმა მოესმა.

V I I

მკითხველი აღმფოთებულა ელენე სამსონის ასულზე. ამ საქციელმა შეურაცხყო მისი ზნეობრივი, პატიოსნების და სხვა ამდაგვარი მაღალი თვისებების გრძნობა, რაც ყველა მკითხველს ამშვენებს. გამოვტყდები, რომ ზემოთმოტანილი სცენით მე სამუდამოდ დავამცირე ელენე სამსონის ასული მკითხველის თვალში, — მას გული აღარ მისდის ელენე სამსონის ასულზე, უზნეო და გზააბნეულ ქალზე; რა ვქნა, შეიძლება იმსახურებდეს კიდევ იგი ამას? ვნახოთ.

აი, საქმე რაშია: იგი დანებდა ბელოვზოროვს იმიტომ კი არა, რომ პური არსობისა ესაჭიროებოდა, არც იმიტომ, რომ სიღარიბე წელში ღუნავდა, არც იმისთვის, რომ ბელოვზოროვი ისაევზე მეტად მოსწონდა (ჩვენ ვნახეთ, რომ იგი მის თვალში ბელოვზოროვზე უფრო ლამაზი და მიმზიდველი ჩანდა), არამედ იმიტომ, რომ ვერ აეტანა ერთფეროვნება და სულ სხვადასხვანაირ შეგარძნებას ეძებდა. საიდან წარმოსდგება ეს სხვადასხვაფერობის სურვილი? რასაკვირველია, ყველა მკითხველი დაუბრკოლებლად მიხვდება, რომ იგი წარმოსდგება უქმი ცხოვრებისაგან. გამოიცანით?

უკეთესად განვმარტავ: ელენე სამსონის ასულის აღზრდა, ე. ი. აღზრდა ჩვენი შეძლებული მშობლების თითქმის ყველა ქალიშვილისა, ისეთი იყო, რომ მის გონებრივ შესაძლებლობათა მოქმედება მიმართული იყო არა აზრიანი გამოსავლისაკენ — საქმიანი, გონებრივი მუშაობისაკენ, არამედ განსაკუთრებით ოცნებებისაკენ. ჩვენ ვნახეთ, საით მიისწრაფიან ჩვენ ქალიშვილთა ოცნებანი, რაზე და როგორ ოცნებობენ ისინი. ყველა ამას დაუბრუნებლად სრული უსაქმო-

ბა, როდესაც ადამიანთა ყველა ფიქრი ოცნებისაკენ ისწრაფვის, ირგვლივ არსებული ატმოსფერო, რომელიც ყოველგვარ გარყვნილებას ხელს უწყობს, ოღონდ იგი საიდუმლოს თხელ საფარველს იყოს ამოფარებული და თქვენ ნახავთ, რომ ელენე სამსონის ასულს არ შეეძლო გაქცეოდა თითქმის ყველა ჩვენი ქალიშვილის ბედს. ეს ერთი შემთხვევაა და თანაც საკმაოდ განსაკუთრებული, რადგან ჩვენში ცოტაა იმისთანა ქალები, რომელნიც თავის არსებობას სრულ უსაქმობაში ატარებდნენ. ავიღოთ მეორე შემთხვევა. უფრო ჩვეულებრივი: რა სპეციალობა აქვთ ჩვენს ქალებს? — სამზარეულოს საქმიანობა, საოჯახო მეურნეობა, ე. ი. ოთახების დაგვა და დაწმენდა, კიდეც — კერვა და ქსოვა. ნება მომეცით შეგეკითხოთ, ეს რა სამუშაოებია? რასაკვირველია, მაშინაღური, — იძულებული იქნებით მიპასუხოთ. სწორედ ეს არის, სწორედ ამაში მდგომარეობს მთელი ჩვენი უბედურება, რომ ქალთა გონებრივ შესაძლებლობას არ გააჩნია სრულიად არავითარი გამოსავალი, გარდა ოცნებისა; მაგალითად, ქალი კერავს თეთრეულს, ან არუფთავებს წინდებს, რა საქმე აქვს მის გონებას? იგი ხომ უქმად არის, გონებას კი სიბარიტობა არ შეუძლია: იგი იმიტომაცა გონება, რომ იმუშაოს და იმუშაოს დილიდან საღამომდე. თავის თავად ცხადია, რომ წინდის მქსოველისა და პერანგის მკერავი ქალის გონება მოძრაობას იწყებს. როგორ გონებრივ მუშაობაზე მიუწვდება ხელი ჩვენს ქალს? განა ისე აღზარდეს იგი, რომ მის გონებას შეუძლია მიეჩვიოს რაიმე სასარგებლო საქმიანობას? რაზე შეუძლია მას იმსჯელოს და იფიქროს? მხოლოდ მორტულობაზე და დიუმა-père-ის, დიუმა — fils-ის და k^o-ის რომანებზე. ამ რომანებში კი მხოლოდ სიყვარული და სიყვარული არის აღწერილი, ასე ვთქვათ „სიყვარული სიყვარულისათვის“, ან და „სიყვარული ხელოვნებისათვის“. გონებას შეუძლია იმსჯელოს და იოცნებოს მხოლოდ იმ საგნებზე, რომელნიც მისი ძალისათვის ხელმისაწვდომია, მაშასადამე, ქალის გონებას (მის ახლანდელ მდგომარეობაში) შეუძლია იფიქროს მხოლოდ იმ გრძნობებზე, რაც მისთვის ნაცნობი არიან. ასეთები ხომ ბევრი არაა — სულ ორი ხელოვნებაა: — „უყვარდეს“ და „მოწონებული იყოს“. ეცადეთ ისე განავითაროთ ქალი, რომ მან ნათელი წარმოდგენა იქონიოს საგნებზე, და სანაძღვოს ვდებ, რომ იშვიათად თუ ოცნებას მიეცეს; მანამდე კი, ვიდრე ისეთი აღზრდა იარსებებს ჩვენში, როგორიც ახლა არსებობს, მანამდე ჩვენს ქალიშვილებში განვითარებული იქნება მისწრაფება ოცნებებისაკენ და „ამღვრეული ზღვის“ პატივცემული ავტორის გემოვნების რომანიული თავგადასავლისაკენ.

მიბრძანეთ ერთი, განა შეიძლება გაამტყუნო წვრილი მოხელე იმაში, რომ ქრთამს იღებს, ან ჩვენი გლეხი იმაში, რომ იგი არაყსა სვამს? ხომ არც მოხელე და არც გლეხი დამნაშავენი არ არიან, რომ მდგომარეობა აძალებს სული გაიმრუდონ... სწორედ ასევე თქვენ არ შეგიძლიათ გაასამართლოთ ელენე სამსონის ასული მისი საქციელისათვის: გარემოება, რომელშიც იგი დაიბადა, აღიზარდა და ცხოვრობდა, სწორედ ასეთი საქციელისაკენ უბიძგებდა მას; მას შეეძლო საერთო ხვედრი აეცილებინა, განსაკუთრებული ქალი რომ ყოფილიყო, გენიოსი ან სხვა რამ ამისი მსგავსი; მაგრამ, სამწუხაროდ, იგი იყო მხოლოდ ჩვეულებრივი ქალი, რომელსაც გააჩნდა ჩვენი ქალების ყველა ღირსება და ნაკლოვანებანი... რაღა გინდათ მისგან? რა უფლება გაქვთ მოითხოვოთ მისგან ზნეობრივი ცხოვრება, როცა თქვენ თითონ, ბატონო მკითხველებო, ელენე სამსონის ასულს აყენებთ ისეთ მდგომარეობაში, რომ მას არ შეუძლია იქიდან თავი დააღწიოს? განა მისი გაჩენის წუთიდან თქვენ არ მიეჩვიეთ ისე უტკიროთ მას, როგორც თქვენს მომავალ მონა ქალს, როგორც მანქანას, რომელიც დანიშნულია თქვენი „ვენებისა და სურვილების“ დასაკმაყოფილებლად, როგორც თქვენთვის რაღაც საჭიროს; შემდეგ იგი ისე აღზარდეთ, რომ სულ თქვენზე ყოფილიყო დამოკიდებული, რომ უთქვენოდ მას ერთი ნაბიჯიც კი ვერ გადაედგა; იმისათვის, რომ იგი თქვენი მეურვეობის ქვეშ იმყოფებოდეს, თქვენ გამოსწუწუნეთ მისი თავიდან ტვინი და გამოუტენეთ იგი რაღაც ნაგვით, წაართვით მას ყოველგვარი საშუალება აზროვნებისა... მაგრამ ამისთანა მდგომარეობას ხომ შეეძლო გამოეწვია პროტესტი, აჯანყება? თქვენ ეცადეთ გაგებერთ იგი გარეგანი ბრჭყვიალებით: ამ მიზნით მას უწოდეთ თქვენი გულების დედოფალი და ა. შ., თოჯინასავით მორთეთ, ხელში სათამაშოები მიეცით და თანდათანობით იგი აქციეთ მოლაპარაკე და მოძრავ დედოფალად. როცა კი ვინმე გეტყვით, რომ საჭიროა ქალების მდგომარეობა გაუმჯობესოთ, მისცეთ მათ ადამიანური უფლებები. თქვენ უბასუხებთ: ქალის უფლება! მერე და ვინ წაართვა მას ეს უფლებები. ან კიდევ რა უფლებები სჭირდება მას? მოქალაქეობრივ მდგომარეობაში იგი, სწორედ ჩვენში, არაფრით არ ჩამორჩება მამაკაცს, იგი არ ექვემდებარება მეურვეობას და სრულიად დამოუკიდებელია. სახლში იგი დიასახლისია, სალონში — დედოფალი... კიდევ რა უფლებები ესაჭიროება მას? საზოგადოებაში ბატონის ცემითაა მოსილი; რაინდობის საუკუნეებმა იდეალური სინატიფით გამოიმუშავეს მამაკაცის დამოკიდებულება ქალის მიმართ

განათლებულ საზოგადოებაში. აქ ქალის პიროვნებაც რომელსაც არ დაუკარგავს თავისი ღირებულება, რაღაც ხელშეუხლებელი და წმინდაა. რაღა უნდა უნდოდეს ქალს? ნუთუ ის, რომ ემანსიპირებული იყოს ყოველი მხრივ. რაშიც მამაკაცი თავის თავს ემანსიპირებულად თვლის? წარმოვიდგინოთ ქალი ემანსიპირებული მამაკაცის თანაბრად. მამაკაცის უფლებებთან გათანაწორებული მდგომარეობით 'სარგებლობისას ქალი უარს ამბობს საკუთრივ ქალის მდგომარეობის ყველა თავისებურებაზე. მას უკვე აღარ უნდა სურდეს და არ უნდა შეეძლოს მამაკაცისაგან მოითხოვოს ის განსაკუთრებული პატივისცემა, ის დელიკატურობა, რაზეც ქალს უფლება აქვს, როცა თავის უმაღლეს და პრივილეგირებულ მდგომარეობაში რჩება, რომელსაც მას არავინ ედავება, რომელსაც პირიქით, ყველა აფასებს, რომელსაც ქველა აცავს (კიდევაც ნუ დაიცავ ასეთ მადლს!).

რაღაზე უნდა ავინო ის, რაც თქვენივე ღონისძიებით არის შექმნილი? იქნებ უარს ჰყოფთ თქვენი შრომის იმ შედეგებს იმიტომ. რომ ეს შედეგები არ შეესაბამება თქვენს მოლოდინსა და მიზნებს? ასეთ შემთხვევაში კეთილინებეთ უარჰყოთ თვით ის შრომა, ქალის თანდათანობით გარყვნის სისტემა. თანმიმდევრულობა არის საჭირო. თუ გნებავთ განაგრძოთ ქალების აღზრდის ძველებური სისტემა, თუ არ გნებავთ შეცვალოთ მათი მდგომარეობა საზოგადოებაში, მისცეთ მათ სრულუფლებიანობა მამაკაცის თანასწორად. მაშ ნულარ უარყოფთ იმ შედეგებს, რომელნიც საგანთა არსებული მდგომარეობიდან გამომდინარეობენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იზრუნეთ არა ქალთა ზნეობრიობაზე, არა მათ თვითგამოსწორებაზე, არამედ იმ პირობების შესაცვლელად, რომელნიც თანამედროვე ქალ-თოჯინებს წარმოშობენ.. თორემ თქვენ ასამართლებთ თქვენი მრავალწლიანი მცდელობისა და მოქმედების ნაყოფს. მასზე ხელის აუღებლად.

ელენე სამსონის ასული თქვენი შექმნილია; ყველა მისი საქციელი, აზრი და ოცნება, თითოეული მისი ნაბიჯი არის შედეგი აღზრდისა და საზოგადოებაში მისი მდგომარეობისა, საიდან უნდა მოიკრიფოს ძალები იმ ბოროტების აღმოსაფხვრელად, რომელიც მის ძვალსა და რბილში გამჯდარა მისი გონებრივი შესაძლებლობის მრავალწლიანი სისტემატური გახრწნით? ვერც საზოგადოებამ, რომელიც მას ირგვლივ არტყავს, ვერც მახლობელმა ამხანაგებმა, ვერც აღმზრდელებმა, ვერც თვით ისაევმა, ერთი სიტყვით, ვერავინ ვერ შესძლო მიეცა მისთვის ძალა ამაღლებულიყო იმ დო-

ნემდე, რომ თავი გაეთავისუფლებია ყველა იმისაგან, რაც შეწოვი-
ლი ჰქონდა სისხლსა და ხორცში, ყველაფერ იმისაგან, რითაც იგი
ცხოვრობდა... როგორც უკვე გითხარით, ამისთვის საჭირო იყო გე-
ნიოსის ძალა.

თუ ამგვარ საზოგადოებაში მოხვდება ქალიშვილი, გამრყენელი
აღზრდით ხელშეუხებელი, რომლის გონება არ ჩამჰქნარა კომპ-
ლიმენტების საზიზღარი გუნდრუქით, ის ან წყალში უნდა გადავარ-
დეს, ანდა იქცეს იმად, როგორადაც საზოგადოებას სურს უტკერ-
დეს მას. ჩვენს ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო ჩნდებიან ასეთი
ქალიშვილები, მაგრამ ისინი ჭლექით იხოცებიან, იხრჩობიან ან
წყალში ან ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ჭაობში. მე ჯერ
კიდევ არ შემხვედრია ქალი, რომელიც საზოგადოებრივ წყო-
ბას გაუძლებდა, თუმცა მინახავს ბევრი ქალიშვილი, პატიოსანი
ცხოვრებისთვის რომ ემზადებოდა: ყველა, ყველა ასეთია და მე
არა მგონია, რომ მათ შეეძლოთ იცხოვრონ საზოგადოებაში, საზოგა-
დოებრივი ცხოვრების ახლანდელ წყობაში; ისინი გაიყინებიან პა-
ტიოსან ადამიანთა წრეში ცხოვრებისას, თუ საზოგადოებასთან
არავითარი ურთიერთობა არ ექნებათ... ასეთი წრეები კი ჯერჯე-
რობით ცოტაა...

უბედური ოჯახის მთავარი განსაცდელი იმაში მდგომარეობდა,
რომ ცოლისა და ქმრის ხასიათები ერთმანეთის დიამეტრულად სა-
წინააღმდეგონი იყვნენ: ისაევი რბილი ადამიანი იყო, მიმნდობი,
ერთი იმათგანი, რომელთაც ჩვეულებრივ „დედაკაცებს“ ეძახიან.
მას არასოდეს არ შეეძლო გამოეხატა თავისი ვნება ცოლის მიმართ,
თუმცა სიყვარული კი მხურვალე ჰქონდა; მისი წყნარი, უზრუნვე-
ლი სიყვარული როგორც ცოლისადმი, ისე სხვა პირებისადმი კი
არ გამოიხატებოდა, არამედ იგრძნობოდა. ერთი სიტყვით, ისაევი
ფლეგმატიკოსი იყო. ელენე სამსონის ასულს, პირიქით, სანგვინიკუ-
რი ხასიათი ჰქონდა: მხიარული, უზრუნველი, იგი უფრო ჩქარა თა-
ვის მოკვლას გადაწყვეტდა, ვიდრე თავისი ქმრის ერთფეროვან
ცხოვრებას დაეჭვებდებარებოდა; მას სისხლი უდუღდა და ამიტომ
არ შეეძლო აეფარებინა გულგრილობისა და აპათიის ის ნიღაბი,
რასაც ჩვენ ჩვეულებრივ ვხედავთ ჩვენს ზოგიერთ ქალში. ნიღაბი
რომ აეფარებინა, სისხლის ღელვა, ხშირი სუნთქვა და ა. შ. აუცი-
ლებლად გამოამყვანებდა. დეე ჰკვიანმა ხალხმა განსაჯოს, შეუძ-
ლია თუ არა ფლეგმატიკოსს შეეთვისოს სანგვინიკური ხასიათის
ქალს? ხასიათები ხომ ოჯახური ცხოვრების შებრკოლების ლოდია...

ბევრს, საგანგებოდ ბევრს გადაიხდიდა ისაევი თავის ცოლის
სწრაფად შეცვლის მიზეზი რომ გაეგო. ცოლი უკვე ისე ნაზად აღარ

ეალერსებოდა მას, როგორც ესიყვარულეობდა ოჯახური ცხოვრების პირველ თვეებში; ვნებიანი ხვევნისა და არა ნაკლებ ვნებიანი კოცნის მაგიერ იგი დილაობით ძლიერ აჯილდოვებდა ქმარს ცივი კოცნით... გაკვირვებული იყო ჩვენი ისავე, გაკვირვებული იყო, მაგრამ მიზეზი ვერ მოეძებნა. ასე გრძელდებოდა მთელ სამ დღეს, ბოლოს, მესამე დღის დასასრულს ელენე სამსონის ასული ისე მიეალერსა თავის ქმარს, რომ მან სრულიად დაივიწყა სამი დღის წამება. საქმე ძველებურად შეტრიალდა, ე. ი. კარგად, ურთიერთის სასიამოვნოდ: ცოლი ყოველწუთს არ ეკვროდა ისავეს, მაგრამ საპაგიეროდ ზოგჯერ, ერთი სიტყვით, საკმაოდ ხშირად, მეტად ძლიერი ვნებით ეალერსებოდა; ამით ისავე საგანგებოდ კმაყოფილი იყო, რადგან მისთვის აუტანელი იყო ცოლის ყოველწუთიერი ალერსი.

ამასობაში ბელოვზოროვი ბედნიერების ყველა სიკეთით სარგებლობდა: ელენე სამსონის ასული მას შეხვედრას ყოველდღე უნიშნავდა, ზოგჯერ კი დღეში ორჯერ, გარემოების მიხედვით. მას თავისი სანგვინიკური ხასიათით მეტი შანსები ჰქონდა ელენე სამსონის ასულის ხანგრძლივ მოწყალეობაზე, ვიდრე ისავეს: და ამიტომ ელენე სამსონის ასული დიდხანს არ ცივდებოდა მის მიპართ. მე არ აღვწერ ახალგაზრდების საიდუმლო თავგადასავალს. ამ იმედით, რომ ჩემი მკითხველების კარგად განვითარებული ფანტაზია ადვილად შეავსებს ჩემი მოთხრობის ხარვეზს. მათი ფანტაზიის დასახმარებლად ვიტყვი, რომ ბელოვზოროვის კავშირი ელენე სამსონის ასულთან გრძელდებოდა სამს თუ ოფხს თვეს. ამ დამოკიდებულების აღწერას მივიანდობ ამ საქმეში ოსტატის, „ამღვრელი ხღვის“ ავტორის კალამს.

დამავიწყდა მეთქვა, რომ ეს კავშირი სრულიად საიდუმლოდ დარჩა. ეს მოხდა იმიტომ, რომ ბელოვზოროვი, წინააღმდეგ თვების ჩვეულებისა, ენას კბილს აჭერდა.

იმედია ჩემს მკითხველებს ახსოვთ, რომ სტეპანიდა სიმონის ასულ ზაკუდინოვას საუბარში ელენე სამსონის ასულთან დასახელებული იყო ვინმე „საინტერესო კავალერი“ ბატონი ფომიჩევი. და რომ m-lle Stephanie-ს ნაამბობმა ამ ფომიჩევზე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემს გმირ ქალზე. მალე ამის შემდეგ ელენე სამსონის ასული გაეცნო მას, მაგრამ ჰკუთავში არ დაუჯდა: მას ამ დროს აინტერესებდა ბელოვზოროვის ვნებიანი ბუნება, იგი განსაკუთრებით ბელოვზოროვით იყო დაკავებული. ამიტომ ფომიჩევის მიმართ იგი გულგრილი დარჩა, არ მიიღტვოდა მისკენ და ისეთ ყურადღებას არ აქცევდა, როგორსაც აქცევდნენ დანარჩენი ფიტელი ლამაზმა-

ნები. ყველაფერმა ამან ფომიჩევი გაალიზიანა, გააგულისა და მან ხელი მიჰყო ჩემს გმირ ქალთან არშიყობას. მთელი სამი თვე აწვალა ელენე სამსონის ასულმა ფომიჩევი იმით, რომ არ უპასუხებდა მის ძიებას, მაგრამ ბოლოს მისმა სამთვიანმა ოხვრამ, თვალების შინაბეჭამ და განსაკუთრებით ბელოვზოროვთან კავშირის ხანგრძლივობამ ელენე სამსონის ასული დაარწმუნა ყურადღება მიექცია საბრალო მიჯნურისთვის. საქმე დაბოლოვდა. თუმცა ბოლო არც იმდენად საკეთილო იყო, როგორც ელენე სამსონის ასულის ბელოვზოროვთან სიყვარულის ბოლო და სულაც არ შეეფერებოდა ჩემი გმირი ქალის ბრწყინვალე და მრავალალმთქმელ ოცნებებს.

VIII

მხიარული არ იყო ამ ხნის განმავლობაში ისაევის ცხოვრება, მან მოსვენება დაკარგა ფიქრებისა და წამებისაგან, ირგვლივ რომ ეხვია, მას შემდეგ რაც დაინახა, რომ ელენე სამსონის ასულის დამოკიდებულება მასთან დღითიდღე იცვლებოდა.

უპირველეს ყოვლისა იმის ფიქრს შეუდგა — უყვარს თუ არა იგი ელენე სამსონის ასულს. მკითხველი მიხვდება, რომ ეს ძლიერ დიდხანს აწამებდა ჩემს გმირს: მართლაც, როგორ გადაწყდეს ეს საკითხი? ხომ ძნელია, ასე არ არის? მრავალი უძილო ღამე გაატარა მან თავის ლენოჩკას ახლოს ამ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას; ჯერ იმას ფიქრობდა, რომ ცოლს აღარ უყვარს, რადგან ისე მხურვალედ აღარ ეალერსებოდა, როგორც ძველად, მაგრამ იგი დიდხანს ვერ შერიგებოდა ამ გადაწყვეტილებას და ამიტომ ცდილობდა თავი დაერწმუნებინა იმაში, რომ მის ლენოჩკას უყვარს იგი, მაგრამ ცოტათი ვაცივდა იმით, რომ ხომ არ შეიძლება გამუდმებული მხურვალეობა და სიყვარული ისეთივე ვნებით, როგორც უყვართ ქორწინების პირველ კვირას. ერთხელ მისთვის საინტერესო საკითხით გაწამებულმა გააღვიძა თავისი ცოლი, დაიჩოქა მის წინ და ცრემლიანი თვალებით სთხოვა ეთქვა, უყვარს თუ არა იგი. ელენე სამსონის ასული უცბად ვერ მოეგო გონს, მაგრამ ქმარი ისე მხურვალედ ჰკოცნიდა ხელზე, რომ იძულებული იყო გამოფხიზლებულიყო; როცა გამოერკვა, ხელები შემოხვია ქმარს კისერზე და ისეთი ვნებით მიეალერსა, რომ არავითარი ეჭვის შეტანა ცოლის სიყვარულში აღარ შეიძლებოდა. მაგრამ მაინც უნდოდა ეს სიტყვა მისგან მოესმინა, თითქოს უამისოთ არ შეიძლებოდა სიყვარულში დარწმუნება. თავისთავად ცხადია, რომ ცოლმა ყოველგვარი შესაძლებელი საშუალებით დაარწმუნა, რომ უსაზღვროდ და მხურვალედ

უყვარს. ნუ იფიქრებთ, მკითხველო, რომ ცრუობდა: გარწმუნებთ. რომ ამ წუთში მას იგი ისე მხურვალედ უყვარდა, როგორც კი ეს შეუძლია ჩვენს ქალს. მას ხომ ასე ესმის სიტყვა სიყვარული!...

თუმცა ისაევმა მალე დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ რითი განემტკიცებინა თავისი ცოლის სიყვარული, რით დაეზღვია მისი ერთგულება. თავისი თავისათვის ანგარიში ვერ მიეცა თუ რა გრძნობა უდლდდა: სიყვარულისა, ვნებისა თუ ექვიანობისა; ერთი მხრით მას არ სურდა თავის ცოლის გრძნობები შეეზღუდა, მზად იყო ცოლისათვის სრული თავისუფლება მიენიჭებინა, მაგრამ ეჩვენებოდა, რომ იგი აზრიანად ვერ ისარგებლებდა თავისუფლებით, რომ იგი თავისი გულბრყვილობით და მიმნდობლობით მოტყუებდებოდა ხალხში: ისაევი კი ადგილობრივ ახალგაზრდა ვაჟებს ძლიერ ცუდი მხრით იცნობდა. ფიტელი ლოველასები, ფიქრობდა იგი, ეარშიყებიან ქალებს სიყვარულისათვის კი არა, არამედ დასაკეცხად, რომ შემდეგ ამხანაგებში დაიტრაბახონ და შესაძლებლობა ჰქონდეთ თავისი ამხანაგების წინაშე მოპოვებული გამარჯვების ყველა ნაბიჯი გაალამაზონ. ისაევის ეს აზრი ადგილობრივ დონ-ქუანებზე სრულიად ნამდვილია. იმის გაფიქრებაზეც კი, რომ მის ცოლს შეიძლება ამგვარი ვაჟბატონი შეხვდეს, რომ მისი სახელი, სახელი ლენოჩკასი სათრეველად გახდება ლოთებისა და გარყვნილი ლოველასების რომელიმე ჯგუფში, ისაევი თმას იგლეჯდა. მაგრამ ისე როგორ მოაწყოს, რომ არ შეზღუდოს იგი და ამასთან მის ერთგულებაშიც დაზღვეული იყოს? ისაევს ეგონა, რომ ცუდი არ იქნებოდა გაეცნო ელენე სამსონის ასულისათვის ადგილობრივი ლოველასების ზნეობა და ჩვეულებები, იცოდეს რა ბედი ელის, თუ ამ ვაჟბატონებს შეიყვარებს. ამ მიზნით თავის ლენოჩკას უამბობდა ლოველასების სხვადასხვა სკანდალებზე, აღუწერდა მათ ამ „მრისხანე ქმრების“ ფუქსავატურ საღამოებს, აწვდიდა ცნობებსა და ყურმოკრულ ხმებს თავის მტერთა ქეიფების ფრონტიდან, რომელნიც ჩვეულებრივ შესდგებოდნენ ამბებისაგან, რომ ესა და ეს ამასა და ამას დანებდა, ან, ამა და ამ ვაჟმა თუ ქალმა ესა და ეს მიატოვა. შემდეგ, ისაევი, ცოლის თანდასწრებით, ალაპარაკებდა თვით ამ ლოველასებს ადგილობრივ ლამაზმანებზე მოპოვებულ გამარჯვებათა შესახებ.

— ერთი მითხარით (ან მითხარი) გეთაყვა, თუ შეიძლება, როგორ მოახერხებთ ამისი მოხიბვლა? თავის მოკატუნებას ნუ ეცდებით, ჩვენ უკვე ვიცით...

ლოველასიც კმაყოფილია შემთხვევით: მას უკვე დიდი ხანია ენა ექავება ამ გამარჯვების მოსაყოლად და — გააქვს და გამოაქვს

თავისებურად, ალამაზებს, უმატებს და ასხვაფერებს სინამდვილეს. ამ მოთხრობებზე უფრო უზნეო, უწმაწური და უშვერი მე არა გამოგონია რა მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც თვალი ამიხელია და ქვეყანას ვიცნობ!

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რას განიცდიდა ელენე სამსონის ასული, როცა ისმენდა ამ ამბებს თავის ნაცნობებზე და მეგობრებზე: ცივი ურუანტელი დაუვლიდა მთელ სხეულში, ეჩვენებოდა, რომ ამავე დროს ბელოვზოროვი ან ფომიჩევი სწორედ ასეთსავე ამბებს უყვებიან თავის მეგობრებსა და ნაცნობებს, რადგან ის, რასაც მისი დასწრებით ლოველასები ლაპარაკობდნენ, როგორც წყლის ორი წვეთი, ისე ჰგავდა მის დამოკიდებულებას ბელოვზოროვთან თუ ფომიჩევთან. მაგრამ, ყველაფერი ეს ხდებოდა მხოლოდ პირველ ხანებში: ისაევი დიდხანს განაგრძობდა ასეთ ტაქტიკას. ისე, რომ გადაამლაშა და გააფუჭა საქმე; ელენე შეეჩვია ასეთ ისტორიებს და ლოველასების უწმინდურ ნაამბობს ისმენდა არა თრთოლვით, არამედ გულშეკუმშული, როგორც ბავშვები ისმენენ გამდელების ზღაპრებს და გიმნაზიელი ვაჟები და პანსიონერი ქალები იმ უფროსი ამხანაგების ნაამბობს, რომელთაც აკრძალული ხილის გემო გაუცვნიათ. იგი ისე მიეჩვია ასეთ ამბებს, რომ მათში სრულიად არ ხედავდა რამეს გაკიცხვის ღირსად, პირიქით, განსაკუთრებით შესანიშნავად, ისტორიულად ან ვაჟკაცურად ეჩვენებოდა. თუ მოსაუბრენი მალე არ დაიწყებდნენ ხოლმე ამგვარ ლაპარაკს, იგი ცდილობდა თითონ ჩამოეგდო ამ თემაზე საუბარი: იგი ნაამბობის გმირებს სულით ერთვოდა სწორედ ისე, როგორც ადრე ერთვოდა დიუმას და კომპ. რომანების გმირებს; თანაუგრძნობდა ამ გმირებს, მათი სიხარულით ხარობდა და სწუნდა მათ მარცხზე, სწორედ ისე. როგორც ოსტროვსკის კუკუშკინა ლაპარაკობს: „როცა ხედავ, რომ ყველაფერი კეთილი დასასრულისკენ მიდის, ყველა წინააღმდეგობა ისპობა (აღტაცებით), სიყვარული ზეიმობს და ახალგაზრდები ერთდებიან... როგორი სიტყბო იღვრება სულში. მთელ სხეულს თითქოს ნეტარება უვლის“. ამრიგად, ლოველასების ნაამბობები ელენე სამსონის ასულისათვის ცვლიდნენ ფრანგული რომანიული სკოლის—აღ. დიუმას, პოლ-დუ-კოკისა და სხვა ეროტიკული მწერლების რომანებს.

სათქმელი აღარ არის ის, თუ რა მოსდევდა ამ ნაამბობს: წარმოსახვა ვითარდებოდა, სისხლი ღელავდა და ჩემი გმირი ქალი მოუთმენლად ელოდა შემთხვევას ნაამბობი ცხოვრებისთვის შეეფარდებინა, ე. ი. ჩაედინა ის, რაზედაც ლოველასები ლაპარაკობდნენ. აი, ესეც შენ!

რაღა უნდა ქნა, როცა ვერავითარი ზომა ვერ სკრის?... მე მოგ-
ცემთ ერთს, ჩემი აზრით, გონიერ რჩევას: — თუ გნებავთ ასეთი.
ქალების ზნეობა შეინარჩუნოთ, ჩაკეტეთ კოშკში, რომ მათ არ შეეძ-
ლოთ გამეღელებს უმღერონ:

„მოდო ჩემთან ოქროს კოშკში“.

ან და ისე მოაწყეთ მათი ცხოვრება, რომ მათ შეეძლოთ რამეს.
თქმა, გარდა ამისა:

„მე მოემწიფდი, მე მზადა ვარ
შენი სიყვარულისათვის!“

ვიდრე ეს არ მოვიმოქმედებიათ, ნუ მრისხანებთ, ბატონებო,
თქვენს ცოლებსა და ასულებზე.

ისაევი თითქმის დაწყნარდა: იგი დარწმუნებული იყო, რომ
მისმა მოთხოვნებმა ლოველასების კვენანაზე, აგრეთვე ამ უკანასკ-
ნელთა ნაამბობმა ელენე სამსონის ასულზე სათანადო შთაბეჭდი-
ლება იქონია, რაც მალე არ გაუქრებოდა მესსიერებიდან მის უც-
ოდველ ცოლს. მაშ ადარაფერი იყო ასაღელვებელი და სადარდებე-
ლი და მანაც სრულიად მიივიწყა ეს საქმე. მაგრამ ოჯახური ცხოვ-
რების ამ მხარის გარდა, იყო მეორეც, რასაკვირველია, არა ამდენ-
ად მნიშვნელოვანი: დამოკიდებულება ცოლისა ქმართან. რადგან
ისაევის რბილი და მიმნდობი ხასიათი ჰქონდა, ელენე სამსონის
ასულს კი ფიცხი და ამთვისებელი, ამიტომ იმას არაფრად უღირდა
შინაურ დესპოტად ქვეუღიყო და ხელში ჩაეგდო ოჯახური მმართ-
ველობის ხელმძღვანელობა. ამის გაკეთება მით უფრო ადვილი
იყო, რომ იმ დროს ჩვენს ღირსსაყვარელ სამშობლოში ქალთა ემან-
სიპაციის საკითხი იყო დაყენებული და ისაევი, რომელსაც ბევრი
წერილები ჰქონდა წაკითხული ამის თაობაზე, მზად იყო ცოლი-
სათვის სრული თავისუფლება მიენიჭებინა ოჯახური კეთილმოწყო-
ბისა და კეთილღირსეულობის დარგში. ელენე სამსონის ასულმა არ
დააყოვნა ესარგებლა მისთვის ხელისშემწყობი გარემოებით და-
მთელ სახლს დაეპატრონა, დაწყებული მივიწყებული დაავადმ-
ყოფებული დედამთილიდან, უკანასკნელ მოსამსახურემდე. რომე-
ლიც სამოახლოში მუდმივად თვლემდა... რაღა უნდა ითქვას ქმარ-
ზე: ისე ატრიალებდა იმას, როგორც ატრიალებენ სხვადასხვა შარ-

ლოტა ფეოდოროვნები და ამალია კარლოვნები გადაბერებულ-
ნახევრად ცოცხალ, ერთული ტკობის მოყვარულ მოხუცებს.
მან იცოდა დროზე მიაღერებდა და დროზევე ისე დატუქსავა. რომ
საწყალ ისავეს სული სძვრებოდა. ასე გრძელდებოდა კარგა ხანს.

ისავეის სახლში ყველაფერი კეთილად მიმდინარეობდა: ცოლმა
ქმარი ფეხქვეშ ამოიდო, საიდანაც, საწყალი, ისე ვერ გამოიხედაკ-
და, თუ არა მლიქნელური და ვნებიანი გრიმასით, ქმარი მოსამსა-
ხურეებს ტუქსავდა, რომ ყველაფერში ლენოჩკას დამორჩილებოდ-
ნენ. ისავეის დედა ყოველთვის მშვენიერი რძლის გულის მოგებას
ცდილობდა. ისე, რომ შინაურებზე აღარა ითქმის რა.

ელენე სამსონის ასული განაგრძობდა დროსტარებას თავის-
ფომიჩევთან, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ მოაბეზრა მას თავი. ერთი
სიტყვით, ყველგან სიწყნარე და ღვთის წყალობა სუფევდა; ისე,
რომ სხვა უკეთესის წარმოდგენა შეუძლებელი იყო. დღე დღეს
მისდევდა და კვირა კვირას, და ასე მიიღია რამდენიმე თვე.

ერთხელ საღამოთი ელენე სამსონის ასული თავის ოთახში (იგი-
ვე ბუღდუარი) იჯდა და ფომიჩევს ელაპარაკებოდა. რასაკვირველია,
სიყვარულზე; ისიც, ცხადია, ამტკნარებდა, მაგრამ არ ივიწყებდა
დაეკოცნა თავისი მომხიბვლელი მოსაუბრის ხელები და ტუჩები.
საუბრის თემა იყო ერთი სასკანდალო ისტორია რომელიღაც ახალ-
გაზრდა ქალიშვილისა, რომელსაც ვიღაც არმიის ოფიცერი შეპყვა-
რებოდა და შემდეგ შეყვარებულთათვის არაკეთილსასურველი პი-
რობების შექმნით, იძულებული გამხდარა ფიტის საგუბერნიო სამ-
მართველოს მაგიდის უფროსის თანაშემწეს გაპყლოდა ცოლად.
მაშინ ამ ქორწილმა დიდი ხმაური გამოიწვია მთელ ფიტში, რადგან
მანამდე გაუგონარი მაგალითი იყო კანცელარისტისაგან საშუალო
სიდიდის მქონე ტუჩის ქალიშვილის შერთვისა. ფომიჩევი ელენე
სამსონის ასულს საგანგებოდ დაწვრილებით უამბობდა ახალგაზრდა
ქალისა და არმიის ოფიცრის სიყვარულსა და კავშირზე. ამართლებ-
და უკანასკნელს იმაში, რომ იგი არ დათანხმდა შეერთო სახელგა-
ტეხილი ქალიშვილი, ერთი სიტყვით; ფომიჩევი თავის ქერქში იყო
მოქცეული. ამგვარ ასპარეზზე ფომიჩევის მსგავსი ვაჟბატონები
არავითარ ორატორებს არ ჩამოუვარდებიან, რადგან მქვერმეტყვე-
ლების უზადო მხურვალეობით და კიდევ რაღაცით არიან გახურე-
ბულნი...

— არა, — ამბობდა ფომიჩევი, — მე არ შემიძლია ამ სიყვა-
რულზე გულგრილად ვილაპარაკო: — წარმოიდგინე, ჩემო სული-
კო, ახალგაზრდა, თქვესმეტოდე წლის ქალიშვილი თავის „საყვა-
რელს“ ეუბნება: „მიყავი რაც გინდა, მე მთლად შენი ვარ!“ არა,

რაც არ უნდა თქვა, ღმერთმანი, ის ვნებიანი ქალიშვილი ყოფილა... ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ შენზე ვთქვა, ვითომც შენ არ იყო ვნებიანი, არა, ასე არაა... მე ხომ ამისთანა ქალიშვილს ჯერ არ შევხვედრივარ!... შენს გარდა... ღმერთმანი... ის კი, წყეული, როგორ მიუტოვდა: „მამა შენს არ უნდა მოაწყოს ჩვენი ბედნიერება, მამ ჩვენ მოვაგვაროთ უმამაშენოთ... ამისთანა ვნებას, ამისთანა სიყვარულს შეუძლია არა თუ კაცის, არამედ თევზის გულიც კი აანთოს“. აქ ფომიჩევმა ხელი მოჰხვია თავის მოსაუბრეს და ისე გაშმაგებით დაუწყო კოცნა, რომ საათის საქანის ხმაც კი ჩაახშო... ამ დროს, თი საშინელებაც და სირცხვილო! ოთახის კარი გაიღო და შემოვიდა ჩვენი ნაცნობი ისაევი.

ბედნიერმა მოსაუბრეებმა ვერც შენიშნეს მისი მოსვლა: ისინი სიყვარულის ნეტარებით ტკბებოდნენ და არ ეცალათ უკან მიეხედათ. ისაევმა ამით ისარგებლა, ცოლის ბუდუარიდან ჩუმად გავიდა, გულგატეხილი, სხვადასხვა ფიქრებით მოცული და განადგურებული ცხოვრებით... მას აშინებდა აზრი, რომ ამიერიდან იგი აღარ უყვართ, რომ მისი ოცნებები მტვრად იქცა და გაიფანტა...

ჩუმად, ქურდივით შეიპარა თავის კაბინეტში, გადაკეტა გასაღებით კარი და დივანზე გაიშხლართა. — „რა ვქნა“? — ეკითხებოდა თავის თავს და ვერავითარ პასუხს ვერ პოულობდა ამ კითხვაზე. იგი მზად იყო მიეცა მთელი თავისი ქონება, მთელი სიცოცხლე, ყველაფერი რითაც მდიდარი იყო მისი ბედნიერება იმისთვის, ვინც მას ცოლის დალატის რწმენას გაუქარწყლებდა. მას აწუხებდა არა ის, რომ ცოლმა უღალატა და სხვას დანებდა, არა ის, რომ მისი სიყვარული უარჰყვეს, არა ის, რომ ცოლი აქამდე ატყუებდა მას, — აზრად, ყველა ეს ჯერ კიდევ არა იყო რა, მთავარია — რატომ აირჩია მან ეს გაიძვერა ფომიჩევი?... ისაევი იცნობდა ფომიჩევს, როგორც სალაშქრო ბანაკებისა და გარეთუბნების პირველი ხარისხის საზინღარ ადამიანს, დონეჟანს, მან ძლიერ კარგად იცოდა, რომ ფომიჩევი მეორე დღესვე კვებნას დაიწყებდა თავის ამხანაგებში ამ გამარჯვებაზე, ამასთან, ორ სიტყვას არ იტყოდა, რომ ლენოჩკას სახელი არ ეხსენებინა. „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, — ფიქრობდა ისაევი, — ჩემი ლენოჩკა შერცხვენილი იქნება მთელ ფიტში, მთელ ქვეყანაზე!... ის, ასეთი მოსიყვარულე, ჩემი კარგი ცოლი, თავის მტრებს საბაბს აძლევს ლანძღონ... ეს ხომ საშინელებაა!... ვინ იცის უკვე დიდხანია მასაც ისე იხსენიებენ, როგორც მის მეგობრებს მასთან!... ღმერთო ჩემო, რა მემართება...“

არ ვიცი, დიდხანს იყო თუ არა ისაევი ამ ფიქრებში, ვიცი მხოლოდ ის, რომ გადაწყვიტა არ გაეშვა ფომიჩევი სახლიდან, მოეკლა ან

ყელი გამოეჭრა მისთვის, გამოვიდოდა თუ არა ცოლის ოთახიდან, ვიცი აგრეთვე, რომ ისაევმა სავარძელზე დაიძინა ამ გადაწყვეტილებით, ფომიჩევი კი მშვიდობიანად დაბრუნდა თავის სახლში...

მეორე დღეს ისაევმა რვა საათზე გაიღვიძა. მიიხედ-მოიხედა გაკვირვებულმა, რომ თავის საწოლში არ ეძინა, არამედ კაბინეტში, დივანზე და არა ეხურა რა... შემდეგ ნელ-ნელა გაიხსენა გუშინდელი საშინელი ამბავი და ისევ დივანზე დავარდა.

თუმცა მალე წამოდგა და ყველაფრის მიმართ გულაცრუებული კაბინეტიდან გამოვიდა. ყველა ოთახი მოიარა. შეიხედა სამზარეულოში, წინა ოთახში, შუშაბანდში და ბოლოს თავის საწოლში შევიდა. მის ცოლს კიდევ ეძინა. იგი მიუახლოვდა ლოგინს, ცოლის თავთან დაიხარა და დიდხანს, დიდხანს დასცქეროდა მას... მისმა მხურვალე სუნთქვამ გამოაღვიძა ელენე სამსონის ასული, მან თვალები გააჭყიტა და ქმარს გაკვირვებული მიაშტერდა.

— ასე ადრე რად აღეჭი, ფეღია? — შეეკითხა იგი. მაგრამ შემდეგ გაახსენდა, რომ იგი მასთან არ იწვა, ჰკითხა: — სად გეძინა, ფეღია?

— ჩემს კაბინეტში დაეძინე, გვიანობამდე ვსაქმობდი...

— დაწეჭი, დაიძინე სულიკო, ჯერ კიდევ ადრეა...

ისავეი ეპირებოდა რაღაცის თქმას და ამიტომ ცოლის მიწვევა ძლიერ გაეხარდა.

— ლენოჩკა, ჩემო სულო, მითხარი, გიყვარვარ თუ არა? მე ყველაფერი ვიცი, ვიცი რა კავშირში ხარ ფომიჩევთან... მე არ მინდა შეგზულუდო. ეს ჩემთვისაც და შენთვისაც საძაგელი იქნებოდა... მაგრამ... ფომიჩევი ისეთი საზიზღარი ადამიანია... ის თავის ამხანაგების წრეში ტრაბახს დაიწყებს, შენ საყვარელ სახელს ტალახში ამოსვრის. ლენოჩკა... ლენოჩკა...

— საიდან მოიტანე, რომ ის მიყვარს?! — მკაცრად შეეკითხა ლენოჩკა.

— გუშინ საღამოს შემოვედი შენს ბუდუარში... შენ... ფომიჩევი გეხვეოდა...

— აი, კიდევ რა! მოგჩვენებია...

— მე თვით დავინახე...

— რა დაინახე?... რაც არ უნდა იყოს, მთელს ქვეყანაზე ყველაზე მეტად შენ მიყვარხარ, ფომიჩევზე მეტად და მშობლებზე მეტადაც... მერე რა მოხდა, რომ ერთხელ თუ ორჯერ მაკოცა?... არაფერია, ჩემო სულო, ღმერთმანი შენ უფრო ძლიერ მიყვარხარ ვიდრე ის... ნუ ჯავრობ, ფეღია...

— ლენოჩკა, მე სრულიადაც არ ვჯავრობ, მაგრამ საქმე იმაშია. რომ დღეს ის ყველას უამბობს, რომ შენთან მეტად ინტიმურ დამოკიდებულებაში იყო. გახსოვს, რას ვიამბობდა სტეპანიდა სიძონის ასულზე? სწორედ ასე, დღეს საღამოს, რომელიმე თავის ნაცნობ ქალს შენზე უამბობს... აი რა მაცოფებს, აი რა მკლავს... მთელ ქალაქს მოფენენ შენ სახელს....

— სისულელეა. ჯერ ერთი მე არავითარი საბაბი არ მიმიცია ამისათვის. მე რე რა, რომ მკოცნიდა და მეხვეოდა? მეორეც, ის ისეთი კაცი არ არის, რომ ამბები გაბეროს. სტეპანიდაზე მარტო ის გვიამბო, რაც თითონ იმან მითხრა მე, და გვიამბო იმიტომ, რომ შენ ათქმევინე... კმარა, ფედიუშკა, ამაზე ფიქრი, მე ხომ ყველაზე მეტად შენ მიყვარხარ ქვეყანაზე!...

— ნამდვილად? მე უკვე აღარა მჯერა სიტყვების... თქვა ნაღვლიანად ისაევმა. მის ხმაში არმიის ოფიცრის ან ოცუელის მწერლის სიყვარულის ახსნის მოტივი ისმოდა.

— ღმერთმანი, ყველას გეფიცები... — როგორც იყო ელენე სამსონის ასულმა დააჯერა ქმარი, რომ იგი უყვარს.

— ლენოჩკა, გამჩენის გულისათვის, ნულარ შემოუშვებ იმ საზიზღარს... განა ცოტაა კარგი ადამიანები. ცოტაა პატიოსანი ადამიანები. რატომ უშვებ ვიღაც გაიძვერებს?

— თუ კი შენ გინდა, ფედინკა აღარავის აღარ შემოვუშვებ. — მხიარულად უპასუხებდა ელენე სამსონის ასული და ანგარიშს არ უწევდა ნათქვამს.

— რატომ პრავინ არ უნდა შემოუშვა? მე ის მინდოდა მხოლოდ. რომ ცუდი ადამიანები არ შემოგეშვა.

— ვინ არიან ესენი?

— აი ფომიჩევი, ბელოვზოროვი, რაკიტინი, ზენტოვსკი და მოხოვი. დანარჩენები კარგები არიან... რას გაჩუმებულხარ? ჰა, ლენოჩკა... თანახმა არა ხარ?

— ფედინკა, ბელოვზოროვი დიდი ხანია აღარ დადის, მე მას საკმაოდ ცივად ვექცეოდი, ფომიჩევს კი... ცუდად მოვექცევი, რომ სიარული შეწყვიტოს... ისე მიყვარხარ, რომ მზადა ვარ ყოველგვარი შენი თხოვნა შევასრულო... ღმერთმანი, მიყვარხარ, ფედი...

ისავეი, რბილი ხასიათის გამო, საბოლოოდ შეურიგდა თავის ცოლს. მისმა აღერსმა იმაში დაარწმუნა, რომ ელენე სამსონის ასული თუ კიდევაც დანებდა ფომიჩევს, სულელური ახირებისათვის და, რომ ამიერიდან ეს აღარ გამეორდება და ელენე სამსონის ასულმა ძველებური სიამტკბილობით განაგრძო ცხოვრება ქმართან...

ფომიჩევი ისე შეუმჩნევლად მოიშორეს თავიდან, რომ ორი კვირის შემდეგ იგი თითქოს სულაც არ არსებულა ქვეყანაზე.

ვითომ რატომ არ უნდა იცხოვრონ ბედნიერად ისეთებმა, როგორებიც ისაევი და ელენე სამსონის ასული არიან? იშვიათად შეხედებით ისეთ ქმარს, როგორიც ისაევია: სხვა, თუ კი მთლად გარყვნილი არ არის და თავისი ცოლით არ ვაჭრობს, ხმის ამოუღებლად გააგდებდა „ფიცის გამტეხსა“, ან და მიჰყვებოდა ბრძნულ რჩევას—

„სიტყვა არ უნდა დახარჯო ტყულად.

სად ძალა უნდა გამოიყენო“.

და კარგად მიბეგვავდა ცოლს, „დომოსტროის“ მითითების მიხედვით: «соймя рубашку, плеткой вежливоенько постегать, за руки держа», მართალია ცოტაა ისეთი ვაჟბატონები, რომელნიც წყებას ხმარობენ, მაგრამ დეე მკითხველებმა გაიხსენონ — განა ცოტას შეხვედრიან ისეთ ქმრებს, რომლებიც თავის ცოლებს „თავაზიანად“ წყებლავენ, ე. ი. სიტყვით. გონიერი ქალისთვის კი ზოგჯერ უფრო იოლია აიტანოს წყებლით დასჯა, ვიდრე „თავაზიანი გაწყება“ ენით... აი, ზომ ხედავთ, სხვა ქმრებთან შედარებით ისაევი მეტად წესიერი ადამიანი იყო, ცოლს არ ავიწყებდა ქარაფშუტული ღალატისათვის, ზრუნავდა მისი გულის მოსაგებად. თითქოს მზად იყო ცეცხლში ან წყალში გადავარდნილიყო თავისი ცოლის ერთი ხელის დაქნევაზე. ახლა აიღეთ ელენე სამსონის ასულიც: იგი მეტისმეტად კეთილი ქალი იყო, კარგი, სხვა ჩვენ ქალიშვილებსა და ქალბატონებზე არა უფრო სულელი, მას თავის მხრით უყვარდა ქმარი, აგრეთვე ცდილობდა მისი გულის მოგებას, მაგრამ რა ვუყოთ თუ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ მას არ შეეძლო წინაღობა შეკრთომასა და ცთუნებას. ჩვენ დავინახეთ, რომ თუ მან ბელოჯ-ზოროვი და ფომიჩევი შეიყვარა, მხოლოდ და მხოლოდ მისი ხასიათის თვისების გამო — ეძებნა საზოგადოება და ნაირფერობა. — მაშასადამე, მისი საქციელის დასაბამი იმაში მდგომარეობდა, რაც მასზე არ იყო დამოკიდებული. გამტყუნება მისი ამ შემთხვევაში იმასა ჰგავს, რომ გამტყუნო მეხით მოკლული კაცი იმისათვის, თუ რატომ მოეკვლეინა ასეთ სიკვდილს...

I X

ისაევის ოჯახში რამდენიმე ხნით მაინც მშვიდობიანობა ე. ი. სიწყნარე და უშფოთველობა ჩამოვარდა: ცოლი არ ფიქრობდა არც ბელოჯზოროვზე, არც ფომიჩევზე და არც სხვა ვინმეზე: იგი თავ-

ლის თვის გემოთი ეალერსებოდა თავის ქმარს, მზრუნველობით შესცქეროდა თვალბში, მხურვალედ ჰკოცნიდა და ანებიერებდა. ისე, რომ ქმარმა დაივიწყა თავისი დარდი. მაგრამ არ გნებავთ: ბ-ნო მკითხველებო, ჩაიხედოთ ღრმად მის გულში, რომ უფრო კარგად გამოიცნოთ იგი?

იმ საბედისწერო დღეს ელენე სამსონის ასული რალაცნაირი თავისტიკივლით ადგა, იგი გუნებაზე არ იყო, თუმცა ყოველწინადად ცდილობდა არ გამოეხატა თავისი სულიერი მღელვარება; იგი საკუთარ თავსაც უწყებოდა, ფომიჩევსაც, ქმარსაც, ყველასა და ყველაფერს იმისათვის, რომ ქმარმა თუ „გარეშეებმა“ გაიგეს მის კავშირზე ფომიჩევთან. იგი არ აქცევდა ყურადღებას თავის ქმრის წინასწარადტკმულს იმაზე, რომ ფომიჩევი სხვებს უამბობდა თავის ოინებზე მასთან, პირიქით, უნდოდა, რომ მეგობრებს გაეგოთ მის სიყვარულსა და სიამ.კბილობაზე და რომ შეშურებოდათ კიდევ, მაგრამ მას აცოფებდა ის, რომ ქმარმა ასე გულგრილად მიიღო ეს ამბავი. „არ ვუყვარვარ, ფიქრობდა იგი, განა მოსიყვარულე ადამიანი, მაგალითად ფომიჩევი, ასე ცივად მომექცეოდა? არა, მას აღარა აქვს ვნების ერთი ნაპერწკალიც კი, არც ერთი ატომი იმ წმინდა ცეცხლისა, რომელიც საინტერესო ადამიანებს ათბობს. სხვა მის ადგილზე მეც მომკლავდა და ფომიჩევსაც, ან, ბოლოს და ბოლოს, თავს მოიკლავდა, ეს ფედია კი!... არა, არ ვუყვარვარ... ისე ცივად, ისე გულგრილად ლაპარაკი სიყვარულზე? ღმერთო ჩემო, რა შემართება? ჩემს ახლოს არ არის ადამიანი, რომელსაც ისე ვუყვარდე, როგორც მე შემიძლია სიყვარული... ტყუილია, იყო ასეთი ადამიანი და მე გავავდე იგი (ელენე სამსონის ასულს თვალბში ცრემლი ადგებოდა). ამას განა სიცოცხლე ჰქვია, განა სიცოცხლე ისეთი არაარობაა, რომ ადამიანებს არავითარ სიამოვნებას არ ანიჭებს? რისთვის ვარსებობ ამ ქვეყანაზე? მე, როგორც ყველა ქალი, შექმნილი ვარ სიყვარულისათვის, ეს სიყვარული კი სად არის? სადაა ის კაცი, რომელიც დააფასებდა ჩემს სიყვარულს, ჩემს მღელვარებას? არ არის ქვეყანაზე ასეთი კაცი (კვლავ ცრემლები). ტყუილია... არის იგი... მე გავავდე იგი... სულელი ვარ: ვიდრე იგი ახლოს მყავდა, არ ვაფასებდი, მთელი სამი თვე ვაწამე!... (ცრემლები), ახლა კი, როცა აღარ არის, როცა ჩემგან შორსაა, მივხვდი, რომ მე დაეკარგე საუკეთესო მეგობარი, საუკეთესო, ყველა ჩემს ნაცნობებს შორის... სად შევხვდე?... აკეთებს რასმე ის ახლა? ხომ არ მიღალატა?...“

ამასობაში ისაევი გახარებული იყო, რომ ცოლთან მისმა ადამიანურმა დამოკიდებულებამ არსებითი სარგებლობა მოიტანა. „ეს

მაგალითი, ფიქრობდა იგი, უარყოფს იმათ შეხედულებას, რომელნიც ამბობენ, რომ ადამიანის საქციელი დამოკიდებულია მისი აღზრდის სისტემაზე და მის ირგვლივ არსებულ პირობებზე...

ლენოჩკას აღზრდა ხომ ცუდი იყო, გარემოება უფრო უარესი, მაგრამ ადამიანურმა მოპყრობამ მისი შეცდომა გამოასწორა: ახლა კარგად ესმის, რომ შესცდა და ამიტომ ეცდება ასეთი რამ აღარ გაიმეოროს“ და სხვა და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით, ისავე განსაკუთრებით განარებულ იყო თავისით და თავისი შორსმჭვრეტელობით. მთელი საქმე შეუღწევი საიდუმლოებით დაფარული დარჩა ისე, რომ გარდა ისავეისა და მისი ცოლისა, არავინ არაფერი არ იცოდა ამ პატარა საოჯახო ისტორიაზე...

„ მას შემდეგ რაც არა გხედავ, ჩემო საყვარელო Hélène, მე ბევრად შევიცვალე: ჩემში აღარაა სიტყვის ის ძალა, რაც შენ ასე გიყვარდა და ამიტომ გაფრთხილებ, რომ ეს წერილი ვერ გეტყვის იმ შეგრძნებასა, მღელვარებასა. და ვნებებზე, რომელნიც ჩემს გულს წიწწნიან. აჰ, რომ შეგეძლოს ჩემს გულში ჩახედვა, დაინახავდი, როგორაა გაწამებული ჩემი სული, როგორ ვეცემი სულით!... მაგრამ, ამაოა შეუძლებელის ნატვრა. ჩემს სულში ჩახედვა კი არა, ჩემი დანახვაც კი არ გასურს!... მე ვიცი ეს, მე ვეწამები ამ შეგნების გამო... წინად, იმ ნეტარ ღვებში, როცა არ გიცნობდი, როცა ჩემთვის არ არსებობდი, ბედნიერი ვიყავი: არ ვფიქრობდი არც შენზე, არც ჩვენს სიყვარულზე; ვგრძნობდი მხოლოდ, რომ უნდა მყვარებოდა, რომ შექმნილი ვიყავ სიყვარულისათვის, მაგრამ ვინ მყვარებოდა, ამოცანა იყო ჩემთვის... აჰ, ნეტავ ეს ამოცანა საუკუნოდ ამოუხსნელად დარჩენილიყო!... მაგრამ შენ გამოცხადდი ჩემს წინაშე და გზა გამიშუქე, მიჩვენე, რომ განგებამ შენ დაგნიშნა ჩემი ცხოვრების გზის მანათობელ ვარსკვლავად... მართალს ამბობს ერთი სიმღერა: „ჩემთვის შენა ხარ სული და ძალა, ჩემთვის შენა ხარ ღვთიური ცეცხლი!“ ეს სიტყვები ნათელსა ხდიან ყველაფერს იმას, რასაც შენზე ვგრძნობ, ყველაფერს იმას, რის თქმაც შემიძლია... და უცბად... ჩამიქრა ეს გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, ჩამიქრა „ღვთიური ცეცხლი“, მე დავკარგე ის, ვინც ჩემთვის იყო „სული და გული“, ე. ი. სიცოცხლე, მამასადამე, მე მკვდარი ვარ... მწარეა ამაში დარწმუნება, მაგრამ რა ვქნა? ვტირი... არა, თმას ვიგლეჯ, გაშმაგებული ვარ ამის შეგნებით...“

მე არ მოვალ შენთან, ჩემო საყვარელო, ჩემო დაუფასებელო სიციცხლე, არ მოვალ, რადგან მწარეა და საწყენი იმისი დანახვა, რომ შენ გფლობს ის და არა მე... სწორედ ამიტომ გთხოვ, გაფიცებ ჩვენს სიყვარულს, ყველა იმ ბედნიერი წუთის ხსოვნას, რომელიც ერთად გაგვიტარებია, მოდი როდისმე, თუნდაც ერთი თვის შემდეგ, საღამოთი, ჩვენი ბულვარის შუა ხეივანში: იქიდან შორს არაა ჩემს ბინამდე, სადაც შეგვიძლია ძველებური ბედნიერებით დავსტკებთ... ველი პასუხს, შენს ძვირფას, საყვარელ წერილს... მომწერე, გიყვარვარ თუ არა? ვეწამები, ვშფოთავ ამ საკითხის გადაწყვეტისას. შენ გადაწყვიტე, დამამშვიდე, გაანათე ჩემი სული მომავლის იმედის შუქით... შენს წერილზეა დამოკიდებული ჩემი დამშვიდება, უიმისოდ, შეიძლება რამე საშინელი გადაწყვიტო — მაშინ შენ იქნები პასუხისმგებელი... მშვიდობით, ჩემო მფარველო ანგელოზო, ჩემი ბნელი ცხოვრების შუქურავ: ს. ფ.“

აი პასუხიც.

„ დღეს საღამოს (8 იანვარს) ბულვარის მესამე ხეივნის ბოლოს სამი ტყუპი ცაცხვის ქვეშ, სკამზე — შენი სამუდამოდ H“.

მკითხველო! რომელი წერილი უფრო ესიამოვნება თქვენს ესტეტიკურ გრძნობას? რასაკვირველია პირველი... თუ შეიძლება ნუ იფიქრებთ, რომ იგი შევთხზე თქვენი სიამოვნებისათვის, იგი დიდი ხანია ჩემთან ინახება, როგორც პროვინციული ფილოსოფიის ძეგლი, როგორც პროვინციელი ქალიშვილების, განსაკუთრებით ქალბატონების გულის გამგმირავი იარაღი... მხოლოდ ერთზე ვწუხვარ განსაკუთრებით ბევრს: მაქვს წერილის არა დედანი, არამედ ასლი: მე გადავწერე იგი მაშინ, როცა, მგონი, გიმნაზიის მეოთხე კლასში ვიყავი, როცა ფომიჩევისა და ისაევის სკანდალმა ფიტში განსაკუთრებული მითქმა-მოთქმა გამოიწვია და როცა ჩემი გმირი ქალის შესახებ, ეშმაკმა იცის, რას არ ლაპარაკობდნენ. მე ვიცნობდი ფომიჩევს, ვიცნობდი კარგად მის ხელსაც, ე. ი. ხელნაწერს: როცა ქალაქში ხმაურის ამტეხმა ელენე სამსონის ასულისადმი გაგზავნილმა ფომიჩევის წერილებმა სიარული იწყეს, ერთ ჩემს ნაცნობს ვთხოვე ეშოვა ჩემთვის ეს წერილები. წინამდებარე წერილი გადმოწერილია ჩემგან ფომიჩევის ავტოგრაფიდან, ხოლო ელენე სამსონის ასულის ბარათი — დედნიდან. წერილში არაფერია არც გამოკლებული, არც მიმატებული.

მე აღარას ვიტყვი იმ გრძნობის შესახებ. რომელთაც ააღლევეს ელენე სამსონის ასული: ის ყველასათვის გასაგებია. როგორც მკითხველმა იცის, ფომიჩევის წერილმა გავლენა იქონია და ჩემი გმირი ქალის მისდამი სიყვარულის ახალი დასაბუთებანი მოიპოვა.

გარდა ამ წმინდა პლატონიური კმაყოფილებისა, მან მიაღწია სხვა, — მეტად მატერიალურ სიამოვნებასაც. პირველმა შეხვედრამ კარგად ჩაიარა, ფომიჩევემა თავისი H e i e თავისთან წაიყვანა სტუმრად, ასევე მოიქცა მეორედაც, მესამედაც და ა. შ. ერთი სიტყვით, საქმე გაიჩარხა...

ამასობაში ისაევი წინაურდებოდა: მისმა დიდმა ქონებამ მისი უფროსების ყურადღება მიიზიდა, ისე, რომ იგი სულ მალე იქნა წამოწეული კანცელარიის მოხელეების წყებიდან და სულ უფრო მალა და მალა მიიწვედა. შეიძლება იმისი იმედიც აღმოჩენილიყო, რომ ჩვენი ისაევი ძლიერ ჩქარა მიალწევდა რაიმეს სამსახურში, რომ სულ მალე წამოეზრდებოდა გვარიანი ღიბი, რომ მისი მკერდი ძლიერ მალე დამშვენდებოდა წარმატების აღმნიშვნელი სხვადასხვა ნიშნებით, რომელთა შორის, რასაკვირველია, თითქმის უპირველესი ადგილი დაეთმებოდა მის შესანიშნავ რქებს, რომ, ერთი სიტყვით, ისაევი იქცეოდა „წესიერ“ ადამიანად. ისე ჩანდა, რომ ბედს ისაევისათვის ეზრუნა, რათა მისთვის მიეცა ყველა ამქვეყნიური საკეთე; ხორციელი და სულიერი სიღამაზე (ხასიათის სირბილე, უთავისთავადობა და უენერგიობა), საკმაოდ ლაზათიანი სიმდიდრე, მაჩვენებელი იმისა, რომ ისაევი მათხოვარა კი არაა, ე. ი. არა არაკეთილშობილი ადამიანი, არამედ ადამიანი ნამუსით, უმცროსი მოძმისათვის მზრუნველი, ე. ი. კაპიტალის მქონე ადამიანი. თუმცა ეს ტირადა საკმაოდ მოძველებულია.

დღე დღეს მისდევდა. მდგომარეობა არ იცვლებოდა; ისაევის სახლში სულ სიმშვიდე და სიწყნარე იყო; ფომიჩევის სახლში — სიმშაგე და ბედნიერება. არავითარი საფუძველი არ არსებობდა სავანთა ასეთი მდგომარეობისას რაიმე უცნაურზე ექვის ასაღებად...

ნება მომეცით ერთი წერილიც მოგაწოდოთ, აგრეთვე ნამდვილი:

„მოწყალეო ქალბატონო

ელენე სამსონის ასულო!

თქვენი უაღრესად ორჭოფული საქციელი მაიძულებს დაგცილდეთ: არ გიყვარვართ და თქვენ სიყვარულში კი მარწმუნებთ... არ ვიცი რა ვუწოდო თქვენს საქციელს... უფრო უცნაური ჩემთვის ისაა, რომ თქვენ. გავიწყდებათ თუ როგორ საზოგადოებაში, როგორ ხალხში ცხოვრობთ, — დადიხართ ფომიჩევის სახლში!... ჩემის აზრით ეს სიმდაბლეზე უფრო მეტია: თქვენ არავინ გიკრძალავდათ შეხვედროდით მას თქვენს სახლში.

ყველა თქვენი ნივთი დაგიბრუნდებათ.

ფ. ისაევი“.

მარტო ღმერთმა უწყის, როგორ ღელავდა ისაევი იმ დროს, როცა ამ მოკლე ბარათს წერდა. ეს შეიძლება მხოლოდ იმ მკითხველებმა გაიგონ, რომელთაც ასეთი წუთები განუტყდიათ, დანარჩენთათვის ისაევის გრძნობები გაუგებარი კაბალისტიკაა.

საოცარი სკანდალი მოხდა: თითქმის თვენახევარს მთელი ფიტი მხოლოდ ისაევზე ლაპარაკობდა; „გაყრა, ყვიროდნენ ერთნი, ისეთი უზნეობაა, რომ ღმერთმა დაიცვას! რა ეშმაკებისათვის უნდა გაიყარნენ? დასძენდნენ ისინი, აბა რა გამოასწორებს ქალს? — ცხადია, წინანდელზე უარესად წავა ხელიდან.... მე მისი ქმრის ადგილზე ვიყო, მგონია ცოცხლად კუბოში ჩავდებდი“ ...—„საბრალო ისაევი, ასეთი კეთილი და წყნარია, თავისი ბედი კი ასეთ საზიზღარ გომბიოს დაუკავშირა“—ყალბი უბიწოებით შენიშნავდნენ ფიტელი ლუკრეციები; „რასაკვირველია, — დასძენდნენ ისინი ჩურჩულით თავის „კავალრებს“, — ზოგჯერ შეიძლება გაერთო და დაივიწყო შენი მოვალეობა, მაგრამ არა ყოველი შემხვედრისათვის, და, რაც მთავარია, არა ასე ცხადად“... ყველა საუბარი რომ გადმოგცეთ რაც ფიტში ითქვა ისაევების გაყრაზე, სულ ცოტა ოცი ტომის დაწერა იქნება საჭირო: იმდენი საკვები მისცა ფიტელებს ჩემმა მომხიბვლელმა გმირმა ქალმა, რომელმაც მოისურვა ვითომც გამოსულიყო „ზრდილობის“ ფარგლებიდან და რომელმაც დაივიწყა თავისი მოვალეობა მდიდარი და კეთილი ქმრის მიმართ. მაგრამ, მე და თქვენ, ჩემო მკითხველო, არა გვესაქმება რა ამ ჭორებსა და ლაპარაკთან. ჩვენ გავყვეთ დრამის განვითარებას, რომ ჩქარა მოვასწროთ და დავამთავროთ ეს უსაშველოდ გაგრძელებული მოთხრობა.

ელენე სამსონის ასულის მშობლების ოჯახში დაბრუნებამ მეტიმეტად გააკვირვა როგორც ელენე სამსონის ასულის მშობლები, ისე თავადი ხრამსკი, მისი ნათლია. ეს ღირსსახელოვანი გმირი, ფიტის ამბებში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლის შემსრულებელი, ღირს იმად, რომ რამდენიმე სიტყვა ითქვას მასზე.

იგი არ იყო ძლიერ მდიდარი კაცი, წარმოსდგებოდა შეძლებული და უკეთილშობილესი მშობლებისაგან. დაიბადა იგი ფიტში, იმ ღირსსახსოვარ დროს, როცა ყველა ცოტად თუ ბევრად მოსაზრებულ ადამიანსაც კი მღვრიე წყალში თევზის დაჭერა შეეძლო. ამით ის არ მინდა ვთქვა, თითქოს ახლა არ შეიძლებოდეს თევზის ჭერა, არა, შეიძლება, მაგრამ ამ ხელობისათვის საჭიროა გქონდეს განსაკუთრებული მოქნილობა და მოხერხება, ხოლო თავად

ხრამსკის ახალგაზრდობისას საჭირო იყო მხოლოდ ფულისა და ხარისხის ქონება, ისეთისა, რომელიც ირგვლივ მყოფთა გულებში ძალაუფლებურ თრთოლასა და ყრუანტელს გამოიწვევდა. თავად ხრამსკის კი, ღვთის წყალობით, გააჩნდა არა მხოლოდ ასეთი ტიტული, არამედ მოხერხებაც, ეშმაკობაც, უსინდისობაც და სხვა სიკეთე, რაც მხოლოდ რჩეულთ ენიჭებათ. ცხოვრობდა იგი არა თუ ბრწყინვალედ, არამედ ისე, ე. ი. მართალი რომ ითქვას, მეტად ღარიბად ცხოვრობდა, რადგან ვერ იმეტებდა კაპიკსაც, მაგრამ მეორე მხრით, მის სასახლეში საპარადო შესასვლელით რომ შებრძანებულყოფით, ვერც შეამჩნევდით და ექვსაც ვერ აიღებდით, რომ „ამ დიდებულ პალატთა მფლობელი“ თავის მზარეულს ნახევარგირვანქა ხორცსა თუ კარტოფილზე ეღავება. ბევრი ცხოვრობს ჩვენში ამგვარად, მაგრამ მე არ შემიძლია რამე ვთქვა ამ ბატონების ოჯახურ ცხოვრებაზე, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არ ვიცნობ მათ; მე კი არ მიყვარს იმის აღწერა, რასაც ძლიერ კარგად არ ვიცნობ. ვფიქრობ, ეს განმარტება დამაკმაყოფილებელია.

მაგრამ, მე თუ თავად ხრამსკის ოჯახურ ცხოვრებას არ ვიცნობ, სამაგიეროდ კარგად ვიცნობ მის საქმიანობას, რომელიც ჩვეულებრივზე მეტია. ეს ისეთი მოქმედებანია, რომ სხვას ვერაფერს უწოდებ, თუ არა ძარცვასა და თავხედობას. ნუ იფიქრებთ, მკითხველო, რომ მე ვაპირებ გაგიმასპინძლდეთ ხრამსკისგან ჩადენილ ბოროტმოქმედებათა აღწერით. ო, არა, მე შორსა ვარ ამგვარი აზრისაგან, ჩემი კალამი ჯერ ისე არ მომაგრებულა, რომ ამისთანა დიდი ადამიანები აღვწერო. თუმცა ვეცდები ვიამბოთ ერთ ყველაზე მცირე ფაქტზე, რომელიც პირდაპირ შეეხება ისაევების ისტორიას. თუ ჩემი მოთხრობა თქვენს მოწონებას დაიმსახურებს, მაშინ, მე, დეე ასე იყოს, ვიამბოთ თავად ხრამსკის მთელ ისტორიას; ვიმედოვნებ, მაშინ მადლიერნი დამრჩები. ამ იმედით მე ვეცდები შევკრიბო მასალები თავად ხრამსკის ბიოგრაფიისათვის.

მოხუცი ლეკიმოვი, თავად ხრამსკის ერთერთი დაახლოვებული პირი, მივარდა თავის კეთილისმყოფელთან, იმდენად გააოცა იგი მისი ქალიშვილის ნაამბობმა. „რა ექნა, თავადლო?“ ეკითხებოდა ისეთი ხმით, რომ ამ სცენის მოწმეებსაც თმები ებუქვებოდათ. ხრამსკი ამბის მოსმენის შემდეგ ადგა და ერთი ორჯერ გაიარა-გამოიარა თავის კაბინეტში. იგი ფიტში ითვლება ფილოსოფოსად და ადამიანის გულის მცოდნედ და ამიტომ ტყუილადაც არ არის მასში კარგად განვითარებული უნარი მოისაზროს რამე საქმეზე სულ რაღაც ხუთიოდე წამში; იგი დიდხანს არ აზროვნებს, მაგრამ ისე.

აზროვნებს, რომ ერთ წუთში იმდენს მოიფიქრებს, რასაც სხვა ერთ წელიწადსაც ვერ შეძლებს.

მთელმა წუთმა გაიარა და ხრამსკის ჯერ ვერა მოეფიქრებინა რა; მასთანადამე, საქმე მეტად სერიოზული იყო. ხრამსკი გაშმაგებით იზელდა შუბლს, აქნევდა ხელებს, შეშფოთებით იღებდა სხვადასხვა საგნებს მაგიდიდან — ერთი სიტყვით, მასში ხდებოდა ის, რასაც ჩვენ მიჩვეული ვართ ვუწოდოთ ვნებიანი ბუნების ადამიანის ღელვა. ამბობენ, სწორედ ასე შმაგობდა იოანე მრისხანე, როცა რომელიმე სახელოვანი დიდებულის წამებას დააპირებდაო.

ბოლოს ხრამსკი შეჩერდა:

— კარგი, — მიმართა მან ლეკიმოვს: — მიბრძანდით სახლში და სრულიად ნურაფერ ღონისძიებას ნუ მიმართავთ... გესმით? რომ არ გაბედოთ ხმის დაძვრა ან რაიმე უკმაყოფილების გამოხატვა ისაევის მიმართ... მე მოვეუვლი მას... იცოდეთ კი...

— მესმის, თქვენო ბრწყინვალე ბავ... აღსრულებული იქნება... წაიბურტყუნა ლეკიმოვმა და გავიდა...

X

კიდევ ერთმა თვემ გაიარა, გაიარა მეორემაც; იწურებოდა მესამე. ფიტში სხვა სკანდალი მოხდა, რომელზეც უფრო დიდხანს ლაპარაკობდნენ, ვიდრე ისაევის სკანდალზე. ელენე სამსონის ასულმა ვაჟი შობა, ისაევებისა და ლეკიმოვების ქონების მომავალი მემკვიდრე, მაგრამ ისაევი არ დაწყენარებულა. ერთხელ ცოლის სანახავად მოვიდა, მაგრამ მან იგი არ მიიღო; ღმერთმა იცის, რა მიზეზით? ელენე სამსონის ასულის ვაჟს იგი თავის მემკვიდრეთ არ ცნობდა, ამტკიცებდა, რომ იგი უფრო ფომიჩევის მემკვიდრე იყო, ვიდრე იმისი. ლეკიმოვები ხელის განძრევასაც არ ფიქრობდნენ...

კიდევ ერთმა თვემ გაიარა...

უცხად ფიტში ხმა გავარდა ახალ სკანდალზე: ერთ მშვენიერ დილას ისაევი თავის დედასთან ერთად ყელგამოჭრილი ნახეს... ეს ხმა მალე დადასტურდა და აღმოჩნდა, რომ ისაევი მართლაც მოეკლათ და რაც მთავარი იყო, ერთი გროშიც არ იყო მოპარული. მასთანადამე, მკვლელობა ჩადენილი იყო არა ისაევის გაძარცვის, არამედ სხვა მიზნით. ფიტი აღელვდა და ზამსთან ერთად გახარებულ იყო — თქვენ თვით განსაჯეთ, ასეთი საქმე თითქმის მთელი წლის ლაპარაკის საზრდოს იძლევა და ეს ხომ უსაქმურ მცხოვრებთათვის მადლია?

ღაინიშნა საგამომძიებლო კომისია, რომელსაც ებრძანა — რაც არ უნდა ყოფილიყო მოეძებნა დამნაშავენი, ეწამებოდა საბრალო

კომისია, ეწამებოდა და ბოლოს სრულიად დაიდალა... იგი დარწმუნდა, რომ ბოროტმოქმედთა დაქვარაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა; და ძლიერ კარგად იცოდა, რომ ბოროტმოქმედება მოწყობილია ხრამსკის გეგმითა და ხელისშეწყობით, მაშასადამე, ბოროტმოქმედების ძაფებიც კარგად არის დაფარული, რადგან ხრამსკი ამისთანა საქმეების მოწყობის ოსტატი იყო.

მოულოდნელად, უეცრად ბოროტმოქმედნი მართლმსაჯულებას ხელში ჩაუტყვიდნენ: მათ ჩხუბი მოუვიდათ იმ ფულის განაწილებისას, რაც ბოროტმოქმედების ჩადენის საფასურად მიიღეს და ერთმანეთი დასჭრეს. მათ ხელი სტაცეს.

— რაზედ ჩხუბობდითო? — ჰკითხეს.

— ფულს ვიყოფდით და ამ ავკაცს უნდოდა ორასი მანეთი წაერთმია ჩემთვის — ფული კი ჩემია, შრომით, სისხლითა და ოფლით ნაშოვნია...

— ვინ მოგცათ თქვენ ფული? — ეკითხება პოლიცია.

— ვიშოვეთო, — უპასუხებდნენ.

— საიდან?

— ვიმუშავეთო....

— სადა? თქვით, თქვე არამზადებო!

— საიდან და ვაჭრობას ვეწეოდითო.

პოლიცია გამოუსვლელ მდგომარეობაში ჩავარდა: მას ექვიც არ ებადებოდა, რომ ისაევი ამათ მოკლეს, რადგან ცნობილი იყო, რომ ისაევი არავის არ გაუძარცვავს. მაინც, ყოველ შემთხვევისათვის, ექვმიტანილი ადამიანები ცალ-ცალკე ჩასხეს, საქმე კი საგამომძიებლო კომისიას გაუგზავნეს განსახილველად.

აქ გაიხსნა მთელი საიდუმლო და ამ ადამიანებმა კანონიერი სასჯელი მიიღეს.

14 სექტემბერს სალამოს, ქალაქგარეთ, ბაღში ბალი იყო გამართული. ახალგაზრდობა ცხარედ ცეკვავდა, ცხარედ ხტუნაობდნენ ქალები. აქა-იქ კუთხეებში მიმსხდარიყვნენ ნაზი წყვილები, სამეულები, ოთხეულებიც კი და ჩაოსა და სხვა სასმელებს მიირთმევდნენ. ბაღის ერთ უშორეს კუთხეში, მკრთალად განათებულ ოთახში, რამდენიმე ახალგაზრდა იჯდა და შამპანიურს მიირთმევდა. მათ შორის იჯდა ჩვენი ნაცნობი ელენე სამსონის ასული, მართალია იგი არაფერს სვამდა, მაინც ცხოველ მონაწილეობას იღებდა თანაშობისაუბრეთა მხიარულებაში.

— კაცო! — დაიყვირა ერთერთმა ახალგაზრდამ: — მოგვართვი

ექვსი ჰიქა ყველაზე მაგარი ყავა, — გესმის? ჩქარა!

— რაღა გინდა? — ჰკითხა მეორემ.

— ისე, მომინდა... მე აქ მთელი ღამით ვრჩები...

რისთვის? რა სისულელეა?

თანამოსაუბრენი გვერდით მიდგნენ.

— სახლში დაიბარა ვითომც თავის დეიდასთან მიდის, — წავიდა კიდეც, სულ ერთი არაა გინდ დეიდა, გინდ აქ... აქ უფრო სჯობია...

— არ დარჩება... არ დათანხმდება... გაანებე, ძმაო, მაგას თავი... შეგრთავენ, ღმერთმანი შეგრთავენ და მოექცევი მის ფეხებქვეშ... გახსოვს ისავე? მგონია შენზე უკეთესი იყო, რა ყოჩალი, მაგრამ დაიღუპა.

— არა, ძმაო, ვერ შემრთავენ... მე ასეთი არა ვარ...

ქეიფი გრძელდებოდა... ელენე სამსონის ასულის სადღეგრძელო დალიეს და ამისთანა კარგი შემთხვევა არ გაუშვეს, რომ აეყვანათ იგი და ჰაერში შეეხტუნებინათ. ბალი მალე დამთავრდა. წყვილები დაიშალნენ, ხოლო პატარა ოთახში კიდეც დიდხანს ენთო სანთელი.. მეორე დღეს ელენე სამსონის ასული დაბრუნდა სახლში მშობლებთან.

ისაევის მამული მისი მემკვიდრის, ე. ი. ელენე სამსონის ასულის ვაჟის საკუთრებად იქნა ცნობილი.

თავადი ხრამსკი, ელენე სამსონის ასული, ლეკიმოვი და შლეგია-ნი ყმაწვილები — არმიის ოფიცრები დღევანდლამდე კარგად არიან და ძველებურად ატარებენ დროს ყოველ დღე, დღესაც ისე, როგორც გუშინ...

ჩემმა მოთხრობამ ანეგდოტური ხასიათი მიიღო: ამგვარი ამბები, ჩვეულებრივ, უფრო მშვიდობიანად მთავრდება... ერთი სიტყვით, დეე ჩემი მოთხრობა არაჩვეულებრივ ანეგდოტს ჰგავდეს, დეე ამგვარი ისტორიები ცხოვრებაში შეუძლებელი იყოს და მთელი მოთხრობაც გამოვანილი — ჩემთვის სულ ერთია... წინათ, როცა ახალგაზრდა ვიყავი, ამ ისტორიის გახსენება სულს შემეკმენდდა ხოლმე; მაგრამ ახლა — სხვაა, ახლა ამ საქმეზე მე ძლიერ გულცივად გაიმბობდით, ახალგაზრდული ღელვის, უსიამო ყრუოლისა და სხვა ამგვარი განცდების გარეშე... ახლა მე სხვა არა ვარ რა, თუ არა „საშინელი ბოროტმოქმედების მიუყერძოებელი ისტორიკოსი“... მხოლოდ....

6. რუსული შურნალისტიკის მიმოხილვა

აირველი ელვია

ჩვენი მკითხველებისათვის, რუსული საეურნალო საქმიანობის გაცნობის განზრახვისას, საჭიროთ ვთვლით წინასწარ რამდენიმე სიტყვა ვთქვათ, რომლებიც გამოკვეთავენ ჩვენს აზრს ამ ეურნალისტიკაზე.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა გადავსინჯოთ დიდი ხნით ადრე გადაწყვეტილი საკითხი: რ ა ა რ ი ს ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა ?

მკითხველისათვის ცნობილია, რომ ლიტერატურა არის თანამედროვე საზოგადოების ანარეკლი; ცნობილია აგრეთვე, რომ იგი არაერთარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი თანამედროვე საზოგადოების მოძღვარი იყოს. აქედან ცხადად ჩანს, რომ ლიტერატურა უნდა შეიცავდეს ანარეკლს ყველა იმ ელემენტისა, რომელნიც ხალხში ან, ყოველ შემთხვევაში, ეგრეთ წოდებულ განათლებულ საზოგადოებაში მოიპოვება და რომ საზოგადოების ყველა სიმპატია ან ანტიპატია ლიტერატურის მიერ უნდა იყოს გამოხატული.

მოვიტანოთ მაგალითი: როცა სუფთა სარკეში ვიციკირებით, ჩვენს სახეს ისეთნაირად ვხედავთ, როგორც იგი არის და თუ ოდნავ მაინც დავიმანჭებით, იგი აირეკლება სარკეში. თუ სარკე შეწყვეტს ჩვენი სახის, ჩვენი მანჭვის არეკლვას, თუ სარკესთან მისვლისას დავინახავთ არა ჩვენ სახეს, არამედ რაღაც გაურკვეველობას — ამ მოვლენით უნდა დავრწმუნდეთ, რომ სარკემ სარკეობა შეწყვიტა და თავის დანიშნულებას აღარ უპასუხებს.. ჩვენ, როგორც მოაზროვნე ადამიანები, ასეთი უბრალო დასკვნით არ დავკმაყოფილდებით და მოვინდომებთ მიზეზების ანალიზს, რამაც სარკე აიძულა სარკის თვისებები დაეკარგა; ანალიზისათვის საჭიროა გაისინჯოს შუშა, ამალგამა, ჩარჩო, სხვადასხვა ფიზიკური მოვლენები, მაგალითად: წვიმები, ყინვები და ა. შ. ყველა ამის გათვალისწინებით ჩვენ გამოვარკვევთ სარკის ცვლილების მთავარ მიზეზს; ამასთან, მოვნახავთ საშუალებას ამგვარი არანორმალური მოვლენის გამოსასწორებლად.

თურმე შუშა, როგორც შუშა, კარგია ძლიერ, სხვა სარკის შუშებთან შედარებით სულაც არ თამაშობს უკანასკნელ როლს, რადგან თავისი სისქით სხვების მსგავსია, ხოლო სისუფთავით, ბურთულების უმნიშვნელო რაოდენობითა და ა. შ. სხვებსაც კი სჯობია.

მაშ მიზეზი სხვა რამეში უნდა ვეძიოთ. ავიღოთ ამაღამა: თავისი შემადგენლობით იგიც სხვებს არ ჩამოუვარდება, მაგრამ, რატომღაც, არც თუ მკვიდროდ არის შუშას მიკრული, ისე, რომ ფრჩხილის წვერითაც კი შეიძლება მისი აძრობა. ეს ფაქტი ჩვენს მიერთიქმის ყველა სარკეზეა შენიშნული, გარდა იშვიათი გამოჩაყლისისა ამაღამამოცილებული სარკის შუშა კარგავს უნარს ასახოს საგნები, რომელთა სხივები მასზე ეცემა. მაშასადამე, სარკის გაფუჭება გამოწვეულია იმით, რომ შუშას ამაღამა ეცლება. ახლა უნდა მიზეზი გამოვძებნოთ: „რად ეცლება შუშას ეს ამაღამა?“ ამაღამა შუშას შეიძლება მოსცილდეს ან აფხეკით, ან სხვა მიზეზის გამო.

II

ახლა, მკითხველების წინაშე, ჩვენ ბოდიშს ვიხდით იმისთვის, რომ ზემოთ მეტისმეტად ნაძალადევი შედარება მოვიტანეთ; მაგრამ, გარემოებანი, რომელშიც ვწერდით ამ ელევგის დასაწყისს, სწორედ ასეთი მეტაფორული წერილის გუნებაზე გვაყენებდა. ამ განმარტებით მკითხველებს შეუძლიათ იმსჯელონ, რომ ჩვენ მომავალში ვაპირებთ გავანთავისუფლოთ ისინი ყოველგვარი მეტაფორებისა და შედარებისაგან, თუკი ამას გარემოებანი არ მოითხოვს.

არიან აღამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ რომელიმე ხალხის ცივილიზაციის მდგომარეობაზე მსჯელობა შეიძლება ლიტერატურული ძეგლების მიხედვით. საკამათო არაა, რომ ასეთი შეხედულების საფუძველი სწორია; მაგრამ, ზოგიერთ, გამონაკლის შემთხვევაში, იგი სცოდავს ჭეშმარიტების წინაშე.

გადავიდეთ ოცნებით რომელიმე XXV საუკუნეში და წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ, ბიბლიოგრაფები, ვიხილავთ XIX საუკუნის რუსული ცივილიზაციის მდგომარეობას. ჩვენს წინ ალაგია რუსეთში დაბეჭდილი ყველა ჟურნალი, გაზეთი, წიგნი. ვფურცლავთ, ვსწავლობთ მათ ჩვენი ბიბლიოფილების მთელი გულმოდგინებით და მრავალი წლის შესწავლის შემდეგ ვბეჭდავთ ტრაქტატს რუსულ ცივილიზაციაზე. როგორ ფიქრობთ, მკითხველებო, შევისწავლით თუ არა ამ ძეგლების მიხედვით XIX საუკუნის რუსულ ცივილიზაციას? ვერა. ჩვენს ტრაქტატში ბევრი რამ იქნება გულუბრყვილოდ

МАРКАМИ ФАКТА

ЭКСПИДИЦИЯ ЧАСТА

ყალბი, ცრუ, ბევრი იქნება სიტყვაძუნწობა, როგორც ჩვენს თანამედროვე ლიტერატურაშია... ჩვენი ცხოვრება, ბატონებო, ისეთი არაა, როგორც ჟურნალებში და გაზეთებში აღწერენ: ბევრი რამ არის ცუდი იმაში, რითაც ზოგიერთი ჩვენი ჟურნალი აღტაცებულია, ბევრია გაუგებარი მასში, რასაც ჩვენი ლიტერატურა გვერდს უვლის. და ეს გაუგებარი შემდეგ როდისმე თავს იჩენს. მაშინ, ე. ი. XXV საუკუნეში, გავოცდებით, როცა რუსული ცხოვრების მიმართულებას რუსული ლიტერატურის მიმართულებას შევადარებთ: ჩვენ ვიტყვი: მოგვიტყვეთ, მაშინდელ წიგნებში ეგრე სულაც არაა, რასაც ისტორია გვიამბობს... აი აქაა საჭირო ჩაფიქრება, აქ კია გასაოცარი რამ... მაგრამ, მცირე ფიქრის შემდეგ და მდგომარეობის გახსენების შემდეგ ვიპოვით ლიტერატურასა და ცხოვრებას შორის ასეთი უცნაური სხვაობის გაგების გასაღებს. ავიღოთ. მაგალითად, XVIII საუკუნის ლიტერატურული ძეგლები. რას ვხედავთ? მარტო იმას, რომ მაშინ დამღვარა მეცნიერებისა და ხელოვნების და სხვათა ოქროს საუკუნე. ავიღოთ ახლა ისტორია ისიც მას იტყვის, რასაც ლიტერატურა? მგონია არა... ამ მაგალითიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ლიტერატურას ყოველთვის არ შეუძლია იყოს ასახვა თანამედროვე საზოგადოებისა და, რომ „ასახვის“ დიდი თუ მცირე სიზუსტე დამოკიდებულია პირობებზე, ამასთან, თვით ლიტერატურის ძალაზეც, ესე იგი, ტალანტებზე, რომელიც გააჩნია ლიტერატურას.

ჩვენ გავეცანით პირობებს, რომელნიც რომელიმე სხეულს აძლევდნენ შეიცვალოს შესახედობა, მიიღოს სხვაგვარი დანიშნულება. ამ პირობათა ძალა ისეთია, რომ იგი, ჩვენი ხალხის თქმით „აღმართსა ხნავს“.

მაშ ჩვენი ლიტერატურა აღმართია?

დობროლიუბოვისა და ზოგიერთ სხვათა სიკვდილით ჩვენი ლიტერატურა დაობლდაო, ამბობენ ლიტერატურის ზოგიერთი მოყვარულები. ნება მომეცით ამაში ექვი შევიტანოთ: რასაკვირველია, ასპარეზიდან გასული ლიტერატურის მოღვაწენი — დიდი ნიჭის მქონე ადამიანებია, რომელთა დაკარგვა საგრძნობია ყოველგვარი ლიტერატურისათვის და არა მხოლოდ რუსულისათვის, მაგრამ ნუ ვიქნებით უსამართლონი სხვა, საკმაოდ მძლავრი ტალანტების მიმართაც, რომელნიც, მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ ეკუთვნიან ჩვენს ლიტერატურას... მათ შეეძლოთ ლიტერატურისათვის ასაჯერ მეტი სარგებლობა მოეტანათ, ვიდრე მოაქვთ დღეს. ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა ახლა ისეთია, რომ იგი არ საჭიროებს კრიზისს, რადგან იგი მან უკვე გადაიტანა; მთელმა ბალღამმა მის

ერთ ფეხზე მოიყარა თავი და იქ გააჩინა წყლული, სხეულის დანარჩენი ნაწილები ჯანსაღია...

აი რატომაა, რომ ჩვენი თანამედროვე ჟურნალისტიკა მოიკოვლებს. მაგრამ დაცემით არ დაეცემა: მას ჯერ კიდევ არ შეუძლია სირბილი, გამართული სიარულიც კი, მაგრამ არ არსებობს საბუთი, რომ იგი განწირულია სამუდამოდ ბუხართან წოლისათვის.

ჩვენის აზრით, 1862 წლის ლიტერატურულმა კრიზისმა ჩვენს ლიტერატურაზე კეთილი გავლენა იქონია: ჩვენც, ისე როგორც მკითხველებმა, ვიცით, ვინ რას წერს, ვინ რომელ პარტიას ეკუთვნის, რომელ ლიტერატურას, რა მრწამსი აქვს და ა. შ. ავიღოთ, მაგალითად, „რუსსკი ვესტნიკი“ და ყდაზე, სხვა თხზულებათა სათაურებს შორის, შევხვდებით ასეთებსაც „ამღვრეული ზღვა“, რომანი ექვსნაწილად ა. პიხემსკისა, და ძლიერ კარგადაც ვიცით, რომ ამ რომანში უნდა იყოს ესა და ეს, რადგან ვიცით როგორცა აქვთ ჩვენს ლიტერატორებს თავი მომართული...

მაგალითად. ფაქტი: ორი გლეხი, ეკონომიური ანგარიშიანობით, რაც შედეგი იყო მეტი სმეტი განუფითარებლობისა, შეთანხმდა გაეცვალათ ცოლები.

უფ. კატკოვი იტყვის: „ეს საქციელი იმდენად უზნეოა, იმდენად საწინააღმდეგოა სახელმწიფოებრივი წყობისა, ისე ბევრს ლაპარაკობს თავის თავზე, რომ არ საჭიროებს კომენტარებს და ამაზე ლაპარაკი სრულიად ზედმეტია. დეე ეს საქმე არკვიოს იმან, ვისაც ევალება მისი რკვევა“. ყველაფერს ამას შიგადაშიგ უფ. კატკოვი სიტყვაგადაკვრით უკავშირებს ლონდონის აგიტატორების მანვნი გავლენას ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ტრეპაკის მოცეკვავეებსა და ა. შ.

უფ. ასკოჩენსკი: უპირველეს ყოვლისა გადაბეჭდავს ამ ამბავს და მოჰყვება წყევლა-კრულვას. შემდეგ რომელიმე უბირი კორესპონდენტისაგან (უმეტეს შემთხვევაში არარსებულისაგან) მიიღებს ამბავს, რომ ერთ-ერთ ამ უღმერთო გლეხს სახლი დაეწვა, ხოლო მეორე უცბად მოკვდა და ამას საყოველთაო ცნობისათვის დაბეჭდავს. ამასთან, არ დაივიწყებს დაუმატოს: აი, ნილილისტებო, ნაყოფი თქვენი უღმერთო და უზნეო მოძღვრებისა, რომელიც ძირშივე არღვევს ჩვენი მართლმადიდებელი გლეხის ზნეობრივობის შენობას: სხვაგვარად არც იქნება, რადგან ის ჭეშმარიტებანი, რომელთა წინააღმდეგ გაბედეს აღმდგარიყვნენ თქვენი მოძღვრებით დაბრმავებულნი გლეხები, „შევიწინებულნი არ არიან“.

ბატ. ს. გრომეკა აიფხორება, 1854 და 1856 წლების მთელი სი-
ცხარით დაუწყებს მუშტის ცემას გლეხებს, შემდეგ მქუხარე ფი-
ლიპიკით მოუბრუნდება „სოვრემენიკს“⁶ და დაამტკიცებს, რომ
გლეხობის უზნეობაში დამნაშავეა მხოლოდდამხოლოდ „სოვრემე-
ნიკი“.

ყველა ამის შემდეგ მომბალი და „სოვრემენიკზე“ ჯავრამოყრი-
ლი დამშვიდდება და ამ ეურნალს წაუკითხავს კკუის დარიგებას,
რომ გამოუცდელი გლეხების გარყვნა ეწინააღმდეგება აბსოლუტურ
კეშმარიტებას, — საბოლოოდ დაიბნევა და თავის სტატიას უთაე-
ბოლოდ დაასრულებს შეძახილით: „ო, ისინი, მიმდევარნი...“ და
მისთ. დასასრული დაიქერს სამ ნაბეჭდ თაბახს, ხოლო მთელი წე-
რილი ხუთს, რაშიც გრომეკა ა. ა. კრავესკისგან მიიღებს არა ნა-
ლებ 120 მანეთისა.

სკარიატინი ამბავს მიიტანს გლეხების უზნეობაზე და ამასთან
„სოვრემენიკსა“ და „ისკრას“⁷ შებღალავს...

მკითხველი ხედავს, რომ ჩვენს ამონაწერებსა და წინასწარმე-
ტყველებას დასასრული არ ექნება, რადგან ჩვენს ლიტერატორებს
ძლიერ ბევრი თვალსაზრისი აქვთ... ლიტერატურულმა კრიზისმა, ამ
მხრივ, უეჭველი სარგებლობა მოიტანა. სამაგიეროდ, მეორეს
მხრივ, იგი მძიმე იყო ლიტერატურისათვის.

III

ელეგის დასაწყისში ჩვენ ის პირობები განვიხილეთ, რომელ-
თაც ლიტერატურის შეზღუდვა შეუძლიათ და, ამის შემდეგ ზედ-
მეტი არ იქნება კიდევ რამდენიმე დამატებითი სიტყვა ვთქვათ.

ჩვენ ვამბობდით, რომ ლიტერატურას ყოველთვის არ შეუძლია
იყოს ანარეკლი თავისი თანამედროვე საზოგადოებისა და, რომ ამ
არეკლას ზოგჯერ შეიძლება ხელი შეუშალოს სხვადასხვა პირო-
ბებმა, რომელშიაც ჩვენი ლიტერატურა არის ჩაყენებული:
ვგრძნობთ, რომ ჩვენ ბევრი რამ ვერ გვითქვამს.

თუმცა უბედურება არაა, თუ ხსენებულ პირობათა შედეგად
ჩვენს საზოგადოებასა და შთამომავლობას სიამოვნება აღარ ექნე-
ბათ წაიკითხონ ბატ. სტრახოვის, ან ბატ. ბობორიკინისა და ბატ.
კორშის ყბედობა. ისინი ჩვენში სიბრალულს არ იწვევენ, თუნდაც
საქვეყნოდაც კი ხმამაღლა მოსთქვამდნენ. ჩვენ იმ ბატონ მთხ-
ზველთა წინააღმდეგ ვლაპარაკობთ, რომელთაც ხსენებულ პირობა-
თა მოცილება უნდათ მხოლოდ იმისათვის, რომ თავისუფლად და-
ფქვან ყოველგვარი უაზრობა, მხოლოდ იმ ეურნალისტთა წინააღმ-

დევ, რომელთაც ბეჭდვითი სიტყვა მიაჩნიათ საკუთარი სურვილების გამოთქმის არა საშუალებად, არამედ მიზნად.

ჩვენის აზრით, სულერთია ბრმას აქვს თუ არა აქვს ნათელი, მაგრამ თუ ეს ბრმა სანთლის თხოვნას დაიწყებს, მაშინ ეს ნახევრად შემოლილი შეგებრალეზა და შეიძლება, იმის მიხედვით, თუ როგორ გუნებაზე ვიქნებით, ხარხარიც კი დავიწყეთ.

როცა ვამბობდით, რომ ლიტერატურას ყოველთვის არ შეუძლია მისი თანამედროვე საზოგადოება ასახოსო, აჩვენოს ცივილიზაციისა და მეცნიერების მდგომარეობა, ჩვენ მხედველობაში ყოველი მჭაღბნელი და მჩხაბავი კი არ გვყავდა, არამედ მეცნიერებისა და ლიტერატურის ნამდვილად სასარგებლო მოღვაწენი, რომელნიც ყოველთვის სრულად არ გამოთქვამენ თავის იდეებს... ამის საფუძველზე ჩვენ სრული უფლება გვქონდა გვეთქვა, რომ ლიტერატურის ყოველი ნაბიჯი და განვითარება დამოკიდებულია იმ პირობებზე რომლებშიაც იგია ჩაყენებული. ამ პირობების დაკვირვებული შესწავლა მკითხველს ნამდვილ წარმოდგენას შეუქმნის ლიტერატურაზე...

ლიტერატურა, მიჩვეული ხშირად ნართაულად ლაპარაკსა და დაუმთავრებლად აზრის გამოთქმას, მკითხველის წინაშე ფარდას ეფარებოდა და სერიოზულად არწმუნებდა მას, რომ „რედაქციისაგან დამოუკიდებელ პირობებს“ რომ ხელი არ შეეშალა, იგი ციდან ვარსკვლავებს ჩამოკრთებდა. ლიტერატორთა შორის ერთგვარი დაბნეულობა სუფევდა: ვერავის გამოერკვია, ვის რა სურდა, ყველა ლიბერალად ჩანდა....

საზოგადოება, თავისთავად იგულისხმება, გაბრუებული იყო ყველა ჯურის ლიბერალისაგან და მათ ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა. ყველა აღიარებდა, რომ საჭიროა რაიმე ძლიერი ბიძგი იმისათვის, რომ გარკვეული მიმართულების ლიტერატორები მკვეთრად გამოიხროდნენ მოწინააღმდეგე მიმართულების ლიტერატორებს. ამ ბიძგში ხედავდა ყველა მკითხველი თავის ხსნას. ბოლოს 1861 წელს ამ ბიძგმაც არ დააყოვნა გაეცურებინა ჩვენი ლიტერატურა. „რუს-კი ვესტნიკმა“ პირველმა მოახსნა ტოგა ინგლისელი ლიბერალისა და ნილაბი ინგლისურ წარმომადგენლობითი დაწესებულების დამკველისა და სახალხოდ გადაეხვია „რუსსკი ლისტოკსა“¹⁰ და „დომაშნაია ბესედას“¹¹. მის კვალს სასწრაფოდ მიჰყვა ყველა უბრალო ყურნალი და მოყურნალი გამოცემა და შეადგინეს ცეცხლის მქრობელთა რაზმის დამხმარე ვოლონტერული ლაშქარი. მაგრამ მათი კეთილშობილური მისწრაფება უარყოფილ იქნა და იმის მაგიერ, რომ ცეცხლის მქრობლებთან ერთად ეღვაწნათ, ეს უბრალო ვო-

ლონტერები ნიპილისტებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაებნენ. საბრალო ნიპილისტები გაიქეღნენ და იძულებული გახდნენ გაჩუმებულიყვნენ. აქ შეუძლებელი იყო, რომ თითოეული ვოლონტერის მიმართულება არ გამოცხადებულიყო. ამ სამწუხაროდროში ჩვენს ლიტერატურაში მკაფიოდ გამოიკვეთა სამი ლიტერატურული პარტია: თავზე ხელაღებული ობსკურანტებისა, „პოსტ-პენოველებისა“ და ნიპილისტებისა. ცხადია, რომ საზოგადოებრიობისათვის ეს ბიძგი იქცა საყურნალო-ლიბერალური აქინეისაგან გამათავისუფლებლად. საზოგადოება, მაგალითად, აიღებდა ხელში 1858 წლის „რუსსკი ვესტნიკ“, კითხულობდა, კითხულობდა თავის შორსმკვრეტელობაზე გამწარებული და არაფერი არ ესმოდა. იგი ჯერ მეტისმეტი ლიბერალური აზრებით იწყებდა, ხუთიოდე გვერდის წაკითხვის შემდეგ კი ისეთი რეტროგრადული იდეა წამოყოფდა თავს. რომ პირდაპირ საშინელება! შემდეგ, წერილის დასასრულს, გატარებულაა წმინდა ლიბერალიზმი. რას მიხვდები რა სურდა „რუსსკი ვესტნიკს“? თვით ლიტერატორებსაც კი არ შეეძლოთ კარგად განესაზღვრათ თუ რისკენ მიისწრაფოდა ეს ჟურნალი. მხოლოდ სამს თუ ოთხს შეეძლო ეს... აქ კი უცბად ბიძგია და „რუსსკი ვესტნიკი“ თვით ბეჭდავს, რომ ესა და ეს მინდოდაო!... პირდაპირ მშვენიერებაა!

ახლა ვერცერთი მოლიტერატორო ვერავითარი ლიბერალიზმით ვერ მოატყუებს რამდენადმე ჯანსაღად მოაზროვნე მკითხველს..

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურული კრიზისის შედეგად ძალზე ბევრი თხზულება მოისპო, რომელთაც კრიზისამდე შეეძლოთ ჰქონოდათ კარგი წარმატება თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ინტერესი საზოგადოებისათვის მაინც.

— წაიკითხეთ თქვენ „ლუციის სიკვდილი“?!

— ეგ რაღაა?

— მოკითხვის პოემა, დაბეჭდილი „რუსსკი ვესტნიკის“ თებერვლის წიგნში.

— ჰა, ჰა, ჰა! ვიცით რა სუნიც ასდის!

ასე შეხვდა თითქმის მთელი საზოგადოება პოემას „ლუციის სიკვდილი“, თუმცა, სამართლიანად რომ ითქვას, იგი ღირსებებს არაა მოკლებული. ჩვენ არ ვეკუთვნივ ბატ. მაიკოვის პანეგირისტთა ჯგუფს. მიუხედავად ამისა ჩვენ ვალად მიგვაჩნია ვსთქვათ, რომ ლიტერატურულ კრიზისამდე „ლუციის სიკვდილი“ თავისი ღირსებებით ფურორს მოახდენდა და პოემის ნაკლოვანებები ხელს არ შეუშლიდა არაფერს, ისინი შეუძმნეველნი დარჩებოდნენ. კრიზისამდე მკითხველებს შეეძლოთ „ლუციის სიკვდილში“ ისეთი მხარეები

აღმოეჩინათ, რომელთა არსებობაზე პოემაში ავტორს ეჭვიც კი არ გაუჩნდებოდა; კრიზისის შემდეგ კი, როცა „რუსსკი ვესტნიკის“ მიმართულება გამოირკვა, ყველა მკითხველი დარწმუნდა, რომ ამის მსგავს დაფარულ მხარეებს არ შეიძლება ადგილი ჰქონდეთ „რუსსკი ვესტნიკში“.

ჩვენი ლიტერატორების დაფარული ტენდენციების ასეთი გამომვლავლება არ შეიძლებოდა საზოგადოებას არ დახმარებოდა იმის დანახვასა და გარკვევაში, თუ ვის რა სურდა და რას ესწრაფოდა; ახლა იაფფასიანი ლიბერალობა აღარას შველის, იგი მკითხველს თვალებს ვეღარ უბამს და თავისი სქელი ბურუსითაც ვერ აბნევს მათ...

მკითხველებთან ერთად ჩვენ ჩვენს მოლიტერატურო პირებს დავახარისხებთ და, ბრმების თვალხილულებისაგან გამორჩევის შემდეგ, კარგ ზნეობრივ სამოძღვრო რაიმე სიმღერას შევაწევთ სანთლის მთხოვნელ ბრმებს.

7. რამდენიმე სიტყვა ერთი მეტად ძველი საკითხის გამო

I

ამასწინათ გამოვიდა თარგმანი, შესრულებული ოსოსოვის რედაქციით, ზიბელის თხზულებისა: „საფრანგეთის რევოლუციის ისტორია“. ამ წიგნმა მრავალი აზრი წარმოშვა ძველი საკითხის გამო. ეს აზრები განზრახული გვაქვს გავუზიაროთ ჩვენს მკითხველებს.

ზიბელი თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს იმ მოვლენებს, რომელთაც საფრანგეთის დიდი რევოლუცია შეამზადეს და თითქოს მისი წინამორბედები იყვნენ. შეიძლება, რომ ამისათვის ზიბელი იმსახურებდეს არა გმობას, არამედ, პირიქით, ქებასაც. ზოგიერთნი მეტად გულდიად ამბობენ, რომ რევოლუციის წინამორბედ მდგომარეობათა ახსნა-განმარტება ისტორიას აბნელებს. ჩვენის მხრით მთლად თანახმანი არა ვართ ამისა და ვეცდებით, რამდენადაც ეს შესაძლებელია, გამოვთქვათ ის შეხედულებები, რომლებიც გვაქეზებენ ვილაპარაკოთ მაშინდელ მოვლენათა შესახებ.

საფრანგეთის რევოლუცია, როგორც ყველაფერი, რაც კი გაკეთებულია და კეთდება ამ ქვეყანაზე, ყუმბარის მსგავსად ციდან არ ჩამოვარდებოდა: იგი ბუნებრივად უნდა გამოსულიყო წარსულ დღეთა მღელვარებიდან, რადგან უშუალო მიზეზები, ე. ი. შევიწროვებანი, რომელთაც რევოლუცია გამოიწვიეს, გაჩნდნენ არა 1789 წელს, არამედ არსებობდნენ, ასე ვთქვათ, ადამის ეამიდან.

უაზრობა იქნებოდა გვევარაუდა, რომ სწორედ 1789 წელს იგრძნო ხალხმა მაშინდელი სახელმწიფოებრივი წყობის მთელი სიმძიმე და მაშინვე სცადა გადმოეგდო იგი. ქვევით ჩვენ გავარჩევთ საფრანგეთის რევოლუციის ახლობელ მიზეზებს, ახლა კი ვცადოთ ორიოდ სიტყვა ვთქვათ შორეულთა შესახებ.

კათოლიკურ სამღვდელოებას, რომელიც თავის წარმოშობიდანვე ცდილობდა ქვეყნად განემტკიცებინა ქრისტიანობის შერყვნილი პრინციპების ბატონობა, როგორც ჩანს თავისი საქმეები ისე კარგად მიჰყავდა, რომ მოასწრო დაერწმუნებინა თითქმის მთელი ქვეყანა მოციქულთა მოადგილეების, ე. ი. პაპების უცოდველობის

ბრმა მორჩილებაში. რაკი ხელში ეპყრა მთელი დასავლეთ ევროპის ახალგაზრდობის ზნეობრივი განვითარება, იგი სისტემატურად აჩლუნგებდა თავის აღსაზრდელთა ყველა ძალას, მათ ჯანსაღ აზრსა და აზროვნების შესაძლებლობას, განსჯას. ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანის ყველა ეს კუთვნილება სარწმუნოებრივ საგნებში შეცვლილი იქნა აღმზრდელთა განმარტებების ბრმა მორჩილებით. სამღვდელოებამ, რომელიც თავისთვის ასეთ ბრწყინვალე და სასარგებლო მდგომარეობაში იმყოფებოდა, ცხადია შესძლო თავის აღსაზრდელეებში და სულიერ შვილებში შთაენერგა გრძნობა „არა იაზროვნეთ, არამედ ისმინეთ“. ამის მიღწევა საკმაოდ ძნელი იყო: მოაზროვნე, ე. ი. უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანი დიდხანს ვერ შეუჩირვდება იმ აზრს, რომელიც მას არამართებულად მიაჩნია.

მაგრამ საუკუნენი აჩქარდნენ სამღვდელოების დასახმარებლად, ის რაც სულიერმა მამებმა ვერ შესძლეს მიელწიათ ყოველგვარი მცდელობით, ტანჯვითა და წამებით, თითქოს თავისთავად მოვიდა. ჩვენ ვამბობთ თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ო, თუ მც ა თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ არაფერი მოდის: კათოლიკური სასულიერო პირების ღონისძიებებმა მალე ვერ იქონიეს წარმატება — მაგრამ წლითი წლობით იგი მოდიოდა, ნელნელა ჩლუნგდებოდა უნარი და ჯანსაღი აზრი, საზოგადოების ხან ერთი წევრისა, ხან მეორესი, ხან მესამესი და სასულიერო პირების მცდელობათა ნაყოფი გამოჩნდა მხოლოდ მაშინ, როცა იშვიათად თუ ადამიანი სარგებლობდა ჯანსაღი აზრით. მალე დადგა თუ არა ეს დრო საზოგადოებრივი აზრის დაბნელებისა, ეს კი არაა მთავარი, არამედ ჩვენთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ იგი არსებობდა. რაში მდგომარეობდა ეს დაბნელება საზოგადოებრივი აზრისა?

არცერთ ადამიანს, როგორი იდიოტიც არ უნდა ყოფილიყო იგი, არ შეეძლო არ ეგრძნო მაშინდელი საზოგადოებრივი უწყესობა, მაგრამ მეორე მხრით, ვერცერთი ადამიანი, რაც არ უნდა ჰქვიანი ყოფილიყო იგი, ვერ გაბედავდა საჯაროდ გამოეთქვა უკმაყოფილება მაშინ გაბატონებულ უწყესობაზე. ეს ცოტაა: ათასიდან ცხრაასოთხმოცდაცხრამეტ მცხოვრებს არა მხოლოდ ეშინოდა უკმაყოფილების გამოთქმისა, არამედ ცეცხლზე უარესად ეშინოდათ ეგრძნოთ უკმაყოფილება, განეცადათ იგი და ელიარებიანთ საკუთარი სინდისის წინაშე. ქვესკნელის მილიონი წამება ემუქრებოდა თავისი საშინელებებით მას მაშინდელი საზოგადოებრივი წყობის უცოდველობის წამიერ დაეჭვებისათვის.

აი რაში მდგომარეობდა კათოლიკე სულიერ პირთა ღვაწლი. რა გზებით მივიდნენ ისინი აქამდე — არ გვინდა ვიცოდეთ, ისიც საკ-

მარისია, რომ ისინი მივიდნენ იქამდე. ყოველგვარი დარწმუნებით. და, როცა მათ წარმატება არ ჰქონდათ, სასჯელის ზომებით, როგორც მაგალითად მათრახით, წამებით, გადასახლებით, კოცონით. თავის სულიერ სამწყსოს უტენიდნენ თავებში, დასავლეთში, რომ ყველაფერი, რაც კი უსამართლოდ გეჩვენება, სამართლიანია, რომ ყველაფერი შავი თეთრია, ხოლო თეთრი შავია, და რომ, ბოლოსდაბოლოს, ყველაფერი ეს ასეა და დადგენილია უმაღლესისაგან, ხოლო მიწიერ ურთიერთობათა ამ უმაღლეს დადგინებაში დაექვეება მიდის იმ პატარა კარამდე, რომელზეც მსხვილად აწერია: „წარიკვეთე იმედი სამუდამოდ“. პირველ ხანებში ერის კაცნი მეტად მცირე ყურადღებას აქცევდნენ ამ კარს, მაგრამ, როცა სასულიერო პირებმა გაახსენეს მათ ის კარი, რომელზეც, მართალია, არ იყო იმედის წარმკვეთი ასეთი წარწერა, მაგრამ რომელიც უწარწეროდაც ართმევდა მასში შესულს ყოველგვარ იმედს, ერის კაცნი მოთვინიერდნენ და პირობათა ძალას დაემორჩილნენ. რასაკერაველია, იყვნენ ისეთებიც, რომელთაც არაფრით არ შეეძლოთ შერიგებოდნენ ადამიანთა ურთიერთობის ყოველგვარ ნაკლს, რომელნიც იმ დროს არსებობდა, მაგრამ ისინი უფრო სუფთად მოათვინიერეს — ჩაყარეს კოცონში და თანაც ამბობდნენ: „არ გინდოდა გესმინა ჩვენთვის, ჰკვიანი ხალხისათვის, აბა მამ აიტანე წამება ამ ჰვეყანაში, ხოლო იქ უფრო უარესს მოელოდეთ“. ბოლოს ურწმუნონი დაშოშმინდნენ. აქა-იქ მხოლოდ, ას, ორას წელიწადში ერთხელ გამოჩნდებოდა გულადი იმისათვის, რომ თავი ცეცხლზე დაედო, — და, როგორც მოსალოდნელი იყო, მას ატყდებოდა მიწიერი ჯოჯობეთის ყველა წამება. ახიც იყო, მუმლო, ფასკუჩქის ადგილი საფრენად რისთვის გწადიან?

მაგრამ, ასე არ ფიქრობდნენ ისინი, ვინც ნათელი, მხიარული სახით წამებაზე მიდიოდა: ისინი ამბობდნენ, რომ ჩვენ, მართალია, ჩვენი რელიგიური რწმენისათვის უნდა ვეწამოთ, სამაგიეროდ ჩვენს შემდეგ გამოჩნდებიან სხვები, რომელნიც ჩვენს საქმეს განაგრძობენ. რომ ამ სხვებს მტერთა ინტრიგები, ვერაგობა და წამებანი ეკრას დააკლებენ. უცნაური საქმეა — მართლაც ასე მოხდა: XV საუკუნის დასაწყისში გაჩნდა იოანე ჰუსი, ხოლო XVI ს-ის დასაწყისში ლუთერი. იოანე ჰუსი იმ დროს გამოჩნდა, როცა უმეტესობას მაინც ეშინოდა კათოლიკობისაგან ნაქადაგევი დებულებების ჰეშმაროკობაში დაექვეებისა, დებულებების, რომელნიც შემდეგ ბევრის მიერ იქნა უარყოფილი. გარდა ამ ვითარებისა, იყო კიდევ მეორე, რაც მნიშვნელოვნად ვნებდა ჰუსს: მათ მიერ ნაქადაგევი ძმობის პრინციპი არ შეიძლებოდა პირდაპირ გამომდინარე ყოფილიყო მანძინ

გაბატონებული პაპის უფლებისა და ყველაფერში, თვით საერო საქმეებში დასავლეთის ეკლესიის აუცილებელი ავტორიტეტისაგან; საკირო იყო მესამე პრინციპი, რომელიც უნდა ყოფილიყო გარდამავალ საფეხურად ძმობისაკენ — ცალკეული პიროვნების ბატონობის პრინციპი. ეს პრინციპი იქადაგა ლუთერმა ერთი საუკუნის შემდეგ ჰუსისა, და აი რატომ ჰქონდა წარმატება ლუთერს, ხოლო ჰუსი და მისი მიმდევარნი დაიღუპნენ. ამის დაეწეება არ შეიძლება.

უდიდესი დამსახურება ჰუსისა სახალხო საქმისადმი, ან, როგორც ჩვეულებრივ ეძახიან, რეფორმაციისადმი, იმაში მდგომარეობდა, რომ მან რამდენადმე ადამიანს საშუალება მისცა, მოჩვენებებისა და ჯოჯონეთის უსაშინელეს წამებათა წინაშე შეუდრეკლად, რომლებითაც მას ყოველ ნაბიჯზე აშინებდნენ პაპიზმის დამცველები, შეესხა თავისი თავისათვის, ირგვლივ მყოფთათვის და განსაკუთრებით იმ პირთათვის, რომელნიც მას აშინებდნენ. ამ ჰუსმა საგრძნობლად შეუმსუბუქა ლუთერს ქადაგება მისი პრინციპებისა, დაეხმარა მას ძირი გამოეთხარა დასავლეთში კათოლიკური ეკლესიის უფლების შენობისათვის.

იოლი არ იყო ჰუსის ღვაწლი: გახსოვთ, მკითხველო, თქვენი ბავშვობა? რა ძნელად თავისუფლდებოდით თქვენ, რაიმე გარეგანი ბიძგის შედეგად, მოჩვენებათა შიშისაგან.

მართლაც, რომ იოლად არ მოგდიოდათ დამოუკიდებელი, ჯანსაღი ცნებები ჭაობებისა და ტბების, ქაჩებისა და მის გვართა ძალებზე. გავიხსენოთ თქვენი განვითარების ეს დრო და შეგიძლიათ იმსჯელოთ იმაზე, თუ რად უღირდა ჰუსს ეჩვენებინა ბრბოსათვის, რომ პაპთა და მის მსგავსთა „უცოდველობის“ იდეა სხვა არ არის რა, თუ არა იგივე მოჩვენებანი.

წამებათა შიშისაგან ერთხელ გათავისუფლებულმა შევიწროვებულ, დაჩაგრულ ერის კაცთა გონებამ დაიწყო გაბატონებული რელიგიის ყველა დოგმათა ჩაკირკიტებული გამოძიება და, რადგან მაშინ გაბატონებულ რელიგიურ მოძღვრებაში ბევრი სიყალბე იყო პაპების ძალადობით შეპარებული, — ხალხის თვალში ისინი ერთი მეორეზე ეცემოდნენ.

მკითხველმა შეიძლება იკითხოვს: რა კავშირი არსებობს ჰუსსა თუ ლუთერსა და საფრანგეთის რევოლუციას შორისო? პირველთა მიერ მოხდენილი რეფორმაცია წმინდა რელიგიური იყო, მაშინ როცა საფრანგეთის რევოლუცია მიმართული იყო განსაკუთრებით წოდებათა უთანაბრობისა და ეკონომიური უთანასწორობის შერყევისა და ნგრევისაკენ.

ყველაფერი ეს სამართლიანია, მაგრამ უნდა გავიხსენოთ ისიც. თუ ვისთან ჰქონდათ საქმე ჰუსს, ლუთერსა და სხვა რეფორმატორებს, და ვისთან — საფრანგეთის რევოლუციის ხელმძღვანელებს. ხელისუფლება, რომლის წინააღმდეგაც აღმდგარიყვნენ ჰუსი და ლუთერი, იყო ხელისუფლება, ასე ვსთქვათ, გონებრივი, რელიგიური. მისი მორევნა საქირო იყო არა იარაღის ძალით, არამედ იმავე საშუალებით, რითაც თვით იგი ჰბოქავდა ხალხთა გონებას.

ახლა შევხედოთ იმ ხელისუფლებას, რომლის წინააღმდეგაც იბრძოდნენ რევოლუციონერები. იგი თავს იცავდა არა თეოლოგიური დოგმებით, არამედ ძლიერი არმით და, შეუპოვრად იცავდნენ არა თეოლოგიურ დოგმებს, არამედ სახელმწიფოს სხვადასხვა წოდებათა შორის მაშინ არსებულ ეკონომიურ ურთიერთობათა მოუწყობლობას. პირველ შემთხვევაში რეფორმაციას, თუ მას სურდა გაემარჯვნა, უნდა დაეხრია მთავარი ძალა: მისი ბრმა მორჩილება მთელი კათოლიკური სამყაროსი, ხოლო ამ ძალის დანგრევა შეიძლებოდა მიღწეული ყოფილიყო მხოლოდ საღვთისმეტყველო კამათის გზით. მეორე შემთხვევაში — რევოლუციას, რომელსაც სურდა მთელი ხალხის სოციალური უფლებები გაეთანბრებინა. მოწინააღმდეგენი ჰყავდა აზნაურობის, სამღვდლოების სახით, ე. ი. ყველა პრივილეგირებული კლასის სახით; ცხადია, აქ არ შეიძლებოდა მოქმედება საღვთისმეტყველო კამათით, აქ საქირო იყო სქოლასტიკურ მსჯელობებზე შედარებით უფრო მოქმედი და დამარწმუნებელი არგუმენტები. ჩვენთვის ჯერ კიდევ გარემდებარე საკითხია, თუ რომელმა არგუმენტმა გადაწყვიტა ისტორიის მსვლელობა, თუმცა ისტორიასაც და ისტორიკოსებსაც (ამ სიტყვის ვიწრო აზრით) ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტიათ ყველას გასაგონად წარმოსთქვან ამ არგუმენტის სახელი.

ჩვენთვის ამ წუთში უფრო მნიშვნელოვანია განვიხილოთ რეფორმაციასა და რევოლუციას შორის კავშირი, ვაჩვენოთ. რომ როგორც ერთს, ისე მეორეს ერთნაირი მიზანი ჰქონდათ.

პირველი შეხედვით ამის დამტკიცება მართლაც რომ ძნელია. მართლაც, რა შეიძლება საერთო ჰქონდეთ ლუთერსა და ჰუსს რევოლუციის ხალხთან? ვგონებ არაფერი...

პირველად რამდენიმე სიტყვით ვთქვათ იმაზე, თუ როგორი იყო დასავლეთ ევროპის მდგომარეობა იოანე ჰუსის გამოჩენის ცოტათი წინ.

კათოლიკური სამყაროს მეთაურმა, პაპმა, შეწყვიტა ქრისტეს მოადგილეობა უკვე იმიტომ, რომ იგი მეფურად ცხოვრობდა, მაშინ როცა ქრისტეს საბრძანებელი „ამქვეყნიური“ არაა; გარდა ამი-

სა, პაპებისა და კათოლიკე მღვდლების უმეტესობის ბოროტმოქმედებანი იმ დროს წარმოსდგებოდნენ ნაწილობრივ უქორწინო ცხოვრებისაგან, რასაც არ შეეძლო მოციქულებობრივი მისიის განგრძობისათვის ხელი შეეწყო არა გარეგანი ქეშმარიტი ქრისტიანობის გავრცელებისათვის, არამედ უბრალოდ, ქრისტიანული ძმური სიყვარულისა და რწმენის პრინციპისათვის, რომელიც პირველ მოციქულთაგან იყო ნაქადაგევი. პაპის ხელისუფლებამ, ე. ი. სამღვდლოებამ მიიღო მთელი უწინდელი იერარქია, თვით იერარქიულ საფეხურთა დასახელებათა შენარჩუნებითაც კი, ერის კაცთ წაართვა ყოველგვარი შესაძლებლობა თუნდაც საკუთარ საქმეებზე მსჯელობისა, ჩაერია უადრესად პირადულ, ოჯახურ საიდუმლოებაში, მართავდა სინდისსა და საქციელს ერისკაცთა, რომელნიც კერ ბედავდნენ, თუნდაც ფიქრში, განესაჯათ თავისი სულიერი მწყემსები.

ყველა ამასთან ერთად უნდა გავიხსენოთ სასულიერო პირთა საერთო მატერიალური სიმდიდრე; ერისკაცთა დიდი უმეტესობის წარმოუდგენელი სიღარიბე...

რაც შეეხება იმას, რომ ეკლესია, თავისი ზნეობრივი გავლენით ამართლებდა ყველა ამგვარ ძალდატანებას და არ ექომაგებოდა დაჩაგრულთ და მის მსგავსთ, მაშინ ეს გახსენებანი შეავსებენ საერთო სურათს. ისევე, როგორც გახსენებანი ინკვიზიტორებზე, ჯალათებზე. კოცონებზე და რომის მეუფეთა უტოდველობის მათ მსგავს არგუმენტებზე. ყველაზე მთავარი, რაც თვალში გვეცემა, არის მაშინდელი სოციალური დაწყობილობის მკვეთრი არათანაბრობა: ფეოდალური სისტემა, რომელსაც გილიოტინით თავი მოჰკვეთეს 39—92 წლებში, ალბათ იმისათვის, რომ რამდენიმე წლის შემდეგ აღმდგარიყო ბურჟუაზიის ახალი სახელით. ჰუსისა და ლუთერის საუკუნეში თავისი განდიდების სიმაღლეზე იდგა. საითაც არ გაიხედავდი, ყველგან ჩანდა ძალის ბატონობა სუსტებზე, გაიძვერობის წარმატება და მაშინდელი მოსახლეობის მთელი მასის მკაცრი წამება.

რას წარმოადგენდა რევოლუციამდელი ევროპის სურათი? იმასვე, რასაც რეფორმამდელი, იმავე სახით: კათოლიკური სამღვდლოების ისეთივე აღვირაზსნილობა, ძალის უპირატესობა. ყველას მოსყიდულობა, ძალის ბატონობა შრომაზე, შრომის უსარგებლობა. რადგან იგი ემსახურებოდა არა მშრომელთა სარგებლიანობას, არამედ თითქმის მხოლოდ და მხოლოდ მის მფლობელს: წამება, ტანჯვა, გადასახლება, სიკვდილით დასჯა — აი რა მოელოდა მაშინ იმას. ვისაც დაუსაბუთებლად დაასმენდნენ, რომ იგი არსებული წყობი-

ლები გამო უმნიშვნელო სიტყვიერ უკმაყოფილებას გამოთქვამს. ჩვენი მცირე წერილის ფარგლები საშუალებას არ გვაძლევს კრცლად ვილაპარაკოთ სხვადასხვა წოდებათა შორის და მათი სახელწოდებების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, ამიტომაც იძულებული ვართ რევოლუციის ბედით დაინტერესებული მკითხველი მივგზავნოთ ზიბელის ისტორიასთან. ჩვენ ამას მით უფრო დიდი ხალისით ვაკეთებთ, რომ რევოლუციამდელი საფრანგეთის მდგომარეობის აღწერა მისი თხზულების საუკეთესო ნაწილს წარმოადგენს. პირველი თავი მისი „საფრანგეთის რევოლუციის ისტორიისა“ აკმაოდ სწორი თვალსაზრისით განიხილავს რევოლუციამდელ საფრანგეთს, ამიტომ ჩვენ დავგვრჩენია მხოლოდ ვთქვათ, რომ ჩვენი ზერეულ ნარკვევის შესაესებად ცუდი არ იქნებოდა ეს პირველი თავი უფრო ყურადღებით ყოფილიყო წაკითხული. ავტორის დასკვნები მის საბუთებს ეწინააღმდეგება, მაგრამ ჩვენთვის ეს არაა მნიშვნელოვანი, მთავარია საბუთების არსებობა, დასკვნები კი თვით კამოვლენ, ავტორის ტენდენციის დაუკითხავად.

მაშასადამე, რეფორმამდელი და რევოლუციამდელი ევროპის საზოგადოებრივი მდგომარეობა ერთი და იგივე იყო; ცხადია, რომ ექიმებს, რომელნიც ხელს ჰკიდებდნენ რევოლუციამდელ იარათს კანკურნავს, უნდა განეხილათ იმ ექიმთა მოქმედება, რომელნიც ამ კურნალობის მასალის მომზადებას ცდილობდნენ. არანაკლებ ცხადია, რომ საშუალებანი, რითაც რევოლუციის მოღვაწენი სარგებლობდნენ, მომარაგებული, მომზადებული იყო რეფორმაციის მოღვაწეთაგან. როგორ შეიძლება უყურადღებოდ იქნეს დატოვებული საქმის ეს მხარე, ეს წინასწარი დამზადება ასაშენებელი თუ დასანგრევი მასალისა?

ჩვენ არ გვექნება წარმოდგენა შენობაზე, თუ არ ვიცით, რა მასალისაგან არის იგი აგებული; სწორედ ასევე, რევოლუციის საქმე არამკაფიოდ იქნება გამოსახული, თუ არ დავინახეთ, თუ როგორი იყო რევოლუციამდელი პერიოდის, ჰუსის გამოჩენიდან !777 წლის რევოლუციამდე, მოღვაწეთა წინასწარი სამუშაო. ჩვენ ვაფრთხილებთ მკითხველს, რომ ყველა ამას იგი ვერ ნახავს ვერც ჩვენს ნარკვევში, ვერც ზიბელის ისტორიაში, არც იმ საიმედო ისტორიებში, რომელნიც იკითხებიან და ისწავლებიან ჩვენა უნივერსიტეტებსა და გიმნაზიებში. თვით შლოსერის „XVIII საუკუნის ისტორიაც“ მეტად სუსტად გამოკვეთს იმ კავშირს, კიდევ უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევს მას ბოკლი. ჩვენ მხოლოდ დაქტს მიუვთითებთ და არავითარ საშუალებას არ გთავაზობთ მის გამოსას-

ბოლო ფუფუნებიდან. ჩვენც მივყავთ ამ პატივცემულ ისტორიკოსებს.

კატასტროფის სიახლოვეს გრძნობდა ყველა ასეთისე გაგებულად ადამიანი ჯერ კიდევ ლუდოვიკოს დროიდან, თუ უფრო ადრეც არა. ცხადია ეს არ შეეძლოთ არ სცოდნოდით მინისტრებს, მმართველებს და მის მსგავსთ. ყველა ისინი ყოველგვარ ზომას ღებულობდნენ იმისათვის, რომ რევოლუცია თვით საშოშივე ჩაეკლათ. არ მიეცათ მისთვის გასაქანი და ჩაეხრჩოთ იგი. უპირველეს ყოვლისა განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სახალხო განათლების სისტემას: თავისთავად ცხადია, რომ მთავრობამ არ მიიღო ჟან-ჟაკ რუსოს ბავშვთა ადამიანური აღზრდის იდეა, არამედ საპირისპირო უკიდურესობაში გადავარდა და იეზუიტთა საზოგადოების ჰევიანი ძმების მფარველობაში მოექცა. ყველასთვის ცხადია, — როგორ ზრდის ჰაბუებს ეს პატივცემული ძმობა, და ამიტომ ჩვენ დაგვრჩენია დავსძინოთ, რომ ყველა ზომა, რომელიც მახლობელ წარსულში საფრანგეთში მიღებული იყო სასულიერო მეურვეობისაგან სახალხო განათლების ჩასახშობად, მხოლოდ მილიონ წილად აჩვენებს იმას, თუ როგორი ზომები იყო მიღებული რევოლუციამდელი საფრანგეთის მთავრობის მიერ.

თითქოს ხალხი ჩაკედაო, რომ იეზუიტთა შეგონებებმა და დარიგებებმა წარმატება იქონიეს, რომ ხალხმა შეწყვიტა ფიქრი ყველაფერზე, გარდა თავისი მასწავლებლების უსიტყვეო მორჩილებისა, რომ მასში მოისპო ყოველგვარი სული დაუმორჩილებლობისა, აჯანყებისა, მღელვარებისა, ლიგებისა და ა. შ. მეტი რაღა იყო საჭირო? იათფასიანი სასულიერო იეზუიტური გამოცემები ხომ მილიონობით საღდებოდა, ღარიბებს უფასოდ ურიგდებოდათ, იეზუიტები ხომ შეადგენდნენ უზარმაზარ სახელმწიფოს სახელმწიფოში; ხომ სხვადასხვა ძმობანი, აღმოცენებულნი იეზუიტთა ორდენის მოსპობის შემდეგ, ასევე წარმატებით მოქმედებდნენ, როგორც პატივცემული მათი გვარის ფუძემდებელი? რატომღა იფეთქა ამ უსაშინელესმა რევოლუციამ?

ჟან-ჟაკ რუსოს, ვოლტერის და საერთოდ ენციკლოპედისტების¹² მავნე თხზულებათა მოქმედებით—ამბობენ ბევრნი, ვნახოთ! ყველასა და თვითეულისათვის ცხადია, რომ ფრანგ მუშას და, მითუმეტეს, მიწის მუშას არა მხოლოდ არასოდეს წაუყითხია ეს თხზულებები, არამედ არც გაუგონია, რომ ქვეყანაზე იყო ხალხი, რომელთაც ერქვათ რუსო, ვოლტერი, დალამბერი და ა. შ., და რომელნიც წერდნენ ამასა და ამას. ცხადია აგრეთვე ყველასათვის, რომ ფრანგი ხალხის მთელი დიდკაცობა, ის ფრანგი დიდკაცობა,

რომელიც რევოლუციის დროს ერთი სატახტო ქალაქიდან მეორეში გადადიოდა, დაწაფებით კითხულობდა სხვადასხვა ენეველი, ჰარიზელი და ლონდონელი აგიტატორების¹⁴ აკრძალულ წიგნაკებს და, მიუხედავად ამისა, თუ რაიმე მონაწილეობას იღებდა რევოლუციაში. მხოლოდ ანტირევოლუციურს. რიდათი ახსნით ამგვარ წინააღმდეგობას ჯანსაღ აზრთან? უცნაურია მართლაც. ხალხი, რომელიც გაფაციცებით კითხულობს ვოლტერსა და რუსოს, რევოლუციას ქმედით წინააღმდეგობას უწევს, მაშინ როცა ის ხალხი, რომელსაც არაერთი წარმოდგენა არა აქვს არც ვოლტერზე, არც რუსოზე. არც სხვა რომელიმე აგიტატორზე — თავს სდებს რევოლუციის საქმისათვის!...

არის აქ რაიმე მცირე საიდუმლო თუ არა?

არა. თავსატეხი აქ არაფერია. ამ მოჩვენებით, არ არსებულ საიდუმლოს შემდეგ ვამხელთ, ახლა კი ჯერჯერობით ვნახოთ, რომ არ ყოფილა ხელისუფლების კიდევ რაიმე შესუსტება, შესუსტება ცენზურისა ან სხვა რაიმე ამის მსგავსისა, რასაც შეეძლო ვამოეწვია ასეთი ენერგიული წინააღმდეგობა კანონიერი ხელისუფლების მიმართ?

მგონი არ უნდა მტკიცება იმას, რომ მეფის პოლიცია მახვილად ადევნებდა თვალს საშიშ ადამიანებს, რომელთაც შეეძლოთ ევნოთ სახელმწიფოს შინაგანი მშვიდობიანობისათვის: ბასტილია და ათასი მისი მსგავსი საპყრობილე და დილეგი გატენილი იყო საეჭვო ადამიანებით, რომელნიც დაპატიმრებული იყვნენ არა მხოლოდ ფაქტური ბოროტმოქმედებისათვის, არამედ მხოლოდ, თუნდაც დაუზღვებელი ეჭვით; გალერები და კოლონიები სავსე იყო გადაახლებულებით, პოლიციის ფხიზელი თვალი, როგორც იტყვიან, გაფაციცებული იტყირებოდა, სრულიადაც არა აინუნით, არამედ სხვადასხვანაირ მსტოვართა და დამბეზლებელთა გამადიდებელ შუშაში შემთვრალ ნაცნობთა უაზრო ლაყაფზე. და, საოცრად მოგეჩვენება, როცა იფიქრებ, თუ რისგან მოხდა რევოლუცია?...

იქნება ხალხის მასებზე გაზეთების ზეგავლენით? ფიქრობთ იქვე და აქვე უმატებთ: იქნებ მართლაც; ვთქვათ, რომ ვოლტერი. რუსო და სხვები მიუწვდომელი იყვნენ ხალხისათვის, ვნახოთ. იქნება ეურნალისტიკა მოქმედებდა. მაგრამ, როგორც კი გადავშლით ატენის გამოცემას საფრანგეთის პრესაზე, ან გავიხსენებთ ბოკლის გამონათქვამს მეურვეობის სისტემაზე საფრანგეთში. მაშინ ძალაუნებურად ჩავლუნავთ თავს და განვიხიბლებით ჩვენს შორსმჭვრეტელობაში: საფრანგეთში ხომ გაზეთების გახურებული ჯგენა იყო. ისე, რომ ისინი უფრო შესახვევ ქალაქებსა ჰგავდა, ან

აფიშას, ვიდრე გაზეთს; წიგნები და ბროშურებიც იმავე შევიწროვებას ექვემდებარებოდნენ, მხოლოდ კეთილგანმზრახველ გაზეთებსა და ბროშურებს ჰქონდათ სრული ასპარეზი მოქმედებისა. რაღა გამოვიდა? ეშმაკმა იცის, იტყვის მოუთმენელი მკითხველი და ხელჩაიქნევს. არა, ჩემო კეთილო, გულკეთილო მკითხველო, ჯერ ნუ წახვალთ. თქვენ ძალა-უნებურად უნდა ჩაუყვირდეთ ამ მოვლენის აზრს და ახსნათ ის ძალა, რომელმაც შექმნა ასეთი რევოლუცია, ასე ვთქვათ, არაფრისაგან, სხვადასხვაგვარ ელემენტთა ქაოსისაგან. რომელნიც, როგორცა ჩანს, რევოლუციისათვის გამოუსადეგარნი იყვნენ. ბევრი რომ არ გაწვავლოთ, ამის შესახებ მე მოგაწვდით აზრებს ზოგიერთი საკმაოდ განსწავლული კაცებისას, რასაკვირველია. არა ისეთი პატენტისანი მეცნიერისა, როგორიც პატივცემული ზიბელია; მაგრამ, რა ვუყოთ, როცა ზიბელი და კომპ. ამისთანა მარტივ კითხვაზე პასუხს არ იძლევა?

საქმე იმაშიაო, ამბობენ ეს უპატენტო ადამიანები, რომ ხალხი უკმაყოფილო იყო მაშინდელი ეკონომიური წყობილებით და ამიტომ ვერავითარი გაზეთები და საყურნალო და მეცნიერული წერილები ვერ ჩააგონებდნენ ამ სულელ ხალხს, რომ მთელი ეს სოციალური წყობა ასე უცვლელი უნდა ყოფილიყო. ყველა ის, რასაც ამბობდა და ბეჭდავდა ჟან-ჟაკ რუსო, ამბობენ ეს უპატენტო მეცნიერები, შეცნობილი და შეგნებული იყო ხალხისაგან, ცხადია. ისე მკაფიოდ არა, როგორც რუსოსაგან, მაგრამ მაინც საკმაოდ მკაფიოდ; ყველაფერი ის, რის წინააღმდეგაც იბრძოდნენ ვოლტერი და ენციკლოპედისტები, მხოლოდ წანაზარდი იყო, რომელსაც თითქმის არავითარი ფესვი არ ჰქონია, და, რომ, მაშასადამე, ვოლტერმა ცოტა რამის გაკეთება შესძლო ხალხისათვის, რადგან ნაწილობრივ ქარის წისქვილებს ებრძოდა, უფრო მეტად კი საკმაოდ სულელ ცხვრებს. ეს უპატენტო მეცნიერები თავის სიტყვებს ამტკიცებენ იმით, რომ ვოლტერის წაუკითხავადაც ხალხი იქამდე მივიდა, რისკენაც ვოლტერი ცდილობდა მისვლას, და, რომ, მაშასადამე, ვოლტერი წიგნებში გამოთქვამდა იმ აზრებს, რაც ხალხში იფარებოდა, და იბრძოდა იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებთანაც ხალხმა დიდი ხანია ანგარიში გაასწორა გონებით, და მზად იყო პირველ მოსახერხებელ შემთხვევაში მართლაც გაესწორებინა. როგორ ფიქრობთ. მკითხველო, ახლო არ შეეხედოთ ამ უპატენტო მეცნიერთა აზრებს?

მთელი მიწა მაშინ მხოლოდ და მხოლოდ არისტოკრატის ეკუთვნოდა, ესე იგი აზნაურობას, სამღვდლოებას და მონასტრებს. იგი განაწილებული იყო არისტოკრატის მდიდარ წევრებს შორის,

ისე, რომ არსებობდა მხოლოდ დიდი, საადგილმამულო საკუთრება, ხოლო წერილ მესაკუთრეებზე ლაპარაკი სულაც არ იყო.

არისტოკრატია ერთ მამულად გაერთიანებულ თავის მიწებს აჯარით აძლევდა ერთს ხელში, შემდეგ მამულის ერთი მოიჯარადრე იჯარით აღებულ მიწებს ანაწილებდა პატარა ნაჭრებად და მათ აძლევდა იჯარით, დიდი გადასახადით. ამრიგად, მიწა მრავლის ხელში გადიოდა, ვიდრე მიწისდამმუშავეებელ გლეხს მოხვდებოდა. მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი არაა: მიწის პატარა ნაკვეთები იჯარით აიღებოდა არა თვით მიწის-დამმუშავეებელთაგან, არამედ მეტ ნაწილად წერილი მოიჯარადრეებისაგან, რომელნიც მის დასამუშავებლად ქირაობდნენ მოჯამაგირე—მიწის დამმუშავებლებს, რასაკვირველია, მეტად დაბალ ფასად. სხვაგვარად ხომ უმუშევარი გლეხი და მისი ოჯახი შიმშილით ამოწყდებოდა! იგი იძულებული იყო მთელი წელიწადი ჩალის ფასად ემუშავნა მოიჯარადრესთან, ანდა იმგვარივე ხელფასით მუშაობას იწყებდა ქალაქად. გლეხობის უმიწობას უსაშინელესი შედეგები ჰქონდა: მთელი თემები იღუპებოდა შიმშილისაგან, რომ არაფერი ითქვას სხვადასხვა სნეულებაზე, რომელნიც უკმელობისაგან წარმოსდგება. საქმის ასეთი ვითარება, ცხადია, კარგ შედეგებს ვერ მოიტანსო, — ამბობენ უპატენტო მეცნიერნი.

ისინი ამას უმატებენ იმასაც, რომ მდიდრული ცხოვრება იმ პირთა, რომელნიც მიწის მთელ ფართობს ფლობდნენ და რომელნიც ამის გამო სრულიადაც არ შრომობდნენ და მუქთახორულად ცხოვრობდნენ, დამშეული ხალხის მასაში დრტვინვასა და მღელვარებას იწვევდა. მგონი საჭირო არაა ლაპარაკი XVIII საუკუნის ფრანგი არისტოკრატის ზღაპრულ ფუფუნებაზე, ღირს მხოლოდ გავიხსენოთ, რომ ამ საუკუნეს ლუდოვიკო XV-ის საუკუნე ეწოდება. თითოეული არისტოკრატი არ ზოგავდა არც თავს, არც თავის ოჯახს, არც საკუთარ მამულებს და მიჰყვებოდა მაშინდელ ბრწყინვალე სასახლეს, და განა ის დაზოგავდა ადამიანის სახის რაღაც პაროდებს, რომელთაც პეიზანები ეწოდებოდათ, ამ ხალხის ინტერესისათვის შეიზღუდავდა თავის ცხოვრებას, აიტანდა ფუფუნების საგნების ნაკლებობას? ასეთმა ვითარებამ, ბოლოს, იმ ზომამდე მიაღწია, რომ მესაკუთრე იჯარით აღებულ მიწაზე ნაბევაარ შემოსავალს იღებდა. ეს ყველაფერი კვლავ ცოტაა: მიწის მუშაკნი დაუდევრად ამუშავებდნენ მიწას, რადგანაც მათი სამუშაო არა თუ ნაზღაურდებოდა, არამედ ხოცავდა მათ; ამას გარდა, რაკი შრომის ანაზღაურების მიღების იმედი არ ჰქონდათ, მუშა მიწის განაყოფიერების საქმეში ხალისს არ იჩენდა, გახვრეტილ გროშსაც

არ ხარჯავდა მის გაუკეთესებაზე. ჩამორჩენილი სკოლის ეკონომისტები ამბობენ, რომ სწორედ ამისათვის მიდიოდა საქმეები ცუდად და, თუ მიწაში ჩაეფლათ რამდენიმე მილიონი, მაშინ მომუშავეთა მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდებოდაო. მაგრამ რომელი სულელი გაბედავდა ჩაეფლა ოფლითა და შრომით მოპოვებული ფული ისეთ მიწაში, რომელიც მას ნამდვილად ჩამოერთმეოდა მფლობელის კაპრიზით, დღეს თუ არა, ხვალ მაინც? აქ ისე კი არ იყო, როგორც მიწის სათემო მფლობელობისას: უკანასკნელ შემთხვევაში მიწის დამმუშავებელი მიწას ფლობს სრულად გარკვეული წლების განმავლობაში, მან იცის, რომ ამ წლების გასვლის შემდეგ მას ამ მიწას ვერაფერს წაართმევს და ამისათვის, თუ მიწის ნაკლებობა იგრძნობა, ანოყიერებს მას, აუკეთესებს, ფულს ხმარობს, მაშინ როცა მფლობელს უფლება აქვს წაართვას მიწა პირობის შეკვრის მეორე დღესვე, ან როცა მას მოუნდება. გარდა ყველა ამისა, არსად არ იყიდებოდა ზედმეტი ხორბალი, თუ კი იგი შემთხვევით მოვიდოდა, რადგან გზების მდგომარეობა იმდენად სავეალალო იყო, რომ ძლივს შეეძლოთ ხორბლის მიზიდვა მეზობელ ქალაქამდე. ეს ვითარება მეტად სწევდა უკან მიწათმოქმედებას.

ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა თითქმის მთელი ფრანგი ხალხი, იშვიათი გამონაკლისის გარეშე. ამასთან ერთად არ უნდა იქნეს დავიწყებული, რომ ამ გამონაკლისს წარმოადგენდნენ არისტოკრატები, რომელთაც ხალხი, მათი ბოროტმოქმედებისათვის, მეტად ძლიერი ბუნებრივი მიზეზით, გულგრილად ვერ უცქეროდა და რომლებშიც მას არ შეეძლო არ დაენახა თავისი შეურიგებელი მტრები. ამ ვითარებამ გამოიწვია რევოლუცია, რომელმაც ძველ სოციალური წყობილება დაამხო. მაგრამ იმისათვის, რომ დანგრეულიყო მაშინდელი სოციალური წყობილება, უნდა გამოერკვეულიყო ის რწმენანი, რომელნიც ამ წყობილების ქვაკუთხედად იღვწენ და ეს წინასწარი სამუშაო თავს იღვა რეფორმაციამ.

აი, რაშია მოჩვენებითი საიდუმლო და რა მარტივია იგი! აი, კავშირიც რევოლუციასა და რეფორმაციას შორის...

როგორ ფიქრობთ, მკითხველო, მართალნი არიან უპატენტო მეცნიერნი, რომელნიც ამას ამბობენ? თუ შემდეგ კითხვას ამზადებთ: როგორღა დაიწყო რევოლუცია პარიზში, სადაც, როგორც ცნობილია, სულაც არაა მიწის დამმუშავებლები და იგი რატომ არ დაიწყო პროვინციებში? აბა, ამაზეც იმავე მეცნიერებს ვკითხოთ, რომელთაც ზევით დავკითხეთ!

ისინი ამბობენ: როცა რომელიმე სახელმწიფოში ხალხის მოღვაწეობის რომელიმე მნიშვნელოვანი დარგი შებოჭილია, იგი, ამის გამო, სხვა დარგების მოშლასაც იწვევსო. თუნდაც ისინი ადრე კარგ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ, ეს მნიშვნელოვანი დარგები თავის უსუსურ მდგომარეობაში რჩებიანო.

რადგან საფრანგეთში მიწათმოქმედება უკიდურესად შევიწროვებული იყო მიწის მუშაკთა უმამულობის გამო, ამიტომ სახალხო მოღვაწეობის სხვა ყველა დარგი, როგორცაა: ვაჭრობა, მრეწველობა და ა. შ., უნდა არა ნაკლებ სავალალო მდგომარეობაში აღმოჩენილიყო, მაგრამ, ფრანგ მინისტრებს ეჩვენებოდათ, რომ მრეწველობა და ვაჭრობა გაფურჩქვნილი იყო და, რომ ამიტომ, ცუდი არ იქნებოდა მათი ცოტა შევიწროება. როგორ შეევიწროებინათ? გადაწყვიტეს შემოეღოთ შემავიწროებელი საამქრო დაწესებულება. რომელიც ჩანასახშივე სპობდა ყოველგვარ სიახლესა და გაუმჯობესებას მრეწველობაში. ეს ცოტაა: მიწის დამმუშავებელთა ცხოვრების მსგავსად მოაწყვეს ცხოვრება ხელოსნების, ფაბრიკის მუშების: რადგან მუშა სამუშაოს იღებდა არა იმისაგან, ვისაც ეს სამუშაო სჭირდებოდა, არამედ მდიდარი კაპიტალისტისაგან, ისევე მეორე, მესამე ხელიდან, ამით იგი, მიწის მუშის მსგავსად, მდიდარი კაპიტალისტისაგან განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში ვარდებოდა. ამ მიზეზებმა ხელოსანი ისეთსავე გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. როგორშიც მიწის მუშა იმყოფებოდა. ხელოსანი არისტოკრატში, სასულიერო პირში, კაპიტალისტში თავის მტერსა ხედავდა და ცდილობდა მათ დამცირებას, მათთან გათანაბრებას. პარიზში კი ძალიან ბევრია ხელოსანი ოსტატები. აი სწორედ ამიტომ პარიზში დააწყო რევოლუცია.

დაკმაყოფილებული ხართ ამ პასუხით მკითხველებო? ვფიქრობ: რომ კი და მეც განვაკრძობ:

ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ არ შეიძლება დაეუშვათ. რომ მაშინ არ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ხალხის ამ მდგომარეობას კარგად არ ხედავდნენ და არ აფრთხილებდნენ სახელმწიფოს ამ საფრთხისაგან, რომელიც სოციალური არეუ-დარევიტ მას ეშუქრებოდა. და მართლაც, ამბობენ, იყვნენ ასეთი ადამიანებიო: ჩვენ მათი სახელებიც კი გვითხრეს, მაგალითად: ლლო, ნეკერი, ტიურგოს...

ვნახოთ რისკენ მიისწრაფოდნენ ისინი. ტიურგოს, ლლოს და ნეკერს უნდოდათ წოდებრივი უპირატესობის გაუქმება, მრეწველობის განვითარება და ა. შ. კარგი რამეებია ეს, უეჭველია.

მ.შასადამე, შესრულება იმისა, რაც მათ ჰურდათ, რევოლუციას უეჭვლად გახდიდა და იგიც არ მოხდებოდა სულაც. მაგრამ

ეს ადამიანები იმ წრეში ტრიალებდნენ, რომელნიც შესდგებოდა განსაკუთრებით მაშინდელი საზოგადოების კლასების ეკონომიურა წყობით დაინტერესებულ პირთაგან.

მათი განზრახულის შესრულება დამოკიდებული იყო არა მათზე, არამედ მაინც იმ კლასებზე. მეფე ამავე კლასების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. რეფორმატორები შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული კლასების სულდიდობის ან შორსმჭვრეტელობის იმედი არ უნდა ჰქონოდათ, ამიტომაც მათ ხელი მოჰკიდეს მაშინდელი სახელმწიფოებრივი წყობილების გადაკეთებას.

ფრანგი რევოლუციამდელი რეფორმატორების სათავეში იდგა მეფე ლუდოვიკო XVI.

ძიუხედავად ამ რეფორმატორთა ღონისძიებისა, ან ამ მეფის მშვენიერი თვისებებისა, რომელიც, როგორც ზიბელი ამბობს, ტახტზე ავიდა ყველაზე კეთილი ზრახვებითა და საზოგადოების მოთხოვნა-ლებათა შეგნებით, კატასტროფა მოხდა და მთელი იმ დროს არსებული საზოგადოების წყობა დაემხო...

8. ბოკლი და ქალთა საკითხი

ბოლო ხანებში ჩვენს ლიტერატურაში პირველ პლანზე წამოიწია ქალთა საკითხმა, რომელიც რუსული საზოგადოების განათლებული ნაწილისათვის სულ მოკლე დროში პოპულარული გახდა. ამ გაჩენილებასა და ბოკლის სახელს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ჩვენს ლიტერატურაში გაჩნდა ქვემოაღნიშნული ბროშურა*. ამ ნაწარმოების გამოცემის სსვა უფრო საპატიო მიზეზს ჩვენ ვერ ვხედავთ.

სიტყვა ქალის ხმარება ინგლისის ცივილიზაციის ისტორიის სახელმწიფო ავტორის გვერდით, ერთგვარ საცდუნებელს წარმოადგენს საზოგადოებისათვის და იმანაც, რასაკვირველია, ვერ შეძლო დიდი რაოდენობით არ შეეძინა ბროშურა, რომელსაც ჰქვია „ქალთა გავლენა ცოდნის წარმატებაზე“.

ბ. ბუნიცკის კომერციული ვარაუდი გამართლდა, ძალზე სარფიანიც აღმოჩნდა. ამ ბროშურაზე რაიმეს დაწერას ჩვენ სრულიად ზედმეტად ვთვლით, ვინაიდან ოდნავ განათლებული და განვითარებული ადამიანისათვის, რომელმაც კი ის თავიდან ბოლომდე წაიკითხა. ყოველგვარი საგაზეთო რეცენზიის გარეშეც ნათელია სისუსტე და უსაბუთობა ბოკლის ბროშურის მთავარი, ძირითადი აზრისა, რომ ქალებს მომეტებულად დედუქტური — გამოყვანილი მეთოდით აზროვნების უნარი აქვთ.

ამ წიგნის შეუნიშნავად დატოვების აზრს ჩვენ მანამდე ვადექით, სანამ კ. არსენიევა ბოკლის ბროშურაზე გაზეთ „ს.-პეტერბურგსკიე ვედომოსტი“-ში¹⁵ ქება-დიდების წერილი¹⁶ არ მოათავსა. მასში კ. არსენიევი, რასაკვირველია, ცდილობს საქმიანი რამ თქვას, მაგრამ ამაოდ; მისი კალმიდან არაფერი არ გამოვიდა ბოკლის ავტორიტეტისადმი ბრმა მორჩილების გარდა. ჩვენ ეს რამდენიმე სტრიქონი დაგვაწერინა იმ აზრმა, რომ ეს, თავისთავად უსუსური სტატია, კიდევ ატყუებს ჩვენი საზოგადოების გულკეთილ ნაწილს. ისედაც საკმაოდ მოტყუებულს გაიძვერა გამომცემლებისაგან.

* იგულისხმება ბოკლის ბროშურა „ქალთა გავლენა ცოდნის წარმატებაზე“. თარგმანი სტეფანე ბუნიცკისა, გამოცემა ა. ბუნიცკისა.

თავის ბროშურაში ქალთა შესახებ ბოკლი დიდი ხანია ყველასათვის ცნობილ რამეს ლაპარაკობს. მაგალითად იმას, რომ ქალები თანდათანობით იძენენ უფროდაუფრო მეტსა და მეტს ადამიანურ უფლებებს, რომ მათ ძველად დაქვემდებარებული და დაჩაგრული ადგილი ეკავათ, რომ ქალების—კაცობრიობის ამ ნახევრის—გავლენა კეთილისმყოფელია საზოგადოებისათვის, რომ ქალებს არ მოუციათ კაცობრიობის გონების მატრიანეში ეპოქის შემქმნელი აღმოჩენები და გამოკვლევები. რათა მკითხველმა ეპვი არ შეიტანოს, რომ ჩვენ უსაფუძვლოდ ვდებთ ბრალს ევროპელ ავტორიტეტს, ჩვენ ვთხოვთ მას იქონიოს მოთმინება და წაიკითხოს ჩვენი ამონაწერები ბოკლის ბროშურიდან—„ქალთა გავლენა ცოდნის წარმატებაზე“, რომლებიც იძულებული ვართ, აქვე დავასახელოთ:

„ყოველგვარ საზოგადოებრივ მოვლენაში, ბავშვების აღზრდაში, ლიტერატურის ტონსა და ზნეობრიობაში, ცხოვრების ფორმებისა და ადათებში, მეტსაც ვიტყვი, თვით კანონმდებლობაში, წიგნების ისტორიაში, სტატუტებსა და სასამართლოს გადაწყვეტილებებში ჩვენ ვხვდებით იმ ფაქტის მრავალრიცხოვან დადასტურებას, რომ ქალები თანდათანობით მიიწევენ წინ და ნელა, მაგრამ ბეჭითად იპყრობენ ადრინდელთან შეუდარებლად უფრო მაღალ მდგომარეობას. ეს არის ის მრავალთაგან ერთი თავისებურება, რომლითაც გამოირჩევა უახლესი ცივილიზაცია და რომლებიც ამტკიცებენ, თუ რამდენად არსებითად განსხვავდებიან თანამედროვე ყველაზე უფრო განათლებული ერები იმ ხალხებისაგან, რომლებიც ადრე ჰყვოდნენ: ძველი მსოფლიოს ყველაზე უფრო ცნობილ ხალხებში ქალებს ერთობ დაქვემდებარებული ადგილი ეჭირათ. რომის იმპერიის ყველაზე ბრწყინვალე და მტკიცე ძეგლი, უკეთილშობილესი საჩუქარი რომმა რომ შთამომავლობას უნადერძა — რომის სამართალი — ადამიანური სიბრძნის ეს ნიჟუში, უცნაურია სათქმელად, მაგრამ გამოირჩევა ქალების მიმართ იმდენად უხეში უსამართლობით, რომ არ ერიდება შეხედოს მათ როგორც ნივთებს და არა როგორც პიროვნებებს. რაც შეეხება სხვა დიდ ძველ ერს, საკმარისია ჩვენ გადავშალოთ ძველი ბერძნების ლიტერატურული ძეგლები, რათა დავინახოთ, თუ როგორი უპირატესობის ტონით, როგორი აუღელვებელი და ამპარტავანი ზიზღით, ხანდახან როგორი დამცინავი და დვარძლიანი უპატიველობით მიმართავდა ქალებს ეს გონებამახვილი ხალხი“.

„ახალ ევროპაში ქალების გავლენა ცივილიზაციის გავრცელებაზე თითქმის თანაფარდოვანი იყო — თითქმის თანაბარი სიჩქარით მიიწევედა წინ“. „მათი (ქალების) გავლენა, რომელსაც ცხოვრებაში

იდეალურისა და რომანტიკულის ელემენტი შეჰქონდა, იცავდა მას, ამ ცხოვრების განსაკუთრებული პრაქტიკულობისა და ეგოიზმისაგან და არ გადააქცია ის მოსაწყენ და ერთფეროვან რუტინად. მან დაუღო საზღვარი მამაკაცების თვითნებობას, შეარბილა მათი ქცევა და შეანელა მათი სისასტიკე. ამ თვალსაზრისით მათი დამსახურება დიდია და უდავო“.

„არც ერთ ქალს, რაც არ უნდა კეთილისმყოფელ გარემოში არ უნდა ყოფილიყო. ის, არ აღმოუჩენია ისეთი რამ, რასაც თავისი მნიშვნელობით შეეძლო ეპოქის შექმნა ადამიანური გონების მათი-ანეში. აი ფაქტები, რომლებთანაც შეუძლებელია შედავება; სწორედ მათგან იქნა გამოტანილი ერთი ერთობ მკაცრი და საბოლოო დასკვნა, რომ ცოდნის უმაღლესი ფორმები ქალის საქმე არ არის“.

ამ განმტკიცებული რწმენის უარსაყოფად ბოკლი ამბობს, რომ ქალები დედუქტური აზროვნების უნარს ფლობენ, ხოლო მამაკაცები კი—ინდუქტურს. და ამ მეთოდით ახდენენ ქალები მნიშვნელოვან გავლენას კაცობრიობის ცოდნის წარმატებაზე. ამ აზრის დასადასტურებლად ავტორი შენიშნავს, რომ ქალები უფრო მგრძობიარენი არიან, მათ უფრო მეტი უნარი აქვთ გატაცებისა და უფრო ცხოველი წარმოსახვა გააჩნიათ, ვიდრე მამაკაცებს. ჩვენ მზადა ვართ დავეთანხმოთ ბოკლს, რომ ახლაც ქალებში ცოდნის დედუქტური მეთოდი სჭარბობს ინდუქტურს.

მაგრამ ჩვენ არ გვაქვს არავითარი უფლება დავუშვათ, რომ აზროვნების ეს მეთოდი ქალის გონების მუდმივი კუთვნილება იქნება როგორ გარემოშიაც არ უნდა მოექცნენ ისინი. აღზრდისა და განათლების მახინჯი სისტემა აბნელებს, თვით ბოკლისავე თქმით, მათს ბუნებით „ნაზ“ გონებას. ამ პირობებში მათში მართლაც შეიძლება დედუქცია ბატონობს. მაგრამ ჩვენ სრულიადაც არ ვიცით რა მიმართულებით წავიდოდნენ ქალები ადამიანის ცოდნის სხვადასხვა დარგის დამუშავებისას, თუ კი აღზრდა, განათლება და გარემო სავსებით შესაფერისი იქნებოდა მათი გონებრივი ძალების სწორი განვითარებისათვის. მხოლოდ ერთგვარ პირობებში შეიძლება გარკვეულ მდგომარეობათა და მათი შედეგების აღება და ურთიერთ შედარება.

თავის ბროშურაში „ქალთა გავლენა ცოდნის წარმატებაზე“ ბოკლი განსაზღვრავს ცოდნის ინდუქტურ და დედუქტურ მეთოდს. „ინდუქტური ფილოსოფოსი, ამბობს ბოკლი, დაკვირვებისა ანდა ცდის საშუალებით აგროვებს ფაქტებს და მათგან აღის ზოგად საწყისებთან. ანდა კანონებთან, რომლებიც ხსნიან და განაგებენ მოე-

ლენებს. დედუქტურ ფილოსოფოსს კანონი გამოყავს ცნებებიდან, რომლებიც მის გონებაში უკვე არსებობენ და ხსნის მოვლენებს, დადის მათთან, ნაცვლად იმისა, რომ ამოდიოდეს მათგან“. ეს განსხვავება რომ ხელშესახები გახადოს, ბოკლი მას განმარტავს ერთი და იმავე საგნის დედუქტური და ინდუქტური გამოკვლევის მაგალითებით. „დაუშვათ, რომ მწერალს ეგრეთწოდებული სპეციალური მეცნიერების ხაზით სურს განსაზღვროს აზროვნების სხვადასხვა მიდრეკილების გავლენა სიცოცხლის საშუალო ზღვარზე და იღებს რა მხედველობაში პოეტებისა და მათემატიკოსების საპირისპირო მისწრაფებებს, სვამს კითხვას, თუ რომელი მათგანი უფრო ხანგრძლივად ცოცხლობს? თუ ის წავა ინდუქტური გზით, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, დაიწყებს ფაქტების შეგროვებას, ე. ი. გადაათვალიერებს სხვადასხვა ხანაში, სხვადასხვა კლიმატურ გარემოში, განსხვავებულ საზოგადოებრივ პირობებში მცხოვრებ პოეტთა და მათემატიკოსთა ბიოგრაფიებს ისე, რათა თავიდან აიცილოს ის უსწორმასწორობანი, რომლებიც თვით კვლევის საგნისათვის შეიძლება უცხონი აღმოჩნდნენ. ამის შემდეგ მოპოვებულ შედეგებს ის მისცემს სტატისტიკური ფორმის სიკვდილიანობის ცხრილთა სახეს და მათი ურთიერთ შედარებით გამოარკვევს, რომ მიუხედავად მის მიერ შესწავლილ გარემოებათა უაღრესად დიდი მრავალფეროვნებისა, არის საერთო საშუალო რიცხვი, რომელიც ემპირიულ კანონს შეადგენს და ამტკიცებს, რომ ბოლოსდაბოლოს მათემატიკოსები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე პოეტები. დედუქტური მკვლევარიც იმავე შედეგს მიიღებს, ოღონდ სრულიად საწინააღმდეგო მეთოდის მეოხებით. ის იმსჯელებს ასე: პოეზია მოითხოვს წარმოსახვას, მათემატიკა გონებას. როდესაც ჩვენ მივმართავთ წარმოსახვას, ჩვენ უფრო ალგიგზნებით გონებით მუშაობასთან შედარებით, ხოლო რაც აღმგზნებია, ის ჩვეულებრივ უფრო მანენცაა ჯანმრთელობისათვის. მაგრამ მას, რაც ჩვეულებრივ ჯანმრთელობისათვის მანენა, მივეყვართ სიცოცხლის შემოკლებისაკენ; მაშასადამე, პოეზია უფრო შეამოკლებს სიცოცხლეს, ვიდრე მათემატიკა და ამიტომ პოეტები უფრო ადრე უნდა კვდებოდნენ, ვიდრე მათემატიკოსები“. თავისი აზრის უფრო მეტი თვალსაჩინოებისა და დამტკიცებისათვის, ბოკლს მოჰყავს ისტორიული ფაქტი — ნიუტონის მიერ მიმზიდველობის კანონის აღმოჩენა დედუქტურ — გამოყვანითი მეთოდის საშუალებით. მოგვყავს ინგლისის ცივილიზაციის ისტორიის ავტორის საკუთარი სიტყვები. „ნიუტონი იჯდა ბაღში, როდესაც უცებ ხიდან ვაშლი ჩამოვარდა. ის ადგილიდან არ დაძრულა, რათა მოეხდინა ცდები მიმზიდველობის ძალაზე, არ წასუ-

ლა სახლში სხვების დაკვირვებათა გასაცნობად და ასეთ დაკვირვებათა ცხრილების შესადარებლად, იმას გარესამყაროსათვისაც კი აღარ შეუხედია, არამედ იქდა აღტაცებისაგან მოჭადროებული, საკუთარი აზრით მოხიბლული და იდეას იდეაზე ანვითარებდა. ის მსჯელობდა ასე: ვაშლი რომ უფრო მაღალ ხეზე ყოფილიყო, მისთვის ცნობილ ყველაზე უფრო მაღალ ხეზედაც კი, ის ზუსტად ასევე ჩამოვარდებოდა. ამასთან, არ არსებობდა საბაბი იმის საფიქრებლად, რომ ძალა, რომელმაც ვაშლი ჩამოაგდო, უნდა შემცირებულიყო, ხოლო თუ ის არ შემცირდებოდა, მაშინ რატომ არ შეიძლება ის უსაზღვრო ყოფილიყო? ხოლო რაკი არ მცირდება და არც საზღვარი აქვს, მაშინ მას შეუძლია იმოქმედოს დედამიწის ატმოსფეროს გარეთაც, შეუძლია მიაღწიოს მთვარემდე და მოაქციოს ის თავის ორბიტაში. თუ კი ძალას, რომელიც იწვევს ვაშლის ჩამოვარდნას, მართლაცდა შეუძლია მართოს მთვარე, მაშინ ამაზე რატომ უნდა შეჩერდეს ის?

რატომ არ უნდა ექვემდებარებოდეს მის მოქმედებას პლანეტებიც. მათი მოძრაობა რატომ არ უნდა წარმოებდეს მზისადმი მათი მიზიდულობის ძალით, მსგავსად იმისა, როგორც მთვარეს იზიდავს დედამიწა?

ნიუტონმა ამ გზით დაასრულა თავისი ყველაზე დიადი გონებრივი ჰერეტა, როგორც კი ადამიანის გულში ოდესმე ჩასახულა“.

ბოკლის ბროშურიდან ჩვენს მიერ უკანასკნელად მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, რომ ბოკლი ცდილობს მკვეთრი ზღვარის გველებას აზროვნების ინდუქტურ და დედუქტურ მეთოდებს შორის. ჩვენის აზრით, საეჭვოა, რომ არსებობდეს ასეთი მკვეთრი განსხვავება ამ ორ მეთოდს შორის. პირიქით, ჩვენ გვგონია, რომ დედუქტური მეთოდი იმ აზრით, როგორადაც ეს ბოკლს ესმის, არც არსებობს.

არის მხოლოდ ერთი ინდუქტური მეთოდი. ეს მეთოდი მიიმართება კერძოდან ზოგადისაკენ და როგორც ჩვენ ის გვესმის, იგი შეადგენს უკლებლივ ყველა ადამიანის კუთვნილებას, მაგრამ საერთოდ ადამიანები, გამონაკლისის გარეშე, განიყოფებიან ორ დიდ ძირითად ჯგუფად: ბრიყვებად და ჰკვიანებად. პირველი კატეგორიის ყოველი ადამიანისათვის საჭიროა, რაც შეიძლება მეტი ფაქტი გარეფიზიკური სამყაროდან, რათა მათის მეოხებით გამოიმუშაოს რაიმე. მეორე კატეგორიის ადამიანებისათვის ვაცილებით მცირე საგნებია საჭირო თავიანთი დასკვნების ასაგებად. ამ საგნების რაოდენობა შეიძლება ძალიან შემოფარგლული იყოს, მაგრამ მათი არსებობა მაინც აუცილებელია. მათ გარეშე ყველაზე ბრწყინვალე გო-

ნებაც კი უმოძრაო აღმოჩნდება. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის, რასაკვირველია, სახელგანთქმული ინგლისელი ფილოსოფოსი — ნატურალისტი, გენიალური ისაკ ნიუტონი. ჩვენის აზრით, ამ მათემატიკოსმა ნიმიზიდველობის კანონი აღმოაჩინა წმინდა ინდუქტური გზით, ე. ი. ის კერძობითი ფაქტებიდან მიდიოდა ზოგადი კანონისაკენ. მართალია, მას ხელთ არ ჰქონდა ბევრი ფაქტი, მხოლოდ სამი ფაქტი ჰქონდა. პირველმა ფაქტმა: ვაშლის ჩამოვარდნამ. ბოკლის სიტყვებით, ნიუტონი პირველად მიიყვანა აზრამდე ასალი. მისთვის უცნობი კანონის არსებობის შესახებ; ამ მოვლენაზე დაყრდნობით დაიწყო მოაზროვნემ ფიქრი სხვა ფაქტის პოვნაზე, რომელიც კი მის ვარაუდს დაადასტურებდა. მან იგი იპოვა: ვაშლის ჩამოვარდნა დედამიწის უდიდესი სიმძლავრიდან. მთვარის მდებარეობამ, ე. ი. მე-3 ფაქტმა საბოლოოდ დაარწმუნა ის ახალი კანონის ნამდვილად არსებობაში. ამ უეჭველ ფიზიკურ ფაქტებზე დაყრდნობით, თავის გამოკვლევებში ის უფრო შორსდაშორს წავიდა და ბოლოს მოასწრო მიმზიდველობის კანონის აღმოჩენა. ბოკლის მიერ მოყვანილი მეორე მაგალითი, რომელიც დედუქტური მეთოდით კრისტალიზაციის სისწორის აღმოჩენას შეეხება, ასევე უსაფუძვლოა. გაიუმ, აკვირდებოდა რა თავის გარემო ბუნებას, მასში ყველგან სიმეტრია შეამჩნია. როგორც ჩანს, ამ ფაქტების საფუძველზე დაინახა მან სისწორე არასწორ კრისტალებშიც. მან ჩაატარა ცდარამაც მისი ვარაუდი დაადასტურა.

იგივე შეიძლება ითქვას ბოკლის დედუქტური გამოკვლევის შესამე მაგალითის შესახებაც.

ბ. იულიან შმიდტის „XIX საუკუნის ინგლისური ლიტერატურის მიმოხილვა“

(თარგმანი ვარვანულიძან, ს-პბ, 1804 წ., ივანე ზონკარაძის სტამბა)

ჩვენი ლიტერატურა ყელამდე სავსეა უცხო ენებიდან თარგმნილი თხზულებებით, მათ შორის უკანასკნელი ადგილი არ უჭირავთ ლიტერატურის ისტორიის წიგნებს. შერის „ლიტერატურის ზოგადი ისტორიის“ ორი გამოცემა, იულიან შმიდტის „ფრანგული ლიტერატურის ისტორია“, ჰეტნერის „XVIII საუკუნის ლიტერატურის ისტორია“ და სხვ. და სხვ. და ბოლოს „XIX საუკუნის ინგლისური ლიტერატურის მიმოხილვა“ სრულიად საკმაოდ მოწმობს, რომ ჩვენი საზოგადოება დაინტერესებულია ლიტერატურის ზოგადი ისტორიით, მაგრამ, მიუხედავად საზოგადოების ამგვარი დაინტერესებისა, ბატონი მთარგმნელები და გამომცემლები მას ჰკეებავენ საკმაოდ საშუალო ღირსების წიგნაკებით, რომლებიც თითქმის უსეთივე ხასიათისანი არიან, როგორისაც — კ. ზელენეცკის „რუსული სიტყვიერების ისტორიას“. ცხადია, ჰეტნერი სრულიადაც ისეთი ცუდი არაა, რომ იგი ზელენეცკის შევადაროთ, მაგრამ მისი თხზულების — „XVIII საუკუნის ლიტერატურის ისტორიის“ რუსულად თარგმნილი გამოცემა ხომ საგანგებოდ ნაკლებად საინტერესო პირველი ტომის გამოცემაზე შეჩერდა, ხოლო მისი დასასრული, რომელშიც თხზულების მთელი არსი — XVIII საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ისტორიაა, აქნობამდე გამოსაცემად ვანზრახულიც არაა. ხსენებულ თხზულებათა საშუალოობაზე ჩვენი შეხედულების დასამტკიცებლად მკითხველებს წარვუდგენთ იულიან შმიდტის ბროშურის „XIX საუკუნის ინგლისური ლიტერატურის მიმოხილვის“ ანგარიშს.

იულიან შმიდტი თავის გამოკვლევას იწყებს ბურკესა და ბენტამიდან, რომელთა შორის პარალელი გაჰყავს იმ მიზნით, რომ ახსნას ბურკეს იდეების გავლენის ქვეშ მყოფი ვალტერ სკოტის პოეზიის მნიშვნელობა. კლასიკური სკოლის პოეტებზე ორიოდ სიტყ-

ვის თქმის შემდეგ შმიდტი გადადის რომანტიკულ სკოლაზე, ე. ი. ვალტერ სკოტზე. მას, როგორც გერმანელ სწავლულს, პირველ რიგში დაუყენებია ლიტერატურულ-სამსახურებრივ-ოჯახური ფორმულარი: „ვალტერ სკოტი დაიბადა 1771 წელს, 1783 წლიდან სწავლობდა ედინბურგის უნივერსიტეტში და 1792 წელს უკვე ვეჭილი იყო თავისი მშობლიური ქვეყნის დედაქალაქში. 1796 წელს გამოვიდა იგი ლიტერატურულ ასპარეზზე „ლენორასი“ და „უცხო მონადირის“ თარგმანით, ხოლო 1790 წ. მან...“ და სხვა, ისე როგორც ფორმულაარს შეეფერება. სწორედ ასე აღწერს იგი ყველა ინგლისელ მწერალს — ვალტერ სკოტიდან და ბაირონიდან თეკერემდე. ალაღბედად ავიღოთ ამ უკანასკნელის ნამსახურობის სია: „უილიამ თეკერეი დაიბ. 1811 წ. კალკუტაში, იყო შვილი ოსტ-ინდოეთის კომპანიის მოხელისა, ბავშვობაშივე გაგზავნილი იყო ლონდონში განათლების მისაღებად. აქ იგი ბრწყინვალე ცხოვრების ვნებათა დელევას მიეცა და საკმაოდ დიდი ქონება გაფლანგა, რის საშოვნელადაც იგი პარიზს გაემგზავრა“ და სხვ. (გვ. 188) ან „თეოდორ რუჟი დაიბ. 1788 წ., 1805 წელს იგი ცნობილია როგორც საყვარელი კომიკოსი და ეურნალისტი. გარდ. 1841 წ. თავისი ორი რომანით („gilbert gurneu“, 1836 წ. და „Jach Bray“ 1839 წ.) მან დიდი დიდი ქონება შეიძინა“ (გვ. 169). ასეთი ფორმულარისათვის ორისამი სტრიქონის წამატებით შმიდტი საქმეს ათავებს. თუმცა, მთავარ პოეტებზე, როგორებიც არიან, მაგალითად, ვალტერ სკოტი, ბაირონი, შელი, მერი, დიკენსი და თეკერეი, იგი საკმაოდ დიდხანს ჩერდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არა ამომწურავად განსაზღვრავს მათი პოეზიისა და მოღვაწეობის ხასიათს.

შმიდტი უცილობლად აღტაცებულია ვალტერ სკოტის პოეზიით. ვფიქრობთ, ვალტერ სკოტს მკითხველის თვალში არ დავამცირებთ. თუ ვიტყვით, რომ მის ნაწარმოებებში არაფერია ისეთი, რაც ვალტერ სკოტს ადგვამადლებინებდა და ხოტბას შეგვასხმევიანებდა. თქმა არ უნდა, რომ ის თავის დროზე უპირველეს როლს თამაშობდა, მაგრამ იმ დრომ ხომ დიდი ხანია განვლო. ახლა სასაცილოა ლიტერატურას ვალტერ სკოტის თაყვანისმცემლის თვალთ უყურო. ქების ძირითადი მოტივი ისაა, რომ მან იცოდა ისტორიულ პირთა განსახიერება, ბუნების მშვენიერების საგანგებოდ მართალო და რელიეფური ასლის გაკეთება, ისე, რომ ისინი მკითხველის წინაშე მთელი თავისი მშვენიერებით წარმოსდგებოდა. კიდევ რით გაითქვამდა სახელს ვალტერ სკოტი, თუ არა თავისი თხზულებების ამგვარი ღირსებით! ამან სიცოცხლეშივე მოუხვეჭა პატივი, შესძლ-

ვნა აბატსფორდის მამული (როგორც შმიდტი გადმოგვცემს) და ვალტერ სკოტი ამით უნდა დაკმაყოფილებულიყო. მაგრამ, რომ მის პოეზიას მუდმივი ძალა და მნიშვნელობა მიეწეროს, რაც არ უნდა იყოს, ცხადი თვალის ახვევაა. ვალტერ სკოტის რომანებს შმიდტი საგანგებო მხატვრულობას მიაწერს და ამიტომაც კპირდება მათ უყვადვებას, მაგრამ მხატვრულობა ხომ მეტისმეტად პირობითი ცნებაა. ის რაც ლუდოვიკო მეთოთხმეტის დროს მხატვრულ თხზულებად მიაჩნდათ, იმან ახლა თავისი მიზიდველობა დაკარგა. მაშინ როცა შექსპირის თხზულებებმა, რომელთაც იმავე ხანებში მხატვრულობის მცირე ნიშანსაც კი აცლიდნენ, მსოფლიო ლიტერატურაში საგანგებოდ საპატიო მდგომარეობა მოიპოვეს. სწორედ ასევე უნდა ითქვას ვალტერ სკოტზეც. იყო დრო, როცა მისი თხზულებები თრთოლვითა და სიამტკბილობით იკითხებოდა, ეს იყო ოციან წლებში (ჩვენში ოცდაათ და ორმოციან წლებშიც კი), მაგრამ ახლანდელია მოიძებნოს ცოტად თუ ბევრად განვითარებული ადამიანი. რომელსაც მოუწყენლად შეეძლოს ვალტერ სკოტის თუნდ ერთი რომანის წაკითხვა. აღარას ვიტყვი „ნაპოლეონის ცხოვრების აღწერაზე“, მის ყველაზე უხეირო თხზულებაზე...

ახლა გადავიდეთ ბაირონზე.

ეჭვი არაა, რომ XIX საუკუნის ინგლისელ მწერალთა რიცხვში ბაირონი ყველაზე საპატიო ადგილი უჭირავს როგორც ნიჭით. ისე მისწრაფებათა კეთილშობილებით. ბაირონი თავისი ხასიათით არ მიეკუთვნება იმ ნიჭიერ ადამიანთა რიცხვს, რომელნიც საზოგადოებაში გარკვეული მდგომარეობის მიღწევით კმაყოფილდებან და შემდეგ ოლიმპიელის გამომეტყველებას მიიღებენ. ერთი სიტყვით. იგი არა ჰგავს არც გოეთეს, არც პუშკინს (ამას იმიტომ ვამბობთ. რომ უფრო კარგად გაგვიგონ). ბაირონის მგზნებარე განწყობილება ეძიებდა მოქმედებას, ეძიებდა უკეთეს საზოგადოებას, ვიდრე ეს იყო, რომელშიაც იგი დაიბადა და აღიზარდა. და აი, სწორედ ამ ძიებაში მდგომარეობს გასაღები მისი თხზულებებისა. ბაირონი არ იყო არც ინგლისელი, არც ფრანგი, არც რუსი, არც ბერძენი, არც იტალიელი, არც ესპანელი. ბაირონი იყო მხოლოდ და და მხოლოდ ადამიანი. იგი ამისათვის სძულდათ, უშვერად სდევნიდნენ და ამ სიძულვილისა და დევნის საფასურს ბაირონი უხდიდა უღრმესი მძულვარებით, რაც ზოგჯერ გულისწყრომაში გადადიოდა. ბაირონი მკმუნვარებდა ადამიანთა განუვითარებლობის გამო, მას არ ესიამოვნებოდა იმის განსენება, რომ ქვეყანაზე არ იყო ადამიანი, რომელსაც თავის გრძობებს, ნაღველსა და სიხარულს გაუზიარებდა: იგი გრძნობდა საკუთარი თავის უპირა-

ტესობას ირგვლივ მყოფებთან შედარებით. თუ გნებავთ, ესაა ერთადერთი ბრალდება, რაც შეიძლება წარუყენონ ბაირონს, მაგრამ იმ დროის ლიტერატურისა და სხვა მოღვაწეებს თუ გავიხსენებთ (მხედველობაში გვყავს არა მარტო ინგლისელები), იძულებული ვიქნებით ვთქვათ, რომ ბაირონს სრული უფლება ჰქონდა თავისი თავი სხვებზე მალა დაეყენებინა. რაც შეეხება ბაირონის მსოფლ-ჰერეტას, უნდა ითქვას, რომ იგი ქვეყანას ორ მტრულ ბანაკად ჰყოფდა, რომელთა შორისაც განუწყვეტელი ბრძოლა მიმდინარეობს: როგორც ერთი, ისე მეორე მხარე იცავს ქვეშარიტებას იმ სახით, როგორაც იგი ესმის და ის, ვინც გაიმარჯვა, პრინციპს, რომელსაც იცავს იგი, უწოდებს ქვეშარიტებას, ხოლო მოპირდაპირე პარტიის პრინციპს კი—უყუნსა და ბოროტებას. ბაირონი ხედავდა, რომ გამარჯვებული პარტია დამარცხებულის პრინციპს ყალბად წარმოადგენდა, ამიტომაც იგი ცდილობდა ქვეშარიტების აღდგენას — ეჩვენებოდა, რომ დამარცხებულიც ქვეშარიტებას იცავს. მაგრამ, რომ ეს ქვეშარიტება დამახინჯებულია და ახლა ბოროტების სახელს ატარებს. ასეთია ბაირონის პოეზიის ძირითადი მოტივი და, თუ ამ მოტივის მიუხედავად კეთილშობილ სიყვარულს ყოველივე დამცირებულისა და გასარესილის მიმართ, უღრმეს ზიზღსა და მძულვარებას მჩაგვრელთადმი და გულწრფელ სურვილს დაჩაგრულისათვის დახმარების გაწევისა, მაშინ შეუძლებელია დავეთანხმოთ შმიდტს იმაში, რომ ბაირონი მსოლოდ გართობას ეძიებდა და სხვას არაფერს... გარდა ამისა შმიდტი ბაირონს გარყვნილებას უკი-უხინებს, ესე იგი, ოჯახური მოვალეობის არადმიჩნევასა და იტალიელ ქალებთან კავშირს. ცხადია, თუ ქორწინებას უბიწო და მკაცრი პურიტანების თვალსაზრისით შევხედავთ, შეუძლებელი იქნება შმიდტს არ დავეთანხმოთ; მაგრამ, თუ საკითხს მეორე მხრიდან განვიხილავთ, მაშინ მოვალენი ვართ ვთქვათ, რომ მას ერჩივნა გაყროდა ცოლს, რომელსაც პატივს არა სცემდა და ვერ იტანდა, ვიდრე მასთან ეცხოვრა და ოჯახური ჯოჯოხეთის ყოველგვარი სიმწარე აეტანა. შმიდტი ბაირონის ცოლთან გაყრას ინგლისელი არისტოკრატიის მისადმი სიძულვილის ერთადერთ მიზეზად მიიჩნევს, მაგრამ ინგლისში განა ცოტა იყო ამგვარივე განქორწინებანი. განა ბაირონის განქორწინება იმ ზომამდე უზნეო იყო, რომ მის წინააღმდეგ მთელი უმაღლესი წოდება შეაიარაღა! არა, ჩვენ ვფიქრობთ რომ ძირი, მიზეზი სიძულვილისა უფრო ღრმადაა—თვით ბაირონის თხზულებებშია, რომელთაც მის წინააღმდეგ აამლელვარეს მისი თანამემამულენი. თავის თანამემამულეებთან შედარებით საკუთარი თავის უპირატესობის შეგნებამ, თავისი მარტოობის შეგნებამ ბაი-

რონის სულის სიღრმიდან მრავალი საგანგებოდ სევდიანი სიტყვა და ლექსი ამოგლიჯა, რომლებიც ჯერ კიდევ დიდხანს შეინარჩუნებენ ინტერესს, მანამდე, ვიდრე ადამიანთა მდგომარეობა არ შეიცვლება, ვიდრე ბაირონის მსგავსთა მარტოობა შეუძლებელი არ გახდება...

ბაირონის „დონ ჟუანში“ ბევრი ადგილია იმის დამასაბუთებელი, თუ როგორი იყო ბაირონის ზნეობრივი განწყობილება: ნაღველი, მარტოობა, მოწყენილობა ძალისა და შესაძლებლობის უნაყოფოდ გაფლანგვისაგან, რაც გამოხატულია სევდით აღსავსე ლექსად დაწერილი მოტივებით. სამწუხაროა საკუთარი თავის წინაშე იმის შეგნება, რომ სიცოცხლემ უნაყოფოდ გაიარა, რომ საუკეთესო ნიჭი გაფლანგულია უაზრო თამაშში, პატივმოყვარეობასა ან ამათ მსგავს სხვა რამეში. ამგვარი ნაღვლიანი შეგნებითაა აღსავსე „დონ ჟუანი“. შეიძლება თუ არა ბაირონს ბრალი დაედოს იმის სამწუხარო შეგნებაში, თუ რა უნაყოფოდ იფლანგება ნიჭი, დეე განსაჯონ ამ საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა.

შმიდტი ბაირონში მხოლოდ ერთ ღირსებას ხედავს — „ღირსებას ოსტატობაში, რომ იგი ფლობს ენას და ნაწილობრივ, მონოტონურ ოქტავებს, რასაც გამოხატავს სრულიად ახალი ზომით“... განა ესაა ბაირონის გაგება?.

მკითხველი რომ არ დაექვდეს ჩვენგან შმიდტის აზრების არასწორად გადმოცემაში, ამისთვის გადმოვბეჭდავთ რამდენიმე ენერგიულ სტრიქონს: „ბაირონის სიყვარული თავისუფლებისა სხვა არა იყო რა, თუ არა noble passion... მას ამოქმედებდა მხოლოდ მძაფრ სულიერ შეგრძნებათა წყურვილი, მას ადამიანთა სიყვარული არ ჰქონდა, არავითარი თანაგრძნობა ხალხის მიმართ. მისი კეთილშობილი ინსტიქტი არ იყო განათებული მოვალეობის იდეით; ადამიანები მისთვის უბრალო პირადი იყვნენ, რომლებითაც მისი სული ხშირად თავს შეიქცევდა“. ასეთია ბაირონის შმიდტისეული შეფასება, სწორედ ასეთივეა მისი ფორმულარიც.

შმიდტი შემდეგ გადადის მურზე. უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, ფორმულარი: „თომას მური დაიბადა“ და სხვ. შემდეგ მოდის მის თხზულებათა ბიბლიოგრაფია მათი გამოცემის წლებისა და ავტორის მიერ წიგნით მოვაჭრეებისაგან აღებული ჰონორარის რაოდენობის ჩვენებითაც კი... რაო, არ გჯერათ... ხომ არ ინებებთ მოისმინოთ: „ჩაიფიქრა თუ არა მან ამ ნაწარმოების („ლალა რუკ“, 1812) დაწერა, მისი ამხანაგები მაშინვე შეუთანხმდნენ წიგნით მოვაჭრე ლოიპმანს და მათ უზრუნველჰყვეს პოეტი, ვიდრე მისი აზრულება დღის სინათლეზე გამოვიდოდა, სამიათასი გირვანქა

სტერლინგით, ეს თანხა პოემის გამოჩენისთანავე ნამდვილად გადაუხადეს 1817 წელს (საინტერესოა ვიცოდეთ რა რიცხვში), მიუხედავად მათთვის (?) არახელსაყრელი დროისა. „ლალა რუკი“ მოკლე ხანში ოცქერ გამოიცა“... ასეთი წვრილმანები გაქიანურებულია 16 გვერდზე, მურის თხზულებების ღირსებებზე მსჯელობასთან ერთად. რა არის კარგი მის თხზულებებში, დამერწმუნეთ, ჩვენ არ ვიცით; რასაკვირველია, მის „ირლანდიურ მელოდიებს“ ღირსება გააჩნდათ, მაგრამ მხოლოდ ირლანდიელთათვის. ინგლისელებისა და რუსებისათვის მათ შეიძლება მნიშვნელობა არაფერი ჰქონდეთ, რადგან გადატვირთულნი არიან სამოციქულო ეკლესიის პირდაპირი და არაპირდაპირი ხოტბით. ამ მელოდიებს რომ ძირითად მოტივად ირლანდიელების ეკონომიური მდგომარეობის მოუწყობლობა ჰქონოდათ, მაშინ, ეჭვი არაა, საინტერესონი იქნებოდნენ არა მხოლოდ ირლანდიელთათვის (იხ. გვ. 81). შმიდტის ბროშურის საუკეთესო ნაწილი, უეჭველად, არის „ს პ ი რ ი ტ უ ა ლ ი ს ტ უ რ ი რ ო მ ა ნ ი ს ტ ე ბ ი ს“, სახელდობრ „ტ ბ ი ს ს კ ო ლ ი ს“ (უორდსეორთი, კოლრიჯი, სოუთი, ლოველი და შელი) მწერლების თხზულებების განხილვა. ყველა ეს მწერალი, თავგამოდებული დემოკრატებიდან გამძვინვარებულ ტორებად რომ იქცნენ და ამისათვის „გვირგვინოსან პოეტთა“ რიცხვში მოქცევა მიენიჭათ, შმიდტისაგან შეუწყალებელი სიმკაცრით არის განხილული. ჩანს ასეთი მიკროსკოპიული ტალანტების განხილვა შმიდტის ძალღონეს შეეფერება და მას ტყუილად მოუკიდია ხელი ბაირონის მოღვაწეობის გარჩევისათვის.

ტბის სკოლის მწერლების,—შელისა და მისი მიმდევრების (ჯონ ქეათი, ლეიგ ჰუნგი, ალფრედ ტენისონი, რობერტ ბროუნინგი და სხვ.) ფანტასტიკური პოემები და რომანები შეუბრალებელ კრიტიკას იმსახურებენ და ამიტომაც, შმიდტის ნაშრომის ამ ნაწილს უშენიშვნოთ ვტოვებთ, ისე როგორც თავს კარლეილზედ და გადავდივართ „ტ ე ნ დ ე ნ ც ი უ რ რ ო მ ა ნ ზ ე“.

ჩვენ ხელოვნებაზე დავა სრულიად დამთავრებულად მიგვაჩნია. საკითხი — საჭიროა თუ არა ხელოვნებასა და პოეზიას ჰქონდეთ რაიმე მიზანი, გარდა საკუთარი თავისა—აინტერესებდა ჩვენს წინაპრებს და შეეძლო მხოლოდ ისინი დაეინტერესებინა. ახლა დამტკიცებულია და ძლიერ კარგადაც, რომ ხელოვნებას მიზნად უნდა ჰქონდეს ცხოვრება, ცხოვრება მთელი საზოგადოებისა და ხალხისა. რადგან თანამედროვე ინგლისელი მწერალ-ტენდენციონისტების რომანები საკმარის უპასუხებენ თავის დანიშნულებას—სახალხო და საზოგადოებრივი ცხოვრების აღწერას, ახლა სასაცილო იქნებოდა იმაზე დავა—არის თუ არა მათში პოეზია და ხომ არაა შებღალული

მათგან ხელოვნება. ერთი სიტყვით, შმიდტს ვერ გადაუწყვეტია საკითხის ასე კატეგორიულად დაყენება, მაგრამ იგი ხშირად აღარებს დიკენსსა და თეკერის თავის ვალტერ სკოტს, და სადაც კი შესაძლებელია, უკანასკნელს პირველების ხარჯზე ამალღებს. შემდეგ ჩვენ შმიდტის ბროშურიდან რამდენიმე სტრიქონს ამოვწერთ დიკენსის ნიჭიერებაზე, ეხლა კი შევეცდებით განვსაზღვროთ დიკენსისა და თეკერის რომანების ხასიათი, რამდენადაც ჩვენ გვესმის.

თეკერიმ სულმთლად გამოთქვა თავისი აზრი თავისსავე პირველ რომანში „ამაოების ბაზარი“ („Vanity Fair“). ეს თხზულება ეკუთვნის იმ რომანთა მცირე რიცხვს, რომელნიც ქმნიან ეპოქებს ლიტერატურის განვითარებაში, ან და, ყოველ შემთხვევაში, წარმოადგენენ ამ ეპოქის საუკეთესო ძეგლებს. ამ ნაწარმოების თითოეული სტრიქონი ამჟღავნებდა ავტორის უზარმაზარ ნიქს, რომლის ტოლი იმ დროს არ ყოფილა. ამ რომანში გამოყვანილი ყველა ხასიათი გამოკვეთილია უღრმესი შეგნებითა და არაჩვეულებრივი ტაქტით, მაგრამ, ვაი, რომ ეს რომანი იყო თეკერის პირველი და უკანასკნელი თხზულება, უკანასკნელი არა ჩვეულებრივი გაგებით, არამედ გადატანითი მნიშვნელობით. თეკერის მომდევნო თხზულებებში არულიადაც ვერ შეედრებოდნენ ვერც „ამაოებათა ბაზარს“, ვერც „Peveril“-ს ვერც „პანრი ესმონდს“, ვერც „ნიუკომებს“, ვერც „ვირგინელებს“. ყველა ეს რომანი საუკურნალო ბალასტად უნდა ჩაითვალოს არა იმიტომ, რომ მათში არ იყოს კარგი ადგილები. არა, კარგი ადგილები ძლიერ ბევრია, არამედ იმიტომ, რომ რომანების სუსტი ადგილები სძალავენ კარგებს ისე, რომ შეუძლებელია მოწყენისა და გასშირებული მთქნარების გარეშე მათი წაკითხვა. ადამიანმა, რომელიც დროს აფასებს და რომანებსა და სხვა თხზულებებს კითხულობს არა მოვალეობისათვის, არამედ სურვილით, არ შეიძლება მოწყენილობა დასძლიოს და რომელიც არ უნდა რომანი იყოს, თითქმის პირველი ათი ფურცლის წაკითხვის შემდეგ თავს ანებებს.

არ შეიძლება იმისი თქმა, ვითომც თეკერის დიდი ნიჭი არ ჰქონდეს, მაგრამ ამ ნიქს იგი წერილმანებში ხარჯავს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია—მეტად აჭიანურებს თავის თხზულებებს. ის რომ გარჯილიყო და რომანები ნახევრობამდე, ან უფრო მეტადაც შეემოკლებინა, მაშინ ისინი შეუდარებლად ძვირფასები იქნებოდნენ და უფრო მეტი ხალისით წაკითხებოდნენ, თუმცა ამ მხრივ მას საფრთხე არ მოელის, ინგლისში მეტად ბევრია მკითხველი და მეტად ცოტანი არიან თეკერის მსგავსი მთხვევლები და ამიტომაც იგი ყოველთვის იზოვის მკითხველს. თეკერის მთავარი უბედურე-

ბა იმაში მდგომარეობს, როგორც უკვე ვთქვით, რომ იგი მეტად ბევრ დროს ხარჯავს წერილმანებზე, რომლებიც არავისთვის საინტერესონი არ არიან. თვით უმნიშვნელო ხასიათის გამოჩაღხვა და ანალიზი ზოგჯერ მრავალ ათეულ გვერდზეა გაკვიმული, რაც არა იშვიათად ვნებს მთავარ ხასიათებს. ბოლოს, საკუთრივ თეკერეის გონების არე, მსოფლმხედველობა სრულიად გამოითქვა მის პირველ რომანში, ისე, რომ მას ახალი აღარა აქვს რა დასაწერი, გარდა ძველის უფერული გამეორებისა, ანუ, მოკლედ და ამჟამად რომ ითქვას—თეკერეი ამოიწურა....

რაც კი შეეხება დიკენსს, მასზე ამის თქმა არ შეიძლება. მისი ტალანტი უფრო ძლიერია და ღრმა, ვიდრე თეკერეისა, და იგი თეკერეიზე უკეთ იცნობს საშუალო ხალხის იმ წრეს, რომელსაც იგი ასე წარმატებით აღწერს. რაზედაც არ უნდა დაწეროს დიკენსმა, რაზედაც არ უნდა ლაპარაკობდეს იგი, — კაცი ყველაფერში ხედავ გულკეთილ დიკენსს, ნახევრად ბურჟუას, ნახევრად მუშას. წაიკითხეთ მისი საშობაო მოთხრობები „ალმასის ბაზრობა“, ნაამბობი „პენსიონერისა“, „მონუცი ლედისა“, „მეზობლისა“. „სკვადრისა“. „ბიძია ჯორჯისა“, „პოლკოვნიკისა“ და სხვ. და სხვ., და თქვენ ნახავთ ინგლისელს მისი წარმოდგენებით, ცრუმორწმუნეობით, საკვირველის რწმენით; დაინახავთ, რომ ეს მოთხრობები დაწერილია არა კაბინეტური მუშაობით, არამედ ისინი ხალხის ცხოვრებიდანაა ამოღებული, ხალხის ნალაპარაკევიდანაა ჩაწერილი. ტყუილად ჰგონია შმიდტს, რომ დიკენსს, ძლიერი ფანტაზია აქვს, რომელსაც იგი ღრუბელსიმიერ სამყაროში გადაჰყავს. არაფერი ამგვარი დიკენსს არა აქვს— იგი თავის მოთხრობებს არ თხზავს და გმირებს არ იგონებს, არამედ ხალხის სიტყვიდან ჩაიწერს იმას, რის მოსმენასაც მოასწრებს. ფანტაზია მას ესმარება მხოლოდ და მხოლოდ ზოგიერთი ხარვეზის შევსებაში. რაც შეეხება დიკენსის ცნობილ რომანებს „პიკვიკის კლუბის ჩანაწერებისა“, თუ „დომბისა და მისი შვილის ფირმის სავაჭროს“ მსგავსთ, სრულიად ზედმეტია მათზე დიღხანს ლაპარაკი: იშვიათად თუ მოიძებნება ჩვენს მკითხველებში ისეთი, რომელმაც არ იცოდეს ამ რომანების ღირსება. მათში იმდენი სიმართლეა, რომ ძალაუფლებურად გაცეცხს დიკენსის გამჭრიახი დაკვირვებულობა. დიკენსი ცხოვრებას არ აიდეალიზირებს, იგი მხოლოდ ზოგჯერ აჩვენებს მშვიდ ცხოვრებას ოჯახის კრასთან, აჩვენებს კარგ ადამიანებს; მაგრამ არა როგორც ჩვეულებრივთა და თანაც შენიშნით: „რა კარგი იქნებოდა, რომ ყველა ადამიანი ამასა ჰგაედეს...“ და ესაა მხოლოდ. იგი არაა დარწმუნებული იმაში, რომ ყველა ადამიანი კარგის მსგავსი იქნება... ის ამბობს მხოლოდ „კარ-

გი იქნებოდა“... ახლა არ გნებავთ მოისმინოთ რას ბრძანებს დიკენსზე შმიდტი:

„რეალურობა მწერალს უნდა ჰქონდეს მხოლოდ როგორც უხე-
ში მასალა. ჩვენ გულგრილნი ვრჩებით ხელოვნების ისეთი ნაწარ-
მოების მიმართ, რომელშიც არ შეიძლება განისაზღვროს ის გან-
წყობილება, რომლის შექმნაც სურდა მხატვარს. რაც უფრო
თავისუფლად აიღებელიზირებს პოეტს, სინამდ-
ვილე მით უფრო იგებს მკითხველის თვალში.“ და
შემდეგ: „დიკენსის გამომსახველობითი ძალა დამოკიდებულია არა
ცხოვრების ზუსტ გადმოხატვაზე, არამედ ფანტაზიასა და იუ-
მორზე, რომელნიც მას შემოაქვს(?) ამ გამომსახველობაში. იგი სამ-
ყაროს გვიხატავს არა ისე, როგორც იგია, არამედ ისე, როგორც
იგი პოეტის სულის წარმოესახება“. შეუძლებელია დიკენსზე სწორი
წარმოდგენის მიღება იმ ადამიანისაგან, რომელსაც ასე „კარგად“
ესმის მისი თხზულება.

ინგლისელ რომანისტებზე თხრობა მთავრდება თეკერეითა და
კინგსლეით. ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი ჯორჯ ელიოტზე. ბიჩერ
სტოუზე.

შემდეგ შმიდტი განიხილავს ისტორიკოსებსა და პოლიტიკოსებს
და, რასაკვირველია, ყველაზე მალა აყენებს ლორდ მაკოლეის. რო-
გორც საუკეთესო ისტორიკოსს. ასევე არცერთი სიტყვა არაა ნათ-
ქვამი ბოკლზე და ისტორიის დამუშავების მის მეთოდზე. რასაკვირ-
ველია, ამის გამო შმიდტის საყვედური არ შეიძლება, რადგან მისი
თხზულება დაწერილია ჯორჯ ელიოტისა და ბოკლის გამოჩენამდე,
მაგრამ რატომ მთარგმნელებმა არ მიუმატეს ორიოდ-სამი გვერდი
დამატებად? ეს ბევრად უკეთესი იქნებოდა და მაშინ ბროშურის
სათაური—„XIX საუკუნის ინგლისური ლიტერატურის მიმოხილვა“
შინაარსის შესაფერისი იქნებოდა. ახლა კი ეს ბროშურა არაფრით
გამოირჩევა ბოკლის ბროშურისაგან „ქალთა გავლენა ცოდნის წარ-
მატებაზე“, რომელზედაც ჩვენ ვილაპარაკეთ ჩვენი გაზეთის წინა
ფელეტონში. როგორც ის, ისე ეს ბროშურა, ეტყობა, გამოცემუ-
ლია მოგების მიზნით. ბოკლის ბროშურა, ყოველშემთხვევაში, გა-
მოცემულია სილამაზის პრეტენზიით, ეს კი უაღრესად დაუდევრად
და თითქმის საზიზღრადაც. თარგმანი, ეტყობა, შესრულებულია
გიმნაზიელის, ისიც პირველკლასელისაგან, ან გერმანული ენის რო-
მელიმე მასწავლებლისაგან, რომელსაც არავითარი წარმოდგენა
არა აქვს რუსული წინადადების აგებულებაზე; შეცდომები უამრავ-
ია და ყველა ამასთან ერთად ფასი ბროშურისა, რომელიც 200
გვერდს შეიცავს, ესე იგი 11½ თაბახია, 12° ზომისა, 85 კაპიკია.

10. ცნობები კავკასიაზე

ფოთი მდინარე რიონის შესართავთან მდებარეობს, მოპირდაპირე მხარეზე რედუტ-კალესი, რომელსაც ადრე ესოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი მხოლოდ ეხლა იწყებს გაფურჩქნას და ამჟამად 2000 მცხოვრებს ითვლის. მისი მდებარეობა, როგორც უკანასკნელი წერტილისა, სადამდისაც შეიძლება სამდინარო ნაოსნობა რიონზე, სავაჭრო გზა, რომელიც შავი ზღვიდან მარანამდე მიდის, წყლით, ხოლო შემდეგ ქუთაისზე გავლით თბილისში, იქიდან კი, ერთი გზით კასპიის ზღვისაკენ, ხოლო მეორეთი — ნახიჩევანზე გავლით — თავრიდაში. ყველაფერი ეს, ამიერკავკასიის ვაჭრობის ზრდასა და სპარსეთის სურვილთან ერთად, რომ სატრანზიტო ვაჭრობა ამ გზით მომართოს, ამ ქალაქს ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებენ. თუ გავიხსენებთ, რომ ოდესა, რომელიც მხოლოდ 1796 წელს იცნეს ქალაქად, ნახევარ საუუუნეში გადაიქცა რუსეთის სახელმწიფოს ერთ-ერთ უპირველეს ქალაქად 100.000 მცხოვრებითა და შესაზიდ-გასაზიდი საქონლის ვაჭრობით, რაც ყოველწლიურად 30 მილიონამდე ადის; ამასთან, თუ გავიხსენებთ, რომ სატრანზიტო ვაჭრობა ტრაპიზონში 25 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 30.000-დან 130.000 ლასტამდე გაიზარდა, მაშინ ფოთის მდებარეობას ორმაგად ბრწყინვალე მომავალი უნდა ვუწინასწარმეტყველოთ, რადგან იგი ერთის მხრით ახალ სავაჭრო ადგილად იქცევა რუსეთისა და ევროპისათვის, მეორეს მხრით კი, სატრანზიტო ვაჭრობის შიდა აზიაში გადატანით, ტრაპიზონ-არზრუმის ხაზს თბილისის ხაზს უერთებს.

ფოთის მომავალი უფრო უეჭველი იქნებოდა, შესაძლებლობა რომ იყოს ქალაქის ახლოს კარგი საზღვაო ნავსადგურის მოწყობისა. ერთგვარი ნაკლი იგრძნობა, როგორც ნავსადგურის პროექტებში, ისე მათი განხორციელების ძვირფას ცდებში; თუმცა მთელი საამშენებლო პროექტით, ჭაობიანი ნაპირითა და ზღვის ფსკერის დაწვევით შექმნილი სიძნელენი დიდი ხნის განმავლობაში სახიფათო იყო, რომ ასეთი წამოწყების ხარჯები არ იქნებოდნენ მისი

შემოსავლის შესატყვისნი. ორი უკახასკნელი წლის განმავლობაში ლაპარაკობდნენ, რომ რუსეთის მთავრობას ამ ნავსადგურის მოწყობისათვის თავის დანებება უნდაო, თანაც ექვსი თვის წინათ სამუშაოები კვლავ განაზღა და კავკასიის აწლანდელმა მართველობამ დიდი სახსრები დააბანდა ამ წამოწყების სისრულეში მოსაყვანად. ამოქმედებულია ორთქლის მანქანა ქვიშიანი ნიადაგის გასაღრმავებლად და, ნავსადგურის მშენებლობასთან ერთად, უკვე შეუდგნენ წინასწარ სამუშაოებს რკინიგზის გასაყვანად, რომელმაც შავი ზღვა კასპიის ზღვას უნდა შეუერთოს.

მიმოსვლა მდინარე რიონის შესართავსა და ამ სანაპიროს მთავარ ნავსადგურს—ბათუმს შორის, რომელიც რუსეთის ნაოსნობის ორივე მთავარი ხაზის გამოსავალ პუნქტსა ქმნის შავი ზღვის აღმოსავლეთში, წარმოებს ორი პატარა გემით, რომელნიც იღებენ მგზავრებსა და საქონელს თბილისიდან და თბილისისაკენ, დიდი საზღვაო გემებიდან—ბათუმში. ვაჭართა წრე არ ფარავს იმას, რომ უხერხულობანი, ორმაგი გადატვირთვით გამოწვეული, შენობების უკმარისობის გამო ფოთში, სადაც საქონელი დიდხანსა და ღია ცის ქვეშ ალავია, — წარმოადგენს რუსეთის ხაზზე ტრანზიტის გადმოტანის მთავარ დაბრკოლებას. საკუთრივ ამიერკავკასიის ვაჭრობისა და მრეწველობისათვის ასეთი მიმოსვლა ახლა უკვე, წინა წლებთან შედარებით, წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს, რადგან ქვეყნის ნაწარმში შემოხსენებული სანაოსნო მიმოსვლის გაზრდის მეშვეობით უფრო ადვილად სალდება, რაც წინათ ასე არ ხდებოდა. ნაწარმის გატანისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ რუსული საზოგადოება საქონელს უშუალოდ აგზავნიდა ბათუმიდან მარსელში, სადაც მისი გემები დაიარებიან, რადგან ამიერკავკასიისა და მის იქით მდებარე ქვეყნების ნაწარმის ყველაზე მეტი ნაწილი საუკეთესო ბაზარს საფრანგეთში პოულობს.

შესანიშნავია, რომ იგივე ზრდა საქონლის გაზიდვაში, რაც უკახასკნელ წლებში შავი ზღვის მთელს სანაპიროს ახასიათებდა, შესაძინევია ამიერკავკასიის ვაჭრობის სფეროშიც.

ქვემოთმოტანილი მიმოხილვა წარმოადგენს ვაჭრობის მოძრაობას ციფრებში. ფოთის ნავსადგურში ნაოსნობა 1863 წელს იყო: 534 შემოსული და 375 გასული გემი.

-I შემოზიდვა

1. ევროპული და კოლონიური საქონელი	324. 080 მან. 45 კაპ.
აზიური საქონელი და ნაწარმი	196.860 მან. 70 კაპ.
სულ	520.941 მან. 15 კაპ.

3. ფულის შემოზიდვა: რუსული ოქროს ფული	164.532 მან. 20 კაპ.
ვერცხლის ფული, რუსული; საკრედიტო ნიშნები:	
ოქროს ფული, უცხოური ვერცხლის ფული	178.602 მან. 35 კაპ.
შემოზიდვის ჯამი	699.543 მან. 50 კაპ.

II გ ა ზ ი დ ვ ა

1. რუსული ნაწარმი	1.385 მან.
2. ამიერკავკასიის ნაწარმი: კაკლის ზე, პალმის ზე;	
გამოუყვანელი ტყავი; ირმის რქა; მწერსაწინა-	
აღმდეგო ფხენილი; მწერთა საწინააღმდეგო ბალა-	
ხეული; სიმინდი (თურქული ხორბალი); აბრეშუმი:	
აბრეშუმის პარკი; ფრიზონები; ნაყაჭური; აბრე-	
შუმის კიის თესლი; ცხვრის მატყლი; ჯაგარი;	
ბამბა; სხვადასხვა საქონელი	3.660.084 მან. 50 კაპ
3. საზღვარგარეთული ნაწარმი	5.950 მან.
სულ	3.667.419 მან. 50 კაპ.
4. ფულის გაზიდვა: ოქრო, ვერცხლი, საკრედიტო ნიშნები —	43.417 მან. 40 კაპ.
გაზიდვის ჯამი	3.710.836 მან. 90 კაპ.

ამიერკავკასიაში და სპარსეთში სატრანზიტო საქონელი, რომელ-
მაც საბაჟოში გაიარა 1863 წელს:

1. ამიერკავკასიის საბაჟოებში საწყობებისათვის	206.808 მან. 14 კაპ.
2. ტრანზიტო სპარსეთში	5.464 მან. 03 კაპ.
თურქული ვერცხლის ფული	52.355 მან.
ტრანზიტის ჯამი	212.271 მან. 17 კაპ.

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ გაზიდვის მთავარი საგნებია: აბრეშუ-
მი ნუხის მაზრიდან, ბამბა ერევნის გუბერნიიდან და გუმბრიდან,
ცხვრის მატყლი აღმოსავლეთ საქართველოდან, სიმინდი სამეგრე-
ლოდან და იმერეთიდან; მწერების საწინააღმდეგო ფხენილი თბი-
ლისის მიდამოებიდან და სხვადასხვა ჯიშის ხე-ტყე აფხაზეთიდან.

შემოზიდვის მთავარი საგნები არიან: შაქარი, კოლონიური საქო-
ნელი, მანუფაქტურული საქონელი და სასმელები, უმთავრესად საფ-
რანგეთიდან; ლითონის საქონელი, საწვავი ნივთიერებანი, მაუდი
გერმანიიდან და ხილი, თამბაქო და სანელებლები თურქეთიდან და
სპარსეთიდან.

რაოდენობისა და ღირსების მაჩვენებელი რიცხვები ზუსტად
უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან ისინი ემთხვევა ამიერკავკასიის ვაჭ-

რობაზე არსებულ საერთო ცნობებს იმდენად, რამდენადაც ამ ცნობებში ჩართულია მესამე ცხრილში ნაჩვენები საქონლის რაოდენობა. თუმცა სწორედ ფოთი წარმოადგენს იმ ადგილს, საიდანაც ხდება გაგზავნა შემოსაზიდი ბაჟადადებული საქონლისა, რომელიც თავის საზღვაო გზას რუსეთის სახელმწიფოს ამ ნაწილში გაივლის, მაგრამ, მაინც კარგი იყო ყურადღება მიქცეოდა, რომ ყოველი გასაგზავნი საქონელი, რომლის შეფუთვა აუცილებლად მოითხოვს ცალების გახსნას და შემოწმებას, მიღებული ყოფილიყო საზღვარზე მხოლოდ პლომბითა და საბაჟოს ზედამხედველობით თბილისამდე მიტანილ, სადაც შემდეგი ტრანსპორტისას იქ საბაჟოში დაედებოდა ბაჟი, ხოლო ტრანსპორტს, რომელიც მიდის სპარსეთში, ახლად დაედებოდა პლომბი და იგი საბაჟოს საფარქვეშ გაიგზავნებოდა საზღვარზე. ამ შემთხვევაში სატრანზიტო საბაჟო გადასახადის ამ საქონელს არ დაედებოდა. მანიპულაციის გამარტივება, საბაჟოს მოხელეთა შრომის საკმაოდ გარკვეული ანაზღაურება, ადგილმდებარეობის გაუმჯობესება ტრანსპორტის წყობისათვის და საქონლის გასაგზავნი ადგილების გაუმჯობესება მომავლისათვის, წარმოადგენენ სატრანზიტო ვაჭრობის გაზრდის უახლოეს მოთხოვნილებას. საქონლის გადაზიდვის ძველი სახეობა ქარავენბითა და სასაპალნე ცხოველებით, თანდათანობით ისპობა თბილისის გზაზე და იცვლება თელიანი ტრანსპორტით, მას შემდეგ, რაც გზა მარანიდან დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ეკიპაჟი და საქონლისა და მგზავრთა გადაყვანა ამ გზაზე უმთავრესად ჩაგდებული აქვთ ხელში გერმანელ კოლონისტებს, რომელნიც თბილისის მიდამოებში ბევრ სოფელსა ფლობენ. გადაზიდვა აქ ახლა ვითარდება, მაგრამ წინდაწინ შეიძლება იმედი გვექონდეს, რომ ახალი დროის აღმოჩენები მაშინვე მოახდენენ მასზე გავლენას, როგორც კი ფოთსა და თბილისს შორის დაპროექტებული რკინიგზის გაყვანა განხორციელდება.

დასასრულ, შეიძლება აგრეთვე იმედი ვიქონიოთ, რომ ორივე ბუნქტს შორის საფოსტო კავშირი, რომელიც ახლა ნელია და ამიტომ მეტად მოღუწებული, მოეწყობა ვაჭრობისა და წერილების გამგზავნი საზოგადოების მოთხოვნილების შესაბამისად.

რადგან ამიერკავკასიის თავისი მთავარი ქალაქითა და ნავსადგურებით გააჩნია მშვიდობიანი მიმოსვლა და მისი გადამკვეთი გზები მთელი კავკასიის საბოლოო დაპყრობით უფრო გამოცოცხლდება, არ შეიძლება არ ვირწმუნოთ, რომ მიმოსვლა ზღვისპირა და შინაგან პროვინციებს შორის ერთის მხრით და საფოსტო მიმოსვლა ამ პუნქტებს შორის და უცხოეთთან მეორეს მხრით, სახელდობრ ოსმალეთის დედაქალაქთან და იქიდან ევროპასთან, მთავრობისა და ამაში დაინტერესებული საზოგადოების ცოცხალი მზრუნველობის ხაგნად უნდა იქცნენ.

11. პ.შ. პრულონი

(„ს.—ქაბარჯურის უწყებების“ კორესპონდენცია)

პარიზი, 10(25) იანვარი 1865 წ.

ბ. რედაქტორო, მე ვბედავ რამდენიმე სიტყვა ვთქვა პრულონზე. მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ეკონომიური მეცნიერებისათვის და საერთოდ უკანასკნელი 25 წლის ფრანგული ლიტერატურისათვის მის მიერ მოტანილ სარგებლობაზე. კარგად ვიცი, რაოდენ პანიკურ შიშს იწვევდა თხუთმეტიოდე წლის წინათ მარტო პრულონის სახელის ხსენება, როგორ უცქერდნენ იმ ხალხს, არა მხოლოდ ჩვენში, არამედ მთელ ევროპაში, რომელნიც გაბედავდნენ ამ სახელის ხსენებას რაიმე ენერგიულად სალანძღავი ეპითეტის გარეშე. სამწუხაროდ, თხუთმეტი წელიწადიც არ აღმოჩნდა საქმარისი იმისათვის, რომ პრულონის მიმართ შემწყნარებლობა მიღწეულიყო: ყველაფერი ის, რაც გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში, იმაში გამოიხატება, რომ პრულონისა და ეკონომიურ სიახლეთა მოწინააღმდეგენი პანიკური შიშის მაგიერ გაცეხებას გამოხატავენ, რაც არც თუ დაშორებულია შიშისაგან, და ლანძღვის მაგიერ მრავალმნიშვნელოვანი მხრების აჩეჩვით იზღუდებიან... ეს სავალალო მდგომარეობა მავალებს ამის ახსნას წინამდებარე ნეკროლოგიური წერილის დასაწყისშივე.

როგორც ცოტა ქვევით დაინახავთ, მე ოდნავადაც არ ვეკუთვნი პრულონის თაყვანისმცემელთა და პანეგირისტთა რიცხვს, ამ მწერალზე მე გულწრფელად გამოვთქვამ ჩემს შეხედულებას, — ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ეს მოსახერხებელია ჩვენს მდგომარეობაში, — შეხედულებას, რომელიც მიკერძოებული არ არის, მაგრამ, ამასთან, არც წინასწარგანზრახვითია მის წინააღმდეგ.

მე ვაფასებ პრულონს, როგორც პატიოსან მწერალს, რომელიც აღფრთოვანებულია გულწრფელი სურვილით სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებასა და ხალხს, როგორც გენიოსს, რომელიც სრუ-

ლიად დამოუკიდებლად, ვისმეს ხელმძღვანელობის გარეშე, განვითარებულა; მაგრამ ყველა ეს სრულიად არ მიშლის ხელს დავინახო მასში მწერალი, რომელიც ძლიერ ხშირად ვარდება შეცდომებში და გაურკვეველობაში. ქვემოთ მე დავასახელებ რამდენიმე ასეთ შეცდომას, მაგრამ საჭიროდ ვთვლი წინასწარ შევნიშნო, რომ როგორც შეცდომებში და გაურკვეველობაში, აგრეთვე თავის საუკეთესო თხზულებებში და საქციელში პრუდონი უმწიკვლოდ პატიოსანი იყო. ამას გრძნობენ ყველა მისი მოწინააღმდეგენი, ეს გამოთქვა საზოგადოებრივი აზრის თითქმის ყველა ორგანომ პარიზში და იმედი მაქვს ამასვე გამოთქვამს მთელი ევროპული პრესა. რაც არ უნდა თქვათ, ეს თვისება სულ უფრო იშვიათად იგრძნობა საზოგადო მოღვაწეებშიც კი, და მხოლოდ ამიტომ შეიძლება იგი გადაიქცეს წინამდებარე წერილის საბაბად, სხვა რამ ღირსებებიც კი რომ არ გააჩნდეს პრუდონს...



პიერ-ჟოზეფ პრუდონი, როგორც, ალბათ, თქვენი მკითხველებისთვის ცნობილია, შეილია სოფლის უბრალო მექასრისა; იგი დიბადა ბეზანსონის ახლოს და მამის ხელობა მემკვიდრეობით უნდა მიეღო, ვილაც კეთილი მყოფელებს რომ არ მიეღოთ მონაწილეობა უღარესად ნიჭიერი პიერის ბედის წარმართვაში. მათი მეცადინეობით პატარა პრუდონი შეიყვანეს ბეზანსონის სასულიერო სასწავლებელში, სადაც მან ისწავლა წერა-კითხვა და ყველაფერი ის, რის შესწავლაც შეიძლებოდა სასულიერო სასწავლებელში. რამდენიმე ხნის შემდეგ პრუდონი იძულებული შეიქმნა სასწავლებელი მიეტოვებინა, რომ თავის ოჯახს დახმარებოდა. ამ მიზნით მან ბეზანსონის ერთ-ერთ სტამბაში ასოთამწყობად დაიწყო მუშაობა. მუშაობისაგან თავისუფალ დროს განაგრძობდა მეცადინეობას. იგი კითხულობდა ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდა, დაწყებული იეზუიტების გამოცემებიდან და ებრაული ენის სახელმძღვანელოებიდან. სტამბაში მუშაობისას თავისი პატიოსნებითა და მუყაითობით ამხანაგების საყოველთაო სიყვარული და სრული პატივისცემა დაიმსახურა და, რადგან იგი ამ რეპუტაციას უმწიკვლოდ ინახავდა, იგი ამხანაგად შეიყვანეს ერთ პატარა კომპანიაში, რომელსაც სასტამბო ხელოვნებაში რაღაც გაუმჯობესების შეტანა უნდოდა. ახალ პირობებში პრუდონი აღრინდელზე უფრო გულმოდგინედ შეუდგა მეცადინეობას და მოკლე ხნის განმავლობაში ბეზანსონის საზოგადოებისა და იქაური აკადემიის ყურადღება დაიმსახურა ბიბლიის ჩინებუ-

ლი გამოცემით, რომელსაც შენიშვნები ჰქონდა დართული; სხვადასხვა სახალხო გამოცემებით და განსაკუთრებით კი ზოგადი გრამატიკის დაწერით, რამაც მას ბეზანსონის აკადემიის პრემია არგუნა — ყოველწლიური პენსია 1600 ფრანკის (400 მან.) რაოდენობით. ეს მოულოდნელი ჯილდო პრუდონს დაეხმარა პარიზში გამგზავრებულიყო, სადაც იგი გულმოდგინეთ შეუდგა ლიტერატურისა და ეკონომიური საკითხების შესწავლას. 1840 წ. პრუდონმა ბეზანსონის აკადემიას რამდენიმე თავისი ახალი თხზულება გაუგზავნა. მაგრამ რადგან მათ აკადემიური იერი აღარ ჰქონდათ, ამიტომ აკადემიამ ისინი არ შიიწონა. აკადემიურ საიდუმლოებას ჯერ კიდევ ჩაუწვდომელმა პრუდონმა მომდევნო წელს ბეზანსონში გაგზავნა თავისი ცნობილი ტრაქტატი: „რა არის საკუთრება“. ამ თხზულების ხასიათმა დამსახურებული აკადემიკოსები აიძულა შეეწყვიტათ მისთვის პენსია, რომელიც პრუდონს¹ გრამატიკის თხზულებისათვის ჰქონდა დანიშნული. ამ სასჯელით დაუკმაყოფილებელმა ივლისის მთავრობამ ცნობილ ეკონომისტს ბასტიდს გადასცა ეს თხზულება გასარჩევად, მაგრამ ბასტიდმა განაცხადა, რომ პრუდონის თხზულებაში მან ვერ აღმოაჩინა კანონისა და საზოგადოების საწინააღმდეგო რამ და, მაშასადამე, პროცესის დანიშვნა ზედმეტი იქნებოდა. ბასტიდის ამ მოხსენების საპასუხოდ პრუდონმა გამოსცა თავისი მეორე ტრაქტატი იმავე საგანზე, სპეციალურად ბასტიდისადმი მიძღვნილი, რომელშიც პრუდონი ახალი ძალითა და სიმკვეთრით გამოვიდა; ამის მიყოლებით მან დაბეჭდა მომცრო ბროშურა „Avis aux proprietaires“, რისთვისაც იგი სამართალში მისცეს, რაც მის სასარგებლოდ დამთავრდა. ეს იყო 1842 წელს. 1842 — 1846 წლების განმავლობაში პრუდონი რაღაც კომერციულ წამოწყებაში საქმიანობდა ლიონში, რომელსაც მიზნად ჰქონდა ტვირთის გადაზიდვა სამხრეთ საფრანგეთის მდინარეებით; მიუხედავად ამ საზოგადოების საქმეებში მრავალი გაუმჯობესების შეტანისა, მიუხედავად მის მეპატრონეთა წინადადებისა და თხოვნისაც კი, პრუდონი არ დათანხმდა მათ ამხანაგად გახდომას. ამ ხნის განმავლობაში მან დაბეჭდა რამდენიმე თხზულება, უმეტესად პოლიტიკური ეკონომიის შესახებ, 1846 წელს კი გამოსცა თავისი საუკეთესო თხზულება: „ეკონომიურ წინააღმდეგობათა სისტემა“.

თებერვლის რევოლუციამ პრუდონს, ისე როგორც ყველა იმ დროის საზოგადო მოღვაწეს, მოულოდნელად მოუხსრო. როგორც ცნობილია, საქმე საარჩევნო რეფორმას ეხებოდა და ჯერ კიდევ 24 თებერვლის წინა დღეს ცოტას ზრუნავდნენ ერთერთ მესამე ხარისხოვან პოლიტიკურ საკითხზე, როგორიც იყო ოპოზიციისაგან საყო-

ველთაო ხმის მიცემის მოთხოვნა. ეგრეთწოდებული ზომიერი ლიბერალ-რესპუბლიკელები, რომელთა სათავეში იდგნენ ლამარტინი, გარნიე-პაეისი, მარი et consort, ძალიან შეშინდნენ, როცა დაინახეს, რომ სახუმარო საქმე აღარ იყო და, გართულების თავიდან ასაცილებლად მათ იკისრეს ამ საქმის მფარველობა, ანუ, როგორც ისინი ამბობდნენ იმ დროს, იკისრეს ამ საქმის პასუხისმგებლობა. ლუი ბლანი, ლედრიუ-როლენი და ბევრი სხვა იმდენად იყვნენ დაბრმავებულნი 24 თებერვლით, რომ მთლად დაკარგეს თავ-გზა და ასჯერ უფრო მეტი შეცდომა დაუშვეს, ვიდრე ზომიერებმა. ეს ყველაფერი დიდხანია ცნობილია და ამ სამწუხარო შეცდომების წყების ისტორიის მოთხრობა აღარა ღირს; მე თუ შევეხე მას, მხოლოდ იმისათვის, რომ შეთქვა, — პრუდონი დაახლოებით ერთ თვეს მოლოდინში იყო, მდგომარეობის გამორკვევას უცდიდა: „დროებითი მთავრობის“ ყოველ ნაბიჯს თვალს ადევნებდა, უცქეროდა მის შეცდომებსა და ამასთან ერთად საზოგადოებრივ მოძრაობას უგდებდა ყურს. ბოლოს, როცა დარწმუნდა, რომ საქმე სერიოზულ ხასიათს იღებდა, პრუდონმა გადაწყვიტა თავისი ხმაც შეეერთებინა საზოგადოების ხმისათვის და შესაძლებლობის მიხედვით ხელი შეეწყოს საზოგადოებრივი საკითხის უკეთესი გადაწყვეტისათვის. ამ მიზნით დააარსა მან ყოველდღიური პოლიტიკური ჟურნალი „ხალხის წარმომადგენელი“, რომლის პირველი ნომერი 1848 წლის აპრილს გამოიცა. პრუდონის საკმაოდ ფართე პოპულარობა, რაც მას ჯერ კიდევ ადრე თავისი თხზულებებით ჰქონდა მოპოვებული, როგორც იტყვიან, დღეობით კი არა, საათობით იზრდებოდა, ისე, რომ მომდევნო მაისის თვეში იგი არჩეულ იქნა 73.000 ამომრჩევლის დეპუტატად „ეროვნულ კრებაში“. კრებაში იგი მარცხენა მხარეს დაჯდა და მეტად საქმიანი, თუმცა სრულიად უშედეგო მონაწილეობა მიიღო კონსტიტუციისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი საკითხების განხილვაში.

ამასობაში გარემოებანი რთულდებოდა და ნელ-ნელა მომაკვდინებელი, მძიმე დარტყმები მიჰქონდა თებერვლის რევოლუციამზე, რომლის სასიკვდილო განაჩენზე ლუი ბლანმა ორჯერ — 1848 წლის 29 თებერვალსა და 17 მარტს მოაწერა ხელი. უამრავი პარტიების — ბურბონისტების, ორლეანისტების, ბონაპარტისტებისა და სხვა ისტების რეაქცია სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა და ერთი მეორეზე ამარცხებდა ახალი წყობილების ყველა მომხრეს. ე. წ. „ზომიერი“

პარტიის* 1848 წლის 26 ივნისის გამარჯვებით პარიზის პროლეტარიატზე მას საშუალება მიეცა დაეწყო დევნა იმ პარტიისა, და სხვა-თა შორის პრუდონისაც, რომელიც „ეროვნულ კრებაში“ მარცხენა ფრთაზე იმყოფებოდა. „ხალხის წარმომადგენელი“ აიკრძალა სექტემბერში. მომდევნო თვიდან პრუდონმა დაიწყო ყოველდღიური გაზეთის — „ხალხის“ გამოცემა, რომელმაც თავისი წინამავლის ბედი გაიზიარა. მათ შემდეგ პრუდონის კალმის მეოხებით გაჩნდა და დაიღუპა ორი გაზეთი:... „ხალხის ხმა“¹⁷ და ისევ „ხალხი“¹⁸. ბოლოს, 1849 წელს, პრუდონს სამი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ამის მიუხედავად მას საპატიმროშიც არ შეუწყვეტია თავისი პუბლიცისტური მოღვაწეობა; პატიმრობაში მან დაწერა რამდენიმე პოლიტიკური ბროშურა, თუმცა ისინი არ იყო ძველი ყალიბისა; მათ შორის განსაკუთრებით შესანიშნავია „Révolution démocratique démontre par le coup d'Etat“. მაგრამ მკითხველი საზოგადოება ის აღარ იყო, რაც 1848 წელს: ეხლა რეაქცია მძვინვარებდა მთელი თავისი სიმძლავრით და მოძრაობა, ასე მოუშწიფებლად და ოდნავ დაწყებული 1848 წელს, თითქმის ჩანასახშივე იქნა ჩახშობილი; ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო იმას, რომ პრუდონის ახალი თხზულებები აღარ იყო ადრინდელი ხასიათისა, აღარც ძველებური გავლენა ჰქონდათ მკითხველ საზოგადოების მასაზე. 1858 წელს პრუდონს წიგნისათვის „De la justice“ სამი წლით პატიმრობა მიესაჯა, მაგრამ ბელგიაში გაქცევით უშველა თავს, სადაც იგი 1862 წლამდე დარჩა. რომლის დამღვეს იძულებული იყო პარიზს დაბრუნებულყო.

ოცდახუთი წლის ციებ-ცხელებიან მოღვაწეობას და განსაკუთრებით იმ დროს, რომელიც მას უსწრებდა წინ, არ შეეძლო უკვალოდ გაველო და პრუდონზე არ დაემჩნია საბედისწერო კვალი. ხორციელად და სულიერად დაქანცული, იგი იძულებული იყო ემუშავნა ლუკმა პურისათვის (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით). რომ ოჯახი ერჩინა. ყველაფერმა ამან, ბოლოს და ბოლოს, გამოიწვია უდროო სიკვდილი, რასაც ვერ უშველა ვერც პრუდონის რკი-

* მე ვხმარობ სიტყვას „ევრეთწოდებულის“ იმითომ, რომ, პარტიას, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა 1848 წლის ივნისში, სრულიად არ ჰქონდა ისეთი ხასიათი, როგორსაც მიიწერდა: არც ერთი მაშინდელი პარტიათაგანი არ ყოფილა ისეთი სისხლის მოყვარული და ბრმა, როგორც „ზომიერ კეთილგონიერ რესპუბლიკელთა“ პარტია, რომელთა რიცხვს მე მივაკუთვნებ რესპუბლიკის ახლად გამოშცხვარ მიმდევრებს, როგორებიც არიან ტიერი, ვოლოკსკი და სხვანი და სხვანი.

ნის აგებულებამ; იგი გარდაიცვალა 7(19) იანვარს პარიზში. მას დარჩა ცოლი და ორი პატარა ქალიშვილი.

პრუდონის მოღვაწეობაში მთავარი იყო ევროპის საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობისა და იმ ღონისძიებათა კრიტიკა, რაც ამ წყობილების გასაუმჯობესებლად იყო წარმოდგენილი. ამის შედეგად, პრუდონის მოწინააღმდეგენიცა და მიმდევრებიც იმ აზრისანი არიან, რომ იგი „ანგრეეს და კი არ აშენებს“, და, რომ ეს ნგრევა პრუდონის ხ ა ს ი ა თ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ს წარმოადგენს. ზოგიერთნი ამ შეხედულებას პრუდონის გასაკიცხავად წარმოთქვამენ, სხვანი კი — საჭებრად; ვნახოთ რამდენად სამართლიანი არიან ესენი თუ ისინი.

მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ვაქო ან ვაძაგო პრუდონი ასეთი მოღვაწეობისათვის: ამას თავისი წარმომშობი წყაროები გააჩნია არა ავტორის კეთილ სურვილებში, არამედ პირობებში, რომელთა შორის მიმდინარეობდა მისი გონებრივი განვითარება; ეკონომიური დოქტრინებისა და ზოგჯერ აზრიანი სიხლეების მკვეთრი უარყოფის საბაბი, თუ მიზეზი პრუდონის პირადი სასიათი კი არ იყო, არა „მიდრეკილება“ მხოლოდ ნგრევისაკენ, არამედ მისი ცხოვრების პირობათა და მდგომარეობათა მთელი ნაკრები; მისი ორიგინალური ინტელექტუალური საზოგადოებაში, ხოლო უფრო უმეტეს: მისი ორიგინალური განვითარება... მას რომ ჩვეულებრივი, უფერული ტალანტი ჰქონოდა, უნდა მიმხრობოდა პირველად ხელში აღებული წიგნის აზრებს და მაშინ დამანგრეველი ინსტიტუტები სხვა რამეს დაუთმობდნენ ადგილს. მაგრამ პრუდონს უზარმაზარი გონებრივი ნიჭი საშუალებას აძლევდა აღმოეჩინა წინააღმდეგობანი და წმირად მრავალი შეუსაბამობა იმ თხზულებებში, რომელნიც მას ხელში უვარდებოდა. ამან პრუდონში განაეითარა უნდობლობა, რაც თანდათან უნდა სკეპტიციზმში გადაზრდილიყო. დარწმუნებული იმაში, რომ ეკონომიური მეცნიერება სხვა მეცნიერებათა მსგავსად, და შეიძლება უფრო მეტადაც, უსუსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, იგი იძულებული იყო საკუთარ გონებაში ეძებნა დასაყრდენი და უნდობლობა გამოეცხადებინა ყოველივე გარემო არსებულისათვის. ამასთანავე ერთად, ისიც უნდა ითქვას, რომ პრუდონი თავიდანვე მწვავედ გრძნობდა საფრანგეთის საზოგადოებრივი წყობილების მთელ სიმძიმეს. პროლეტარის შეილს, ათი წლის ასაკიდან იძულებულს საკუთარი შრომით ერჩინა თავი და მოხმარებოდა ოჯახს, მაინცდამაინც არ უნდა ყვარებოდა არსებული წყობილება... როდესაც პრუდონი პირისპირ შეხვდა სინამდვილის აუტანელ სიმძიმეს, ცხადია, იგი უნდა შესჩებებოდა მრავალთა წინააღმდეგობითა

და შეუსაბამობით აღსავსე აზრს. ამ წინააღმდეგობათა გამოძიება პრუდონის გონებრივი განვითარების პირველი და უმძიმესი ნაწილი უნდა ყოვილიყო და, აუცილებლობის გამო, მასზე უნდა დაყრდნობილიყო მთელი მისი ძოდვაწეობა. ამის შემდეგ განა გასაკვარველია, რომ ახალგაზრდობაში შეძენილი ჩვეულება — ყველაფერში წინააღმდეგობის ძიება — წარმართავდა მას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე? რომელი თქვენი მკითხველი არ იცნობს ასეთ მდგომარეობას? ყველას, ვისაც კი ყურადღება მიუქცევია რაიმე ამაღლებული საკითხებისათვის, რომელსაც სიცოცხლეში ერთხელ მაინც დაჰბადებია საბედისწერო კითხვები რისთვის და რატომ, იცის თუ რა ძნელია მიაღწიო ნამდვილ პასუხს ამ კითხვებზე, რამდენ სულიერ ღელვას, ხშირად კი ხორციელ ტანჯვას ანიჭებს ეს მას. პრუდონისათვის ეს ღელვა და ტანჯვა კიდევ უფრო მძიმე უნდა ყოფილიყო: მისი ღონიერი ბუნება ვერ კმაყოფილდებოდა და არც შეეძლო დაკმაყოფილებულიყო პირველი პასუხებით. ერთხელვე ამ გზაზე დამდგარი პრუდონი დიდი ყოყმანისა და საკუთარ თავთან სასტიკი ბრძოლის შემდეგ იძულებული იყო განეგრძო სიარული ამავე გზით. გაეწმინდა იგი ძველი შეცდომებისაგან და უკუეგდო ძველი ბალასტი ანუ, უკეთ, მამაპაპური ტვირთი. მის გონებაში საპატიო ადგილი უნდა დაეჭირა სკეპტიციზმსა და უარყოფას, როგორც მის ერთგულსა და საუკეთესო მეგობრებს და თანამებრძოლებს მისი პირველი ახალგაზრდობის ხანგრძლივ ბრძოლაში. მე ვახსენებ სიტყვა „უარყოფა“. ამ ბოლო დროს იმდენი იწერება და ითქმება ამ სიტყვაზე, რომ მისი განმარტება ალბათ საჭირო არ არის. სამწუხაროდ, ის ჯერ კიდევ არ არის ახსნილი. მე შევეცდები ოდნავ მაინც ავხსნა ეს სიტყვა პრუდონის მიმართებით.

პრუდონს არ შეეძლო არ ეძებნა ის დასაყრდენი წერტილი და ის აღთქმის ქვეყანა, რის გულისათვისაც იგი უარყოფდა იმ პრინციპებს, რომელთა შორისაც დაიბადა და აღიზარდა. ამგვარი დასაყრდენის გარეშე მისი უარყოფა ისევე უაზრო იქნებოდა, როგორც ბაზაროვისებური¹⁹. თუ ბ. ტურგენევის ვერწმუნებით, ბაზაროვი უარყოფდა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი „ტვინი ასე იყო მოწყობილი“, ე. ი. უნდოდა მას უარყოფა და მორჩა! ბაზაროვის მიმდევრები კი, თვით ბ. ტურგენევისა და სხვათა მრავალთა მტკიცებით, უარყოფენ იმიტომ, რომ „ასეთი გუნება ჰქონდათ“. პრუდონის უარყოფას უღრმესი აზრი აქვს: თუ იგი უარყოფს თანამედროვე ეკონომიურ უწესრიგობას იმიტომ, რომ მოსურნეა ეკონომიურ ურთიერთობათა უკეთესი, გონივრული ჩამოყალიბებისა. უკანასკნელს მთელი მისი სიღრმით პრუდონი თუმცა ვერ სწვდება, მაგრამ,

მიუხედავად ამისა, ფანატიკოსის რწმენით სწამს მისი გამარჯვება. თვით მას არა ერთხელ უღიარებია, რომ საეხებით ცხადად არა ჰქონდა წარმოდგენილი საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეორგანიზაციის საშუალებები და თვით ამ ურთიერთობათა მომავალი სახე, მაგრამ, რომ ეს რეორგანიზაცია უნდა მოხდეს და რომ მან უნდა გამოიწვიოს უკეთესი საზოგადოებრივი წყობილება — ამაში იგი ვფიქრობ, არასოდეს არ დაეპყვებულა. ამ მხრივ უ ა რ ყ ო ფ ა ადგილს უთმობდა ღრმა და შეურყეველ რწმენას უკეთესი მომავლისადმი და, რაც უფრო ღრმა იყო და ძლიერი პრუდონში ეს რწმენა, მით უფრო ძალუმად უნდა უარეყო მას ყოველივე, რაც მისი იდეალის განხორციელებას აფერხებდა.

პრუდონის რწმენას იმ საზოგადოებრივ საკითხების სასურველ გადაწყვეტაში, რაც ფრანგულ საზოგადოებას 40-იანი წლების მიწურულს აღელვებდა, და, თუმცა არა ისე აშკარად, მაგრამ მაინც აღელვებს ამჟამადაც, ისეთი სერიოზული საფუძვლები ჰქონდა, რომ მან, ღრმად დარწმუნებულმა თავისი სიტყვების სიმართლეში — რწმენით, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში არ დაუკარგავს — „ეროვნულ კრებაში“ თქვა: „ეს საკითხები კარებზეა მომდგარი — ან უნდა გადავწყვიტოთ, ან დავიღუპოთ“. მეორეჯერ, როცა მთელი „ეროვნული კრება“ თითქმის ერთსულოვნად დასცინოდა მის წარმოთქმულ სიტყვებს, მან ამ სიცილს სევდაშერეული წინასწარმეტყველური სიტყვებით უპასუხა: „მე მეტად ვწუხვარ, რომ ჩემი სიტყვები თქვენ სიცილსა გგვრით: ისინი თქვენ დაგასამარებენ“. აი ამაში მდგომარეობდა მისი უარყოფა!... პრუდონი რომ ბევრ რამეს უარყოფდა, რომ მას, ასე ვთქვათ, უარყოფის მანია ჰქონდა, ამას საკამათოდ არ ვხედავ. პრუდონის განვითარების პროცესსა და თვით ცხოვრების პირობებს მის გონებაში უმთავრესად უარყოფის უნარი უნდა განეკუთრებინა. მის აზროვნებას, დაქანცულსა და დაღლილს სამოდგაწეო ასპარეზის გასაწმენდად ჩატარებული უმძიმესი მუშაობით, უკვე აღარ ეყო ძალა არანაკლებად მძიმე შემოქმედებითი შრომისათვის, მისი საღი ძალები მთლიანად შეიწირა ბრძოლამ. ამის შემდეგ რაღა საკვირველია, თუ პრუდონმა ვერ შექმნა ვერაფერი და დ ე ბ ი თ ი და მსოლოდ უ ა რ ყ ო ფ ი თ ი სარგებლობა მოიტანა?

ამ უარყოფითი სარგებლობის შესახებ ცოტა ქვემოთ ვიტყვი. ახლა კი ნება მომეცით მკითხველის ყურადღება მივაქციო იმ სისტემას, რომელიც წამოაყენა პრუდონმა, როგორც საშუალება საფრანგეთის ეკონომიურ ურთიერთობათა სავალალო მდგომარეობის წინააღმდეგ; ჩვენი მკითხველები ისე ნაკლებ იცნობენ ფრანგულ

ეკონომიურ ლიტერატურას, რომ რამდენიმე სიტყვა მისი ერთერთი შესანიშნავი წარმომადგენლის შესახებ ზედმეტი არ იქნება...

აი, რამდენიმე სიტყვით პრუდონის მთელი ეკონომიური სისტემა: ჩვენ სრულიად განზე ვტოვებთ ყველა მის სხვა შეხედულებას.

საფრანგეთის თანამედროვე ეკონომიურ ურთიერთობათა წყალობით კაპიტალისტთა უმეტესობა (მათ რიცხვში შედიან მიწათმფლობელებიც) არავითარ მონაწილეობას არ იღებს წარმოებაში; პირიქით, მიწის რენტა და კაპიტალზე დაწესებული პროცენტები აფერხებენ წარმოებას და კაპიტალსა და მიწის მეპატრონეებს საშუალებას აძლევენ თავისი საკუთრება ისე გამოიყენონ, რომ ქვეყნისათვის სარგებლობის მომტანი არ იყოს. კაპიტალისტთა უმეტესობა, მაგალითად, უმჯობესად თვლის თავისი კაპიტალი გამოიყენოს საბანკო ოპერაციისათვის, საბირჟო თამაშისათვის, აჟიოტაჟისათვის და ა. შ., იმიტომ, რომ ამგვარი საქმიანობა, მართალია უფრო სახიფათოა, მაგრამ უფრო მეტ შემოსავალს იძლევა, ვიდრე მანუფაქტურული და სამიწათმოქმედო წარმოება. ამასთან, საბირჟო ოპერაციები ერთთა სწრაფ გამდიდრებას რომ ხელს უწყობენ, მეორეებს აკოტრებენ, ისე, რომ ეს კაპიტალი ჯარასავით ერთ ადგილზე ტრიალებს, სრულიად არ იზრდება და ერთი ჯიბიდან მეორეში გადადის. ყველაფერმა ამან პრუდონი მიიყვანა არც თუ ისე ახალ აზრამდე: აქედან იქნა ყველა კაპიტალი უშუალო და ცხოველი მონაწილეობა მიეღო წარმოებაში. მაგრამ ამის მისაღწევად საჭირო იქნებოდა ადკვეთილიყო კაპიტალზე პროცენტების მიღების შესაძლებლობა; ისე, რომ კაპიტალისტს თავისი კაპიტალი ან შეექამა, ანდა პირდაპირ და უშუალოდ წარმოებისათვის მოეხმარებინა. პროცენტების მოსპობის მიზნით პრუდონმა გამოიგონა სახალხო ბანკის სრულიად განსაკუთრებული ორგანიზაცია, რომელსაც სესხი მხოლოდ მწარმოებლისათვის უნდა ეძლია ყოველგვარი პროცენტის დარიცხვის გარეშე. რაკი ასეთი ბანკის არსებობა თითოეულ მწარმოებელს საშუალებას მისცემდა ესარგებლა კრედიტით, მიწის ან შრომის იარაღების შესაძენად, მაშინ მოსახლეობის მწარმოებელი ნაწილი კაპიტალისტებს აღარ მიმართავდა და ამრიგად მოისპობოდა პროცენტიანი შემოსავლის ერთი მნიშვნელოვანი წყარო და, მაშასადამე, პროცენტებს, მნიშვნელოვნად უნდა დაეკლო. მაგრამ, პრუდონი ამითაც არ კმაყოფილდებოდა, ამისათვის მან წამოაყენა სხვადასხვა საშუალებათა მთელი კომბინაცია, რომ კაპიტალის პროცენტები და მიწის რენტა მთლად მოესპო. მას იმედი ჰქონდა ამ ზომებით საფრანგეთის მთელი კაპიტალი შრომის იარაღად გადაექცია და აქედან იქნა ყველა მიწათმფლობელი მონაწილეობა

ძიელო მიწის დამუშავებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც კაპიტალი, ისე მიწათმფლობელობა შეწყვეტდა შემოსავლის მიცემას მეპატრონეთათვის. კაპიტალისა და უძრავი მამულების მეპატრონეებისათვის ასეთი ულტიმატუმის წაყენებისას; პრუდონი მეორე მხარეს მნიშვნელოვან სარგებლობას სთავაზობდა: მწარმოებლები, რომელნიც პრუდონის სისტემას გაიზიარებდნენ, მისი აზრით, სისრულით გამოიყენებდნენ თავის სარგებელს, გარდა, რასაკვირველია, სახელმწიფოს სასარგებლო გადასახადებისა. რადგან შრომის იარაღები და თვით მიწა მათ სარგებლობაში იქნებოდა მის მეპატრონეთათვის რაიმე გადასახდელის გარეშე, რადგან თვით კაპიტალისა და მიწის მფლობელნი ხელს მოჰკიდებდნენ წარმოებას — მთელი შემოსავალი მწარმოებლებს დარჩებოდათ.

მკითხველი ხედავს, რომ პრუდონის სისტემა სულაც არაა ახირებული და იმისათვის, რომ მას შესაფერისი გავრცელება მიეღო, მისი ავტორი თავის თანამედროვე ფინანსიური სისტემის წინააღმდეგ უნდა ამხედრებულიყო. და, მართლაც, პრუდონი ებრძოდა მას მთელ თავის სიცოცხლეში ისე სასტიკად, რომ ფულის ტრიალისა, საფინანსო და საბირჟო ოპერაციებისა, ბირჟის საქმიანობის, აუიოტაჟისა და სხვ. დაუძინებელი მტრის სახელი დაიმსახურა. მისი შეხედულებით მთელი ბოროტება, რომელიც საფრანგეთს თრგუნავდა, წარმოსდგებოდა ფულისაგან; მას სურდა იგი არაარაობამდე დაეყვანა, არაფრობამდე, თუ იგი საწარმოო იარაღებად არ იქნებოდა ქცეული; ფულს სხვა მნიშვნელობას არ ანიჭებდა, თუ არა ამ იარაღების შესაძენ დანიშნულებას და, უკიდურეს შემთხვევაში, საშუალებას წარმოების პროდუქტების გაცვლა-გამოცვლაში.

მე მოკლედ, ჩემი შენიშვნების დაურთველად წარმოვიდგინე პრუდონის სისტემა. ახლა დამრჩენია, ვიდრე ამ სისტემაზე ჩემს აზრს გამოეთქვამდე, რამდენიმე სიტყვა დავუმატო, თუ როგორი ნიჭით არის იგი წარმოდგენილი ავტორისაგან.

თქვენ ხედავთ, რომ პრუდონი არსებითად სულაც ისეთი სისხლისმსმელი არაა, როგორადაც მას წარმოადგენდნენ მისი მოწინააღმდეგენი და როგორადაც ის ეჩვენებოდა 1848—1849 წწ. პარიზის ბურჟუაზიის დაშინებულ წარმოსახვას, რომ, პირიქით, მისი სისტემა სრულიად კაცთმოყვარულია და ნაწილობრივ მშვიდობისმყოფელი ხასიათისადაც კი. აქედან ჯერ კიდევ იმის დასკვნა არ შეიძლება, რომ პრუდონის სახელით გამოწვეული შიში უსაფუძვლო იყოს: ამ შიშის წყარო მდგომარეობს იმ მანერაში, როგორითაც პრუდონი ავითარებდა თავის იდეებს და მისი ლიტერატურული ნიჭის ხასიათშიც. თქვენ იცით, რომ 40-იანი წლების ფრანგულ

ლიტერატურაში ვითარდებოდა მრავალი სხვადასხვაგვარი და სხვადასხვანაირი თეორიები და პროექტები, ბევრად უფრო რადიკალური, ვიდრე პრუდონის პროექტი იყო. ამ თეორიებმა ბურჟუაზიაში მაინც არ გამოიწვია იმ შიშის მეათედიც კი, რაც პრუდონის სისტემამ, იმიტომ, რომ ისინი ნაწილობრივ სუსტად ვითარდებოდნენ, ნაწილობრივაც დიპლომატიური ხრიკების გამოყენებით... პრუდონი კი თავის იდეებს პირდაპირ გამოთქვამდა; ეს კიდევ არაფერი, უბედურება იმაში იყო, რომ იგი მეტად აზვიადებდა თავის თხზულებათა სიმკვეთრეს. იგი ჰგმირავდა მკითხველს თავისი თხზულების პირველიდან დაწყებული უკანასკნელ ასომდე. ყოველგვარი არგუმენტებით, სილოგიზმებით, რაშიაც იგი იშველიებდა ჰეგელის დიალექტიკასაც, ერთგვარ პათოსს და ელვა-ქუხილს მის თანამედროვე უტოპისტთა წინააღმდეგ მიმართულს... და... მე შემეძლო ჩამომეთვალა ასეულობით ამისთანა და, მაგრამ მკითხველს ისიც ეყოფა. რაც ზემოთ არის დაბეჭდილი. პრუდონს არ გააჩნდა, ან ყოველშემთხვევაში არ ემჩნეოდა არც ერთი წვეთი სენტიმენტალურობისა; იგი პირდაპირ და მკვეთრად გამოდიოდა იმ მკითხველის წინაშე, რომელიც მიჩვეული იყო მთელი ფრანგული ლიტერატურის სენტიმენტალურობას; დიალექტიკითა და ძლიერ სწირად საღი გონებით შეიარაღებული, ილიაში ამოდებული საანგარიშოთი და ხელში არქივებითა და სხვა საბუთებით, უხეშად მოუწოდებდა მკითხველს განსჯისაკენ. მაშინ, როცა თითქმის ყველა მის ირგვლივ მყოფი მწერალი ცდილობდა შეჩებოდა ბურჟუაზიისა და მკითხველი საზოგადოების მგრძნობიარე სიმებს, მაშინ, როცა სხვა უტოპისტები ცდილობდნენ გრძნობაზე ემოქმედათ და კიდევ განაეითარეს იგი საზოგადოებაში საღი გონების საზიანოდ, პრუდონი ემყარებოდა ანგარიშებსა და მტკიცებებს, ხოლო მგრძნობიარობასა და გულს კი ზიზღნარევი ღიმილით უცქერდა. ლუი ბლანისა და მის მსგავს მწერალთა სენტიმენტალურობის უქონლობა პრუდონს ფრანგი მკითხველის თვალში რაღაც არაჩვეულებრივად უხეშ და ალბათ საშინელ შესახედაობას აძლევდა, სიმკვეთრე და უხეში ძალა მისი დებულებისა ცეცხლზე ნავთს ასხამდა და მას უცნაურ შუქს აყენებდა, რაც ბურჟუაზიას რობესპიერისეულად ან მარატისეულად ეჩვენებოდა... სწორედ ამიტომ პრუდონის იდეები საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე შემამჩრუნებელ გავლენას ახდენდა და ბურჟუა-მკითხველში უფრო დიდ რეაქციას იწვევდა, ვიდრე ლუი ბლანისა და სხვა იმდროინდელი საზოგადო მოღვაწეების ურადიკალურესი იდეები.

С.-ПЕТЕРБУРГСКІЯ ВЪДОМОСТИ

ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ И ЛИТЕРАТУРНАЯ.

ვეცდები გამოვხატო პრუდონის სისტემის მეორე მხარე, მხარე, მისი დაუკმაყოფილებლობის მაჩვენებელი. პრუდონის სისტემის გამოყენება სულაც ვერ გამოასწორებდა ფრანგული ნაზოგადობრივი წყობილების არსებით ბოროტებას — მეტოქეობის სრულსა და განუსაზღვრელ ბატონობას და ვერ შეწყვეტდა იმ ბრძოლას, რაც მიმდინარეობდა არა მხოლოდ სხვადასხვა წოდებათა და ხელობათა. არამედ ერთი ხელობის მქონე ცალკეულ პირთა შორისაც. ფრანგ მწარმოებელთა გაცალცალკევებას აუცილებლად უნდა მიეყვანა ისინი ურთიერთშორის ბრძოლამდე, რაც თავის მხრივ უნდა გადაქცეულიყო სრულყოფილ სამრეწველო ანარქიად. პრუდონის სისტემა კი საქმის ამ მხარეს არ ითვალისწინებდა. საფრანგეთის მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობაში შეურიგებელი ბრძოლა მიმდინარეობს ერთი მხრით კაპიტალისტებსა და მეორე მხრით მუშებს შორის, ამასთანავე, ურთიერთშორის ბრძოლა კაპიტალისტებსა და ასევე — მუშათა შორის; ახლა ერთი მხარე კბილებამდე იარაღშია ჩამჯდარი, მაშინ როცა მეორე მხარე ცარიელი ხელითაა გამოსული. პრუდონის სისტემა კი შეცვლიდა ამ მდგომარეობას იმ სახით, რომ ყველა მებრძოლი ერთგვარად მაინც იქნებოდა შეიარაღებული, თუმცა ანარქია და მწარმოებელთა შორის ბრძოლა ძველებურად გაგრძელდებოდა, თუ უფრო მეტად არა. ყოველგვარი შერწყმა კი ერთგვარი ინტერესებისა, გარკვეული რაოდენობის მწარმოებელთა შეამხანაგება შეთანხმებული წარმოებისათვისა და ეკონომიური მოხმარებისათვის, პრუდონში სიძულვილსა და გამძვინვარებას იწვევდა; იგი წინააღმდეგი იყო თანამხანაგობისა ისევე, როგორც აჟიოტაჟისა და ერთგვარად აფასებდა როგორც ერთის, ისე მეორის მიმდევრებს.

თქვენ დაინახეთ, თუ რა მცირე სარგებლობას მოიტანდა პრუდონის სისტემის ცხოვრებაში გამოყენება; მაგრამ ეკონომიური მეცნიერება მადლიერი უნდა იყოს მისი არა ამ სისტემისათვის, რომელიც არაფერს არ ასწორებდა და არავის შველოდა, არამედ არაპირდაპირი სარგებლობისათვის, რაც მან მოიტანა ამ მეცნიერების თითქმის ყველა ნაწილისათვის. პრუდონს ერთი განსაკუთრებული ჩვეულება ჰქონდა, ან და, თუ გნებავთ, ნიჭი, გამოენახა წინააღმდეგობანი ან, თუ გნებავთ, სუსტი მხარეები ყველა იმისა, რასაც კი ხელს მოჰკიდებდა; იგი ბოროტი სიხარულით გამოიტანდა ხოლმე დღის სინათლეზე თავის მიერ მონახულ სუსტ მხარეებს, თითქოს მეცნიერებას სთავაზობდა, რათა უკეთესად გაემტკიცებინა ისინი ან და თავიდან მოეცილებინა. გარდა ამისა, იგი, უხეშობით, თუ განგებ—ეს სულ ერთია,--არ ყოყმანობდა ყველა საგნისათვის ეწო-

დებინა მისი სახელი და გამოეთქვა ის, რასაც სხვა დამცველები თუ მოწინააღმდეგენი სხვადასხვანაირ სამკაულებით მოსაედნენ. მისი მოღვაწეობის ეს მხარე ყველაზე უკეთესად ქალთა საკითხის გარჩევაში გამოიხატა. პრუდონი, როგორც ცნობილია, გამოვიდა ქალთა თანამედროვე მდგომარეობის დამცველად, მაგრამ არა ამ მდგომარეობის მოჩვენებითი უპირატესობის გამო ყველა სხვებთან შედარებით, არა ქალთა თანამედროვე უფლებათა სახელით, რაც ბ. კატკოვის შეპასუხების მიხედვით „გამომუშავებულია რაინდობის საუკუნეებით“, არა რაიმე ამის მსგავსი სიყვარულის სახელით, არამედ, უბრალოდ იმიტომ, რომ ქალის სხეულის აგებულობამ, მისი შეხედულებით, იგინი, ქალები, დანიშნა ადამიანთა მოდემის დედლებად. ეს შეხედულება დიდი ხანია რაც ფესვმოკიდებულია კაცობრიობის მამაკაცთა ნახევარში, მაგრამ ასეთი აზრის გამოთქმისთვის ქალთა მონობის ვერც ერთ დამცველს ვერ ეყო გამბედაობა. ერთნი მოწადინებულნი იყვნენ ეჩვენებინათ, რომ „ქალი შექმნილია სიყვარულისათვის“; მეორენი — რომ ქალის დანიშნულება მხოლოდ დიასახლისობაა და ა. შ. პრუდონმა დაწინააღმდეგა საკითხი და იგი ბუნებრივი სიშიშვლით დააყენა: „ქალი — დედალია, მისი დანიშნულება—ბავშვების შობაა“; თქვენ კი, როგორც გნებავდეთ ისე გაარკვიეთ და განსაჩეთ. ამით პრუდონმა დახმარება გაუწია ქალთა ემანსიპაციის დამცველებს იმითი მაინც, რომ გამოხატა ქალთა თანამედროვე მდგომარეობის ყველა მებრძოლის გულწრფელი აზრი.

წინააღმდეგობათა და სუსტ მხარეთა გამოძიების პრუდონისეული მანიის სარგებლიანობის ნიმუშად მე დავასახელებ თქვენი მკითხველებისათვის ცნობილ წიგნს „ომი და ზავი“. არც ერთი საკითხი ისე დახვლანჯული არ არის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხია. ერთი და იმავე სახელმწიფოს წევრთა შორის ურთიერთდამოკიდებულების უთანხმოება პრაქტიკაში, მართალია ჯერ კიდევ მთელი თავისი ძალით არსებობს, მაგრამ სამაგიეროდ თეორიაში იგი უკვე გადაწყვეტილია, შეფარდებულია გარკვეულ კანონებს და მიკუთვნებულია მოსახდელ ავადმყოფობათა რიცხვს, რომელთა საწინააღმდეგოდ წამალი უკვე ნაპოვნია. საერთაშორისო სამართლის საკითხები კი ისევე უცნაური და აწეწილია, როგორც ატილასა და სამსონის დროს იყო. საერთაშორისო ურთიერთობის საკითხების მოგვარება უმეტეს წილად მინდობილი აქვს ომის შემთხვევებს, ან, ძლიერის უფლებას; ამრიგად, ერთდროულად სახელმწიფოს წევრთა შორის სასამართლოს შუასაუკუნეობრივი დაწყობილება, დამყარებული ძლიერის უფლებაზე, ურთიერთდამოკიდებულებაში ჩვენ დრომ-

დეა დაცული. ამასთან ერთად, საერთაშორისო სამართალზე იწერებოდა და იწერება უზარმაზარი დისერტაციების ფოლიანტები in-quarto, in octavo, ესენი აყვანილია მეცნიერების ხარისხში, მაგრამ მინც გადაუწყვეტელია... 1859 წელს იტალიურმა კამპანიამ პრუდონს უკარნახა განეხილა ეს უცნაური საკითხი. თავისი ჩვეულებრივი გულმოდგინებით იგი ხელს ჰკიდებს ფოლიანტების ქექვას, ჩხრეკს ჰუგო-გროცის, კითხულობს ჰობსს, ერთს, მეორეს, მესამეს და, თავისთავად ცხადია, წააწყდება უზარმაზარ წინააღმდეგობას, როგორც კი მას ოდესმე შეხვედრია. ეს წინააღმდეგობა შეიძლება შემდეგი სიტყვებით გადმოიციეს: თქვენ ლაპარაკობთ საერთაშორისო სამართალზე, სამართლიანობაზე, სარგებლობაზე და ა. შ. საერთაშორისო ურთიერთობის შესაძლებელ კარგად მოწყობაზე, ამასთან ერთად ამ საკითხების გადაწყვეტას და თვით მოწყობასაც ანდობთ ომს, ე. ი. ძლიერის უფლებას. სამართალსა და ძალას შორის დიდი უფსკრულია. პრუდონმა ამ წინააღმდეგობის გამოძებნის შემდეგ მოისურვა მისი როგორმე შეკოწიწება, მაგრამ აქ უკვე თვით ჩავარდა შეცდომაში: იქიდან, რომ დღევანდლამდე ყველგან ბატონობს შემთხვევა და ძალა, იქიდან, რომ პოეტებისა და საერთოდ ყველა ხალხის იდეალი ჯანმრთელობასა და ღონეშია წარმოდგენილი, დასასრულ იქიდან, რომ ქალიშვილებს უყვართ სამხედრო მუნდირი და ეპოლეტები, მას გამოჰყავს ძირითადი კანონი, რომ „ომი წარმოსდგება თვით ადამიანის არსისაგან, რომ ომი იარსებებს, ვიდრე არსებობს ადამიანის მოდგმა“!!! ერთი სიტყვით, მიუხედავად ამ დასკვნის მცდარობისა, პრუდონის თხზულება „ომი და ზავი“ ყოველთვის საპატიო ადგილზე იქნება საერთაშორისო სამართლის ლიტერატურაში. იმიტომ, რომ იგი გამოადგებათ სახელმძღვანელოსავით მათ, ვინც ხელს მიჰყოფს საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტას. წინააღმდეგობა, რომლის აღმოჩენის პატივი ეკუთვნის განსაკუთრებით პრუდონს, გამოიწვევს და უკვე გამოიწვია ერთი-მეორის საწინააღმდეგო მრავალი პასუხი და მსჯელობა; ეს გამოწვევა, ანუ მეცნიერებისათვის მიცემული ბიძგი, არის პრუდონის მიერ მოტანილი სარგებლობა. საკითხი, რასაკვირველია, გადაწყვეტილი იქნება არა პრუდონისებური გადაწყვეტილების მიხედვით, მაგრამ საკითხის დაყენება, მისი გამოხატვა და ა. შ., წინასწარი სამუშაოები, უეჭვოდ პრუდონის მიერაა მოხდენილი. რაც არ უნდა თქვათ, ეს ჭერჭერობით საკმარისია.

და თვით პრუდონზეც, მე ვიმეორებ უკანასკნელ სიტყვებს — ეს ჭერჭერობით საკმარისია.

P. S. ნება მომეცით რამდენიმე სიტყვა დავუმატო პრუდონის დასაფლავებაზე. მგონია, ზედმეტი არ იქნება.

პრუდონი ცხოვრობდა პარიზის ერთერთ ყოფილ გარეუბანში, პასიში, სამ პატარა ოთახიან ბინაში, ცოლითა და ორი ქალიშვილით. როგორც მის საფლავთან ითქვა, იგი დაიბადა, ცხოვრობდა და მოკვდა პროლეტარად. მართლაც, დასაფლავების დღის დილას მის სადგომში ერთი გროშიც არ იპოვებოდა, ამიტომ ნაცნობებმა და მეგობრებმა შეაგროვეს დასამარხი თანხა; რადგან დრო არ ითმენდა, ფრანკ-მასონების საზოგადოებამ წინასწარ გაიღო კუბოს საყიდელი და ფორნის დასაქირავებელი თანხა... ჟურნალისტების, ლიტერატორების, სწავლულთა (ნამდვილად!), სტუდენტთა და მეშათა უზარმაზარი ბრბო ავსებდა ქუჩას. ისე მოხდა, რომ ორ ბატალიონს, ერთს სასაზღვროსა და მეორეს საიმპერატორო გეარდიისა, ამ ქუჩაზე უნდა გაევლოთ. როცა ისინი მუსიკით მოახლოვდნენ, ბევრმა სთხოვა მათ, რომ მუსიკოსებს შეეწყვიტათ თავისი მარში. პოლკოვნიკების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მხედრბა დოლის დაუკვრელად გაატარეს და ამით აიცილეს სკანდალი, შეიძლება სისხლისღერაც კი. სალდათები არა ნაკლებ გაკვირვებულნი იყვნენ როცა ხედავდნენ, რომ სახლი, რომელშიაც ცხედარი ესვენა, ძაძით არ იყო შემოსილი და ქრისტიანული დასაფლავების ნიშნებს არ ატარებდა.

საფლავზე, ჩვეულებისამებრ, წარმოთქმული იყო სიტყვები. ერთი ორატორის შენიშვნა იმაზე, რომ პრუდონის ოჯახობას ერთი გროშიც არ დარჩა — არავის გაკვირვებია; დარწმუნებული ვარ, რომ ეს არც თქვენ მკითხველებს გააკვირვებს: განა გასაკვირველია, რომ კაცმა, რომელმაც ორმოცი წელი დღე და ღამე ოფლის ღვრაში გაატარა, ვერ მოაგროვა თავისი დასამარხი რაღაც ასი მანეთი? ეს ყველგან და ხშირად ხდება და პრუდონი, რასაკვირველია, პირველი არ იყო და არც უკანასკნელი იქნება ამ მხრივ.



12. [წერილი ობარეხს]

Paris, 45, rue de Seine

25 აპრილი 1865.

თქვენი წერილი დღეს დილით მივიღე; საპასუხოდ უნდა მოგახსენოთ, რომ სამწუხაროდ აქ ვერაფრით ვერ ვიშოვე „დებულებები“²⁰ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რუსთაგან მე არავის ვიცნობ. უტინი აქ არაა, ყოველ შემთხვევაში იგი არ მინახავს მისი ბერლინში გამგზავრების შემდეგ. რაც შეეხება წერილს გლუხთა საკითხზე, ვეცდები ჩემზე დამოკიდებული ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რომ იგი თქვენთვის გამოსადეგი იყოს. გამომიგზავნით თუ არა „დებულებას“, ყოველ შემთხვევაში მე წერილს გაახლებთ 10 მაისისათვის; ოღონდ გთხოვთ მომწეროთ — რამდენი ადგილი გაქვთ ნავარაუდები ამ საკითხისათვის „კოლოკოლში“²¹.

მე ვჩქარობ წერილის ეს ნაწილი დავამთავრო, რომ ჩემ საარსებო საკითხზე გადავიღე. საქმე ის გახლავთ, რომ იცოდეთ, რომ ყოველმხრივ შევიწროებული ვარ და გამიძნელებდა აქ ცხოვრება. მამაჩემმა დახმარების პირობად დამიღო, რომ ხელი მომეკიდა მექანიკისა და ტექნოლოგიისათვის ისე, რომ მე გამოსადეგი ვყოფილიყავ რაღაც ფაბრიკისათვის, რომლის გამართვასაც იგი აპირებს ქუთაისში²². მე, რასაკვირველია, დაეთანხმდი და ამაზე მივწერე კიდევ, მაგრამ ვიდრე ჩემი პასუხი ქუთაისამდე მივა და ვიდრე ჩემი პასუხის პასუხად მე ფულს მივიღებ, — სულ ცოტა სამი თვე მაინც გაივლის. ეს კი მთელი საუკუნეა. ამ მდგომარეობაში სრულიად საპატივებელია ხავსის წაბოტინება და, რადგან მე მხოლოდ ერთადერთი საშუალება მრჩება უბედურებისაგან თავის დასაღწევად, — გადაწყვიტე ასეთი ნაბიჯის გადადგმა თუმცა ჩემთვის იგი განსაკუთრებით მძიმეა, რადგან ამას შეიძლება თქვენი ჩემდამი კეთილგანწყობილების დაკარგვა მოჰყვეს... მაგრამ მე არაფრის არჩევანი არა მაქვს, მით უმეტეს, რომ ვიცი — თქვენ ამ წერილს ცუდად არ

გაიგებთ. მოკლედ, იძულებული ვარ თქვენ ან ბატ. გერცენმა მასეს-
ხოთ ხუთასიოდე ფრანკი. ამ თანხიდან მე გავისტუმრებდი ვალებს
და თავს გავიტანდი აგვისტომდე, მაშინ კი მამაჩემისაგან ფულსაც
შივილებ და ჟენევაში ჩამოვალ სამიოდე წლით. მე არ მინდა გითხ-
რათ როგორ დამავალებთ, თუ ამ ხიფათს გადამარჩენთ...

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ რა მოუთმენლად მოველოდები
თქვენს პასუხს.

თქვენი ნ. ნიკოლაძე

18. [წერილი ოპარეჰს]

Paris, 45, rue de Seine
14 მაისი 1865

თუ ჩემი პატარა წერილი აქამდე შევაგვიანე, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენი ამანათი „დებულებისა“²⁰ მხოლოდ 9 მაისს მივიღე. რალა სალაპარაკოა, რომ გადავხედე თუ არა დებულებას, მაშინვე ხელი მივეყვი ჩემს პატარა წერილს²¹. იგი მეტად სუსტია, მაგრამ რა შეიძლება გაკეთდეს ასე მცირე დროში? რაც შეეხება „დებულებას“, დავიტოვე და თუ შეგიძლიათ ერთ კვირას გამიჩეროთ, ამ ხნის განმავლობაში ვეცდები ამოვიწერო ყველაფერი, რაც ჩემი მომავალი მუშაობისათვის მჭირდება, ხოლო, თუ გთხოვენ, მაშინ კი პირველ მოთხოვნისთანავე გამოგიგზავნით.

თქვენგან ასი ფრანკის მიღებამ მით უფრო გამახარა, რომ ეს ფული საერთო ფონდიდან გამოგიგზავნიათ²⁴; თქვენი არ ვიცი და ჩემთვის ეს მეტად მნიშვნელოვანია... მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ჩემთვის ის არის ვიცოდე თუ რას უშვრებით „კრებულს“, რომელზედაც ჩვენ ვსაუბრობდით პარიზში²⁵ მგონია, ცუდი არ იქნება მის გამოცემაზე ფიქრი და თუ შეგიძლიათ მასზე დაწვრილებით შემატყობინოთ, მაშინ, თუ შეიძლება, პირველივე წერილით მაცნობეთ.

რაც შეეხება ჩემს პატარა წერილს „გლახთა განთავისუფლებაზე“, მეტად დამავალბთ, თუ შეწუხდებით და მას დაურთავთ ან მცირე წინასიტყვაობას, ან შენიშვნებს, რაც მას მეტად და მეტად ესაჭიროება²⁶.

ამასთან, მე ვფიქრობ, „კოლოკოლის“ გაყიდვას თუ მიანდობთ აქაურ Libraire Internationale-ს (Lacroix და K^o), უკეთესი იქნება, ვიდრე პეროლდთან, რადგან ბულვარზე რუსული სავაჭროები უფრო მეტია, ვიდრე rue Richelieu-ს იმ ნაწილში, რომლითაც არაყინ დადის და სადაც პეროლდის სავაჭროა მოთავსებული.

Libraire Internationale მგონი სიხარულით დათანხმდება გაყიდ-

ვას, მით უმეტეს, რომ ამ მაღაზიაში ძლიერ ბევრია თქვენი გამოცემები, რომლებიც, ასე თუ ისე, სალდება⁷. ერთი სიტყვით, ეს სრულიად მეორე ხარისხოვანი ამბავია.

ხომ არ შეიძლება „კოლოკოლის“ შემდეგ ნომერში ჩაერთო ერთი საინტერესო ამბავი: მიხეილ ნიკოლაევიჩმა, ჩვენმა დამთხვეულმა ფელთფებელმა, რუსეთი იხსნა: მან აღმოაჩინა რაღაც საოცარი შეთქმულება ანუ ფარული საზოგადოება „ახალგაზრდა საქართველოსი და სომხეთისა“. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ორისაში გიმნაზიელი, ორი ნასტუდენტარი—თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა დ მოსაუბრენი გლეხობის განთავისუფლებასა და თავისუფალ საქართველოზე. მათ ნამდვილად დახვრეტენ, ამაში არავითარი ეჭვი არ არის, თუ ისინი აქამდე ჩამოხრჩობილები არ არიან. პეტერბურგიდან მწერენ, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით იქ მოხსენებით ჩასულა შიკრიკი და ქართველ სტუდენტთა შორის დაპატიმრებას ელოდნენ⁸. იმ დღიდან (ათი აპრილიდან) პეტერბურგიდან არავითარი ცნობა არ მიმიღია. ხომ არ შეიძლებოდა ამ ბუზს, რომელიც მიხეილ ნიკოლაევიჩმა სპილოდ აქცია, ისევე ბუზის სახე დაბრუნებოდა?

მაგრად გართმევთ ხელს

ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე.

გჩქარობ წერილი დღესვე გამოვეგზავნო, ამიტომ ვერ ვახერხებ მის გადაკითხვას. მაპატიეთ, თუ შეიძლება წერილში სიმრავლე შეცდომებისა, რომელნიც აუცილებლად მოიპოვება მასში.

14. გლეხთა განთავისუფლება საქართველოში*

I

ახალ „კანონდებულებებს“, რომლებიც რამოდენიმე ხნით განსაზღვრავენ ქართველი ხალხის სოციალურ ცხოვრებას, მხოლოდ ერთი უდავო ღირსება აქვთ; ეს „კანონდებულებანი“ ადასტურებენ, რომ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ძველ შენობას ხალხის თვითშეგნებამ საფუძვლები შეუტყუია და თუ იგი არ შეკეთდა და ბოძები არ შეედგა, დროის პირველივე ფრთის შემოქნევა მთელს შენობას დაანგრევს. რანაირიც უნდა იყოს ეს შეკეთება და ეს ბოძები, მათ ის მნიშვნელობა აქვთ, რომ მათი გამოჩენა დღის სინათლეზე შენობის სისუსტეს მოწმობს; ამას თვით რესტავრატორებიც არ ფარავენ და ინსტიტუტურად გრძნობენ, რომ „რეფორმის საჭიროება საგრძნობია“ და აუცილებელი. მთავრობამ რუსეთში ბატონყმობის მოსპობის საკითხი რომ აღძრა, ამას, მიუხედავად მისი დადებითი ხასიათისა, დამთრგუნველი ხასიათიც კქონდა ყოველივე იმის მიმართ, რაც მანამდე, თუმცა შიშით და დამოუკიდებელ, მაგრამ მაინც სამარადისო სიწმინდეთ ითვლებოდა. ამ საკითხის აღძვრამ, საერთოდ მთელი ხალხისა და, მეტადრე, მისი საუკეთესო ნაწილის ცხოველმყოფელსა და მიუვიწყებელ ინსტინქტებს სიცოცხლე შთაბერა და თვითმოქმედებისათვის აამოძრავა. თუმცა ამ საკითხის პრაქტიკულად გადაჭრის ხასიათი მეტის-მეტად უმნიშვნელოა და, რაც უმთავრესია, მისი გადაჭრა ბევრად როდი გასცილებია წინანდელ გაყინულ წერტილს, მაგრამ მთავრობის მხრით წაბიჯების წყალობით საზოგადოებრივი წყობილების უხერხულობანი ხელშეუხებლად აღარ ითვლება, გაუსწორებელი ბოროტების ნაცვლად, იგინი მიჩნეულია წარმავალ ბოროტებად, რომელთა მოსპობა დაწოკიდებულია მხოლოდ თვით საზოგადოების ნება-სურვილსა და

* «Законоположения о крестьянах, вышедших из крепостной зависимости в Тифлисской губернии» (რუსულ და ქართულ ენებზე) სპბ., 1864 წ., საიშპ. სამეცნიერო აკადემიის სტამბა.

მხერხებაზე. აი, რა შეადგენს საბატონო გლეხების ყოფა-ცხოვრების შეცვლის უმნიშვნელოვანეს დამსახურებას. ეს გარემოება, რამაც ასე მძლავრად წასწია წინ მანამდე მიძინებული საზოგადოებრივი თვითმოქმედება, აუცილებლად უნდა შეიცავდეს საზოგადოების მომავალი განვითარებისა და საზოგადოებრივი წყობილების ნორმალური მოწესრიგების შთანასახებს.

მაგრამ ხალხის მომავალი კეთილდღეობის ამ შთანასახებისაგან დამოუკიდებლად, გლეხთა საკითხის პრაქტიკული მხარე თავისთავადაც ძალიან მძაფრად ეხება მთელ ხალხს და ამიტომ მხოლოდ აბსტრაქციას ვერ დავჭერდებით; ახალ „კანონდებულებათა“ სიმძიმე გასრესს მოსახლეობის მთელ მასებს, რომელთა კეთილდღეობა, დოვლათი და თვით სიცოცხლეც კი დამოკიდებულია მეორეხარისხოვანი, მესამეხარისხოვანი და ზოგჯერ მეათეხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხების გადაჭრაზე. გლეხთა ყოფა-ცხოვრების ახალ წყობას მომავლისათვის უდიდესი არაპირდაპირი სარგებლობა ჰქონდა, მაგრამ აწმყოს კი ანადგურებს და ფეხით სთელავს. ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა, მთავრობას მართლაც რომ მიზნად ჰქონებოდა ხალხის კეთილდღეობა და სარგებლობა და არა აბსურდამდე მიყვანილი საკუთარი თავდაცვის იდეა. იმ პირთ, რომელთაც ეინტერესებათ თანამედროვე მდგომარეობა და ხალხის განვითარების პროცესი, უფლება აქვს ბატონყმობის საკითხის განხილვის დროს დაინახონ შორეული სარგებლობა საზოგადოების უაზრო და აზარადმიანური წყობილების ოფიციალურ და საყოველთაო გმობაში. მაგრამ მათ მთავარი ყურადღება ისეთ ინტერესებს უნდა მიაქციონ, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებას აღელვებენ, ყურადღება უნდა მიაქციონ საზოგადოებრივი საკითხების ასე თუ ისე გადაჭრის სამართლიანობას ან მიზანშეწონილებას და, საერთოდ, ხალხის თანამედროვე მდგომარეობას. ჩვენ სწორედ ასეთი სახელმძღვანელო გეზი ავირჩიეთ საქართველოს გლეხთა საკითხის მოკლე ნარკვევში; ამ საკითხის გადაჭრა წარმოადგენს რუსეთის მთავრობის „cours de tête“ ათას-პირველს და, უეჭველია, არა უკანასკნელ განმეორებას.

1853—1856 წწ. ოსმალეთის ომის²⁹ დროიდან გლეხთა განთავისუფლების საკითხმა ქართველი საზოგადოების ყოველი ელემენტი ააღელვა; ამ საკითხმა თავიდანვე, მისი სოციალური ხასიათის მიუხედავად, პოლიტიკური ბალანსის ხასიათი მიიღო. ამ საკითხის აღძვრას აუცილებლად უნდა აეფორიაქებინა ქართველი ხალხის პოლიტიკური ინსტინქტები და რადგან გლეხთა საკითხი, მიუხედავად რუსეთის ბატალიონების ენერგიული მოქმედებისა და პაპურ-თვითმპყრობე-

ლური „pas de reveries“-ისა საქართველოში იზრდებოდა არა ღღობით, არამედ საათობით, ამიტომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში არაჩვეულებრივი ძალით განვითარდა და თავისი ბედობილი თანდათან გლახთა საკითხის ასეთ თუ ისეთ გადაჭრას დაუკავშირა. რა შედეგი მოჰყვება საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების გამძაფრებას, რით დამთავრდება ეს დრამატიულ-ბუნდოვანი მდგომარეობა, ამის შესახებ ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ ვიძახებთ; მაგრამ რადგანაც ამ დრამის დასასრულს უეჭველია, ხშირი იქნება ტრაგიკული სცენები, მაგალითად, ჩერქეზების გაძევებისა ან პოლონელების გაყლეთისა და გადასახლების მსგავსად², ამიტომ მომავლის უკეთესად გაგებისათვის სჯობს თვალი გადავაგვლოთ მომქმედ პირთა ახლანდელ მდგომარეობას და თუ შესაძლებელი იქნება, მათს წარსულს ურთიერთობასაც.

ჩვენ ვერ განვიხილავთ საქართველოს სვე-ბედის საკითხს, იმასთან დაკავშირებით, თუ რა იქნებოდა რომ პეტერბურგის სამეფო კარს არ მიეჩნა სასარგებლოდ რუსეთის იმპერიასთან საქართველოს შეერთება, ეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მკითხაობა, თუ „რა იქნებოდა“ და „როგორ იქნებოდა“-ო ძალიან მოგვაგონებს კიდ მოკიევიჩის ფილოსოფოსობას სპილოს კვერცხის შესახებ. ამავე კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ საკითხი რუსეთთან შეერთების დროს საქართველოს ძალ-ღონის გამოფიტვის მეტ-ნაკლებობისა; ამიტომ ჩვენ ამასაც გვერდს ავუქცევთ, ასევე მოვექცევით თვით შეერთების საშუალებასაც, თუმცა ამით სრულებითაც არ ვაპირებთ, რომ პეტერბურგის მთავრობას ცოდვათა მიტევება დავუდასტუროთ. რომ უფრო მალე მივადგეთ იმ საკითხს, რომელიც გვეინტერესება, ჩვენ „მომხდარ ფაქტზე“ შევჩერდებით და მასში მოვსძებნით გამოსვლ წერტილს.

როცა 1801 წელს საქართველო რუსეთის დამხმარე ჯარების ხელში აღმოჩნდა, როცა 1810 და 1811 წ. ახალმა რაზმებმა იმერეთი დაიპყრეს, როცა 1824 წლიდან მათ გურია დაიპყრეს, ხოლო ბოლოს საძეგრელოც³, ამ დროს თბილისისა და პეტერბურგის „მმართველ სფეროებში“ უეჭველად უნდა აღძრულიყო საკითხი: როგორ მიეკერებინათ ქართველი ხალხი რუსეთის იმპერიისათვის — თუ იმიტომ არა, რომ გული შესტკიოდათ საქართველოსათვის და სურდათ დაეხსნათ იგი ახალ-ახალი სისხლის ღვრისაგან, იმიტომ მაინც, რომ დაეცვა: თვით პეტერბურგის სამეფო კარის ინტერესები. ეს საკითხი მართლაც აღიძრა და, როგორც მოსალოდნელი იყო, შემდეგნაირად

გადიქრა: ხელი შეეწყობ და, თუ საჭირო იქნებოდა, შეექმნათ კიდევ საქართველოში თავად-აზნაურობა, რუსეთის მთავრობის ერთგულად გაეხადათ იგი საკუთრების ინტერესებით, ჩინებით, საჩუქრებით და ჭამაგირით და სხვა არაფერი... თუ არ გაეიხსენებთ რუსულ ხიშტებსა და ზარბაზნის ყუმბარებს. ხოლო ის, რომ თავად-აზნაურობის გარდა არსებობს და იარსებებს ხალხი, პეტერბურგის მთავრობას მხოლოდ იმისთვის მოაგონდა, რომ ეს ხალხი ერთგული ქვეშევრდომი თავად-აზნაურობის ერთგვარ ჭამაგირის წყაროდ გადაექცია. აი, ასე შეჩერდა რუსეთისადმი საქართველოს გაერთოვლების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ საკითხის ასე გადაქრის გონება-მახვილობა ათასჯერ განმეორების გამო ჩვეულებრივი და გაცვეთილი ამბავია ყველა დესპოტიურ და კონსტიტუციურ სახელმწიფოში, მაგრამ იგი პატარა შენიშვნის ღირსი მაინც არის.

რუსეთის მთავრობამ რაკი სიტყვა თავადი კნიაზ-ად გადათარგმნა, სიტყვა აზნაური კი დვორიანინ-ად და ამ ტიტულებს გარკვეული პრივილეგიები დაუკავშირა, ამით მან თავის დანაშაულობათა შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო უსაძაგლესი დანაშაულობა ჩაიდინა: აზნაურების არსებობა, სრულიად გასაგები ძველ საქართველოში, XIX საუკუნის საქართველოში არამც თუ ანაქრონიზმს წარმოადგენს, არამედ კანონით მოწესრიგებულ ძარცვა-გლეჯას თანამედროვე საქართველოში, რუსეთის ქვეშევრდომ საქართველოში. ეს წოდება, უკეთ რომ ვთქვათ, ადამიანთა ეს წყება მოვალე იყო დაეცვა ხალხი გარეშე მტრებისაგან, რომლებიც საქართველოს არ აკლდნენ. ამიტომ ხალხი ხალხისით არჩენდა აზნაურებს, როგორც მის დამცველ ჯარს. ამით განისაზღვრებოდა ხალხის მთელი ბეგარა, მაგრამ ამ ბეგარასაც იგი მხოლოდ ომის დროს იხდიდა; ხანგრძლივი მშვიდობიანობის დროს კი (რაც ფრიად იშვიათი იყო) ხალხი მხოლოდ მეფეს უხდიდა ბეგარას, იმასაც გამასპინძლების სახით, აზნაურები კი მიწათმოქმედებას მისდევდნენ ან თავის სასარგებლოდ, — რადგან ხალხიდან* გამოსული აზნაურები მიწას გლეხების თანაბრად ჰფლობდნენ, ან თუ ჯარი აზნაურების სახლ-კარისაგან შორს არ იდგა, თავადების სასარგებლოდ, და მთელი მუშაობის დროს ამ უკანასკნელთა ხარჯზე ცხოვრობდნენ. ამით აიხსნება დიდძალი აზნაურების არსებობა საქართველოში. აზნაურებს ხალხი სარჩოს აძლევდა, რადგან მათ სარგებლობა მოჰქონდათ ხალხისათვის; აქ ხალასი ანგარიშის საქმეს ვხედავთ**.

* აზნაურობას მეფეები უბოძებდნენ განსაკუთრებული, შესანიშნავი გულადობისა და მამაცობისათვის.

სრულებითაც არა გვეგონია, რომ ძველს საქართველოში საზოგადოებრივი ურთიერთობა სანიმუშოდ ყოფილიყოს მოწესრიგებული. თუ ჩვენ აქ აღვნიშნეთ ქართველი ხალხის დამოკიდებულება ჯარისადმი, ეს იმიტომ როდი ჩავგიდენია. რომ ამ წყობილების დაბრუნება მოვითხოვოთ. არა, ამ წყობილებამ თავისი დრო მოსჭამა, რადგან საქართველოს არ სჭირდება გამუდმებული ომების წარმოება თავის მეზობლებთან; გარდა ამისა, შინაური და საგარეო მშვიდობიანობის დასაცავად ქართველი ხალხი რუსეთის მთავრობას იმდენსავე ხარჯს უხდის, რამდენსაც ძველად აზნაურებს უხდიდა და შეიძლება მეტსაც. ახლა აზნაურების მოვალეობას გარეშე მტრებისაგან ხალხის დაცვას — რუსეთის მთავრობა და ჯარი ასრულებენ; მაშალადამე, აქ საკმაოდ ნაღდი საქმეა, ეკონომიურად მანც. მაგრამ მთავრობის სასარგებლოდ გაღებულ გადასახადთან ერთად. ხალხი მოვალეა ხარჯი აძლიოს თავად-აზნაურობასაც. რისთვის? რა სამსახურისათვის?

ჩვენი მოწინააღმდეგენი გვეუბნებიან: რუსეთის მთავრობამ საქართველო რომ დაიჭირა, მას იქ დახვდა ძლიერი ჯარი, რომლის არსებობა რუსეთის მთავრობის გვერდით შეუძლებელი იქნებოდა. მაშასადამე. საჭირო იყო ამ ჯარის დაშლა. მაგრამ საქართველოს ჯარის მსახურნი გვერილიასებად ან ყაჩაღებად რომ არ გადაქცეულიყვნენ, საჭირო გახდა მათი მომადლიერება, ასე ვთქვათ, პირში ბურთის ჩაჩრა; ამიტომ მთავრობამ ამ ჯარისაგან აზნაურობა შექმნა!

ეს ასეა, მაგრამ ერთი პატარა შენიშვნის გამოთქმის უფლება მაინც გვექნება: ასეთ შემთხვევაში რაღა საჭირო იყო საშვილიშვილოდ დაკანონება იმ წესისა, რომელიც წუთიერმა საჭიროებამ გამოიწვია? რუსეთის მთავრობა შეჰხარა იმ აზრმა, რომ შესაძლებელია აზნაურები გვერილიასებად გადაქცეულიყვნენ და დაავიწყდა სხვა გზის გამონახვა, მაგალითად, სამუდამო პენსიის დანიშვნა, ან მიწების დარიგება, რაც სრულიად საკმარისი იქნებოდა. ამ სავსებით კეთილგონიერ ღონისძიებათა ნაცვლად მან ისეთი წესები დაამყარა, რომ გვერილიასებად ხდება მთელი ხალხი, მთელი გლეხობა. განა ეს გონიერი საქციელია? გორდიუსის კვანძის ასე განკვეთა განა მის გახსნად ჩაითვლება?

ახლა ვნახოთ, თუ რა ნაყოფი გამოიღო ასეთმა ღონისძიებამ ჯერ თვით აზნაურობისათვის: დაკანონება აზნაურობის იმ უფლებებისა, რომ მას ეცხოვრა გლეხობის ხარჯზე, ვერაგზით ვერ გავრცელდებოდა de facto-თ ხელოვნურად შექმნილ აზნაურთა უმრავლესობაზე, რადგან მათი რიცხვი მეტის-მეტად დიდი იყო გლეხებთან შედარებით. რაკი მუქთახორა პარაზიტების ასეთი საარაკო გამრავ-

ლება ყოველგვარ ზომასა და საზღვარს სცილდებოდა და ხალხს ესოდენ დიდი უსაქმო ხროვის რჩენა არ შეეძლო, ამიტომ აზნაურთა უთვალსაზიროესი ნაწილი მთავრობის ხელის შემყურე შეიქმნა და იძულებული გახდა ლუკმა პური ეძებნა სამხედრო, ან სამოქალაქო სამსახურში. სწორედ აქედან დაიწყეს აზნაურებმა ბედის ძიება: იმის ნაცვლად, რომ ხელი მიეყოთ მიწის დამუშავებისათვის, როგორც უბრალო მიწათმფლობელებს (რასაც მათ აზნაურის ტიტულის ღირსება უკრძალავდა), მათ იხუვლეს და, ჩადგნენ ჯარისკაცებად, იუნკრებად, გადამწერლებად, მოხელეებად; მათ დაიჭირეს გლეხების კუთვნილი მიწის ნაკრები და, რადგან მთავრობის ინსტრუქციით სასამართლოებსა და უფროს მოხელეობას აზნაურებისა და გლეხების დავა უექველად პირველთა სასარგებლოდ უნდა გადაეწყვიტათ, ამიტომ მთავრობის ასეთი და სხვა ამისთანა მზრუნველობის წყალობით აზნაურები, მართლაც დვორიანინებად გადაიქცნენ არა მარტო კანონით, არამედ ფაქტიურადაც. ასეთი იყო ახალი წყობილების პირველი შედეგი აზნაურებისათვის. ქვემოთ დავინახავთ, რომ ეს შედეგი სამარადისო ვერ იქნებოდა, რომ იგი გარდამავალი იყო და რომ დროთა განმავლობაში, (თუნდაც წარმოუდგენელი შეუსაბამობა — ხალხის დაუსრულებელი მოთმინებაც რომ დაეიჭეროთ) ამ შედეგს თვით აზნაურობის განვითარება უმზადებდა საფრთხეს, ვინაიდან ამჟამადაც კი ქართველი აზნაურობის დიდი უმრავლესობა უახლოვდება ყოველად უმსგავს პროლეტარიატს, არა შრომისა, არამედ უმოქმედობისა და ჯაშუშობის პროლეტარიატს.

მაგრამ თუ ამ შეუსაბამო წყობილებას როდისმე უნდა გამოეწვია უნუგემო შედეგები მთავრობისა და აზნაურობისათვის, ამ საბოლოო შედეგების აუცილებლობას ჰქმნიდნენ, უმთავრესად, უაზრობისა და გახრწნის შთანასახები, რომლებსაც უხვად შეიცავდა უმართებულო საზოგადოებრივი ორგანიზაცია და არა აზნაურობის ცუდი ყოფაქცევა ან ახალი წყობილების კანონების საფუძველთა შებღალვა. ის, რაც ამჟამად საქართველოში ხდება, ამ აზრის საუკეთესო დამამტკიცებელია: მართლაც, მთავრობაცა და აზნაურობაც იცავდნენ რუსეთის წყობილების საქართველოში დამამყარებელ კანონდებულებათა არა მარტო საერთო ხასიათს, არამედ ყოველ წვრილმანსაც კი; ის ვინც ოდნავ წინააღმდეგობას გაუწევდა რუსულ მმართველობას საქართველოში, მთავრობა ყველას დაუზოგველად უმასპინძლდებოდა და საამისოდ მიმართავდა დახვრეტას, ჩამოღრჩობას, კატორღას და გადასახლებას. მეორე მხრით, მეფურად ასაჩუქრებდა იმას, ვინც ხელს უწყობდა რუსული ხასიათის კანონების დანერგვას. აზნაურობას კარგად ესმოდა თავისი მდგომარეობა, აფა-

სებდა მთავრობის გულუხეობას, თავგამოდებით იცავდა მას და ხელში აძლევდა ყველას, ვისაც კი უკმაყოფილება დაეზადებოდა რუსეთის ბატონობისა, ან იმ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების მიმართ, რომელიც რუსებმა დაამკვიდრეს და რუსის ხელშეზღვევის წყალობით არსებობდა. ღალატი არც ერთსა და არც მეორე მხარეს არ გამოუჩენია. პირიქით. აზნაურობა რუსეთის მთავრობას სიყვარულით შექსაროდა და მადლობის მოჭარბებული გრძნობებისაგან თვალები ენამებოდა; იგი ამ თვალებით გამოხატავდა იმდენ ძალღურ ერთგულებას და მთავრობისათვის სისხლის დასადგრელად მზად ყოფნას, რომ ამ უკანასკნელს არ შეეძლო თავზე ხელი არ გადაესვა თავისი ასეთი მორჩილი ძისათვის. ყოველივე ამას თითქოს უნდა უკუეჭიცა საუკუნეობრივი მღელვარების ტალღა, იმდენად მტკიცე იყო რუსეთის მთავრობისა და ქართველი აზნაურობის დამაკავშირებელი ჯაჭვი: მაგრამ, ვაგლახ!

Все житейское, земное,
Разлетается как дым!

მართლაც, გამოიჩვენა, რომ ხალხს არ შეეძლო ესაზრდოებინა და ერჩინა ესოდენ მრავალრიცხოვანი აზნაურობა, რომელსაც მისთვის არათფერი სარგებლობა არ მოჰქონდა, არათფერ სამსახურს არ უწევდა, პირიქით, ძალღონეს სწოვდა, მისი ჯაფისა და შრომის ნაყოფს ითვისებდა; თურმე ამ ხალხს სრულებითაც არ ეხარებოდა „შესაწირავი კრავის“ მდგომარეობა, თურმე ისიც ოცნებობდა თავისი ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის. ლაქია-აზნაურობამ და ყოველგვარი კანცელარიების და სამმართველოების მოაზნაურე ღაქიებმა ერთხმად წამოიძახეს ქალბატონი პროსტაკოვას მსგავსად: „ხედავთ ამ არამზადას! მასაც მოსდომებია ცხოვრება, თითქოს კეთილშობილი იყოსო!“ რუსეთის მთავრობა დაეთანხმა ამ აზრს და ხალხის საკმაო რაოდენობის დახვრეტისა, ჩამოღრჩობისა და გადასახლების შემდეგ ეს საქმე შორეულ საარქივო უჯრაში გადასდო, თითქოს გადაწყვეტილი ყოფილიყოს ან non avenue“ მაგრამ საქმე თავისი გზით მიიმართებოდა: 1820 წლის იმერეთის აჯანყების³³ მარცხმა ვერ შეაჩერა გურიის აჯანყება 1841 წელს³⁴, კიდევ უფრო ნაკლებად შეაჩერა გლეხთა მოძრაობა 1855—1862 წლებში³⁵. მთავრობა ალღოთი ხვდებოდა, რომ „რეფორმის საჭიროება საგრძნობი“ იყო; ამიტომ მან ხელი მიჰყო მის განხორციელებას ზემოდან, რათა შეეფერხებინა მისი განვითარება ქვემოდან.

No. 198.

ВЫСОКАЯ ДИКА...
 40, Пр. Л. К...
 П... 10, Корнати...
 Лондон. и др. ...
 в...
 — Австрия ...
 — Англия ...
 — Бразил ...
 — Германия ...
 — Греция ...
 — Испания ...
 — Италия ...
 — Япония ...
 — Индия ...
 — Швейцария ...

15 JUN 1865.

ROMBOM

(LA GIOCHIE)

VIVOS VOCCI!

FINESTRA
 S. LUCIA
 S. P.

JUNIO 198.
 15 JUN 1865.

Paris à Genève tous les quinze jours.
 Les autres principaux sont chez H. GROSS, à
 Genève, Carraz, No. 10, à Lausanne,
 chez S. FROST, et Co., 60, Potemski-
 Row. Le prix de chaque No. est de 50 cen-
 times, le port de la poste non compris. Tarif

Allemagne	70
L'Autriche	100
Angleterre	100
Belgique	50
France	50
Italie	50
Naples et Sicile (Ces. de Marseille) que	50
Grèce (Vierge, Marone)	50
Turquie et Prine. Danubienne	50
Noble	100
Suisse	50

მიუტყევებელი შეცდომა იქნებოდა, რომ საქართველოს გლეხთა მოძრაობის მიზეზად მარტო რუსეთის მთავრობის უსამართლობა და აწინაურთათვის დეორიანინობის უპირატესობათა დაკანონება მიგვეჩნია. ცხადზე უცხადესია, ამ ღონისძიებამ ცეცხლს ნაეთი დაასხა, მაგრამ ბოროტების სათავეს ეს არ წარმოადგენს და არც მხოლოდ მის მოსასპობად არის მიმართული გლეხობის ძალ-ღონე: ბოროტების ძირი არის არა მარტო ქართული, არამედ საკაცობრიო. საქართველოში ამჟამად იგივე ბრძოლა სწარმოებს, რომელსაც რუსეთის, ევროპის და, თამამად შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიოს ძალღონე ხმარდება: ეს არის მშრომელთა ბრძოლა შთამომავლობისა და კაპიტალის პრივილეგიების წინააღმდეგ, ე. ი., უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მიმდინარეობს მშრომელ ლატაკთა სოციალური ბრძოლა მუქთახორა სიმდიდრის წინააღმდეგ.

საქართველოში ისე, როგორც ევროპის ყოველ სახელმწიფოში, ოფლის მღვრელ მშრომელ მასებთან ერთად ისეთი ადამიანებიც არიან, რომლებიც შრომისაგან გაანთავისუფლა წარჩინებულ ან ღლიდარ მშობელთაგან დაბადების ბრმა შემთხვევამ. უთანასწორობა საზოგადოებრივი და კერძო დოვლათის და ამ დოვლათზე დამოკიდებული ბედნიერების განაწილების უსამართლობა— ისევე ძლიერია საქართველოში, როგორც სხვა სახელმწიფოებში. მშრომელი ხალხი მარტო ეკონომიურად და პოლიტიკურად კი არ არის დამოკიდებული შრომისაგან განთავისუფლებულ ადამიანებზე, არამედ, რაც უფრო აუტანელია, იგი პარტიების დამამცირებელ და სამარცხვინო მდგომარეობაშიაც იმყოფება. შრომა პარტივისა ან ღირსების მოსახვეჭე უფლებად კი არ ითვლება, არამედ დამცირებისა და სრული არარაობის სათავეა. ძალა-უფლება, სახელი და პარტივისცემა თანზომილია არა შრომასა, ნიჭსა ან დამსახურებასთან, არამედ შთამომავლობასა, ტიტულსა, სიმდიდრესა და საკუთრების რაოდენობასთან. არავითარ შრომას, რაც უნდა ძალიან აღემატებოდეს იგი ადამიანის ჩვეულებრივ ძალ-ღონეს, არ ძალუძს ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანის გამოყვანა იმ წრიდან, რომელშიაც ის შთამომავლობის მიხედვით მოექცა; მან ამ წრეში უნდა იტრიალოს, იცხოვროს და მოკვდეს.

...Без всякого следа
И без урока для детей.

როდესაც ამ აუტანელ და სულის შემხუთველ მდგომარეობას შევადარებთ იმ პირთა მდგომარეობას, რომელთა მთელს დამსახურებას და ღირსებას კეთილშობილ ან მდიდარ მშობელთაგან დაბა-

დების ჯაფა შეადგენს, და რომელთა მთელი ცხოვრება მხოლოდ-
დაუსრულებელი ტკობა და სილაღეა, ძალაუნებურად იბადება.
უამრავი საკითხი, მსგავსად ჰეინეს საკითხებისა:

От чего под ношей крестной
Весь в крови влачится правой;
От чего всегда бесчестный
Встречен почестью и славой?

ცნობილია, რომ ამ თემის მცირედი გაღრმავებაც კი ყოველს
საღად მოაზროვნე ადამიანს იმ წყობილების შეცვლის საჭიროების
აზრს აღუძრავს, რომელიც დაამყარეს მძარცველებმა, უზურპატო-
რებმა; ეს წყობილება დაფუძნებულია იმ კანონებზე, რომლებიც გა-
მოსცეს ნაძარცვი და დატაცებული სიმდიდრისა და პრივილეგიების
შენარჩუნებით დაინტერესებულმა პირებმა.

ჩვენ ბევრს არ ვილაპარაკებთ ამ წყობილების უვარგისობის შე-
სახებ, რადგან მისი რიგიანად დანახვისათვის საკმარისია, რომ მკითხ-
ველმა თავის გარშემო მიიხედ-მოიხედოს. ერთმანეთში არეული
დაკანონებული უკუღმართობისა და ძალადობის მთელი ეს ოთურმა
ხდება არა ფარულად, სიბნელეში, არამედ დღისით-მზისით, დღის
სინათლეზე და, რასაკვირველია, ჩვენი მკითხველები კარგად დაინა-
ხავენ როგორც წვრილმან დეტალებს, ისე ყოველდღიური ცხოვრე-
ბის აპოთეოზს. ამის შემდეგ დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს.

ასეთი მდგომარეობის სიმძიმემ აიძულა ხალხი, თანამედროვე
ჯვაროსნული ლაშქრობა დაეწყო უმსგავსო საზოგადოებრივი ორ-
განიზაციის წინააღმდეგ. ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, თითქო
ქართველ ხალხს შეესისხლხორცებინოს სოციალური მეცნიერების
მთელი საფუძვლები და ამხედრებულებიყოს საფრანგეთის ან სხვა
დემაგოგების მოწოდებით. არა, ამ სტრიქონების დამწერმა სხვებზე
კარგად იცის, რომ ქართველ ხალხს, როგორც ყოველ სხვა ხალხსაც,
მთლად არა აქვს გარკვეული უკუღმართობის ყოველი წვრილმანი
და ზედმიწევნით არ იცნობს მის წინააღმდეგ გამოსაყენებელ ია-
რალს. მაგრამ ხალხს ერთი რამ კარგად აქვს შეგნებული: ვაივაგლა-
ხით ცხოვრება, როგორც აქამდე ცხოვრობდა ხალხი, პირდაპირ
აუტანელია, ასეთი ცხოვრების სიღუბჭირე მოთმინების ყოველგვარ
საზღვარს სცილდება და სჯობს დაიღუპოს იგი. ვიდრე ეფლობოდეს
იმ ჭაობში, რომელიც მას ნელ-ნელა სისხლსა სწოვს და ძალ-ღონეს
აცლის. როდესაც ხალხი ამ აზრს დაადგა, აი რა მოხდა: ეს იყო
1855 წელს, შემოდგომაზე. ცნობილია, რომ ამ დროს რუსეთს დიდი-
ომი ჰქონდა ევროპასა და ოსმალეთთან; ოსმალეთმა, ომერ-ფაშას.

მარდლობით, სამეგრელოში, რედუტ-კალეს მახლობლად, ჯარი გად-
მოსხა³⁶. ომერ-ფაშას ემისრებმა ხალხში ხმა დაჰყარეს, რომ „მო-
კავშირენი ბატონყმობას მოსპობენო“, და, რამდენსამე დღეში მთელი
სამეგრელო ომერ-ფაშას დანებდა; ქართველთა სამილიციო ჯარმა
კი,³⁷ რომელიც 1853 წელს ასე კარგად იბრძოდა ოსმალების წინა-
აღმდეგ, რუსებს უღალატა და ენგურზე რუსეთის ჯარი მიატოვა.
გურია და იმერეთი მზად იყვნენ სამეგრელოსათვის მიებაძათ, მაგ-
რამ თავად ბებუთოვის ჯარებმა ეს ტერიტორიები დაიჭირეს, ხოლო
რამდენიმე თვის შემდეგ ომი პარიზის ტრაქტატით დამთავრდა³⁸.
ეს შემთხვევა კარგად იცის რუსეთის მთავრობამ, ვინაიდან ალექსან-
დრე II-ის იმ სამადლობელ სიგელში, რომელიც მიმართული
იყო ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთადმი 1857 წლის იანვარში,
განზრახ გამოეტოვებინათ სიტყვა „სამეგრელო“³⁹.

ჯერ კიდევ ცნობილ „რესკრიპტებამდე“, რომელთა პირველი
ნუსხები 1857 წლის დამლევს გამოჩნდა,⁴⁰ ქართველმა გლეხებმა
მანიფესტაციებს არ მიჰყვეს ხელი, — არამედ იარაღით ამკლავებ-
დნენ თავის უკმაყოფილებას ბატონყმობის მიმართ. სამეგრელოს
აჯანყებამ, რომელიც 1857 წლის ზაფხულს მოხდა⁴¹, მთავრობას სა-
ბაბი მისცა, სამთავროდან გაეძევებინა დედოფალი დადიანი და მის
ნაცვლად შეექმნა „სამეგრელოს დროებითი მმართველობა“⁴². გუ-
რიის, იმერეთის და ქართლ-კახეთის გლეხთა სხვა აჯანყებანი⁴³ დააც-
ხრეს ჯარისკაცებმა და აზნაურთა მილიციამ, რომელიც საგანგებოდ
ამ მიზნით შეადგინეს. გლეხები სრულებითაც არ მალავდნენ, რომ
მათი აჯანყების ერთად-ერთი მიზეზი ბატონყმობა იყო, ხოლო ერთ-
ად-ერთი მიზანი — მისი მოსპობა. 1858 წელს რომ გათავისუფლე-
ბის ხმა გავარდა, ამ ამბავმა ცეცხლს ნავთი დაასხა და გლეხთა მოძ-
რაობა უკიდურესად გაძლიერდა.

საკითხავია, ვისი მხარე უნდა დაეჭირა რუსეთის მთავრობას ამ
სახალხო მოძრაობის დროს? უნდა ჩამდგარიყო თავად-აზნაურთა
რიგებში, რომლებმაც რაზმები შეადგინეს გლეხთა დასაშოშმინებ-
ლად, თუ, პირიქით, გლეხობის მხარე დაეჭირა და დაეწინარებინა
თავადაზნაურები? მთავრობისათვის ეს უკანასკნელი გზა იყო სასა-
რგებლო, მაგრამ რადგანაც რუსეთის მთავრობას, ღვთის წყალო-
ბით, ვერ დავწამებთ კარგსა და სასარგებლო თაოსნობა-საქმიანობას,
ამიტომ ცხადი იყო, იგი თავად-აზნაურობას მიემხრობოდა გლეხო-
ბის წინააღმდეგ. მან მართლაც ეს გამოსავალი ირჩია, მაგრამ თუ
როგორ შეასრულა იგი — ნება გვიბოძეთ ამაზე ცოტა რამ მოგახ-
სენოთ.

პირველ ყოვლისა, გლეხობის წინააღმდეგ ეკზეკუციები ამო-
ძრავეს, რომლებსაც „აღელვებულ გონებათა დაშოშმინებას“ უწო-
ლებდნენ; მაგრამ ეს ღონისძიება გლეხების წინააღმდეგ იყო მი-
მართული, ხოლო „აღელვებული გონება“ თავადაზნაურობას ჰქონ-
და, და, მაშასადამე, საჭირო იყო მისი დაწყნარებაც. მაგრამ აქ მთა-
ვრობა უფრო სათნოდ მოქმედობდა; მან ასეთ ხერხს მიმართა: ჩვენ:
გლეხებს ვანთავისუფლებთ რუსეთში, — ამბობდა იგი. რადგან იქ
ეს საჭირო არისო; აქ კი გლეხთა განთავისუფლების დრო ჯერ არ
დამდგარა, „ეს საუკუნეთა საქმეაო“. თავადაზნაურობა დროებით
დაწყნარდა...

„ჩვენ მიერ გამოცემული 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტით და ჩვენ მიერ იმავე დღეს დამტკიცებული დებულებებით რუ-
სეთის საბატონო გლეხები ბატონყმობისაგან გავანთავისუფლეთ.
მივანიჭეთ მათ სოფლის თავისუფალ მკვიდრთა უფლებანი და დაწვ-
რილებით განესაზღვრეთ მათი ურთიერთობა მიწათმფლობელებთან.
მათი ვალდებულებანი და მათი საზოგადოებრივი მმართველობის
წესრიგი“.

„რადგან ბატონყმობა ამიერიდან მხოლოდ ამიერკავკასიაში რჩება
და რადგან საჭიროდ ვცანით თანდათანობით მოქმედება იქაურ გლე-
ხთა განთავისუფლებისათვისაც, ჩვენ დავავალეთ კავკასიის მთავარ-
მმართველობას — შეუდგეს სათანადო მოსაზრებათა შემუშავებას.
ამ საგნის გამო“.

ასეა ნათქვამი „უმაღლეს ბრძანებაში“, რომელიც წინ უძღოდა
ახალ კანონდებულებებს გლეხთა შესახებ. ეს, ბატონებო, უავგუსტო-
ესი სიცრუეა: თებერვლის 19-ის მანიფესტი 1861 წლის მარტს
გამოვიდა. იმავე წლის სექტემბერს, მაშასადამე, მანიფესტის გამო-
ცემის დღიდან შვიდი თვის შემდეგ, იმპერატორი ქუთაისს ეწვია და
იქაურსა და თბილისის თავადაზნაურობას სიტყვით მიმართა: საქარ-
თველოში არსებული წყობილების არაერთარი ცვლილება არ მომიხ-
დენია და ამას არც ვაპირებ, ჯერ ამის დრო არ დამდგარაო. ამ სიტ-
ყვის გამო მთელს საქართველოში გავრცელდა ცნობილი ხალხუ-
რი სიმღერა — „მეგონა“, ასეთი მისამღერით: „მეგონა, მეგონა, ასე
როდი მეგონა, თუ ხელმწიფე ტყუილს იტყვის, ასე როდი მეგონა“.

არ შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე II-ის ეს სიტყვა ლიტონ
სიტყვად დარჩენილიყოს: ფაქტები ყველაზე უფრო მკვევრად მეტყ-
ველებენ — აღელვებული გლეხების წინააღმდეგ მიმართული ეკზე-
კუციები ნათლად ადასტურებენ, რომ მთავრობა მართლაც კარგ-
ხნით აპირებდა ქართველი გლეხების განთავისუფლების გადადებას.
მაგრამ რადგანაც, ერთის მხრით, გლეხთა მღელვარება დღითი-დღე

მლიერდებოდა და სრულებითაც არ იღებდა იგი მშვიდობიანსა და უწყინარ ხასიათს, და რადგანაც, მეორეს მხრით, რუსეთის მთავრობა, საერთოდ, ძალიან არა ზრუნავს, რომ თავისი დაპირება წმინდად დაიცვას, ამიტომ გლეხთა ყოფა-ცხოვრების რეფორმის საკითხი გადატანილ იქნა კანცელარიების სამეფუფოში⁴. აქ ისევ უნდა მოვიგონოთ ერთი გარემოება, რომელსაც ჩვენმა მკითხველებმა ყურადღება უნდა მიაქციონ: 1862 წელმა ისე განვლო, რომ მთავრობამ არაფერი ითავა, თუმცა გლეხთა მუდმივი მღელვარება არ შეწყვეტილა. 1863 წელს როცა პოლონეთის აჯანყებამ⁵ რუსეთს ევროპის ომის საფრთხე მოუვლინა, რუსეთის მთავრობამ ელდანაკრავივით მოიგონა სამეგრელოს ღალატი, ფაცი-ფუციით დეპეშა-დეპეშაზე აფრინა თბილისში, სახელდახელოდ წამოაყენა გლეხთა საკითხი საქართველოში, დაავიწყდა საქმის თანდათანობითი კეთების ტრფიალი და აიძულა კავკასიის მმართველობა, რომ გლეხთა განთავისუფლების თუნდაც რაიმე პროექტი წარედგინა. მთავრობა ფიქრობდა იმერეთისა, გურიისა და სამეგრელოს გლეხებისათვის პირში ბურთი ჩაეჩარა მომავალი განთავისუფლების პერსპექტივით და ამავე დროს არ შეეღაბა ამ მხარეთა თავად-აზნაურობის ინტერესები. მთავრობის შეგნებაში საარსებო საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო ორივე მხარის დასაკმაყოფილებლად; თავად-აზნაურობათ — ჰტიქრობდა იგი, ჩვენი ერთგული დარჩება, ვინაიდან მისი ინტერესები შეღახული არაა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ხოლო გლეხობა ჩვენ მოგვემხრობა, როგორც თბილისის გუბერნიის გლეხობის განმანთავისუფლებლებს და აგრეთვე ქუთაისის გლეხობის მომავალ გამანთავისუფლებლებსაც. შედარებას რომ მივმართოთ, ასეთი მდგომარეობა მოგვაგონებდა დღევანდლამდე გადაუჭრელი ამოცანის გადაჭრას „არც ფარას დაუშავდეს რამე და მგლებიც მაძლრად იყვნენო“. ეს ხერხი წაქეზების ტაშის ღირსი იქნებოდა, რომ ორივე მხარის მოტყუებას მოწადინებულს რუსეთის მთავრობას მხოლოდ და მხოლოდ თავისი თავი არ გაესულელებინა: განთავისუფლების უსარგებლო, აბეზარ-მოსაყვანი ხრიკების და თვით ამ განთავისუფლების საფუძვლების უკმაყოფილო გლეხობა აშკარად გამოსტქვამდა თავის სიმპათიებს „განმანთავისუფლებლებისადმი, რუსეთის მტრებისადმი“, ე. ი. ევროპის სასარგებლოდ. მეორეს მხრით, თავადაზნაურობა, რომელსაც ბატონყმობის არსებული წესების არავითარი ცვლილების გაგონებაც კი არ სურდა, გააოცა მთავრობის დამოკიდებულებამ თბილისის თავადაზნაურობისადმი და მანაც აშკარა დრტვინვა დაიწყო მთავრობისა ან მისი ქართველი აგენტების წინააღმდეგ. კმაყოფილი იყო მხოლოდ ბ. დ ი მ. ყ ი ფ ი ა ნ ი ს მსგავსი

რამდენიმე პირი; მათ გლახთა ცხოვრების რეფორმა მარჯვე პროექტებისა ან „კეთილგონიერი რჩევის“ სამაგიეროდ წარჩინებისა და დაჯილდოვების სათავედ მიიჩნიეს. მაგრამ ამ ვაჟბატონებზე ლაპარაკიც კი არა ღირს.

II

შეიცვალა თუ არა მას აქეთ რუსეთის მთავრობისა, ქართველი ხალხისა და ქართველთა, ეგრეთწოდებული, პარტიების ურთიერთი განწყობილება? ოდნაედაც არა, თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ იმ გარემოებას, რომ მთავრობისათვის საგარეო ომის საფრთხემ განვლო, ხოლო ქართველი ხალხი დღითი დღე და უფროდაუფრო მეტად იმსკვალება თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით. მცირეოდენადაც არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ რუსეთის მთავრობას საქართველოში ამჟამად მეგობრები და კეთილის მსურველი არა ჰყავს, გარდა დიდი მთავრის კარის ერთი მუქა კლევრეტებისა და ბობოლა მოხელეებისა. მაგრამ ცნობილია, რომ საზოგადოების ეს ნაწილი ძალიან მტკიცე არ არის თავის აზრ-შეხედულებათა მხრით; არამზადობაში დაბადებული და სინდისის გაყიდვაში აღზრდილი, იგი მუდამ არამზადობას იჩენს ხალხისა და მთავრობის მიმართ და სინდისს ჰყიდის იმათ სასარგებლოდ, ვისაც ბედი გაუღიმიებს. თუ ამ კატეგორიის პირებს მივუმატებთ მცირერიცხოვან დიდ მიწათმფლობელებს, რომელთა ინტერესების მიხედვითაც შედგენილია ასალი „კანონდებულებანი“, მაშინ ჩვენ მივიღებთ რუსეთის მთავრობის მეგობართა თითქმის სრულ ნუსხას. ყველა დანარჩენი, ვინც კი ცოცხლობს და აზროვნებს, გამსჭვალულია ნაციონალიზმით, რომლის შესახებაც აუცილებელია ორიოდ სიტყვა ვთქვათ.

ჩვენ არ გამოვეკიდებით რუსეთის მთავრობისათვის, ისევე როგორც ჩვენთვის და ბოლოს საქართველოსათვის საინტერესო საკითხს, საქართველოში არსებულ ეროვნულ მისწრაფებათა განვითარების საკითხს; ჩვენი მდგომარეობა საუკეთესო საბუთია იმისა, რომ უარი ვთქვათ ამ განმარტებაზე, რომელსაც ადვილად შეიძლება მოჰყვეს ინსინუაცია. მაგრამ ერთი რამ კი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, სახელდობრ, ჩვენი მწუხარება ამ მისწრაფებათა წარმატების გამო; ჩვენ არ გვინდა ვთქვათ, ძლიერ აქვს განვითარებული თუ არა ქართველ ხალხს ნაციონალიზმი, ვამბობთ მხოლოდ იმას, რომ ჩვენი აზრით, ამ იდეის განვითარებას შეუძლია საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენოს ქართველი ხალხის მატერიალურსა და გონებრივ განვითარებას. ნულარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ეროვნულ მის-

წინააღმდეგობა გადამარტყმას შეუძლია მიიყვანოს საქართველო იმ სასაკლაოზე, სადაც ამასწინათ ტყავი გააძრეს პოლონეთს და სადაც მოტლად სისხლი გამოსწოვეს ჩერქეზებს. ჩვენის ღრმა რწმენით, ეროვნული მისწრაფება რომ გამარჯვებითაც დაგვირგვინდეს, მაგალითად, სამეგრელოს ამბავი რომ განმეორდეს და საქართველომ საფრანგეთისა, ან ინგლისის მფარველობა მოიპოვოს (ჩვენთვის ერთი და მეორეც სულერთია), საქართველო აშკარად და საკმაოდ დიდი ხნით დაჰკარგავს თავის იმედებს იმის შესახებ, რომ წარმატებით გადაიჭრას სამართლიანი და გონიერი საზოგადოებრივი წყობილების ის საკითხი, რომელიც მას აღელვებს. ევროპის სახელმწიფოებმა. თუ საქმე გამარჯვებით დაგვირგვინდება, საქართველო რომ ევროპის შინა პროვინციების დონემდეც კი აამაღლონ, საქართველო მაშინაც წაგებული დარჩება და მხოლოდ პოლიტიკური წყობილების მხრით მოიგებს. მაგრამ ასეთი ვარაუდის დაშვება შეუძლებელია: უამრავი მაგალითი გვარწმუნებს, რომ ევროპის სახელმწიფოები დაუყონებლივ შეუდგებოდნენ საქართველოს ცივილიზებას აღიარის მსგავსად. ან მის ექსპლოატაციას ინდოჩინეთის მსგავსად. ასე მოხდებოდა მაშინ, თუ ეროვნული მისწრაფება გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა, რაღას მოიტანდა მარცხი და რამდენი შანსია ამ უკანასკნელის სასარგებლოდ და წინააღმდეგ — ყველამ კარგად იცის... ჩვენი აზრი, — რუსეთის მფლობელობის უპირატესობა ევროპის მფლობელობასთან შედარებით. — „კოლოკოლ“-ის ქართველ მკითხველებს შეიძლება იმდენად ერეტკულად არ ეჩვენოთ, რამდენადაც უაზროდ“. მათ რომ გაუგებრობა გავუფანტოთ, რამდენსამე სიტყვას ვიტყვით ჩვენი დასკვნის საფუძვლიანობის დასამტკიცებლად.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ერთადერთ ფორმას. რომელსაც შეუძლია ნამდვილი სარგებლობა მოუტანოს საქართველოს, წარმოადგენს მიწისა და ყოველგვარი სხვა საკუთრების სათემო განაწილება, აგრეთვე ხალხის შრომისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სათემო ორგანიზაცია. ასეთი წყობილება სწორედ იმიტომ იქნება სასარგებლო საქართველოსათვის, რომ ყველა სხვა წყობილებაზე უკეთესად და, უფრო მეტიც, მხოლოდ და მხოლოდ ის შეუწყობს ხელს, შეძლებისამებრ, ხალხის კეთილდღეობის სრულ განვითარებას, რაც. თავისი მხრით, ხელს შეუწყობს ხალხის გონებრივ და ზნეობრივ ძალ-ღონისა და ნიჭის განვითარებას. ყოველივე ეს ოდნავადაც არ მიგვაჩნია საეჭვოდ. მაშასადამე, რაკი ღრმად გვწამს ასეთი საზოგადოებრივი წყობილების დიდი სარგებლობა, ჩვენ უნდა ვეცდილობდეთ, რაც შეიძლება ჩქარა განვახორციელოთ იგი საქარ-

თველოში და იმაზე ვიფიქროთ, თუ რა პირობებში უფრო მალე მოსახერხებელია ჩვენი იდეალის განხორციელება — ევროპის მფარველობისა, თუ რუსეთის მფარველობის დროს?

საუკეთესო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების იდეალი, ჩვენის აზრით, ყველაზე ადრე რუსეთისათვის არის განსახორციელებელი, რადგან ამ წყობილების მთავარი პრინციპი — თემობრობა, შესაძლებელი სისრულით, რუსის ხალხმა შეინარჩუნა. რუსეთის თემი იდეალად არ მიგვაჩნია, მაგრამ იგი უფრო ბევრად შეეფერება ჩვენს წარმოდგენას საზოგადოებრივი წყობილების შესახებ, ვიდრე დასავლეთ ევროპაში გაბატონებული ინდივიდუალიზმის ყოველნაირი პრინციპი. აქაც პატარა განმარტებაა საჭირო: ჩვენ არა გვგონია, რომ დასავლეთი ევროპა ერთ წერტილზე გაყინულიყოს და უკეთესი ცხოვრების უნარი არ შესწევდეს სახლი ელემენტების — სლავებისა ან სხვა ვისიმე დაუნმარებლად. ამ მხრით, მოგვიტყვეონ „კოლოკოლ“-ის დიდად პატივცემულმა გამომცემლებმა,⁴⁷ ჩვენ მთლად არ ვიზიარებთ მათს უიმედობას ევროპის თანამედროვე მოუწესრიგებლობის გამო. წინააღმდეგ მათი შეხედულებისა, ჩვენ გვწამს, რომ ევროპა მაინც თავისას გაიტანს და მიაღწევს იდეალამდე, თუმცა თეორიულად მთლიანად არ დაუშუშავებიათ იგი ევროპის მოაზროვნეებს⁴⁸. მაგრამ ევროპის მუშაობა მეტის-მეტად ძნელია; უმთავრესი კი ის არის, რომ იგი კიდევ დიდხანს უნდა ეწვალოს, მაშინ, როცა რუსეთი, ჩვენის რწმენით, როგორც „კოლოკოლ“-ის ბატონ გამომცემელთა რწმენითაც, თუმცა მთლად განთავისუფლებული არ არის ამ მუშაობის სიძნელისაგან, მაგრამ ამ მუშაობას გაცილებით უფრო ადვილად გაუძღვება და სასურველ მიზანს ბევრად უფრო ადრე მიაღწევს, ვიდრე თანამედროვე მოძრაობა ევროპაში. ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაკი საქართველო თავის სვე-ბედს თუნდაც თანამედროვე რუსეთს დაუკავშირებს, იგი უფრო მალე მიაღწევს თავისი მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობას, ვიდრე მაშინ, როცა მას მოკავშირედ ან მფარველად ეყოლება (აღარაფერს ვამბობთ მფლობელობაზე) ევროპის რომელიმე ერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ოსმალეთსა ან სპარსეთზე, რომლებისაც საქართველოში არცერთი საღად მოაზროვნე ადამიანი მოწადინებული არ არის.

სულ სხვა საქმე იქნებოდა, რუსეთის ხალხური წყობილების ძირითადი პრინციპი — თემი ქართველ ხალხს რომ ჰქონებოდა; მაშინ პოლიტიკური ორგანიზაციის გაუმჯობესება, თუნდაც ევროპულ ყაიდაზე, არამც თუ არ შეაფერხებდა ქართველი ხალხის ცხოვრების განვითარებას, არამედ პირიქით, საუკეთესოდ შეუწყობდა ხელს.

რაკი საქართველოში სათემო პრინციპები სრულებით არ არსებობს, ვეროპულ „თავისუფლებას“ მხოლოდ ის შეუძლია, რომ ხალხის განსაზღვრულ ნაწილს მეტის-მეტად განუფითარებს ბურჟუაზიულ მიდრეკილებას; ეს კი ვერ მოხდება რუსეთის მფლობელობის დროს, თუ ქართველები მოისურვებენ ოდნავ მაინც იფიქრონ თავის თავზე და ისარგებლონ რუს მოსახლეობის მაგალითებით.

აი რატომ ვფიქრობთ ჩვენ, რომ ურიგო არ იქნებოდა საქართველოს ეროვნული მისწრაფება გვერდზე გადადებულყო. სოლო თვით რუსეთის გარდაქმნის მოლოდინში ქართველი ხალხი გასცნობოდა როგორც რუსეთის სათემო მიწათმფლობელობისა, ისე საერთოდ მთელი სოციალური წყობილების ძირითად პრინციპებს.

თუ საქართველოს და რუსეთის ურთიერთი განწყობილებებს მიმოხილვის შემდეგ შევეხებით რუსეთის მთავრობის საქციელს ქართველი ხალხის მიმართ, ძალაუნებურად მოგვაგონდება „კოლოკოლ“-ის შემდეგი სიტყვები: „მთავრობას რომ გაეგო ეს ცხოველი ძარღვი და ცხოველი კავშირი ურთიერთობისა, მოძრაობის სათავეში იქნებოდა; მაგრამ იგი ვერ გაიგებს, რადგან უნიკოა“. მართლაც, მთავრობამ ოდნავადაც ვერ გაიგო ვერც თავისი მდგომარეობა, ვერც თავისი ინტერესები; იგი გატაცებული იყო ერთის სურვილით — ოთხად მოედუნა გლეხოზა ან, თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, ყინულზე გაეცურებინა იგი; მთავრობა ეცადა გაეზღინებინა თავადაზნაურობა, რომელსაც ვაგონებაც კი არ სურდა არა თუ გლეხთა განთავისუფლებისა, არამედ მათი მდგომარეობის შეცვლისაც კი. თავადაზნაურობის მოძრაობა და მისი მტრული მანიფესტაციები, ამავე დროს გლეხობის პირველი მანიფესტაციები, რომლებსაც 1861 წლამდე რუსეთის მთავრობისათვის უალრესად საკეთილო ხასიათი ჰქონდა, მთავრობისათვის მარჯვე საბაბს წარმოადგენდა, რომ მას თავადაზნაურობასთან კავშირი გაეწყვიტა და გლეხოზას დაკავშირებოდა. მაგრამ მთავრობამ გლეხთა მოძრაობაში „ლონდონის (ამიერიდან ჟენევის) აგიტაციის“ კვალი დაინახა, ხოლო გლეხთა ამორჩეული პირები მაძინისა ან ისკანდერის თავზე ხელაღებულ დისციპლებად მიიჩნია; გაბუტულ თავადაზნაურობაში მან დაინახა მხოლოდ „ბუღუშჩინოსტ“-იდან⁴ ამოღებული ლიბერალიზმი: დაე თავადაზნაურობა იბუტებოდეს ერთ ღღეს, ორ ღღეს, გულისწყრომა გაუვლის და საქვეყნოდ ხელახლა გადავეხვევით ერთმანეთსო — ჩვენი მეგობრის გულის გასამხიარულებლად; ჩვენი მტრების გულის გასახეთქად და კბილთა საღრკენად.

ასე პეიტრობდა ჩვენი მთავრობა და ასეთი გზაც ამოიჩნია. რას იზამ, კაცია და გუნებო! ხოლო რაც შეეხება იმას, თუ ვისი გულის

გასამხიარულებლად განაახლეთ და გლახთა სისხლით აღბეჭდეთ თქვენი კავშირი თავადაზნაურობასთან, არ გეწყინოთ კია, მაგრამ, ნება გვიბოძეთ, დავეკვიანდეთ; ჩვენის აზრით, თქვენს მეგობრებს ოდნავი გამჭირახობა მაინც რომ ჰქონებოდათ, პირველად თვითონ ისინი უნდა შეძრწუნებულიყვნენ და კბილთა ღრქენა დაეწყათ თქვენი გზა-აზნეულობის გამო... რას წარმოადგენდა თავადაზნაურობასთან კავშირი?

იმას, რომ რუსეთის მთავრობამ სრული უფლება მოგვცა, თუმცა საშუალება კი არა, გავიმეოროთ „კოლოკოლ“-ის სიტყვები: „მეფემ ხალხი მოატყუა“.⁵⁰

თუ როგორ მოატყუა, ამას ახლავე დავინახავთ.

პირველ ყოვლისა, კაცს თვალში ეცემა შემდეგი გარემოება: ახალი „კანონდებულებანი“, რომლებიც მაღალფარდოვანი სიტყვებით გვაუწყებენ, რომ „გლახთა ყმობა... საბოლოოდ ისპობაო“, მიზნად ისახევენ მხოლოდ ახლანდელი „statu quo-ს“ განმტკიცებას და ყველა მისი მთავარი საფუძვლის საუკუნოდ დაკანონებას და განმტკიცებას.

რადგან ბატონყმობის კვლავ ხელუხლებლად დატოვება ყოვლად შეუძლებელი იყო, რუსეთის მთავრობამ, რუსეთის ბნელეთის მოციქულობის ისტორიაში სახელგანთქმული ნ. ბეზობრაზოვის რჩევით, გლახთა საკითხის გადაჭრა საქართველოში იმით დაამთავრა. რომ ყმა გლახებს სახელი შეუცვალა და უწოდა მემამულეთა მიწებზე დასახლებული გლახები. მთავრობამ ეს რუსეთშიაც კი ვერ გაბედა. რეფორმა ამით დამთავრდა.

რაც შეეხება ხალხისათვის საკირო მიწას, ის მემამულეს მისცეს, ან მის ხელში რჩება; მემამულე ვალდებული არ არის მიწის გამოსყიდვასაც კი დასთანხმდეს, რადგან „დამატებულ დებულებათა“ მეცხრე მუხლი, რომელიც ახალ „კანონმდებლობათა“ კვინტესენციას წარმოადგენს, შემდეგს გვეუბნება: „გლახებს მხოლოდ მემამულის თანხმობით შეუძლიათ საკუთრებად შეიძინონ მუდმივ სახმარებლად ღიდებული მიწის „ნადელი“, როგორც მთლიანად, სახელდობრ: სამოსახლო კარმიდამო, ბაღები, მინდვრის მიწები და სხვა სახმარი მიწები, ისე ამ „ნადელის“ თვითთელი, ცალკე ნაწილი“. ამ მუხლის შემდგომი დადგენილება მდგომარეობას მცირეოდენად სცვლის: „როდესაც დღევანდლამდე არსებული წესით მემამულის სოფლისაგან შეიქნება „პოსადი“ ან დაბა, გლახებს, როგორც ცალ-ცალკე კომლებს, ისე მთელ საზოგადოებას, მემამულის დაუთანხმებლადაც შეუძლიათ, 1861 წლის თებერვლის 19-ის გამოსყიდვის დებულების თანახმად, გამოისყიდონ თავისი საკარმიდამო მიწა და შეინარჩუნონ

უფლება საძოვარზე, თანახმად იმ წესისა, რომელიც შეეხება საძოვარებსა და საიალადო ადგილებს; შენიშვნა ამა დამატებულ დებულებათა მე-12 მუხლისათვის“ (მუხ. 10). ეს მუხლი აშკარად საუკეთესოა იმ მუხლთა და დებულებათა შორის, რომლებიც გლეხობის წინააღმდეგაა მიმართული: მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკი შეეხება მხოლოდ საკარმიდამო მიწას და არა სახნავი, ან სათიბი მიწისა ან ბაღების გამოსყიდვას. რაც შეეხება მიწას, „ადგილობრივ დებულებათა“ მე-6 მუხლს შეუძლია თვალი აუხილოს უკიდურეს ოპტიმისტსაც: „თუ გლეხების სახმარებლად სახნავი ან სათიბი ადგილების დატოვების შემდეგ (ნუ დავივიწყებთ, განსაზღვრული სასყიდლითა, ან ბეგართ) მემამულეს ნახევარზე ნაკლები დარჩა საერთოდ იმ სახნავი და სათიბი ადგილებისა, რომლებიც მას ეკუთვნის იმ სოფელში, სადაც დასახლებულნი არიან გლეხები, მემამულეს უფლება აქვს თავის უშუალო განკარგულებაში დაიტოვოს ასეთი მიწების, ე. ი. სახნავი და სათიბი მიწების საერთო რაოდენობის ნახევარი“. რა უნდა ჰქნას გლეხმა? სახნავი მიწის გამოსყიდვა მას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია, პური კი აუცილებლად სჭირდება, გარდა ამისა სხვადასხვა ბეგარა უნდა მოიხადოს მთავრობისათვის. გულშემატკივარმა მთავრობამ დააკანონა, რომ გლეხებს უფლება აქვთ შეუთანხმდნენ მემამულეებს სახნავი მიწის საღალოდ აღების შესახებ. რატომ მოხდა, რომ გლეხების სიკვდილ-სიკოცხლის საკითხი მთავრობამ თავადაზნაურობისა და გლეხობის „ნებაყოფლობით შეთანხმებაზე“ მიაგდო, მაგრამ არ სურს იმავე შეთანხმების საგნად გახადოს მიწის საღალოდ აღების სამაგიერო, ბეგარათა რაოდენობა ან ღირებულება? იმიტომ, რომ ქვემოთ მოყვანილი დებულებანი გაცილებით უფრო საჭიროა თავადაზნაურობისათვის, ვიდრე „ნებაყოფლობითი შეთანხმებაც“ კი. საქმის ასეთ ვითარებას მოჰყვა შემდეგი მუხლები. რომლებიც ღირსნი არიან, უაღრესად საპატიო ადგილი დაიჭირონ დრაკონის კანონმდებლობაში.

„ადგილობრივ დებულებათა“ 148-ე მუხლი: „მინდვრის სახნავი მიწისათვის გლეხები იხდიან გამოსაღებს, რომელსაც ეწოდება ღალა; ღალა შეადგენს მიწის ყველა ნაწარმოების მოსავლის მეოთხედს“. შემდეგი მუხლი 149-ე „სათიბი მიწისათვის გლეხები იხდიან ნათიბის ერთ მესამედს“.

აქამდე, ე. ი. ბატონყმობის ეგრეთწოდებულ მოსპობამდე, მემამულეების მიმართ გლეხები შემდეგ ვალდებულებას ასრულებდნენ: 1. ფულად იხდიდნენ ერთს ან ორ მანეთს, ადგილის მიხედვით. 2. ხარკად ერთ საპალნე ღვინოს, იმდენსავე პურს, ყველაზე დიდი გადასა-

ბალის მიხედვით; უფრო ხშირად ან ერთს იხდიდნენ, ან მეორეს; საქონლიდან აძლევდნენ ჩვეულებრივ ღორს და ათ ქათამს; 3. ბატონის ბეგარაზე მუშაობდნენ კვირაში ორს, იშვიათად სამ დღეს. ახალი ბატონყმობა მხოლოდ საქონლის ხარკს სპობს, ამის ნაცვლად მემამულეების სასარგებლოდ აწესებს: 1. მიწის ნაწარმოებთა ერთ მეოთხედს და ნათიბის ერთ მესამედს, რაც გაცილებით უფრო სახეიროა მემამულეებისათვის; 2. სამი მანეთის გამოსაღებს საკარმიდამო მიწის ერთ დღიურზე (ნახევარ დესეტინაზე); 3. გლეხთა „ნადელის“ ბეგარად არ ითვლება: ა) გადასახადი ან საერთოდ ბეგარა საწვავ მასალაზე და საზოგადოდ ხე-ტყის მასალაზე იმ მამულეებში, სადაც ამ „ღებულების“ 32 და 33 მუხლთა თანახმად გლეხები მემამულეებისაგან მიიღებენ საწვავსა და საზოგადოდ ხე-ტყის მასალას; ბ) საერთოდ ყოველგვარი ბეგარა გლეხების კუთვნილ წისკვილებზე. აგრეთვე ფიჩხულზე და სხვა საყალნო საგნებზე და სხვა და სხვ. (ადგ. დებ. 138 მუხ.); 4. კულუხი, რომელიც გადიდებულია, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ორჯერ ან სამჯერ წინანდელთან შედარებით: „ვენახებისათვის გლეხები იხდიან ღვინის გამოსაღებს, რომელსაც კულუხი ეწოდება; კულუხი შეადგენს ჭოსაელის ერთ მეოთხედს“ (ადგილ. დებ. 146 მუხ.). ყოველსავე ამას უნდა მივუმატოთ 147 მუხლი: „ხილის და თუთის ბაღების ან ვენახებში მოქცეული ხეხილებისა და თუთის ხეების, აგრეთვე გლეხთა სახნავ და სათიბ მიწებზე მოქცეული კაკლის ხეების გადასახადი ჯანისაზღვრება მემამულისა და გლეხების შეთანხმებით; თუ შეთანხმება ვერ მოხერხდება, გამოსაღებს მომრიგებელი შუამავალი განსაზღვრავს“.

ესეც თქვენი მიწათმოწყობა ახალი ბატონყმობისა. მაშასადამე, თუ მთავრობამ ამ მხრით ვისიმიე მდგომარეობა გააუმჯობესა, ყოველ შემთხვევაში არა გლეხებისა, არამედ უფრო თავადაზნაურობისა...

გარდა მიწისა, ხალხს ხე-ტყე სჭირდება საშენ და საწვავ მასალად; „ადგილობრივ ღებულებათა“ 30 და 31 მუხლებში ნათქვამია: 30 მუხ.—მემამულენი ვალდებული არ არიან ხე-ტყე მისცენ გლეხებს საშენ მასალად; 31 მუხ.— მემამულენი ვალდებული არ არიან, აგრეთვე, რომ საწვავი მასალა მისცენ გლეხებს უსასყიდლოდ. მაგრამ თუ თქვენ გგონიათ, რომ ყველა უფლება მარტო თავადაზნაურებს აქვთ, ამოგიწერთ გლეხობის ერთ-ერთ უმთავრეს უფლებას; აი ეს უფლება: 32 მუხლის მე-5 პარაგრაფი: „გლეხებს უფლება აქვთ... უარი სთქვან და არ მიიღონ საწვავი მასალა მომრიგებელი შუამავლის და საგუბერნიო საკრებულოს მიერ დაწესებული რაოდენობით და მათგანვე დაწესებულ ფასად ან ბეგარით“! ღმერთმანი,

ყოველივე ეს დაბეჭდილია en toutes lettres. ასეთი დაცინვის პასუხად გლახობას უნდა ამოეჭრა თავადზნაურობის რომელიმე უცნაური ღერბი ასეთი წარწერით „au son droit“.

კიდევ რა სჭირდება ხალხს! ძველი დროის ოთხი საწყისიდან — შიწისა, ცეცხლისა, წყლისა და ჰაერისაგან პირველი ორი თავადზნაურობას მიაკუთვნეს; ვნახოთ, როგორ არის წყლისა და ჰაერის საქმე: „მემამულეს შეუძლია, რომ საერთო სახმარე წყლის ნაცვლად გლახებს მიუჩინოს ცალკე სახმარე წყალი მათთან ნებაყოფლობითი შეთანხმებით, ან, თუ შეთანხმება ვერ მოხერხდება, მომრიგებელი შუამავლის ნებართვით სათანადო შემოღებული წესის თანახმად“ (ადგილ. დებულ. 15 მუხ.). „გლახებს მიჩენილი ექნებათ ცალკე სახმარე წყალი, საერთოს ნაცვლად; წყალი გამოსადეგი და საკმაო უნდა იყოს და, შეძლებისამებრ (როგორ მოგწონთ ეს „შეძლებისამებრ“!), სოფლისაგან უფრო შორს არ უნდა იყოს. ვიღრე წინანდელი წყალი იყო“ (მე-16 მუხ.).

საერთო სახმარებლად დარჩა მხოლოდ ჰაერი, მაგრამ მემამულეებს უფლება აქვთ ახალ კარმიდამოზე გადაასახლონ გლახები. აი/ეს მუხლი: „მემამულეს უფლება აქვს მოითხოვოს და გლახები-სათვის საჯალდებულად გახადოს კარმიდამოს გადატანა შემდეგ შემთხვევებში, რისთვისაც საჭირო არ არის გლახების თანხმობა: 1. თუ გლახის კარმიდამო იმყოფება 50 საეენზე ახლოს, ხოლო ჯიხური, სამკედლო ან ცეცხლის შემწეობით სამუშაო სხვა ნაგებობანი 100 საეენზე ახლოს მემამულეთა იმ შენობებთან (რომელ შენობებთან? მაგალითად, ბოსლებთან ხომ არა?), რომლებიც აგებულია ამ დებულების გამოქვეყნებამდე; 2. თუ სოფლისა ან დასახლებული ადგილის ფარგლებს გარეთ, საბატონო მიწებს შორის, იმყოფება გლახის ცალკე კარმიდამო, რომლისთვისაც ნავარაუდები არ არის მინდვრის მიწების „ნადელი“; 3. თუ მემამულეთა და გლახთა მინდვრის მიწების გამიჯვნისათვის საჭირო იქნება სოფლის რამდენიმე ან ყველა კარმიდამოს გადატანა“ (ადგილ დებ. 56 მუხ.)

ყველა ეს კანონდებულება ფრიად ნათლად და მკათიოდ არის დაბეჭდილი; სტამბის მელანმა აიტანა და არ გაწითლდა, როცა დღის სინათლეზე გამოჰქონდა მძარცველობისა და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულობის დაკანონება! კიდევ გამოჩნდებიან სკეპტიკოსები და სასწაულს არ ირწმუნებენ!..

კაცმა აღარ იცის, თუ რა გაიოცოს ბატონყმობის ახალი წესრიგისა — კადნიერება მთავრობისა, რომელიც ესოდენ აბუჩად იგდებს ხალხის საღ აზრს, თუ მის დედაბოძთა გონების წარმოუდგენელი

სიჩლუნგე, ან ერთიც და მეორეც ერთად?.. მაგრამ დავუბრუნდეთ „კანონდებულებებს“. ჩვენ დაწერილებით არ განვიხილავთ ახალ „დებულებებს“ ქართველი გლეხების შესახებ, არც იმას აღვნიშნავთ, თუ რით განსხვავდება 1861 წლის თებერვლის 19-ის „დებულებისაგან“; ეს ამოცანა თვალსაჩინოდ აღემატება ჩვენი წერილის ზომას, უმთავრესი კი ის არის, რომ საკმაოდ უსარგებლო იქნება „კოლოკოლ“-ის მკითხველებისათვის; ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, თუ რადარა უმთავრესი თვისება ახასიათებს ბატონყმობის ახალ წესრიგს საქართველოში.

როცა მთავრობამ გლეხებს მიწა წაართვა და იგი თავადაზნაურობას დაუმტკიცა, მთავრობას ის მაინც უნდა ექნა, რომ რამე დაეკანონებინა გამოსყიდვის შესახებ და ამასთანავე ხელი შეეწყობა გლეხებისათვის ფულის სესხებით. ეს მოვალეობა მთავრობამ შემდეგნაირად შეასრულა; ჯერ ერთი მიწის გამოსყიდვა, საერთოდ, და მისი ყოველი პირობა, ცალ-ცალკე, გადასაჰრელად მიანდო... როგორ გგონიათ, ვის? მემამულეთა „ნებაყოფლობით შეთანხმებას“ გლეხებთან! მიუხედავად თუ არა ამას! უმიწაწყლო, ულუკმაპურო გლეხი, რომელსაც საშუალება არ გააჩნია რამე სამუშაო იშოვოს, უნდა დასთანხმდეს მემამულის ყველა შესაძლებელ და შეუძლებელ პირობას, რომ თავი დააღწიოს თავისი მეურნეობის ნაწარმოებთა მეოთხედი ან მესამედი ნაწილის გაღებას; ასეთ მდგომარეობას „ნებაყოფლობითი შეთანხმებას“ უწოდებენ! ეს გაცილებით უარესია, ვიდრე ეხად-აღებულის სისტემა „laisser faire, laisser passer“, რადგან აქ მთავრობა მემამულეებს იცავს. გაუმარჯოს გონიერებას?! შემდეგ მთავრობა საქმეს იწყებს და სესხს ასახელებს. როგორ გგონიათ, რამდენს? ჯერ ორიოდ სიტყვა ვთქვათ „ნადელის“ რაოდენობის შესახებ.

„წესდება მიწის ძირითადი ნაკვეთის განსაკუთრებული ზომა; ეს ზომა შეადგენს მიწის იმ რაოდენობის ნახევარს, რომელიც მე-7 მუხლის თანახმად, ამ მიწების თვითეული სახისათვის აღიარებულია საკომლო მიწის „ნადელის“ უმაღლეს ზომად“ (ადგ. დებ. 35 მუხ.). მე-7 მუხლი ამბობს: „საკომლო მიწის ნაკვეთის უმაღლეს ზომად წესდება: სარწყავი მიწებისათვის — ათი დღიური¹ თვითეულ კომლზე; ურწყავი მიწებისათვის — ოცი დღიური თვითეულ კომლზე. შენიშვნა: სარწყავი და ურწყავი მიწები იმით განისაზღვრება,

¹ „მიწის ადგილობრივი საზომი — დღიური ამა დებულებით მიღებულია დაკანონებული საზომის — დესეტინის ნახევრის აღსანიშნავად, სახელდობრ 1200 კვ. საე.“ (დებულებათა შენიშვნა).

თუ რომელი მათგანი ირწყვის მუდმივად მიგდებული წყლით და რომელი არა“, ე. ი. მიწის ძირითადი „ნადელის“ ზომა განისაზღვრება სარწყავ მინდვრებზე 2 1/2 ღესეტიანით, ხოლო ურწყავ მინდვრებზე -- 5 ღესეტიანით.

რანაირი უნდა იყოს გამოსასყიდი ფასი (უქველია, ასეთ პირობებში დიდი იქნება), მთავრობა გლეხებს სესხად ჰპირდება: თბილისის გუბერნიის უმეტეს ნაწილში „გამოსასყიდი სესხის რაოდენობა კომლზე ვერ აღემატება 350 მანეთის სესხს“; გორის მაზრის მთიან ნაწილებში და მთიულთა ოლქში (სადაც სარწყავი მიწა გაცილებით უფრო ძვირია) „გამოსასყიდი სესხის რაოდენობა ვერ აღემატება 250 მანეთის სესხს თვითეულ კომლზე“. ნება გვიბოძეთ, გკითხოთ, რას იყიდი ამ ფულით? ქალამნის ამოსხმას ხომ არ აპირებთ საქართველოში ამ ასიგნაციებით? ან როდის მოახერხებს ქართველი გლეხი, რომ ეს ფული გადაგიხადოთ? ან რაღა ვადაზე? თქვენ ამაზე როგორღაც არაფერს ამბობთ, გარდა შემდეგისა: „გამოსასყიდი სესხის გადახდა ხდება იმ ვადაზე, რომელსაც შეთანხმებით აწესებენ კავკასიის მეფის ნაცვალს და ფინანსთა მინისტრი“. ესეც თქვენი გამოსყიდვა!

მაგრამ თუ ნებაყოფლობით შეთანხმება ვერ მოხერხდება? იკითხავს მკითხველი. მაშინ, დაე, გლეხები ჰაერის სივრცეში გადობარგდნენ. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, თუ რა პირობებში შეუძლია მას თანერის კარმიდამოს გადატანა; რაც შეეხება მინდვრის სახმარ მიწებს, გლეხს უფლება აქვს ან უცვლელად შეინარჩუნოს თავისი ახლანდელი მდგომარეობა და იხადოს თავისი შემოსავლის მეოთხედი და სხვა გამოსაღები, თუ მემამულე თანახმა იქნება, ან შეთანხმების გზას დაადგეს გამოსყიდვის საქმეში, ისეც და ისეც მემამულის კეთილი სურვილით, ან გადაიბარგოს სადაც უნდა, რასაკვირველია, თუ ხებართვას გამოსთხოვს მემამულეს და პასპორტს -- მთავრობას; -- რანაირ ნებართვას? აი რანაირს: „ამა წესების დამტკიცების დღიდან პირველი ცხრა წლის განმავლობაში თვითეული გლეხი მოვალეა, მემამულის სასარგებლოდ დაწესებული გამოსაღები იხადოს და თავის სახმარად ეკიროს მიჩენილი საკარმიდამო და მინდვრის ნაკვეთები მთელი მათი შემადგენლობით; გლეხს შეუძლია უარი სთქვას ზათზე მხოლოდ მემამულის თანხმობით“ („მიწათმოწყობის წესების“ მე-12 მუხ.). აქ უკვე საჭიროა, რომ სადღეგრძელო თავისუფლებისათვის დაილიოს.

კაცმა რომ იკითხოს, სადღა აქ ბატონყმობის მოსაბობა? ცარიჭლი სიტყვით ბევრი რამე შეგიძლიათ ილაქლაქოთ; მაგრამ თქვენს სიტყვას ვინ რას დაუჯერებს, როცა საქმე არ აგვირგვინებს მას. აბა,

სადაა გლახთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესება? საქმარისია ოდნავ ჩაუფიქრდეს კაცი თქვენს „კანონდებულებებს“, რომ ცამდე აიყვანოს ძველი ბატონყმობა, იმდენად აუმჯობესებს თქვენი დებულება ხალხის მდგომარეობას! ერთი გვითხარით, თუ ღმერთი გწამთ, მოეპოვება თუ არა რაიმე აზრი (სალს აზრს ვინლა დაეძებს) თქვენს, ეგ-რეთწოდებულ, რეფორმას, როდესაც მემამულე გლახობის მთელი მიწების მფლობელობაში შეგყავთ, როდესაც გლახებს წინანდელზე უარესად (იხ. ზემოთ) აბამთ მიწაზე, როდესაც, ბოლოს, მემამულეს დაუსჯელად შეუძლია ჩამოაჭრას გლახს მისი მიწის ნახევარი (იხ. იქვე), როდესაც გლახს ხელიდან ეცლება მიწა, წყალი, საწვავი მასალა და თითქმის ჰაერიც კი? რალა შეადგენს თქვენი რეფორმის შინა-არსს?

მოსპობა მემამულეთა უფლებისა, რომ თავისი გლახები გაამათრაახონ, — იტყვიან ზოგნი.

მაშ ზოისმინეთ: „სოფლის საზოგადოებათა მოწყობის წესების“ მე-14 მუხლი ამბობს: „ზოგადი დებულებით“ განსაზღვრულ საფუძველთა თანახმად (149, 161 და 163 მუხ.) მემამულეს ენიჭება სამამულე პოლიციის უფლება და მზრუნველობა მის მიწაზე დასახლებულ გლახთა მიმართ“. ამას უწოდებენ ბატონყმობის მოსპობას.

ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ „დებულებათა“ ქვემოთ მოყვანილი მუხლის წაკითხვა შეიძლება ადამიანს ურჩიოთ, როგორც ძლიერი სიცილის გამოძწვევი საშუალება მეღანქოლიის წინააღმდეგ: „სამუდამოდ ისპობა თბილისის გუბერნიის იმ გლახთა ყმობა, რომლებიც დასახლებულნი არიან მემამულეთა მიწა-წყალზე ან დასახლებულნი არიან ხიზნებად სხვა მფლობელის ან უწყების (სახაზინო ან საეკლესიო) მიწაზე ან ცხოვრობენ ქალაქებსა და დაბებში“.

რა ხარხარს გამოიწვევდა ეს სტრიქონები, რომ ამავე დროს ხალხის საუკეთესო სისხლი არ გამოეწოვა.

ჩვენ გაკვრით აღვნიშნეთ ახალ „დებულებათა“ უმთავრესი თვისებანი, დანარჩენზე ლაპარაკიც არა ღირს, რადგან ყველა დეტალი საუცხოვოდ ეთანხმება რეფორმის საერთო ხასიათს. მაგრამ დასასრულს არ შეგვიძლია გვერდი ავუქციოთ რუსეთის მთავრობის ერთ შეცდომას.

ზემოთ აღვნიშეთ, თუ რა პირობებში მოჰკიდა ხელი მთავრობამ გლახთა რეფორმას საქართველოში. მთავრობა სერიოზულად არის დარწმუნებული, რომ შესაძლებელია ხალხის უმიზეზოდ აღელვება და ამბოხება რომლისამე სააგიტაციო კომიტეტის მითითებით; ამას ადასტურებს თავადი გორჩაკოვის ცნობილი ნოტები პოლონეთის საკითხის გამო; მაშასადამე, ამ მხრით რუსეთის მთავრობას

სრულებით არ ვწამებთ ცილსა და უსაფუძვლო ექვებს არ ვკმნით მის მიმართ. მაშ ასე, რაკი მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ გლახთა მოძრაობა ლონდონში ჩაისახა,⁵¹ მან ხალხს ისეთივე ოინი დამართა, რომლის წყალობითაც მოხიბლა პეტერბურგელი ლიბერალები მსგავსი ბ. გრომეკასი et consorts. მაგრამ საბედნიეროდ ხალხს ისეთი პლატონური სიყვარული არა აქვს გარეგანი სახის რეფორმებისადმი; გლახის გაუთლელი ბუნება წინ მიიწევს და დაუბანელი სახით შიგნით იყურება, ხომ არაფერია იქ უვარგისიო. თქვენის მაღალფარდოვანი სიტყვებით „გოლოს“-ისა⁵² და „ოტეჩესტენნიე ზაპისკი“-ს⁵³ რომელიმე მოლიბერალო პუბლიცისტი მოხიბლეთ, ხალხს კი მიწა სკირდება, თავისი შრომით ცხოვრების უზრუნველყოფა, შრომის თავისუფლება და პირადი თავისუფლებისა და მისი ოჯახის ხელუხლებლობის გარანტია ადმინისტრაციული და ყოველგვარი სხვა თავნებობისაგან, მას სკირდება ამორჩეული სასამართლო და ბევრი რამ სხვა, რაც თქვენ მას არ მიეცით, არ გასურთ მისცეთ და არც შეგიძლიათ მისცეთ.

ხოლო თუ თქვენ ხალხის მოტყუებას არ ფიქრობდით, თუ ყოველივე ეს იმიტომ ჩაიდინეთ, რომ ღრმად დარწმუნებული იყავით—ხალხის უკმაყოფილება დაგზვდებოდათ და თქვენც მომარჯვებული ხიშტებითა და გამზადებული ზარბაზნებით მოსპობდით ამ უკმაყოფილებას, მაშინ რაღად გკირდებოდათ ცრუ განთავისუფლების მთელი ამ კომედის გათამაშება? ან შეიძლება ძალიან გინდოდათ, რომ ხალხში თავისუფლების ლონდონური დოქტრინების ქადაგება გაჩაღდეს?⁵⁴

თუ ასეა, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ბატონებო.

F. St. Germain, 1865 წლის ივნისის 10.

15. [წერილი მხარეებს]

Paris, 45, rue de Seine

12 ივნისი 1865

თქვენმა წერილმა ბევრი ისეთი არა მითხრა რა, რაც მე არ მიფიქრია „წერილის“⁵⁵ წაკითხვის შემდეგ. რის გაკეთებას მიბრძანებთ? მე არასგზით არ შემიძლია დავეთანხმო თქვენს მოსაზრებას იმაზე, რომ თქვენ „უდიდესი უმრავლესობისაგან“ აზრიან რამეს მიიღებთ. ჩემს მოსაზრებას რამდენადმე განმარტება ესაჭიროება.

1857—1862 წლებში „კოლოკოლის“ წარმატება უზარმაზარი იყო, ამ აზრისაა ყველა, როგორც მტრები, ისე მოყვრები. რაზე იყო დამყარებული თქვენი წარმატება? იმაზე, ჩემის აზრით, რომ საზოგადოების მთელი ის ნაწილი, რომელიც გულხელდაკრეფილი ზის და ელის, რომ ყოველგვარი მიწიერი სიკეთე, რაღაც ქადოს-ნური კვერთხის დაქნევით შემწვარი მწყერირებით პირში ჩაუვარდება, თქვენში და თქვენს „კოლოკოლში“ ხედავდა ზეციურ მზარეულებსა და გემრიელი საკმელების უჩვეულო სამზარეულოს. „ისინიო,— ფიქრობდა საზოგადოების ეს ნაწილი, — ისე დიდხანს და იქამდე ჩაბრუნდნენ ზარს, რომ, ბოლოსდაბოლოს დაარწმუნებენ მეფეს იმ.ში, რომ რეფორმები საჭიროაო“. საშუალო ხაზის ხალხი თქვენ გაფხვებდათ სწორედ როგორც „სასარგებლო რეფორმების შთამნერგავებს“. თქვენ ვერ იტყვით, რომ კატკოვი, მაგალითად, სულელი იყოს. ან არ ესმოდეს თავისი მდგომარეობა და დამოკიდებულება სხვა მოღვაწეთა მიმართ, მაგრამ იყო დრო, როცა იგი თქვენ ხელს გართმევდათ⁵⁶ და, ეს დრო იყო არა 46, 48 ან 1856 წელი, არამედ 1860 წელი. იგი, ხოლო მას ამოფარებული ყველა მისი თანამოაზრე, თქვენს „კოლოკოლში“ ხედავდა, ასე ვთქვათ, არაპირდაპირ ლონის-ძიებას, რომელიც ბიძგს აძლევდა, მაგრამ არა საზოგადოების თვით-მოქმედებას, არამედ, უბრალოდ, მთავრობას გამოსასწორებლად. ესეც ცოტაა. „კოლოკოლი“ იცით რად ითვლებოდა? საზოგადოებისა და მთავრობის მორიგების საწინდრად და, ამასთან ერთად, იარაღად საზოგადოების თვითმოქმედებისა და დამოუკიდებლობის

განვითარების წინააღმდეგ, ერთი სიტყვით — ახალგაზრდა თაობის რევოლუციურ საწყისთა წინააღმდეგ. თქვენ, რასაკვირველია, გახსოვთ „დაბოლოებანი და დასაწყისები“⁶⁷, მაგრამ აქ უნდა დაეუროთ: მე არ წამიკითხავს ეს წერილები. 1863 წლის მაისში მე მომიხდა მოსმენა მხოლოდ პირველი წერილის დასაწყისისა და ისიც გაკვირით. ჩემი მეზობლები კითხულობდნენ თავის ოთახში, რომელიც ჩემს ოთახს ეკვრის. მესხიერებაში ჩამრჩა ამ დასაწყისის ყველაზე ბუნდოვანი შთაბეჭდილება, მაგრამ მაინც, რამდენადაც მახსოვს, მგონია ეს წერილები დაწერილი იყო სწორედ ამ „შერიგების“ ყაიდაზე⁶⁸.

„დაბოლოებებსა და დასაწყისებს“, თუ ამ მიმართულებით იყო დაწერილი, ძლიერ შორს შეეძლო წაეყვანეთ; საბედნიეროდ, პოლონეთის მოძრაობამ ახალა ნიღაბი შერიგების მომხრე ვაჟბატონებს: ერთის მხრით, თქვენ არ შეგეძლოთ არ დაგვენახათ თუ რამდენი ქუჩყი ეცხოთ მათ და რამდენი იყო მათში და, როცა ეს ქუჩყი სისხლით გაიჟღინთა, თქვენ აქ, ცხადია, აღშფოთებული შეტრიალდით მათგან; მეორეს მხრით კი, უმრავლესობას, რომელიც თავისი ბნელი სულით იკეხიდა და სასჯელებსა და გადასახლებას იწვევდა, აუცილებლად დროებით უნდა დაევიწყებინა რეფორმები, ხოლო მათთან ერთად „კოლოკოლიც“.

აი, ჩემის აზრით, „კოლოკოლის“ როგორც წარმატების, ისე წარუმატებლობის მიზეზები. რაც შეეხება იმას, რომ „კოლოკოლის“ მამხილებელი მხარე თავისი რამდენადმე სამარცხვინო ხასიათით მოსწონდათ ჩვენს ნოზდრევეებსა და კომპანიას, — ვფიქრობ ამაზე არც ღირს ლაპარაკი: მართალია, იყო გამონაკლისებიც, ზოგიერთ თქვენს მკითხველს მოსწონდა აურზაური, ან მხოლოდ მარტო აურზაური, მაგრამ ამისთანა ვაჟბატონები, შედარებით მკითხველთა მასთან, ძლიერ ცოტანი იყვნენ, სწორედ ისევე, როგორც აგრეთვე მეტად ბევრნი არ იყვნენ ისკანდერის ყოყლოჩინურ-ჭკუამახვილური სტილის განსაკუთრებული პლატონური თავყანისმცემლები. ყველა ეს მკითხველი სრულიადაც არ შეადგენდა უმრავლესობას, ისინი მცირე გამონაკლისნი იყვნენ.

თქვენ მეორე გვარის მკითხველებიც გყავდათ: ეს ახალი თაობაა, რომელშიც გამჭდარი იყო აზრი საზოგადოებრივი ინიციატივისა და თვითმოქმედების აუცილებლობაზე; იგი არ იყო თქვენ მიერ დაკმაყოფილებული, მიიღეთ ეს ცნობად. თქვენი საგამომცემლო საქმიანობა მათთვის ელვის გაკვესება იყო, რომელიც დროდადრო მათზე ჩამოწოლილ შავ ღრუბლებს აშუქებდა და აცისკროვნებდა; იმის მაგიერ, რომ მათში ჩაგენერგათ მუდმივი ძალა, თქვენ დროდადრო სხვადასხვა მრავალი მიზეზის გამო მთელმხარე

მათ ენერგიას აღიზიანებდით და სულ ეს იყო. იმისათვის, რომ ეს თაობა თქვენით სრულიად დაკმაყოფილებული იყოს, საჭიროა, რომ მთელი თქვენი ძალა, ცალკეულ გამოკრთომათათვის ერთიანობისა და კავშირის გარეშე გაუფლანგავად შეერთდეს ერთ მწყობრ მთლიანობაში და იქცეს მუდმივ შუქურად, რომელიც გზას გაანათებს ცოტადთუბევრად ბრჭყვიალა ციმციმით კი არა, არამედ თანაბარი შუქით.

მკვდართა დამარხვა მკვდრებს მიანდეთ. უმრავლესობის სახესა და სხეულზე იმდენი ლიბი ჭუჭყია, რომ იგი ისე შეიძლება ხელიდან გაგიცურდეთ, როგორც 1863 წ. თქვენი ძალა,—თუ კი გასურთ გქონდეთ იგი, — მდგომარეობს ახალგაზრდა თაობაში, დააკმაყოფილეთ იგი და თავმდები ვიქნები, რომ თქვენ შეგეძლებათ მაშინ იმისი ისეთი იმედი იქონიოთ, როგორც კლდინი მთისა.

დააკმაყოფილოთ, მაგრამ როგორ? ამისათვის საჭიროა არა მხოლოდ „ისტორიული მონოგრაფიები“ და „თეორიული სტატიები“, არამედ, უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად, ასე ვთქვათ, „ს ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ე ბ ი“, რომელთა ბეჭდვა რუსეთში შეუძლებელია. მონოგრაფიები შემდეგ უნდა, რომლებიც შეავსებენ და განმარტავენ ზოგადი თხზულებების სუსტ ადგილებსა და ხარვეზებს. ცალკეული მონოგრაფიებით დაწყება კი ნიშნავს გზის ხანდახან განათებას, რაც მცირედით იქნება განსხვავებული ახლანდელი უკუნისაგან.

მე მესმის, რომ თქვენ თქვენი ძველი მკითხველების მოხმობა გასურდათ; მე ვიცი, რომ თქვენ ამაში წარმატება გექნებათ, რადგან ისინი დიდი ხანია ელოდებიან პირველ ნაბიჯს. თქვენი თავქარიანი საყვარელი — საზოგადოება გებუტებათ ალერსის მოლოდინში, გაილიმეთ—იგი გადაგეხვევათ თქვენ... რომ ერთხელ კიდევ ჩაეხუტოს მთავრობას ანუ კატკოვს.

განა თქვენი მხრით უკეთესი, უფრო კეთილგონიერული არ იქნებოდა სულაც გაპყროდით მათ, როცა თქვენს უკან დგას ერთგული, კ ა ნ ო ნ ი ე რ ი მეგობარი — მთელი ახალი თაობა, ყოველთვის კეთილშობილი თავისი სიმპატიებითა და მოქმედებით. როგორ ფიქრობთ, ვინ უფრო მეტად ერთგულია? ჩაიხედეთ აბა „წერილებში მოწინააღმდეგეების მიმართ“ და განსაკუთრებით „მეორე წერილში“⁶⁰.

აქ მაინც კიდევ საჭიროა წინასწარ თქმა: მე სრულიად ვეთანხმები „მეორე წერილის“ აზრს. მართალია, რომ

Тот, чья жизнь бесполезно разбилась,

Может смертью еще доказать,

Что в нем сердце не робкое билось,

Что умел он любить и страдать...⁶⁰

მაგრამ, რომ სიკვდილი იცოდეს, კიდევ არაა საკმარისი, უნდა იცოდეს თვით სიცოცხლის სარგებლიანად მოხმარება, რასაც მინცა დაშინც ძლიერ არ ვამჩნევ ჩვენს ახალგაზრდა თაობას... მაგრამ აქ კვლავ დავუბრუნდეთ ძირითად ბოროტებას. ჩვენი ახალგაზრდობა ინსტიქტით მოქმედებს, რადგან გაუვალ უკუნში, რომელშიც იგი იმყოფება, სხვაგვარად თითქმის შეუძლებელია მოქმედება. ბრალი მინც ედება შუქის უკმარისობას, ანუ, უკეთ, იმას, ვისაც შეუძლია გზის განათება (მაგრამ) ამაზე უარს ამბობს.

ახლა თქვენი ჭერია ამას ჩაუფიქრდეთ...

იცით რად გეკითხებოდით თქვენ კლუბზე? თუ მასში მოიძებნება ხუთი-ექვსი ახალი ბუნების კაცი, მაშინ მათგან, რაც გნებათ, ყველაფრის გაკეთება შეიძლება. მაგალითად, ერთს დაავალდებთ ამის-დაამის ნარკვევის დაწერას, დაუსახავდით ამისთვის საფუძვლებს, მიუთითებდით წყაროებს ან საერთო და მთავარ იდეებსაც კი მისცემდით, მეორეს—მეორეს და ა. შ. საუბრით, ე. წ. კამათითა და სხვა თქვენ შეგიძლიათ შესანიშნავი თანაშემწეები გაიჩინოთ და ყველაფერი ეს უნაყოფოდ არ ჩაივლის. გაქვთ თქვენ ამგვარად საქმის წაყვანის იმედი თუ არა?

ჩემს მაგიერ ხელი ჩამოართვით ბატ. გერცენს მისი წერილისათვის „წერილი მოგზაურის მიმართ“.⁶¹ მოგვეცით ამგვარი სტატიები, ალექსანდრ ივანოვიჩ და რაც შეიძლება სპირად!

გულწრფელი პატივისცემით ვრჩები ნ. ნიკოლაძე

P. S. გუშინ დამავიანდა წერილის ფოსტაში გადაცემა და, ამით ვისარგებლე და გადავიკითხე; ვფიქრობ, რომ მეტად ავცილი ჩვენი მიმოწერის საგანს: გერცენის „წერილზე“ მე ვწერდი, რომ, ნუთუ იგი ჭერ კიდევ ვერ განიხიბლა მის უდიდებულესობაში. მე ვაყენებდი ასეთ საკითხს და ოდნავადაც არ ვეჭვობდი გერცენის ასეთ სიბრძნევას; შემდეგ მე ვამბობდი, რომ ამ „წერილმა“ შეიძლება ბევრი დააბნიოს. თქვენ ძლიერ კარგად იცით, რომ ახლანდელი ტერორი რუსეთში არ შეიძლება გაგრძელდეს, იგი უნდა მოცილებული იქნეს მურავიოვისა და კატკოვთან ერთად. მაშინ „უმრავლესობა“ იფიქრებს, რომ „აჰა, დიდება ღმერთს, ეხლა ყველაფერი კარგად იქნებაო“. ერთმა უბრალო ფაქტმა, რომ ისკანდერმა კვლავ მისწერა წერილი ხელმწიფეს, შეიძლება უმეტესობაში შემდეგი ფიქრი ვაპოიწვიოს: „თუ ისკანდერი, ადამიანი და სხვ. და სხვ., არ იღლება იმე-

დოვებდეს, სთხოვოს და იცდიდეს, ჩვენ, მით უფრო, არა გვაქვს რა ასაჩქარებელი“. ასეთი ფიქრი სრულიადაც არ შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი თვითმოქმედების გამოფხიზლებას, რის შემზადებასაც უნდა ემსახურებოდეს „კოლოკოლი“. თუ გერცენი ამ შემთხვევაში არ იქნებოდა პოერიო, სამაგიეროდ იგი ბევრს დაეხმარება რუსეთში ასეთი უბედური როლი გაითამაშოს.

რატომ წუხდებით ჩემთვის „კოლოკოლის“ გამოგზავნით? ეს სრულიად ზედმეტი ხარჯია საფოსტო მარკებისა; მე რიშელიეს ქუჩასთან ახლოს ვცხოვრობ და შემძლია ჰეროლდთან შევლა. თორემ თქვენ მეტად მანებივრებთ.

16. [წერილი ობარეჰს]

Paris, 4ⁿ, rue de Seine

22 ივლისი 1865

ჩემდა მეტად სამწუხაროდ იძულებული ვარ ვილაპარაკო ჩვენს მიმოწერაზე, რომელსაც თქვენ სულგრძელობით პოლემიკა უწოდეთ;⁶² მე ის აზრი მამშვიდებს, რომ ამ ხასიათის ეს წერილი უკანასკნელი იქნება.

თქვენ სახელმწიფო გამოგყავთ ძალად, ეს „მათთვისაც ცნობილია, ვისაც ეს ჭეშმარიტება კაზემატებში არ შეუთვისებია“. მაგრამ, თქვენი წერილის განვითარება აუცილებლად მიდის შემდეგი დასკვნისაკენ. რადგან მთავრობა ძალაა, რომელიც *ex professo* ცრუ მოქმედებისათვის არის განკუთვნილი და რადგან მასთან ერთად სიარული შეუძლებელია, მაშ საჭიროა სიარული მის საწინააღმდეგოდ. ამ გზაზე მთავრობის ცრუ მოქმედება მის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას ყოველ ნაბიჯზე ახალსა და ახალ ძალას შესძენს.

მე ვფიქრობდი, რომ მემკვიდრის სიკვდილი⁶³ გამოიწვევდა მცირე, წმინდა ფიქტიურ შერბილებას იმ რკინის წესრიგისა, რომელიც 1861 წლიდან რუსეთს ტვირთად აწევს. მე ვფიქრობდი და ვფიქრობ, რომ საჭიროა სულ მცირე ბიჭვი იმისათვის, რომ მთავრობამ გვერდზე გადასდოს ეშაფოტი და ხელი მიჰყოს ფრანგული სისტემის გაუმჯობესებულ ფორმებს. ერთი სიტყვით, გაცვეთილი გამოთქმა რომ ვინმართ, — იგი რომ ვაცივილიზირდეს, საჭირო იქნება რაიმე სულ უბრალო საბაბი. მე არც მიფიქრია სასჯელის აუცილებლობა დაუინებით დამეცვა. ამაზე ლაპარაკი სასაცილოცაა. მე მინდოდა, რომ სასჯელის შეჩერებას და სასჯელის ცივილიზებული სისტემის მოქმედებაში წვეთწვეთად შეყვანას არ გაეწბილებინა ჩვენი საზოგადოება და განსაკუთრებით, ჩვენი ახალგაზრდობა. მე ვიმედოვნებდი, რომ „კოლოკოლი“ იტყოდა: „ბოლოსდაბოლოს, მთავრობა, რომელიც აღმაშფოთებელი უსამართლობისა და ველური სისხლისმსმელობის ჰერკულესის სვეტებამდე მივიდა, შეჩერდა,

რადგან მას მეტი გზა აღარ ჰქონდა და აღარც იყო სხვა რაიმე გზა“.

განა ეს ჰემმარიტების შესაბამისი არ იქნებოდა? თორემ უამისოდ მე რა მესაქმება, სჯერა თუ არა ისკანდერს მეფის ადამიანური ბუნება? ამაში მთავარია საზოგადოების დარწმუნება, რომ უკეთესისაკენ მობრუნების შემთხვევაში ის არაა დავალებული ხელმწიფის კეთილი სურვილისაგან, რომ ცვლილება ხდება სრულიადაც არაკეთილი ხელმწიფისაგან და, რომ, ბოლოსდაბოლოს, შემდეგ ცვლილებებს უნდა ველოდეთ საზოგადოებრივი თვითმოქმედებისაგან და არა უმაღლესით... მე ვფიქრობ, რომ თუ ყველაფერს დროის მდინარებას მივანდობთ, მაშინ, რასაკვირველია, ყველაფერი საყოველთაო სიკეთით დასრულდება... ასე, თათასი თუ ორიათასი წლის შემდეგ. მე, რასაკვირველია, სრულიად თანახმა ვარ, რომ ისტორიული პროგრესის მსვლელობა და განვითარება აუცილებელია, რომ ესენი თქვენგან განზრახული მიზნისაკენ მიდიან, მაგრამ, მით უფრო ეს ხომ სრულიადაც არ გაძლევთ თქვენა და ყველა ნიჭიერ ადამიანს უფლებას უარი თქვათ საზოგადოებრივ განვითარებაში მონაწილეობის მიღებაზე, რომ ამ უზარმაზარ სამუშაოში არ იკარგება სრულიად წვრილმანი გაკვეთილები სრულიად უმნიშვნელო მოღვაწეებისა. ხოლო, თქვენი წერილის იმ ნაწილით, სადაც ლაპარაკობთ, რომ საზოგადოების ერთმა ნაწილმა იცის რა აკეთოს, ხოლო მეორეს არაფრის გაკეთება არ შეუძლია, თქვენ, მგონია, ადასტურებთ სწორედ ახლა შემჩნეულ უცნაურობას. მაშინ რაღა საჭიროა „კოლოკოლის“ გამოცემა ან ლაპარაკი. საერთოდ, რაღა საჭიროა ყოველგვარი მოღვაწეობა? აკი ყველაფერი პროგრესის გზით წავა, რაც წარსული სიცოცხლიდან გამოდის, ხოლო ხალხს აკი ვერ გამოასწორებთ.

თქვენი სტატიის ამ ნაწილს მე ვხსნი მხოლოდ იმ სურვილით, რომ გინდათ გამოიყენოთ მოხერხებული პოლემიკური ხერხები. სხვაგვარად მე მისი გაგება არ შემიძლია. მე არ შემიძლია, ამის გარდა, გიპასუხოთ ბეჭდვით და არც მინდა, რადგან ჩვენი პოლემიკის კვანძის გახსნა თქვენს სასარგებლოდ დამთავრდებოდა იმის გამო, რომ ჩემი მხრიდან შეუძლებელია ჩემთვის სასარგებლო არგუმენტები გამოვთქვა. მაგალითად, ხომ არ შემიძლია ბეჭდვით ვთქვა, რომ ახალგაზდობის უმეტესობა განუვითარებელია, რომ მას სჭირია არა მხოლოდ ხელმძღვანელობა, არამედ რჩევაც, წაქეზებაც და მეტად ხშირად, სილის გარტყმაც. ყველა ამის თქმა ერთი მხრით იქნებოდა საკუთარი ყელის გამოჭრა, ხოლო მეორე მხრით — ახალი მოძ-

რაობის მოწინააღმდეგეთათვის მიგვეცა დაცუნისა და ტაკი-მასხრობის საბაბი, მიგვეცა მათთვის შესაძლებლობა თქვენი ნდობის ძირის გამოთხრისა, ესე იგი იმ ადამიანთა ნდობისა. რომლებიც მათი ხელების აზრის მოძრაობის სათავეში დგანან. მეღიების მთელი ხროვა და მათი მეთაური კატკოვი კი ახალგაზრდობას უმღერებდა: „შეხედეთ რა საცოდავი შეხედულებისანი არიან თქვენზე თქვენი მეთაურები, ის ხალხი, რომლებიც გიბრძანებენ მიიღოთ წამება და წახვიდეთ კატორღაში“ და ამისი მსგავსი სხვა რამ. რასაკვირველია, ეპვი არაა, რომ საუკეთესონი, ნათელი ბუნების მქონენი, მიხვდებიან ამ ტაკიმასხრობის მთელს საზიზღროებას, მაგრამ, რამდენი მოიძებნება იმისთანა ადამიანი, რომელიც მოქმედების სხვა საშუალებების გამოყენებისას შეძლებდნენ საქმისათვის რაიმე სარგებლობის მოტანას, იმის მაგიერ, რომ მის მტრად გადაქცეულიყვნენ მედიდურობისა და წერილმანი თავმოყვარეობისათვის? ასეთ შემთხვევაში მე საჭიროდ მიმაჩნია, შესაძლებლობის ფარგლებში, დავიცვა გარკვეული *inénagement*-ი, უფრო მეტად და უფრო მეტი სამართლიანობით, ვიდრე თქვენ დოლოგორუკისთან ერთად.

აქედან მე გადავდივარ ჩემი პიროვნების პატარა საკითხზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემ სურვილებს ეწინააღმდეგება. სიტყვის ეს წაცდენა თუ ჩამატება გამოწვეულია თქვენი პოლემიკური ხერხით, რომელიც, უნდა ითქვას, სრული გამარჯვებით აგვირგვინებს თქვენს წერილს: თუ ფიქრობთ, რომ ცნობილი პოლიტიკური წყობილება შეუთავსებელია საზოგადოებრივი წყობის განვითარებასთან, მაშ უნდა იყო ევროპული რევოლუციის გარეგანი მხარის ზერელე თაყვანისმცემელი. მაშინ, მაგრამ მხოლოდ მაშინ. ჩამთვალეთ რევოლუციის არტიტად. ყველა დანარჩენში მე იმდენადვე მძაგს საზღვარგარეთელ რევოლუციონერთა უმსგავსოება, რომელნიც ხსნას ნაფიცი ფორმულებისა თუ ღვევიზების ან დინასტიების, თვით მონარქიული სისტემის რესპუბლიკურით შეცვლაში ხედავენ, რამდენადაც მეზიზღებიან ჩვენი შინ ნაზარდი რევოლუციონერები, რომელნიც მიისწრაფვიან მოახდინონ სოციალური რეფორმა მიწის სათემო მფლობელობის მოსპობითა და მიწის კერძო მესაკუთრეობის შემოღებით.

თქვენ ხედავთ, რომ საქმე წვრილმანებს შეეხება. ისკანდერის „წერილის“ ძირითადი საკითხი კი ჩვენს შორის საკმაოდ გამორკვეულია, ყოველშემთხვევაში — ასეთია ჩემი აზრი.

მე არ ვიცი როგორ ჩამოვართვა ხელი ბატონ გერცენს მისი ახალი „წერილების“ გამო. მართალია ისინი ვერ გაუსწორდებიან „წერილებს საფრანგეთიდან და იტალიიდან“⁵⁴, მაგრამ მაინც დაეხმარებიან რუს საზოგადოებას საკითხის გარკვევაში. ვფიქრობ, რომ ესაა ყველაზე მთავარი.

გულწრფელად თქვენი პატივისმცემელი

ნ. ნიკოლაძე

17. ჩვენი მომავალი ვეჩილები გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ სამსჯავროს წინაშე.

მოქალაქე პოდშევალოვის მკვლელების სისხლის სამართლის წესით გასამართლების გამო, რომელიც მოსკოვში მოხდა ამა წლის მაისის 29-ს, „მოსკოვსკიე ვედომოსტიმ“ ივნისის 22, Premier Moscov-ში მოათავსა პატარა წერილი იმის შესახებ, თუ რანაირი უნდა იყოს ჩვენი მომავალი ვეჩილების მოღვაწეობა. ამ საკითხს მეტად დიდი პნიშვნელობა აქვს ჩვენი ახალი თაობისათვის, რომელსაც, როგორც ცნობილია, გულთან მეტად ახლოს მიაქვს ვეჩილობა და აპიტომ დარწმუნებული ვართ, ჩვენი მკითხველები არ დაგვემდურებიან, თუ ამ საკითხის უმთავრეს ნაწილებს მოკლედ განვიხილავთ.

იურიდიულ პრაქტიკაში ბრალდებულთა სამოსამართლო დაცვის ორი საშუალება არსებობს: სამართლიანობისა ანუ ცოტად თუ ბევრად შედარებითი ჰუმანარიტების საფუძველზე, ე. ი. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, ადამიანობის გრძნობის საფუძველზე და ამა თუ იმ კანონის მუხლის. ან საერთო ხასიათის საფუძველზედ. ვთქვათ, მაგალითად, X-მა ერთი გირვანქა პური მოიპარა იმიტომ, რომ მას შიოდა, იმიტომ, რომ მუშა ხელის სიუხვისა და სამუშაოს სიმცირის გამო, მას სამუშაო არ ჰქონდა და თავის რჩენა მხოლოდ ქურდობით, ან სხვა რომელიმე არა ნაკლები უკანონობით შეეძლო. ცხადია, X-ის გამართლების შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლება, თუ საქმეს კანონების თვალსაზრისით შევხედავთ: ამა და ამ კოდექსის ესა და ეს მუხლი ფორმალურად კრძალავს ქურდობას, ესა და ეს მუხლი კი ამა და ამ სასჯელს აწესებს. რაკი გამოირკვევა, რომ ეს დანაშაულობა ჩადენილია, მოსამართლეებმა ბრალდებულს კანონით დაწესებული სასჯელი უნდა დაადონ, ვეჩილს კი კანონების საფუძველზე მხოლოდ საბუთების მოყვანა შეუძლია სასჯელის შესამსუბუქებლად — ან კანონების ორაზროვნებას გამოინახავს, ან რომელსამე ხრიკს გამოიგონებს. ასე ხდება უმეტეს წილად ინგლისში, და, ცხადზე უცხადესია, ჩვენს სახელგანთქმულს „ინგლისურ აზრთა და მოს-

კოვერ საფუძველთა მოციქულს“ უნდა მოეთხოვა, რომ ჩვენებური
ვექილები ამ გზას გაჰყოლოდნენ.

მაგრამ კაცს რაც უნდა სუსტად ჰქონდეს შეგნებული ადამიანის
ბუნების აუცილებელი მოთხოვნილებანი, მისთვის ცხადია, რომ
ასეთ საქმეებში სიტყვა უნდა ეკუთვნოდეს სხვა რამეს და არა კანონიერების
ვიწრო ცნებას. თუ კაცი დოქტრინიორობის ჯურღმულებში არ დახვედრულა და არ
შთანთქმულა, მისთვის დღესავით ნათელია შემდეგი: ყოველთვის, როცა ერთმანეთს შეეჯახება, ერთის
მხრით, ცალკე ინდივიდების ინტერესები, მეორეს მხრით, საზოგადოების
ინტერესები, მაშინ კანონზე მალა, — რომელიც არამც თუ
სრულყოფილი არ არის, არამედ ცოტად თუ ბევრად უსამართლოა
ყველა არსებულ სახელმწიფოში, — უნდა იდგეს ქეშმარიტება და
სიმართლე; ეს ქეშმარიტება და სიმართლე დამოკიდებული არაა არა-
ვითარ კანონდებულებაზე, თუნდაც იგი შედგენილი იყოს „ხელმწიფე
იმპერატორის ნიკოლოზ I-ის ბრძანებით“, თუნდაც მასზე ხელი
მოწერილი ჰქონდეს ინგლისის თვითმმართველობისა და რუსულ-თა-
თრული ბატონყმობის ზამოსკვორეჩიელ დამცველთა არეოპაგს.
დანაშაულობათა დიდ უმრავლესობას საუკეთესოდ უდგება შემდეგი
საერთო წესი; არ არსებობს მოქმედება უმიზეზოდ, ე. ი. დანაშაუ-
ლობა ხდება ინდივიდის განვითარებისა ან მისი ცხოვრების არახელ-
საყრელი პირობების ზეგავლენით; მაშასადამე, დანაშაულობის აღ-
მოსაფხვრელად საჭიროა მოისპოს მძიმე და დუხჭირი პირობები,
რომლებიც დანაშაულობას ჰქმნიან და ძალიან ხშირად აიძულებენ
ადამიანს დანაშაულობა ჩაიდინოს, საფრთხეში ჩააგდოს საკუთარი
თავისუფლება, ქონება და ხშირად სიცოცხლეც. ახალი მაგალითი
რომ არ მოვიყვანოთ, ავიღოთ იგივე X ვექილი, რომელსაც შეგნებუ-
ლი აქვს თავისი მოღვაწეობა. შეგნებულად მიდის თავისი გზით და
მიზნად ისახავს დანაშაულობათა შესაძლებლობის აღმოფხვრას, ამ
შემთხვევაში მარტო X-ის გამართლებას და კანონის ბრმა სიმკაცრი-
საგან დახსნას არ ეცდებოდა. უფრო დიდი მნიშვნელობა იმასა აქვს,
რომ დანაშაულობის მთავარი მიზეზებისა და ამ დანაშაულობის პი-
რობების გამორკვევით ხელს შეუწყობდა ისეთი მდგომარეობის შექ-
მნას, როცა პატიოსანი მუშაყნი იძულებულნი არ იქნებიან სამარცხ-
ვინო საქციელი ჩაიდინონ სამუშაოს ნაკლებობისა, ან ხელფასის
სიმცირის გამო. ხოლო ასეთი სარგებლობის მოსატანად ყველაზე
უფრო უკეთესი და ნაყოფიერი ის იქნებოდა, რომ გამოერკვია ამჟა-
მად არსებული წესების ნაკლოვანებანი და შეცდომები, რომლებიც
კაცს ყოველ წუთს ხვდება სასამართლოში გამართული მსჯელობის
დროს და რომლებიც გამომდინარეობენ, ასე ვთქვათ, როგორც

თვით საქმის ვითარებიდან, ისე თითქმის ყველა მისი ნაწილიდან. უექველია ასეთ სარბიელზე არა ერთხელ და ორჯელ მუჯღუგუნი მოხვდება თანამედროვე კანონებსაც და, მაშასადამე, კანონიერება-
ააც.

მართლაც, იოლი რამ არის ეს კანონიერება!

„მოსკოვსკიე ველომოსტი“ ახლა მას თავგამოდებით იცავს, მაგრამ ეს გაზეთი, ან უკეთ რომ ვთქვათ, მისი რედაქტორები ხომ ებრძოდნენ კანონიერებას, როდესაც გრძნობდნენ, რომ კანონიერება და სამართლიანობა ერთი და იგივე არაა და რომ ამ ორ ტერმინს შორის გათხრილი იყო უდიდესი უფსკრული, რომელსაც ბატონყმობა ეწოდებოდა? ახლა ამ ვეებატონებს უკვე აღარ სურთ შეიგნონ, რომ ბატონყმობის საკმაოდ ორაზროვანი და თანაც მეტის-მეტად უსამართლო გადაჭრის გარდა, ჩვენს ცხოვრებაში კიდევ არსებობს ათასნაირი პოლიტიკური, ეკონომიური, საზოგადოებრივი, ოჯახური და, ვინ მოსთვლის, რამდენნაირი უსამართლობა. ისინი ცდილობენ განამტკიცონ და სამარადისო ხელუხლებლობის ბეჭდით აღბეჭდონ თანამედროვე წყობილება; რაკი მას უკვე წმიდათა-წმიდის ხასიათი მისცეს, ცდილობენ საზოგადოებას ჩაუნერგონ ის აზრი და გრძნობა, რომ იგი კანონიერია. მაგრამ კატკოვის წინა პერიოდის (მოგვიტევეთ ასეთი გამოთქმა) პირთათვის ბატონყმობაც თავისებურ წმიდათა-წმიდას წარმოადგენდა, იგი კანონიერებად (რასაკვირველია, მათის აზრით) უნდა მიჩნეულიყო; მაშ „მოსკოვსკიე ველომოსტის“ ბატონი რედაქტორები რატომ წმიდათა-წმიდის შებლაღვად არა თვლიან თავის ჭვაროსნულ ლაშქრობას ამ ინსტიტუტის წინააღმდეგ? პოი, ბ. კატკოვო, რატომ არ დაინდეთ ეს წმიდათა-წმიდა, რატომ ჩაეციოთ მას თქვენი „რუსკი ვესტნიკისა“ და მთელი თქვენი პატიოსანი სალიტერატურო მოღვაწეობის ლახვარი და რატომ ახლა არ გსურთ შეიწყნაროთ ის აზრი, რომ სხვებს შეუძლიათ კიდევ გამონახონ ცოტაოდენი უსამართლობა იმაში, რაც თქვენ წმიდათა-წმიდად მიგაჩნიათ?

თქვენი წმიდათა-წმიდა ჩვენი არ არის; ჩვენ მასში იმდენ უსამართლობასა, სისხლის მსმელობასა და ველურობას, უაზრობასა და საზიზღრობას ვხედავთ, რომ თვით ბატონყმობაც კი მხოლოდ კერძობით მოვლენად მიგვაჩნია ამ ყოველგვარი უსამართლობისა, სიძალბისა და შეცდომების მორევში. და რადგანაც თანამედროვე საზოგადოებრივი სიღუბნის მთელი ამ ქაოსის მოსპობისა და მის ნაცვლად სამართლიანი და სწორი წყობილების დამყარების საუკეთესო საშუალებას, ყველას აზრით, ის წარმოადგენს, რომ გამოირკვეს, როგორც თანამედროვე, ისე შეძლებისამებრ საუკეთე-

სო საზოგადოებრივი წყობილების მთავარი ხასიათი და თავისებურებანი, ამიტომ ჩვენთვის სრულიად გასაგებია, თუ თქვენ წელზე ფეხს იდგამთ და ცდილობთ, რომ პირველსავე სიტყვაზე კლიტე დააღოთ ჩვენი მომავალი ვეჭილების ისედაც უწყინარსა და მოკრძალებულ ენას.

საზოგადოებრივი ცხოვრება ყველგან ისე ეწყობა, რომ როდესაც საზოგადოებრივი მოღვაწეობის ზოგიერთი დარგი მოკლებულია თავისუფლებას, ან მოქმედების საშუალებას, საზოგადოებრივი ძალები გზას იკაფავენ და მუშაობენ სხვა, მათთვის ხელმისაწვდომ დარგებში, სადაც კი მოღვაწეობა შესაძლებელია, ან სადაც უფრო მოხერხებული და ნაყოფიერია. ამ მხრით შედარებისათვის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მცენარეთა ცხოვრება: როდესაც რომელიმე მცენარე მოკლებულია თავის ყლორტებს, ამ ნაწილის მასაზრდობელი წვენი მცენარის დანარჩენ ნაწილს ასაზრდოებს და ამგვარად აძლიერებს, გადაქარბებითაც კი აძლიერებს მის განვითარებას. ჩვენთვის საინტერესო საკითხის მიმართ ეს საერთო წესი შეგვიქალია ასე განვმარტოთ: როცა ბექდვითი სიტყვის თავისუფლება არ არსებობს, როცა თავის მოყრა და საზოგადოებრივი კრება აკრძალულია, როცა არ არსებობს ის, რასაც პოლიტიკურ ენაზე „ტრიბუნა“ ეწოდება, მაშინ ადვოკატურა, თუ მთლიანად არ შთანთქამს, თვალსაჩინოდ მაინც მიიზიდავს ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეებს და ყველას, ვინც მისთვის ოცნებობს; იგი შეძლებს სამებრ კეთილმოქმედებად გადაიქცევა, ან ბექდვითი სიტყვის, კრების და ტრიბუნის მაგიერობას გასწევს. ჩვენ ოდნავადაც არ ვაჭარბებთ ადვოკატურის მნიშვნელობის შეფასებაში; პირიქით, გაცილებით უფრო მცირედ ვსახვთ ჩვენი საზოგადოების მოლოდინს, და, რასაკვირველია, არც ჩვენზეა დამოკიდებული ადვოკატურის ძალ-ღონის სიმცირე, ან სიდიდე. „მოსკოვსკიე ვედომოსტიმ“ კარგად იცის ჩვენი ვარაუდი ჰემშარიტება ამ საკითხში, ამის საუკეთესო დამადასტურებელია მისი წერილის კილო. ამ წერილის ავტორი დიდად ზრუნავს, რომ მომავალ ვეჭილებს ყოველგვარი სურვილი მოუკლას იმისა, რომ პოლიტიკურ პაექრობაში გაებან და სასამართლოში შეიტანონ ის გრძნობათა ღელვა, რომელიც ჩვენს საზოგადოებას დაუფლებია.

აქ საჭიროა დღის სინათლეზე გამოვიტანოთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ ერთი პატარა ხრიკი. „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ გატაცებულია სურვილით, რომ მომავალ ვეჭილებს მოუსპოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების საფუძველთა შერყევის ყოველგვარი საშუალება და ამიტომ პარალელი გაჰყავს ორი ტიპის ვეჭილებს შორის: სე რ ი ო ზ უ ლ ი (იგულისხმე ინგლისელი) ვეჭილები,

ამბობს წერილის ავტორი, გატაცებული არ არიან რიტორობით და საკითხს ერთის თვალსაზრისით არკვევენ — მიუღდება თუ არა ესა თუ ის დანაშაული ამა თუ იმ კანონს, მართლაც აქვს თუ არა რომელსამე მუხლს ის აზრი, რომელსაც მას პროკურორი მიაწერს; ამგვარად, ასეთი ვეჭილი ბრალდებულს „კანონების მიხედვით“ ამართლებს. უ ა ზ რ ი ვ ეჭილები კი (იგულისხმე ფრანგი ვეჭილები. რათ სწამებს მათ ცილს წერილის ავტორი?) ამის ნაცვლად რიტორიულ ფრაზებს ხარჯავენ, ცდილობენ იმოქმედონ მსაჯულებისა ან საზოგადოების ჰუმანურობაზე და... აქ ავტორი ხმას დაბლა უწევს და დასძენს... შეარყიონ სოციალური და სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძვლები. ამ მიზნით, დაასკვნის ავტორი, ისინი რიტორობას მიმართავენ და მხოლოდ ფრაზიორებს; რიტორებს და სოფისტებს წარმოადგენენო.

ჯერ ერთი, ეს სრულებით მართალი არ არის: ფრანგი ვეჭილების დიდი უმრავლესობა დამნაშავეებს ან ბრალდებულებს ისეთივე ღირსებით იცავენ, როგორც ინგლისელი „სერიოზული“ იურისტები; ინგლისშიც, როგორც ყური მოგვიკრავს, არიან „არასერიოზული“ ვეჭილები, რომლებიც ხშირად კანონების საფუძველს არყევენ. მეორე — საზოგადოებრივი რეფორმისათვის მეტბრძოლთა არევა რიტორებსა და სოფისტებში ისეთი საქმეა, რომელიც მთლიანად შეეფერება „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ ზნეს. მთელმა ქვეყანამ იცის, და თქვენმა უბედურმა მკითხველებმაც კი, რომ ის პირნი, რომლებიც ამხედრებულნი არიან თქვენი მოწონებული საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ, ფრაზებს კი არ ხარჯავენ, არამედ ფაქტებით გებრძვიან. საზოგადოების სამჯავროს წინაშე მათ გამოაქვთ ფაქტები, ფაქტები და კიდევ ფაქტები, შეულამაზებელი და ყოველგვარ სამოსელს მოკლებული; ყველამ იცის, რომ ამ სამოსელს, ე. ი. ფრაზებს, ფრაზებს და ფრაზებს, ანუ რიტორიკას, სოფიზმს თანამედროვე წყობილების დამცველნი შესითხნნიან ხოლმე, ე. ი. ისევ და ისევ თქვენ. საბუთები გნებაეთ?

თუმცა ძალიან გინდოდათ უბედურ მსხვერპლთა სახელდახელოდ გამოცხვარი დამცველის ბ. ზორინის დატუქსვა, მაგრამ თქვენ ის არ დატუქსეთ, თუმცა ცოტაოდნად უჯავრდებოდით და აგრძნობინეთ კიდევ თქვენი უკმაყოფილება იმის გამო, რომ ბ. ზორინი არაპირდაპირ ამხედრდა სამხედრო სასამართლოს კომპეტენტობის წინააღმდეგ. მაგრამ გვითხარით, თუ ღმერთი გწამთ, რატომ პირდაპირ, აშკარად და მიუკიბ-მოუკიბველად არ უსაყვედურეთ უაღრესად დაბალი ყალიბის ფრაზებისათვის, მაგალითად შემდეგი სიტყვებისათვის: „გაიხსენეთ ვიქტორ ჰიუგოს „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასას-

ჯელისა“, მეტადრე ამ დიდი ქმნილებების ადგილი, როცა მსჯავრდადებულს სიკვდილის განაჩენს უკითხავენ, ის კი ამ დროს მთელ თავის გულისყურს აქცევს და შეჰხარის მზის სხივს, რომელმაც საპატიმროს სარკმელს გამოათანა და საკნის კედელს ეთამაშებდა. იცით, რა? ჩვენ ისეთი ადამიანები ვართ, რომლებიც ვცდილობთ დაეარღვიოთ თქვენი წყობილება, ვცდილობთ, რაც შეიძლება მალე მივალწიოთ ამას; ჩვენ „არასერიოზულნი“, ეს კიდევ ცოტაა, უაზრონიც ვართ, მაშასადამე, სოფისტები და რიტორები, ასეა თუ არა? და აი, მოგახსენებთ: ისეთ რამეს, როგორიცაა ზემოთ ამოწერილი ტირადა, ჩვენ მქვერმეტყველებს თაიგულს კი არ ვუწოდებთ, არამედ მხოლოდ აბდაუბდას, რომელიც გონიერ ადამიანს არ ეკადრება. მაგრამ ბ. ზორინი, ზემოთმოყვანილი ამონაწერის მთქმელი, „სერიოზული“ კაცია (თქვენებურად); იგი ბრალდებულებს იცავდა არა პოლიტიკური მოსაზრებით, ან თანამედროვე წესების კრიტიკის გზით, არამედ მხოლოდ იმით, რომ აღნიშნავდა სამხედრო სასამართლოს არა კომპეტენტობას, თანაც დიდის მოკრძალებით და, გარდა ამისა, მოწყალებასავით თხოულობდა სამუდამო საკატორლო მუშაობას ბრალდებულთათვის. ყოველივე ეს გიჩვენებთ, რომ რიტორები ჩვენ კი არა ვართ და ჩვენი თანამებრძოლნი, არამედ თქვენ და თქვენი მოკავშირენი. თუმცა, თქვენ ეს ჩინებულად იცოდით ჩვენზე უფრო ადრე, მაგრამ მაინც არ ითაკილეთ ასეთი... აბა, როგორ გითხრათ, ასეთი მალაყის გადასვლა. ჩვენ ეს აღვნიშნეთ არა თქვენთვის, არამედ მკითხველისათვის. საქმესა და სიტყვაში ხმარებული ხერხი გვიჩვენებს მოღვაწეთა კეთილსინდისიერებას, რომელსაც გავლენა აქვს საქმის მიმდინარეობასა და განვითარებაზე; ადვილად გასაგებია, რომ ჩვენ დაუზარებლად ჩავებლაუჭეთ თქვენს ხრიკს, რათა თავშივე გაგვექარწყლებინა იგი. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, თუ შემდეგ რა გზას დაადგებით ადვოკატურის განვითარების შესაჩერებლად. თქვენი საუნივერსიტეტო დოქტრინიორობა, თქვენი სასკოლო კლასიფიკაცია ვეჭილებისა, თქვენი ბილეთები წარწერით „სერიოზული“ და „არასერიოზული“, ყოველივე ეს ცალ-ცალკე და შეერთებულად საუცხოოდ შეეფერება თავის სათავეს და ამასთანავე ერთად საშუალებას გვაძლევს თითქმის უტყუარად განესკვრიტოთ თქვენი მომავალი გზა თქვენთვის არ ახალ სარბიელზე— დამბეზლებლობისა და საზოგადოების მომტყუებელის სარბიელზე.

„მოსკოვსკიე ვედომოსტის“ იერიშები მიმართულია არა იმდენად რიტორობისა და სოფიზმის წინააღმდეგ, რამდენადაც იმ მომავალი ვეჭილებების წინააღმდეგ, რომლებიც ეცდებიან — ხალხის დასანახად გამოჰკიდონ ჩვენი საზოგადოებრივი წყობილებისა და კანონმდებ-

ლობის სავალალო და არა ადამიანური მხარეები. „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ სურს, რომ პოლიტიკური და სოციალური გრძნობათაღელვა არ გასცილდეს სასამართლოს კედლებს, რომ ყოველივე იმან, რაც კი ადამიანის გულისყურს იზიდავს, რაც კი აწვითებს და აღელვებს მას, გზა ვერ გაიკვლიოს და ვერ გაიქაჟანოს სამსჯავროს პაექრობაზე, ერთი სიტყვით, ვეჭილი პოლიტიკურ ორატორად და ჟურნალისტად ვერ გადაიქცეს. ასეთი სურვილი საკმაოდ თანამიმდევრობითია „მოსკოვსკიე ვედომოსტისათვის“, მაგრამ ვაგლახ! ადვილად ასასრულებელი ვერ არის, რადგან ზოგადი კანონი, -- რომელიც „კანონთა კრებულში“ შეტანილი არაა და რომელიც ამის მიუხედავად გამოწვევისა და გზის გადახვევას არ იწყნარებს. -- გვეუბნება, რომ ჩვენში ვეჭილი გადაიქცევა იმად, რის დანახვაც ბ. კატკოვს არ სურს. ის ვეჭილად და მხოლოდ ვეჭილად დარჩება მაშინ, როცა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება საშუალებას მისცემს დაურიდებლად გამოსთქვას თავისი აზრები ჟურნალებსა და ბროშურებში. როცა თავისუფლება კოებებისა და საერობო კრების პოლიტიკური ტრიბუნისა საშუალებას მისცემს მას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმეებზე ილაპარაკოს სასამართლოს გარეშე და მონაწილეობა მიიღოს საერთო სახელმწიფოებრივი საქმეების ხელმძღვანელობასა და გარკვევაში. გამოტყდით, რომ ყოველივე ეს თქვენისა და თქვენი მთავრობის, მეტადრე თქვენი საიმპერატორო კარის არსებობის დროს ხალასი უტოპიაა.

რაც უნდა ჩაიდინოთ თქვენ და თქვენმა მთავრობამ, უეჭველია. საჯარო სასამართლო, თუ კეთილსინდისიერი და ცოტად თუ ბევრად უნარიანი ვეჭილები იქნებიან, მზის სინათლეზე გამოიტანს თანამედროვე სილუხჭირის თითქმის ყველა მხარეს ისე, რომ მისი ნამდვილი სახე დაგვანახოს და შეგვაზიზღოს იგი; საამისოდ სრულებით არ არის საჭირო მჭევრმეტყველება და რიტორობა, რომლებიც, როგორც ვიცით, გონებრივი უბადრუკობის საბურველს წარმოადგენენ. სასამართლო ხომ ჟურნალი არ არის: იგი, როგორც ექიმი, ან, როგორც, ძველად შინაური ხუცესი, ოჯახისა და კერძო ცხოვრების ყველა იმ კუნჭულში იყურება, რომელიც დაფარულია გარეშეთათვის და შესაძლებელია, მახლობელთათვისაც. ხოლო როდესაც საზოგადოების წინაშე გაჰქრება კულისები და შირმები. რომლებიც დღევანდლამდე ოჯახური უთანხმოების უდიდეს ნაწილს ჰფარავდა, როდესაც ყოველის მხრით და თანდათანობით გადაიშლება ოჯახურ სევდა-ნაღველთა და ტანჯვათა საილუმლოება, როდესაც ყოველი დღე შეგვძღვნის რამდენსამე გასაოცარ ფაქტს, რაც თითქმის ყოველთვის შეადგენს საზოგადოების არსებული მდგომარეობის აუცი-

ლებელ და ლოგიკურ შედეგს, როდესაც კეთილსინდისიერი და უნარიანი ვეპილები კეთილსინდისერად და პატიოსნად განმარტავენ ამ ფაქტებს, დააჯგუფებენ მათ და მოუნახავენ სათავეს, მაშინ საზოგადოება ყოველსავე ამას ძალაუნებურად მიიღებს „ცნობად, ხოლო საჭირო შემთხვევებში სახელმძღვანელოდაც კი“.

არავითარი ექვი არ არის, რომ ვეპილების საუკეთესო და უნიკიერესი ნაწილის მოღვაწეობა სწორედ ისეთი იქნება, როგორც ჩვენ ვამბობთ და რასაც, ცოტა არ იყოს, შეშინებული „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ მიმხვდარა: უნარსა და ნიქს სწორედ ის შეადგენს, რომ შეძლებისამებრ მარტივად, რელიეფურად და ყოველთვის სწორად დაგვიხატოს და გვიჩვენოს არა მარტო ფაქტები, არა მარტო ამა თუ იმ მდგომარეობიდან გამოყვანილი დასკვნები, არამედ ამ ფაქტების წარმომშობი მიზეზებიც, ამ დასკვნების გამოყვანის გზებიც; თუ ყოველ წუთს განმეორებული ფაქტების ერთ ჯგუფად თავმოყრა და მათი გამომწვევი მიზეზის გამონახვა მოხერხდება, თუ საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის მდგომარეობა ცხადყოფილი იქნება, მაშინ მარტო წარმოთქმული კი არა, არამედ გამოტანილიც იქნება სიკვდილის მკაცრი განაჩენი საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობის წინააღმდეგ.

მაშასადამე, „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ იდეათა მომხრეებისათვის სრულიად ზედმეტი იყო დაეწყოთ საჯარო სამსჯავროს საქიროების ქადაგება. ხოლო ჯებირის გარღვევის შემდეგ იმაზე უკეთესს ვერაფერს ჩაიდენენ, რომ თავი შეჰყონ ნარღვევში, ე. ი. უყოყმანოდ და უდავიდარაბოდ დაემორჩილონ საქმეთა საერთო მიმდინარეობას.

მაგრამ ამას როგორ მოახერხებენ!

1865 წ. ივლისი.

18. თბილისიდან

ნუ თუ, ბოლოს და ბოლოს, თქვენს ჟურნალში არავინ დასძრავს სიტყვას თბილისის მცხოვრებთა აღშფოთების ნამდვილი მიზეზის შესახებ? თბილისის ქუჩებზე ქვაფენილის დაგებისათვის საჭირო გახდა ამ ქუჩების შეკეთება, დასუფთავება და დაგროვილი ტალახის გადატანა. ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ამისათვის საჭირო იყო ყოველწლიურად 7.000 მან. მაგრამ ვინაიდან შეუძლებელი აღმოჩნდა, გუბერნატორისა და ქალაქის თავის აზრით, გაეკეთებიათ რაიმე ეკონომია ქალაქის ხარჯებიდან, გადასწყვიტეს დაებეგრათ ქალაქის მცხოვრებნი ახალი გადასახადებით. ამ გადასახადის სიდიდისა და მათი აკრეფის წესის შესახებ, რა თქმა უნდა, არ უფიქრიათ ეთათბირათ ქალაქის მცხოვრებლებთან, როგორც ამას მოითხოვდა კეთილგონიერება. ზოგიერთი ფორმალობის დაცვისათვის გუბერნატორმა მიიჩნია საკმარისად და უფრო მოხერხებულად, რომ ამ საქმეში გამოეყენებია მხოლოდ ქალაქის თავი. როცა საქმე გადასახადთა შესახებ, რომელიც ინახებოდა დიდი საიდუმლოების ქვეშ, წარედგინა დიდ მთავარს დასამტკიცებლად, მაშინ ხალხი, როგორღაც გაიგო რა ამის შესახებ, გაემართა ჯგუფ-ჯგუფად გუბერნატორთან და სთხოვდა ეცნობებია სიმართლე. მაგრამ გუბერნატორმა დაარწმუნა ისინი, რომ არავითარი ახალი გადასახადების საკითხი არ არსებობს, და რომ საქმე შეეხება მხოლოდ ქალაქის ხარჯების უმჯობესად განაწილებას, რათა გამოიძებნოს ქალაქის სუფთად შენახვისათვის საჭირო 7.000 მან. ხალხი დაწყნარდა. მაგრამ ამავე დროს დამტკიცებულ იქნა ახალი გადასახადები და გუბერნატორმა, ქალაქის თავთან და მათ ერთგულ ხარკის ამკრეფთან ერთად, საიდუმლოდ შეადგინა სხვადასხვაგვარი და სხვადასხვა კატეგორიის სიები და ბლანკები, რომლებითაც აღნიშნული 7.000 მან. აკრეფის საბაბით განზრახული იყო მოეკრიფათ ხალხისაგან 60.000 მან. * მე დარწმუნებული ვარ:

* მე არ ვამტკიცებ, რომ გუბერნატორსა და ქალაქის თავს უნდოდათ ეს ფულები ჯიბეში ჩადოთ; ადვილად შესაძლებელია, რომ ახალი გადასახადები-

როგორც თითქმის ყველა ჩემი თანამემამულე. რომ როცა დიდ მთავარი ამტკიცებდა ახალ გადასახადებს, მხედველობაში ჰქონდა ხარჯების დაფარვა, რაც სჭირდებოდა ქუჩების შეკეთებას და გაწმენდას. მაგრამ რომ უმნიშვნელო თანხის 7.000 მან. მაგიერ აეღოთ 60.000 მან., დიდ მთავარს ფიქრადაც არ მოუვიდოდა და რომ მსგავსი ფინანსიური კომბინაციის მოგონება არის საქმე მხოლოდ გუბერნატორ ორლოვსკისა, ქალაქის თავის შერმაზანოვისა და ხარჯის მკრებ ბაშბეუკოვისა.

თუკი გუბერნატორი პირს შეკრავს ქალაქისა და პოლიციის მონღელებთან. განა გაუძნელებათ, რომ ხალხს იმდენი გადასახადები ეფუძნება, რამდენიც თვით სურთ? ჩაუყენებენ საბრალო ქალაქის მცხოვრებს ეკზეკუციას და მოსთხოვენ დაუყოვნებლივ გადასახადს ფული, რამდენიც საჭიროა დიდი მთავრის ბრძანების თანახმად... ვის გაეგება წესი გადასახადებისა და გადასახადის სიდიდე და ვისთან შეიძლება ჩივილი? ვინც თავად აზნაურთა წოდებას არ ეკუთვნის,—ვაჭარს მიბეგვავენ, წაართმევენ რაც მოხვდებათ; საგუბერნიო სამმართველო მომჩივანთ გარეკავს ლანძღვითა და საყვედურებით, რომ ისინი, უსინდისოები არიან. არ უნდათ გაიღონ გადასახადი ქუჩების სუფთად შესანახად, რაც თვით მათ კეთილდღეობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს: უმალღესი მთავრობა. რომელიც გაფრთხილებული იქნება, რომ ხალხი ჭიუტობს, არ მოისურვებს მოუსმინოს მათ, რათა გამოაჩინოს თავისი სიმტკიცე და მით აიძულოს პატივისცემით მოეპყრან მათ განკარგულებებს. თუ რომელიმე აღმაშფოთებელი შემთხვევის გამო მოისურვებს დანიშნოს გამოძიება. მაშინ ამისათვის მისწერს გუბერნატორს. რათა მან გაგზავნოს მოხელე საქმის გამოსარკვევად. რომელიც თავის მხრით დაეალებს თავის ხელქვეითს მოახდინოს სასტიკი გამოძიება. მაგრამ წინასწარ მისცემს საჭირო დარიგებებს, საქმის მსვლელობისათვის; ამ ხანში ფულებს მოკრეფენ და ბოლოს მაინც მომჩივნები გამოვლენ დამნაშავეებად.

ხალხისაგან გამორჩენის მიღების შესაძლებლობა უეჭვოდ სასიამოვნო გრძნობებს ჰგვრიდა ორლოვსკის, მას უფრო უკეთესად ის

დან მათ სურდათ შეექმნათ ქალაქის კაპიტალი, ქალაქის სხვა რაიმე საჭიროების შემთხვევისათვის. მაგრამ თუ ეს სამართლიანია, რატომ არ უნდა გამოეცხადებიათ ამის შესახებ და რა საჭირო იყო ხალხის მოტყუება და თქმა იმისი, რომ არაერთაობა ახალი გადასახადები არაა განზრახული ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ მოტყუებული ხალხი მათ სწამებს ამ საქმეში გამორჩენის განზრახვას.

მიიჩნდა. რომ იგი. შეუწუხებლად და ყოველივე უსიამოვნების გარეშე, მოეგვარებინა თავისათვის: ამიტომ, უკვე ღამტყიცებულ კადასახადთა გამოცხადებამდე, გასცა რა ყოველივე საჭირო განკარგულებანი გადასახადების აკრეფისათვის. ის გაემგზავრა შვებულებაში პეტერბურგს. უნდა ვთქვათ, რომ მასზე წინ გაემგზავრნენ თბილისიდან სატახტო ქალაქში დიდი მთავარი — მეფის ნაცვალნი⁶. სამოქალაქო სამმართველოს უფროსი ბარონ ნიკოლაი და ზოგიერთი სხვა წარჩინებული პირნი, დატოვეს რა თბილისში ბრძანება, რომ ყოველ მიზეზს გარეშე აეკრიფათ გადასახადები. ამ ხარკის სახალხოლ გამოცხადებას მაინცდამაინც არ ჩქარობდნენ, მაგრამ ხარკის ამკრეფმა ბაშბუკოვმა უკვე დაიწყო ჩამოვლა სახლებსა და დაწესებულებებში და დაეინებითა და, თავხედურად მოითხოვდა შეწერილი ხარკის დაუყოვნებლივ გადახდას. ბევრთაგან ხარკი უკვე აკრეფილი იყო, რომ უეცრად ხალხი, რომელმაც ველარ აიტანა ამდენი ცარცვა-გლეჯა და მოტყუება, აღდგა...

ზედმეტად მიმაჩნია დაწერილებით აეწერო აქ თბილისის მცხოვრებთა სისხლიანი დემონსტრაციები, ვიტყვი მხოლოდ რამდენიმე სიტყვას იმ მორიგებაზე, რითაც თვით მთავრობამ მიჰმართა ხალხს და რის შედეგადაც აჯანყება შეწყდა.

სამოქალაქო ნაწილში მეფისნაცვლის მოვალეობის აღმასრულებელმა თავადმა ორბელიანმა, როცა დაინახა, რომ ვერც თბილისში ყოველი მხრიდან ჯარისა და არტილერიის მოგროვება და საზოგადოებრივი ვერავითარი მუქარა ვერ აშინებდა აჯანყებულ მცხოვრებლებს, გადაწყვიტა თვით მისულიყო მათთან. რათა პირადად განემართა მათთვის ახალი გადასახადების აუცილებლობა და საზოგადოდ მამამშვილურად დაეჯერებინა იხინი, რომ დაშლილიყვნენ; თავის სიტყვაში ხალხს მან უწოდა „ძ... შვილები“. მაგრამ ხალხი ყველა მისი მსჯელობის საპასუხოდ თხოულობდა ერთს: ან მოეხსნათ ახალი გადასახადები, ან მიეცათ ვადა, რათა ხალხს საშუალება ჰქონოდა გაემგზავნათ დეპუტაცია ხელმწიფე იმპერატორთან, თავისი გაქირვებული მდგომარეობის ასახსნელად. თავადმა ორბელიანმა არ გასცა ბრძანება, რომ ესროლათ ხალხისათვის, ვინაიდან იმედოვნებდა, რომ მშვიდობიანი გზით მიაღწევდა უკეთეს შედეგებს. და, მართლაც, როცა მეორე დღეს დილით თბილისის ვიცე-გუბერნატორი თავადი ჭავჭავაძე გამოცხადდა ვანქის ტაძარში, სადაც იმ დროს იმყოფებოდნენ სახალხო მამასახლისები და გამოუცხადა მათ მთავრობის სახელით, რომ შეუძლიათ იცხოვრონ როგორც ცხოვრობდნენ და რომ ახალ გადასახადებს მათ არ მოსთხოვდნენ, სანამ არ დაბრუნდება დიდი მთავარი, რომელსაც შეუძლიათ მიმართონ თავიანთი თხოვნით, ხალხი

მამასახლისების ნიშნის მიცემის თანახმად, იმ წამსვე მხიარულად დაიშალა ზურნისა და დიპლოპიტოს* ხმაზე, დუქნები საჩქაროდ გააღეს და თბილისმა ისევ მიიღო ჩვეულებრივი ხასიათი, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო.

მაგრამ როგორ იქნა მიღებული პეტერბურგში თბილისის მცხოვრებთა აჯანყებისა და ამ აჯანყების დაწყანარების ცნობა? გუბერნატორი ორლოვსკი პეტერბურგიდან ვენის გზით, თბილისში დაბრუნებისას ვისაც კი გადაეყრებოდა, სულ ყველას უამბობდა, რომ მას პეტერბურგში მუნდირი არ გაუხდია, ვინაიდან იძულებული იყო წარსდგომოდა ხან ხელმწიფეს, ხან დიდ მთავარს ამ საქმის გამო სხვადასხვა ახსნა-განმარტების მისაცემად; რომ ბოლოს, თითქოს, ხელმწიფემ მას უბრძანა გადასცეს თბილისის მცხოვრებთ: „მე არ შეეჩერდები არავითარი მსხვერპლის წინაშე, ქვას ქვაზე არ დაეტოვებო“.

გვითხარით ღვთის გულისათვის, რა საჭიროა ასეთი მუქარა? ნუ თუ რალაც უმნიშვნელო 7.000 მანეთისათვის, რომელიც საჭიროა თბილისის ქუჩების გასუფთავებისათვის! სად ხედავთ თქვენ მუამბოხეებს? ხალხი, რომელიც უჭერის თქვენს განცხადებას, რომ სახელმწიფოში არსებობს უფლება და კანონი, გთხოვთ თქვენ კონტროლი გაუწიოთ მათგან აკრეფილ ფულებსა და ქალაქის შემოსავალს, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ ის საკმარისია ქუჩების შესანახადაც და ქალაქის დანარჩენ ხარჯებისათვისაც. თქვენ კი ამისათვის ემუქრებით დარბევით? ნუ თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ისეთი გონიერი ხალხი, როგორიც არიან თბილისის მცხოვრებნი და საზოგადოდ რომელიც გინდა იყოს ხალხი, უარს იტყვის გადასახადებზე, თუნდაც უკიდურეს გაჭირვებაშიც იყვეს, თუ კი ის დარწმუნებული იქნება, რომ გადასახადები მოხმარდება საერთო საკეთილდღეო საქმეს და ის აკრეფილი და დახარჯული იქნება წესიერად. მაგრამ რა საჭიროა აჯანყება? რას გააწყობ თუკი სხვანაირად არ შეიძლება აიძულო, რათა მოგისმინონ ბატონ-პატრონებმა! მაგრამ აჯანყება კი არ არის საშიში მთავრობისათვის, არამედ საშიშია ამ აჯანყებათა გამომწვევი მიზეზები; მონახეთ და მოსპეთ ეს მიზეზები და აღარავინ აღარ აჯანყდება თქვენს წინააღმდეგ.

თბილისის აჯანყება უფრო ჰგავდა ინგლისურ მიტინგებს: ხალხი ხმამაღლა გამოსთქვამდა თავის აზრს სხვადასხვა ბოროტმოქმედებათა შესახებ. მთავრობამ ეხლა უნდა ისარგებლოს ამით და გაიგოს აჯანყების ნამდვილი მიზეზები. გუბერნატორი არწმუნებს ყველას,

* დოლის მსგავსი.

რომ თბილისი აჯანყდა, ვინაიდან არ უნდოდა გადაეხადა 7.000 მან. უეკველია ამაში არწმუნებდა ის ხელმწიფესაც, თუკი მართლა ქონდა პატივი მას წარსდგომოდა. და ბოლოს, ბატონებო, გადასახადი ცხენებზე და ძაღლებზე ჯერ არ არის შემოღებული რუსეთში და რად აჩქარდით, რომ ის შემოგვლთ თბილისში? და რატომ გიკვირთ, რომ უბრალო ხალხს არ უნდოდა ის გადაეხადა, როცა მეფისნაცვლის საბჭოს წევრმა ტაინი სოვეტნიკმა ფადეევმა, სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტის დირექტორმა ვიტტემ და რამდენიმე სხვა წარჩინებულმა პირებმა ყველაზე უმალ განაცხადეს უარი ამ გადასახადების გადახდაზე იმ მიზეზით, რომ რუსეთის აზნაურობა თავისუფალია ყოველგვარი გადასახადებისაგან?

დასასრულ აღვნიშნავ, რომ მიუხედავად დაპირებისა, რომელიც მისცეს თბილისის მცხოვრებთ მთავრობის სახელით, რომ დიდი მთავრის დაბრუნებამდე მათ შეუძლიათ იცხოვრონ როგორც ცხოვრობდნენ, თბილისში უკვე დანიშნულია ადგილობრივი მოხელეებისაგან შემდგარი საგამომძიებლო კომისია, რომლის განკარგულებითაც ხდება მასიური დაქვრები; დაპატიმრებულია, სხვათაშორის, ბევრი დიდი ქონების პატრონი საპატიო მოქალაქე, რომელნიც, უთუოდ, არაფერ შუაში არიან. ამის გამო ნაცნობები მეუბნებოდნენ, რომ იმ საცოდავებს, დასაშინებლად, რუსეთში გადასახლებენო; მე კი ვამტკიცებდი, რომ არაფერი ამის მსგავსი არ მოხდება. რომ ისინი მხოლოდ გამოიყიდიან თავიანთ თავს მეთქი. დავუშვათ რომ მე პესიმისტი ვარ, მაგრამ ასეთი მნიშვნელოვანი შემთხვევის დროს გამოძიების მოსახდენად არ უნდა იქნენ გაგზავნილი მოხელეები რუსეთიდან? ხომ ნათქვამია, რომ ხელი ხელსა კბანსო და ორიენი პირსაო; თბილისის მოხელეები, მათთვის ასეთ სკანდალურ აჯანყების საქმეში, გაამართლებენ თბილისის მოხელეებს. მაგრამ დამერწმუნეთ, ბატონო მოხელეებო და თბილისის და თბილისის ქუჩების ტალახიდან გაწმენდისათვის თავგამოდებული ადმინისტრატორებო, რომ ეხლა თქვენ თვითონ ჩაეარდით ამ აჯანყების გამო ისეთ ტალახში, რომ თქვენი თანამომძიებლის ვერავითარი ღონისძიებით უკვე ველარ გაიწმინდებით.

დღეს მე გადმომცეს, როგორც ნამდვილი ამბავი, რომ უკვე მიღებულია თბილისში პეტერბურგიდან დიდი მთავრის ბრძანება, ახალი გადასახადების აუცილებელი აკრეფის შესახებ, და აგრეთვე, რომ თბილისის ბევრ დატუსაღებულ მოქალაქეს ანთავისუფლებენ.

10 ივენიის ღღევი თბილისში

Где народ, там и стон... Эх, сердечный,
Что же значит твой стон бесконечный?
Ты проснешся-ль, исполненный сил?...⁶⁷

იმის დასამტკიცებლად, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მთავრობის უქკუობასა და თავისი სამწყსოს გაძღოლის უუნარობას. საკმარისი იქნებოდა გვეთქვა, რომ თბილისში ქალაქის მუშა-მოსახლეობამ ხელი გაუწოდა მოქალაქეებს, რათა ერთად გამკლავებოდნენ რუსეთის მთავრობას. ჩვენ კვლავ გვაოცებს ის გარემოება, რომ საფრანგეთში რესპუბლიკის მომხრენი კავშირს ჰკრავენ ლეგიტიმისტებთან, ორლენისტები ხელს უწვდიან კლერიკალებს საერთო მტრის — იმპერატორის მთავრობის დასამხობად. ჩვენში კი ის პირები, რომლებსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვთ პარტიების ტაქტიკაზე და რომელთა შორისაც, საზოგადოებრივი და ეკონომიური მდგომარეობის სხვადასხვაობის გამო, მთელი უფსკრულია გათხრილი. ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მიდიან თავისი „საერთო მტრის“ წინააღმდეგ და ავიწყდებათ, რომ გუშინ მოქალაქემ ტყავი გააძრო თავის ღღევანდელ თანამებრძოლ მუშას და ხვალაც იგივე ამბავი განმეორდება. ასეთი წარმოდგენელი, გაუგებარი კავშირი, ერთმანეთისადმი ოდითვე მტრულად განწყობილი ელემენტების ასეთი დაახლოება მხოლოდ რუსეთის მთავრობას შეეძლო გამოეწვია. საფრანგეთში ხომ იმას მაინც ვერ ვხედავთ, რომ მუშებს კავშირი შეეკრათ კაპიტალისტებთან, გლეხებს — მიწათმფლობელებთან...

რა უნდა ვთქვათ ასეთ უთავბოლო მთავრობაზე. მეტადრე რა უნდა ვუთხრათ მას?... ხელი გვიდუნდება, კალამი ხელიდან გვივარდება, როცა გავიფიქრებთ, რომ მას რამე უნდა ვურჩიოთ: არც ვაპირებთ, რომ მის ყურადსაღებად ავწეროთ თბილისის ივენიის ამბები, რომლებიც სიცრუით დაიწყო და სისხლით დაგვირგვინდა — მთავრობის სისტემის ამ ალფათი და ომეგათი.

თუ არ დავინახავთ --- რას წარმოადგენს საქართველოს ქალაქის მოსახლეობა. თუ არ გამოვარკვევო მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში მონაწილე ჯგუფების ხასიათს და ისე ვილაპარაკებთ ამ უსარგებლო სისხლის ღვრის შესახებ. ეს ის იქნება, რომ მხოლოდ „ამბების“ გარეგანი მხარე, ქუჩური ტლინკები და მალაყები ავწეროთ. ასე რომ მოვექცეულიყავით. საქმის შინაარსი გამოურკვეველი დაგვრჩებოდა და „არეულობის“ მოსაზრებებთან ერთად „საქმის“ ინტერესიც გაქრებოდა. თუმცა „წესრიგი დამყარდა და ყველაფერმა თავისი ჩვეულებრივი ხასიათი მიიღო“. მაგრამ საალყო წესები მაინც ხელუხლებელი დარჩა. სწორედ ეს საალყო წესები წარმოადგენს იმ დამოკიდებულების „ჩვეულებრივ ხასიათს“. რომელიც ქალაქის მოსახლეობასა და მთავრობას შორის, აგრეთვე მის ცალკე ნაწილებს შორის არსებობს.

ჩვენს საზოგადოებას ავიწყდება. რომ რუსეთის მთავრობის ყველა აღმაშფოთებელი ღონისძიების სათავე სწორედ ის საზოგადოებრივი წყობილებაა, რომელიც შემუშავდა მთავრობის მზრუნველობის წყალობით, რომ ამ წყობილების გარეგანი ნიშნების წინააღმდეგ ამხედრება და უბედურების საფუძვლის ხელუხლებლად დატოვება არა თუ ულოგიუბოა, არამედ უსარგებლო საქმეცაა; ბოლოს, ავიწყდება ისიც, რომ თუ არსებულ საზოგადოებრივ მდგომარეობას ურიგდება, თუ იღებს მის status quo-ს. აუცილებლად უნდა შეურიგდეს მის შედეგებსაც. ამგვარად, თუ თბილისში მომხდარი სისხლის ღვრის წინააღმდეგ ავმხედრდებით და ხელუხლებლად დაეტოვებთ ქალაქის მცხოვრებთა იმ მდგომარეობას. რომელიც არსებობდა ამ ამბებამდე და ამბების შემდეგ. ეს დაემსგავსება სისხლის დაავადების მკურნალობას კანზე ამოყრილი მუწუკების პალიატიური მოსაზრების გზით. ქუჩებსა და მოედნებზე მომხდარი არეულობა გვიდასტურებს იმ უთანხმოებას, რომელსაც ფესვები ღრმად გაუღდამს ოჯახსა და საზოგადოებაში, სახლის კედლებსა და დახლებს იქით; გარეთ დამარცხებულნი შინ ბრუნდებიან და იქ. მყუდროებაში, კვლავ განაგრძობენ წინანდელს, ათასგვარი ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრებას, ხოლო ქუჩებსა და საოჯახო ადგილებში „წესიერება სუფევს“... თქვენ კარტიჩის ზუილის და ხმლის ჩახა-ჩუხის გამოწვილ-კივილის გაგონება არა გსურთ? — კეთილი, ძალიან საქებური საქმეა! მაგრამ, თუ ასეა, კვალდაკვალ მისდით უთანხმოებას ოჯახის კერამდე, გამოიძიეთ მისი ხასიათი და თავისებურებანი, იფიქრეთ იმაზე, თუ როგორ უნდა აღმოიფხვრას იგი და, რაც უმთავრესია, მხოლოდ კარგად მოფიქრების შემდეგ, იმოქმედეთ...

ამ წერილის მიზანია — გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს საქართველოს ქალაქური მოსახლეობის მდგომარეობა. კვლავ ვიშეორებთ: ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მთავრობის დარიგება, ან დახმარება, არამედ ჩვენი მიზანია დავუმტკიცოთ, რომ მას თავის მოვალეობათა შეგნების უნარი არ შესწევს და ვნებს რუსის ხალხის ინტერესებს. თავისი საზოგადოების დამაზარალებელ აგენტს თანამდებობიდან გადააყენებენ ხოლმე; ჩვენ გვინდა ოდნავ მაინც ხელი შევეწყუოთ რუსეთის მთავრობის ასეთსავე გადაყენებას...

საქართველოს ქალაქთა მოსახლეობა მრავალრიცხოვანი არ არის. იგი თავმოყრილია თბილისში და ორ-სამ უმნიშვნელო ქალაქში, მაგალითად, ქუთაისსა, გორსა და სხვა. ამ ქალაქებში იგი დღევანდლამდე მკვეთრად იყოფოდა ორ კლასად: მოქალაქეებად („მეშჩანებად“) და მუშეებად*.

საქართველოში მუშას მოქალაქობის არავითარი უფლება არ აქვს. ის „მეშჩანინი“ და დროებით გათარხნებულიც კი არ არის, ის გამოქცეული კაცია და სხვა არაფერი. იმერელი, გურული, მეგრელი და რაჭველი გლეხები, რომლებიც არ ემორჩილებიან ბატონის ძალას და „ბატონის მათრახისათვის ვერ გაუძლიათ“¹⁰⁰, თბილისში მიიღებიან. პირიქით, ქართლელი და კახელი გლეხები (თბილისის გუბერნია) თავს აფარებენ იმერეთსა, გურიასა და სხვა. პოლიციის უთავბოლოება და ლტოლვილთა მთელი ჯგუფების დაჭერის შეუძლებლობა ხელს უწყობს ბატონყმობის უბედურ მსხვერპლთ. მაგრამ რაკი ბუნებაშია ცი არ არსებობს უეკლო ვარდი, ამიტომ ლტოლვილ გლეხთა თავისუფლებაც ყველაფრით მიმზიდველი ვერ არის. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მთელი გლეხობა მიეტანებოდა „ნებაყოფლობით დაქირავებული ქალაქელი მუშების თავისუფალ ცხოვრებას“. ოჯახსა და სამშობლოზე ხელის აღება გლეხს მემამულის ბატონობისაგან ანთავისუფლებს. მაგრამ სამაგიეროდ იგი ბურჟუაზიის და მოხელეობის ხელქვეითი, ლუკმა-პურის ძებნის მონად ხდება. დიდი უმრავლესობა ქვასა, ქვიშასა და კირს ეზიდება შენობების ასაგებად, ტომრებასა და სხვა მძიმე ტვირთს — ვაჭრებისათვის, წყალსა და მუშას — მცხოვრებთათვის, და ასეთი ჭაფისათვის იშვიათად იღებს

* სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია ვილაპარაკოთ ქალაქად მცხოვრებ თავდაზნაურთა შესახებ — ისინი იქ უცხონი არიან. რაც შეეხება საქართველოს ქალაქებში დასახლებულ მოხელეობას, ის ისეთივეა, როგორც რუსეთში; განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ საქართველოში მოხელეები უფრო უცხონი არიან ხალხისათვის, ვიდრე რუსეთში. საქართველოში ხალხსა და მოხელეებს მართო ინტერესები კი არა, ენაც აშორებთ ერთმანეთს.

ორ-სამ აბაზს (40,60 კაპ. ვერცხლით)... ევროპელ მუშას ოჯახი ჰყავს... ეს ოჯახი მას, მართალია, მძიმე ტვირთად აწეება, მაგრამ ზნორად ჭირ-ვარამსაც უქარვებს. ცოლ-შვილი ქართველ მუშასაც ჰყავს, მაგრამ „ცხრა შთას იქით“. ცოლ-შვილის რჩენის სიმძიმე მას აწეება... თუ მუშის ოჯახი არ მოიხდის ბატონის ბეგარა-ვალდებულებას, ბატონი მის შვილებს მოჯალაბეებად წაიყვანს; ოჯახური ცხოვრების კარგ მხარეს კი ის მხოლოდ მოგონებით იცნობს... ლტოლვა და თავის გამოსყიდვა ბატონისაგან, მალე და თავის გამოსყიდვა პოლიციისაგან, ჯაფა და თითქმის სრული უიმედობა, რომ როდისმე თავს დააღწევს დუხჭირ ცხოვრებას, იმის შეუძლებლობაც კი, რომ ღვინის სმით დაივიწყოს თავი, როგორც ამას სხვა ქვეყნებში სჩადიან — ასეთია ქართველი პროლეტარის სვე-ბედი.

რუსეთში ამ ჯურის ხალხი არ არსებობს. მალოროსიელი „ბატრაკები“ და ველიკორუსი ქალაქელი მუშები, ქართველ მუშასთან შედარებით, ნეტარებაში არიან; გაქცეულები კი იმდენად არ მუშაობენ რუსეთში, რამდენადაც „მოგზაურობენ“. ასეთი განსხვავება ნაწილობრივ დამოკიდებულია აქა-იქ „უკანონოდ“ ცხოვრებაზე, ნაწილობრივ — რუსეთის მთავრობის ხასიათზე კავკასიის ვადალმა.. რუსეთში იმდენი მხედრობა და ფელდფებელობა არ არის, რამდენიც საქართველოში; ამიერ-კავკასიას, ისე როგორც მთელ კავკასიას ჯერ კიდევ თავი ვერ დაუღწევია სამხედრო დესპოტიზმის ბრწყალებისაგან pour sang: იქ ყოველი პრაპორშჩიკი „გოროდნიჩს“ უღრის და ყოველი პორუჩიკი — ისპრავნიკს. ასეთს, ყოველგვარ გარანტიას მოკლებულ მდგომარეობაში მუშას მხოლოდ ფულით შეუძლია თავის დახსნა მოძალადე ადმინისტრაციისაგან; მაგრამ ამისათვის საჭიროა ფული, და რადგანაც საქართველოში საქალაქო ცხოვრება, მეტადრე ის, რასაც ვაჭრობა და მრეწველობა ეწოდება, მეტის-მეტად სუსტად არის განვითარებული, შრომით მონაგარი ფული ძლივს ჰყოფნის ბატონისა და სხვათა „უფლები-საგან“ თავის გამოსასყიდად და უბადრუკი ცხოვრების გასაჩანჩალებლად. ყოველსავე ამას ზედ ერთვის ის, რომ მისი დამქირავებლები ანგარიშის გასწორების დროს ფულს აკლებენ; მუშა მათ ვერ გამოეკიდება, რადგან ეშინია არ შეიპყრონ და ბატონთან არ გაგზავნონ.

ქართველი ქალაქელი მუშებისათვის საუკეთესო დრო, მათი თავლის თვე -- შემოდგომაა. ნიენი-ნოვგოროდისა და როსტოვის ბაზრობიდან მოტანილი საქონელი, აბრეშუმის, ბამბა, მატყლი, კაკლისა და ბზის ხე, რომლებსაც უცხოელები ამზადებენ საზღვარგარეთ გასაგზავნად, ბოლოს, ქალაქად ჩამოსვლა თავადაზნაურებისა.

რომლებმაც ღალა-გადასახადები აპკრიფეს, ყოველივე ეს ქალაქის ცხოვრებას ამოძრავებს და მუშახელს მოითხოვს. შემოდგომის ამ დღეებში, ტალახსა ან თოვლქუაპში, ქარსა და წვიმაში მუშები ოფლს იწურავენ წლიური სარჩოს მოსაპოებლად, ზოგჯერ გადასახადის გასასტუმრებლადაც, შემდეგ, ნეტარი დღეების გათავებასთან ერთად, ეშვებიან სარდაფებში და ემალებიან პოლიციასა და ბატონის შიკრიკებს... ზაფხულობით მუშების ნაწილი დაბანდებულია შენობებზე. მათი ხელფასი გრძელ, პაპანაქება დღეებში არ აღემატება, საშუალოდ, 25 კაპიკს ვერცხლად.

ევროპელ პროლეტარს იმედი მაინც აქვს, რომ გაჭირვებულ მდგომარეობას თავს დაადნევეს; იგი იმედოვნებს თავისი პატრონის, ან ამხანაგების ნდობა მოიპოვოს. ასე თუ ისე დამოუკიდებლად მოეწყოს, თითო-ოროლა კაპიკი გადაარჩინოს; მან იცის, რომ თუ კანონმდებლობა არ მფარველობს მის ღონისძიებებს, არც თუ დიდ წინააღმდეგობას უწევს; ამ კანონმდებლობის ბატონობის დროს ცალკეულ ინდივიდუუმებს შეუძლიათ თავისი მდგომარეობა ისე შესცვალონ, რომ დიდი შეტაკება არ დასჭირდეთ ხელისუფლების წარმომადგენლებთან. საქართველოში არაფერი ამის მსგავსი არ არის; კაცს რომ, ჭიბეში თანხა ეღოს კიდევ, წარმატება მაინც ძნელია; ამას ხელს უშლის არა მარტო მთავრობის თავნებობა, არამედ კანონმდებლობაც, რომელიც მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს მფარველობს. დანარჩენებს კი ხელფებს უბორკავს.

შემდეგ მეორე რიგში დგანან „მოქალაქეები“. მათი ცხოვრება, მუშების ცხოვრებასთან შედარებით, უფრო ასატანია იმ მხრით, რომ ფულით ბევრი სიმწარის გაქარწყლებას ახერხებენ. ქართველი მოქალაქეების მდგომარეობა შეიძლება შევადაროთ რუსი მეშჩანინების მდგომარეობას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საქართველოში მოქალაქეთა ეგრეთწოდებული მეშჩანური „უფლებანი“ მეტად ბუნდოვნადაა ჩამოყალიბებული. მოქალაქეობის მიღება ან მემკვიდრეობით ხდება, ან კიდევ „ქალაქის საზოგადოებას“ მიაწერენ გათარხნებულ, უკეთ რომ ვთქვათ, თავდახსნილ გლეხებს, რომელთა მიწა ან მემამულეს რჩება, ან კიდევ ეს/მიწა ველარ არჩენს მას. ხელმართალი თუ ხელმრუდე ვაჭრობა, მუშებისა და ნახევრად გაღარიბებული თავადაზნაურების ექსპლოატაცია არსებობის საშუალებას აძლევს მოქალაქეებს; ამ საშუალებებით ისინი თავის წუთისოფელს გაატარებდნენ, მშვიდობიანად და მეგობრულად იქნებოდნენ მთავრობასთან და მხოლოდ ერთ რასმე მოსთხოვდნენ — „წესრიგის დაცვას“, უცერემონიო მთავრობა რომ ძალიან ხშირად არ აფათურებ-

დეს ხელებს მათ: ჭიბეში და თითქმის უკანასკნელ კაპიკს არ აცლიდეს...

საქართველოს ქალაქის მოსახლეობის ამ ორ კლასს შორის შექმნილი მდგომარეობა, რასაკვირველია, მათს ურთიერთობას ვერ ნოაწესრიგებდა: ინტერესების სხვადასხვაობას, უკმაყოფილებას, რომელსაც ექსპლოატაცია ჰქმნიდა და ასაზრდოებდა, ხშირად მოქალაქეებისა და მუშების გამწვავებული ურთიერთობა დანისა და ხანჯლის ტრიალამდე მიჰყავდა. უფრო მოსალოდნელი ის იყო, რომ, კლასიკური თქმით, „მზეს თავისი სრბოლა შეეცვალა“. ვიდრე ის, რომ მუშებსა და საქმის პატრონებს შორის თუნდაც სულ მოკლე დროით კავშირი დამყარდებოდა.

საქმის ასეთი ვითარების დროს მთავრობისათვის ადვილი იყო მართებულობის ფარგლებში მაინც დატეულიყო, ოდნავ მაინც უზრუნველყო მუშების ხვედრი საპასპორტო სისტემის შეცვლითა და ეკონომიური მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესებით, ისე, რომ მოქალაქეების ქისას არ შეჰხებოდა.

რასაკვირველია, ეს ზომები მლეღვარების მიზეზებს მთლად ვერ მოსპობდა, მაგრამ მისი გადაღება ნაკლებად მძიმე დრომდე მარცხ შეეძლო: ახლა კი, როცა „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ სიტყვითაც კი, „რუსეთი კრიზისს განიცდის“, როცა მთავრობას ესოდენ ბევრი საზრუნავი აქვს, — ძალიან კარგი იქნებოდა ზედმეტი დავიდარაბის თავიდან აცილება და დიდი უგუნურება ახალი თავსამტკრევი საქმის გაჩენა.

ახლად შემოდებული გადასახადების სიმძიმე. პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ნახევრად მშვიერ მუშებსა და ჯარისკაცებს აწევბოდა; იგი გზადაგზა მოქალაქეებსაც ეხებოდა. მაშასადამე, თითქმის დანამდვილებით და წინდაწინვე შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ხალხის უკმაყოფილებას საზღვარი ვერ დაედებოდა და იგი შეიძლებოდა ქარიშხლად გადაქცეულიყო. რა აიძულებდა რუსეთის მთავრობას რომ ახირებულებიყო აუცილებლად თავისი გაეყვანა და ამით გაეძლიერებინა, თუ საფრთხე არა, თავისი მდგომარეობის სიმძიმე მაინც?

რუსეთის ფინანსები შერყეულია — ეს ყველამ იცის; მაგრამ ყველამ კარგად იცის ისიც, რომ გადასახადებითა და პალიატიური საშუალებებით მათი გამოსწორება არ შეიძლება. საამისოდ საჭიროა მნიშვნელოვანი ეკონომიური რეფორმები და არა ხარკის დაღება ქაშრის ტარებისა ან ძროხის ყოლისათვის. ასეთი წვრილმანი ხასიათის შევიწროება, იმის ნაცვლად, რომ ფინანსები გააუმჯობესოს, ხალხს მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებს, ე. ი. ეს შევიწროება მარტო უსარგებლო კი არა, მავნებელიცაა. გადასახადების სიმძიმე

აწვებათ, უმთავრესად, მუშებს, მშრომელებს, რომელნიც ისედაც დაბეგრისანი არიან ათასგვარი გადასახადით; მაშასადამე, ეს გადასახადები ხალხს მართვა-გამგეობის სისტემასა და მთავრობის პირებს: აძულებს, მაშინ როდესაც ამ გზით შემოსული ფული გადასახადების აკრეფაზე გაწეულ ხარჯსაც კი ვერ დაჰფარავს, არამც თუ საქმე შეამსუბუქოს ფინანსთა სამინისტროში.

ასეთი ხარკის შედეგი ის იყო, რომ თბილისის მუშები შეუერთდნენ მათ საძულველ მებატონეებს, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ქართველი პროლეტარიატისა და ხალხისათვის წვრილ-ბურჟუაზიული ექსპლოატატორები და მატყუარები მაინც უფრო ახლოს არიან, ვიდრე მსხვილი მთავრობისეული ექსპლოატატორები და მატყუარები.

ამ უთავბოლო ამბებში ყველაზე გასაოცარი და სასაცილო ის არის, რომ მთავრობამ ისიც კი არ იფიქრა, რომ ახალი გადასახადების სიმძიმე დააწვება არა იმდენად მოქალაქეებს, რამდენადაც ხალხსა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია მთავრობისათვის, ჯარსა. ბურჟუაზიას გადასახადი ძალიან სუსტად აწვება: იგი მას მომხმარებლები-საგან ჰკრეფს და, ამგვარად, მხოლოდ ხარჯის ამკრეფად გამოდის; მთავრობა ფიქრობდა მოქალაქეების გაცურებას, ეგონა — ისინი ვერ შენიშნავდნენ, რომ სურსათის ფასის გადიდება პროპორციულად მოქმედებს მათი გასაღების შემცირებაზე. ისეთმა ვაჟბატონებმა, როგორც, მაგ., ორლოვსკი, ბარონ ნიკოლაი და თვით მიხეილ ნიკოლოზის ძეა, განიზრახეს თბილისის მოქალაქეების მოტყუება, თუმცა ყოველი მათგანი ასჯერ უფრო ეშმაკია, ვიდრე ორლოვსკი და ათასჯერ უფრო ჰკვიანია, ვიდრე მიხეილ ნიკოლოზის ძე. მოქალაქეები, რასაკვირველია, უფრო მოხერხებულად მოიქცნენ, ვიდრე მათი უავგუსტოესი და ბრწყინვალე პარტნიორები; მათ არც აცივეს, არც აცხელეს და ჯარისკაცებს ასეთი საუბარი გაუბეს:

— რათა „ვბუნტობო“? ვა, სწორედ რომ შენთვის: იმათ უნდათ, რომა ჩვენ არაყი და თამბაქო ძვირად მოგყიდოთ; ახლა მოუნდომებიათ, სამი შაური აძლიო „რუმკა“ არაყში...

— მე და ჩემმა ღმერთმა, ესენი მართალნი არიან, რათ ავიწროებენ საწყალ ხალხსა?... — ამბობდნენ ჯარისკაცები.

მთავრობამ, რაკი ქალაქელები ვერ მოატყუა, რუსი საზოგადოების მოტყუება მოინდომა და თავის გამოცემებში დაბეჭდა: ამქრები მოითხოვდნენ ახლად შემოდებული გადასახადების მოსპობას ან სხვა დროისათვის გადადებას, ხოლო მოქალაქეები და მათთან ერთად მუშებიც მოითხოვდნენ: მიუხედავად იმისა, გაუქმდება თუ არა გადასახადი, ქალაქის ყველა საქმე განიხილონ და გადასწყვიტონ ქალაქის საზოგადოების ამორჩეულმა პირებმა, ქალაქის ყველა სა-

მუშაო სრულდებოდა იმავე ამორჩეულ პირებთან შეთანხმებით და მათის მეთვალყურეობით, გადასახადებსაც ისინი აწესებდნენ და ჰკრებდნენ. ერთის სიტყვით, მოითხოვდნენ ქალაქის სრულ დამოუკიდებლობას, ანუ, როგორც ფრანგი ლეგისტები და პუბლიცისტები ამბობენ franchises municipales.

როდესაც ხალხმა პოლიციასთან თავი მოიყარა, ქართველმა ულტრა სენტიმენტალურმა პოეტმა და ზომიერად „მომეშჩანე“ რუსმა ვიცე-მეფისნაცვალმა ორბელიანმა წაიბურტყუნა, რომ ქალაქის საზოგადოებამ, რომელიც რკინის გზებსა და მიმოსვლის რიგიან საშუალებას მოითხოვს, გადასახადებზე უარი არ უნდა სთქვასო, რაზედაც ხალხმა უპასუხა, რომ ქალაქის საზოგადოებას არ სურს, რომ ბარონ ნიკოლაი მის ფულს ხარჯავდეს გზებზე უსარგებლო ხეების დარგვასა და გადარგვანზე, რომ თვითონ საზოგადოება ამ საქმეს გაცილებით უფრო იაფად დაისვამს, ვიდრე მთავრობის ქურდი მოხელეები და, რომ მას სურს ფულის მომჭირნეობით ხარჯვა, რაც სრულებითაც არ შეაჩერებს სასარგებლო მუშაობის შესრულებასო. ნიკოლოზ ჭავჭავაძე, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი par interim, იძულებული იყო მოესმინა ქალაქის არჩევნობითი მმართველობის ორგანიზაციის ფორმალური მოთხოვნა, რომელიც შემდეგ განმეორებულ იქნა ვიცე-მეფისნაცვლის და ბარონ ნიკოლაის წინაშეც.

ამ მოთხოვნილებამ, რომელიც ამქრებმა გამოსთქვეს და რომელსაც მუშებმა მხარი დაუჭირეს, მიკიბულ-მოკიბული დაპირება გამოიწვია, რომ „მიღებულ იქნება მხედველობაში და მოხსენდება მის უმადლესობას — დიდ მთავარს მეფისნაცვალსა“. ამ დაპირების გამო, რომელსაც თან მოჰყვა გადასახადების აკრეფის გადადების პირობა, ქუჩებში არეულობა შეწყდა.

მდღევარება გამოიწვია თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის ორლოვსკის ბაჟიობამ; მან მთავრობას მოახსენა — ქართველი ხალხი სრულიად ბედნიერი და კმაყოფილიაო; ეტყობა, ამით რაიმე ახალი იჯარის ხელში ჩაგდება უნდოდა. მიხეილ ნიკოლოზის ძემ იჯარა არ მისცა და უთხრა: რადგან ხალხი ბედნიერებაშია, საჭიროა მისი ცოტაოდნად მოწველა, რომ დოვლათმა არ გააღლოს, ან ჰკუთას ძალა არ დაატანებინოს. ორლოვსკი შეშინდა, მოელაპარაკა ქალაქის თავსა და ხარჯების ამკრეფს, უკანასკნელს დაჰპირდა აკრეფილი გადასახადის თანხის 10 პროცენტს და ერთ როტას, pour prêter main-forte, თუ ხარჯის მიმცემნი უარს იტყოდნენ, თვითონ კი ბევრი აღარ უფიქრია, აიღო შვებულება და მოჰკურცხლა. მიხეილ ნიკო-

ლოზის ძემაც, თუმცა „ორჯელ გაილაშქრა ჩერქეზების წინააღმდეგ“, სიფრთხილის თადარიგი დაიჭირა, ხელი მოაწერა ახალი გადასახადების დადგენილებას და შტუტგარდის გზით ს.-პეტერბურგს გასწია. დარჩა კარცოვი კოჯორში, ბარონ ნიკოლაი თავის მამულში და მათთან ერთად ორბელიანი.

როდესაც მოძრაობა დაიწყო, 20 ყაზახი გაგზავნეს თავისი განუყრელი მათრახით; ხალხმა ისინი უპატივეცემულად გაისტუმრა უფროსებთან. ამ დროს მთავრობას გაახსენდა, რომ თუ იარაღი არ არის, ცელის ხმარებაც შეიძლება (ალბათ, პოლონეთის აჯანყება მთლად უსარგებლო არ გამოდგა რუსეთის მთავრობისათვის), ხოლო თუ ჯარისკაცები არ არიან — პოლკის თივისმთიბავთა გამოყენებაც მოხერხდება. სახელდახელოდ გამოწყობილმა უშარვლო მთიბველებმა ისეთი მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინეს ხალხზე, რომ სტვენისა და სიცილის მეტი არაფერი ისმოდა; დარცხვენილმა მთიბველებმა, ალბათ იმიტომ, რომ პოლონელების ნამოწათარნი არ იყვნენ, უკან მოჰკურცხლეს. ასე გაიარა ივნისის პირველმა დღემ.

სალამოთი კოჯრიდან დაბრუნდა კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსი კარცოვი, რომელიც ფეხზე ძლივს იდგა მხიარული სუფრის შემდეგ; მან შეჰკრიბა სამხედრო საბჭო და გაჰყვიროდა — „აჯანყებაა!... პოლონელებთან შეთქმულება!.. დაჰკათ ამ არამზადებს!“

სამხედრო საბჭომ გადასწყვიტა თბილისთან ჯარების მოგროვება და ზარბაზნების დაშენა, თუ არეულობა გამეორდებოდა. ორბელიანმა საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა და მოითხოვა, ეს აზრი ოქმში შეეტანათ, როგორც საბუთი იმისა, რომ მას არავითარი ბრალი არ მიუძღვის იმ „ამბებში, რომლებიც შეიძლება ამ გადაწყვეტილებას მოჰყვეს“. არეობავე შეშინდა და აზრი გამოიცვალა: გადაწყდა მოლაპარაკების გამართვა „მეამბოხეებთან“.

ლამე თბილისში ჯარები შევიდნენ და ფორმალისტმა კარცოვმა მაშინვე ბანაკი მოაწყო: ერეენის მოედანზე შტაბი იყო, მიხეილის ხიდთან — გამაგრებული პუნქტი, ალექსანდრეს ბაღში¹⁰ — უბრალო ბანაკი უშტაბოდ და უპუნქტოდ. ამ „სიმაგრეებს“ შორის მიდი-მოდოდ პატაკები, მიწერილობანი, მოხსენებანი დაბეჭდილ ბლანკებზე, რომლებიც კარცოვის ბრძანებით საგანგებოდ ამ ღამისათვის დაამზადეს, ხოლო ყაზახები, შიკრიკები და აღიუტანტები ცხენებს დააქროლებდნენ. ნიკოლაიმ მადლობა გამოუცხადა ჯარისკაცებს, ალბათ, სიმარჯვისათვის, ხოლო კარცოვი გაჰყვიროდა „გულმოდგინედ მოიქეცითო“; ორბელიანი თავის მთიბველებს ამოჰფარებოდა, და თავის რიგად საქალებოში მალავდა ქალაქის თავს ვართანოვს; ნ. ჰავჭავა-

შე ხალხს არიგებდა, აბესალომოვი კი, რომელსაც „კაეკაზის“⁷⁸ პუბლიცისტმა ქება შეასხა,⁷⁹ არც არავის არიგებდა, არც მალავდა, არც მადლობას უცხადებდა; სამაგიეროდ არც თვითონ იმალებოდა. ასე დადგა მეორე დღე.

ჯერ კიდევ პირველ დღეს, როცა ხარჯის ამკრეფი მოჰკლეს, საკუთრების ამ რაინდმა „თავისი ღირსების დაცვის უამს“⁸⁰ ორ თავდამსხმელს ყელი გამოსჭრა; ორი სხვა რევოლვერით გამოასალმა წუთისოფელს დიდი მთავრის ამაღლის მთვრალმა ოფიცერმა ვასილ ზარიძემ. მეორე დღეს კუკიის ხილთან⁸¹ 10 კაცამდე დაჰხოცეს ოფიცრის ბრძანებით, რომელიც იმის გამო იყო გაბოროტებული, რომ მას ქვა მოარტყეს.

სახლების ეგრეთწოდებული „გაძარცვის“ დროს არავის არაფერი მოუპარავს და არაფერი გაუძარცვავს, მიუხედავად ამისა, „მოლაღატეების“ ქონება ყველგან გაანადგურეს. ქალაქის თავის სახლში ცარიელი კედლები დარჩა, მაგრამ ხალხმა სთხოვა მისი ოჯახის წევრებს — მშვიდობიანად წასულიყვნენ. ასევე სურდათ მოქცეოდნენ მელიქოვის სახლსაც, მაგრამ ამისთვის საჭირო გახდა მის გვამზე გადაბიჯება, რაც შეასრულეს კიდევ.

საქმე იმით დამთავრდა, რომ მთავრობამ პირობა დასდო — მცხოვრებთა მოთხოვნილებას შეევასრულებო. შეასრულებს თუ არა თავის პირობას, ამას მალე დავინახავთ.

1865 წ. სექტემბრის 9.

20. [წერილი გერცენს]

Geneve, 31, rno du Rhone
1 თებერვალი 1865

ალექსანდრ ივანიჩ

ვ. ი. კასატკინისაგან გავიგონე, ვითომც ქ-ნ გოლიცინას თქვენ-
თვის ეთქვას, რომ მათ წრეს არ უფიქრია მ. ლ. მიხაილოვის ნეკრო-
ლოგის დასაწერად მასალის მიწოდებაზე „კოლოკოლისათვის“
უარის თქმა.

ეს საქმე მე მეხება, როგორც ადამიანს, რომელმაც თქვენ გითხ-
რათ, რომ ეგრეთ წოდებული მასალები გადაცემული აქვს ბატ. მეჩ-
ნიკოვს იმ პირობით, რომ ისინი არ დაიბეჭდოს „კოლოკოლში“. ამის
შემდეგ მე გთხოვთ განმიმართოთ, რაც შეიძლება ვრცლად, ამ გაუ-
გებრობის აზრი. ეს ცოტაა, მე მჭირდება თქვენი წერილი, რომელ-
საც დასაყრდენად გამოვიყენებდი.

სრულიად დარწმუნებული, რომ ამ კომისიონერის ხელით გამო-
მიგზავნოთ წერილობით ახსნა-განმარტებას² ამ ჩემთვის გაუგებარი
ისტორიისას, გართმევთ ხელს

ნ. ნიკოლაძე

21. საქართველოდან

„მოსკოვსკიე ვედომოსტი“ (№ 194) ამიერკავკასიის მხარის მდგომარეობას წარმოგვიდგენს მეტად სამწუხარო სახით — რა თქმა უნდა რუსულ-კატკოვურ ნაციონალური პოლიტიკის თვალსაზრისით, და თანაგრძნობით უყურებს მიხეილ ნიკოლოზის ძეს, რომელიც მოწოდებულია ებრძოლოს სამწუხარო მოვლენებს, რომელთაც ამიერ-კავკასიაში აქვთ ადგილი. ყოველი ბოროტების მიზეზს, ამიერ-კავკასიის მხარეში, ისე როგორც რუსეთში, ის მიაწერს რუსული ნაციონალური პოლიტიკის სისუსტეს და მამათა შეცდომებს, რომლებმაც არა თუ დაუშვეს, არამედ, როგორც სჩანს, ხელი შეუწყვეს კიდევ სხვადასხვა ადგილობრივ ეროვნებების ნაციონალურ სულისკვეთებათა მოძრაობას; აღნიშნული სტატიიდან გამომდინარეობს მხოლოდ ერთი დასკვნა, რომ ეხლანდელი მთავრობისათვის აუცილებელია იზრუნოს რათა შეჩერებულ იქნას ეს მოძრაობა. „მოსკოვსკიე ვედომოსტი“-ს მიერ მთავრობისათვის ასეთი როლის რჩევის გამო, მე გამახსენდა ერთი სასაცილო საშუალება ეტლების დამუხრუჭებისა, რომელიც კიდევ არსებობს ინგლისის ზოგიერთ ადგილებში: იქ სახედარი ასრულებს მუხრუჭის როლს, ე. ი. როცა ეტლი მთიდან ძირს ეშვება, ეტლის უკან მიაბამენ სახედარს, რომელიც, თავისი ჩვეულებისამებრ, მიაბჯენს ხოლმე ოთხივე ფეხს, რომ არ წავიდეს წინ, თუმცა ამით ის ვერ აჩერებს ეტლს, მაგრამ ხელს უშლის მის ჩქარ მსვლელობას.

„მოსკოვსკიე ვედომოსტი“ განსაკუთრებით თავს ესხმის კავკასიის ყოფილ მეფისნაცვალს თავად ეორონცოვს, რომელიც, თითქოს ყველგან, სადაც კი ის განმგებლობდა, აღვივებდა ადგილობრივ მკვიდრთა შორის მათი რუსებთან შედარებით უპირატესობის სულისკვეთებას; და ასეთი ბრალდების დასამტკიცებლად, აღნიშნული გაზეთი მიუთითებს, რომ ამ თავადმა, თავისი სასახლის ახლოს ალუპკაში, ააშენა შესანიშნავი თათრების მეჩეთი — რის გამოც ყირიმის თათრებმა სიამაყით დაიწყეს ლაპარაკი, რომ ისინი თათრებმ

არიან; და ვითომდა თბილისში გამოცემულიყოს სომხური ჟურნალი რუსეთის ფულით — რამაც, რალა თქმა უნდა, აგრეთვე მისცა საბაზი სომხებსა და ქართველებს ფიქრათ, რომ ისინი წარმოადგენენ სხვა რომელიღაც არა რუსულ ეროვნებებს.

უკანასკნელი გარემოების შესახებ, ე. ი. რუსეთის ფულების სომხური ჟურნალის გამოცემის შესახებ, მე შემიძლია გადაჭრით ვთქვა, რომ „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ რწმუნება მტყნარი სიცრუეა; და თუ ეს გაზეთი ამაში არ დამეთანხმება, მაშინ მიგვითითოს, როდის, ვისი განკარგულებით და რომელი ხაზინიდან გაიცა აღნიშნული ფულები და ბოლოს, რაზე უნდა ზრუნავდეს მთავრობა, იმაზე, რომ გაანათლოს თუ იმაზე, რომ დააბნელოს რუსეთთან შემოერთებული ერები. საყვედური იმაზე, რომ რუსის სახელი ადგილობრივ მკვიდრთა შორის იქცა ცნებათ ყოველივე დამცირებულისა, შეურაცხყოფილისა და ცუდისა და ამიტომ მოთხოვნა ადგილობრივ ენათა აღმოფხვრისა, — ნუთუ არ ნიშნავს რუსეთის საშინლად დამცირებამს ევროპის თვალში?

სად გაბედავენ ჩვენს საუკუნეში, გარდა რუსეთისა, გამოამუღავენონ მსგავსი პრინციპები? ავსტრია, რომელსაც თვით რუსეთშიაც ეროვნებათა მშთანთქმელს უწოდებენ, არ ანვითარებდა ადგილობრივ მკვიდრთა შორის გემოვნებას ლიტერატურისადმი და ხელს არ უწყობდა ადგილობრივ ენათა დამუშავებას? თქვენ გადაასახლეთ ჩერქეზები სამშობლო მთებიდან და ეხლა თხოულობთ სხვა ეროვნებათა აღმოფხვრას... როგორ მოსჩანს ყველა ამაში მონღოლური მიდრეკილება, რომელიც ფიქრობს აავგოს თავისი დიდება განადგურებასა და ნანგრევებზე!

რომ არც ერთ რუს მმართველს არ უთქვამს ქართველებისა და სომხებისათვის, რომ ისინი უკეთესნი არიან რუსებზე — ამაზე, ვფიქრობთ ფიცი საჭირო არაა. და თუ ამიერ-კავკასიის მხარეში რუსეთმა შეიტანა ეხლანდელი ცივილიზაცია, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ იქ რუსები უნდა იყვნენ ბატონებად და ადგილობრივი მკვიდრნი მათ მონებად. რუსეთის ღირსება, ჩვენთვის ადგილობრივ მკვიდრთათვის, ისევე ძვირფასია, როგორც რუსებისათვის. რაც შეეხება „მოსკოვსკიე ვედომოსტი“-ს მტკიცებას, რომ პოლონეთის აჯანყების დროს, სომეხი და ქართველი ახალგაზრდობა გამოსთქვამენ თავის თანაგრძნობას პოლონელებისადმი, უნდა ვთქვათ, რომ ამ თანაგრძნობის წარმოშობა შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობის გრძნობით. „მოსკ. ვედ.“ ნება აქვს ჰქონდეს პრეტენზია, რომ რუსეთისადმი შემოერთებულ ერთა შვილები, ვალდებულნი არიან რუსის მთავ-

რობის ყოველი მოქმედება მიიჩნეონ დიად საქმედ; ევმენიდების გუნდი⁷⁴ ოდიდანვე იყო უღმობელი, და ამ გუნდს რუსის მთავრობის მიმართ წარმოადგენენ ადგილობრივი ტომები: ისინი, ბედისწერის წყალობით, ინაწილებენ რა საერთო მდგომარეობას რუსეთთან ერთად, უკვე იმიტომ რომ ისინი არიან სხვა ეროვნებისანი, არ შეიძლება იყვნენ გატაცებულნი იმ ცრუ-პატრიოტიზმით, რომელიც ეგოისტურ გადაგვარებას განიცდის და რომლის ორგანოც არის „მოსკოვსკიე ვედომოსტი“. ამიტომ ისინი, როგორც მიუდგომელი მოწმენი, მოუთმენელია ამ გაზეთისათვის და თხოულობს მათ აბუჩად აგდებას, ან კიდევ მათ მოსპობას. ასეთი მოთხოვნისა და კიდევ შეიძლება შეუთანხმდეს კრიმინალურ ლოდიკას; მაგრამ დანახვა რუსეთისადმი მტრული განწყობილებისა იმ ფაქტში, რომ ზოგიერთმა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სომეხთაგან თავიანთ ბავშვებს ნაპოლენი დაარქვეს, ეს ისეთი წერილმანობაა, ისეთი შარიაანობაა და ამჟღავნებს ისეთ შეურიგებლობას ყოველგვარი თავისუფლებისადმი და განსაკუთრებით ოჯახური თავისუფლებისადმი, რომ ამის შემდეგ ექვს გარეშეა, რომ „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ გამომცემელი თავისი ერთგულებით აღმოუჩენს ისეთსავე სამსახურს რუსის ხალხს (რომ მართლა ემუქრებოდეს ამ ხალხს რაიმე საშიშროება), როგორც აღმოუჩინა მარატმა საფრანგეთის თავისუფლებას⁷⁵. ის ხშირად აცხადებდა, რომ საკმარისია მხოლოდ მარატი საფრანგეთის თავისუფლების გადასარჩენად. (ეს იმ გვარად უნდა გავიგოთ, რომ მისი წინადადებები ისე საშინელი იყო, რომ ორი მარატის მოსმენას, უთუოდ, ვერ შესძლებენ). „მოსკოვსკიე ვედომოსტი“-ს გამომცემელსაც თავისი მხრით შეუძლია აგრეთვე განაცხადოს, რომ საკმარისია მარტო ის რუსეთის ხალხის ხსნისათვის.

მაგრამ საყურადღებო სიტყვა იმის შესახებ, რომ, ვითომდა, სახელი რუსული შეიქმნა ადგილობრივ მკვიდრთა შორის სინონიმად ყოველივე ცუდისა, დამცირებულისა და შეურაცხყოფილისა— უკვე წარმოთქმულია „მოსკ. ვედომოსტი“ მიერ. ეხლა გავსინჯოთ რამდენად მართალია ეს და საიდან უნდა წარმომდგარიყო ასეთი სათაკილო აზრი. მთავრობა, როცა ის დაეპატრონება ახალ ხალხს, აცნობს ამ ხალხს თავისთავს, პირველად თავისი სამხედრო ძალების გამართულობით და მეორეთ სამართლის წარმოების წესით, ანუ სხეანაირად, სამართლიანი და ჩქარი განსჯისა და გასამართლების წარმოებით. როგორ გამოიჩინა თავი რუსულმა მთავრობამ კავკასიაში?

დაიწყო რა მართვა-გამგებლობა ხალხის, რომელსაც სწყუროდა მშვიდობიანობა და სამართლიანობა, იმ ხალხის, რომელიც იყო სხვა

ეროვნებისა და არ ესმოდა მათი ენა, და შეიძლება ითქვას, იყო პატრიარქალური, მთავრობამ მას მოახვია თავისი საქმის წარმოების დაუსრულებელი პროცედურა. ადგილობრივი მკვიდრნი, როცა მიდიოდნენ სასამართლოში ცნობის მისაღებად და ესმოდათ ერთი და იგივე პასუხი: მოდი ხვალ, იკითხე ხვალ, რაც გრძელდებოდა ხანდახან ათეულ წლებით, ხედავდნენ, რომ ახალ მართვა-გამგებლობის დროსაც ქრთამი ისეთივე ნამდვილ საშუალებას წარმოადგენს სამართლიანობის მისაღწევად, როგორც წინად. იმედი გაუცრუვდათ თავიანთ ოცნებაზე ადგილობრივებთან შედარებით რუსების მორალურ უპირატესობის შესახებ და სიტყვა „ზავტრა“ გადააქციეს ქართულ პოპულარულ სიტყვად, რომლითაც დაცინვით გამოსთქვამენ დაპირებას, რომლის სისრულეში მოყვანას არ ფიქრობენ. ამრიგად, მთავრობამ ძლიერ ცოტა გააკეთა სამართლის წარმოების საქმის გასაუმჯობესებლად, ყოველ შემთხვევაში მისი პრაქტიკაში გამოყენებისათვის, ამასთან ერთად ზედმიწევნით გაამაგრა გლეხობის მებატონეებთან დამაკავშირებელი ჯაჭვი, ე. ი. ამით გააღიდა უსამართლობანი.

სამხედრო ძალა რუსეთისა, ე. ი. არმიის მრავალ-რიცხოვანობა, მისი საშუალების სიმდიდრე და რუსების შეურყევლობა ბრძოლაში, ყოველთვის იყო ადგილობრივ მკვიდრთა სამართლიანი გაოცების საგანი. ისინი ყოველთვის გრძნობდნენ და იგრძნობენ, რომ ამიერკავკასიის საქმეებში რუსების სამხედრო ჩარევის წყალობით არის, რომ ეხლა იქ სუფევს მშვიდობიანობა; მაგრამ რუსის ჯარის კაცის ყოფა-ცხოვრება არ შეიძლებოდა მათ არ მოსჩვენებოდათ უზუბედურესად და ჯარისკაცი არ ჩაეთვალად შეურაცხყოფილ და დამცირებულ არსებად. არც ერთი უგაპირებულესი ადგილობრივი მკვიდრი არ მოისურვებდა ყოფილიყო ჯარის კაცი—ყოველ შემთხვევაში ამ რამდენიმე წლის წინად, ე. ი. ჯარისკაცების წყებალებით დასჯის შემთხვევების განსაზღვრამდე; და ეხლაც საკმარისი იქნება გამოცხადდეს კავკასიაში ახალწვეულთა გაწვევა, რომ იქ მოხდეს მღელვარება.

ასე რომ, რუსის მთავრობამ ვერ მოხიბლა ადგილობრივი მცხოვრებლები ვერც სამართლიანობით და ვერც თავისი სამხედრო დიდების მიმზიდველობით. ადგილობრივი მკვიდრნი არ ლაპარაკობენ, რომ მონღოლები და სპარსელები სჯობიან რუსებსო, მაგრამ ისინი არ მალავენ, რომ რუსები ვერ სჯობიან ადგილობრივ მკვიდრთ და, რომ ამიტომ არ უნდა მიეცეთ კავკასიაში რუსებს უპირატესობა ადგილობრივ მკვიდრთა საზიანოთ. მაგრამ „მოსკ. ვედომ.“ ამით შეურაცხყოფილია, ასეთ პრეტენზიაში ხედავს არასაკმარის პატივისცე-

მას და რუსებისადმი რაღაცნაირ მძულვარების გამომჟღავნებას. სინამდვილეში კი სულ წინააღმდეგ ვხედავთ. სახელდობრ, ბევრი რუსი, უთუოდ „მოსკ. ვედომოსტის“ მუდმივი მკითხველები, ამჟღავნებენ, ბავშური სახითაც კი, თავის ფარულ მძულვარებას ადგილობრივ მკვიდრთადმი. აი ამის უახლესი მაგალითი: კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე დეისტ. სტატკ. სოვეტნიკი მაქსიმოვიჩი, თბილისში აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, როცა დასეირნობდა გოლოვინის პროსპექტზე⁷⁶ სცემდა ქართველებს (რა თქმა უნდა უბრალო წოდების ხალხს), რომელთაც გადაეყრებოდა და ამავე დროს აგინებდა მათ ქართულად: აი შენ „მამაძაგლა“. მის თანამომძეებს — მოხელეებს გულწრფელად აოცებდა მისი პატრიოტული გრძობების ასეთი სიფიცხით გამომჟღავნება; მაგრამ მაინც გამოჩნდა ერთი მათ შორის, რომელმაც აღშფოთებით შენიშნა, რომ ამის მსგავსი გამბედაობის გამოჩენა სრულიად უადგილოა და შეიძლება მას მოჰყვეს უფრო საზიანო, ვინემ კარგი შედეგები. მაგრამ ბ. მაქსიმოვიჩმა უთუოდ არ მიაჩნია ყურადღება ასეთ შენიშვნას და ის მოახერხებს, რომ ჯოხის საშუალებით მიიღოს დაჯილდოება.

მაგრამ, როდესაც „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ ლანძღავდა მთავრობის პოლიტიკას ამიერ-კავკასიაში, როგორც სჩანს, უმიზნებდა უმთავრესად სრულებით სხვა მხრისაკენ, სხვა ხალხს, არა ამიერ-კავკასიისას, ე. ი. პოლონელებს. ეს პოლონელები მოსვენებას არ აძლევენ მას, ან რაც უფრო სწორია, „მოსკოვსკიე ვედომოსტიმ“ უთუოდ ფიცი დასდო არსად არ მისცეს მოსვენება პოლონელებს. და მართლაც როგორც კი სიტყვა ჩამოვარდება იმათზე, ზემოთ აღნიშნული სტატია „მოსკოვსკიე ვედომოსტისა“ იქცევა უკვე ნამდვილ დასმენად; პოლონური საეკლესიო კალენდარიც კი, რომელსაც ყოველ წელს ათავსებენ „კავკასიის კალენდარში“⁷⁷, ამ გაზეთის თვალში წარმოადგენს რაღაც სასიფათო წინასწარ ნიშანს. მაგრამ ცხადია, რომ ეს გაზეთი ორმოებს თხრის, რათა მოხსნილ იქნენ თავიანთ სამსახურის ადგილებიდან პოლონელი მოხელეები, რომელნიც იმყოფებიან ამიერ-კავკასიაში, და მათი ადგილები მიეცეს რუსებს; ამით, უთუოდ, ფიქრობენ მიაღწიონ ორმაგ მიზანს: გააძლიერონ რუსული ელემენტი კავკასიაში და განდევნონ იქიდან პოლონელები. სად უნდა წავიდნენ ეს საბრალონი? სამშობლოში, პოლონეთში? მაგრამ იმათ, როგორც გვესმის, იქედანაც ერეკებიან.

და ბოლოს, იგივე გაზეთი ამბობს, რომ თბილისის აჯანყება დღეოდან შეიძლება ჩაითვალოს საესვებით დამთავრებულ საქმედ. მაგრამ მის რწმუნებაში ჩვენ შეგვიძლია ჯერ კიდევ ეპვი შევიტანოთ, ვინაიდან თვით დიდი მთავრის რესკრიპტიდან. თავად ორბელიანის სა-

ხელზე, რომელიც მოთავსებული იყო „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ № 192-ში, ხალხმა დაუთმო მხოლოდ ძალას; ამასთანავე, რადგან ახალი გადასახადები ჯერ კიდევ არ მოუკრებიათ, აქედან გამომდინარეობს, რომ არც მთავრობა, და არც ხალხი ჯერ არ არიან დაკმაყოფილებულნი.

მართლა, რამდენიმე სიტყვა ამ რესკრიპტის შესახებ. მიხეილ ნიკოლოზის ძე, მიმართავს რა მასში თავად ორბელიანს, სხვათაშორის, ამბობს: „თქვენ მოგესხნებათ თუ რა დიდი ყურადღებით ირჩეოდა საკითხი ქალაქის შემოსავალთა გადიდების შესახებ“. მეფის ნაცვალის ასეთმა მიმართვამ თავის თანაშემწისადმი იმ წამსვე მომაგონა ერთი ქართული ანდაზა: მელამ თავისი კუდი იმოწმაო. დიღო მთავარო, ვინ გატანთ ძალას, რომ თავი იმართლოთ?.. ისარგებლეთ მხოლოდ წარსული აჯანყების გაკვეთილით და მიმართეთ თქვენი გონება არა იქითკენ, რომ მოსრათ ხალხი, არამედ, რომ ყოველ მხრივ ხელი შეუწყოთ მის კეთილდღეობას და მაშინ, მერწმუნეთ, რომ თქვენ შეგიძლიათ მოიპოვოთ თანაგრძნობა საზოგადოებრივი აზრისა, თქვენი რესკრიპტის ყოველივე გასამართლებელი სოფიზმების გარეშეც. ნაკლები პოლიტიკა და მეტი გული—აი დევიზი, რომელსაც კარგი იქნებოდა, რომ მიჰყოლოდით ხალხის მმართველობის საწმეში, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის ხალხის. ეხლა ყველგან, ჩვეულებრივ სიკვდილის შვილთა შორისაც კი, ფულისათვის ჩხუბი ითვლება როგორღაც უწესობად: და შეიძლება ამის შემდეგ — ამდაგვარი უმნიშვნელო რამისთვის ებრძოლო ხალხს და კიდევ როგორ — სამკვდრო-სასიცოცხლოდ! თვით დაუეკირდით საქმეს და თვალყური ადევნეთ, რომ ხარჯები სწარმოებდეს სწორად, ხალხის სასარგებლოდ, მოიპოვებთ რა ამნაირ ნდობას, დაინახავთ, რომ ენდობიან თქვენს სიტყვას და თქვენ მოგცემენ ფულებს იმდენს, რამდენიც საჭირო იქნება; თორემ ეხლა აი რა უსიამოვნება გამოდის! არ სწამთ არც თქვენი რესკრიპტი, არც სხვა ფორმალური მოთხოვნილებანი, და არც რაიმეს იძლევიან თავიანთი ნებით.

სასაცილოა კიდევ ის, რომ იმ რესკრიპტში მოხსენებულია ხარკის მომკრები ბაშბეუკოვი, როგორც არა ადამიანი ურად მოკლული. რას ნიშნავს არაადამიანურად მოკლული? რომელი მკვლელობა არის ადამიანური: იქნებ ჩამოხრჩობა ან დახვრეტა პოლონელებისა?

მაგრამ შემდეგი ადგილი რესკრიპტისა უკვე აიძულებს კაცს გაწითლდეს დიდი მთავრის მაგიერ: „თუ თბილისის მცხოვრებთ არა სურთ დაჰკარგონ მონარქის ყურადღება, ამბობს დიდი მთავარი, უნდა გაამჟღავნონ წარსულ უწყესობათა დამნაშავენი და გაუწიონ დახმარება ხელისუფლებას მათ დევნასა და გამოაშკარაებაში“... განა ეს კეთილშობილურია? და ბოლოს, განა პრაქტიკულია წინადადება მისცეთ მცხოვრებლებს, რომელნიც თბილისში ითვლებიან 1900 ათასამდე, რომ თვით გასცენ თავისი ძმები, დამნაშავენი ისეთსახალხო აჯანყებაში, რომელიც იყო ამ ქალაქში?.. რით დაიმსახურეს ამ მცხოვრებლებმა ამგვარი მათდამი სიძულვილი!

ПРАВЫЕ ДЕЯТЕЛИ

№ 10, 1917 г.

№ 10, 1917 г.

№ 10, 1917 г.

ЭПИХОФОР А. Г.

...лучше видеть и молчать, чем всегда
говорить, так же правильно в открытые
бушующие воды, а не восточными путями
идти вперед и вперед, всегда оказывая
себе и другим трудностям заниматься бес-

И. Г. СЕРЫШЕВСКАЯ

ЖЕНЕВА

Отпечатано в Военной Русской Типографии

№ 10, 1917 г.

1917

22. მთავრობა და ახალი თაობა

(1866 წლის 4 აპრილის გასროლის გამო)

1866 წლის 25 ივნისი

...Истинно великие и полезные цели всегда достигаются только прямым и открытым образом действий, а не косвенными путями таинственных обществ, всегда оказывающихся и долженствующих оказаться бессильными...

Н. Г. Чернышевский⁷⁸.

მ კ ი თ ხ ვ ე ლ ს

ნილაბი ახდლია, საყვარელო მკითხველო; ადამიანებმა ღეთის-გაჩენილ ქვეყანაზე შეუღამაზებელი, თავისი ბუნებრივი სახით იწყეს გამოჩენა. ლიბერალიზმი და ფსევდო-დემოკრატიული პოლიტიკა არქივს ჩაჰბარდა და მის კარებს ალექსანდრე II-ემ თავისი მძიმე ბეჭედი მიაკრა.

ღიას, მართალს ამბობენ გონიერი ადამიანები — ბოროტებაც კი არ არის კეთილის გარეშეო. და თუ 4 აპრილის გასროლას, სინდიის ქვეშ რომ ვთქვათ, შეუძლებელია დიდი ბოროტება ვუწოდოთ, მაინც მას უფრო მეტი სიკეთე მოჰყვება, ვიდრე პირველ ხანებში შეიძლებოდა გვეფიქრა. ჩვენ ერთხელ კიდევ დავინახეთ, პოლონეთის აჯანყების შემდეგ, თუ რაოდენად დიდია უცილობა ჩვენი საზოგადოებისა, რაოდენად მძლავრია მასში სხვისი ჭამიობის ინსტინქტები და რაოდენად აუცილებელია გარდაქმნა ამ საწყალისა და ამასთანავე სისხლისმოყვარული მასის ტვინისა, ვიდრე პოლიტიკური რეფორმებისა და რეფორმების მაგვარების ქადაგებას შეუდგებოდეთ...

ამასთან ერთად, მთავრობა თავიდან იშორებს საბურველს და ყველას გასაგონად აცხადებს: მე განზრახვა მაქვს დავეყრდნო მხოლოდ და მხოლოდ იმ ელემენტებს, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ახლანდელი წყობილების ხელუხლებლობითაო. იგი ფიცუ-

ლობს: რუსეთის ხალხის სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მხარს დაეუქვრ სილატაქეს იმით, რომ უპირატესობას მხოლოდ და მხოლოდ თავადაზნაურთა და მესაქუთრულ ინტერესებს მიენიჭებ, ხოლო უვიცობასა და სიბნელეს — ხალხის მასებზე სულიერი ზეგავლენით გავაძლიერებო. ბოლოს, იგი გვპირდება: შევა-ვიწროებ და მოვსპობ განათლებულ საზოგადოებაში აზროვნების განვითარებას, ხოლო ხალხში — ადამიანურ ცნებათა გავრცე-ლებასაო.

შეუძლებელია თქვენ ეს ვერ შეამჩნიოთ, თუკი უნარი გაქვთ რისამე შემჩნევისა; მიიღეთ მხედველობაში, რომ ყველაფერ ამას არა ერთხელ და ორხელ გეჩიჩინებოდათ ჩვენი ლიტერატურის ის ნაწილი, რომელსაც ეგრეთწოდებული რეფორმების გარეგანი ბრწყინვალეობა თვალს ვერ უბრმავებდა. 1858 წლიდან, მაშასადამე არა გუშინდელი დღიდან, თქვენ შეგეძლოთ შეგენიშნათ რუსეთის მთავრობის წმინდა კონსერვატიული ტენდენციები, ვინაიდან იყო ისეთი ხალხი, რომელმაც ეს შეამჩნია, ეს ხალხი თვალს გიხეღდათ თქვენ, აღნიშნავდა მთავრობის უუნარობასა და უკეთურობას. ეს ადამიანები ცდილობდნენ მიეთითებინათ თქვენთვის იმაზე, რომ აუცილებელია სხვანაირი ცვლილებები და უწინარეს ყოვლისა, საჭიროა საზოგადოების ზნეობრივ ცნებათა გარდაქმნა. თქვენ მოცე-მული გქონდათ ამ უკანასკნელი რეფორმისათვის საჭირო საფუძვე-ლი და ამ მხრით ბევრ სხვაზე უფრო ბედნიერ გარემოებაში იყავით... მაგრამ თქვენ ვერ ისარგებლეთ ამით...

ახლა სხვა დროება დგება: თვითონ მოვლენები კისრულობენ დაამტკიცონ ამ მითითებათა საფუძველიანობა. ის, რასაც ცხრა წლის წინათ შორსმკვერტელი პუბლიცისტები ამჩნევდნენ, ახლა თვალში ეცემა ყველას და თვითუფლს, თქვენით დაწყებულნი. თქვენ ახლა თითქოს ჰხედავდეთ, რომ რუსეთის მთავრობა უკან მიტრიალდა, რომ „13 მაისის რესკრიპტი“ და ვალუევის მიერ მისი ცირკულია-რული განმარტებანი მთავრობის სისტემის გარდატეხის, შემოტრია-ლების წერტილებია⁹⁰. არაფერი ამის მსგავსი არა არის რა, მკითხვე-ლო. მთავრობა დიდი ხანია აშკარა რეაქციას აწარმოებს იმ ადამიან-თა წინააღმდეგ, ვისაც სურთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნამ-დვილი რეფორმა მოახდინონ; და ეს რეაქცია დაიწყო არა 1866 წელს, არა 1862 წ., არამედ ბევრად უფრო ადრე, სახელდობრ იმ დროს, როდესაც მთავრობამ იწყო გლებთა ცხოვრების მოჩვენე-ბითი რეფორმის განხორციელება⁹¹... მაგრამ ამ რეაქციას ამჩნევდ-ენ მხოლოდ პუბლიცისტები. თქვენ კი, მკითხველო, მას ვერ ხე-დავდით და მთავრობის მკაცრი ღონისძიებები სამწუხარო გაუგებ-

რობა გეგონათ. ახლა ჩვენებურმა მთავრობამ იკისრა გულახდილად განმარტოს თავისი მიზნები და მოქმედების სისტემა და ეს გულახდილობა თვალს აუხელს ძალიან ნაკლებად შორსმჭვრეტ ადამიანებსაც კი. მაგრამ თქვენ სამწუხარო მდგომარეობაში ხართ: უცაბედმა გულახდილობამ შეიძლება თქვენზე ძალიან მძაფრად იმოქმედოს და შეიძლება დაიბნეთ. რათა დაგეხმაროთ ამ სავალალო მდგომარეობაში, ჩვენ წარმოგიდგენთ „ორი მებრძოლი მხარის“ იოლსა და საკმაოდ ზერელე აბრისს. თქვენ თვითონ განსაჯეთ, რომელს მათგანს უნდა ეკუთვნოდეს თქვენი სიმპათიები და რომელს კიდევ — ანტიპათიები.

I

„Силу новую,
Благородных, юных дней,
В форму старую, готовую,
Необдуманно не лей...“⁸¹.

4 აპრილის შემდეგ რუსული საზოგადოება უცნაურ სანახაობას წარმოადგენს: ყველანი, ვინც კი მასში იყო ისეთი, ლაპარაკის და აზრის გამოთქმის უნარი რომ ჰქონდა, რასაკვირველია, „დევნილ ადამიანთა“ პატარა ჯგუფის გამოკლებით, ერთმანეთს ეცილებიან და ცდილობენ განაცხადონ თავისი აღმფოთება გასროლის გამო, თავისი უქვეშევრდომილესი გრძნობები და, რაც ყველაზე უფრო გაუგებარია, ხალხისადმი თავისი სიყვარული. მთავრობა, დაწყებული თავისი ოფიციალური წარმომადგენლით — ხელმწიფით და გათავებული მიკროსკოპიული, ოფიციალური ჯაშუშებით, ხელახლა ხდება საზოგადოების კეთილგანწყობილების საგნად, ასე ვთქვათ, ხელახლა იწყებს მოღვაწეობას შემოსვლას. იგი პირდაპირ აღესილია საზოგადოებრივი თანაგრძნობის ნივთიერი და არანივთიერი ნიშნებით: ადრესებითა და „ვაშას“ ძახილით, დეპეშებითა და თხოვნებით — „ნუ დაინდობთ დამნაშავეებსო“, დეპუტაციებითა და სალონის სიტყვებით. საითაც კი გაიხედავს მთავრობა, ყველგან კეთილმეგობრული ხელები ხვდება, რომლებიც მზად არის გულში ჩაიკრას და მიუალერსოს მას. ყოველ მხრიდან ხელს იშვერენ მთავრობისაკენ და ცდილობენ დაიციან იგი ჯაჭვდადებულის და ფუტლიარში ჩაქედილი კარაკოზოვისაგან და არა მარტო მისგან, არამედ ყველა მის მოგვარეთა და ნათესავთაგან, მეშვიდე თაობამდე...

საზეიმო ნადიმებს, ალტყინებულ ყიყინას, საგაზეთო წერილებს დასასრული არ აქვს. ყველგან, სადაც კი სამი ისეთი კაცი მაინც

მოიპოება, რომელნიც იმდენად უზრუნველყოფილნი არიან, რომ ერთად გამოძღვნენ, — იმართება „საზოგადოებრივი ბანკეტი“ და დესერტის დროს ითხზება დეპეშა. პრეფერანსის თვითეული პარტია, „დურაჩკის“ თვითეული თამაში — თავდება ადრესით; თვითეული უხეირო ლიტერატორი, ოდესღაც ყველა რედაქციის კარი რომ მოუვლია და მინც ყველასგან უკუგდებული დაბრუნებულა, ჯღაბნის მრისხანე ეპისტოლეს რომელსამე გაზეთში, მოითხოვს დამნაშავეის სიკვდილით დასჯას და იმას, რომ მისი წერილი დაისტამბოს „უახლოეს ნომერში ავტორის სახელი და გვარის სრული მოწერით“. შეუძლებელია ბოთლი ლუდი დაილიოს, მატლით სავსე ძეხვი შეიკამოს უიმისოდ, რომ მურავიოვის სადღეგრძელო არ ითქვას. ოჯახებში პატივსაცემი მამები და დედები, მოზრდილი და მოზარდი შვილებითურთ „ურას“ გაჰყვიროდნენ, როდესაც გაიგეს რომ მურავიოვი დაუნიშნავთ გამოძიებელი კომისიის თავმჯდომარედ და ცრემლმორეულნი (აღბათ) ლოშნიდნენ მის პორტრეტს. —

А потому что патриоты!

და ეს საოჯახო, წყნარი, თუმცა-ღა სისხლისმსმელი ბედნიერება, რომელსაც არსებითად თავისი მშვენიერება განმარტობდასა და მიჩქმალულობაში უნდა დაენახა, ცდილობს სააშკარაოზე გამოვიდეს, ყველა გამვლელ-გამომვლელს ეჩვენოს, მთელ ქვეყნიერებას (თუ რომ ეს ქვეყნიერება რუსულ გაზეთებს კითხულობს) ამცნოს თავისი მღელვარება და აღტაცება. ლაპარაკი არ ღირს საბრალობელ დობჩინსკებზე, რომელნიც შესთხოვენ ხლესტაკოვს, — უჟაცრავად, კატკოვს: მოახსენეთ ხელმწიფესა და მინისტრებს, რომ ამა და ამ ქალაქში ცხოვრობს (დიაღ, სწორედ ასე მოახსენეთ!) აზნაური პეტრე ივანესძე, შვილი დობჩინსკისა. ამ ვაჟბატონების სურვილი, საჯაროდ გამოჰფინონ თავისი გრძნობანი და ამასთან ერთად თავისი პიროვნება — სავსებით კანონიერდება. რაკი საოჯახო გრძნობანი ასე ამოძრავებულან და ცდილობენ საუკუნოებრივ კარჩაკეტილობას თავი დააღწიონ.

გაზეთები და ჟურნალები ცდილობენ ერთმანეთს დაასწრონ და არა მარტო გამოსთქვან თავისი სიმპათიები იმპერატორის დინასტიისა და მურავიოვისადმი, არამედ ცდილობენ, გაარკვიონ კიდეც ეს სიმპათიები იმ ინტერესების მიხედვით, მას საფუძვლად რომ უდევს. და რაზედაც იგი დამყარებულია. ამნაირად, მაგალითად, გამოირკვა, რომ თავადაზნაურობის ნაწილი, რომელიც უკან მიილტვის, ხელმწიფეს გუნდრუქს უკმევს, როგორც ისეთს ძალას, რომელსაც შეუძლია მამაპაპური წესების დაბრუნება. თავადაზნაურობის.

ნაწილი, რომელიც მიისწრაფვის „იქითკენ, იქით“, — ინგლისის ნისლიან ნაპირებისაკენ, თავის მხრით, ხელმწიფეს ჩასჭიდებია, როგორც ისეთს საშუალებას, რომელსაც შეუძლია ჩვენს ნიადაგზე გადმოიტანოს ბრიტანული დაწესებულებანი და შეაზავოს იგი ჩვენებური ბატონების მეჭინბურ ზნე-ჩვეულებასთან. ასევე გამოირკვა, რომ ლიბერალები, რომელთაც სურთ პროგრესი სხვისკამობას შეუერთონ, ხოლო თავისუფლების პირობები — სხვის ხარჯზე ცხოვრების სურვილს, ხელმწიფის სახით იფარავენ მუქთა პურის კამისა და მხიარულად ცხოვრების საკუთარ პრივილეგიებს. და თვითეული პარტია, ცინიკურად აღნიშნავს რა იმ სარფიანობას, რის გულისათვისაც იგი აღმერთებს თავის ხელმწიფეს, ცდილობს თავისკენ მიმართოს აწინდელი ყოვლადშემძლე ხელისუფლება და გასრისოს მისი შემწეობით ყველაფერი, რაც მისი პარტიის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ან მის სურვილებს მთლიანად არ შეეფერება.

საზოგადოების მასა პირდაპირ გააოცა არა იმდენად აქამდე გაუგონარმა ამბებმა, რამდენადაც იმან, თუ როგორ დატრიალდა ეს საქმე ბატონყმობის „გამოცდილი“ პუბლიცისტ-კონსერვატორების წყალობით. ამ საზოგადოების ინსტინქტური ზიზღი ყოველგვარი სისხლისღვრისადმი გადააქციეს სისხლისმსმელ სიძულვილად რუსეთის საზოგადოების მთელი ფენისადმი, თითქმის მთელი ასალი თაობისადმი, რომელიც იწყებს, ან სურს დაიწყოს სხვაგვარი ცხოვრება. მასას ჰგონია, თვითონ მას მოელის საფრთხე იმ ადამიანებისაგან, რომელთაც სურთ ისწავლონ საკუთარი შრომით ცხოვრება, არავის აწენენ ტვირთად და არც არავინ დაისვან კისერზე. საზოგადოება ვერ იცნობს ახალთაობის აზრებსა და სურვილებს, ანუ, უფრო სწორად რომ ითქვას, ამ ახალთაობის იმ ნაწილისას, რომელიც საზოგადოებრივი საკითხებითაა დაინტერესებული. საზოგადოება ყურადღებას აქცევს საქმის მხოლოდ გარეგან, დამახინჯებულ მხარეს, არ ჩაჰკვირვებია საკითხის არსს და უკუაგდება მთლიანად ყველა მათ, ვინც თუნდ გარეგნობით მაინც განსხვავდება მამაპაპათა და მათ ზნე-ჩვეულებათაგან.

ახალთაობისადმი ამ სიძულვილთან ერთად საზოგადოება განიცადის მთავრობისადმი რაღაც გაღმერთების გრძნობას. მთავრობა მიაჩნია არა თუ თანამედროვე საზოგადოებრივისა და სახელმწიფოებრივი წყობილების განსახიერებად (ამას, რასაკვირველია, არავინ უარპყობს), არამედ მიაჩნიათ მთელი რუსის საზოგადოებისა და ხალხის წარმომადგენლად და მფარველად, იმ საზოგადოებისა და ხალხისა, რომელთა ინტერესებიც მოითხოვს სწორედ ამ წყო-

ბილგების გარდაქმნას. საზოგადოების აზრები იმდენად აბნეულია, რომ მას ვერ შეუთვისებია სულ უბრალო და მარტივი აზრი: თუ მთავრობა თანამედროვე წყობილების განხორციელებაა, ეს წყობილება კი აშკარად ეწინააღმდეგება ლარიზმ ხალხის მასათა ინტერესებს, ცხადია, იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება იმავე დროს ამ მასის წარმომადგენელი. მართალი რომ ითქვას, ამ საზოგადოებას არც თუ აქვს განსჯის უნარი: მისი გონებრივი განვითარება უკიდურესად სუსტია; იგი მხოლოდ იმას გრძნობს, რომ მას ცხოვრება საშინლად უჭირს; მისი გონება და აზრი ამაზე შორს ვეღარ მიდის; ამას ერთვის ის უბედურება, რომ მას გვერდზე უდგას კატკოვი თავისი სატელიტებით, უდგას და ჰკუთას ასწავლის. საზოგადოება, საბედისწეროდ, იძულებულია ამ ვაჟბატონებთან ანკესს წამოეგოს, შეეშინდეს მათ მიერ გამოგონილი და გაზვიადებული საფრთხობელასი, უაპელაციოდ და ნებაყოფლობით დაემორჩილოს იმ ტერორს, რომელსაც აღვივებენ კონსერვატორი პუბლიცისტები პრივილეგიურ კასტათა ინტერესების გულისთვის. აი, რატომ არას, რომ საზოგადოება, ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი დროის განმავლობაში — სავსებით და მთლად გაამართლებს ჩვენებური პუბლიცისტების მოლოდინს. ამ უბედურ საზოგადოებას, რომელიც აღზრდილია წარღვნის წინადროინდელი ცნებების მიხედვით, წამოზრდილა მექთახრობაში, შესჩვევია დუმისა და რომელსაც ოდნავი წარმოდგენაც კი არა აქვს სხვა, ნორმალურ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე — ფიზიკური საშუალებაც კი არა აქვს კატკოვსა და კოშკ. დაუსხლტეს ხელიდან. უგნური, არაადამიანური ცხოვრების პირობებით გასრესილია იგი და მას არ შეუძლია თავისი გონებრივი გარდაქმნა მოახდინოს რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში. ხოლო ეს უადა სავსებით კმარა იმისათვის, რომ ჩვენებურ ბატონებს გამარჯვება არგუნოს, მართალია არა სამუდამო გამარჯვება, მაგრამ ასე აუ რსე ხანგრძლივი შინც.

საზოგადოება უკვე დაადგა ამ გზას: ზამოსკვორეჩიელი პუბლიცისტების სტატიები მასში აღტაცებულსა და თანაც მორჩილ გამოხედავებას ჰპოვებს; ეს გამოხედავება, როგორადაც მაღალ საგანს შეჰფერის, ხან უცნაური, ხან უგნური ფორმით იჩენს თავს. თუ აშინაირ: მორჩილებას იჩენს ის საზოგადოება, რომელსაც თავისთავის არაფრად სასარგებლოდ მიაჩნია კატკოვის პრინციპების გამარჯვება, რაღა უნდა ითქვას იმ პარტიზზე, რომელსაც თავისი სრკედლილ-სიცოცხლის საკითხი ამ გამარჯვებისათვის დაუკავშირებულია?

...ბატონაკური პატივმოყვარეობისა და ვიწროდ გაგებული ინტერესების ამ გამოაშკარავებასთან ერთად, როგორც ენამახვილად სთქვა „მოსკოვსკიე ვედომოსტიმ“, ამ „პანურგის ფარის“⁶² ბლავილთან ერთად, — განზე დგას დროებით დათრგუნვილი ახალგაზრდობა, რომელსაც სდევნიან თვითთულად და მთლიანად და რომელმაც, უმრავლეს შემთხვევაში, თვითონაც არ იცის, თუ რატომ სდევნიან. დროა, ბოლოს და ბოლოს, მივხვდეთ, რომ საზოგადოებრივი მდგომარეობით დაინტერესებულობა და ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საშუალებათა ძიება მთელი ახალთაობის აუცილებელ კუთვნილებას როდი შეადგენს. თუ თანამედროვე წყობილების მომხრენი იტყვიან: ყველანი, ვინც ჩვენში ფიზიკურად ახალგაზრდა და ჯანსაღია, საზოგადოებრივი რეფორმის მომხრენი არიანო, — ეს მათი მხრით საკუთარი თავისთვის სიკვდილის განაჩენის გამოცხადება იქნება. ჩვენ გულწრფელად და მწვავედ გვძულს თანამედროვე წყობილება. მაგრამ ჩვენ ვერ ვბედავთ და არც შეგვიძლია გავბედოთ ვთქვათ, რომ ამ სიძულვილს იზიარებდეს თანამედროვე ახალთაობის თუნდაც უმეტესობა. შინაური აღზრდის დამაჩლუნგებელი სისტემა და ამაზე არა ნაკლებად გამომაყუყუჩებელი სისტემა სასწავლებლებში გამეფებული აღზრდისა — ძალიან ადრე, ჩანასახშივე ჰკლავს თავისუფალი აზროვნების ყოველგვარ გამოსახულებას; ამიტომ ჩვენ ვერ მივცემთ ჩვენს თავს ნებას ვთქვათ, რომ მთელს ახალთაობას შეეგნოს და მაშასადამე შეაგნებინებდეს სხვებსაც აწინდელი დროების ცხოველსა და საჭირბოროტო ინტერესებს. ჩვენს მსჯელობას ყველაზე კარგად ადასტურებს მოსკოვის სტუდენტების საქციელი, რომელთაც პარაკლისი გადაიხადეს ივერიის ღვთისმშობლის ხატთან⁶³, კატკოვის ფანჯრებთან „ვაშას“ გაჰყვიროდნენ; აგრეთვე საქციელი სხვა სასწავლებელთა მოწაფეებისა, რომელნიც ხატებს ყიდულობდნენ და მოგროვილი ფულით პარაკლისს იხდიდნენ. მიუხედავად ამისა, შესაძლებლობა რომ ჰქონოდეთ ერთბაშად გაელიტონ ახალი თაობა, უეჭველაა, მას მართლაც გაელეტდნენ. ჩვენებურ ჟურნალთა იროდებს⁶⁴ სწორედ ის უნდათ, რომ აღიგავოს პირისაგან მიწისა ის თაობა, რომელსაც საშუალება ჰქონდა წაეკითხა დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის ნაწერები და თუ ეს ნაწერები არ წაუკითხავს, ყოველ შემთხვევაში, ბევრი რამ მაინც გაუგონია მათ შესახებ. შემდგომ ისინი იკისრებენ იმ ახალგაზრდობის აღზრდას, რომელიც ამჟამად დედის მუცლად იმყოფება; მაგრამ ამას ისინი იქმნენ იმ პირობით, თუ მათი დედები ნილილისტები არ იქნებიან და თუ ისინი არავითარ შემთხვევაში არ იქნებიან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩამომავალ-

ნი „ახალი აღამიანე ბისა“. ამ მხრით მათი სურვილები აღსრულდება; თმაშეკრეკილ ქალებს ყვითელ ბილეთებს⁸⁵ აძლევენ არა იმდენად იმისათვის, რომ დაამცირონ, რამდენადაც იმისათვის, რომ აღგავონ ისინი პირისაგან მიწისა მათი ბავშვებითურთ, რომელნიც, თანახმად დაკანონებული წესისა, უნდა გაიგზავნონ კანტონისტებად, ანა და, რაკი კანტონისტთა სკოლები დაიხურა, გაგზავნონ სამხედრო ხალხისათვის სხვა, ამაზე არა ნაკლებად ხელსაყრელ ადგილას.

ამნაირ მდგომარეობაში ჩავარდნილ ახალგაზრდობას, ბუნებრივია, რომ გზა უნდა აბნეოდა, გზაჯვარედინზე დამდგარიყო და ამით კიდევ უფრო გაეძლიერებინა საზოგადოების ახლანდელი მდგომარეობის უცნაურობა. თავისთავად ცხადია, აქ ლაპარაკი გვაქვს ახალი თაობის არა იმ ნაწილზე, რომელსაც განსაკუთრებული პირობების გამო თავისთვის მტკიცე და გარკვეული პროგრამა შეუშუშავებია და რომლებზედაც ამ წერილში გვექნება საუბარი. ჩვენ აქ ვლაპარაკობთ იმ უმრავლესობაზე, რომელსაც თავისი განვითარებით საზოგადოების მასისათვის ბევრად წინ როდი გაუსწრია. ვიმეორებთ, ამ უმრავლესობას გზა აებნა, მისი ერთი ნაწილი კატკოვის ღმუილის აყოლას იწყებს, მეორე ნაწილი კი მერყეობს და ღმუილით იტანს მურავიოვის მათრახებს. ამ უმრავლესობამ რომ იცოდეს, თუ რისთვის სდევნიან მას, იგი, რასაკვირველია, შეეცდებოდა თავი დაეღწია ამ ორკოფ მდგომარეობისათვის, შეეცდებოდა დაემტკიცებინა ყველასათვის და თვითთვისათვის, რომ მას ოდნავადაც არ აქვს ის კანონსაწინააღმდეგო ტენდენციები, რომელთა აჩრდილიც კი ასეთ პანიკურ შიშსა ჰგვრის „თანამედროვე წყობილების ყველა მეგობარს“. მაგრამ თანამედროვე ორომტრიალის დამახასიათებელი სწორედ ის არის, რომ ერთი მხრით სდევნიან და თვითონაც არ იციან, ვის და რისთვის, ხოლო დევნილებმა არ იციან, ვინ სდევნის მათ და რატომ...

და ეს საყოველთაო ორომტრიალი და არევედარევეა, ეს საყოველთაო ციებცხელება გამოიწვია იმან, რომ რომელიდაც ატაცებულმა აღამიანმა მოინდომა ხელმწიფისთვის რევილვერი ესროლა. რანაირად არ განმარტავდნენ ამ საქციელს! პირველ ხანებში ყველა ფიქრობდა, რომ მსროლელი — პოლონელია და ამბობდენ: ეს შურისძიებაა პოლონელთა მხრით პოლონეთის პოლიტიკურად მოკვლისა და განადგურებისათვისო. საზოგადოებას სურდა ამით საჩქაროდ თავიდან მოეშორებინა თავის მიერვე გამოგონილი კოშმარი. „Подписано что поляк и с плеч долой!“ მაგრამ აღმოჩნდა, რომ მსროლელი პოლონელი კი არა, წმინდა რუსია. აქ ასეთი

კონფუზი მოხდა, რომ საყურებლად ღირდა: ადამიანები, რომელთაც სურდათ „თავის ხელმწიფისადმი რუსის ხალხის უქვეშევრდომილესი გრძნობები და საუკუნეობრივი სიყვარულის“ სახელი და დიდება (!) ხელუხლებლად დაეცვათ—გონებადაბნეულნი მივარდნენ ფილოლოგიას, ისტორიას, ფილოსოფიას, არქეოლოგიას, ეკონომიას, ერთი სიტყვით, ყოველგვარ მეცნიერებას, რათა დაემტკიცებინათ, რომ ბოროტმოქმედი რუსი არ არის. ა რ ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა რუსი იყოს. ზოგიერთნი ფილოლოგიას იშველიებდნენ და ამტკიცებდნენ: ამის დამადასტურებელია თვითონ გვარი კარაკოზოვი: ყ ა რ ა — თათრულად შ ა ვ ს ნიშნავს; ი ო ზ ა ნ უ გ ო ზ — თ ვ ა ლ ს ა, მაშასადამე, ბოროტმოქმედი — თათარიანო. მაგრამ ამით შორს ვერ წავალთო, ამბობდნენ სხვები. ამნაირად იმის დამტკიცებაც ხომ შეიძლება, რომ ჰოლშტეინ-ჰოტორპებიც* რუსები კი არა, გერმანელები არიანო, ამიტომ რუსის ხალხის უქვეშევრდომილესი სახელის დამცველებმა ისტორიას მიმართეს და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ იმ დროს, როდესაც ჰოლშტეინ-ჰოტორპის დინასტია ჩამოვიდა ჩვენში „საბატონოდ და სამთავროდ“, ესე იგი XVIII საუკუნეში, კარაკოზოვთა გვარი ჯერ კიდევ არ ყოფილა შეტანილი სარატოვის გუბერნიის თავადაზნაურთა საგვარეულო წიგნში. მესამენი ფიქრობდნენ, შეიძლება კარაკოზოვები რუსის აზნაურები არ ყოფილან, მაგრამ რუსის მეშჩანინები, „პრიკაზის“ ხალხი, ან ამის მსგავსნი იყვნენო. ეყრდნობოდნენ რა ამ აზრს, ისინი მიმართავდნენ ფსიქოლოგიურ ფილოსოფიას, რათა დაემტკიცებინათ, რომ, „ოჯახში თითო მახინჯი არ დაილევა“ და მყისვე გამოიგონეს ბოროტმოქმედის მელანქოლიური და იპოქონდრიული სულიერი განწყობილებაც კი.

მაგრამ ეს იყო პირველ წუთებში. შემდგომმა წუთებმა რუსეთის საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენლებს უფრო ღრმა და ფართო აზრები მოჰბერა. „რომელია ის წრე, — კითხულობდნენ ისინი, — ამნაირი ბოროტება რომ დაჰბადა და აღზარდა? საიდან მიიღო მან თავისი კანონსაწინააღმდეგო აზრები? გაიგეს, რომ იგი მცირეამულიან აზნაურთაგანია და თავადაზნაურთა ორგანომ მყისვე მოითხოვა მეშჩანებსა და გლეხობაში ჩარიცხვა იმ თავადაზნაურებისა, რომელთაც არ აქვთ ამდენი და ამდენი ათასი დესეტინა მიწაო. შემდგომ მოითხოვეს: ყველა იმათ, ვისაც არ მოელის შემკვიდრებლად მიწის განსაზღვრული რაოდენობის მიღება, გონებრივი განვითარების გზა დაეხშოთ, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგინი კეჟის კოლოფობას მოჰყვებიან, მოკვლას დაუპირებენ ხელმწიფესა და მსხვილ მემამულეებსაო. ეს მოთხოვნა უკვე „მიღებულია მხედველობაში“. გაიგეს აგრეთვე, რომ კარაკოზოვი გიმნაზიაში

აღზრდილა და უნივერსიტეტში ლექციებს ისმენდა. „აჰა, — შეჰყვირეს განათლების ჩვენებურმა დამყაყებულმა ჩამჭრობლებმა, ოქსფორდის უნივერსიტეტის დოქტორის მანტიაში გამოწყობილმა ჩვენმა მაგნიცკებმა“, — აი, სად ხარობს იდეები ხელმწიფის მკვლელობისა და გლახკაცთა შორის მიწის განაწილების შესახებ!“ განათლების მინისტრი, რომელიც ბნელეთის მოციქულობაში არ ჩამოუვარდება არც ერთ კატკოვს, არც ერთს სკარიატინს და ასკოჩენსკისაც კი, ეს მინისტრი თავის ადგილიდან გადმოასკუპებს სწორედ იმიტომ, რომ მან, უნივერსიტეტების უფროსმა, ოთხის წლის წინად ვერ შეამჩნია, რომ მისდამი რწმუნებულ ერთ-ერთ სასწავლებელში თავს იფარავდა ის ადამიანი, რომელიც გაილაშქრებდა თანამედროვე წყობილებისა და საკუთრების წმინდა, უწმინდესი პრინციპის წინააღმდეგ. „საჭიროაო, — გაიძახოდნენ ათასგვარ ხმად გაზეთები, ბოროტება ძირიან ფესვიანად აღმოვფხვრათო“, ე. ი. აღმოვფხვრათ ის გიმნაზიები, უნივერსიტეტები, თითქმის მთლად ის სახლებიცა და ქუჩებიც, სადაც კი ოდესმე კარაკოზოვს ფეხი დაუდგამსო.

შემდგომ შეუდგნენ იმ მიზეზთა და მოძღვრებათა კვლევას, რომელთაც შეეძლოთ კარაკოზოვისათვის ბოროტმოქმედების ჩადენის აზრი ჩაენერგათ და აგრეთვე იმის გამოძიებას, თუ რა მიზნით ესროლა მან ხელმწიფეს. „მას ალბათ მსხვილი მემამულეების განადგურება თუ უნდოდა!“ გაჰყვიროდა თავადაზნაურული გაზეთი. „არა, მას რუსეთის მთლიანობის დარღვევა სურდა!“ გაჰყვიროდა „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ და ამ სროლას უკავშირებდა „Revue de deux mondes“-სა⁹⁸. „სოვრემენიკსა“, რომელიდაც გერმანულ გაზეთსა და კიდევ ეშმაკმა იცის, სად დაბეჭდილ რომელიდაც სტატიებს. „სტყუითო, — გაჰყვიროდნენ მესამენი, — იგი რელიგიის წინააღმდეგ ილაშქრებდა. მას უნდოდა ხელმწიფისადმი გულში ტყვიის დახლასთან ერთად, რუსეთის გულში ათეიზმი ჩაენერგაო“, „თქვენ ყველანი იმას ვერ ამბობთ, რაც საჭიროა, — ლულულულებდნენ მეოთხენი, — ეს არის რევოლუციური ასოციაცია (თუ ასოციაციური რევოლუცია), რომელსაც სურს“... და ასე დაუსრულებლივ.

მთელი ამ ხმაურის გამო კარაკოზოვის სახელს, ალბათ, თვით ალიბოს საქმეს და სახელგანთქმულ „გვირგვინოსანთა გაუღეტის ბარსელონის საზოგადოებას“ დაუკავშირებენ. მურავიოვის სახელია ამის თავდები...

მიუხედავად ჩვენი საფიცი პუბლიცისტების მიერ საქმის გაზვიადებისა, ჩვენ პრინციპულად საეხებით თანახმანი ვართ განვიხილოთ ის მოტივები, რამაც გამოიწვია არა მარტო ხელმწიფის მოკვლის განზრახვა, არამედ საერთოდ საზოგადოების ახლანდელი მდგომარეობა. თანამედროვე მდგომარეობა კი შეიძლება ამნაირად დავახსიანოთ: მთავრობამ მოინდომა მოძველებული სახელმწიფოებრივი მანქანის გადაკეთება. ეს გადაკეთება ვერ აკმაყოფილებს იმ ადამიანებს, რომელთაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძირითადი გარდაქმნა სურთ. იმისათვის, რომ ამ უკმაყოფილებას მიუხედავად და მისი ძალოვნობა შეეფასოთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის მოთხოვნები, რამაც მთავრობის რეფორმები გამოიწვია, საჭიროა შევადაროთ დიდი მოლოდინი უბადრუკ სინამდვილეს. ერთი სიტყვით, საჭიროა განვიხილოთ რუსეთის უკანასკნელი დროის სინამდვილის მსვლელობა. ვნახოთ ერთი, რანაირია ეს ვითარება.

გლახთა განთავისუფლება დიდი ხანია საზოგადოებისა და მით უმეტეს — ხალხის მოთხოვნილება იყო. როდესაც რაზინმა მოსკოვის სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო, მისკენ გარბოდნენ ყოველ მხრიდან ყმები. რაზინის აჯანყების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი — ეს იყო ხალხის სიძულვილი ბატონყმობისადმი. სტენკა რაზინის ამბოხება ხალხს აქამდე კარგად ახსოვს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი საეხებით ხალხური იყო. რუსის ხალხს სტენკა ახლაც ცოცხალი რომ ჰგონია, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ღრმად სწამს მომავალში ყოველგვარი ბატონყმობისაგან განთავისუფლება. რაც არ უნდა თქვან რუსეთის მთავრობის ოფიციალურმა ისტორიკოსებმა, ეს ამბოხება და მისი გამარჯვება რაგინდ დიდხანს „კაბაცკაია გოლ“-ის მიაწერონ, მაინც უეჭველია, რომ რაზინის საქმით დანტერესებული იყო მთელი გლახობა და დაბალი ხალხი, ერთი სიტყვით, ყველა ის, ვისაც ბოიარების, მემამულეებისა და „პრიკაზნების“ უღელქვეშ ადარ ეცხოვრებოდა. მარტოდენ ეს დანტერესებულობა აძლევს რაზინის და მისი ამხანაგების პიროვნებას ისტორიულ აზრსა და ხასიათს, რამდენი „ორმოცასრიანებიც გნებავთ ესვათ“ მათ. იგივე უნდა ითქვას პუგაჩოვის საქმეზე. მიუხედავად იმისა, რომ პუგაჩოველები ცდილობდნენ სულ მთლად ამოეწყვიტათ მემამულეები და მათთან ერთად მოესპოთ ბატონყმობა, ჩვენი ისტორიკოსები ამ საქმეს კვლავ ისე უყურებენ, როგორც ვიღაც თავხეხელადებული ადამიანის ბოროტ ლაშქრობას. ბოლოს და ბოლოს

ხომ უნდა მივხედეთ, რომ ცალკე პიროვნებათა ვერავითარი თავ-
აღებულობა, ვერავითარი მათი სიმამაცე და ვერც ვერავითარი მათი
მოხერხებულობა, თუ ეშმაკობა, ვერ გამოიწვევს ხალხის მოძ-
რაობას, თუ ხალხის მასაში, ან, ყოველ შემთხვევაში, მის უმრავ-
ლესობაში, არ სუფევს იმ უკმაყოფილების ელემენტები, რომელ-
საც უკვე აღუესია ხალხის სახელგანთქმული მოთმინების ფიალა.
ცალკე პიროვნებათა და კასტების ყოველი მოქმედება, ყოველი მათი
აზრები, რაგინდ კეთილშობილი და წმინდა იყოს ეს აზრები —
მასებისათვის სრულიად უცხო რჩება; იგი მომაკვდინებელი გულ-
გრილობით ხედება მათ, ვიდრე არ იგრძნობს, რომ მის უკმაყოფი-
ლებისა და ზემოხსენებულ ადამიანთა მეცადინეობას შორის ძი-
რეული და განუყრელი კავშირი არსებობს. ამნაირ შემთხვევებში
(უნდა ითქვას კი, რომ ასეთი შემთხვევები იშვიათია) მასა ერევა
საქმეში და ცალკე პიროვნებათა ცდას თავის საკუთარ საქმედ მიიჩ-
ნევს, თავის საკუთარ ხასიათსა და სახეს მისცემს მას.

ძალიან ძლიერი იყო, მაგალითად, პროპაგანდა, ძალიან დაუღა-
ლავნი იყვნენ პოლონელი რევოლუციონერები ხალხში თავისი იდეა-
ლების და რუსეთის მთავრობისადმი სიძულვილის გავრცელების
მხრით, — მაგრამ მაინც მიზანს ვერ მიაღწიეს, თუმცა მათ მხარეზე
იყო ტომობრივი და სარწმუნოებრივი განსხვავება, აგრეთვე სიძულ-
ვილი რუსის ადმინისტრაციისადმი. პოლონეთის გლეხები საკმარისად
დარწმუნებულნი როდი იყვნენ, რომ მათი „პანების“ საქმე მათივე
საკუთარი საქმე იყო, რომ შლიახტის ბატონობის დროს უკე-
თესი ცხოვრება ეწებოდათ, ვიდრე რუსეთის ბატონობის დროს.
სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ პოლონეთის აჯანყებას ხალხი
ჯერ გულგრილად შეხვდა, ხოლო შემდგომ აშკარა, პირდაპირი
მტრობით... თუ ახლა უკვე შეუძლებელია ხალხი ააღელვოთ ისეთი
მძლავრი საშუალებებით, როგორცაა სარწმუნოებრივი ფანატიზმი
და ხალხთა განსხვავება, საკითხავია, განა შეიძლება იგი ააღელვოთ
იმნაირი უბრალო და ფუჭი გარემოებით, რომ ვინმე პეტრე III,
რომლის პიროვნებაც საეჭვო იყო ყველაზე გულკეთილსა და მია-
მიტი ადამიანებისთვისაც კი, ვითომდა სჩიოდა: ტახტი ჩემმა საეჭვო
ცოლმა წამართვაო? ასეთ ავანტიურას ორიოდ თავზხეულადებული
კაცი თუ აპყვება, მაგრამ მათ ხომ სწორედ ამიტომ უწოდებენ
ავანტიურისტებს.

მაშასადამე, უეჭველია, ხალხის მასათა ისეთი მძლავრი მოძრაო-
ბანი, როგორც რაზინისა და პუგაჩოვის ამბოხებები იყო⁸⁰, შეუძ-
ლებელია სახალხო საქმე არ ყოფილიყო, არ ყოფილიყო საძულვე-
ლი ბატონების საწინააღმდეგო საყოველთაო პროტესტაცია;

ანაზე არა ნაკლებ უეჭველია ისიც, რომ შეუძლებელი იყო ამ მოძრაობას ამოდ და უკვალოდ ჩაეელო, რომ მას მომავალი მოძრაობის ელემენტები არ დაეტოვნა ხალხში. და მართლაც, ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რომ ეს ელემენტები იმუქრებოდნენ ჩვენს ხანაში თავის ჩენას, მაგრამ მათ გამოვლინებასა და პუგაჩოვიანობის დროს შორის რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოხდა ერთი საკმაოდ დიდი ამბავი, რასაც ერთგვარი კავშირი აქვს ამ სტრიქონების საგანთან და რაზედაც ორიოდ სიტყვა უნდა ვსთქვათ, ესაა 1825 წლის 14 დეკემბრის ამბავი⁸⁸.

ინდივიდუალურ თუ წვრილკოლექტიურ ცდებისადმი ხალხის მასების მხრით დამოკიდებულების შესახებ ნათქვამს — ძალიან კარგად ადასტურებს 14 დეკემბრის ამბოხება. თითქოს არაფერი აკლდა ამ ამბოხებას. მას მხარს უჭერდა ყველა ის, ვინც კი რისამე უნარის მქონე იყო რუსის განათლებულ საზოგადოებაში; მისი პროგრამა დაფუძნებული იყო ფრიად ჰუმანურ, თავისუფალ საწყისებზე; იგი, სხვა მუხლთა გარდა, შეიცავდა გლეხთა განთავისუფლებას მიწით; ესეც ცოტაა. მას მხარს უჭერდა პეტერბურგში მყოფი ჯარის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი. მიუხედავად ამისა, საკმარისი იყო რამდენიმე გასროლა, რომ არა თუ გაეთანტათ „მეამბოხეთა“ ბრბო, არამედ ეს ამბავი ხალხის მეხსიერებიდანაც ამოეშალათ. მართლაც და, შერჩა თუ არა ხალხს 1825 წლის შეთქმულების ისეთივე ხსოვნა, როგორც, ვთქვათ, სტენკა რაზინის ამბოხებისა? 1825 წლის შესახებ ხსოვნა სცოცხლობს და კვლავ დიდხანს იცოცხლებს, მაგრამ არა ხალხის მეხსიერებაში, არამედ განათლებული საზოგადოების მცირეოდენ ჯგუფში. ამის მიზეზი ისაა, რომ ხალხს ხსენებული შეთქმულების საქმე საკუთარ საქმედ არ მიუჩნევია. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ხალხი შემცდარი იყო, მაგრამ ეს შეცდომა მისი ბრალი როდი იყო. 14 დეკემბრის შეთქმულება იღუმალად ეწყობოდა, როგორც ეწყობა საერთოდ ყოველი შეთქმულება. მაგრამ ის, რაც კარგია საქმის ფორმალური მხარისთვის, ყოველთვის ასევე სასარგებლო როდიდაა მისი არსის მიმართ. თუ სახელმწიფოებრივი წყობილების პირობები მოითხოვს სასტიკი საიდუმლოების დაცვას აჯანყების ადგილის და დროის შესახებ, ანა და შეთქმულთა რიცხვისა და ადგილმყოფობის შესახებ, ხალხის ცხოვრების პირობები ასევე მოითხოვს, რაც შეიძლება მეტად გახმაურებას იმ მიზნისას, რომლისაკენაც შეთქმულნი მიილტვიან. დეკაბრისტებმა ერთმანეთში აურიეს თავისი საქმის არსი და მისი ფორმალური მხარე. ფარავდნენ რა თავის ორგანიზაციის საიდუმლოებას, ამასთან ერთად დაფარულად რჩებოდნენ თავისი სურვილები და ის კავშირი, რომე-

ლიც შეიძლებოდა გაბმულიყო ძათსა და ხალხის საქმეს შორის. ესაა მათი უმთავრესი შეცდომა, რამაც, სხვათა შორის, ის სარგებლობა მაინც მოგვიტანა, რომ ახალი გზის აუცილებლობაზე მიგვითითა და ამით საშუალება მოგვცა ამ გზაზე სიარულისა.

14 დეკემბრის აჯანყება ჩაახშვეს, მისი შემამზადებელი ელემენტები, ანუ, უფრო სწორედ რომ ითქვას, ადამიანები — გაპტანტეს. ნიკოლოზ I მთავრობას გაუადვილდა დაერწმუნებინა ხალხი, რომელიც განათლებულთა ყოველგვარ მოქმედებას უნდოთვალთ უყურებს, რომ სენატის მოედანზე ზარბაზნის სროლა და ბრბოს დარბევა — აუცილებლად საქირო იყო მამულისა და ხალხის კეთილდღეობისათვის. ვიმეორებთ, ხალხი ადვილად მოტყუვდა. არც შეეძლო არ მოტყუებულებიყო, ვინაიდან აჯანყებამდე მოწინააღმდეგე მხარეს არ მოუნდომებია ხალხთან ლაპარაკი, ხოლო მას შემდეგ უკვე აღარ შეეძლო გამოლაპარაკებოდა მას, თუნდაც მოესურვებინა. ასე დასრულდა სენატის მოედნისა და ციმბირის მოედნების ტრაგიკული ისტორია ხალხის მასის მიმართ. რაც შეეხება მის გავლენას განათლებული უმცირესობის შემდგომ განვითარებაზე, ამ უკანასკნელმა, საზოგადოებრივ სცენაზე პირველ გამოსვლისთანავე — ბევრად უფრო მოფიქრებული მისწრაფებანი, ხალხის მოთხოვნილებათა ბევრად უფრო ნათელი და ღრმა გაგება, მოქმედების სულ სხვა სისტემა გამოიჩინა...

ბატონყმობით ხალხის უკმაყოფილება სრულიადაც არ გამჭრალა პუგაჩოვის ამბოხების ჩაქრობისთანავე. მან მძაფრად თავი იჩინა რუსეთის მთავრობის ყველაზე ტრაგიკული ეპოქის — ყირიმის ომის დროს. როდესაც პირველად ხმა გავარდა ლაშქრობის შესახებ და როდესაც იმპერატორის მანიფესტები აღნიშნავდნენ რუსეთის საბედისწერო მდგომარეობას, ხალხში დიდმა ალტკინებამ იჩინა თავი სამშობლოს დაცვის საქმეში. ეს ალტაცება თითქოს ფრიად პატრიოტული იყო; მაგრამ მთავრობა მიხვდა, თუ რა ხასიათისა იყო იგი და იძულებული გახდა საშინელი ღონისძიებანი ეხმარა ამ გადამეტებული პატრიოტიზმის დასათრგუნავად. საქმე ისაა, რომ გლეხები გროვდებოდნენ ჯგუფებად, ჩალის ფასად ჰყიდიდნენ მთელ თავის ქონებას, რათა საშუალება ჰქონებოდათ „კახაკად წასვლისა“.

ე. ი. როგორც მათ ესმოდათ, ბატონყმობისაგან განთავისუფლებულიყვნენ. ხალხური სიბრძნე გლეხკაცს უკარნახებდა: ადამიანს, რომელიც სამშობლოს დასაცავად მიდის, რომელიც სახლ-კარს სტოვებს და სიცოცხლეს არ ზოგავს სახელმწიფოსათვის, სრული უფლება აქვს მისგან განსაზღვრული მადლობა მიიღოსო; და გლეხკაცებს ეს მადლობა სხვა არად წარმოედგინათ, თუ არა მინიჭებად

ადამიანური უფლებებისა იმ ადამიანებისათვის. რომელნიც მამულის სასარგებლოდ იღწვოდნენ. გლეხებს ვერ წარმოედგინათ, რომ მამულის დამცველები, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კვლავ მონების, ყმების მდგომარეობაში იქნებოდნენ ჩაყენებული, რომ კვლავ მათი სრული ბატონ-პატრონი მშვიდობიანად შინმჯდომი ადამიანები იქნებოდნენ, როდესაც ისინი. გლეხები, სამშობლოსათვის უკანასკნელს გროშს ხარჯავდნენ და ამას კიდევ თავის სისხლს აპატებდნენ. „მტერთან საბრძოლველად მივდივართო, — ამბობდნენ გლეხები, — მივდივართ თავის უფალ კაზაკებად, მაშასადამე თავის უფალნი ვიქნებით, როდესაც უკან დავბრუნდებით“. ჩვენის აზრით, აქ ლოგია უნაკლოა. მაგრამ ასე არ ფიქრობდა მთავრობა: კიევის მღელვარება ჩაახშევს სამხედრო ძალებით, ფორმალურად, როგორც წმინდა წყლის აჯანყება. შიდაგუბერნიათა სხვადასხვა ნაწილში იგივე, ან თითქმის იგივე ხდებოდა. რასაკვირველია. იმ განსხვავებით, რომ იქ საქმე ცოტად თუ ბევრად განაურდა*.

გლეხობის საყოველთაო მოძრაობა ამ მხრით არ შეიძლებოდა უფრო სერიოზული მოძრაობის საკმაოდ ცხადი წინამორბედი არ ყოფილიყო. ყირიმის ომის შემდეგ ხალხში ისეთი საყოველთაო დრტვინვა იყო, რომ ამას ვერ შეამჩნევდა მხოლოდ წინასწარგანზრახულად, განგებისად დაბრმავებული თავდაზნაურთა პარტია. ამ უკმაყოფილებას მალე მიხვდა იმპერატორი და ამის შედეგი იყო 1857 წლის ოქტომბრის რესკრიპტები.

მკითხველი უკვე ხედავს, რომ თუ ჩვენ ასე ვრცლად შევჩერდით ისეთ შორეულ ამბებზე, როგორიცაა სტენკა რაზინის ან პუგაჩოვის ამბოხებანი, მხოლოდ იმიტომ, რომ რაც შეიძლება ნათლად გვეჩვენებინა: ალექსანდრე II-ის მიერ ბატონყმობის მოსპობა არავითარ შემთხვევაში არ ყოფილა მისი პირადი საქმე, მისი მოპრიანება, სახელის მოხვეჭის სურვილი, ერთი სიტყვით. არ ყოფილა ამა თუ იმ ხელმწიფის კაპრიზი. ეს სხვა არა იყო რა, თუ არა რუსეთის ხალხის განვითარების აუცილებელი მოთხოვნილება. ხალხი გრძნობდა რა ბატონყმობის მთელ სიმძიმეს, უკვე იწყებდა იმის შეგნებას, რომ აუცილებელი იყო მისი მოსპობა, რადაც უნდა დაჯდომოდა. ალექსანდრე II რომ ტახტზე ავიდა, რუსეთი არეულ-დარეული დახვდა: იგი ხედავდა რუსული პატრიოტული მოძრაობის ძალას, ხედავდა.

* ამ საქმის შესახებ საინტერესო ცნობებს მკითხველი ჰპოებს ბერლინში 1862 წ. გამოცემული წიგნის — «Материалы для истории освобождения крестьян при Александре II» პირველ ტომში.

თუ რა მსხვერპლი გამოიღეს ხალხმა და საზოგადოებამ; მაგრამ ანასთან ერთად იგი ხედავდა, რომ ეს მსხვერპლი და პატრიოტიზმი ამაო იყო, რომ მას ნთქავდნენ საზიზღარი ადმინისტრაცია, საინტენ-ღანტო, მოხელეები. დაჭრილთა სასარგებლოდ შენაგროვი ფული მთავრობის მოსამსახურეთა ჯიბეს არ სცილდებოდა, დაჭრილები კი ათასობით იხოცებოდნენ, როგორც ძაღლები, იხოცებოდნენ წამ-ლობის მოლოდინში, აუტანელი კვების გამო. წარსდგა რა პირდა-პირ მოხელეობისა და არმიის ამნაირ წყობასთან, ალექსანდრეს, რა-საკვირველია, ცვლილებებზე უნდა ეფიქრნა: მოხელეები, არმიასა და თავადაზნაურობასთან ერთად, მისთვის ხალხის უკმაყოფილების დასაწყენარებლად იყო საჭირო და იგი მიხვდა, რომ იმნაირი მოხე-ლეებით, რომლებმაც ვერაფერი გაუკეთეს იმ დროს, როდესაც მთე-ლი ხალხი უჭერდა მეფეს მხარს, ვერას გახდები, თუ რომ ხალხის თუნდაც მარტო ერთი ნაწილი წინააღვიდგა. მაშასადამე, საჭირო იყო ხ. ლხის დაშოშმინება, მისთვის პირში ბურთის ჩაჩრა. ასეთი რამ, სახელმწიფო საქმეების საერთო არევე-დარევის გამო, მიუცილებელ საჭიროებად იქცა. ალექსანდრე ამ აუცილებლობას ძალიან კარგად მიხვდა და გადასწყვიტა დამორჩილებოდა სწორედ იმიტომ, რომ რაც შეიძლებოდა ხელუხლებლად შეენარჩუნებინა თანამედროვე საზოგადოების ეკონომიური წყობილების დანარჩენი ნაწილი, დრო ზოგო და ამასობაში სახელმწიფოებრივი მმართველობის დაქანგუ-ლი მანქანა შეეკეთებინა.

ვიღრე ამ უკანასკნელი აზრის დამამტკიცებელ ამონაწერებს მო-ვიყვანდეთ, ჩვენ თავს ნებას მივცემთ საგანს ცოტაოდნად გადავუხ-ვიოთ და ალექსანდრე II-ის პირად ხასიათს შევეხოთ. ჩვენში ძა-ლიანაა გავრცელებული აზრი: იმპერატორს პირადად ფრიად კეთი-ლი და სანაქებო განზრახვები აქვს, მაგრამ ამ განზრახვათა განხორ-ციელებას ხელს უშლიან ის ადამიანები, რომელნიც იმპერატორს გარს ახვევიანო. ამბობენ: თავის-თავად ალექსანდრე II-ს ძალიან ნაკლები სახელმწიფოებრივი უნარი აქვს, მაგრამ იგი შესანიშნავია მხოლოდ თავისი გაუგონარი გულკეთილობითო. ნამდვილად კი მთე-ლი მისი მოქმედება, მას შემდეგ, რაც იგი თვითმპყრობელი მთავ-რობის მეთაურად არის, სულ საწინააღმდეგო რასმე ამტკიცებს და ეს არა მარტო გულქვაობის მხრით. ალექსანდრე II სასახლის ყოველ-გვარ ინტრიგათაგან დამოუკიდებლად რომ მოქმედებს, ამას მოწ-მობს ის, რომ მიუხედავად სასახლის წრეების წინააღმდეგობისა, მან ჩაატარა, რამდენადაც სურდა, საგლეხო და სხვა რეფორმები. მაშა-სადამე, საკითხავია: შეგნებულად მოქმედებს იგი, იცის, საით მიდის, თუ თვალდახუჭულია? ემორჩილება თუ არა ამა თუ იმ პარტიის

გავლენას, ყოველ შემთხვევაში, წუთიერ მოგუნებებას, წარმავალ „შთაგონებას?“ მაგრამ ყველა ამ მოქმედებას, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ისეთი ერთობლიობის დალი აზის, ისინი ისე არიან ერთმანეთთან პიროვნების ცხოველი ძაფით დაკავშირებული, რომ შეუძლებელია აქ რაიმე ლაპარაკი პარტიის და მით უმეტეს წუთიერი შთაგონების გავლენაზე. მაშასადამე, ისლა დაგვრჩენია, რომ ვიგულისხმობთ ხანგრძლივი შთაგონება, ღვთის მადლის მსგავსი, რაზედაც ახლა ნაპოლეონ III გვითითებს. მაგრამ ამაზე ლაპარაკი ხომ მკითხველის გასულელებას ნიშნავს. ნათქვამიდან ცხადია, რომ შესაძლებელია დავუშვათ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში რუსეთის მთავრობის მოქმედების მთლიანობის ასახსნელად მხოლოდ ერთი რამ — ესაა ალექსანდრე II სრული, შეგნებული დამოუკიდებლობა. მართლაც და, საგლუხო რეფორმების დაწყებისთანავე, ჩვენ შეგვიძლია გამოვჩინოთ მრავალმხრივ საინტერესო დოკუმენტი, რომელიც დახმარებას გაგვიწევს ალექსანდრე II-ის პოლიტიკის მოჩვენებითი ორქოფობის გამორკვევაში. ჩვენ ვლაპარაკობთ იმპერატორის იმ ცნობილ სიტყვაზე, რომლითაც მან მიმართა მოსკოვის თავადაზნაურობას 1858 წლის აგვისტოში. „ბატონებო, — სთქვა მაშინ ალექსანდრე II-მ, — აღრე თუ გვიან საჭირო იქნება ხელი მოვკიდოთ ბატონყმობის შეცვლას და საჭიროა ეს დავიწყოთ ზევიდან, ვიდრე ქვევიდან“. მაშინ ეს სიტყვები შეაფასეს, როგორც იმის დამამტკიცებელი, რომ იმპერატორს სურს ხელთ იგდოს მოძრაობა, აზრი მისცეს მას და ამით სიმტკიცე და ძალა შეკმატოს. იმპერატორს ძლიერ კარგად ესმოდა, რომ შესაძლებელი იყო მისი სიტყვები ასე შებრუნებულად გაეგოთ. ამიტომ არ დავიწყებია იქვე გაეფანტა მეოცნებე ფილანტროპების ილუზიები. მან დასძინა: „მე თვითონ რუსეთის პირველი აზნაური ვარ და მინდა თავადაზნაურობას ვესარჩლებოდე. მაშ მომეცით საშუალება მისი მოსარჩლე ვიყო“. ცხადია, იმპერატორს ამით სურს სთქვას: ჩემის აზრით, თავადაზნაურთა ინსტიტუციების შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ გლუხთა მდგომარეობის გაუმჯობესების ფასადო და იგი მოითხოვს მისცენ ამ სასურველ მიზნის მიღწევის საშუალება, ე. ი. მისცენ მას საშუალება, რადაც უნდა დაუჭედეს, შეინარჩუნოს სათავადაზნაურო დაწესებულებანი.

ეს განცხადება ფრიალ ნათელია, მაგრამ ხელმწიფე ამასაც არსჯერდება. იგი ცდილობს ეს თავისი აზრი, რაც შეიძლება, მეტად დაღეჰოს და ისე ჩაუღოს პირში თავადაზნაურობას, და ყველა იმათ, „ვისაც ჭერ არს“. იგი ანვითარებს და გადაკვრით ამბობს შემდეგს აზრს: თუ თავადაზნაურობა არ მოინდომებს გლუხებს დაუთმოს

პირადი თავისუფლება და მიწის ნაწილი, იგი მალე მთლად დაჰკარგავს ყველაფერს, რასაც ახლა ჰქვლობსო. შემდეგ იგი არწმუნებს თავადაზნაურობას: ფიქრადაც არ მომსვლია შევამცირო პრივილეგიური წოდების განსაკუთრებული მდგომარეობა; მე მინდა თავადაზნაურობას ამიერიდანაც საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში იგივე ადგილი ექიროს, რანაირიც წინად ექირაო. არ ვიცი, სხვანაირად როგორ გავიგოთ, რით ავსხნათ შემდეგი, ჩვენის აზრით, სრულიად არა ორქოფი სტრიქონები: „მე მიყვარს თავადაზნაურობა, მას ტახტის პირველ საყრდენად ვთვლი. მე საზოგადო სიკეთე მსურს, მაგრამ არ მინდა ამან თქვენ გაზარალოთ, ყოველთვის მზადა ვარ თქვენი მოსარჩლე ვიყო.. მაშ, მომეცით საშუალება, თქვენი მოსარჩლე ვიყო. გესმით თუ არა, ბატონებო? კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ბატონებო, ისე მოიქეცით, რომ მე შემეძლოს თქვენი მოსარჩლეობა“.

განა შემთხვევითი რამ ასე ხანგრძლივი იქნებოდა, რომ საგლებო რეფორმის დაწყებიდან დღემდე — ეს სიტყვა მთავრობის მოქმედების სახელმძღვანელო ხაზად დარჩებოდა? შეუძლებელია „დებულებათა“ და მათი დამატებების უამრავ მუხლებში თუნდაც ერთი ისეთი სტრიქონის გამონახვა, გამონახვა შინაგან საქმეთა მინისტრის, საგუბერნიო კომიტეტების, მოპრიგებულ მოსამართლეებისა და სხვათა და სხვათა ერთი განკარგულებისა მაინც, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს, ან გვერდს უვლიდეს ამ სავესებით ჩამოყალიბებულ პროგრამას. იქნებ ფატალობაა მიზეზი, რომ გლახთა ყოფა-ცხოვრების მოსაწყობად იწვევენ არა გლახთა დეპუტატებს, არამედ თავადაზნაურთა წარმომადგენლებს? შემთხვევის თამაში ხომ არ არის, რომ საგლებო რეფორმის მეთაურად ნიშნავენ იმ ადამიანს, რომელმაც უმთავრესად სახელი გაითქვა თავადაზნაურთა ინტერესების თავგამოდებული დაცვით, რომ საგლებო საქმის კომისიათა და კომიტეტების ზედა და ქვედა ფენებში განგებ სჩრიან ბატონყმობის ცნობილ მომხრეებს? შემთხვევითია განა, რომ ყურნალებს, რომელნიც თავადაზნაურობის ინტერესებს იცავენ, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, თითქმის სრული თავისუფლება ენიჭებათ, ხოლო იმგვარი სტატიის დაბეჭდვისათვის, როგორცაა «Новые условия крестьянского быта»⁹¹ მთელი ცენზურა შეაფუცხუნეს? არა, აქ საქმე რაღაც სხვანაირად არის...

საგლებო რეფორმის პირველი დღიდანვე მთავრობა შემზადებულია გულუბრყვილო ადამიანთა ათასგვარი გატაცების წინააღმდეგ. იგი ცინიკურად, ურცხვად, საყოველთაოდ გაჰყვირის: გლახთა მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ მიტომ მინდა, რომ

ეს გაუმჯობესება თავადაზნაურთა ინტერესებისათვის არის საჭირო. „ჟურნალ ზემლევლადელცევ“¹ ბანს აძლევს მთავრობას. იგი ეუბნება ლიბერალებს: ნუ გავიწყდებათ, რომ ლაპარაკი სხვა არაფერზე გვაქვს, გარდა ყმების მდგომარეობის „გაუმჯობესებაზე“, მთავრობა თავს უკანტურებს ამ ჟურნალს, ლიბერალები კი მაინც თავისას განაგრძობენ... პროვინციაში სასტიკ ღონისძიებებს ხმარობენ გლეხთა „შესაძლებელ მღელვარებათა წინააღმდეგ“. მთავრობა ჩქარობს გლეხები გაფცქვნას, გამოსწუროს ყველაფერი, რისიც გამოწურვა კიდევ შესაძლებელია. გლეხები ძალიან სჩივიან ამ უკანონობის გამო, მაგრამ მათ ყურს არავენ უგდებს. ისინი ცდილობენ წინააღმდეგობას — მათ „აწყნარებენ“. და ასეა არა მარტო ერთ რომელსამე მაზრაში, არა ერთს რომელსამე გუბერნიაში, არამედ ყველგან, მთელს რუსეთში. შემდგომ ადგენენ კომიტეტებს, როგორც ზემოთ ვთქვი, თავადაზნაურთა წარმომადგენლებისაგან; ეს, როგორც სჩანს, რომ განიხილონ იმ ადამიანთა საჭიროებანი, რომელთა ინტერესები პირდაპირ ეწინააღმდეგება თავადაზნაურობის ინტერესებს; დიად, სწორედ ამ კომიტეტებს აქვთ დავალებული ხალხის ცხოვრების ახალი პირობების შემუშავება. „ეს უბრალო გაუგებრობააო“, — ამბობენ ოპტიმისტები. „ხელმწიფემ როდი იცის, თუ რა ხდება მის გარშემო, იგი გარშემორტყმულია ბატონყმობის მომხრე გაიძვერებითო“. ვთქვათ, მართლაც ასეა. მაშ, რანაირად მოახერხა მან სასახლის ბურუსში შეემჩნია 1855 წლის „თავისუფალი ყაზახობის“ კეშმარიტი მნიშვნელობა, რანაირად შეუშუშავდა მას რწმენა, რომ საგლეხო რეფორმა მიუცილებელი საჭიროებაა თავადაზნაურობის კეთილდღეობისათვის? ან იქნებ იგი მაშინ მისნად იქცა, ან რომელიმე წმინდანი გამოეცხადა? რანაირად მოხდა, რომ ადამიანი, რომელიც ასე ნათლად ხედავდა ერთი წლის წინათ რუსეთის მდგომარეობას, უცებ ისე დაიბნა, რომ ვერ მიხვდა უბრალო კეშმარიტებას: გლეხთა ცხოვრების მოწყობის ამბავი უნდა ეკითხოს თვითონ გლეხობას; ეს ასეა, რაკი აზრს ჰკითხავენ თავადაზნაურობას, ვინაიდან თავადაზნაურობის მასა, თავის განვითარებით, გლეხობაზე სრულიადაც არა სდგას მაღლა. ჩვენ არა გვეგონია, რაიმე უცაბედი და სასწაულებრივი ცვლილება მომხდარიყოს, რომ ცბიერ მლიქვნელებსა და სასახლის მსახურთ მის გარშემო რაღაც სულ ახალი ჩინური კედელი აეგოთ. ჩვენი რწმენა იმაზეა დამყარებული, რომ ხელმწიფეს, რეფორმის დაწყების შემდეგაც იგივე ხალხი ახვევია გარშემო, რომელიც მას ბავშვობიდანვე ეხვია. რანაირად მოახერხეს მათ რაღაც ორ-სამ წელიწადში იმის გაკეთება, რის გაკეთებაც ვერ შესძლეს მთელი თავისი სიცოცხლის

განმავლობაში, ესე იგი, რანაირად შესძლეს ხელმწიფისათვის საქმის ნამდვილი ვითარება დაემაღლა? ვიმეორებთ, აქ რალაც სხვანაირად არის საქმე...

ამნაირ პირობებში დაწყებული რეფორმა თითქმის „კარდახურულში“ მიმდინარეობდა. ლიტერატურა შეეცადა ამ საქმეში ცხვირი წაეყო და თავისი აზრი ეთქვა; მაგრამ ყველაფერს, რაც ოდნავ მაინც ეწინააღმდეგებოდა მთავრობის პროგრამას, ან რაც არ შეეფერებოდა ალექსანდრე II-ის მეშინურ იდეალს, სდევნიდნენ და ავიწროებდნენ. ხოლო „ეჟრნალ ზემლევლადელცევს“, „რუსსკი ვესტნიკს“ და მსგავს ეჟრნალებს მოქმედების სრულ თავისუფლებას უტოვებდა. სხვათა შორის, აქ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ: „რუსსკი ვესტნიკის“ მსგავსი ეჟრნალები ხანდახან ათავსებენ ორქოფულ წერილებს, რომლებშიაც ხშირად, სასხვათაშორისოდ — „ხალხის ინტერესებზედაც“ იყო ხოლმე ლაპარაკი. ამგვარს გამოცემებში მოთავსებული წერილებიც კი მთავრობის უკმაყოფილებასა და მრისხანებას იწვევდა. რალა უნდა ითქვას იმ საშინელ შევიწროვებაზე, რომელიც თავს ატყდებოდა ორ-სამ ისეთ გამოცემას, რომელიც ხალხის ინტერესებს თავადაზნაურობის ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ.

მიუხედავად ამ შევიწროება-ჩაგვრისა, ამ ეჟრნალებში ხანდახან მაინც გააპარებდნენ ხოლმე ცოტაოდნენ იმას, რის თქმაც მათს თანამშრომლებს სურდათ. ასეთი იყო, მაგალითად, სტატიები: „О новых условиях крестьянского быта“, ან სტატია «Труден-ли выкуп земли?»⁹³, რომლებიც „სოვრემენიკში“ დაიბეჭდა. ამგვარი სტატიების დაბეჭდვას სდევდა, ჭერ ერთი, ცენზორებისადმი საყვედური, მეორე მხრით ბრძანება, რომ მ ო მ ა ვ ა ლ შ ი მსგავსი არა გაეშვათ რა და მესამე მხრით—უფრო მეტად შევიწროება-დაჩაგვრა იმ ეჟრნალისა, რომელმაც დაბეჭდა მთავრობისათვის უსიამოვნო სტატიებო. მეორე მხრით ამ სტატიების დამწერ ადამიანებს, ხედავდნენ რა, თუ რა მცირედი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო საქმისათვის მათს წერილებს, აუცილებლად უნდა შეენელებინათ მეცადინეობა და თავისი მოღვაწეობა შემოეფარგლათ წვრილმანი შენიშვნებით გლეხთა საქმის ამა თუ იმ ცალკე წვრილმანისავე საკითხის შესახებ. ამნაირად, ამაოდ იკარგება იმ დროის საუკეთესო გონებათა უხვი ძალა და ასეთი დაკარგვა, მთავრობისაგან გამოწვეული, სავსებით შეეფერებოდა მთავრობისავე პროგრამას.

იტყვიან: ეს უქანასკნელი აზრი არაა სამართლიანი; მთავრდებას. არ სურვებია ლიტერატორები იძულებული გაეხადა თავიანთი ძალ-

ლონე ფუჟად და ამოდ დაეხარჯათო. დაეუშვათ ერთი წუთით მთავრობა, მართლაც, პატიოსნად და გულწრფელად იქცეოდა, არავითარი ფარული აზრი არ ჰქონდა და რომ მას მიზნად მხოლოდ ხალხის სიკეთე ჰქონდა დასახული. განა შესაძლებელია მთავრობა ასეთი უანგარო იყოს და იმავე დროს ეშინოდეს ცალკე მოქალაქეთა მიერ საერთო საქმისადმი ამნაირისავე უანგარო სიყვარულის გამოჩენისა? განა შესაძლებელია, მთავრობა არა თუ თვითონ არ უწყობდეს ხელს ამ გამოჩენასა და სიყვარულის გამოძღვანებას, არამედ პირიქით, მიისწრაფოდეს, ყოველგვარი არაოფიციალური აზრებისა და სურვილების დათრგუნვისა და მოსპობისაკენ? ხოლო რაკი რომელიმე მთავრობა ამ უკანასკნელისებურად მოქმედებს, აქედან, ცხადია, ის უნდა დავასკვნათ, რომ მისი განზრახვანი სრულიადაც არაა უანგარო და უნაკლო და იგი თრგუნავს ყოველგვარ აზროვნებას მხოლოდ იმიტომ, რომ ამ აზრებს შეუძლია ავნოს მის დაფარულ განზრახვებს.

ყბადაღებული რეფორმის შემდგომი მსვლელობა კიდევ უფრო გვარწმუნებს, რომ გლეხთა საქმეში მთავრობა შეგნებულად მოქმედებდა თავადაზნაურთა ინტერესების სასარგებლოდ და რომ იგი გარკვეულ პროგრამას მისდევდა: ყველა საკითხში, რომელიც ეკონომიურ ყოფას შეეხება, ყველგან, სადაც კი გლეხთა ინტერესები თავადაზნაურობას ეჭახებოდა, კომიტეტები და სარედაქციო კომისია ყოველთვის უპირატესობას თავადაზნაურობას აძლევდა, სრულიად უყოყმანოდ სწირავდა ხოლმე მათ გლეხთა ინტერესებს. მიწას ეხებოდა საქმე, თუ გლეხთა საზოგადოების შინაგან პოლიციას — ყველგან თავადაზნაურობას უტოვებდნენ ყველაზე არსებით მის პრივილეგიებს. გლეხთა კი საქმეს მოიგებდა ხოლმე იმ პუნქტებში, რომელნიც წინათვე, რეფორმის დაწყებამდე, გადაწყვეტილი ჰქონდათ მსხვერპლად გაეღოთ, ოღონდ თავადაზნაურთა დაწესებულებანი შეენარჩუნებინათ. ეს მსხვერპლი იყო: გლეხთა პირადი თავისუფლება და სამოსახლოს მიცემა; შემდგომ ამას დაემატა გლეხთა „ნადელების“ გამოსყიდვა. ეს მსხვერპლი რომ გაბედა, მთავრობამ კარგად იცოდა, რომ მიუხედავად ხალხის ცხოვრებაში ცხადი პროგრესისა, რაც გლეხთათვის პირადი თავისუფლების დაბრუნების შედეგი იყო, თავადაზნაურობა მაინც შესძლებდა ამ თავისუფლებისათვის საზღვრის დადებას თავისი ეკონომიური და საზოგადოებრივი უპირატესობების წყალობით. რეფორმის მომხრეთა უმრავლესობა, ისევე, როგორადაც რეფორმის დამწყები, ფიქრობდა მხოლოდ თავისუფალი საქირაო შრომის შემოღებასა და განვითარებაზე. ამ საქირაო შრომის დროს შემამულებებს ისეთივე

როლი უნდა ეთამაშნათ, როგორსაც დასავლეთ ევროპაში პატრონები პროლეტარების მიმართ თამაშობდნენ. მართლაც და, აბა დააკვირდით ათასგვარ „კომისიათა“ წინასწარ ნამუშევარს, აგრეთვე „1861 წლის 19 თებერვლის დებულებებს“, მის უამრავ დამატებებს, დააკვირდით აგრეთვე გლენთა საკითხზე დაწერილ უამრავ საეურნალო სტატიებს და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენებური ოფიციალური და ვითომდა — ოპოზიციონერ ლიბერალ-რეფორმატორების შორეული ოცნებაც კი ამაზე შორს როდი მიდიოდა. და სრულიად მართალი იყო დობროლუბოვი, როდესაც ამ მდგომარეობას შემდეგნაირი სიტყვებით ახასიათებდა: „გამოჩნდება სადმე პატარა სტატია, რომელშიაც ამტკიცებენ, ნუ ამუშავებთ ადამიანებს სავსებით მუქთად, საქირთა ეცადოთ, რაც შეიძლება იათად დაიქირავოთო ისინი. ყველა აღტაცებულია და გაისმის ყვირილი, რომ ჩვენში ზოგადკაცობრიული საწყისები უკვე ჩინებულად გამოშვებულა“.

ისეთი წყობილების დამყარება, რომლის დროსაც კაპიტალისა და მიწის საკუთრების ბატონობას არაერთარი საზღვარი არ ექნებოდა, — საყოველთაო აზრი იყო საერთოდ ლიბერალებისა, ჩვენი ისტორიის ლიბერალურ პერიოდში. ამ სურვილსა და ამის პროპაგანდაზე იყო დამყარებული მთელი წარმატება „რუსსკი ვესტნიკისა“. საერთოდ ყველა მუქთახორა, აღზრდილი ყმების შრომითა და გლენთ-გადასახადით, ყველა მუქთამკამელი, ამ გადასახადებით მცხოვრები, თავს ინუგეშებდა იმის იმედით, რომ სავალდებულო ბატონყმობის მოსპობით არ ისპობა სავალდებულო შრომა, რომელიც შედეგი იქნება ცხოვრებისაგან იძულებისა და იმით, რომ რითიმე უნდა იცხოვრო. ამ იმედის განხორციელებისაკენ იყო მიმართული ყველა ჩვენებური რეფორმატორის მისწრაფება. ალექსანდრე II-ც, არა თუ ეწინააღმდეგებოდა მათ, არამედ ხელს უწყობდა მათს მისწრაფებას, ვინაიდან ეს მისწრაფებანი სავსებით ეთანხმებოდა მის იდეებს გლენთა რეფორმაზე. მისმა მთავრობამ ფრიალ ნათლად დაინახა, როგორც ეს მოსკოვის თავადაზნაურობისადმი მიმართულ სიტყვიდან ჩანს, რომ პრივილეგიან წოდებებს, მაშასადამე, მთელ თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილებას, — გლენობის მხრით აუცილებელი საფრთხე მოეღის. იგი ამ საფრთხის თავიდან აცილებას ზოგიერთი დათმობების გზით ფიქრობდა, მაგრამ რადგან მის განზრახულობაში უმთავრეს როლს თამაშობდა არა სახალხო საქმე, არამედ თავადაზნაურობის ინსტიტუციათა შენარჩუნება, ბუნებრივია, რომ იგი ცდილობდა საქმე შემოეფარგლა და რაც შეიძლება ნაკლები დათმობებით გასულიყო ფონს. რანაირიც უნდა ყო-

ფილიყო გარემოება -- მთავრობას უნდოდა მხოლოდ ისეთი შედეგები მიეღო, რომ მის საყვარელ პრივილეგიურ ელემენტებს მაინც შეერჩენოდათ მნიშვნელოვანი ეკონომიური უპირატესობანი. მას უნდოდა თავისი მომავალი კეთილდღეობა დაეფუძნებინა არა ერთი კლასის მიერ მეორის კანონით შეწყნარებულ ყმად ქცევაზე, არამედ ამ კლასთა ინტერესების ისეთ გამიჯვნაზე, რომლის დროსაც პრივილეგიური წოდება შეუმჩნევლად, თითქოს შემთხვევით ეკონომიური მხრით დაიმონებდა განთავისუფლებულ გლეხობას. ამ მიზნით ფიქრობდნენ გლეხებისათვის ჭერ მარტო სამოსახლო მიეცათ, ხოლო შემდეგ გადაწყვიტეს მიეცათ მათთვის უფლება ცოტაოდენი მიწა გამოესყიდათ. თავადაზნაურობა კი, თანახმად მთავრობის პროგრამისა, მიწათა უმეტესობას შეინარჩუნებდა. და ვინაიდან ცხადი იყო, რომ მიწის ნაკლებობა იძულებულს გახდის გლეხებს მიწა იჯარით აიღონ ყოფილი მებატონეებისაგან, იმედი უნდა ჰქონოდათ, რომ ერთი მხრით გლეხობის გაქირავებული და შევიწროებული მდგომარეობის გამო, ხოლო მეორე მხრით თავადაზნაურობის არა შევიწროებულ და შედარებით კარგ მდგომარეობის გამო, თავადაზნაურობა ხელახლა ჩაიგდებდა ხელში ხალხს.

ასეთი იყო საგლეხო რეფორმის პირვანდელი აზრი. თუმცა რეფორმის განხორციელების დროს, წინააღმდეგ რეფორმატორების სურვილისა, ამ პროგრამის ფარგლები ოდნავ გაფართოვდა; მაგრამ ყველამ იცის, რომ ამ პროგრამას საკმარისი მთლიანობით ასრულებენ და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მას სავსებით განახორციელებენ. ამჟამად გლეხები კვლავ წინანდელი მემამულეების კაბალაში ცვივიან* და ზოგიერთი მემამულე, ვისაც წინად საკმაოდ დიდი მიწები ჰქონდა, იწყებს „მესაკუთრეთა“ როლის თამაშს და ხელში იგდებს არა მარტო უმიწო გლეხობას, არამედ მცირემამულიან

* აი, მაგალითად, ფაქტი: „ჩვენ გვწერენ, რომ რიაზანის გუბ. პრონსკის მაზრაში, მემამულე ცენინს თავის განთავისუფლებული გლეხებისათვის ორი ათასი მანეთი ვერცხლი უსესხებია იმ პირობით, რომ კაპიტალის პროცენტები წელიწადში გადაეხადათ მუშაობით. პროცენტები ისეთი დიდი აღმოჩნდა, რომ აუცილებელ მუშაობას მოითხოვს და გლეხებისათვის ვალის დაფარვა შეუძლებელი გახდა. სამწუხაროდ, ბატონყმობის ეს ახალი სახე, რომელიც სავსებით ძველ წყობილებას აღადგენს, გამოჩაყლის და ერთეულ მოვლენას არ წარმოადგენს არა თუ მთელ რუსეთში, არამედ თვით რიაზანის გუბერნიისაშიც. გლეხთა თავისუფლების განმტკიცებისათვის რუსეთი უნდა უმადლოდეს თავადაზნაურობის საერთო უფულობას, თორემ ბოიარული ბატონყმობა ადვილად გადაიქცეოდა შევასურ ბატონყმობად („კოლოკოლი“, № 213, 1866 წ., 1 თებერვალი).

თავადაზნაურობასაც. არსებითად ბატონყმობის მოსპობამ მხოლოდ ეს უკანასკნელი დააზარალა, იმიტომ, რომ ისინი მუდამ ცხოვრობდნენ არა თავისი მიწის შემოსავლით, არამედ თავის ყმების საბეგრო მუშაობით. გლეხებისათვის მინიჭებულმა პირადმა თავისუფლებამ გაანთავისუფლა ისინი ბეგრისაგან. ვინაიდან მცირემამულიან თავადაზნაურებს ძალიან ცოტა მიწა რჩებათ, უმეტეს შემთხვევაში არც კი რჩებათ რამე, ისინი მსხვილ მემამულეთადმი ისეთსავე არახელსაყრელ და საცოდავ მდგომარეობაში ჩაცვივდებიან, რომელშიაც ახლა გლეხები იმყოფებიან...

ყველაფერ ამას უნდა დაეუმატოთ, რომ საგლეხო რეფორმის მთლიანობა და ერთობლიობა ჩვენს ცხოვრებაში რაიმე ცალკე ეპიზოდს როდი წარმოადგენს. იგი სავსებით ეთანხმება და გადაბმულია იმ დანარჩენ რეფორმებთან, რომელსაც ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ანხორციელებენ და რომელნიც ასეთივე მთლიანნი და ერთობლივნი არიან.

გამოსყიდვის მოსპობამ, მაგალითად, სააქციზო მმართველობის დაარსება გამოიწვია. იგი სავსებით შეეფარდება ბურჟუაზიულ ინსტიტუტებს და სავსებითვე აკმაყოფილებს მეშჩანურ წყობილებას. საერობო დაწესებულებებში თითქმის განუსაზღვრელი უპირატესობა აქვს ასე თუ ისე მსხვილ საკუთრებას, ვაჭრებსა და სასულიერო წოდებას; გლეხობას კი მინიჭებული აქვს გავლენის უმნიშვნელო წილი: იგი მასში შეყვანილია მხოლოდ როგორც ბალასტი. საერობო დაწესებულებაში გლეხობას ღიდი უფლებებიც რომ ჰქონდეს, მაინც პრივილეგიურ კლასებისაგან იქნებოდა დამოკიდებული, ვინაიდან ეკონომიური წყობილების ათასგვარი უკუღმართობის გამო ცხოვრებაში იგი მათზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, თვით საერობო დაწესებულებათა როლი იმდენად უმნიშვნელოა საერთო სახელმწიფოებრივი ცხოვრების მექანიზმში, რომ შეიძლება კაცმა იფიქროს: ეს დაწესებულება რაღაც პაროდიაა, რომლის მიზანია ჩანასახშივე ჩაჰკლას საწარმომადგენლო დაწესებულებისადმი ყოველგვარი მისწრაფებაო. სასამართლოს წესით ფიზიკური დასჯის მოსპობა, რასაკვირველია, ფრიად და ფრიად საქებური რამ არის. მაგრამ ამას არ მოჰყოლია და არც მოჰყვება სასჯელის მოსპობა ადმინისტრაციული წესით. თუ გავიხსენებთ, რომ გლეხთა საზოგადოებაში, თანახმად „19 თებერვლის დებულებისა“, პოლიცია მემამულეების ხელშია და რომ ისინი თავის წინანდელ გლეხებს გამგებლობენ, ცხადია ამ რეფორ-

მით მეტიმეტი აღფრთოვანება არ შეიძლება*. გარდა ამისა, არის სამოსამართლო რეფორმა, საფრანგეთის სასამართლოთა წესზე გამოჭრილი და მდიდარი მესაკუთრეების ინტერესებთან სავსებით შეფარდებული. ამნაირი მდგომარეობის გამო შეუძლო ადამიანი ძალიან იშვიათად შესძლებს დავა და საჩივარი აწარმოოს არა მარტო მდიდრების წინააღმდეგ (ეს საუკუნოებით ასე იყო და ეს შეუძლებელ საქმედ ითვლება), არამედ თანასწოროთა წინააღმდეგაც. სასამართლოს სხვადასხვაგვარი ხარჯები, ვეჭილები, ნოტარიუსები და სხვა განგებ არის დაწესებული იმისათვის, რომ სასამართლოს კარი დაუხშონ იმ ადამიანებს, ვინც ჭიბე-სქელი არაა. გარდა ამისა, გავლენიან რეფორმატორების წრეში არსებობს რწმენა, რომ დამნაშავენი და საერთოდ მოპასუხენი უნდა დავიცვათ განსაზღვრული წესით, კანონით განსაზღვრული საბუთების და არა სალი მოსაზრებისა და სხვა რაიმეს მიხედვით. — ახლა დაგვრჩენია სასწავლებელთა რეფორმა, ანუ აღზრდის რეფორმა.

ორმოცდაათიანი წლების დამლევს ახალგაზრდებმა თითქმის ყველგან დააარსეს ეგრეთწოდებული საკვირაო სკოლები, სადაც ხელოსნებისა და საერთოდ მშრომელი ხალხისათვის წერაკითხვა და მეცნიერების ელემენტარული ცნობები უნდა ესწავლებინათ. მთავრობის მიერ შევიწროებათა გამო საკვირაო სკოლები თავიდანვე ფრიად სამწუხარო მდგომარეობაში ჩავარდნენ: მათათსგვარ მათგან განზრახვას აბრალებდნენ, ფეხდაფეხ დასდევდნენ, ზედამხედველებად უნიშნავდნენ გიმნაზიის დირექტორებს, ხუცებსა და მსგავს უეციებს, რომელთა მოვალეობა იყო, სადაც ჭერ არს დაებზღებინათ უფასო მასწავლებელი, თუ იგი ვითომდა რაიმე კანონის საწინააღმდეგო სიტყვას იტყოდა. ეს დევნა-შევიწროება თანდათან ძლიერდებოდა, ნელნელა ენერგიას უხშობდა ამ საქმეზე მომუშავე ახალგაზრდებს. სკოლებმა თანდათან დაცემა იწყეს: იქიდან საუკეთესო მასწავლებლებს ერეკებოდნენ, ხოლო დარჩენილებს ათასგვარი საშუალებით პირში ბურთს ღრმად აწვდიდნენ. ასე რომ, ხალხიც ბოლოს მიხვდა ამნაირი სკოლების უსარგებლობას და აღარ დაიარებოდა ტყუილ-უბრალოდ დროს დასაკარგავად. სკოლები ზედიზედ იკეტებოდა, ან ცარიელდებოდა. ასეთს სამწუხარო მდგომარეობაში იყო ეს სკოლები, როდესაც 1862 წელს პეტერ-

* უნდა გვახსოვდეს, რომ ფიზიკურ სასჯელთა მოსპობა არ ეხება გადასახლებულებსა და კატორღელებს. მერე რამდენია ციმბირში ისეთი გლეხი, რომელიც შემამულეს თავისი უფლებით გაუსამართლებლად და გამოუძიებლად გადაუსახლებია?

ბურგის ერთ-ერთ არტელში ერთმა რომელიღაც მუშამ მეორეს უთხრა: მიწა გლეხებს ეკუთვნით და მათ უნდა ეკუთვნოდეთ, მემამულეებს მასზე არეითარი განსაკუთრებული უფლებანი არ უნდა ჰქონდეთ. ამ სიტყვებს ყური მოჰკრეს ჯაშუშებმა და იგი მთავრობამაც გაიგო. მუშა დააპატიმრეს, დაჰკითხეს, ვინ ჩაგაგონა მაგისთანა აზრებო. რასაკვირველია, ვერას გახდნენ, რადგან მუშა ამბობდა: ეს აზრი ხალხში გამიგონია და ყოველდღე მესმის ბავშვობიდანვეო. მაგრამ მთავრობა ამას არ დასჯერდა. მთავრობამ გაიგო, რომ ზემოხსენებული მუშა ორჯერ-სამჯერ ყოფილიყო პეტერბურგის მხრის ერთ-ერთ საკვირაო სკოლაში; მან ისარგებლა ამ გარემოებით და გამოსცა განკარგულება, რომლითაც ყველგან, მთელს რუსეთში, საკვირაო სკოლები დაკეტულ იქნა...

ნიკოლოზ I დროს უნივერსიტეტებში სტუდენტთა რიცხვი განსაზღვრული იყო და თითქმის არც ერთ უნივერსიტეტს არ უნდა ჰყოლოდა ორას-სამას სტუდენტზე მეტი. 1857 წლიდან, რძღესაც სტუდენტთა რიცხვის განსაზღვრა მოსპეს, ახალგაზრდებმა მიაშურეს უნივერსიტეტებსა და გიმნაზიებს სწავლისათვის. იწყეს მათი ღვენა-შევიწროება, მაგრამ დაინახა რა, რომ ზომიერი ღონისძიებები ვერ მოქმედებდა, მთავრობამ გადასწყვიტა უფრო ენერგიული საშუალებები ეხმარა, რათა ერთბაშად გასწორებოდა მოსწავლე ახალგაზრდობას. საამისოდ მან გამოაცხადა: თვითეულმა, ვისაც სურს რომელსამე უნივერსიტეტში ლექციები ისმინოს, ყოველწლიურად 50 მ. ვერცხლი უნდა გადაიხადოს სწავლის უფლებებისთვის. იმ ადამიანებისათვის, რომელთაც არა გააჩნდათ რა, რომელთაც აქა-იქა გაკვეთილებით გაჰქონდათ თავი, ცხოვრობდნენ 7—12 მ. ვერცხლად თვეში, ნახევრად შიმშილობდნენ — ეს ნიშნავდა სწავლის განგრძობის საშუალების სრულს მოსპობას, მაგრამ მთავრობა ამასაც არ დასჯერდა: მან დაკეტა „სტუდენტთა სალაროები“, რომელთაც სტუდენტების დახმარება შეეძლოთ, მოსპო ბიბლიოთეკები, საიდანაც მათ შეეძლოთ წიგნებით სარგებლობა, აკრძალა კრებები, სადაც სტუდენტებს შეეძლოთ თავისი საქმეები ისე მოეგვარებინათ, რომ ერთმანეთს დახმარებოდნენ და ერთმანეთი გაეტანათ. მაგრამ ესეც ცოტად მიიჩნიეს: მიიღეს მრავალი წვრილმანი, უსარგებლო, უხეში და უბირი ღონისძიება, აკრძალეს უნივერსიტეტში თამბაქოს წვევა, მოსპეს თამბაქოს საწვევი ოთახები, შემოიღეს მატრიკულები და სხვადასხვა; ერთი სიტყვით, კანტონისტებზე უფრო მეტად შეავიწროვეს სტუდენტები. თავის-თავად იგულისხმება, რომ მთავრობა სტუდენტების მხრით წინააღმდეგობას მოელოდა. როდესაც სტუდენტები შეიკრიბნენ და სთხოვეს მთავრობას

მოესპო ეს შემავიწროებელი წესები, მათ წინააღმდეგ პოლკი გა-
მოიყვანეს. ხოლო გადაცემული პოლიციელები ხალხს ეუბნებოდნენ:
სტუდენტები „ბუნტობენ“, რადგან მეფემ გლეხები გაანთავი-
სუფლაო (!)... სტუდენტები ციხეში ჩასვეს, მრავალი მათგანი სხვა-
დასხვა შორეულ გუბერნიებში გაგზავნეს საცხოვრებლად, ზოგი
გადაასახლეს, უნივერსიტეტები დაკეტეს და ზემოხსენებული წე-
სები ახლა განუკითხველად ბატონობს...⁹⁴.

ამგვარად, მთავრობა ავიწროებდა და სდევნიდა სახალხო
განათლებას საკვირაო სკოლების დახურვით. მას არ დაეიწყებია
შეევიწროებინა იმათი განათლებაც, ვისაც თავისი მხრით შეეძლოთ
ხალხი გაენათლებინათ. ყველაფერი ეს, ვიმეორებთ, ხდებოდა ჩვე-
ნი ისტორიის „ლიბერალური ეპოქის“ დროს, 1861 წელს. ხელმწი-
ფეზე კი მაშინ ამბობდნენ: იგი გულმოდგინედ კითხულობს „კოლო-
კოლს“ და მისთანა ლიბერალი სხვა არაეინ არისო.

მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმ არაპირდაპირ ღონისძიებებთან
შედარებით, მთავრობა რომ ხმარობდა ახალთაობის გასრესისათვის
თუ ძალით არა, ხერხით მაინც: მთავრობამ ჯაშუშების მთელი ურდო
შეადგინა, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა ახალგაზრდების
შიერ ნათქვამი, თუ უთქვამი სიტყვებისათვის. მაგრამ რათა უფრო
ადვილად გამოეწვია ახალგაზრდები სალაპარაკოდ, მთავრობა ჯა-
შუშებს აწვდიდა საბეჭდ დაზგებს, აკრძალულ წიგნებს, ურნა-
ლებსა და სხვა. ჯაშუშები ახალგაზრდობას თავს ისე აჩვენებდნენ,
თითქოს პატროსანი ადამიანები, მთავრობის მოწინააღმდეგენი უო-
ფილიყვნენ და ამით იწვევდნენ მასში თანაგრძნობასა და დახმარე-
ბას. რაკი საქმეში მონაწილეობის საკმარის წერილობითს საბუ-
თებს შეაგროვებდნენ, ჯაშუშები თავის ნაცნობებს პოლიციას ჩაუგ-
დებდნენ ხოლმე ხელში, რომელიც მათ ციხეებსა და ციხიბრისკენ
ისტუმრებდა. ასე მოხდა, მაგალითად, 1861 წ. ყაზანის გუბერნი-
აში, სადაც ჯაშუშმა პორუჩიკმა პუშკარევმა საბეჭდი მანქანაც
შეიძინა, რათა უფრო ადვილად გაეზა ახალგაზრდები ბადეში; იგი-
ვე ჩაიღინეს მოსკოვში 1862 წ. ესეველოდ კოსტომაროვმა, ხოლო
1862 წ. — სტუდენტმა დოლჟიკოვმა, პეტერბურგში კი კანდიდატმა
დიმიტრეესკიმ, რომელსაც პეტროვსაც უწოდებდნენ. გარდა ამისა,
მთავრობა ახალგაზრდათა შესახებ ავრცელებდა ათასგვარ სულე-
ლურ კორს, რასაც შეეძლო ხალხში მათ წინააღმდეგ აღშფოთება
და შურისძიების გრძნობა გაეღვივებინა. მან დააბრალა ახალგაზრ-
დობას პეტერბურგის ხანძრის მოწყობაში მონაწილეობა⁹⁵, დაჰკრილ
არამზადებს სტუდენტურ ტანისამოსს გადააცმევდა ხოლმე და ასე
ქუჩა-ქუჩა დაატარებდა; გლეხებს არწმუნებდა, სტუდენტებს გაუქ-

მებული ბატონუმობის აღდგენა სურთო და სხვადასხვა. ყველა ამ ღონისძიების მიზანი იყო ხალხში ახალგაზრდობისადმი სიძულვილის აღძვრა და ამნაირად ახალგაზრდობაში სწავლის ხალისის და ამასთან ერთად ხალხისადმი სარგებლობის მოტანის სურვილის ჩაკვლა. ასე შეავიწროეს ახალგაზრდების განვითარება და განათლება.

შემდგომ გამოსცეს წესები სახალხო სკოლებისათვის. ეს იყო 1864 წელს²². თუმცა წერაკითხვის განვითარება და სახალხო განათლება ძალიანა დამოკიდებული ხალხის მატერიალურ მდგომარეობაზე და შრომისაგან თავისუფალი დროის იმ რაოდენობაზე, რომელიც ხალხს შეუძლია სწავლას მოანდომოს, მაგრამ მაინც აუცილებელია. ყველას ჰქონდეს უფლება სწავლისა, თუ კი იგი საამისო საშუალებას გამოიხატავს. რადგან მთავრობას არ სურდა ხალხისთვის საამისო საშუალება მიეცა, ყოველ შემთხვევაში სწავლის უფლება მაინც არ უნდა წაერთმია მისთვის. მთავრობამ ისე შეზღუდა ეს უფლება, რომ ახლა მთელი სწავლა-განათლება უვიცი ხუცების ხელშია. სახალხო განათლების ახალი კანონით სასულიერო წოდებას სავსებით განსაკუთრებული გავლენა აქვს მინიჭებული თვითუფ სკოლას, სადაც უნდა გაიხსნას იგი, მეთაურად ხუცესი უნდა ჰყავდეს, ადგილობრივი მემამულე—მზრუნველად; იგი ექვემდებარება არქიელს, ისპრავნიკს და კიდევ, ეშმაკმა იცის ვის. რასაკვირველია, ამნაირი სკოლა ვერავის ვერაფერს ასწავლის, ვერავის ვერაფერ სარგებლობას მოუტანს, ამიტომ ხალხი, ალბათ, არც დაიწყებს მასში სიარულს. მთავრობა კი ყვირილს მორთავს: აი, სკოლები გავხსენით, მაგრამ რას იზამ, როდესაც ხალხს სწავლა არ სურს, მას სკოლაში ტყბილი კვერითაც ვერ შეიტყუებო! კარგი კვერი კია, თქვენმა მზემ!

ალექსანდრე II-ის დროს ბექდვითი სიტყვის მდგომარეობაც შეიძლება იმის საზომად მივიჩნიოთ, თუ რამდენად სურს მთავრობას ხალხში განათლების გავრცელება. 1862 წლამდე, ესე იგი გლეხთა საკითხის გადაწყვეტამდე, როდესაც ყოველი რიგიანი მთავრობა ყოველ ღონისძიებას იხმარდა, რომ ხალხის ცხოველი ძალები და მთელი მისი აზროვნებითი უნარი ემოძრაებინა, ჩვენში საშინელი, ბნელეთის მოციქული ცენზურა ბატონობდა. „ბექდვითი დებულება“ 1862 წელს უვარგისად სცნეს და იმავე ხანებში შეუდგნენ ახალი წესების შემუშავებას. 1862 წლიდან 1865 წლამდე ბექდვითი სიტყვა „დროებითი წესების“ ბატონობის ქვეშ იყო²³. ამ ხნის განმავლობაში აკრძალული იყო ახალი სტამბებისა და ლიტოგრაფიების გახსნა. საერთოდ, ცენზორების ბატონობას არავითარი საზღ-

ვარი არ ჰქონია. შინაგან საქმეთა მინისტრის უბრალო განკარგულებით აკრძალულ იქნა უფრანალი „ვერემია“¹⁰⁸ და გაზეთი „სოვერემენოვ სლოვო“ (1863 წ.)¹⁰⁹ და ასე თუ ისე ხანგრძლივი ვადით შეჩერებულ იქნენ: „სოვერემენიკი“, „რუსკოე სლოვო“¹¹⁰ და „დენ“ (1862)¹¹¹. წიგნებსა, ბროშურებსა და წერილმან გამოცემებზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს. 1865 წლის 6 აპრილის ახალი „დებულება ბექდ-ვითი სიტყვის“ შესახებ შედგენილია ადამიანის ყოველგვარი აზრის ჩასახშობად. ამ დებულების განსაკუთრებული თვისებაა—სასტიკი ღონისძიებანი იმ წიგნთა წინააღმდეგ, რომელნიც თავისი სიიაფით ხალხისა და საერთოდ შეუძლო ადამიანთათვის ხელმისაწვდომია. ეს ღონისძიებებია შემდეგი: თვითეული წიგნი, რომელშიაც ორიგინალური თხზულების 10 ფურცელზე, ხოლო თარგმანის 20 ფურცელზე ნაკლებია, წინასწარ ცენზურას ექვემდებარება. ამ ზომის წიგნები კი გამომცემელს ისე ძვირად უჯდება, რომ მას არ შეუძლია მისი გაყიდვა მანეთ ვერცხლზე ნაკლებად. ხოლო ყველამ იცის, რომ ხალხი და შეუძლო ადამიანები ვერსად იშოვნებენ წიგნების საყიდლად ამდენ ფულს. მთავრობამ ძალიან კარგად იცოდა, რომ მდიდრები, რომელთაც საშუალება აქვთ მნიშვნელოვანი თანხები დახარჯონ წიგნების შეძენაზე, დაინტერესებულნი არიან ახლანდელი წყობილების განმტკიცებაში. ამიტომ თავისუფლად დაწერილი წიგნები მათზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენენ. ამნაირად, ახალი „დებულება“ აშკარად მიმართულია ხალხის განვითარების წინააღმდეგ, თუ მას რაიმე სარგებლობის მოტანა შეუძლია, მხოლოდ შეძლებულ ადამიანებს და გაზეთების ორ-სამ გამომცემელს, ბ-ნ კატკოვის, კრაევსკისა და კომპანიის მსგავსებს მოუტანს იგი სარგებლობას. „დებულების“ დანარჩენ მხარეებზე აქ საჭირო როდილაა ვრცლად ლაპარაკი.

მაგრამ მთავრობის სურვილი, მიმართული ყოველი ცხოველი აზრის ჩახშობისაკენ, კიდევ უფრო შორს წავიდა: იგი არა თუ სდევნის და ავიწროებს ყველა ასე თუ ისე დამოუყიდებელსა და თავისთავადს მწერალს, არა თუ ასახლებს მათ სასამართლოს და გამოძიების გარეშე, არამედ წინასწარ აქვს მათთვის გამზადებული კატორღა და გადასახლება. თავისი განზრახვის შესრულებას იგი მხოლოდ იმიტომ გადასდებს ხოლმე, რომ ხელსაყრელ გარემოებას, პოლონეთის აჯანყებას, მემკვიდრის სიკვდილისა თუ ხელმწიფის მოკვლის განზრახვას უცდის, — როდესაც საზოგადოებრივი აზრი მის სასარგებლოდ ლაპარაკობს და მის მხარეზეა. ასე იყო 1864 წელს — ჩერნიშევსკის გადასახლების დროს, 1865 წ. — სერნოსლოვოვივიჩის გადასახლების დროს და ახლა, 1866 წელს ელისეე-

ვისა და სხვა მრავალთა გადასახლების დროს. ჯერ კიდევ 4 აპრილის გასროლის დიდი ხნის წინად, 1863 წელს, სენატორი ჟდანოვი ეუბნებოდა ყაზანში პოლიტიკურ დამნაშავეებს: „ჩვენ (მთავრობასო), მადლობა ღმერთს, უკვე გვყავს ერთგული ხალხი; ახლა ჩვენი პოლიცია ნაპოლეონისას არ ჩამოუვარდება. რკინისგზის ვაგონებშიაც, საზღვარ-გარეთაც უკვე ჩვენიანები გვყავს. აი, ჩერნიშეესკი, თუმცა ჭკვიანი არამზადაა და მწარედაც დაგვცინის, მაგრამ ხომ მიეჩქმალეთ. ჩვენი თვალი და ყური მივუჩინეთ ანტონოვიჩსა და ელისეევს, ვერას გახდებიანო“. ეს ჟდანოვის ნამდვილი სიტყვებია*. ამას ჩვენ ვერაფერს დაუმატებთ...

ასე მოქმედებდა ალექსანდრე II-ის ლიბერალური მთავრობა. ლიბერალები კი მაინც გულაჩუყებულნი იყვნენ და სიხარულის ქებათა-ქებას ასხამდნენ გლეხთა განთავისუფლებას, ფიზიკური სასჯელის მოსპობას, წერა-კითხვის გავრცელებას, თავდახსნის მოსპობას და აგრეთვე იმას, რომ ამიერიდან „სასამართლოებში იბატონებს სიმართლე და მოწყალება“... მაგრამ ისინი ხომ სწორედ ამიტომ არიან ლიბერალები!..

ახლა საკითხავია, შეეძლო თუ არა ყველაფერს ამას ახალთაობა დაეკმაყოფილებინა? — ვნახოთ.

I I I

თანამედროვე ახალთაობას არ შეიძლებოდა მიზნად ჰქონებოდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, შეენარჩუნებინა თავადაზნაურთა ინსტიტუციები. მას არ სურდა და არც შეეძლო მიებაძნა იმ ცნობილი მაგისტრის ბეზობრაზოვისთვის, რომელიც, როგორც ალექსანდრე II, მივიდა დასკვნამდე: თავადაზნაურთა პრივილეგიების შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ ხალხისადმი დათმობითო. იგი ამ დათმობის მოხდენას აპირებდა შარლატანური საშუალებით — მე მ ა მ უ ლ ე თ ა გ ლ ე ხ ე ბ ს — მ ე მ ა მ უ ლ ე თ ა მ ი წ ე ბ ზ ე და ს ა ხ ლ ე ბ უ ლ ი გ ლ ე ხ ე ბ ი ვ უ წ ო ლ ო თ ო... ახალთაობის სურვილი თავადაზნაურთა ინტერესებზე უფრო შორს მიდიოდა: იგი ყველაფერზე მაღლა საერთო კეთილდღეობას აყენებდა. თუ ეს კეთილდღეობა ეწინააღმდეგებოდა რომელსამე პრივილეგიურ წოდებებს, — ახალთაობას ამისა არა ესაქმებოდა რა. იგი უყოყმანოდ სწირავდა მუქთახორა უმცირესობის ინტერესებს მასების სავესებით

* იხ. „კოლოკოლში“, 1865 წ., 15 ოქტომბერი, სტატია — «Каванский

კანონიერ ინტერესებს. ამ მხრით ახალთაობა ძირეულად განსხვავდებოდა მთავრობისეული ლიბერალებისა და ოფიციალური რეფორმატორებისაგან.

სამართლიანობის უბრალო გრძნობა უქარნახებდა ახალთაობას, რომ ხალხთან თავადაზნაურობის შეტაკების დროს მთელი მისი სიმპათიები სავსებით ხალხის მხარეზე ყოფილიყო. ახალი თაობა ფიქრობდა, რომ ის ვითომდა მსხვერპლი, რომელიც თავადაზნაურობას უნდა გაეღო, უკვე დიდი ხანია ანაზღაურებულია იმით, რომ თავადაზნაურობა ასე დიდხანს ცხოვრობდა ხალხის ხარჯით; საუკუნოებრივი დამონება ხალხს სრულს უფლებას აძლევს მოითხოვოს არა მარტო ცარიელი დათმობა, არამედ თავადაზნაურობის არსებითი პრივილეგიების მოსპობაო. ამნაირად, როგორც კი ლაპარაკი ჩამოვარდა სამოსახლოზე და იმ დროს, როდესაც ალექსანდრე II სჯერდებოდა მოთხოვნას: „მე სამოსახლო ბინადრობად ვგულისხმობ არა მარტო შენობას, არამედ მთელ სამოსახლო მიწასაცო“*, ახალი თაობა მყისვე მიხვდა, რომ აქ ლაპარაკი უნდა გვექონდეს არა მხოლოდ სამოსახლოსა და სამოსახლო მიწაზე, არამედ მთელ მიწაზე, რომელიც ხ ა ლ ხ ს უ ნ დ ა ე კ უ თ ე ნ ო დ ე ს. მას სავსებით გულწრფელად სწამდა ეს და გულუბრყვილოდ სჯეროდა იმის ნამდვილად არსებობა, რაც უნდა არსებებულიყო. მან მყისვე ხელი მიჰყო მსჯელობას და დაეკისრა: რა უფრო სჯობია გლეხობისათვის, მიწის კერძო საკუთრებად მფლობელობა, თუ სათემო მფლობელობაო. პოლემიკამ დაამტკიცა ამ უქანასკნელის უპირატესობა; მაგრამ როდესაც ამ შედეგს მიაღწია, მან დაინახა, რომ უმთავრესი საქმე ჯერ გაკეთებული არ იყო და რომ მიწის კუთვნილება გლეხობისადმი — ფრიად სადაო საკითხი ყოფილა.

მაშინ ატყდა რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ის საშინელი ბრძოლა, რომლის მოწმენიც ვართ დღეს და რის მოწმენიც კიდევ დიდხანს ვიქნებით: ახალი თაობა, თავის საუკეთესო წარმომადგენლების სახით, დადგა იმ ხალხის მხარეზე, რომელიც მთავრობისა და თავადაზნაურობის მეწველ ძროხად გადაქცეულიყო. რათა მისი ურთიერთობა ხალხთან თავისუფალი ყოფილიყო ყოველგვარი პარაზიტული განზრახვებისაგან, მან სავსებით ხელი აიღო პრივილეგიურ მდგომარეობაზე და გადასწყვიტა ისე მომზადებულიყო, რომ საკუთარი შრომით ცხოვრების უნარი ჰქონოდა. თუმცა ეს გადაწყვეტილება სხვა მოსაზრებებზედაც იყო დამოკიდებული: ახალი თაობის აზრით ადამიანის ღირსების ერთად-ერთი დამცველი

* მოსკოვის თავადაზნაურობისადმი მიმართული სიტყვიდან.

არის მხოლოდ შრომა, რომელიც სხვას არავის დააწვება კისრადო. აქედან ცხადია, რომ ახალთაობას სურდა შეენარჩუნებინა თავისი ღირსება და ძლიერთაგან ამა ქვეყნისა დამოუკიდებლობა. ამან აიძულა ახალი თაობა ხელი მოეკიდა საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადად გარდაქმნისათვის — ყველასა და თვითეულისათვის საკუთარი და არა სხვისი შრომით ცხოვრება სავალდებულოდ აღიარებინა. გამოდიოდა რა ამ დებულებიდან, ახალთაობას საზოგადოების მართებელი, ადამიანური მოწყობის აუცილებელ პირობად მიაჩნდა შრომის ისეთი ორგანიზაცია, რომლის დროსაც საზოგადოების ყოველი წევრი განურჩევლად — უზრუნველყოფილი იქნება შრომის იარაღით. მაშასადამე, ამისთანა წყობილების დროს წოდებრივსა და სხვა უპირატესობას სრულიად ვერავითარი ადგილი ვეღარ ექნება. რაკი ასეთი პირობაა წამოყენებული, ცხადია, არც ერთ წოდებას და ადამიანთა არც ერთ ჯგუფს არავითარი უფლება არა აქვს მხოლოდ იგი ჰფლობდეს მიწას, ე. ი. ჰქონდეს პრივილეგიათა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პრივილეგია. საზოგადოებრივი ცხოვრების ის წყობა, რომლის განხორციელებასაც ფიქრობს ახალი თაობა, დაფუძნებულია სწორედ ყოველგვარი პრივილეგიის მოსპობაზე და იმაზე, რომ მიწა ს ა მ ფ ლ ო ბ ე ლ ო დ გა დ ა ე ც ე ს მ შ რ ო მ ე ლ ხ ა ლ ხ ს და გადაეცეს ისე, რომ ამნაირად მოწყობილ სახალხო შრომას მინიჭებული ჰქონდეს კანონმდებლობის სამართლიანი მფარველობა, როგორაც იგი აქამდე მფარველობდა მხოლოდ და მხოლოდ პრივილეგიურ წოდებებს. სამიწათმოქმედო შრომის საერთო წყობას ახალი თაობა, ასე ეთქვათ, საერთოდ ყოველგვარი შრომის ორგანიზაციის ნორმად თვლიდა. ამნაირად, მისი აზრით, სამანუფაქტურო, სამრეწველო, გონებრივი და ყოველგვარი სხვა სახის შრომა უნდა მოეწყოს იმავე საფუძველზე, რანაირზედაც მოწყობილია სამიწათმოქმედო შრომა, ე. ი. მოეწყოს მშრომელთა სრულს თანასწორობაზე და მათთვის, როგორც შრომის საშუალების, ისე მისი ნაყოფის მიცემაზე.

თავის-თავად იგულისხმება, რომ ხალხის ინტერესების ამნაირი გაგების დროს, თავდაზნაურობის ეგრეთწოდებულმა ინტერესებმა ხალხის ინტერესებს უნდა დაუთმოს ადგილი, ანუ, უფრო სწორედ რომ ითქვას, შეედუღოს მათ. ყოველ შემთხვევაში ახალთაობას ხალხის ცხოვრების მოწყობის ასე გაგების დროს არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო მაღლა დაეყენებინა თავდაზნაურობის ინტერესები და ისინი რაღაც წმინდად და ხელუხლებლად მიეჩნია. მისთვის წმინდა და ხელუხლებელი იყო მხოლოდ ერთი რამ — საერთო კეთილდღეობა, მთელი ხალხის სიკეთე. ყველა-

ფერი, რაც ამ სიკეთეს ეწინააღმდეგებოდა ან და მის განხორციელებას ხელს უშლიდა, ახალთაობას საეცებით ხელსახლებლად მიაჩნდა და სრულიადაც არ სთვლიდა მას წმინდად...

მაშასადამე, მთავრობამ საგლებო რეფორმას ხელი რომ მოჰკიდა, ახალთაობას შეუძლებელი იყო მასთან ხელიხელჩაკიდებულს ევლო. მისი მიზანი განსხვავდებოდა მთავრობის მიზნებისაგან და მაშასადამე, განსხვავდებოდა საშუალებათა მხრითაც; მთავრობას თავდაზნაურთა ინსტიტუციების შენარჩუნება სურდა, ახალთაობას კი ხალხის კეთილდღეობის გულისთვის მისი მოსპობა უნდოდა; მთავრობას უნდოდა გლეხები უმიწაწყლოდ დაეტოვებინა, ახალთაობას კი სურდა მიწა მიეცა მათთვის, სურდა ეკონომიურ ურთიერთობათა მართებულად მოწყობით მათთვის შრომა შეემსუბუქებინა; მთავრობას სურდა ხალხისა და თავდაზნაურობის გათიშულობა დაეტოვებინა; ახალთაობას კი უნდოდა — შეედუღებინა მათი სარგებლიანობა და ამით თავდაზნაურობა სახალხო საქმით დაეინტერესებინა. ეს ითქმის საგლებო რეფორმის შესახებ.

დანარჩენი რეფორმების საქმეშიაც ახალი თაობა სწორედ ასევე მუდამ წინააღმდეგი იყო მთავრობისა და ხალხის მხარეზე იდგა. ახალი თაობა ყვიროდა ფიზიკური სასჯელის მოსპობაზე, როდესაც მთავრობას ფიქრადაც არ ჰქონდა ეს რეფორმა. ახალი თაობა ახლაც კიდევ ცდილობს ამ სასჯელის იმ ნაშთების მოსპობას, რომელიც 1863 წლის 17 აპრილის ბრძანების შემდეგ დარჩენილა. სამოსამართლო რეფორმის დარგში იგი დიდი ხანია ცდილობდა საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ სისულელეა ადამიანის დასჯა იმისთანა უნებური მოქმედებისათვის, რომელიც სხვადასხვა გარემოებათა მიერ არის გამოწვეული. ამ აზრის დასამტკიცებლად იგი ამბობდა: ადამიანი ყოველთვის გარეშე გარემოებათა გავლენის ქვეშაა; ეს ისეთი გარემოებებია, რომლებიც მის პირად ნებისყოფაზე არ არის დამოკიდებული და რომლებიც უმეტეს შემთხვევაში თვით საზოგადოების მიერვეა შექმნილი; ეს არახელსაყრელი პირობები იძულებულს ჰყოფენ ადამიანს მოიქცეს ასე და არა ისე, ხშირად დაარღვიოს ის კანონები, რომლებიც საზოგადოების გავლენიან ნაწილს გამოუცია მხოლოდ და მხოლოდ თავის სასარგებლოდ.

ბოროტ მოქმედებაზე ამ საწინააღმდეგო შეხედულებას ახალი თაობა უმთავრესად იმიტომ ქადაგებდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ისეთ მასებს ატყდება თავს მთელი სიმძიმით, რომლებიც ფრიად არახელსაყრელსა და გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. მდიდრებს, რომელთაც მფარველობს ახლანდელი კანონები და ათასგვარი უპირატესობა, არაფერი არ აიძულებს დანაშაული, ან

ბოროტმოქმედება ჩაიდინონ, თუმცა ისინი ყოველდღე ათასგვარ დიდსა და მცირე დანაშაულობას სჩადიან უკვე მარტო იმითი, რომ ხალხის შრომითა ცხოვრობენ, მაგრამ კანონმდებლობა მათ ფრიად თავაზიანად ეპყრობა; იგი ამ დანაშაულობას სრულიად არ სთვლის ყურადღების ღირსად და კანონის რაიმე საწინააღმდეგოდ. ასეთს მდგომარეობაში როდი არიან ხალხის მასები და საზოგადოდ ყველა ისინი, ვინც საკუთარი შრომით ცხოვრობენ: თვითეული მათი მისწრაფება ადამიანური უფლებებისადმი, ყოველი მათი სურვილი დაიცვან თავისი პიროვნება მდიდართა თვითნებობისა და ჟინიანობისაგან, თანამედროვე კანონმდებლობის მიერ დანაშაულობად, კანონის დარღვევად, საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხყოფად ითვლება. მაშასადამე, ცხადია, ახალთაობას არ შეეძლო მიზნად არ დაესახა ძირფესვიანად შეცვლა იმ კანონებისა, რომლებიც თანამედროვე წყობილებას ემსახურება და იცავს; ამ მხრით იგი აუცილებლად უნდა შესტაკებოდა ალექსანდრე II-ის მთავრობას, რომელიც ცდილობდა ხელუხლებლად დაეცვა ეს წყობილებაც და მისი განმასხვავებელი თვისებები — მქონებელთა მიერ ღარიბთა დამონებაც.

იურიდიულ დარგში ისევე, როგორადაც ეკონომიურში, მთავრობისა და ცრუ-რეფორმატორების უმთავრესი ძალ-ღონე იქით იყო მიმართული, რომ ამნაირ დამონებაზე დაეფუძნებინათ და გაეჩერებინათ სახელმწიფო წყობილება. ამ ვაჟბატონების აზრით იმაზე ბუნებრივი არა არის რა, რომ მიწიერი კეთილდღეობით დაჯილდოებულ ადამიანებს თითქმის სრული თვითნებობის საშუალება მიეცეთ. ის ადამიანები კი, რომელნიც ღვთის გაჩენილ ქვეყნად შიშველები დაბადებულან, იმას უნდა დასჭერდნენ, რომ მდიდრებს ხანდისხან ისინი დასჭირდებათ ხოლმე და მუშებად დაიქირავებენ. ერთი სიტყვით ამ ვაჟბატონების აზრით, ადამიანს, რომელსაც საკმაო ქონება არ გააჩნია, არც აქვს მიწიერი კეთილდღეობითი სარგებლობის რაიმე უფლება. სიმდიდრესა და სიღარიბეზე ამნაირმა შეხედულებამ ჩვენებური კანონმდებლობა იმ შედეგამდე მიიყვანა, რომ იმ ადამიანებს, ვისაც მნიშვნელოვანი ქონება არ გააჩნიათ, საესებით ზედმეტ ადამიანებად სთვლის და ღვთისანაბარად ტოვებს მათ; ასე რომ, თუ ისინი მდიდრებს შავი ან სხვა რაიმე მუშაობისათვის არ დასჭირდათ, მათ ერთი გზა-ლა დარჩენიათ — შიმშილით სიკვდილი.

ახალი თაობა კი საქმეს სხვა თვალით უყურებდა: იგი ამტკიცებდა, რომ ყველა ადამიანს თანაბარი უფლება აქვს ცხოვრობისა, რანაირიც გნებავთ იყოს მისი ქონებრივი და

მემკვიდრეობითი უფლებები; და იქამდე, ვიდრე არ დაუმტკიცებიათ, რომ ზოგიერთი ადამიანი ფეხზე ღეზებიანი იბადება, — როგორც ამბობდა ვოლტერი, — ხოლო ზოგიერთი კი ზურგზე კურტნითაო, უეჭველია, ყველა ადამიანს განურჩევლად თანაბარი უფლება აქვს მიწიერ დოვლათიდან თავისი წილიც მოითხოვოს.

უყურებდა რა ამ პრინციპის თვალსაზრისით იურიდიულ საკითხებს, ახალი თაობა კითხულობდა: რა საბუთით მოითხოვენ მდიდრები, რომელთაც თავის სასარგებლო კანონები გამოუციათ, რომ ხმაშეუბრუნებლად პატივსა სცემდნენ ამ კანონებს ყველა ის მოქალაქენი და უმთავრესად ისინი, ვის წინააღმდეგაც მათი კანონმდებლობაა მიმართული და ვისაც ოდნავი მონაწილეობაც არ მიუღია მის შედგენაში. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ახალი წყობილებისათვის, რომელიც საზოგადოების ყველა წევრის სრულს თანასწორობაზე იქნება დამყარებული, საჭიროა მოხდეს მთელი კანონმდებლობის ძირეული გარდაქმნა, — გარდაქმნა იმ კანონმდებლობისა, რომელიც მდიდრებისაგან და მდიდრებისთვისაა შექმნილი; ეს საჭიროა იმისათვის, რომ შეიქმნას ახალი კანონმდებლობა, შექმნილი ხალხის მიერ და ხალხისათვის. ასეთი კანონმდებლობა, ეკონომიურ ურთიერთობათა და საზოგადოებრივი აღზრდის ძირითად რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ზედმეტად ხდიდა ყოველგვარ სასჯელობითს ღონისძიებას, ვინაიდან იგი ძირიან-ფესვიანად სპობდა დანაშაულობის ჩადენის ხელისშემწყობ მიზეზებს.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მთავრობას არც უფიქრია მხედველობაში მიეღო „თავზეხელაღებულთა ეს ბრიყული (sic!) მოთხოვნები“. სცვლიდა რა გლეხთა ცხოვრების ზოგიერთ მხარეს, იგი ცდილობდა დანარჩენი ყველაფერი ხელუხლებლად დაეტოვებინა, ისეთსავე მდგომარეობაში, რომელიც ყაჩაღთა და დამპყრობთაგან იყო დამყარებული ძალითა და მოტყუებით ხელში ჩანაგდები პრივილეგიებისა და სიმდიდრეთა შესანარჩუნებლად.

სახალხო აღზრდის საკითხშიაც ახალი თაობა მთავრობის წინააღმდეგ მიდიოდა და ასეც უნდა მოქცეულიყო. მთავრობა ცდილობდა ხალხი ფრიად აღმაშფოთებელ უვიცობაში, ყოველგვარ ადამიანურ ცნებათა უცოდინარობაში ემყოფებინა; მას სურდა ხალხი პირუტყვის მსგავს მდგომარეობაში დარჩენილიყო, რათა მას თავისი ინტერესები არ შეეგნო და არ მოეთხოვნა თავისი ბუნებრივი, უდავო უფლება ადამიანური და არა პირუტყვეული ცხოვრებისა. რათა ამ მიზნისათვის მიეღწია, მთავრობამ როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, დაჰკეტა საკვირაო სკოლები, გაუძნელა ახალგაზრ-

დებს სასწავლებლებში შესვლა, ხუცური, დამთრგუნველი ელემენტი შეიყვანა სახალხო სკოლებში, ერთი სიტყვით, ყოველგვარი დონისძიება იხმარა ხალხის განვითარების შესაფერხებლად. ახალი თაობა კი, ასე გულმოდგინედ ეპყრობოდა რა საკვირაო სკოლებს და ასე გულმხურვალედ მიეშურებოდა რა უნივერსიტეტებისკენ, პირიქით, ცდილობდა, ხალხში რაც შეიძლება მეტი ჰქმმარიტი. აღამიანური ცნებები გაეფრცელებინა. მან ამ აზრის განხორციელებაზე დროებით ხელი აიღო მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვეულებურმა მთავრობამ მას ხელ-ფეხი შეუქრა. მიუხედავად ამ დაბრკოლებებისა, ახალთაობას თავი არ დაუნებებია იმის მეცადინეობისთვის, რომ ხალხს მიენიჭოს, ჯერ ერთი, სწავლის უფლება, საესებით უფასოდ, მეორე მხრით — მიეცეს სწავლის შესაძლებლობა. და ამ „შესაძლებლობად“ იგულისხმება არა მარტო ყველგან უფასო სკოლების გახსნა, არა მარტო უნარიან და საქმიან მასწავლებელთა (ქალთა და კაცთა) შემზადება; იგულისხმება აგრეთვე ეკონომიური წყობილების სისტემის ისე მოწყობა, რომლის დროსაც სკოლაში ბავშვის გაგზავნით ოჯახს არ დაეკარგება შემოსავლის ნაწილი და ბავშვები აღიზრდებიან ამ უკანასკნელთა შრომის გარეშე... ახალი თაობის საუკეთესო მისწრაფებანი აქეთ არის მიმართული, ვინაიდან ახალთაობას თანამედროვე ქაოხიდან ერთადერთ გამოსავლად სხვა არა მიაჩნია რა, თუ არა ხალხის ახალი თაობის განვითარება სწავლის გზით...

საჭირო-დაა განა ვილაპარაკოთ, თუ როგორ უყურებს ახალი თაობა „ბეჭდვითი სიტყვის“ საქმეს? ვინ არ იცის, რომ ამ მხრით ახალი თაობა ყოველთვის ბეჭდვითი სიტყვის სრულს თავისუფლებას მოითხოვდა არა მარტო თავისთვის, არამედ თავის მოწინააღმდეგეებისთვისაც კი და რომ ბეჭდვითი სიტყვის სრული თავისუფლება მას ხალხის განვითარების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად მიაჩნია?

სულ ზერელე, მიუდგომელი დაკვირვება ზემოხსენებული პარალელისა ცხადჰყოფს, რომ ახალთაობას არ შეეძლო მეფის აღექსანდრე II-ის ცრურეფორმატორულ მთავრობასთან ხელჩაკიდებული სიარული. ეს ორი ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო ძალა მალე შექველად უნდა დასტაყებოდა და დაეწყო ურთიერთ შორის, როგორც იტყვიან, სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ამ ორ ბანაკს შორის შეუძლებელია რაიმე, დიად, ოდნავი რაიმე დაახლოება, შეუძლებელია რაიმე მორიგება, წარმოუდგენელია ოდნავი დათმობაც კი, გარდა, რასაკვირველია, მოქმედების ასპარეზის დათმობისა. ბრძოლა ამ ორ ბანაკს შორის ცხადად გვიჩვენებს, რომ იგი

დაუნდობელ-შეუბრალებელია. თუმცა, ახლა, საქმე ეს როდია: ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ ალექსანდრე II-ის მთავრობა მოწინააღმდეგე იყო, არის და იქნება ხალხის საკეთილდღეოდ მიმართული ყოველგვარი მოძრაობისა და, მაშასადამე, მოწინააღმდეგეა ახალთაობისა*.

I V

ფრიად უცნაურია, რომ ჩვენი საზოგადოების უფერული ადამიანები, რომელნიც არც ერთს ბანაკს მიკედლებიან, არც მეორეს ერთხელაც არ დაჰკითხვიან გულახდილად თავის თავს: რომელი სჯობია ამ ორ ბანაკში?... ეპკვს გარეშეა, აქ არჩევანი ძნელი როდია. მამაპაპათა ჩვეულებების დამცველთა და ახალი წყობილების მომხრეთა შორის არჩევანის მოხდენაში მერყეობა — შეუძლებელია. მაშ რატომ გაჩერებულან ჩვენებური უფერულები გზაჯვარედინზე?..

ყველაფერი აგრეაო, — გვეუბნებიან, — ცოდნით კი ვიცით, რომ ახალთაობის პროგრამა მთავრობისაზე უფრო პატიოსანი და გონიერია, მაგრამ მანდ ხომ წითელი დროშა არისო!..

ღიად, წითელი დროშით აფრთხობენ ხარებს ესპანეთში და ვირებს ზოგიერთ სხვა ქვეყნებში... ადამიანებს, რომელთაც მოჩვენებებისა და აჩრდილებისა ეშინიათ, არ უყვართ ფიქრი და აზროვნება, მათ ვერაფერს ჩააგონებ; ჩამდენიც გინდა ელაპარაკო, ისინი მაინც წითელ დროშაზე ათასგვარ სისულელეებს ილაპარაკებენ. მაგრამ უფერულ ადამიანთა შორის, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, იქნებ ისეთებიც იყვნენ, რომელთაც საღი გონება შერჩენიათ არა თუ წითელი აჩრდილების, არამედ თვით მურავიოვის გავლენის პირობებშიაც კი. აი, ამ ადამიანებს გვინდა ვთხოვოთ, ჩაუკვირდნენ გულისხმიერად საქმის ვითარებას და თქვან: განა შეიძლება ოდნავ მაინც პატიოსანი ადამიანი შეყოყმანდეს, თუ რომელ მხარეს უნდა თანაუგრძნობდეს, ან უკეთ რომ ვთქვათ, რომელს უნდა ეხმარებოდეს?

საგლებო რეფორმას მთავრობა იწყებს სიტყვებით: „მე (ე. ი. ხელმწიფეს) მიყვარს თავადაზნაურობა, იგი ტახტის უდიდეს დასაყრდენად მიმაჩნია. მე საყოველთაო სიკეთე მსურს, მაგრამ

* თანამედროვე რუსეთის მოძრაობასთან გაუცნობელ მკითხველებს (და სწორედ ისეთებისთვის არის დაწერილი ეს სტატია) შეიძლება ეგონოთ, რომ ჩვენ აქ განზრახული გექონდა ახალთაობის სრული პროგრამა გადმოგვეშალა. სრულიადაც არა. ჩვენ ამ პროგრამიდან შევეხეთ მხოლოდ იმ მხარეებს, რომლებიც ეფარდებიან, თუმცა პირუკმო წესით, მთავრობის პროგრამას. დანარჩენ მხარეებზე ვრცლად ლაპარაკი საჭიროდ არ მიგვაჩნდა.

არ მინდა ამან თქვენ გავნოთ რამე (თავადაზნაურობას), მე ყოველთვის თქვენი მოსარჩლე ვარო“. ეს სიტყვა ცოტა უცნაურია, მაგრამ ვინ ამბობს ამას? — ლიბერალი, სულით ხორცაჲდ რეფორმატორული მისწრაფებებით გაულენთილი, გამათავისუფლებელი...

ახალი თაობა ბოროტგანზრახულობით უარს ამბობს იმპერატორის რეფორმებით იყოს ალტაცებული. იგი ლაპარაკობს: როდესაც საქმე მთელი 60 მილიონის კეთილდღეობას შეეხება, შეუძლებელია მათი ინტერესები რამდენისამე პირის გაზვიადებულს, უკანონო და განსაკუთრებულს ინტერესებს მსხვერპლად შევსწიროთ. და ასეთი ადამიანები, თურმე, დესპოტები და სისხლის მსმელები ყოფილან, სისხლის ღვარის დაყენება სურვებითა; ისინი, თურმე, სხვა არაფერზე ოცნებობენ, თუ არა ნაჯახსა და დიქტატურაზე.

ლიბერალური, ჰუმანური მთავრობა გლახთა ცხოვრების მოწესრიგებას ანდობს სწორედ იმ ადამიანებს, რომელნიც ყოველთვის გლახთა ხარჯით ცხოვრობდნენ და ასევე ცხოვრება სურთ. მთავრობა თრგუნავს გლახებს, არ ინდობს მათს ინტერესებს და ძველის მაგივრად — ახალ ბატონყმობას ქმნის. სისხლმოყვარე ახალთაობა კი, რომელსაც, როგორც ვიცით, მხოლოდ დიქტატურითა და სიკვდილის დასჯით მოქმედება სურს, ამბობს: საჭიროა გლახებსაც მოეუსმინოთ, ვინაიდან ამ შემთხვევაში მათ ცხოვრების მოწესრიგებაზე, ახალ საფუძველზე მათი ცხოვრების მოწყობაზეა ლაპარაკი; ძალიან საქებურია ერთი დაინტერესებული მხარის მოსმენა, მაგრამ ამასთანავე აუცილებლად საჭიროა მეორესაც მოეუსმინოთ. იგი არ ჩასციებია სიტყვა მსხვერპლს, არავითარი მსხვერპლი არააო საჭირო, — ამბობს ის, საჭიროა მხოლოდ სერიოზულად განვიხილოთ საკითხი. მაშინ ცხადი გახდება, რომ თავადაზნაურობისა და გლახების ინტერესთა შედუღებით სისხლის ღვრის და შეტაკებათა გარეშეა შესაძლებელი საქმის მოგვარებაო. მაგრამ მთავარი ისააო, — განაგრძობს ახალი თაობა, — რომ თვითონ გლახებს უნდა დავეკითხოთ; თუ ასე არ იქნა, მათ სრული უფლება ექნებათ ილაპარაკონ, რომ საზოგადოებრივი კანონები უმათოდ და მაშასადამე, მათ წინააღმდეგ არის შემუშავებული. ამით კი გლახებს კანონიერი საბაზი ექნებათ ხოცვა-ჟლეტისათვისაო...

! მთავრობა ანხორციელებს თავის დებულებებს და ეშინია რა თავის მიერ გამოგონილი მოჩვენებებისა, ხალხის დრტვინვა საყოველთაო ხოცვა-ჟლეტის ნიშნად მიაჩნია. მთავრობა ხვრეტს ყველგან გლახებს, ზარბაზნით ფანტავს მათს კრებებს, წკებლავს, აპარტახებს, ციმბირში ასახლებს მათ — სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ახალი თაობა კი იჩენს სისხლმოყვარეობას და ამბობს: რისთვისაა საჭირო ამდენი სისხლი? რა საჭირო იყო ხალხისათვის თავისუფლების დაპირება და მისთვის ახალი ბატონყმობის მიწოდება, უმიწოდ? რა საჭირო იყო შემზადება და მოხდენა ამ ბოროტებისა ბეზდნაში და სხვა კიდევ ათას ადგილას? რა არის ეს ხერცა, როდესაც საქმე შესაძლებელია უიმისოდ მოგვარდეს?

მთავრობა სპობს ფიზიკურ სასჯელს სასამართლოს წესით, მაგრამ დასძენს: ადმინისტრაციული გაწეპლვა აუცილებელია, მას მოითხოვს ლიბერალური თანდათანობა, ზომიერი პროგრესი და, წარმოიდგინეთ, ჰუმანობაც კიო. გაწეპლვაო—გვარწმუნებს მთავრობა,—გლახობისათვის უკეთესი და უფრო სასარგებლოა, რადგან იგი რომ არ იყოს, გლახებს ფულადი ჯარიმები და ფიზიკური სასჯელი დაეკისრებოდათო. ერთი სიტყვით, მთავრობა აცხადებს, რომ მას არ შეუძლია უჯოხოდ იოლად წასვლა. რათა უფრო ნათელყოს თავისი ლიბერალიზმი, იგი სტოვეებს მათრახს გადასახლებულთა და კატორღელებისთვის. იგი ამბობს: ისინი ადამიანები ხომ აღარ არიან, საზოგადოების გარეწრები არიანო. იგი იმდენად დარწმუნებულია თავის შეხედულებათა სიმართლეში, რომ კატორღაში გზავნის იმ ადამიანებს, ვინც კბედავს და ფიქრობს: არა კმარა მარტო მათრახის მოსპობა, საჭიროა გაწეპლვაც მოისპოს, ადამიანის პიროვნებას უნდა ვაფასებდეთ დამნაშავეშიც, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწყობლობის და კანონების უსამართლობის მსხვერპლიო.

პოლონეთი იძულებულია აჯანყდეს, რათა მიადწიოს სრულუფლებიანობას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. მთავრობა აღრჩობს მას; ერთ ღამეს აპატიმრებს ათიათასობით საუკეთესო ადამიანებს, რათა ჯარისკაცებად გაგზავნოს ისინი ორენბურგსა ან კავკასიაში. ჯგუფ-ჯგუფად გზავნის მათ ციმბირსა და კატორღაში, მარცხნივ და მარჯვნივ ხერცებს და აღრჩობს და ბოლოსდაბოლოს აპატიმრებს მთელ პოლონეთს; მან მოატყუა იქაური გლახები, ჰე-ბატონეების მიწებს თქვენ დაგირიგებთო, ახლა კი ამ მიწებს შიდა გლახებიდან ჩასულ თავადაზნაურობას ურიგებს. და მიუხედავად ყველაფერი ამისა, მთავრობას კიდევ ნდობა აქვს ჩვენებურა გულკეთილი რადიკალების თვალში... ახალი თაობა კი ამბობს: რუსეთს არავითარი უფლება არა აქვს იბატონოს იმ ქვეყანაზე, რომელსაც სურს თვითონვე იყოს თავისი ბატონ-პატრონი და თვითონვე გაუძღვეს საკუთარ საქმეებს; სამართლიანობას რომ თავი დავანებოთ, ჩვენივე საკუთარი ინტერესები მოითხოვს პოლონეთის და

მოუციდებლობის აღიარებას, რადგან პოლონეთი რუსეთს იმაზე მეტი უჭდება, რასაც იგი იქიდან ღებულობსო...

მთავრობა ახშობს აღზრდის საქმეს, ხურავს სკოლებს, ავიწროებს და ხურავს უნივერსიტეტებს, ხელს უწყობს და, ასე ვთქვათ, ამარადისებს ხალხის უვიცობას. იგი კი მაინც ხალხის კეთილდღეობისადმი სამსახურის გულწრფელი სურვილით გაელენთილად მიაჩნიათ, მას კეთილ განზრახვებს მიაწერენ, მაინც ცდილობენ სიტყვით დაარწმუნონ! ახალთაობაზე კი, რომელიც საკვირაო სკოლებს ხსნიდა, ყოველ ძალ-ღონეს ხმარობდა ხალხში განვითარების შეტანისთვის, მშვიერ-მწყურვალ სწავლობდა, ამბობენ: მას „სწავლა არა სურს“, იგი ბოროტგამზრახველთაგან შედგება, ხალხის კეთილდღეობას ეწინააღმდეგება; ახალგაზრდები დესპოტები არიან, რომელთაც სურთ ხალხი გაანათლონ წინააღმდეგ მისი სურვილისა; ისინი საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დამარღვეველნი არიან, ერთი სიტყვით, ტირანები არიან და სხვა არაფერიო.

და ასე დაუსრულებლივ: მთავრობა თავის მალალსა და კეთილშობილ თვისებებს ცხადყოფს სილატაკითა და უვიცობით, მასების დათრგუნვით, საკვირაო სკოლების დახურვით, გლეხებისათვის მიწის წართმევით, მუქთახორათა მთელი ზროვისადმი მხარის დაჭერით, გადასახლებით, საკატორლო განაჩენებით, ჩამოლრჩობით, სულ უბრალო დანაშაულობისთვის სიკვდილით დასჯით, ეჭვით დაპატიმრებულთა სიკვდილით დასჯით, მურავიოვისა და კომპ. მოსურვებით, კატკოვის საამებლად სიკვდილით დასჯით. ახალთაობას კი მხოლოდ იმიტომ, რომ ბანს არ აძლევს საერთო უნისონს და უნდა თავისი აზრის გამოთქმის საშუალება მოიპოვოს, იმისათვის, რომ იგი ამ თავის აზრს მიკიბ-მოკიბულად მაინც ამბობს, — სთვლიან ტერანთა ბრბოდ, რომელიც ცდილობს „საზოგადოებატერორით დააშინოს“ და გადატრიალებათა ქაოსით საკმარისად დასტკბეს. ახალთაობას სახელმწიფოს ღალატს, ყალბი ქალღმების ღამზადებასა და სხვა ამგვარ დანაშაულობას აბრალებენ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ფიქრობს გლეხებს უფლებათა მისთვის და აგრეთვე იმიტომ, რომ იგი არ ეთანხმება რუსეთის ყალბი საზოგადოებრივი აზრის პრივილეგიურ ორგანოებს.

...ყველაფერი ეს გაუგონრად უცნაურია, არა, მკითხველო? და რაც უფრო უცნაურია, — ყველაფერი ზემოხსენებული თავის-თავად, უბრალოდ გამომდინარეობს ჩვენებური საზოგადოებრივი საქმის მსვლელობის დაკვირვებიდან. ასე რომ, სრულიად გაუგებარია, რანაირად შეიძლება ყველაფერი ეს დავისა და შეხლა-შემოხლის

ზაგანი იყოს. მიუხედავად ამ სიმარტივისა და უბრალოებისა, ჩვენში მთავრობასა და მის მოქმედებაზე, მის მოწინააღმდეგე ძალთა და მისწრაფებების შესახებ წარმოდგენის მხრით საოცარი ქაოსი სუფევს... ექ, ჩემო მკითხველო, სხვაც ბევრია საოცნებო და ამაზე უფრო მნიშვნელოვანიც, რის დანახვაც შეგვიძლია, თუ კი მოვინდომებთ. საოცარია, მაგალითად რომ თქვენ ვერ ამჩნევთ, თუ რა სწრაფად მიექანება რუსეთი, თავისი მთავრობის წყალობით, უეჭველ გაპარტახებისაკენ და რარიგ სახელგატეხილია უკვე საზოგადოებრივი მდგომარეობა არა მარტო ეკონომიური, არამედ ზნობრივი მხარითაც. საოცარია აგრეთვე, რომ თქვენ ვერ შეგიგნიათ თქვენი საკუთარი მდგომარეობა, ვერ შეგიფასებიათ საკუთარი იხტერესები; ასე რომ არ იყოს, თქვენ შეიგნებდით, რომ რუსეთის საზოგადოებასთან ერთად თქვენთვის უფრო ხელსაყრელია მომზრე იყოს საზოგადოებრივი წყობილების ნამდვილი და არა ყალბი გარდაქმნისა — დიად, განა მარტო ეს არის საოცარი მკითხველო?

V

ჩვენ უკვე ზემოთ დავინახეთ, რომ ახალთაობას თავისებურა *raison d'être* ჰქონდა და ეს *raison d'être* იძულებულს ხდიდა მას ოპოზიციურად ემოქმედა. ახლა ვნახოთ, თუ რა ფაზისები განვლო მისმა მოღვაწეობამ.

უწინარეს ყოვლისა, ახალი თაობა, რასაკვირველია, ცდილობდა ემოქმედნა კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, თუ რომ ეს კანონი მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედების რაიმე შესაძლებლობას იძლეოდა. რუსეთის კანონებით აკრძალული არ იყო ახალ ცნებათა და აზრების საჯარო ქადაგება, ცხადია, იმ პირობით, თუ ცენზურა მის გავრცელებას ნებას დართავდა. მაშასადამე, ახალთაობას შეეძლო ცდილიყო საზოგადოებაზე სალიტერატურო გზით ემოქმედნა — იგი ასეც მოიქცა.

1856 წლიდან ახალგაზრდებმა იწყეს საზოგადოებრივ ურთიერთობასა, ხელოვნებასა, მეცნიერებაზე და სხვათა შესახებ ახალ ცნებათა გავრცელება. ეს ცნებები ცენზურის ჯარდაქმი ტარდებოდა და ცხადია ნაწილობრივად ჰკარგავდა ძალას. მაგრამ ახალგაზრდა მწერალთა არაჩვეულებრივი ნიჭის წყალობით, რომელთაც ამ საქმეს მოჰკიდეს ხელი, ამ ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი საზოგადოებამდე მაინც აღწევდა. ამ აზრების გავლენით რუსეთის ლიტერატურაში დადგა ეპოქა, როდესაც ლიტერატურა მთლად მიძღვნილი იყო საზოგადოებრივი საკითხებისა და საერთო კეთილდღეო-

ბისადმი — წინააღმდეგ წინანდელი პერიოდისა, როდესაც ეს ლიტერატურა უმიზნოდ ემსახურებოდა რაღაც ნახევრად მკვდარსა და ნახევრად გახრწნილ ხელოვნებას. ამ ეპოქის სალიტერატურო მოღვაწეთა აზრით დასახული მიზნის მიღწევის უმთავრესი საშუალება იყო — საზოგადოების ზნეობრივი განვითარება. ყველა საკითხს, რომელიც წმინდა პოლიტიკურ მხარეს ეხებოდა, განსაკუთრებით მმართველობის ფორმათა საკითხებს, ახალი თაობა განზრახ გვერდს უვლიდა, ვინაიდან უსარგებლოდ მიაჩნდა მათზე ლაპარაკი იმ დროს, როდესაც საზოგადოება მომზადებული არ იყო საზოგადოებრივი მეცნიერების უმარტივესი ცნებების გაგებისთვისაც კი. ამნაირად, ახალი ლიტერატურის მთელი ყურადღება მიქცეული იყო მკითხველ წრეების ზნეობრივ განვითარებაზე, რათა ამათ, თავის მხრით, განეხილათ ის მასები, რომელთაც საშუალება არ ჰქონდათ წაკითხვის და წანაკითხის ჩაფიქრება-შეფასებისა.

თავის-თავად ცხადია, ლიტერატურის ახალი პერიოდის ასეთი მიმართულება ხელს ვერ უშლიდა მას იმ საკითხებსაც შეხებოდა, რომლებიც დაინტერესებული იყო ხალხი და რაც საზოგადოებრივ კეთილდღეობას ეხებოდა. პირიქით, საზოგადოებრივი საკითხების დამუშავება თანამედროვე ახალთაობის სალიტერატურო მოღვაწეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანია. მაგრამ ეს დამუშავება, როგორც მთელი მოღვაწეობა, სწარმოებდა სულ სხვა საფუძველზე, ვიდრე ლიტერატურის დანარჩენი ნაწილის მუშაობა. ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ ახალთაობა მიზნად ისახავდა საერთო კეთილდღეობას, აქ ამას აუცილებლად უნდა დავუმატოთ, რომ იგი ამ კეთილდღეობის უეჭველ პირობად თვლიდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისე მოწყობას, რომლის დროსაც საზოგადოების ცალკე წევრები სავსებით დაიკმაყოფილებდნენ თავის ფიზიკურსა და გონებრივ მოთხოვნილებებს, რომლის დროსაც განვითარების სრულ თავისუფლებასთან ერთად — გონებრივ უნარს ფართო გზა მიენიჭებოდა. რუსეთის ლიტერატურის ახალ პერიოდს თავის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მიაჩნდა ამ მიზნის მისაღწევ საშუალებათა ძიება. და ვინაიდან მთავრობის რეფორმები არ შეიქცავდნენ ამ საშუალებებს, ან მიზნად არ ისახავდნენ ამას, ფრიად ბუნებრივია, რომ ამ რეფორმებს ტაშით ვერ შეხვდებოდა ახალი ლიტერატურა; ცხადია, ახალგაზრდებში ეს უკმაყოფილებასა და სერიოზული ბრძოლისთვის მზადებას იწვევდა... მართლაც, მთავრობის რეფორმები ეწინააღმდეგებოდა და განსხვავდებოდა ახალ სალიტერატურო მოღვაწეთა მისწრაფებებისაგან. ამ უკანასკნელებ-

მა ფრიად მალე შეამჩნიეს ეს განსხვავება. ვინაიდან აუცილებლად საჭირო იყო მოქმედების საკუთარი სისტემის ამორჩევა, ახალთაობამ იწყო აშკარა სალიტერატურო პროპაგანდა იმისა, რომ საჭიროა სხვანაირი ცვლილებები და სულ სხვა საფუძველზე დამყარებული გარდაქმნანი. ასეთი იყო ჩერნიშევსკის მეგობრების მოღვაწეობა, დაწყებული 1856-დან 1862 წლამდე.

ჩერნიშევსკი და მისი მეგობრები წარმოადგენდნენ ახალ თაობას¹⁰². ისინი მუშაობდნენ მისი მისწრაფებების განსახორციელებლად და შეძლებისამებრ არსულებდნენ მის პროგრამას. მათს მოქმედებაში უხამიანი რომ არა ყოფილა რა და იგი რომ დღის სინათლეზე და არა ბნელეთში წარმოებდა, — ეს საუკეთესოდ სჩანს ჩერნიშევსკის იმ რამდენსამე სტრიქონიდან, ამ სტატიის გარეკანზე რომ არის დაბეჭდილი. მაშ რა იყო ჩერნიშევსკის წრის ის კანონსაწინააღმდეგო მოქმედება, რამაც მთავრობის რისხვა გამოიწვია? ეს იყო ის, რომ წრე მხარს უჭერდა გლეხების უფლებას მიწაზე, რომ იგი იცავდა სათემო მიწათმფლობელობას — წინააღმდეგ კერძო საკუთრებისა; იგი ცდილობდა საზოგადოებაში საკუთარი თაოსნობის აუცილებლობის შეგნება გაეკრცელებინა; იგი ცალკე ინდივიდუუმებს პირადი დამოუკიდებლობის და ადამიანური ღირსების შეგნებას უღვიძებდა; მისი დანაშაული, ბოლოს, ის იყო, რომ ყველაფერზე მალა საერთო კეთილდღეობას აყენებდა და ამის გულისთვის დასცილნოდა ყოველგვარს მუქთახორობასა და ექსპლოატაციას... იგი ახალგაზრდობას უქადაგებდა: საკუთარი შრომით იცხოვრე, სხვას ნურავის დააწევი კისრად და ნურც სხვას ვისმე მისცემ ნებას ზურგზე შეგჭდესო. საზოგადოებრივი ზნეობის ამ საფუძველთა ქადაგება იყო მთელი ბოროტება იმ „სოციალისტური და მატერიალისტური“ მოძღვრებისა, ჩერნიშევსკის წრე რომ ჰქადაგებდა... მთავრობას ამ წრის მუშაობა ამბოხებისადმი მოწოდებად მიაჩნდა, მთელი მისი მუშაობა კი გამოიხატება ჩერნიშევსკის შემდგომი სიტყვებით: „მომავალი მშვენიერი და ბრწყინვალეა. შეიყვარეთ იგი, ესწრაფეთ მას, იბუშავეთ მისთვის, მოაახლოვეთ იგი, გადმოიტანეთ იგი აწმყოში. რამდენადაც გადმოიტანა შეგიძლიათ: თქვენი ცხოვრება იმდენად იქნება ნათელი და კეთილი, სიხარულითა და სიამით აღსავსე, რამდენადაც შესძლებთ მასში მომავლიდან გადმოღებას. ესწრაფეთ მას, იბუშავეთ მისთვის, მოაახლოვეთ იგი, გადმოიტანეთ აწმყოში მისგან ყველაფერი, რის გადმოღებაც შეგიძლიათ“.

მთავრობას ძალიან შეეშინდა ამ მოძღვრებისა და შეუდგა თავისებურად მისდამი წინააღმდეგობას: მან გადასწყვიტა მთელი ეს კორი გაესრისა და ციმბირში დაეღპო. პირველ მსხვერპლად აირჩიეს

მ. ლ. მიხაილოვი, რომელიც კატორღაში გაგზავნეს და რომელიც გასულ წელს გარდაიცვალა ციმბირის მადნებში. მას მიაყოლეს ჩერნიშევსკი, გაგზავნილი კატორღაში შეთითხნილი დოკუმენტების ძალით, რომელთა სიყალბე თვით სენატმაც კი აღიარა*. დობროლიუბოვი უეპკველ კატორღას მხოლოდ იმით გადაურჩა, რომ მიხვდა და დევნათა დაწყებამდე გარდაიცვალა. „სოვრემენიკი“, რომელიც იმ ხანებში ჩერნიშევსკის წრის ორგანო იყო, რვა თვით შეაჩერეს¹⁰³ და მერე ისეთი მუხრუჭი მოუჭირეს, რომ ძლივს-ღა სუნთქავდა. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ყოველგვარი ღონისძიება იყო ხმარებული პროპაგანდის, ჩერნიშევსკის წრის პროპაგანდის მსგავსის რისამე, გამეორების წინააღმდეგ...

სალიტერატურო პროპაგანდაში შევიწროებულმა ახალმა თაობამ ხელი მოკიდა პედაგოგიურ მოღვაწეობას საკვირაო სკოლებში. თუ როგორ ასრულებდა იგი თავის ამოცანას და როგორ იძულებული გახდა მასზე ხელი აეღო, მკითხველმა უკვე იცის წინა ფურცლებიდან... მაგრამ საკვირაო სკოლების ამ შევიწროების მთელი ხნის განმავლობაში, ე. ი. 1859—1862 წ. ჯერ კიდევ შეიძლებოდა ლიტერატურაში მუშაობა. ხოლო როდესაც 1862 წლის ივლისში ერთ-სადაიმავე დროს საკვირაო სკოლები დახურეს¹⁰⁴ და „ბექდვითი სიტყვის შესახებ დროებითი წესები“ გამოსცეს, ახალი თაობა ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ თითქმის სავსებით წაერთვა თავის შეხედულებათა საჯაროდ პროპაგანდის საშუალება. მისი მოქმედების არე ისე შეაფიწროეს, რომ ყოველად შეუძლებელი იყო საჯაროდ გამოსვლასა და საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის ფიქრი... ახალი თაობა იძულებული გახდა ნაკლებს დასჯერებოდა და აუდიტორიად აერჩია არა მთელი საზოგადოება, არამედ ცოტად თუ ბევრად მრავალრიცხოვანი წრე...

ამნაირ „წრეთა“ ისტორია ჩვენებური საზოგადოებრივი ცხოვრების საკმაოდ საინტერესო მხარეს წარმოადგენს ამ უკანასკნელ ხანებში. საქმე აი, რა არის: რამდენიმე ახალგაზრდა, რომელთაც ერთნაირი რწმენა ჰქონდათ, ერთნაირად უყურებდნენ მოვლენებსა და ცხოვრებას, ჯგუფდებოდნენ სადმე ჩუმად და უხმაუროდ; ისინი ცდილობდნენ, რაც შეიძლება უკეთესად მოწყობილიყვნენ როგორც მატერიალურის, ისე ზნეობრივის მხრით. ვინაიდან ეს ადა-

* ეთხოვთ მკითხველს ყურადღება მიაქციოს „კოლოკოლის“ სტატიას ჩერნიშევსკიზე (1864 წ., 15 სექტემბერი) და „Дело Чернышевского“-ს, რომელიც მოთავსებულია „კოლოკოლში“ (1865 წ., 1 იანვარი).

მიანები არ ივიწყებდნენ, რომ შრომა პირადი დამოუკიდებლობის და პირადი ღირსების შენარჩუნების ერთადერთი საშუალებაა, — ისინი შრომას აღიარებდნენ თავიანთ ურთიერთობათა საფუძველად. სავსებით ბუნებრივია, რომ ისინი ცდილობდნენ თავიანთი შრომა ისეთ საფუძველზე მოეწყოთ, რაც მათ მოთხოვნილებებს ყველაზე უკეთ დააკმაყოფილებდა და მათს რწმენასაც შეეფერებოდა. ეს იყო ს ა თ ე მ ო ა ს ო ც ი ა ც ი უ რ ი წესი შრომისა. ამიტომ წრეები, ჩვენ რომ ვლაპარაკობთ, ეწყობოდა საფრანგეთის და გერმანიის მუშათა ასოციაციების მსგავსად.

ერთი მიზრძანეთ, რასა ვნებს სახელმწიფოს ის, რომ რამდენსამე ახალგაზრდას სურს ასე იცხოვროს და არა ისე, სურს მუშად ყოფნა და არა პროლეტარ მოხელედ, სახელოსნოში მუშაობა ურჩევნია — წინკარში წელმოხრილ სამსახურს? ახალგაზრდების მუშური წრეების მიზანი, დაწყებული 1862 წლიდან, სხვა არა იყო რა, თუ არა მკირეოდენად მაინც განხორციელება მართებული, ადამიანური ცხოვრებისა და რამდენადაც დღევანდელ პირობებში ეს მოსახერხებელია, თავიდან აცილება თავის თავისა და სხვათა ტანჯვისა. სწორედ ეს მისწრაფება მიიჩნია მთავრობამ ფრიად საშიშად. „ბარიკადების ამგები ადამიანებით, — სწერდნენ მთავრობის პუბლიცისტები, — ისე საშიშნი როდი არიან, როგორადაც ეს ახალგაზრდანი, რომელნიც ჩუმად მუშაობენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გადასაკეთებლად, თანამედროვე წყობილების ძირითად საფუძველთა შესაცვლელად*. აჰყვა რა ამ შიშს, მთავრობამ იწყო დევნა ყველა

* იხ. სტატია გ. გოროხოვისა (ლესკოვისა) «Н. Г. Чернышевский в его романе «Что делать?»» («სევერნაია პჩელა»¹⁰⁵, 1863 წ., ივნისი). გახსენებაზე: ეს სწორედ ის ლესკოვია (იგივე სტებნიცკი), რომელმაც პირველმა დააბუნა ჩერნიშევსკი ჟერ კიდევ პეტერბურგის ხანძართა ცნობილ ისტორიის დიდი ხნით აღრე. საქმე ასე იყო: 1862 წ. ჩერნიშევსკიმ დაბეჭდა „სოფრემენნიკ“-ში „Материалы для биографии Н. А. Добролюбова», რომელშიაც, სხვათა შორის, განსვენებული კრიტიკოსის მტრებს „შუბლმაგარ სულელებსა და გამოყეყეხებულ უბირებს“ უწოდებდა. იმავე წლის მაისში გამოვიდა „Молодая Россия“¹⁰⁶, რომელშიაც ნათქვამი იყო: „ა. ი. გერცენი თანამედროვეთა გონებრივ მოძრაობისაგან ჩამორჩენას იწყებსო“. ლესკოვმა „სევერნაია პჩელა“-ში დაბეჭდა: „ის ადამიანები, რომლებსაც ისკანდერიც ჩამორჩენილად შიანათ, შალე მასაც გამოყეყეხებულ უბირს, ან შუბლმაგარ სულელს დაუძახებენო“. თავის-თავად ცხადია, ეს არა თუ გადაკვირთ ნათქვამია, არამედ პირდაპირ მიითვება, რომ ჩერნიშევსკი „Молодая Россия“-ს ავტორია.¹⁰⁷

„მუშათა არტელებისა“, რომლებიც ახალგაზრდობას მოეწყო, როგორც პეტერბურგს, ისე მოსკოვს, ოდესას, სარატოვსა და სხვა ქალაქებში. წრეებს გააფთრებით შლიდნენ, სახელოსნოებს ჰკეტავდნენ, რათა დევნილ მომუშავეებს ხელახლა არ მოენდომებინათ არტელების მოწყობა, მათ სხვადასხვა ქალაქებში აგზავნიდნენ. რასაკვირველია, მათ იქ ფიქრადაც აღარ მოუვიდოდათ ასოციაციები ან მისი მსგავსი რამ დაეარსებინათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არავინ იყო, ვისგანაც შესაძლებელი ყოფილიყო რისამე შედგენა.

ამნაირად, მთავრობამ, ბოლო მოუღო რა ახალთაობის სალიტერატურო და პედაგოგიურ მოღვაწეობას, ბოლო მოუღო მის ყველაზე უვნებელ მოღვაწეობასაც — სამუშაო ასოციაციებს...

ახლა საკითხავია, რა უნდა ექნა ახალთაობას ამნაირი დევნის შემდეგ და რაღა დარჩენოდა მას? რა უნდა ეყო თავის ახალგაზრდა ძალებისათვის, რომელთაც გამოსავალი არ ჰქონდა? რაზე უნდა მოეხმარებინა ნებისყოფის ენერგია, რითი დაეკმაყოფილებინა მოქმედების წყურვილი, რანაირად უნდა გაჩერებულიყო გულზეხელდაკრეფილი, როდესაც ძარღვებში სისხლი უღუღღა და მთელ ორგანიზმში ნაღველა ჰქონდა განთხეული? და მერე, რა საშუალება გამოვიგონოთ იმ აღშფოთებისა და სიძულვილის დასაოკებლად, რასაც იწვევს ყოველი შეურყვანილი ადამიანის სულსა და გულში ის ყოველდღიური არამზადობის, დანაშაულობათა და უსამართლობათა სანახაობა, ჩვენს სამშობლოში, ჩვენი ჰუმანიური მთავრობის მფარველობის ქვეშ რომ ხდება? რა უნდა ექნათ ამ ახალგაზრდებს, რომელთაც მთავრობამ წაართვა ყოველგვარი საშუალება განათლებისა და მოღვაწეობისა? რა უნდა ექნათ მათ, ვისაც დღეს თუ არა ხვალ მოელოდა ციხეში ჩასმა გაუსამართლებლად, ჩუმად, ნაფიც მსაჯულთა გარეშე, მოელოდათ უეჭველი საკატორღო განაჩენი მოკორილი დანაშაულობისთვის?

რამდენიც არ უნდა ვიფიქროთ ამ საკითხზე, ჩვენ მხოლოდ ორ გამოსავლას ვპოუვებთ ამ სამწუხარო მდგომარეობიდან:

1. ახალგაზრდებს შეეძლოთ განეგრძოთ თავისი მუშაობა, ყურადღება არ მიექციათ არაფრისათვის, ვიდრე მთავრობას ხელში ჩაუვარდებოდნენ, არ შეჩერებულიყვნენ მუშაობის დროს, იმ მოსაზრების გამოცეკი, რომ მათი მოღვაწეობა შეიძლება სასარგებლო ყოფილიყო მხოლოდ ორი-სამი, ან მარტო ერთი ადამიანისათვის; ან და,

2. თავხელაღებულნი გაშურებულ იყვნენ ცხოვრებისაკენ, ეკეთებინათ ყველაფერი, რასაც წუთი უკარნახებდა, ესე იგი მოეწყოთ საშინელი შეთქმულებანი, განეზრახათ მოკვლა პირველი შეხვედრილი მოწინააღმდეგისა, ეძიათ ჩხუბი და დუელი (როგორც პუშკინსა და ლერმონტოვს), ელაზღანდართ, ერთი სიტყვით, ეძიათ შემთხვევა, რომ რამენაირად სიცოცხლე მოესპოთ.

მაგრამ ნუ დაგვაიწყდება, რომ ახალგაზრდებს შესაძლებლობა როდი აქვთ არჩევანი მოახდინონ ამ ორ გამოსავალს შორის: ყოველ ახალგაზრდას კი არ ეყოფა ენერგია კატორღელივით იმუშაოს და იმავე დროს იცოდეს, რომ იგი სარგებლობას ანიჭებს მხოლოდ ერთ-ორ, სულ ბევრი, — სამ ახალგაზრდას; ყველას როდი ეყოფა მოთმინება, რომ თავი შეუკავოს აღშფოთების გრძნობას და მარად ეამს წყნარი გამომეტყველება იქონიოს, როდესაც გულში ჯოჯოხეთის ალი უტრიალებს... საჭიროა განვითარების განსაზღვრული დონე, რომ სწორ გზას მიაგნო; ყველა, ვისაც ასეთი ენერგია ვერ ჰყოფნის, ვისაც ეს მოთმინება და განვითარება არ გააჩნია, ფაქტიურად მეორე კატეგორიისთვის არის განწირული...

მაშ ასე, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ახალგაზრდობის მიმართულება და რწმენა სავსებით უარჰყოფს ყოველგვარ *coup d'état*-ის, ყოველგვარი მოკვლის განზრახვისა და სხვა მსგავს საქციელთა ყოველგვარ აზრს, ახალთაობის ერთი ნაწილი მთავრობამ მიიყვანა სამწუხარო აუცილებლობამდე, რომ მან თავისი ძალა და ენერგია ხარჯოს უფარგის, უსარგებლო მოქმედებაზე, როგორც არის 1866 წლ. 4 აპრილის გასროლა.

იტყვიან: ასეთი რევოლუციური საშუალებანი თანდაყოლილი თვისებაა ახალთაობის არა მარტო ერთი ნაწილისა, არამედ მთელი ამ კლასისა. ასე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომელნიც სრულიად ვერ იცნობენ ახალთაობის მისწრაფებებს, თავის დღეში ხელთ არ ჰქონიათ ახალთაობის წევრის მიერ დაწერილი არც ერთი სტატია, იოტისოდენადაც არ იციან მისი პროგრამა. თანამედროვე ახალთაობას ახლანდელი საზოგადოებრივი წყობილების ძირეულ ბოროტებად მიაჩნია ბნელეთის ორი ძალა: უვიცობა და სიღატაკე. ამ ორ ძალას ეყრდნობა საზოგადოდ თანამედროვე წყობილების ყოველგვარი უბირობა და სიბილწენი. ცხადია, ახალთაობას, რაკი საქმის ვითარება ასე ჰქონდა წარმოდგენილი, თავისი ძალ-ღონე სწორედ ამ ძალთა მოსპობისაკენ უნდა მიემართა, რათა

მიზეზის მოსპობით მისი შედეგებიც მოესპო. ხალხის განვითარება, მისთვის ადამიანურ ცნებათა მიწოდება, რამდენადაც შესაძლებელია მისი განთავისუფლება სილატაკისაგან, — აი, რა არის ახალთაობის პროგრამა. მასში არც პოლიტიკური, არც სხვა რაიმე ეშმაკობა არაა, არაა არც მყვირალა ფრაზები, არც ბჭყყერიალა შელოცვა და წყევლა, ერთი სიტყვით, არ არის არაფერი იმის მსგავსი, რის ყურადღებასაც შევჩვეულვართ ყოველდღიურ პოლიტიკურ პრობაგანდაში. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ თანამედროვე ახალგაზრდობა დარწმუნებულია საზოგადოებისა და ხალხის გონებრივი გარდაქმნის აუცილებლობაში; იგი დარწმუნებულია, რომ ტყუილუბრალოდ დროს დაკარგვა იქნება მთავრობის ორიოდ პირთათვის ნოტაციებისა და დარიგებების კითხვა. თანამედროვე საზოგადოებას შეუძლია თავშივე ჩაჰკლას ყოველი რიგიანი მთავრობის ყოველი ცდა, თუ იგი მის ინტერესებს არ შეეფერება. ხოლო იმისათვის, რომ სახელმწიფოს ცხოვრებაში განვახორციელოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი საწყისები, საჭიროა გარდაქმნათ თანამედროვე საზოგადოების ცნებები, დაეწყოთ მისი გონებრივი განვითარება, ჩავეკლათ მასში სხვის ხარჯზე ცხოვრების სურვილი და პატიოსანი შრომისადმი სიმპათიები აღვუძრათ.

ამნაირი ამოცანის შესრულება ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე რომელიმე პოლიტიკური რევოლუციის, 1830 ან 1848 წ. რევოლუციითა მსგავსის მოხდენა. ახალთაობას მშვენიერად ესმის ამ საქმის სიძნელე, მაგრამ იგი ამ მოსაზრებით საქმეს თავს როდი ანებებს. ამით ჩვენ სრულიად იმის თქმა არ გვინდა, რომ ახალთაობას საჭიროდ არ მიაჩნია საზოგადოებრივ გარდაქმნის საქმეში კანონმდებლობის ჩარევა, რომ მას აზრადაც არა აქვს გადასინჯოს და გადააკეთოს ის კანონები, რომელზედაც თანამედროვე წყობილებაა დამყარებული. არა, ამ მხრით, ის ძალიან ნაკლებად იზიარებს სეის და შულცე-დელიჩის სკოლის შეხედულებებს. მაგრამ მისი აზრით, რათა პოლიტიკურსა, საკანონმდებლოსა თუ ეკონომიურ რეფორმას სათანადო სარგებლობა მოჰყვეს, აუცილებლად საჭიროა, მან წინასწარ მოიპოვოს საზოგადოებისა და ხალხის განსაზღვრული ნაწილის თანაგრძნობა და მომხრეობა; აუცილებელია, მაშასადამე, საზოგადოების შეგნებაში შეტანა იმ ახალი იდეებისა, რომელთაც მომავალი რეფორმა უნდა დაემყაროს.

საკითხავია, შესაძლებელია თუ არა სახელმწიფო საქმეების შესახებ ასეთი გაგება დაეუკავშიროთ ახლანდელი ამა თუ იმ გავლენიანი სახელმწიფო ადამიანების წინააღმდეგ გალაშქრებას? რა მნიშვნელობა აქვს ამნაირი ხალხისათვის, ამნაირი შეხედულების

მატარებელთათვის, რომელიმე ალექსანდრე II-ს, ნიკოლოზ I-ს, ან ვინც უნდა იყოს მათ ადგილას? არავითარი. ხელმწიფის პიროვნებას, მისი მინისტრების პიროვნებას სრულიად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ახალთაობისათვის, რომელიც ბოროტებას ეძიებს არა ზედაპირზე ან გარეგან მხარეში, არამედ უფრო ღრმად, — მასების უფიცობასა და სილატაკეში, როგორც უკვე ზემოთ ვთქვით. განა ახალი თაობა ოდნავ მაინც მიუახლოვდება თავის მიზანს იმ უბრალო გარემოების გამო, რომ ტახტზე ალექსანდრე II-ის მაგივრად იჯდომება ალექსანდრე III, ან კონსტანტინე I-ლი? ცხადია, არა. ტახტზე პირადს ცვლილებებს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებათა პირადისავე შემადგენლობისათვის. ახალი თაობა კი განზე სტოვებს, ცოტა თუ დიდი ხნით, როგორც ტახტს, ისე სახელმწიფო და სხვა დაწესებულებებს: ახლა მას მათთვის როდი სცალია. ხოლო რაკი ხელმწიფის შეცვლას არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია ახალთაობისათვის, აქედან ცხადია, რომ იგი სრულიად არაა დაინტერესებული არავითარი მისი მოკვლით, მინისტრთა არავითარი შეცვლით, როგორადაც დაინტერესებული არაა, მაგალითად, სასახლის კარის ლაქიების, ან სარეცელის ფრეილინების შეცვლით...

მაშასადამე, 4 აპრილის გასროლის მსგავსი საქციელი სრულიად არ შედის ახალთაობის პროგრამაში. მაშ რითი აიხსნება იგი? იმით რომ მთავრობამ გონიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ახალგაზრდობას ყოველგვარი გზა მოუჭრა. ხოლო ცნობილია, რომ მოქმედება ყოველი ცხოველი ძალის და, მაშასადამე, ახალთაობისაც, — ბუნებრივ მოთხოვნილებას წარმოადგენს. როდესაც რაიმე ბუნებრივი მოთხოვნილების გამოვლინებას რაიმე უძლეველი დაბრკოლება ხვდება წინ, როდესაც მას საშუალება არა აქვს ბუნებრივი, ნორმალური გზით გამოძვლავდეს, იგი აუცილებლად თავს იჩენს ხოლმე ყალბი, მცდარი მიმართულებით, მაგრამ მაინც თავს იჩენს. ეს აუცილებელია, ეს კანონია... ფრიად ბუნებრივია, რომ ახალგაზრდები, რომელთაც არ იციან, როგორ მოიხმარონ თავისი ძალ-ღონე, გულხელდაკრეფილნი როდი სხედან, არამედ ბუზებს ხოცავენ, სკანდალებს სტეხენ, ცეკვავენ შპიც-ბალებზე, კონსპირაციას ეწევიან სარდაფებში, ისერიან მოედნებზე. აჰ, საკვირველი არა არის რა. აჰ სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ასეთი მძლავრი ბუნების პატრონი ადამიანები იძულებულნი არიან თავისი ძალ-ღონე შეაღიონ სრულიად ამო საგნებს; რომ ისინი ენერჯიას ხარჯავენ ათასნაირ კატკოვებისა და მურავიოვებისადმი სრულიად ამო და უმიზნო წინააღმდეგობაზე; რომ ისინი ტყუილა-უბრალოდ, ამოდ ილუპე-

ბიან, მაშინ როდესაც სხვა პირობებში ისინი შეიძლება რუსეთის საუკეთესო მოქალაქენი ყოფილიყვნენ და მათ მოღვაწეობას შეიძლება მისთვის უსარგებლოდ არ ჩაეგლო. ხოლო ახლა ვინ არის დამნაშავე, თუ არა მთავრობა?

თანამედროვე წყობილების დამცველებს, მგონია, ბედად აქვთ დაყოლილი, რომ მუდამ ასე დაემართათ ხოლმე და იმედი გაუცრუვდეთ: ჩაიდენენ ათასგვარ სისულელეს, შეცდომებს, ბოროტებასა და უბირობას. და როდესაც თვით მათვე დაანახებენ მათს მოქმედებას, ისინი ქრისტესა და ღმერთს ფიცულობენ, ჩვენ როდი ჩავვიდენია ესაო... მაგალითად, ისინი ქალს გონებრივი მუშაობის ყოველგვარ ნიქს უზშობენ, ტიკინასავით რთავენ, ეუბნებიან, რომ იგი მხოლოდ სიყვარულისთვის არის გაჩენილი; ხოლო როდესაც ქალი მათ უჭერებს და სიყვარულს აყვება ხოლმე, ისინი აზარტით იწყებენ ყვირილს — „გვიშველეთო“. გარყვნილებას აბრალებენ მას და სრულიად არ უნდათ შეიგნონ, რომ თუ ქალი გარყვნილია, მხოლოდ იმ როლის გამო, რომელიც ქალს მათ მიუჩინეს საზოგადოებრივ ორგანიზაციაში. სავსებით ასეთივე ამბავი ემართებათ სამოსამართლო კაზუსებშიაც; იგივე დაემართათ კარაკოზოვის საქმეშიაც. აბა, მოდით, სცადეთ ერთი და დაარწმუნეთ ჩვენებური კონსერვატორები, რომ მათ ასწიეს კარაკოზოვის ხელი და რევოლვერი... ვერ მოგართვეს! ნამდვილათ კი ცხადია, რომ დამნაშავენი მხოლოდ ისინი არიან და სხვა არავინ!...

ეჰ, ეს კიდევ არაფერი იქნებოდა, კონსერვატორებს უნარი რომ ჰქონდეთ თავისი შეცდომების აღიარებისა, იმაში გამოტეხისა, რომ მათი მუშაობის შედეგები სრულიად ვერ აკმაყოფილებს მოლოდინს. არა! ისინი შედეგებს უარპყოფენ და თავიანთ მუშაობაზე კი ხელს არ იღებენ. და აი, ამ გარემოების გამო ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენებური სიზიფები ხელახლა იწყებენ თავიანთ მარადიულს, ფუჭ შრომას. მათ ფიქრდაც არ მოსდით, რომ კარაკოზოვის საქციელი მათი მოღვაწეობით არის გამოწვეული, რომ ისინი ხელმწიფესთან ერთად პირველნი არიან დამნაშავენი ხელმწიფისადმი სროლაში; მათ, ალბათ, ფიქრდაც არ მოსდით, რომ კარაკოზოვი, — მათი ქმნილებაა. არა, ისინი ბოროტი სიხარულით ამბობენ, რომ „ბოროტმოქმედი ოდესღაც ფრიად უკიდურეს სოციალისტურსა და მატერიალისტურ შეხედულებებს აღიარებდა“. აი, როგორ შესტოპეს!.. ძალიან შესაძლებელია, რომ კარაკოზოვი მართლაც იზიარებდა ახალთაობის თეორიულს შეხედულებებს, მაგრამ აქედან სროლამდე — «Как до звезды небесной далеко».

„ახლა კი ჩვენ უკვე ვიცით, — ყვირიან კონსერვატორები, — თუ ვისი ბრალთა ეს გასროლა; მიმხედარი ვართ, ვისმა ხელმა გატენა საბოროტმოქმედო დამბაჩა და ვისმა ხელმა გამოსწია ჩახმანს ხელმწიფის წინააღმდეგ. ყველაფერი ეს დემოკრატებმა, სოციალისტებმა ჩაიდინესო“. დაე იმეორონ მათ თავიანთი იერემიადები ახალ მოძღვრებათა წინააღმდეგ, დაე ათასგვარად სდევნონ და შეავიწროვონ ახალთაობის ორიოდე გადარჩენილი წარმომადგენელნი და აგრეთვე ისინი, რომელთაც უკვე დიდი ხანია სტანჯავენ ციმბირის მანდებში. ყველაფერი ეს არ ახალია, ძველია. მაგრამ ამნაირი ქადაგება ფრიალ დამახასიათებელია ზემოთქმულის შემდეგ...

მაგრამ დაეუბრუნდეთ ჩვენებურ სიზიფებს. „ახლა კი მივაგენით იმ ბოროტების ფესვს, რუსეთს ძირს რომ უთხრის; ახლა კი მოვახერხებთ მის მოსპობასაო“. უნდა ცხადვყოთ მათთვის, როგორადაც დაეუმტკიცეთ 4 აპრილის გასროლაში პირდაპირი თანამონაწილეობა, — რომ ისინი ვერასოდეს ვერ მოახერხებენ თავიანთი მიზნის მიღწევას. მართლაც და, რათა თავის მიზანს მიაღწიონ, ჩვენებურმა კონსერვატორებმა და ჩვენებურმა მთავრობის ლომებმა არა თუ მთელი ახალი თაობა უნდა შეთქვლიფონ და აღგავონ პირისაგან მიწისა, არა თუ კატორღული კარანტინი უნდა შემოავლონ ყველას, ვისაც რაიმე შორეული დამოკიდებულება აქვს მასთან; მათ თავის მომხრეებსაც უნდა აუკრძალონ ბავშვების ყოლა. ეს ცოტა ძნელი საქმეა, მაგრამ ამას მოითხოვს „სახელმწიფოს გადარჩენის აუცილებლობა“, ამას მოითხოვს ოჯახისა და საკუთრების უწყინდესი ინტერესები; ეს აუცილებლად საჭიროა წოდებრივი ზღუდეების შესანარჩუნებლად... — თუ არა ასე, ახლადშობილებსაც ძარღვებში ახალგაზრდა, მღუღარი სისხლი აუჩქეფდებთ; ისინიც დაიწყებენ საზოგადო მოღვაწეობის რაიმე ასპარეზის ძებნას, ისინიც ყოველგვარად შეეცდებიან საქმეს მოახმარონ თავისი უხვი ახალგაზრდული ძალები. რაღას იზამთ? მთავრობისა და კონსერვატორების ბნელეთის მოციქულობის გამო მოღვაწეობის ყოველგვარი გზა დახშულია; გონებრივი განვითარების ყოველი საშუალება მოსპობილია; ახალგაზრდებს საქმე არა აქვთ რა და ისინი დაიწყებენ კვარტლის ზედამხედველთა გალიზიანებას ტანც-კლასებში ტანის მოძრაობის უხეშობითა და უზრდელობით; ისინი „პატიოსან“ ხალხს ტრაქტირებში შეაშინებენ ყვირილითა და ფანჯრების მსხვრევეთ, შიშის ზარს დასცემენ კონსერვატორულ პუბლიცისტებს კონსპირაციებით და ხელმწიფის, კატკოვის, მურავიოვის და შეიძლება ტრეპოვის მოკვლის განზრახვით. რათა ეს საშინელება თავიდან ავიცილოთ, რათა საზოგადოებრივი წყობილების ახლანდელი სახე იქნეს

შენარჩუნებული—საჭიროა ისეთი მსხვერპლი, როგორცაა ეგრეთ-
წოდებული რეფორმების ნატამალის მოსპობაც კი; საჭიროა მეულ-
ლეთა უნაყოფობის დაკანონება ოჯახისადმი პატივისცემის დასაცა-
ვად; საჭიროა ახალგაზრდების ქონების კონფისკაცია — საკუთრების
პრინციპის დასაცავად და სიკვდილით დასჯა, სიკვდილით დასჯა და-
უსრულებლივ—განსაზღვრულ პირთა პირადი ხელშეუხებლობის
პრინციპის საქადაგებლად. კონსერვატორებს შეუძლიათ გასძლონ
მხოლოდ თავისი თანამიმდევრობის წყალობით, — ყოველი დათმობა
კლავს მათ და მოწინააღმდეგეებს აძლიერებს. დაე კონსერვატორებმა
პირდაპირ და მტკიცედ იარონ თავიანთ გზაზე; დაე საზოგადოებრივ
ურთიერთობათა „უკუღმართ“ იდეებთან ერთად აღმოფხვრან ყვე-
ლაფერი, რაც რომ ჩვენს საზოგადოებაში ფიზიკურად ჯანსაღი და
ახალგაზრდაა. ამით ისინი მიაღწევენ თავის ბურჟუაზიულ-მკლე
იდეალს — მშვიდსა და წყნარს ნავთსადგურს, კომფორტაბელური
გემთსადგომით, სადაც არ იქნება კბილთაღრქენა და ალიაქოთი...
მერე რა, რომ ორიოდ დღის შემდეგ ეს სადგომი მათ საფლავად
გადაიქცევა? მათს ღლესა და წუთისოფელს კი გახვდება და...

მერე? მერე არაფერი. ის იქნება, რასაც ღმერთი ინებებს.

ხუმრობა იქით იყოს და, — მართლაც, რა სურთ ჩვენებურს
კონსერვატორებს? ნუთუ მათ ჰგონიათ, რომ ძირიან-ფესვიანად
ამოაგდებენ იმ იდეებს, ახალთაობის პროგრამის საფუძველს რომ
შეადგენს? რა სიბრყველა თითქოს შეიძლებოდეს ადამიანს ამოკგ-
ლიჯო მისი რწმენა, თითქოს არსებობდეს ისეთი ძალა, რომელსაც
შეეძლოს ერთხელ მოპოებული ქეშმარიტების მოსპობა. ძველად
კონსერვატორები ცდილობდნენ მოესპოთ ქრისტიანების შემცდარი
ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა, უნდოდათ მოესპოთ მათში მესიის მომავალი
მოვლინების შესახებ სრულიად უნიადაგო იმედი, მაგრამ თვითონვე
დამარცხდნენ ბრძოლაში. რამდენადაც უფრო ძლიერი იყო მათი
გაბოროტება, მით უფრო მეტად და მძლავრად მტკიცდებოდა ქრის-
ტიანობა... ახლა კი ცდილობენ მოსპონ არა სარწმუნოება, არამედ
შ ე გ ნ ე ბ ა, დრომოკმული ძველაძველით და დაქანებული გაზიჯ
სურთ ამოკგლიჯონ ადამიანებს მეცნიერებისაგან მოპოებული ქეშ-
მარიტებანი და ისიც ისეთნი, რომელთა განხორციელებაც სასარგებ-
ლოა მასებისათვის, სასარგებლოა ყველა ახალგაზრდა, პატიოსანი
ადამიანისათვის... თუკი ძველი ქვეყნიერების შეერთებულმა ძალამ
ვერ ჩაქლა ქრისტეს რამოდენიმე ათეული გულუბრყვილო მორწ-
მუნის ოცნება, — ოცნება, რომელიც, ნამდვილად რომ ითქვას, არც
არავის ათბობდა, არც არავის აცივებდა, — რა ძალას შეუძლია
გლახში ჩაქლას რწმენა. იმისა, რომ მიწა მისია; ან ჩაქლას ახალ-

გაზრდის შეგნება, რომ ბოლოს და ბოლოს, აუცილებლად საქიროა უძიძებოდ და ულალოდ, უმამასახლისოდ ცხოვრება? ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რათა ვერ დაინახოს, რომ ამნაირი ძალა ქვეყნად აუ მოიპოვება...

ამაოა ჩვენებური კონსერვატორების ჩხირკედლაობა. ახლა ისინი თავის ვითომდა გამარჯვებას დღესასწაულობენ, მაგრამ გულში მაინც დიდი ხინჯი აქვთ. მათ იციან, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესახებ ახალი აზრები შეუძლებელია მოკვდეს, რომ ეს აზრები ბოლოს უფრო მეტის ძალით იჩენს თავს; იდეა, რამდენიმე ადამიანის შეგნებაში მაინც შევა, — შეუძლებელია იგი უკვალოდ დაიკარგოს. და აი, კონსერვატორები შველად მოუწოდებენ ჯოჯოხეთის და ქვეყნის პოლიციის ყველა ძალას, მაგრამ ამაოდ:

«...То что с жизни взято раз,
Не в силах рок отнять у нас!».

23. მოკლე განხილვა მმართველობის სხვა და სხვა ფორმისა

გაზეთის საკითხავად ძალიან საკირო არის მმართველობის სხვა და სხვა ფორმის (სახის) ცოდნა. ამის უცოდნელად მკითხველი საპოლიტიკო ამბებიდან თითქმის ვერაფერს გაიგებს, რადგანაც ჩვენში ამგვარი ცნობები გავრცელებულნი არ არიან. ამისთვის ამაზედ მოკლედ მოლაპარაკება საკიროდ დავინახეთ.

მმართველობის ფორმას ან სახეს უწოდებენ იმ წესს და დაწყობილებას, რომელიც არსებობს სახელმწიფოში ხალხის სამართავად. განათლებულს და რიგზედ დაწყობილს სახელმწიფოებში ხალხის სამართავად დაწესებულია სამგვარი უფლება 1. ს ქ უ ლ ი ს - და მ დ ე ბ ი, 2. ა ღ მ ა ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი ანუ ადმინისტრაციული და 3. ს ა მ ს ქ ა ე რ ო. თვითეულს იმათგანს განსაზღვრული აქვს საგანი მოქმედებისა. სკულის-დამდები უფლება გამოსცემს კანონებს სახელმწიფოში, აღმასრულებელი—მართავს სახელმწიფოს ამ კანონების ძალით, სამსჯავრო—განიხილავს და გადასწყვეტს სადავო საქმეებს. — იმ უმთავრესს უფლებას, რომელიც განაგებს და მართავს მთელს სახელმწიფოს, უ ზ ე ნ ა ე ს ი უ ფ ლ ე ბ ა ჰქვია.

სხვა და სხვა სახელმწიფოში მმართველობის ფორმა სხვა და სხვა ნაირია; უმთავრესი ფორმა ორგვარია: მ ო ნ ა რ ხ ი უ ლ ი და რ ე ს პ უ ბ ლ ი კ უ რ ი. მონარხიული ეწოდება იმ მმართველობის ფორმას, რომელშიაც უზენაესი უფლება ერთის პირის ხელშია. ამ პირს ჰქვია მ ო ნ ა რ ხ ი*, ანუ ხელმწიფე და სახელმწიფოს მ ო ნ ა რ ხ ი ა ს ე ძ ა ხ ი ა ნ. თუ ხელმწიფობა მემკვიდრეობით გადადის ერთის პირისაგან მეორეზედ, მაშინ მმართველობას ეტყვიან მ ო ნ ა რ ხ ი უ ლ ს მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ ს და თუ ხელმწიფე ამორჩევით

* მონარხი ბერძნულად ნიშნავს ხელმწიფეს. ხელმწიფეებს სხვა და სხვა ტიტული ან სახელი აქვთ: იმპერატორი, კაროლი, მეფე, დიდი ლერცოგი, ლერცოგი, დიდი მთავარი, მთავარი, სულთანი, შაჰი, ხანი და სხვ. ამის გამო იმათს სამფლობელოს ეწოდება: იმპერია, საკაროლო, სამეფო, საღერცოგო, სამთავრო, სასულთნო, სახანო და სხვ.

ინიშნება, მაშინ — ამორჩევითს. როდესაც სახელმწიფოში უზენაესი უფლება რამდენისამე პირების ხელშია, მაშინ ამ სახელმწიფოს რესპუბლიკას უწოდებენ და იმის მმართველობის ფორმა რესპუბლიკური იქნება.

მონარხიული მმართველობა სამ გვარია: 1. დესპოტიური 2. გარეშეუსაზღვრელი ან აბსოლუტიური და 3. გარეშეუსაზღვრული ან კონსტიტუციური.

როცა ხელმწიფე თავის ნებაზედ მართავს თავის სამფლობელოს, არ მიხედავს არა კანონს და თავის ქვეშევრდომებს ისე ექცევა, როგორც თვითონ უნდა და ეხალისება, მაშინ ამგვარ მმართველობას დესპოტურს ეძახიან. დესპოტურს სახელმწიფოში მმართველობის უფლება დაყოფილი არ არის. თუმცა იქ დაწერილი სჯული არსებობს, მაგრამ საქმით იმას არ ასრულებენ. აქ ხელმწიფის და იმისი მმართველობის ნება სჯულზედ უმაღლესია. მცხოვრებლების სიცოცხლე და საკუთრება სრულიათ იმათს ხელშია. დესპოტიური მმართველობის ფორმა არსებობს მხოლოდ გაუნათლებელს ქვეყნებში, სადაც ხალხი დაცემული და დამონავეებულია, მაგალითად სპარსეთში, ჩინეთში და სხვა აზიის სახელმწიფოებში.

რომელს სახელმწიფოშიაც ხელმწიფე მართო თავის სახელით და უფლებით ამტკიცებს და გამოსცემს კანონებს და ამ კანონების ძალით თვითონ მართავს ხალხს, იმ სახელმწიფოს მმართველობას ჰქვიათ გარეშეუსაზღვრელი ან აბსოლუტიური და ხელმწიფეს — თვითმპყრობელი, აბსოლუტურს სახელმწიფოებში სამგვარი უფლება (სჯულის-დამდები, აღმასრულებელი და სამსჯავრო) მხოლოდ ხელმწიფეზედ არის დამოკიდებული. ხელმწიფე ნიშნავს მოხელე კაცებს, რომელნიც მართო იმის წინაშე არიან პასუხის მგებელნი.

გარეშეუსაზღვრულს ან კონსტიტუციურს უწოდებენ იმ მმართველობას, რომელშიაც ხელმწიფის უფლება გარეშეზღუდულია კონსტიტუციით. კონსტიტუცია ანუ ხარტია არის წესდება, რომელიც განსაზღვრავს ხალხის და ხელმწიფის უფლებას. ამგვარ წესდებებს ურთიერთის თანხმობით ხელმწიფე და ხალხის წარმომადგენელი დეპუტატები შეადგენენ და დაამტკიცებენ. კონსტიტუციური მმართველობა არსებობს ყოველს ევროპის სახელმწიფოებში, რუსეთის და ოსმალეთის გარდა.

სხვა და სხვა სახელმწიფოში სხვა და სხვა ნაირი კონსტიტუცია არის; მაგრამ სადაც კონსტიტუცია ნამდვილად არსებობს და არა მართო ქაღალდზედ, სადაც იმას საქმით ასრულებენ, იქ უმთავრესა საფუძვლები თითქმის ყოველგან ერთი და იგივეა. ჩვენ აქ შემოკლებით მოვიყვანთ კონსტიტუციურის მმართველობის უმთავრეს

საფუძვლებს. ამ მოკლე განხილვაში ჩვენ გვექნება მხედველობაში უფრო ანგლიის კონსტიტუცია, რადგანაც ის არის წარმომადგენელი ნამდვილის კონსტიტუციისა და ხალხის თვით-მმართველობისა. ანგლიის სახელმწიფო დაწყობილება მაგალითად აქვთ ევროპაში ყველა განათლებულ ხალხებს და როდესაც ისინი თავიანთს კონსტიტუციას ადგენდნენ, იმას ბაძვიდნენ და იქიდან ბევრი გადმოიღეს.

კონსტიტუციურს სახელმწიფოში გარკვეულია უფლება და უაღრესობა, რომელიც ხელმწიფეს აქვს მითვისებული. ამ უფლებას და უაღრესობას ხელმწიფის პრეზიდენტი ჰქვია. კონსტიტუციურს ქვეყნებში ხელმწიფე ითვლება სახელმწიფოს თავად. ის არის სახელმწიფოს წარმომადგენელი შიგნით და გარეთ სხვა სახელმწიფოების წინაშე. ის არის თავი სარდალი ჯარისა. იმის სახელით ეძლევა თანამდებობა სახელმწიფოს მოხელეებს. ის არის ჯილდოს და ღირსების მიმცემი. ხელმწიფე არის შეუხებელი პირი: იმის სამართალში მიცემა არ შეიძლება. კანონი მხოლოდ მაშინ მიიღებს ძალას, როდესაც ხელმწიფე დაამტკიცებს; მაგრამ მარტო თავის ნებით იმას არ შეუძლიან უწინდელი კანონი მოშალოს ან ახალი გამოსცეს. იმას შეუძლიან აგრეთვე შეუმციროს ან სულ აპატივოს სასჯელი დამნაშავეს, მაგრამ მომატების ნება კი არა აქვს. იმას არ შეუძლიან ხალხს ხარკი დაადვას ხალხის წარმომადგენელების ნება-დაურთველად. ხელმწიფეს თავის საჭიროებისათვის და სასახლის სარჩენად დანიშნული აქვს ჯამაგირი, რომელსაც სივილ-ლისტი (Civil-list) ჰქვია*. ამ ჯამაგირის გარდა იმას ნება არა აქვს ფული გამოიტანოს სახელმწიფოს ხაზინიდან. ტახტზედ ასვლის დროს ხელმწიფემ უნდა დაიფიცოს, რომ ხალხის მართვას დაიწყებს თანხმად კონსტიტუციისა და იმას არ გადაუდგება.

როგორც აქედამ მკითხველი დაინახავს, კონსტიტუციით ხელმწიფეს დიდი უფლება აქვს, მაგრამ ნამდვილად, საქმით ხელმწიფე კი არ მართავს ქვეყანას, იმას მართავს თვითონ ხალხი, ე. ი. ხალხის წარმომადგენელი პირები, რომელთაც ეკუთვნისთ სჯულის-დამდები უფლება. კონსტიტუციურს ქვეყნებში სამი უფლება ცხადად არის განსაზღვრული და ერთი მეორეს პირდაპირ არ ექვემდებარება. სჯულის დამდები უფლება პარლამენტის ხელშია, აღმასრულებელი — მინისტრების, რომელთაც ხელმწიფე ნიშნავს. მსაჯულებს თუმცა მმართველობა ნიშნავს, მაგრამ იმას არ შეუძლიან ერთხელ

* ანგლიის კაროლევას ეძლევა 386 ათასი და 200 გირვანქა სტერლინგი (ორი მილიონი და ნახევარი მანეთი), ფრანკუზების იმპერატორს — 30 მილიონი ფრანკი, ე. ი. შვიდი მილიონი და ნახევარი მანეთი.

დანიშნული მსაჯული თანამდებობიდან გადააყენოს, თუ სამართ-
ლით არ დამტკიცდა იმის დანაშაულობა და უკანონო ქცევა. მაშა-
სადამე, მმართველობას სამსჯავრო უფლებაზედაც არა აქვს დიდი
გავლენა. ამ სამ უფლებათაგან სჯულის დამდები უფლება უალრესია
არის. საქმით მმართველობას პარლამენტი აძლევს მიმართულებას,
თუმცა სახელით ხელმწიფე ითვლება სახელმწიფოს მმართველათ.
კონსტიტუციურის ხელმწიფის მნიშვნელობა სწორეთ განიმარტება
ამ სიტყვებით: ხელმწიფე მეფობს და არა მართავს (*Le roi régné,
mais ne gouverne pas*).

ხალხის წარმომადგენლები შეადგენენ პარლამენტს. პარლამენტი
ორად გაიყოფა: ერთს ჰქვიაან ქვემო პარლამენტი, დეპუ-
ტატთ ან წარმომადგენელთ პალატა, აგრეთვე პა-
ლატა კომმუნებისა. ფრანციაში ამ დეპუტატთ პალატას
სჯულის-დამდებს კორპუსს ეძახიან (*le corps legisatif*).
მეორეს უწოდებენ ზემო პარლამენტი, ზემო პალატა,
აგრეთვე ლორდების ან პერების პალატა. ფრანციაში
და იტალიაში ზემო პალატის მაგიერათ სენატი არის.

ქვემო პარლამენტში ხალხისაგან ამორჩეული დეპუტატები სხე-
დან. კონსტიტუციით დანიშნულია ხოლმე, რამდენი დეპუტატი უნდა
იყოს ქვემო პალატაში* და ერთი დეპუტატი რამდენმა მცხოვრებმა
და რომელმა ადგილმა უნდა ამოირჩიოს. ფრანციაში ყოველს
სრულწლოვანს მოქალაქეს აქვს ხმა (ყენჭი) დეპუტატების ამორჩე-
ვაში. იქ არსებობს საყოველთაო ხმის მოცემა (*всеобщая подача
голосов, suffrage universel*). სხვა სახელმწიფოებში კი ხმის
უფლება (*право голоса*) შეძლებაზედ არის დამოკიდებული. კანონით
დაწესებულია, რა შეძლების პატრონი უნდა იყოს კაცი: რომ ამორ-
ჩევაში ჰქონდეს ხმა. ამ შეძლებას ცენზი ჰქვია.

ზემო პარლამენტის წევრები უფრო არისტოკრატიის წარმომად-
გენელნი პირები არიან. ანგლიის ზემო პარლამენტში წევრის ადგი-
ლი ლორდებს ეკუთვნის შთამომავლობით. იქ სხედან აგრეთვე თა-
ნამდებობის ძალით ანგლიის მთავარ-ეპისკოპოსები და ეპისკოპო-
სები. გარდა ამისა კაროლს შეუძლიან უბოძოს ზემო პარლამენტის
წევრობა დამსახურებულს კაცებს. ფრანციაში სენატორებს თვითონ
იმპერატორი ნიშნავს.

კონსტიტუციით სახელმწიფოს მმართველად, როგორც ზევითა
ვსთქვით, ხელმწიფე ითვლება. ხელმწიფე ნიშნავს მინისტრებს, რო-

* მაგალითებრ ანგლიის ქვემო პარლამენტში 654 წევრია, ფრანციის სჯუ-
ლის-დამდებს კორპუსში — 250-მდე.

მელნიც მართავენ სახელმწიფოს. როცა საჭიროა ახალი სამინისტროს შედგენა, ხელმწიფე მოუწოდებს ერთს პირს, რომელსაც გავლენა აქვს პარლამენტში და მისცემს მას წინადადებას, რომ სამინისტრო შეადგინოს. ეს პირი მოილაპარაკებს პარლამენტის თავკაცებთან და თუ დაატყო, რომ ამათგანი ბევრი თანახმანი იქნებიან იმასთან იმსახურონ და პარლამენტის მეტი ნაწილი იმისი წინააღმდეგი არ არის, მაშინ იკისრებს სამინისტროს შედგენას. ერთის მინისტრის თანამდებობას თვითონ აიღებს და ამასთანავე შეიქმნება პირველი ან თავი-მინისტრი და სხვა მინისტრების თანამდებობას იმათ მისცემს, ვისაც პარლამენტში გავლენა აქვს, იმ განზრახვით, რომ მომატებული რიცხვი დეპუტატებისა მიიმხროს. ყველა მინისტრები შეადგენენ კაბინეტს, რომელსაც პირველი მინისტრის სახელი ეძლევა. მაგალითად, ახლა ანგლიაში პირველ მინისტრად ლორდი როსელია და ამის გამო ახლანდელს სამინისტროს როსელის სამინისტრო ჰქვია.

თუმცა მინისტრებს ხელმწიფე ნიშნავს, მაგრამ ისინი მაინც პარლამენტზედ არიან დამოკიდებულნი. პარლამენტს შეუძლია ყოველთვის მოსთხოვოს იმათ ანგარიში მმართველობაში; ისინი არიან პასუხისმგებელნი ყოვლის მმართველობის მოქმედებაში. თუ რამე დააშავეს, პარლამენტს შეუძლიან ისინი სამართალში მისცეს; თუ პარლამენტს არ მოსწონს იმათი მართვა და საქმობა, გამოაცხადებს, რომ სახელმწიფოს არა აქვსო ნდობა და რწმუნება მინისტრებზედ და ამის შემდგომ მინისტრები სამსახურიდან უნდა გამოვიდნენ. მინისტრები თავიანთს ადგილზედ ვერ დამყარდებიან, თუ პარლამენტის წევრებთაგან უმეტეს ნაწილს იმათი მხარე არ უჭირავს.

რასაკვირველია, შესაძლებელი არ არის, რომ ყველა პარლამენტის წევრები ერთის აზრისა და მიმართულებისა იყვნენ. როგორათაც სახელმწიფოში არსებობენ პარტიები, ისე ხალხის წარმომადგენლებშიაც. პარლამენტის წევრმა უნდა იმოქმედოს იმ პარტიის სასარგებლოდ, რომელმაც ამოირჩია თავის წარმომადგენელად და ამის გამო იმას უნდა ჰქონდეს თავის მოქმედების პროგრამა. ერთის მიმართულების წევრები შეერთდებიან ხოლმე, შეადგენენ ერთს პარტიას და ერთად ცდილობენ თავისი პროგრამის ასრულებას. თუ ცოტა რამე განსხვავებაა იმათს პროგრამაში, ერთი ერთმანეთს უთმობენ, რომ უფრო გააძლიერონ თავისი პარტია. ამ ნაირად პარლამენტში რამდენიმე პარტია შესდგება, მაგრამ თავი პარტიები თითქმის ყოველთვის ორია. ასე, ანგლიის პარლამენტში ორი დიდი პარტია არის: ერთი ტორები და მეორე ვიგები.

ს ა . ტორები კონსერვატორები არიან, ე . ი . უნდათ დაიცვან შეუცვლელად ძველი ანგლიის კონსტიტუცია და ამისათვის არ უნდათ, რომ იმაში რამე საფუძვლიანი ცვლილება მოხდეს. ვიგები — ზომიერი პროგრესისტები არიან. ისინი წინააღმდეგნი არ არიან, რომ კონსტიტუციაში მცირე ცვლილება მოხდეს, მაგრამ ძირი-ცვლილება არც იმათ უნდათ. ამ უკანასკნელს დროში ანგლიის ქვემო პარლამენტში გაძლიერდა რადიკალების პარტია, რომელთაც უნდათ მოახდინონ კონსტიტუციაში ძირი-ცვლილება. მცირე პარტიები ხან ერთს დიდს პარტიას მიემხრობიან და ხან მეორეს. ეს იმაზედ არის დამოკიდებული, თუ რომელთან უფრო ახლოს არიან თავის მიმართულებით, ან რომელი პარტია მეტს შემწევობას აღუთქვამს იმათის პროგრამის აღსრულებაში. თვითეული ამ პარტიებთაგანი იმას ცდილობს, რომ ხელში ჩაიგდოს მმართველობის უფლება, ე . ი . მინისტრებად თავის პარტიის კაცები დანიშნოს და მერმე ისე მართოს სახელმწიფო, როგორც იმისი ინტერესი მოითხოვს. მაგრამ ამის აღსრულებას მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა თავის მხარეზედ ეყოლება პარლამენტის უმეტესი ნაწილი. იმ პარტიას, რომელსაც მინისტრების მხარე უჭირავს, ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო პ ა რ ტ ი ა ჰქვია; წინააღმდეგს პარტიას ო პ პ ო ზ ი ც ი ა ს ეძახიან. პარლამენტში ჩვეულებრივ მინისტრის პარტია მარჯნივ ზის ხოლმე და ოპპოზიციის პარტია — მარცხნივ, ამისთვის პირველს პარტიას ხშირად მ ა რ ჯ ვ ე ნ ა მ ხ ა რ ე ს ეძახიან და მეორეს მ ა რ ც ხ ე ნ ა ს.

კანონის პროექტს, რომელსაც ანგლიაში ბილლს ეძახიან, ქვემო პალატაში შეიტანენ. ჩვეულებრივ მინისტრები ადგენენ ბილლს და ცდილობენ, თავისის პარტიის შემწევობით, რომ ის პარლამენტმა მიიღოს და დაამტკიცოს. პარლამენტში საქმე ხმის სიმრავლით გადაწყდება. თუ ქვემო პალატაში ბილლი მიიღო ნახევარზედ მეტმა იმ დეპუტატების რიცხვიდამ, რომელნიც დაესწრენ შეყრილობაში ხმის მოკრეფის დროს, მაშინ იტყვიან, ქვემო პალატამ ბილლი მიიღო. შემდეგ ბილლს ზემო პალატაში შეიტანენ. თუ ის ზემო პალატამ მიიღო, ე . ი . ნახევარზედ მეტმა წევრმა ხმა მისცა იმის სასარგებლოდ, მაშინ იტყვიან, ბილლმა ორივე პალატა გაიარაო. თუ ზემო პალატამ არ მიიღო ქვემო პალატისაგან დამტკიცებული ბილლი, მაშინ უკან დაუბრუნებს ამ ბილლს თავის შენიშვნებით დეპუტატთ-პალატას. ამ შემთხვევაში მოლაპარაკება მოხდება ორ პალატის შუა, ერთი ერთმანეთს მოსთხოვენ დათმობას და თუ დათანხმდნენ და მორიგდნენ, ბილლი გაივლის, თუ არა და ჩაიშლება. ორივე პალატისაგან მიღებულს ბილლს ხელმწიფეს მიართმევენ დასამტკიცებლად. თუ ხელმწიფემ ხელი არ მოაწერა, ბილლი

ჩაიშლება, მაგრამ ეს ძალიან იშვიათად მოხდება ხოლმე. როდესაც ხელმწიფე ბილსს ხელს მოაწერს, ის კანონად გადაიქცევა.

პარლამენტში წევრები სიტყვით და ბაასით განიხილავენ საქმეს. თვით სიტყვა პარლამენტი აქედგან წარმოსდგა: ფრანკუზულათ parliament ნიშნავს ლაპარაკს, საუბარს. ერთი რომელიმე პარლამენტის წევრთაგანი წარმოსთქვამს აზრს, წარმოადგენს პროექტს და სიტყვას იტყვის თავის აზრის გაცხადებლად. წინააღმდეგის პარტიის დეპუტატი დაუწყებს ჩხრეკას ამ პროექტს, წარმოადგენს პროექტის ნაკლულევანებას და ყოველის ღონისძიებით ცდილობს, რომ პარლამენტმა არ მიიღოს ეს პროექტი. ამ ბაასში სხვანიც მიიღებენ მონაწილეობას, მიუხმარებიან თავიანთი პარტიის დეპუტატებს და გაიმართება პარტიების შეტაკება, ბრძოლა და ბაასი. პარლამენტის ბაასს დებატს ეტყვიან. რასაკვირველია ყველანი ერთად არ დაიწყებენ ყვირილს, როგორც ჩვენში კენჭის ყრის დროს მოხდება ხოლმე. პარლამენტის წევრებს რიგით ეძლევათ სიტყვის წარმოთქმის ნება. ამისათვის პარლამენტი ამოირჩევს ხოლმე პრეზიდენტს*, რომლის ვალდებულებაა წესის დაცვა დეპუტატთ შუკრილობაში. პრეზიდენტი რიგით აძლევს დეპუტატებს სიტყვის წარმოთქმის ნებას; თუ ვინმე იმათგანი ურიგოთ მოიქცა, შენიშვნას მისცემს და სიტყვასაც წაართმევს; თუ ვინცობაა დეპუტატები ისე გაცხარდნენ, რომ პარლამენტში არეულობა და უწყესობა მოხდა, პრეზიდენტს ნება აქვს იმ უამათ შეყრილობა დაშალოს და სხვა დრო დანიშნოს დეპუტატების შესაკრებლად.

მინისტრების პარტიის და ოპოზიციის შორის განუწყვეტელი ბრძოლაა ოპოზიცია ცდილობს გადმოაგდოს ადგილიდამ მინისტრები და თავის წევრებს მისცეს იმათი თანამდებობა. ამისთვის ოპოზიცია ცდილობს უპოვოს მინისტრებს შეცდომილება, ეძებს იმათის მმართველობის ნაკლულევანებას და უკანონო ქცევას; ყოველს იმათს მოქმედებას თვალს ადევნებს, რომ დაიჭიროს რამეში და დაუმტყიცოს პარლამენტს, რომ ქვეყანას ისინი კარგად ვერ მართვენ. ოპოზიციას ადვილად შეუძლიან კვალში ჩაუდგეს მინისტრებს და გაარჩიოს იმათი მოქმედება. ამისთვის, რომ თვითონ კარგად იცის მმართველობის სისტემა. იმათ რიცხვში ბევრი იმისთანაები არიან, რომელნიც უწინ მინისტრად ყოფილან და მაღალი ადგილები სჭერათ; მაშასადამე, გამოცდილნი და დახელოვნებულნი არიან საქმეებში. მინისტრები იმათ ვერაფერს გამოაპარებენ. საქმის განხილვის დროს პარლამენტს შეუძლიან მინისტრებს მოს-

* ანგლიაში ქვემო პალატის პრეზიდენტს სპიკერს ეძახიან.

თხოვოს ცნობები ამ საგანზე და მინისტრები ვალდებულნი არიან წარუდგინონ ეს ცნობები და აუხსნან საქმის მდგომარეობა. რაც რამ პარლამენტში ითქმება, ყოველივე გაზეთებში იბეჭდება. ამისთვის გაზეთების რედაქციებს ჰყავთ პარლამენტში სტენოგრაფები*. რომელნიც სწერენ დეპუტატებისაგან წარმოთქმულს სიტყვებს. ამ საშუალებით მთელი ქვეყანა ტყობილობს, რაც რამ პარლამენტში მოხდება.

გაზეთებში გაარჩევენ მინისტრების და პარლამენტის მოქმედებას, წარმოსთქმენ თავიანთს აზრს. გაზეთების გარდა, კონსტიტუციურ სახელმწიფოებში ხალხს სხვა საშუალებაც აქვს თავისის აზრის და სურვილის გამოსაცხადებლად. საქმის გასასჯელად საზოგადო საკიროებისათვის იქ შეიყრება ხალხი, შეადგენს კრებას, რომელსაც ანგლიურად მიტიინგი ჰქვია. მიტიინგში ზოგიერთნი პირები წარმოსთქმენ სიტყვას, აუხსნიან ხალხს იმ საქმის გარემოებას, რომლისთვისაც შეიყარნენ, გასჯიან იმას და გამოაცხადებენ თავის აზრს, თუ როგორ სჯობსო ამ საქმის გადაწყვეტა. ამ აზრებთაგანი, რომელიც უფრო მოეწონება კრებას, იმას მიიღებს. მერმე შეადგენენ ქალაქს პარლამენტის სახელზე, რომ ამა და ამ მიტიინგმა ასე გადაწყვიტაო ესა და ეს საქმე და სთხოვენ იმას იქონიოს მხედველობაში ეს აზრი და საქმეც ისე გადაწყვიტოს. ამ გვარს თხოვნას პეტციას ეძახიან. გაზეთების და მიტიინგების სჯას და მოთხოვნილებას დიდი გავლენა აქვს პარლამენტზე. ამისთვის რომ ისინი კარგად გამოხატავენ ხალხის აზრს და სურვილს. ხშირად მოხდება, რომ პარლამენტს არ უნდა შესცვალოს კანონი. მაგრამ ხალხი გაზეთებით, მიტიინგებით და პეტციებით ძალას ატანს და სურვილის წინააღმდეგ აცვლენენ კანონს, ან ახალს აწესებინებს. აქედან ცხადი დასანახავია, რომ ქვეყანას თვითონ ხალხი მართავს.

კონსტიტუციურს სახელმწიფოებში მინისტრები პარლამენტს აძლევენ ანგარიშს სახელმწიფოს შემოსავლის ხარჯში, წარუდგენენ დასამტკიცებლად მომავლის წლის შემოსავალ-გასავლის გაწერას, სთხოვენ დეპუტატებს ნებართვას ახალი გადასახადის დადებაზე, ან ძველის მოსპობაზე, ჯარის მოკრებაზე, ომის დაწყებაზე, ახალი კანონის დაწესებაზე და ძველის მოსპობაზე,

* სტენოგრაფი — მსწრაფლ-მწერალი. სტენოგრაფები სწერენ შემოკლებულის ნიშნებით. ისინი ისე დახელოვნებულნი არიან ჩქარა წერაში, რომ ასწრებენ წარმოთქმულის სიტყვების ქალაღზე გადაღებას. ასე რომ არც ერთს ლექსს არ დასტოვებენ.

ერთის სიტყვით მინისტრებმა, ე. ი. მმართველობამ უნდა მოსთხოვოს ხალხის წარმომადგენელ დეპუტატებს ნება-რთვა ყოველს საქმეზედ, რომელიც კი შეეხება ხალხის საჭიროებას და სარგებლობას.

ხელმწიფე ნიშნავს დროს, როცა პარლამენტი უნდა შეიყაროს. პარლამენტი არ არის ყოველთვის გახსნილი. დეპუტატები წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეგროვდნენ სატახტო ქალაქში და მაშინ გაიხსნება პარლამენტი, რომლის საქმობაც რამდენსამე თვეს გასწევს და როცა გაათავებს მიმდინარე საქმეებს, ისევე დაიშლება, ამ პარლამენტის ყრილობას ს ე ს ს ი ა ს ეძახიან. ყოველს სესიის გახსნის დროს ხელმწიფე წარმოსთქვამს პარლამენტში სიტყვას, რომელსაც ტ რ ო ნ ი თ-ს ი ტ ყ ვ ა ჰქვია. ამ სიტყვაში ის განიხილავს თავის სახელმწიფოს მდგომარეობას, თავისის მმართველობის მოქმედებას ერთი სესიიდან მეორე სესიამდე და ამასთანავე გამოაცხადებს, თუ როგორ უნდა მომავალში შინაური და გარეგანი საქმეები წარმართოს. ტრონით-სიტყვას მინისტრები შეადგენენ ხოლმე და, მამსადამე, ის იმათს პროგრამას გამოხატავს; ხელმწიფე მხოლოდ წაიკითხავს იმას. ტრონით-სიტყვაზედ პარლამენტი შეადგენს პასუხს, რომელსაც ა დ რ ე ს ს ეძახიან. ადრესში პარლამენტი გამოაცხადებს თავის აზრს იმ საქმეებზედ, რომელიც ტრონით-სიტყვაში იყო მოხსენებული, მოსწონს თუ არა მმართველობის მოქმედება და პოლიტიკა. თუ პარლამენტმა ადრესში მმართველობის მოქმედება განკიცხა, ეს იმის ნიშანია, რომ ხალხის წარმომადგენლებს მინისტრები არ მოსწონთ და მაშინ სამინისტრო სამსახურიდან უნდა გამოვიდეს.

თუ ხელმწიფეს და იმის მინისტრებს პარლამენტის მოქმედება არ მოსწონთ, იმათ შეუძლიათ ეს პარლამენტი დაითხოვონ და დაშალონ; მაგრამ შემდგომის სესიისათვის ახალი დეპუტატების ამორჩევა უნდა დანიშნონ. უპარლამენტოდ ხელმწიფე და იმის მინისტრები დიდხანს ვერ მართვენ ქვეყანას ამისთვის, რომ პარლამენტის დაუკითხავად იმათ კანონის გამოცემა არ შეუძლიათ და კიდევ უფრო იმის გამო, რომ სახარჯო ფული აღარ ექნებათ. როგორც ზევითა ვსთქვით, ყოველს წელს სახელმწიფოს შემოსავალგასავლის გაწერას (ბიუჯეტს) პარლამენტი ამტკიცებს და თუ ერთის წლის განმავლობაში პარლამენტი არ შეიყარა, მმართველობა უფულოდ დარჩება. ხალხი ფულს არ გამოიღებს, თუ წლის გადასახადის გაწერაზედ იმის წარმომადგენლებს, ე. ი. პარლამენტის დეპუტატებს ხელი არა აქვთ მოწერილი. ეს უკანასკნელი უფლება დიდს

ლონეს და ძლიერებას აძლევს პარლამენტს. თუ ვინიცობაა ერთის მხრით ხელმწიფის და მინისტრების და მეორეს მხრით პარლამენტს შუა განხეთქილება მოხდა, დეპუტატებს შეუძლიან იმათ ფული არ მისცენ და რადგანაც მმართველობა უფულოდ ვერ გასძლებს. ამისთვის იძულებული შეიქმნება პარლამენტს დაუთმოს.

პარლამენტის წევრები შეუხებელი პირები არიან. მმართველობას არ შეუძლიან იმათი სამართალში მიცემა. თუ ვინიცობაა პარლამენტის წევრმა დააშავა რამე, მხოლოდ პარლამენტს აქვს ნება ის სამართალში მისცეს და დასაჯოს.

ანგლიის კონსტიტუციის საფუძველი ხალხის თვით-მმართველობა არის. თვითოეულს ქალაქს და მაზრას მართვენ ადგილობრივი მცხოვრებნი მაღალის და საშუალო უწყებიდგან, რომელნიც თავიანთს თანამდებობას უჯამაგიროდ აღსრულებენ. ანგლიაში სრული დეცენტრალიზაცია არსებობს, იქ მაზრები და ქალაქები თვითონ განაგებენ თავიანთს შინაურს საქმეებს და ამაში ცენტრალურს მმართველობას არ დაეკითხებიან*.

ანგლიაში სრული თავისუფლება არის ბექდვისა და სიტყვიანა. იქ მოქალაქეებს ნება აქვთ მთავრობის დაუკითხავად შეყარონ მიტინგი საზოგადო საქმის გასასჯელად და შეადგინონ ასოციაცია (საზოგადოება, ამხანაგობა). ანგლიელის პირადი თავისუფლება დამყარებულია კანონზედ, რომელსაც ჰქვიან Habeas Corpus Act (პაბეას კორპუს აქტი), ამ კანონის ძალით არავის დაქვრა არ შეიძლება, თუ მსაჯულის მოწერილობა არ არის, რომელშიაც უნდა იყოს მოხსენებული, რომ ამა და ამ კაცს ესა და ეს დანაშაულობა დასწამესო. დატუსაღებული მაშინვე უნდა წაუდგინონ მსაჯულს, რომლის განკარგულებითაც ის დაიჭირეს. მსაჯული პასუხისგებას მიეცემა, თუ უმიზეზოდ შეაჩერა დატუსაღებულის საქმე. თუ ის მართალი აღმოჩნდა, მაშინვე უნდა გაანთავისუფლოს, თუ არა დასასჯელი უნდა გადაუწყვიტოს, ან სამართალში უნდა მისცეს, როდესაც თვითონ არა აქვს უფლება სასჯელის გადაწყვეტისა.

* მმართველობის უმაღლესს სასამართლოებს, რომელნიც ჩვეულებრივ-სტატუსო ქალაქში იმყოფებიან, ცენტრალურ მმართველობას ეძახიან. რომელ სახელმწიფოშიაც ცენტრალურ მმართველობას დიდი ღონე აქვს და ერევა ყოველს საქმეებში, ასე რომ პროვინციებში იმის დაუკითხველად მცირე საქმეებსაც ვერ გადასწყვეტენ, იმ სახელმწიფოზედ იტყვიან: აქ ცენტრალიზაცია არსებობსო. სადაც პროვინციებს დიდი დამოკიდებულება არა აქვთ ცენტრალურს მმართველობაზედ და თვითონ განაგებენ თავიანთს შინაურს საქმეებსა იმ სახელმწიფოზედ იტყვიან: აქ დეცენტრალიზაცია არსებობსო.

თუმცა მსაჯულებს მმართველობა ნიშნავს, მაგრამ სამსჯავრო სა-სამართლოებში საქმეს ხალხისაგან ამორჩეული პირები სწყვეტენ. ანგლიაში არსებობს ეურის სამართალი (jury), რომელსაც მოახდენენ ხალხისაგან ამორჩეული მოფიცე კაცები (jurymen) ისინი სწყვეტენ ყოველს საკრიმინალო (სისხლის სამართალი) საქმეს და აგრეთვე სამოქალაქოსაც, თუ ერთმა ან ორივემ მოჩივარე მხარემ მოითხოვა, რომ იმათი დაეა ეურის სამართალით გადასწყდეს. საქმის გარჩევის დროს თორმეტი მოფიცე უნდა დაესწროს. მოფიცეებს წარმოუდგენენ საქმის გარემოებას და შემდეგ იმათ უნდა წარმოსთქვან თავისი აზრი: ამა და ამ საქმეში ესა და ეს კაცი დანაშაულია თუ არა. თქვეს, არ არისო დანაშაული, სამართალში მიცემული კაცი მაშინვე განთავისუფლდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ მოფიცეებმა ის დანაშაულად იცნეს, მაშინ მსაჯული დასდებს სასჯელს, რომლისაც ღირსია კანონით.

წინათ ვსთქვით, რომ დასავლეთ ევროპაში, ყველა მონარხოულს სახელმწიფოებში არსებობს კონსტიტუციური მმართველობა. მაგრამ კონსტიტუცია ნამდვილად არის დამყარებული მხოლოდ ანგლიაში, ბელგიაში, ლოლანდიაში, შვეციაში, იტალიაში და ზოგიერთს გერმანიის მცირე სახელმწიფოებში. დანარჩენს ევროპის ქვეყნებში კონსტიტუციური მართებლობა კიდევ ვერ არის კარგად დამყარებული; ხელმწიფეები და მინისტრები ხშირად არ აღსრულებენ კონსტიტუციას, ცდილობენ, რომ გააძლიერონ აღმასრულებელი უფლება და სჯულის-დამდები დაამცირონ. ამის გამო დრტინვა და უკმაყოფილება იბადება ხალხში; ხალხის წარმომადგენლებს და ხელმწიფის შუა მოხდება ხოლმე შეტაკება და განხეთქილება, რომელიც ზოგჯერ თავდება რევოლუციით, ე. ი. ხალხის ადგომით და მმართველობის გამოცვლით. ასე კონსტიტუციის შევიწროების და დარღვევის გამო ამ XIX საუკუნეში ორჯელ მოხდა ფრანციაში რევოლუცია. ერთხელ — 1830 წელს, ივლისის თვეში და ამისთვის იმას ივლისის რევოლუციას უწოდებენ. ხალხმა ტახტიდამ გადმოაგდო კაროლი კარლი X, ბურბონის დინასტიიდან* და ამოიჩინა ხელმწიფედ ლუი-ფილიპე. ორლენის დინასტიიდან. მაგრამ შემდგომში ამანაც დაიწყო ქცევა კონსტიტუციის წინააღმდეგად და ბოლოს დროს მოინდომა იმისი შევიწროება. ამისათვის ადგა ხალხი, 1848 წელს მოხდა რევოლუცია, რომელსაც თებერვლის რევოლუციას ეძახიან, ამისათვის რომ ის თებერვლის თვეში დაიწყო. ლუი-ფილიპე ტახტიდამ გადმოაგდეს და ფრანციაში რესპუბლიკა:

* დინასტია — გვარი ხელმწიფისა.

დაწესდა. ამ რესპუბლიკის პრეზიდენტად ხალხმა ამოირჩია ლეონაპოლეონ ბონაპარტე, პირველის ნაპოლეონის ძმისწული. ლეონაპოლეონმა მოსპო რესპუბლიკური მმართველობა ფრანციაში, 1852 წელს ფრანცუზების იმპერატორად გახდა და სახელი დაირქვა — ნაპოლეონი III. ამ დროს იმან თვითონ შეადგინა და გამოსცა კონსტიტუცია, რომელიც ახლა არსებობს ფრანციაში. ეს კონსტიტუცია ძალიან დიდს უფლებას აძლევს ხელმწიფეს, ასე რომ ახლა ნაპოლეონი თითქმის ისე მართავს თავის სახელმწიფოს, როგორც თვითმპყრობელი. ამასთანავე სჯულის-დამდები უფლება ფრანციაში ძალიან შევიწროებულია. სენატის წევრებს თვითონ იმპერატორი ნიშნავს, მაშასადამე, იქ იმისი მომხრე კაცები სხედან: სჯულის-დამდების კორპუსის დეპუტატების ამორჩევაზედ მმართველობას დიდი გავლენა აქვს, ასე რომ იმათ რიცხვში უმრავლესს ნაწილს ყოველთვის მმართველობის მხარე უჭირავთ. გარდა ამისა ფრანციაში სჯულის-დამდებს კორპუსს არა აქვს, როგორც იტყვიან, ი ნ ი ც ი ა ტ ი ვ ი ს უფლება, ე. ი. იმას არ შეუძლიან თვითონ დაიწყოს სჯა რომელსაზე ხალხის საჭიროებაზედ და მოითხოვოს ახალის კანონის დადება ან ძველის შეცვლა. ეს უფლება მმართველობას ეკუთვნის. მმართველობა შეადგენს ხოლმე კანონის პროექტს და სჯულის-დამდებმა კორპუსმა ის ან ისე უნდა მიიღოს, როგორც წარმოუდგინეს, ან სულ უარა უნდა უთხრას, იმის გამოცვლის და გასწორების ნება არა აქვს. ამასთანავე მინისტრები ფრანციაში პასუხის-მგებელნი არ არიან სჯულის-დამდების კორპუსის წინაშე. იმათ ნიშნავს იმპერატორი, რომელსაც პირდაპირ ემორჩილებიან და ანგარიშს აძლევენ თავიანთს სამინისტრო საქმეებში. მინისტრებს ერთი მეორეზედ დამოკიდებულება და კავშირი არა აქვთ; ისინი კაბინეტს არ შეადგენენ. — აქედამ ადვილი დასანახავია, რომ ფრანციაში არ არსებობს ნამდვილი კონსტიტუციური მმართველობა. აღმასრულებელი უფლება, რომელიც ფრანციაში მეტად შემძლეა, რადგანაც იქ ძლიერი ცენტრალიზაცია არსებობს, იმპერატორის ხელშია; სჯულის-დამდები უფლებაც იმას ემორჩილება, ასე, რომ როგორი კანონიც უნდა, იმ კანონს მიაღებინებს; მსაჯულებსაც იმპერატორი ნიშნავს, მაშასადამე, სამსჯავრო უფლებაზედ დიდი გავლენა აქვს.

ჩვენ წინათ ვსთქვით, რომ იმ სახელმწიფოს, რომელშიაც უზენაესი უფლება რამდენიმე პირის ხელშია, რესპუბლიკა ჰქვიანო. რესპუბლიკური მმართველობაც სხვა და სხვა გვარია. როდესაც რესპუბლიკას მართავენ არისტოკრატები, იმას ეძახიან ა რ ი ს ტ ო კ რ ა ტ უ ლ ს; თუ უზენაესი უფლება რესპუბლიკაში რამდენიმე გვარ-

მა ან პირმა ჩაიგდო ხელში, მაშინ ამ მმართველობას ოლიგარ-
ხულს უწოდებენ. როდესაც ერთი კაცი მოიგდებს ხელში უზე-
ნაეს უფლებას რესპუბლიკაში, იმას ტირანს ეტყვიან და ამ
გვარს მმართველობას ტირანიას. თუ რესპუბლიკას მართვენ
მთელის ხალხისაგან ამორჩეული კაცები, იმის მმართველობას დე-
მოკრატიულს ეძახიან*.

ეს სხვადასხვაგვარი ფორმები რესპუბლიკურის მმართველო-
ბისა არსებობდნენ წინათ, ძველს საბერძნეთში, რომში, კართაგენში
და საშუალო საუკუნეებში ევროპის სხვადასხვა სავაჭრო ქალა-
ქებში. ყველა ახლანდელს რესპუბლიკებს დემოკრატიული მმართ-
ველობა აქვთ. რესპუბლიკური მმართველობა ახლა უფრო ამერი-
კაში არის გავრცელებული. აქაურს სახელმწიფოებში, გარდა ბრა-
ზილიისა და მეხიკისა**, ყოველგან რესპუბლიკური მმართველო-
ბა არსებობს. ევროპაში შვიდი რესპუბლიკაა: 1. შვეიცარია, 2. სან-
მარინო (პატარა მხარეა იტალიაში), 3. ანდორა (პატარა მხარეა ის-
პანიაში) და ოთხი გერმანიის ქალაქები: ფრანკფურტი მაინის მდი-
ნარეზედ, ბრემენი, ლამბურგი და ლუბეკი.

ახლანდელს დროში ყველა რესპუბლიკაზედ უფრო შესანიშნავი
არის ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები. ამ სახელმწი-
ფოს წესი და დაწყობილება მაგალითად აქვთ სხვა რესპუბლიკებს.
ამისათვის ჩვენ აქ მოკლედ გავსინჯავთ იმის მმართველობის ფორ-
მას. ჩრდილოეთის ამერიკის დიდი რესპუბლიკა შემდგარია 36 ნა-

* ყველა ეს სახელები ბერძნული და ლათინურია. ძველს საბერძნეთში და
რომში რესპუბლიკური მმართველობა არსებობდა. იქაურს რესპუბლიკურს მმართ-
ველობას სხვა და სხვა ფორმა ჰქონდა, ამის და გვარად იმის დასანიშნავად სხვა
და სხვა სახელა შესდგა, რომლებიც ცხადათ გამოხატავენ თავის მნიშვნელობას.
ასე, სიტყვა რესპუბლიკა ლათინურად ნიშნავს საზოგადო საქმეს (რეს—საქმე და
პუბლიკა — საზოგადო), რადგანაც ამგვარს მმართველობაში სახელმწიფო საქ-
მეები ყველას ეკითხება. — არისტოკრატია ბერძნულად ნიშნავს წარჩინებუ-
ლების მმართველობას (არისტოს — უკეთესი, წარჩინებული; კრატია—უფლება,
მართვა). ოლიგარხია — ცოტა პირების მმართველობა (ოლიგოს — ცოტა, მცო-
რე; არხე — უფროსობა, მართვა); დემოკრატია — ხალხის მმართველობა (დე-
მოს — ხალხი, კრატია — უფლება).

** ამ უკანასკნელს დრომდის მეხიკაში რესპუბლიკა იყო. 1864 წელს ფრან-
კუზების ჯარის შემწეობით აქ იმპერია დააარსდა და ფრანკუზის იმპერატორმა
ნაპოლეონმა III მეხიკის იმპერატორობა მისცა ავსტრიის იმპერატორის ძმას
მაქსიმოვილანეს. ამის გამო მეხიკაში დიდი აღრეულობაა, რესპუბლიკური პარტია
გაუდგა იმპერატორს; იმათ და იმპერატორის ჯარებს შუა განუწყვმტელი
ბრძოლაა.

წილისაგან, რომელთაც შტატები ჰქვიათ და ამის გამოც ამ სახელმწიფოს უძახიან შეერთებულ შტატებს. ის არის კ ა ე შ ი რ ი ა ნ ფ ე დ ე რ ა ც ი ა შტატებისა. თვითეულს შტატს აქვს თავისი საკუთარი მმართველობა, რომელიც მართავს შტატს და განაგებს თავის შინაგან საქმეებს. იმ გვარის საქმეებისათვის, რომელიც მთელს კავშირს შეეხება, არის დაწესებული საკავშირო ან ფედერატიული მმართველობა. შეერთებულს შტატებში საკავშირო მმართველობა რესპუბლიკის პრეზიდენტის და კონგრესის ხელშია. აღმასრულებელი უფლება ეკუთვნის პრეზიდენტს. ის არის თავი რესპუბლიკისა, ჯარის და ფლოტის უფროსი; ის ნიშნავს სტატს-სეკრეტრებს (მინისტრებს), ელჩებს და მოხელე კაცებს სხვა და სხვა თანამდებობაზედ რესპუბლიკაში. პრეზიდენტს ირჩევენ მთელი ხალხი 4 წლის ვადით. სჯულის-დამდები უფლება კონგრესის ხელში არის. კონგრესს შეადგენენ წარმომადგენელთ პალატა და სენატი. კონგრესის წევრებს ხალხი ირჩევენ. პალატაში წარმომადგენლებს შტატები ირჩევენ მცხოვრებლების რიცხვის დაგვარად. სენატში თვითთოეული შტატი გზავნის 2 სენატორს. როგორც კონსტიტუციურს სახელმწიფოში, ისე ამერიკის რესპუბლიკაშიც, კანონის პროექტი, ბილლი, მხოლოდ მაშინ შეიქმნება სჯულად, როდესაც წარმომადგენელთ პალატა და სენატი დაამტკიცებენ და ამასთანავე პრეზიდენტიც ხელს მოაწერს. მაგრამ კონსტიტუციურს სახელმწიფოებში ბილლი, პარლამენტისაგან დამტკიცებული, დაიშლება, თუ ხელმწიფემ თანხმობა არ გამოაცხადა; შეერთებულს შტატებში კი პრეზიდენტის უარ-ყოფა (veto) ვერ ჩაშლის ბილს. როდესაც პრეზიდენტი ბილლის წინააღმდეგი არის, იმან უნდა დაუბრუნოს ეს ბილლი კონგრესს და წარმოადგინოს მიზეზი, რომლის გამო ის მავნებლად რაცხს ახალს კანონს. კონგრესმა ახლად უნდა განიხილოს ეს ბილლი პრეზიდენტის შენიშვნით და თუ ორმა მესამედმა იმის წევრებთაგანმა ხელახლა მიიღო ბილლი, მაშინ ის კანონად გადაიქცევა პრეზიდენტის ნება-დაურთველადაც, თუ არა და ბილლი გაუქმდება. სამი უფლება: სჯულის-დამდები, აღმასრულებელი და სამსჯავრო შეერთებულს შტატებში უკეთ და უფრო სწორედ არის განსაზღვრული. ვინემ ევროპის კონსტიტუციურს სახელმწიფოებში. სამივე უფლება ხალხისაგან წარმოსდგება. აღმასრულებელის უფლების თავს, პრეზიდენტს, და სჯულის-დამდებს უფლებას, კონგრესს, როგორც ზევითა ვსთქვიით, ხალხი ირჩევენ. მსაჯულებსაც, რომლების ხელშია სამსჯავრო უფლება, ხალხი ირჩევენ, ასე რომ ეს უფლებაც თავისუფალია; ის დამოკიდებული არ არის აღმასრულებელის და სჯულის-მდების უფლებებზედ. კონსტიტუციით სამი-

ვე სახელმწიფო უფლება ისეა განსაზღვრული, რომ ერთს უფლებას არ შეუძლიან მეორის დამორჩილება და ხელში ჩაგდება. ამის გამო ვერც ერთი უფლება ვერ გაძლიერდება ისე, რომ ხალხის თავისუფლების შევიწროება შეეძლოს. პრეზიდენტი და ყველა სამოქალაქო მოხელე კაცები შეერთებულს შტატებში პასუხის-მგებელი არიან თავის მოქმედებისათვის ხალხის წინაშე. თუ ვინიცობა იმათ შესწამეს და დაუმტკიცეს რესპუბლიკის და კონსტიტუციის მუხანათობა, მაშინვე სამსახურიდამ დაითხოვებიან და მიეცემაინ შესაფერს სასჯელს.

შეერთებული შტატების მოქალაქენი სჯულით ყველანი თანასწორნი არიან, შთამომავლობით ერთს მეორეზედ არავითარი უპირატესობა არა აქვს. არავის არა აქვს ნება სახელ-იწოდოს რომელიმე სათავადო ან სააზნაურო ტიტულით. კონგრესსაც არა აქვს უფლება დააჯილდოვოს რომელიმე მოქალაქე სათავადო ან სააზნაურო ტიტულით. თუმცა სჯულის-დამდების უფლება კონგრესის ხელშია, მაგრამ ეს უფლებაც შეზღუდულია. შ. შ. მოქალაქენი ისე ფრთხილნი და ექვიანნი არიან იმათის თავისუფლების შესახებს საქმეებში, ისე ერთგულნი არიან თავის კონსტიტუციისა, რომ თავიანთ წარმომადგენლებსაც არ აძლევენ ნებას იმის საფუძვლებს შეეხონ.

ამერიკის რესპუბლიკაში სრული თავისუფლებაა სიტყვისა, ბეჭდვისა და სვინილისისა, ე. ი. სარწმუნოებისა; ვისაც რა სარწმუნოება მოსწონს, იმ სარწმუნოების აღიარება შეუძლიან. კონგრესს არა აქვს ნება გამოსცეს ამ თავისუფლების შემავიწროებელი კანონი. კონგრესს აგრეთვე არა აქვს ნება შეაყენოს Habeas Corpus-ის მოქმედება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამ წესდების შეყენებას მოითხოვს საზოგადო კეთილ-მდგომარეობა, აღრეულობის და მტრის თავდაცემის დროს.

თვითთვეულს შტატს იმგვარი დაწყობილება აქვს, როგორც მთელს კავშირს. სჯულის-დამდები უფლება, მთელის კავშირისათვის, ორის პალატის ხელშია — სენატის და წარმომადგენელთ პალატისა. სენატორებს და წარმომადგენლებს აქაც ხალხი ირჩევს. აღმასრულებელი უფლება შტატებში ეკუთვნის გუბერნატორს, ხალხისავე აღმორჩევით. მსაჯულებიც ხალხისაგან აღმორჩეული პირები არიან. ჩრდილოეთის ამერიკის რესპუბლიკაში სრული დეცენტრალიზაცია არსებობს. როგორც ზევითა ვსთქვით, შტატები თვითონ განაგებენ თავიანთ საკუთარ საქმეებს; კავშირის ცენტრალურს მმართველობას ნება არა აქვს ამ საქმეში გაერიოს. გარდა ამისა შტატებშიაც მაზრების, ქალაქების და სოფლების საზოგადოებებს თვითმმართველობა აქვთ მინიჭებული, ე. ი. თვითონ განაგებენ... თავიანთს ჩვეულებრივს საქმეებს.

გამოცემლისაგან

ვიწყებთ რა „ნ. გ. ჩერნიშევსკის თხზულებების“ გამოცემას, ვხელმძღვანელობთ შემდეგი მოსაზრებებით¹⁰⁸.

ჩერნიშევსკის ლიტერატურულ მოღვაწეობას ახლანდელი ჩვენი ახალგაზრდობის წრეში დიდი წარმატება ზედა. ამასთან, სწორედ ამ ახალგაზრდობაში დღით-დღე სულ უფროდაუფრო შეიმჩნევა ისეთი გადახვევები ჩერნიშევსკის პროგრამიდან და მოძღვრებიდან, რომ ძალაუნებურად იბადება საკითხები: მართლაც, ნამდვილად იცის ამ ახალგაზრდობამ ჩერნიშევსკი და ესმის იგი? იქნებ იგი მოჯადოებულია მისი მოღვაწეობის გარეგნობით, მისი მძლავრი და უაღრესად მრავალმხრივი ნიჭით, მისი პოლემიკის ხერხებითა და ყველა იმით, რასაც თვით იგი მხოლოდ საერთო ყურადღების მიპყრობის საშუალებად თვლიდა იმ შეხედულებებზე, რაც ამ ყურადღების ღირსი იყო? ხომ არ არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჩერნიშევსკის მოღვაწეობის და დ ე ბ ი თ მ ა, მეტად მნიშვნელოვანმა და არსებითმა მხარემ შეუმჩნევლად ჩაიარა იმ ხალხის უმრავლესობისათვისაც კი, რომელნიც ასე ალტაცებულნი იყვნენ ჩერნიშევსკით? ეს საკითხები მეტად უბრალოდ წყდება: ახალგაზრდობის უმრავლესობას რომ გაეგო ჩერნიშევსკი, მას რომ შეგნებულად აეთვისებინა მისი აზრი, მაშინ იგი აღარ მიაწყდებოდა აქეთ და იქით, ერთი უკიდურესობიდან მეორემდე, არამედ, განსაკუთრებით მშვიდად და მტკიცედ გასწევდა დასახული მიზნის ასრულებისაკენ და უნიტეს შემთხვევაში მითითებული საშუალებებით ისარგებლებდა.

ამას ზოგიერთი განმარტება სჭირდება. ჩერნიშევსკის მიმართულება ძლიერია არა მხოლოდ გაბატონებული ცნებებისა და სავანთა არსებული წესის უარყოფით. რომ არა ითქვას რა იმაზე, რომ ეს უარყოფა სრულიადაც არ იყო ლიტონი, არამედ, წინააღმდეგ ამისა, ეყრდნობოდა აუცილებელ მტკიცებებს, იგი ხელიხელ ჩაკიდებული, უარყოფილი ძველის ნაცვლად, ახალი ცნებებისა და ახალი წესის მტკიცედ გამომუშავებულ სისტემასთან ერთად მიემართებოდა, — ეს შეადგენდა სწორედ ჩერნიშევსკის მიმართულების

მთავარ ძალას. ყოველგვარი უარყოფა, რაც არ უნდა საფუძვლიანი იყოს იგი თავისთავად, ძლიერია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი გამტკიცებულია მითითებით რაიმე დადებითზე, უკეთესზე, რასაც შეუძლია სარგებლიანით შეცვალოს უარსაყოფი ცნება. წინააღმდეგ შემთხვევაში უარყოფელის შრომა წყლის ნაყვად იქცევა იმიტომ, რომ ადამიანს, რომელიც ამბობს: „მე არ ვიცი რაიმე უკეთესი, ვიცი მხოლოდ, რომ აი, ეს საგანი მეტად ცუდია“, მოწინააღმდეგენი გამარჯვებით შეეპასუხებიან: „რადგან თითონ აღიარებთ, რომ არ იცით რაიმე უკეთესი, ამიტომ ჩვენ, ღვთის ბრძანებით, ჩვენი ცუდით უნდა ვიცხოვროთ“. ჩერნიშევსკიმ მოახერხა თავი დაეღწია ასეთი პასუხის მიღებისაგან, რაც საგანთა არსებული წესით უკმაყოფილო ხალხს თითქმის ყოველთვის აჩერებდა. ძველი წესისა და ძველი ცნებების კეთილსინდისიერად შესწავლითა და გარჩევით არ იფარგლებოდა იგი, არამედ აყენებდა ახალ ცნებებსა და ახალ წესს და აუცილებლად ადასტურებდა მათ სამართლიანობასა და სარგებლობას.

მკითხველს შეუძლია ჩვენი შეხედულება იმ მონაცემებითაც კი შეამოწმოს, რომელიც მდგომარეობს ჩვენს მიერ ჩერნიშევსკის რომანის „რა ვაკეთოთ“ გადაბეჭდვაში. ჩვენი ლიტერატურა ყოველგვარ ტიპებსა და იდეალებს ადგენდა საუკეთესო მწერლების მიერ ცოტად თუ ბევრად სიმართლით დანახულისა და გამოხატულის წყალობით. ვტოვებთ რაგანზე ძველი დროის გმირებს ონეგინის, პეჩორინის და სხვების მსგავსებს, ჩვენ ვხედავთ, რომ უკანასკნელი დროის ლიტერატურა აღსაესე იყო ბელტოვებით, ობლომოვებით, რუდინებით, ინსაროვებით, მოლოტოვებით, ბაზაროვებითა¹⁰⁰ და მთელი დუეინი არა ნაკლებ პატივცემული პიროვნებებით. უეჭვოა, რომ ამ გმირების მსგავსი რაღაც არსებობდა ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ, საქმე იმაში კი არაა, რამდენად საერთო და შესაფერისი იყო სინამდვილისათვის ესა თუ ის ტიპი, არამედ საქმე იმაშია, რომ ყველა ისინი არადაამაყოფილებელნი იყვნენ, თუმცა საზოგადოება რიგრიგობით მათით აღტაცებული იყო და ძალისა და უნარის ფარგლებში ცდილობდა მათთვის მიებაძა. ჩერნიშევსკის არ აკმაყოფილებდა არც მოფუსფუსე უმოქმედობა ბელტოვისა, რომელსაც უმიზნო ცოდნის წამოსასხამი ჰქონდა მოხვეული, არც ობლომოვის ძილაგუდაობა, არც რუდინის მჭერმეტყველი უძღურება, არც ინსაროვის უაზრო ღონე, არც მოლოტოვის „პატიოსანი ჩიჩიკოვობა“ და, ბოლოს, არც ბაზაროვის მახინჯი და გაუაზრებელი გატაცება ბუნებისმეტყველებით. იგი იცნობდა სხვაგვარ ტიპს და ძველი გმირების უნაყოფობისა და მოყირპებულობის ჩვენებით დაუქმა-

ყოფილებელმა სცენაზე გამოიყვანა თავისი „ახალი ადამიანები“¹¹⁰, კეთილნი და ძლიერნი, პატიოსანნი და შემძლებელნი. ეს ხალხი საზოგადოებას არ აჯადოებს მკვერმეტყველური ფრაზებით, არ კმუნვენ ყველაფრის შემქმნელ გარემოზე, არ ემორჩილებიან მას გულხელდაკრეფილნი, არ იმტვრევენ თავს მოჩვენებებისა და ცოტად თუ ბევრად ნამდვილი სიძნელების წინააღმდეგ ბრძოლისას და სი-ცოცხლეს არ ამთავრებენ დაღვრემილი, ანდა ცრემლიანი გულგატეხილობით. არა, მათ განივითარეს გონება, გაიგეს ჩვენი ცხოვრება, გაეცნენ სიმახინჯის ძირითად მიზეზებს და გადაწყვიტეს ისე მოეწყონ, რომ გარემოს სიმძიმის ქვეშ არ მოიხარონ, არამედ ჰქონდეთ შესაძლებლობა ცხოვრებაში დასდონ დასაბამი, რაც მათ მხოლოდ პატიოსნად და სასარგებლოდ ეჩვენებათ. თანამედროვე ცხოვრება მათ არა თუ მოსვენებაში ამყოფებს, არამედ თანდათანობით მათ ემორჩილება, მათ მოთხოვნილებებს ეთანხმება, მათი დასაბამით შენდება და დადგება დრო, როდესაც იგი მიიღებს ისეთ სახეს, რომელზედაც ისინი ოცნებობდნენ ცხოვრების ფერხულში ჩაბმისას. ძველ გმირებთან შედარებით გაცილებით ნაკლებ ტანჯულნი, ათასჯერ უფრო მეტად დაკმაყოფილებულნი „ახალი ადამიანები“, აღწევენ თავის იმ მიზანს, რომელთანაც შედარებით ყველა ამ ბელეტოვებისა და მის მსგავს ვაებატონთა ყველაზე უშიშარი და თამამი იდეალები უსუსურად გამოიყურებიან.

ამასთან, ლოპუხოვებისა და კირსანოვების¹¹¹ მიზანი სრულიადაც არაა ისე დახლართული და შენიღბული, რომ იგი ჩერნიშევსკის პირველ სიტყვებშივე არ ჩანდეს. არ იყო სხვაზე დამოკიდებული, არ იჯდებოდა სხვის კისერზე და არც სხვას აძლედა უფლებას მასზე დაჯდომისას, შეინარჩუნო საკუთარი ადამიანური ღირსება, მიაღწიო ისეთ წესებს, როდესაც ყველას შეეძლება იცხოვროს ამ სახით — აი, ესაა ყველაფერი. საშუალებაც მათ მეტად მარტივი აქვთ — განვითარება. იგი ქმნის შესაძლებლობას გამოიმუშაონ მოქმედების სისტემა, სრულიად შესაფერი მათი შეხედულებებისა და, ამ შემთხვევაშიც ისინი საფუძვლიანად განსხვავდებიან წინამორბედ გმირებისაგან, რომელნიც ყოველთვის ალაღებდნენ მოქმედებდნენ, ყოველგვარი წინასწარ მოფიქრებული და შეთვისებული აზრის გარეშე და ყოველთვის ფლუგერებად იყვნენ, სიოს პატარა დაბერვის მორჩილნი.

სწორედ ასეთივე ხერხს ხმარობდა ჩერნიშევსკი, ყველა იმ საკითხის შესაბამისად, რომელიც აინტერესებდა ჩვენს საზოგადოებას 1855—1863 წლების პერიოდში, და, თუ გავიხსენებთ, რომ ამ ზანგრძლივ დროში ჩვენი საზოგადოება ციებ-ცხელებით ეპოტინე-

ბოდა ყოველგვარ საკითხს. და, რომ ჩერნიშევსკიმ შესძლო თვით-
აღმძრა საკითხები, რომელნიც მას განსაკუთრებით მნიშვნელოვნად
მიაჩნდა (მაგალითად, მიწის საერთო მფლობელობა), მაშინ ცხადია,
რომ მის თხზულებებში მოიპოვება, სხვათა შორის, გადაწყვეტა სა-
კითხისა იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობს ძირითადი ფესვი
ჩვენი ცხოვრების მოუწყობლობისა და იმისაც, თუ როგორ დავე-
ლით იგი. ამ საკითხის გადაწყვეტა ნიშნავდა ახალი თაობის სამოქ-
მელო პროგრამის შექმნას, თუ მივუთითებთ ამ მოღვაწეობის მიზანს
და ამ მიზნის მიღწევის საშუალებებზე.

და თუ ჩერნიშევსკიმ მიუთითა ამ მიზანზე და ამ საშუალებებ-
ზე; თუ ახალგაზრდობის მოქმედების პროგრამა შეადგინა, მაშინ
საკითხავია. რას უნდა მიეწეროს ყველა ის მახინჯი გამოვლინება,
რის დაუსრულებელი წყებაც ახასიათებს ახალგაზრდა თაობის
უმრავლესობის მოღვაწეობას და არა უბრალოდ ახალგაზრ-
და თაობისა, არამედ, ეგრეთ წოდებული განვითარებული ახალგაზრ-
და თაობისა? ეს უცნაურობა; ერთის შეხედვით თითქოს მიუწვდო-
მელი. შეიძლება აიხსნას მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ უმრავ-
ლესობას ვერ გაეგო ჩერნიშევსკი. შეიძლებოდა ეს მდგომარეობა
მიგვეწერა უმრავლესობის შეუგნებლობისა და გონებაჩლუნგობი-
სათვის და გვეთქვა, რომ ახალგაზრდობა უუნაროა შეიგნოს რამე,—
ასეთ შემთხვევაში ხელები უნდა ჩამოგვეშვა, — ან იმ მდგომა-
რეობისათვის დაგვებრალებინა. რომ უმრავლესობას არა აქვს შე-
საძლებლობა ჩერნიშევსკის თხზულებებს გასცნობოდა. დაიმედ-
ებული ვართ, რომ სწორედ ეს არის მიზეზი გაუგებრობისა, მით
უმეტეს, რომ ჩერნიშევსკის ნაწერები ათი წლის მანძილზე გაფან-
ტული სხვადასხვა ყურნალში და ხშირად ავტორის ხელის მოუწე-
რენი, ნამდვილად ხელმიუწვდომელია მკითხველთა უდიდესი უმ-
რავლესობისათვის. ფაქტის ასეთი ახსნა თავისთავად გამოაჩენდა
ჩერნიშევსკის ყველა წერილის გამოცემის აუცილებლობას, რომ
ამით მკითხველებს მისი მოძღვრების გაცნობის შესაძლებლობა
მისცემოდათ.

ჩვენ არაჩვეულებრივად ბედნიერნი ვართ, რომ წილად გვხვდა
ეს შრომა და გვსურს, რომ ამ ბედნიერებას არ შერეოდეს ცოტად
თუ ბევრად მწარე და მძიმე დაბრკოლებანი. სამწუხაროდ, პირველ-
სავე ნაბიჯზე წავაწყდით მათ. მაგალითად, გვაქვს თუ არა უფლება
ასე უცერემონიოდ განვაგოთ სხვისი ლიტერატურული საკუთრება?

იურიდიული უფლება ჩვენ არა გვაქვს: არ მოგვიპოვებია და
არც შეგვეძლო მოგვეპოვებინა რაიმე ხელშეკრულება ჩერნიშევს-
კის მემკვიდრეთაგან¹¹. ესეც ცოტაა; ჩვენ ვერ ვთხოვეთ მათ ამ გა-

ЧТО ДѢЛАТЬ?

ИЗЪ РАЗСКАЗОВЪ О НОВЫХЪ ЛЮДЯХЪ

Н. Г. ЧЕРНЫШЕВСКАГО

ИЗДАНИЕ И. ЗАВРИДИНА И К^О.

მოცემის წამოწყების ნებართვაც კი, იმ სრულიად უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენ ვერ მივიღებდით მათგან უარყოფით პასუხსაც კი. ამასთან, რუსეთში, ახლანდელ პირობებში, ამგვარი გამოცემა ერთდროულად შეუძლებელია. მაშასადამე, ჩერნიშევსკის შემკვიდრებისათვის მის თხზულებებზე უფლება უფრო ლიტონი სიტყვაა, ვიდრე ნამდვილი საკუთრება. ღირდა კი, რომ ამ ლიტონი სიტყვის გულისათვის, საზოგადოებისათვის არ მიგვეწოდებინა ჩერნიშევსკის თხზულებათა სრული კრებული? ვფიქრობთ, რომ არა.

სხვა სიძნელებები დამოკიდებულია ჩვენი გამოცემის მატერიალურ მდგომარეობაზე. ჩვენი საღსრები მეტად შეზღუდულია შედარებით იმ ხარკებთან, რაც აუცილებელია თორმეტი ტომის გამოსაცემად. ამ გამოცემას შეეუდევით მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ რაც არ უნდა იყოს, ბოლომდე მივიყვანოთ იგი, და მისი შეწყვეტა არავითარ შემთხვევაში არ იქნება მანამდე, ვიდრე თვით რუსეთში არ შეუდგებიან ასეთ გამოცემას. ამას კი, ჭერჯერობით, შეუძლებელია ველოდოთ. მაგრამ, ჩვენზე არაა დამოკიდებული ტომების გამოცემის სიჩქარე: იგი ყოველთვის იქნება დამოკიდებული იმ მონაწილეობაზე, რომელსაც ჩვენს გამოცემაში მიიღებენ მკითხველები. ამ მონაწილეობაზე იქნება დამოკიდებული ამა თუ იმ ტომის ფასიც. ამიტომ, ვთხოვ მკითხველებს, დაგვეხმარონ ამ გამოცემაში ან მომდევნო ტომების გავრცელებაში, ან ფულადი შემოსატანით, — სულ ერთია. მ. ელპიდინის სტამბაში (Terrassière 24 Geneve), სადაც შეიძლება ამ საქმით დაინტერესებულებმა მიმართონ, ყოველთვის ხელმისაწვდომია ანგარიში შემოსული და დახარჯული თანხებისა. ეს ანგარიში ტომების გამოსვლის მიხედვით გამოქვეყნებული იქნება.

„რა ვაკეთოთ?“ გადმოვბეჭდეთ „სოვრემენნიკიდან“, 1863 წ. №№ 3, 4 და 5, სრულიად უცვლელად. ასევე გადმოვბეჭდავთ ჩერნიშევსკის დანარჩენ თხზულებებსაც. „რა ვაკეთოთ?“ შეადგენს სრული კრებულის უკანასკნელ ტომს, მაგრამ ეს რომანი დანარჩენ ტომებზე ადრეა გადაბეჭდილი იმიტომ, რომ იგი აღძრავს ინტერესს ჩერნიშევსკის თხზულებებისადმი, რომ არა ვთქვათ რა იმაზე, რომ იგი წარმოადგენს მისი მოძღვრების საყოველთაოდ ხელმისაწვდომ გადმოცემას. „რა ვაკეთოთ?“-ის შემდეგ სტამბაში წავა პირველი ტომი, რომელშიც შევა წერილები ლიტერატურულ კრიტიკაზე, მოთავსებული ჩერნიშევსკის მიერ „ოტეჩესტვენიე ზაპისკებში“ 1853, 1854 და 1855 წლებში და „სოვრემენნიკში“ 1854 და 1855 წლებში. ამ გამოცემის ხასიათისა და განსაკუთრებით ტომებში წე-

რილების განლაგების შესახებ ჩვენ ვიტყვით პირველი ტომის გამოსვლისას.

ხალხში ვრცელდებოდა და აქამდე კვლავ ვრცელდება ცენზურის მიერ აკრძალული ნაწყვეტები და მთლიანი წერილები ჩერნიშევსკისა. ვიმედოვნებთ, რომ ერთი თუ არა, მეორე მაინც გამოგვიგზავნის მათ პირველ მარჯვე შემთხვევისთანავე. ასეთი შემთხვევები კი ბევრია.

ქენევა, 20 ივნისი 1867.

25. გამომცემლეზისაგან

ნ. გ. ჩერნიშევსკის თხზულებების წინამდებარე ტომში შეტანილი წერილების დიდ ნაწილს, როგორცა ჩანს, დაკარგული აქვს ყოველგვარი მნიშვნელობა თანამედროვეობისათვის.

ამ წერილებში არ არის გარჩეული ის საკითხები, რომელნიც, ასე თუ ისე, აინტერესებს ჩვენს საზოგადოებას: მათში არაა საუბარი არც საერო დაწესებულებებზე, არც მომრიგებელ სასამართლოზე, არც მსხვილ თუ წვრილ მიწისმფლობელობაზე და, ბოლოს, არც სახეთა წარმოშობაზე. მაშ რით იპყრობენ ისინი მკითხველი საზოგადოების ყურადღებას? რას იბოვის იგი თავისთვის საინტერესოს უფ. ორდინსკის რომელიმე მსჯელობის რეცენზიაში, ან მოსკოვის ისტორიისა და სიძველეთა საზოგადოების ანტიკვარული მატეანის გარჩევაში? მაშ რა საჭირო იყო გადმობეჭდვა თოთხმეტი წლის წინ იმ ადამიანის მიერ დაწერილი წერილებისა, რომელიც მშინ გამოდიოდა ლიტერატურულ ასპარეზზე? ღირს კი მათი კითხვა?

ალბათ ყველა ეს საკითხი წამოეჭრება მკითხველს. რომელიც მეტად ძვირად აფასებს თავის დროს და ეტანება მხოლოდ უფრო საინტერესოს და თანამედროვე თხზულებებს. ამიტომ უნაყოფოთ არ მიგვაჩნია გავიხსენოთ, თუ ჩერნიშევსკის ამ შეთავაზებულ წერილებს რატომ აქვთ დღესაც მეტად სერიოზული მნიშვნელობა მკითხველი საზოგადოებისათვის.

ჩერნიშევსკი ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა ისე, რომ მას სრულიად გარკვეული შეხედულება ჰქონდა საგნებზე და მოქმედების გზაც.—სისტემად ჩამოყალიბებული. ეს შეხედულებაც და ეს სისტემაც მან შეიმუშავა ლესინგის თხზულებების შესწავლისას, რომლის პირადი ხასიათი და მოღვაწეობა განსაკუთრებით სიმპათიური იყო ჩერნიშევსკისათვის და საგანგებოდ კარგ შეფასებასაც იღებდა მისგან. ჩერნიშევსკიმ, ლესინგის მსგავსად, ლიტერატურაში თავისი პირველი ნაბიჯებისთანავე, მიზნად დაისახა შეეცვალა საზოგადოების შეხედულებანი და ცნებანი; ლესინგის მსგავსად იგი

საჭიროდ თვლიდა ეს ცვლილებები დაეწყო ცნებათა იმ არედან-რომლის მიმართაც საზოგადოება ნაკლებ გულგრილი იყო და მოეტანა მაგალითები და დასაბუთებანი თავისი შეხედულებებისა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი და მისთვის ყველაზე უფრო საინტერესო წრიდან. ჩერნიშევსკის ლიტერატურული მოღვაწეობის პირველ წლებში ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ წმინდა ლიტერატურის, ხელოვნებისა და მძიმე, ანტიკვარული მეცნიერების არე. ამის შედეგად, აუცილებლობის გამო, ჩერნიშევსკის უნდა დაეწყო საზოგადოებაში გაბატონებულ ცნებათა გადამუშავება, წმინდა ლიტერატურულ, ესთეტიკურ ცნებათა შეცვლით და მხოლოდ გაკვრით შეენიშნა, თუ რა ბევრი აკლიათ ჩვენს სწავლულებს იმისათვის, რომ მეცნიერების ნამდვილი მამოძრავებელი ყოფილიყვნენ. ასეთ ვიწრო ფარგლებში სამოქმედოდ იძულებულმა ჩერნიშევსკიმ დაიწყო „ცრუ შინაარსიანი ნაწარმოებების შინაგანი არაარობისა და უთანხმოების მხილება“, და, ნიადაგს აკლიდა რა ამით თავის მომავალ მოწინააღმდეგეთა ავტორიტეტს, თავისი მეცნიერული და ლიტერატურული მსჯელობისა და განაჩენის საფუძვლიანობითა და სიმართლით იგი თანდათან იქცევა და მკითხველთა ყურადღებას და იმსახურებდა მათ ნდობას.

მაგრამ, უფრო სერიოზული მოღვაწეობისათვის სამზადისში, იგი მხედველობიდან არ უშვებდა სინამდვილეს და, ყოველ მოსახერხებელ შემთხვევაში, ჩქარობდა როგორმე დაეკმაყოფილებინა მოთხოვნილებანი, რომელთაც თვით იგი უყენებდა რუსულ ჟურნალისტიკას — „ასწავლოს საზოგადოებას იყოს უკეთესი, ჩაუნერგოს მას სიკეთის ცნება და აღმოფხვრას მასში დაბუდებული აპატია საექვო და ზოგჯერ მავნე მოვლენათადმი“. სალიტერატურო და სამეცნიერო კრიტიკა იყო მისთვის საშუალება საზოგადოებაში მოქალაქეობრივი ცხოვრების მოვლენებისადმი ინტერესის აღძვრისათვის. ამ მიზნის მისაღწევად ჩერნიშევსკი ყველაფერს იყენებდა — მოსკოვის უნივერსიტეტის იუბილეზე უფ. სოლოვიოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვას, უფ. ბერგის თარგმანებს, უფ. ორდინსკის მსჯელობებს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც ასე თუ ისე გამოადგებოდა ნართაული თქმის საბაზად ან მიზეზად, რომ არსებობს ადამიანის სხვაგვარი პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება, ბევრად ნაკლებად ცხოველური, რომელიც სრულიადაც არ ჰგავდა იმას, როგორითაც მაშინდელი ჩვენი საზოგადოება ცხოვრობდა...

ის საზოგადოება კი ჩვენს თანამედროვე საზოგადოებას ბევრ რამეში ჰგავდა: ორმოციანი წლების ბოლოს ბელინსკისა და მისი თანამშრომლების წყალობით, აზრის წუთიერი გამოცდილების

შემდეგ, და იმდროინდელი იმედების გაუმართლებლობის შემდეგაც, რუსმა მოწინავე საზოგადოებამ დაკარგა იმედი რაიმე გამოსავლის პოვნის შესაძლებლობისა და სრულ აპათიას მიეცა, რომელიც ცუდად იფარებოდა დესპოტიზმის საშინელებისა და თავისუფლების სიკეთის ნაძალადევი პათეტიკური შეძახილების საფარველს ქვეშ. საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირველმა მარცხმა სულით დაცემული მაშინდელი ახალგაზრდობა პირადი ცხოვრების არეში მოაქცია, სადაც მან სრული თავისუფლება მისცა თავის მოუხემო და ზოგჯერ სრულიად უხეშ ინსტინქტებს. პირადი „ინტერესები“, გაგებული სრულიად ვიწრო აზრით, რაიმე უკეთესის შესახებ ყოველგვარი იმედის დაშრეტა, შიში, რომ ძლიერ-ძლივობით მოპოვებული მშვიდობიანობა და კომფორტი არ დაკარგულიყო და სურვილი, რომ მაინც რალაცნაირ სულიერად დაუცემელ მიღწევად გამოჩენილიყო, ვითომც ძველებურად მოძულე ველური ჩაგვრისა და სხვა, — აგვირგვინებდნენ მაშინდელი საზოგადოების ზნეობრივ დაცემულობას.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ რალაც ამისი მსგავსი ჩვენს ახლანდელ საზოგადოებაშიც მოიპოვება, რომელსაც ამ უკანასკნელ ხანებში მეტად განვითარებული „პატიოსანი ჩიჩიკოვობა“ ემატება. აქედან, რასაკვირველია, ის არ გამომდინარეობს, რომ ჩერნი-შევსკის მიერ გამოყენებული ღონისძიებანი მისი თანამედროვე საზოგადოების გამოფხიზლების მიზნით, ჩვენი დროისათვის საკმარისი იყოს. ახლა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი გულცივობა გაღრმავდა და ნაწილობრივ შეპირობებულია საზოგადოების მიერ არსობის პურის ლუკმისადმი მისწრაფებით. მის წინააღმდეგ ახლა საჭირო იქნება ახალი ღონისძიებანი და, რაც მთავარია, კეთილსასურველ გარემოებათა ახალი თავმოყრა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ახლანდელ დროში, ჩერნიშევსკის მიერ ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში გამოყენებულ ღონისძიებებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ. რომ არა ვთქვათ რა ამ ღონისძიებათა ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, სამოქალაქო განვითარების გაცვეთილები, დაფარულნი ჩერნიშევსკის, ერთი შეხედვით, უინტერესო წერილებში, ბევრ მკითხველს დაიხსნიდა უგვანობისა და მხოლოდ პირად ინტერესთა ბატონობისაგან და სხვებს დაეხმარებოდა საზოგადოებრივ თვითცნობისა და თვითმოქმედების ღონისძიებათა აღძვრაში.

„რა ვაკეთოთ?“ დაიბეჭდა 1000 ცალად, 1 ტომი—1320 ცალად. ჩვენ შესაძლებლობა არა გვაქვს ჩვენი გამოცემა უფრო მეტ ეგზემპლარად დავბეჭდოთ. ეს მეტად მოქმედებს წიგნის ფასზე. გარდა ამ

გარემოებისა, არსებობს სხვაც, არანაკლებ მნიშვნელოვანი. საზღვარგარეთ წიგნის საქმე ისე არაა მოწყობილი, როგორც რუსეთში. აქ წიგნის გამყიდველები არ კმაყოფილდებიან 10, 15, 20 და ზოგჯერ 25%-ს დათმობით. გარდა ამისა, ყველა გამომცემლობისათვის საერთო უხერხულობის გარდა, ჩვენთვის სიძვირის განსაკუთრებული მიზეზი არსებობს.

საკუთარს საღსრებს მინდობილთ ჩვენ გაჭირვებით შეგვეძლო წელიწადში ერთი ტომის გამოცემა. ამგვარ მდგომარეობაში სამძიმო იქნებოდა საქმისათვის ხელის მოკიდება. წიგნით მოვაჭრე უფ. ბენდამ შემოგვთავაზა თავისი დახმარება — ქალაქისა და ტირაჟის საშუალებათათვის კრედიტის მოცემით. უფ. ბენდა ამ საქმეში ვერ იხელმძღვანელებდა განსაკუთრებული სურვილით, რომ რუსი საზოგადოებისათვის თავისი თავის რეკომენდაცია მიეცა: მას არ შეეძლო მხედველობიდან გამოეშვა თავისი ინტერესებიც და შემოგვთავაზა პირობა — ყოფილიყო ჩვენი გამოცემის ერთადერთი უშუალო დეპოზიტორი.

მთავარი დეპოზიტორი წიგნების საკომისიოდ გადაცემისას წიგნით მოვაჭრეებს დაახლოებით 25%-ს უთმობს და თვითუფლ გაყიდულ ათ წიგნზე აძლევს ერთ მუქთა ეგზემპლარს, რომ აღარ ვილაპარაკოთ გასაგზავნ ხარჯებზე, რაც მას მოსდის. მთავარ დეპოზიტორსვე ედება დაკარგული ცალებიც, ე. ი. ის ცალები, რომელნიც აღარ ბრუნდება წიგნის წვრილი მოვაჭრეთაგან, რომელთაც ხშირად აქვთ ჩვეულება გაუჩუმდნენ მთავარი დეპოზიტორის შეკითხვებსა და მოთხოვნებს. თავისთავად ცხადია, ამ უკანასკნელს არ შეუძლია არ გაითვალისწინოს ყველა ეს ხარჯი, და ამიტომაც თავის მხრით იგი მოითხოვს 50%-ის დაკლებას და მუქთ ცალებს წიგნით მოვაჭრეთათვის.

ჩვენ სიამოვნებით მივიღეთ უფ. ბენდას წინადადება და პირობები და სრულიადაც არ ვუსაყვედურებთ მას ამის გამო. პირიქით, ჩვენ არასოდეს დავივიწყებთ სამსახურს, გაწეულს კაცისაგან, რომელიც ჩერნიშევსკის თხზულებებს იცნობს მხოლოდ ჩვენი ახსნით, როცა სხვები, რომელთაც შეგნებული აქვთ ამ თხზულებათა გამოცემის მნიშვნელობა, თავის დახმარებას ფარგლავენ უნაყოფო სურვილებით, ანდა ჩვენ საქმეს ხელს უშლიან არაკეთილმოსურნეობითა და ინტრიგით.

ყველა ამის შესახებ მხოლოდ იმიტომ ვამბობთ, რომ პიროვნებანი, რომელნიც არ იცნობენ წიგნის საქმეს, ხშირად ჩივიან რომან „რა ვაკეთოთ?“-ის „უზომო სიძვირზე“. ახლა მათგან ვითხოვთ ყურადიღონ ჩვენი განმარტება და ტყუილად აღარ გვისაყვედურონ.

საზღვარგარეთელი რუსი გამომცემელი, ჩვენზედ უკეთ მოწყობილნი მატერიალურის მხრით, ამ აუცილებლობას ემორჩილებიან. ჩვენ, მით უფრო, არ შეგვეძლო არ დავმორჩილებულიყავით მას.

ნ. გ. ჩერნიშევსკის თხზულებების პირველ ტომს გამოსვლა დაავიანდა: შემოდგომის ნაცვლად, როგორც ჩვენ დავპირდით მკითხველებს, „რა ვაკეთოთ?“-ის გამოსვლისას, იგი გაზაფხულზე ქვეყნდება. მკითხველები, ვიმედოვნებთ გვაპატიებენ, როცა გაიგებენ, რომ ამ ტომისთვის საჭირო შრიფტები, ჩვენ მიერ ჯერ კიდევ „რა ვაკეთოთ?“-ის გამოსვლამდე დაკვეთილი, ოქტომბრის მეორე ნახევარში იქნა მიღებული. მეორე ტომი დასაბეჭდად გადაეცა პირველი ტომის გამოსვლისთანავე და იმედი გვაქვს გამოვუშვებთ მიმდინარე წლის სექტემბრისათვის, თუკი ამას რაიმე სრულიად გაუთვალისწინებელი გარემოებანი ხელს არ შეუშლის.

ტომებში განაწილებისას წერილები დავყავით შემდეგნაირად: 1) ლიტერატურული და მეცნიერული კრიტიკა. 2) ლიტერატურის ისტორიის მონოგრაფიები (რუსული ლიტერატურის გოგოლის პერიოდის კრიტიკა და ლესინგი). 3) ისტორიული მონოგრაფიები (საფრანგეთის 1815 წლიდან 1825 წლამდე ისტორიიდან). 4) წერილები პოლიტიკურ ეკონომიაზე. 5) პუბლიცისტიკა. 6) სხვადასხვა წერილები. ლიტერატურული კრიტიკის დასაწყისში მოვათავსეთ ჩერნიშევსკის ზოგადი წერილები ხელოვნების მნიშვნელობაზე იმ აზრით, რომ მისი ძირითადი შეხედულებების წინასწარი გაცნობის გარეშე მკითხველი შეიძლება ადვილად შეცდეს ჩერნიშევსკის ამა თუ იმ კრიტიკული წერილის მნიშვნელობის შესახებ.

პირველ ტომში ვერ შევიტანეთ ჩერნიშევსკის შემდეგი წერილები, რომელნიც, ვეცდებით მეორე ტომს დავურთოთ: გაბრიელ ოჟიე („სოვრემ“, 1854. № 1), უფ. ავდევეის რომანები და მოთხრობები (№ 2), სიღარიბე მანკი არ არის (№ 5), სიცოცხლის სამი დრა (№ 5), მიწათმფლობელობისა და მოგზაურობათა მალაზია (1855, № 1), მოსკოვის მესამოვრე (№ 1), ავ. ნოროვის მოგზაურობა („ოტ. ზაბ.“ 1855, № 1), ბიზანტიის ალყა და აღება თურქეთიდან (№ 3).

ზედმეტად არ ჩავთვალეთ გაგვეხსენებინა მკითხველთათვის შემდეგი სტრიქონები ნ. გ. ჩერნიშევსკის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემის შესახებ, მოთავსებული ჩვენს მიერ „რა ვაკეთოთ?“-ის წინასიტყვაობაში: „ჩვენი საღსრები მეტად შეზღუდულია შედარებით იმ ხარჯებთან, რაც აუცილებელია თორმეტი ტომის გამოსაცემად. ამ გამოცემას შევუდევით მტკიცე რწმენით, რომ, რაც არ უნდა იყოს, ბოლომდე მივიყვანოთ იგი და მისი შეწყვეტა არავითარ შემთხვევაში არ იქნება მანამდე, ვიდრე თვით რუსეთში არ

შეუდგებიან ასეთ გამოცემას. ამას კი, ჯერჯერობით, შეუძლებელია მოველოდოთ. მაგრამ ჩვენზე არაა დამოკიდებული ტომების გამოცემის სიჩქარე: იგი ყოველთვის იქნება დამოკიდებული იმ მონაწილეობაზე, რომელსაც ჩვენ გამოცემაში მიიღებენ მკითხველები. ამ მონაწილეობაზევე იქნება დამოკიდებული ამათუიმ ტომის ფასიც. ამიტომ ვთხოვთ მკითხველებს, დაგვეხმარონ ამ გამოცემაში ან გამოცემული ტომების გავრცელებით, ან ფულადი შემოსატანით, — სულ ერთია. მ. ელპიდინის სტამბაში (24 Terrassiere, Ceneve), სადაც შეიძლება ამ საქმით დაინტერესებულებმა მიმართონ, ყოველთვის ხელმისაწვდომია ანგარიში შემოსული და დახარჯული თანხებისა, ეს ანგარიში ტომების გამოსვლის მიხედვით გამოქვეყნებული იქნება“.

საჭიროლა იქნება დავუროთოთ, რომ გამოცემის მთელი წმინდა შემოსავალი განკუთვნილია ჩერნიშევსკის მემკვიდრეებისათვის და რომ მათ სახელზე იქნება შეტანილი უცხოეთის რომელიმე ბანკში?

ა ნ გ ა რ ი შ ი

მიღებული და დახარჯული თანხებისა

I. რომან „რა ვაკეთოთ?“ გამოცემაზე

მიღებულია	ფრ. სან.	და ხ ა რ ჯ უ ლ ი ა	ფრ. სან.
ბ. XXX საგან	85	30 1/2 თაბახის აწყობა	915
ა. ქუჩუკისაგან	151	ქალაღი	438—75
ა. სეონო—სოლოვიოვიჩი-საგან	155	ტირაქი	295
1234-საგან	100	შეკინძვა	120
ნ. ე.-საგან	10	ყდა (ქალაღი და და-ბეჭდვა)	15
XXX-საგან	5	წვრილი ხარჯები	45
9-საგან	40		
სერ.-საგან	50		
—X—საგან	278—80		
რ. ნ.-საგან			
სესზის სახით			
სამ-ისაგან	340		

სულ 1214—80

სულ 1828—77

დეფიციტი—613—95

II. „რა ვაკეთოთ?“ (გაყიდულია ერთიანად) მიღებული ნაჯუკრი 3000 ფრ. ამ თანხიდან

დაუბრუნდა სამ-ს	340
„რა ვაკეთოთ?“ დეფიციტი	613—95
შრიფტები (კურსივი, პეტრიტი, ციცე-როს დამატება და სათაური)	705—56
ამ შრიფტებზე დამატება	19—75
იგივე (ბერნიდან)	55—80
იგივე (ჟენევიდან) და კასა	63—
შრიფტის მოტანა ფრანკფურტიდან	46—50

სულ 1844—95

III. ნ. გ. ჩერნიშევსკის თხზულებების I ტომის გამოცემისათვის *.

მიღებულია

დახარჯულია

	ფრ. სან.		ფრ. სან.
„რა ვაკეთოთ?“-ისგან	1155-5	740 ათას ასოს ციცეროთი აწყ.	444
დარჩენილი			
მერანადან უცნობისაგან	100	114 ათასი პეტიტის ასოს აწყობა	8550—
1234-საგან	50	26 თაბახის გვერდ. შეკერა	78
კ. გ.-საგან	20	დამტარებელს	25
პ-ეებისაგან	55	ქალაღდი	459
სამხ. და სპ.-საგან	24	ტირაჟი	291—20
დღმ.-საგან	8	აკინძვა	145
რ. ნ.-საგან	59	გარეკანი	28
უფ. ბუნდას მეშვეობით	12	სტამბის შენობა	100
		განათება	30
		გათბობა	20
		წვრილი სასტამბო ხარჯები	25—10
		ერთი თაბახის გადაბეჭდვა	47'

სულ 1483—5

სულ 1778—80
დეფიციტის 294—75

უფრო დაწვრილებითი ანგარიში ჩვენი გამოცემით დაინტერესებულთათვის ყოველთვის ხელმისაწვდომია სტამბაში.

* ამ ტომში აღებული ფული ჩვენს განკარგულებაში იქნება არაუადრეს 1869 წლის მაისისა.

26. ევროპის ცხოვრება

ნარკვევი პირველი

მკითხველისათვის ახალი ამბავი არ იქნებოდა, თუ ვიტყვოდით, რომ ამჟამად ევროპის საზოგადოებას გულწრფელად სწადია საგარეო და შინაური მშვიდობიანობა დაიცვას და მომავალში მის განსამტკიცებლად სერიოზული ზომები მიიღოს. ვინ არ იცის ეს? ვისაც ხელში აუღია ერთი რომელიმე დამოუკიდებელი გაზეთი; ვისაც ყურადღება მიუქცევია იმისათვის, თუ როგორ მოსწონს საზოგადოებას ის ბელეტრისტული და პუბლიცისტური ნაწარმოებნი, სადაც პროტესტია გამოთქმული სამხედრო განზრახვების წინააღმდეგ და ფარდა აქვს ახდილი ეგრეთწოდებულ სამხედრო დიდებისაგან გამოწვეულ აუტანელ მდგომარეობას; დაბოლოს, — ვისაც ახსოვს ათასნაირი „კონგრესები“, „საზოგადოებანი“, „ასოციაციები“, „ლიგები“ და სხვა „სამშვიდობოები“, — იგი ულაპარაკოდ და სიამოვნებით დაგვეთანხმება, რომ ამჟამად ევროპაში მართლაც სამშვიდობო განწყობილებებია გამეფებული.

ვიმეორებთ, რომ ვინც თანამედროვე საქმის ვითარებას იცნობს, მას ეჭვი არ შეეპარება ევროპის საზოგადოების ამ სამშვიდობო განწყობილებებში. ეს კიდევ ცოტაა. საფრანგეთში მომხდარი სხვადასხვა დემონსტრაციები, რომელნიც ბევრჯერ ქუჩაში ხელჩართული ბრძოლით დამთავრებულა, იმას მოწმობს, რომ სამშვიდობო განწყობილებებს საზოგადოებაში ფესვი უფრო ღრმადა აქვთ გადგმული. ბევრი კიდევ ფიქრობს, რომ ამჟამად მთელი დასავლეთ ევროპის ფიქრსა და ოცნებას მხოლოდ მშვიდობიანობა შეადგენს.

აი საკითხი, რომლის შესახებ ყველას ერთნაირი შეხედულება არა აქვს. და ჩვენც პირველი პოლიტიკური ნარკვევის საგნათ ავირჩიეთ საკითხი — რამდენად სერიოზული და მტკიცეა ევროპის საზოგადოების დღევანდელი განწყობილება და, მაშასადამე, რამდენად საიმედოა მისი გადასვლა ცოტად თუ ბევრად კატომოყვარე სურვილების სფეროდან ცხოვრების სფეროში.

სამხედრო ძალადობის წინააღმდეგ დაწყებული რეაქციის პირველ სერიოზულ ნიშანს წარმოადგენდა ერკმან-შატრიანის ბელეტრისტული ნარკვევები, რომელთა გამოქვეყნებაც დაიწყო მექსიკის ექსპედიციის დაწყების შემდეგ. ამ ნარკვევების ზღაპრულად დიდი მოწონება და გასავალი, ავტორის აზრით, მიეწერებოდა არა ამ მწერლების ლიტერატურულ ნიქს, არამედ საზოგადოებაში გაღვიძებულ შეგნებას, რომ დაწყებულ ომიანობას ზიანის მეტი სარგებლობა არ მოჰქონდა და, გარდა ამისა, იგი საგრძნობ ტვირთად აწეებოდა ქვეყანას. ამ ძირითად მოტივში ავტორებსა და საზოგადოებას შორის სრული თანხმობა სუფევდა. ნარკვევების ავტორნი საზოგადოების შეხედულებებს იზიარებდნენ ცხოვრების სხვა დანარჩენ საკითხებზედაც. ასე რომ არ ყოფილიყო, მათ ნარკვევებს არავითარი გასავალი არ ექნებოდათ და საქმე დაბოლოვდებოდა მხოლოდ და მხოლოდ პირველი პროტესტით მთავრობის ყაზარმული სულისკვეთების წინააღმდეგ. მაშასადამე, ერკმან-შატრიანის ნარკვევების საერთო მოტივს შეუძლია ასე თუ ისე დაასლოვებითი წარმოდგენა მოგვეცეს ფრანგული საზოგადოების სამშვიდობო განწყობილებათა მთავარი საფუძვლების შესახებ. ეს საერთო მოტივი რამდენიმე სიტყვით ასე შეიძლება გამოიხატოს:

ჩვენო, — ამბობენ ერკმან-შატრიანის ნაწარმოებთა მოქმედნი ან მოსაუბრე პირები, — ძლიერ კმაყოფილნი ვართ 1789 წლ. რევოლუციით, იმიტომ, რომ მან მოგვანიჭა თავისუფლება და აგრეთვე, უფლებები, რომელთაც ფეოდალ მებატონეთა აზრით ჩვენ მოკლებულნი უნდა ვყოფილიყავით. ეხლა ჩვენ თავს ბედნიერად ეგონებთ, რადგან შეგვიძლია სადაც გვინდა და როგორც გვინდა ისე ვიმუშაოთ. მაშ დაგვანებეთ თავი, მოგვეციოთ საშუალება ჩვენთვის მყუდროთ ვიშრომოთ, არ გვინდა არც თქვენი წყალობა, არც თქვენი დიდება. ჩვენ გვსურს გულდამშვიდებით ვისარგებლოთ ჩვენი მონაგარით. ჩვენ არც არავინ გვძულს იმდენად, რომ სამკედრო-სასიციოცხლო ბრძოლა გამოვუცხადოთ, — არც არავინ გვიყვარს იმზომად, რომ მის დასაცავად ვიბრძოლოთ. ჩვენ გვიყვარს ჩვენი ცხოვრება და ჩვენი დოვლათი. მოგვეციოთ საშუალება მოვიხმაროთ იგი.

თუ ჩვენი დასკვნა ფრანგული საზოგადოების სოლიდარობის შესახებ ერკმან-შატრიანის ნაწარმოებთა ზემოთ დასახელებულ ძირითად მოტივთან სიმართლეს შეიცავს, მის გარდა კიდევ სხვა დამამტკიცებელ საბუთად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ის დიდი წარმატება, რომლითაც სამშვიდობო „კონგრესები“ და „ლიგები“ სარგებლობდნენ.

და მართლაც, გასული წლის შემოდგომაზე ქენევაში შეიკრიბა ცნობილი სამშვიდობო კონგრესი¹¹³. ამ კონგრესისადმი აღძრულმა ინტერესებმა, ჯერ კიდევ მისი სხდომების გახსნამდე, — ყოველივე საზღვრებს გადააჭარბა, რასაც თვით კონგრესის ენტუზიასტიებიც კი არ მოელოდნენ. ევროპის ყველა კუთხიდან, საზოგადოების ყველა ფენიდან მოდიოდა მოლოცვები, შეთანხმებები და, ასე გასინჯეთ, ფულიც. ქენევა ხომ სრულიად გაივსო ხალხით, იმ ხანებში მას რამოდენიმე ათასი კაცი მოაწყდა, რაც მარტო ამ ხალხის ცნობისმოყვარეობით არ იყო გამოწვეული. ყველას მშვიდობიანობა ეკერა პირზე, ყველას სწყუროდა იგი; მაგრამ, როდესაც ორატორების უმრავლესობამ „უკიდურესი შეხედულებები“ გამოსთქვა „დესპოტიური“ მთავრობის შესახებ და როდესაც ორიოდ გულუბრყვილო ყმაწვილმა კრინტი დასძრა იმ კავშირის შესახებ, რომელიც პოლიტიკურ და სოციალურ რეფორმათა შორის არსებობს, — საზოგადოებამ კონგრესს აშკარად და დაუფარავად ზურგი უჩვენა და ეხლა რამდენიმე წევრის მიერ დაარსებული „მუდმივი კომიტეტი“, საზოგადოების სრული გულგრილობით გარემოცული, განაგრძობს მუშაობას.

საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენლებმა, დამოუკიდებელმა გაზეთებმა, ქენევის კონგრესს გამოთხოვებისას თითქმის ერთსულოვნად უმღერეს შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ გვწადია მშვიდობიანობა, მაგრამ არა გვსურს ის ორომტრიალი, რომელსაც თქვენ გვთავაზობთ და თანაც აცხადებთ, რომ უიმისოდ მშვიდობიანობის მიღწევა შეუძლებელია“.

ჩვენ შეგვეძლო კიდევ მრავალი სხვა ფაქტის მოყვანა, რომ უფრო თვალსაჩინოდ გაგვეხადა თანამედროვე საზოგადოებრივი განწყობილების ძირითადი თვისებები, მაგრამ აქ ეს ორიც საკმარისია. თუ არ ვცდებით, აქედან სულ უბრალო დასკვნა გამომდინარეობს: მთავრობით უკმაყოფილო ბურჟუაზიას საქმის ვითარების შეცვლა სწადია და სამშვიდობო პოლიტიკას თანაუგრძნობს. მაგრამ მას ერთი ბიჯის წაღმაც კი არ სურს თავისი სურვილების სისრულეში მოსაყვანად.

ყოველი საზოგადოების ცხოვრებაში დამდგარა მსგავსი მომენტები. ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ჩვენში ბევრი ცრემლი დაღვრილა ბ. გრიგოროვიჩის ნარკვევებზე გლუხების ცხოვრებიდან და ბ. ტურგენევის „მონადირის მოთხრობებზე“; საბრალო გლუხის, ანუ, როგორც შემდეგში ბ. შჩედრინი დასცინოდა, „საბრალო პეიზაჟების“ ცხოვრებას თანაუგრძნობდა ყოველი მკითხველი, ვისაც კი იოტის ოდენი პრეტენზია მაინც ჰქონდა გა-

ნათლებზე. მაინც, ვინ არ აცხადებდა ამ პრეტენზიას! მაგრამ ასეთი თანაგრძნობა სრულიადაც არ უშლიდა ხელს იმავე მკითხველებს, „აეწიოკებინათ ათასი გლეხი, რომ როგორმე თავდავიწყებას მისცემოდენ“. ამგვარადვე დღევანდელ ჩვენს საზოგადოებაში იშვიათად შეგხვდებით ადამიანი, რომ არ თანაუგრძნობდეს „სოკრემენიკ“-ის აღშფოთებას, რომელიც გამოწვეულია „სხვისი პურის ქამისაგან“. მაგრამ ეს გარემოება მას მაინც არ უშლის ხელს „მის მიწაზე დასახლებულ“ გლეხებს მოსთხოვოს და ძალით წაგლიჯოს უკვე არა დალა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ „ქირა მიწით სარგებლობისათვის“ და სხვა.

საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთ მომენტებს შეიძლება „სენტემენტალობის მომენტები“ ეწოდოს. ასეთი მომენტები ყოველთვის და ყოველგან წინ უსწრებდა იმ საკითხის სერიოზულ და პრაქტიკულ განხილვას, რომელმაც საზოგადოების ბუნდოვანი თანაგრძნობა გამოიწვია. ეს არის ისტორიული პროგრესის ერთი კანონთაგანი. და ისევე, როგორც ბ. ბ. გრიგოროვიჩისა და ტურგენევის ძალიან ბევრი გულშემატკივარი მკითხველი, როდესაც საქმე ძალიან ახლო შეეხო მის ჯიბეს, ბატონყმობის გაუსწორებელი მომხრე აღმოჩნდა, ამგვარადვე ბევრი თანამედროვე მშვიდობიანობის მოყვარული ომის მომხრედ აღმოჩნდება, როდესაც საკითხი, მისი სერიოზული გადაწყვეტის მიზნით, პრაქტიკულ ნიადაგზე იქნება დაყენებული. მაშასადამე, თუ ჩვენ მოვისურვებთ გავიგოთ, ვის მხარეზე იქნება დაახლოვებით თანამედროვე საზოგადოების სიმპათიები, ჩვენ უნდა ვსცადოთ და გამოვარკვიოთ, თუ პრაქტიკულად ვის ინტერესებს შელახავს სერიოზული განიარაღება*.

საფრანგეთი ინახავს 400.000 კაცისაგან შემდგარ არმიას (1867—1868 წ. წ. არმიის რიცხვი უდრიდა 396.713 კაცს), მის ფლოტში ითვლება 90.365 კაცი, გარდა ამისა, რეზერვში 1865 წ. ითვლებოდა 214.000 კაცი. ჩვენ არ შევცდებოდით, თუ საზოგადოებასთან ერთად საფრანგეთის მთავრობის სამხედრო ძალების რაოდენობად 600.000 კაცს მივიღებდით.

საფრანგეთის ფლოტი ერთი ცნობით შედგება 408, მეორე ცნობით — 478 და მესამე ცნობით — 503 სხვადასხვა ზომისა და აგებულობის (ჯავშნიანი, იალქნიანი და ორთქლმძავალი) გემისაგან.

ამ ურიცხვ სამხედრო ძალას საომარი დანიშნულება აქვს. რადგან ასეა, მას სჭირდება სამხედრო იარაღები, უკანასკნელი კი მზად-

* სიმოკლისთვის ვიღებ იმ ფაქტებს, რომელიც მხოლოდ საფრანგეთს შეეხება. სხვა სახელმწიფოებისგანაც იმავე დასკვნას მივიღებთ.

დება ოთხ თოფიარალის ქარხანაში, სადაც 8—10 ათას კაცამდე მუშაობს, სამ ვეებერთელა ლითონის ჩამომსხმელ ქარხანაში, ხუთ თოფისწამლის დამამზადებელ (სელიტრისა და გოგირდის დამზადებას თუ არ ჩავთვლით) და 2 კაპსულის დამამზადებელ დაწესებულებაში. ყველა ეს ქარხანა მთავრობის ხელშია. გარდა ამისა, სამხედრო ტყვია-წამალს ამზადებენ უამრავ კერძო ქარხანაში, სახელოსნოში, სამკედლოში და სხვაგან.

გარდა ამისა ომიანობას შეიძლება შედეგად მოჰყვეს საფრანგეთში მტრების შემოსევა. მაშასადამე, საჭიროა თავდასაცავ სამუშაოთა მთელი სერიის ჩატარება. თავდაცვის მიზნით საფრანგეთს ამჟამად მოეპოვება 94 ციხე-სიმაგრე, 100 სხვადასხვა სახის სიმაგრე და ფორტი, რომელიც მუდამ მოითხოვს დამატებით სამუშაოებს, გადაკეთებას და სხვა და სხვა. ციხე-სიმაგრეთა მოსაწყობ სამუშაოებში, საფრანგეთში, კალატოზებისა და მიწის მთხრელების მთელი არმია არის ჩაბმული.

არმიას სჭირდება ტანისამოსი, სჭირდება ტილო, მაუდი, გალუნები და სხვა, რომლის დამზადებაში ურიცხვი მუშა-ხელია დაბანდებული. სამხედრო და საზღვაო სამინისტროს შეკვეთები წარმოადგენს ფრანგული მანუფაქტურის ნახევარის ერთად-ერთ შემოსავლის წყაროს და, მაშასადამე, მრავალი ათასი მუშის ერთად-ერთ საცხოვრებელ წყაროს. საფრანგეთის თითქმის მთელი ზღვის სანაპირო ზოლი ცხოვრობს საფრანგეთის ფლოტით და საფრანგეთის ფლოტისათვის. დოკებში, მექანიკურ სახელოსნოებში, ლითონის ჩამომსხმელ ქარხნებში, ხე-ტყის ქარხნებში და სხვა და სხვა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო ფლოტის საჭიროებისათვის მუშაობენ, ჩაბმულია მუშათა საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარი. ჩვენ არ მოგვეპოვება ზუსტი სტატისტიკური ციფრები მუშათა იმ რაოდენობის შესახებ, რომელიც ჩაბმულია საფრანგეთის მთავრობის სამუშაოებში. მაგრამ ეს ვერ აბათილებს იმ აზრს, რომ საფრანგეთში მრეწველობის საგრძნობი ნაწილი სავსებით დამოკიდებულია საფრანგეთის სამხედრო არსებობაზე.

მაშასადამე, ყოველგვარი ცვლილება სამხედრო ორგანიზაციაში, ყოველგვარი ნამდვილი შემცირება ჯარის რაოდენობისა და, მით უმეტეს, სრული განიარაღება, ძირს უთხრის და ანადგურებს ფრანგული მრეწველობის საგრძნობ ნაწილს, ულუყმა-პუროდ სტოვებს ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშათა უამრავ რიცხვს. მისთვის, ვინც იცნობს მრეწველობის მდგომარეობას, ამით უკვე ბევრია ნათქვამი.

წავიდეთ ქვემოთ. სრული განიარაღება მშვიდობიანობის ერთადერთ მტკიცე გარანტიას წარმოადგენს. ეს უკვე სრული დამაჯერებლობით არის დამტკიცებული. მაგრამ რას ნიშნავს საფრანგეთის სრული განიარაღება? ეს ნიშნავს ექვსასი ათასი ადამიანის განთავისუფლებას, რომელიც იკვებებოდა ხალხის ხარჯზე; თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ამ ადამიანებმა თითქმის არავითარი ხელობა არ იციან, — საკითხავია, რა დაემართება მრეწველობას, რა დღეში ჩავარდებიან მუშები, როდესაც გაჩნდება ეს ურიცხვი ახალი მუშახელი, რომელიც მოითხოვს სამუშაოს. და ეს იმ დროს, როდესაც მუშათა არსებული რიცხვიც ზედმეტია დღევანდელი შეკვეთების დასამზადებლად, — ეს შეკვეთები, სრული განიარაღების დროს, ყოველ ეკვს გარეშეა, სანახევროდ შემცირდება.

ვინც იცნობს მრეწველობის ვითარებას, მისთვის ცხადია, თუ რა გავლენას ახდენს მთლიანად მრეწველობაზე ერთ რომელიმე მის დარგში გამეფებული ასე თუ ისე ხანგრძლივი კრიზისი. სრული განიარაღების შემთხვევაში კი სამრეწველო კრიზისი განუსაზღვრელად გაიზრდება და გავრცელდება არა მარტო წარმოების, არამედ მოხმარების ყველა სფეროზე. ცნობილია, რომ მხედრობა წარმოადგენს მომხმარებელთა საგრძნობ ნაწილს. არმიის გაუქმებით მრეწველობა დაჰკარგავს ამ მომხმარებლებს. მოისპობა შესაძლებლობა მუშა-მოსახლეობის ზედმეტი ნაწილის არმიაში გამოყენებისა, ვინაიდან ცნობილია, რომ ყოველწლიურად 10 ან 12 ათასი კაცი თავისი ნებით ეწერებოდა ჯარში. ყოველივე ეს გავლენას იქონიებს მრეწველობის იმ დარგზე, რომლებიც არმიის არსებობით უშუალოდ არ არიან დაინტერესებულნი და რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი.

არის სხვა უხერხულობაც: მუდმივი ჯარის გაუქმება შეამცირებს სახელმწიფო შემოსავალს, რადგანაც გაუქმდება მრეწველობის მთელი დარგი და ასეულ ათასს მუშას არამც თუ არ შეეძლება თავისი გადასახადების გადახდა, არამედ, ვინ იცის, შეიძლება მათ კიდევ მოსთხოვონ მთავრობას პურისა და სამუშაოს მიცემა. მათვე მიემატება, ალბათ, დღევანდელი ჯარისკაცების უდიდესი ნაწილი, რომელსაც უნდა მიეცეს ხომ რაიმე, თუ სახელმწიფოს არ უნდა, რომ ისინი ყაჩაღებად გადაიქცნენ. მაშასადამე, სერიოზულ განიარაღებას შედეგად მოჰყვება: 1) საფრანგეთის მრეწველობის მნიშვნელოვანი ნაწილის გაუქმება და 2) მომხმარებელთა რიცხვის შემცირება მრეწველობის დანარჩენი ნაწილისათვის, რაც გამოიწვევს 3) სახელმწიფო შემოსავლთა შემცირებას, 4) ხარკების უაღრესად გა-

დიდებას, 5) წინანდელთან შედარებით ორჯერ შემცირებულ მრეწველობაზე მილიონობით მუშა-ხელის მისევას.

თუ ამ საკითხს ზერელედ შევხედავთ, შეიძლება ვიფიქროთ შემდეგი: „არსებითად მოიმატებს მუშა-ხელისა და არა კუჭების რიცხვი, რადგანაც არმია ხომ სჭამდა რამეს. მაშასადამე, ცვლილება დიდო არ იქნება. უნაყოფო ქამის მაგივრად ახლანდელი არმია რაიმე ნაწარმს მაინც შეჰქმნის“.

ასეთი დასკვნა უსაფუძვლო იქნება. საფრანგეთში ძალიან ცოტა პური მოდის, მას ყოველწლიურად თავისი მოსახლეობის გამოსაკვებად მილიონ-ნახევარი ჰექტო-ლიტრი პური ესაჭიროება. ამ მილიონ-ნახევარ ჰექტო-ლიტრს საფრანგეთი იმ ფულით ყიდულობს, რომელსაც იგი სესხულობს მომავალი შემოსავლის ანგარიშში, ეს შემოსავალი კი არსაიდან არ არის მოსალოდნელი.

12 წლის განმავლობაში (1852—1864) საფრანგეთის ყოველწლიური დეფიციტი საშუალოდ უდრიდა 642.592.758 ფრანკს. ასე რომ, 1864 წლისათვის სახელმწიფო ვალის რაოდენობა გაიზარდა. 14.370.113.100 ფრანკამდე, ნაცვლად 6.662.000.000 ფრანკისა. 1852 წელს.

სტატისტიკის თანამედროვე მდგომარეობა საშუალებას არ იძლევა ჩვენი ნარკვევის ამ ნაწილს სავსებით მეცნიერული ხასიათი მივცეთ. ალბათ ჩვენი დაახლოებებითი ჰიპოტეტური დასკვნები გაუბათილებელი მეცნიერული დასკვნების ხასიათს მიიღებდნენ, რომ საფრანგეთის სტატისტიკა დაწვრილებით ყოფილიყო დამუშავებული და რომ დიპლომატიური, ადმინისტრატიული და სავაჭრო ჩვეულებები უცხო თვალთაგან ჰეშმარიტებას არ მალავდნენ რაც არ უნდა ვთქვათ, სტატისტიკის თანამედროვე მდგომარეობაში, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ წინასწარი შეხედულებები გამოვსთქვათ. ვინაიდან თავის მხრივ მკითხველებიც, ჩვენი დასკვნების შემოწმების დროს, წინასწარ შეხედულებებს დაემყარებიან, — საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ საკმაოდ ვიცნობთ იმ საბუთებს, რომლებიც მკითხველთა აზრით თითქოს ცხადად მოწმობენ ჩვენი წინასწარ შეხედულებების შეცდომას. „რატომ არის, — ფიქრობს მკითხველი, — რომ შვეიცარიას შეუძლია იცხოვროს მუდმივი არმიის გარეშე, აგრეთვე ამერიკასაც? ბოლოს და ბოლოს, განა უმჯობესი არ არის, ამდენი მუშა-ხელის ტყუილ-უბრალოდ გაცდენის მაგიერ მისი გამოყენება მიწათ-მოქმედებაში, რომელიც მუშა-ხელის უკიდურეს ნაკლებობას განიცდის?“.

შვეიცარია მეზობელ ქვეყნებისათვის მუშაობს. მისი ქარხნები და ფაბრიკები მუშაობენ საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, რუ-

სეთისა და ამერიკისათვის. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ამტკიცებს. ზედმეტი მუშა-ხელი მუდამ ემიგრაციაში მიდის — ამერიკაში, აფრიკაში, დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოებში და სხვა, — ეს ყველასათვის ცნობილი ამბავია.

ამერიკა სათვალავში არ არის მისაღები. იქ მრეწველობა საუკუნოებით არ შესჩვევია ნახევარმილიონიანი არმიის არსებობას, არ შეწყობია მის მოთხოვნილებებს და სპეკულაცია არ გაუწევია მას-ზე. ამერიკული მრეწველობა დიდი ხანი არ არის რაც ჩაისახა; იგი განვითარდა არა მთავრობის შეკვეთების წყალობით, არამედ კოლონიზაციის ნამდვილ საჭიროებათა გამო და ეხლა იგი ემყარება არა მდიდარ კლასებს, რომელთაც თავისი პრივილეგიებისა და სკივრების დასაცავად ხიშტები და კარტეჩი სჭირდებათ. გარდა ამისა, ერთხელ და სამუდამოდ გამოგტყდეთ, ბატონებო, რომ ჩვენ ძალიან ცუდად ვიცნობთ ამერიკას. ამბობენ, რომ იგი არც ისეთ არკადიას წარმოადგენს, როგორც ეს ჩვენ გულუბრყვილო იდეალისტებსა და არა ნაკლებ გულუბრყვილო რესპუბლიკელებს წარმოუდგენიათ.

რაც შეეხება მიწათმოქმედებას, რომელსაც თითქოს მუშა-ხელი ესაჭიროებოდეს, ეს მეტად შემცდარი შეხედულებაა. იგი ფრანგმა ლიბერალებმა გაავრცელეს, რომ ხასიათი გაეფუჭებინათ გიუსმანისათვის. საფრანგეთი არც ისე მდიდარია მიწით, რომ მან მიწათმოქმედებაში ნახევარი მილიონი ახალი მუშაკის ჩაბმა შეძლოს, მაშინ, როდესაც ეხლანდელი მიწათმოქმედნიც ძლივსძლივობით შოულობენ სამუშაოს. ეს დაამტკიცა ცნობილმა „სამიწათმოქმედლო გამოძიებამ“, რომელიც 1866 წელს ჩატარდა მიწათმოქმედთა გამუდმებული ჩივილისა და წუწუნის გამო, რომ ოთხი წლის განმავლობაში კარგმა მოსავალმა მეტის-მეტად დასწია პურის ფასებში.

ჩვენ, რამდენადაც შეგვეძლო, აღვნიშნეთ სიძნელეთა ერთი მხარე — პრაქტიკული, ეკონომიური. პოლიტიკურ მხარეზე ჩვენ ჯერ-ჯერობით არ ვილაპარაკებთ. მაგრამ რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს ეს სიძნელენი, მუდმივი არმიის გაუქმება უფრო დიდ აუცილებლობას წარმოადგენს. ეს აუცილებლობა გამომდინარეობს შემდეგიდან: წინათ მთავრობები ომისა და ჯარის საჭიროებისათვის სახელმწიფო შემოსავლის უმეტეს ნაწილს ხარჯავდნენ. როდესაც ამ შემოსავალმა არ იკმარა, ისინი შეუდგნენ სესხის აღებას, მაგრამ პატიოსანი სესხის აღებას. შემდეგ, როდესაც გონიერმა ხალხმა ფულის გასესხებაზე უარი სთქვა, მთავრობებმა მიმართეს ყოველნაირ საშუალებებს. ეხლა რჩება კიდევ ერთი წყარო: იძულებითი გადასახადების აკრეფა. ბოლოს და ბოლოს უკვე აღარსაიდან აღარ იქნება შესაძლებელი ფულების შოვნა არა თუ ჯარის შესანახად,

არამედ წინანდელი ვალის პროცენტების გასასტუმრებლადაც. აქ ძალაუნებურად საჭირო შეიქნება განიარაღება და გმირული ზომების მიღება.

ეს, რაც შეეხება განიარაღების აუცილებლობის ფინანსიურ მხარეს. არის სხვა მხარეებიც: მცხოვრებთა რაოდენობის ზრდა საფრანგეთში, ისე როგორც ყველგან, მკიდროთ არის დაკავშირებული ერის კეთილდღეობასთან. ომი და ჯარები ხალხის დოვლათს აჩანაგებს, ამიტომ მოსახლეობის რიცხვის ზრდა კუს ნაბიჯით მიიწევს წინ. ამაში არა ნაკლები დანაშაული მიუძღვის საფრანგეთის ერის უქანსალეს ნაწილს, რომელიც ქორწინების გარეშე იმყოფება. დოვლათის შემცირებასთან ერთად მცირდება აგრეთვე ერის გონებრივი შემოქმედებაც: საფრანგეთი ეხლა ჩამორჩა გერმანიასა და ინგლისს და სახალხო განათლების საქმეში მეტად დაბალი საფეხური უჭირავს. ეს გარემოება თავის მხრივ გავლენას ახდენს ერის აქტიურობაზე, მის ცხოვრებაზე და სხვა.

არსებობს კიდევ მრავალი სხვა მიზეზი: პოლიტიკური, ისტორიული, სოციალური და სხვა, რომლებიც განაპირობებენ განიარაღების აუცილებლობას. საფრანგეთის ერის ნიჭიერი და განათლებული ნაწილი უკვე თანდათან იგნებს განიარაღების არა მარტო სარგებლობას, არამედ მის აუცილებლობასაც. სხვა გზა არ არსებობს.

ეხლა საკმარისია ჩვენ მიერ აღნიშნული, განიარაღების ხელის შეშლელი სიძნელენი შევუდაროთ განიარაღების აუცილებლობას, რომელიც იმდენად ნათელია ყველასათვის, რომ ჩვენ საჭიროდ არ ჩავთვალეთ მის შესახებ სიტყვის გაგრძელება. ამ შედარებას შემდეგ დასკვნამდე მივყევართ: განიარაღების აუცილებლობა მოითხოვს გმირული ზომების მიღებას — საზოგადოებრივი წყობილების ძირ-ფესვიანად შეცვლას, ისე, რომ განიარაღების შემდეგ საზოგადოებას შეეძლოს თავისი წევრებისათვის სამუშაოსა და ლუკმაპურის უზრუნველყოფა. მაგრამ ამ სოციალური რეფორმის ნიადაგზე, — რომელიც უფრო ძნელ საქმეს წარმოადგენს, ვიდრე რუსეთში გლეხების განთავისუფლება, — ერთმანეთს პირისპირ შეეტაკებიან პრივილეგიურ კლასთა და მშრომელთა ინტერესები. როდესაც პრივილეგიური კლასების შეგნებაში განიარაღების პრაქტიკული მხარე მკაფიოდ ჩამოყალიბდება, ისინი რეფორმის განხრახვანზე უარს იტყვიან და მათი ეხლანდელი საამო განწყობილება საეხსებით გაიფანტება. მაშასადამე, განიარაღების საკითხი შემდეგი საკითხით შეიცვლება: შესძლებს თუ არა მშრომელი ხალხი ამ რე-

ფორმის მოხდენას პრივილეგიური კლასების გარეშე და მათი სურვილის წინააღმდეგ?

შემდეგი ნარკვევი დაგვანახებებს, რომ ამავე საბედისწერო საკითხისაკენ მიყვებართ განიარაღების ისტორიული და პოლიტიკური მხარის განხილვას.

ნარკვევი მორა

ევროპის ყველა სახელმწიფოს ყაზარმული წესწყობილება შემთხვევისა და პირადი ჭირვეულობის შედეგი არაა. ამაში რომ დავრწმუნდეთ, უნდა ის პირობები გავიხსენოთ, რამაც ყველაზე მეტად შეუწყო ხელი მის დამყარებას. (სიმოკლისათვის საფრანგეთის ისტორიაზე დაყრდნობას ვაგრძელებთ).

ვიდრე 1815—1846 წწ. პერიოდში მრეწველობა თავისუფლად ვითარდებოდა, ძლიერ ცოტანი ფიქრობდნენ სამხედრო სახსრების გაზრდაზე: მთავრობის ყველა ღონისძიება უფრო პოლიტიურ-დამცველ ძალათა განვითარებისაკენ იყო მიქცეული. კერძო პირები თავისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ფიქრობდნენ, პუბლიცისტები კი განაგრძობდნენ რევოლუციურ გამოსვლებსა და მათი ნაწყვეტების გამოქვეყნასა და ძველ ჰანგზე მათსავე გადამღერებას. ზოგჯერ საზოგადოებას სამხედრო ჟრუანტელი მოიცავდა, 1840 წლის ცნობილი ეგვიპტის საკითხის ნაირად¹⁴, მაგრამ, რადგან არსებითად საფუძველი არ არსებობდა საქმის უკიდურესობამდე მიყვანისა, ეს ჟრუანტელი სრულიად კეთილად დასრულდებოდა ხოლმე ტიერის მუქარით და უფრო მეტად ადასტურებდა ხალხთა სიჭარბეს, სისხლის დუღილს, ვიდრე ისეთ საზოგადოებრივ მდგომარეობას, როცა შინაგანი ბნელი ჯოჯოხეთი ხალხებს აიძულებდა სამშობლოს გარეთ, მათსავე მსგავსად საკუთარ სახლებიდან გაყრილ მეზობლებთან, შეღვინიანებულ ჩხუბში მოეთქვათ სული.

საქმის ასეთი ვითარება დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი არ იყო ნორმალური; 1792—1815 წწ. პაროქსიზმით დაქანცული საზოგადოება ძალას იკრებდა და ჯანმრთელობის პირველი ნიშნების გამოვლენისთანავე გამოჩნდნენ ადრინდელი საქმენი და ადრინდელი ჩვევები. ძველისკენ შებრუნება განსაკუთრებით მკვეთრად აღინიშნა 1847 წელს, როცა საგანგებოდ ძლიერი საფინანსო კრიზისი დაიწყო, რომელსაც სულ ცოტა ხანში ეკონომიური კრიზისიც მოჰყვა. სრულიად უმანკო ხასიათის პოლიტიკურმა კამათმა ოდნავ შეცვალა საქმის მიმართულემა იმით, რომ

ხალხმა, რომელიც გაქირებით იტანჯებოდა, საჭიროდ ჩათვალა ჩხუბში ჩარეულიყო. ამის წყალობით აღრინდელზე უკეთესად გამოიკვეთნენ ყველა საზოგადოებრივ და სახალხო მოძრაობათა ნამდვილი მიზეზები; 1848 წლის ამბებმა აჩვენეს, რომ ამ მოძრაობის საფუძველში დევს არა „პრინციპთა“ ბრძოლა, არა „ისტორიული წინასწარ დანიშნულებანი“, არამედ უბრალო ძმათაშორის ბრძოლა აღამიანთა არსებობისათვის.

ფრანგული ქალაქური მოსახლეობის უნარიანმა ნაწილმა სწორედ ასე გაიგო იგი: მან პოლიტიკური კამათი არა პრაქტიკულ საფუძველზე გაშალა და სახელმწიფოს წყობილებისაგან უმრავლესობისათვის გარანტია მოითხოვა. მაგრამ არსებითად მნიშვნელოვანი იყო არა ეს მოთხოვნილებანი: შეიძლებოდა მათთვის გვერდის ახვევა და მართლაც მათ გვერდი აუხვიეს, ამასთან მეტად ურცხვდაც.

მნიშვნელოვანი იყო საერთო ინსტინქტური მიდრეკილება შეძლებული ხალხისა უზრუნველყოთ თავისი ცხოვრება შრომით, სახელმწიფო ორგანიზმის იმ ნაწილების შეცვლის მეშვეობით, რომელნიც ხელს უშლიდნენ ისეთი ურთიერთობის დამყარებას, რომელიც განსაზღვრავდნენ ასეთ ცხოვრებას.

როგორადაც რბილად არ უნდა გამოეთქვათ ეს მისწრაფება თავისი არსით საწინააღმდეგოა და სასიკვდილოდ მტრული საზოგადოების მეორე ნაწილის — უზრუნველყოფილთა მისწრაფებისა — შეინარჩუნოს თავისი პრივილეგიური მდგომარეობა და მკერდით დაიცვას ის, რაც მათ ტკბილ, უზრუნველ, უშფოთველ ცხოვრებას უქმნის, ესაა ყველა ცხოველის იდეალი. ამ მისწრაფებათა მტრული განწყობილება განსაზღვრულია მით, რომ უმცირესობის მიერ მოპოვებული მშვიდობიანობა დამყარებულია უმრავლესობის მძიმე, მუდმივ შრომაზე, ამ შრომის ექსპლოატაციაზე; ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ყოველი, თვით მეტად მცირედ გამოვლინება მოსვენებითი ცხოვრების მიმსწრაფი ხალხისა ან სხვისი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების და სხვისი შრომით თავისი არსებობის უზრუნველყოფის მოსურნეობისა ყოველთვის დიდ წინააღმდეგობას იწვევს იმ ხალხში, რომელთაც მოუსწრიათ უზრუნველი ცხოვრების შექმნა სწორედ ამ შრომის ექსპლოატაციით.

1848 წელს საფრანგეთში ღარიბმა ხალხმა სერიოზულად დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ მოეწყო უკეთესი ცხოვრება თავისთვის და არა მდიდრებისათვის. ეს სურვილი სრულიად ბუნებრივია, მაგრამ იგი აღრე თუ გვიან უნდა საქმით გამოჩენილიყო. ეს

ყველასა აქვს შეგნებული. მაგრამ ყველა არაა იმის თანახმა, რომ ერთნაირად ბუნებრივი და აუცილებელია წინააღმდეგობა იმათი მხრიდან, ვის ჯიბესაც ასეთი სურვილი ვნებს. სულ სხვაა — ერთგვარად სამართლიანია თუ არა ეს მისწრაფებანი, მაგრამ ჩვენ ამ საკითხს არ ვეხებით იმიტომ, რომ ჩვენი აზრით, თუ სამართლიანობა ქვეყანაში რაიმე როლს თამაშობს, განსაკუთრებით იდეალისტებისა, მეტაფიზიკოსებისა და სხვა მორალისტების ტრაქტატებში და არა ცხოვრებაში. ამგვარად, ღარიბი ხალხის მისწრაფებათა გამოხატულებამ გამოიწვია აღშფოთება და, რაც უარესია, მეტად მძაფრი წინააღმდეგობა საზოგადოების უზრუნველი ნაწილისა. ბრძოლა დიდხანს ფარულად მიმდინარეობდა: საქმე დაიწყო ბლვერით (1848 წლის 17 მარტს), შემდეგ მუქარით (16 აპრილს), შემდეგ საქმე ხელჩართულ ბრძოლაზე მიდგა (15 მაისს) და ბოლოს სცენაზე კარტეჩიც იქნა გამოძახებული (24—26 ივნისს). ფარდა დაეშვა ათასობით უსამართლოდ და გამოუძიებლად დახოცილ და ათეული ათასობით სხვა მუშებზე, რომლებიც აგრეთვე სასამართლოსი და გამოძიების გარეშე იქნენ გადასახლებული აფრიკაში და საფრანგეთის ოკეანესიქითა კოლონიებში.

უზრუნველყოფილ ხალხს ძლიერ კარგად ესმოდა, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი მათი გამარჯვებისა იყო ის მდგომარეობა, რომ სამმართველო მექანიზმი სამხედრო ძალასთან ერთად მათ ხელში იყო. ბუნებრივია, რომ აქედან მათ გამოიტანეს დასკვნა ამ მექანიზმის გაძლიერებაზე, ამ ძალის გაზრდაზე, რომ შემდეგაც მოხერხებულად ესარგებლათ მით. ამაში მდგომარეობს, განსაკუთრებულად, საფუძველი მმართველობის ყოველად შემძლებლობისა, რაც ასე განუსჯელად აოცებს ევროპულ საზოგადოებას და რაც ასე ძლიერ შეურაცხყოფს მას*.

არა არის რა დედამიწაზე მუდმივი, ამიტომ ოდესმე მთავრობის ხელისუფლება დაკარგავს უზრუნველყოფილ კლასთა ხელშეწყო-

* მეტყვიან: 1851 წლის 2 დეკემბრის სახელმწიფო გადატრიალება? მაგრამ ეს გადატრიალება ყველა გონიერ ხალხისაგან მიჩნეულია მხოლოდ საქმის გარეგან დეკლირებად, რომლის არსიც შეიცვალა 1848 წლის ივნისში (ამასთან დაკავშირებით ასეთი გამოთქმაც კი არსებობს: *si Napoléon III est le père du coup d'État du 2 décembre, le général Cavaignac en est le grand père*). ამას გარდა გადატრიალების მიმართ ბურჟუაზია ჩვენი პრანკია ქალიშვილებს მსგავსად იქცეოდა, რომელთაც სურთ „უმანკობაც დაიცვან და კაპიტალიც შეინარჩუნონ“, მან კაბა აიწია და საეარძლოს საზურგეზე მიყუდებულმა, მიბნედილად წაიჩურჩულა: „აჰ! რას მიშერბით!“.

ბას. მაგრამ თუ გვინდა ზუსტად ვიცოდეთ როდის დადგება ეს დრო ამ განშორებისა, უნდა მოვისაზროთ, — გაქრა თუ არ ის პირობები, რომელთაც ეს კავშირი წარმოშვეს, თუ გაძლიერდნენ თვით უზრუნველი კლასები იმდენად, რომ შეუძლიათ საკუთარ ძალას დაეყრდნონ მთავრობის მექანიზმისა და შეიარაღებული ძალების დახმარების გარეშე.

საკმარისია ეს საკითხი წამოვაცენოთ, რომ დავინახოთ უზრუნველყოფილ კლასთა და მთავრობის ხელისუფლების შორის კავშირის სიმტკიცე.

მართლაც, ახლანდელ დროში მუშების მისწრაფება ბევრად ძლიერია ვიდრე 1848 წელს; უზრუნველყოფილ ხალხთა უკმაყოფილება და შიში მართალია ისე მკვეთრი არაა, როგორც ოცი წლის წინ იყო, მაგრამ არა ნაკლებ საფუძვლიანი და ძლიერია; თვით უზრუნველყოფილი კლასები ახლა უფრო ძლიერია ვიდრე ოდესმე გრძნობდნენ მთელი თავისი მდგომარეობას უიმედობის იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება დატოვებს მათ და თავის წვრილმანი უკმაყოფილებას ხელისუფლებაზე სერიოზულ ზომამდე არ მიიყვანენ; ისინი ბევრს აპატიებენ ხელისუფლებას და მათ შორის წვრილმანი უთანხმოებანი გვაგონებს მხოლოდ ანდაზას: ცოლქმართა ჩხუბი უგუნურს მართალი ეგონაო“!

რა თქმა უნდა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ რადგან უზრუნველყოფილი კლასების სიმპათიები ხელისუფლების მიმართ უშუალოდ ქუჩების ბრძოლების ომის მომდევნო წლებში შიშის გამო წარმოიშვა და აღორძინდა, მაშინ ოცწლიან მშვიდობასა და უშიშროებას შეეძლო გაეფანტა შეცდომილებანი და უზრუნველყოფილი კლასებისათვის დაენახებიათ ხელისუფლებისადმი მათი ინსტიტუტური მიდრეკილების უსაფუძვლობა. სამწუხაროდ ეს ვარაუდი კრიტიკას ვერ უძლებს. უზრუნველყოფილმა ხალხმა ძლიერ კარგად იცოდა, რომ მათ მოუხდებოდათ მსხვერპლად მიეტანათ კერძო და საზოგადოებრივი თავისუფლების გარკვეული ნაწილი, ცხოვრების კეთილდღეობის გარკვეული ნაწილი, ქონების გარკვეული ნაწილი; თავიდანვე რომ მაინც არ მოეფიქრათ ეს, ძლიერ მალე შეეძლოთ საკუთარ კანზე გამოეცადათ მაინც. მაგრამ ეს გამოცდილება არა მარტო დაანგრევდა მათში მათი არჩევნების სარგებლობის რწმენას, პირიქით, გაძლიერებდა მათ თვითკმაყოფილებას: „ჩვენ, ფიქრობდნენ ისინი, არაფრად არ გვიღირს ერთი ზედმეტი ასეული ფრანკი გადავიხადოთ წელიწადში, არ მოვისმინოთ ბოლომდე რაიმე მჭერმეტყველური სიტყვა, არ გვქონდეს შესაძლებლობა წავიდეთ შიტინგზე, ან ამა თუ იმ პუბლიცისტის წერილი წავიკითხოთ. სამა-

გიეროდ ვიცი, რომ ჩვენ ვრჩებით სრულ მფლობელებად, ჩვენი ქონების დანარჩენი ნაწილისა, დანარჩენი დროისა და ჩვენი მოქმედების დანარჩენი ნაწილისა“. ჩვენ გვგონია, რომ დროს ჯერ კიდევ არ მოუხსნია უზრუნველყოფილი კლასების ეს რწმენა მათი არჩევნის სარგებლიანობაში და, ალბათ, არც არასოდეს მოსპობს, რადგან არჩევანი მართლაც კარგა და სასარგებლოა, თუკი მას უზრუნველყოფილი კლასების თანამედროვე ინტერესების თვალთახედვით შევხედავთ.

ამ შთაბეჭდილებათა და მოსაზრებათა ერთიანობა, რაც უზრუნველყოფილ კლასებს წარმართავს, უმრავლეს შემთხვევაში მათთვის შეუცნობელია. რასაკვირველია, გამონაკლისები არის: უზრუნველყოფილ ხალხში ზოგჯერ მოიძებნებიან პიროვნებანი, რომელნიც ფიქრობენ, რომ შეიძლება მიღწევა ყველასათვის ბედნიერი და წყნარი ცხოვრებისა ისე, რომ მსხვერპლად არავინ შეეწიროს, რომ არავისი ექსპლოატაცია არ მოხდეს. ამისათვის კი საჭიროა შეიცვალოს ახლანდელი ურთიერთობანი ბუნებრივი სიმდიდრეებისა და მათი ერთობლივი გამოყენების უფრო ხელსაყრელი და ყველასათვის მეტად სარგებლიანი ერთობლივი გამოყენებისათვის. მაგრამ ასეთ პიროვნებათა რაოდენობა მეტად და მეტად უმნიშვნელოა და მათ არ შესწევთ ძალა უზრუნველყოფილი კლასების სახელმძღვანელო აზრები შეატრიალონ.

რამდენადაც ჩვენ გვეჩვენება, ნათქვამიდან შეიძლება შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: არაა არავითარი საფუძველი ვივარაუდოთ, რომ უზრუნველყოფილი კლასები თვითნებურად იტყვიან უარს თანამედროვე წესებზე და მუდმივ შეიარაღებულ არმიაზე, როგორც ამ წესების საფუძველსა და ერთერთ გამოვლინებაზე. მაშასადამე, ცდებიან ისინი, რომელნიც ფრაზებში ხედავენ რაღაც მოახლოვებულ ცვლილებათა ნამდვილ ნიშნებს, იმ ცვლილებებისა, რომელიც შეიძლება მოხდეს მხოლოდ შეუძლებელი კლასებისაგან, უზრუნველყოფილი კლასების გარეშე და მათი სურვილების წინააღმდეგ.

ერთერთ მომდევნო ნომერში ჩვენ შევკრებთ ფაქტებს, რომელნიც საშუალებად გამოგვადგება ცვლილებების ხასიათისა და მიმართულების გასამართავად, ცვლილებებისა, რომელზედაც ოცნებობენ ევროპის შეუძლებელი და პატრიოსანი ხალხები.

ნარკვევი მესამე

ამა თუ იმ მიმართულების ბატონობა აიხსნება გარემოებათა გადახლართვით. საზოგადოების ჭკუა-გონებას ამა თუ იმ საგანზე, ამა

თუ იმ განსაზღვრული შეხედულების შესათვისებლად ეს გარემოებანი ამზადებენ და არა ამ შეხედულების მქადაგებელთა პირადი ნიჭი და ენერჯია. ამ აზრის სიმართლეს ყველაზე ნათლად ადასტურებს საფრანგეთის საქმეები. ♣

იმ უამრავი და ათასგვარი საზოგადოებრივი თეორიიდან, რომელიც ამ ოცწლედის დამდეგს საფრანგეთსა და ს ერთოდ უცხოეთის საზოგადოების ჭკუა-გონებას აღელვებდა, დღეს ცოცხალია მხოლოდ ის თეორია, რომელიც 1848 წლის შემდეგ ყველაზე უფრო მეტად შეეფერებოდა საფრანგეთის საზოგადოების გონებრივ განწყობილებას.

ამას წინათ საფრანგეთის ერთმა პუბლიცისტმა ძალიან მოხდენილად დაახასიათა საფრანგეთის ისტორია 1848 წლიდან. მან სთქვა: საფრანგეთის საზოგადოება იმ შეშინებულ მხდალთა ბრბოს ჰგავს, რომელთაც საპყრობილეს მიაშურეს, რათა იქ გადაერჩინათ თავიანთი სიცოცხლე და ქონება; შემდეგ კი ისინი იმდენად გათამამდნენ, რომ ამბოხება მოინდომეს ციხის მეკარეთა წინააღმდეგ და ემუქრებოდნენ: მთელ საპყრობილეს გადავზუგავთ, თუ კარს დროზე არ გაგვიღებთო. ეს შედარება ფრიად და ფრიად მართალია და მოხდენილი და იგი ნებას გვაძლევს აღარ დაეწეროთ ორი ზედმეტი ფურცელი, რათა მოკლედ დაეახასიათოთ თანამედროვე საფრანგეთის მდგომარეობა. ამ შედარების წყალობით ახლა ჩვენ უკვე აღვიღად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორი უნდა იყოს სულისკვეთება იმ ბრბოსი, რომელიც მომწყვედებულია კარჩაკეტილ და კარგად დაცულ ციხეში, სადაც ყოველ მის ნაბიჯს თვალყურს ადევნებს გაუშამდარი და დაუღალავი მეკარე.

ცხადია, ამ ბრბოს თვითეულ წევრს თანდათანობით იპყრობს ერთი აზრი: მეკარე ძალიან ხშირად ეჩრება ჩვენ საქმეებში, იგი ნამეტნად ავიწროებს ჩვენს პირად თავისუფლებასო. ასეთი ლაპარაკი, უეჭველია, ხშირად იქნება ბრბოში და მხოლოდ ასეთი ლაპარაკი შეიძლება სარგებლობდეს მისი კეთილგანწყობილებითა და ყურადღებით. და თუნდაც ციდან ვარსკვლავის მწყვეტელი იყოთ, თქვენ ვერავითარი სხვა სიტყვებით და აზრით ვერ მოხიბლავთ მას და ნდობას ვერ მოიპოვებთ.

მაშასადამე, საფრანგეთის საზოგადოების და, სხვათა შორის, მუშათა მოსახლეობის დიდ უმეტესობაში ამნაირი სულისკვეთების ბატონობის გამო, გავრცელდა ისეთი საზოგადოებრივი თეორია, რომელიც თავის გამოსავალ წერტილად აცხადებდა ეკონომიურ საქმეებში სახელმწიფოს ჩაურევლობასა და საზოგადოების ცალკე წევრების უსაზღვრო პირად თავისუფლებას. რათა

მკითხველთა ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილოთ, ვუწოდოთ ამ თეორიას მისი გამომგონებლების სახელი: მას სათავეში უდგას, ერთი მხრით სეის სკოლის ეკონომისტთა „პროგრესიული ფრაქცია“. (ე. ი. ეკონომისტები, რომელნიც აღიარებენ ასოციაციის და შეერთებულად მოხმარების სარგებლიანობას, მაგრამ განსაზღვრულ ფარგლებში), ხოლო მეორე მხრით — პრუდონი და მისი მიმდევრები.

აქ დრო და ადგილი არაა ამ ეკონომიური თეორიის განხილვისა. ჩვენი მიზანი მხოლოდ ის არის, გავახსენოთ მკითხველებს, რომ ათი შემთხვევიდან ცხრაში, როდესაც საფრანგეთის მუშები გამოსთქვამდნენ თავის აზრებსა და მისწრაფებებს, ისინი ზემოხსენებული ეკონომიური სკოლის აზრს იმეორებდნენ. რანაირია ეს აზრები, საითკენ მიისწრაფვის ეს სკოლა?

ჩვენ არ ვლაპარაკობთ სეის მოწაფეებზე. რამდენიც უნდა იტრახახონ თავისი „პროგრესულობით“, არსებითად ისინი თავის მოძღვარზე შორს როდი წასულან. მაშასადამე, ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, თუ რა მისწრაფებანი აქვთ მათ, საით მიმართავენ ისინი ხალხსა და სახელმწიფოსაც. პრუდონზე მკითხველებს უფრო ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ და ამიტომ კარგი იქნება მასზე ცოტა უფრო მეტ ხანს შევიჩრდეთ. კვლავ უნდა განვიმეოროთ, რომ ჩვენ ამ პუბლიცისტის მიმართულებას კი აო ვარჩევთ, არამედ მხოლოდ ვაცნობთ მკითხველს.

თავისი ბუნებისა და ცხოვრების გარემოებათა გამო პრუდონი გამსჭვალული როდი იყო საზოგადოდ ყოველგვარი „პიროვნებისადმი“ ნაზი სიმპათიით. მას უყვარდა მხოლოდ ისეთი პიროვნებანი, ისეთი ადამიანები, რომელნიც თავისში საკმარის ნიჭსა და ძალას გრძნობდნენ იმისათვის, რომ ხალხში გამოსულიყვნენ, „საკუთრად ეცხოვრათ“, „საკუთარი თავის ბატონ-პატრონი“ გამხდარიყვნენ. პრუდონმა მთელი თავისი მოღვაწეობა ამნაირი პიროვნების ინტერესებს შესწირა. ეს იმიტომ, რომ თვითონ იგი იყო ზემოხსენებული პიროვნებისთანა მდგომარეობაში. მან ცხოვრების მკაცრი გამოცდილებით შეიგნო და თავის ზურგზე გადაიტანა ის, თუ რაოდენ ძნელია ნიჭიერი პიროვნებისათვის, თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების დროს, გაჭირვების გადალახვა და გაუჭირვებელი ცხოვრებისაკენ გზის გაკვლევა. ყველაფერი, რაც ამნაირი პიროვნების გარეშე იყო, რაც მასზე დაბლა ან მაღლა იდგა, პრუდონისათვის უტეხო რამ იყო. ის ადამიანები, რომელთაც დღევანდელი საზოგადოებრივი ურთიერთობები ხელს უწყობს, პრუდონს თავისი საყვარელი პიროვნების მტრებად მიაჩნია. ამიტომ იგი სავსებით შემც-

დარად ფიქრობს, რომ არც ღირს თავის შეწუხება იმისთანა ადამიანებისათვის, რომელთაც უკვე საკმარისად მფარველობს თანამედროვე კანონმდებლობა და წესწყობილება. რაც შეეხებათ მასებს, რომელთათვისაც კანონმდებლობას არც არასოდეს უფიქრნია ზრუნვა და რომელნიც ძალიან ცუდ პირობებში იმყოფებიან, პრუდონი მათ უყურებს, როგორც განწირულთ და არაფერი იმედი აქვს მათი ინიციატივისა, არ სწამს მათი მომავალი და ამიტომ იგი მათ ბედის ანაბარა სტოვებს. ამნაირად, თავიდან იშორებს რა მასებსა და პრივილეგიურ წოდებებს, პრუდონი მთელ თავის სიყვარულს, მთელ თავის სიმპათიებს უძღვნის თავის საყვარელ და სვებედით თავის თანამომქმეს. იგი ცდილობს არგუნოს ყველაფერი, რაც კი ხელს შეუწყობს მას, რომ მუშის მდგომარეობიდან წვრილ მესაკუთრეთა კლასში გადავიდეს, არგუნებს — მთავრობის გავლენისაგან განუსაზღვრელ თავისუფლებას, კრედიტსა და შრომის ნაყოფის სრულს უზრუნველყოფას. ამ სამმაგი მიზნისათვის იგი მოითხოვდა სრულს „Laisser faire, laisser passer“ და ეს პრინციპი მისი განვითარების უკიდურეს საზღვრამდე მიჰყავდა. იგი მოითხოვდა „სახალხო ბანკის“ დაარსებას, ამარადისებდა ოჯახის ისეთ წყობას, რომლის დროსაც ოჯახის მეთაური ისარგებლებს, როგორადაც ინებებს, „თავისი მარჯვენის ნაყოფით“ და თავისი კერის სიმშვიდით, ხანდახან კი ბრძანებს კიდევ: ჩემი სურვილის ურჩობა არავინ გაბედოსო. ოჯახში ეს ბატონობა პრუდონის სისტემაში შედიოდა ისევე, როგორადაც გურიები შედიან მაჰმადის სისტემაში: როგორც პირველს ისე, მეორეს ეს მიაჩნიათ ჯილდოდ, რომელსაც ისინი გასცემენ მოთმინებისა და შრომაში გატარებული ცხოვრებისათვის. როგორც პირველის, ისე მეორის სისტემაში იგი მაინც სავსებით თავის ადგილას არის, რამდენიც ნებათ იყვირონ ჩვენებურმა პუბლიცისტებმა პრუდონის „აღმამუფოთებელ არათანმიმდევრობაზე“, რომლის გამოც იგი ქალთა მონობას აკანონებს.

პრუდონის ამ სიმპათიებსა და მისწრაფებებს მუშა ხალხის უდიდესი უმრავლესობა რომ იზიარებს, ამაში გვარწმუნებს უკანასკნელი წლების მუშათა მოძრაობის მრავალი ფაქტი. ამას ყველაზე კარგად ადასტურებს მუშათა ორი კონგრესი, გამართული პირველი ენევეაში (1866), ხოლო მეორე — ლოზანში (1867)¹¹⁶. ამ კონგრესებზე მიღებულ იქნა თითქმის ყველა „დოგმატი“ პრუდონის მოძღვრებისა, მათ შორის ქალის „საოჯახო, საშინაო“ მოვალეობათა შესახებაც. ფრანგმა მუშებმა რამდენჯერმე განახორციელეს კიდევ პარიზში ეს აზრი: ისინი ძალით ერეკებოდნენ ქალებს სახელოსნოებიდან.

მაგრამ როგორც ორჯერ ორი ოთხია, ისეა დამტკიცებული, რომ ამნაირ მისწრაფებათა განხორციელება სრულიადაც ვერ სპობს თანამედროვე დაბრკოლებებს. როდესაც ჩვენში ბატონყმობა არსებობდა, ხშირი იყო, რომ გამონაკლისის სახით ზოგიერთ გლეხს, რომელიც სადმე ქონებას შეიძენდა ან ბატონის წყალობას დაიმსახურებდა რითიმე, გაანთავისუფლებდენ ხოლმე ყმობისაგან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გლეხთა უმრავლესობის განთავისუფლება მონობისაგან არ შეიძლებოდა სხვანაირად, თუ არა მემამულეთა და გლეხთა ურთიერთობის ძირფესვიანად შეცვლით, თუ არა საამისო კანონმდებლობის საერთო გადასინჯვით. იგივე ითქმის მუშათა მდგომარეობაზედაც. თანამედროვე კანონმდებლობა საერთოდ და კერძოდ — ძალიან ემორჩილება მქონებელ კლასებს და ძალიან დაუნდობელია უქონელთადმი. ექსპლოატატორებისგან ამ უკანასკნელთა განსათავისუფლებლად საჭიროა ძირიან-ფესვიანად, თავით ბოლომდე გარდაქმნა ამ კანონმდებლობის საფუძვლებისა, რათა მუშათა კლასს, როდესაც უკეთესი მდგომარეობისაკენ მიისწრაფვის, მუდმივად არ აბრკოლებდეს ის პრივილეგიები და უპირატესობანი, რომელნიც მქონებელ კლასებს მოუსწრიათ შემომტკიცებინათ განატაკებ თუ ნაქურდალ სიმდიდრესთან ერთად. საზოგადოების სარგებლობა მოითხოვს, რომ მან იზრუნოს, რათა ყველა მის წევრს თანაბარი შანსი ჰქონდეს არსებობისათვის ბრძოლაში გასამარჯვებლად. ხოლო ვიდრე საზოგადოება ყრუა ამგვარი მოთხოვნილებისადმი, ცალკე მისი წევრები, რომელნიც დაჯგუფებულნი არიან ასოციაციებსა და მსგავს საზოგადოებებად, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევენ რაიმე წარმატებას, როდესაც ისინი გაერთიანებული შრომით — საერთო ძალების, ხოლო გაერთიანებული მოხმარებით და უშუალო გაცვლა-გამოცვლით — საერთო სიმდიდრის ეკონომიზაციას მოახდენენ. მაგრამ არაფერი ასეთის ხსენებაც კი არაა მუშა ხალხის მისწრაფებაში.

რევოლუციონურმა დილეტანტებმა, რომელთაც კეთილ ინებეს გაენათლებინათ უბედური მუშები და ჭეშმარიტ გზაზე დაეყენებინათ, ჯერჯერობით მხოლოდ მყვირალა ფრაზების ხმარება და მისი ბოროტად გამოყენება თუ ასწავლეს მათ. ამაზე შორს, ჯერჯერობით მაინც, ინტელიგენციის გავლენა მასებზე, არ წასულა. ამნაირი სამწუხარო მდგომარეობის დროს არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მუშათა ხალხი ამ ცოტა ხანში გამონახავს ჭეშმარიტ გზას, მთელი ხალხის საერთოდ ბედნიერებისაკენ მიმავალს.

„ევროპის ცხოვრების“ ამ სამ ნარკვევში ჩვენ მიზნად გვქონდა ცხადგვეყო, რომ ის საკითხი, რომელიც დღის წესრიგში დგას

დღეს — ევროპის სახელმწიფოთა საერთო განიარაღება — ფრიად ღრმად ეხება თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობათა წყობას; ოცი წლის წინათ ამ წყობის შერყევის ბევრად უფრო სუსტმა ცდამ თოფქვეშ დააყენა თანამედროვე წყობილების მრავალრიცხოვანი დამცველნი; ბოლოს ის უნდა ითქვას, რომ მუშათა წოდება აქამდე ემზადებოდა და ემზადება სრულიად არა იმნაირი საერთო სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის, რომელიც მოჰყვება განიარაღებისადმი გადადგმულ პირველსავე სერიოზულ ნაბიჯს. მუშები ვერ ხედავენ ვერც იმ მიზანს, რომელსაც ისინი უნდა ესწრაფებოდნენ, ვერც იმ ჩასაფრებულთ, რომელთაც მათ უნდა შეუტონ. და ვიდრე ისინი მუხლებამდე ტალახში ჩაფლულნი ჭაობში დახეტილობენ, მათ სათითაოდ დახოცავენ, ან და ხელფეხშეკრულებს კვლავ მიაკრავენ ოცი წლით, ან შეიძლება მეტი ხნითაც, ძველ დაზგებს.



27. რუსეთის ემიგრაცია

(მასალაზიდან თანაგაფროვე საზოგადოების შესახავლად)

Притворной нежности не требуй от меня...
ბ ა რ ა ტ ი ნ ს კ ი

ბ-ნმა კელსიევმა პეტერბურგში გამოსცა წიგნი, რომელიც, ალბათ, ჩვენი საზოგადოების ყურადღებას მიაქცევს რუსეთის ემიგრაციაზე¹⁰. ჩვენ გვინდა ვისარგებლოთ ამ შემთხვევით, რათა გამოვთქვათ რამდენიმე შენიშვნა. ეს შენიშვნები გამოიწვიეს არა ბ-ნ კელსიევის წიგნმა, — რომელიც ჩვენ ჯერ არ წაგვიკითხავს, — არამედ რუს ემიგრანტთა ყოფა-ცხოვრებამ და იმ პირობებმა, რომლებიც ჰქმნიან ისეთ ადამიანებს, როგორიც არის ბ-ნი კელსიევი, და ისეთ მოვლენებს, როგორიც მისი მონანიებაა.

რუსი საზოგადოება სერიოზულად გაოცდა, როდესაც გაიგო ბ-ნ კელსიევის რუსეთში დაბრუნება, და იგი დღემდე ჯერ კიდევ ვერ მოსულა გონს იმისაგან, რომ „ყოფილი ემიგრანტი“ თავის ფელეტონებში ზოგჯერ ობსკურანტიზმის საკმაოდ გრძელ ყურებს გამოაჩენს ხოლმე. „როგორ თავსდება, — ფიქრობს საზოგადოება, — ასეთი ჩამორჩენილი აზრები სხვა ნაპირიდან მოსული, მაშასადამე, უადრესად ლიბერალური (კარგი აზრით) ადამიანის თავში, როგორ უღალატა ასეთმა კაცმა თავის საქმეს და როგორ დანებდა იგი მთავრობას?“ წინადაც ხშირად გაისმოდა ასეთი კითხვები და ეხლა, ბ-ნ კელსიევის მოგონებათა გამო, წინანდელზე უფრო ხშირად გაიმეორებენ ამ კითხვებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დადებით განმარტებას ამაზე მაინც ვერ ვეღირსებით. ეს ამტკიცებს მხოლოდ ჩვენი საზოგადოების სიმჩატეს, იმ საზოგადოების, რომელმაც, ინსტიტუტის მოწაფე ქალის მსგავსად, შექმნა თავისთვის ემიგრაციის წარმტაცი სახე და რომელიც სახუმაროდ არ შეშფოთდა ეხლა, როდესაც თავის წინაშე ხედავს არა იდეალური მისწრაფებებით გამსჭვალულ და მძლავრი ფრთებით შემოსილ „სანატრელ“ ადამიანს, არამედ კულმოკვეცილ ფრაზიორს, რომელსაც ლიბერალიზ-

მის გაზეპირებულმა არტიკულებმა ხელი არ შეუშალეს დამორჩილებოდა ყველა ლატაკის, მატერიალური და გონებრივი ავლა-დიდების სიძუნწით დაჩაგრული ლატაკის საერთო ბედს.

ასეთი შემთხვევა შეიძლება განმეორდეს და, ალბათ, არც დაიგვიანებს მისი განმეორება, რადგან ის მიზეზები, რომელთაც პირველი შემთხვევა გამოიწვიეს, სრულებითაც არ მოსპობილან მას შემდეგ, რაც ბ-ნი კელსიევი ნებაყოფლობით დაბრუნდა სამშობლოში.

ეს მიზეზები კი აი როგორია. რუს ემიგრანტთა უმრავლესობა, როგორც ყოველგვარი ემიგრაციის უმრავლესობა, როგორც, დასასრულ, ყოველი უმრავლესობა, ეხლანდელ თავის მდგომარეობაში მოჰყვა, ასე ვსთქვათ, უცაბედად, ისე, რომ მას არა ჰქონდა ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რას აკეთებდა და სად მიდიოდა. მის მოქმედებას ხელმძღვანელობდა უმთავრესად ჰაბუკუური, უადრესად მწვავე სიძულვილი მთავრობისადმი, სურვილი იმოქმედოს მის წინააღმდეგ, მის საწინააღმდეგო, — და სხვა არაფერი.

საზოგადოების თავბრუდამხვევი ცხოვრება 1858—1863 წლებში ყმაწვილ კაცებს უნერგავდა სიძულვილს მთავრობისადმი და არ უტოვებდა მათ დროს გონებრივი განვითარებისათვის, — ისინი ვითარდებოდნენ ცალმხრივად, ითვისებდნენ მხოლოდ იმას, რასაც ეს-ვა მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულების თუნდაც ოდნავი ბეჭედი. აზრთა ეს ნამსხვრევები უდროობის გამო ვერ ასწრებდა გადახარშვას ჰაბუკუთა გონებაში, იმ ჰაბუკუთა გონებაში, რომელნიც დიდიდან საღამომდე ყურს უგდებდნენ ქუჩის ხმაურს და რომელთა გახურებულ გონებასაც ეს ხმაური ეჩვენებოდა ხან საყვირის ხმად, ხან კიდევ „საბედისწერო ბრძოლის“ ყიჟინად. უდროობის გამო, ეს ჰაბუკები თავიანთი ტვინის იღუმალ კუნჭულებში აგროვებდნენ უფრო ძლიერ (მათის აზრით) გამოთქმებს, უფრო „გონიერ“ აზრებს და აფორიზმებს, და გულუბრყვილოდ ფიქრობდნენ, რომ სწორედ ეს არის „რწმენის გამომუშავება“. დრო კი მიდიოდა, და ამ ჰაბუკთა გონებრივი ჰორიზონტი უფრო და უფრო ვიწროვდებოდა, რადგან პოლიციური თვითნებობის წყალობით, ისინი იძულებულნი ხდებოდნენ შეეზღუდათ ნაცნობთა და ურთიერთობათა წრე, — მაშასადამე, შეეზღუდათ დაკვირვება ნამდვილ ცხოვრებაზე, შეეზღუდათ იმ უბრალო შთაბეჭდილების მიღებაც კი, რომელსაც ადამიანს გარემო აწვდის.

მეტ წილად მათი გონებრივი ავლა-დიდება ისეთ დაბალ დონეზე იდგა, რომ ჰაბუკებს არ შეეძლოთ დაენახათ ჩვენი საზოგადოებრივი უბედურების მიზეზები, არ შეეძლოთ ეძებნათ ხსნა არა მალაღფრაზებში და იაფფასიან უარყოფაში. ამ დროს ისინი იძულებულნი

გახდნენ თავი დაემალათ მთავრობისაგან, რომელიც სდევნიდა ყველაზე უფრო უწყინარ არსებებს ამ ქვეყნად, ისეთ არსებებს, რომელთა მთელ დანაშაულს წარმოადგენდა გამოუცდელობა ან კიდევ სულის უბრალოება, რაც ხშირად გონებრივ უბადრუკობას უახლოვდებოდა.

დევნილთა შორის უეჭველად იყვნენ ნიჭიერნიც. პირველმავე შეტაკებებმა სინამდვილესთან, მათ მიერ გადატანილმა პირველმავე უბედურებამ და არა, ცოტად თუ ბევრად, გონიერ წიგნებში ამოკითხულმა, აიძულა ისინი გადაემუშავებინათ ზეზეურად მიღებული აზრები, რასაც შედეგად მოჰყვა უკვე შეგნებული, ნამდვილი სიძულვილი არა მარტო III განყოფილებისადმი¹⁷, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი წყობისადმი, რომელიც მათ ეხლა უკვე, საკმაო დაწვრილებით, საქმით გაიცნეს, ამოწმებდნენ და აესებდნენ რა იმ ცნობებს, რომელიც წარმოატაცა „წიგნაკებიდან“ ამოეკრიბათ და რომლის აზრიც მათთვის უფრო და უფრო გასაგები ხდებოდა. ამრიგად ფართოდებოდა მათი ცოდნის საზღვარი და პირვანდელი ბუნდოვანი მისწრაფება უფრო და უფრო ხელშესახები ხდებოდა, უფრო და უფრო იხსამდა ხორცს და სამუდამოდ არკვევდა ამ ბედნიერთა ცხოვრებისა და მოქმედების ხასიათს.

სხვა ჭაბუკთა ბედი სულ სხვანაირად მოეწყო: იმათ, ვინც მთავრობას ჩაუვარდა ხელში, შიშით დამფრთხლებმა ათობით გააბეს მახეში სრულიად გარეშე პირნი და, რასაკვირველია, ყველაზე მეტად თვითონ გაებნენ. დანარჩენებმა წყნარი ნავთსაყუდელი ჰპოვეს ოჯახურ ცხოვრებაში, გადაიქცნენ საუცხოო ათანასე ივანოვიჩებად და ნოზდრევებად, და მხოლოდ რამდენიმე კაცმა, რომელთაც საზღვარგარეთ გაქცევით უშველეს თავს, შეინარჩუნეს დღემდე, მცირეოდენი ვარიანტებით, 1858—1863 წლების რუსი რევოლუციონერის თაიგულის მთელი სურნელება. აი სწორედ ესენი შეადგენენ რუსეთის ემიგრაციის უმრავლესობას.

საკითხავია: მართებულად იქცევა თუ არა ის ადამიანი, რომელსაც, ყოველივე ამის შემდეგ, ვერ მოუხსაზრებია, რომ ამ ემიგრანტებისაგან არ შეიძლება მოველოდეთ რაიმე სისტემატურს, საქმიანს, მოფიქრებულს? განა უფრო გონიერი არ იქნება დავასკვნათ, რომ იმ ადამიანებისაგან, რომელთაც ასეთი უბადრუკი ბედი განიცადეს, თანაც დიდი მატერიალური სიმწარე გამოიარეს, უნდა მოველოდეთ ყოველგვარ წინააღმდეგობას, შეცდომას და გატაცებას ყოველი მხრით და მიმართულნი თუ არა?

აქ საყურადღებოა რა ის, რომ არსებობს ცრუ მიმართულებით ან ცალმხრივად განვითარებული ათი-ხუთმეტი კაცი, — განა ცოტა

სიმახინჯე გვხვდება ცხოვრებაში?! ხომ არ შეიძლება ყველაფერზე შეჩერება! ემიგრაციის საკითხში არის სხვა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მხარე, ვიდრე ათიოდე კაცის ესა თუ ის ბედი: ეხლანდელი ემიგრანტები, მშობლიური წრისაგან მოწყვეტის გამო და მათი ინტერესებისთვის უცხო ადამიანთა შორის კარჩაკეტილი ცხოვრების წყალობით, დაცულ იქნენ, როგორც ზევით ითქვა, თითქმის იმავე სახით, რა სახითაც მათ რუსეთი დატოვეს; რატომ არ უნდა ვისარგებლოთ ამ იშვიათი შემთხვევით და არ შევაფასოთ მთლიანი ორგანიზმი იმ მოჭრილი ასოს მიხედვით, რომელიც საკმაოდ კარგად იქნა დაცული სპირტში? იქნებ მაშინ დავინახოთ, რომ ამ ასოს ბედი ბევრად არის დამოკიდებული მთელი ორგანიზმის მდგომარეობისაგან.

იყო დრო, როდესაც ეხლანდელი ემიგრანტების მსგავსი ხალხი ჩვენი საზოგადოების სიმპათიებით სარგებლობდა, ეს უეჭველია. მეტიც: იყო დრო, როდესაც საზოგადოება მთელ თავის იმედს ამ ხალხზე ამყარებდა, მისგან მოელოდა ხსნას. ეს დრო, როგორც ვიცით, არც იმდენად დაგვიშორდა, რომ მაშინდელი ამბები ძნელი დასაჯერებელი იყოს.

იმათ, ვინც ყველგან და ყველაფერში ბოროტმოქმედსა და დამნაშავეს დაეძებს, შეიძლება ნათქვამიდან დაასკვნან, რომ ემიგრანტთა უბედობაში თვით ემიგრანტები არ არიან დამნაშავენი. ჩვენ შეგვიძლია დავუმატოთ ამას ისიც, რომ სხვანაირად არც შეიძლება ბოდა ყოფილიყო, რადგან საზოგადოებას, რომელიც მთელი საუკუნეების განმავლობაში მიეჩვია ქედის მოხრას და სიჩუმეს, ცხადია, პირი უნდა დაელო და გაოცებას მისცემოდა პირველი თვისუფალი ფრაზების გაგონებისას და ამ ფრაზების ავტორები უნდა მიეჩნია რაღაც არა ამქვეყნიურ, ზენაარ არსებებად. რაღად უნდა გავვიკვირდეს, თუ შორს-გამქვერეტელობას მოკლებულმა ტრიუმფატორებმა მართლაც ჩასთვალეს თავი საზოგადო მოღვაწეებად და დაარწმუნეს საკუთარი მე თავიანთ საფუძვლიანობაში და იმაში, რომ სულ მეტია შემდგომი შრომა პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე სერიოზული მომზადებისთვის? როდესაც ფრაზების უნაყოფობა გამოაშკარავდა და როდესაც საზოგადოებაში გაისმა პირველი მოწოდებანი „საქმისკენ“, ე. ი. ენერგიული და არა წვრილმანი წინააღმდეგობის გაწევისაკენ მთავრობისათვის, უკეთესნი წინა მომენტის ფრაზიორთაგან გაეშურნენ იქითკენ, საითკენაც მათ დღის გმირნი უხმობდნენ. საზოგადოება კვლავ ტაშით აჯილდოვებდა, კვლავ ალტაცებაში მოდიოდა, ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა მათ, რაც უფრო

მეტად აქეზებდა მებრძოლთ ყოველგვარი სალტო-მორტალის ჩასადენად.

„საზოგადოებაა დამნაშავე!“ „საზოგადოება საზიზღარია!“ — იტყვიან ისინივე, ვინც მულამ დამნაშავეს დაექებს. მაგრამ თუ საქმეს ჩაუკვირდებიან, დაინახვენ, რომ საზოგადოება სულაც არ მოქმედებდა წინასწარ-განზრახული მიზნით, რომ თვითონ იგი ემორჩილებოდა ადამიანთა ცხოვრების საერთო ბედს. საზოგადოება გრძნობდა თავისი მდგომარეობის სიმწარეს და ხსნას გარეშეთაგან მოელოდა, მას კანკალს აწყებიანებდა გარეშე დახმარების მიღების სულ მცირედი იმედიც კი, და საკუთარი თავის მოტყუებას იგი იმ ზომამდე აზვიადებდა, რომ გულწრფელად სწამდა იმ ადამიანთა ძალა, რომელნიც მას ჰპირდებოდნენ სრულ ხსნას ყოველგვარი ზნეობრივი და მორალური უბედურებისაგან, ამავე დროს მას ავიწყლებოდა, რომ ეს ადამიანები მთელ თავიანთ იმედს ამყარებდნენ საზოგადოების ძალებზე, რომლის ენერგიული ყოფაქცევაც მათ ასეთი ხსნის აუცილებელ პირობად მიაჩნდათ. ადამიანი სუსტია, უფრო სუსტია საზოგადოება, ამიტომ გასაკვირველი არ არის, თუ იგი ჰალუცინაციამდე მივიდა, თუ მან არსებული ფაქტი ჩასთვალა იმად, რაც მისმა ოცნებამ შეჰქმნა. ამასთან, ნუ დაივიწყებთ, რომ ამ საზოგადოების წარსულმა მშვენიერი ნიადაგი მოუშადა ნერვიულ მოუსვენრობას და ჰალუცინაციებს.

მაშ, ბოლოს და ბოლოს, ვინ არის დამნაშავე? იცით რა, მოდით, ხელი ავიღოთ გამომძიებლობაზე: არავინ არ არის დამნაშავე ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში. იმისთვის, რომ ადამიანთა საზოგადოებამ შესძლოს რაციონალური ცხოვრება, საჭიროა არა ერთი პრაქტიკული გამოცდა და გაკვეთილი. ჩვენი საზოგადოებრივი საქმეები, დაწყებული ყირიმის ომიდან დღევანდელ დღემდე, ისეთი გაკვეთილების რიცხვს ეკუთვნიან, რომელთაც რუსი ხალხისაგან დიდი ძალ-ღონე, მრავალი სისხლი და ფული მოითხოვეს. დასანანია ეს დანაკლისი, მაგრამ რას იზამ — უამისოდ კაცობრიობა, როგორც ეტყობა, ვერ ახერხებს ნაბიჯის გადადგმას წინ.

იმ მრავალი მსხვერპლიდან, რომელიც საზოგადოებრივ სისულელეს შეეწირა, ემიგრაციას წილად ჰხედა ყველაზე უფრო ორანჯონი როლი. ნამდვილი თუ გნებავთ, ეს ემიგრაცია არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს და არც შეიძლება სხვა რამეს წარმოადგენდეს. ამავე დროს სამშობლოდან მას უყურებენ ერთნი შიშით, ხოლო სხვები იმედით, და ამ გულუბრყვილო მაყურებელთაგან არავის მოსდის აზრად მხედველობაში მიიღოს ამ მსწრაფლ-წარმავალი

იმედებისა და შიშის ამაოება. ამასაც თავისი საფუძველი აქვს. — ადამიანს, საზოგადოდ, უყვარს მოელოდეს ყველაფერს სხვისაგან და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ბედავს იგი გადასდგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც ცოტად თუ ბევრად არღვევს მის ჩვეულებებსა და სიმშვიდეს: აღშფოთლით რამდენიც გნებავთ—ეს თვით ადამიანის ბუნებაშია, მაგრამ აღშფოთებით მას ვერ განდევნით. სწორედ ამას ეყრდნობა ის იმედი, რომლითაც, კეთილგონიერებისა და საკუთარი სარფის მიუხედავად, შეპყურებენ ემიგრაციას. რაც შეეხება მთავრობის მუდმივ შიშს, არც ამ შიშის განდევნა შეუძლია ადამიანის ძალ-ღონეს: მთავრობა იმდენ ნაკლსა გრძნობს, მას იმდენად სუსტად შეიარაღებული და მტრის ცეცხლისთვის სრულიად ღია ადგილი მოეპოვება, რომ იგი არასოდეს არ დაიჭრებს და არც შეუძლია დაიჭროს თავისი ვითომდა მტრის უმოქმედობა, რომლისთვისაც, როგორც მთავრობა ფიქრობს, საკმაოა თვალის გახელა და წადილი, რომ გაიმარჯვოს ან საგრძნობი ზიანი მიაყენოს მთავრობას.

როგორც ხედავთ, არ შეიძლება გაფანტვა არც იმედებისა და არც იმ შიშისა, რომლითაც მთავრობა არის შეპყრობილი, ხოლო შეუძლებელისთვის თავის გამოდება არა ღირს. მაგრამ ამ გრძნობების გარდა, არის მესამეც, რომლის შეცვლაც ნაწილობრივ შეგვიძლია. ეს არის იმედის გაცრუება, რომელსაც განიცდიან ბევრნი ემიგრანტების ამა თუ იმ საქციელის შესახებ ცნობის მიღების დროს და რომელიც განსაკუთრებულის სიცხადით აშკარავდება ბ-ნ კელსიევის რუსეთში დაბრუნების გამო.

ზემოთ ითქვა, რომ იმედის გაცრუება გულუბრყვილობა იყო, ისეთივე გულუბრყვილობა, როგორიც იყო საკუთარი ოცნების ნაყოფით გატაცება. აქ შეგვიძლია დავუმატოთ, რომ იმედის გაცრუება მეტი იყო (მაშასადამე, მეტი იქნება შემდეგშიაც, თუ კვლავ განმეორდა ასეთი რამ) იმიტომაც, რომ ემიგრანტები, რამდენადაც ჩვენ ვგვგონია, არ არიან თანამედროვე წყობისა და მთავრობის ისეთი დაუძინებელი მტრები, როგორადაც მათ გულუბრყვილოდ თავი მოაქვთ და როგორ მტრებადაც ზოგჯერ მათ თავიანთი თავი მიაჩნიათ.

გულანდილად თუ ვიტყვით, ჩვენ ემიგრანტებს ძალიან ნაკლებად აქვთ გარკვეული იმ უკმაყოფილების მიზეზები, რომლებითაც ისინი არიან გამსჭვალულნი მთავრობის წინააღმდეგ. მეტიც: ჩვენ ვგვგონია, ეს მიზეზები სულ არ არსებობენ, რომ უკმაყოფილება მხოლოდ მოგონებაა, ისეთივე მოგონება, როგორიც არის რელიგიური დოგმატები განუვითარებელი ხალხისთვის, და რომ ეს უკმაყოფილება სრულებითაც არ უშლის ხელს მათი ცხოვრების ჩვეულებ-

რევ მიმდინარეობას, რომელსაც საერთო არაფერი აქვს მთავრობასთან ან მისდამი სიძულვილთან. მართლაც და, როგორ შეიძლება ეპკვი შევიტანოთ, რომ რაიმე სერიოზული სიძულვილით იყოს გამსკვეალული ის ხალხი, რომელიც უკვე ხუთი წელიწადი გულხელდაკრეფილი ზის და თავის უკმაყოფილებას და გრძნობებს გამოხატავს წვრილმანი ჭორებით მთავრობის პირებზე, აგრეთვე მაღალი ფრაზებით დესპოტიზმის ძალმომრეობაზე და მეფის საზიზღრობაზე.

აქ საჭიროა შენიშვნა. საზოგადოება მიეჩნია, რომ, ახალგაზრდობის გარდა, ემიგრანტების რიცხვში მოაქციოს ბ-ნნი გერცენიც და ოგარევიც. თავის-თავად იგულისხმება, რომ როდესაც წინა სტრიქონებს ვწერდით, ჩვენ ესენი მხედველობაში არ გვეოლია; მათი განვითარება და მოღვაწეობა სულ სხვანაირი იყო, და ეს მოღვაწეობა სრულებითაც არ შეადგენს საზოგადოების პათოლოგიის ნაწილს. მიუხედავად ამისა, ეს უკმაყოფილება მთავრობით გამოიხატება უფრო სიტყვიერ, ვიდრე საქმით. „კოლოკოლის“ გამომცემელთა იდეალები, მათი მისწრაფებანი, სიმპათიები და ანტიპათიები ჩამოყალიბდნენ ოცდაათიან და ორმოციან წლებში, მაშინ კი ძნელი იყო მისწრაფება იმისკენ, რაც ეხლა საქმით უკვე განხორციელდა. ეხლა იმ დროის საუკეთესო კაცთა მისწრაფება მთავრობამ უკვე დააკმაყოფილა, და როგორც არ უნდა ეცადოს „კოლოკოლი“ შეუქმნას მთავრობას ოპოზიცია, იგი თავის ოპოზიციას საფუძველს ვერ გამოუძებნის, გარდა ისეთი უმნიშვნელო შემთხვევებისა, როგორიც არის გერმანელის არჩევა „რუსეთის წარმომადგენლად“ საფრანგეთის მეფესთან ან სამოქალაქო უწყების მკვლელთა სიკვდილით დასჯა, ნაცვლად იმისა, რომ მათთვის სამუდამო ან ოცი წლის კატორღა გადაეწყვიტათ.

ჩვენ გავიხსენეთ ეს არა იმიტომ, რომ ვთქვათ რაიმე საწყენი „კოლოკოლისთვის“, ცუდი არაფერია იმაში, რომ მისმა მოწინააღმდეგემ განახორციელა ის, რის განხორციელებაც „კოლოკოლს“ სწადდა. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ იმ უეჭველ ფაქტს, რომ ეხლა „კოლოკოლის“ გამომცემლებს სანატრელი აღარაფერი აქვთ, რომ ისინი ველარაფერს უსაყვედურებენ მთავრობას (თუ არ ჩავთვლით წვრილმანებს, ხოლო წვრილმანების უყურადღებობაც არც „მოსკოვსკი ვედომოსტი“-ს სჩვევია), რომ მათ სიძულვილის საბაზი აღარა აქვთ და რომ აღრე თუ გვიან ხომ უნდა გათავდეს რითიმე ეს აურზაური. ესევე ხდება, — თუ ჩვენი დაკვირვება არ გვატყუებს, — ემიგრაციაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „კოლოკოლ“-ის გამომცემლებს თავის დროზე მეტად დიდი, ცხოველი და თამამი იდეალები ჰქონდათ, რომლისკენაც ისინი მთელი თავიანთი სიცოცხლის

განმავლობაში პატიოსნად და გატაცებით მიილტვოდნენ, ხოლო ახალგაზრდა ემიგრანტებს არასოდეს არაფერი ამის მსგავსი არ გააჩნდათ, მათ მხოლოდ სისხლი უღულდათ და ამ სისხლთან ერთად დაშოშმინდა „ცხოვრების ყველა საკითხი“ და ყოველგვარი მისწრაფება გაურკვეველი უკეთესისადმი.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ასეთ მდგომარეობაში ემიგრაცია დიდხანს ვერ დარჩება. რა გამოსავალს ჰპოვებს იგი — ეს საიდუმლოების წყვილით არის მოცული, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა ემიგრანტი არ აღმოჩნდება ისეთი გონიერი, შორსგამკვრეტელი და თანამიმდევარი, როგორც ბ-ნი კელსიევი, ე. ი. ყველა არ შეურიგდება თავის ვითომდა მოწინააღმდეგეს და არ დაბრუნდება სახლში, რათა ისარგებლოს ჩასუქებული ზვარაკით, რაც ასე ესაქიროება მათ. ეს, გულახდილად უნდა ვთქვათ, ჩვენ ძალიან სამწუხაროდ მიგვაჩნია. მაგრამ რაკი არ მოველით მათგან ასეთ ვაბედულ ნაბიჯს, გამოვთქვამთ იმ აზრს, რომ ურიგო არ იქნება, თუ ისინი, ყოველ შემთხვევაში, აშკარად „დაადგებიან კერძო ცხოვრების გზას“ და უზრუნველყოფენ თავიანთ თავს; ერთის სიტყვით, განდებიან შვეიცარიის მშვიდობიან მოქალაქეებად, უწყინარ ბურჟუებად — ვაჭრებად, მკერავებად, ექიმებად, რაღაც გნებავთ, მხოლოდ არა პოლიტიკოსებად და აგიტატორებად: ამ ასპარეზზე მათ უკვე გამოააშკარავეს თავიანთი უძლურება და უუნარობა.

(«Пережитое и передуманное. — Воспоминания В. Кельсиева, С.-Петербург, 1868 г.»)

ის აშკარა წინააღმდეგობანი და უამრავი შეცდომანი, რომლებითაც აღსაესება ბ-ნი კელსიევის წიგნაკი, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კარგად ამ პუბლიცისტის დაუნდობლად დაცინვისა და მისი უაზრო და უნაყოფო მოღვაწეობის მკაცრად გაკიცხვისათვის. მაგრამ ბ-ნი კელსიევის მოგონებათაღმე კრიტიკის ასეთი დამოკიდებულება, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამის საფუძვლით ღირსია, ჩვენ ძალიან ზერელე საქმედ მიგვაჩნია. ჩვენ არავითარი ხალისი არ გვაქვს ამნაირად მოვეპყროთ მას, მით უმეტეს, რომ ჩვენებურ პუბლიცისტიკაში არ ყოფილა და არც იქნება ნაკლებობა იმნაირი ადამიანებისა, რომელნიც მეტნაკლები საბუთიანობით, მეტნაკლები გონებამახვილობით მის შუბლზე გახურებული შანთით ამოსდალან ვენ სამარცხვინო სახელს — „რენეგატისას“.

ჩვენ ძლიერ ნაკლებ მნიშვნელობას ვაძლევთ ჩვენებური კიფა მოკიევიჩების ყაყანს იმაზე, თუ რა და როგორ უნდა გაეკეთებინა ბ-ნი კელსიევს და რატომ მოიქცა იგი ასე და არა ისე. ჩვენ შევჩერდებით იმაზე, თუ რა ჩაიდინა მან და რას გვასწავლის მთელი მისი ნამდვილი ცხოვრება და არა იმაზე თუ როგორი იქნებოდა ეს ცხოვრება, თუ რომ და ვინიცობა... საქმე არ ყოფილიყო... და სხვა. თუ ბ-ნი კელსიევის საქმისაღმე ასეთი მოპყრობა ჩვენში ერთგვარ სინანულს იწვევს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ფურცლის ფარგლები ნებას არ გვაძლევს მკითხველებს დავეუხატოთ მისი განვითარებისა და მოღვაწეობის სრული სურათი, იძულებულს გვხდის ორიოდე მთავარ შენიშვნას დავჯერდეთ.

ბ-ნი კელსიევის წიგნიდანა სჩანს, რომ იგი განვითარებულა საფრანგეთის რომანტიული ლიტერატურის (სიუს, დიუმას და სხვ. თარგმანების წყალობით) და რუსეთის მაშინდელი ეგრედწოდებული „ნატურალური სკოლის“ გავლენის ქვეშ. პირველი აწვდიდა მის გონებას, მის „მისტიურ განწყობილებას“ საზრდოს და უღვიძებდა

ათასგვარ „მაღალფარდოვან მისწრაფებებს“. იგი ხიბლავდა მის გონებას ან ოქროს მაგრად ჩაკეტილ კოშკებში ჩამწყვდეული მზეთუნახავების სახეებით, ან საიღუმლო შეთქმულებებით, რომელსაც მისდევდა ეშაფოთისაკენ მიმართული დიადი პროცესიები, ჯალათის ცული და მახვილი და სხვა ამნაირი კუთვნილება ცხარე და გამახლებელი ლიტერატურისა. ეს მიმართულება, „აკრძალულ წიგნებთან“ ერთად, ბ-ნი კელსიევის, გარდა ზემოხსენებულისა, უღვიძებდა მაღალ „იდეალებსაც“: ჩაგრულთადმი სიყვარულს, შეუბრალებელი ტირანებისაგან მათი განთავისუფლების სურვილს, „რევოლუციონური თავგადასავლისადმი“ მისწრაფებას და ა. შ. ნატურალური სკოლა, ესე იგი გოგოლისა და მისი მიმდევრების სკოლა (ბელნსკი, მას, რასაკვირველია, არ წაუყითხავს, რომ წაეკითხა კიდევ, ვერც გაიგებდა), ამ მისწრაფებებს ასე თუ ისე ადამიანურ ხასიათს აძლევდა, ე. ი. ართმევდა მათ ოჩაფხურ ხასიათს და ცოტოდენ ბუნებრივ იერს აძლევდა.

ამას დაერთო წრის გავლენა, მაგალითად პეტრაშევსკის შეთქმულების ისტორია¹⁸, რომელიც ბ-ნი კელსიევის გონებაში ამნაირად აღიბეჭდა:

„პეტერბურგში შეთქმულებაა, ვილაც შეთქმულნი, ვილაც საშინელი ადამიანები შეკრებილან, ამბოხება უნდოდათ მოეხდინათ.

„ყველაფერი შეიძრა, თითქოს რაღაც მოჩვენება რამ გამოჩენილიყოს, თითქოს მშვიდი და მხიარული სეირნობის დროს ყურთან ტყვიას გაეზუზუნოს. მაშინვე წარმოვიდგინე საზარელი, ფერმკრთალი ფიგურები გრძელი წვერებით (წვერის გაშვება მაშინ ჯერ კიდევ აკრძალული იყო), გრძელი თმებით, წითელსარჩულიანი ფართო მოსასხამებით, ხანჯლებითა და საწამლაკებით; ისინი ფიცს სდებდნენ, ადამიანთა თავის ქალაზე, საკუთარი სისხლით აწერდნენ ხელს, რაღაც შემზარავ საქმეს აკეთებდნენ“ (გვ. 265).

ბ-ნი კელსიევის გონებრივი განვითარება წინ ვერ მიდიოდა. იგი გაიტაცა იდეალებმა, შეეჩვია აკრძალული წიგნების ფრაზებს, შეიყვარა ბ-ნი გერცენისა და 1853—1855 წლების ჩვენებური პატრიოტების სიტყვების გამო რუსის ხალხისა და რუსეთის მიწა-წყლის სიდიადე და გულწრფელად იწყო ქადაგება ტირანებისადმი სიძულვილისა და სლავების საერთოდ, ხოლო რუსებისა კერძოდ — დიადი მომავლის ქადაგება.

ამასობაში რუსეთის ლიტერატურაში — არა აკრძალულში და არა ბელეტრისტულში, რომელიც ამიტომ ბ-ნი კელსიევის და მის მსგავს მოღვაწეთა ყურადღების ღირსი ვერ ხდებოდა, — წარმოებდა სხვაგვარი მუშაობა: მაშინდელი ახალი თაობის წარმომადგენელ-

ნი, ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი არკვევდნენ იმ მიზეზებსა და ჩაგვრის პირობებს, რომელიც მძიმე ლოდად აწვა რუსეთის მაშინდელ ცხოვრებას; ისინი დაულალავად ამტკიცებდნენ „სვისტოკის“¹⁵⁰ გრძელსა თუ მოკლე სტატიებში და კრიტიკულ წერილებში, რომ ეს ჩაგვრა არც თუ ისეთი მოჩვენებითია, როგორაც მრავალ ახალგაზრდას წარმოუდგენია და რომ რუსეთის ცხოვრების საზიზლარი მხარის წარმომადგენელთ მხოლოდ ყანდარმები და მხოლოდ მესამე განყოფილება როდი წარმოადგენდა. ისინი ყოველ მოხერხებულსა თუ მოუხერხებელ დროს ცდილობდნენ ის აზრი გაეცრეცლებინათ, რომ უნაყოფოა მაღალფარდოვანი ფრაზების ხარჯვა სახელმწიფოებრივი ცხოვრების საერთო წყობილების წინააღმდეგ ან მის საწინააღმდეგოდ უნაყოფო ლაშქრობანი. ისინი ამბობდნენ: ახლა აუცილებელია ჩვენ მიერ ათვალწუნებული ყოფაცხოვრების ოდნავ მაინც შესაცვლელად უფრო მოსაზრებელი და პრაქტიკული ნაბიჯები გადავდგათ, ჩვენი პირადი და ჩვენი ახლობლების ცხოვრება მოვაწყოთ იმნაირ საფუძველზე, რომელიც პატიოსან და სამართლიან საფუძველად მიგვაჩნია, რათა ამით თანდათანობით შეექმნათ ის ძალა, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველის უფრო ფართოდ და რეალურად გარდაქმნას შესძლებსო.

ბ-ნს კელსიევს ასეთი აზრები თავისი აღზნებული გონებისათვის ნაკლებად გამოსაღებ საზრდოდ მიაჩნდა და, ცხადია, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ეს ყველაზე უფრო კარგად ჩანს იმ საბრალო სტრიქონებში, სადაც იგი ცდილობს დაახასიათოს რუსეთის საზოგადოებისადმი დობროლიუბოვის დამოკიდებულება. დანარჩენ კელსიევებს ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი „ოპოზიციონურ ლიტერატურად“ მიაჩნდათ. გატაცებულნი იყვნენ რა ამ ოპოზიციური ხასიათით,—ესე იგი „სოვრემენნიკის“ მოღვაწეობის მხოლოდ ერთი კერძო მხარით, — ისინი სრულიად ვერ ამჩნევდნენ დანარჩენს, ზეპირად სწავლობდნენ სტატიებს, მაგალითად სტატიას «Научились-ли?», «Третий сон Веры Павловны»¹⁵⁰, ალიუმინის სასახლის აღწერასა და სხვა, და გულწრფელად და გულმართლად სჯეროდათ, რომ „სოვრემენნიკის“ აზრებს იზიარებდნენ. ამ უურნალის პროპაგანდის დადებითი მხარე მათთვის აქამდე ჯერ კიდევ ჩინურ ანბანს წარმოადგენს.

ამასობაში ცხოვრება წინ მიდიოდა. დაიწყო სხვადასხვა რეფორმები. ჰოი, საკვირველებავ—„უსაშინელესმა“ მესამე განყოფილებამ თავის ყანდარმებს უბრძანა: ცემა-ტყეპას თავი ანებეთ და პოლიტიკურ დამნაშავეებს დაპატიმრების დროს ზრდილობი-

ნად მოექცეთო* . ეურნალებს ნება მიეცათ კონკრტი დაედრათ კო-
ლოკოლზე“; სლავთა „განთავისუფლებაზე“ და ებექდნათ ფრაზები
აღმინისტრაციის თვითნებობის წინააღმდეგ, „წარმომადგენლობითი
ერობის“ დასაცავად. ჩვენებური ყალბი რევოლუციონერების ცნე-
ბები ყირამალა გადატრიალდა და წინანდელი რწმენის (რომელიც
სულ რალაც თხუთმეტ წუთში შეემუშავებინათ) მაგივრად თავი
იჩინა ბრყველმა ჭიუტობამ, დროშისადმი „არ დალატის“ სურ-
ვილმა. მათს უქმყოფილებას სხვა საფუძველი არა ჰქონდა რა და
შეუბრალებელმა მთავრობამ, თავისი ტირანული პრინციპისადმი
ერთგულმა, ახლა ფეხქვეშ უკანასკნელი საყრდენი გამოაცალა.

უზრუნველყოფილ; მუშაობაში თუ შრომის რაიმე მსგავს საქ-
მიანობაში დაბანდებულ ადამიანებს იოლად შეუძლიათ აიტანონ
ასეთი მდგომარეობა: მათ შეუძლიათ თვალი დახუჭონ სინამდვი-
ლის წინაშე და მუდმივობის მოსახსნაში გაეხვიონ. სულ სხვანაი-
რია ბედი მშვიგრებისა, რომელნიც ებრძვიან გაჭირვებას. განსაკუთ-
რებით მძიმეა მათი მდგომარეობა, როდესაც ისინი ხალხთან დაახ-
ლოებულნი არიან. მათ იციან, რომ შეუძლებელია ხალხის დაძვრა
მთავრობასთან „საბრძოლველად“ რაიმე აბსტრაქტული რელიგიუ-
რი რწმენისა თუ მესამე განყოფილებისადმი სიძულვილის სახელით,
იმ მესამე განყოფილებისა, რომელთა ჟანდარმებსაც, გარდა ყველა-
ფერ ზემოხსენებულისა, უბრძანეს, რომ „ცემატყეპისათვის“ თავი
დაენებებინათ. ბ-ნი კელსიევი მოჰყვა ამ კალაპოტში და, რასაკვირ-
ველია, ხელი აიღო თავის გატაცებაზე.

სინამდვილეზე დაკვირვებამ, რომელმაც იგი მიიყვანა იმ რწმე-
ნამდე, რომ შეუძლებელია მასების დაძვრა ტირანიისადმი სიძულ-
ვილის სახელით, იძულებული გახდა იგი სხვაგვარი დასკვნაც გა-
მოეტანა. ამოვწერთ ამ დასკვნას მთლიანად:

„წინად ყოველგვარი საქმე მიჩნეულ იქნებოდა ხოლმე კეთილ ან
ავ საქმედ მხოლოდ და მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რამდენად აკ-

* შეუძლებელია ჩვენი სიტყვებით გადმოგეთ ის აღტაცება, რომლითაც
განმსჯეალა ბ-ნი კელსიევი, როდესაც დაინახა, რომ რუსის მოხელეები მას „აღა-
მიანურად“ მოეპყრნენ. მართალია იგი შეშფოთდა, როდესაც მას ექცეოდნენ, სულ
რალაც რამდენიმე წუთის განმავლობაში, როგორც „ჩვეულებრივ“ დამნაშავეს.
მაგრამ ეს წვრილმანია. კიდევ უფრო აღტაცებულია იგი იმით, რომ ჟანდარმებს
ნაბრძანები აქვთ ცემატყეპას თავი ანებონ. აღტაცებამ, რასაკვირველია, ხელი
შეუშალა მას, მოჰგონებოდა, რომ ჟანდარმები ასეთისავე ერთგულებით ასრულებ-
დნენ და შეასრულებენ ამის საწინააღმდეგო ბრძანებასაც, რომლისაგან საზო-
გადოება ჭერჭერობით არაფრით არ არის უზრუნველყოფილი.

მაყოფილებდა იგი მეცნიერებისა და აზროვნების უკანასკნელ მოთხოვნილებას. წინაღ, რაც უფრო დაუნდობელი იყო განაჩენი, მით უფრო პატივს სცემდნენ მას და მით უფრო სამართლიანად ეჩვენებოდათ იგი. თავისუფალი და გაბედული ხელით ანადგურებდნენ ყველაფერს, ვინც უფრო გაბედულად უარყოფდა, ის იყო ყველაზე ჰკუიანად და შორსმჭვრეტელად მიჩნეული და ეს უარყოფა მეორე ენებად იქცეოდა. შეიკრიბებოდა ხუთი-ექვსი კაცისაგან შემდგარი წრე, ხმაურობდნენ, ყვიროდნენ; ყველანი ლაპარაკობდნენ, არავინ არავის ყურს არ უგდებდა და ყველანი ცდილობდნენ საკითხი დაეყვანათ მის თავდაპირველ საფუძვლამდე, სწორედ იმ საფუძვლამდე, რომელზედაც არაფერი პრაქტიკული და საცხოვრებო არ შეიძლება აეგოთ. თუ ერთი წამოიძახებდა სიტყვა „ბუდოჩნიკს“, მეორე წამოიყვირებდა კონსტიტუციას, მესამე შთაგონებულად ჰქადაგებდა რესპუბლიკას, მეოთხე სოციალიზმს, ხოლო მეხუთე ყველას ამშვიდებდა გონიერი საწყისებით, რომელიც არსებითად წარმოადგენდა განცხადებას: ყველა არქიებში ისევ მაინც მონარქია სჯობსო. ეს იყო ხანა სევასტოპოლთან დამარცხების შემდეგ ჩვენი უცაბედი გამოდგილებისა; თითქოს ყველანი უცბად ძილისაგან გამოვერკვიეთ, — თვალს სინათლე სჭრიდა, ახალი იდეები მძლავრად იპყრობდა გრძნობას, თავს და გულს. და ჩვენ ახალი ჭეშმარიტებებით გატაცებულნი, ვამზობდით ყველა ძველს, ვამსხვრევდით ძველ კერაებს, ყველაფერს ვანგრევდით და თუ რასმე ვქმნიდით, მხოლოდ საკუთარ ფანტაზიაში; იმ უბრალო მიზეზებისა გამო, რომ ჩვენ, პოლიტიკურ ცხოვრებასა და ყველაფერ სხვა გამოუცდელობის გამო, რაც კაბინეტურისა და სალონურ ცოდნათა ფარგლებს სცილდებოდა, ნამდვილად არაფრის შექმნა არ შეგვეძლო“... (227—229).

აღნიშნავს რა, რომ „პრინციპებზე ახლა ნაკლებად ლაპარაკობენ“, ბ-ნი კელსიევი განაგრძობს:

„...ფანტასტიურმა წარმოდგენებმა a priori დაჰკარგეს თავისი მნიშვნელობა, ფრაზას აზრი დაეკარგა, პრაქტიკულმა მხარემ სძლია თეორიული და ცხადია, ახალი საზოგადოება ამზადებს და გამოიმუშავებს ახალ მოღვაწეებს, რომელნიც წინ წაიყვანენ რუსეთს არა ფრაზის, არა უტოპიათა გულისათვის. არამედ შესაძლებელის გულისათვის, არც ძალიან წინ გაუსწრებს და არც დაივიწყებს, რომ „კმა არს დღისაი სიბოროტეი თვისი“ (230).

ფრიად სამწუხაროა, რომ ბ-ნი კელსიევის ცხოვრება სრულიად ამაოდ დაიმსხვრა და უფრო ცუდი კიდევ ის არის, რომ დაამსხვრია

ბევრ სხვათა ცხოვრება, უფრო ძვირფასი არსებობა, რათა მისულიყო იმ დასკვნამდე, რომელსაც დიდი ხანია მიაღწია რუსეთის ლიტერატურამ. ამის დამადასტურებლად ჩვენ მოვიყვანთ ორს ამონაწერს, რომელიც სრულიად ზედმეტი არაა ჩვენებური ახალგაზრდა „მოღვაწეებისათვის“. სტატიაში «Литературные мелочи прошлого года», („სოვერემენნიკი“, 1859, № 1) დობროლიუბოვმა შემდეგნაირად დაახასიათა თავისი წინა თაობა:

„ამ თაობის ხალხი გამსჭვალული იყო მაღალი, მაგრამ რაოდენამდე განყენებული მისწრაფებებით. ისინი ესწრაფოდნენ ჰეშმარიტებას, სიკეთე სურდათ, მათ ხიბლავდა მშვენიერება, მაგრამ ყველაზე მაღლა მათთვის პრინციპი იდგა. პრინციპად კი სახავდნენ ზოგად ფილოსოფიურ იდეას, რომელიც მიაჩნდათ მთელი თავისი ლოგიკისა და მორალის საფუძვლად. ეჭვებისა და უარყოფის საშინელი ტანჯვით ჰპოვეს მათ თავისი პრინციპი და ვეღარასოდეს ვერ ახერხებდნენ მის მძიმე და მომაკვდინებელი გავლენისაგან განთავისუფლებას. რაღაც პანთეისტური იყო მათ მიერ პრინციპის აღიარებაში: ცხოვრება მათთვის პრინციპის მსახურება იყო, ხოლო ადამიანი პრინციპის მონა. ყოველი საქციელი, თუ იგი პრინციპს არ ეგუებოდა, დანაშაულობად იყო მიჩნეული. დაშორდნენ რა, ამნაირად, სინამდვილეს და შესწირეს რა თავი პრინციპის მსახურებას, მათ შესაფერისად ვერ შეაფასეს საკუთარი ძალები და ბევრად იმაზე მეტი იყისრეს, ვიდრე მათ შეეძლოთ... მათს უმეტესობას მხოლოდ გონებით ჰქონდა შეგნებული პრინციპი და ამიტომ მარადის თავს ძალას ატანდა იმნაირი საქციელისათვის, რომელიც სრულიად არ ეგუებოდა მათს ბუნებასა და ზნეჩვეულებას. აქედან იყო მარადის ყალბი მდგომარეობა, საკუთარი თავის უკმაყოფილება, საკუთარი თავის გამაგრება და დაიმედება მაღალფარდოვანი ფრაზებით და მარადიული უხეირობა და მარცხი პრაქტიკულ მოღვაწეობაში; მათ ჩინებულად ჰქონდათ შეთვისებული განყენებული ლოგიკა, მაგრამ სრულიად ვერ იცნობდნენ ცხოვრების ლოგიკას. ამიტომ იოლ საქმედ მიაჩნდათ ყველაფერი, რაც იოლად გამოიყვანებოდა სილოგიზმის საშუალებით, მაგრამ იმავე დროს მთელ ცხოვრებას სისხლსა და ხორცს აცლიდა, ცდილობდა თავის ლოგიკურ ფორმებში ძალით ჩატევას. შეიძლება ყველაფერ ამისათვის მათ თავი დაენებებინათ კიდევ, ცხოვრების წყნარი მსვლელობისათვის ოდნავ ჩაკვირება რომ მოესწროთ. მაგრამ ბედი მათდამი ფრიად მკაცრი აღმოჩნდა: მან სასტიკად გადააბრუნა მრავალი საერთო და კერძო განსაცდელით და ისინიც დარწმუნდნენ, რომ ცხოვრება არაკანონიერი და სულელური, რომ მხოლოდ პრინციპია ჰეშმარიტება და კა-

ნონიერი. მათ იწყეს გულმხურვალე ბრძოლა პრინციპისათვის, მაგრამ წააგეს ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე ბრძოლა და დაინახეს, რომ შემდგომი ბრძოლა შეუძლებელი იყო. მძიმე უკმაყოფილება და რჩათ მათ გულში, მაგრამ არც ეს ყოფილა მთლიანი, მძლავრი და მოქმედი, ვინაიდან თვითონ ისინი არ იყვნენ მთლიანი ადამიანები“.

და მეორე, შეეხო რა თანამედროვე ახალგაზრდა თაობის დახასიათებას, დობროლიუბოვმა მოგვცა შემდეგი პროგრამა:

„გარდასული თაობის ნაოფლარის გამო, ამ ადამიანებს პრინციპი ზვდათ უკვე არა ისეთი დიდი გაჭირვებით, როგორც მათს წინამორბედებს. ამიტომ ისინი არც თუ ისე მძლავრად იყვნენ მიჯაჭვულნი მასზე: მათ ჰქონდათ მისი შესაძლებლობის და ცხოვრებასთან შეფარდების საშუალება. მიმოიხედეს რა თავის გარშემო, გადასულ თაობათა ბუნდოვან აბსტრაქციათა და აჩრდილთა მაგივრად მათ დაინახეს ქვეყნად ადამიანი, ნამდვილი ადამიანი, სისხლისა და ხორცის მქონე, დაინახეს გარექვეყნიერებასთან მისი ნამდვილი და არა ფანტასტიური ურთიერთობებით. მართლაც, ისინი თითქოს უფრო დაწვრილმანდნენ, დაჰკარგეს ის გახელებული მისწრაფებანი, რითაც გარდასული თაობა განირჩეოდა. სამაგიეროდ ისინი ბევრად უფრო მტკიცენი და ცხოვრებასთან ახლომყოფნი იყვნენ. აბსოლუტური აზროვნების უსაზღვრო სფეროებიდან ისინი ძირს, მიწაზე ჩამოვიდნენ და ნამდვილ ცხოვრებას დაუახლოვდნენ. განყენებულ ცნებათა მაგივრად მათ ჰქონდათ ცოცხალი წარმოდგენანი; კერძო ფაქტების წვრილმანები მათ უფრო მკაფიოდ წარმოიდგინეს, ხოლო ზოგად ცნებებს მკაფიობა დაეკარგათ. ახალი დროების ადამიანებმა შეიგნეს, შეიგრძნეს, რომ ქვეყნად აბსოლუტური არა არის რა, რომ ყველაფერს რელატიური მნიშვნელობა აქვს... მათთვის პირველი ადგილი ყოველთვის ადამიანს და მის პირდაპირ, არსებითს სიკეთეს უჭირავს. ეს თვალსაზრისი გამოსქვივის ყველა მათს საქციელსა და მსჯელობაში. მათი უკანასკნელი მიზანია — არა განყენებული იდეებისადმი სრული, მონური ერთგულება, არამედ კაცობრიობისადმი რაც შეიძლება მეტი სიკეთის მოტანა. მათს განსაკუთრებულს ყურადღებას იპყრობს არა ის მოვლენები, რომელთაც გრანდიოზული ან პათეტიური ხასიათი აქვთ, არამედ ისინი, რომელთაც ოდნავ მაინც გაუუმჯობესებიათ კაცობრიობის მასათა კეთილდღეობა...“

„აღიარებს რა ისტორიული განვითარების უცვლელ კანონებს, ახლანდელი თაობა არ იტვირთება განუხორციელებელი იმედებით, არ ფიქრობს, რომ მას შეუძლია თავისი სურვილისამებრ გარდაქმ-

ნას ისტორია, არ ჰფიქრობენ, რომ ისინი თავისუფალნი არიან გარემოებათა გავლენისაგან. ამნაირად, საკუთარი მდგომარეობის მკაფიო წარმოდგენა ნებას არ აძლევს მათ აზარტს აჰყვნენ და წერილ-მანებს თავი გადააქლან. მაგრამ იმავე დროს ისინი არ ვარდებიან აპატიასა და უგრძნობელობაში, რადგან შეგნებული აქვთ საკუთარი თავის მნიშვნელობა. საკუთარი თავი მათ მიაჩნიათ მანქანის ერთ-ერთ ბორბლად, ერთ-ერთ იმ გარემოებად, რომელნიც მსოფლიოს მოვლენათა მსვლელობას განაგებენ“.

ჩვენ შეგვეძლო, უკანასკნელი ათწლეულის პრაქტიკის მიხედვით, უფრო რელიეფურად აღგვესახა ჩვენი სიტყვებით ის თვისებები, რომლებიც ამ ორ თაობას განასხვავებდა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ცხოვრებაში ამ თვისებებმა თავი იჩინა უკვე დობროლიუბოვის სტატიის დაბეჭდვის შემდეგ. მაგრამ ჩვენ სიტყვებს აჩრდილიც კი არ ექნებოდა დობროლიუბოვისებური ავტორიტეტისა. ამას გარდა ჩვენი მიზნისათვის საჭიროა ამონაწერები და არა დახასიათებანი.

ახლა მკითხველისათვის მიგვინდვია გადაწყვიტოს, რომელმა ზიმართულებამ უფრო მეტი წააგო და რომელმა მოიგო ბ-ნი კელსიევის მონაწილეობის გამო; ვისი უვარგისობა გამოააშკარავა მისმა დაბრუნებამ და ვის შორსმჭვრეტელობას ადასტურებს ის ცალმხრივი უსრული დასკვნა, რომელიც, ბოლოსდაბოლოს, გამოუტანია ბ-ნ კელსიევის და რომელ დასკვნამდისაც, ადრე თუ გვიან, თუ ცხადად არა, ყოველ შემთხვევაში გულში მაინც, მივლენ ის ადამიანები, რომელნიც ბ-ნი კელსიევის გზით ვითარდებოდნენ.

28. რევოლუციონარების როლი

ყოველგვარი საზოგადოებრივი მღელვარების წინ, ისეთი მღელვარების წინ, რომელიც მზად არის დაატყდეს ევროპას, ძალაუნებურად უფიქრდები კითხვას: რამდენად მომზადებულია ასეთი მღელვარებისთვის და როგორ მოეპყრობა მას საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც მომავალში გავლენა უნდა მოახდინოს პოლიტიკური ცხოვრებისათვის ცუდად მომზადებული ხალხის მასების გონებაზე და მოძრავ შთაბეჭდილებაზე და შესძლებს თუ არა იგი დაეუფლოს ამ მასების მოქმედებას და წარმართოს ისინი ერთხელვე დასახული მიზნის განხორციელებისაკენ.

თუ გულზე ხელს დავიდებთ, ამ კითხვაზე აშკარად უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. მაგრამ ვიდრე ჩვენი პასუხის დასაბუთებას შევეუდგებოდეთ, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ იმაზე, თუ რა გრძნობის ზეგავლენით ვასრულებთ ჩვენ ჩვენს როლს, რომელიც ადვილად შეგვეძლო „სამღვთო მოვალეობად“ მიგვეჩნია, ჩვენ რომ წესად არ დაგვესახა — ვერიდოთ ყოველგვარ ზოგად ფრაზას და პათეტიურ გატაცებას.

ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს კატომოყვარეობის ძირითადი წესი — არ დაეცე თავს სუსტს და არ ებრძოლო ძლიერი მტრის მიერ დევნილ ხალხს, ბორკილებგაყრილს ან სილატაკეში მყოფს. ჩვენში სრულ პატივისცემას და სიყვარულს იწვევს იმ ადამიანთა ტანჯვა, რომელთაც ოდესმე არსებითი რამ მიუტანიათ იმის სამსხვერპლოზე, რაც მათ თავიანთ რწმენად ან საზოგადო სიკეთედ მიაჩნიათ, თუმცა, ამავე დროს ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია ფიანდაზად გადაეუშალოთ ყველას ეს ჩვენი მოწიწება. მაგრამ ჩვენ არასოდეს არ ვივიწყებდით და, ვიმედოვნებთ არც შემდეგში დავივიწყებთ იმას, რომ ეს ტანჯვა, — ისევე, როგორც მთელი მოღვაწეობა იმ ადამიანებისა, რომელთაც ტანჯვა განუცდიათ ან არ განუცდიათ, მაგრამ მაინც უმუშავნიათ ხალხისთვის სიკეთის მოსატანად, — ჩვენთვის ძვირფასია და იწვევს ჩვენში სიყვარულს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ თუნდაც ერთი ნაბიჯით, თუნდაც ნახევარი ნაბიჯით მოგვიახლოვეს ამ სიკეთის გან-

ხორციელება. გაწეული ტანჯვისათვის და შეწირული მსხვერპლის-თვის ჩვენ მზად ვართ დავხუჭოთ თვალი და არ დავინახოთ მრავალი პირადი თუ სხვა ნაკლი, მაგრამ მოვიქცევით ასე იმ დრომდე, ვიდრე ტანჯულთა მოქმედებას თუ უმოქმედობას აშკარა ვნება არ მოუტანია იმ საქმისათვის, რომლისთვისაც მათ წარსულ დროთა განმავლობაში ცოტად თუ ბევრად საგრძნობი მსხვერპლი შეუწირავთ. ხოლო როდესაც საქმეს, რომელსაც ჩვენ შეძლებისამებრ ვემსახურებით, ზიანი მოსდის იმ ხალხის მოქმედებისაგან, რომელსაც იქნებ ათასჯერ მეტი სიკეთე მოუტანია მისთვის, — ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ხმა ამოვიღოთ და დავიცვათ ეს საქმე მის წინანდელ ან მოუხერხებელ მსახურთა მოქმედების პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ჩვენი შენიშვნების თუ განმარტებების თავშეკავება და ზომიერება დავგვყავს არა თუ შერბილებაზე, არამედ სისუსტეზე. ჩვენი ასეთი ქცევა მკითხველებმა უკვე საქმით დაინახეს იმ წერილში, რომელიც რუსეთის ემიგრაციას შეეხებოდა და რომლის ერთგვარ დამატებასაც დღევანდელი წერილი წარმოადგენს.

ევროპის სახელმწიფოთა მოწინავე პარტიები, დაწყებული 1348 წლიდან, მოქმედებენ მხოლოდ უარყოფითი გზით. გაფაციცებით აღევნებდნენ რა თვალუფრს მთავრობათა მოქმედებას, ისინი კმაყოფილდებოდნენ უბრალო პროტესტაციებით, მთავრობის ამა თუ იმ განკარგულების უკანონობის აღნიშვნით და მიისწრაფოდნენ მხოლოდ ერთი მიზნისკენ: დაერწმუნებინათ მასა, რომ მთავრობები ბოროტი განზრახვით არიან განმსჭვალულნი, აღედრათ მასში სიძულელი ამ მთავრობებისადმი და გამოეწვიათ მისი მხნე მოქმედება მთავრობის ძალის წინააღმდეგ — დაეპირისპირებინათ ამ უკანასკნელისთვის არჩევნების მორალური ძალა და ბარიკადებზე მებრძოლთა კუნთების ძალა.

ამ მიზნის მისაღწევად, ევროპის მოწინავე კაცები ცდილობდნენ არ აღედრათ ის საკითხები, რომელთაც შეეძლოთ ჩამოეგდოთ რაიმე უთანხმოება არსებულ მთავრობათა სხვადასხვა ჯურის მტრებს შორის. სადაო მუხლზეა იმ მოკავშირეთა შორის, რომელნიც საერთო მტრის წინააღმდეგ მიდიოდნენ, მიჩქმალული იყო თითქოს მოკავშირეთა ნებაყოფლობითი უთანხმებით. ამ ტაქტიკის წყალობით, რომელიც იქნებ ძალიან მოხერხებულია საარჩევნო უმრავლესობის მისაღწევად, უკანა რიგში მოაქცია ის საკითხები, რომლებიც მასების გონებას ეუფლებოდნენ, და მოხდა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ არსებითი საკითხების გადაწყვეტაში ვერ შეთანხმებულიყვნენ ის ადამიანები, რომელთაც მთავრობის წინააღმდეგ გასალაშქ-

რებლად ერთმანეთთან შეტევეთი კავშირი დასდეს. ამის საბოლოო შედეგი ის იყო, რომ მასებს გული აუტრუედათ იმ საქმისადმი, რომელზედაც მოწინავე კაცები ქადაგებდნენ.

რაკი „მტრის დამარცხებამდე“ გადაწყდა გაჩუმება საღაო და საკირბოროტო საკითხებზე, მოწინავე ადამიანებმა, — ხოლო მათ შემდეგ იმ ახალგაზრდობამაც, რომელიც სიტყვის შეუბრუნებლად მისდევდა მათ, — თანდათან დაჰკარგეს ნათელი შეგნება ამ საკითხების არსებასა და მდგომარეობაზე და მათი გადაჭრის საშუალებებზე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამას ხელს უწყობდა არა მარტო მოკავშირეებთან არ წაჩხუბების სურვილი, არამედ ის უბრალო მოსაზრებაც, რომ ესლა მთავარი და უპირველესია მტრის დამხობა, ხოლო ყოველივე დანარჩენის მოფიქრება და მოგვარება შეიძლება ამ სასურველი დამხობის შემდეგ.

ასეთ უმოქმედო მოლოდინში გასული დრო ვერ შესძენდა მოწინავე ადამიანებს უნარს — ჩაეხედათ ცხოვრებაში და გაერკვიათ იმ სიძნელეთა დედააზრი, რომელთა თავიდან აცილებაც გადაიქცევა მათ მოვალეობად იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა მათი სასურველი მოლოდინი. მათ ვერ გაიგეს, რომ უარყოფითი დამოკიდებულება მთავრობისა და მიმდინარე ცხოვრებისადმი ვერ ჩაითვლება მათი მომავალი მოქმედების საკმაოდ ძლიერ თავმდებად, რომ იგი ვერ მოაგვარებდა ძალას მთავრობასთან საბრძოლველადაც კი, აღარას ვამბობთ იმაზე, რომ იგი ვერ მიიზიდავს მათ რიგებში ვერც ერთ გარეშე კაცს, რომელსაც მათი დროშის დაცვა თავის პირად გადაუდებელ საქმედ არ მიაჩნია.

პრუსიაში პროგრესისტები, რომელნიც მოქმედების ამ გზას აღგნენ, საქვეყნოდ დამარცხდნენ, როდესაც ბისმარკის პოლიტიკა ხელსაყრელი აღმოჩნდა მთლიანი და განუყოფელი გერმანიისათვის. ვერ შეაჩერა ისინი ლასალის გაფრთხილებამ და მხილებამ; ისინი გამოფხიზლდნენ მხოლოდ საღოვას ბრძოლის და ბოგემიის ლაშქრობის წყალობით. გზა-კვალ აბნეულებმა თავი შეიარცხინეს და ბისმარკის რიგებს მიუდგნენ, რითაც მას თავიანთი სიბეცის და სრული უძღურობის საზეიმო აქტი გადასცეს. საფრანგეთში ამის საწინააღმდეგო რამ მოხდა. მთავრობამ, რომელმაც შეცდომა შეცდომაზე ჩაიდინა, სახელი გაიტეხა მასების თვალში და გამოიწვია საყოველთაო გააფთრება თავის წინააღმდეგ. ოპოზიცია და საფრანგეთის მოწინავე კაცები დღემდე განაგრძობენ ამ გააფთრების გავივებას და სხვას არაფერს აკეთებენ.

საზოგადოებრივ საქმეებში არაფერია ისე ადვილი, როგორც საზოგადოების ამა თუ იმ განწყობილების წაქეზება: საკმარისია

მცირედი ნიშანიც კი, რომ საზოგადოებამ იგი თავისი აზრების გამოხატულებად მიიღოს, და მსმენელები თუ მკითხველები გულუბრყვილოდ მზად არიან თავიანთი აზრები და გრძნობები მიაწერონ ყოველ ფრაზას, რომელიც ოდნავ მაინც, თუნდაც გარეგნობით, ეგუება მათ განწყობილებას. მაგრამ ასეთი სიმპათია იმდენადვე მტკიცეა, რამდენადაც ადვილად წარმოიშვება იგი. აი სწორედ აქ ჩანს სიბეცე მოწინავე კაცებისა, რომელთაც არაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ მასების სიმპათია და ახლად ჩასახული ნდობა შეინარჩუნონ იმ დროისთვის, როდესაც გაივლის საზოგადოების ეხლანდელი განწყობილება. ამის მიღწევა კი შეიძლებოდა მასების მოთხოვნილების, მათი მისწრაფებისა და საჭიროების უაღრესად სერიოზული და კეთილსინდისიერი შესწავლით. მართალია, ამგვარი საკითხების საჯარო დამუშავება შეამცირებდა თანამგრძობთა რიცხვს, მაგრამ სამაგიეროდ თანაგრძობისა და ნდობის ძალა და სიმტკიცე იმ ზომამდე გაიზრდებოდა, რომ არავინ აიტკივებდა თავს ცრუ თავყანისმცემელთა დაკარგვაზე ფიქრით.

მეორე უბედურება, რომელსაც უკვე მიაღწიეს მოწინავე კაცებმა, არის ის, რომ ისინი არ იცნობენ პრაქტიკულ საკითხებს, ვერ ახერხებენ მოსალოდნელ დაბრკოლებათა და სიძნელეთა თავიდან აცილებას. ოპოზიციონური დემუტატების სიტყვები და ასეთივე ჟურნალისტების წერილები სავსეა მთავრობის ბოროტ-განზრახვათა აღნიშვნით ან მთავრობის წარმომადგენელთა და მის მწერალთა მხილებით წინააღმდეგობასა და არათანმიმდევრობაში. მაგრამ ყოველსავე ამას ერთგვარი ინტერესი აქვს მხოლოდ დღევანდელ მომენტში; რომ გაჰქრეს ამჟამად მთავრობა, ოპოზიციონერ მოღვაწეებს არ ეცოდინებათ, რა გააკეთონ: ისინი არა თუ ვერ მოახერხებენ მეტად აბნეული ფინანსიური მდგომარეობის ლიკვიდაციას, ან სხვებზე უფრო ნაკლებად გაძნელებული ისეთი ეკონომიური პირობების თავიდან აცილებას, რომლებიც გაძვალტყავებულ და უკმაყოფილო ხალხს შეეხებოდა, არამედ, მათ არ ეყოფოდათ ნიჭიერი და მცოდნე ხალხი სამოსამართლო და ადმინისტრაციული დაწესებულებების რეორგანიზაციისათვის. და თანამედროვე მოწინავე კაცები რომ ბედის წყალობით მთავრობის სათავეში მოექცნენ, ისინი იძულებულნი გახდებიან კვლავ დააღონ პირი და იწყონ საზოგადოებრივი საკითხის „გამოკვლევა“ და „შესწავლა“. მაშინ, როდესაც ცვლილებით დაჩქარებული ცხოვრების მსვლელობა მოითხოვს მათგან დამზადებულ გადაწყვეტილებებს და ზომებს, ხალხის ეკონომიური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების სწრაფ გაუმჯობესებას, გადაუდებელ ცვლილებებს კანონმდებლობის

ყოველ ნაწილში და უამრავი ხალხის მატერიალურ საქიროებათა დაკმაყოფილებას, იმ ხალხის, რომელიც უპუროდ და უმუშაოდ დარჩება შერყევათა გამო, რაც აუცილებლად მოსდევს ყოველ პოლიტიკურ ცვლილებას. სად გამოძებნიან მოწინავე კაცები სახსარსა და ძალას ყველა ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად? საიდან აიღებენ ისინი ცხოვრების პრაქტიკულ ცოდნას, გამჭრიახობას, გაბედულებას და ენერჯიას ყოველგვარი ცდისა და ღონისძიებისათვის? ისინი გულხელდაკრეფილნი ისხდნენ და მოელოდნენ მესამე რესპუბლიკის მოსვლას და ამას უქმად არ ჩაუვლია მათთვის: მათი გონება ვიწრო და ცალმხრივია, ხასიათი — სუსტი და მოდუნებული, ცოდნა არაავითარი არ გააჩნიათ, გარდა გაუმჯობესებული, პირადი თავდასხმით გაღვივებული რიტორიკისა; ასეთი ავლა-დიდებით კი ძნელია გაუძღვე საზოგადოებრივი აღორძინების მეტად რთულ საქმეს.

რა იქნება? ამას ვერავინ გამოიცნობს. მაგრამ ისინი, ვისაც გულწრფელად სურს სიკეთე ხალხისთვის, — დარწმუნებულნი ვართ — ჩვენთან ერთად გაიმეორებენ: ღმერთმა ქნას, რომ იმ გადატრიალებას, რომელსაც იწვევს მთავრობათა იდიოტური შეუვგებლობა და გონების სიჩლუნგე, მოუმზადებელი არ დახვდეს ახალგაზრდობა, და ღმერთმა ქნას, რომ მოესწროს ახალგაზრდობის ძალთა გამაგრება და მისი დავაჟკაცება ამ აუცილებელი კატასტროფის დროისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მას, ეხლანდელი მოწინავე კაცების მოუმზადებლობის წყალობით და მასების მისწრაფებათა გაურკვეველობის გამო, მოჰყვება ისეთი რეაქცია, რომელზე მარტო ფიქრიც კი შესაზარია.

30. „ნაროდნოე დელო“

ჩვენ მკითხველებს ალბათ უკვე მოეხსენებათ, რომ 1-ლ სექტემბრიდან ქენევაში, ბ-ნ ელპიდინის და ამხ-ბის სტამბაში (24, Terrassiere) გამოდის ახალი რუსული ჟურნალი „ნაროდნოე დელო“¹²¹. ჟურნალი თვეში ორჯერ გამოვა, იქნება შიგ ერთი ან ორი თაბახი დიდი in 80° ფორმატისა. დამახასიათებელი თვისება, რითაც ეს ჟურნალი განსხვავდება საზღვარგარეთ არსებულ სხვა რუსულ გამოცემებისაგან, არის ის, რომ მას განზრახული აქვს იყოს მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდის ჟურნალად და ხელი მოჰკიდოს რუსეთში რევოლუციონურ საკითხების დასმას.

სულ სხვა ადგილის დაჭერას ცდილობს საზღვარგარეთის რუსულ ლიტერატურაში ჩვენი „სოვრემენოსტ“¹²²: მას უნდა, რამდენადაც ნებას მისცემს სახსარი და იმ მასალის სიმცირე, რომელიც დღეს მოეპოვება, იყოს მიმდინარე ცხოვრების მიმომხილველი და ამსახველი, და წარუდგინოს მკითხველს არა თავისი მისწრაფებებისა და იდეალების სურათი, არამედ ნამდვილი ვითარება და საზოგადოებრივ საქმეთა მიმდინარეობა რუსეთსა და ევროპაში. რაც უფრო უკეთ შევასრულებთ ასეთ პროგრამას, რაც უფრო სისწორით ავსახავთ სინამდვილის სურათს, მით უფრო საგრძნობი გახდება ჩვენთვისაც და მკითხველისთვისაც საჭიროება — ჩვენ მიმოხილვებთან ერთად მოვათავსოთ ესკიზები იმისა, რაც უფრო კარგი და ხელსაყრელია საზოგადოებისათვის; სხვა სიტყვებით — სინამდვილის დასურათება მხარდამხარ უნდა მისდევდეს ამ სინამდვილის კრიტიკას და ისეთ წინადადებებს, რომლებიც შეეცდებიან შესცვალონ სინამდვილეში ის, რის შეცვლაც ადამიანის ხელთ არის.

ამ დიდ საჭიროებას — არ დავკმაყოფილებულიყავით თანამედროვეობის მარტოოდენ დასურათებით — მეტად მკვეთრად ვგრძნობდით თვითონ ჩვენი; იგი ხელს გვიშლიდა მიგვემართა მთელი ჩვენი ძალღონე თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვისაკენ. ნებაუნებლიედ იძულებულნი ვხდებოდით გადაგველახა ჩვენი სინამდვილის საზღვრები, რაც საგრძნობლად აძნელებდა ჩვენს მუშაობას და გვაშორებდა ჩვენი მიზნის მიღწევას.

გასაგებია ამიტომ, რა ცხოველ თანაგრძნობას უნდა იწვევდეს ჩვენში ყოველი ცდა, მიმართული პროპაგანდის ორგანოს დაარსებისკენ საზღვარგარეთ, და რა ყურადღებით — ვიტყვით პირდაპირ, რა მზრუნველობით — უნდა მოვეპყრათ ასეთ ორგანოს. ჩვენ შევინებულად ვერიდებოდით საკუთარ თეორიულ რწმენათა და შეხედულებათა გამოთქმას და ჩავდიოდით ამას მხოლოდ იმიტომ, რომ მოსამზადებელ მუშაობას ამ შეხედულებათა გასატარებლად — თანამედროვე მდგომარეობის გამორკვევას ჩვენი მოღვაწენი სულ არ შეჰხებიან, ხოლო ამ წინასწარი მომზადების გარეშე ყოველგვარი „საკითხის“ თეორიული განხილვა ნიშნავდა აბსტრაქციების ბურუსში გახვევას და არავითარი გავლენის არ მოხდენას მკითხველი საზოგადოების გონებაზე. ამიტომ ჩვენ სრულიადაც ვერ მოვეპყრობით გულგრილად საკითხს — როგორ შეასრულებენ სხვები იმ როლს, რომელზედაც ჩვენ იძულებულნი ვიყავით უარი გვეთქვა, და უქმად ხომ არ ჩაივლის ჩვენი ის მეცადინეობა, რომლის მიზანსაც შეადგენს ნიადაგის მომზადება ჩვენი შეხედულებების აზრიანი პროპაგანდისათვის.

ჩვენი მკითხველი საზოგადოება ძალიან ნაკლებად იცნობს საზოგადოებრივ საქმეთა ბუნებას. ჩვენ ვიკისრეთ საქმის ერთი მხარე გადაგვეშალა მკითხველის წინაშე ცოტად თუ ბევრად დამუშავებული სახით, უბრალო ფაქტების სახით ნამდვილი ცხოვრებიდან, ხოლო საზოგადოებრივ მეცნიერებათა „ფილოსოფიის“ გაცნობა ამ მკითხველისთვის სხვების წილად დავტოვეთ ან დროებით გადავდეთ. მაგრამ ბოტანიკის ყოველი კეთილსინდისიერი მასწავლებელი, მაგალითად, დაინტერესებულა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შემდგომი შეთვისება მისი მოწაფეების მიერ შეეთანაბრებოდეს მის წინასწარ გაკვეთილებს. იგი გულდასმით ადევნებს თვალყურს იმ პროფესორების მეთოდებს, რომელთაც იკისრეს მის მიერ დამუშავებული ფაქტების განზოგადოება, და გამოჰყავს ამ მეთოდებიდან დასკვნები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია მთელ ბოტანიკაში, ხოლო ზოგჯერ მთელ საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში. და ხდება ხოლმე ხშირად, რომ ბოტანიკის მასწავლებელი, ჩვენ მიერ მაგალითისთვის აღებული, ბუნებისმეტყველების სწავლების საქმეში სწორი ჰარმონიის დამყარებით აღწევს თავის მიზანს.

სწორედ ასეთია ჩვენი როლი საზღვარგარეთულ ლიტერატურაში; სწორედ ასევე ვართ ჩვენ მოვალენი ვიზრუნოთ იმისთვის, რომ პუბლიცისტიკის ის ნაწილი, რომელიც კისრულობს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განზოგადოებისა და დასკვნების პროპაგანდას, გო-

ნიერად და წარმატებით უძღვებოდეს თავის საქმეს, რომ მან შესძლოს მიიღწიოს თავის მიზანს—გააცნოს საზოგადოებას სალი შეხედულებანი საზოგადოებრივ ურთიერთობასა და ხალხის ცხოვრებაზე. ასეთი თვალთ ვუყურებთ ჩვენ „ნაროდნოე დელოს“.

ჩვენ არაფრის გულისთვის არ გვინდა პოლემიკა გავაბათ ამ ჟურნალთან. მაგრამ „ნაროდნოე დელო“ თავის პირველ ნომერშივე შეეხო, ჩვენის აზრით — უსაფუძვლოდ, რამდენსამე პუნქტს, რომელთა გამოც ჩვენ ძალიან ადვილად შეგვიძლია მისი შეცდომების გამოსწორება. შეცდომებს კი, როგორც ცნობილია, იშვიათად ასცდება ახლად ფეხადგმული ჟურნალი. ეს პუნქტები, ამას გარდა, დაგვანახებენ — რაში არ ვეთანხმებით „ნაროდნოე დელოს“, დავიმედოვნებთ, რომ „ნაროდნოე დელოს“, ალბათ, ახალგაზრდა და გამოუცდელი ავტორები მხედველობაში მიიღებენ ჩვენ შენიშვნებს, რათა შემდეგში არ გააფუჭონ საქმე ზედმეტი უკიდურესობით და განყენებული. „ნავარდით“ ფილოსოფიის მიუწვდომელ სფეროებში.

„ნაროდნოე დელო“, რომელიც უარპყოვს მთავრობის რეფორმებს და გამომდინარეობს იმ დებულებიდან, რომ მთავრობის როლი მავნებელია ხალხის ბედნიერებისთვის, ერთბაშად მიდის სახელმწიფოებრიობისა და სახელმწიფოს უარყოფამდე. ამ უარყოფას იგი პირველ ნომერშივე იმეორებს რალაც ათჯერ. ამიტომ არ შეიძლება მისი უყურადღებოდ დატოვება. ჩვენ „ნაროდნოე დელოს“ წარუდგენთ შემდეგ მაგალითს: 1867 წელს ენევაში შეიკრიბა კონგრესი აშკარა რევოლუციონური მიზნებით, უკიდურესი შეხედულებებით და იმ წარბეზუხრელი განზრახვით, რომ თანამედროვე მთავრობის მექანიზმში ქვა-ქვაზე არ დაეტოვებია. მაგრამ, რადგან წევრები სხვადასხვა პირად და საზოგადოებრივ საქმეებში იყვნენ გართულნი და რადგან ყველას არ მოეპოებოდა საკმაო დრო ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, ამიტომ მათ რამდენიმე კაცისაგან დააწესეს მუდმივი კომიტეტი და მას დაავალეს — გაუძღვეს რევოლუციის საქმეს, გამონახოს სახსრები ამ საქმის გამარჯვებისათვის და წელიწადში ერთხელ ჩააბაროს ანგარიში თავის წევრებს. მუდმივი კომიტეტი იგივე მთავრობაა, სახელმწიფო, — ყველაფერი რაც გნებათ, იგი საზოგადოების წევრთა კოლექტიური ძალის განსახიერებაა, რომელიც ვალდებულია შეასრულოს ერთხელვე დასახული პროგრამა. სახელმწიფოს უარყოფა ნიშნავს „მშვიდობიანობისა და თავისუფლების ლიგის“ მუდმივი კომიტეტის უარყოფას, ნიშნავს საზოგადოდ უარპყოვს ის, რომ სასარგებლო და მოსახერხებ-

ბელია ასოციაციური საქმეების გაძღოლის გადაცემა საზოგადოების რწმუნებით აღჭურვილი ორი-სამი წევრისთვის.

რა საჭიროა ეს უკიდურესობა? შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ესა თუ ის კომიტეტი, ესა თუ ის მთავრობა უკანონოდ არსებობს, მიჰყავს მას საქმეები საზოგადოების საზიანოდ, ზურგი გამაგრებული აქვს ხიშტების ან მოსყიდვის მეოხებით და არა საზოგადოების წევრთა თანხმობით. — ყველაფერი ეს შესაძლებელია. მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოყვანა, რომ, საზოგადოდ, დელეგაციის როლი ზედმეტია ან მავნებელი, ნიშნავს ისეთი რამის თქმას, რაც არ ეგუება არც ლოგიკას და არც საღ გონიერებას. რადგან შეიძლება „ნაროდნოე დელოს“ თანამშრომლებმა ჩვენი სიტყვა არ დაიჯერონ. ვურჩევთ გადაიკითხოთ ჩერნიშევსკის წერილი: „ეკონომიური საქმიანობა და კანონმდებლობა“ („სოვერემენნიკი“, 1859, № 2), საიდანაც ისინი ადვილად გაიგებენ — რაშია როგორც მთავრობის როლი, ისე ის მოვალეობა, რომელიც წილად ხვდება „სახელმწიფოს“ და საზოგადოებას. „სახელმწიფოს“ წინააღმდეგ გალაშქრება ყოველად უვნებელი საქმეა: იგი ნდობას უკარგავს მკითხველს, სამწუხაროდ, არა მთავრობისა და საერთოდ, სახელმწიფოსადმი, არამედ „ნაროდნოე დელო“-ს რედაქციისადმი.

ბევრად უფრო საყურადღებოა „ნაროდნოე დელო“-ს ამხედრება თანამედროვე მეცნიერების წინააღმდეგ. „ნაროდნოე დელო“ მივიდა იმ აზრამდე, რომ სახალხო რელიგიის მოსპობა აუცილებლად საჭირო საქმეა, ამიტომ მეცნიერებას მოვალეობად უსახავს — ხალხის ინტერესებისათვის მოსპოს ხალხის რწმენა და აღიაროს. ღვთის არ არსებობა. მეცნიერების ამ მოვალეობის მიხედვით, „ნაროდნოე დელო“ თანამედროვე მეცნიერებს ჰყოფს ორ ჯგუფად — რევოლუციის მოციქულებად და არარევოლუციონერებად. სამწუხაროდ, „ნაროდნოე დელო“-ს ცოდნა მეცნიერების დარგში, ისევე, როგორც ფილოსოფიის დარგში, ცოტა არ იყოს, არეულია. იგი ერთ მხარეს აყენებს ბიუხნერს, კარლ ფოგტს და მოლეშოტს (რევოლუციის მოციქულები), ხოლო მეორე მხარეს — ბოკლს, დარვინს, ლიუისს, ჰ. სპენსერს და ჯ. ს. მილს (არარევოლუციონერები). მეცნიერთა ასე დანაწილებამ რევოლუციის ცხვრებად და თხებად შეიძლება „ნაროდნოე დელოს“ ნდობა დაუკარგოს საზოგადოების თვალში. ვინ არ იცის, მაგალითად, დღეს, რომ ბიუხნერი, ხოლო მასთან ერთად სპენსერი, მეტაფიზიკოსთა რიცხვს ეკუთვნიან და ფილოსოფიის ისტორიაში მხარს უმშვენიებენ სენსუალიზმის, ვიტალიზმის, სპირიტუალიზმის, ანიმიზმის, მატერიალიზმის და სხვა ცალმხრივ სისტემათა მომხრეებს და დამაარსებლებს? და, მეორეს მხრით, ვის.

არ მოეხსენება, რომ კარლ ფოგტი, მოლემოტი, დარვინი და ბოკლი ეკუთვნიან იმ მეცნიერთა რიცხვს, რომელთაც მეცნიერებიდან ერთ-ხელ და სამუდამოდ განდევნეს ყოველგვარი მეტაფიზიკური საკითხი და რომელიც შეუდგნენ ფიზიკური და ზნეობრივი ბუნების მოვლენათა გამოკვლევას და განზოგადობას, რათა ამ მოვლენათა თანმიმდევრობას ჩაწვდნენ? „ნაროდნოე დელოს“ რედაქციის გონებაში შეცდომა მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ფოგტი და მოლემოტი თავიანთ მეცნიერულ გამოკვლევებს და დასკვნებს აზავებენ სარკაზმით სპირიტუალიზმის წინააღმდეგ, ხოლო ბოკლი და დარვინი მოწიწებით ეპყრობიან თავიანთ ინგლისელ მკითხველთა მორწმუნეობას. მაგრამ მეცნიერთა და გონიერ მკითხველთა თვალში არავითარი მეცნიერული მნიშვნელობა არა აქვთ არც გერმანელ მეცნიერთა სარკაზმს და არც ინგლისელ მეცნიერთა შენიშვნებს; ეს მხოლოდ ფიორეტურებია, სტილის სამკაული — და აქედან განმასხვავებელი ნიშნების გამოყვანა მწერალთა კვალიფიკაციისთვის, მეტი რომ არა ვთქვათ, დაუშვებელია მეცნიერების საქმეში უვიცთათვისაც კი.

საბუნებისმეტყველო ფილოსოფიაში ბეკონის შემდეგ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს ეგრეთწოდებული დადებითი, პოზიტიური მეთოდი, რომელსაც ნაწილობრივ კონტრე იზიარებდა. ეს მეთოდი ეხლა ოგიუსტ კონტის დამსახურებად მიაჩნიათ, თუმცა ამ მოაზროვნემ, როგორც თითონაც აღიარებს, მხოლოდ ჩამოაყალიბა ის აზრი, რომელიც ძალიან დიდი ხანია მეცნიერების საკუთრებად გადაიქცა. ეს მეთოდი დამყარებულია იმ შეხედულებაზე, რომ ჩვენი ცნობიერებისათვის მისაწვდომია არა იმ ფაქტების რაობა, რომელთაც ჩვენ ვხედავთ, არა მათი ურთიერთმიმართების მიზეზები, არამედ მხოლოდ ის მოვლენები, რომლებიც წარმოიშობიან თვით ამ ფაქტებს შორის არსებული ურთიერთობის შეცვლის დროს. ამ ფაქტებში ჩვენ ძალგვიძს მივწვდეთ არა მათ მიზეზებს ან ბუნებას, არამედ მხოლოდ გარეგან თანმიმდევრობას ან შემკვიდრეობას, ე. ი. ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ ერთგვარი პირობები წარმოშობენ ერთგვარ მოვლენებს. მოვლენების თანმიმდევარი რიგი, რომელიც შეესაბამება ამ მოვლენების წარმოშობ გარემოებათა რიგს, გვაძლევს წარმოდგენას მოვლენათა კანონების შესახებ. სწორედ ეს თანმიმდევრობა უნდა გამოსძებნოს მეცნიერებამ და არ შეუდგეს იგი უნაყოფო კამათს თვით მოვლენათა და ფაქტთა რაობის ან ბუნების შესახებ.

მთელი თანამედროვე მეცნიერება, ბეკონიდან დაწყებული, ამ მეთოდს ეყრდნობა და მიდის წინ მისი წყალობით. ამ მეთოდს უნდა

ვუმადლოდეთ იმ წარმატებისთვის, რომელსაც ბუნებისმეტყველებამ მიაღწია (სხვათა შორის, „რევოლიუციის მოციქულთა“, გარდა ბიუხნერისა, მოღვაწეობისთვისაც). და ყველა ამის შემდეგ „ნაროდნოე დელოს“ ფილოსოფოსები მამაცად მოითხოვენ, რომ იმ მეცნიერებებმა, რომელთაც „რევოლუციის მოციქულთა“ სახელის პრეტენზია აქვთ, ხელი აიღონ ამ მეთოდზე და „საყოველთაო სახალხო ენაზე (sic) უწოდონ თავიანთ თავს ათეისტები და მატერიალისტები“, და უნდა ჩაიღინონ ეს იმიტომ, რომ „მეცნიერების მიერ მართოდენ დაშვება ნამდვილი ღმერთის არსებობისა, თუმცა ეს დაუშვებელია თვით მეცნიერებისთვის, საკმაოა, რომ, ერთი მხრით, გაუნათლებელ ადამიანთა გულში განმტკიცდეს ამ იდეის მეუფება, მაშასადამე, განმტკიცდეს ადამიანთა მონობაც, ხოლო, მეორე მხრივ, მოისპოს მეცნიერების თვით არსებობაც კი“. თითქოს მეცნიერთა ავტორიტეტი ემყარებოდეს არა იმ მტკიცე, ყველასთვის საგრძნობ ცნობებს, რომლების მეოხებითაც ისინი არღვევენ მეტაფიზიკის ძველ შენობას, არამედ არაფერზე არ დამყარებულ განცხადებებზე ღმერთის არსებობის ან არარსებობის შესახებ.

მოსთხოვო მეცნიერებას, რომ მან მიზნად დაისახოს სახალხო რელიგიის მოსპობა ღვთის „აარსებობის“ პირდაპირი აღიარების გზით ნიშნავს მოსიურვო, რომ მეცნიერებამ შებრუნებულად ჩაიღინოს სწორედ ის შეცდომა, რაც კანტმა ჩაიღინა. თუ „ნაროდნოე დელოს“-ს ფილოსოფოსები ნებას მოგვცემენ შევავსოთ მათი ფილოსოფიური ცოდნა, გავახსენებთ მათ შემდეგ ფაქტს. კანტი, რომელიც გამომდინარეობდა იმ აზრიდან, რომ ჩვენთვის მიუწვდომელია თვით საგანი თავისთავად (რომელთა არსებობაც, ვიტყვი აქვე, კანტს დასაშვებად მიაჩნდა) და მისაწვდომია მხოლოდ მათი გარეგანი გამოაშკარავება, ე. ი. ის, რასაც მათ ჩვენი ოცნება და ჩვენი გრძნობები მიაწერენ, — აი კანტი „წმინდა გონების კრიტიკაში“ მივიდა ღვთის უარყოფამდე, ადამიანის ყველა რელიგიური და ზნეობრივი წარმოდგენის უარყოფამდე. მაგრამ შემდეგ „პრაქტიკული გონების კრიტიკა“-სა და „განსჯის უნარის კრიტიკა“-ში²³ კანტი საქმეს შეუდგა სულ სხვაგვარად: მან გამოსავალ წერტილად დასახა ის აზრი, რომ ადამიანში არსებობს „ზნეობრივი კანონი“ (აბსოლუტური და ჰიპოტეტური იმპერატივი) აქედან ლოგიკურად დაასკვნა ღვთისა და სხვადასხვა მისი ატრიბუტის არსებობა. დაე ეხლა „ნაროდნოე დელომ“ გულზე ხელი დაიდოს და სთქვას, აღნიშნული სამი თხზულებიდან რომელს ჰქონდა უფრო მეტი მნიშვნელობა ფილოსოფიისა და საზოგადოების გონებრივი განვითარების ისტორიაში, და დაე, მან, თუ შეუძლია დაამტკიცოს ჩვენი იმ განცხადების

უსაფუძვლობა, რომ მხოლოდ „წმინდა გონების კრიტიკამ“ მოახდინა გარდატეხა ფილოსოფიაში და მხოლოდ მან გაუწია უდიდესი სამსახური ადამიანთა განვითარების საქმეს. ამ მოვლენის მიზეზი იყო სწორედ კანტის დასკვნათა ამოსავალი წერტილი — მის წინამძღვართა და დამამტკიცებელ საბუთთა დადებითი მხარე. თანამედროვე მეცნიერება უფრო ძლიერად ემყარება იმავე მეთოდს, რომელიც უფრო მეტად განვითარდა ადამიანის გონების წარმატებით. და ესლა რომ მან კანტის მაგალითს მიჰბაძოს და „ნაროდნოე დელოს“ რჩევა მიიღოს და იწყოს ლაპარაკი ღმერთის არ არსებობაზე, მთელი მისი მსჯელობა და საბუთები, ნებით თუ უნებლიეთ მეტაფიზიკურ ცნებებზე დამყარებით, ისევე უნაყოფოდ და უკვალოდ ჩაიფუშებიან, როგორც კანტის შემდგომი ნაწარმოებნი, და მოხდება ასე სწორედ იმიტომ, რომ ამ მსჯელობას არავითარი მეცნიერული საბუთი არ ექნება და უნდა დაემყაროს იგი მხოლოდ ჩვენ მიერ „ნაროდნოე დელოდან“ ამოწერილ საეჭვო დებულებას. ეს სწადია სწორედ „ნაროდნოე დელოს“ წერილს — „მეცნიერება და ხალხი“¹²⁴.

ასეთი უხერხული გზა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, უნაყოფოა. ზიანი კი, არსებითი ზიანი მისგან ის არის, რომ ადამიანები, რომელნიც მიუდგომელი თვალთ უყურებენ სხვადასხვა შეხედულებას, იტყვიან: „ეს რა დახავსებული ხალხი ყოფილა — ილაშქრებენ ყველასათვის აშკარა მეცნიერულ ჭეშმარიტებათა წინააღმდეგ და მოითხოვენ, რომ მეცნიერებამ, რომელმაც ძლივს დააღწია თავი მეტაფიზიკის არტანებს, ამავე მეტაფიზიკის საჭურველით შეიარაღებულმა იწყოს ჭვაროსნული ომი!“ შემდეგ, ეს მიუდგომელი ადამიანები იტყვიან: „ალბათ, სოციალისტური რევოლუციის საქმეს მართლაც მოელო ბოლო, თუ რევოლუციონერები და სოციალისტები ასეთი უგუნური განზრახვებით არიან განმსჭვალულნი“. განა შეიძლება ასეთი დათვური სამსახური საკუთარი საქმისთვის? და ნუთუ სოციალისტები და რევოლუციონერები ხალხის და მისი საქმის სახელით სხვა მოთხოვნებს ვერ წაუყენებენ მეცნიერებას? ან იქნებ „ნაროდნოე დელო“-ს საეჭვოდ მიაჩნია ასეთი გონიერი მოთხოვნების შესაძლებლობა?

შემდეგ, „ნაროდნოე დელო“-ს პროგრამაში, სხვადასხვა საქებურ სურვილებთან ერთად (რომელთა ჩამოთვლაც დაუსრულებლად შეიძლება, მაგალითად „ჩვენ გვსურს გავანთავისუფლოთ დედაკაცი ისეთი უაზრო ჩვეულებისაგან, როგორიც არის ბავშვების მუცლით ტარება ცხრა თვის განმავლობაში“, ან: „ჩვენ გვალვის მტრები ვართ და გვინდა გავანთავისუფლოთ ხალხი წყალდიდობისაგან“ და

სხვა), ვხედებით შემდეგ აზრს: „ეკონომიური სამართლიანობის საფუძვლად ჩვენ მიგვაჩნია ორი ძირითადი დებულება: მიწა ეკუთვნის მხოლოდ იმას, ვინც მას თავისი ხელით ამუშავებს — მიწათმოქმედ თემებს, ხოლო კაპიტალები და მუშაობის მთელი იარაღი მომუშავეებს — მუშათა ასოციაციებს“. საქმე იმაში არ არის, ვის საკუთრებად მიგვაჩნია ესა თუ ის ნივთი. ჩვენ ავიღებთ „ეკონომიური სამართლიანობის“ მეორე ნაწილს და ნათელვყოფთ — რამდენად ნაკლები სიმართლეა თვით მასში. მუშა-მექანიკოსთა ასოციაციამ დაამზადა მსწრაფლმბეჭდავი მანქანა. როგორც შრომის ნაყოფი, ეს მანქანა კაპიტალია, და „ეკონომიური სამართლიანობის“ პირდაპირი აზრის მიხედვით, ეკუთვნის მექანიკოსთა ასოციაციას. მაგრამ იგივე მანქანა, როგორც შრომის იარაღი, იმავე „ეკონომიური სამართლიანობის“ ძალითვე უნდა ეკუთვნოდეს სტამბის მუშაკთა ასოციაციას. პოდა, მოდი და ეხლა გაარჩიე, „ეკონომიური სამართლიანობის“ მეორე ძირითადი დებულების ძალით, მუშების რომელ ასოციაციას აქვს „უფლება“ მსწრაფლმბეჭდავ მანქანაზე. საზოგადოებრივი ეკონომიის საქმეა დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომ მექანიკოსების მიერ დამზადებული მანქანა, მექანიკოსთა უწყინრად, გადაეცეს სტამბის მუშაკთა ასოციაციას და რომ ამ უკანასკნელ ასოციაციაში არ იყვნენ პარაზიტები და პრივილეგიური წევრები. აი საით უნდა მიიმართოს იმ ადამიანთა ძალღონე, რომელნიც მოწადინებულნი არიან საზოგადოებრივი ეკონომიის წინაწევას. ხოლო ისეთი „ძირითადი დებულებების“ წამოყენება, რომელნიც ყველაფერს აბნელებენ, შეუძლია ყველას, ვისაც კი ეს თავში მოუვა. ეს არავითარ დამსახურებას არ წარმოადგენს.

კვლავ გავიმეორებთ, რომ ჩვენ ამ შენიშვნებს მიემართეთ მხოლოდ იმიტომ, რომ დაინტერესებულნი ვართ „ნაროდნოე დელო“-ს წარმატებაში, რომ გულთ გვსურს ეს წარმატება. ვიმედოვნებთ, რომ „ნაროდნოე დელო“ ჩვენ შენიშვნებს ყურადღებით მოეპყრობა, გაიხსენებს გონიერ წესს, რომ „ფილოსოფოსობა ზოგს თავბრუს ასხამს“ და თავის შემდგომ ნომერებში შეუდგება „მთავრობის რეფორმების“ დამუშავებას, რომლის შესახებ პირველი წერილიც, მოთავსებული ჟურნალის 1-ლ ნომერში, გვიჩვენებს, რომ ავტორი კეთილსინდისიერად და რამდენადმე საქმის ცოდნით ეპყრობა წერილის საგნად აღებულ საკითხს. ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ მივაქციოთ ჩვენი მკითხველის ყურადღება ამ წერილზე.

81. ბუნების კარი

საკითხავი წიგნი მდაბალს
კლასებში სახმარებელი

შედგენილი გოგებაშვილისაგან.

კარგი აზრი კარგი გონების ნაყოფია, კარგი გონება კარგი ჭკუი-
სა და კარგი ჭკუა — განათლებისა. მაშასადამე, რამდენადაც ხალხი
განათლებულია, იმდენად უფრო კარგი აზრი მუშაობს იმის ცხოვ-
რებაში. ახლა ყველამ იცის, რომ კარგი აზრი და საქმის დამყარება
საზოგადოებაში იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენი კაცი თანა-
უგრძნობს ამ საქმეს და ამ აზრს. ათასში ასმა კაცმა რომ სთქვას.
მუხას ვაშლი ასხიაო და ათმა: — არა, ვაშლი კი არა, რკო ასხიაო,
თუმცა ეს მეორე აზრი უფრო მართალი იქნება, მაგრამ საზოგადოე-
ბა მაინც ასი კაცის მხარეს უფრო დაიჭერს, ვიდრე ათი კაცისას-
ათასმა კაცმა რომ თქვას ელია დაახრჩეთ ბოროტიაო და ათმა რომ
სთქვას: არა, ელია ქვეყნის გამკეთებელიაო, ეს უკანასკნელი მარ-
თალიც რომ იყოს, მაინც ათასი მტყუანი კაცის ხმა გადაამეტებს
ათი მართალი კაცის ხმასა და ელიას უეჭველია დაახრჩობენ. აქე-
დან სჩანს, რომ კარგს საქმეს რამდენადაც უფრო ბევრი მომხრე ეყო-
ლება საზოგადოებაში, იმდენად უფრო მალე ასრულდება ისა. მაშა-
სადამე, პირველი და უკანასკნელი ღონისძიება იმაზე უნდა იყოს
მიპყრობილი, რომ კარგი საქმის მომხრენი საზოგადოებაში გაამრავ-
ლოს, ხოლო საუკეთესო საშუალება ამისათვის არის აღზრდა საზო-
გადოებისა. ამ შემთხვევაში მით უფრო მადლობელი უნდა ვიყოთ
იმისა, ვინც ამ აღზრდას ხელს შეუწყობს. ამისთვის ჩვენი გულითა-
დი მადლობა და პატივისცემა უნდა მიიქცეს უფ. გოგებაშვილი-
სადმი, რომელმაც გვაჩუქა ყოვლად შესანიშნავი საკითხავი წიგნი
ქართული ახალგაზრდობის დამყენებელი სწავლის გზაზე. მაგრამ
ვიდრე დაბოლოვებით წარმოვთქვამდეთ ჩვენს აზრს ამ ძვირფასს
წიგნზე, სჯობია, გამოვკრიფოთ ზოგი ერთი ალაგი თვითონ ავტორის
წინასიტყვაობიდან:

„ჩვენი საზოგადოება ერთგულათ ცდილობს, რომ, სხვათა შორის, ყმაწვილების უგუნური აღზრდით თავისი უცოდინარობა დაამტკიცოს. იმას აქამდის ხეირიანათ ვერ შეუგნია, თუ რა მნიშვნელობა აქვს სამშობლო ენის სწავლებას ყმაწვილის გახსნაში. პედალოლის აკიომაა (ცხადი ქეშმარიტება), რომ ბავშვმა პირველათ თავისი ენა უნდა ისწავლოს, თუ დედ-მამას ამის გონების სწორე გახსნა უნდა. ჩვენი საზოგადოება სრულიად ამის წინააღმდეგს დაღაღებს: ყმაწვილი ქართული ენის სწავლას მერმეც მოესწრებაო. ეს სწორეთ იმას ჰგავს, რომ სახლის შენება ვინმემ ბანიდგან დაიწყოს და ამბობდეს, საძირკვლის ჩაგდება მერე შეიძლებაო. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ეს ჰაზრი კარგი განძრახვიდგან იბადება: ჩვენ საზოგადოებას მოუთმენლათ უნდა, რომ ყმაწვილობამ მალე შეისწავლოს რუსული ენა. ამაზედ კანონიერი და მშვენიერი სურვილი ძნელათლა იქნება. მაგრამ ეს მოუთმენლობა საქმეს ბევრით აფუქებს. უბრალო მაგალითით ავხსნით ამას. ჩვილ ბავშვს ჯერ დედის რძით ზრდიან, რათა? ამიტომ, რომ იმის სუსტ და ნორჩ ბუნებას მძიმე საქმლის ატანა არ შეუძლიან. დედ-მამამ რომ ბავშვს მაშინვე მძიმე საქმლის ძლევა დაუწყოს, რა წარმოსდგება აქედგან? ყმაწვილი დასნეულდება და იქნება თანაც გადაჰყვეს. ესავე უნდა ვსთქვათ ყმაწვილის სულიერ მხარეზედ. ბავშვის გონება კარგა ხანი ნორჩი და სუსტია; იმას შეუძლიან აიტანოს მხოლოდ მსუბუქი შრომა. როცა ამგვარი შრომით გონება გაიღვიძებს და შემაგრდება, მაშინ მძიმე შრომის ატანასაც შეიძლებს. ეს არის ბუნების კანონი და დაუსჯელად არ დარჩება ის, ვინც ამას ეწინააღმდეგება. თავის ენა ყმაწვილისათვის ადვილი სასწავლებელია, ამით უნდა ისაზღოვოს და გაიხსნას გონება. შემდეგ ყველა უცხო ენას ადვილათ მიხვდება და ჩქარა შეისწავლის. თუ ყმაწვილს გონება თავის ენაზედ გახსნილი არა აქვს, უცხო ენის სწავლაში მეტათ ბევრს ეწვალება, დროსაც ბევრს დაჰკარგავს და გვარიანათაც ვერ შეისწავლის. მალ-მალ გვესმის მშობელთაგან შკოლებზედ სამდურავე: მასწავლებლები ცუდი არიან და ჩვენი შვილები ჭუსულს გვარიანათ ვერა სწავლობენ და გაუხსნელნი გამოდიანო. მაგრამ ეს შკოლების ბრალი არ არის. თვითონ დედ-მამაა დამნაშავე. ესენი თავის შვილებზედ შკოლაში მიცემამდის სრულიად არ ზრუნავენ, არა ცდილობენ, რომ შინ ყმაწვილს თავისი ენა კარგათ ასწავლონ, გონება გაუხსნან და შკოლაში მომზადებული მისცენ. სასწავლებელში შესვლის დროს რომ ყმაწვილმა თავისი ენა გვარიანათ იცოდეს, რუსულ ენას ორჯერ უფრო ადრე შეითვისებს. საკვირველია, რომ ეს უბრალო ქეშმარიტება ჩვენ საზოგადოებას აქამდინ ვერ შეუგნია.

თქვენა გსურთ, რომ ყმაწვილმა შკოლაში მშვენიერი რუსული კითხვა ისწავლოს? მეტათ გონიერი სურვილია! მაგრამ თუ ამისი მოწვევა გინდათ, ყმაწვილს ჯერ ქართული კითხვა კარგათ ასწავლეთ; ის უნდა კითხულობდეს თავისუფლათ, ხმას ამაღლებდეს იმ სიტყვებზედ, რომელთაც უფრო დიდი ძალი აქვთ წინადადებაში, და ადაბლებდეს იმათზედ, რომელთაც მცირე მნიშვნელობა აქვთ. უნდა კარგათ ესმოდეს, რასაც კითხულობს და თავის სიტყვით გაიპბობდეთ წიგნში წაკითხულსა, — ყოველ თავის ჰაზრს ცხადათ და თავისუფლათ უნდა ხატავდეს. რომელი ყმაწვილიც შინვე ისწავლის ამ გვართ ქართულ კითხვას, იმას ძალიან ადვილათ შეუძლიან რუსულ კანონიერ კითხვაში მალე დახელოვნდეს, ამიტომ რომ ის მიხვედრილია თავის ენაზედ, თუ რაში მდგომარეობს კარგი კითხვა.

თქვენ მონდომილნი ხართ, რომ თქვენმა ბავშვმა შკოლაში რუსული ენის გრამატიკა წმინდათ შეისწავლოს? დიახ, მშვენიერი წადილია! მაგრამ ეს კეთილი სურვილიც მაშინ აგისრულდებათ, როცა ყმაწვილს შინვე კარგათ მიახვედრებთ თავისი ენის გრამმატიკასა. ესევე პედაგოგის აკსიომაა. ბავშვს თუ თავისი ენის კანონების ცოდნა არა აქვს, უცხო ენის გრამატიკა უაზრო საგნათ ეჩვენება და რამდენსამე წელიწადს ეწვალება, მინამ მიხედებოდეს, თუ რა მეცნიერებაა გრამატიკა. თუ შენ, მკითხველო, ქართული გრამატიკა პატარაობისას არ გისწავლია და პირდაპირ რუსული გრამატიკა აგილია ხელში, განა ეს გჩვენებია საწვალებელ რათმე, რომელიც მასწავლებლებს მოუგონიათ ყმაწვილების სატანჯველათ? ყოველი ყმაწვილი უნდა მოელოდეს ამასავე, რომელსაც დედ-მამა თავის ენის კანონებს და ფორმებს აღრევე არ გააცნობს. სულ რომ ცოტა ვსთქვათ სამჯერ ჩქარა შეისწავლის რუსულ გრამატიკას ის ყმაწვილი, რომელმაც ქართული გრამმატიკა იცის, მანამ ისა, რომელმაც არ იცის. ეს ისეთი უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ სულ მცირე ჭკუის ადამიანისათვის ცხადი უნდა იყვეს.

თქვენ, რაღა კითხვა უნდა, გსურთ, რომ სასწავლებელში თქვენმა შვილმა საზოგადო გეოგრაფია დაწვრილებით ისწავლოს. თუ ამ გულის წადილის სრული მოწვევა გინდათ, თქვენ ყმაწვილს თავისი სამშობლო ქვეყანა კარგათ გააცანით. ეს მით უფრო ადვილია, რომ ეს ცოდნა ყმაწვილებს გაგიყვებით სურთ. ვინ არ იცის, რომ მშობლებს მოსვენება არა აქვთ ამ გვარ ბავშვების კითხვებიდგანა: ჩვენს იქით რა ქვეყანაა, ვინა ცხოვრობს იქა, როგორი ადგილია? ვინ არ იცის ის ფაქტი, რომ ყმაწვილებს მგზავრობა გარშემო სოფლებში და ქალაქებში საშინლათა ჰსურთ და მოგზაურობის ამბავს ერთგულათ ყურს უგდებენ ხოლმე. თუ დედ-მამა ყმაწვილს ამ სურვილს

დაუკმაყოფილებს და თავის სამშობლო ქვეყანას გააცნობს, დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ საზოგადო გეოგრაფიის შესწავლა იმისთვის მეტად ადვილი საქმე იქნება.

უეჭველია მონდომილინ ხართ, რომ თქვენი შვილი კაცობრიობის საზოგადო ისტორიის ცოდნაში დახელოვნებული ადვილათ გახდეს და მცოდნე კაცი გამოვიდეს! ამისი ასრულებაც ბევრით დამოკიდებულია საქართველოს ისტორიის სწავლაზედ. ყმაწვილმა უნდა ჯერ თავისი ქვეყნის წარსული ცხოვრება გაიცნოს და მერე ადვილათ შეისწავლის კაცობრიობის უწინდელს თავს გადასავალსა. ესეც ადვილი საქმეა, მხოლოდ წადილს მოითხოვს. ყმაწვილებს მოთხრობის სმენა მეტად უყვართ და მალეც იხსომებენ. დედ-მამამ უნდა ეს ბავშვის მიდრეკილება კარგათ მოიხმაროს და საინტერესო მოთხრობით გააცნოს თავისი სამშობლო ქვეყნის უწინდელი ბედი და უბედობა.

ერთი სიტყვით, ვისაც კი ჰსურს, რომ ყმაწვილი გონების გახსნაში და სწავლაში სწორე გზაზე დააყენოს და განათლების მიღება გაუადვილოს, ის უთუოდ უნდა ეცადოს — სწავლა იმ საგნებიდგან დააწყებინოს, რომლებიც ყმაწვილზედ უფრო ახლო არიან, მის გრძნობას იზიდავენ და ადვილათ შეითვისებიან. თვალ-ყურ მგდებელ მასწავლებლებს შეუნიშნავთ, რომ ყმაწვილები, რომლებიც გონიერ მშობლებს შინ კარგა მოუშაადებიათ ქართულ ენაში, რუსულ ენას და საზოგადოთ საგნებს ადვილათ სწავლობენ და უკეთეს მოწაფეებათ ითვლებიან. ჩვენმა საზოგადოებამ ამ მაგალითებს უნდა მიბაძოს, თუ არა სურს, რომ ახალმა თაობამ ბოლოს ცუდათ მოიხსენოს.

„სხვა არა იყვეს რა, წიგნები არ არის ქართულ ენაზედ, რომ კაცი სწავლას შეუდგეს“, — იტყვის ზოგიერთი. ეს ტყუილია. ქართული ენა მართალია ღარიბია წიგნებით, მაგრამ ბეჭითი და მოსურნე ადამიანი თავის სამყოფს კიდევ იპოვნის ძველ და ახალ ენაზედ. თუნდაც ნათქვამი ჰაზრი მართალი იყვეს, მით ჩვენი საზოგადოება თავს ვერ გაიმართლებს. რატომ არ არის აქამდის ქართულ ენაზედ საკმაო წიგნები? ვინ არის ამაში დამნაშავე? თვითონვე ქართული საზოგადოება. ის არ ითხოვს წიგნებსა და იმიტომ ესენიც არ იბადებიან ქვეყანაზედ. ბევრს ყმაწვილ კაცს ჰსურს და ცოდნაც ნებას აძლევს, რომ სხვა და სხვა მეცნიერებაზედ წიგნები შეადგინოს, მაგრამ კითხვა: ვინ მოითხოვს და ვინ მოიგონებს? იმას ხელიდგან კალამს აგდებინებს სამუდამოთ. თქვენ წიგნების მოთხოვნილება გამოაჩინეთ და ისე გლახებიც არ არიან ჩვენი ნასწავლი ყმაწვილე-

ბი, რომ თქვენი სურვილი არ დააკმაყოფილონ. უიმისოთ წიგნების გამრავლება ქართულ ენაზედ შეუძლებელია.

რა არის მიზეზი, რომ ამ თქვენ წინ მდებარე წიგნმა ქვეყანა იხილა? მოთხოვნილება. ამ გვარ წიგნს ყმაწვილობა საჭიროებს და მოპოებაცა სურთ. მაგრამ ეს მოთხოვნილება ძრიელი არ არის. ყმაწვილებს უფროსები ქართული ენის სიყვარულის მაგალითს არ უჩვენებენ და გარემოებაც მათ ამაზედ არ ახალისებს. მეტაფორულათ რომ ვსთქვათ, ჩვენ ყმაწვილებს სუსტი მადა აქვთ ქართული წიგნების კითხვისა. ამისთანა მადას თუ გემრიელი საჭმელი არ შეხვდა, უყურადღებო დარჩება. ამიტომ ჩვენი ყმაწვილებისათვის შედგენილი წიგნი რამდენათაც სასარგებლო უნდა იყვეს, იმდენათ სასიამოვნო. რომელი საგნები არიან უფრო სასიამოვნო და სასარგებლო ყმაწვილის გონებისათვის? — ბუნება საზოგადოთ და ყოველი, რაც ყმაწვილს გარშემო არტყია. ყოველი ყმაწვილის კითხვა შეეხება ბუნებას და მის საგნებსა. რითი საზრდოებენ გარეულნი პირუტყვნი, როგორ ატარებენ ცხოვრებასა, სად არიან ის ფრინველები ზამთარში, რომლებიც ზაფხულში ჩვენ ქვეყანაში სცხოვრობენ, საითგან წარმოსდგება ქარი, წვიმა, თოვლი, ქუხილი და ელვა, — აი რა კითხვები ებადება ყველაზედ ხშირად ყმაწვილს გონებაში. ამიტომ ნამდვილათ საინტერესო წიგნი ჩვენი ყმაწვილებისათვის უნდა იყვეს ისა, რომელიც შესდგება ბუნების და იმის საგნების აწერათგან, რომელიც მდაბიურათ ხსნის ბუნების მოვლენებსა. ეს ჰაზრი გვქონდა ჩვენ სახეში, როცა შევეუდექით ამ წიგნის შედგენასა. უმთავრესი მიზანი ამ წიგნისა არის — გაუხსნას ყმაწვილს თანა-გრძნობა ბუნებისა, შეაყვაროს მისი გამოძიება და მისი განხილვა, ერთი სიტყვით უნდა გახდეს ბუნების კარათა.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ეს წიგნი თავის დანიშნულებას ყოველის მხრით ვერ ასრულებს, ამიტომ რომ ნაკლულევანება ბლომათ აქვს. ჩვენი პლანი ნახევრობითაც ვერ ავასრულეთ, ამიტომ რომ წიგნის შედგენაში მუყაითი შრომა ვერ გაეწიეთ; ჩვენ იძულებული ვიყავით ნაწყვეტ-ნაწყვეტათ გვეშრომა და ჩეროვანი გულის ყური ვერ მოვახმარეთ. გარდა ამისა წიგნი თან იწერებოდა და თან იბეჭდებოდა. ამიტომ საზოგადოთ სტატიები ვერ არიან საკმაოდ შემუშავებულნი; ბევრი საჭირო სტატიებიც დააკლდა წიგნსა; აგრეთვე ზოგი სტატიები ნათარგმნია რუსულიდან, თუმცა უმეტესი ნაწილი

ჩვენგანივ არის შედგენილი. სულ უმთავრესი ნაკლულევანება ცხოველების სურათების უქონლობაა.

თავის გასამართლებლათ ჩვენ იმას ვიტყვი, რომ ეხლა სრულიათ შეუძლებელი იყო სურათებით გამოცემა. შემდგომისათვის კი თავდარიგს დავიჭერთ, რომ პეტერბურლიდგან გამოვიწეროთ. ზემოხსენებულმა ნაკლულევანებამ დაბადა მეორე ნაკლულევანებაც: გარეული ცხოველების აგებულება და სახე აღწერილი არ არის. ეს იმიტომ მოხდა, რომ ამ გვარი აწერა რაც უნდა დაწვრილებით იყოს, სრულიად უსარგებლოა, რადგანაც ყმაწვილი ვერ შეიძლებს პირუტყვის ნიშნები ისე შეაერთოს, რომ მთელი სურათი გამოვიდეს. შინაური პირუტყვების სახე კი ვრცლად არის ნაჩვენები.

ჩვენ ძველის მოყვარე პირებს ამ წიგნის ენა, რასაკვირველია, არ მოეწონებათ. ესენი სხვა ზომით აფასებენ ენის ღირსებასა: რამდენიც ენა ძველი და გაუგებარია, იმდენათ უფრო დიდის მოწიწებით უყურებენ. საცინელი ის არის, რომ ეს ახალი ენის მძულვარე პირები თვითონვე ცხოვრებაში ამ ენას გულარხეინად ხმარობენ და ლაპარაკში მისი სმენა სრულიად არ ეჩითირებათ; მაგრამ ნახავენ თუ არა ამ ცოცხალ ენას წიგნში, მაშინვე თავზედ ცეცხლს გადაიყრიან: „წახდა, მოითხარა და დაიღუპა ჩვენი ენა“ — გაიძახიან ხშირათა. „უწინდელი კეთილშობილი ენის მაგივრათ, ახლა ტექტიური უბრალო ენა შემოიღეს, რომელიც მუშას და ფილოსოფოსს ერთი სიადვილით ესმით. მეტი ენის მოთხრა კიდევ გინდათ“. მაგრამ ვისიც გონება დახშული არ არის, იმას ამ გვარი სჯა სიცილათაც არ ეყოფა; ის ენის ღირსებას ამის სიცხადით და სიადვილით ზომავს.

ადგილობრივ თვისებას ამ წიგნს აძლევს საქართველოს გეოგრაფია. დამფასებელმა უნდა სახეში იქონიოს, რომ ეს სტატიები ყმაწვილებისათვის არიან შედგენილნი და არა უფროსებისთვის. ჩვენ გვსურდა, რომ ყმაწვილს ამ სტატიების კითხვაში სიამოვნება ენახა და წახალისებულყო თავის სამშობლო ქვეყნის დაახლოვებით გაცნობაზედ, ამიტომ ჩვენ უფრო დიდი ყურადღება შევაქციეთ ხალხის ცხოვრებას, მის წარმოშობას, ჩვეულებას და ზნეობას, მანამ თვითონ ადგილის აღწერასა. მასალების უქონლობამ და სიჩქარემ შეძლება არ მოგვცა, რომ საქართველოს გეოგრაფია უფრო ვრცლად შეგვედგინა. შემდგომისათვის კი იმედი გვაქვს, რომ ვრცელი საქართველოს გეოგრაფია გამოვეცეთ. კარტა ამაზედ ვრცელი შეუძლებ-

ბელი იყო, რადგანაც მეტათ ძვირათ დაჭლებოდა და წიგნის ფასს გაადიდებდა. ეს მოკლე კარტაც ოცდასამი თუმანი დაჯდა.

წიგნი თავდება ლექსებითა. ჩვენ სამწუხაროთ ამ ხანათ საყმაწვილო ლექსები მეტი ვერ ვიშოვნეთ. ამ გვარ წიგნში რამდენიც ბევრი ლექსი იქნება, იმდენათ უფრო მეტს სარგებლობას შესძინებს. ყმაწვილსა. საზოგადოთ ჩვენი წიგნი მეორე გამოცემისთვის ბევრ ცვლილებას და გარდაკეთებას მოითხოვს. საჭიროა ერთი ორათ მაინც იმატოს, რომ დააკმაყოფილოს ჩვენი ყმაწვილობა. მაშინ წიგნი ორნაწილათ გამოვა: პირველს ნაწილს საგნათ ბუნება ექნება, მეორეს „ადამიანი“.

32. განიარაღება და მისი ეკონომიურ-სოციალური შედეგები

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ჩვენი დროის გამოჩენილი ეკონომისტების ნაწერთა წაკითხვაზე, იმ ეკონომისტებისა, რომელნიც საერთო განიარაღებას დიდ სიკეთედა სთვლიან, აზრად დამებადა აღმენუსხა ის სიძნელენი, ამ უაღრესად საჭირო ღონისძიების განხორციელებას წინ რომ ეღობებინან. ამასთანავე საჭიროდა ესცანი მკითხველთა ყურადღება მიმეპყრო იმ შედეგებისათვის, ამის განხორციელებას დაუყოვნებლივ რომ მოჰყვებოდა, და უმთავრესად იმ აუცილებელ კრიზისისათვის, რომელიც უეჭველად გაართულებდა ჩვენის საზოგადოების ისედაც აწეწილ-დაწეწილ მდგომარეობას. აი, სწორეთ ამ თვალსაზრისით ვარჩიე ჩემს დისერტაციაში უფრო ამ საკითხის დეტალს შევხებოდო, ვიდრე ეკონომიური პოლიტიკის საერთო პრობლემების გარჩევას შეედგომოდი. თუმცა გამოტეხილი უნდა მოგახსენოთ, ცთუნება მეტად დიდო იყო შევხებოდით ძირითადს კითხვებს, რადგან ეკონომიური მეცნიერების დღევანდელს მდგომარეობაში გაცილებით ადვილი გახლავთ იმსჯელოთ ამა თუ იმ კითხვის შესახებ საზოგადოთ, ვიდრე გააკვიოთ გამოყენებითი ეკონომიური პოლიტიკის ცოტათ თუ ბევრათ ბუნდოვანი კითხვები.

საერთო განიარაღების საკითხი, მართალია, ეკონომიური პოლიტიკის თვალსაზრისით დეტალის საკითხია, მაგრამ მიუხედავათ ამისა მაინც ფართე და რთული საკითხია, იმდენად ფართე და რთული, რომ სულ ადვილად მთელი ტომები დაიწერებოდა იმის გამო; მე თქვენ მოგახსენებთ და მასალა მოგვაკლდებოდა! რაკი დისერტაცია მქონდა დასაწერი, სწავლულთა კორპორაციისთვის წარსადგენი, გული მითქვამდა „სავსებით“ გამერჩია არჩეული კითხვა, ამიტომ დამეწერა შესახედავად კარგა მოზრდილის ტანის წიგნი, გატენილი სხვადასხვა ციტატებითა და აჭრელებული შენიშვნებითა და ახსნა-განმარტებებით, მაგრამ ცოტათი რომ დაეფიქრდი, ისევე ვარჩიე უფრო მარტივად შევხებოდო კითხვას.

მართლაც და, თვით ეკონომიური მეცნიერების ინტერესი მოითხოვს მისი მცნებანი ადამიანმა მარტივად და ადვილად გასაგებად გამოსთქვას, განსაკუთრებით როდესაც ლაპარაკია ისეთი კითხვების შესახებ, რომლებიც მკითხველთა უმეტესობას აინტერესებს — ჩვენს საქმიანობის ხანაში თითქმის აღარავინა კითხულობს მსხვილტანიან წიგნებს და გაჭიანურებულ შენიშვნებს. ახლანდელი მკითხველი ისწრაფვის მალე ჩავიდეს დასკვნამდე და გაიცინოს მთავარი არგუმენტები; ასე რომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიდი უმეტესობა მკითხველებისა მხოლოდ ფ უ რ ც ლ ა ვ ს ხოლმე წიგნებს. ამიტომ ადამიანი იძულებულია მათს გემოვნებასაც გაუწიოს ანგარიში, თუ უნდა ეს მკითხველი დააფიქროს იმ კითხვაზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

აი ამ მოსაზრებამ, რომელმაც იძულებულმყო სხარტად და ზედმეტიწევნით გამომეთქვა ჩემი აზრი, მსგავსადვე იძულებულმყო ეს წინმდებარე დისერტაცია მსუბუქისა და ადვილად გასაგები ენით დამეწერა და ზურგი შემექცია ოფიციალური მეცნიერების მკაცრი ენისათვის. ამით თვით მეცნიერებას, ჩემის აზრით, სრულებით არავფერი დააკლდება. ვინაიდან რაც უფრო დაინტერესებს კაცი მკითხველს, მით უფრო განვითარდება საზოგადოებაში კვლევა-ძიებისა და სამეცნიერო აზროვნების გემოვნება. მწიგნობრებმა მშვენიერათ იციან, რომ ამა თუ იმ წიგნის მეცნიერული ღირსება-ნაკლულევანება არც მის ენაზეა დამოკიდებული და აღარც მის მოცულობაზე. ამასთანავე, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ამ მწიგნობართ ვსთხოვო: ყურადღება არ მიაქციონ იმ მსუბუქ ფორმას, რომლითაც ეს პატარა რვეული დამეწერია და მთელი გულისყური ათხოვონ შიგ მოთავსებულ არგუმენტებს იმდენად, რამდენადაც ეს არგუმენტები ამ ყურადღების ღირსნი იქნებიან.

იუორიხი. 1868.


I

თანამედროვე პუბლიცისტებმა სულ ახლახან აღმოაჩინეს, რომ მიზეზი ყოველგვარ უბედურებათა, რომლებიც აღონებ-აძმარებენ საბრალო კაცობრიობას, ევროპის მილიტარული ორგანიზაცია, ე. ი. მუღმივი ჭარის პრინციპიაო. ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში იმდენი იქადაგეს ამ აღმოჩენის შესახებ, რომ საზოგადოება, რომელიც თავადაც კარგათ იცნობს სამხედრო რეჟიმის ნაკლსა და სიმძიმეს, განიმსჭვალა საერთო განიარაღების სურვილითა და იმედი აქვს ამით თავიდან მოიშოროს თავისი გაჭირვებანი და ტანჯვა-წამებანი. და რაკი ერთად-ერთ მსოფლიო უებარ წამლად იქნა აღიარე-

DU DÉSARMEMENT
ET DE SES
CONSÉQUENCES ÉCONOMIQUES ET SOCIALES

DISSERTATION DE DOCTORAT
PRÉSENTÉE A L'UNIVERSITÉ DE ZURICH

N. NIKOLADZE



GENÈVE
H. GEORG, LIBRAIRE-ÉDITEUR
14, Courtoisie 10
MÊME MAISON A BÂLE
1929

ბული ეს განიარაღება, იმდენათვე სანატრელი, რამდენადაც ძნელია განსახორციელებლად, საქმე იმით გათავდა, რომ საზოგადო მსჯელობის ნიადაგს ჩამოსცილდა მთელი რიგი კითხვებისა, რომელთაც სხვაგვარი აქვს მნიშვნელობა და რომელთა განხორციელება ჩვენს დღევანდელს პირობებში შესაძლებელიცაა.

ეს მდგომარეობა, ერთი ბეწოთი არის, წინ არ წასწევს განიარაღების საკითხს, რადგან არ კმარა მხოლოდ და მხოლოდ ჩაკრიკიტებზე ერთს რომელსავე აზრს და იმედი გქონდეს მხოლოდ ამ ჩაკრიკიტებით შეიძლება მისს განხორციელებას და სიტყვიდან საქმეზე გადასვლას. სამაგიეროდ, სოციალურ მეცნიერებას თავისი მად გახდომია ეს ანორმალური ზრუნვა ბუნდოვნად წარმოდგენილ და საყოველთაოდ აღიარებული კითხვის შესახებ. მაშასადამე, საქიროა განიარაღების კითხვას ჩვენის დროის საზრუნავ კითხვათა შორის თავისი შესაფერისი ადგილი მივაკუთნოთ.

I I

უწინარესყოვლისა, ის საპატიო ადგილი, დღეს განიარაღების საკითხს რომ უჭირავს, ამ საკითხს წილად იმიტომ ხვდა, რომ მეტად დიდის მნიშვნელობისაა სამხედრო ტვირთი, და არა იმიტომ, რომ მის შესახებ პუბლიცისტებმა თავიანთი ფანტაზია აამუშავეს. მთელი ევროპის საერთო მდგომარეობა მოითხოვს, რომ რაც სახელმწიფონია, ყველანი იარაღში უნდა იყვნენ ჩამსხდარნი, თუ უნდათ მშვიდობა იყოს ქვეყანაზე, ამას დაუმატეთ ცოტათ თუ ბევრად შორეული ექსპედიციები, რომელიც სულმუდამ ძვირადა ჯდება. ყოველივე ეს მძიმე ტვირთად დააწვა ხალხის კეთილდღეობას. და ჯალბიც იძულებული ხდება განსაკუთრებული ყური ათხოვოს ყოველივეს, რაც ცოტა თუ ბევრად გონივრულად პირდება მას ტვირთის შემსუბუქებას, იმ ტვირთისა, რომლის სიმძიმე ამდენი ხანია წელში სწყვეტავს ამ ხალხს.

აბა რა თქმა უნდა, დღეიდან კი არ იწყება საზოგადოების სამხედრო ორგანიზაცია. წინათ, ისე, როგორც ჩვენს დროს, ომობდნენ და ურიცხვ ჯარებს ინახავდნენ მოხარკეთა ხარჯით, რომ ამით სახელმწიფოს სავაჭრო და სტრატეგიული სარგებლობა მინიჭებოდა და საზოგადოების გულისყური შინაურ ამბებისათვის მოერიდებინათ და თვალეები მიეპყრობინებინათ საზღვარს-იქითურ საქმეებისათვის. ამ ხასიათის პოლიტიკის სასურველად დასამთავრებლად საჭირო ხარჯების გაწევა ჩვეულებრივ გრძელდებოდა და ხარჯის ამკრეფთა და ჯარში გაწევის მოთხოვნამ ცოტ-ცოტათ მოჰქანცა მოხარკენი. შემდეგ საჭირო შეიქმნა სახელმწიფოს ბიუჯეტის კითხვა

ტრიბუნაზე გარჩეულიყო საყოველთაოდ, ხოლო ამან მძლავრად ხელი შეუწყო პოლიტიკურ შეგნების საქმეს და ხალხმა ეპკის თვალთ დაუწყო ყურება — მართლა სასარგებლო და აუცილებელია თუ არა ის უშველებელი ხარჯები. რომელსაც თანამედროვე სამხედრო სამსახურის ორგანიზაცია მოითხოვს.

ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოში იზრდებოდა თანდათან დეფიციტი ამ სახელმწიფოთა ბიუჯეტში. და სწორეთ ამ დეფიციტის წინაშე ჩასცა სასიკვდილო ლახვარი იმ პრესტიჟს, ეროვნული ექვემდებარება რომ ჰბადებდა ხოლმე. დღეს ყველას ესმის, რომ აქილია ბოლო მოელოს ამ ხარჯებს, რომელნიც ორნაირად არიან უსაყვედრნი: ერთი რომ უსარგებლონი არიან და მეორეთ ისა, რომ გადასახადის გადამხდელთა თვალში ეს ხარჯებია მიზეზი ეროვნული და ეროვნული სიმდიდრის ნაკლებობისა და გამოფიტვისა. ხალხი თავის თავს სწულებით სამართლიანად ეკითხებოდა: მხარი დავუჭიროთ ამ დღევანდის განიავების პოლიტიკას, რომელმაც ვერ შესძლო მოსალოდნელი სარგებლობა მოეტანა ვისთვისმე, თუ უკეთესი იქნება მხარი დავუჭიროთ სულ სხვა პოლიტიკას, სახელდობრ ექსპლუატაციის მშვიდობის ჩამოგდებას და საშინაო ეკონომიისათვის ზრუნვას. ეს აზრი სწორია და გარდა ამისა იმდენათვე მარტივია. რამდენადაც მკუიანურია; ყველას მოეწონა იგი და ხალხის მასების გულიც მოიგო.

სამწუხაროდ, მეცნიერებმა, რომელნიც შეეხნენ ამ მეტად მწვავე კითხვას, არ განაგრძეს თავიანთი კვლევა-ძიება. იმათ გააკეთეს მხოლოდ ის, რომ დაუსრულებლივ უცვლილნი გარეგნულ სახეს ამ უაღრესად სადასა და მარტივ აზრს; შინაარსის მხრივ არაფერი გამოუცვლიათ, თვით არგუმენტაციაც კი იგივე დარჩა, ბუნდოვან მოტივებზე დამყარებული, და ეს მოტივები უფრო სანტიმენტალურია, ვიდრე ეკონომიურისა და დაღმბითის ხასიათისა. და სწორედ აქა გვაქვს უფლება ვუსაყვედუროთ თანამედროვე ეკონომისტებს, რომ მათ სრულიად აკლიათ შრომა მოგვცენ მეცნიერული განმარტება და პრაქტიკული კვლევა-ძიება. და სწორედ ასეთ განმარტებას და ასეთს კვლევა-ძიებას შეუძლია განიხილოს და შეაფასოს ხსენებული კითხვა და ამ სახით ხელი შეუწყოს ამ დიდმნიშვნელობის პრობლემის გადაწყვეტას, რომელიც ამჟამად მთელი განათლებული ქვეყნიერების ყურადღებას იპყრობს.

კაცი ადვილად მიუხვდება იმ განუსაზღვრელობას, რომლითაც საზოგადოების უმეტესობა ამ კითხვის გადაწყვეტას შეუდგება ხოლმე და აგრეთვე იმ მნიშვნელობას, რომელსაც სრულიად უსაფუძვლოდ მას მიაკუთვნებს ეს საზოგადოება: ეს მისი კონკრეტი-

განუვითარებლობის შედეგია. მაგრამ სავალდებულო და ვააოცარი კადეც ის არის, რომ ეს განუსაზღვრელობა არსებობს თვით იმათს შორისაც, ვინაც ასეთი საგნების კვლევა-ძიებას მისდევს, მათ უფრო, რომ ასეთების ხელობაა და მათი სპეციალობაა — ამ ხასიათის კლთხეებს ნათელი მოჰქინონ და გასაგები და მისაწვდომი გახალონ იმათთვის, ვინც სრულებით სხვა საქმიანობას მისდევს და სხვა ხელობისა არის.

ამ ეკონომისტების მიერ ნახმარი ხერხი კვლევა-ძიებისა აშკარად ნაკლულოვანია, განსაკუთრებით როცა კაცი ვასინჯავს მათს არგუმენტებს, სამხედრო რეჟიმის და მისი შედეგების დასაფასებლად ნახმარს. უმეტესობა ამ არგუმენტებისა დამყარებულია სამართლიანობისა და ადამიანობის გრძნობაზე, რომელიც, მათის აზრით, უნდა მოეპოვებოდეს ყოველ გონიერს ადამიანს. მაგრამ პოზიტიური მეცნიერება უარყოფს ასეთის გრძნობის არსებობას; იგი დარწმუნებულია, რომ ადამიანური გრძნობიერება დამოკიდებულია პირდაპირ ადამიანის გონიერების განვითარებაზე და რაკი იცის, რომ ეს განვითარება სხვადასხვა გვარია, მეცნიერებას არ ძალუძს აღიაროს და სთქვას, ყოველ ადამიანს ჰქონდეს გრძნობიერება, რომელიც შეიძლება მხოლოდ თითოთროლა რჩეულთა ხედრი იყოს. მით უფრო შეუძლებელია მისთვის თავისი იმედები და ანგარიში დაამყაროს ასეთის ხასიათის ცნებებზე ან თავის დასაბუთების დროს ამ ცნებებს რაიმე ფასი და ღირებულება მიაკუთვნოს.

ასე და ამგვარად, ეკონომიური მეცნიერებისათვის სრულიად არავითარი ფასი არ აქვს სამხედრო წესწყობილების მოწინააღმდეგეთა უმთავრეს არგუმენტს, სახელდობრ იმას, რომ ვითომც „ომის სავსებით წინააღმდეგი იყოს ადამიანის ბუნებისა“. ასეთის ჟურის სიტყვები, სწორი მოგახსენოთ, შთაბეჭდილების მოსახდენდაა გამოგონილი, ამიტომ რომ ხაზგასმული წინადადება რაც უნდა მცირედ ყოფილიყო საფუძვლიანი, კაცობრიობა დიდხინთვე მოიშორებდა თავიდან ამ დაწესებულებას, რომელიც, როგორც ამბობენ, ასე ღრმათა ჰსერავდა ამ კაცობრიობის უზუბუნებრივეს ინსტიქტებს. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. მეცნიერებას არ ახსოვს, რომ ადამიანურს გრძნობას როდისმე თავი ეჩინა ძალუძად და მტკიცედ, და ამავე მეცნიერებას არ შეუძლია, რაც უნდა ძალიან მოინდომოს, ეს ადამიანური გრძნობა სიბრალულისა მოათავსოს იმ ძალათა შორის, რომელნიც საკმაოდ განვითარებულნი არიან იმისთვის, რომ შეიძლონ კაცობრიობის ბედ-იღბალზე ესა თუ ის გავლენა იქონიონ. ეგვევ ითქმის მთელ რიგ არგუმენტებზე, რომელნიც მოტანილნი არიან ხოლმე მშვიდობიანობის სასარგებლოდ;

ესენი ყველანი იმავე ხასიათის მოსაზრებებზე არიან დამყარებულნი და მათს შორის ორიოდე მოსაზრებაა, რომელზედაც შეიძლება კაცმა სთქვას — ცოტათი მეცნიერული და პოზიტიური ხასიათისანი არიანო.

ამ ორი არგუმენტის წამოყენებით მშვიდობიანობის მეგობრებმა საკმაოდ ხელსაყრელი ნიადაგი გაიჩინეს თავიანთი აზრის საპროპაგანდოდ: მათ მოწინააღმდეგეთ არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ ამ არგუმენტების პრაქტიკულს ღირებულებას ან და შეუმჩნეველად დასტოვონ და არ გამოეკამათონ. ამგვარად, ომისა და შეიარაღებულ მშვიდობის მომხრეთ რაკი თავიანთი არგუმენტაციის სალაროში არაფერი მოეპოვებათ ისეთი, რომ მათს წინააღმდეგ წამოყენებულ პრაქტიკული მოსაზრებანი გააბათილონ, ისინი იძულებულნი არიან ზმა ჩაიკმინდონ ხოლმე და მშვიდობიანობის პროპაგანდისტებს თავიანთი აზრი თავისუფლად აქადაგებინონ. მეორეს მხრივ შესაძლებელია ამ ხასიათის არგუმენტები სრულებით უკამათოდ გავსინჯოთ და ხელშიაც პრაქტიკული მითითებანი შეგვრჩეს, რაც კი-ოხვის სწორ გადაწყვეტას ძალიან შეუწყობს ხელს.

ამ შრომის შემდეგი გვერდებიც სწორედ ამ აზრითაა დაწერილი.

I I I

მოწინააღმდეგენი ომისა და მუდმივის ჯარებისა (ამ ორ ცნების განსხვავებას ანგარიში უნდა გავუწიოთ) ამტკიცებენ, რომ ევროპის ყველა სახელმწიფოთა განიარაღებას შედეგად მოჰყვება შემცირება იმ ხარკებისა, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება ხალხსა და წარმოებას. სახელმწიფო რომ განთავისუფლდება საზღვაო და სახმელეთო ომის სამინისტროების მძიმე ბიუჯეტისაგან, მას შესაძლებლობა ექნება შემოსავლის ზედმეტი მოახმაროს სახალხო განათლებას და ქვეყნის საკეთილდღეო სამუშაოებს, რაც სასწაულებრივ განაძლიერებდა ხალხის მასების და მთლად საზოგადოების ქონებრივსა და სულიერს კეთილდღეობას.

ამ არგუმენტს ყველა ეთანხმება და ოდნავდაც არის მის საწინააღმდეგოს არაეინ ამბობს. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია მაინც გამოჩნდეს ვინმე მოწინააღმდეგე. მაგალითად, აი რა შეიძლება ითქვას ხსენებული არგუმენტის გასაქარწყლებლად.

რაც უნდა ნაკლებად სერიოზული და ნაკლებად საერთო განიარაღება მოხდეს, ცხადია პირველ შედეგად ის მოჰყვება, რომ გაჩერდება ყველა დაწესებულება, ვისაც მინდობილი აქვს დამზადება საომარ იარაღისა და საერთოდ იმ საგნებისა, რომლებიც საჭიროა ჯარებისა და ციხე-სიმაგრეთა შესანახად, ხოლო ჩვენ ვიცით, რომ

ჯარის საჭიროებისათვის შექმნილ ინდუსტრიაში მრავალი ქარხანა იარაღის საკეთებლად (მარტო საფრანგეთში ოთხია ასეთი ქარხანა, ოთხივე სახელმწიფოს ხელშია და შიგ 8-10 ათასი მუშა მუშაობს), არის ჩამოსასხმელები, არის კაპსულების ფაბრიკები, საგვარჯილე, თოფის წამლისა და საგოგირდე ქარხნები. ბევრი ქარხანა სამკედური და სამექანიკო სახელოსნოები ან საზეინკლოებია, რომელნიც კერძოებს ეკუთვნიან, მაგრამ კეთებით კი სამხედრო საქმეებს აკეთებენ, და რიცხვი მუშათა, რომელნიც ასეთის სპეციალ ინდუსტრიითა ცხოვრობენ, ბევრით არ უნდა იყოს ნაკლები დროშის ქვეშ მყოფთა რიცხვზე.

გარდა ამისა არსებობს აგრეთვე ერთგვარი ინდუსტრია, რომელიც, პირველი ინდუსტრიის მსგავსად, სპეციალურად ემსახურება მხედრობას: ეს გახლავთ ფაბრიკაცია იმ ნაწარმთა, რომელთაც ერთის შეხედვით სრულებით მშვიდობიანობის დროის მოსახმარი სახე აქვთ, მაგრამ იმდენადვე საჭირონი არიან ჯარისათვის. ასეთებია მაუდეულობის ფაბრიკები, მანქანებისა და ხომალდების საშენებელნი, სახელოსნოები სამხედროთა ტანისამოსის დასამზადებლად და სხვა და სხვა*.

* აი სამხედრო ფლოტის მდგომარეობა ევროპის სახელმწიფოებში:

	ორთქმავალი, ზარბაზნები ხომალდები,		იალქნიანი გემები, ზარბაზნები.	
ინგლისს აქვს	524	9.554	119	2.942
საფრანგეთს "	453	10.895	126	1.288
რუსეთს "	258	სულ 2.196	36	—
შვეციას "	179	390	31	560
ესპანეთს "	100	1.225	30	396
ოსმალეთს "	76	1.342	53	415
იტალიას "	69	1.110	35	87
ჰოლანდიას "	57	813	89	1.353
პრუსიას "	47	483	44	208
დანიას "	30	378	73	36
ავსტრიას "	28	448	16	145
პორტუგალიას "	სულ 33	ზომ., 328	ზარბაზ.	
ნორვეგიას "	16	239	?	?
საბერძნეთს "	10	44	24	138
ოსმალეთის ვასალებს "	19	?	?	?
ბელგიას "	სულ 7	ზომ., 42	ზარბაზ.	

თუ ამას მივუმატებთ იმ მუშებს, რომლებიც ციხე-სიმაგრეების* გამაგრებასა და შენახვისათვის მუშაობენ, რომელთაც ყაზარებს აშენებინებენ, არტილერიისა და ცხენოსან ჯარის საჭიროებისათვის სამკუდლოებში ამუშავენ, ამცირედაც არის, შეუძლია კაცს წარმოიდგინოს — განიარაღებას პირველადვე რა მოჰყვება შედეგად.

ჯერ დაახლოებით ციფრები არა გვაქვს იმათი, ვინც სამხედრო სამუშაოებზე მუშაობენ, და აღარც ამ სამუშაოთა სიდიდის ცნობა მოგვეპოვება. სანამ უეჭველის ღირებულების სტატისტიკური ცნობები გვექნებოდეს, ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით მაინც აღვნიშნოთ ის თანხა, რომელსაც სახელმწიფო წლიურად ამ სხვადასხვა ინდუსტრიებს აძლევს ხოლმე. ევროპის სახელმწიფოთა დღესდღეობით ინახავენ 2.800.000 კაცისაგან შემდგარ ჯარს. წლიურად ერთი ჯარისკაცის საკმელ-სასამელისათვის 400 ფრანკი რო ჩავადგოთ, ანგარიში ზედმიწევნით მეტი გამოგვივა; ამგვარად, დავინახავთ, რომ ამ ჯარისკაცების ჰამა-სმისათვის წლიურად იხარჯება 1.120.000.000 ფრანკი. ჩვენ-კი ვიცით, რომ ევროპის სახელმწიფოთა წლი-

* ევროპაში ითვლება 400 ციხე-სიმაგრე, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოში ასეა განაწილებული:

საფრანგეთში	. 119
რუსეთში	. 32
ჰოლანდიაში	6
იტალიაში	. 60
პრუსიაში	27
ბელგიაში	1
ესპანეთში	. 39
ავსტრიაში	. 20
ნეღლისში	. 11
შვეიციაში	. 11
დანიაში	. 7
ვიურტემბერგში	2
საბერძნეთში	. 11
ნორვეგიაში	6
ბადენის დიდ სამთავროში	. 1
ბავარიაში	10
სკლეისის სახელმწიფოებში	4
პორტუგალიაში	9
საქსონიაში	2
ჰესენში	1
სულ	. 404

აქ ნანგარიშები არ არის პატარა-პატარა ციხე-სიმაგრეები, რომლებიც მრავალია ესპანეთსა და პორტუგალიაში, და აგრეთვე ციხე-სიმაგრეები ოსმალეთისა, რომელთა რაოდენობის ცნობა არა გვაქვს.

ურად ხარჯავენ მშვიდობიანობის დროს 2.925.000.000 ფრანკს*; მაშასადამე, 1.805.000.000 ფრანკი ეხარჯებათ წლიურად სამხედრო ინდუსტრიისა და ამ ინდუსტრიაში მომუშავე ხალხისათვის. აბა, რა თქმა უნდა, ომისა ან საომრად მზადების დროს ეს ხარჯები ამაზე უფრო მეტად გაიზრდება. მთელი ევროპის წლიური ნაწარმოები უდრის 56.031.052.500 ფრანკს**. ჯარსა და მასთან დაკავშირებულს ხარჯებს უნდება ერთი მეტვრამეტედი წარმოებულ სიმდიდრისა მშვიდობიანობის დროს, და თითქმის ერთი მეათედი ომის დროს.

* სამხედრო და საზღვაო-სამინისტროების ხარჯი. ოფიციალური ბიუჯეტის თანახმად, შემდეგს ციფრებს უდრის (ყველამ ვიცით, რომ აქ ციფრებს თუ მიეწოდებოდათ, კემპარტებას ძალიან დაეშორებოდათ):

წელიწადები	სახელმწიფოები	სამხედრო ფრანკი	საზღვაო ფრანკი
1867	ინგლისი	366.888.500	266.502.525
1867	რუსეთი	481.341.508	86.520.000
1868	საფრანგეთი	377.704.238	149.051.482
1868	ჩრდილო გერმანია	249 065.698	18.633.571
1867	ავსტრია	189.768.000	18.480.000
1867	იტალია	162.878.400	46.163.774
1865—66	ესპანეთი	125.957.013	56.349.675
1864—65	ოსმალეთი	87.733.956	22.666.755
1866	ჰოლანდია	26.808.600	18.990.396
1867	ბელგია	38.416 875	1.961.522
1868	ბავარია	33.882 078	—
1867—68	პორტუგალია	19.552 650	7.314.900
1867—68	შვეცია	13.167.836	5.755.964
1867—68	დანია	9 129.388	5.101.166
1868	ვიურტენბერგი	9.694 926	—
1866—67	ნორვეგია	5.739.030	2.434.740
1867	ბადენი	6.891.6 5	—
1867	საბერძნეთი	4.810 203	1.908.102
1867—68	ჰესენი	3.849.644	—
1860	შვერთებულნი სამთავროები	2.764.512	—
1866	სერბია	1.017.347*	—
1854	ლუქსემბურგი	500.000	—

სულ 2.217.562.227 | 707.234.572

* ამას უნდა მიემატოს 336.220 ფრანკი წინააღინ გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის.

** ამაში შედის ბუნებრივი ნაწარმიცა, რომლის ამოსაღებად შედარებით ცოტა შრომაა საჭირო. ასეთებია, მაგალითად, მეტალები და თვალ-მარგალიტი (2.191.800.000 ფრანკისა), მარილი, ხე-ტყე და სხვა. იხ. Kolb, Statistic, seite, 533.

როგორც ვხედავთ, საკმაოდ მოზრდილი ნაწილი ევროპის ინდუსტრიისა და წარმოებისა არსებობს და მოგებასა ჰხედავს ჯარის და სამხედრო რეჟიმის საჭიროების წყალობით; ცხადია, ეს წარმოება და ინდუსტრია იმავ დღესვე მოისპობა, რა დღესაც საერთო განიარაღება შესრულებული ფაქტი იქნება; როგორც ვთქვით, ინდუსტრიის ამ ნაწილში ჩაბმულია საკმაოდ დიდი რიცხვი მუშებისა და ეს რიცხვი სრულებით არ არის ნაკლები ნამდვილ მეომრების რიცხვზე. ყველა ეს მუშები და მათი ცოლშვილი, ლაპარაკი არ უნდა, სახელმწიფოს დააწვებიან კისერზე, იმას კი ნულარ იტყვიან, რომ სახელმწიფოს შეუმცირდება პირდაპირი გადასახადი, რომელიც იმ მუშებისაგან შემოუღის დღეს, და გადასახადი არაპირდაპირი, რომელსაც მათ მიერ მოხმარებულ საგნებზე იღებდა.

ცხადია, როცა სამხედრო და საზღვაო ინდუსტრია შეჩერდება, ამას უეჭველად მოჰყვება კრიზისი. ჩვენმა ეკონომიურმა ორჯანიზაციამ პროდუქციისა და აგრეთვე მოხმარების ყოველი დარგი ისე გაართულა და ისე გადახლართა ერთმანეთში, რომ თუ რომელსამე მისს დარგს შეეხეთ, თითქმის ყველა დანარჩენ დარგს აურ-დაურევეთ. ამ შემთხვევაში უფრო უარესი მოხდება: ინდუსტრიას და საერთო ვაჭრობას მაშინათვე ცუდი დღე დაადგებათ არა მარტო იმისაგან, რომ მოიშალა დაწესებულებანი, რომელნიც ჯარის საჭიროებისათვის არსებობდნენ, არამედ უმთავრესად იმისგანაც, რომ მომხმარებელთა რიცხვი შემცირდება. თანამედროვე წარმოებაში დიდი ხეირი აქვთ ჯარის შემადგენლობისა და სამხედრო დაწესებულებათაგან. ესენი ნაცადი და სახეირო მუშტრები არიან, რომელთა ერთ ნაწილს კარგი ჯამაგირი ეძლევა და თავის მხრივ თამამად შეუძლია კარგადაც ხარჯოს, იმ დროს როცა მესამე ნაწილს ინახავს და აცმევს თვით სახელმწიფო. ამ ჯურის მომხმარებელთა და მათი ცოლშვილის დაკარგვა მოხმარების ბაზრიდან არამცთუ ძალზე შეზღუდავდა ვაჭრობას, არამედ შეამცირებდა თვით წარმოებასაც.

მაშასადამე, წარმოების კლებას და ვაჭრობის განსაზღვრას შედეგად დაუყოვნებლივ მოჰყვება შემცირება სახელმწიფოს შემოსავლისა; შემდეგ უსაქმურად დარჩება აუარებელი რიცხვი მუშებისა, ფაბრიკანტებისა, ვაჭრებისა, მესასტუმრეებისა და სხვა, ასე რომ შეუძლებელია, დაახლოვებითაც არის, აღენიშნოთ საზღვარი, სად შესდგება ეს საერთო არევე-დარევა და აწეწილ-დაწეწილობა.

მართალი არ არის, ვითომც ჯარის ერთბაშად დათხოვნას შეეძლოს საგრძნობლად შეამციროს სახელმწიფოს ხარჯები; პირიქით, ეს ხარჯები უფრო ძლიერად იმატებს, რადგან საჭირო იქნება მიშვე-

ლება უსაქმოდ და ულუკმა-პუროდ დარჩენილ ხალხისა. აი ასეთი იქნება შედეგი ერთბაშად მოხდენილ განიარაღებისა.

I V

ახლა გარჩეული არგუმენტი მხოლოდ პრელუდიაა: თვით მთავარი პიესა, რომლით აღჭურვილნი გამოდიან ზოლმე მუდმივი ჯარის მოწინააღმდეგენი, გაცილებით ძლიერია და, პირველის შეხედვით მაინც, ძალზე გადამწყვეტია. „დაუბრუნეთ წარმოებას, — ამბობენ ესენი, — ის მშრომელი ხალხი, რომელსაც თქვენ მას ართმევთ ყოველწლიურად ადამიანთა სასაკლაოზე გასაგზავნად, და დაინახავთ, როგორ დაუსრულებლივ გაიზარდოს წარმოება, როგორ იმატოს საზოგადო დოვლათმა“.

გამოანგარიშებულია ყველაფერი და ეს ანგარიში გვიჩვენებს, რომ შენახვა იმ 2.800,000 ჯარისკაცისა, რომელიც დღეს ევროპასა ჰყავს თოფ-ქვეშ, ჯდება რგვალი კციფრებით 2.925,000,000 ფრანკად. ამათი დათხოვნა არამც თუ გამოუზოგავდა ხალხს ამ უშველებელს თანხას, არამედ დაუბრუნებდა ამ დღეს უსაქმურად მყოფ მასების შრომას, რაც წლიურად 1.302,000 ფრანკის ღირებულების ნაწარმს შეჰქმნიდა; ამასვე უნდა მიეუმატოთ შრომა, დღეს უნაყოფოდ რომ იხარჯება არტილერიისა და კავალერიის 300.000 ცხენისა, რაიცა წლიურად 1.300,000,000 ფრანკს მოგვცემდა *.

* M. Kolb-ი (Handbuch der vergleichenden Statistic, 4 Aufl. 1868, S. 519) ევროპის სახელმწიფოების მუდმივი ჯარის შესახებ შემდეგს სურათს გვაძლევს:

გერმანია	380,000
ავსტრია	. 250,000
ინგლისი	. 220,000
საფრანგეთი	. 430,000
რუსეთი	. 600,000
იტალია	. 200,000
შვეიცარია	—
ბელგია	. 50,000
ჰოლანდია	. 30,000
დანია	. 12,000
შვეცია	. 40,000
ნორვეგია	. 16,000
ესპანეთი	. 200,000
პორტუგალია	. 25,000
საბერძნეთი	. 6,000
ოსმალეთი და მისი ვასალები	140,000
სულ	2.599.000

გარდა ამისა, ამ სახელმწიფოებს 200,000 კაცი ჰყავს სამხედრო ფლოტის სამსახურში.

თითქოს ყველაფერს გვეუბნება ეს ციფრებით; მაგრამ ამ არგუმენტის მოჩვენებითს ძლიერებას არ უნდა მოვეტყუებიოთ.

საცაა, დაგანახებებ მისს ნამდვილ ღირებულებასაც.

მართლაც და პროდუქციის გაფართოებაზე ადვილი არაფერია; თქვენს ლხენას, ერთი ეს მიბრძანეთ, ესა თუ ის ფაბრიკანტი როდის აქეთ იქმნა მიჩნეული წარმატებულად, თუ იმარჯვა და თავისი საწყობები მშვენივრად დამზადებულ საქონლით გამოტენა და ხეიარიან ფასებში მათი გასაღება კი ვერ მოახერხა? წარმოებაში ყველაზე ძნელი — საქონლის დამზადებაა და, ცხადია, ყველას არ შეუძლია ესა, და ისე — კი ვინ იცის, რამდენი ბეჩავი ფაბრიკანტია, რომელთაც მშვენივრად იციან თავიანთ საწყობებში საქონლის მთელი ხეავეების დაყენება. დღემდე ასეთი დაგროვება საქონლისა იმის უტყუარ ნიშნად მიაჩნდათ, რომ ამ საქონელის დამგროვებელი მწარმოებელი უეჭველად უნდა გაკოტრდნენო და ეტყობა, სრულებით საფუძვლიანადაც ჰფიქრობდნენ ასე.

მეტი რომ არა ვთქვათ, გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენის დროის მწარმოებლებმა ანგარიში არ გაუწიონ ბაზარზე მუშტრის რიცხვის კლებას და ისე გააძლიერონ წარმოება პროპორციულად იმ მუშათა რაოდენობისა, რომელნიც მათთან მივლენ და სამუშაოსა სთხოვენ. ცხადზე უცხადესია, რომ ეს მწარმოებლები თვალყურს ადევნებენ სულ მოსპობას ან შემცირებას წარმოების რამდენისამე დარგისას, სპეციალურად მუდმივის ჯარის საჭიროებისათვის მიჩენილებისას, და თავიანთს საქმეს იმისდაკვალად დაიქერენ. მაგრამ ერთს წამს წარმოვიდგინოთ ლოგიკურად წარმოუდგენელი შესაძლებლობა და ვნახოთ, რა გამოვა.

ერთად-ერთი პირობა, რომელმაც შეიძლება შეაცდინოს მწარმოებელი, ცხადია, იქნება მუშის იაფი ხელფასი, რაიცა შედეგად მოჰყვება იმას, რომ სამუშაოს მთხოვნელი ბევრი იქნებიან. მართლაც და, ცხადია, რაკი სამუშაოს მთხოვნელები აუარებელნი იქნება, ხოლო სამუშაოს მიმწოდებელი თითქმის არც-კი იქნება, მუშათა ხელფასი საშინლათ დაეცემა, იქამდე დაეცემა, რომ უფრო დაბლა იქნება იმაზე, რაც საჭიროა აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ასეთი გახლავთ აღვირახსნილი კონკურენციის ერთი ყველაზე ელემენტარული კანონთაგანი.

ახალი მუშები იმდენად ვაკირვებულნი იქნებიან, რომ თავიანთს აუცილებელს მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც-კი ვერ შესძლებენ და, მაშასადამე, თავიანთი მოხმარების საგნების რიცხვს

ვერ გაამრავლებენ: ფული რომ არ ექნებათ, აბა საიდან გაუსწორდებიან საქონლის პატრონთ! და ამგვარად თავისთავად მნიშვნელობა ეკარგვის მტკიცებას განიარაღების პლატონიურ თაყვანისმცემელთა, რომელნიც გვარწმუნებენ, რომ ჭარისკაცები, რომელნიც დღეს იძულებულნი არიან ცოტას დასჯერდნენ, ჭარისკაცობისაგან განთავისუფლების შემდეგ კარგი მწარმოებელნი იქნებიან საქონლისა და, მაშასადამე, საუცხოვო მომხმარებელნიც თავიანთ მიერ დამზადებულ პროდუქტებისაო.

როცა მრეწველობაში მილიონობით შემოვლენ მუშები, რომელნიც აქამდე სხვადასხვა სამხედრო სამსახურში იყვნენ, უეჭველად შეუმცირდებათ ხელფასი სამრეწველო დაწესებულებათა ახლანდელ მუშა-მოსამსახურეებს. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ხელფასის შემცირება უდრის მოხმარების შემცირებას, რადგან ცხადზე უცხადესია, რომ ის, ვისაც ამის ნახევარი აქვს, რასაც აქამდე ხარჯავდა, იძულებული შეიქნება შეამციროს ხარჯები და იმაზე იფიქროს, თუ როგორ დააძვინოს გაჭირებას თავი. ამ მოსაზრებას ცოტა კიდევ რომ ჩავეყვით, დავინახავთ, რომ ბევრი ვაჭარიც, რომლის მოგებამ ძალიან იკლო, რადგან მისი საქონელი წინანდელივით არა საღებობა, იძულებული გახდება ხელმოჭერით იყოს და იმანაც იფიქროს ეკონომიურად ცხოვრებისათვის. ყოველივე ეს წარმოებას უნდა დააწვეს კისერზე, იმ წარმოებას, რომელიც, მართალია, „სახელმწიფოს სიმდიდრის უღვევლი წყარო უნდა იყოს“, მაგრამ ზოგჯერ იმასაც ისეთი გაჭირვება დაადგება, რომ არ შეიძლება კაცმა უგულუბელაჟყოს ეს გაჭირება.

უკვე დავინახეთ, რომ მულმივი ჭარების დათხოვნა და დაშლა იმ ორგანიზაციებისა, რომლებიც ემსახურებიან ომის საქმეს და სამხედრო ოპერაციებს, სახელმწიფოთა ეკონომიურს ცხოვრებას ძირიან-ფესვიანად შეარყევს, რადგან: 1) მრეწველობას გამოეცლება ბაზარი, სადაც ის თავის ნაწარმს ასაღებდა; 2) ქუჩაში იქნებიან გამოყრილნი მოსამსახურენი და მუშები, რომელნიც ტყვია-წამლის და საომარ საგნების დასამზადებელ დაწესებულებაში იყვნენ მიჩენილნი, რაიცა მრეწველობის ნაწარმის გასასაღებლად ბაზარს უარესად მოსპობს; 3) შეამცირებს ნამდვილ სამრეწველო დაწესებულებათა და მოსამსახურეთა ხელფასს; 4) აიძულებს ვაჭრობის აგენტებს, რომელთა შემოსავალი უეჭველად იკლებს, თავიანთი საკუთარი მოხმარების საგნების ხარჯვას უკლონ. რაც უნდა გულით გვინდოდეს დავმალოთ, მაინც ვერ დავმალოთ იმ დასკვნას, რომე-

ლიც თავისთავად გამომდინარეობს: წარმოება, გაფართოების ნაცვლად, იძულებული იქნება შემცირდეს იმ ზომამდე, რომლის წარმოდგენა დღეს დაახლოვებითაც-კი არ შეგვიძლია.

V

ხშირად იმეორებენ ასეთ ფრაზას: „მიწათმოქმედებას მუშა-ხელი სჭირდებაო“. მაგრამ ეს ფრაზა სიტყვა-სიტყვით როდი უნდა გვესმოდეს ხოლმე და სწორედ იმიტომ, რომ ასე საფუძველს მოკლებული, როგორც ეს თქმაა, არაფერია. თუ გვინდა ამაში დაერწმუნდეთ, საკმარისია მოვიგონოთ პოლიტიკური ეკონომიის სულელემენტარული ცნებანი.

ყველამ იცის, რომ როცა მუშა-ხელის სიმცირეა, მოთხოვნა იზრდება, ხოლო ამ გარემოებას ბუნებრივ და აუცილებელ შედეგად ის მოსდევს, რომ ხელფასს ემატება. რაც უფრო სჭირიათ მუშა ხელი, მით უფრო მეტს ხელფასს აძლევენ მუშებს — ეს ცხადზე უცხადესია, და პოლიტიკურ ეკონომიის ერთი ელემენტარული სახელმძღვანელო არ არის, რომ დაუსრულებლივ არ იმეორებდეს ამ ჭეშმარიტებას, რომელიც ისევე უდავოა, როგორც ორი და ორი ოთხია.

თუ გვინდა, რომ სასოფლო-სამეურნეო ხელფასი უტყუარი მაჩვენებელი იყოს იმისი, თუ რამდენადა სჭირია სასოფლო მეურნეობას მუშა-ხელი, შემდეგს დასკვნამდე მივალთ: იმ დროს, როცა სამრეწველო გასამრჩელო და ხელფასი კალატოზებისა, ზუროებისა, მჭედლებისა და სხ. და სხ. უფროდაუფრო იზრდება, სასოფლო-სამეურნეო ხელფასი უცვლელი რჩება. „სასოფლო-სამეურნეო ხელფასი,—ამბობს ბ. დე-ლავერნი (ინსტიტუტის წევრი) საერთოდ, სამრეწველო ხელფასზე დაბლა ხდვას... სასოფლო-სამეურნეო დღიური ხელფასი საშუალოდ შეიძლება ჩავადგოთ 1 ფრანკად და 50 სანტიმად, ხოლო სამრეწველო ხელფასი 3 ფრანკად. რეალური განსხვავება, კაცმა რო თქვას, მაინცადამაინც არც ისე დიდია, რადგან საკმელ-სასმელი და ცხოვრებისათვის სხვა საჭირო მატერიალური საგნები საზოგადოდ მრეწველობის მუშას უფრო ძვირად უჯდება, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო მუშას; ნამდვილი განსხვავება დაახლოებით უნდა იყოს ერთი მესამედი ანუ 50 პროც. ასეთი განსხვავება სრულებით საკმარისია იმისთვის, რომ მრეწველობას თანდათან უფრო და უფრო მუშების მეტი რიცხვი აწყდებოდეს...“

გაკვრით შევნიშნოთ, რომ განსხვავება გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ბ. დე-ლავერნსა ჰგონია, რადგან ეგრეთწოდებული „მკვდა-

რი სეზონი“ (წელიწადში მუშაობის შენელების დრო) უფრო მეტს ხანსა გრძელდება სასოფლო-სამეურნეო მუშებისათვის, ვიდრე ინდუსტრიის მუშებისათვის. თუ ავიღებთ „სამუშაო დღეების“ რიცხვს, დავინახავთ, რომ სასოფლო-სამეურნეო ხელფასის საშუალო 25 სანტიმიდან 1 ფრანკამდე, ე. ი. ეს ხელფასი იგივეა რაც იყო ათი-ოცი წლის წინად. ეს კი საკმაო სიცხადით იმას გვიმტკიცებს, რომ სასოფლო მეურნეობას მაინცადამაინც ბევრი მუშა-ხელი არა სჭირია *.

შევვხვით აგრეთვე იმასაც, თუ რა მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ სამსახურგათავებულმა ჯარისკაცებმა და უმუშევრად დარჩენილმა მუშებმა საერთოდ წარმოებაში და კერძოდ სასოფლო მეურნეობაში.

დედამიწის ზურგზე თუ სადმეა საუცხოოდ განვითარებული და აყვავებული მეურნეობა, ყოველს ექვს გარეშე, ასეთი ქვეყანა ინგლისი, ამას მოსდევს ბელგია და ჰოლანდია. ამ სამს ქვეყანაში, მეურნეობამ პირდაპირ დაუჭერებელ სიმადლეს მიაღწია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სწორეთ მუშახელის სიმრავლის წყალობით კი არ აყვავებულა მეურნეობა. პირიქით ბ. დე-ლავერნი, რომელიც ამ კითხვაში ავტორიტეტად ითვლება, ამ საგნის შესახებ მეტად საყურადღებო მოსაზრებას გამოსთქვამს. „მარტო სასოფლო მეურნეობაში, — ამბობს დე-ლავერნი, — ჩაბმულია უფრო მეტი მუშახელი, ვიდრე სხვა, ყველა ერთად აღებულ მრეწველობაში. საერთოდ ორი მესამედი საფრანგეთის მცხოვრებთა სოფლის მეურნეობის მუშებს წარმოადგენს. ამჟამად ეს პროპორცია უფრო მეტიც იქნება. საზოგადოდ ამა თუ იმ ერის განათლების დონე განიზომება ამ პროპორციის კლებით. ცნობილია, რომ ნაკლებად განათლებულს ქვეყანაში თითქმის მთელი მოსახლეობა სასოფლო მეურნეობას მისდევს, ხოლო იმ ქვეყანაში, რომელიც განათლების უმაღლეს წერტილამდეა ასული, როგორც მაგალითად ინგლისშია, მიწადმოქმედთა რიცხვი მთელ მცხოვრებთა რიცხვის მეოთხედს ან მეხუთედს შეადგენს. სასოფლო მეურნეობას მუშახელის კლებით არაფერი აკლდება, პირიქით: რაც უფრო იზრდება რიცხვი არა სოფლის მეურნეთა, მით

* საფრანგეთში სულ ერთთავად იმას გაიძახიან — სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობისათვის მუშახელი გვეკირიანო. წარმოების ეს ორი დარგი ჯარს ყოველწლიურად უზავინის 10-დან 12 ათას მოხალისეს, რომელთაგან ნახევარი იმიტომ მიდის ჯარისკაცად, რომ შინ სამუშაო ვერ უმოგვნიანო. ცხადია, რომ ის 6,000 სხვის მაგივრად წასული, რომელთა უმეტესობა ჯარისკაცად იმავე მიზეზითა ხდება, ამ რიცხვში ჩათვლილი არ არის.

უფრო ფართოვდება საქონლის გასაღების ბაზარი და მით უფრო იზრდება წარმოება“.

ეს კლება სასოფლო-სამეურნეო მუშების რიცხვისა, რომელზედაც ბ. დე-ლავერნი ლაპარაკობს, აგრეთვე შედეგია მეურნეობის ტექნიკის წარმატებისა. რაც უფრო გავანაყოფიერებთ ნიადაგს პატივითა და გავაუმჯობესებთ სამეურნეო იარაღებს, მით უფრო ნაკლები დაჭირავებული მუშახელი დასჭირდება მიწადმოქმედებას. ჩვენის ნათქვამის დასამტკიცებლად წინ გვიდევს მაგალითი იმ სამის ქვეყნისა, რომელთაც ყველაზე მეტი წარმატება ეტყობათ მეურნეობაში. მართლაც, განსაზღვრულ სივრცის ადგილზე ისე ცოტა ხალხს არსად ამუშავებენ და იმდენი ნაყოფიც არსად მოსდით, როგორც ინგლისსა, ჰოლანდიასა და ბელგიაში.

მაგრამ ყოველივე ეს არა კმარა, რომ ძალა დაეკარგოს იმ არგუმენტს, რომელსაც ახლა ვარჩევთ, ყოველ შემთხვევაში იმათს თვალში, ვინც ხსენებული არგუმენტი წამოაყენა. ამიტომ ერთი რაღაც უნდა მოვიგონოთ, რომელიც წინა მოსაზრებათა მსგავსადვე ეღემენტარულია.

თუ გინდათ, რომ მეურნე იყვეთ და ჰირნახულიცა გქონდეთ, აწისათვის არა კმარა ღონიერი მუშები გყავდეთ და სახნავსათვის მიწა გქონდეთ.

ცხადია, ამასთან ერთად სააგრონომიო ცოდნაც უნდა გქონდეთ და დასამუშავებელი თანხაცა. დღეს თუ მიწა ჯეროვანად გაპატივებული, მოხნული და მოვლილი არ არის, თითქმის არ მოაჯცემს ნაყოფს. ხოლო, თანახმად ბ. დე-ლავერნის თქმისა, იშვიათია, რომ მიწამ, საფრანგეთის საშუალო პირობებში, კარგის ნაყოფის მოცემა შეიძლოს, თუ ზედ არ დაეხარჯეთ 2000 ფრანკი ჰექტარზე, აქედან 1000 ფრანკი თვით ნიადაგის გასაუმჯობესებლად, ხოლო 1000 ფრანკი დასამუშავებელ თანხად. ბ. დე-ლავერნი აქ არ ანგარიშობს გადასახადებს სამამულოს, მოძრავი ქონებისას, პირადს და სხვადასხვა, რაიცა ცოტას კი არ დაიჭერს!

მიწადმოქმედება, უეჭველია, იმატებდა, თუ კაცი მოახერხებდა და გაავრცელებდა სააგრონომიო ცოდნას და განსაკუთრებით თუ მოიზიდავდა საწარმოო კაპიტალებს, მაგრამ იმას კი ნურავინ იტყვის, ასეთი შედეგის მიღწევა შესაძლებელი იყოს აგროკულტურისათვის ძველ მეომრების მიშველებით. და სანამ კაპიტალის ნაკლებობა იქნება, სამუშაოს მთხოვნელი სულმუდამ ბევრი იქნება და სამეურნეო ხელფასი დიდის გაჭირვებით თუ შესძლებს, ოდნავადაც არის, აიწიოს.

ხსენებულ მოსაზრებათა წინააღმდეგ შეუძლიათ გვითხრან, რომ ხელფასის დაცემა ნაწარმ საქონლის თვითღირებულების ფასს შეამცირებსო და ამას კიდევ შედეგად ის მოჰყვება, რომ თვით საქონლის გაყიდვის ფასი დაიკლებსო; და რაკი ნაწარმი გაიაფდება, ე. ი. მყიდველთათვის ხელმისაწვდომი გახდება, მოხმარებას შეუძლიან დღევანდელ დონეზე გაჩერდესო.

სამწუხაროდ, ეს ასე არ გახლავსთ. ამა თუ იმ საქონლის გაყიდვის ფასი, როგორც მოგეხსენებათ, ამნაირადაა შედგენილი: თვითღირებულების ფასი + სარგებელი ვაჭრობაში ჩადებულ კაპიტალისა + ხარჯები გადატანისა, საწყობში შენახვისა, საქონლის ღირსების დაკარგვისა, გადასახადებისა, + შუამავალთა გასამრჩელო, ასეა თუ ისე აუცილებელი, + ერთგვარი თანხა, რომლის რაოდენობა დამოკიდებულია ბაზრის მდგომარეობაზე, ე. ი. მიწოდებისა და მოთხოვნის რაოდენობაზე. მართალია, ყოველსავე ნათქვამს შემდეგ, მოთხოვნა დიდი არ იქნება; ისიც შეიძლება, მოთხოვნა სულაც არ იყოს, მაგრამ შუაჯაყების შენახვა და ზევით ჩამოთვლილი ხარჯები იგივე დარჩება, რაც წინათ იყო. ხოლო რაც შეეხება თვითღირებულებას, აი როგორ წარმოსდგება: სარგებელი წარმოებაში დაბანდებულ კაპიტალისა და მისი ამორტიზაცია, + შენახვა ფაბრიკისა, ფერმისა, ქარხნისა ან სახელოსნოსი, + ნედლი თხალის ფასი, + ხელფასი წარმოების მუშებისა და მოსამსახურეთა. ზედმეტია იმის გახსენება, რომ მუშების ხელფასი თვითღირებულების მეოთხედსაც არ შეადგენს. მათი ხელფასი სანახევროდ რომ შემციირდეს, თვითღირებულება ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი-მერვედით შემცირდება, ასე რომ რომელიმე ნაწარმოები, ფაბრიკანტის მიერ დღეს ოთხ ფრანკის ფასად გაყიდული, ეღირებოდა 3 ფრანკნახევრად, ხოლო მუშას, რომელსაც წინათ 4 ფრანკი ჰქონდა ამ საქონლის სასყიდლად, ახლა ორ ფრანკზე მეტი არ ექნება. საერთოდ ცხოვრება გაიაფდებოდა ერთი მერვედით, სულ ბევრი, ერთი-მეექვსედით, იმ დროს როცა საარსებო საშუალება მუშების უმეტეს ნაწილისა სანახევროდ შემცირდებოდა. პროპორცია იგივე დარჩებოდა, ჩვენ თუ წარმოვიდგენდით, რომ მუშების ხელფასი მხოლოდ ერთი-მეოთხედით შემცირდებოდა: საქონლის თვითღირებულების ფასი შემციირდებოდა ერთი-მეექვსემეტედით და სხვა.

ეს მცირე გამოაზარაშება საგრძნობლად სცვლის ამ თავის დასაწყისში მოტანილ საწინააღმდეგო აზრს და ზედმეტია ამაზე კიდევ ლაპარაკი, თუმცა შესაძლებელი კი იყო კიდევ მოგვეყვანა იმავე ზანიათთა მოსაზრებანი.

განსახილველი დაგვრჩა ერთი მოსაზრებაცა, რომელიც შეიძლება წამოაყენონ იმისთვის, რომ, ცოტათიც არის, შეანელონ ის მუქი საღებავები, რომლებითაც დახატულია საერთაშორისო განიარაღების შედეგების სურათი.

შეუძლიათ სთქვან: „რა მნიშვნელობა აქვს ყველა ამ მოსაზრებას, თანამედროვე ურთიერთობის სფეროდან აღებულს; ყოველივე ეს ეკონომიური ფიქციებია, მეტი არაფერი. არსებითად არაფერი გამოიცვლება, გამოიცვლება მხოლოდ შრომის უფრო მიზანშეწონილი განაწილება. დაშლილი ჯარი ხვალ იმასვე დახარჯავს, რასაც დღეს ჰხარჯავს; გამოცვლილი ის იქნება, რომ ჯარს დაეკარგება გამანადგურებელი ხასიათი და გადაიქცევა ნაყოფიერად, პროდუქციის საჭიროებათა ფარგლებში. ამა თუ იმ სახით ჯარი შესძლებს პატიოსანის გზით მოიპოვოს ის აუცილებელი საჭიროების დასაკმაყოფილებელი, რაც დღეს მთავრობისაგან ეძლევა სხვათა მიერ შექმნილ სიმდიდრის გასანიაველად შრომისათვის“.

მეტად მემძიმება ამ საოცნებო ილუზიების გაქარწყლება, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, ეს არსებობისათვის აუცილებელი სახსარი წინააღმდეგე გამორიცხულია სახელმწიფოს მიერ იმავე ჯარის შემწეობით, რომელსაც ამ აუცილებელს სახსარს ურიგებენ. მდაბიო ხალხს, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ საკმაოდ არა აქვს შეგნებული, თუ რა მოვალეობა აწევს მას სახელმწიფოსი, და აბა სწორეთ ვერც გადასახადთა ინსპექტორს შეუძლია და ვერც ხარჯთამკრეფთ— შეაგნებინონ თავისი წმინდა მოვალეობა სამშობლოსა და ფინანსთა სამინისტროს მიმართ. გლახი, მუშა, თვით ფაბრიკანტიც ტუჩებზე ღიმორეულები უხვდებიან ხარჯთამკრეფთ არა მარტო იმისთვის, რომ მთავრობის აგენტი გაისარჯა და გადასახადის ფურცელი წარმოუდგინა, არამედ იმისთვისაც, რომ ისინი ხარჯთამკრეფის ზურგთ უკან ხედავენ მთელს მწყობრს ხიშტებიან ჯარისკაცებისას, რომელნიც მზად არიან საქმეში ჩაერივნენ, როგორც კი რომელიმე მოხარკე გაბედავს და უარს იტყვის გადასახადის გადახდაზე. სამსახურიდან განთავისუფლებულს ჯარისკაცს, რომელიც უკვე აღარ ატარებს „სამშობლოს დამცველის“ სახელს, თავისუფლად შეუძლია ლუკმაპური იმოგნოს ყველასთან, ვისაც კი მიაღგება, თუ თან იახლებს „შეიარაღებულ ძალას“ ან მთავრობის ერთერთ წარმომადგენელს, მაგრამ იმავე მთავრობის გავლენას ძალზე მოაკლდებოდა იმ დღესვე, რა დღესაც მოშორდებოდა მისი მთავარი ძალა — მისი ხიშტები. ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ უნდა

იცხოვრონ სამსახურიდან განთავისუფლებულმა ჯარისკაცებმა! მეტრ გზა არ ექნებათ, უნდა მიჰბადონ ორივე სიცილიის სამეფოს ძველს ჯარს და ფართედ მოაწყონ ძარცვა-გლეჯა. მაგრამ, ცხადია, ეს სრულებით არ შეადგენს წინდაწინვე მოუფიქრებლად განზრახულ განიარაღების მომხრეთა იდეალს*.

რაკი ჯარზე ვლაპარაკობთ, მეტი არ იქნება მოვიგონოთ ჯარის სხვა „დანიშნულება“. თანამედროვე საზოგადოებას არაფრის გზით არ შეუძლია ამ დანიშნულებას გვერდი აუაროს. თანამედროვე პირობებში, ჯარი აუცილებელია არა მარტო გადასახადების ასაკრეფად, არამედ განსამტკიცებლად იმ სოციალურ ურთიერთობათა, რომელნიც წარმოშვა განათლების გზაზე შემდგარმა ცხოვრებამ. შეძლებული ხალხი, აგრეთვე პატარ-პატარა მესაკუთრენი და კომერსანტები თანახმანი არიან დიდის სიამოვნებით გადაიხადონ ხოლმე თავიანთი ხვედრი გადასახადებისა მხოლოდ იმ პირობით, რომ შეიარაღებულმა ჯარმა, რომელსაც სწორეთ ამ გადასახადთა მოგებით ინახავენ ხოლმე, უზრუნველჰყოს ისინი და აგრეთვე მათი ცოლშვილი და ქონება ყოველგვარ ფათერაქისა და განსაცდელისაგან. ჩვენ ვიცით, რომ ეკონომიური თვალსაზრისით ეს უზრუნველყოფა წინდია წარმოების არსებობისა. რომ გაჰქრეს ეს ჯარი, რომელიც საფუძვლიანად და უსაფუძვლოდ ამათ თავიანთის სიცოცხლის და ქონების მცველად მიაჩნდათ, რა მოსაზრებამ უნდა აიძულოს ესენი შეინახონ ან და, ყოველ შემთხვევაში, დაეხმარონ ამ ჯარის დამსხვრეულ და ღონემიხდილს ნაშთს? რა სახით და რა

* მკითხველი კარგს იზამს განიშკვალდებოდეს იმ აზრით, რომ ამერიკის მაგალითი ყურადღების ღირსი არც კი არის. ჩვენ ვიცით, რომ ამერიკამ ჯერ უზარმაზარი ჯარი შექმნა და მერე იმდენი მოახერხა, რომ ეს ჯარი დაშალა. ეს ჯარი შესდგებოდა მუშებისაგან, რომლებიც გამოაცალეს საცესებით განვითარებულ მრეწველობას; რაკი მუშები არა ჰყავდათ, სამრეწველო დაწესებულებანი იძულებულნი იყვნენ საქმე შეეჩერებინათ და მათთვის აღვილი იყო საქმე იმათთვისვე ჩაებარებინათ, ვის დაბრუნებასაც ასეთის მოუთმენლობით მოელოდნენ, გარდა ამისა, ამერიკის მრეწველობა წარმოშვა სრულებით მშვიდობისმოყვარულმა საქიროებამ და სამხედრო დაწესებულების სრულებით უმნიშვნელო რიცხვი ჰქონდა. ამიტომ სრულებით არ ვშინოდა მომავალ ცვლილებისაგან მოსალოდნელ კრიზისისა. ეს ცვლილება, სწორად რომ ესთქვათ, ერთად-ერთი იყო და განიარაღებას სულ ოთხი წელიწადი უძღოდა იარაღსხმულობისა. დასასრულ, მაინცა და მაინც, ნურც მაგრე ეენდობით ამერიკის მითაყვანეთა ალტაცებულ სიტყვებს: იმან, რაც დღეს ამერიკაში ხდება, არა მგონი, ცოტათიც არის, შორსმკვრეტელ ხალხის დამშვიდება შესძლოს...

მოსაზრებით დასთანხმდებიან ესენი ხელი აიღონ ხოლმე თავიანთს ჩვეულებაზე და შეინახონ „მცონარენი“, „უსაქმურნი“, რომელნიც სულმუდამ ზიზღის თვალთ გაუცილებიათ იმგვარათვე, როგორც მათივე მსგავსი „უმაქნისები“, რომელნიც დღეს „მათხოვრების“ სახელით არიან ცნობილნი?

აი ის საზრდო, რომელსაც შოულობენ დღეს ჯარისკაცი და მათი მოკავშირენი, და რომელიც თანამედროვე საზოგადოების მიერ ამ უკანასკნელთათვის ალბათ უზრუნველყოფილი არ იქნება.

მაგრამ ერთი რამ კიდევ არის სათქმელი შესახებ იმ „საზრდო-სა“, რომელსაც მშვიდობიანობის მომხრე პუბლიცისტები ჯარსა ჰპირდებიან — შეგრჩებათო.

საფრანგეთსა და იტალიაში, ისევე როგორც რუსეთსა, ავსტრია-სა, ესპანეთსა და ოსმალეთში უმეტესი წილი მუდმივის ჯარის შესანახ ხარჯებისა არაპირდაპირის გადასახადებით კი არ იფარება, არამედ ერთმანეთს მიყოლებულ სესხებით, რომლებიც თანამედროვე მთავრობებისათვის მათის ბიუჯეტის ყოველგვარის დეფიციტების დასაფარავ წყაროებად გადაქცეულა. ყველას აშკარად ეტყობა ტენდენცია ეს სესხი ჩასთვალოს როგორც ერთგვარი სამარად-ჟამიო გადასახადი და ევროპის სახელმწიფოთა ფინანსიურ მდგომარეობაში ეს სესხი მეტადა ზრდის სახელმწიფო ვალებს, რომლებმაც ისეთ დიდ ციფრებამდე ააღწიეს, სახელდობრ 71.712.750,000 ფრანკამდე *.

სახელმწიფო ვალები:	ფრანკები
ინგლისისა	. 19.818 750,000
საფრანგეთისა	13.553.000,000
რუსეთისა	8.925.000 000
ავსტრიისა	7.614.250,000
იტალიისა	6.375.000,000
ესპანეთისა	5.250.000,000
ჰოლანდიისა . . .	2.100.000,000
გერმანიისა პატარა სა- ხელმწიფოებისა	2.062 500,000
ოსმალეთისა	1.762 500,000
პრუსიისა	1.631.250,000
პორტუგალიისა	1.068 750,000
ბელგიისა	675.000,000
დანიისა . . .	367 500,000
საბერძნეთისა	240.000,000
შვეციისა	172.500,000
ნორვეგიისა	48 000,000
ოსმალეთის ვასალებისა	37.500,000
შვეიცარიისა .	11.750,000
სულ	. 71.712.750.000 ფრ.

მარტო საფრანგეთის სახელმწიფო უზრუნველყოფილი (კონსოლიდირებული) ვალი რომ ავიღოთ, დავინახავთ, რომ ეს ვალი 1851 წელს შეადგენდა 5.345.636.360 ფრანკს და რომ 1865 წ. 13.026.510.614 ფრანკამდე ავიდა. განსხვავება უკვე 7.680.873.254 ფრანკს შეადგენს, რაიცა გვიჩვენებს, რომ წლიურად, ვალი, საშუალოდ 548,633.803 * ფრანკს მატულობს, ე. ი. ცოტათი მეტს იმ თანხაზე, რა თანხადაც უჯდება საფრანგეთს შენახვა თავის ჯარისა, თავის საზღვაო ფლოტისა და ალყირის სამხედრო კოლონიისა**.

* საფრანგეთის სახელმწიფო (უზრუნველყოფილი) ვალი:

იანერის პირველისათვის	ფრანკები	ზრდა ფრანკებად
1851	5.345.637.360	—
1852	5.516.194.600	1.70.557.240
1853	5.577.504.587	61.309.987
1854	5.669.655.012	92.1 0.425
1855	6.82.877.852	413.222.840
1856	7.558.040.822	1.475.162.970
1857	8.011.992.466	473.951.644
1858	8.422.996.777	390.104.311
1859	8.593.288.155	171.191.378
1860	9.334.012.006	740 723.851
1861	9.718.276.913	384.264.907
1862	9.924.874.218	206.597.305
1863	12.080.235.183	2.155 360.965
1864	12.315.946.794	235.711 611
1865	13.026.510.614	710 563 820
სულ . .		7.680,873.254

წლიური საშუალო: 548.633.803 ფრანკი და 84 სანტიმი.

** ვალიც არის და ვალიცა, ისევე, როგორც ყველა კაცი, ერთნაირ, არ არის.

ფრანკი

ხმელეთის ჯარი . . 363.002.738
 სამხედრო ფლოტი 148.051.482
 ალფირი 14.702.000

სულ . 525,755.720 ფრ.

ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, ლაპარაკი გვაქვს, უზრუნველყოფილ ვალის შესახებ: უგარანტიო ვალი, რომელიც მიმდინარე წლის დასაწყისში 1.100.000.000 ფრანკამდე აღიოდა. ჩამოთვლილ ანგარიშში არ შედის.

რა დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ ამ ციფრების შედარებით? ჯარისკაცების ჯამაგირები, მათი შენახვა და სამხედრო სამუშაოებისათვის გასაწევი ხარჯები აწეება კისერზე გულდანდობილ კაპიტალისტებს, რომელთაც თავიანთი ფული მოწიწებით სახელმწიფოს სალაროში შემოაქვს; პირდაპირი გადასახადი, საარგებელი არაპირდაპირის გადასახადისა და სხვა შემოსავალი სახელმწიფოსი ნაწილობრივ ჰფარავენ სხვა ხასიათის ხარჯებს: ესენი დანიშნულნი არიან გასატუმრებლად სახელმწიფო ვალისა, შესანახად სასახლისა, ადმინისტრაციისა, სასამართლოსი, საუნივერსიტეტო დაწესებულებათა, საპატიმროებისა. საჯარო სამუშაოების ხარჯების გასატუმრებლად და სხ. და სხ. ეს ცოტაცაა: მოხარკეთა მიერ შემოტანილი ფული არც-კი ჰყოფნის ამ ხასიათის ხარჯებს; ამიტომ ქალაქები, საზოგადოებანი და დეპარტამენტები, საცა კი მოახელებენ, ფულს სესხულობენ, რომ დაჰფარონ ხარჯები კანალიზაციისა, გზებისა, სკოლების შესანახი, საზოგადო საჭიროების შენობების ასაგებად, და სხ. * განიარაღებას არ შეუძლია გადასახადების ჯამი საერთოდ თუნდ ერთის სანტიმიტაც შეამციროს. შეიძლება, სულ ბევრი, იმის იმედი იქონიოს კაცმა, რომ აღარ ისესხონ ფული, ჯარის საკმელ-სასმელისა და შენახვისათვის**.

* აი, თანახმად ბ. La Barre-ისა, ფინანსიური მდგომარეობა საფრანგეთის დეპარტამენტებისა და კომუნებისა.

1852	იმათ	ისესხეს	14.617.000	ფრანკი
1853	"	"	13.416.000	"
1854	"	"	63.057.000	"
1855	"	"	79.219.000	"
1856	"	"	85.754.000	"
1857	"	"	26.825.000	"
1858	"	"	12.557.000	"
1859	"	"	50.000.000	"
1860	"	"	186.544.000	"
1861	"	"	112.000.000	"

ჯამი . . 643.989.000 ფრ.

** ვალიც არის და ვალიცა, ისევე, როგორც ყველა კაცი, ერთნაირი არ არის და უსამართლობა იქნებოდა, რომ არ გველიარებინა სარგებლიანობა ზოგიერთი სესხისა, რომელიც საფრანგეთის დეპარტამენტებსა და კომუნებს აღებული აქვს

ევროპის სახელმწიფოთა უმეტესობაში, იმ სიმდიდრეს, რომელიც დღეს ჯარზე იხარჯება, ნაღდ ფულად კი არ აძლევენ: ამ ხარჯებს ისტუმრებენ მომავლის შემოსავლის იმედით ამ შემოსავლის აღებად; მაგრამ ყოველთვის კი არ მოგვცემენ ამის ნებას და არც ადვილი გახლავსთ წინდაწინ შემოსავლის აღება. სახელმწიფოთა ცხოვრებაში ისევე, როგორც კერძოთა ცხოვრებაში, ზოგჯერ გამოერევა ხოლმე წუთი, როცა ხალხს მომავალი შავის საღებავებით შელებილად მოეჩვენება და ამ საღებავებიდან ჰორიზონტზე მოეფინება საზარელი შავი ღრუბლები, დადგება ვადა რომელისამე ვალის გადახდისა და დაინტერესებულთ არ უნდათ ყურშიაც შეუშვან ვადის გადიდების ან ვექსილების გამოცვლის შესახებ ლაპარაკი. ნისიად არავინ რას იძლევა, მოითხოვენ ნასესხებ მცირე თანხების დაბრუნებას, სხვადასხვა საქონლის მომპარავებელნი აქშინებულნი მირბიან და თავისას თხოულობენ, არავის უნდა ყური ათხოვოს თქვენს დაპირებას — საცაა, ყველაფერი მექნებაო. რამდენიც გნებავთ, ელაპარაკეთ თქვენის იმედების შესახებ ან ბედის სიმუხთლეს მოახვიეთ ყველაფერი თავზე, ამით საქმეს ვერ უშველით, შეუძლებელია მომავალი გაანადღოთ, რაღაც უნდა დაგიჯდესთ, უნდა გაუსწორდეთ რეალურისა და ნაღდის ქონებით. ასეთს მდგომარეობას ფინანსიურ debàcie-ს, ეკზეკუციას, ვალები-სათვის ქონების აღწერას ეძახიან და ეს მართლაც ეკზეკუციაა, ზოგჯერ უფრო მწარეც, ვიდრე თავის მოკვეთა.

გზების გასაუმჯობესებლად და სხვა მის მსგავს საქიროებათათვის. რაც დაესწერეთ, იმისათვის კი არ დაგვიწერია, რომ საეკუოდ მიგვეჩნია სარგებლიანობა ასეთის ხესხისა. ამას, გაკვრით, ისიც დაეუმატოთ, რომ ამ აუარებელმა ხესხებმა, ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოთა რომ იღებენ ხოლმე, წარმოშვა მოსახლეობის მთელი კლასი, კლასი რანტიეებისა, რომლებიც მიჩვეულნი არიან იცხოვრონ ხოლმე თავიანთის თანხების 3 და 5% სარგებლითა. ამათ რიცხვი მეტად დიდია, ასე რომ ფიქრიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ ამათ არსებობის წყარო შევუმციროთ; ესენი მარად თვალწინ უნდა გვედგეს, როდესაც ლაპარაკია ხოლმე სახელმწიფოს ვალების ზრდის შესახებ. ამ რანტიეების სიმრავლაც ნებას არ გვაძლევს ვიოცნებოთ, თუნდაც ერთი წუთით, მაგათს გაკოტრებაზე, როგორც საშუალებაზე, რომელსაც შეუძლია გაქირვებულ ფინანსიურ მდგომარეობისაგან გამოიყვანოს ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოთა. ერთად-ერთი საქმე, რის გაკეთებაც-კი შეიძლება, ის გახლავთ, რომ მიჰბადონ ინვლისისა და პოლანდის მაგალითებს, ე. ი. ამ ვალებს ამორტიზაცია უყონ ცოტ-ცოტათი, იმისდა კვალად, როგორც კი შემოსავალი ხარჯზე მეტი შემოუვით. მაგრამ ვალების ამორტიზაციისათვის მართო სურვილი როდი კმარა.

ქონების აღწერის ეს საათი შეიძლება, ერთი დღეც არის, სახელმწიფოს დაუდგეს, — მაშინ საიდან მოიტანს იმ უთვალავს ფულს იმ პურის სასყიდლად, რომელსაც იგი დღეს თავის ჯარს აჭმევს? ამ პურს სოფლის მეურნეთაც ვერ წაართმევს, ამიტომ რომ, მაგალითად, საფრანგეთისათვის პური შორეულ ქვეყნებიდან მოდის, სადაც, ერთს დროს მექსიკაში რომ გაგზავნეს, ისეთის ექსპედიციის გაგზავნა საშინლად ძვირად დაჯდება; ამიტომ რომ მოსალოდნელია რუსეთმა და სხვა ქვეყნებმა, რომლებიც დღეს საფრანგეთს რაღაც მილიონნახევარ ჰექტოლიტრ ხორბალს უგზავნიან, ვინ იცის, როგორ აიღონ და დაიღონ, სანამ მარსელში გაგზავნიდნენ თავიანთის ხორბლით დატვირთულ გემებს.

ეს უკანასკნელი მოსაზრება საკმაო სიცხადით ადასტურებს იმ ნათქვამს, რომ რეალურად არაფერი გამოიცივლება განიარაღებით და იგივე ადამიანები იმავე რაოდენობის ნაწარმოებს დახარჯვენ, რასაც ხარჯავდნენ დღემდე, როცა იმ ნაწარმოებს ისინი სახელმწიფოს ხელიდან ღებულობდნენ. მართლაც და, ბევრი რამ იქნება გამოცვლილი: პური და სხვა საგნები მოხმარებისა, რასაც დღეს ხარჯვენ, ნასესხებია მოსალოდნელ სიმდიდრის გარანტიით. ამ მოუფიქრებლად მოხდენილ განიარაღებას აუცილებლად მოჰყვება ქვეყნის ქონებრივად აწეწ-დაწეწვა, და ამ აწეწილ-დაწეწილობის წინააღმდეგ ამ პროდუქტების მწარმოებელთ და მომტანთ არაფერი სწამდეთ იქნება შემოსხენებული გარანტიისა: ისინი მოითხოვენ დაუყოვნებლივ გადაუხადონ ვალი, ნაღდი ფულით, და რაკი მოვალეები ვერაფერის საშუალებით მოახერხებენ ვალის გადახდას, მაშინ...

ისიც მართალი გახლავსთ, რომ ევროპა დღეს წარმოადგენს ორს მაგალითს სამხედრო ორგანიზაციისას, რომელიც სამრეწველო და სამიწათმოქმედო საჭიროებას ცოტათი უკეთესად აკმაყოფილებს, ვიდრე სამხედრო ორგანიზაციები ევროპის სხვა სახელმწიფოებისა. ეს ორგანიზაცია არის ერთი ლანდვერი პრუსიისა და მეორე — სახალხო მილიცია შვეიცარიისა.

მუდმივი ჯარების შენახვისაგან წელში გაწყვეტილ ევროპის ერების უმრავლესობის გონებრივისა და სამრეწველო განვითარების სამწუხარო მდგომარეობამ აიძულა ეს ერები თანდათანობით შესდგომოდნენ განიარაღებას, ამათ აკრძალეს ჯარისკაცად სხვის მაგივრად წასვლა და მოაწყვეს ლანდვერ (landwehr) და მილიცია, ყველა მოქალაქეთა მიერ შემდგარი. ამ თანდათანობის საფუძველი უნდა ვეძებოთ იმ თავისებურობაში, რომელიც აქვს ჩვენს მიერ მოხსენებულ ქვეყნების სამხედრო წყობილებას: ამ ქვეყნების სამრეწველო დაწესებულებანი, სამხედრო საჭიროებისათვის

დანიშნულნი, თითქმის იმნაირათვე მუშაობენ, როგორც იმ სახელმწიფოებისა, რომელნიც მუდმივ ჯარებს ინახავენ. მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს გადაავლა, რაც უნდა ზომიერი და თავშეკავებული იყოს იგი, წარმოადგენს შესასოულებლად საძნელოს, და ამ სიძნელის უგულვებელყოფა მეტის-მეტი გაუფრთხილებლობა იქნებოდა. და თუმცა ეს სიძნელე საერთო განიარაღებასთან შედარებით ნაკლებია, მაგრამ მაინც მძიმე დასაძლევია. იმიტომ რომ მოქალაქეთ ზურგზე წამოიკიდეს ისეთი მძიმე საქმე, რომელიც თითქმის უდრის საერთო განიარაღებას და ამავე დროს განაგრძობენ ზიღონ სამხედრო რეჟიმის ტვირთიცა, რომელშიაც შედის სალაშქრო ბეგარა და პირადი სამსახური.

აღარც ის გვეთქმის, ვითომც მეტად ხელსაყრელი იყოს პრუსიისა და ჰელვეტციის კონფედერაციისათვის მათი სამხედრო რეჟიმი. ამ ორი მხარის მდგომარეობა სრულებით არ შეიძლება მაგალითად და მისაბამებლად გავუხადოთ სხვა სახელმწიფოებს. ეს მდგომარეობა ოდითვე ვითარდებოდა და ეს პრივილეგიური სახელმწიფოები იძულებულნი იყვნენ ბევრი შევიწროება და გაჭირვება განეცადათ და მრავალი მსხვერპლი შეეწირათ, სანამ მიაღწევდნენ იმ მდგომარეობას, რა მდგომარეობაშიაც დღეს იმყოფებიან. ამასთანავე მრეწველობა და მიწათმოქმედება ამ ქვეყნებისა თანდათან გაჩნდა და განვითარდა იმ მდგომარეობასთან შეფარდებით, რომელიც შექმნა სამხედრო ორგანიზაციამ. და ცხადია, არც ერთი და აღარც ათი წელიწადი ეყოფოდათ ამ ქვეყნებს თავიანთი დღევანდელი კეთილდღეობის მიაღწევად.

ყოველთვის, როცა ამა თუ იმ ერის წესწყობილება და მისი ზნეჩვეულება გვინდა შევაფასოთ, უეჭველად ანგარიში უნდა გავუწიოთ ხოლმე ამ ერის ისტორიული განვითარების პირობებს. ამაზე მეტიც უნდა ვსთქვათ: რომელისამე სახელმწიფოს სოციალურს წრეს, ე. ი. მეზობლების ცხოვრების პირობებს ნაკლები მნიშვნელობა არა აქვთ ამ სახელმწიფოს დაწესებულებათა განვითარებისათვის. ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების ამ ორს ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ არამც თუ მის სოციალურ ორგანიზაციის ცოტად თუ ბევრად მძიმე ჩასახვის საქმეში, არამედ მნიშვნელობა აქვს იმ ცვლილებათათვის, რომლებიც უნდა მოახდინონ სახელმწიფოს ძირითად დაწესებულებებში. ამიტომ რომელისამე სახელმწიფოსათვის ადვილი საქმე როდი გახლავთ თავის ქეიფზე რაიმე ცვლილება შეიტანოს თავის მხედრობაში; ანგარიში უნდა გაუწიოს მას, თუ მეზობლების სამხედრო ორგანიზაცია როგორია. აი თუნდ პრუსია ავიღოთ. რაკი მეზობლად ძლიერი სამხედრო სახელმწიფო

ჰყავდა, რომლის ჯარი მუდმივი ჯარისკაცებისაგან შედგებოდა, იძულებული შეიქნა 1864 წელს თავისი სამხედრო კანონმდებლობა გამოეცვალა და საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადასდგა მოსაწყობად ან, უკეთ, გასადიდებლად თავის მუდმივი ჯარისა.

მეზობლის ცუდი მაგალითის გავლენა ამა თუ იმ ერის განვითარებაზე ისე თვალსაჩინოა, რომ არა მგონი საჭირო იყოს მასზე მეტს ხანს შეეჩერდეთ. მხოლოდ გაკვირით აღვნიშნოთ, რომ გერმანია სავსებით ემყარება მუდმივი ჯარისკაცების ხიშტებს და გაფაციცებით თვალს ადევნებს კონფედერაციის (შვეიცარიის) სამხედრო ძალის განვითარებას. და ეს მისი ასე გაძლიერება შედეგია საფრანგეთის მეზობლობისა, რომელსაც არ უნდა ტყუილად ვისმე რამე მისცეს და ამიტომ პრუსიისაგან ისეხსნა მისი სისტემა ლანდვერებისა. ასეთსავე დღეში არიან ავსტრია, რუსეთი, იტალია და ოსმალეთი, რომელნიც იძულებულნი არიან ერთმანეთს მიჰბადონ და ერთმანეთისაგან ახალი სისტემის თოფები თუ ყოველგვარი საომარი იარაღი გადმოიღონ ხოლმე.

თუ გვინდა შემოღებულ იქნას მოქალაქეთაგან შემდგარი მილიცია. საჭიროა ევროპის ყველა სახელმწიფონი შეთანხმდნენ, რომ ერთსა და იმავე დროს შემოიღონ ასეთი წყობილება და თან თავიანთს ქვეშევრდომთ შეუმსუბუქონ სამხედრო ტვირთი. გვგონია საჭირო არ იყოს იმის აღნიშვნა. თუ როგორი დაბრკოლება გადაელობებოდა წინ ასეთს შეთანხმებას!..

IX

წარმოვიდგინოთ, — თქვენ ისა ბრძანეთ, რა იქნება ისეთი, რომ მისი წარმოდგენა არ შეიძლებოდეს! — ჰო, და წარმოვიდგინოთ ერთი რამ: ვითომ კაცობრიობა უაღრესად განიმსჭვალა იმ სურვილით, რომ როგორმე ზურგიდან გადაიგდოს სამხედრო ტვირთი და ეს ვითომ სურვილი ესდენ ძლიერია, რომ არ ეშინია გაუმკლავდეს ზემოჩამოთვლილ დაბრკოლებათ და რადაც უნდა დაუჭდეს დასთურგნოს ეს დაბრკოლებანი. სოციალურ ცხოვრებაში ამგვარი მაგალითები, მართალია, ბევრი არ მოგვეპოვება, მაგრამ მაინც წარმოვიდგინოთ.

ჩვენ სრულებით არ გვინდა, ოდნავაც არის, შერყეულ იქნეს თანამედროვე სოციალური ორგანიზაცია, მაგრამ ჩვენს თავს ნებას ვაძლევთ გავიხსენოთ, რომ არ შეიძლება იმის თქმა, ვითომც ჩვენ დაწესებულებათა დასაბამი — განსაკუთრებით ქონების განაწილების თვალსაზრისით — ცოტად თუ ბევრად მიუკერძოებელი კრიტიკის გარეშე იყოს ან არ განიცდიდეს ცოტად თუ ბევრად გაცხა-

ჩებულ საყვედურს. უნდა გვახსოვდეს აგრეთვე, რომ ეს ყვედრება-
ნი წამოსულნი არიან ხალხის მასების მხრივ, რომელნიც ნაკლებად
არიან განათლებულნი იმისთვის, რომ გაიგონ მომხიბვლელობა „ეკო-
ნომიური ჰარმონიისა“ და თან იმდენად ტლანქნი და მოუხეშავნი
არიან. რომ ვერა ბედავენ თავიანთ სიტყვიერ საყვედურს მიაშვე-
ლონ თავიანთი ზოგჯერ მშვენივრად შეიარაღებული ძალაც. თანა-
შედროვე საზოგადოებას შეუძლია თავისი თავი მოატყუილოს და
ბოლოს და ბოლოს დაარწმუნოს კიდეც, რომ ვითომ მისი ეკონომიუ-
რი ორგანიზაცია მტკიცე და ურყევი იყვეს; მაგრამ სცდება და სა-
შინლადაც სცდება. ისინი, ვინც თავიანთ თავს სევებენიერადა
თვლიან, ისინი, ვინცა ჰფიქრობენ, რომ მათ თავიანთის უფლებისა
ან და დამსახურებისდა კვალად არ ეძლევათ გასამრჩელო, შეადგე-
ნენ უმრავლესობას, ყოველ შემთხვევაში, რიცხობრივს მაინც;
ესენი თავისდღეში არ აპატიებენ საზოგადოებას მისის თანამედრო-
ვე ორგანიზაციის წარმოშობის მიზეზს: უფრო ძლიერის უფლებას,
იბღლიანობას, ჩამომავლობას და კიდეც მის მსგავს რამეებს. და ამ
პროლეტართა მისწრაფებანი მეტად ცოცხალნი არიან და მეტად
ღრმად აღქმს ფესვები გადგმულნი; ესენი იმას-ღა ელიან, ეს სო-
ციალური შენობა ცოტაოდნად შეტოკდეს, რომ იხუელონ და სააშ-
კარაოზე თამამად გამოვიდნენ, და მაშინ ივნისის დღეების* მოწყო-
ბაც ვერ შეაშინებს მათ და ვერ აიძულებს სოროებში დაიმალონ.

მაშასადამე, თანამედროვე საზოგადოებას ვინ დაუდგება თავ-
მდებად იმისა, რომ ეს პროლეტარები რაიმე სოციალურ გაჭირვე-
ბის დროს მშვიდობიანად და ხმის ამოუღებლად დარჩებიან? ეს
საზოგადოება რა ძალით აღუდგება წინ და გაუშკლავდება ამ პრო-
ლეტარებს იმ დროს, როდესაც ესენი, დაინახავენ თუ არა, სოცია-
ლური დეზორგანიზაცია ხდებაო, გამოვლენ და მოითხოვენ თავიანთ
წილს სოციალურ უფლებათა და მომავალ კანონმდებლობის მიერ
დაცვა-დაფარვას**.

* აქანყება 120,000 მუშისა საფრანგეთში სახელმწიფო სახელოსნოებიდან და-
თხოვნის გამო. ამ აქანყებამ სისხლით მორწყო პარიზის ქუჩები და ოთხს დღეს
ფრთხილდებოდა. ალაგმულ იქმნა გენერალ კავენიაკის მიერ.

** შევიცარია ამ შემთხვევაში მაგალითად არ გამოგვადგება, რადგან კონსერ-
ვატორული ელემენტი ისე არსად არის ძლიერი, როგორც აქ, იმის წყალობით,
რომ კაპიტალისა და უძრავის ქონების დიდი სავსებაა აქ. გარდა ამისა, პოლიტი-
კურმა თავისუფლებამ, შევიცარიის ისტორიულის ცხოვრების ამ მთავარმა საფუ-

ცხადია, რომ ამ შემთხვევაში — რომელიც სავსებით უნდა იყოს მოსალოდნელი — საზოგადოებას შეუძლია ორი რამ გააკეთოს: ან კანონიერად სცნოს პროლეტარების მოთხოვნა და ისე მოაწყოს საქმე, რომ მათი დაკმაყოფილება შესაძლებელი იყოს, ან და საჩქაროდ მოუწოდოს შეიარაღებულ საზოგადოებრივ ძალას და ამ ძალას მიანდოს საქმის მოგვარება. თუ საზოგადოებამ ეს მეორე გზა აირჩია და პროლეტარებთან * ბრძოლაში სული არ ამოხდა, იძულებული იქნება შეინახოს თავისი სახელდახელო დამცველები, რომლებიც ათჯერ უფრო ძლიერნი უნდა იყვნენ, ვიდრე დღევანდელი ჯარია. მაშ რაღა იქნება გამოცვლილი? არაფერი. და რაკი აგრეა, ნუ თუ არა სჯობია, ხელიც არ გავანძრიოთ იმ ცვლილების მოსახდენად, რასაც განიარაღებას ვეძახით?

მაგრამ თუ საზოგადოებამ გაითვალისწინა მომავლის დამარცხების აუცილებლობა და ამიტომ საჭიროდ დაინახა პროლეტარების მიმართ დათმობის გზით წაყვადეს; თუ ის დასთანხმდა თავისი ორგანიზაცია შესცვალოს თანახმად იმ იდეებისა, რომლებსაც აქამდე გაურბოდა და ხშირად სდევნიდა კიდევ, — უმჯობესი არ იქნებოდა ამ საზოგადოებას იქიდან დაეწყოს, რომ ეს იდეები ყოველმხრივად და პრაქტიკულად თვალსაზრისით გაესინჯა, ნაწილობრივად განეხორციელებინა კიდევ და ფართედ და რადიკალურად შეეცვა-

ძველმა, ხალხს შეაძლებინა აქტიური მონაწილეობა მიეღო კანონების დაწესებაში და ამ ხალხს სერიოზული საბუთი არა აქვს მოსპოს ან დაარღვიოს ის, რის დაარსებასაც თვითონვე შეუწყო ხელი.

* ეს სტრიქონები მუშების დღევანდელს მოძრაობას არ შეეხება. მიუხედავად ზოგიერთ სახალხო ორატორის ლაპარაკის სიცხარისა, მუშების მოძრაობა სრულებით მშვიდობიანია. მაგრამ არსებითად მაინც არსებობს მისწრაფება — თანამედროვე პირობები საზოგადოებისა ასე თუ ისე რადიკალურად გამოიცვალოს, და ძნელი იქნება იმისი თქმა, როდემდის გაგრძელდება ეს მისწრაფება იმ მდგომარეობაში, რომელიც გვიჩვენებს საზოგადოების გაქირებებასა და უბედურებას. საზოგადოების უმრავლესობა თუმცა მუშათა მოძრაობის გარეშეა, მაგრამ ჩვენი დროის სოციალური ორგანიზაცია მაინცა სძულს და ამ მის სიძულვილს არა აკლდება რა. საერთოდ თანამედროვე აზროვნების მოძრაობის შესახებ, როგორც ნაკლებად განვითარებული მასების მოძრაობის შესახებ, ის ითქმის, რომ ვიცით სად იწყება ეს მოძრაობა, მხოლოდ შეუძლებელია გავითვალისწინოთ, სად გაჩერდება იგი.

ლა თავისი დრომოქმული ორგანიზაცია, და არ დაეწყო ცალ-ცალკე განიარაღება, რომლის განხორციელება, თუ მხედველობაში მივიღებთ ქვეყნის არსებულ მდგომარეობას, მეტად განუხორციელებელი და საშიში იქნებოდა.

X

ისეთია ჩვენი სოციალური ორგანიზაციისა და, საზოგადოდ, ყველა დრომოქმულ დაწესებულებათა ბედი, რომ როგორც კი ხელს ვახლებთ მის რომელსამე ნაწილს, მაშინათვე შეეარყევთ მთელს შენობას და წვიმასებ ყველა მხრით წამოსული ნამსხერევეები იმას მოწმობენ, რომ ჩრჩილი ძალიან შესჯდომია და ძლიერ გამოუხრავს მთელი შენობა. ასეთი დღე ძველს სახლებს დაადგებათ ხოლმე. საჭირო არ არის უფრო განვაგრძოთ შედარება და მხოლოდ შევნიშნოთ, რომ განიარაღების საკითხი, შემსუბუქება ჩვენის სტინანარო მდგომარეობისა, საკითხი მუშათა და ქალების მდგომარეობის გაუმჯობესებისა, აგრეთვე საშველად ხელის გაწვდენა მიწადმოქმედებისა და წარმოებისათვის, სასამართლოს, საეაქრო, საადმინისტრაციო რეფორმების საკითხი, საკითხი საერთაშორისო ურთიერთობისა, საზოგადოების სხვადასხვა კლასთა ურთიერთშორის განწყობილებისა, და, დასასრულ, საკითხები წმინდა პოლიტიკური (საპარლამენტო ინიციატივა, პრესის თავისუფლება, ასოციაციათა და საჯარო კრებების თავისუფლება) — ყოველსავე ამას მივეყვართ პირდაპირი გზით და მიუხევე-მოუხეველად იმ მჭიდრო და ურყევ სოლიდარობისაკენ, რომელიც აკავშირებს სოციალურ ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილებს თვით სხეულთან და რომელიც მოიახვებს გულმოდგინე და რადიკალურ წამლობას „ავადწყოფ ადამიანისას“ და არა რალაც დროებით შვეების მომცემს ამბებს, რომელთაც, სულ ბევრი, ისლა შესძლონ, რომ პირი გარეგნულად მოუშუშონ ავადმყოფობას, რომელსაც მაგარადა აქვს ფეხი გადგმული სოციალურ სხეულის ყოველ ფიბრში.

ხანგრძლივი მშვიდობის დასამყარებლად სამი რამაა საჭირო: უწინარეს ყოვლისა ცოტ-ცოტათი გამოვეუძებნოთ საქმე იმათ, ვინც უმუშევრად დარჩებიან განიარაღებისა და მისი დაუყოვნებელი შედეგებისა გამო. ხოლო ეს ორი სიტყვა — „საქმის გამოქმნა“ თანამედროვე საზოგადოების თითქმის სრულს რეორგანიზაციას უღ-

რის. ამას 1848 წელს „შრომის უფლებას“ ეძახდნენ: საზოგადოებრივ-
ვალდებულებით იყო მოეწყო აუარებელი სხვადასხვა სარეწაოები, რომ-
ლებიც იმდენად მომგებიანნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ თავიანთი
შემოსავლით მათზე გაწეულ ხარჯის დაფარვა შესძლებოდათ. მაგრამ
მარტო გახსნა არა კმარა მრეწველურად მოწყობილ სახელოსნო-
ბისა: საჭიროა გასაღება დამზადებულ საქონლისა, მომხმარებელთა-
პოვნა, ერთი სიტყვით, უნდა შეიქმნას მთელი სისტემა გაცვლა-გა-
მოცვლისა, რომელიც შემაკავშირებლად უნდა გახდეს, ერთის-
მხრით, წარმოებასა და, მეორეს მხრით, მოხმარებას შორის.

სრულებით არ გვეკითხება ისა, თუ საზოგადოების (და არა თა-
ნამედროვე სახელმწიფოს) ჩარევა მრეწველობის საქმეში კარგია,
თუ ცუდი. ამ კითხვის გარჩევა შორს გადაგვაცილებდა ამ დისერ-
ტაციის მთავარ საგანს და მის საზღვრებს. მაგრამ სოციალურ საქ-
მეებში ჩარევის მოწინააღმდეგენი და მსგავსადვე მისნი მომხრენი
ვალდებულნი არიან ერთხმად აღიარონ, რომ სოციალური დაცვის
ინტერესი — საზოგადოების ყველა ინტერესზე უძლიერესი — მოი-
თხოვს იმპერატიულად ამ ჩარევას იმ შემთხვევაში, თუ საერთო-
განიარალება მოხდა. იმათ, ვინც ჩაურევლობის აბსტრაქტულ პრინ-
ციპს საზოგადოების მატერიალურსა და ამასთან მორალურ ინტერე-
სებზე მაღლა აყენებენ, ძალაუწებურად უნდა დაასკვნან, რომ ამ
ჩარევის ასაცილებლად საზოგადოება სრულებით არ უნდა შეეხოს-
განიარალების საკითხს. აქ ოცნების დაწყება და ყოყმანი განგებ-
თვალის დაბრმავება იქნებოდა. სხვა გზა არ არის, — ორში ერთი-
უნდა ავირჩიოთ: ან ხელი არ ვახლოთ არსებულ ორგანიზაციას,
მთელს მის ნაკლსა და ყოველგვარ ტვირთსა, ან და, ყოველივე გარ-
დაცემნათ თავიდან ბოლომდე და მივმართოთ იმ პრინციპებს, რომ-
ლებიც დღემდე სისტემატურად დავიწყებული ჰქონდათ. ყველას
უფლება აქვს თავის საკუთარი აზრი იქონიოს, მხოლოდ ამ ორ მო-
საზრებას შორის ერთ-ერთი უნდა აირჩიოს, ერთ-ერთი უნდა აღი-
აროს.

თუ ვინიცობაა, მეორე მოსაზრება იქნა არჩეული, საზოგადო-
ებამ, როგორც ზევითა გვქონდა ნათქვამი, უნდა მოაწყოს ერთი სის-
ტემა წარმოებისა და მეორე სისტემა — გაცვლა-გამოცვლია. სა-
ერთოდ, ამ ორ სისტემის შესახებ ბევრი უწერიათ, ასე რომ საჭი-
როდ არა ვსთვლით აქ უფრო ვრცლად ვილაპარაკოთ მათს შესახებ.
ამგვარად, რჩება შესასრულებლად მეორე ნაწილი ამოცანისა, რომ-
ელიც უნდა დღესდღეობით ჩვენმა საზოგადოებამ აღასრულოს:
დაურიგოს მწარმოებელთ თავიანთი წილი შექმნილი სიმდიდრისა.

მომხმარებელი საზოგადოებანი შვეიცარიისა, გერმანიისა, საფრანგეთისა და ინგლისისა ცხადლივ და უდავოდ გვიჩვენებენ ამგვარ მოხმარების ხელსაყრელობას. როცა საჭირო შეიქმნება იმისათვის ზრუნვა, თუ როგორ გაუჩინონ საშუალება არსებობისა მილიონ მუშებს და უსაქმურად დარჩენილ ჯარისკაცებს, ამ დროს საზოგადოებამ უნდა იფიქროს, თუ როგორ უნდა გამოიყენოს მომხმარებელ საზოგადოებათა მაგალითი*.

მისივე ინტერესი მოითხოვს, ამ საზოგადოებიდან გარიყულთ უშოვოს ბინები ისეთივე, როგორებიცაა მუშათა ქალაქებში — მიულჰაუზსა და როჩდეილში**, მიაწოდონ ბითუმად აუცილებელი

* მაგალითად, როჩდეილის Society of Equitable Pionners-ის საქმიანობის რეზულტატი შემდეგია:

1844 წ. ჰყავდა 28 წევრი და ჰქონდა 28 გირვანჯა სტერლინგის თანაა. ამის შემდეგ საზოგადოება ამნაირად გაიზარდა:

წელიწადი	წევრნი	თანხა გირვ. სტერლ.	გაყთებული სქემა გირვ. სტერლინგისა	მოგება გირ. სტერლ.
1845	74	181	710	32
1846	80	252	1,146	80
1847	110	286	1,924	72
1848	140	397	2,276	117
1849	390	1,193	6,611	561
1850	600	2,299	13,179	889
1851	630	2,785	17,638	990
1852	680	3,471	18,352	1,206
1853	720	5,848	22,760	1,674
1854	900	7,172	33,364	1,763
1855	1,400	11,032	44,902	3,106
1856	1,600	12,920	63,197	3,921
1857	1,850	15,142	79,788	5,470
1858	1,950	18,160	71,689	6,284
1859	2,703	27,060	104,012	10,739
1860	3,450	37,710	152,063	15,906
1861	3,900	42,925	176,206	18,020
1862	3,501	38,465	141,074	17,564
1863	4,013	49,361	158,632	19,671
1864	4,747	62,105	174,937	22,717
1865	5,326	78,778	196,234	25,156
1866	6,246	99,989	249,122	31,931
1867	6,823	128,435	284,910	41,619

** ბ. დამეტმა (Daneth) ენევის აკადემიაში პოლიტიკური ეკონომიის პროფესორმა, 1867 წ. ლექციები წაიკითხა ამგვარი სახელების ხელსაყრელობის შესახებ, დამეტი ამას არ დასჯერდა: ის მონაწილეობას ლებულობდა, როგორც

სანოვანო და შეეცადოს მომპირნეობა შექმნას თუ ერთად, კომუნებად ცხოვრებით არა, ასოციაციის, საამხანაგოს საშუალებით მაინც. ეს სოციალური ხაიათის საქმე პირველი შეხედვით თითქო ნაკლები მნიშვნელობისააო, მაგრამ ასასრულებლად 'საკმაოდ ძნელი ასასრულებელი გახლავთ.

სხვათა შორის ეს რეფორმა ერთი იმ აუცილებელ რეფორმათაგანია, რომელმაც უნდა შეანელოს განუაზღვრელი კონკურენციის სიმწვავე. მართლაც-და, პოლიტიკური ეკონომიის კანონის თანახმად. მუშა, საქონლის შემქმნელი, რომელიც წელში გაწყვეტილია რეალურ ცხოვრების სიმძიმის ქვეშ, ნაკლებ ხელფასსა სჯერდება, ოღონდ თავის მუშაობით იმდენი იზოვოს, რომ იმით შეიძინოს, რაც არსებობისათვის აუცილებლად სჭირია. ფაბრიკანტის, მოიჯარადრის, სახელოსნოს უფროსის პატიოსნებას თავისდღეში არ შეუძლია უშველოს მუშის გაჭირვებას: თუ კი სადმე თუნდაც ერთი ფაბრიკანტი იარაღებს, ეს ფაბრიკანტი ისარგებლებს მუშათა გაჭირვებული ყოფით და მეტად დაბალ ხელფასს მისცემს და ამ გზით დასწევს თავის გაკეთებული საქონლის ფასს; სხვა ფაბრიკანტები ამას რომ დაინახვენ, იძულებულნი იქნებიან მას მიჰბადონ, თანამომის კონკურენციას ვეღარ გაუძლებენ და საქმეზე ხელი უნდა აიღონ. მუშებს. რასაც შეაძლებენ. ყველაფერზე თანახმა არიან, ოღონდ როგორმე ორიოდ სუ აიღონ, რაც აუცილებელი იქნება იმისათვის, რომ როგორც თვითონ. იხე მათი ცოლ-შვილი შიმშილით არ გაწყდნენ.

ყოველთვის, როცა კი საერთო მდგომარეობა ბაზრისა სამრეწველო დაწესებულებათაგან საქონლის საჩქარო მიწოდებას არა თხოულობს, მუშები ამ კონკურენციის კანონის მსხვერპლნი ხდებიან. ცოტ-ცოტათი ესენი ძალღუმადურ ცხოვრებას იწყებენ, ე. ი. იმდენს ღებულობენ, რომ ძლივს აკმაყოფილებენ ადამიანის ბუნების აუცილებელ მოთხოვნილებას და აღარც დრო აქვთ და აღარც საშუალება იფიქრონ ხოლმე 'სწავლა-განათლებისა ან სიცოცხლის სრულიად კანონიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

ყოველი საშუალება, რომელიც მუშებმა სცადეს იმისთვის, რომ თავი დაეღწიათ კონკურენციის შედეგებისთვის. ამაო და დამღუპველი შეიქმნა მათთვისვე და აგრეთვე მრეწველობისათვისაც, რომელიც, რაც უნდა ვილაპარაკოთ, ამ მუშაობისათვის უფრო აუცილებელია, ვიდრე მეფაბრიკეთათვის. გაფიცვა რომ უებარი წამალი

დამარსებელი წევრი Association cooperative immobilière-ში (უძრავ ქონებათა კოოპერატიულ ასოციაციისა), რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ამგვარივე პატარ-პატარა სახლები გაეშენებინა ხელმოკლე ხალხისათვის.

არ გახლავთ, დღეს ეს თითქმის ყველამ იცის; ურთიერთ დამხმარე საზოგადოებათ მუშების დახმარება ნაწილობრივად თუ შეუძლიათ ისიც მაშინ, როცა მუშების მცირე ნაწილია მისაშველებელი და იმ პირობითაც, რომ ამ მუშათა გაკირვებამ დიდხანს არ გასტანოს. თვით მომხმარებელ საზოგადოებასაც, ამ შემთხვევაში. თითქმის არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ იმიტომ. რომ ეყენი მხოლოდ იმ პირობებში იარსებებენ, თუ მათი წევრები ამათთვის მიწოდებულ საგნებისთვის ხელად და ნაღად გაუსწორდებიან. მხოლოდ საამხანაგო ცხოვრებას, მკვიდრათ მოწყობილს და ყოველგვარ საქონლით ხელგამართულს, საწარმოო კორპორაციასთან შეერთებულს, შეუძლია მუშები კონსტრუქციის კლანჭებისაგან გაათავისუფლოს იმით, რომ იაფად და ხშირად ნისიათაც მიაწოდებს ყველაფერს, რაც მუშისათვის აუცილებლად საჭირო იქნება; ამავე საამხანაგო ცხოვრების წყალობით, იმ ცხოვრების, რომელიც ერთსა და იმავე დროს საწარმოც იქნება და მომხმარებელიც, მუშას შეეძლება თავის დროზე გამოიყენოს სათანადოგო თანხა.

სხვა მოსაზრებაც იმის სასარგებლოდ, რომ საზოგადოებამ დიდი აქტიური როლი უნდა ითამაშოს კრიზისის შენელებაში, გახლავთ ისა, რომ საჭირო იქნება ცოტათი გასტეხონ სიკერაჲ იმათი, ვინც თავიანთს თავს საზოგადოების „უკანონო შვილებად“ სთვლიან. კაცი იძულებულია სხვას მიესიყვარულოს ხოლმე, როცა სხვა მეტი გზა არა აქვს, და საზოგადოებაც სწორედ ასეთ დღეში იქნება. უნდა თუ არ უნდა, საზოგადოებამ ანგარიში უნდა გაუწიოს აუარებელ მოთხოვნას იმ ხალხისას, რომელიც შეეჩვია საზოგადოება დედინაცვლად მიიჩნიოს ხოლმე. ხოლო ამ ხალხის მოთხოვნანი იმნაირადვე და იმავე ზომით შეიძლება იქმნენ დაკმაყოფილებულნი, როგორც მოთხოვნანი მუშებისა და განთავისუფლებულ ქარისკაცებისა: ესენი უნდა ჩასთვალონ როგორც მწარმოებლებად და ამავე დროს მომხმარებლებადაც და უნდა მოუპოვონ არამცთუ საზრდო, არამედ შესაფერი საქმეც. თავიანთი ნიჭისა და ძალღონის-დაკვალად, რაიცა, მადლობა ღმერთს, ყოველთვის მოეძევათ ისეთებს, ვინც მაინცა და მაინც ბევრს არ გამოეკიდებიან ხოლმე.

ეს საზრუნავი ძალიან დაამძიმებს საზოგადოებას, მაგრამ რას იზამთ, მისთვის კი აუცილებელი იქნება; რადაც უნდა დაუჯდეს, უნდა იკისროს, თუ არ უნდა სავსებით მოეღოს ბოლო და დაიდუპოს. თუ საზოგადოებას სწადია არა მარტო შიმშილით სიკვდილისაგან იხსნას თავისი წევრები, არამედ გაიჩინოს შეგნებული დამხმარენი, ამოიყენოს გვერდით ისეთი, ვინც საზოგადოების ინტერესს პირად ბედნიერებაზე მალა აყენებენ და ვისაც

შეუძლიათ თავისი პირადი ინტერესები ანაცვალონ საერთო კეთილდღეობას, საზოგადოება უფრო შორს უნდა წავიდეს. ამ ნიადაგზე საზოგადოებას ათასი სხვა საქმე ექნება გასაკეთებელი, მაგალ., დანაწილება ქონებისა, დაცვა ნიჟიერ და საქმის კეთების შნოს მქონე წევრთა. ხელის შეწყობა ნასწავლი ხალხისა და სხ., და სხ. მაგრამ ყოველივე ეს სრულებით არ შეეხება იმ საგანს, რომელიც ჩვენ გვიინტერესებს. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა მხოლოდ აღგვენიშნა, რომ მომავლის საზოგადოებას დასჭირდება მეტად გამოწრთობილი ხასიათის ადამიანები, ისეთები, ვისაც შეუძლია გულწრფელად თავისი თავი საერთო კეთილდღეობისთვის დასდევს; ხოლო ასეთ ადამიანთ ყველგან კი ვერ იშოვით: უნდა აღზარდოთ, რაიცა არც ისე ადვილია, განსაკუთრებით ჩვენს ესდენ დავრდომილ და დაჩაჩანაკებულ საზოგადოებაში.

XI

ამის შემდეგ, საჭიროდა ვთვლით მკითხველს მოვახსენოთ, რომ საგანი ამ დისერტაციისა, რომელიც მას გავაცანით სრულებითაც ის არ არის, რომ დავამტკიცო უსარგებლობა ან შეუძლებლობა საერთო განიარაღებისა. ასეთ აზრზე ძალიან შორს ვახლავართ. ეს ისეთი რეფორმა ვახლავთ, რომლის გადაუღებლობა საყოველთაოდ აღიარებულია და ამ სტრიქონების ავტორიც საერთოდ ამ გადაუღებლობის მომხრეა. წინამდებარე ნაწერის დანიშნულება მხოლოდ ის არის, რომ ცხადჰყოს ერთი შეხედვით უჩინარი კავშირი, რომელიც განიარაღების საკითხს აკავშირებს თანამედროვე საზოგადოების რადიკალურ რეორგანიზაციასთან. ავტორს სურდა გამოეაშკარაებინა საჭიროება ერთსა და იმავე დროს ამ ორი საკითხის გადაწყვეტისა და დაენახებინა, რომ ერთის გადაწყვეტა შეუძლებელია ისე, რომ არ წამოიჭრას უძლეველი დაბრკოლებანი, რომლებიც გამომდინარეობენ ამ საკითხის მეორე ნაწილისაგან, დღეს ჩვენს საზოგადოებას მძიმე ტვირთად რომ დასწოლია კისერზე.

საერთო განიარაღებისაგან მოსალოდნელი სიკეთე ესოდენ აღურაცხელია და შეუძლია იმდენი ბედნიერება მოგვანიჭოს, რომ ადრე იქნება თუ გვიან, უნდა გადავწყვიტოთ: ვსძლიოთ ყოველგვარი დაბრკოლება, რომელიც წინ გადაეღობება რეორგანიზაციის განხორციელების საქმეს. ინდუსტრია რაკი გათავისუფლდება მილიტარულ რეჟიმისა და ამ რეჟიმისაგან წარმოშობილ სოციალურ უხამსობათაგან, ერთბაშად ფრთას გაშლის და მთელს კაცობრიობას აღავსებს სიუხვითა და ბედნიერებითა, მაგრამ ამ განვითარებისათვის პირველი პირობა იქნება შემდეგი: უნდა ავიცილოთ თავიდან

ან, ცოტათივე არის, შევანელოთ ის კრიზისი, რომელიც თავს წამო-
პყობს და რომელიც სათავეშივე სულ ადვილად მოშხამავს განია-
რადების სარგებლობა-უპირატესობას. ყოველი ღონე უნდა ვილო-
ნოთ და მივეშველოთ ინდუსტრიას გაჭირვებაში, რომელშიაც ჩა-
ვარდება განიარადებისაგან, და შევეუშუბუქოთ პირველ სიძნელე-
თა ტვირთი, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს მის განვითარებას.

როგორც ყველამ იცის, მუდმივი ჯარი ნამდვილი უბედურობაა
სოციალური ორგანიზმისა იმიტომ, რომ ზოგს აუარებელ ტვირთს აპკი-
დებს და ზოგს კიდევ აუარებელ პრივილეგიებს ანიჭებს. მოწინავე
აზრების ხალხმა, ვინც სოციალური პრობლემების გადაწყვეტასა
სცდილობს, უნდა გამოიხატოს და გადაგვიშალოს პრაქტიკული გზა,
რომელსაც შეუძლია საზოგადოება უკეთეს დღეში ჩააყენოს. სა-
ეკონომიო მეცნიერება,—როგორადაც ის დღეს განვითარებუ-
ლია — სრულებით უძლურია უწინამძღვროს საზოგადოებას და
უჩვენოს, თუ რა გზით და საშუალებით დააღწიოს თავი ყველაფრის
შთამთქმელს და გამანადგურებელს მუდმივს ჯარს. და აჰა, ამ ნია-
დაგზე, მუშაობდაა საჭირო. მაგალითად, სამხედრო ბეგრისათვის
სხვის დაქირავების აღკრძალვა, — ამის განხორციელება მეტად
სასწრაფოა და სამართლიანიც იქნება, რადგან ამით მოიხპობა სიმ-
დიდრის ერთი საზიზღარი პრივილეგია, — ძნელი ასასრულებელია
და საჭიროა ამ კითხვის ყოველმხრივი განხილვა. ამნაირივე იქნება
მოქალაქეთა სახალხო მილიციის მოწყობის საქმე, საქმე იმ დაწე-
სებულებისა, რომელიც კერაა ყოვლად ამაღლებულ პატრიოტულ
გრძნობათა, რომელსაც უმაღლეს ხარისხამდე აყავს სახალხო განია-
რადება, საზოგადოებრიობის გრძნობა, დისციპლინა და სოციალუ-
რი თანასწორობა, და რომელიც სახელმწიფოს სიძლიერეს განამრავ-
ლებს, ისევე როგორც განამძლიერებს თვისის წევრების კუნთებრივს
ძალას, ე. ი. არის წყარო საზოგადო და კერძო წარმატებისა. ყო-
ველთ უწინარეს უნდა გავითვალისწინოთ ყველა ეს დაბრკოლებანი,
რაც შეიძლება ყოველმხრივ გავშინჯოთ და გამოვინახოთ მათი ცოტა-
თი თუ ბევრად დასაძლვეი წამალი. რა თქმა უნდა, ეს არც ისე ად-
ვილი გახლავთ, რადგან მარტო პრუსიის ყაიდაზე რეორგანიზაცია
სამუდამო ჯარისა, შვეიცარიის მილიციაზე რომ არაფერი ვსთქვათ,
მოითხოვს დაუსრულებელ კვლევა-ძიებას და პრაქტიკულ მოსაზრე-
ბას. ამ შემთხვევაში თანამედროვე ეკონომისტების გასაკეთებელი
საქმე მით უფრო რთულდება, რომ იძულებულნი იქნებიან გვიჩვენ-

ონ, თუ რა საშუალებით შეიძლება ერთსა და იმავე დროს განვითარდეს ქარის თანდათან რეორგანიზაცია და კერძო ინიციატივა, აგრეთვე გრძნობა საზოგადოებრივობის, — ეს ძალა აქამდე უყურადღებოდ იყო დატოვებული, მაგრამ მთავარი როლი ამან უნდა ითამაშოს იმ გაჭირვებულ მდგომარეობაში, რომელშიაც საზოგადოება დღეს იმყოფება.

აბა, არც ისე გულუბრყვილო გახლავართ, რომ ვიფიქრო — გარემოება ამ უკვე აღნიშნულ მითითებითა და საშუალებით შეიძლება გამოიცვალოს-მეთქი. ამ მითითებათა ავტორი თავის მოვალეობადა თვლის ესენი რაც შეიძლება ფრთხილად და თავდაპირველად გამოთქვას, რომ ამით სხვა გამოიწვიოს დასაწერად ყოველმხრივად გაშუქებულ გამოკვლევისა შესახებ იმ ურთიერთობისა, რომელიც არსებობს საზოგადოების საერთო მდგომარეობასა და მისსავე წვრილმანებს შორის, რომელთა ნაკლი და სიმახინჯე დღეს ყველასთვის აშკარაა.

ის აზრი, რომელიც ყოველივე ზემონათქვამისაგან გამომდინარეობს, შეიძლება ასე მოვქრათ მოკლედ: შეუძლებელია სერიოზულად ხელი ვახლოთ სამხედრო ორგანიზაციას. თორემ მაშინათვე შევარყევთ და გადმოვაპირკვავებთ საძირკველს, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი საზოგადოებრივი შენობა: საზოგადოების კეთილდღეობისათვის სახიფათოა ისე შევეუდგეთ განიარაღების საქმეს, თუ წინდა-წინვე ნიადაგი არ მოვამზადებთ სოციალურ ურთიერთობათა რადიკალურ და სრულ რეორგანიზაციისათვის. მაშასადამე, ყველამ, ვისაც არაფრის გულისათვის უნდა ხელი ახლოს ჩვენი სოციალური ორგანიზაციის საფუძველს და ვინც თავის თავს მომზადებულად არა ჰგრძნობს ასეთის საქმისთვის, სჯობია თავი დაანებოს განიარაღების საკითხს.

ყოველ შემთხვევაში. სოციალური მეცნიერება ათასწილ მოგებული იქნება, თუ როგორც მომხრენი, ისე მოწინააღმდეგენი საერთო განიარაღებისა ან სოციალური რეორგანიზაციისა თავიანთ მიერ ხელმოკიდებულ კითხვას დაიცავენ პოზიტივური ფაქტებით, საბუთებს მოიტანენ წმინდა მეცნიერულსა და პრაქტიკულს, იმოწმებენ ციფრებს, რომელთაც საგნის საბუთიანობა შეუძლიათ ცხადჰყონ. დღემდე კი ესენი სულ ერთსა და იმავე გაცვეთილ აზრებს იმეორებენ, მათი ნათქვამი ცოტად თუ ბევრად პათეტურია და დამყარებულია ჩვენთა წინაპართა სქოლასტურ რიტორიკაზე. დრო არის შეფიქროთ, რომ მეცნიერება და საზოგადოება არა ჰკავს იმ

ჰასაკის ადამიანს. რომელსაც შეიძლება კაცმა აღუფრას აანტრ-
მენტალური გრძნობები; მით უფრო დრო არის ამისა, რომ მეცნიე-
რება ლარია — განსაკუთრებით ამ საგნის შესახებ — დადებითი
ფაქტებით და აუცილებელ ცნობებით ამ მძიმე და ნანატრ კითხვის
გადასაწყვეტად.

ჩვენი მიზანი იყო: გვეჩვენებია ამ პრობლემის სიძნელე, გვე-
ჩვენებია ის კავშირი, რომელიც ამ პრობლემას ჩვენის საზოგადოე-
ბის ძირითად საკითხებთან აკავშირებს, აღგვნიშნა საჭიროება დღე-
ვანდელ დღის წესრიგში მდგარ საკითხებისა და განსაკუთრებით მა-
თი ურთიერთ დამოკიდებულების ყოველმხრივი შესწავლისა. უსა-
მართლობა იქნება კაცმა სხვანაირად გაიგოს ჩემი განზრახვა, რო-
მელმაც მიკარნახა და დამაწერინა წინამდებარე წიგნი.

მვ. ქვეითად და რკინის გზით

(მოგზაურის შენიშვნები)¹²⁵

Auf die Berge will ich steigen
Heine*

არ მახსოვს, რა ნაირად ჩავეყვეი მაინის ნაპირს ფრანკფურტში იმ ადგილამდ, სადაც უწინ ციხის გალავანი მდინარის კიდეზე თავდებოდა. იმ ნასადილევს მეტად ჩაფიქრებული გამოველ შინიდან. თავში იმდენი სამწუხარო აზრი მივარჯიშებდა, რომ გზის გაგნების ფიქრმა მათში ადგილის შოვნა ვერ მოახერხა: უმიზნოთ მივხეტიალობდი პირდაპირ, თავის გასამართლებლად კი შემიძლია გავიხსენო, რომ მწუხარე აზრით დამონებულ ადამიანს ციხის გალავანიც გადუვლია ხოლმე, და შორს, ძალიან შორს, მიუსხამს ტვინი, ზოგს ბნელ ორმოში, ზოგს კლდეზე, თუ როკზე.

ძველი ციხის გალავანი ფრანკფურტელებმა დიდი ხანია დააქციეს, იმ აზრით, რომ ახლანდელ ჯარს და ზარბაზნებს ძველებური ციხე ხომ მაინც ვერ დააკავებსო. გალავნის და თხრილის ადგილზე მშენიერი ხეობა გააშენეს, ფართო ქუჩები გამართეს. ეხლა, სალამ-სალამობით, თითქმის მთელი ქალაქი ამ ბულვარებზე, ამ ხეობის სიოში სეირნობს. მაგიერათ... ამავე ბულვარებით, ამ სამი წლის წინეთ (1866-ში) ფრანკფურტში თოფ-უსროლველად, უბრალოდ, პრუსიის მხედრობა შემობრძანდა. ერთმა მისმა ბუკის დაკვრამ „თავისუფალი ქალაქი“ ფრანკფურტი, გერმანიის კავშირის ტახტი, პრუსიის უმნიშვნელო პროვინციათ აქცია. ამ ფულის ბუდეს, ამ ოქროს ციხეს, რომელსაც სწამდა „ყველაფერი ჩემიაო, რკინამ ერთი გაელვებით დაუმტყიცა, რომ ოქრო მას ყველაფერს უმსხვერპლებს: „ამაო ამათა“ ეს ყოფილა! ბალღები კი სულ არნდტის ლექსს მღერიან: „რკინის გამჩენ ღმერთს მონობა არ სურვებიაო“. ლექსს დაუჭეროთ, თუ სინამდვილეს?

* „მთებზე მინდა ავიღე“ (კერე).

სიტყვა „ფრანქფურტი“ ნიშნავს „თავისუფალ ციხეს“. ციხე შიატოვეს. ეგონათ, ჩვენს დროში ეს რა საჭიროაო: ოქრო გვეყვო-ფაო! თურმე თავისუფლებასაც, თავის შესანახათ. ძალა სჭირვებია.

აქა-იქ ხეობაში პატარა-პატარა კარავი დგას. ლამაზი ღუქნებით, სადაც მოსეირნეს შეუძლია სოდის, ან ზელცერის, წყალი დალიოს ყინულით და მურაბის, თუ ლიმონის, წვენით. ამ კარვებში ლამაზი, ლაზათიანათ მორთული ქალები ვაჭრობენ. ვისაც ქეიფი აძლევს, შეუძლია ორიოდ გროშით ტკბილი სასმელით ყელი გაიგრილოს, და ჩინებულ ქალთან ალერსით გული გაიხუროს.

რუსულათ ნათქვამია: „ნემეცი იმისთანა მოხერხებული კაცია, რომ მაიმუნი გამოიგონაო.“ მაიმუნი მართლა ნემეცის განაჩენია, თუ არა, რა მოგახსენო. ფიცს ქვეშ რომ მკითხონ, იქნება გადავთქვა— არა მგონია მეთქი, იმაზე კი მაინც ძალიან მტკიცეთა ვარ დარწმუნე-ბული, რომ ნემეცი მართლა ოსტატია. აბა ჩვენში ვინ მოიზარებდა სასმელების გამყიდველად ლამაზი ქალების დაყენებას? აზრი კი შეტად უბრალო და ნაყოფიერია: ადამიანი რომ ლამაზ ქალს უც-ქეროს. აღტაცებული თუ არა, გატაცებული მაინც არის. უფრო ჩქარა უძგერს გული, სისხლი სწრაფად მუშაობს, და ამ მიზეზით წყურვი-ლიც უფრო სასტიკია, რაც უფრო მხურვალეა მუსაიფი, მით უფრო ხშირად სჭირდება კაცს ცივი წყლის ყლაპვა. რამდენჯერაც ქალი გაუღიმიებს, პასუხად კაცი ნაზი ხმით ევერდება:

— Noch einmal, bitte (ერთხელ კიდევ, გენაცვალეო!)

აბა, როგორ არ აყვავდება ვაჭრობა ამისთანა ვაჭრების ხელში?

იმ დღეს, როგორც წელან ვთქვი, სულ სხვა მხრით გახლდი გა-ტაცებული, და მიტომ გულგრილათ დავეუკარ თავი ორიოდ ამი-სთანა სოფდაგარს, როცა მათ კარვის წინ ჩავიარე. „ორიოდე“ კი არა ოციოდეს ამნაირათვე აუვლიდი მხარს, რკინის გზის სტვენას რომ უეცრათ არ გავეფხიზლებინე. ჩემს პირდაპირ, ხეობიდან, ასიო-დე ნაბიჯზე, სადგური იყო და შორიდან მომავალი მატარებელი გამწარებული მოჰკიოდა.

ძლიერ მიყვარს რკინის გზით მგზავრობა: გაურყველათ მიფრი-ნავ. კაცს სიზმარავით ახსენდება დატოვებული ქალაქები, მათში უნაყოფოდ გატარებული დრო. წარმოუდგენელ ფრინვას რაღაც თვალთ-მაქცური ძალა აქვს. კაცს ჰგონია, ვითომ უკანასკნელ ქალაქებში სამუდამოდ დატოვა ყველაფერი, რაც კი გულზე აწვა ან ტვინს უდაგავდა. ჰგონია, ვითომ იმისთანა ალაგისაკენ მიისწრაფას, რომელიც სავსეა ძმობით, ერთობით, თავისუფლებით, სადაც ადა-მიანი ადამიანის ოფლით და შრომით როდი ძდება, სადაც ყველა ცდილობს ერთი მეორეს დაეხმაროს, ხელი გაუწყოს, სიცოცხლე

გაუადვილოს. ეს მოლოდინი, მართალია, იგივე ოცნებაა: ახალ ქალაქში მგზავრი ძველ ძალადობას — თუ უძლურობას — ფეხს ამტვრევს ხოლმე. მაგრამ ადამიანის ცხოვრება ისე მწარეა, რომ არ შემძლია შადლობით არ მოვიხსენიო რკინის გზა, რომელიც ორიოდე საათის განმავლობაში მაინც გვავიწყებს საზოგადო უწყისობას. ამისთვის მიყვარს რკინის გზით მოგზაურობა.

ფრანქფურტიდამ რვა რკინის გზა მიდის სხვა და სხვა მხარეებისკენ. იმ გზის სადგომის წინ ვიდექ, რომელიც მაინის და მერე რეინის მარჯვენა პირს მიჰყვება, და რომლის შტოები აქა-იქ „ტაუნუსის“ მშვენიერ მთებში შეუხვევენ. საიღამაც თითქო ხელისგულზე მოჩანს ორივე ეს მდინარე; მათი ქალებით, სოფლებით, ქალაქებით, მათი შეუღარებელი საშუალ-საუკუნოების კოშკებით და ციხეებით. სრულიად უმიზნოთ შეველ ამ სადგურში, ბილეთი ვიყიდე და ვაგონში ადგილი დავიკავე.

დაჯდომა, სიგარის უბიდამ ამოღება და მოწევა — ერთი წუთის საქმე იყო ჩემთვის. რკინის გზაში ყველას მარტობა ურჩევნია. ამ მიზნით ავირჩევ ხოლმე ადგილს თუ არა, იმ წამსვე მყარალ სიგარას ვირჭობ პირში, კარის ახლო ვჯდები და ყველას. ვინც კი ვაგონში თავს შემოჰყოფს ადგილის სათვალეირებლათ, მწარე კვამლს უზოგავათ ვუბოლავ ცხვირ წინ; ამ ოინით ადვილათ ვიგერიებ თანამგზავრებს და საკმაო ადგილს ვმოულობ ყოველთვის საოცნებოთ ან... სახვრინავათ.

რომ იცოდეთ, რა თვალით, რა ბრაზით მიყურებს მაშინ ადგილის მძებნელი! დარწმუნებული ვარ, გადია ჩემი რომ გვერდში მიდგეს იმ დროს, გამწარებული იკივლებს: „გენაცვალოს, შვილო, ჩემი თავი, თვალი გკრა მაგ წყეულ-შეჩვენებულმაო!“ და ჩუმის ხმით. ბუტბუტით. წრუწუნით. სარტყლის ზომვით, შეფურთხებით, თვალნაკრავია გამოლოცვას დამიწყება: „გულო ჩაჭექ საგულესო!“ და სხვ. ბავშვობაში რომ ვერ ვითმენდი ამ დაუბოლოებელ ჩურჩულს, ბებიჩემი გადიას შევლოდა: შვილო, შურიდამ გიხსნისო, მარწმუნებდა. მტერს მოგიგერებსო! იმედიც კარგი ფარია.

ის იყო, და კიდევ გავფრინდით. სწორედ რომ მოგახსენოთ, აზრით მახსოვდა, რომ მივფრინავდით, თორემ ჩემ თვალებს და გრძნობას კი ეგონა, ვითომ ოთახში მოსვენებულათ ვიჯექ, და ფანჯარის წინ გიყურათ მირბოდნენ ტელეგრაფის ბოძები, ხეები, გზის დარაჯების ბინა, ტყე. მინდორი და მთელი არე-მარე¹²⁶.

ზოდენი პაწია სოფელია, რომელშიაც ხუთასიოდე მცხოვრებიც ძლივს მოითვლება. მაგრამ ამ სოფელში რამდენიმე მჟავე თუ მწარე წყარო ამოჩუხჩუხებს და ამ წყაროების წყალობით აქ საზაფხუ-

ლოთ ხუთი-ექვსი ათასი მდიდარი დაიარება საექიმოთ. ამათთვის და-
მარაგებულია ათიოდე ჩინებულათ მორთული სასტუმრო და ასამ-
დი კოპწია ლაზათიანი აგარა. აქა-იქ სასახლეებიც კი დგას. გამარ-
თულია პატარა გაზის ქარხანა, საავადმყოფო, თავ-შესაქცევი სასახლე
(კურხალი) და ასნაირი საამო თუ გასართობი დაწესებულება, დი-
დისა და პატარის გემოვნებაზე. ყოველ საღამოს მშვენიერ ბაღში—
სამეფო გეგონებათ — უკრავს მომხიბლავი მუსიკა. ვინ მოთვლის,
რამდენი ამისთანა და ამაზე უკეთესი წყაროა ჩვენში, უწერას, ან
წყალტუბოს, და სად არ გინდა; მაგრამ პატრონი ვინაა? ვინ მორთავს
მათ და ვინ შეამკობს, ვინ გაუჭრის გზას, ვინ მიუზიდავს ხალხს?
რამდენი ამისთანა სიმდიდრის წყარო უპატრონოთ ერთვის რიონის
თუ მტკვარის მღვრიე წყალს — მათი სახელი და რიცხვიც კი არ
ვიციტ!

წყაროების ვარშემო გაყოფილებულ სახით, მამალ ინდოურსავით,
დასეირნობს უძლური ხალხი, ცოტათი მოშორებით, ასწლოვან ხეე-
ბის ჩრდილში, სხედან გამოპრანჭული ქალები, და დროს საკლავათ
ზოგი გაუთავებელ სუფრას ჰქარგავს, ზოგი პაწაწინა ძაღლს ეალერ-
სება, ზოგი წიგნს უხალისოთ და უგულოთ ვითომ კითხულობს. ყვე-
ლა კი, ქალი და კაცი, დაუღალავად, გამწარებულად, უმაღლავად
ამთქნარებს, თითქოს ერთმანეთის წაბაძვით ან ქიშპობით. ამათშა
ყველა ხალხის „წარჩინებულ“ წოდების წარმომადგენლები ურევია.
მათ საზოგადო მობეზრებას გაოცებით დასცქერის მოხუცი, მაგრამ
ჭერ კიდეც მარჯვე ხეობა. მის ფოთლებს შიში აკანკალებს — ამ ხალ-
ხის სევდა ჩვენც არ გადმოგვედოსო, და ეს კანკალი შრიალ-შრია-
ლით აშფოთებს მახლობელ ტყეებს. ქალებს დასტრიალებენ ახალ-
გაზრდა, მაგრამ აღრევე დაუძლურებული ვაყები, იმავე მაღალი აუ-
მდიდარი საზოგადოების თვალ-მარგალიტი. მათ ტანისამოსს, გაწ-
ყობილებას და მიხვრა-მოხვრას კილს ვერ მოდებს ვერც მკერავა,
ვერც დალაქი, ვერც ცეკვემისტერი უმაღლესი ხარისხისა.

რა სიხარულით დატრიალდებიან ხოლმე ეს ყმაწვილები, როცა
ვინმე ქალი მათ საქმეს გაუჩინს! ერთი ჰქია მუავე წყალი რომ ვის-
მე მოუნდეს, ხუთი-ექვსი ახალგაზრდა გარბის, ზოგი მარჯვნივ, ზო-
გი მარცხნივ, და იმ წამში რამდენიმე ჰქია წყალი მოერთმევა ხოლ-
მე ქალს, რომელიც ორიოდე ულავს მოსვამს თუ არა, ექვს ადამიანს
მადლობას უძღვნის. ყველა გახარებულია: მაშ არა-და,—საქმე გაუჩ-
დათ, დრო გაატარეს! ცოტა ხანს მერმე ხელ-ახლავ იწყება უწინ-
დელი მთქნარება.

დროს გასატარებლად ზოგი სიყვარულზე მუსაიფს იწყებს: სხვა
რაზედ უნდა იბაასოს უსაქმო ხალხმა? მაგრამ ეს გასართობიც მალე

ელევათ: რაც სიყვარულის უნარი ქონდათ, კაი ხანია შემოხარჯვით გადაჰარბებული სიამოვნების ძებნაში. სურვილი დაშრობიით, და გრძნობის მაგიერ მათ გულიდამ წრფელად მარტო ერთი ოხვრა ამოჰკვივის: „ეს დღე როდის დაილევა, ღმერთო!“ თითქო ხვალ ახალი რამ ელოდესთ! ამ ოხვრას მუდამ მთქნარება მოსდევს. მის გასადენათ ქალი და ვაჟი, დიდი და პატარა, ნაცნობი და უცნობი ერთგულად და ერთსულად ჰორიანობს, ცრუობს, ტრაბახობს, მედიდურობს, პირში და ზურგს უკან. მაინც მთქნარება გამარჯვებული რჩება, და, ეინის ამოსაყრელათ, ყოველგან და ყოველთვის, სახლში და გარეთ, დღე და ღამ, ყველას ჰკუაში და ტანში თვით-მჰყრობლათ მეფობს.

ორიოდე თვით მოსვენება დიახაც საამო, სასარგებლო, საჭიროა შრომაში გართულ კაცისათვის. მაგრამ ვინც მუდამ უსაქმოა, ვინცა ჯაფა, მუშაობა ღირსების დამამდაბლებელ ცოდვად მიაჩნია, მისთვის მოსვენება, სიკეთე კი არა, ტანჯვა და წვალებაა.

ავიარ-ჩავიარე ბაღში, და როცა ამ სურათების ცქერამ მეც მთქნარება დამაწყებინა, შნოიანად მორთულ სასტუმროში შევექ, სადაც მოსამსახურე ქალიშვილმა ჩემ დაუკითხავათ რძიანი ყავა, ახალი გაზეთი და გერმანელი ქალის ღიმილი შემომადგება.

გამაშწარებელ სიცხეში ყავის სმა, საწყყენი ამბებით სავსე გაზეთის კითხვა და ახალგაზდა ქალის ღიმილის ცქერა — როცა კაცს გული არ უღიმის — დიდი სისულელეა. ამას მალე მივხვდი, ყავა დაუტლელი მივატოვე, გაზეთი უკუ მივაგდე, შაური გადავიხადე და ისევ ბაღისაკენ გავწიე წანაკითხის მოსანელებლად, ძნელი ასატანი იყო წანაკითხი: იმ ქალაქის მწერლები, რომლებმაც თავისი ათასის წლის თვითარსებობა უფრო მიტომ დაკარგა, რომ ბრძოლისათვის დამარაგებული არ იყო და ბრძოლის აუცილებლობას არ გრძნობდა, ღინჯად, მეცნიერულად ქადაგებდენ „ფრანქფურტელ დღიურში“ — ფრანქფურტის პრუსიისგან დაჯანების სამი წლის შემდეგ: — ჯარი რა საჭიროა, ომი რა მოსაწონიაო, სამხედრო წყობილობაზე ფულის ხარჯვა — უანგარიშობააო და სხვ. ამ გვარ ხეპრობას ფრანქფურტში დაბადებული დიადი პუბლიცისტი ბორნე — ფრანქფურტის ერთი სიამაყეთაგანი — ტყუილათ კი არ დასცინოდა და ებრძოდა ამ გვარ მწერლებს. ტყუილათ კი არ არქმევდა მათ „ნასწავლ ვირებს“: რით ვერ გაუგიათ, რომ სიმართლეს დაცვა უნდა, რომ მარტო თქმით, კივილით, კიჟინით უფლება არც შეიძინება, არც შეინახება?

ამ მოაზრებამ გამახსენა, რომ აქვე ზოდენში, ან მის გვერდით ღომბურგში*, ცხოვრობს — ან კვდება — ახალგაზრდა პოეტი

* ეს ღომბურგი სახელოვან გემსადგურ ღამბურგათ არ ჩათვალთ.

ვორმსი, დღენაკლული შვილი რუსეთის აღორძინებისა. ავიარ-ჩა-
ვიარე ზოდენის ქუჩები — იქნება დაეინახო სადმე, ფანჯარაში, ჩა-
მომპქნარი, გაფითრებული, გაოცებით მკითხავი სახე ამ უბედური
მსხვერპლისა, რომლის სადგომი სად იყო კარგად არ ვიცოდი. ვინ,
რათ, რისთვის რგავს ვარდს საყინულეში, სადაც ყვავილი კოკორა-
თვე ქენება? გუშინ არ იყო, გვეგონა დიადი მგოსანი ეზრდება რუ-
სეთს ამ ყმაწვილში? დღეს კი მას ჭლექი ჰკლავს უცხოეთში და მის
ლექსებით აღძრული იმედი ბოლსავით ქრება, ყველა სხვა რუსულ
იმედებსავით.

არ მომწონს, არც მიყვარს ზოდენი. ეს არც ქალაქია, არც სოფე-
ლი. სამი-ოთხი თვის განმავლობაში აქ არეულ-დარეულათ სცხოვ-
რობს სხვა-და-სხვა ქვეყნიდამ მოსული ხალხი, რომელსაც არაფერი
კავშირი და გრძნობა, არაფერია საზოგადო მიზანი და რწმენა —
მობეზრების და მთქნარების მეტი — არ აახლოვებს და არ აერთებს.
რათ ვარგა იმისთანა საზოგადოება, რა ღირსება აქვს მის წევრებს,
თუ კი მათ ერთი სული, ერთი გული და მისწრაფება არ უდგათ, და
არც საერთო აზრი და მიზანი, არც საერთო სიყვარული და სიძულ-
ვილ აქვთ? რას გააჩვენებს, რას დააარსებს, რით ისახელებს თავს,
რით დაიმსახურებს მამულის და შთამომავლობის ხსოვნას უთავო,
უაზრო, უძლური, უმიზნო საზოგადოება, რომელიც ქარვასლას ან-
და სასტუმროს ჰგავს? ქარვასლა, აბა, ვის ეყვარება?

ამ გრძნობით კრონბერგისკენ ქვეით გავსწიე, ზოდენიდან კრონ-
ბერგამდე ქვეითი საათ-ნახევარს უნდებოდა. მშვენიერი გზატკეცილი
ხან ტყით და ხან ყანებს შუა, ზოგან ქალებზე და ზოგან მთის ფერ-
დზე, იკლავება. გზაზე იმდენი საამო რამ ხვდება ადამიანს ყოველ
ნაბიჯზე, რომ საათ-ნახევარი შეუნიშნავად გარბის.

გზაზე ლუწ-ლუწად მიდიოდა ახალგაზრდა და მოხუცი ქალი და
კაცი. ხშირად მათ ბავშვები მიუძლოდა. ლუწი ხან ცოლ-ქმარი
იყო, ხან დანიშნულები, კენტი იმ დღეს, მგონია, ჩემს მეტი არავინ
ყოფილა. „დანიშნულები“ რაკი ვახსენე, უნდა აეხსნა, რომ გერმა-
ნიაში — როგორც შვეიცარიაში — ჯგრისწერამდი ორიოდ წლის
განმავლობაში მომავალი ცოლ-ქმარი ძალიან დაახლოვებულათაა
ერთმანეთთან. უამისოთ აქ ჯვარს თითქმის არავინ იწერს. აქაური
ქალი როდი ჰფიქრობს, რომ ყოველი ყმაწვილი კაცი მისი სასტიკი
მტერია, არც ეფეთება მის დანახვისთანავე, თითქო მწყერი მიმინოს
წინ. არც ისე წითლდება მის საზოგადოებაში, თითქოს კალთაში ნა-
ქურდალი დაემალოს და დარწმუნებული იყოს, რომ ვაჟს მისი ქურ-
დობა როდი გამოჰარვია. აქ ახალგაზრდობა მეტად გულწრფელად,
გულდანდობით ექცევა ერთმანეთს. ეკვის, ან შიშის, ან დაუნდობ-

ლობის მაგიერ. მათ ურთიერთობაში პირველი ადგილი ნდობას და რიგიანობას უკავია.

იმ დღეს კრონბერგის დღეობა ყოფილიყო თურმე. ახლომახლო სოფლებიდან მოსული ხალხით კრონბერგის ქუჩები სავსე იყვნენ. წამდაუნუნებულ კიდევ მოდიოდა უთვალავი გროვა, ვინ ქვეითად, ვინ ეტლით, ვინ ფურგონში. თითო სოფლის მცხოვრებლებს ორი ან სამი ფურგონი გაებათ, თითოში ოცდახუთამდე კაცი თუ ქალი ისხდა, ყვავილით და ფოთლებით შემკული. ტანისამოსი ყველას ძლიერ უბრალო, მაგრამ თან ძალიან სუფთა ეცვა: კაცებს — ზოგს ხამის, ზოგს ტვილის სერთუკი, თავზე ყველას ფართო ჩალის ქუდი ეხურა, ზოგს ცალიერ პერანგზე მარტო ყვითელი, ან შავი, ან მწვანე ქილეტი გადაეცვა. ქალების ჩითისა ან სარფინკის კაბები ახალთ-ახლათ გარეცხილი და გახამებული იყო. როგორც მათი ქმრების, თუ ძმების ან საქმროების პერანგები. სუფთა, თუმც მზისგან გარუჯული, პირისახე, კაცების მოკლედ შეკრეპილი თმა, ქალების მტკიცედ დაწნული კავები, რომელშიაც ყვავილები ჰქონდათ ჩართული, მოკლე კაბის ქვეშ მოზდილი ფეხები, კაცისა და ქალის მუდმივი შრომით დამეჭეპებული სქელი ხელები, ტანმრთელი აგებულობა, თითქო განგებ ნასუქი, რუსები რო იტყვიან «Кровь с молоком» უმზაკვრო, თითქმის უსურვილო გამოხედულობით, ყველაფერი ეს ამტკიცებდა, რომ ესენი გერმანელი ყაზახები (გლეხები) იყვნენ. ამ ხალხისთვის კვირა-დღე — ჩვენებურ აღდგომასავით სახალისოა. ამ დღეს ყაზახი და მისი ოჯახი მუშაობას თავს ანებებს და ახლო-მახლო სოფლებში დაიარება, დღეს ერთში, დღეის-სწორს — მეორეში, გადაღმა კვირას — მესამეში, ნაცნობების სანახავად, მეგობრებთან საბაასოდ და რაც შეიძლება მეტი კოთხო ლუდის (პივოს) დასაცლელად. იმერეთის არ იყოს, აქ თითქმის ყოველი უქმე-დღე, გაზაფხულის დამდეგიდან შემოდგომის მიწურვამდე, რომელიმე სოფლის დღეობაა. ვინც კი ყველა ამ დღესასწაულს დაესწრება, მას ზამთრის პირზე თავისი მაზრის — და ხან სახელმწიფოსიც — ყველა სოფლები ჩამოვლილი ექნება.

არა თუ მარტო მოსეირნენი, ფურგონები და ცხენებიც კი ყვავილით და წვანილით იყო აჭრელებული. ყოველ ფურგონს, ქუჩრის გვერდით, დიდი სამფერა ბაირალი ერტო: ერთი ზოლი მას შავი ჰქონდა, მეორე — ოქროსი და მესამე — სისხლის ფერი. ეს გახლავს გერმანიის დროშა, რომლის ამავე უბედურ ფრანკფურტში აფრიალებამ ისე ვაჟკაცურად ააძგერა 1848-ში, ერთ და იმავე კილოზე, ყველა გერმანელის გული, გერმანიის ოცდა-ცხრამეტ დაბნეულ და განცალკავებულ „სახელმწიფოებში“. სად ხართ, ესლა, მა-

შინდელი ფრანკფურტის პარლამენტის—„სრულიად გერმანიის პირველი პარლამენტის“ — წევრონო? სადა ხარ ამ დროშის გაშლისთვის გადახვეწილნო და დახვერტილნო ფოხტო, ბლიუმო და სხე. და სხვანო? ხედავთ, ვის უკავია ღღეს, ვის ჰფარავს, ვის ამშვენებს და აძლიერებს ეს საყვარელი დროშა? ის ღღეს გამოცდილის ხელშია. მას მისდევს ერთგული, გულდანდობილი, მტკიცედ შეთანხმებული რაზმი, რომელიც გერმანიის ერთობის დასაარსებლად თქვენსავეთ დავასა და ქიშპობას არ მიჰყოფს ხელს, არც ოცნებით დაითრობს თავს: გარეშე მტერს მოიგერებს შინაური სიმტკიცით. ვაი გზადაბნეულს!

ბაირადებიც კი ვერ გადარჩენოდა ფოთლებს, შტოებს, ყვავილებს. ეს სურათი დროშა-გაშლილი, დროშის მოტარფიალე ხალხისა მით უფრო აღმტაცი სანახავე იყო, რომ არსად არც პოზა ჩნდა, არც ფრაზა ისმოდა. მუსაიფი ყოველგან, სულ უბრალო საგნებზე, სულ „საშინაო“, სამეზობლო, სამეგობრო იყო. განგებ თუ არ გაიხსენე, ვერაფერს დაატყობ სამზღერის, მტერის, ომის სიახლოვეს. არავინ არ ქადულობს, არ იმუქრება, არ ყოყოჩობს, ოჩაფეხაზე არ დგება, არ აბელაობს.¹²⁷ მით უფრო ატყობ, რომ ამ გულკეთილად მოქეიფე ხალხს სადაო არაფერი აქვს, ყველაფერი მტკიცედ გადაუწყვეტია და გული მაგრა უძევს საგულეში: არ გადუხვევს ნათლად, თვალახილულად არჩეულ გზას.

გაოცებული დავიარებოდი ამ მღელვარე ერის შუა და ხარბათ დავცქერდი მის ხალხს. თანაც თავიდან ვერ ვიცილებდი— გამოვტყდები — ამ სევდიან აზრს: „იხალისეთ, იქეიფეთ, რამდენიც კი შეგეძლოთ. წარსული დღეების ჯაფა და სევდა გულიდან ამოიხოცეთ, რომ მომავლისათვის ღონე და მოთმინება მოიმზადოთ... თუ შეგიძლიათ! ვინ იცის, რა ბედი გელისთ ხვალ, გაიხს? ვინ იცის, იქნება დღეის-სწორსაც ამ ველებზე ისეთივე სისხლის-ღვრა მოსდეს, როგორც ამ სამოცის, სამოცდაათის წლის წინეთ (ნაპოლეონ პირველის დროს) იყო აქვე, იმ დროს, როცა თქვენნი დაცალცალკავებული და უპატრონო წინაპრების უძღურებამ მათი ცოლშვილი საფრანგეთის ლაგამახსნილ მხედრობას ასაწიოკებლად დაანება. ვაი, თუ ამ თქვენ მხიარულ ქალებსაც ეს ბედი მოელის? ძალა აღმართს ხნავს..

ამ ფიქრებში გახლდით ვართული, როცა ვიდაცამ მხარზე ხელი დამადო. ალბათ ამ მიზეზით ვერ დავაბოლოვე ჩემი მოაზრება, თუ ვისი ძალა ვის აღმართს დახნავს მომავალში: საფრანგეთის — გერმანიისას, თუ გერმანიის — საფრანგეთისას? მივბრუნდი და დავინახე ჩემი სახლის-პატრონი, რომელიც თურმე იმავე დილას ფრანკ-

ფურტიდამ კრონბერგის დღეობაზე ცოლ-შვილით წამოსულიყო, და თან ზოგი ნაცნობიც წამოეყვანა.

— აქ რამ მოგიყვანათო, — მკითხა მხიარული გაოცებით.

— მართალი გითხრათ, არც კი ვიცი რამ... დავსვირნობ!

— წამო, ჩვენს ქალებს დავეწიოთ და შინ ერთად დავრუნდეთ, თუ საამოდ დაგირჩებათ.

— ბატონი ბრძანდებით.

„ჩვენი ქალები“ — სახლის-პატრონის ცოლი და მათი მეზობლის ორი ქალი იყვენ. ამ უკანასკნელებს მათი დედა და ერთი მათსავით ახალგაზრდა ქალი წამოყოლოდა. ეს დედა, როცა მივეწიეთ, გაცხარებულად უმტკიცებდა ჩემი სახლის-პატრონის ცოლს, რომ ქალისთვის გაუთხოვრობა უფრო ძნელია, ვინემ ქვრივობაო. დაბეჯითებით არწმუნებდა: „ჩინებულათ ვიცი, ორივე მდგომარეობა გამომიცდია, გვიან გავთხოვდი, ადრე დავქვრივდიო.“ სახლის-პატრონის ცოლი კი, არა ნაკლები სხაპა-სხუპით, ფიცულობდა — ქვრიობა ბევრად უფრო მძიმე საცოდაობა უნდა იყოსო. რუსის გოგოების დაუბოლოებელი—მზისუმზირის თესლის ჭამასავით—დავა გამახსენა ამ ქალბატონების მხურვალე შფოთმა: „რა სჯობია: უცდიდე და ვერ ელირსო, თუ გქონდეს და დაკარგო?“ გამოცანას მოგახსენებ, დიდი არაფერიაო!

რადგანც მე არც მიცდია, არც დამიკარგავს, ამ ბაასში ხმა არ ამომეღებოდა. ამ მიზეზით, იმ ორ პატიოსან ქალს თავი დავუქარ თუ არა, კიდევ გამოვესალმე: წინ გავსწიე, სამი ქალიშვილისაკენ.

გვარიანი ხანია, რაც დამეგობრებული ვარ მათ ოჯახთან: ისინი ჩემს პირდაპირ, ერთს და იმავე ეზოში, ცხოვრობენ. სალამ-სალამობით ხშირათ ვმუსაიფობთ ხან ეზოში, ხან ფანჯარიდამ-ფანჯარაში. ამას გარდა ხან ისინი დადიან ჩემ სახლის-პატრონისას, ხან მე დავიარები იმათსა. უფროსს ქალს ახლდა მისი საქმარო, ფრანქფურტელი ვაჭარი, რომელიც ეხლა სამხედრო სამსახურშია დროებით გაყვანილი სალდათად, და ერთი წლის ვადით მსახურობს ჯარში, თავისივე ქალაქში. აქ ყველამ ორი წელიწადი უნდა იმსახუროს. მაგრამ ვისაც გამოწვევის დროს ჩვენებური გიმნაზიის ტოლა სასწავლებლის კურსი ექნება დამთავრებული, მას ერთი წლის სამსახური ეპატიება. რადგანც სამხედრო სამსახური — ან შინაური საქმის მიტოვება — უმეტესი ნაწილისთვის ერთობ ძნელია, ყველა სწავლის დამთავრებას ცდილობს. ამ ნაირად ეს უპირატესობა მეტად ავრცელებს ამ ქვეყანაში განათლებას.¹²⁸

მოგახსენეთ, თუარა, უფროსი ქალი ძალიან ლამაზია მეტქი, ან, უფრო სწორეთ რომ ვთქვა, ეშხიანია? მისი ეშხი იმაში მდგომ-

მარეობს, რომ მის მშვენიერ, მუქ, ფართო, აენწყლილებულ თვალებში ნიადგ სულისა და ჭკუის ძალა ელვარებს. მის მხედველ კაცს ჰგონია — რაგინდ დაბრკოლება უნდა შეხვდეს ამ ქალს სიცოცხლეში, ეს მაინც მამაცურად, შეუპოვრად ზედ გადაიარს, მხიარული სახით, თითქო თამაშობდესო. დიახაც საამოა ამისთანა ქალის ნახვა მისთვის, ვისაც ადამიანში არაფერი სძულს იმოდნათ, როგორც ბატკხური უძლურება და მორჩილება, ვისაც უსულო, უაზრო თვალები — ქალის იყოს, თუნდ ვაჟის — დაბნეული ხბოის თვალებს აგონებს.

...რა მოქმედება უნდა ექნეს კაცზე ისეთ ქალს, რომელსაც სული არ უდგია, და არც ჭკუის, არც სხეულის ძალა აქვს? ვინ იცის რა არ შეემთხვევა ადამიანს სიცოცხლეში, რა უბედურება დაეხვევა თავზე, რა განსაცდელი მიადგება კარზე? როგორ უნდა აიცილოს მან ზურგზე ისეთი ქალი, რომელსაც გასაჭირის დღეს, ტვინამორთმეულ ქათამივით, წრიალის და კაკანის მეტი არა შეეძლება რა? რა სიცოცხლე ელის იმ კაცს, რომელსაც ერთ უბედურ საღამოს მარტო ყოფნა მოსწყინდება, და რომელიც, ამ მიზეზით, პირველ შემხვდარ ქალს სამუდამო სიყვარულის ფიცს აძლევს, როცა მის გულში — სიყვარული კი არა — სისხლის დეღვა მეფობს? ორიოდ-სამი წუთის სიამოვნების გულისთვის რამდენი მომბეზრებელი თვე და წელიწადი უნდა ინანოს და იტანჯოს? რა საშინლათ ამძიებებს მას უხეირო ცოლის საზოგადოება! რა უბედურია თვითონ ცოლიც, რომელიც დილიდამ საღამომდი მოქნარების მეტს ვერას ახერხებს, და საღამოდამ დილამდე მოქნარებითვე ქმარს გულს უკლავს!..

დიდი უბედურებაა ჩემთვის და ამ შენიშვნების მკითხველისთვისაც ამ ნაირი გადახვევა-გადმოხვევა საგნიდამ. ჩემ მეზობლის ქალზე ვლაპარაკობდი, და, მის გამოხატვის მაგიერ, მთელი თაბახი სულ სხვა სურათით ავაგე. ამას ეხლა რალა გაეწყობა, საგნისაკენ დაბრუნების მეტი?

მის თვალებში ძალა და სული ჩნდა მეთქი. ეხლა დავუმატებ — ის იმისთანა ქალია, რომელზედაც კაცს შეუძლია სთქვას: „გასაჭირის დღეს ღმერთმა ამისთანა ამხანაგი ყოველ ჩემს კეთილს მისცესო!“

გასაჭირის დღე იქით იყოს, ამგვარი ქალი ქმარს ჯაფის ტვირთს უადვილებს, და ცხოვრების გამშვენიერებით, ალერსით, ნუგეშით, იმედის ჩადგმით ქმრის ძალას ერთს ათად ხდის. ოღონდ... იშვიათად ხვდება ხოლმე ადამიანს ასეთი ქალი, მისდა საუბედუროდ.

პირისახეზე და აგებულებაზე რა ვთქვა? ვის მოუვა აზრში კითხვა — რა ნაირი ცხვირი, ან ნიკაპი, რა ფერი წარბი, რამ სიდიდე ყური, რამ სიგრძე ყელი დაუტანებია ღმერთს ამნაირ ქალისთვის? მას ყველაფერი შვენის. «Во всех ты, Душенька, нарядах хороша!».

მინც მოგახსენებთ: მის დიდრონ, ცხოველ-მყოფელ, მუქ თვალებს დასცქერის ფართო შუბლი, გიშერივით შავი თმით შემოკაცებულა. მათ წყნარ, დანდობილ გამოხედულობას ბანს აძლევს სქელი ტუჩის მუდმივი ღიმილი, რომელიც თითქო უნებლიეთ აჩენს მარმარილოს კბილების უკილო რაზმს. ვისაც ქალისა რამე ესმის, მისთვის ეს ნიშნებიც საკმაოა, დანარჩენი სურათის და თვისების წარმოსადგენათ. და ვისაც არა, ის სურათს კი არა, დედანსაც ვერას გაუგებს.

როცა ქალებს და სალდათს მიეწიე, უფროსმა ქალმა თავის ჰეგობარი გამაცნო, მერე ხელი ჩამოვართვი მის დას და საქმროს. ორივე სხვა ქალი თეთრ-წითლად ჩასუქებული. ჩაბუყუებული გოგონები იყვენ: საამო დასანახი, როგორც გადაშლილი ვარდი. მაგრამ ვაი ამისთანა ვარდის მომწყვეტს: ჩაირკობს თუ არა გულში, იმწამსვე დაუქცნება. ალბათ—უთუოდ—ღმერთს ეს ყვავილი მისთვის ვაუჩენია, რომ ერთი წუთით ატკბოს არე-მარე თავისი გამფრენი სურნელებით და მშვენიერებით. „იგო წაუა და სხვა მოვა“, მოგესხენბათ.

მუსაიფის გაბმა როდი დაგვეცლია: სანამ ერთმანეთისთვის ორი-ოდე სიტყვის თქმა მოვასწართ, მივადექით სასტუმროს, სადაც უთვალავი ხალხი დიდ მოლხენაში იყო. აქ თითქმის ყოველ სოფელში, და, რალა თქმა უნდა, ყოველ ქალაქში, რამდენიმე ამისთანა სასტუმროა. თვითონ სახლი დიდი როდია: სულ ოთხ ან ხუთ ოთახიანი იქნება, პატრონის სადგურითურთ. მაგრამ ამ სახლს ზედ აკრავს დიდი ეზო, უკაცრავად, დიდი ბაღი, რომელშიაც ხეების ჩრდილში აქა-იქ სუფრები და სკამები დგას. ხან სახლში, თუ მას დიდი ზალა აბაღია, ხან ბაღში გამართულა საცეკვაო ადგილი, რომლის სიახლოვეს მოკაეებულა ამაღლებული ალაგი მუსიკისათვის.

სადამოობით აქ ცეკვავს ახალგაზრდობა, რომელსაც შორე-ახლო სიამით — მგონია, შურითაც — დაცქერის მოხუცებული დედამა და ჩემსავით აგორებული უბინაო კენტი. შესანიშნი ამ ცეკვაში ის არის, რომ ყოველი ქალი მუდამ მარტო თავის ქმართან, ან საქმროსთან ცეკვავს, და ძლიერ იშვიათად გარეშე პირთან. რუსული ცეკვა კი, სადაც ქალი და კაცი ხან ერთს ატრიალებს, ხან მგორეს, ხან მესამეს, როგორც ნაცნობს, ისე უცნობს, აქ არავის სწამს. თითო საათობით რწყვილები დაუღალავად, გამწარებულად ტრიალობენ. კაცს ეგონება ნაქირავები არიანო, ამ სიმწრის ოფლით სქმენ ლუკმა პურსო.

რაკი მკითხველმა შეიტყო რა მუყაითად ცეკვავს აქაური ახალგაზრდობა, უნდა ავწერო ეხლა რანაირია მისი ცეკვა, ამიტომ რომ რუსულ და აქაურ ცეკვაში ამ მხრითაც დიდი განსხვავებაა. ჩვენში,

როგორც რუსეთში, ან საფრანგეთში, ვალსის ან პოლკის ცეკვის დროს, კავალერს მარჯვენა ხელი მოხვეული აქვს ქალის წელზე, და მარცხენათი ქალის ხელი უკავია. ქალს კი ცალი ხელი ვაჟის მხარზე და მეორე — ხელში უჭევს. გერმანიაში ხალხი უფრო გულ-და-გულათ ცეკვავს. ქალს ორივე ხელი ვაჟის ყელს გარშემო აქვს შემოხვეული, თითქოს კისერზე ჩამოპორწილებიაო. ვაჟს კი აგრეთვე ორივე ხელი ჩასკვნილი აქვს ქალის წელს ირგვლივ. ასე ერთმანეთთან გულზე მაგრათ ჩახუტებული რწყვილი ნელა, ნაზად, ხანგრძლივად, სრიალით ტრიალობს მომხიბვლელი მუსიკის ხმაზე.

ეს ცეკვა მისი ხასიათის დასაფასებლად — უნდა შეადაროს კაცთან ჩვენებურ ლეკურს. ჩემ მკითხველს ლეკურის აწერა და დახასიათება არ ეჭირვება. ეს ცეკვა, ეგრეთ ვთქვათ, მოსამზადებელი კლასია გერმანელისა. ვაჟი ქალს ეძებს, იწყევს, უტრიალებს, აცდენს, ევედრება, ებუტება, ემუქრება ქალი კი შიშშია, მორცხობს, ყოყმანობს, ვერც ბედავს, ვერც გარბის, ოღონდ ნაზობს, ქეც უნდა, ქეც ეხვევა. ერთი სიტყვით, სიყვარულის წინასიტყვაობას ვესწრებით. გერმანული ცეკვა-კი სიყვარულის ეპილოგს წარმოადგენს. აქ აღარც პატიჟია, აღარც ვედრება, აღარც მორცხვობა და ხელის თვალზე აფარება, აღარც შიში, აღარც სინანული. ცეკვა აქ იმით იწყება, რით ჩვენი ლეკური ვერც კი ბედავს თავისი საქმე დაავიკრავინოს: გულ-მკერდში ჩახუტებით. რომელი სჯობია? კაცია და გუნებაო, ნათქვამია. ის კი უნდა მოგახსენოთ, სინიდისის ქვეშ, რომ უხეირო წინასიტყვაობა ჯერ არავეს უნახავს, — ბოლომდი წაკითხული წიგნი კი, მოგეცათ სიცოცხლე, რამდენს უგმია!

დავუბრუნდეთ ჩახუტებულ მოცეკვართ. კარგად ვიცი ამ სურათს ჩემი მკითხველი არ მოიწონებს... ხმა მალა მანც, თუმც გულში რომ ჩახედოს კაცმა, შეატყობს — ცოტათი არ იყოს კიდევ ენატრება ამ გვარი ცეკვა. ეჰ, მკითხველო, მოდი, გულზე ხელი დავიდვავ და გამოვტყდეთ: ამნაირი ცეკვა მართლა საამო უნდა იყოს, თუ მაყურებლისთვის არა, მოცეკვავისთვის მანც. ერთმა აქაურმა ფილოსოფოსმა შემომფიცა — როცა ავუხსენ, თუ რა განსხვავებაა მათ ვალსს და ჩვენს ლეკურის შუა — მათი ჩაკონილი ცეკვის უპირატესობა კაცობრიობის ცივილიზაციის წინსვლას გვიმარტავსო. ახირებული ხალხია ეს ფილოსოფოსები!

— პროგრესთან ხევენას, ცეკვას რა ხელი აქვსთქო, ვკითხე.

— „ცივილიზაცია — მომიგო მან იმავე კილოთი, როგორითაც ტვინდამკვანარი პროფესორები მამაბაპურ ლექციებს გვიკითხდენ ზოლმე — ცივილიზაცია, კაცობრიობის წინსვლა, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი თან-და-თან უფრო და უფრო ნაკლები ჭაფით

თუ შრომით თანდ-და-თან უმეტესს და უმეტესს სიკეთეს ან სიამეს იპენს, რაც უფრო დრო გადის, რაც უმეტესათ მეცნიერდება ადამიანი და ქვეყნიერება, მით უფრო უადვილდება კაცს ცხოვრება, მით უფრო უმჯობესდება მისი მდგომარეობა, მით უფრო იაფად, ადვილად შოულობს ის ყველაფერს, რაც სჭირია თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რაც შეადგენს მის ბედნიერებას, მაგალითად: რაც ამ ასი წლის წინათ მარტო მეფეებს ან მთავრებს შეეძლოთ ეყიდნათ, ჩაეცვათ, ეჭამათ, ესვათ, ეხმარათ, ეს ყველა ეხლა ესე გამრავლდა და გაიადფა—ცივილიზაციის მაღლით — რომ მისი შოვნა და ხმარება, დღეს უბრალო მუშასაც შეუძლია, რაც უწინ კაცს მწარე ოფლის დენით, ხან სისხლის ღვრით, უნდა ეშოვა, სანგრძლივი შრომით თუ ბრძოლით, ეხლა იმავე ცივილიზაციის წყალობით თავისთავად. თითქმის მუქთათ, ხახაში გვიცივივა, რაც ჩვენს წინაპრებისათვის, მათ ველურ მდგომარეობაში, მიუღწეველი ან აკრძალული იყო, ის ცივილიზაციამ ჩვენ უხვათ მოგვანიჭა. ადამ და ევამ ერთ ვაშლს სამოთხე და უკვდავება შესწირეს. ჩვენ კი ათ ვაშლს შაურათ ვყიდულობთ! გერმანული ცეკვაც ამას ნიშნავს. თქვენში ვაქმა მოლეკურე ქალი გულში რომ ჩაიკონოს, იმავ წამს ხანჯლით აკუწავენ. ჩვენში კი ცივილიზაციამ ესეც კი გააადვილა!¹²⁹

ყოველთვის, როცა ამ წინსვლის მანიშნებელ ცეკვას ვუცქერ, ან შიგ ვურევივარ — შემინდობს ჩემი მოძღვარი ამ შეცოდებას? — თ. რაფიელ ერისთავის მშვენიერი ლექსი მახსენდება ხოლმე:

ოდეს ტურფას შეეყარო, ვისთვის გიძგერს მარად გული,
 თუ რომ გიყვარს კეშმარიტათ, ასე უნდა სიყვარული:
 ხელი წელსა გადახვიე, ვით რომ სურო ხესთან რგული,
 ასე მტყიცედ დაეკონე ვით ფათალო ჩაწმახნილი...

სწორედ ასე ცეკვავს აქაური ახალგაზრდობა, იმ განსხვავებით, რომ ჩვენი პოეტის დანარჩენი რჩევის ასრულება — „ტუჩი ტუჩსა შეაწებო, გულით გული გაიხარეო, დავიწყებას თავი მიეო“ — საშემდეგოთ არის გადადებული, ხანდისხან ორი-სამი წლის ვადით. ჩვენში ამ რიგ მოთმინებას არავინ დაიჭერებს, ვერავინ წარმოიდგენს. ალბათ ამიტომაც ჩვენებურ ლექურში ახალგაზრდები ერთმანეთს ვერ მიკარებიან.

ზოგი ინატრებს ამ ნაირ ცეკვაში მთელი სიცოცხლის გატარებას. ნაცადით შემიძლია დავარწმუნო, მთელი სიცოცხლის კი არა, ორი საათის განმავლობაშიც ამ გვარათ ცეკვა გასაჭირია. ამ მიზეზით მოცეკვავეები ტრიალს თავს ანებებენ ხშირად, ბაღის სიოში ლუდის

სმით გუნებას იგრილებენ და მით ხელ-ახლავ საცეკვართა ძალას იკრებენ.

როცა ამნაირ „ბალიან სასტუმროს“ მიეუახლოვდით უფროსმა ქალმა მითხრა: დღეს ცეკვას ვაპირებთ, იმედი გვაქვს ჩვენს მოლხენაში მონაწილეობას მიიღებთო. გამოვტყდი, ცეკვა ძალიან სუსტად ვიცი მეთქი.

—ცეკვას რა ცოდნა უნდაო, მიპასუხა. ვნახოთ, გაბედავთ, აბა, უარის თქმასო?

საცეკვაო ოთახის წინ ვიდექით, მუსიკა ოფენბახის პოლკას უკრავდა. მოცეკვავეები გიჟურად დააფრიალებდნენ თავიანთ დანიშნულების კაბებს.

ოფენბახის მუსიკაზე ნათქვამია რომის პაპისაგან — მეორეთ მოსვლის წინამორბედი ბუკიაო. ეს გადაჭარბებაა. მისი დანიშნულება მკვდრების აყენება კი არაა საფლავიდან, მძინარე ხალხის გაღვიძებაა მხიარული ჰანგით. ის მომაკვდავ ადამიანის სასთუმალთან რომ დაუკრათ, ავადმყოფი წამოხტება და ცეკვას მოინდომებს, ანა და ხელ-ფეხის ცმატურით მაინც აპყვება მუსიკის აღმტაც კილოს, ყოველი მისი ტაქტი ყურში ისმის როგორც „აღე, აღდეგო“! მართალია, ამ კილოს აკლია დიდებული ძლიერება ჩვენებური „აღსდეგ გმირთ-გმირო, ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმანია!“ მაგრამ იქნება ამ სიმძიმის გამოკლება ღირსებაც იყოს, და არა მანკი, რადგანაც მოგეხსენებათ, ჩვენ ხმას ვერც გმირთ-გმირი გაუღვიძებია აქამდე, ვერც უბრალო მომაკვდავი, ოფენბახმა კი მთელი ევროპა ააცუნდრუკა. ამ გვარი მუსიკის მოქმედებას რომ დაუმატოთ ასი, ასოცი ქალ-ვაჟის ერთბაშათ ტრიალი, სიცილი, ხარხარი, და რომ გაიხსენოთ თუ რამოდნათ გადამდებია მოლხენა — როგორც მწუხარება — ადვილად მიხვდებით, რომ ცეკვის უცოდინარობა და მწარე ფიქრი ისე მალე დამავიწყდა, როგორც ყველაფერი, რაც გიმნაზიაში იმდენი გაჭირვებით მასწავლეს. და როცა უფროსი ქალი კისერზე ჩამომეპორწიალა, უარის თქმის მაგიერ მეც გულმკერდზე მაგრა დავეკონე და მოცეკვავეებს ავყვივი ხტუნვაში. მალე მომეჩვენა, რომ ჩვენ კი არაა, ჩვენს გარშემო სახლი, ბალი, სოფელი, ქვეყანა ტრიალებდა, ჩემი ქალის ეშხით დამთვრალი.

სალამოს ხუთი საათი იქნებოდა, როცა ცეკვას თავი დავანებეთ. მადლობა გადავუხადე სამივე ქალს, ვისთანაც ვიცეკვე, და ყველა ერთად შემოვუტყვევით იმ სუფრას, სადაც ჩემი სახლის-პატრონი ცოლითურთ ლუდს მიირთმევდა.

სანამ ჩვენი დაღალული „კამპანია“ სულს იბრუნებს და ხმის ამოდებას ძლივდა ახერხებს, სანამ ზოგი ლუდს და ზოგი მურაბის

წვენს ნელ-ნელა წრუბავს და გულამოჯდომით ხენეშის, მგონია ცუდს როდი ვიზამთ, მკითხველო, სხვა რამე საგანზე რომ ვიმას-ლაათოთ. ჩვენს მგზავრებს კიდეე მივეწვიეთ. ნუ გეშინია, ვერსად გაგვექცევიან.

როცა ქალი თავის სიყვარულს ვაჟს აღარ უმაღავს და პირველ-ჯერ უტყდება „მიყვარხარო“, როცა ვაჟი რწმუნდება — ეს სიყვარული გულწრფელიაო. ის უტბად იზრდება საკუთარ თვალში და თავს ქვეყნის დამმორჩილებლად სთვლის. ასეა ეს ქვეყანა. ამ შეცდენით მეფობს ქალო. პირველ გამარჯვებას და პირველად მაღალქუსლიანი ჩექმის ჩაცმას ვაჟზე სრულიათ ერთნაირი მოქმედება აქვს. ვინ იცის, რა უფრო გვიზიდავს, გვიტაცებს სიყვარულში: მისი საკუთარი სიამე, თუ აი ეს გამარჯვების-მოყვარეობა, ეს თვალის აბმა, რომლითაც ასე ხშირად—თუ არა ნიადაგ—ვითომ გამარჯვებულ ვაჟბატონს ლაგმავენ, კურტანს ადგმენ და სახედრად ხდიან?

ნეტა ვიცოდე, შეუნიშნავს ვისმე, თუ არა, რამხელა თავმოყვარეობა — თავმომწონობა — სარჩულათ უძევს სიყვარულს? პირველ გამარჯვების შემდეგაც, როცა ყველას ჰგონია, ვითომ გრძნობა იცვალაო, როცა ვაჟს უეცრად რალაცნაირი ნაზობა გაუჯდება ტანში, თითქმის ძვლებშიაც, ის ავადმყოფსავით აზიზობს, სითბოს და ალერსს ეძებს; ბრჩხილი რომ წამოტკივდება, ლოგინში წვეება, რა მოუთმენლად ელის საყვარლის ნუგეშს, მოვლას, ალერსს, რა უსუსურად ჰსურს, რომ საყვარელი მუდამ მის სასთუმალთან იდგეს და მის სურვილს გულით მიხვდებოდეს.

იმ დროს მას საყვარლის ალერსი მთელ ქვეყანას ურჩევნია. ქალი კი ცივად, უგრძნობლად, უგულისყუროდ ექცევა, თითქო გულში ვაჟის ტანჯვა იამებოდეს და მარტო ხალხის თვალისთვის აქცევდეს ყურადღებას: მარხვა სინანულისა, ქეზება მადისა, ხიჩინი თავმოწონებისა. როცა ქალი ლოგინათ წვეება — მას საკუთარს თვალში მთელი მტკაველა სიმაღლე ემატება. მის ნაზობას, ალერსის მოვლის სურვილს სამზღვარი არა აქვს. მაშინ ვაჟი უნამუსოთ მარტო მით ხარობს, რომ „მე გახლავარ ეს ბიჭიო“!

სასაცილო არ არის ეს? რა იცის, საბრალომ; თუ მართლა ისაა „ეს ბიჭი“, და არა სხვა ვინმე? თავმოწონება აბრმავებს, და არა სიყვარული: ამაზე ბრუნავს სიყვარულის ბედი. თავმოწონება ხდის მას ქალის ყურმოჭრილ ყმად, თავმოწონება აქცევს მის ჭალათადაც.

რამდენი უთანხმოება დაუთესია, რამდენი ექვი აღუძრავს, რამდენი ბედნიერება მოუკაფავს ძირში ამ უბადრუკ თავმომწონლობას!

ჩვენს დანიშნულებს ასე შორს ჯერ როდი შეეტოპათ. რადგანაც მათი დაახლოება დიდი ხნის საქმე არ იყო, ახალგაზრდა კაცი სწორეთ ისე იქცეოდა, თითქოს ეს-ეს არის მალა-ქუსლიანი ჩექმა ჩაეცვა და ამალლებას ჯერ კიდევ ვერ შეჩვეოდა. საბრალო ყმაწვილი თითქო ჯაფრენას აპირებდა. წამდაუწუმ ხან წითლდებოდა, ხან თმას ამყათ ისწორებდა, ხან დგებოდა და სუფრის ირგვლივ თავმომწონეთ სეირნობდა.

— „ეს ძველი ამბავი მუდამ ახალია“ მეთქი, ვიფიქრე, რამ გააამპარტავნა? სცდები ძმობილო! თუ ქალს უყვარხარ, ის შენში იმ თვისებებს კი არ აფასებს, რომელიც შენის ხასიათის ძალით თვითონ შეგიძენია და რომლითაც უფლება გაქვს თავი მოიწონო. არა. ვაჟში ქალი იმისთანა ღირსებებს ეძებს, რომელიც ადამიანს, მისდა უკითხავად, დაბადებიდამ მინიჭებია. ყვარობს სილამაზეს, შეძლებას, გვაროვნობას. თუ ეს თვისებები დაგყოლია თავმომწონების მაგიერ წინაპრებს მადლობა შესწირე. მათ დაუმადლე, ვინც შეგქმნა. შენ კი რა შუაში ბრძანდები, რომ ყოყოჩობ? თუ ეს გამარჯვებაა, შენი რაა შიგ?

რალა თქმა უნდა, ჩუმათ, გულში ვფიქრობდი ამ ნაირათ. სალდათისთვის ეს აზრი რომ გამემხილა, ის სიტყვას შემაწყვეტილებდა პასუხით:

— მერწმუნეთ, ისინი მაშინ ჩემ შნოზე როდი ფიქრობდნო!

რასაკვირველია, იქ დამსწრე ქალების მორიდებით მაინც, ვერც მე მოვითმენდი, და რალა ღონე მექნებოდა, სიტყვა უნდა შემებრუნებია:

— არც თქვენ გიფიქრიათ იმ დროს ამ საგანზე...

ატყდებოდა დავა, ყბედობა, შფოთი, და ვინ იცის რითი გათავდებოდა. მერწმუნე მკითხველო, კარგათ ვქენი, ეს აზრები ჩემთვის და თქვენთვის რომ შევიანახე.

ჩვენი სუფრის ახლო-მახლო იჯდენ და მუსაიფობდენ, სკამდენ ან სვამდენ სხვა-და-სხვა მხარის ან რჯულის პირები. ერთ სუფრას უჯდა ფრანქფურტელი ბანკირი, რომელსაც სწორეთ იმდენი მილიონი ექნება, რამდენიც თფილისში ღენერალია. მთელი თავის ოჯახობით ის იაფ ქეიფს ეწეოდა. იქვე მეორე სუფრაზე ორი ახალგაზრდა მხატვარი იჯდა, სამგზავროთ მორთული, სამხატვრო იარაღით, დაუვარცხნელი თმით, წვირიანი სათვალეებით. მესამეზე — პრუსიელი ოფიცრები, შამფურივით გამართულნი. მეოთხეზე — წვრილი ვაჭრის ოჯახობა. მეხუთეზე — რამდენიმე გლეხი კაცი. ზოგი სუფრა

ახალგაზრდა ნოქრებს და სტუდენტებს ეკავათ. ზოგი მწერალურ ენაზე ბაასობდა, ზოგი მდაბიო ხალხურს ხმარობდა, ზოგი — უცხო ენებს. მოშორებით დადგმულ სუფრიდამ რუსული მარილიანი, უფრო „ქონიანი“ ხუმრობაც მოისმოდა იქ მყოფი ქალების გარეგან და შინაგან ღირსებებზე. ერთი სიტყვით, ამ ბაღში იმ დღეს არეულ-დარეული იყო გვაროვნობა, შეძლება, ეროვნება, ღირსება და ხასიათი. უფრო შესანიშნი კი ის იყო, რომ არავინ არავის უშლიდა, არავის სხვისი არა ეკითხებოდა რა, არც ერთხელ არავის ხმა არ აუმაღლებია. არც ჩხუბი, არც შფოთი, არც ცემა, არც ტყეპა, არც კრივი, არც სისხლის ღვრა. წარმოუდგენელი უსწორმასწორობა აქ არავის აკვირებდა, ხელს არავის უშლიდა. ხშირად ორს და ხან სამს სუფრას შუა თავისუფალი და თანასწორი მუსაიფი იმართებოდა, თუმცა ერთზე მდიდრები ისხდნენ და მეორეზე — ღარიბნი, ერთზე უბრალო ხალხი, და მეორეზე — ნასწავლი.

თითქმის მთელი საათი მოეუნდით მოსვენებას. ამ ხნის განმავლობაში ხმასაც იშვიათათ ვიღებდით: უფრო სულს ვიბრუნებდით.

ბოლოს უფროსი ქალის დანიშნულმა ხენეშით და კენესით გაიხსენა, რომ რვა საათზე ფრანქფურტს უნდა დაბრუნდეს და კაზარმაში უფროსს გამოეცხადოს. რასაკვირველია, ჩვენ ეს ღიდათ გვეწყინა, იმიტომ კი არა, რომ ის მართლა საამო და მხიარული შემქცევი იყო, უფრო მისთვის, რომ მისი წასვლა მშვენიერ ქალს დაალონებდა. მაგრამ ყველამ კარგათ ვიცოდით, რომ პრუსსიაში სამხედრო სამსახური ხუმრობა როდია; რაღა გაეწყობოდა, გავისტუმრეთ შეყვარებული სალდათი, საგძლათ ჩვენი თანაგრძნობა გავატანეთ. მისი საცოლო მიხვდა, ალბათ, რომ ამისთანა ძნელ გზას ეს საგძალი როდი ეყოფოდა. გამოთხოვების დროს ჯაფის ამტანი ძალა ჩაბერა გულში. ასე მიტომ ვფიქრობ, რომ აბა სხვა რა აზრით დაასკვნიდა — დედამისი თვალ-წინ თავის, ნოყიერ ტუჩებს ახალგაზრდა სალდათის დრუნჩს?

წამავალი სალდათი რომ გავისტუმრეთ, ხელახლავ „ბაღიან სასტუმროში“ დავბრუნდით და ცოტა ხანს შემდგომ სამხარი მოვითხოვეთ. მუსაიფი რაღაცნარათ აღერდილი შეგვექნა. ორ-სამ სიტყვის მეტს ვერავინ ახერხებდა, თუ იმეტებდა, თითქო ყველას ენა დაბმოდა. როცა მოსამსახურემ არჩივი მოგვართვა, ბაასი ერთიანათ შეწყდა. ეს გასაკვირი როდია: დამშეულ კაცს, აბა, რა ლაპარაკის თავი აქვს, როცა წინ ულუფა უდგია?

„საქმლით მარტო პირი მქონდა გააკვებული, და არა თვალი ან გონება. მაშასადამე, სამხრობის დროს ადვილად შემეძლო მგზავრებისათვის მეტკირა, მათი საქციელი ჩვენებურთან შემედარებინა.

ამითი ვისარგებლოთ, და ეხლაც ერთი კიდევ გადაუხვიოთ საგნიდამ. რა ვქნა, ეს ჩემი ჩვეულებაა! ვინ არ იცის, მოვალეს უფრო ადვილად გაექცევა კაცი, მინამ ჩვეულებას?

ჩვენი მამა-პაპური—ან, უფრო სწორეთ რომ ვთქვა, დედა-ბებიური—ჩვეულება მოითხოვს, რომ საზოგადოებაში ქალმა, გასათხოვარმა მაინც, რაც შეიძლება ნაკლები სჭამოს. ამას უწინ ის საფუძველი ჰქონდა, რომ ადვილი სარჩენი ვიქნები, ნუ გეშინიან, შემირთეთო, ბევრი ხარჯით არ დაგადარიბებთო. ეხლა კი რა მნიშვნელობა აქვს ამ ჩვეულებას, რომ დამკიროს კაცმა, ვერ ვიტყვი, ვერც მივხვდები. ჩვენს დროში ცოლის რჩენის ხარჯი, საკმელში კი არა, ტანისსამოსში და სტუმრობაში გადის. ორიოდ იმისთანა ქალბატონს ვიცნობ, რვა დღეს უქმელი დარჩება, ოღონდ კი ახალი მოსასხამი შეიძინოს, კვირა დღეს საყდარში — თუ კლუბში — გამოსაფენათ. დღეს ქალის მადა კი არ აფეთებს საქმროს, არა, მასში საშიში—მოდა და პრანჭევაა. ამიტომაც, ხუმრობა გაშვებით, ჩვენს მშვენიერებს ვურჩევ, თუ ამ დროის ფერი ჰსურთ გადიკრან, შიმშილით თავს ნულარ იკვლენ, მაგიერათ, გათხოვებამდე მაინც, („МОИ совет до обручения“...) თავი მოიკავეონ მიმბაძავი და დამლუპი პრანჭიობისგან: რაც შეიძლება უფრო სადად მოირთონ. საქმროს ეს უფრო ადვილად დაუბნევს თვალს, ვინემ მთელი სადილის განმავლობაში მარტო წიწილის ცალი ფრთის ნაზად და უმადურად ხვრა. ბებია ჩვენები ხამის თუ ლანის ტანსაცმლით ორთებოდენ, და ეხლანდელ ქალებზე უფრო ადვილათ თხოვდებოდენ. ამათ რით ვერ გაუგიათ, რომ აღმტაცი, მომხიბლავი ქალში ბუნებაა და არა კაბა.

ეს აზრი მომივიდა ჰკუაში, როცა ჩემი მეზობლების მადიან ჰამას ვუტკერდი. მათ დარდი როდი ჰქონდათ—არავინ შეაშინოს ჩვენმა მადამო და ჩვენი „ღორ-მუტლობით“ (როგორც ჩვენში ქალიშვილის მადას ეძახიან) საქმარო არ დავკარგოთო. ხორცი, თევზი, წვენი, მხალი, ხილი, სასმელი ისე გასაღდა, რომ სუფრაზე ცარიელი თევზების, ძვლების და ჰიქების მეტი არა დარჩენილა რა. ეს ჰიქები და თევზებიც კი ისე გულმოდგინეთ გახლდათ დაკლილი და მოლოკილი, რომ მათ საწმენდათ მოსამსახურეს არა მგონია ბევრი ჯაფა დასჭირვებოდა. იმაშიც კი უნდა გამოვტყდე: არც კაცებს დაგვიკლია ხელი სასმელ-საკმელისთვის: განა რიგია კაცი ქალს უყან ჩამორჩეს?

ბოლოს ავდექით და გავწიეთ იმ გზით, რომელიც კრონბერგიდამ ღომბურგს მიდის. ეს გზა ისე ლამაზი არ არის, როგორც ზოდენი-დამ კრონბერგამდი, მართალია, მაგრამ არც სრულიად უშნოა. უფრო მინდვრათ მიდის, მაგრამ არც ხეები აკლია, არც შნოიანი, გაკრევილ ბუჩქებისაგან შემდგარი. ორდობები, არც ტყე, არც ყანები.

თუ გული გულობს, თუ შიგ გრძნობა ღვივის, სეირნობას აქაც სიამე აქვს კაცისთვის.

წინ ორი უნცროსი ქალი მიგოგმანობდა კვატური სიარულით და დაულალავათ ერთი მეორეს რაღაც საიდუმლოებს ყურში უჩურჩულებდა, თუმც, კიდევ რომ ეყვირათ, ვერაფერს ვერ მოკრავდა, რადგანც ახლო არაფერს ახლდა. მათი, უსათუოდ გულითადი, ახსარების შეწყვეტა მეძნელებოდა, ეს ერთი. ამას გარდა ცოდვა იყო დაობლებული დანიშნული ქალის მარტოდ მიტოვება მწუხარების დროს, ეს ორი. მესამედ—გამოვტყდები — ეს მარჯვე და მშვენიერი ქალი უფრო მიმიზიდავს, ვინემ წინ მიმავალი მესაიდუმლოები. რაკი ერთხელ გამოვტყდი, გულწრფელობას ხელს არ შეეფუძვებ და ბარელამ დაუმატებ, რომ მარტო ამ მესამე მიზეზმა ამომაყენა დედოფლის გვერდში. ორი პირველი მიზეზი სინიდიის დასამშვიდებლად მომივიდა გონებაში, როცა მეზობელს კლავი მივართვი და მუსაიფი გავუმართე.

ღმერთო! რისთვის წესად დაგიდგენია—ჩვენი გულის საწვავსადაგავად,—რომ სხვისი ცოლი თუ საცოლო უფრო სანდომისად გველანდება, ვინემ საკუთარი ან საჩვენო, და თან კი კანონათ დაგიდგია, სხვისას ცოლს კი არა, მხევალსაც ნუ ისურვებო? ნუ თუ ჩვენს სულის ძალას, ჩვენს გრძნობას, ჩვენს სიკბაბუეკს უფრო ღირსი, უფრო საქველო მიზანი ვერ აუჩინე, ვინემ ეს უნამყოფო ბრძოლა ბუნებას და კანონს შუა? აი, თუნდ ეხლა: ჩემ წინ ორი თავისუფალი ტურფა მიდის, უქმრო, უფიცო. არაფერს, არაფერი დგას მათს და ჩემს შუა. რათ შვრები, რომ ჩემს გულს და გრძნობას ესენი კი არა, აი ეს სხვასთან შეფიცებული, სხვასთან შეერთებული, ჩემთვის აღკრძალული ქალი იზიდავს? რათ გვარღვევინებ შენსავე კანონს, რისთვის მანდომინებ მის დავიწყებას?

ვინ ამიხსნის ამ საიდუმლოს? აქაური ფილოსოფოსები — აი, თუნდ შოპენდაუერი — გვიჩვენებენ: „ეს ყველაფერი სიბრიყვე და აშაობა არის; ქალი მათ არ ღირს, რომ გული ვიწუხნოთ; სიყვარული სინამდვილე კი არა, ოცნება, წარმოდგენაა!“ როცა ოცნება ძილს გიტეხს და შრომას გიშლის, ის ოცნებაც სინამდვილეთ იქცევა.

ამ ფილოსოფოსებზე ბევრათ უფრო გავლენიან მოძღვრებს უქადაგნიათ საუკუნოების განმავლობაში ქალი თიხის ჭურჭელია, ყოველგვარი სიბილწე და ნაკლულევანებით სავსეა. მაგრამ იმავე თიხისგან, იმავე ოსტატის ხელით თვითონ ჩვენც გახლავართ შექმნილი და შემკული. დიდი გულწრფელობით და მოდგინებით ვადვიკითხე აქ ყველაფერი, რაც ქალის, სიყვარულის, ოჯახის და კაცობრიობის წინააღმდეგ მოუაზრებიათ ამ ფილოსოფოსებს. რას ნიშნავს, რომ

შიგ ახალი, უცნობი, არაფერი შემხვედრია? რიონზე ორთქლის-გემით მოგზაურობის დროს, ორპირში და ქუთაისს ხშირათ მსმენია, ბ. იაგორ გეგიძის ხელქვეითებისაგან¹³⁰, სწორეთ ამგვარივე დარიგება. სანამ გესმის—გჯერა და ეთანხმები. მაგრამ მათ—და არა ქალის — ამოებას თუ სიყალბეს მალე გვიმტკიცებს ყოველი წუთი სინამდვილისა. თუ დაყუდებულებიც კი იძულებული ხდებოდენ, უდაბნოში, ერღვიათ მათი რწმენა და მცნება, ჩვენ სუსტებს, ამ მმთრობი ხორც-შესხმული ცდენის გვერდით, ვინ ან რა აგვლაგმავს, ვინ მოგვეცემს ძალას ბუნების შემუსვრისას?...

უკან რომ სახლის-პატრონები და ქალიშვილების დედა მოდიოდა, მათ მოსდევდა სახლის-პატრონის ვაჟი. რვა თუ ცხრა წლის ბავშვი, რომელიც სირბილ-სირბილით წამოგვეწეოდა, გამოგვეთამაშებოდა და შეჩერდებოდა დედ-მამის მოსაცდელათ. წინ ორი ფუნჩულა ქალი ისევ თავიანთ — ან, ვინ იცის, იქნება სხვის — საიდუმლოებას უნდობდენ ერთმანერთს. ჩემი სახლის-პატრონები ხანდახან ხუმრობით მოგვეკიოდენ — სალდათის წასვლით სარგებლობა დიდი ცოდვააო, თან დასმენასაც გვემუქრებოდენ.

— სირცხვილი არ არისო,— გვიძახდენ, — ამ გვარი უპირობა და ორგულობა? რა შეჩვენებულ დროს მოვესწართო! ძველ დროში ქალი ერთგული იყო დანიშნულისო, რომ მას გარდა, სეირნობას და ცეკვას კი არა, ხმის გაცემასაც არავისთან განიზრახდაო.

— დაიფიცებთ, რომ მართლა არ განიზრახდა-მეთქი, — მიეუბრუნდი.

— ვერ გაბედდა მაინცო.

— ეგ სულ სხვაა.

— ქმრისთვის კი სულ ერთი უნდა იყოს და...

— ეგ ქმარზე ჰკიდია: კაცია და გუნება.

ჩემი მგზავრი ამ ხუმრობას ყურს როდი აქცევდა.. ჩემდა სადარდელად.

— რას გადაგვეკიდენ ამ ლალატით. — ვუთხარი. — ლამის მართლა სურვილი ჩამინერგონ...

— ხუმრობა იქით იყოსო, — მიპასუხა, — და ჩემი აზრით ლალატის სურვილს, უმეტეს ნაწილათ, ეჭვიანობა უნდა ბადავდესო.

— შეიძლება, შეიძლება...

— შეიძლება კი არა, უეჭველია. როცა ცოლსა და ქმარს კავშირად აზრების და ხასიათის ერთობა არ უდევთ, როცა მათ საერთო მიზანი არა აქვთ, მათში რასაკვირველია დაუნდობლობა ატყდება. სადაც დაუნდობლობაა, იქ სიყვარულს ალაგი აღარ აქვს. იქ ლალატისთვის გაბედვის მეტი როდი რამ სჭირიათ.

— ერთობ ადრე დაგიწყიათ ამ საგანზე ფიქრი.

— არ მოგწონთ?

— ძალიან მომწონს...

— როგორ არ ვიფიქრო ამ საგანზე, როცა მთელი ჩემი ბედი და ცხოვრება ამაზეა დამოკიდებული?

— მაგ ნაირ ერთობას თუ ელით, ბევრი წყალი ჩაივლის თქვენს მდინარეებში, სანამ მაგ ბედნიერებას მოესწრებით.

— ვინ იცის?.. ვთქვათ, კიდევ ვერ მოვესწრო! განა შეუძლებელი საქმე უნდა იყოს ეს ჩვენს დროში? ვთქვათ, ეხლა, წრეულს, მერმისს და მის შემდეგ ეს შეუძლებელი იქნეს, ნუ თუ სახეში მაინც არ ვიქონიოთ ამ ნაირი ნათელი მიზანი? რაც დღეს შეუძლებლათ მიგვაჩნია, ათი, თხუთმეტი წლის შემდგომ ნამდვილი და ძლიერ უბრალო საქმე გახდება. ცოტა რამეა განა ეხლა ასრულებული ისეთი, რაც ოცი, ორმოცი წლის წინეთ კაცს წარმოუდგენელიც ეგონა? ჩვენმა გიოტემ ტყუილათ კი არ თქვა: ადამიანისათვის ყველაფერი შესაძლოა.

— მანვე ესიც სთქვა: „სისულელესთან ბრძოლაში თვით ღმერთიც კი უძლურნი არიანო!“

— მაინც, ქვეყანა წინ მიდის, ჰკვიანდება.

ამაში მეც გეთანხმებით.

მაშ რაღათ ბრძანებთ ცოლქმრის აზრის, ხასიათის, მიზნის ერთობა მიუწვდომელიაო?

— ვამბობ ძნელია, იშვიათია მეთქი. თქვენი აზრის და ხასიათის ვაჟი რომ შეგხვდეს, მაგრამ ღარიბი, გაჭირვებული, შეირთავთ?

— იმ წამშივე, ამას რაღა კითხვა უნდა?

— ამ პასუხს ველოდი თქვენგან. მაგრამ საქმე რომ მარტო შეერთვა არ არის! მერე?

— მერე რა? ვიმუშავებთ, ვიშოვით რასმე და ამ ნაირათ ვიცხოვრებთ. დიდი ხანია შეჩვეული ვარ თავ-შეკავებას. კანონად მიძევს: არაფერ ჩვეულებას არ აყვევ მისთანას, რომლის დაკმაყოფილება საკუთარი შრომით ან მოგებით არ შემეძლოს. ძლიერ ცოტა რამ მჭირია.

— საუბედუროთ, ეგრე თითქმის მარტო თქვენ იქცევით. იშვიათად მინახავს მაგნაირი ხასიათი, — ეს პირმოთნეობათ არ ჩაითვალთ. იმასაც დავუმატებ: დარწმუნებული არა ვარ, გაატანთ ბოლომდი მაგ თქვენს წესს, თუ ორი-სამი წლის შემდეგ დაივიწყებთ? ახალგაზრდა ქალებს—როგორც ვაჟებს—ბევრი ამ ნაირი იდეალები აქვთ, საიციებოთ. ცხოვრებაში კი საითაც ქარი წაიტანს, იქეთ მიფრენენ.

— გავატან ბოლოს თუ არა ცხოვრებაში, ეს არც მე ვიცი. ვეცდები კი ძალიან. მართლა, ხომ კარგია ჩემი კანონი?

— მაცაღეთ, ცოტა მადროეთ ქების შეთხზვა: ფრანქფურტის უდიდესს მაედანზე ხალხს შეეყრი, შილლერის ძეგლზე შეეფორთხდები და მაღლიდამ თქვენს დიდებას წარმოეთქვამ. ასე დავიწყებ: „აქებდეთ მას ანგელოზთა დასნი“ თქო!...

— იხუმრეთ, რამდენიც გნებავთ, მაინც ვიტყვი, ეს სასარგებლო კანონია მეთქი. ვინც მას მტკიცედ დაიცავს, მუდამ თავისუფალი. ზედნიერი იქნება.

— დაუმატეთ, ვისაც ღონე აქვს და გამოსადეგი შრომა შეუსწავლია.

მაგას რა თქმა უნდა. ყველამ ისეთი რამ უნდა ისწავლოს. რაც ცხოვრებაში მას და მის მახლობელს გამოადგება. ვინ ოხერი მიაკვდება უსარგებლო, გამოუდევარ სწავლას?

— ის ოხერი, ვისაც სხვა სწავლას არ აღირსებენ. სწავლობს ბავშვი. სწავლობს მას, რასაც ასწავლიან. მან რა იცის, რომელი სწავლა გამოადგება, რომელი არა? ყოველგან თქვენსავით ათასგვარი სასწავლებელი როდია, რომ კაცმა თავის ნებაზე აირჩიოს სხვა-და-სხვა სწავლიდამ ის, რომელიც მოუხდება. ზოგან, ჩვენში მაგალითად, მთელ მხარეში მარტო ერთი სკოლაა. შიგ ყველამ ერთი და იგივე საგანი უნდა ისწავლოს, თუ არა და—ქვას თავი ახალოს.

— ეს ძნელია, ძალიან ძნელიაო. — წყნარად გამოთქვა ჩემმა მესაუბრემ. ცოტა ხნის შემდგომ მკითხა: ვინც ამ გასაჭირს გადაარჩენია, ის ვერ დაეხმარებო?

— რატომ ვერა, თუ სურვილი და მოხერხება ექნა. ამას მისი საკუთარი სარგებლობაც მოითხოვს. რაც უფრო შეძლებული და განათლებულია საზოგადოება, რომელშიაც კაცი ცხოვრობს. მით უფრო მტკიცე: უზრუნველი და ბედნიერია მისი საკუთარი მდგომარეობაც. მაშ მარტო თქვენი კანონი არ ყოფილა საკმაო ადამიანის სიკეთისათვის. ხეირიანი კაცი მახლობლის დამხმარე, ფეხზე დამყენებელი უნდა იყოს. მუდამ უნდა აუმჯობესებდეს თავის საზოგადოების ზნეს, აზრს, ცხოვრებას. უნდა ცდილობდეს რომ მის მახლობლებიდგან რიგიანი, შემძლე, პატიოსანი ხალხი გამოვიდეს. მარტო ამ ნაირ საზოგადოებაში შესაძლებელია კაცის ცხოვრება.

შევჩერდი, აქეთ-იქით მივიხედე. ცხარე ბაასს გავეტაცებინეთ: ისე ჩქარა გვევლო თურმე, რომ თანამოგზაურები შეუმჩნეველად შორს ჩამოგვარჩენოდა. ჩვენ წინ რომ ორი ქალიშვილი მიდიოდა, რძათთვისაც გავგვესწრო. ეხლა მათი ხმაც აღარ გვესმოდა.

— დავსხდეთ მოლზე, — ვუთხარი ჩემს მემუსაიფეს, — თქვენებს მოუცადოთ.

— მოცდას კაცი ყოველთვის მოესწრება, მაგრამ როგორც გნებავდესთ, დავსხდეთ!

გზის ახლო საუკეთესო ხე ავირჩიეთ და მის ძირში დავკეჩით.

— რა საზარელი გავლენა აქვს კერძო პირზე საზოგადოების უწყობას, შეგიძლიათ დაინახოთ ერთი შემთხვევიდამ, რომელიც უნებლიეთ მახსენდება, ჩვენ რომ ეხლა აქ, ტყეში, მარტო ვსხედვართ.

„მარშან ჩვენში ერთი ახალგაზრდა ქალი წავიდა, საზაფხულოთ, ქალაქიდან დაბაში, ბიძისა და ბიცოლის სანახავათ. უნდოდა მათსა „ვაკაციები“ გაეტარებია. ბიძის ოჯახში გაიცნო ამ ქალმა იმ დაბის საზოგადოება. ქალი უდედ-მამო, ობოლი განლდათ, თავს სამსახურიოთ ირჩენდა: სახელმწიფო სასწავლებელში ზედამხედველად. „პეპინიერკათ“ ითვლებოდა. ბიძის ნაცნობებს შუა ერთი მოხელე (чиновник) ერია. ეს კაცი ორმოცი, ორმოცდა ხუთი წლის იქნებოდა. მის პირის-სახეზე პრტყელ, გაგლესილ ცხვირ-პირზე, მის ზეთიან თვალებში თავმოწონების მეტი არა ჩანდა-რა. მის მიხვრამ-ჩაზვრამ და სიარულს რომ შეხედოთ, გეგონებათ — საბუქნაოთ ემზადება და მუხლებს ისინჯავსო. ხელები იმნაირათ უკავია მუდამ, იდექრებთ — ეს არის დონიჯს შემოიყრის და წამოიძახებს: „დახეთ, რა დარდიმანდი ვარო!“ როგორიც სახე, იმნაირი ხასიათიც: მედიდური, ტრახახა, ცრუპენტელა. ერთი სიტყვით, ღმერთს მისთვის არც შნო, არც ხეირი მიუნიკებია. კარგად მოგვხსენებათ, რაც უფრო უსუსურია კაცი, მით უფრო მალლათ მოაქვს თავი.

„მართალია, თქვენ რომ ამისთანა ვაჟბატონი შეგხვდესთ. ორ სიტყვასაც არ აღირსებთ. პატარა დაბაში კი ისიც კაცათ ითვლება. ეგეც უნდა მოგახსენო, ის ქალი, დახურულ სასწავლებელში გაზდილი, ცხოვრებაში სრულიად გამოუცდელი, ცხოვრების დამნახავი მარტო სასწავლებლის კირწასმულ ფანჯრებიდამ, სასწავლებლიდამ პირდაპირ ისეთ საზოგადოებაში გადავიდა, ბიძისას, სადაც ქალი, მეტადრე ახალგაზრდა, გასათხოვარი, კაცის ხმის გაცემას ვერც კი ბედავს. ადვილად მიხვდებით—რით უნდა გათავებულიყო ამ ქალის მოგზაურობა.

„ხელოსანი, რომელიც დავისახეთ, ხშირად დაიარებოდა თურმე ბიძის ოჯახში. ეხლა კი, რაკი დაინახა, რომ ახალმოსული ტურფა მას ადგილობრივ ქალებსავით როდი ერიდებოდა და უფრო თავისუფლად ეპყრობოდა (როგორც ეხლა ჩვენშიც „განათლებულ“ ქალებს აჩვევენ) მან თავი მეტათ მოიწონა და ყოველდღე დაიწყო სიარული. იმ ყრუ მხარეში ეს ჯერის-წერის წინამორბედ ნიშნათ ითვლება.

ორი-სამი კვირის შემდეგ მთელს დაბაში ხმა გაეარდა — ესა და ეს ვაებატონი ამა და ამ ქალს ირთავსო.

„ქალის ბიძამ მოხელეს უთხრა: ამ ნაირი ხმები დაღის, ძმაო, დაბაშიო, თუ, ვინცობაა, ჩემი ძმის-წულის შერთვას არ აპირებ, სჯობს ჩვენსა ცოტა უფრო იშვიათად იარო, რადგანაც ნაცნობობის ერთბაშით შეწყვეტა ქალის სახელს გასტეხსო. ვინ იცის, ბიძას იქნება ქეც სურდა მათი დაგვირგვინება: ეს მან და მისმა ღმერთმა იცის. ჩემს მოთხრობაში ამ ზრახვას მნიშვნელობა არა აქვს.

„ჩვენმა მოხელემ რაკი ეს გაიგონა, მაშინვე ერთბაშად ჩხირი მიატეხა ბიძის სახლს და იმრიგათ დაიწყო ქეცევა, თითქო მთელი ქვეყნისთვის უნდოდა ეჩვენებია—განათლებული ქალი მივატოვეო! „მიტოვებას“ ჩვენში სულ სხვა გავლენა აქვს, ვინემ თქვენსა, ან სხვა განათლებულ ქვეყნებში. აქ ორმოცმა კაცმა რომ მივატოვოს, თუ რამე ღირსება მოგეპოვებათ, საქმრო კიდევ აგიჩნდებათ: ამით თქვენ ვერავეინ დაგიწუნებთ. აქ ქალის ღირსება, სამკაული, საუნჯე მარტო „უმანკობაში“ კი არ მდგომარეობს. ქალიდამ ქმარი და საზოგადოება ბევრ სხვა თვისებასაც თხოულობს. ჩვენში კი ჭერ თითქმის არავის ესმის, თუ ქალს სხვა რამე ღირსება ეჭირვება და მოეთხოვება. რა გინდ ნიჭი, ჭკუა, ხასიათი, პატიოსნება ჰქონდეს ქალს, თუ კი ცილი შესწამეს, სახელი გაუტეხეს, თუნდ ყველამ იცოდეს, რომ ეს მარტო მტრობით, და არა ნამდვილი შეცდომით, მომხდარიყოს, მშვიდობით ქალის ბედო და მომავალო!

თქვენსა ქალს მოთხოვენ სწავლას, წესიერებას. ზრდილობას, ანგარიშაინობას, მეოჯახობას, შეილების რიგიან აზრდას. თუ ეს თვისებები გაქვთ — თქვენ ბედს ძალდი ვერ დაუყეფს. ჩვენში კი თავი და ბოლო — ძალდის ყეფვაა.

„მივატოვეო“ რომ ბიძამ გაიგო—ისიც ახირებული კაცია—ადგა და, როცა მოხელე გზაზე შეხვდა. ორიოდე ცხარე სილა, თუ ჯოხი. აქამა. შედგა ამაზე გამოძიება. ახალ სასამართლოსთვის ეს განცხრომა იყო. მოხელემ ათი თაბახი ქაღალდი გააჭრელა. ჩვენებაში, ამ ქალის „თავისუფალი ქეცვის“ აწერით. ოლონდ ის არ უთქვამს გული ვიჯერეო, თორემ სხვა როდი რამ დაჰკლებია. ატყდა ჭორიკანაობა, ქომავობა. როგორც მოგეხსენებათ ისეთი საზოგადოების ამბავი, რომელსაც ნამდვილი საზოგადო ცხოვრება არ ღირსებია და არავითარი საზოგადო საქმე ან ინტერესი არა აქვს. იქაური ვითო? განათლებული ხალხი ორ დასათ გაიყო. მათ შორის ბრძოლის ველათ უბედური ქალის სახელი შეიქნა. დაბიდამ ბრძოლა და ჭორი

მაზრაში გადავიდა, იქიდან — ქალაქში. დაბოლოვდა საქმე მით, რომ ქალმა „საქმრო“ და სახელი კი არა, სამსახურიც დაკარგა. ქალების სასწავლებელში ყბათაგდებულს ალაგი არა აქვსო. სახელგატეხილად ჩვენში იმას თვლიან, ვისზედაც ლაპარაკია ატეხილად იღლება საბრალო ქალი სამუდამოთ.

„ვისმე რომ ხანჯლით ამ ქალისთვის ნეკი მოეკვეთა. იმ კაცს ციმბირიდან ჩაინაზ ექიმიც კი ვერ იხსნიდა. თითის დაზიანება თურმე უფრო სასტიკი ცოდვა და ავაზაკობა ყოფილა, ვინემ ადამიანის სამუდამო გაუბედურება. ამ ქალის დაუბოლოებელი ტანჯვისთვის მის მეტი არავინ დასჯილა.

„ურიგო კაცი ყოველ საზოგადოებაში ურევია. საწყენი, გულსაკლავი ამ საქმეში თითონ საზოგადოების ზნე და ყოფაქცევაა. გეგონებათ. ამ შემთხვევის შემდეგ მოხელეს ნაცნობების კარი დაეკეტა, არავინ მას თავს აღარ უკრავს, ზოგი პირშიაც ჰკიცხავს? ასე მოექცეოდა ყოველი რიგიანი საზოგადოება. ჩვენში კი საქმე სულ სხვანაირად გათავდა. მოხელე ყოველგან უწინდლურათაა მიღებული. არა თუ უბრალო ხალხი, „განათლებულებიც“, უმაღლესს სასწავლებლებში ნასწავლნიც, ძველებურად მის მეგობრად რჩებიან. საწყალი ქალი კი ვისლა ახსოვს?“

მინამ ამ სიტყვებს ვამბობდი, წკეპლით ბალახს და ყვავილებს კვაფდი მოლზე: ასეთი ჩვეულება მაქვს, როცა ცუდ გუნებაზე ვარ. ამ მიზეზით. მოთბრობის დროს, ერთხელაც კი არ შემინედავს ჩემი მეზობლისთვის, რომ გავჩუმდი და მისკენ პირი მივიბრუნე, დავინახე მისი სახე სრულიად გამოცვლილიყო. მის ქორფა, მოწითალო ლოყებზე სისხლის ლანდიც აღარ ჩნდა. თვალებში შიგნიდან ცეცხლი ღვიოდა, და გარეთ კი ცრემლი მოცვარავდა. თმა აბურძგვოდა. ერთი პაწია შავი კავი ყურის წინ გადმოკიდებოდა, უფრო ფერმკრთალად აჩენდა მის სრულიად გაფითრებულ სახეს. მოსქო, ჩალურჯებული. ტუჩები ღიათ დარჩენოდა. მაგიერათ კბილების უმანკო რაზმები ესე მაგრა მოეჭირა ერთმანეთისთვის, რომ შემეშინდა, არ ჩაემტვრეს შეტქი.

მთავარ-ანგელოზს ჰგავდა მრისხანებით. ხმა-ამოუღებლად ისევ თავი ჩავლუნე და ხელახლავ წკეპლით ბალახის კაფვა განვაგრძე. — Bei gott im Himmel! (ზეციერს ღმერთს ვფიცავ!) წამოიძახა ბოლოს და წამოდგა ფეხზე: არ მეგონა, თუ ამისთანა ხალხი კიდევ სადმე იყო ქვეყანაზე!..

ფრანქჟურტი (შაინზე)

ივლისი 1869.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

*

კ ლ მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი

*

სახელთა საძიებელი

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

1. საყვარელნო მკითხველნო! ნიკო ნიკოლაძის პირველი ბეჭდური წერილია, გამოქვეყნებული ჟურნალ „ცისკარში“ 1860 წელს (№ 9, სექტემბერი). იგი წარმოადგენს ერთგვარ შესავალს ავტორის წერილისა „ხაბარდა და ლოტო ქუთაისში“. თავისი პირველი წერილისათვის ნიკო ნიკოლაძემ გამოიყენა ფსევდონიმი ქუთაისის მექორე (ერთი მებუკეთაგანი). აღსანიშნავი არის ერთი გარემოება: 1859 წლის თებერვლის „ცისკარში“ დაიბეჭდა წერილი სათაურით „გამოსარჩლება“, რომელსაც ხელმოწერის ადგილზე ეწერა ერთმეტი მებუკეთაგანი. წერილის დასაწყისში ჩამოთვლილია თერთმეტი მებუკეთაგანი: გადარეული, თავხედი, ყბედი, აყყია, გიჟმაჟი, ავგული, ბრაზიანი, დაუფერებელი, რეტიანი და მოლაყბე. ამათში მექორე, ისიც ქუთაისიდან, არ ურევია. ნიკო ნიკოლაძემ აიღო ერთი მებუკეთაგანი და დაუმატა „ქუთაისის მექორე“. ნიკო ნიკოლაძის „რჩეული ნაწერების“ პირველი წიგნის შენიშვნებში სიმონ ხუნდაძეს ჩამოთვლილი აქვს პუბლიცისტის ფსევდონიმები, რომელთაც ეს უკანასკნელი იყენებდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ბეჭდვით ორგანოში. მათ შორის პირველი „ქუთაისის მექორეა“, რომელზეც ს. ხუნდაძე წერდა — ამ ფსევდონიმით ნ. ნიკოლაძეს მოთავსებული აქვს რამდენიმე წერილი 1860 წლის „ცისკარში“. ს. ხუნდაძეს თავის მიერ წამოწყებული გამოცემის ხასიათის გამო „ქუთაისის მექორის“ ხელმოწერით არც ერთი წერილი ნიკოლაძის ნაწერების პირველ ტომში არ შეუტანია. ამ ფსევდონიმის შესახებ თვით ნიკო ნიკოლაძე წერდა 1914 წელს თავის „ავტობიოგრაფიაში“: „...
«...Литературную свою деятельность я начал, «ничто же сомнящееся», еще гимназистиком, напечатав в грузинском журнале «Цискари», в октябре 1860 года, диалог на тему: нужен ли нам грузинский язык?» (ეს „ავტობიოგრაფია“, რუსულ ენაზედ დაწერილი და ხელის საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი, ინახება სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში, ხელნაწერი № 15/39. იხ. აგრეთვე „ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი, ნაწილი პირველი“, შედგენილი

თამარ მაქვარიანისაგან, გვ. 38, აღწ № 292). ნ. ნიკოლაძეს ამ „აკტობიოგრაფიაში“ დასახელებული აქვს წერილი, რომელიც გამოქვეყნდა მისგან მითითებულ „ცისკარში“ და რომელსაც ხელს აწერს „ქუთაისის მექორე“. ეს წერილი ეხება (1860 წ., № 10 „ცისკარი“) სწორედ ქართული ენის მდგომარეობას და დაწერილია დიალოგის სახით. ცხადია, ამ ფსევდონიმით ხელმოწერილი წერილებიც გამოგზავნილი ქუთაისიდან, მას ეკუთვნის.

პირველი პუბლიკაციის შემდეგ ეს წერილი აღარსად დაბეჭდილა.

2. ხაზარდა და ლოტო ქუთაისში დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1860 წელს (№ 9), ხელმოწერილია ფსევდონიმით „ქუთაისის მექორე“.

3. ქუთაისის კორიკანაობა დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1860 წელს (№ 10), ხელმოწერილია ფსევდონიმით „ქუთაისის მექორე“. ამ წერილს გულისხმობდა ნ. ნიკოლაძე 1914 წელს დაწერილ თავის ავტობიოგრაფიულ წერილში, რომელიც გაუგზავნია ვლადიმერ ბაქრაძისათვის ფოთიდან 1914 წლის 7 იანვარს, პასუხად ამ უკანასკნელისაგან 1913 წლის 1 დეკემბერს. «Закавказская речья»-ში (№ 272) გამოქვეყნებული წერილის «Литературно-общественные заметки» (იხ. ნ. ნიკოლაძის არქივი, № 15/39).

4. პეტერბურგის მხარეზე (ნარკვევები სტუდენტთა ცხოვრებიდან) ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტურ-მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც 1862 წლის შემოდგომა-ზამთარში დაიბეჭდა რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების სატირულ ჟურნალში „ისკრა“. ამ ჟურნალის რედაქტორები იყვნენ რუსი პოეტი ვ. კუროჩინი და ნიკიერი კარიკატურისტი ნ. სტეპანოვი. ეს მოთხრობა დაიბეჭდა „იაკრის“ 1862 წლის მეთერთმეტე, მეორმეტე, ოცდამეორე და ოცდამეცხრე ნომერებში. ჟურნალის მეთერთმეტე და მეორმეტე ნომერში იგი ხელმოწერილია ფსევდონიმით გ. ს-ე ვ. ოცდამეორე ნომერში ხელმოწერულია, ხოლო ოცდამეცხრე ნომერში ხელმოწერილია. ხოლო ოცდამეცხრე ნომერში ხელმოწერილია ფსევდონიმით მ. გულიაე ვ. ამ მოთხრობის დაწერასა და გამოქვეყნებაზე თვით ნ. ნიკოლაძე შემდეგს წერს: „ჩერნიშევსკის ოჯახის წასვლის შემდეგ (ე. ი. 1862 წლის ივლისში, ჩერნიშევსკის დაპატიმრებისა და მისი ოჯახის სარატოვში გადასვლის შემდეგ — რედ.) მე საშინელმა სევდამ შემიპყრო: მე ისევ ჩემს პატარა ოთახში გადავედი. კითხვა არ შემეძლო, წამდაუწუმ ხან ამხანაგებთან ერთად და ხან მარტოდ მარტოდ დავდიოდი, ხან კოლპინოში, ხან პულკოვოში. რამდენიმე საათობით ვიჯექი ბოლმე იუორის მდინარის

ნაპირზე, ვიქერდი თევზებს და ამავე დროს ვეძლეოდი ფიქრებს იმ საბედისწერო საკითხების გამო, რომელნიც ჩემთვის აუხსნელია. დარჩა, მიუხედავად ყველა ჩემი მეცადინეობისა და გამოკითხვისა. რამდენი ხანი გავიდა ასე, არ მახსოვს. ამ ხნის განმავლობაში მე შესამჩნევად გავიზარდე. დაიწყო წვიმები და ძალაუნებურად მომიხდა სახლში ჯდომა. მაშინ მომივიდა აზრად დამეწერა მოთხრობა პეტერბურგის მხარის (იმდროინდელი პეტერბურგის ნაწილი, სადაც ცხოვრობდნენ უმთავრესად ხელმოკლე სტუდენტები — რედ.) ხელმოკლე სტუდენტების ცხოვრებიდან. ეს მოთხრობა „ისკრის“ რედაქციაში გავგზავნე. ორი კვირის შემდეგ მოთხრობა დაიბეჭდა“ (ნ. ნიკოლაძე, მოგონებანი სამოციან წლებზე, რჩეული ნაწერები, ტ. I, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, გვ. 142). ნ. ნიკოლაძის ეს თხზულება „ისკრის“ შემდეგ აღარსად დაბეჭდილა.

წ. პროვინციული სურათები. ნიკო ნიკოლაძის ეს ნაწარმოები წარმოადგენს ნახევრად პუბლიცისტურ მოთხრობას, რომელიც მიძღვნილია ქალთა აღზრდისა და ბედის საკითხისადმი. თავისი მსოფლმხედველობის შესაბამისად, ნ. ნიკოლაძე ცალკეული პიროვნებისა და საზოგადოების ცხოვრებაში, მის პროგრესსა და გარდაქმნაში უდიდეს როლს ანიჭებდა აღზრდას. ამ მოთხრობის მთავარი გმირის, — ელენე ლეკიმოვის ბედიც, ავტორს დაკავშირებული აქვს აღზრდასთან, შემდეგ კი დაქორწინებისა და ცხოვრების იმ არახელსაყრელ პირობებთან, რომლებშიაც იგი იმყოფებოდა. როგორც მოთხრობის შინაარსიდან, ისე მოქმედების მთავარი ადგილის დასახელებიდან (ავტორი შენიშნავს, რომ მოქმედება წარმოებს ერთ საგუბერნიო ქალაქში, სახელწოდებით „ფიტი“ («Фити»). რაც შემოკლებულ და შებრუნებულ «Тиф»-ს ე. ი. «Тифлис»-ს ნიშნავს) ჩანს, რომ მოქმედება ჩვენში უნდა წარმოებდეს. ნ. ნიკოლაძის ერთი დოკუმენტიდან („მოგონებანი სამოციან წლებზე“) ირკვევა, რომ ზემოხსენებული მოთხრობის წარმოშობა ერთგვარად დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ჟურნალ „ისკრის“ რედაქტორის, ნიკო ნიკოლაძის მეგობრის, ცნობილი პოეტის ვ. ს. კუროჩკინის ყოფა-ცხოვრებასთან. ამაზე მიუთითებს, ჩვენის აზრით, „მოგონების“ შემდეგი ადგილი: „ერთხელ პეტერბურგიდან შუალამისას დაბრუნებული (პავლოვსკში—რედ.) მე წავაწყდი კუროჩკინს, რომელმაც ქალაქში მიმავალ მეგობრებს ეთხოვებოდა. როცა მათი მატარებელი დაიძრა, კუროჩკინს ფეხი აუცდა; ის კინაღამ ბორბლების ქვეშ მოჰყვა. მე შევაკავე და როცა დავინახე, რომ ფეხზე ვერ იდგა, ძლივს-ძლივობით დავსვი „დროშაზე“ და სახლში წვადიყვანე. სახლში მისმა ხასამ მადლობის მაგიერათ ვაკაკატურის ბოხის ხმით ლანძღვა-გინება დაი-

წყო: „...საყოფა ადამიანს ათრობთ და მის ხარჯით ქეიფობთო“! და სხვ. მე მაინც დავეხმარე, რომ ის კიბეზე აეყვანა, გაეხადა და ლოგინში ჩაეწვინა. ამ გვარია, — ვფიქრობდი მე გზაში, — ადამიანების უსამართლობა! მაგრამ მაშინვე გადავედი იმ აზრზე, თუ როგორ შეუძლიათ ისეთ მაღალი ნიჭის პატრონებს, როგორც კუროჩკინია, ცხოვრება ამისთანა გარპიებთან. როცა ქვეყანაზე იმდენია მათი ღირსი ანგელოზები, აი თუნდ, მაგალითად, მინადორა სოკრატოვნა (ოლგა სოკრატის ასულ ჩერნიშევსკის დაი), რომელიც იძულებულია იცხოვროს მიყრუებულ ალაგას, სადაც არც კი ვის ესმის, რა უძირო სიყვარულის ზღვა არის მისი წმინდა გული! მე კიდეც დავაპირე დამეწერა მოთხრობა ამ თემაზე. თუ როგორ ილუპება ნიჭიერი ხალხი შეუსაბამი ცოლქმრობისაგან. მაგრამ, სწორედ ამ დროს (ე. ი. 1862 წლის აგვისტოში) ნ. ნიკოლაძე პეტერბურგიდან თბილისს გამოემგზავრა. დროებით გადადებული მოთხრობის წერა მან დაიწყო 1863 წელს, როდესაც საქართველოდან ისევ პეტერბურგს დაბრუნდა. ეს მოთხრობა მან გამოაქვეყნა ჟურნალ „სოვრემენნიკში“ 1864 წლის აგვისტოში (№ 8), იგი ხელმოწერილია ასე ZZ და მიუძღვნა ოლა ბესარიონის ასულ ხელთუფლიშვილს (1846—1916), თავის დეიდაშვილს (მოთხრობას სათაურის შემდეგ უწერია «Посвящается О. В. Х-ой»). 1949 წელს გამოსულა „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ («Литературное наследство») 53-54 ტომში, რომელიც მიეძღვნა ნ. ა. ნეკრასოვს, დაბეჭდილია მისი საერთაშორისო და საგამომცემლო მოღვაწეობის აღმნიშვნელი მასალები, რომელთა შორის ს. რეისერის პუბლიკაციით გამოქვეყნებულია „სოვრემენნიკის“ საჰონორარო უწყისი“ («Гонимые ведомости «Современника»), რომელშიც აღნიშნულია, რომ პროვინციული სურათები“ ნ. ნიკოლაძისა და მასში ჰონორარი აღებული აქვს 150 მანეთი. ნ. ნიკოლაძის ამ ნაწარმოების „სოვრემენნიკში“ გამოქვეყნებაზე წერილი დაბეჭდა აგრეთვე ვანო შადურმა 1950 წელს „ზარია ვოსტოკში“ (№ 79), სათაურით «Н. Я. Николадзе и «Современник».

„პროვინციული სურათები“ შემდეგ აღარსად დაბეჭდილა.

ნ. ნიკოლაძის ეს მოთხრობა საერთოდ ქართველი მწერლის მიერ „სოვრემენნიკში“ გამოქვეყნებული მხატვრული ჟანრის პირველი ნაწარმოები იყო. ამაზე ადრე იმავე ჟურნალში დაიბეჭდა მხოლოდ ერთი ქართველი მწერლის, ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის ეთნოგრაფიული ხასიათის წერილი „Цены из грузинской жизни“ (იხ. „სოვრემენნიკი“, 1851 წ., № 1 და 2. ეს სტენები ჯერ თბილისში დაიბეჭდა 1850 წელს გაზეთ „კავკაზში“ (№ 91—93), ხოლო უფრო ვრცელი „სოვრემენნიკში“).

6. რუსული უფრნალისტიკის მიმოხილვა დაიბეჭდა გაზეთ „ნაროდნოე ბოგატსტვოში“ («Народное богатство») 1864 წელს, ორ ნომერში (№ 19 და № 22), რომლისათვისაც ნ. ნიკოლაძეს გამოუუქნებია თავისი ცნობილი ფსევდონიმი „ნ. სკანდელი“ (აღებული სოფ. სკანდელიდან: „ბაბუა-ჩემი (მამი ჩემის მხრით) აბაშიძეების უნა ყოფილა, როგორც თითქმის ყველა ნიკოლაძეები, ის ზემო იმერეთშიც სოფრობდა სოფელ სკანდეს...“ წერდა ნ. ნიკოლაძე მოგონებებში). გაზეთი „ნაროდნოე ბოგატსტვო“ გამოდიოდა პეტერბურგში 1862 წლის ნოემბრიდან 1865 წლამდე. ი. ბალაბინის რედაქციით, რომელშიც ნ. ნიკოლაძე თანამშრომლობდა იწყება 1864 წლის დანდევნიდან. ნ. ნიკოლაძე „ავტობიოგრაფიაში“ წერდა, რომ სტუდენტობისას ვედიდი კალამს „ისკრაში“, „სოვერემენნიკში“ და განსაკუთრებით გაზეთ „ნაროდნოე ბოგატსტვოში“. რომელსაც სცემდა ბალაბინი (ნ. ნიკოლაძეს შეცდომით ბილიბინი უწერია—რედ.), რუსეთს ყოფილი ელჩი ვენაშო. ნ. ნიკოლაძე წერდა, რომ წინააღმდეგ მისი სახელწოდებისა, გაზეთი იობსავით ღარიბი იყო, რაც მე სრულიად არ მიშლიდა ხელს ყოველდღიურად. ზამთარში, უპალტოოდ ვამერბოხა რამდენიმე კლომეტრი ჩემი ოთახიდან სტამბამდე და ღამეები მეტეხა კორექტურაზე, წერაში. ცენზურისაგან ამოღებული ადგილების შევსებაში: «Мало по малу — განაგრძობს ნ. ნიკოლაძე, — будучи попеременно и сотрудником, и корректором, и наборщиком, и экспедитором газеты, я, сам не знаю как, очутился ее фактическим редактором, вероятно за недосугом и безденежьем ее издателя. Под конец я был и переводчиком, и критиком, и фельетонистом газеты, приводившим издателя в восторг, конечно, не столько содержанием своих статей, сколько их дешевизной и бесплатностью» (იხ. ნ. ნიკოლაძის „ავტობიოგრაფია“, აგრეთვე ალ. ქუთელიას წერილი „ნ. ნიკოლაძის უცნობი წერილები „ნაროდნოე ბოგატსტვოს“ ფურცლებზე“, ლიტერატურული გაზეთი, 1953 წ., № 41). ნ. ნიკოლაძე ავტობიოგრაფიაში წერს, რომ ამ გაზეთში გაჩნდა მისი ფსევდონიმი სკანდელი და რომ მისმა წერილებმა მიიქციეს მკითხველთა, და, რაც მთავარია, ცენზურის ყურადღება, რასაც შედეგად გაზეთის დახურვა მოჰყვა.

ნ. ნიკოლაძის ეს წერილი შემდეგ აღარსად დაბეჭდილა.

7. რამდენიმე სიტყვა ერთი მეტად ძველი საკითხის გამო წარმოადგენს რეცენზიას ცნობილი ისტორიკოსის ზიბელის წიგნზე „საფრანგეთის რევოლუციის ისტორია“, რომელიც რუსულ ენაზე იყო ნათარგმნი ოსოსოვის რედაქციით. როგორც ჩანს, ეს წერილი გაგრძელებებით უნდა დაბეჭდილიყო სამ ფელეტონად გაზეთ „ნა-

როდნოე ბოგატსტვოში“. დაიბეჭდა მხოლოდ ორი ნაწილი. პირველი 1864 წლის 3 თებერვალს (№ 28), სოლო მეორე — 6 თებერვალს (№ 30). მეორე წეოილს ბოლოში უწერია — „გაგრძელება იქნება“. მაგრამ ეა გაგრძელება, ჩვენთვისა გაურკვეველი მიზეზების გამო, აღარ გამოქვეყნებულა.

6. ნიკოლაძის ეს წერილი შემდეგ აღარსად დაბეჭდილა.

8. ბოკლი და ქალთა საკითხი წარმოდგენს ბოკლის ბროშურის „ქალთა გავლენა ცოდნის წარმატებაზე“ რუსული თარგმანის განხილვას (მთარგმნელი სტეფანე ბუინიციკი). დაიბეჭდა ივი „ნაროდნოე ბოგატსტვოში“ ხელმოუწერლად 1864 წლის 14 მარტს (№ 59). ეს წერილი რომ ნ. ნიკოლაძისაა, ჩანს „ნაროდნოე ბოგატსტვოს“ მომდევნო ნომრებში დაბეჭდილი წერილის (იულიან შმიდტის XIX საუკუნის ინგლისური ლიტერატურის მიმოხილვა) ერთი ადგილიდან, სადაც წერია: „ახლა კი ეს ბროშურა არაფრით გამოირჩევა ბოკლის ბროშურისაგან „ქალთა გავლენა ცოდნის წარმატებაზე“, რომელზედაც ჩვენ ვილაპარაკეთ ჩვენი გაზეთის წინა ფელეტონში. როგორც ის, ისე ეს ბროშურა, ეტყობა, გამოცემულია მოგების მიზნით“ (ამაზე იხ. აღ. ქუთელიას წერილი „ნ. ნიკოლაძის უცნობი წერილები გაზეთ „ნაროდნოე ბოგატსტვოს“ ფურცლებზე“, ლიტერატურული გაზეთი, 1953 წ., № 41).

6. ნიკოლაძის ეს წერილი შემდეგ აღარსად დაბეჭდილა.

9. იულიან შმიდტის XIX საუკუნის ინგლისური ლიტერატურის მიმოხილვა დაიბეჭდა „ნაროდნოე ბოგატსტვოში“ 1864 წლის მარტის 22-ს (№ 66), ხელმოწერით ნ. სკანდელი.

6. ნიკოლაძის ეს წერილი შემდეგ აღარსად დაბეჭდილა.

10. ცნობები კავკასიაზე დაიბეჭდა გაზეთ „ნაროდნოე ბოგატსტვოში“ 1864 წლის 25 აგვისტოს (№ 188). წერილში ავტორი ეხება უმთავრესად ფოთის, როგორც სანავსადგურო ქალაქის მოძავალს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ-საეაქრო ცხოვრებაში.

6. ნიკოლაძის ეს წერილი შემდეგ აღარსად დაბეჭდილა.

11. პიერ-უოზეფ პრუდონი დაიბეჭდა გაზეთ „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტ“-ში 1865 წლის 21 იანვარს. წერილი პეტერბურგში გამოგზავნილია პარიზიდან, სადაც ნ. ნიკოლაძე 1864 წლის შემოდგომაზე წავიდა. წერილი დაწერილია 1865 წლის 13(25) იანვარს. „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტი“ ერთ-ერთი უძველესი გაზეთი რუსეთში, გამოდიოდა იგი 1728 წლიდან 1917 წლამდე. ნ. ნიკოლაძის წერილის დაბეჭდვისას გაზეთს რედაქტორობდა ვ. ფ. კორში. წერილს ხელმოწერის ადგილზე აწერია:

* * * e (სამი ვარსკვლავი და რუსული ასო ე). ამ წერილთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძე თავის „ავტობიოგრაფიაში“ წერს: «За ту зиму и весной 1865 года Герцен навещал меня во время каждого своего проезда через Париж. В то время он перебирался на постоянное жительство из Лондона в Женеву и часто бывал в Париже. Помню, завезя ко мне Евг. Ис. Утина, впоследствии ставшего известным публицистом «Вестника Европы», и застав меня за сочинением фельетона для «С.-Петербургских ведомостей» (Корша) о смерти и похоронах Прудона, он много смеялся над моей манерой работы. Увидя меня окруженным массой сочинений Прудона и о Прудоне, и убедившись, что я их прочел, он предсказал мне, что состояния я себе не составлю писаниями, если столько буду к ним готовиться. Когда он прочел ту мою статью в газете, он очень горячо оспаривал высказанные в ней мысли и находил их несправедливыми. Эта же статья заслужила лестный отзыв философа П. Л. Лаврова, целиком перепечатавшего ее в «Заграничном Вестнике»... ნ. ნიკოლაძის ეს წერილი „ზაგრანიჩნი ვესტნიკში“ გადაიბეჭდა 1865 წელსვე. მეხუთე ტომში, გვ. 373 — 382, საიდანაც ითარგმნა და დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის „რჩეული ნაწერების“ პირველ ტომში სიმონ ხუნდაძის მიერ 1931 წელს. სათაურით „პრუდონის გარდაცვალების გამო“. პ. ლავროვის ჟურნალში ნ. ნიკოლაძის წერილი მთლად არაა გადაბეჭდილი, არამედ შემოკლებით, ამიტომაც ს. ხუნდაძის გამოქვეყნებული ამ წერილის ტექსტი ნაკლულია. ს. ხუნდაძე წერდა, რომ „ზაგრანიჩნი ვესტნიკის“ რედაქტორი პ. ლავროვი ნ. ნიკოლაძის წერილს „შესანიშნავ სტატიას“ უწოდებს, რომელიც კარგად ახ.ს.ი.ათებს პრუდონის ცხოვრებასა და აზროვნებასო. პ. ლავროვის, პრუდონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კარგად მცოდნეს; საჭიროდ დაუნახავს თავის ჟურნალში ნ. ნიკოლაძის წერილის გადაბეჭდვა (ნ. ნიკოლაძე „ავტობიოგრაფიაში“ წერს: «А известно, что сам Лавров не мало писал о Прудоне и прекрасно знал его сочинения»).

ნ. ნიკოლაძის წერილი ამ გამოცემისათვის ხელახლა ითარგმნა. განსხვავებით წინა ქართული გამოცემისაგან, წერილის სათაური და მთელი ტექსტი აღდგენილია რუსული პირველნაბეჭდის მიხედვით.

12, 13. წერილები ივარგეს 1865 წლის 25 აპრილს და 14 მაისს

ნიკო ნიკოლაძის ეს კერძო წერილები, რომელთაც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ როგორც რუსეთისა და საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის დასახასიათებლად. ისე ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობისა და აზროვნების გასაგებად, თავისი ზასიათით სცილდებიან კერძო ბარათებს, ამიტომაც

ისინი მოთავსებულია პუბლიცისტისა და კრიტიკოსის სხვა ნაწერთა შორის. ნ. ნიკოლაძის ეს წერილები 1954 წლამდე უცნობი იყო, ისინი ინახებოდა გერცენის ქალაქლებთან ერთად პრადანო. ეს ა. ჭივი 1945 წელს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკამ საჩუქრად უძღვნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიას და ახლა ინახება ოქტომბრის რევოლუციისა და სსრკ-ში სოციალისტური მშენებლობის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (აშის შესახებ იხ. «Литературное наследство», ტ. 611, 1953 წ., «Герцен и Огарев»). ნიკო ნიკოლაძის წერილები პირველად დაბეჭდა „ლიტერატურნოე ნასლედსტვოს“ სამოცდამეერთე ტომში (ტ. 61111), 1955 წელს, რომელიც მიეძღვნა გერცენისა და ოგარევი ე. წ. „პრადის კოლექციის“ პუბლიკაციას. ნიკო ნიკოლაძის წერილების მიმოხილვა და კომენტარები ეკუთვნის ი. ჩიონიას. „პრადის კოლექციის“ ნიკოლაძისეული მასალის შესახებ წერილი დაბეჭდა ვლადიმერ ზამბახიძემ 1955 წელს ჟურნალ „მნათობში“ (№ 12) — „ნიკო ნიკოლაძის ახლად გამოქვეყნებული წერილები“. ნ. ნიკოლაძის ამ წერილებით ირკვევა „კოლოკოლის“ რედაქციაში ნ. ნიკოლაძის მიხვლისა და შემდეგ იქიდან წააქვლის მიზეზები. ა. გეოცენი 1865 წლის 16 მარტს ჩავიდა პარიზში და შეუდგა ნ. ნიკოლაძის ძებნას და 21 მარტს ჰქონდა მასთან მოლაპარაკება, რაზეც ნ. ნიკოლაძე თავის „ავტობიოგრაფიაში“ წერს: „1864 წლის შემოდგომაზე მე საზღვარგარეთ, პარიზში გამგზავრება მოვახერხე... წლის ბოლოს, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, მე იქ მომძებნა ა. ი. გერცენმა, რომლის გამოჩენამ ლათინური უბნის ვიწრო და გამჟვარტლულ ქუჩაზე მდებარე სახლის მანსარდში უდიდესი სენსაცია გამოიწვია... იმ ზამთარს და 1865 წლის გაზაფხულზე გერცენი ყოველთვის მინახულედა ხოლმე პარიზზე გავლით მგზავრობისას...“ გერცენს სურდა ნიკო ნიკოლაძე თავისი გაზეთის თანამშრომლად ჰყოლოდა. გერცენის შემდეგ ნიკოლაძეს შეხვდა ოგარევი, იმ თემატიკის დასაზუსტებლად, რომელზედაც წერილები უნდა დაეწერა ქართველ პუბლიცისტს და მიეწოდებინა „კოლოკოლისათვის“, რომლის რედაქციასთან მოლაპარაკების საფუძველზე ნიკოლაძემ დაწერა სტატია „გლებთა განთავისუფლება საქართველოში“. ნ. ნიკოლაძე საყოფაცხოვრებო საკითხების შესახებაც წერდა ოგარევს, კერძოდ, საქართველოდან ფულის მიღებამდე დახმარებას თხოვდა მას. ნიკოლაძის ეს თხოვნა გერცენსა და ოგარევს შეუსრულებიათ და ლონდონიდან პარიზში მისთვის „საერთო ფონდიდან“ 100 ფრანკი გაუგზავნიათ, რის მიღებაც ნიკოლაძეს მეტად გახარებია. ეს „საერთო ფონდი“ გერცენისა და ოგარევის თაოსნობით იყო შექმნილი 1862 წელს „კოლოკოლის“ რედაქციაში და იმ

შემოწირულებიდან შედგებოდა, რომლებიც „საერთო რუსულ საქმეს“ უნდა მოხმარებოდა. ამ ფონდიდან დახმარებას იღებდნენ ისინი, რომელთაც გარკვეული დამსახურება მიუძღოდათ რევოლუციის წინაშე. სწორედ ამიტომ, ახალგაზრდა ნიკოლაძისათვის 100 ფრანკის გაგზავნა „საერთო ფონდიდან“, რომელიც იმ დროს, თვით „კოლოკოლის“ განცხადებით, გასაჭირს განიცდიდა, თავისთავად ნიშნავდა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის წინაშე ქართველი სამოციანელის საგულისხმო დახმარების აღიარებას, ხოლო ეს გასაგებს ხდის ნიკოლაძის სიტყვებს, რომ „ჩემთვის ეს მეტად მნიშვნელოვანიაო“ (1865 წლის 14 მაისის წერილი ოგარეეს). ეს წერილი, გარდა იმისა, რომ გამოწვეულია „კოლოკოლში“ გასაგზავნი წერილის დაგვიანების გამო ბოდიშით, მნიშვნელოვანია ერთი ცნობითაც, რომელსაც ნ. ნიკოლაძე აწვდის „კოლოკოლის“ რედაქციას. უცხოეთში მყოფ ნ. ნიკოლაძეს მკვიდრო კავშირი ჰქონია რუსეთსა და საქართველოში მცხოვრებ მოღვაწეებთან, რომლებიც დროგამოშვებით აწვდიდნენ სხვადასხვა საჭირო ცნობას. ერთი ასეთი კორესპონდენტი ნიკოლაძისა კირილე ლორთქიფანიძე ყოფილა. ამავე წერილიდან ჩანს, რომ ნიკოლაძეს საქართველოდან მიუღია ცნობა ვითომცდა „ახალგაზრდა საქართველოს და ახალგაზრდა სომხეთის“ საიდუმლო საზოგადოების არსებობაზე და ეს მას „კოლოკოლისათვის“ გაუგზავნია იმ მიზნით, რომ, როგორც ამ წერილში წერდა, რედაქციას „ბუზის სახე დაებრუნებია სპილოდ გადაქცეულ იმ ბუზისათვის“, რაც დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს მიუცია ორიოდ მოსწავლისა და სტუდენტის ჯგუფისათვის. გერცენმა ნიკოლაძის ეს ცნობა მართლაც გამოიყენა და „კოლოკოლში“ დაბეჭდა „მიხეილები და მიხეილ ნიკოლაევიჩები“ (1865 წ., 25 მაისი, № 197), რომელშიც მან განმგმირავი სარკაზმით დასცინა მიხეილ მურავიოვს, მიხეილ კატკოვსა და დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს. „ამას წინათ, — წერდა გერცენი, — მიხეილ კავკასკიმ დიდი უბედურება ააცდინა რუსეთს: მან „ახალგაზრდა საქართველოსი და ახალგაზრდა სომხეთის“ ფარული საზოგადოების შემქმნელი ორი-სამი გიმნაზიელი აღმოაჩინა და ამის შემდეგ პეტერბურგში კიდევ ვიღაც ქართველი სტუდენტები დააპატიმრეს. რა გვეშველებოდა, რომ არა მისი სიფრთხილე“, — ირონიულად ამთავრებდა წერილს გერცენი, რათა ამით ერთხელ კიდევ ხაზი გაესვა იმისათვის, რომ „აღმოჩენილი უეთქმულება“ მეფის მთავრობისაგან ხელოვნურად გაბერილი ამბავი იყო.

1865 წლის 12 ივნისის წერილი გამოწვეულია გერცენის „წერილით იმპერატორ ალექსანდრე მეორისადმი“. ამ წერილს მოჰყვა გერცენის კრიტიკა „ახალგაზრდა ემიგრაციისაგან“ და, სხვათა შო-

რის, ნიკოლაძისაგანაც. გერცენის ამ წერილმა შეცვალა დამოკიდებულება „კოლოკოლსა“ და ნ. ნიკოლაძეს შორის. ნიკოლაძის ამ წერილის საპასუხოდ „კოლოკოლში“ (1865 წელი, 15 ივლისი, № 200) დაიბეჭდა ნ. ოგარევის „ისკანდერის წერილის გამო მეფისადმი. წერილი №№-ს“, რომელშიც იგი ცდილობს გერცენის მოქმედების გამართლებას. „კოლოკოლის“ ეს ნომერი ოგარევის ნიკოლაძისათვის გაუგზავნია პარიზს, მას სურდა კერძო მიწერ-მოწერაში გამართული პოლემიკა პრესაში გადაეტანა, მაგრამ ნიკოლაძე ამაზე არ დათანხმდა, რადგან მაშინ მას მოუხდებოდა ზოგ რამეში ახალგაზრდების გაკრიტიკებაც, მათ კი რეაქციული პრესა მიხეილ კატკოვის მეთაურობით სასტიკად სდევნიდა.

1865 წლის 1 ოქტომბერს მიწერილი წერილი გერცენის მიმართ გამოწვეულია „კოლოკოლში“ (იმავე № 205) დაბეჭდილი მიმართებით „გამომცემელთაგან“, რომ, ვისაც კი რამე ცნობა მოეპოვება მიხეილ ლარიონის ძე მიხაილოვის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებზე, გვაცნობოსო. ამ დროს ნიკო ნიკოლაძეც ყენევაში ცხოვრობდა და გერცენის „კოლოკოლიც“ იმ ქალაქში იბეჭდებოდა (1865 წლის 25 მაისიდან).

13. გლეხთა განთავისუფლება საქართველოში დაიბეჭდა 1865 წლის „კოლოკოლში“ 15 ივნისისა (№ 198) და 1 ივლისის (№ 199) ნომრებში. რ ი ო ნ ე ლ ი ს ფსევდონიმით. ნ. ნიკოლაძე „ავტობიოგრაფიაში“ წერს, რომ გერცენმა იგი დაითანხმა „კოლოკოლისათვის“ დაეწერა სტატია გლეხთა განთავისუფლებაზე საქართველოში. „...მე დიდხანს უარზე ვიდექი, მაგრამ... ბოლოს მაინც მძლია მისმა სიყვარულმა და მივეცი სტატია“. ნ. ნიკოლაძეს სტატია „კოლოკოლში“ პარიზიდან ყენევაში გაუგზავნია 1865 წლის 14 მაისს. გერცენს ისე მოსწონებია იგი, რომ წაკითხვისთანავე ოგარევისათვის მოუწერია: „ქართული სტატია ძლიერ კარგია“. ნ. ნიკოლაძე სტატიის გაგზავნისას ოგარევის წერდა: „რაც შეეხება ჩემს პატარა წერილს გლეხთა განთავისუფლებაზე, მეტად დამავალბთ, თუ შეწუხდებით და მას დაურთავთ ან მცირე წინასიტყვაობას, ან შენიშვნას, რაც მას მეტად და მეტად ესაჭიროება“, მაგრამ „კოლოკოლში“ ეს სტატია ყოველგვარი წინასიტყვაობისა და შენიშვნის გარეშე დაიბეჭდა. ნ. ნიკოლაძე „ავტობიოგრაფიაში“ წერს, რომ გერცენს მე მივეცი სტატია, რომელმაც მაშინდელი ბეჭდვითი სიტყვის არყის კიქაში ქარიშხალი გამოიწვიაო. ნ. ნიკოლაძე აქ გულისხმობს იმ კაპატს, რაც მოჰყვა სტატიას „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“ ერთის მხრით კატკოვსა და მეორე მხრიდან დიმიტრი ყიფიანს შორის.

„გლებთა განთავისუფლება საქართველოში“ ქართულად დაიბეჭდა სიმონ ხუნდაძის რედაქციით გამოცემულ ნიკო ნიკოლაძის „რჩეული ნაწერების“ პირველ ტომში (გვ. 161—184), საიდანაც გადმოიბეჭდა ამ ტომში მცირე რედაქციული ცვლილებებით.

15. წერილი ოგარევს 1865 წელს 12 ივნისს იხ. შენიშვნა 12.

16. წერილი ოგარევს 1865 წლის 22 ივლისს იხ. შენიშვნა 12.

17. ჩვენი მომავალი ვეჭილები გაზეთ „მოსკოვსკოე ვედომოსტის“ სამსჯავროს წინაშე დაიბეჭდა „კოლოკოლში“ 1865 წელს 1 აგვისტოს (№ 201), Рѣш Нелѣ-ს ფსევდონიმით. ქართული თარგმანი პირველად გამოაქვეყნა სიმონ ხუნდაძემ „რჩეული ნაწერების“ პირველ ტომში (გვ. 185—192).

18. თბილისიდან დაიბეჭდა „კოლოკოლში“ 1865 წლის 15 სექტემბრის ნომერში. ამ დროს ნ. ნიკოლაძე „კოლოკოლის“ უახლოესი თანამშრომელია. წერილი გამოქვეყნებულია ხელმოუწერლად, რაც არაიშვიათი შემთხვევა იყო ნ. ნიკოლაძის სამწერლო პრაქტიკაში. წერილი არსებითად ეხება „იენისის დღეებს“, რომელთაც ასე მგზნებარედ გამოეხმაურა მაშინ ნ. ნიკოლაძე. როგორც შინაარსით, ისე ფაქტების ანალიზითა და ამის საფუძველზე მიღებული დასკვნების ხასიათით, აგრეთვე წერის საერთო სტილით უეჭვო ხდება, რომ წერილი ნ. ნიკოლაძის კალამს ეკუთვნის.

თქმა არ უნდა, რომ მასალები წერილისათვის „თბილისიდან“, ისე როგორც დანარჩენი ამგვარი წერილებისათვის, ნ. ნიკოლაძეს მიღებული ექნებოდა საქართველოდან.

ცნობილია, რომ „იენისის დღეები თბილისში“ ნ. ნიკოლაძემ დაწერა 1865 წლის 9 სექტემბერს, ხოლო იგი „კოლოკოლში“ გამოქვეყნდა იმავე წლის 15 სექტემბერს. ჟურნალის იმავე ნომერში დაბეჭდილია „თბილისიდან“, რომელშიაც „იენისის დღეების“ ცალკეულ ფაქტიურ მომენტებზეა ლაპარაკი. დგება კითხვა: რატომ არ შეიძლებოდა ის ფაქტები, რომლებიც მოხსენებულია სტატიაში „თბილისიდან“, ავტორს გამოეყენებინა წერილში „იენისის დღეები თბილისში“ და სტატია „თბილისიდან“ ცალკე არ დაებეჭდა? ამ კითხვაზე ჩვენ შეგვიძლია ვუპასუხოთ შემდეგნაირად. სავარაუდოებელია, რომ ის ცნობები, რომელთა შესახებ ლაპარაკია წერილში „თბილისიდან“, ნ. ნიკოლაძემ მიიღო დამატებით და იმ დროს, როდესაც წერილი „იენისის დღეები“ მას უკვე გამზადებული ჰქონდა. ამ წერილში ახალი ფაქტების ჩამატება მოითხოვდა მის ძირეულად გადაკეთებას, რისთვისაც ყოველ ავტორს, ჩვეულებ-

რე მტეი დრო და ენერგია სჭირდება. ვიდრე ახლის დასაწერად. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ „ტექნიკური“ მიზეზის გამო არჩიონ. ნიკოლაძემ ახალი წერილის გამოქვეყნება. მეორეც, „ივნი-სის დღეებზე“ წერილების სიმრავლე „კოლოკოლში“ ერთ-გვარად ხელს შეუწყობდა მომხდარი ფაქტის საზოგადოებრივ-პო-ლიტიკური რეზონანსის გაძლიერებას და ამითი მთავრობას მეტად ჩააფიქრებდა მის გამომწვევ მიზეზებზე.

მაგრამ წერილის „თბილისიდან“ ცალკე გამოქვეყნების მთავარი მიზეზი მაინც სხვა უნდა ყოფილიყო. იგი, ჩვენის აზრით, შეეხებო-ბო დაპირებას, რომელიც ადრე მთავრობას მიუცია ამქრებისა და ხალხისათვის, ხოლო შემდეგში მასზე უარი უთქვამს (იხ. წერილი „ივნი-სის დღეები თბილისში“). წერილში „ივნი-სის დღეები თბილის-ში“ ნ. ნიკოლაძე წერდა: „ამ მოთხოვნილებამ (ე. ი. ქალაქის საარ-ჩევნო მმართველობის ორგანიზაციის შესახებ — რედ.) რომელიც ამქრებმა გამოსთქვეს და რომელსაც მუშებმა მხარი დაუჭირეს, მიკიბულ-მოკიბული დაპირება გამოიწვია: მიღებულ იქნეს მხედვე-ლობაში და მოხსენდება მის უმაღლესობას, დიდ მთავარს მეფის ნაცვალსო. ამ დაპირების გამო, რომელსაც თან მოჰყვა გადასახადე-ბის აკრფვის გადადების პირობა, ქუჩებში არეულობა შეწყდა“.

როგორც ჩანს, მთავრობას, ამ დაპირების შემწეობით სიწყნარის ჩამოგდებისთანავე, თავის სიტყვის შესრულებაზე უარი უთქვამს. ეს ამბავი კი სასწრაფოდ შეატყობინეს ნ. ნიკოლაძეს, რომელმაც დაუყოვნებლივ დასწერა წერილი „თბილისიდან“, რომელშიაც უღშობლად ამხილა მეფის მთავრობის სიცრუე და ვერაგობა, რათა ამით მორიგი ლახვარი ჩაეცა მისთვის. როგორც ვიცით ამ წერილში ნ. ნიკოლაძე წერდა: „...მიუხედავად დაპირებისა, რომელიც მისცენ თბილისის მცხოვრებთ მთავრობის სახელით, რომ დიდი მთავრის დაბრუნებამდე მათ შეუძლიათ იცხოვრონ როგორც ცხოვრობდნენ, თბილისში უკვე დანიშნულია გამომძიებელი კომისია ადგილობრივი მოხელეებისაგან, რომლის განკარგულებითაც ხდება მასობრივი და-კერები... უკვე მიღებულია თბილისში პეტერბურგიდან დიდი მთავ-რის ბრძანება, ახალი გადასახადების აუცილებლად გადახდევინების შესახებ“.

ყველა ამის საფუძველზე ჩვენ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ წერილი „თბილისიდან“, გამოქვეყნებული „კოლოკოლში“ 1865 წლის 15 სექტემბერს (№ 204), ეკუთვნის ნიკო ნიკოლაძეს.

19. ივნი-სის დღეები თბილისში დაიბეჭდა „კოლოკოლში“ 1865 წლის 15 სექტემბერს (№ 204) ¡Ряи Нелл-ის ფსევდონიმით.

სტატია დაწერილია 9 სექტემბერს. ჯერ კიდევ 1865 წლის 17 აგვისტოს დაიბეჭდა „კოლოკოლში“ გაზეთ „რუსკი ინვალიდიდან“ ამოღებული ცნობა 27 და 28 ივნისის ამქართა ამბოხებაზე, რომელშიც მოცემული იყო აღწერა თბილისის ამბოხებისა და მისი მიმდინარეობის შესახებ (№ 202).

ნ. ნიკოლაძის სტატიის ქართული თარგმანი დაბეჭდა ს. ხუნდაძემ „რჩეული ნაწერების“ პირველ ტომში (გვ. 193—202), საიდანაც გადმოიბეჭდა ამ ტომში.

20. წერილი გერცენს 1865 წლის 1 ოქტომბერს იხ. შენიშვნა 12.

21. საქართველოდან დაიბეჭდა „კოლოკოლში“ 1865 წლის 15 ნოემბერს (№ 208), ხელმოუწერლად. ამ სტატიის შესახებ რედაქციამ ჯერ კიდევ 1 ნოემბერს გამოაცხადა: ჩვენს მიერ მიღებული სტატია საქართველოზე მომდევნო ფურცელში მოთავსდებოდა. როგორც ცნობილია, თბილისის 1865 წლის ამქართა ამბოხებამ დიდი გამოსმაურება ჰპოვა როგორც რუსეთის, ისე უცხოეთის პრესაში. „კოლოკოლში“ დაიბეჭდა „რუსკი ინვალიდიდან“ ამოღებული ცნობა (№ 202), შემდეგ ნაკრები ცნობა უცხოური გაზეთებიდან, სათაურით „სისხლის ნიაღვარი თბილისში“ (№ 203), ნ. ნიკოლაძის „ივნისის დღეები თბილისში“ (№ 204), „საქართველოდან“ (№ 208). მ. კატკოვმა ივნისის ამბები თბილისში გამოიყენა თავისი მონარქისტულ-რეაქციული ზრახვებისა და მცირე ერთა გაქრობის იდეის გაღვივებისათვის. წმინდა ეკონომიური ხასიათის ამბოხებას კატკოვმა პოლიტიკური გაგება მისცა. სხვათა შორის მან ბრალი დასდო მეფისნაცვალს მიხეილ ვორონცოვს, რომელმაც საქართველოში და ამიერკავკასიაში ვითომც შეასუსტა ცარიზმის ნაციონალური პოლიტიკა. იგი თავის თავს რუსად არ თვლიდა და სადაცკი მართავდა მხარეს, ყველგან უქმყოფილების თესლს ტოვებდა... ყირიმელი თათრები იქამდე მიიყვანა, რომ ისინი ამაყად ამბობდნენ: მე რუსი არა ვარ, თათარი ვარო. კატკოვის აზრით ივნისის ამბოხებაში წილი ედოთ აგრეთვე ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში გადმოსახლებულ პოლონელებს. ამიტომაც კატკოვი ცდილობდა რეპრესიები გამოეწვია ქართველ და სომეხ მოწინავე ახალგაზრდების მიმართ, აგრეთვე საქართველოში გადმოსახლებული პოლონელების წინააღმდეგაც. მ. კატკოვი წერდა: «Нам сообщают за верное, что именно закавказские поляки руководят теми кружками, в которых подрастают «молодая Грузия» и «молодая Армения» («Московские ведомости», 1865 წ., 4 სექტემბერი. № 194). კატკოვი ამტკიცებდა, რომ 1865 წლის ივნისის გამოსვლის მონაწილეებმა

„ჩოხის კალთებქვეშ იარაღი ჰქონდათ ამოფარებული და მთავრობის წინააღმდეგ ტყვიებით ბრძოლას აპირებდნენ“. გერცენსა და ოგარევს არ შეეძლოთ კატკოვის ამ პროვოკაციული გამოხდომისათვის ანგარიში არ გაეწიათ, ამიტომ მათ „კოლოკოლში“ (№ 208) დაბეჭდეს ხელმოუწერელი სტატია „საქართველოდან“. ეს სტატია სიმონ ხუნდაძემ თარგმნა და ნიკო ნიკოლაძის „რჩეული ნაწერების“ პირველ ტომში მოათავსა, ოღონდ „დამატებაში“. ამით იგი ერთგვარად მოერიდა კატეგორიულად იმის მტკიცებას, რომ ეს წერილი ეკუთვნის ნ. ნიკოლაძეს. წერილის შინაარსით დასტურდება, რომ მისი დამწერი ისეთი ვინმე უნდა ყოფილიყო, ვინც კარგად იცნობდა ამიერკავკასიის ხალხთა და კერძოდ საქართველოს ცხოვრებას, „ახალგაზრდა საქართველოსი და ახალგაზრდა სომხეთის“ გარშემო დატრიალებულ და, აგრეთვე, 1865 წლის ივნისის ამქართა ამბოხების ამბებს, ვინც მიწერ-მოწერას აწარმოებდა საქართველოში მყოფ ნაცნობებთან და ამის გამო საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის კურსში იმყოფებოდა. ევროპაში გასულ ქართველ მოღვაწეთაგან იმ დროს მხოლოდ ნიკო ნიკოლაძე იყო ასეთი და, ამასთან, იგი იყო „კოლოკოლის“ ქართველი კორესპონდენტიც. ამას გარდა, წერილში დასმული საკითხების შინაარსი, მათი გადაჭრის ხერხი და პოლემიკის ხასიათი, აგრეთვე დებულებათა არგუმენტირება უექვეოდ ნიკოლაძისეულია. ყოველივე ეს იძლევა საშუალებას იმის მტკიცებისას, რომ იგი ნ. ნიკოლაძის კალამს ეკუთვნის (ამის შესახებ იხ. ვლ. ზამბახიძე, „ნ. ნიკოლაძის ახლად გამოქვეყნებული წერილები“, „მნათობი“ 1955 წ. № 12).

„საქართველოდან“ ქართულად დაბეჭდა ს. ხუნდაძემ ნ. ნიკოლაძის „რჩეული ნაწერების“ პირველ ტომში, საიდანაც არის გადმობეჭდილი ამ ტომში.

22. მთავრობა და ახალი თაობა დაიბეჭდა ცალკე წიგნად ჟენევაში, რუსულ ენაზე, 1866 წელს, რუსულ თავისუფალ სტიმბაში. ავტორმა ნაშრომი მიუძღვნა ცნობილ ისტორიულ ფაქტს — კაჩაკოზოვის უშედეგო ტერორისტულ თავდასხმას ალექსანდრე მეორეზე 1865 წლის 4 აპრილს. წიგნი დაიბეჭდა ფსევდონიმით ნიკოფორა გ... ამ ფსევდონიმის ნიკოლაძისეულობის დასადასტურებლად სიმონ ხუნდაძე ასახელებდა შემდეგ წყაროებს: ნ. გოლიცინის წიგნს „История социального движения в России, 1861-1881“, რომელშიც პირდაპირაა მითითებული, რომ ნიკოლაძემ 1866 წელს გამოსცა ანტისახელმწიფოებრივი ბროშურა; საცენზურო კო-

მიტეტს, რომელმაც 1873 წელს უცხოეთიდან დაბრუნებულ ნიკო ნიკოლაძეს ჩამოართვა არალეგალური წიგნები და აღნიშნული ბროშურაც; ნიკო ნიკოლაძის წერილს «Как пишется история» გაზ. «Закавказье», 1908 წ., № 31. იხ. აგრეთვე «Деятели революционного движения» ტ. I. ნაწ. 11, გვ. 270, 272.

ს. ხუნდაძემ ამ ბროშურის ქართული თარგმანი შეიტანა ნ. ნიკოლაძის „რჩეული ნაწერების“ პირველ ტომში (გვ. 203—256), საიდანაც გადმოიბეჭდა ამ გამოცემისათვის.

23. მოკლე განხილვა მმართველობის სხვა და სხვა ფორმისა ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1866 წ. (№ 9,29 აპრილი, № 10, 6 მაისი, № 11, 13 მაისი). რომ ეს სტატია ნ. ნიკოლაძისაა, დასტურდება 1870 წ. „დროებაში“ (№ 36, 11 სექტემბერი) გამოქვეყნებული წერილით—„აბსოლუტური და კონსტიტუციური მონარხია და რესპუბლიკა“, რომლის ხელნაწერიც დაცულია ნ. ნიკოლაძის არქივში. 1866 და 1870 წლების ეს წერილები („მოკლე განხილვა მმართველობის სხვადასხვა ფორმისა“ და „აბსოლუტური და კონსტიტუციური მონარხია და რესპუბლიკა“) ერთნაირ აბზაცებსა და ფრაზებს შეიცავენ და ორივე ერთ მიზანს ემსახურება—მკითხველს პოპულარული ენით გააცნოს სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ტიპი. ამასთან, 1870 წლის წერილს თან ახლავს შენიშვნა, რომელიც მიუთითებს 1866 წლის წერილზე: „ვისაც 1866 წლის „დროება“ შერჩენია, შეუძლია იქ მე-9,10 და 11 №№-ში წაიკითხოს ამ საგანზე უფრო დაწერილებით სტატია, რომელსაც ჰქვიან სახელათ „მოკლე განხილვა მმართველობის სხვა და სხვა ფორმისა“. ის გარემოებანი, რომელნიც ხდებიან ახლა ევროპაში და განსაკუთრებით საფრანგეთში—რესპუბლიკის დაარსება—გვიძულებს გვახსენოთ ჩვენ მკითხველებს თუ რა განსხვავება არის მონარქიულს და რესპუბლიკურს მმართველობას შუა“. ესეც იმის დადასტურებელია, რომ 1870 წლის წერილამდე ნ. ნიკოლაძეს ამავე თემაზე უფრო დაწერილებით ჰქონია დაბეჭდილი წერილი.

ამ წერილის თაობაზე და მის ნ. ნიკოლაძის ავტორობაზე იხ. მერი საჯიას წერილი „ნ. ნიკოლაძის უცნობი სტატიები“, გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1961 წ., № 8.

24, 25. გამოცემლებისაგან, გამოცემლებისაგან. ამათგან პირველი ერთვის 1867 წელს ენევაში გამოცემულ ნ. ჩერნიშევსკის რომანს „რა ვაკეთოთ?“, მეორე — იმავე მწერლის თხზულებათა სრული კრებულის პირველ ტომს. ქართულად მხოლოდ მეორე არის დაბეჭდილი, ისიც შემოკლებით, ნ. ნიკოლაძის „რჩეული ნაწერების“ პირველ ტომში (გვ. 305—309). ნ. ჩერნიშევსკის

თხზულებებს ენევეაში ბეჭდავდა მ. ელპიდინისა და კომპანიის გამოცემლობა. ს. ხუნდაძეს თავის კომენტარებში მოტანილი აქვს ნაწყვეტი ნ. ნიკოლაძის წერილიდან (გვ. 445), რომელიც მას კრიულე ლორთქიფანიძისათვის გამოუგზავნია შვეიცარიიდან და რომელიც ადასტურებს ამ ხელმოუწერელი წინასიტყვაობების ნიკოლაძისეულობას. 1866 წლის 10 მარტს ნიკოლაძეს ლორთქიფანიძისათვის მიუწერია: „ახლა შენთან ერთი თხოვნა მაქვს: როგორც უნდა იყოს, გაიცანი ვინმე პიპინის ნაცნობი და მიშოვნე სრული (ძალიან სრული) სია „რა ექნათ“-ის ავტორის თხზულებებისა. ამ სიის გარდა მიშოვნე გამოშვებული ალაგები, — ეს ძალიან, ძალიან საშინლად საჭირო და სასარგებლოა... თუ ნაცნობი ვერ გაიცანი, აიღე თავი და წადი პირდაპირ, — უთხარი, ასე და ასე, ერთ ჩ-კის თაყვანისმცემელს სურს შეაგროვოს მისი სრული თხზულებები თქო და იმედი მაქვს, რომ არ დამიკავებ თქვენი სიის და გამოშვებული ალაგების თქვენი თვალების წინ გადაწერას თქო“. ს. ხუნდაძეს დამოწმებული აქვს აგრეთვე გერცენისაგან ოგარევისათვის 1868 წლის 15 მაისს გაგზავნილი წერილი: «Запрятавши грузинские когти Николадзе в предисловии к Чернышевскому зацепил нас и совершенно с той точки зрения, с которой Писарев в «Базарове» (видна я не ошибся). Тебе бог попрыскал очи такой водой что ты розы видишь, шинпов не можешь видеть...». ს. ხუნდაძეს დამოწმებული აქვს გერცენის გამომცემლის მ. ლემკეს მითითებაც, იხ. გერცენის თხზულებების 22-ე ტომი, გვ. 368, 1925 წ.

ნ. ნიკოლაძის ამ სტატიებს ის სახელი მივეცით, რითაც დაიბეჭდნენ ენევეაში 1867 წელს.

28. **ვეროპის ცხოვრება** დაიბეჭდა ჟურნალ „სოვრემენნოსტ“-ში სამ ნარკვევად 1868 წელს (№ 1, 2, 4). ჟურნალი „სოვრემენნოსტ“-ი გამოდიოდა ენევეაში 1868 წელს აპრილიდან სექტემბრამდე, სულ შვიდი ნომერი გამოვიდა. ჟურნალის რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ ნიკო ნიკოლაძე და ლევ მეჩნიკოვი. „ვეროპის ცხოვრების“ პირველი ნარკვევი გამოქვეყნდა აპრილში, მეორე — მაისში, ხოლო მესამე — აგვისტოში. ნ. ნიკოლაძე თავის „ავტობიოგრაფიაში“ წერდა: „ცოტა მოგვიანებით რუს ემიგრანტ გარიბალდიელ ლ. ი. მეჩნიკოვთან ერთად, რომელიც რუსულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ „სოვრემენნიკი“-დან ცნობილი იყო ფსევდონიმით ლეონ ბრანდი, მე ვმონაწილეობდი პატარა ჟურნალ „სოვრემენნოსტში“. მასში ჩვენს მიერ იბეჭდებოდა წერილები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა რომანტიკული რევოლუციონურობის

ბანალურ შაბლონებს. აქ ჩემს მიერ პირველადაა გამოთქმული თეორია ერობისა და თვითმმართველობის არენაზე „წაუგებელი ბრძოლისა“. რუსულმა ბეჭდვითმა სიტყვამ იმ წამსვე მიაქცია ყურადღება ამ ჟურნალს, როგორც სერიოზულ ცდას...

ს. ხუნდაძემ „ევროპის ცხოვრების“ მხოლოდ პირველი და ნესამე ნარკვევი დაბეჭდა ნ. ნიკოლაძის „რჩეული ნაწერების“ პირველ ტომში. იგი წერდა: „სამწუხაროდ ჩვენ მოსკოვიდან ვერ მივიღეთ მეორე ნარკვევი“. ამრიგად, პირველი და მესამე ნარკვევი ამ გამოცემაში ქართულად იბეჭდება მეორედ, ხოლო მეორე ნარკვევის ქართული თარგმანი — პირველად. ს. ხუნდაძე ნიკოლაძის ამ სტატიის კომენტარში წერდა, რომ „ეს ნარკვევები ხელმოუწერლად და დაბეჭდილი ჟურნალში, მაგრამ მისი ავტორის გამორკვევა აღვილია: ისინი პატარა კონსპექტს წარმოადგენენ ნიკოლაძის დისერტაციისას, რომელსაც ჩვენ ამავე ტომში ვბეჭდავთ (იგულისხმება „განიარაღება და მისი ეკონომიურ-სოციალური შედეგები“—რედ). იმ ხანებში (1866—68 წწ.) ევროპის საზოგადოებრიობა დაინტერესებული იყო ომისა და ზავის საკითხებით. პაციფისტურად განწყობილი ევროპის ბურჟუაზია და სოციალისტური წრეები სერიოზულ ყურადღებას აქცევდნენ ამ საკითხს; ამ მიზნით ბურჟუაზიულმა დემოკრატებმა დააარსეს „მშვიდობიანობისა და თავისუფლების ლიგა“, რომელმაც 1867—68 წლებში ორი კონგრესი მოიწვია. ომისა და ზავის საკითხი დასმული იყო პირველი ინტერნაციონალის კონგრესზედაც. ნიკოლაძე დაინტერესებული ყოფილა ამ საკითხებით და პისტვის საინტერესო შრომაც უძღვნია, რომელიც სადისერტაციოდ ციურხის უნივერსიტეტისათვის წარუდგენია დოქტორის ხარისხის მისაღებად. ამავე საკითხს იგი აშუქებს „სოვრემენნოსტის“ ფურცლებზედაც. დებულებანი და დასკვნები, როგორც დისერტაციის, ისე „ევროპის ცხოვრებისა“ ერთი და იგივეა“ (ს. ხუნდაძის შენიშვნები ნ. ნიკოლაძის „რჩეული ნაწერების“ I ტომში, გვ. 436).

27. რუსეთის ემიგრაცია დაიბეჭდა „სოვრემენნოსტის“ მესამე ნომერში 1868 წლის ივნისში. ეს წერილი, ისე როგორც იმავე ჟურნალში (№ 6) გამოქვეყნებული მეორე წერილი „ორი თაობა“ ეხებოდა ცნობილი რევოლუციონერის, ემიგრანტის, მაგრამ შემდეგ რუსეთში დაბრუნებული და მონაწიეების გზაზე დამღვარი ვ. კელსიევის მიერ გამოშვებულ წიგნს: «Из пережитого и передуманного (1866—1868). Воспоминания». ამ წერილის ნიკოლაძისეულობაზე სიმონ ხუნდაძეს რამდენიმე საბუთი ჰქონდა მოყვანილი ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერების პირველ ტომში (გვ. 433—434): „1888 წელს, როდესაც

ცნობილი ლ. ტიხომიროვი რევოლუციონერთა ბანაკიდან გადავიდა თვითმპყრობელობის ბანაკში, ნიკოლაძემ მას წერილი უძღვნა და გაიხსენა თავისი წერილი კელსიევის შესახებ (იხ. „ნოვოე ობოზრენიე“, № 1620, 1888 წ., წერილი «На праздники»). ამ წერილების ნიკოლაძის ავტორობაზე მიუთითებს «Письма о Грузии»-ს ავტორი Н. Д. ე. ი. ცნობილი რევოლუციონერი ივ. ჯაბადარი, რომელსაც 1889 წელს კამათი ჰქონდა ნ. ნიკოლაძესთან (იხ. „ნოვოე ობოზრენიე“, № 2028, 1889 წ. Н. Д.-ს წერილი. იხ. აგრეთვე მისი წერილი «Процесс 50-ти», «Былое»-ში, 1907 წ., № IX).

იმავე წელს ნ. ნიკოლაძე უპასუხებს ივ. ჯაბადარს და სხვათა შორის იცავს თავის ძველ შეხედულებას კელსიევის შესახებ. ს. ხუნდაძეს მოაქვს ამონაწერი ნ. ნიკოლაძის წერილიდან, იხ. „ნოვოე ობოზრენიე“, № 2032, 1889 წ.

თავის ავტორობაზე ნ. ნიკოლაძე ლაპარაკობს, აგრეთვე, თავის წერილში იმავე ივანე ჯაბადარის წინააღმდეგ (იხ. გაზ. „ზაკავკაზიე“ № 33, 1908 წ.). ნ. ნიკოლაძის ავტორობას ადასტურებს აგრეთვე „ლიტერატურნოე ნასლედსტვოში“ (№ 39—40, 1941 წ.) გამოქვეყნებული ოგარევის წერილების ტექსტი და მათი კომენტარები (ი. კრასოვსკისა). 1868 წელს 5 ივლისს ოგარევს მიუწერია გერცენისათვის: «Получил ли ты «Современность» и какого мнения о статье об эмиграции? Подсказывать ничего не хочу, а знать твое мнение жажду» (იქვე, გვ. 490). წერილის ამ ადგილის კომენტარში სწერია: «Современность» — журнал, издававшийся в Женеве в 1868 г. Л. И. Мечниковым и Н. Я. Николадзе. Анонимная статья о русской эмиграции принадлежит последнему». ასეთივე განმარტებაა მოცემული ი. კრასოვსკის მიერ ოგარევისადმი მიწერილი გერცენის ერთი წერილის (1868 წლის 1 აგვისტოს) კომენტარში: «(სერნო-სოლოვიოვიჩმა) подверг жестокой критике статью Н. Я. Николадзе «Русская эмиграция, которая была помещена в № 3 «Современности». „რუსეთის ემიგრაცია“ ქართულად პირველად დაბეჭდა ს. ხუნდაძემ ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერების პირველ ტომში.

28. ორი თაობა დაბეჭდილია „სოვრემენოსტი“-ს მეექვსე ნომერში 1868 წელს, პირველ სექტემბერს. „ორი თაობა“ ქართულად პირველად დაბეჭდა ს. ხუნდაძემ ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერების პირველ ტომში.

29. რევოლუციონერების როლი დაბეჭდილია „სოვრემენოსტის“ მეექვსე ნომერში 1868 წელს, 1 სექტემბერს. ს. ხუნდაძის გამოკვლევით (იხ. ნ. ნიკოლაძის „რჩეული ნაწერები“, ტ. I,

1931 წ., შენიშვნები, გვ. 438), წერილი ნ. ნიკოლაძისაა. ქართულად „რევოლუციონერების როლი“ პირველად დაბეჭდა ს. ხუნდაძემ ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერების პირველ ტომში.

30. „ნაროდნოე დელო“ დაბეჭდილია „სოვრემენნოსტის“ მეშვიდე ნომერში 1868 წლის 15 სექტემბერს. სტატია ეწევა ჟურ. „ნაროდნოე დელოს“, რომელიც ენევეაში გამოდიოდა 1868 წლის სექტემბრიდან მ. ბაკუნინისა და ნ. ჟუკოვსკის რედაქციით. ამ წერილის ავტორობა დადასტურებულია ნ. ნიკოლაძის სტატიით, რომელიც მიმართული იყო ივ. ჯაბადარის წინააღმდეგ 1908 წელს (იხ. გაზ. „ზაკაკვაზიე“, ნ. ნიკოლაძის წერილი — «Как пишется история»). ქართულად ეს სტატია ს. ხუნდაძემ დაბეჭდა ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერების პირველ ტომში (გვ. 295—302).

31. ბუნების კარი, საკითხავი წიგნი მდაბალს კლასებში სახმარებელი, შედგენილი გოგებაშვილისაგან, დაბეჭდილია „დროებაში“ 1868 წლის 29 ნოემბერს (№ 48). ნ. ნიკოლაძე ამ დროს ევროპაში ცხოვრობდა და ინტენსიურად მონაწილეობდა რუსულ ცენზურის-გარეშე პრესაში. ამ წერილის უდიდესი ნაწილი წარმოადგენს იაკობ გოგებაშვილისაგან „ბუნების კარის“ პირველი გამოცემისათვის დაწერილი წინასიტყვაობის მთლიან ტექსტს. „დროების“ წერილის ავტორის სურვილი ჰქონია „ბუნების კარის“ რეცენზიის დაწერისა; მაგრამ გამოურკვეველი მიზეზების გამო აღარ გაუგრძელებია, თუმცა გაზეთში წერილს ბოლოს უწერია: შემდეგი იქნება. ამ წერილის ნიკოლაძისეულობას ადასტურებს იმავე „ბუნების კარის“ მეორე გამოცემისათვის (1873 წლისა) დაწერილი რეცენზია, დაბეჭდილი „დროებაში“ 1873 წელს (№ 400) ნ. სკანდელის ხელმოწერით (ამაზე იხ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1961 წ., № 8, მერი საჯაია: „ნ. ნიკოლაძის უცნობი სტატიები“), თუმცა ეს უკანასკნელი ტონით სრულიად განსხვავდება პირველისაგან.

აღსანიშნავია ის ამბავი, რომ ეს წერილი მოხსენებული და შეტანილია გიორგი წერეთლის ნაწერების სიაში, რომელიც გამოქვეყნდა „კვალში“ 1900 წელს (№ 3). ამის მიხედვით განსვენებულმა პროფესორმა სიმონ ხუნდაძემ იგი შეიტანა კიდევ გ. წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის პირველ ტომში 1931 წელს (იხ. გ. წერეთელი, ტომი I, გვ. 293—298).

წინამდებარე „დროებაში“ ხელმოუწერლად დაბეჭდილი, წერილის ავტორობის საკითხი პირველად დააყენა ვარლამ ქაჯაიამ, როდესაც მან ი. გოგებაშვილის თხზულებათა მეექვსე ტომს კომენტარები დაუერთა 1958 წელს.

ამ საკითხს ეხება აგრეთვე ს. ხუციშვილის მცირე წერილი — „საქირო განმარტება“, დაბეჭდილი გაზ. „სახალხო განათლებაში“ 1960 წელს (27 აპრილი, № 18).

32. განიარაღება და მისი ეკონომიურ-სოციალური შედეგები დაიბეჭდა ქენევაში ცალკე წიგნად და წარმოადგენს დისერტაციას, რომელიც ნიკო ნიკოლაძემ ციურიხის უნივერსიტეტში წარადგინა დოქტორის ხარისხის მისაღებად. წიგნი დაწერილია ფრანგულ ენაზე, ხოლო ქართული თარგმანი პირველად დაბეჭდა ს. ხუნდაძემ ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერების პირველ ტომში (გვ. 313—349). „ავტობიოგრაფიაში“ ნ. ნიკოლაძე წერს: ციურიხის უნივერსიტეტის კურსის დასრულებისას, სამართლის დოქტორის ხარისხით (ჩემი სადოქტორო დისერტაცია „განიარაღება და მისი ეკონომიურ-სოციალური შედეგები“) დავბრუნდი სამშობლოშიო. ნ. ნიკოლაძის ამ წიგნის თავფურცელი ფრანგულად ასეთია: Du Désarmement et de ses conséquences économiques et sociales. Dissertation de doctorat présentée a l'Université de Zurich par N. Nikoladze. Geneve, il georg. Libraire-éditeur 10, Corratérie 10, même maison a Bâle, 1868.

33. ქვეითათ და რკინისგზაში იბეჭდება ნ. ნიკოლაძის არქივში დაცული ავტოგრაფის მიხედვით № 12/25. უცხოეთიდან დაბრუნებული ნ. ნიკოლაძე „დროების“ რედაქციაში იწყებს მუშაობას და აქვეყნებს სხვადასხვა ხასიათის წერილებს. პირველი წერილი, რომელიც „დროებაში“ გამოაქვეყნა მან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, არის „ქვეითათ და რკინისგზაში“ („მოგზაურის შენიშვნები“), რომელიც დაიბეჭდა ხსენებულ გაზეთში 1869 წელს (№ 33 და 34). ნ. ნიკოლაძის ამ წერილის ტექსტი ცენზურას შეუმცირებია, დაუმახინჯებია და ადგილები ამოუშლია იქიდან. წერილს გაზეთში ხელს აწერს ნ. სკანდელი. წერილი დასრულებული არ არის, „დროების“ 34-ე ნომერში წერია „ზოგი შემდგომისათვის“, მაგრამ შემდგომი აღარ დაბეჭდილა. ნ. ნიკოლაძის მოგზაურობის აღწერას იმავე წლის „დროებაში“ (№ 36) ვინმე „ერთი თქვენი გაზეთის მკითხველთაგანი“ გამოეხმაურა. იგი ქუთაისიდან რედაქციას წერს, რომ ნ. სკანდელის წერილის განსაკუთრებით გარეგნულ მხარეს მოუხდენია მასზე გავლენა და გამოაქვს დასკვნა, რომ „ფორმას დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურაში საზოგადოთ ყოველთვის და თავის ახალგაზრდობის დროს განსაკუთრებით“. გაზეთის მკითხველი სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ ნ. ნიკოლაძის წერილს, შინაარსითა და ფორმით, უნარი აქვს მიიზიდოს მკითხველი.

და კითხვა შეაყვაროს მასო. „არ შეგვიძლიან არ დაუმაღლოთ უ. სკანდელს, რომელმანც რამდენიმე მშვენიერი აზრის გამოთქმა და თავის მოგზაურობის აღწერა მოახერხა ისე, რომ ყოველი ჩვენი მკითხველი სიამოვნებით და არც უსარგებლოთ წაიკითხავს იმის შენიშვნებს“-ო, ასკენიდა „დროების“ კორესპონდენტი.

„მოგზაურის შენიშვნების“ გამოქვეყნებიდან დაახლოებით ნახევარი საუკუნის გავლის შემდეგ ნ. ნიკოლაძეს ტექსტი გადაუწერია, მაგრამ არა „დროებიდან“, რომელშიც „შენიშვნები“ ცენზურისაგან დამახინჯებული დაიბეჭდა, არამედ დედნიდან, რაც ახლა მის არქივში აღარ ჩანს. ამ პირს ნ. ნიკოლაძე უკეთებს შემდეგ შენიშვნას: „დაიბეჭდა „დროებაში“ 1869, № 33 და 34, ცენზურისაგან ბევრი ადგილის გამოკლებით და გადასხვაფერებით“. თუ რამ გამოიწვია ნახევარი საუკუნის წინ დაწერილი თხზულებისადმი ინტერესი, ამაზე ნ. ნიკოლაძე მოგზაურის შენიშვნების განმარტებისათვის დაწერილ წინასიტყვაობაში, რომელსაც იგი უწოდებს „დამწერიდამ“, წერს შემდეგს: „ნახევარი საუკუნე გაივლის მალე ამ ნაწერის დაბეჭდვიდამ. ამიტომაც უსამართლობა იქნება მისი დაფასება ეხლანდელი ზომით. სულ სხვა მდგომარეობაში იყო იმ დროს ქართული მწერლობა და ქართველ მწერალს სულ სხვა მიზანი ედო წინ, ვინემ ახლა. ამ მდგომარეობას ჩინებულად ახასიათებს უტყუარი საბუთი — მაშინდელი მსჯელობა თავათ ამ ჩემ ნაწერზე, დაბეჭდილი 1869 წლის „დროებაში“ (№ 36), სათაურით „წიგნი რედაქტორთან“. თუმცა ამ „წიგნს“ ხელს აწერს „ერთი თქვენი გაზეთის მკითხველთაგანი“, მგონია, სერგეი მესხი უნდა ყოფილიყოს მისი დამწერი. „ჩვენდა სამწუხაროთო, — იწერება ის ქუთაისიდან, — უნდა ვთქვა, რომ საზოგადოთ კითხვის სარგებლობა და იმის აუცილებელი საპირობება ჯერ ჩვენ მკითხველებს არ ესმის; უმეტესი ნაწილი იმათგანი კითხულობს რასმე მარტო სიამოვნებისათვის. მაშ ეხლანდელი მწერალი ვალდებულია ისე სწეროს, რომ იმის ნაწერიდგან სიამოვნება და სარგებლობა ერთად მიიღოს მკითხველმა. ეხლანდელი ჩვენი მწერალი, ჩემი აზრით, სხვათა შორის, იმასაც უნდა სცდილობდეს, რომ კითხვა შეაყვაროს მკითხველს. ამიტომაც მე ძალიან მიამა, როცა დავინახე „დროებაში“ ამ პლანზე დაწერილი უ. სკანდელის შენიშვნები“. სკანდელის სახელით იყო ხელმოწერილი ის ნაწერი, რომელიც ახლა ხელმეორედ იბეჭდება... დიახ, კითხვა უნდა შეეყვარებინა მაშინდელ მწერალს, ამიტომ, რომ იდეოლოგიას არავენ კითხულობდა, ვერავინ იგებდა. უმეტესი ნაწილი კი მაშინდელი პუბლიცისტებისა ერთი მეორეს სხვისგან ნათხოვარ „აზრებს“ უხსნიდა და უმტკიცებდა. ნუ გგონიათ, ვითომ ეხლანდელებზე

ნაკლები იყო მათი რიცხვი. დავა მათ ვიწრო წრეს არ გასცილებია: ხალხის მათ არა ვაეგებოდა რა, როგორც არსებითი შინაარსი ეხლანდელი ბრძოლისა ბევრს არავის ესმის. დარჩა რამ, მიაღწია ხალხამდი, ფესვი იყარა რამ იმდროინდელ იდეოლოგიიდან? ახსოვს ვისკე მაშინდელი პუბლიცისტების თუნდ სახელი, არა თუ თეორიები? ნეტარ არს, ვისაც ეს ჰგონია.

თუ დარჩა. რამ, დარჩა მარტო ის, რაც შეეფერებოდა ერის ბუნებითი ზრდის კანონს. დარჩა, გაძლიერდა მარტო ის ი ა რ ა დ ი, რომელიც იმდროინდელ მოღვაწეს უნდა ემზადებია მომავალ მოდგმათათვის: ენა, პრესა, კითხვის ხალისი. ყოველ დროს თავისი საქმე და საჭიროება აქვს. ნაადრევი ყველაფერი დღენაკლულია.

ნუ გგონიათ, ვითომ აი ეს ენის ქედვა, პრესის ვრცელება, ცენზურის რბილება უფრო ადვილი ყოფილიყო, ვინემ ახლათ-მოქროლილი აზრების გადმოქართულება. როცა ჩვენი მწერლობის აღორძინების ისტორია დაიწერება, ყველა შეიტყობს, თუ რა სიმწარე და ხიფათი, რა ბრძოლა რგებია მხვედრათ მარტო იმას, რაც მწერლობის ნამდვილი საჭიროების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა, რაც ჩვენი ცხოვრების ავ-კარგს ეხებოდა, მაშინ, როდესაც ვითომ სადევნი თეორიები სრულიად თავისუფლად იბეჭდებოდა ხოლმე, ცენზურისაგან ხელუხლებლად".

ეს „დამწერიდამ“, ეტყობა, დაწერილი უნდა იყოს ჩვენი საუკუნის ოციან წლებში, კერძოდ, იმ დროს, როცა სიმონ ხუნდაძის შეგონებით ნ. ნიკოლაძემ თავისი ძველი ნაწერების წესრიგში მოყვანა დაიწყო. სწორედ ამას. ნიშნავს ფრაზა: „სკანდელის სახელით იყო ხელმოწერილი ის ნაწერი, რომელიც ე ხ ლ ა ხ ე ლ მ ე ო რ ე თ ი ბ ე ჯ დ ე ბ ა“ (ხაზი ჩვენია — რედ.).

ნ. ნიკოლაძის ამ ხელნაწერში აქა-იქ (გვ. 3,6,8,10,15,17 და სხვ.) შეიმჩნევა სიმონ ხუნდაძის ხელი, რომელსაც შავი ფანქრით მცირე შენიშვნები და შესწორებები შეუტანია ტექსტში, რაც იმას უნდა აჩვენებდეს, რომ ეს „დამწერიდამ“ სწორედ ამ საუკუნის 20-იან წლებშია დაწერილი და მაშინაა გადაწერილი ცენზურისაგან დაუმახინჯებელი ტექსტი მოგზაურის შენიშვნებისა „ქვეითათ და რკინის გზაში“.

კომენტარები

1. იგულისხმება ალექსანდრე ორბელიანის წერილი, დაბეჭდილი „ცისკარში“ 1860 წელს (№ 6), სათაურით „ქართული უბნობა ანუ წერა“, რომელშიც ავტორი აყენებს საკითხს ქართულ ენის ზვისების შესწავლის შესახებ და მიმართავს ბაქარ ქართლელს (დომიტრი ყიფიანს) რომ მან შეადგინოს ქართული ენის გრამატიკა.

2. მაკარიის იარმუკა იყო ყოველწლიური საზაფხულო ბაზრობა, დაწესებული მეფე ვასილისაგან 1525 წელს, ქ. ნიჟნი-ნოვგოროდის (ახლა ქალ. გორკი) ახლოს. 1817 წლიდან ბაზრობა გადატანილ იქნა თვით ქალაქში, რამაც ხელი შეუწყო ნიჟნი-ნოვგოროდის, როგორც ვოლგისპირეთის სავაჭრო პუნქტის განვითარებას. ბაზრობა ანუ მაკარიის იარმუკა იმართებოდა 15 ივლისიდან 25 აგვისტომდე. მაკარიის ბაზრობა უკანასკნელად გაიმართა 1929 წელს. ნ. ნიკოლაძე წერდა: „რუსეთში მამაჩემს მამუკა აგზავნიდა აგრეთვე ოცდაათიან წლებიდან. იმ დროს ქუთაისიდან რუსეთში სავაჭროდ მართო სამი კაცი დაიარებოდა: გორიდან გადმოსახლებული სომეხი პეტრე მღებროვი, აგრეთვე გორელი ფრანგი (კათოლიკური სარწმუნოების მქონე — დედ.) გაბრიელ ანდრონიკაშვილი და მამა-ჩემი... ფურგუნით მიდიოდნენ როსტოვით მაკარიის (ნიჟნი-ნოვგოროდის) ბაზრობაზე...“ („წარსულიდან“, რჩეული ნაწერები, I, გვ. 17—18).

3. „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე (1829—1893), რომელიც 1857 წლიდან უცვლელად რედაქტორობდა ჟურნალს 1875 წლამდე, ე. ი. ჟურნალის დახურვამდე.

4. დომიტრი ბაქრაძის წერილი „წიგნი მიწერილი თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისადმი შესახებ მისის „ქართულის უბნობისა ანუ წერისა“ იყო პასუხი ალ. ორბელიანის იმ წერილისა, რომელიც 1860 წელს „ცისკრის“ მეექვსე ნომერში დაიბეჭდა („ქართული უბნობა ანუ წერა“). დომიტრი ბაქრაძის წერილი დაიბეჭდა 1860 წელს „ცისკრის“ მერვე ნომერში.

5. 1862 წლის ლიტერატურულ კრიზისში ივულისხმება მთავრობის რეპრესიები, რაც გამოიხატა ჟურნალ „სოვრემენნიკის“ და გაზეთ „რუსსკოე სლოვოს“ აკრძალვასა („სოვრემენნიკი“ 1862 წლის ივნისიდან რვა თვით აიკრძალა) და ნ. ჩერნიშევსკის დაპატიმრებაში.

6. „რუსსკი ვესტნიკი“ («Русский вестник») ლიტერატურული და პოლიტიკური ყოველთვიური ჟურნალი იყო, გამოდიოდა 1856—1906 წლებში მოსკოვსა და პეტერბურგში. 60-იან წლებში მისი რედაქტორი იყო მიხეილ კატკოვი, რომელიც ამ ჟურნალით ილაშქრებდა დემოკრატიული ბანაკის წინააღმდეგ. ამ წლებში „რუსსკი ვესტნიკი“ მეთაურობდა რუსულ რეაქციულ პრესას. ჟურნალში დაიბეჭდა ა. პისემსკის ბელეტრისტული ნაწარმოები „ამღვრეული ზღვა“ («Взболомученное море»), მიმართული რუსული რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ.

7. ლონდონის აგიტატორებში ივულისხმებიან ა. გერცენი და ნ. ოგარევი, რომლებიც ამ დროს ლონდონში ბეჭდავდნენ „კოლოკოლს“.

8. „სოვრემენნიკი“ («Современник») ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი იყო, გამოდიოდა პეტერბურგში 1836—1866 წწ. ჟურნალი დააარსა ალ. პუშკინმა. შემდეგ ჟურნალის გამოცემაში მონაწილეობდნენ: პ. ვიაზემსკი, ვ. ჟუკოვსკი, ა. კრაევსკი, ვ. ოდოევსკი, პ. პლეტნევი, ნ. ნეკრასოვი, ი. პანაევი. სხვადასხვა დროს „სოვრემენნიკში“ იბეჭდებოდა ა. პუშკინის, ნ. გოგოლის, ვ. ჟუკოვსკის, ა. გერცენის, ნ. ოგარევის, ი. გონჩაროვის, ნ. ჩერნიშევსკის, ლ. ტოლსტოის, ნ. დობროლიუბოვისა და სხვათა თხზულებები.

9. „ისკრა“ («Искра»), დასურათებული სატირიკული ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1859—1873 წლებში. რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ ნ. სტეპანოვი და ვ. კუროჩკინი. „ისკრა“ იყო რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების მქონე ორგანო.

10. გაზეთი „რუსსკი ლისტოკი“ («Русский листок») გამოდიოდა პეტერბურგში 1862—1863 წლებში, ბეჭდავდა წერილებს ლიტერატურის, ხელოვნების და მეცნიერების სხვადასხვა საკითხებზე; ქადაგებდა შოვინისტურ იდეებს.

11. „დომაშნაია ბესედა“ («Домашняя беседа для народного чтения») — გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1858 წლიდან 1877 წლამდე, ყოველკვირეულად, გამომცემელ-რედაქტორი იყო ვ. ასკოჩენსკი. გაზეთმა სახელი მოიხვეჭა თავისი რეაქციული მიმართულებით.

12. „ლუციის სიკვდილი“ აპლონ მაიკოვის პოემა, დაწერილი იმ დროს, როცა ეს პოეტი დემოკრატიულ იდეებს გადაუდგა .და „წმინდა ხელოვნების“ თეორიის დამკველად იქცა.

13. ენციკლოპედისტები — XVIII საუკუნის საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის წინა პერიოდის იდეოლოგები, რომელნიც გაერთიანდნენ „ენციკლოპედიის“ ირგვლივ, რომლის სათავეში იდგა დენი დიდრო და მისი თანამშრომლები — დალამბერი, ვოლტერი, ჰელვეციუსი, ჰოლბახი, კონდილიაკი, რუსსო. ბიუფონი, კენე, ტიურგო, დეჟოკერი და სხვანი.

14. ჟენეველ, პარიზელ და ლონდონელ აგიტატორებში ნაგულისხმევი არიან ენციკლოპედისტები, ფურიერისტები, სენსიმონისტები და სხვანი, რომელთაც მაშინდელი ხელისუფლება სდევნიდა და მათ წიგნებს კრძალავდა.

15. „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტი“ («Санкт-Петербургская ведомости») — გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1729 წლიდან 1917 წლამდე, ოფიციალური ორგანო. 1748—1751 წლებში უცხოეთის ცნობებს მასში რედაქტორობდა მიხეილ ლომონოსოვი. 1826 წელს დაბეჭდილი იყო დეკაბრისტების საბრალმდებლო მასალები. XIX საუკუნის 60-იან წლებში ლიბერალური ხასიათი მიიღო (რედაქტორობდა ვ. კორში), ხოლო 70-იანი წლებიდან მარცხნივ გადაიხარა.

16. კონსტანტინე არსენიევის წერილი ბოკლის ბროშურაზე დაიბეჭდა არა „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტში“, როგორც წერს ნიკო ნიკოლაძე, არამედ ჟურნალში „ვესტნიკ ეეროპი“ («Вестник Европы») 1868 წელს, წიგნი მეორე, თებერვალი. სათაურით: «Английская литература: Королева Елизавета и реформация». ესაა რეცენზია ბოკლის შრომისა „ნაწყვეტები დედოფალ ელისაბედის მეფობიდან“, რომელიც 1868 წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა პეტერბურგში.

17. „ხალხის ხმა“ („Le Vrix du Peuple“) — გაზეთი, რომელიც გამოდიოდა პარიზში 1849 წელს 1 ოქტომბრიდან 1850 წლის 14 მაისამდე. რედაქტორი ამ გაზეთისა იყო პრუდონი. ხოლო გამომცემელი ემილ ჟირარდენი.

18. „ხალხი“ („Le Peuple“) — გაზეთი, რომელიც გამოდიოდა პარიზში 1848 წელს 2 ოქტომბრიდან 1849 წელს 13 ივნისამდე და რედაქტორობდა პრუდონი. ეს გაზეთი იბეჭდებოდა აგრეთვე 1850 წელს 15 ივნისიდან 15 ოქტომბრამდე იმის შემდეგ, რაც მთავრობამ პრუდონს აუკრძალა „ხალხის ხმის“ გამოცემა.

19. ბაზაროვი ი. ტურგენევის რომანის „მამებისა და შვილების“ („Отцы и дети“) პერსონაჟია. — სახე უარყოფელი, ნიჰილისტი აღამიანისა.

20. 1861 წლის 19 თებერვლის „დებულელები“ არის საკანონმდებლო აქტები, რითაც გაფორმდა ბატონყმობის გადაყრდნა რუსეთში. „დებულელები“ შედგებოდა 17 საბუთისაგან, რომელთაც წამძღვარებული ჰქონდათ „1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტი“ და „მითითება სენატს“, 1861 წლის 19 თებერვლის „დებულელების“ რეალიზაციასთან დაკავშირებით. „დებულელებში“ შესულია საერთო დებულეება ყმობიდან განთავისუფლებულ გლეხებზე, გლეხების მიერ მიწის გამოსყიდვაზე, ადგილობრივი დებულელები (ველიკოროსიის, ნოვოროსიისა და ბელორუსიის გუბერნიების, აგრეთვე ჩერნიგოვის, პოლტავის, ხარკოვის, კიევის, პოდოლსკისა და სხვათა გუბერნიების გლეხთა მოწყობის შესახებ) და სხვ.

21. „კოლოკოლი“ («Колокол») ა. გერცენისა და ნ. ოგარევის გაზეთი, გამოდიოდა ლონდონსა და ქენევაში 1857 წლის 1 ივლისიდან 1867 წლის 1 ივლისამდე. გაზეთს ჰქონდა დევიზი ლათინურ ენაზე: „Vivos voco“ („მოვეუწოდებ ცოცხლებს“). „კოლოკოლი“ იყო მებრძოლი, რევოლუციური ორგანო, რომელიც სწრაფად უპასუხებდა ყველა რუსულ მოვლენას, თავს ესხმოდა რუსეთის მეფის ხელისუფლებას, იცავდა პოლონელთა ეროვნულ გამანთავისუფლებელ ბრძოლას. რეაქციის გამძვინვარებამ რუსეთში შეაფიწროვა „კოლოკოლის“ გავრცელების საშუალებანი, რამაც გამოიწვია გაზეთის დახურვა.

22. ნ. ნიკოლაძის მამა იაკობი აპირებდა ქუთაისში გაემართა ქარხანა. რის შესახებაც იგი 1855 წლის 22 იანვარს ქუთაისიდან პირიზში სწერდა თავის შვილს: „...მინდა ერთი ფაბრიკა გაემართო. ბანბა აქ ბევრი მოდის, ადგილები, წყალი და შეშა ბევრი გვაქვს. ერთი სახელოვანი საქმე ვქნათ, შეილო, რომ იმერეთში ჩვენი სახელი დარჩეს, არა თუ ჩემი. მე მინდა ის ფაბრიკა შენი სახელით იყოს, თუ გსურს. თუ არა და ჩემი სახელით მაინცა. მანდ შემიტყუეთ — რა ფასად შეიძლება ამერიკის (ქსოვილია — რედ.) მომქსოვი მაშინა გამართოს კაცმა, ან ოსტატი რა ფასათ დადგება წლით რომ იქირაოს. ერთი სიტყვით, ერთი შუათანა ფაბრიკა დაუჩინე, ყოვლის გამართულობით რა ფასათ დაჭდება. რასაკვირველია რანგარიშებენ — ბანბას უნდა პენტდეს, ართავდეს და სამოსელს ქსოვდეს, იმისთანა ფაბრიკა უნდა იქნეს გათეთრებაც რომ შეეძლოს, გონიერათ გამოიკითხე“... ს. ხუნდაძის ცნობით წერილი ინა

ზება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, კირილე ლორთქიფანიძის არქივში.

23. ნ. ნიკოლაძე გულისხმობს თავის წერილს „გლახთა განთავისუფლება საქართველოში“, რომელიც მას დაუყვეთეს გერცენმა და ოგარევმა „კოლოკოლისათვის“. ნ. ნიკოლაძის ეს წერილი დაიბეჭდა „კოლოკოლში“ 1865 წლის 15 ივნისისა და 1 ივლისის გაზეთებში (№№ 198 და 199).

24. საერთო ფონდი, რომლიდანაც ნ. ნიკოლაძეს გერცენმა და ოგარევმა 100 ფრანკი გაუგზავნეს, არსებობდა „კოლოკოლის“ რედაქციასთან და გამოწვეული იყო რევოლუციური მუშაობისათვის, პოლიტიკური ემიგრანტების დახმარებისათვის და სხვ. ეს ფონდი შედგებოდა სხვადასხვა ქვეყნებიდან მიღებული შემოწირულებებიდან. ფონდის სახსრები ინტერნაციონალური დანიშნულებისა იყო (ფონდიდან დახმარებას იღებდნენ რუსებიც, პოლონელებიც, იტალიელებიც, ფრანგებიც, ქართველებიც და სხვ.).

25. „კრებული“, რომლის შესახებაც საუბარი ჰქონია ნ. ნიკოლაძეს ნ. ოგარევთან, არის ალმანახი „პოლიარნაია ზვეზდა“ («Полярная звезда»), რომელსაც გერცენი და ოგარევი ბეჭდავდნენ ჯერ ლონდონში (№ 1—7), შემდეგ უენევაში (№ 8). „პოლიარნაია ზვეზდას“ პირველი ნომერი გამოვიდა 1855 წელს, უკანასკნელი 1868 წელს. საუბარი ნ. ნიკოლაძეს ნ. ოგარევთან ექნებოდა სწორედ მერვე ნომერზე.

26. „გლახთა განთავისუფლება საქართველოში“ დაიბეჭდა ყოველგვარი შენიშვნებისა და წინასიტყვაობის გარეშე. ა. გერცენს ნ. ნიკოლაძის წერილი მიღებისთანავე წაუკითხავს და ოგარევისათვის მიუწერია კიდევ „ქართული სტატია ძლიერ კარგია“.

27. „თქვენი გამოცემები“ ის პროკლამაციები, ბროშურები და წერილებია, რომელთაც გერცენი და ოგარევი ბეჭდავდნენ ლონდონში შექმნილ რუსულ თავისუფალ სტამბაში, რომელშიც იბეჭდებოდა „კოლოკოლი“ და „პოლიარნაია ზვეზდა“.

28. აქ იგულისხმება ა. გერცენის წერილი „მიხეილები და მიხეილ ნიკოლაევიჩები“, რომელიც დაიბეჭდა „კოლოკოლში“ (1865 წ. № 197, გვ. 1619). „მიხეილები“ — ცნობილი მიხეილ მურავიოვი და მიხეილ კატკოვია, ხოლო „მიხეილ ნიკოლაევიჩი“ — დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი, რომელიც იმ დროს იყო მეფისნაცვალის კავკასიაში. ამ წერილში ა. გერცენმა ამხილა კავკასიის მეფისნაცვლის პროვოკაციული მოქმედებანი, დაკავშირებული ე. წ. „ახალგაზრდა საქართველოს და სომხეთის“ საიდუმლო საზოგადო.

ებასთან, რომელიც თითქოს მეთაურობდა კავკასიაში სეპარატისტულ მოძრაობას.

29. 1853—1856 წლების ყირიმის ანუ აღმოსავლეთის ომი რუსეთსა და ინგლის-საფრანგეთ-თურქეთ-სარდინიის კოალიციას შორის იყო შედეგი ამ ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების გაღვივებისა ახლო აღმოსავლეთის მიმართ. ომი დამთავრდა პარიზის მოლაპარაკებით (1856 წლის 30 მარტს), რის ძალითაც მოხდა ტერიტორიული გადანაწილებანი. ამ ომმა მკვეთრად დააყენა რუსეთში არსებული წყობილების შეცვლის საკითხი.

30. ჩერქეზების გაძევებასა და პოლონელების გაჟლეტა-გადასახლებაში ნ. ნიკოლაძე გულისხმობს შამილის დამარცხებისა და დატყვევების შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე მდგარ საკითხს კავკასიის მთიელთა დაპყრობასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ჩერქეზი მოსახლეობის დიდი ნაწილი (418 ათასი სული) ოსმალეთში გადაიხვეწა და შედარებით მცირე ნაწილი (90 ათასი სული) მდ. ყუბანის მიდამოებში დაასახლეს. ნ. ნიკოლაძე გულისხმობს, აგრეთვე, 1863 წლის პოლონეთის აჯანყებასთან დაკავშირებით მეამბოხეთა ამოჟლეტასა და ამბოხების მეთაურთა ციმბირში გადასახლებას.

31. 1801 წელს ქართლი და კახეთი შეიერთა რუსეთმა, რის შედეგადაც სამხედრო ნაწილები იქნა შემოყვანილი ჩვენში. 1810 წელს იმერეთში შემოიჭრა სოლომონ II მეფე იმერეთისა, მაგრამ დამარცხდა, კვლავ თურქეთში გაიქცა და იმერეთის სამეფო 1811 წელს გაუქმდა. 1829 წელს გაუქმდა გურიის სამთავრო, ხოლო სამეგრელოსი — 1867 წელს.

32. ნ. ნიკოლაძე გულისხმობს ქართველი თავადაზნაურების განმასხვავებელ თავისებურებას რუსეთის „დვორიანინ“-ისგან, რომლის გამო იგი ეკონომიურად არ წარმოადგენდა რუსეთის „დვორიანინის“ მსგავს კატეგორიას და, როგორც პუბლიცისტი შენ:შნავს, უახლოვდება „უმსგავს პროლეტარიატს“, ე. ი. ლუმპენპროლეტარიატს.

33. იმერეთის აჯანყების თარიღად ნ. ნიკოლაძეს, დედანში, შეცდომით აქვს მითითებული 1822 წელი. ეს აჯანყება დაკავშირებული იყო ქართული საეკლესიო-ფეოდალური ორგანიზაციის ცვლილებასთან, რაც ნიშნავდა ეკლესიაში გაბატონებული ფენების პრივილეგიების დაკარგვას. ამ ფენებმა მიიმხრეს რუსული რეჟიმით უკმაყოფილო თავადები და გადასახადებით გაწამებული გლეხები და 1819 წლის ივნისში დაიწყო აჯანყება, რომელიც 1820 წელსაც გაგრძელდა.

და და დასრულდა გლეხობის აწიოკებითა და მათი სარჩო-საბადებლის გადაბუგვით.

34. დედანში, ნ. ნიკოლაძეს გურიის აჯანყების თარიღად, შეცდომით, მითითებული აქვს 1824 წელი. გურულ გლეხთა გრანდიოზული მოძრაობა, როცა შეიარაღებული მასა ოზურგეთს შემოერთდა და მოისურვა ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული ხელისუფლებისა და მემამულურ-ბატონყმური წესის მოსპობა, დაიწყო 1841 წლის ივნისში და სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდა. გურიის გლეხობა დამარცხდა.

35. 1855—1862 წლების მოძრაობაში იგულისხმება გლეხთა დიდი აჯანყება სამეგრელოში 1857 წელს, ამალღებისა და ბაღდათის რაიონებში — 1858 წელს და მოძრაობა გურიელებისა და ნაკაშიძეების წინააღმდეგ — 1861 წელს.

36. 1853—1856 წლების ომში საქართველოს შავიზღვის ნაპირიც ბრძოლის ველად იქცა. 1854 წელს თურქებმა ჯაიპყრეს ყუღევი, 1855 წელს კი ომერ-ფაშა 30 ათასი კაცით შეესია სამეგრელოს და დაიპყრო. იმავე წელს რუსის ჯარმა ყარსის ციხე წაართვა თურქებს, რის შემდეგ სამეგრელოში მყოფ თურქების წინააღმდეგაც დაიწყო შეტევა. 1856 წლის 30 მარტის პარიზის მოლაპარაკების ძალით თურქებმა დატოვეს საქართველო.

37. ქართული სამილიციო ჯარი შეიკრიბა რუსეთ-თურქეთის 1853—1856 წლების ომის დროს. ეს ჯარი შედგებოდა მილიციის წესით მობილიზებულ ადგილობრივ მცხოვრებთაგან. მილიციის ჯარებმა, რომლებიც შეიკრიბა უმთავრესად იმერლებისა, გურულებისა და მეგრელებისაგან, დიდი სამხედრო დახმარება აღმოუჩინეს რუსულ რეგულარულ სამხედრო ნაწილებს თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში.

38. იგულისხმება პარიზის სამშვიდობო მოლაპარაკება 1853—1856 წლების ომის შემდეგ, ხელმოწერილი პარიზში 1856 წლის 30 მარტს.

39. ნ. ნიკოლაძე გულისხმობს 1857 წლის 16 იანვრის წერილს, გამოგზავნილს იმპერატორისაგან ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთადმი, რომელშიც მეგრელები მართლაც არ არიან ნახსენები. ამ „უმალღეს“ წერილში სწერია: «Многие из жителей Кутаисской губернии, в особенности Гурийцы, должны были оставить дома, родной кров и достояние свое в жертву неприятелю...» (იხ. Акты ...ტ. XII, გვ. 240—241).

40. რესკრიპტებში იგულისხმება იმპერატორ ალექსანდრე II-ის რესკრიპტი, გაცემული 1857 წლის 20 ნოემბერს ვილნოს გენერალ-გუბერნატორის ნაზიმოვის სახელზე, რითაც მას იმპერატორმა ნება

მისცა ჩამოეყალიბებინა რეფორმის პროექტის შემმუშავებელი კომიტეტები. იმავე წლის 5 დეკემბერს ანალოგიური რესკრიპტი მიეცა პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორ იგნატიევს. ეს რესკრიპტები იყო პირველი აქტები, რომელნიც ხელისუფლებამ გამოაქვეყნა გლეხობის „განთავისუფლებასთან“ დაკავშირებით. რესკრიპტები გამსჭვალული იყო თავადაზნაურობის ინტერესთა უზრუნველყოფისათვის ზრუნვით.

41. 1857 წელს სამეგრელოში გლეხთა დიდმა აჯანყებამ იფეთქა. იგი მიმართული იყო წინააღმდეგ ბატონყმური ურთიერთობისა, მთავრისა და მემამულე თავადებისა, რომელნიც განუსაზღვრელი უფლებით სარგებლობდნენ. გლეხობის მეთაური იყო უტუ მიქაეა. სამეგრელოს დედოფალმა ეკატერინე დადიანმა თავი ვერ გაართვა გლეხობის ამ ღელვარებას და აჯანყების ჩასახშობად რუსეთის ადგილობრივ ხელისუფლებას ჯარები სთხოვა. ამით ისარგებლა ამ ხელისუფლებამ და 1857 წლიდან სამეგრელოს საქმეებში ჩაერია. ბოლოს სამეგრელოც კავკასიის მეფისნაცვლის გამგებლობაში მოექცა.

42. „სამეგრელოს დროებით მმართველობა“ შემოღებულ იქნა სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ (1857 წ.). ამის შემდეგ სამეგრელოში დაწესდა რუსეთის მმართველობა, რომელსაც საფუძვლად დაედო „დებულება სამეგრელოს მმართველობის შესახებ“, დამტკიცებული მეფის ნაცვლის ბარიატინსკის მიერ 1857 წლის 8 სექტემბერს.

43. გურიის, იმერეთისა და ქართლ-კახეთის გლეხთა სხვა აჯანყებებში იგულისხმება გურიის გლეხთა 1841 წლის, იმერეთის 1819—1820 წლების, მთიულეთის 1804 წლისა და კახეთის 1812 წლის აჯანყებანი.

44. გლეხთა ყოფა-ცხოვრების რეფორმების საკითხი გადატანილ იქნა კანცელარიის სამეუფოში — იგულისხმება საგლეხო რეფორმების გატარების დაგვიანება საქართველოში.

45. 1863 წელს პოლონეთის აჯანყება ანუ იანერის აჯანყება პოლონეთის იმ ნაწილში, რომელიც რუსეთის იმპერიაში შედიოდა, მიმართული იყო რუსეთის იმპერატორის ხელისუფლების წინააღმდეგ. აჯანყების მიზანი იყო პოლონეთის დამოუკიდებლობის მოპოვება და მშრომელი გლეხობისათვის მიწის გადაცემა. პოლონეთის ეს აჯანყება, რომელსაც მხარს უჭერდნენ გერცენი, ოგარევი, ნ. ნიკოლაძე და სხვანი, მეფის ჯარმა, მიხეილ მურავიოვის მეთაურობით. სისხლში ჩაახრჩო.

46. ნ. ნიკოლაძე თავის წერილში „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“ ლაპარაკობს „კოლოკოლის“ ქართველ მკითხვე-

ლებზე. თქმა არ უნდა, ამ ეურნალს „ქართველი მკითხველი“ რუსეთშიც ეყოლებოდა ქართველი სტუდენტების სახით, მაგრამ ავტორს შეიძლება აქ ნაგულისხმევი ჰქონდეს ამ ეურნალის შემოტანის ფაქტი საქართველოშიც. ეს პრინციპულად გამორიცხული არ არის, რადგან, როგორც მკვლევარი დემენტევი წერს: «Многие русские, побывавшие за границей, вывозили оттуда издания Герцена... прусские книгопродавцы брались доставлять «Колокол» даже в Петербург — на дом... Тогда «Колокол» привозился в порты Черного и Балтийского морей... горы Кавказа привозили «Колокол» в русские деревни между дровами»... (იხ. А. Г. Дементьев, «Очерки по истории русской журналистики 1840—50 гг.», 1951, გვ. 430—431).

47. „კოლოკოლის“ გამომცემელნი ალექსანდრე გერცენი და ნიკოლოზ ოგარევი.

48. ევროპის მოაზროვნეებში იგულისხმებიან ფრანგი სოციალისტ-უტოპისტები.

49. „ბუდუშნოსტ“ («Будущность») იყო გაზეთი, რომელიც გამოდიოდა ლაიპციგში 1860 წლის 15 სექტემბრიდან 1861 წლის 31 დეკემბრამდე. მას რედაქტორობდა გუსტავე ბერა, ფაქტიურად კი პეტრე დოლოგორუკოვი. გაზეთი კონსტიტუციური მონარქიის იდეებს იცავდა.

50. „მეფემ ხალხი მოატყუა“ — ეს ფრაზა ამოღებულია ნ. ოგარევის წერილიდან, რომელიც დაიბეჭდა „კოლოკოლში“ 1861 წელს (№ 96). ნ. ოგარევის წერილის სათაურია: „დასაწყისი რუსული განთავისუფლებისა“ («Начало русского освобождения»).

51. გლეხთა მოძრაობა ლონდონში ჩაისახა — იგულისხმება ის პროპაგანდა, რომელსაც ეურნალი „პოლიარნია ზევზა“ და „კოლოკოლი“ ეწეოდნენ ბატონყმობის წინააღმდეგ. „კოლოკოლის“ წინასიტყვაობაში გერცენი და ოგარევი წერდნენ: „გლეხთა განთავისუფლება ბატონყმობისაგან ჩვენ მიგვაჩნია პირველ აუცილებელ, გადაუდებელ ნაბიჯად“. „კოლოკოლი“ სისტემატურად ამხილებდა ბატონყმური ძალაუფლების საშინელებებს, მოითხოვდა ბატონყმობის დაუყოვნებლივ გაუქმებას გლეხებისათვის იმ მიწების გადაცემით, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ. ვ. ი. ლენინი წერდა: „კოლოკოლი“ (1857—1867) მედგრად იბრძოდა გლეხების განთავისუფლებისათვის“ (ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 15, გამომცემა მეოთხე).

52. „გოლოსი“ («Голос») — პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი პეტერბურგში 1863—1884 წლებში. მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო ა. კრაევსკი. გაზეთი ლიბერალური ბურჟუაზიის

ორგანო იყო, დახმარებას იღებდა განათლების სამინისტროსაგან და მთავრობას ეხმარებოდა რეფორმების „წესიერად“ გატარებაში.

53. „ოტჩესტვენნიია ზაპისკი“ («Отечественныя записки») — სამეცნიერო-ლიტერატურული ჟურნალი პეტერბურგში 1839—1884 წლებში. გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე მასში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის მოწინავე წარმომადგენლები. მასში 80-იან წლებში მონაწილეობდა ნ. ნიკოლაძეც. ჟურნალი აერთიანებდა მაშინდელი რუსეთის დემოკრატიულ ძალებს, იყო მათი ორგანო და იბრძოდა ბატონყმობის ყოველგვარი ნაშთების წინააღმდეგ.

54. ლონდონური დოქტრინები — იგულისხმება მოძღვრება, რომელსაც ა. გერცენი და ნ. ოგარევი ქადაგებდნენ ჟურნალ „პოლიარნია ზევზდაში“ და „კოლოკოლში“, რევოლუციისა და სოციალიზმის შესახებ.

55. „წერილი №№-ს“ ეკუთვნის ნ. ოგარევის, იგი დაიბეჭდა „კოლოკოლში“ (1865 წელი, 15 ივლისი, № 200) და წარმოადგენდა პასუხს 1865 წლის 12 ივნისით დათარიღებულ ნ. ნიკოლაძის კერძო ბარათზე, რომელიც მან ნ. ოგარევის გაუგზავნა პარიზიდან და რომელშიაც ა. გერცენის „წერილის გამო ალექსანდრე II-ს“ („კოლოკოლი“, 1865, 25 მაისი, № 197) შესახებაა მსჯელობა. ამ წერილში ა. გერცენი ურჩევდა მეფეს მეტ ლმობიერებასა და კატთმოყვარეობას: ამის გამო წერდა ნ. ნიკოლაძე: „წერილს ალექსანდრე მეორისადმი“ შეუძლია ბევრს აურიოს გზა-კვალიო“.

56. „კატკოვი ხელს გართმევდათ“ იგულისხმება გერცენის აზრი იმის შესახებ, რომ 1860 წელს ლონდონში ყოფნისას მიხეილ კატკოვმა უთხრა მას — „კოლოკოლი“ — ეს არის ძალაუფლება“ (იხ. „აპოგვი და პერიგვი“, «Былое и думы», თავი XIV) — «Колокол» —власть—говорил мне в Лондоне, horrible dictu (საშინელი სათქმელად —რედ.). Катков и прибавил, что он у Ростовцева лежит на столе для справок по крестьянскому вопросу...» წერდა გერცენი.

57. „დასასრული და დასაწყისი“ («Концы и начала») ა. გერცენის თხზულებაა, დაბეჭდილი „კოლოკოლში“ 1862 (ფურც. 138, 140, 142, 144, 145, 148, 149) და 1863 (ფურც. 154, 156) წლებში.

58. „შერიგების ყაიდაზე“ დაწერილ წერილებში ნ. ნიკოლაძე გულისხმობს ა. გერცენის წერილების ციკლს საერთო სათაურით „დასასრული და დასაწყისი“, რომლებიც ქართველ პუბლიცისტს მიაჩნდა ლიბერალიზმთან შერიგების სურვილით გამოწვეულ დო-

კუმენტებად მაშინ, როდესაც იგი, პირიქით, მიმართული იყო უკვე გაცვეთილი ბურჟუაზიული ლიბერალიზმის წინააღმდეგ.

59. „წერილები მოწინააღმდეგის მიმართ“; „მეორე წერილი“ ა. გერცენის თხზულებაა, გამოქვეყნებული „კოლოკოლში“ 1864 და 1865 წლებში სამ ნაწილად. „წერილები“ მიმართულია ცნობილ სლავოფილ, მონარქისტ და ნაციონალისტ ი. სამარინის წინააღმდეგ.

60. ამოღებულია ნ. ნეკრასოვის ლექსიდან «Рыцарь на час», რომელიც დაწერილია 1860 წელს.

61. „წერილები მოგზაურის მიმართ“ ა. გერცენისაა, იბეჭდებოდა „კოლოკოლში“ 1865 წელს (პირველი წერილი — 25 მაისს, მეორე — 1 ივლისს, მესამე — 15 ივლისს, მეოთხე — 1 აგვისტოს, მეხუთე — 17 აგვისტოს, და მეექვსე — 1 სექტემბერს).

62. „თქვენ სულგრძელობით პოლემიკა უწოდეთ“ — ნ. ნიკოლაძე ამ ფრაზას ხმარობს იმ პოლემიკური ხასიათის წერილის გამო, რომელიც ნ. ოგარევემა დაბეჭდა „კოლოკოლში“ 1865 წლის 15 ივლისს («По поводу письма Искандера к государю. Письмо К NN»), საპასუხოდ ნ. ნიკოლაძის მიერ ოგარევისათვის 1865 წლის 12 ივნისს გაგზავნილი კერძო ბარათისა.

63. მემკვიდრის სიკვდილში იგულისხმება იმპერატორ ალექსანდრე II-ის ვაჟის — ნიკოლოზის გარდაცვალება 1865 წელს, რასთან დაკავშირებითაც ა. გერცენმა „კოლოკოლში“ დაბეჭდა წერილი იმპერატორის მიმართ იმავე წლის 25 მაისს (№ 197) — «Письмо к императору Александру II».

64. „წერილები საფრანგეთიდან და იტალიიდან“ ა. გერცენის თხზულებების კრებულია, რომელშიც ავტორმა თავი მოუყარა 1847—1852 წლებში დაწერილ წერილებსა და ნარკვევებს 1849 წლის საფრანგეთის რევოლუციისაზე და რომელიც პირველად დაიბეჭდა ლონდონში 1855 წელს.

65. „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ («Московские ведомости») — გაზეთი, იბეჭდებოდა მოსკოვში 1756 წლიდან 1917 წლამდე, რომლის რედაქტორად 1863-87 წლებში იყო რეაქციონერი მიხეილ კატკოვი. გაზეთი ოფიციალურად იყო, ხოლო კატკოვის ხელში მკაცრად ილაშქრებდა რუსული საზოგადოებრივი აზროვნების ყოველი პროგრესული ნაბიჯის წინააღმდეგ. ეს გაზეთი მწერლობასა და ჟურნალისტობაში პოლიტიკელის როლს ასრულებდა და არ იხევდა უკან ბრძოლის ყველაზე საზიზღარი ფორმების გამოყენებისას.

66. იგულისხმება მიხეილ ნიკოლოზის-ძე რომანოვი.

67. ამოღებულია ნ. ნეკრასოვის თხზულებიდან «Размышления у парадного подъезда», რომელიც დაწერილია 1858 წელს.

68. პერიფრაზირებულია ილია ჭავჭავაძის ლექსის „მუშას“ ერთი სტრიქონი — „ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქცეულ-ხარ“...

69. ერევნის მოედანი ერქვა ახლანდელ ლენინის მოედანს თბილისში; მიხეილის ხიდი — კარლ მარქსის სახელობის ხიდს, ალექსანდრეს ბაღი — კომუნარების ბაღს.

70. „კავკაზი“ („Кавказ“) პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1846 წლიდან 1918 წლამდე. მისი მიზანი იყო კავკასიის მხარის შესახებ ცნობების ბეჭდვა მისი გაცნობის მიზნით.

71. „კავკაზის“ პუბლიცისტი, რომელმაც აბესალომოს ქება შეასხა, ამ გაზეთში ნახსენები არაა. აბესალომოვი ნახსენებია „კავკაზში“ 1865 წლის 11 ივლისს (№ 53) დაბეჭდილ „კავკასიის მატია-ნეში“ («Кавказская летопись»), რომელშიც საუბარია ივნისის აჯანყების მიმდინარეობასა და მთავრობის ღონისძიებებზე. აბესალომოვზე ამ წერილში ლაპარაკია, რომ მან ქკუა დაარიგა ხალხს და დაარწმუნა, რომ ასეთი საქციელი ცუდად დამთავრდებოდა.

72. კუკიის ხიდს (აგრეთვე მიხეილის, ვორონცოვის) ძველად ეძახდნენ კარლ მარქსის სახელობის ხიდს. ვორონცოვისას იმიტომ, რომ იგი აშენდა ვორონცოვის მეფისნაცვლობისას, მიხეილისას იმიტომ, რომ ვორონცოვის მიხეილი ერქვა, კუკიისას იმიტომ, რომ იგი კუკიას აერთებდა მაშინ ახლადგაშენებულ ქალაქის უბანთან, ყოფილ ორბელიანთა უბანთან.

73. გერცენს ნ. ნიკოლაძის ამ მოთხროვნის დასაკმაყოფილებლად არავითარი ახსნა-განმარტება არ გაუგზავნია.

74. ევმენიდების გუნდი ანუ ერიანიები ძველბერძნული მითოლოგიიდანაა — წყევლისა, სასჯელისა და შურისძიების ღმერთები, რომელნიც სდევნიან და სჯიან დამნაშავეებს, ხოლო მონანიების გზაზე დამდგარ ბოროტმოქმედთა კეთილისმყოფელნი (ევმენიდები) არიან.

75. მარატის მიერ საფრანგეთის რევოლუციისათვის აღმოჩენილ სამსახურში იგულისხმება მარატის მგზნებარე, შეურიგებელი ბრძოლა კონტრრევოლუციონერებისა და მოღალატეების წინააღმდეგ, რევოლუციური ტერორის საშუალებით.

76. გოლოვინის პროსპექტი ერქვა ძველად ახლანდელ შოთა რუსთაველის პროსპექტს.

77. „კავკაზსკი კალენდარი“ («Кавказский календарь»), ყოველწლიური კრებული სამისამართო-საცნობარო ხასიათისა, გამო-

დიოდა თბილისში 1845 წლიდან 1916 წლამდე. გარდა კალენდარ-მისამართებისა, იბეჭდებოდა სტატისტიკური, მეტეოროლოგიური, ისტორიული, ეთნოგრაფიული, ლიტერატურული და სხვა ხასიათის ცნობები.

78. ამოღებულია ჩერნიშევსკის წერილიდან ლესინგზე, რომელიც იბეჭდებოდა „სოვერემენიკში“ 1856 წელს (№№ 10, 11 და 12) სათაურით: **«Лессинг, его время и деятельность».**

79. 13 მაისის რესკრიპტი და ვალუევის ცირკულარული განმარტებანი გამოწვეული იყო საგლეხო რეფორმის ჩატარების შემდეგ 1865 წლის 11 იანვარს მოსკოვის გუბერნიის აზნაურთა ყრილობაზე მიღებული იმპერატორისადმი გასაგზავნი ადრესით, რომელშიც „ერთგული ქვეშევრდომნი“ ალექსანდრე მეორეს სთხოვდნენ ბოლომდე მიეყვანა ერობის დაფუძნების საქმე და მალე მოეწვია მთელი იმპერიის დეპუტატთა ყრილობა. ალექსანდრე მეორემ ასეთი მითითება იწყინა და ვალუევის სახელზე ამავე წელს გამოსცა რესკრიპტი, რომელშიც წერდა, რომ მე ღვთისაგან მაქვს მონდობილი ჩემი ქვეყნის მართვაო და **«право вчинения, по главным частям этого постепенного совершенствования, принадлежит исключительно мне... никому из них (ჩემს ქვეშევრდომთაგანთ რედ.) не предоставлено предупредить мои непрерывные о благе России попечения и предрешать вопросы о существенных основаниях ея общественных организаций»** (იხ. Б. Глинский, **Революционный период русской истории** (1861 — 1881 гг.), ნაწ. I, სპბ, 1913). იმპერატორმა ვალუევის უბრძანა ჩემი ეს ნება-სურვილი აცნობეთ ყველა იმ გუბერნიის გუბერნატორებსა და გენერალ-გუბერნატორებს, სადაც სათავადაზნაურო შეკრებულებანი და საერობო საბჭოები არის ჩამოყალიბებული. ვალუევმა ამ რესკრიპტის საფუძველზე ცირკულარული განმარტებანი დაამუშავა და სათანადოდ ყველას გაუგზავნა.

80. რეფორმების გატარებაზე ფიქრი დაიწყო არა 1857 წელს, როგორც ნ. ნიკოლაძე წერს, არამედ 1856 წელს, როცა იმპერატორმა ალექსანდრე II იმ წლის 30 მარტს მოსკოვის აზნაურობას („დვორიანსტოს“) განუცხადა რეფორმის ჩატარების აუცილებლობაზე. 1857 წელს 3 იანვარს იმპერატორ ალექსანდრეს თავმჯდომარეობით შეიქმნა საიდუმლო კომიტეტი ამასთან დაკავშირებული ღონისძიებების განსახილველად. 1857 წლის 20 ნოემბერს ვილნოს გუბერნატორმა, ხოლო 5 დეკემბერს პეტერბურგის გუბერნატორმა მიიღეს რესკრიპტი, რომ შესდგომოდნენ კომისიების ჩამოყალიბებას, რომელთაც რეფორმის პროექტი უნდა დაემუშავებინათ. 1858 წლის ბოლოს აზნაურთა საგუბერნიო კომიტეტები ყველ-

გან ჩამოყალიბდა. 1859 წელს კი პეტერბურგში შედგა სარედაქციო კომისიები, რომელთაც უნდა შეემუშავებინათ რეფორმის ერთიანი პროექტი. 1861 წლის 19 თებერვალს იმპერატორმა გამოსცა მანიფესტი.

81. «Силу новую...» და სხვანი ნ. ნეკრასოვის ლექსის „Песня Еремюшке“-ს ნაწილებია.

82. „პანურგის ფარა“. პანურგი არის რაბლეს სატირული რომანის „გარგანტუა და პანტაგრუელის“ პერსონაჟი, მათხოვარი, პლებეი. ნაწარმოებში აღწერილია „პანურგის ფარის“ ეპიზოდი, რის გამოც ეს გამოთქმა ანდაზად იქცა.

83. „ივერიის ღვთისმშობლის ხატი“ ანუ კარის (პორტაიტისის) ღვთისმშობელი დასვენებული იყო ქართველთა (ივერთა) მონასტერში ათონზე (ამ ხატის ლეგენდური გამოჩენის ამბავი გამოყენებული აქვს აკაკი წერეთელს პოემაში „თორნიკე ერისთავი“). მისი პირი 1648 წელს ჩაიტანეს მოსკოვში და მოათავსეს სპეციალურად აშენებულ ეკლესიაში (პატრიარქ ნიკონის განკარგულებით). ივერიის ღვთისმშობლის ხატი ერთერთი საკვირველმოქმედი ხატი იყო რუსეთში ძველად.

84. იროდი იუდეველთა მეფის სახელია, რომელიც ზოგად სახელად იქცა, მაჩვენებელი ბავშვთა ამომხოცველისა.

85. „თმაშეკრევილ ქალებს ყვითელ ბილეთებს აძლევენ“ — იგულისხმება სუფრაჟისტი ქალები, რომლებიც მთავრობას ცუდი ყოფა-ქცევის ქალებად მიაჩნდა და ამიტომაც აძლევდნენ „ყვითელ ბილეთებს“.

86. პოლშტეინ-პოტორპი—შლეზვიგელი გერცოგების დინასტია, რომელიც შეედთეს მართავდა 1751—1818 წლებში. ამ დინასტიის წარმომადგენელი იყო რუსეთის იმპერატორი პეტრე III.

87. მაგნიცკები — განზოგადებული სახელია, მიღებული მიხეილ მაგნიცკის (1778—1855) გვარიდან. ეს მაგნიცკი იყო რუსეთში მოწინავე კულტურისა და განათლების წინააღმდეგ დაუდგარი მებრძოლი, მსახურობდა სასულიერო საქმეთა და განათლების სამინისტროში. ყაზანის უნივერსიტეტის რევიზიისას მან წინადადება წამოაყენა მისი დაკეტვისა და შენობის დანგრევისაც კი. ყაზანის სასწავლო ოლქის მზრუნველად ყოფნისას მან ინსტრუქცია გამოიმუშავა, რომელიც უნივერსიტეტის რექტორსა და პროფესორებს ავალებდა თვალყური ედევნებინათ, რათა „თავისუფლების სულს არც ახდილად და არც ფარულად არ შეესუსტებინა მეცნიერებათა სწავლებისას ეკლესიის მოძღვრება“. უნივერსიტეტიდან მან თერთ-

მეტი პროფესორი გააძევა, შემდეგ კი იგი მნიშვნელოვანი თანხის გაფლანგვისათვის დაითხოვეს სამსახურიდან.

88. „ძველი და ახალი ქვეყნის მიმოხილვა“ („Revue des Deux Mondes“), ფრანგული ორკვირეული ლიტერატურულ-მხატვრული და პუბლიცისტური ჟურნალი, იბეჭდება პარიზში 1829 წლიდან.

89. სტენკა რაზინისა და პუგაჩოვის ამბოხებანი მოხდა პირველის მეთაურობით 1667—1671 წლებში, ხოლო მეორისა — 1773—1775 წლებში. ეს ორივე დიდი სახალხო მოძრაობა იყო, რომელთაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ რუსეთის ხალხების გამათავისუფლებელ ბრძოლაში ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების დასამხობად.

90. 1825 წლის 14 დეკემბრის ამბავში ნავულისხმევია დეკაბრისტების აჯანყება პეტერბურგში, მიმართული რუსეთის მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მეფის ჩამოგდებისა და რესპუბლიკურ-კონსტიტუციური წყობილების შექმნის მიზნით.

91. «Новыя условия крестьянского быта» ნ. ჩერნიშევსკის წერილია, ოლონდ მისი სათაური ცოტა სხვანაირია. მას ეწოდება «О новых условиях сельского быта» და გამოქვეყნებულია 1858 წლის „სოვრემენნიკში“ (№№ 2 და 4).

92. „ჟურნალ ზემლევლადელცევ“ («Журнал землевладельцев») გამოდიოდა მოსკოვში 1858—1860 წლებში, რედაქტორი და გამომცემელი იყო ა. ჟელტუხინი. ჟურნალი ემსახურებოდა მიწათმფლობელთა ინტერესებს, მხარს უჭერდა ბატონყმობის თანდათანობით გაუქმებას, აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის პროექტებს მიწის ხეირიანად დამუშავების ირგვლივ და სხვ.

93. «Труден-ли выкуп земли?» ნ. ჩერნიშევსკის წერილია, დაბეჭდილი „სოვრემენნიკში“ 1859 წ. (№ 1).

94. სტუდენტთა წინააღმდეგ მიღებულ ზომებში იგულისხმება ის მრავალჯნისი შეზღუდვანი, რომელთაც მეფის ხელისუფლება მიმართავდა სტუდენტური ახალგაზრდობის მოძრაობის დასაოკებლად 50—60-იან წლებში, განსაკუთრებით კი 1861 წლის ცნობილი სტუდენტთა მღელვარების შედეგად პეტერბურგში.

95. პეტერბურგის ხანძრები — იგულისხმება 1862 წლის ივნისში გაჩენილი ხანძარი, რომელიც პეტერბურგის სავაჭროებს გაუჩნდა. ნ. ნიკოლაძე თავის ნაწერში „მოგონებანი სამოციან წლებზე“ მოგვითხრობს: „ცეცხლის გაჩენის პირველ დღეებშივე ხალხში გაერცელდა ხმები, რომ ცეცხლს სტუდენტები ან პოლონელები უკიდებენ. მიზეზად ასახელებდნენ მებატონეთა შვილების შურისძიებას გლეხების განთავისუფლების გამო. იყო კიდევ რამდენიმე შემ-

თხვევა, როცა მხეტურად გაუსწორდნენ ყოვლად უდანაშაულო სტუდენტებს, რომელთაც ბრბომ სტაცა ხელი ქუჩაში, ცეცხლში ჩაადლო და თან ზევდიან ანთებული შეშა დააყარა... ერთხელ ხანძრის დროს მე დამაპატიმრა პოლიციამ უბნის უფროსთან წალაპარაკების გულისათვის; როდესაც ხალხმა დაპატიმრებული დამინახა, იფიქრა, რომ „ცეცხლის წამყიდებელი“ დაიჭირეს და ცოტა მაკლდა ცეცხლში არ გადამიძახეს“ (ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, 1931 წ., ტ. I, გვ. 136).

96. 1864 წლის სასკოლო წესდება იგულისხმება 1864 წლის 19 ივლისის „დებულება დაწყებითი სახალხო სკოლების შესახებ“. ამ დებულების თანახმად დაწყებითი სახალხო სკოლების მიზანს შეადგენდა: „ხალხში რელიგიური და ზნეობრივი ცნებების დანერგვა და პირველდაწყებითი სასარგებლო ცოდნის გავრცელება“ (§ 1). პირველდაწყებით სახალხო სასწავლებლებს მიეკუთვნებოდა ყველა უწყების, საქალაქო და სასოფლო ელემენტარული სკოლა, რომლებიც იმყოფებოდნენ ხაზინის, საზოგადოებისა და კერძო პირთა ხარჯზე (§ 2). 1864 წელს 19 ნოემბერს დამტკიცდა წესდება გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების შესახებ. ეს წესდება ითვალისწინებდა ორი ტიპის გიმნაზიას: კლასიკურს — ლათინური და ბერძნული ენებითა და რეალურს — ძველი ენების გარეშე. რეალურ გიმნაზიებში კარგად უნდა ყოფილიყო დაყენებული მათემატიკური საგნებისა და ფიზიკის, კოსმოგრაფიის, ხაზვის სწავლება. 1864 წლის წესდებით გიმნაზიები გამოცხადდა არა წოდებრივ სასწავლებლებად, სადაც მოსწავლეებად უნდა მიეღოთ ყველა წოდებისა და სარწმუნოების ყმაწვილები. წესდება აუქმებდა მოსწავლეთა ფიზიკურ სასჯელს. 1864 წლის შედარებით ლიბერალური წესდება გაუქმდა 1871 წელს. ამ წელს შემოღებულ იქნა ახალი რეაქციონური წესდება, რომელიც მოქმედებდა 1917 წლამდე.

97. „ბეჭდვითი სიტყვის დროებითი წესები“ შემოღებულ იქნა 1865 წლის 6 აპრილიდან, როცა ცენზურა გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს. „დროებითმა წესებმა“ ბეჭდვის საქმე შეზღუდა და შემოიღო სასჯელი წინათ არსებულ წინასწარ ცენზურასთან ერთად.

98. „კრემია“ («Время») — ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი პეტერბურგში 1861—1863 წლებში, გამომცემელი და რედაქტორი იყო მიხეილ დოსტოევსკი. სარედაქციო საქმეებში მონაწილეობას იღებდა თევდორე დოსტოევსკი. ჟურნალი რეაქციული მიმართულებისა იყო.

99. „სოვრემენნოე სლოვო“ («Современное слово») გაზეთი. გამოდიოდა პეტერბურგში 1862—1863 წლებში, რედაქტორობდა ნ. პისარევსკი, ლიბერალური მიმართულებისა იყო, ქადაგებდა მოქალაქეთა თანასწორობას კანონის წინაშე, პიროვნების თავისუფალ განვითარებას და სხვ.

100. „რუსსკოე სლოვო“ («Русское слово»), ლიტერატურულ-სამეცნიერო ჟურნალი 1859—1866 წლებში, რევოლუციური დემოკრატიის ორგანო, რომელშიც თანამშრომლობდნენ დ. პისარევი, ვ. ზაიცევი, ელიზე რეკლიუ, დ. მინაევი, პ. ტაჩევი და სხვ. 1862 წელს ეს ჟურნალიც შეაჩერა ცენზურამ „სოვრემენნიკთან“ ერთად.

101. „დენ“ («День»), გაზეთი მოსკოვში 1861—1865 წლებში, სლავიანოფილური ორგანო, იბრძოდა რევოლუციურ-დემოკრატიული და ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეების წინააღმდეგ. რედაქტორობდა ი. აქსაკოვი.

102. „ჩერნიშევსკი და მისი მეგობრები წარმოადგენენ ახალ თაობას“ — ე. ი. რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები ადამცველთა და გამავრცელებელთა თაობას.

103. „სოვრემენნიკის“ რვა თვით შეჩერებას ადგილი ჰქონდა 1862 წლის ივნისში ვიდრე 1863 წლის თებერვლამდე და იყო შედეგი ჩერნიშევსკის მასში მონაწილეობა-მოღვაწეობისა, რასაც მეფის ხელისუფლება ფხიზლად ადევნებდა თვალს. ივნისში „სოვრემენნიკის“ გამოცემა რვა თვით შეჩერდა, ხოლო 7 ივლისს (1862 წ.) ჩერნიშევსკი დააპატიმრეს და პეტრე-პავლეს ციხეში დაამწყვდიეს.

104. საკვირაო სკოლები და მათი დახურვა. საკვირაო სკოლები რუსეთში გაჩნდა XIX საუკუნის 60-იან წლებში. პირველი ასეთი სკოლა ჩამოაყალიბა ნ. პირაგოვმა 1859 წელს კიევიში. სულ მალე საკვირაო სკოლების ქსელი გაიზარდა, რამაც მეფის ხელისუფლების ეჭვი და შიში გამოიწვია და 1862 წლის 10 ივნისს კიდევ გაიცა განკარგულება საკვირაო სკოლების თაობაზე. 1864 წლიდან კვლავ იხსნებოდა საკვირაო სკოლები, მაგრამ ნებართვის აღება ჭირდა. ასეთი სკოლების გახსნის უფლება, უმთავრესად, ეკლესიასა და სამღვდლოებას ჩაუგდეს ხელში.

105. „სევერნაია პჩელა“ («Северная пчела»), პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი პეტერბურგში 1825—1864 წლებში. 60-იან წლებში იგი ქადაგებდა რეფორმის ოფიციალურ მოღვაწეთა იდეებს.

106. „მოლოდაია როსსია“ («Молодая Россия»), იყო პროკლამაცია, რომელიც რუსეთში გავრცელდა 1862 წლის 14 მაისიდან, პროკლამაციის შემდგენელი იყო პ. ზაიჩნევსკი და ქადაგებ-

და მონარქიის დამხობასა და რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას.

107. ამ პროკლამაციის გამოცემას ნ. ჩერნიშევსკი უწოდებდა წინდაუხედავ საქციელს. როგორც მან წინასწარ განჰყვრიტა, მეფის მთავრობამ პროკლამაციით გამოწვეული ალიაქოთი თავისი რეაქციონური ღონისძიებებისათვის გამოიყენა.

108. ჩერნიშევსკის თხზულებების გამოცემა საზღვარგარეთ (შვეიცარიასი — ქენევა) წამოიწყო ნიკო ნიკოლაძემ და 1868 წელს გამოსცა კიდევ თავისი მასწავლებლისა და დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატის თხზულებათა პირველი ტომი. ნ. ჩერნიშევსკის გამოცემას შემდეგი სატიტულო გვერდი აქვს: «Сочинения Н. Чернышевского. Первое полное издание, том I. Научная и литературная критика 1853—1855. Издание М. Элпидина и Компании. Yevy. B. Benda, Libraire—Éditeur, Succeseur de Richard Lasser, 1868».

109. ბელტოვი პერსონაჟია ა. გერცენის თხზულებისა „ვინ არის დამნაშავე?“ ობლომოვი — ა. გონჩაროვის რომანისა „ობლომოვი“, რუდინი — ი. ტურგენევის „რუდინისა“, ინსაროვი — მისივე რომანისა „წინა დღეს“, მოლოტოვი — პომიალოვსკის რომანისა „მოლოტოვი“, ბაზაროვი — ტურგენევის რომანისა „მამები და შვილები“.

110. „ახალი ადამიანები“ — იგულისხმება ნ. ჩერნიშევსკის რომანის გმირები: ლოპუხოვი, ვერა პავლოვნა, კირსანოვი და რახმეტოვი. ესენი არიან ხალხიდან გამოსული ახალგაზრდები, მშრომელები, რომელნიც ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას ალევდნენ თავის სიცოცხლეს. ამ ნათელი და საყვარელი „ახალი ადამიანების“ იდეალები უპირისპირდება ბატონყმური და ბურჟუაზიული სამყაროს სიცრუესა და სიყალბეს.

111. ლოპუხოვი და კირსანოვი ნ. ჩერნიშევსკის რომანის „რაკეთოთ?“ გმირებია.

112. ნ. ჩერნიშევსკის მემკვიდრენი არიან ალექსანდრე და მიხეილ ჩერნიშევსკები.

113. ქენევის კონგრესი უნდა იყოს 1866 წლის 3—8 სექტემბრის I ინტერნაციონალის პირველი კონგრესი.

114. ეგვიპტის საკითხში იგულისხმება ინგლისის მიერ ჩადენილი მოქმედებანი 1839 წელს ეგვიპტის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის თავის კოლონიად გადაქცევის მიზნით, რამაც გამოიწვია თურქეთ-ეგვიპტის ომი. ეგვიპტის ჭარებმა დაამარცხეს თურქეთის არმია. მა-

შინ ინგლისის ინიციატივით ინგლის-ავსტრიის გაერთიანებული ფლოტი თავს დაესხა სირიის სანაპიროს (1840 წელს). ინგლისმა მხარი დაუჭირა აჯანყებას სირიაში. ინტერვენციამ აიძულა ეგვიპტის ფაშა მუჰამედ-ალი, რომ კაპიტულაცია გამოეცხადებინა.

115. უენევის (1866 წლის) და ლოზანის (1867 წლის) მუშათა კონგრესები პირველი ინტერნაციონალის კონგრესებია.

116. კელსიევის წიგნი არის «Из пережитого и передуманного» (1866—1868). Воспоминания», რომელშიც ამ ცნობილმა ემიგრანტმა მოინანია თავისი „შეოდება“ მეფის წინაშე, 1867 წელს დაბრუნდა ემიგრაციიდან და თავისი სურვილით ჩაბარდა პოლიციის დეპარტამენტს.

117. III განყოფილება («Третье отделение собственной его императорского величества канцелярии») დაარსდა ნიკოლოზ I-ის დროს 1826 წელს. მის ფუნქციაში შედიოდა საიდუმლო პოლიციის დაწესება. 60-იან წლებში იგი გადაკეთდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტად. მესამე განყოფილება შედგებოდა ხუთი ექსპედიციისაგან, მისი აღმასრულებელი ორგანო იყო უანდარძთა კორპუსი, რომლის შეფიც იყო III განყოფილების უფროსი (ბენკენდორფი 1826—1841 წლებში, დოლგორუკოვი 1856—1868 წლებში).

118. პეტრაშევსკის შეთქმულებაში იგულისხმება მიხეილ ბუტაშვიცი-პეტრაშევსკის მიერ პეტერბურგში 1845—1849 წლებში ჩამოყალიბებული მოწინავე ინტელიგენტთა წრე, რომელშიც შედიოდნენ მ. სალტიკოვი, ა. პლეშჩევი, თ. დოსტოევსკი, ვ. მაიკოვი და სხვანი. პეტრაშევსკის ჯგუფმა მოღვაწეობა დაიწყო ლიტერატურული საკითხების გარჩევით და გადავიდა გლეხთა განთავისუფლების, რევოლუციური აგიტაციისა და საიდუმლო ლიტერატურის შექმნის საკითხებზე. 1849 წელს პროვოკატორ ანტონელის დასმენის შედეგად პეტრაშევსკელთა შეთქმულება გამომქდავნდა, მეთაურები (21 კაცი) დააპატიმრეს და მიუსაჯეს ციხეში და კავკასიაში გადასახლება.

119. „სვისტოკი“ («Свисток») ჟურნალ „სოვრემენნიკის“ სატირის განყოფილებას ერქვა, რომელიც რედაქციამ შემოიღო 1859 წელს. მისი დაწესების ინიციატორი იყო ნ. დობროლიუბოვი. „სვისტოკის“ განყოფილებაში იბეჭდებოდა ისეთი მასალა, რომელიც ჟურნალის იდეურ ხაზს ავითარებდა. ამ განყოფილების მთავარი თანამშრომლები იყვნენ ნ. დობროლიუბოვი, აგრეთვე ნ. ნეკრასოვი, ნ. ჩერნიშევსკი, მ. სალტიკოვ-შიგედრინი და სხვ. „სვისტოკის“ მხოლოდ 9 ნომერი გამოვიდა და 1863 წელს მოისპო.

120. «Научились-ли» და «Третий сон Веры Павловны», ნ. ჩერნიშევსკის თხზულებებია. მეორე ერთი ნაწილია მისი რომანისა „რა ვაკეთოთ?“.

121. „ნაროდნოე დელო“ («Народное дело») ჟურნალია, გამოდიოდა ენევეაში 1868—1870 წლებში, მ. ბაკუნინისა და ნ. უუკოვსკის რედაქციით. პირველ ხანებში ჟურნალი ანარქისტული მიმართულებისა იყო, შემდეგ იგი I ინტერნაციონალის რუსული სექციის ორგანოდ იქცა.

122. „სოვრემენნოსტ“ («Современность») ჟურნალია, გამოდიოდა ენევეაში 1868 წლის აპრილიდან სექტემბრამდე. რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ ნ. ნიკოლაძე და ლ. მეჩნიკოვი.

123. „წმინდა გონების კრიტიკა“, „პრაქტიკული გონების კრიტიკა“ და „განსჯის უნარის კრიტიკა“ გერმანული იდეალისტურა ფილოსოფიის დიდი წარმომადგენლის იმანუელ კანტის თხზულებებია, დაწერილი XVIII საუკუნის 80-იან წლებში.

124. „მეცნიერება და ხალხი“ მ. ბაკუნინის წერილია, რომელიც გამოქვეყნდა „ნაროდნოე დელოში“ («Народное дело»), 1868 წლის პირველ ნომერში.

125. ნ. ნიკოლაძეს თავისი ხელით გადაწერილი ტექსტის შენიშვნაში უწერია: „დაიბეჭდა „დროებაში“ 1869 წელს №№ 33 და 34 ცენზურისაგან ბევრი ადგილის გამოკლებით და გადასხვანაირებით“.

126. ავტორს ტექსტის შენიშვნაში (ხელნაწერში) უწერია: „იმ დროს ჩვენში რკინის გზა ჯერ როდი არსებობდა. ახალი შენიშვნა“.

127. ავტორს ტექსტის შენიშვნაში უწერია: „ეს სიტყვა, ალბათ, აბელას სახელისაგან წარმოებს, რომელიც წარსულ საუკუნის მეორმოცდაათიან წლებში საქართველოში გამოჩენილ ჯამბაზად ითვლებოდა. ახალი შენიშვნა“.

128. ავტორს ტექსტის შენიშვნაში უწერია: „როცა ეს დაიწერა ჩვენში საყოველთაო სამხედრო სამსახური შემოღებული არ იყო“.

129. ავტორს ტექსტის შენიშვნაში უწერია: „ის ფილოსოფოსი ისეთ ცეკვას რომ მოსწრებოდა, როგორც მაჩიში, კეკ-ვოკი ან ტანგოა, ბევრად უფრო ადვილად დაასაბუთებდა თავის თეორიას. ახალი შენიშვნა“.

130. ავტორს ტექსტის შენიშვნაში უწერია: „ამის დაწერის წინა დროში ჩვენში ესახლა სკაპცების როტა, რომლის უფროსად მაიორი იაგორ გევიძე იყო. რკინის გზის გამართვის წინ რიონზე რომ ორთქლის გემები დაიარებოდა, ზედ კაბიტნებათ და მატროსებათ ეს სკაპცები იყვნენ. ახლა მათი ხსენებაც აღარაა. ჩვენში მაინც, ახალი შენიშვნა“.

ს ა ხ ე ლ თ ა ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

ა

- აბელა, ჯამბაზი 50-იანი წლების საქართველოში. — 501.
- აბესალომოვი სოლომონ ზაქარაიას-ძე თბილისის ქალაქის თავი 1865 წელს. — 307.
- ადამივი მიხეილ ვასილის ძე (1821 — 1876), რუსი მწერალი, რომანისტი. — 397.
- ალექსანდრე II (1818—1881), რუსეთის იმპერატორი 1855—1881 წწ. 261, 262, 295, 296, 317, 320, 331, 332, 333, 338, 344, 346, 350, 352, 353, 365.

- ანტონოვიჩი მაქსიმე ალექსის ძე (1835—1918), რუსი ბუნებისმეტყველი და კრიტიკოსი. — 346.
- ასკონენსკი ვიქტორ იპატის ძე (1813 — 1879), რუსი მონარქისტი ურნალისტი, კლერიკალი. — 190, 326.
- არნდტი ერნსტ შორის (1769—1860), გერმანელი პოეტი. — 494.
- არსენიევი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე (1837—1919), რუსი პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ლიტერატურის ისტორიკოსი. — 210.

ბ

- ბაირონი ჯორჯ ნოელ გორდონ (1788 — 1824), დიდი ინგლისელი პოეტი, რევოლუციური რომანტიზმის წარმომადგენელი. — 159, 217 — 221, 419.
- ბარათინსკი ევგენი აბრამის ძე (1800 — 1844), რუსი პოეტი. — 419.
- ბახტიდი ეიულ (1800—1879), ფრანგი პუბლიცისტი, ისტორიკოსი. — 232.
- ბაშეუქ-მელიქოვი ისაკ, ხარჯის ამკრეფი თბილისში 1865 წელს. — 294, 295, 305, 314.
- ბაქარ ქართლელი, იხ. ყიფიანი დიპტრი.
- ბაქრაძე დიმიტრი ზაქარაიას ძე (1827 — 1890), ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე. — 77.
- ბეზობრაზოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1816 — 1867), რეაქციო-

- ნერი პუბლიცისტი, გლეხთა საკითხის „მცოდნე“. — 268.
- ბეკონი ფრენსის (1561—1621), ინგლისელი ფილოსოფოსი. — 444.
- ბელინსკი ბესარიონ გრიგოლის ძე (1811—1848), დიდი რევოლუციონერი დემოკრატი, კრიტიკოსი და ფილოსოფოსი. 394, 428.
- ბენდა, პოლონელი ემიგრანტი, წიგნის გამომცემელი შვეიცარიაში. — 396, 399.
- ბენტამი ჯორჯ (1800 — 1884), ინგლისელი ბუნებისმეტყველი. — 216.
- ბერგი ნიკოლოზ ვასილის ძე (1824—1884), რუსი ურნალისტი და ბელეტრისტი. — 394.
- ბისმარკი ოტო ფონ შენაუზენ (1815 — 1898), გერმანიისა და ავსტრიის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. — 437.

ბიუნერი ფრიდრიკ კარლ ქრისტიან ფლდვიგ (1824—1899), გერმანელი ფილოსოფოსი, ფიზიკოსი. — 443, 445.

ბიჩერ-სტოუ პარიეტ (1811—1896), ამერიკელი მწერალი ქალი. — 224.

ბლან ლუი (1811—1882), ფრანგი სოციალისტი, ისტორიკოსი. — 233.

ბობორკინი პეტრე დიმიტრის ძე (1836—1921), რუსი მწერალი. — 191.

ბოკლი ჰანრი თომას (1821—1862),

ინგლისელი ისტორიკოსი, სოციოლოგი. — 201, 210, 211, 212, 214, 215, 224, 443, 444.

ბონკარევი ივანე, მესტამბე. — 216.

ბროუნინგი რობერტ (1812—1889), ინგლისელი პოეტი. — 221.

ბუნიცკი, წიგნის გამომცემელი პეტერბურგში. — 210.

ბუნიცკი სტეფანე, მთარგმნელი. — 210.

ბურკე ედმუნდ (1738—1797), ინგლისელი ეკონომისტი. — 216.

ბ

გარნიე-პაუეს ლუი ანტუან (1803—1878), ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, რევოლუციონერი. — 233.

გეგიძე იაგორ, მამორი. — 513.

გერცენი ალექსანდრე ივანეს ძე (1812 — 1870), დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატი, მწერალი, პუბლიცისტი. — 247, 279, 284, 425, 428.

გოგებაშვილი იაკობ სიმონის ძე (1840—1912), დიდი ქართველი პედაგოგი და მწერალი. — 448.

გოგოლი ნიკოლოზ ვასილის-ძე (1809 — 1852), დიდი რუსი მწერალი. — 73, 428.

გოეთე იოჰან ვოლფგანგ (1749—1832), დიდი გერმანელი პოეტი და მთარგმნე. — 218.

გოლიცინი ბარბარე ალექსანდრეს ასული (გარდ. 1867 წ.) რევოლუციური მუშაობის მონაწილე 60-იან წლებში. — 308.

გოროხოვი გ. იხ. ლესკოვი ნ. ს.

გორჩაკოვი ალექსანდრე მიხეილის ძე (1798—1883), დიპლომატი, საგარეო საქმეთა მინისტრი. — 274.

გრიგოროვიჩი დიმიტრი ვასილის ძე (1822 — 1899), რუსი მწერალი. — 402, 403.

გრომეკა სტეფანე სტეფანეს ძე (1823 — 1877), რუსი კრიტიკოსი, პუბლიცისტი, შემდეგ სედლეცის გუბერნატორი. — 191, 275.

გროციუსი ჰუგო (1583—1645), ჰოლანდიელი იურისტი, ფილოსოფოსი. — 244.

დ

დადიანი დედოფალი, იხ. კავკავიძე ეკატერინე.

დალაშერი ეან ლერონ (1717—1783), ფრანგი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი. — 203.

დამბეტი, შვეიცარიელი პროფესორი. — 487.

დარვინი ჩარლზ რობერტ (1809—1882), ინგლისელი დიდი ბუნებისმეტყველი. — 443, 444.

დაიენსი ჩარლზ (1812—1870), ინგლისელი მწერალი. — 217, 222 — 224.

დამიტრევსკი, იხ. პეტროვი ალექსანდრე გრიგოლის ძე.

დობროლიუბოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1836—1861), რუსი ფილოსოფოსი, კრიტიკოსი. — 189, 323, 338, 360, 429, 432—434.

დოლოგორუკი პეტრე ვლიდიმერის ძე (1816 — 1868), რუსი პუბლიცისტი. — 283.

დოლჟიკოვი, მოსკოველი სტუდენტი, პროვოკატორი. — 343.

2

ევანსი მარია ანა (1820—1880), ინგლისელი მწერალი. — 224.

ელიოტი ჯორჯ, იხ. ევანსი მარია ანა. ელისევეი გრიგოლ ზაქარაის ძე (1821—1893), რუსი პუბლიცისტი და კრიტიკოსი. — 345, 346.

ელპიდინი მიხეილ კონსტანტინეს ძე (1835—1908), სამოციანი წლების რევოლუციური მოძრაობის მონაწილე, 1885 წლიდან პოლიციის

დაუმა ალექსანდრე, მამა (1803—1870), ფრანგი მწერალი. — 135, 162, 169, 427.

დაუმა ალექსანდრე, შვილი (1824—1895), ფრანგი მწერალი. — 162.

დეპარტამენტის აგენტი. — 391, 398, 440.

ერისთავი რაფიელ დავითის ძე (1824—1901), პოეტი და საზოგადო მოღვაწე. — 506.

ერკმან-შატრიანი ფრანგი მწერლების ემილ ერკმანისა (1822—1899) და ალექსანდრე შატრიანის (1826—1890) ლიტერატურული ფსევდონიმი. — 401.

3

ვალუვიკი პეტრე ალექსანდრეს ძე (1814 — 1890), რუსი სახელმწიფო მოღვაწე, შინაგან საქმეთა მინისტრი. — 1861 — 1858 წწ. — 318.

ვართანოვი, იხ. შერმაზან-ვართანოვი. ვიტე, სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტის დირექტორი პეტერბურგში. — 297.

ვოლოვსკი ლუი ფრანსუა მიშელ-რაიმონდ (1810—1876), ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ეკონომისტი. — 214.

ვოლტერი; ფრანსუა მარი (1694 — 1778), დიდი ფრანგი მოაზროვნე, მწერალი. — 203, 204, 205, 351.

ვორმსი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1845 — 1870), რუსი პოეტი, პოლიტიკური ემიგრანტი 60-იან წლებში. — 499.

ვორონოვი მიხეილ სიმონის ძე (1782—1856), სამხედრო მოღვაწე, მეფისნაცვალ კავკასიაში 1845 — 1854 წწ. — 309.

ფ

ზარბიე ვასილ, იასაული 1865 წელს. — 307.

ზელენეცი კონსტანტინე პეტრეს ძე (1812—1858), რუსი ლიტერატურის ისტორიკოსი. — 216.

ზიბელი ჰენრიხ (1817—1895), გერ-

მანელი პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი. — 195, 201, 202, 205.

ზორინი, იურიისტი, „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ კორესპონდენტი. — 289, 290.

თ

თეიმურაზ ვაკელი, ეურნალ „ცისკრის“ ხელისმომწერი და გავრცელების ხელისშემწყობი. — 73.

თეკერეი უილიამ (1811—1863), ინგლისელი მწერალი. — 217, 222 — 224.

თუმანიშვილი მიხეილ ბირთველის ძე
(1818 — 1875), პოეტო, თეატრა-

ლური კრიტიკოსი. პუბლიცისტი,
საზოგადო მოღვაწე. — 72, 73.

0

ისკანდერი, იხ. გერცენი ალექსანდრე
ივანეს ძე.

ივანე შრისხანე (ივანე IV) (1530 —
1584) — პირველი რუსი მეფე, დი-
დი პოლიტიკური მოღვაწე. — 182.

კ

კავენიაკი ლეი ეკენ (1802—1857).
ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე,
გენერალი. — 483.

კანტი ემანუელ (1724—1804). გერ-
მანელი ფილოსოფოსი. — 445, 446.

კარაკოზოვი დიმიტრი ვლადიმერის ძე
(1840—1866), მოსკოვის უნივერ-
სიტეტის სტუდენტი, რევოლუციო-
ნერი-ტერორისტი. — 325, 326, 366.

კარლელი თომას (1795—1881), ინგ-
ლისელი ფილოსოფოსი, ისტორი-
კოსი, პუბლიცისტი. — 221.

კარლოს X (1757—1836), საფრანგე-
თის მეფე 1824—33 წლებში. —
380.

კარცოვი ალექსანდრე პეტრეს ძე
(1817—1875), კავკასიის არმიის
მთავარი შტაბის უფროსი. — 306.

კასატკინი ვიქტორ ივანეს-ძე (1831—
1867), ლიტერატორი, „ზემლია
ვოლიას“ საზოგადოების წევრი. —
308.

კატკოვი მიხეილ ნიკიფორეს-ძე
(1818—1889), რუსი პუბლიცისტი,
მონარქისტი. — 190, 243, 279,
287, 291, 320, 322, 323, 324, 326,
345, 356, 365, 367.

კელსიევი ვასილ ივანეს ძე (1835—
1872). რუსი პუბლიცისტი. — 419,
426 — 431, 434.

კერესელიძე ივანე ივანეს ძე (1829—
1893), მწერალი, ჟურნალისტი,
ეურნალ „ცისკარს“ რედაქტორი.
— 79.

კინგსლეი ჩარლზ (1819—1875), ინგ-
ლისელი მწერალი. — 224.

კიტს ჯონ (1795—1821), ინგლისელი
პოეტი. — 221.

კოკი შარლ პოლ დე (1794—1871).
ფრანგი მწერალი. — 135.

კოლბი გეორგ ფრიდრიხ (1800—
1884), გერმანელი პოლიტიკური
მოღვაწე, სტატისტიკოსი. — 465,
467.

კოლრიჯი სამუელ თაილორი (1772—
1834), ინგლისელი პოეტი, რომან-
ტიკოსი. — 221.

კონტი ოგიუსტ (1798—1857), ფრანგი
ფილოსოფოსი, სოციოლოგი. —
444.

კორში თევდორე ევგენის ძე (1843—
1915), რუსი ფილოლოგი, სლავის-
ტი, აღმოსავლეთმცოდნე. — 191.

კოსტოპაროვი ესეველოდ დიმიტ-
რის ძე (გარდ. 60-იანი წლების
დასასრულს), რუსი მწერალი. —
343.

კრავცკი ანდრია ალექსანდრეს ძე
(1810—1889), რუსი ჟურნალისტი,
წიგნის გამომცემელი. — 191, 345.

ლ

ლა-ბარ, ფრანგი ფინანსისტი. — 478.
ლავერნი ლეონ-გულჰაილ (1809—
1880), ფრანგი პოლიტიკური მო-

ღვაწე, ეკონომისტი. — 470, 471,
472,

ლაშარტინი ალფონს (1791—1869)

ფრანგი პოეტი, ისტორიკოსი, პო-
ლიტიკური მოღვაწე. — 233.

ლასალი ფერდინანდ (1825—1864),
გერმანელი სოციალისტი. — 437.

ლატოზ მიხეილ (1806—1871), აეს-
ტრიელი, თურქეთის არმიის მეთა-
ური. — 260, 261.

ლაფაიეტი მარი ეოზეფ პოლ (1757—
1834), ფრანგი რევოლუციონერი—
202.

ლედრიუ-როლენ ალექსანდრე ოგი-
უსტენ (1808—1874), ფრანგი პო-
ლიტიკური მოღვაწე. — 233.

ლერმონტოვი მიხეილ იურის-ძე (1814
— 1841), დიდი რუსი პოეტი. —
130, 363.

ლესინგი გოტჰოლდ ეფრაიმ (1729—
1781), გერმანელი მწერალი, კრი-
ტიკოსი. — 393.

ლესკოვი ნიკოლოზ სიმონის ძე
(1831 — 1895), რუსი მწერალი. —
361.

მ

მაიკოვი აპოლონ ნიკოლოზის ძე
(1821 — 1897), რუსი პოეტი. —
149, 193.

მაკოლდი თომას ბაბინგტონ (1800—
1859), ინგლისელი პოლიტიკური
მოღვაწე, ისტორიკოსი, პუბლი-
ცისტი. — 224.

მარი ალექსანდრე პიერ თომა (1795—
1870), ფრანგი პოლიტიკური მო-
ღვაწე, სამართლისმცოდნე. — 233.

მაქსიმოლიანე, (1832—1867) ავსტრი-
ის ერცჰერცოგი, მექსიკის იმპერა-
ტორი. — 382.

მაქსიმოვიჩი ალექსანდრე პეტრეს ძე,
საეცნურო კომიტეტის თავმჯდო-
მარე. — 313.

მეჩნიკოვი ლევ ილიას ძე (1838—
1888), რუსი გეოგრაფი, სოციო-
ლოგი, პუბლიცისტი. — 308.

მილი ჯონ სტუარტ (1806—1873), ინ-

ლოიპმან, წიგნით მოვაკრე ლონდონ-
ში. — 220.

მიუი ჯორჯ ჰანრი (1817—1878),
ინგლისელი მწერალი. — 443.

მილი ჯონ (1671—1729), ინგლისელი
ეკონომისტი. — 208.

მიველი ჯემს რუსელ (1819—1891),
ამერიკელი პოეტი. — 221.

მიდოვიკო XIV ბურბონი (1638—
1715), საფრანგეთის მეფე 1643—
1715 წწ. — 202, 203, 218.

მიდოვიკო XV ბურბონი (1710—
1774), საფრანგეთის მეფე 1715—
1777 წწ. — 202, 206.

მიდოვიკო XVI ბურბონი (1754—
1793), საფრანგეთის მეფე 1774—
1792 წწ. — 209.

მიუთერი მარტინ (1483—1546), რე-
ფორმაციის მოღვაწე გერმანიაში.
— 198, 199, 202.

მიუი-ფილიპე (1773—1850), საფრან-
გეთის მეფე 1830—48 წლებში.
— 380.

გლისელი ფილოსოფოსი, ეკონო-
მისტი. — 443.

მირაბო ონორე გაბრიელ რიკეტ დე
(1749 — 1791), ფრანგი, რევოლუ-
ციის მოღვაწე. — 202.

მიხაილოვი მიხეილ ლარიონის ძე
(1829—1865), რუსი მწერალი, პუბ-
ლიცისტი. — 308, 360.

მიხეილ ნიკოლოზის ძე, იხ. რომა-
ნოვი მიხეილ ნიკოლოზის ძე.

მილაუბე, იხ. თუმანიშვილი მიხეილ.

მილენოტი იაკობ (1822—1893), პო-
ლანდიელი ფიზიოლოგი. — 443,
444.

მიურავიოვი მიხეილ ნიკოლოზის ძე
(1796—1866), რუსი სახელმწიფო
მოღვაწე. — 320, 324, 326, 353,
356, 365, 367.

მური თომას (1779—1852), ინგლისე-
ლი პოეტი. — 217, 220, 221.

ნაპოლეონ I ბონაპარტ (1769—1821), ფრანგი მხედართმთავარი, საფრანგეთის იმპერატორი. — 218, 346, 501.

ნაპოლეონ III (1808—1873), საფრანგეთის მეფე 1852 — 1877 წწ. — 333, 381, 382, 411.

ნეკერი ეაკ (1732—1804), ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე. — 208.

ნეკრასოვი ნიკოლოზ ალექსის ძე (1821—1878), დიდი რუსი პოეტი, ჟურნალისტი. — 132.

ნიკოლაი ალექსანდრე პავლეს ძე

(1821—1899), რუსი სახელმწიფო მოღვაწე. — 295, 304, 305, 306.
ნიკოლოზ I (1796—1855), რუსეთის იმპერატორი 1825 — 1855 წწ. — 286, 330, 342, 365.

ნიუტონი ისაკ (1642—1727), ინგლისელი მეცნიერი, ფიზიკოსი, მათემატიკოსი. — 213, 215.

ნოროვი აბრამ სერგოს ძე (1795 — 1869) — რუსი პოეტი, პროზაიკოსი, ლინგვისტი და ბიბლიოფილი. — 397.

ო

ო. ბ. ხ., იხ. ხელთუფლიშვილი ოლღა.

ოგარევი ნიკოლოზ პლატონის ძე (1813—1877), რუსი რევოლუციონერი, პოეტი, პუბლიცისტი. — 226 — 249, 276, 281, 425.

ომერ-ფაშა, იხ. ლათონი მიხეილ.

ოჟიე გაბრიელ, ემილ (1820 — 1889) — ფრანგი დრამატურგი. — 397.

ორბელიანი გრიგოლ ზურაბის ძე (1804—1883), დიდი ქართველი პოეტი. — 295, 305, 306, 313, 314.

ორდინსკი ბორის ივანეს ძე (გარდ. 1861 წ.), რუსული ლიტერატურის ისტორიკოსი. — 393, 394.

ორლოვსკი კონსტანტინე ივანეს ძე, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი 60-იან წლებში. — 294, 296, 304, 305.

ოსტროვსკი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (1823—1886), რუსი დრამატურგი. — 169.

ოფენბახი ეაკ (1819—1880), ფრანგი კომპოზიტორი. — 507.

პ

პეტრაშევსკი (ბუტაშევჩი-პეტრაშევსკი) მიხეილ ვასილის ძე (1821—1866), რუსი რევოლუციონერი. — 428.

პეტრე III (1728—1762), რუსეთის იმპერატორი 1761—1762 წწ. — 328.

პეტროვი ალექსანდრე გრიგოლის ძე, საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე პეტერბურგში. — 343.

პისემსკი ალექსი თეოფილაქტეს ძე (1821—1881), რუსი მწერალი. — 190.

პლემჩევი ალექსი ნიკოლოზის ძე (1825—1893), რუსი პოეტი. — 103.

პოდშვილოვი, მოქალაქე, მოკლული მოსკოვში 1865 წ. — 286.

პოლონსკი იაკობ პეტრეს-ძე (1819—1898), გამოჩენილი რუსი პოეტი. — 130.

პრუდონი პიერ ჟოზეფ (1809—1865), ფრანგი პუბლიცისტი, სოციოლოგი, ეკონომისტი. — 230—245, 415, 416.

პუგაჩოვი ემელიან ივანეს ძე (დაიბ. დაახლ. 1742—1775), რუს გლეხთა ამბოხების გამოჩენილი მეთაური. — 326, 327, 330, 331.

პუშკარევი, პორუჩიკი, ჭაშუში ყაზანის გუბერნიაში 60-იან წლებში. — 343.

პუშკინი ალექსანდრე სერგის ძე (1799 — 1837), დიდი რუსი პოეტი. — 130, 218, 363.

შ

შლანოვი სიმონ რომანის ძე, სენატო-

რი 60-იან წლებში. — 346.

რ

რაზინი სტეფანე (სტენკა) ტიმოთეს ძე (გარდ. 1671 წ.), რუსი გლეხობის ამბოხების მეთაური 1667—1671 წწ. — 327, 328, 331.

რომანოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1843—1865), იმპერატორ ალექსანდრე II-ის შვილი. — 281.

რომანოვი მიხეილ ნიკოლოზის ძე (1832—1909), დიდი მთავარი, მეფისნაცვალი კავკასიაში 1863—

1881 წწ. — 249, 295 — 297, 304 — 309, 313 — 315.

როსსელი ჯონ (1792 — 1878), ლორდი, ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე. — 374.

რუსსო ჟან ჟაკ (1712—1778), ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი. — 203, 204, 205.

რუჟი თეოდორ (1788—1841), ინგლისელი ჟურნალისტი. — 217.

ს

სალტიკოვ-შჩედრინი მიხეილ ევგრაფის ძე (1826—1889), რუსი მწერალი-სატირიკოსი. — 402.

სეი ჟან ბატისტი (1767 — 1832), ფრანგი ეკონომისტი. — 364, 415.

სერნო-ხოლოვიოვიჩი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1834—1866), რუსი რევოლუციონერი-დემოკრატი. — 345.

ს ი უ ევენ (1804—1857), ფრანგი მწერალი. — 427.

სკარიატინი ვლადიმერ დიმიტრის ძე, რეაქციონერი პუბლიცისტი 60-იან წლებში. — 191, 326.

სკოტი ვალტერ (1771—1832), ინგლისელი მწერალი. — 216 — 218, 222. სოლოვიოვი სერგეი მიხეილის ძე (1820—1879), მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი. — 394.

სოუთი რობერტ (1774—1843), ინგლისელი პოეტი. — 221.

სპენსერი ჰერბერტ (1820—1903), ინგლისელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი, სოციოლოგი. — 443.

სტენნიცკი იხ. ლესკოვი ნ. ს. სტრახოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1828—1896), ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი. — 191.

ტ

ტენისონი ალფრედ (1809—1892), ინგლისელი პოეტი. — 221,

ტიერი ადოლფ (1797—1877), ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი. — 214.

ტიურგო ან რობერ ჟაკ (1727—1881), ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, ეკონომისტი. — 208.

ტრეპოვი თედორე თედორეს-ძე (1812—1889), გენერალ-მაიორი, ენდარმთა კორპუსის თანამშრომელი. — 367.

ტურგენევი ივანე სერგის ძე (1818—1883), რუსი მწერალი.—149, 236, 402, 403.

უ

უორდსვორთი უილიამ (1770—1850),

ინგლისელი პოეტი. — 221.

ფ

ფადევი ანდრია მიხეილის ძე, კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი 60-იან წლებში. — 297.

ფილოსოფოსი, ბუნებისმეტყველები. — 443, 444.
ფურმანი პეტრე რომანოვის ძე (1809—1856), რუსი მწერალი, ეჟურნალისტი. — 145.

ფოტო კარლ (1817—1845), გერმანე-

ჟ

ჟოფიანი დიმიტრი ივანეს ძე (1814—1887), მწერალი, მთარგმნელი, დი-

დი ქართველი საზოგადო მოღვაწე. — 73, 263.

ზ

ზელი პერსი ბიში (1792—1822), ინგლისელი პოეტი, რომანტიკოსი. — 217, 221.

ზმილტი ჰაინრიხ იულიან (1818—1886), გერმანული ლიტერატურის ისტორიკოსი. — 216 — 222, 224.

ზეო იოჰან (1817—1886), გერმანული ლიტერატურის ისტორიკოსი, პუბლიცისტი. — 216, 294.

ზოპენჰაუერი არტურ (1788—1860), გერმანელი ფილოსოფოსი. — 512.

ზერმან-ვართანოვი გალუსტა არტემის ძე, თბილისის ქალაქის თავი 1864 წლიდან. — 306.

ზულცე-დელიჩი პერმან (1808—1883), გერმანელი ეკონომისტი, პოლიტიკური მოღვაწე. — 364.

ზექსპირი უილიამ (1564—1616), დიდი ინგლისელი დრამატურგი, პოეტი. — 218.

ზნედრინი, იხ. სალტიკოვ-ზნედრინი მიხეილ ევგრაფის ძე.

ჩ

ჩენიშევსკი ნიკოლოზ გაბრიელის ძე (1828—1889), დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატი, მწერალი, ლიტერატურის კრიტიკოსი. — 317, 323, 345, 336, 359, 360, 361, 385, 397, 429, 443.

ჩისტიაკოვი მიხეილ ბორისის-ძე (1809 — 1895) — პედაგოგი და მწერალი, ეჟურნალ დღისა დეტისა რედაქტორი. — 146.

ჭ

ჭავჭავაძე ეკატერინე ალექსანდრეს ას. (1816—1882), სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი. — 261.
ჭავჭავაძე ნიკოლოზ ზურაბის ძე

(1830—1897), სამხედრო მოღვაწე თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი. — 295, 305, 306.

ხელთუფლიშილი ოლა ბესარიონის ას. (1846—1916), პედაგოგი,

საზოგადოებრივი მოღვაწე ქალი.— 132.

ჯ

ჯამბაკურ-ორბელიანი ალექსანდრე ვახტანგის ძე (1802 — 1869), პუბლიცისტი, დრამატურგი, რომანტიკოსი პოეტი, კონსერვატორული ბანა-

კის/ წარმომადგენელი, ეკონალ „ცისკრის“ ერთ-ერთი მესვეურთავანი. — 71, 77, 78.

ჰ

ჰენე ჰენრიპ (1797—1856), დიდი გერმანელი პოეტი. — 260, 494.

ჰეროლდი, წიგნით მოვაკრე ლონდონში. — 248.

ჰეტნერი ჰერმან (1821—1882), გერმანული ლიტერატურის ისტორიკოსი. — 216.

ჰიუგო ვიქტორ მარი (1802—1885), დიდი ფრანგი მწერალი, პოეტი. — 289.

ჰობსი თომას (1588—1679), ინგლისელი ფილოსოფოსი. — 244.

ჰუნტ ლეიგ ჯემ პანრი (1784—1859), ინგლისელი პოეტი და კრიტიკოსი. — 221,

ჰუსი იან (1369—1415), ჩეხი, ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი.—197, 198, 199, 201, 202.



ს ა რ ჩ ე ვ ი

ნ. ნიკოლაძის თხზულებათა გამოცემის გამო . . .	6
ნიკო ნიკოლაძე (ნარკვევი) — პროფ. დ. გამეზარდაშვილი	;

1 8 6 0 წ ე ლ ი

1. საყვარელნო მკითხველნო .	71
2. ხაზარდა და ლოტო ქუთაისში	72
3. ქუთაისის კორიკანობა	77

1 8 6 2 წ ე ლ ი

4. პეტერბურგის მხარეზე	80
------------------------	----

1 8 6 4 წ ე ლ ი

5. პროინციული სურათები	132
6. რუსული ჟურნალისტიკის მიმოხილვა .	185
7. რამდენიმე სიტყვა ერთი მეტად ძველი საკითხის გამო	195
8. ბოკლი და ქალთა საკითხი .	210
9. იულიან შმიდტის „XIX საუკუნის ინგლისური ლიტერატურის მიმოხილვა“	216
10. ცნობები კავკასიაზე	225

1 8 6 5 წ ე ლ ი

11. პ.-ე. პრუდონი	230
12. წერილი ოგარევს	246
13. წერილი ოგარევს	248
14. გლახთა განთავისუფლება საქართველოში	250
15. წერილი ოგარევს	276
16. წერილი ოგარევს	281
17. ჩვენი მომავალი ვეჭოლები გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ სამჯაეროს წინაშე	285

18. თბილისიდან	293
19. იენისის დღეები თბილისში	298
20. წერილი გერცენს	308
21. საქართველოდან	309

1 8 6 6 წ ე ლ ი

22. მთავრობა და ახალი თაობა	317
23 მოკლე განხილვა მწართველობის სხვადასხვა ფორმისა	370

1 8 6 7 წ ე ლ ი

24. გამომცემლებიდან	385
25. გამომცემლებიდან	393

1 8 6 8 წ ე ლ ი

26. ევროპის ცხოვრება	400
27. რუსეთის ემიგრაცია	419
28. ორი თაობა	427
29. რევოლუციონერების როლი	435
30. „ნაროდნოე დელო“	440
31. „ბუნების კარი“	448
32. განიარაღება და მისი ეკონომიურ-სოციალური შედეგები	455

1 8 6 9 წ ე ლ ი

33. ქვეითად და რკინის გზით	494
კომენტარები	519
ბიბლიოგრაფიული შენიშვნები	521
სახელთა საძიებელი	568

ტექნოლოგიური ნ. ბერიძე

კორექტორები: ვ. შალანია

ლ. ჯამბუჯელიძე

გადაეცა წარმოებას 19/X 61 წ.
ხელმოწერილია დასაბუქლად 20/III 62 წ.
სასტამბო ფორმათა რაოდენობა 36,0
საადრიცხვო ფორმათა რაოდენობა 32,14
ქაღალდის ზომა 60X92

შეკვეთის № 1348

უე 02466

ტირაჟი 5000

ფასი 2 მან. 60 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

Типография Издательства Тбилисского университета,
Тбилиси, проспект И. Чавчавадзе, 1.